ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

მოციქული



თედო სახოკიას
ცხოვრების ქრონიკა



„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2015

რედაქტორი
შუქია აფრიდონიძე

მხატვარი
კარლო ფაჩულია

კორექტორები
ეკა ბუჯიაშვილი
თამარ ყალიჩავა

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი

შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.

ISBN 978-9941-0-7858-3
© როსტომ ჩხეიძე, 2015

უფროს ამისსა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისა თვისისათვის.
იოანე, 15:13

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.
შოთა რუსთველი

თავი პირველი

გალაკტიონის დაუნერელი ქრონიკა

1955 წლის 9 თებერვალს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხვედრილიყო გალაკტიონ ტაბიძე თუ ბაზარში, კარგად ვეღარც კი გაარკვევდა.

ასეც ჩაინიშნავდა დღიურში:

— პირდაპირ ბაზარი გეგონებოდათ.

პრეზიდიუმის წევრები ერთმანეთს წასეოდნენ იმ გაწიწმატებითა და დაუნდობლობით, რაც ამ გარემოს სჩვეოდა და აღარც არასდროს მოიშლებოდა, ვიდრე მწერალთა კავშირი იარსებებდა — მედგრად მდგარი თუ სულდაღაფული. არსი ესაა მისი და დანიშნულება და სხვაგვარად ანკი როგორ იქნებოდა. და ამიტომაც ამ დაწესებულების აგონიის წუთებშიც შენარჩუნდებოდა ის გავეშება, რაც აგერ გალაკტიონის თვალწინ კიდევ ერთხელ თამაშდებოდა, მდუმარედ მიმჯდარი და ალიაქოთში ჩაკარგული რომ ისმენდა ყვირილს, ანჩხლობას, ერთმანეთს რომ არ აცლიდნენ და ერთობლივად ლაპარაკობდნენ — ნერვიულად, გაუგებრად, ხმამაღლა და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყ-

ვეტი სიტყვები ისმოდა. დიდი რამ მიხვედრა არა სჭირდებოდა, რომ ერთმანეთს იოტისოდენა პატივსაც არა სცემდნენ, და ან არ ესმოდათ ერთმანეთისა და ან კიდევ განგებ განგაშებდნენ.

ალექსი გომიაშვილი გასარტყმელადაც კი წაიწევდა ბესო ჟღენტისაკენ.

— შენ მანდ წყნარად იყავი, ხუტა, — ეტყოდა ვიღაც... იოსებ ნონეშვილს, ვინც შეურაცხყოფილი დარჩებოდა ამგვარი მიმართვით: სულ ხუტა რომ გაკერიათ ენაზე, მე ხომ ხუტა არა ვარო.

პრეზიდიუმის სხდომის ფონი ასეთი ხელშესახები დრამატული შტრიხებით იმიტომაც წარმოისახებოდა, რათა გათვალსაჩინოებულიყო, თუ რანაირ ატმოსფეროში მომხდარიყო სავლე აბულაძეზე თავდასხმა: სიმონ ჩიქოვანის, აკაკი ბელიაშვილის, კარლო კალაძისა და ალიო მირცხულავასი.

ისინი თავს დაესხმოდნენ კიდევ ერთ პიროვნებას — თედო სახოკიას.

და გალაკტიონს მოუხდებოდა ეთქვა სიმონ ჩიქოვანისათვის:

— თედო სახოკიას უფლება აქვს... თქვენ ამაოდ ესხმით თავს მწერალთა ძველ გვარდიას.

ნეტა რითი გამოიხატა ეს თავდასხმა?

თანაც ასე ერთობლივი?

წინასწარვე შეთანხმებულიყვნენ თუ?..

სავლე აბულაძისათვის თავი არ გამოედო გალაკტიონს, ანკი რატომ გამოიდებდა, მაგრამ, აი, თედოზე ნათქვამი სუსხიანი სიტყვები გულს დაუსერავდა და საჯაროდ რაიმეს თქმას თუ მოერიდებოდა, მერე მაინც უსაყვედურებდა სიმონ ჩიქოვანს.

თედო სახოკიას უფლება აქვსო...

ნეტა ისინი რის უფლებას ართმევდნენ 86 წლის თედო სახოკიას?

გალაკტიონს კიდევ უფრო ხნიერი ეგონა, ყველაზე მოხუციც კი მწერლებს შორის — 90 წელს გადაცილებული.

— მაინც რომ ყოჩაღად იჭერდა თავს.

უკვირდა მისი ეს სიყოჩაღე, წლების ასე ლაღად, უდრტვინველად ტარება.

მისი გარდაცვალებაც არანაკლებ გააკვირვებდა.

ორ სხვადასხვა ჩანაწერში დაუბრუნდებოდა გაზეთში გამოქვეყნებულ სამგლოვიარო ცნობას:

წინა დღით განშორებოდა წუთისოფელს.

და ორივე ჩანაწერში აღინიშნებოდა ის უკანასკნელი თვალის მოკვრა, ტრამვაიში მჯდარი გალაკტიონის მზერაში რომ გაიელვებდა რუსთაველის პროსპექტზე მიმავალი სილუეტი.

ერთი კვირის წინათ მოეკრა თვალი?

თუ ერთი თვის წინათ?

ერთგან ისე ჩაინიშნავდა და მეორეგან — ასე.

ცოცხლად რომ მიაბიჯებდა, ორივე ჩანაწერშია აღბეჭდილი, ოღონდ ერთგან იმ გარემოებასაც აღიდგენდა მეხსიერებაში, რომ თედოს სიცოცხლის ფერი აღარ ჰქონდა.

და უფრო დაბეჯითებითაც გაიმეორებდა:

— დიახ, მიდიოდა ძალიან ცოცხლად და მკვირცხლად, სიცოცხლისა კი არა ეტყობოდა რა.

და აჰა კიდეც...

ნეტა იმ წამსვე დარჩენოდა ეს შთაბეჭდილება, თუ თედოს გარდაცვალებას რომ შეიტყობდა, მერელა შეეცდებოდა იმ სურათის ამოტივტივებას გონების თვალწინ და მის ყოველმხრივ განსჯას?!.

მაინც უკვირს მისი აღსრულება. მერე რა, რომ 90 წელსაც კი (გალაკტიონის წარმოდგენაში) გადაშორებია. მერე რა, რომ სიცოცხლის ფერი აღარ ადევს. ხომ დააბიჯებს კვლავაც ცოცხლად და მკვირცხლად. გამყოლიც არა სჭირდება, არამცთუ ხელის შემშველებელი. და განა რა მოხდებოდა, რომ არამცთუ ერთ კვირასა თუ ერთ თვეს ევლო წუთისოფელში იმ დღის შემდეგ, წლებიც ჩვეული სილაღით გადაეკეცა?!.

მაშ ეს გაკვირვება რისა უნდა იყოს?

რაც გულისხმაში ჩავარდებოდა გალაკტიონი და მოინდომებდა სალიტერატურო ცხოვრებისათვის თვალისა და ყურის მიდევნებას, თუ ვინმეს სახელი ჩაებეჭდებოდა ცნობიერებაში, მათ შორის თედო სახოკიასიც, და ეს იმის მიუხედავად, ემიგრაციაში უწევდა ყოფნა თუ სულაც ციმბირის კატორღაში. ყველა

საქვეყნო და სამწერლო საქმეში გარეულიყო, ყველგან დაეჩნია თავისი კვალი და უიმისოდ უკვე ძნელი წარმოსადგენი გახლდათ რაიმე წამოწყება. სკანდალური ეპიზოდიც უკავშირდებოდა მის სახელს, მაგრამ ეს სკანდალი — აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძეც რომ აღმოჩნდებოდნენ იმ ამბის პერსონაჟები — კარგა ხნის მივიწყებული იქნებოდა, თედო სახოკიას მჩქეფარე, დაუოკებელი ბუნება რომ არა, და კიდევ ის უჩვეულო ცნობისწადილი, ყველგან და ყველაფერში თხემით ტერფამდე რომ უნდა გადაშვებულიყო ხოლმე და მისი პიროვნება ამიტომაც იწვევდა საყოველთაო ინტერესს.

პირადადაც გაიცნობდა გალაკტიონი.

და თუმც თედო ყველასთან სამეგობროდ განწყობილიყო, არამცთუ თანატოლებთან, ბევრად უფროსებთან და ბევრად უმცროსებთანაც არ უძნელდებოდა გულითადი ურთიერთობა, გალაკტიონის სულიერი ჩაკეტილობა თვითონ თედოსაც არ მიუშვებდა ახლოს.

ასეა თუ ისე, ძალიან კი შესჩვეოდა გალაკტიონი ამ სახელს, უიმისოდ ვეღარც წარმოედგინა ცხოვრების მდინარება და ეგონა, რომ სულ ასეთნაირად გაგრძელდებოდა — თედო სახოკია იქნებოდა და იქნებოდა... ბიბლიური წლებით გაბრწყინებული? ვითომ რატომაც არა. გერონტი ქიქოძეს თუ ნიკო ნიკოლაძე ეჩვენებოდა მათუსალად, გალაკტიონ ტაბიძეს — თედო სახოკია.

და გაიოცებდა, მის სახეზე სიკვდილის აჩრდილს რომ შენიშნავდა.

და კიდევ უფრო გაიოცებდა, როდესაც ამ აჩრდილის გამოცხადება რეალობად იქცეოდა.

სიცოცხლის ჟინითა და მჩქეფარებით ვერ დაეთრგუნა სიკვდილი და ვერ გაეძევებინა თავისი არსებიდან, თუმც იმდენს მაინც შეძლებდა, რომ ადვილადაც არ დამორჩილებოდა და ძველებური სიმკვირცხლით ჩაევლო რუსთაველის პროსპექტზე.

— ცუდ დროს გარდაიცვალა.

ნეტა კარგი დრო რაღაა სიკვდილის კლანჭებში მოხვედრილი ადამიანისათვის?

მაგრამ გალაკტიონს თავისი პასუხი მოეძევებოდა:

— ზამთარია, პარტყრილობებია.

აჰა... აი, თურმე რა.

ჯერ ზამთარი, ისედაც გრძნობა-ემოციათა შემბოჭველი, და ეს პარტყრილობაც რომ დამთხვევია?!. ოოო, ეს კი ნიშნავს, რომ თედოსათვის შესაფერისად ველარ მოიცლიან და მისი გარდაცვალება ისე ჩაიკარგება, თითქოს გამორჩეული პიროვნება კი არა, რიგითი მოქალაქე გამოსთხოვებოდეს საწუთროს.

გალაკტიონიც იქნებოდა, ეს გარემოება აინუნშიც არ ჩაეგდო.

როგორ — აღესრულო და... ბედმა ისე გიმუხთლოს, შენი დაკრძალვა გამორჩეულად არ აღიბეჭდოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში?!. რაღაც გრანდიოზული თუ არ იქნება სამგლოვიარო პროცესია, მთლად ნაცრისფერ დღეთა ჯარსაც ხომ არ უნდა შეემატოს!.. და დაენანებოდა თედო სახოკია, ნუთუ ამდენხანს იმიტომ იცოცხლა, რომ მაინცდამაინც პარტყრილობის დროს დასდგომოდა თავს მიქელ-გაბრიელიო?!.

„ნეტა მე ასეთ დროს არა!.."

წამოეშლებოდა მოგონებანიც.

და ფურცელსაც ძალდაუტანებლად წაეტანებოდა ხელი, რათა ეს შემოჯარული ფიქრები უკვალოდ არ გამქრალიყო და საუბისწიგნაკო მონახაზად ჩანიშნულიყო, რათა ადრე თუ გვიან ლიტერატურულ პორტრეტად გამოკვეთილიყო, ანდა სულაც ბიოგრაფიულ ქრონიკად, თუნდ ისეთად, ზაქარია ჭიჭინაძისათვის რომ მიეძღვნა და უმცროს თანამოკალმეებს ისეთი შთაბეჭდილებაც დარჩებოდათ, ცოტა გაშლაღა აკლია დაწურულ თხრობას, თორემ გული რომ დაუდოს, მზამზარეული სადისერტაციო ნაშრომიაო.

ვითომ თედო სახოკიას კი არ დაშვენდებოდა სადისერტაციო ნაშრომის დაწურული ვერსია?

მითუმეტეს, პიროვნული თვისებებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ზაქარია ჭიჭინაძე და თედო სახოკია — ისიც თავშეწირული გახლდათ ყოველგვარ ქართულზეც და ადამიანებზეც და ესეც, არავისთვის არაფერი რომ არ ეშურებოდათ და, სიკეთედ დაღვრილნი, უამრავ ადგილას აღბეჭდავდნენ საკუთარ

კვალს ისე, რომ აღარც ახსოვდათ და არც არაფრად აგდებდნენ: აბა, სხვაგვარად როგორო?!. თითქოს ეს მათი პიროვნული თავისებურება და ხიბლი კი არა, საერთოადამიანური ხასიათი და სტილი ყოფილიყოს.

საუბისწიგნაკო მონახაზიო...

ამ მონახაზში უპირველესად ეს ფრაზა მოგჭრით თვალს:

— ის და აკაკი წერეთელი მტრები იყვნენ.

როგორ თუ... მტრები?

რაღაც გაუგებრობაა ან რაღაცას აჭარბებს გალაკტიონი თუ?..

— როდესაც თედომ გამოსცა აკაკი წერეთლის ნაკვესები, აკაკიმ იოხუნჯა: თურმე მოლა მასრადინა ენამჭევრი კაცი იყოო, მაგრამ სიკვდილის მერე ყველაფერს მას აწერენო... რაც მოლას სიკვდილის მერე დაემართა, მეც სიცოცხლეშივე იგი მემართებაო. აგერ „ვინღაც" სახოკიაო... და სხვ. ეს იყო 1895 წ. აკაკი გარდაიცვალა 1915 წ. თედომ მას მერე კიდევ იცოცხლა 40 წელიწადი... ხუმრობაა?

ესეც ის სკანდალური ამბავი, უნებლიეთ რომ გაეხვეოდა თედო, მონდომებით ანთებულს, ჩემთვის სათაყვანო პიროვნებას სიამოვნება მივანიჭოო, ასე უცნაურად რომ შემოუტრიალდებოდა ჩანაფიქრი და საქმე სულაც სასამართლო დავამდე მივიდოდა, დავამდე — „ივერიის" რედაქციასთან, თორემ აკაკი წერეთლის ენამწარობის შუაგულში რომ მოჰყვებოდა, ამას კიდევ რა უშავდა.

არა, მთლად მტრობაც არ ჩამოვარდნილა მათ შორის, ანკი ეს როგორ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ იმჟამინდელი საზოგადოებრივი განწყობილება სწორედ ასე აღიქვამდა ამ უნებლიე შეხლას, გაბუქავდა და ასე გაზვიადებულს გადმოსცემდა შთამომავლობას, ასე რომ, გალაკტიონს თავის მხრივ არაფრის მიმატება არა სჭირდებოდა.

რიცხვებით თამაში რას ნიშნავს ამ ჩანაწერში, ბოლომდე გასაგები არ არის, და უსათუოდ გაიშლებოდა ფსიქოლოგიურ პორტრეტსა თუ ბიოგრაფიულ ნარკვევში, ისევე როგორც ის ფრაზები, მნიშვნელოვნად რომ მოსჩვენებოდა გალაკტიონს, რაკიღა უპირველესად სწორედ ისინი ჩაენიშნა.

ერთხელ, 1924 თუ 25 წელს, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში გალაკტიონი გახუმრებოდა რაღაცას და იმას სულმუდამ ახსოვდა.

ნეტა რა ხუმრობა იყო ამისთანა?

ან რითი გამოიხატებოდა, რომ თედოს არაფრისდიდებით არ ავიწყდებოდა ის მეგობრული შელაღობება?

ეგებ იმას კიდეც მალევე დავიწყნოდა, მაგრამ გალაკტიონს ეჩვენებოდა, გულში ჩაიდოო?

რა აძლევდა ამ ეჭვის საფუძველს?

აგერ მომდევნო სტრიქონშივე აღნიშნულია, რომ ერთ სალიტერატურო საღამოზე, გალაკტიონის საღამოზე, თედო სახოკია პრეზიდიუმში იჯდა, მაგრამ სიტყვა კი არ უთქვამს.

კი მაგრამ, რა მოხდა მერე — განა აუცილებლად ნაწყენი უნდა იყო პიროვნებაზე, მისადმი მიძღვნილ სალიტერატურო თავყრილობაზე სიტყვით რომ არ გამოხვიდე?

სახელგამის წინ რომ შემოხვდებოდა, ეტყოდა: გალაკტიონმა ითმინა, ითმინა და ბოლოსო!..

ამ ფრაზის გაცნობა ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებს, რომ თედო გალაკტიონის მხარესაა, ამხნევებს, აგულიანებს. მაგრამ გალაკტიონი რაკიღა დაეჭვებულა, არა და არ მაპატია ის შეხუმრებაო, თედოს ღიმილი „რაღაც სხვაგვარი“ ეჩვენება და ცოტა არ იყოს ნაწყენი დასძენს:

— შეხუმრებოდა, რაღა.

ისე ამის ხუმრობა ხუმრობაა და იმისი — არა?

მოიცა, ეს რაღა წერია?

ფოტო მინდოდა გადაგველოო, — გაიხსენებს გალაკტიონი. და მერე?

— გაიქცა ვერის ბაღში.

ნეტა რატომ უნდა გაქცეოდა თედო ერთობლივ ფოტოსურათს? და თანაც ვისთან ერთად — ადვილად რომ ვერ ჰგუობდა ვერავის თავის გვერდით. მართალია ფოტოს გადაღებაზე სული უკაწკაწებდა გალაკტიონს და ცალკე იქნებოდა თუ ჯგუფური გადაღებისას, შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა, მაგრამ, აი, ვინმესთან ერთად კი დიდად არ ეჭაშნიკებოდა და

მხოლოდ ყველაზე ახლობელ ანდა დიდად პატივსაცემი კაცის გვერდით დადგომას თუ დათანხმდებოდა. ამჯერად — სულაც თვითონ მოუნდომებია, მაგრამ თედოს რა დაემართა, რომ არ იყაბულა ეს შემოთავაზება, ის კი არა, სირბილითაც გაეცალა? ნეტა მანამდე გალაკტიონმა ხომ არ გააღიზიანა თავისი ხუმრობით, „მნათობის" იმ ეპიზოდისა არ იყოს? ან ეგებ აკაკი წერეთლის ის სიტყვები გაახსენა: მოლა ნასრედინად მაქციაო, — თანაც ტუჩის კუთხეში ჩაკეცილი ღიმილით?

რამდენიც გინდა იფიქრე და იმარჩიელე, ფოტო კი გადაუღებელი დარჩა და...

ისე რარიგ გწყდება გული, ეს ფოტოსურათი რომ არ არსებობს: თედო სახოკია და გალაკტიონ ტაბიძე გვერდიგვერდ.

მეორე მსოფლიო ომის (გალაკტიონის ჩანაწერში „დიდ სამამულოდ" მოხსენიებულის) დროს თბილისში ზემოდან ჰაეროთი გადმოაგდებდნენ ყუმბარას და თედო აღელვებული რომ გამოეჩქარებოდა რუსთაველის პროსპექტზე და გალაკტიონს გადაეყრებოდა, უჩვენებდა რაღაც ნატეხს:

— აი, მე თვითონ ვნახე.

ყუმბარის ნატეხი აღმოჩნდებოდა, ყველას რომ უჩვენებდა გზაში.

უკანასკნელად მეცნიერებათა აკადემიაში დაინახავდა, კორნელი კეკელიძეს რომ მივარდებოდა და გადაეხვეოდა. ერთმანეთს რამდენჯერმეც გადაჰკოცნიდნენ. გალაკტიონი ახლოს იდგებოდა, მაგრამ თედო ვერ შეამჩნევდა. რა მოხდა, არა? ადვილი შესაძლებელია, მართლაც ვერ შეგნიშნონ, მაინცდამაინც განზრახ თვალის არიდება სულაც არ არის აუცილებელი... მაგრამ რაკიღა კარგად მოგვეხსენება გალაკტიონის ეჭვიანი ბუნება, სულ უბრალო შემთხვევისათვისაც რომ შეიძლება რაღაც კუდი გამოება, აღარ გიკვირს მისი ის აფორიაქება, მალე რომ არც გადაუვლიდა და შინ დაბრუნებული კვლავაც ეჭვებით იქნებოდა შეპყრობილი:

— შეიძლება, არც უნდოდა ჩემთან შეხვედრა. რატომ? რისთვის? რა დავუშავე? აჰ, ალბად, მის იუბილეებში რომ არ ვიღებდი მონაწილეობას, ის ახსოვს-მეთქი.

მერეა, ტრამვაიდან რომ მოჰკრავდა თვალს, ცოცხლად და მკვირცხლად მომავალს, ოღონდ სიცოცხლისა რომ არა ეტყობოდა რა.

მერეა, სამგლოვიარო განცხადება რომ შემოეფეთებოდა და გაიოცებდა.

„როგორ, ესეც?!."

მერეა, დასაკარგავად რომ დაენანებოდა მისი პიროვნება და ღვაწლი.

„ისევ მე თუ!.."

მაგრამ ორიოდ გაფანტულ შენიშვნას არ გასცდებოდა გალაკტიონის ჩანაფიქრი, ზოგიერთსაც — მხოლოდ მისთვის გასაგებს.

მაგრამ ისეთ სურათს გვიტოვებდა, ისეთი გაელვება გადმოჰქონდა ყოფითობიდან ფურცელზე, გაშლაღა რომ აკლდა, თვალსაჩინო მასალით შევსება და... ბიოგრაფიული რომანის ძარღვიც სხვა კი არაფერი ყოფილა, ძარღვი, ძალდაუტანებლად რომ ამოიხვევდა ეპიზოდებსაც და პორტრეტ-სილუეტთა წყებასაც, რომლის შუაგულშიც ამჯერად ის კაცი უნდა მოქცეულიყო, სიკვდილამდე ცოტათი (ერთი კვირით? ერთი თვით?) ადრე ცოცხლად და მკვირცხლად რომ მიაბიჯებდა დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, თუმც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

და გაოგნებულიყო გალაკტიონი — ჯერ ამ ხილვით და მერე ამ ხილვის ახდენით, თითქოს აჩრდილი ხელშესახებად დაენახოს, წუთისოფელში წამიერი მობრუნების შემდეგ კვლავ თავის სამუდამო სამყოფელში რომ უნდა ჩაძირულიყო.

ეს უჩვეულო წამია, ფსიქოლოგიური პორტრეტისა თუ ბიოგრაფიული ქრონიკის შესაქმნელად რომ უბიძგებდა, მაგრამ... მაგრამ...

თუმც მთავარი ძარღვის უშურველად გადმოცემა რა — ცოტაა?!.

თითქოს ანდერძად გვიტოვებდეს მასზე ნაგებობის დაშენებას.

გაშლა და თვალსაჩინო მასალით შევსებაო...

ამ მხრივ თვითონ თედო სახოკიაც საკმაოდ იზრუნებდა, და ეს მიუხედავად იმისა, რომ — თუნდ გალაკტიონ ტაბიძისაგან

განსხვავებით — საკუთარი თავის შუქზე სულაც არ შეჰყურებდა ყველასა და ყველაფერს. ის ყველა და ყველაფერი უფრო აინტერესებდა, იმ ყოფითი რეალობის ნიუანსობრივ აღდგენა-შემონახვას ესწრაფოდა, მხატვრულ წარმოსახვებზე არანაკლებად რომ მიაჩნდა, იმ პიროვნებათა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტთა მიუკერძოებელ შესრულებას ლამობდა, მის საუკუნეს რომელნიც ქმნიდნენ და არა მხოლოდ დიდებულ სახელთა, იმათიც, სადღაც-სადღაც რომ მიკარგულიყვნენ თუ მიყუჩებულიყვნენ, მაგრამ თავ-თავიანთი ხიბლი და პენი დასდევდათ, თავისებური კოლორიტით აღბეჭდილიყო მათ მიერ გამოვლილი ბილიკები და უიმათოდ ბევრი რამ მოაკლდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სამწერლო-კულტურულ პროცესებს. და ამ მოკლებას თუ ვინმე ვერ შეეგუებოდა, მათ შორის ერთი უპირველესთაგანი სწორედ თედო სახოკია, უნებურად თავის ბიოგრაფიულ ქრონიკას რომ ქმნიდა, მიმოფანტულს ეთნოგრაფიულ-მემუარისტულ, კატორღულ-სათავგადასავლო თუ ესეისტურ თხზულებებში... ამას კი ძალდაუტანებლად ემატებოდა სხვათა მოგონებანი თუ ეპისტოლეები, ხან სად რომ უნდა გამოჩენილიყო თედო სახოკიას ფიგურა და ხანაც — სად.

ყველგან ის იყო, ყველა მოვლენის შუაგულში მოქცეული, საზოგადოებრივ-პოლიტიკურის თუ კულტურულის, და ანკი როგორ ასცდებოდი?!.

მასალა მასალად და... რაღაცას ხომ უნდა შეეკრა ეს დაფანტული ფურცლები და სტრიქონები?

აბა, გალაკტიონი რას ინიშნავდა უბის წიგნაკში?

* * *

ლეგენდებში გადასულიყვნენ ილია ჭავჭავაძეც, აკაკი წერეთელიც, იაკობ გოგებაშვილიც, ალექსანდრე ყაზბეგიც, ვაჟა-ფშაველაც, ივანე მაჩაბელიც... კიდეც იყვნენ ლეგენდათა ბინადარნი და მათი ამბავი ნაწერებსღა უნდა მოეტანა — მემუარებს, დღიურებს, ეპისტოლეებს, მარგინალურად შერაცხილ ჟანრებს, XX საუკუნის მკითხველის თვალწინ რომ უნდა მოეპოვებინათ მოქალაქეობა, მაგრამ თუნდ კვლავინდებურად

ლიტერატურის გერებად დარჩენილიყვნენ, ისევ მათ თუ მოეჭიდებოდი ამ პიროვნებათა სულიერი პორტრეტების რაც შეიძლება მეტი სისავსითა და ცხოველმყოფელობით აღდგენისას.

კიდეც ძალიან წაგადგებოდნენ.

მეგზურობას გიწევდნენ.

გარდასულ სურათთა გამთლიანებაში გეხმარებოდნენ.

მაგრამ ეს მაინც არა კმაროდა, კიდევ რაღაც იყო აუცილებელი XIX საუკუნის სულის შესაგრძნობად, მის ცოცხლად განსაცდელად, მისი მაჯისცემის მოსასმენად, მისი სუნთქვის მისაყურადებლად, მის განუმეორებელ ფერთა ბოლომდე გასათვალსაჩინოებლად.

საამისოდ კი ის ადამიანები თუ შეგეწეოდნენ, რომელთაც აწ უკვე ლეგენდებში დაბინადრებულ პიროვნებებთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ, ესაუბრათ მათთან, კიდეც ეკამათათ, მაგრამ მათ სიდიადეს რომ ცნობდნენ, მათი ადამიანური თვისებანიც არანაკლები სიზუსტით სცოდნოდათ.

ცოტა არ ყოფილა ასეთი ადამიანი, არაერთ საგულისხმო რეალიას რომ გამცნობდა და გარდასულ საუკუნესთან მიგაახლოებდა, მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩეოდა ორი პიროვნება, როგორც ყველაზე კოლორიტულნი და ყველაზე მეცხრამეტე-საუკუნისდროინდელნი: თედო სახოკია და შალვა დადიანი.

ასე დარჩებოდნენ ვახტანგ ჭელიძის ხსოვნაში და ასეც დაწყვილდებოდნენ ესეიში „მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები“, ხასიათებით ასერიგად განსხვავებულნი, მაგრამ სულიერად კი გადაჯაჭვულნი, ეს გზამკვლევი ესეი სამუდამოდ რომ შეადუღაბებდათ: ერთს — ახოვანს, მხრებში გაშლილს, ლაღს, აუჩქარებელს, მუდამ მომღიმარს, ბედნიერს, ადამიანებთან ურთიერთობაში რბილს, დამთმობს, ხათრიანს... და მეორეს — ტანმორჩილს, მუდამ საქმიანსა და მოფუსფუსეს, მტკიცესა და დაუთმობელს, შეუპოვარს, გულჩათხრობილსა და შეჭირვებულს, ერთი შეხედვით ასეთი რომ მოგეჩვენებოდა, მაგრამ როგორ ერთბაშად უნდა შეცვლილიყო, როცა დაგინახავდა და გაგიღიმებდა, და კიდეც გაგინათებდა გულს თბილი სხივი რაღაც შორეული და გაუცნობიერებელი იმედისა... და წამსვე გა-

გიქრობდა იმ ცრუშთაბეჭდილებას, თითქოს ეს კაცი გულჩათხრობილი და შეჭირვებული ყოფილიყოს.

შალვა დადიანის დაუმთავრებელ მემუარებში „რაც გამახსენდა“ ჯერ არსად გამოჩნდებოდა თედო სახოკია, არ ჩაიხატებოდა მისი პორტრეტი შალვასებური რელიეფურობითა და კანთიელობით.

სამაგიეროდ, შალვა დადიანის პორტრეტი ჩაიხატებოდა თედოსებური რელიეფურობითა და კანთიელობით ვრცელ გალერეად ნაგულისხმევ ესეების ციკლში „ჩემი საუკუნის ადამიანები“.

დადიანების ოჯახი თედოს 1892 წელს გაეცნო — ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიის ბინაში იდგნენ და აქ იყრიდნენ თავს ქართველი საზოგადო მოღვაწენი თუ ჩვენი ლიტერატურის მსახურნი. სალაპარაკო თემა სხვა რა იქნებოდა, თუ არა: ჩვენი თეატრი, მწერლობა, ხელოვნება; ქართველი ერი და მთლად საქართველო.

— განუწყვეტელი ძიება იყო იმისი, თუ ვის რაგვარი მალამო უნდა დაედო ჩვენი ხალხის ეკონომიკურისა და ეროვნული იარებისათვის; აღუნიშვნელი არა რჩებოდათ ჩვენი სამშობლო თეატრის სცენაზე დადგმული ესა თუ ის პიესა, მსახიობთა თამაში, სამწერლო ასპარეზზე გამოსულ მოასპარეზეთა მიერ კალმის ხმარება და სიკისკასე.

შეგეხარბება, ისეთი ცხოველმყოფელი გარემო წარმოისახება, ნამდვილი დუღილი აზრისა და სწრაფვის, ურთიერთშთაგონება და ურთიერთშეგულიანება თავდადებული გარჯისათვის.

სწორედ იმხანად ამ ოჯახის უფროსის — ნიკო დადიანის — მეთაურობით უნდა დაარსებულიყო ქართული მუსიკის, როგორც ჩვენი კულტურის ერთი თვალსაჩინო დარგის, შესწავლისა და გავრცელების საზოგადოება.

ვის მიიწვევდა საზოგადოების დამაარსებელი მდივნად?

თედო სახოკიას, ვისაც მთელი სიცოცხლე გაჰყვებოდა საამაყოდ, ამ ჯგუფის იდეათა გავრცელებისათვის ზრუნვაც რომ მიენდო.

თანაშემწედ ვის შეურჩევდნენ?

შალვა დადიანს, ვისაც თედო „პატარად“ მოიხსენიებს, თითქოს თვითონ იმჟამად უკვე ასაკოვანი გახლდათ — სულ ექვსი წლით იყო შალვაზე უფროსი, ესაა და ეს.

თუმც თანაშემწის ასაკის ხაზგასმა იმისათვის დაუსაჭიროებია, ეს რომ აღნიშნოს:

— 18 წლის ჭაბუკის სერიოზულობას რომ უყურებდით, იტყოდით, უკვე დაასაკებული, მომწიფებული ადამიანიაო.

ეს ოჯახი უპირველესად რითი მოხიბლავდა თედოს, სულ აქეთ რომ მოუწევდა გული?

წმინდა, დაყურსული ქართულით.

ნიკო დადიანის ოჯახში ანკი სხვაგვარად როგორ იქნებოდა, და თედო აღტაცებასა და ეპითეტებს არ იშურებს ამ პიროვნებისადმი, და ფენომენალურ მცოდნედ და ქართული მეტყველების მაესტროდ რომ მოიხსენიებს, ასეთ მარჯვე ლიტერატურულ ფორმულასაც მიუსადაგებს:

— თვითმპყრობელი ამ მეტყველების საიდუმლო გასაღებისა.

ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანს ქართული სიტყვის თვითმპყრობელად რომ მოიხსენიებდა, თედო დაესესხებოდა ამ შეფასებას, ოღონდ „სიტყვას“ მისი მეტაფორული შესატყვისით ჩაანაცვლებდა, იდუმალებაზე რომ გადაიტანდა აქცენტს, რაღაც ისეთის განცდა-შეგრძნებაზე, რაც თითო-ოროლა ადამიანის გარდა ხელმიუწვდომელი რჩებოდა, რადგანაც მარტოდენ შესწავლა არა კმაროდა, თვით ფენომენალური ცოდნაც ვერ გიშველიდა, ის იდუმალი მადლი თუ არ გებოძებოდა უფლისაგან, თუნდ გასაღებადაც სახელდებული.

ძველი ამბები ხშირად გაისმოდა ამ ოჯახში, ზოგი უშუალოდ ნანახი თავკაცის მიერ, ზოგიც გაგონილი, ახლა ცოცხალი, მდიდარი ფერადებით მოქარგული ენით, ოსტატურად გადმოცემული ყურს რომ უტკბობდა ნორჩ მსმენელთ — შალვასა და მის დას, ხარბად რომ დასწაფებოდნენ მამის მონაყოლს და აღარც ამოეშლებოდათ მეხსიერებიდან.

მამას ჩონგურიც აუცილებლად უნდა გადმოეღო ხოლმე და მის ასულს კი ზედ დაემღერებინა ხალხური თუ პატრიოტული ლექსები.

ამ ოჯახის ერთ თავისებურებასა და არაჩვეულებრიობას არც თედო გამოტოვებდა, შვილებს ნიკო დადიანი სასწავლებელში რომ არ მიაბარებდა. ამის თაობაზე კი თედოსაც არაერთხელ სმენია ნაცნობთაგან დაუფარავი საყვედურის კილოთი ნათქვამი ნიკოზე: თვით ბრძენი და ნასწავლი შვილებს უსწავლელად ტოვებსო. ვის გაუგონიაო! კაცმა შვილებს გიმნაზიაში არ ასწავლოსო!..

თედო მაინცდამაინც არ ამტყუნებდა ამ ადამიანებს, რადგანაც იმჟამად სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ რუსული გიმნაზიების გარეშე სწავლის შეძენა. მოგვიანებით კი შალვას ნაცნობთაგან ბევრს ალბათ მართლაც არ ეცოდინებოდა — და ვერც დაიჯერებდა — რომ „გუშინდელნის“ შემოქმედს რუსული გიმნაზიის კარიც კი არ ენახა. და თუ ვინმემ, თედომაც ჩინებულად იცოდა, რომ ნიკო დადიანს საკუთარი სკოლა ჰქონდა, არსებითად განსხვავებული იმ დროის ოფიციალური სკოლისაგან.

— სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ეს სკოლა ორი რჩეულისთვისღა არსებობდა...

ამ ორ რჩეულთაგან ქალი, სოხუმში გათხოვილი, მფარველ ანგელოზად მოევლინებოდა საქართველოს ამ განაპირა მხარის ყოველგვარ ქართულ საზოგადო საქმეს, და არამცთუ რუსთხელმწიფის დროს, არამედ ახალმოწესეთა რეჟიმის პირობებშიც.

ხოლო ვაჟი...

— შალვა დადიანის... სახელი მანამდე მოიხსენიება, სანამ იქნება სახელი ჩვენი თეატრისა.

ნიკო დადიანის ის უცნაური ბედი რაღა იყო, ბევრის თქმის შემძლემ, ბევრის დატოვებისთვის თითქოსდა ყოველმხრივ მომზადებულმა... კნინიღა რომ მოგვცა?

რატომ ხდება წუთისოფელში ასეთი აუხსნელი მოვლენებიც, დიდ საქმეთათვის შობილი ადამიანები, რომელთაც ბუნებრივად მიუდით ცხოვრება და ხელს არაფერი უშლით, არსებითად უნაყოფოდ გადაეგებიან და ახალ თაობას თავიანთი სიბრძნის პაწაწინა ნაწილსღა აკმარებენ?

რაღაც არ ჰყოფნით, რაღაც მუხტი აკლდებათ, რათა თავიანთი გონებრივი სრულყოფილება შესაფერისადაც გაამჟღავნონ და შთამომავალთა თვალშიც ისევე გამოიყურებოდნენ, როგორც თანამედროვეთა აღქმაში, აღტაცებულნი რომ მისჩერებოდნენ და ყოველდღე მოელოდნენ მათგან რაღაც განსაკუთრებულს, ერთბაშად რომ დაიქუხებდა და გაამართლებდა დიდი ხნის მოლოდინს...

მაგრამ მოლოდინი მოლოდინად რჩება.

და ნიკო დადიანის ბედის უცნაურობას რომ უკვირდებოდა თედო, ასე ახსნიდა:

— ალბათ შვილს უანდერძა თავისი სათქმელი, გარნა უთქმელად საფლავში ჩატანილის თქმა.

ასე მოუძებნიდა გამართლებას მისთვის ძვირფასი პიროვნების ბედისწერაში შეჭრილ ტრაგიზმს, გულში მდუღარე განცდების ამოფრქვევას რომ არ განებებს და გტოვებს ყელზე საბელმოჭერილს.

მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ მამის ანდერძნამაგი შვილს გულდასმით წაეკითხა და პირნათლადაც შეესრულებინა.

და თედო მოწმედ მოიხმობდა შალვა დადიანის პიესებსა და მოთხრობებს, დახვეწილი ქართულით დაწერილს, სხარტად, როგორც საერთოდაც ეხერხებოდა წერა და გამოკვართვა ნააზრ-ნაფიქრისა.

ნიკო დადიანის უცნაური ბედიო...

კულტურის უწყვეტობის შემანარჩუნებლად ხომ მაინც წარმოდგება მისი პიროვნება.

ქართული ენის მომხიბვლელობისა და იდუმალების უწყვეტობის შემანარჩუნებლადაც.

და თუ შთამომავლობისათვის ველარ დაეტოვებინა, გარშემო ხომ აფრქვევდა უხვად და ეს მადლი აგერ თედო სახოკიასაც განეცადა, ენასაც რომ დახვეწდა ნიკო დადიანის გარემოში მყოფი და ქვეყნისათვის თავგანწირვის უნარსაც გაიფხავებდა — საამისოდ ცოტა ხანსაც იკმარებდა, რადგან ისედაც უხვად მომადლებოდა ეს თვისებანი.

ასე დარჩებოდნენ ვახტანგ ჭელიძის ხსოვნაშიო...

ყველაზე მეცხრამეტესაუკუნისდროინდელებად.

და კიდევ:

წმინდა მოციქულებად, უხვად რომ უნაწილებდნენ ახალ თაობელთ მადლს იმ გარდასული საუკუნისა, საიდანაც მოემგზავრებოდნენ. და მართლაც რაოდენ ღარიბი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ!..

ამ ესეიში ვახტანგ ჭელიძე ორჯერ უბრუნდებოდა თედო სახოკიას გარეგნობის აღწერას, მის ასკეტურ შესახედაობას, სიმკაცრეს უფრო, ვიდრე სილაღეს, მის გაუცინრობას, მაგრამ როდესაც გაიცინებდა?!.

— ძალიან უხდებოდა; განუსაზღვრელ სიკეთეს აფრქვევდა მისი თვალები მაშინ: თითქოს გეფერებოდა, გამხნევებდა, გულს იმედითა და სიხარულით გივსებდა...

რამდენჯერ სტუმრებოდა შინ, სადაც თედო განსაკუთრებულ ალერსიანობას იჩენდა ხოლმე. ერთხელ საგანგებოდაც დაიბარებდა და უამბობდა ერთ ისტორიულ ამბავს, რომელიც ვახტანგს აინტერესებდა.

ნეტა რა ამბავი იგულისხმება?

მოგონების ავტორი მინიშნებით, ქვეტექსტითაც არაფერს გაგვიმხელდა, მაშინ როდესაც თითქოს არაფერი ედგა წინ მის გამჟღავნებას თუნდ ერთი ფრაზით... ბოლოსდაბოლოს ვის ან რას შეეხება ის ეპიზოდი. და მიჩნდება ეჭვი, რომ ივანე მაჩაბლის საიდუმლოებით მოცული გაუჩინარების ნამდვილი ვერსია უნდა ეცნობებინა მისთვის, მარტოდენ რამდენიმე კაცის ხსოვნა რომ ინახავდა.

ვახტანგ ჭელიძეს ამ ვერსიის გამოქვეყნება რომ სდომებოდა, კიდეც დაურთავდა „ივანე მაჩაბლის ცხოვრებას“ ბოლო თავად, ზედ მის ზღვარზე კი არ შეწყვეტდა თხრობას და ღია ფინალს კი არ ამჯობინებდა.

და რაკილა იქ თავს შეიკავებდა, მის მინიშნებასაც აერიდებოდა XIX საუკუნის მოციქულებისადმი მიძღვნილ ესეიში.

თუმც თედო სახოკიას მოყოლის სტილს კი საგანგებოდ წარმოსახავდა — იმ დღის შთაბეჭდილებითაც და არაერთი შეხვედრის წყალობითაც.

მოყოლის სტილს — თავისებურსა და უჩვეულოს, სახიერსა და ექსპრესიულს.

სხაპასხუპით ლაპარაკი არა სჩვეოდა, თუმც — ამბის დამუხტულობის კვალობაზე — შიგადაშიგ აჩქარდებოდა ხოლმე, და მსმენელს რომ შეჰყურებდა, იგი გრძნობდა, სულ სხვა რამეს ხედავს — ის სურათები უცოცხლდება თვალწინ, რასაც ახლა ჰყვებაო; და სურათების მონაცვლეობის მიხედვით სახეც ისე ეცვლებოდა, თითქოს პირველად შეჰყურებდა ამ სურათს, და ზოგჯერ ხელითაც მიგითითებდა უნებურად; აბა შენც შეხედეო...

ერთხელ სამნი ეწვეოდნენ შინ — ვახტანგთან ერთად გიორგი შატბერაშვილი და ოთარ ჩხეიძე.

საღამო ხანია, ცივა.

გაიხარებდა მასპინძელი მათი დანახვისას, დაფაცურდებოდა, ღუმელს გააჩაღებდა, მალ-მალე მივიდოდა კუთხეში, სადაც მოკლედ დაჭრილი შეშის ნაპობები ელაგა. აიღებდა ნაპობს და ცეცხლს შეუკეთებდა.

ნაბიჯები დამოკლებიაო, — ესენი ერთმანეთს გადახედავდნენ, თუმც სწრაფად კი დადიოდა და... შთაბეჭდილება გრჩებოდა, ხაზგასმულია ეს სისწრაფეო. შენს მოსაჩვენებლად? ცხადია, არა. თედო და... რაიმეს მოჩვენებითობა?!. და სამივე უტყუარი ფსიქოლოგიურ ალღოთი ამოიცნობდა მიზეზს: საკუთარ თავს არ უტყდება, ძნელია სიბერესთან შეგუებაო.

გადმოულაგებდათ მასალებს თავისი ლექსიკონისათვის, რომელიც გამოუცემელი დარჩებოდა და თავისთვის კი ქართულ-ქართულ სიტყვარად იხსენიებდა. მაშინ უკვე რომ გამოსულიყო „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ სამი ტომი, იმას ადარებდა და სიამაყეს ვერა ფარავდა, როდესაც რომელიმე სიტყვა „განმარტებითში“ არ აღმოჩნდებოდა და მას კი შეეტანა თავის ლექსიკონში.

ეს სიამაყე და სიხარული გივი ხვედელიძის, ექიმისა და მრავალმხრივ განათლებული კაცის, მოგონებიდანაც შემოგვანათებს, საშვილიშვილოდ გადადგმულ პირველ დიდ ნაბიჯად მონათლული გამოცემისა და თავისი ქართულ-ქართული სიტყვარის შედარება თვალნათლივს რომ გახდიდა მისთვის, გან-

მარტებითი ლექსიკონის ჯერჯერობით გამოცემულ სამ ტომს... სამიათასამდე სიტყვა რომ აკლდა.

შემდეგ რამდენიმე სიტყვასაც მოიხმობდა, ქართულ განმარტებით ლექსიკონში რომ არ შეიძლებოდა მათი შეტანა.

მემუარისტს მათგან მხოლოდ ერთი დაამახსოვრდებოდა: დუხტი.

— ქიზიყსა და შიგნით კახეთში შამილთან ომის ხანაში ბევრი რუსის პოლკი იდგა, — აუხსნიდათ თედო, — ამის გამო კი მოსახლეობაში დარჩა ბევრი რუსული სიტყვა დამახინჯებული სახით. ასეთია ეს „დუხტიც“, რომელიც ქიზიყში გამოიყენება და არის იგივე რუსული „ლეგრიტ“.

თუმც მოვალედ მიიჩნევდა თავს იქვე დაერთო: მიუხედავად ასეთი წვრილმანი თუ მსხვილმანი ნაკლისა, „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“ უდავოდ დიდი კულტურული მოვლენაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე გამოცემა უკვე ნამდვილად უნაკლო იქნებაო.

რარიგ ეშურებოდა თავისი ლექსიკონის დამთავრებას.

იმ დღეს კი, მის კაბინეტში:

სტუმრები დიდხანს შერჩებოდნენ, არაფრისდიდებით არ უშვებდა ამ სამ მეგობარს, რუსთველური და ყაზბეგური ძმობა-ურთიერთობა რომ აგონდებოდა მათთან შეხვედრისას, და ისე მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა, ესენი რას წარმოიდგენდნენ, უკანასკნელი შეხვედრა თუ უნდა ყოფილიყო მასთან!

* * *

— შევუდგეთ ქრისტეს!

უკვე გამქრალიყო ეს გამოთქმა საერო მეტყველებიდან, უფროსთაობელთაგან ეგებ კიდეც ახსოვდა ვინმეს, მაგრამ ხსენებას ყველა გაურბოდა ათეიზმის მძვინვარების ხანაში და ეს ხატოვანი გამოთქმაც სადღაც მიყრუვდებოდა თუ მიბინარდებოდა, უკვე დასაკარგავადაც გამზადებული.

თედო სახოკიაღა უნარჩუნებდა სიცოცხლეს.

ისღა ინახავდა.

მის ბაგეებს თუღა მოსწყდებოდა.

შევუდგეთ ქრისტესო...

ოდესღაც კი გაისმოდა ხშირად ეს შესიტყვება, რაიმე ქველ, სასიკეთო საქმეს წამოიწყებდა თუ არა კაცი, ამ სიტყვებით უნდა გაემხნევებინა საკუთარი თავიც და გარშემომყოფნიც, თუნდ სულ უბრალო სიკეთეც ყოფილიყო, ყველაფერს შვენოდა ამ ხატოვანებით მოშარავანდებაც და ყმაწვილთა გულსა და გონებაში ჩაბეჭდვაც, რომ მათაც მაცხოვარი დაეგულებინათ გვერდით და ცდილიყვნენ წვრილმან თუ მოზრდილ სიქველეთა აღსრულებას ამ შეგრძნებით გულმოცემულნი.

ახალ ღმერთებს მოენდომებინათ უფლის ჩანაცვლება, ახალი წინასწარმეტყველნი მოვლენილიყვნენ ახალი რჯულის საქადაგებლად და დასამკვიდრებლად და ახალი სამყაროც მოეტანათ — მინიერ სამოთხედ აღთქმული, ყოფით სინამდვილეში სულ უფრო და უფრო რომ დაემგვანებოდა ჯოჯოხეთს და ვეღარც გაგეგო, საბჭოთა იმპერიის მოქალაქე იყავი თუ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ იმ ნაწილის პერსონაჟი, ჯოჯოხეთს რომ წარმოსახავდა უღრმესი გზნებითა და ექსპრესიით, მაგრამ თურმე თვით დანტეს მხატვრული წარმოსახვაც ვერ შესწვდებოდა ისეთ გულისშემძვრელ სურათებს, რაც წითელი იმპერიის შუაგულში დატრიალდებოდა და საქართველოც ამ ცეცხლისა და ვაების მონაწილე შეიქნებოდა, ღმერთგანდევნილი რეალობის, შანთი რომ სდევნიდა სიტყვასაც — უფლისადმი აღვლენილს, მზერასაც — უფლისაკენ მიმართულს, და ჩუმ ლოცვასაც, ბაგეებზე გადარბენილს.

შევუდგეთ ქრისტესო...

ამ ხატოვან გამოთქმასა და მის განმარტებას ვერ იპოვნით თედო სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ სამტომეულში, თუმც ძალიანაც ეცმადუნებოდა ხელი ვრცელი ექსკურსისათვის, მაგრამ გაელვებასაც არავინ დაანებებდა 1950 წელს, და თავისთვის მაინც გაიმეორებდა და ამითაც გასდებდა იდუმალ ხიდს მოწყვეტილსა და ნისლში ჩაძირულ ქვეყნიერებასთან, რომლის დაკნინებულ ასლსღა შეჰყურებდა.

ჯერ ის რა იყო და... ისიც სანატრელ-საოცნებოდ გადაქცეოდა — მისი აღდგენა ხომ წინსვლას ნიშნავდა უკეთესი მერმი-

სისაკენ, რომლის დადგომაც არც არასოდეს ეეჭვებოდა სულიერად გაუტეხელს, ეგაა, თვითონ ვერ მოესწრებოდა, თორემ...

შევუდგეთ ქრისტესო...

ხშირად კი უხდებოდა ამის განმეორება, რაკიღა გამუდმებით ქველ და სასიკეთო საქმეზე ეკიდა ხელი და სჭირდებოდა საკუთარი თავის გამხნევებაც და იმ საქმის დალოცვაც.

შვილიშვილს ჯერ მხოლოდ სიტყვებად ებეჭდებოდა გონებაში ეს რიტუალური დასაწყისი, ეს აუცილებელი ფორმულა, ვიდრე გააცნობიერებდა და შეიგრძნობდა მის მადლს და თვითონაც აჰყვებოდა მის იდუმალ რეკვას, ოდესმე ძალიანაც რომ დაისაჭიროებდა გამხსნელ ფორმულად მემუარული ჩანაწერებისა პაპაზე.

არასოდეს ყოფილა თედო სახოკია შესაფერისად დაფასებული, მაგრამ არც გაქრობით გაქრებოდა მისი სახელი, დროდადრო რომ გადაიელვებდა მოგონებებსა თუ ნარკვევებში და ამასობაში საკმაო მასალაც მოიყრიდა თავს, წიგნებიც შეემატებოდა ერთმანეთს, მის პიროვნებასა და ღვაწლს რელიეფურად რომ წარმოსახავდა, და ეს პიროვნული ბუნება საგულისხმო ფსიქოლოგიური დანაშრევებით გადაგვეშლებოდა თვალწინ, განსაკუთრებით მაინც ვახტანგ ჭელიძე რომ შექმნიდა თედო სახოკიას მართლაც მონუმენტურ სახებას, მაგრამ, ცხადია, ვერაფერი შეცვლის შუქია აფრიდონიძის მიერ წარმოსახულ კოლორიტულ პორტრეტს, ბავშვის თვალით დანახულ პაპის სახებას, მცირე მინიატურათა მოზაიკად რომ დალაგდებოდა და ბედნიერად მიგნებული სახელწოდებით — „მოგონება მოუგონელი" — გამთლიანდებოდა.

როგორ აფიცებენ ყოველ წესიერ სასამართლოში მოწმეს, რა ტრადიციული რიტუალი უნდა აღსრულდეს?

რომ მან უნდა თქვას სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. ეს სიტყვები და ბიბლიაზე ხელის დადება კმაროდა, რათა მოწმეს ნდობოდნენ, ნდობა კი მოწმეს ბევრს ავალებდა.

თითქმის ასე გახლდათ მემუარისტის საქმეც?

წესითა და კანონით დიახაც, მაგრამ იშვიათად წარმოდგებოდნენ ხოლმე მოგონებათა ავტორები იმ მოწმის როლში, თა-

ვი რომ ეგრძნოთ უჩინარ მსაჯულთა წინაშე — ღვთისა და ერისა. ამიტომაც მოგონებულის ნაცვლად ხელთ გვრჩებოდა მოგონილ-შეთხზული, გამოგონილი.

„მოგონება მოუგონელი“ სწორედ ამ სულისკვეთებით განმსჭვალულა და სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო თედო სახოკიას გარემოდან ამოზრდილი ადამიანისაგან, ვისაც არც შეეძლო და არც სურვილი ჰქონდა უჩინარ მსაჯულთა მზერას გარიდებოდა მეხსიერების ტალანებიდან მრავალმხრივ საგულისხმო რეალიათა ამოკრებისას, იმ თითქოსდა წვრილმანებისა, სახიერად რომ გვიცოცხლებს დიდბუნებოვანი პიროვნების პორტრეტს.

მოგონებათა ჩანიშვნა-აკინძვა კი ამ და მხოლოდ ამ ხატოვანი გამოთქმით თუ დაიწყებოდა:

— შევუდგეთ ქრისტეს!

თვითონაც იტყოდა ხმამაღლა შუქია აფრიდონიძე, ვიდრე ფურცელზე გადაიტანდა და პირველ მინიატურას, შესავლად ნაგულისხმებს, ასეც დაასათაურებდა, და პაპის ხმაც მოესმოდა, იდუმალ მუსიკად რომ მოელამუნებოდა სმენას და აგრძნობინებდა, არსადაც არ წავსულვარ, ისევ შენთან ვარ ნუგეშად და გზის გამძღოლადო.

კვლავ ჩემთანაა, კიდევ უფრო ჩემთანო, — დაიბეჯითებდა შვილიშვილი და იმ ჭეშმარიტებასაც ძალდაუტანებლად აღმოაჩენდა, ეგებ ადრეც ნაგრძნობს, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარაც გამოივლიდა გულისგულს:

— და არა მხოლოდ ჩემთან, — ჩვენთანაც!

უბრუნდებოდა ეს ძვირფასი, აუცილებელი, გასაშინაგნებელი საღვთო ფორმულა საზოგადოებრივ ცნობიერებას, ჯერ მხოლოდ უნდა გადაეელვა, მაგრამ ისე გაეკვესა, ველარაფერი ამოშლიდა ჩვენი შეგნებიდან, გარდასულ ჟამთანაც რომ უნდა დავეკავშირებინეთ და იმ მომავლისა და უკეთეს საქართველოსთანაც, რომელზე ოცნებაშიც დალევდა სულს თედო სახოკია, სულს — დაუმცხრალს, დაუშოშმინებელს, ანთებულსა და გავარვარებულს, არად რომ ჩააგდებდა რვა ათეულ წელზე მეტ ტვირთს, თავისთავად დამდრეკსა და ჭირთა უფრო ჭირს, რაც მას ჯერაც შორს ეგულებოდა, რადგანაც კვლავაც ერთდროუ-

ლად მოსჭიდებოდა რამდენიმე საქმეს და თავსაც კვლავინდებურად ამ სიტყვებით იმხნევებდა:

— შევუდგეთ ქრისტეს!

და იდუმალებიდან ამ საღვთო ფორმულას რომ შეგვაგონებს, იმასაც გვაგრძნობინებს და შეგვახსენებს, რომ, ვინ იცის, რამდენი რამ დაგვიკარგავს და გაგვქრობია ხელიდან და ეგებ ჩვენს თვალწინ არსებულ სიძვირფასეთ მაინც მოვუფრთხილდეთ როგორმე და დაუდევრობით ნულა გავატანთ დროის ქარსა თუ ქარაშოტს თუ ბედუკულმართობის ტრაგიზმს.

* * *

დიდ განზრახვას დიდი სტილიც უნდოდა, დიდ სტილს დიდი ჯაფა, გულმოდგინე, თავაუღებელი შრომა უნდოდა, ჰქონდა უნარი თავგამეტებული შრომისა და შრომობდაო, — ამ აკორდზე დააბოლოებდა ოთარ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანს ვასილ ბარნოვზე, როგორც ყველაზე შესაფერისზე, ევროპული რანგის რომანისტის დითირამბად რომ გამოდგებოდა:

— ამიტომაც არ აღვსებულა იმისი ცხოვრება სათავგადასავლო ამბებითა, უცნაური შემთხვევებითა, წარმტაცი მოულოდნელობებითა. ეს სხვა ცხოვრებაა, თავდადებული შრომის ცხოვრებაა, ცხოვრებაა ამაღლებული სულისა, კაცთა სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულისა.

ერთმანეთს გამიჯვნია თავდადებული გარჯა და სათავგადასავლო ამბებით აღსავსე ბიოგრაფია?

ორ საპირისპირო პოლუსზე აღმოჩენილან?

უმეტესწილად სწორედაც ასე მომხდარა, მაგრამ გამონაკლისთა არსებობაც არავის გამოურიცხავს ანუ — ურთიერთგანმსჭვალვა თუ შეთვისება-გადაჯაჭვა ამ ორი პოლუსისა უეცრად ისეთ ჰარმონიადაც რომ შეიძლება წარმოგვიდგეს, გვეგონოს, თავდადებულ შრომასა და სათავგადასავლო ამბებს უერთმანეთოდ არც გაეძლებათო.

ისეთი ფილიგრანული ოსტატი ოქრომჭედლობისა, ფლორენციელი ბენვენუტო ჩელინი რომ გახლდათ, ისეთი თავდადებული მშრომელი და საკუთარი სტილის დამამკვიდრებელი საიუველი-

რო ხელოვნებაში, ბევრი არ მოიძებნება საერთოდაც, არამცთუ იტალიაში, მაგრამ გულისშემძვრელი და მღელვარე ამბებით ისე გადაჭედილა და გადავსებულა მისი მემუარული ყაიდის წიგნი, სწორედ ამ ჟანრის — სათავგადასავლო რომანის — გმირს შეშურდება, და კიდევ — რაინდული რომანისა: ახ, ნეტა ჩვენც გვრგებოდა ბედისაგან ამდენი ფათერაკიო!..

თუმც რად გვინდა XVI საუკუნის იტალია თუ ბენვენუტო ჩელინი, განა ჩვენში კი მოვისაკლისებთ ისეთ ბიოგრაფიას, სათავგადასავლო რომანის პერსონაჟსაც რომ შეეხარბება?

რა — უცნაური შემთხვევები აკლია?

თუ ათასგვარი მღელვარება-ფათერაკები?

თუ წარმტაცი მოულოდნელობანი?

და იმავდროულად ეს იყოს თავდადებული შრომის ცხოვრება, ცხოვრება ამაღლებული სულისა, კაცთა სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულისა.

და გარემოებათა წყალობით თუ იდუმალი კანონზომიერებით ეს პიროვნება ვასილ ბარნოვის ნამოწაფარი აღმოჩნდეს, შემდგომ უკვე მისი უმცროსი მეგობარი და მის კვალზე დამდგარი, თავგამეტებული გარჯით რომ ერკინებოდა ულმობელ ბედისწერას.

...არა, ხან მაინც რა ჰარმონიულად ერწყმის ხოლმე ერთიმეორეს ორი პოლუსი!..

აქეთ — სათავგადასავლო რომანის გმირის თავბრუდამხვევი თავგადასავალი.

იქით — ლიტერატურაში თხემით ტერფამდე ჩაძირული კაცის რუდუნება.

და ამ პოლუსებს ამთლიანებს თედო სახოკიას მონუმენტური სახება.

* * *

ტრამვაიდან ათვალიერებს გარემოს გალაკტიონ ტაბიძე, ღრმა ფიქრებსა და წარმოსახვებში გახვეულა, მაგრამ გარშემოც არაფერი გამორჩება, ის კი არა, მგონი ზურგიდანაც ხედავს ყოველივეს მსხვილმან-წვრილმანიანად... თუმც, აბა, ვის

დაუდგენია დაბეჯითებით, წვრილმანი რა არის ან რა არის მსხვილმანი ამ წუთისოფელში?!.

„საცა სამართალია, ამ პროსპექტს განა ჩემი სახელი არ უნდა დაერქვას? „მშვიდობის წიგნი" უკვე დაწერილია და მსოფლიო დიდებაც აჰა, ხელის გაწვდენაზეა... ამ შენობაში მშვენივრად მოთავსდება ჩემი ერთ-ერთი მუზეუმი... იმ ხიდს რომ გალაკტიონისას დაუძახებენ, რად უნდა ლაპარაკი... იმ აღმართსაც... იმ შესახვევსაც... იმ ხესაც... გალაკტიონოლოგიის დაწყებას წინ აღარაფერი უდგას, ისეთი დიდი მოძრაობის, რომელიც შეძრავს კაცობრიობას..."

ფანტაზიის გაქანებას წინ რა დაუდგება და ოცნებებში ლივლივ-ნავარდს.

მოიცა, ეს ვინ არის... ეს ბერიკაცი, ასე ჭაბუკურად რომ მოარღვევს ხალხს, თითქოს ცხრა ათეული წელი მის მხრებზე სიმძიმე კი არა, სულაც ფრთები იყოს... ვერ უყურებ თედო სახოკიას? მოგანდომებს, რომ შენც დიდხანს, რაც შეიძლება დიდხანს შერჩე წუთისოფელს — თუ ასე მხნედ და ყოჩაღად იქნები, ასე ლაღად თუ ივლი, რატომაც არა, საუკუნესაც ქვეშ მოიგდებ... სახეზე სიკვდილის ნიღაბი რომ აფარებია?.. მაგრამ ნიღაბი მაინც ნიღაბია, და თუნდ გარეგნულად სიცოცხლისა არა გეტყობოდეს რა, სულიერ გამძლეობას ასე ადვილად რა ჩაგიკლავს — ერთი კვირა და ერთი თვე კი არა, წლები უნდა გატეხო და საუკუნესაც ასე გადააბიჯო.

და გალაკტიონი კვლავ თავის ფიქრსა და ოცნებას ასდევს.

„ოოო, ეს დიდი მოძრაობა შეძრავს კაცობრიობას..."

ამ მოძრაობის მხურვალე მონაწილედ უთუოდ ითვალისწინებდა თედო სახოკიასაც, ვისი სახელიც არაერთხელ გაიხმიანებს მის უბის წიგნაკებში ამა თუ იმ საღამოსთან დაკავშირებით, გამომსვლელად მასაც რომ ვარაუდობს; ხოლო 30-იან წლებში ერთ პროგრამას რომ შეადგენდა, გრანდიოზულ პროექტს, საღამოების მთელს წყებას 6 თებერვალს რომ დაიწყებოდა და 30 ივნისს რომ დასრულდებოდა სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, თავმჯდომარეთა მოსალოდნელ სიასაც დაურთავდა და: პროფესორ ივანე ჯავახიშვილთან, პროფესორ

ივანე ბერიტაშვილთან, სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან, დოცენტ ასლანიშვილთან, ელენე ჩერქეზიშვილთან, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასთან, ალექსანდრე აბაშელთან, მოსე თოიძესთან, გერონტი ქიქოძესა და ილია აღლაძესთან, — ერთად მოიხსენიებდა თედო სახოკიას გვარ-სახელსაც.

თედო სახოკია ფეხაჩქარებით მიეშურება, დამოკლებული ნაბიჯებით, მაგრამ სისწრაფეს ეს რას დააკლებს. ასე სიარულს ვერ გადაეჩვევა, ანკი რატომ უნდა გადაეჩვიოს, როდესაც უამრავი რამ აქვს მოსასწრები — ამდენი რამ მოსაძიებელი, შესაკრები, დასაწერი... რედაქციები და გამომცემლობები მოსავლელი... ამდენი ადამიანი მოსანახულებელი, გასამხნევებელი... დღის განრიგი უცვლელი უნდა დარჩეს — ყველას და ყველაფერს თავ-თავისი ყურადღება, თორემ მირბის, მიჰქრის წუთისოფელი, წამია წამთა წამისა და წამწამისა მსწრობელი, გადაელვებისას ჭირთა უფრო ძნელი სიბერეც რომ უნდა დაგატყდეს თავს, თუკი იქამდე მიატანე, მაგრამ ვისთვის ჭირია უფრო ძნელი, შენს მხრებზე შესაძლოა ისე ჩამოიფიფქოს, ოდნავადაც ვერ მოგდრიკოს...

დიდხანს სიცოცხლეს მოგანდომებს, — შენატრის გალაკტიონი და გულს ისალკლდევებს, რადგანაც საკუთარი თვალით აქვს სანახავი და ბოლომდე შესატკბობი, თუ როგორ შეიძვრის ახალდაწყებული დიდი მოძრაობის — გალაკტიონოლოგიის — წინაშე მთელი კაცობრიობა.

* * *

— შევუდგეთ ქრისტეს! — შეაგულიანებდა თედო სახოკია, გალაკტიონს ეს ჩანაფიქრი მისთვის რომ გაეზიარებინა.

თავი მეორე

სამი ძმობილი, ალექსანდრე ყაზბეგს ადევნებული

ტფილისის სასულიერო სემინარიის სხვა მოწაფეებისა არ იყოს, თედო სახოკიასაც მოსწავლეობის წლებს გაუცისკროვნებდა ალექსანდრე ყაზბეგის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე.

ჯერ იყო და ინსპექტორად (პედაგოგად კი არა!) ვასილ ბარნოვის მოვლინება გაუჩენდათ განცდას, თითქოს ზეცის კარი შეხსნოდეთ.

და ახლა „ელგუჯა" რომ გადადიოდა ხელიდან ხელში, კვლავ ზეცის კარის შეხსნად აღიქვამდნენ.

აგერ 1885 წელია და ყმაწვილთათვისაც იმით აღსანიშნავი, რომ ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარი" უნდა გამოჩნდეს წიგნის მაღაზიების დახლებზე. ისედაც გულისფანცქალით მოელიან ამ გვარ-სახელის გაელვებას „დროებისა" თუ „ივერიის" ფურცლებზე და წიგნი ხომ მთლად ნანინანატრად ესახებათ, რელიკვიისაგან არც განერჩევათ და ცდილობენ, სხვა ყველაფერი მოიკლონ, ოღონდაც ეს ახალი რომანი შეიძინონ. ყველა სემინარიელი მაინც ვერ შესწვდება მის ფასს? თხოვნით ხომ შეუძლიათ ითხოვონ ერთიმეორისაგან და თავი მოიწონონ, მთელი არსებით ვიყავით შთანთქმულნი ყაზბეგურ თხრობაშიო.

— ამ წიგნის ხელში დაჭერა ხომ სასიქადულოდ და ერთგვარ მოწინავეობის, „სოციალისტობის" იარლიყად მიგვაჩნდა.

რომ ეამაყებათ და ძალიანაც ეამაყებათ, რა გასაკვირია, მაგრამ... მოწინავეობასთან გაიგივებული სოციალისტობა რაღა უნდა იყოს?!

თუ ვინმეს უპირისპირდებოდა სოციალისტური დოქტრინა, თუ ვინმეს უდგებოდნენ კრიჭაში სოციალისტები და მათი სრული მოსპობა-განადგურება ეოცნებებოდათ, სწორედ ალექსანდრე ყაზბეგისა და მისთანა პიროვნებებისა — გვარიშვილობით, აღზრდით, ზნეობრივი მრწამსით, აზროვნების სტილით, მისწრაფება-ოცნებებით, იდეალებით, ჯერ სხვაც რომ არაფერი, ლეგენდარული ზურაბივით ჩაშენებულიყო კავკასიური ილიადას შემოქმედიც ეროვნულის კედელში, რის გადაქცევაამოძირკვისთვისაც მოწოდებულიყო სოციალისტური დოქტრინა და ეროვნულ ფესვებსა და ტრადიციებს არსად გაახარებდა, სადაც მისწვდებოდა. ჩამომავლობა ხომ!.. გრიგოლ ორბელიანი უკვე გასულიყო წუთისოფლიდან და „მოძღვარის“ გამოცემისას მის ავტორსა და ვახტანგ ორბელიანზე უფრო დიდგვაროვანი პირი არც მოიძებნებოდა საქართველოში.

მოწინავეობის, სოციალისტობის იარლიყადო...

ჯერ უფროსები თქვი და ახლა ყმაწვილები, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა რომ ჰქონდათ ამ ახალგამოჩენილ მოძღვრებაზე და ბრჭყვიალები გაიტაცებდათ, ის ეგზოტიკა, გარეგნულად მართლაც რომ შეიძლება მიიზიდოს გულუბრყვილო, წრფელი ადამიანი, ვინც მოყვასის სიკეთისათვის მოწოდებულა და ჰგონია, აი, აჰა, ის რეალური გზა, რომელიც ჩემს ოცნებებს ამახდევინებსო.

სულ უფრო შეიჭრებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში სოციალიზმის ეს ბაცილა, სულ უფრო მომძლავრდებოდა და ყმაწვილებს ხომ ააფორიაქებდა და ააფორიაქებდა, განსაკუთრებით სემინარიელებს, სასწავლებელში უაღრესად გამკაცრებული რეჟიმი თანდათან რომ დააშორებდათ ღმერთს — ნაცვლად მისი სიყვარულით განმსჭვალვისა, სულ რომ მოსწყდებოდნენ ღვთის გზას, საკუთარი თავის ძიებისას კი ეს გარეგნულად მომხიბლავი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრება გამოუჩნდებოდათ და ესენიც ისე მოეჭიდებოდნენ სოციალისტურ დოქტრინას, როგორც მაშველ რგოლს.

ყველა სად მოისმენდა გაბრიელ ეპისკოპოსის წინასწარმეტყველურ ქადაგებას ქუთაისის ტაძარში, ამ იდეოლოგიის

მიმდევართა გამოისობით დიდი საფრთხე რომ ემუქრებოდა საკაცობრიო ზნეობასა და ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას! და გინდაც მთელს საქართველოს გადასწვდომოდა გაფრთხილების ის სიტყვები, გამკაცრებული რეჟიმით სულამომხდარი სემინარიელები მაინც არ დაგიდევდნენ ეპისკოპოსის იმ გაფრთხილებას, მით უმეტეს, რომ სასულიერო პირებს უკვე ათვალწუნებით უყურებდნენ და, ხმამაღლა თუ ჯერ მაინც ვერა გმობდნენ ღმერთს, ჩუმ-ჩუმად დრტვინავდნენ და თავიც მოჰქონდათ თავიანთი ურწმუნოებით.

ყველაზე თავგამოდებულ სემინარიელებს, ცხადია, ყველაზე მკვეთრადაც უნდა დასტყობოდათ სოციალისტური იდეების აყოლაც და უფლის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებაც — აბა, რისი რა განათლებული უნდა დაგრქმეოდა, თუკი ბიბლიისა და სასულიერო წიგნების იქით არ გაიხედავდი, ის კი არა, იმათ გაცილებით უფრო მონდომებით არ დაეწაფებოდი.

ყველაზე თავგამოდებულ და განათლებულ სემინარიელთა შორის თედო სახოკიაც რომ იგულისხმებოდა, ამიტომაც იყო, იქიდან რომ გამოაძევებდნენ; ხოლო საგანგებო აღრიცხვაზე რომ ჰყავდათ და განსაკუთრებით საშიშ ყმაწვილკაცად მიაჩნდათ, ჯერ მარტო ეს ფრაზაც ცხადყოფს, მეორეკლასელ სემინარიელს ხარიტონ კასრაძეს გარიცხვის მოტივად ამ ბრალდებას რომ წარუდგენდნენ:

— მეგობრობს სახოკიას — თითქმის აშკარა ურწმუნოსა და სოციალისტს.

უფრო დამაჯერებელი მოტივი რაღა უნდა იყოს, არა?!

შენთან მეგობრობა თუ უკვე დანაშაულად შეირაცხებოდა, შენი არსებობა რაღა იქნებოდა!..

ისე, ვინ იცის, კიდევ რამდენი სემინარიელი შეეწირებოდა ან, სულ ცოტა, ეჭვქვეშ დადგებოდა თედო სახოკიასთან სიახლოვის გამო, ახალი იდეებით გონებააფორიაქებული ყმაწვილკაცისა, მამის მღვდლობასაც რომ აღარ გაითვალისწინებდა და შინ დაბრუნებული ქრისტიანული რჯულის ხატებს ჩამოხსნიდა და მათ ნაცვლად ჩარლზ დარვინისა და სხვა ამგვარად მოაზროვნე მეცნიერთა სურათებს ჩამოკიდებდა კედელზე.

ის აინუნშიც არ ჩააგდებდა ამ იარლიყს და მისი გამოისობით გადატანილ შევიწროებას, აინუნში ჩააგდებდა კი არა, კიდეც იამაყებდა და აგერ ალექსანდრე ყაზბეგისადმი რომ მოინდომებდა თავისი განსაკუთრებული სიყვარულის, მეტიც, თაყვანების გამოხატვას, ეპითეტების საძებნელად თავს დიდად არ გაიცხელებდა, რადგანაც ყოვლის აღმატებული ეპითეტი ეპყრა ხელთ: სოციალისტი.

და თუ გინდოდა სემინარიელთა წრეში გარეგნულადაც დაგედასტურებინა შენი სოციალისტობა, ბეჭედი დაგეცა სულიერი მისწრაფებისათვის, როგორმე „მოძღვარი" უნდა დაგეჭირა — ან ნაყიდი და ან ნათხოვარი, მთავარია, ყველასათვის დაგენახვებინა ემბლემასავით თუ ბაირაღივით, თითქოს... კარლ მარქსის „კაპიტალიაო"!..

წუთისოფლის ოინებსა და პარადოქსებს ხომ არც დასასრული უჩანს და ყველაზე დაუოკებელი ფანტაზიაც ვერ მისწვდება, რაც რეალურ ყოფაში შეიძლება მოხდეს.

აჰა და აგერ — სოციალისტობაზე თავის დადებად წარმოდგება დროის იმ მონაკვეთში „კაპიტალი" და „მოძღვარი", თან — მაინცდამაინც „მოძღვარი" იმ ახალგაზრდების წრეში, საკუთარი ურწმუნოება რომ ეამაყებათ და თუ ვინმესი აღარ სჯერათ, უპირველესად — მღვდლებისა, რომელნიც სულაც არ ესახებათ სანიმუშო, მისაბაძ პიროვნებებად. ამ რომანში კი ონოფრე მღვდელი სწორედაც რომ ამაღლებული,

გაიდეალებული ხასიათია.

მაგრამ რაკიღა აღფრთოვანებულან ალექსანდრე ყაზბეგით, არა და, მკაფიოდ და დაბეჯითებით ვერც გაუგიათ, რას გამოუწვევია ეს აღტაცება, მის „სოციალისტობას" მიაწერენ ამ შინაგან მუხტსა და ექსპრესიას, ერთბაშად რომ ითრევს თხრობაში, სოციალისტისა კი ყველაფერი ისედაც მოსწონთ, სად ჩხრიკონ და უკირკიტონ, საიდან და რატომ გვეუფლება ეს განცდები და შთაბეჭდილებანიო.

მისი ცხოვრების გარეგნული სტილი კი — ბოგანოდ, მარგინალად გადაქცევა — კიდევ უფრო განუმტკიცებდა რწმენას ყმაწვილკაცებს: არაფერიც არ გვეშლება, როდესაც ის სოცია-

ლისტად მიგვაჩნია, მისი თხზულებანი კი — ჩვენი სოციალისტობის იარლიყად და ბეჭდადო.

გამოარკვევდნენ, თუ სად ცხოვრობდა მათთვის ეს საამაყო მწერალი და... თედოსთვისაც ერთბაშად ძვირფასი და იდუმალებით მოსილი შეიქნებოდა ტფილისის სასტუმრო „პეტერბურგი", ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ მდებარე ერთ-ერთ ნომერში რომ დაბინავებულიყო ერთბაშად სახელგანთქმული შემოქმედი... მაიმუნ ჟაკოსთან ერთად!

მეტი ეგზოტიკა, მეტი უჩვეულობა რაღა გინდოდა — მაიმუნთან ეს მეგობრობა, გარეთ გამოსული მწერალი მხარზე რომ შემოისკუპებდა და ისე მოასეირნებდა, ის კი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და ემანჭებოდა გამვლელ-გამომვლელს.

და ძალდაუტანებლად წარმოიდგენ სასტუმროს სიახლოვეს მოწრიალე თედოსაც, მოთმინებით რომ ელოდა საყვარელი შემოქმედის გამოჩენას, მერე კი არა და არ ჰბეზრდებოდა, თან რომ მიჰყვებოდა და მოჰყვებოდა.

რომანტიკული სულით აღვსილ მწერალს უხდებოდა რომანტიკული სულით აღვსილ მკითხველთა ეს ადევნება, თედოც და მისი ტოლ-ამხანაგნიც ნანატრ წუთებად რომ მიიჩნევდნენ და ეხარბებოდათ, ჰოი, რა ეხარბებოდათ იმ სემინარიის მოწაფისაც და იმ ახალგაზრდა მასწავლებლისაც, რომლებიც ალექსანდრე ყაზბეგთან სასტუმროში დაიარებოდნენ და უთეთრებდნენ და დასაბეჭდად უმზადებდნენ ხელნაწერებს!

მაგრამ, აი, უნდა გავიდეს ხანი და... თუმც მწერლის პოპულარობას არამცთუ მისხალი მოაკლდებოდა, სულ უფრო გაიზრდებოდა, მაგრამ ცალკე სნეულება დაჩაგრავდა და ცალკე საზოგადოების სრული გულგრილობა და დაუნდობლობა, იოლად რომ გაწირავდნენ ამ ყოველგვარი პიროვნული ღირსებით შემკულ ადამიანს, თავისთავადი მხატვრული სამყაროს შექმნის გარდა, დიდ ზეგავლენასაც რომ მოახდენდა სალიტერატურო პროცესზე და აგერ ვასილ ბარნოვს შთააგონებდა ქართლის ცხოვრების მხატვრული მატიანის შექმნასაც და ორიგინალურ სტილურ-ენობრივ ძიებებსაც.

ალექსანდრე ყაზბეგს კვლავაც მოკრძალებით და უჩვეულო სიხარულით ანთებული აედევნებოდა თედო სახოკია, მეხსიე-

რებასა და წარმოსახვაში ისევ და ისევ გადი-გამოდიოდა იმ გზას, მაგრამ თავს ნებას არ მისცემდა, ოდნავ მაინც შეელამაზებინა რეალობა მემუარულ ჩანაწერში და მწერალს აღწერდა ისეთს, როგორსაც შეჰყურებდა — დახეული ჩოხა-ახალუხით, თავზე შებერტყილი ბუხრის ქუდით, ხანგრძლივი ხმარებისაგან შელანძღული ნაბდით, ისედაც ბეცთვალებიანს, იმასაც მორღვეულსა და აქეთ-იქით უსიცოცხლოდ მოცაცერავეს. ოდესღაც ლამაზი სახე განუზომელი ტანჯვის ბეჭედს უნდა გადაედღაბნა, და აღარც ხალისი შერჩენოდა და აღარც ღონე, რათა საკუთარი გარეგნობისათვის ეზრუნა; და სხვა ხომ არა ზრუნავს და არა მისი არსებობისთვისაც კი, თორემ ცხოვრების მოწყობას ვინ ჩივის?!

სრულიად უსახსროდ დარჩენილს თავშესაფარიც რომ არ მოეპოვებოდა, თედოს როგორ არ შემოენახა შთამომავლობისათვის, რომ მის სიძეს, საინტენდანტო მოხელეს, ვინმე ფურმანს, მრავალოთახიანი ბინა მოეპოვებოდა და იმ მრავალოთახიან ბინაში ერთი ოთახიც არ აღმოჩნდებოდა დაავადებული მწერლისათვის ღამის გასათევი; და ისღა მოუხერხებია ამ ტრაგიკულ კაცს, რომ ხანდახან სამზარეულოში ან პირდაპირ დერეფანში გაუთენებია ღამე ნაბდის ამარას.

არც ის უნდა დაკარგულიყო, როგორ სტუმრობდა სნეული მწერალი „პეტერბურგის“ ნომრების ქვეშ, სარდაფში მოთავსებულ სარძევეს, ვინმე ადამია რომ ჰპატრონობდა და ამხანაგად თელაველი სიკო ყაზახაშვილი გაეხადა; და ალექსანდრე ყაზბეგი ჩაის ან მაწონს რომ მოითხოვდა, შესატანებლად მისცემდნენ ფრანგულ ფუნთუშას, შაურიანს. სულ დანახარჯი შეადგენდა სამ შაურს, მაგრამ ამას ან სამი შაური სად ებადა! და ადამია ხან თუ გადაახდევინებდა, ხან სამადლოდ ასაუზმებდა, ხანაც „დააწერდა“, საბოლოოდ კი ეს „დაწერილები“ სამ მანეთამდე მოგროვდებოდა. მწერალი თავისი ლექსების ხელნაწერ რვეულს მიუტანდა გირაოდ: როდესაც ფული მექნება, მოგცემ და დამიბრუნეო. მეპატრონე ვერ დაიჯერებდა, რომ ეს რვეული ვალს აუნაზღაურებდა, მაგრამ მაინც ჩამოართმევდა — ყოველი შემთხვევისათვის. მისი გუმანი რომ გამართლდებოდა,

ადვილი მისახვედრია —' თავისებური გირაო გირაოდ დარჩებოდა და ვალს მისი მუშტარი საიქიოში თან წაიტანდა.

რა უნდა ექნათ ამ ხელნაწერებისათვის? და სიკო ყაზახაშვილი რვეულს თედო სახოკიას გადასცემდა: ეგებ ახალდაარსებულმა „ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“ დასტამბოს და ჩვენც ის ჩვენი 3 მანეთი არ დაგვეკარგოსო.

თედო რვეულს ჩააბარებდა ამხანაგობის გამგეს, ალექსანდრე ჯაბადარს, მაგრამ როდესაც მოიკითხავდა, ის სანუგეშოს ვერას ეტყოდა და ვეღარც ის ხელნაწერები მოიძებნებოდა.

თედო ვეღარ გასწვდენოდა ყველასა და ყველაფერს და ალექსანდრე ყაზბეგს, რაც შეეძლო, არც თანადგომას მოაკლებდა და არც თანაგრძნობას, დიდად კი ვერ გაუადვილებდა ეკლიან გზასავალს; და ეს მაინც უნედლებდა გულს, რომ შიო მღვიმელი მაინც მოვლენოდა იმას ყველაზე დიდ მანუგეშებლად და სულიერი და ხორციელი ობლობის შესამსუბუქებლად.

ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობის მიერ მწერლის თხზულებათა პირველი ტომის დაბეჭდვისა და საავადმყოფოში საკუთარი ხელით მიტანის ამბავს რომ მოგვიყვებოდა თედო სახოკია, იმ საგულისხმო ცნობასაც ჩაურთავდა, თუ როგორ დაეტუსაღებინა ცენზურას „დროებაში“ გამოქვეყნებული და შემდეგ ცალკე წიგნად გამზადებული „ელგუჯა“, და ახლა ამხანაგობა რომ გადაწყვეტდა კავკასიური ილიადას სრული სახით გამოცემას, იმხანად ცენზორად მყოფი რაფიელ ერისთავიც კი შედრკებოდა, ადვილად ვინც არიგებდა დასტამბვის ნებართვებს... მაგრამ ამხანაგობა მაინც გამონახავდა გზას და ამ ხელნაწერებს მიაწვდიდა პეტერბურგში მოღვაწე ნიკო მარს საცენზოროდ, ის კი დასტურს უბოძებდა და ასე იხილავდა ეს პირველი ტომი მზის სინათლეს.

სწორედ იმ წელს თედო შიო დედაბრიშვილს ესტუმრებოდა და სოფელ კაიშაურსაც და არაგვის ხეობასაც გულდასმით დაათვალიერებდა, შეიგრძნობდა და შეითვისებდა, როგორც სჩვეოდა, აბა, ტურისტულად იმ სანახებსაც კი არ შეავლებდა ხოლმე მზერას, წამიერად რომ მოუწევდა იქ მოხვედრა. აქაურობის სანახავად კი ხევის დიდებული საგის გაცნობა აიყოლიებდა იმთავითვე, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებში თავჩარგუ-

ლი რომ ოცნებობდა, ნეტა საკუთარი თვალით როდის ვიხილავ ამ მიდამოებს, სადაც ასერიგად მღელვარე და გულისშემძვრელი ამბები თამაშდებაო. და შიოსთან დამეგობრება თავისთავად მოახვედრებდა იქ, ამ კალმით ნახატ ბუნებასა და ხალხში, „ხევისბერი გოჩას“ შემოქმედი განსაკუთრებული სიყვარულით რომ აქანდაკებდა.

ყმაწვილური შთაბეჭდილებანი, ისედაც გაუხუნარ-გაუნელებელი, მთელი ძალით იფეთქებდა და თედოს ისეთი განცდა დაეუფლებოდა ყველაფრის ერთბაშად შეთვისება-შეწოვაში ჩანთქმულს, თითქოსდა, აჰა, ვილაცამ ბეჭედი დაარტყა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებში წაკითხულსო.

და ახლა, როდესაც გამომცემლობა დაავალებდა თუ თვითონ თედო ითხოვდა, მე წავუღებ წითელი ხავერდის ყდაში ჩასმულ ამ საგანგებო ცალს მწერალს საავადმყოფოშიო, წინასწარვე ტკბებოდა იმ წუთებით, როდესაც თავის ცინცხალ და შემძვრელ შთაბეჭდილებებს გადმოუშლიდა სანდროს და იმასაც ადვილად აიყოლიებდა ლაპარაკში, აბა, კავკასიური ილიადას მხატვრულ გეოგრაფიასა და სამოქმედო სივრცეზე საუბარი იმას რატომ უნდა მოსწყენოდა?!.

ცოტა ეს არ ეჭაშნიკებოდა, ფურმანიც რომ აეტორღიალებოდა: ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და მეც ვნახავ ჩემს ნათესავსო.

ახლაღა გახსენებოდა მისი ნათესაობა, ტომების გამოცემა რომ დაიწყებოდა: არიქა, აქ რაღაც კარგა სარფა ჩანს და ხელიდან როგორ გავუშვებო! — და კიდეც მისდგომოდა ამხანაგობის შენობაში ალექსანდრე ჯაბადარს: პირდაპირი მემკვიდრე ალექსანდრეს ქონებისა ჩემი ცოლია და, მაშასადამე, ჰონორარიც ჩვენ უნდა ავიღოთო.

ეს — იმ კაცისაგან, ხან შინაც რომ არ უშვებდა და ხან კი, დიდ წყალობას თუ გამოიჩენდა, კარგ გუნებაზე დამდგარი, სამზარეულოს ან დერეფანს არგუნებდა, ოღონდ ქვეშაგები არ მოეთხოვა და საკუთარ ნაბადში გახვეულს გაეთენებინა.

ახლა ჯიქურ მოითხოვდა სასყიდელს და თედო შეფიქრიანდებოდა, ემანდ რაღაც არ გამოსცინცლოს ამხანაგობის გამგესო, მაგრამ ალექსანდრე ჯაბადარი არც ისე იოლად მოსატეხი

კაცი გახლდათ და ფურმანის ის სამარცხვინო ქცევა მასაც ისევე მოეხსენებოდა, როგორც სხვებს.

ხოლო ის მეტისმეტი თავაზიანობა, მორიდებულობა და აღუშფოთებლობა, ასე რომ ხიბლავდა თედოსაც ამ პიროვნების ხასიათში, სულაც არ უშლიდა ხელს ალექსანდრე ჯაბადარის ნებისყოფის სიმტკიცესა და შეუვალობას, თორემ უამისოდ ვერც ამხელა საქმეს წამოიწყებდა და ვერც შესაფერისად დააგვირგვინებდა, მანამდე ქართული წიგნის გამოცემა კანტიკუნტად რომ ხდებოდა და ქველმოქმედებას უფრო ჰგავდა, ახლა კი, „ამხანაგობის" დაარსების შემდგომ, ეს საქმიანობა რაციონალურ საფუძველზე დადგებოდა და კიდევ უფრო გაიშლებოდა და მოღონიერდებოდა.

დასაწყისისათვის ქართული ლიტერატურის ნაღებს შეარჩევდა გამომცემელი, რათა ხალხისათვის ძვირფასი მწერლები შესაფერისად დასტამბული წიგნებითაც წარდგომოდნენ მკითხველს — და ასე ერთბაშად ჩამომწკრივდებოდნენ წიგნის თაროებზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი... და ალექსანდრე ჯაბადარსაც, ასე ჩინებულად რომ მოეხსენებოდა თავისი დიდებული სეხნიის გამორჩეულობა, რა — ფურმანი წამოაგებდა ანკესზე ან რითიმე შეაშინებდა?!

და ნეტარებით იღიმებოდა თედო სახოკიაც, როდესაც შეიტყობდა, რომ ყაზბეგის სიძეს რაც შეეტანა, ისევე ის გამოეტანა გამგის კაბინეტიდან.

მაგრამ ეს რა აბეზარი ვინმე ყოფილიყო ფურმანი! ჰონორარს თუ ვერ დაითრევდა, თედოს გაუწყალებდა გულს, ერთად მოვინახულოთ ავადმყოფიო.. და თუმც თედოს არა სჯეროდა მისი მოსევდიანებული სახის გულწრფელობა და გულიც უსკდებოდა, საძულველი ადამიანის ნახვამ სანდრო ვაითუ უარესად ააღელვოს და აღელვება და შფოთიღა უნდა მის მდგომარეობაში მყოფსო?! — მაგრამ რაღაცაც წაჰკრავდა გულში: კაცნი ვართ, ეგებ სულ ცოტათი მაინც განიცდის ფურმანი თავის უგვან ქცევას და მივცემ საშუალებას, მოინანიოს სასიკვდილოდ გადადებული კაცის წინაშეო.

მაინც რომ გულუბრყვილო გახლდათ!..

მონანიების ნასახი კი არა...

და აი, გამოიყვანდნენ ალექსანდრე ყაზბეგს და ეს წუთები გონებიდან აღარც არასოდეს ამოეშლებოდა თედო სახოკიას, დროდადრო ისე მტკივნეულადაც რომ შეახსენებდა ხოლმე თავს, თითქოსდა, აჰა, შემობრუნებულა ის სურათი და თვალ-დათვალ შეჰყურებს მთლად დალეულსა და ძვალ-ტყავად ქცეულს, თვალებში ნასახიც რომ არ შერჩენია სიცოცხლისა და გამომეტყველებაც არაფერს, სრულიად არაფერს გამოხატავს.

ერთი ბეწო ძალაც აღარ მოეძევებოდა თავის არსებაში, ლანდს დამსგავსებოდა და იმასაც — გასაქრობად გამზადებულს.

ფურმანი მიეჭრებოდა და კოცნას მოუნდომებდა.

და განცვიფრდებოდა თედო, როდესაც ეს — ყოველგვარ ნებისყოფას მოკლებული ადამიანი — თავს უკან წაიღებდა და ანიშნებდა, შენი კოცნა სრულებით არა მსურსო და არაფრის გამომხატველი სახეც ერთბაშად შეუტოკდებოდა და აშკარად დაეჩნეოდა უსიამოვნება.

ეჰ, ფურმანს რა დააოკებდა, მინიშნება კი არა და... ძალით აკოცებდა.

და თედო სახოკია ანაზდად ხელშესახებად შეიგრძნობდა, თუ რას გულისხმობდა იუდას ამბორი.

— როგორა ხარ, სანდრო? — ვითომ დიდად შეწუხებული ეკითხებოდა სიძე, სანდროს სახე კი ისე ტოკავდა, თედოს თითქოს ფურცელზე წარწერილი ამოეკითხოს: ნეტა რისთვის ან საიდან მოგაგონდიო?!.

ამ უსიამოვნო შეხვედრის სცენას, გარდა თედოსი, თვალს ადევნებდა საავადმყოფოს დირექტორიც, ექიმი ორბელი, რომელსაც ასევე აშკარა უკმაყოფილება დაეტყობოდა.

და აი, თედოც უნდა მიუახლოვდეს სნეულს, ხელი ჩამოართვას, გადასცეს მისი ნაწერების პირველი ტომი და უთხრას:

— „ქართველთა ამხანაგობამ" გამოგიგზავნათ, მალე შემდეგ ტომებსაც გამოსცემს და იმათაც გაახლებთ.

ის გამოართმევდა წიგნს, რამდენჯერმეც შეატრიალებდა, მერე გადაშლიდა, დააცქერდებოდა თავის სურათს, ტიტულს... თითქოს რაღაცის გახსენებას შეეცდებოდა, მაგრამ ვერ კი გა-

იხსენებდა... თქმით კრინტსაც ვერ დაძრავდა, რადგანაც ენა სრულიად აღარ ემორჩილებოდა...

ჩაერეოდა ექიმი: ეგებ როგორმე სიხარული ვაგრძნობინოო:

— სანდრო, აი, შენი ნაწერები მოგიტანეს, ხომ კარგია, ხომ გეამა?

ის წიგნს ორბელისაკენ გაიშვერდა და თედოს ანიშნებდა, ასეთი რამ ამასაც მოუტანეო.

აშკარად რაღაც შეუფრთხიალდებოდა გულის სიღრმეში... რაღაც გაუკრთებოდა გონებაში...

თედო შეჰპირდებოდა: აუცილებლადო, — და უეცრად გულიდან ამოხეთქავდა ზაფხულის განცდა-შთაბეჭდილებანი, ხვავრიელნი და ფერადოვანნი, თანაც ამის თქმაც ხომ შეეძლო:

— მთაში ვიყავი, შენს საყვარელ მთაში ვიყავი, ვნახე მთიელები, სიამტკბილობით გიგონებენ თავიანთ საყვარელ სანდროს.

ეგებ ამ სიტყვებს მაინც გამოეყვანა ძილ-ბურანიდან, რაღაც დაეცდენინებინა, იმ ოდნავ შეგრძნებას, წიგნის ხილვით მოგვრილს, იქნებ ესეც წამატებოდა და... ისეთი განცდა გაგჩენოდა, სულიერ არსებას ველაპარაკებიო.

არა, კვლავაც უსულო სხეულს შეჰყურებდნენ, ან რაღა სხეულს...

და ფურმანიც რომ მოინდომებდა რაღაცის შეკითხვას, იმდენს მაინც მოახერხებდა ეს ქანდაკადქცეული ავადმყოფი, რომ თავი განზე მიებრუნებინა.

როგორ დაამახსოვრდებოდა თედოს დროის ის მონაკვეთი?

მდუმარებისა და უსასოობის მძიმე, მეტად მძიმე ოც წუთად, რომელიც მთელ საუკუნესაც გასწვდებოდა და გაძლებაც ამიტომ უნდოდა... შეჰყურებდა და ვერაფრისდიდებით ველარ დაეჯერებინა, რომ ამ სოფლით მიმავალი, უზომოდ გატანჯული სახის და ლეშად ამოსახული ადამიანი ის სანდრო იყო, რომელიც ოდესღაც სილამაზით კაცს თვალს სტაცებდა, სცენაზე თავისი ქართულის ცეკვით მაყურებელს ხიბლავდა და რომანებით კი მკითხველს აზრებს უფორიაქებდა და ტყვედქმნიდა...

რარიგ ნატრობდა მასთან პირისპირ შეხვედრასა და საუბარს უკან ადევნებული თედო, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგი სე-

მინარიელებს კი არა, ვერც ვერავის ხედავდა გამვლელ-გამომვლელთაგან... არა,

პატივმოყვარეობის გრძნობა ოდნავადაც არ აწუხებდა, თვალის სინათლე დაჰკლებოდა ძალიან და ამიტომაც უსკდებოდათ გული, ხანჯლებით მოცეკვავეს რომ შეჰყურებდნენ ხოლმე სცენაზე: ერთხელაც იქნება მუცელსაც გამოიფატრავს, თორემ ფეხებს ხომ დაისერავს და დაისერავსო.

და იჯდა მის მხარზე მაიმუნი ჟაკო და ის აცეცერავებდა თვალებს პატრონის მაგივრად.

საავადმყოფოდან წამოსულ თედოს ისეთი განცდა გამოჰყვებოდა, თითქოს მისი ტანჯვა თვითონაც გადმოსდებოდა, და გადაწყვეტდა, აღარასოდეს, აღარასოდეს მოენახულებინა. სხვა ტომები, თუკი გამოიცემოდა, დაე სხვებს მიეტანათ და თვითონ ამ საცოდაობას აღარ შესწრებოდა... თუნდ იუდას ამბორის გარეშეც!..

და აი, მოაწევდა ის დღეც, 1893 წლის 10 დეკემბერი, როდესაც „ივერიის“ რედაქციაში უნდა მიეტანათ ამბავი, რომელსაც ყველა მოელოდა — ალექსანდრე ყაზბეგი გარდაცვლილიყო.

და ისე მოხდებოდა, რომ საავადმყოფოს გარეშეთაგან პირველად ნახვა მიცვალებულისა და პირველად მისი გარდაცვალების ამბის მიწოდებაც „ივერიის“ რედაქციაში თედო სახოკიას მოუწევდა.

მერე კი დამკრძალავი კომისია რომ შედგებოდა, დასაფლავების ცერემონია და პროცესია, მართლაც გრანდიოზული, არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა დიმიტრი ყიფიანის გადმოსვენებას მთაწმინდაზე, თედოსაც მწარედ წამოაგონებდა სასაცილო-სატირალ სენტენციას: ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანიო...

ეს სიტყვები უტრიალებდა გონებაში, სასახლეს რომ მიაცილებდა ზღვა ხალხში ჩამდგარი... აგერ ვერაზე, ჯვართან კუბოს დაასვენებდნენ, სამღვდელოება პანაშვიდს გადაუხდიდა და კიდეც მოსკდებოდა სიტყვები... ქართველი ერი დაობლდაო, — გაისმოდა და ეპითეტთა ნიაღვარში წამდაუწუმ იელვებდა: გაფასებდით, გაფასებთ და კვლავაც დაგაფასებთო...

და გული უკვდებოდა თედოს: რატომ არავის აგონდება ფურმანის სიავე, ანდა ადამიას სარძეო რატომღა დავიწყნიათ და სამ მანეთად ლექსთა კრებულის დაგირავებაო?!.

სიცოცხლეში უღმერთოდ მიტოვება, მის კუბოზე კი მზისა და მთვარის დახლა აკაკი წერეთელსაც აღაშფოთებდა, „ჩემს თავგადასავალში“ კი ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს რომ წარმოსახავდა, სულაც ნოველად გადააქცევდა, ისეთ ფინალს გამოუძებნიდა, უშუალოდ გადმოტანილს ყოფითი სინამდვილიდან, მაგრამ სწორედ აკაკის მწერლური გუმანი და მხატვრული ხელოვნება სჭირდებოდა ამ ყოფითი დეტალის განზოგადებასა და გასიმბოლოებას, მის ხვეულებში საკუთარ ბედისწერასაც რომ ჭვრეტდა და ამიტომაც გადმოშლიდა ასეთი გულისშემძვრელობით.

არადა, გარეგნულად თითქოს რა:

ვორონცოვის ძეგლის სიახლოვეს მოხვდებოდა და გაოცებული მიაჩერდებოდა, რა თავდაუზოგაობით მიისწრაფოდა ხალხი მუშტაიდის ბაღისაკენ, სხვა რომ აღარაფერი აგონდებოდათ, გარდა იქ მოხვედრისა და ამიტომაც გადაჰბმოდა ეკიპაჟი ეკიპაჟს.

იმ არემარეზე ეს ერთადერთი კაცი იყო, ვინც არ იცოდა და თავისით ვერც გაერკვეოდა, რა ხდებოდა ამისთანა, რას აეტაცა და აემღელვარებინა ასერიგად დიდ-პატარა.

იკითხავდა და:

— მუშტაიდში წარმოდგენა იმართება, ვირი აჰყავთ მაღლა აეროსტატით!

არც მოხედავდნენ, ისე გადმოუგდებდნენ.

და უეცრად ზაქარია ჭიჭინაძე უნდა წამოსდგომოდა თავს, ნაღვლიანი და მწუხარე, მწარე ირონია რომ გადაუსერავდა ტუჩებს:

— სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდ? სულ ნახევარი საათი არ იქნება, რაც ჰოშპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მეც იქიდან მოვდივარ.

აკაკი წერეთლისაგან არ გვიკვირს, ნოველურ ქარგას რომ გამოუძებნიდა კავკასიური ილიადას შემოქმედის აღსასრულს

და ლიტერატურულ პორტრეტს ამ შთამბეჭდავი აკორდით დააბოლოებდა.

და თურმე არც თედო სახოკიასაგან უნდა გვიკვირდეს, ისიც ნოველური ქარგით რომ დააგვირგვინებდა ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურულ პორტრეტს — არანაკლებად შთამბეჭდავი აკორდით რომ შეკრავდა თხრობას.

მისტიკურობა, აკაკისეულ მხატვრულ ხილვებში რომ გაიელვებს, აქ კიდევ უფრო უნდა გამკვეთრებულიყო და ისიც ბუნებრივია, თვითონ თედო ამ ეპიზოდს ლეგენდადაც რომ მოიხსენიებს.

ამბავი, რომელიც იმხანად გავრცელდებოდა, უსათუოდ ჩაიკარგებოდა დავიწყების ბურუსში, თედოს რომ არ აღმოეჩინა მისი დაფარული სიღრმე და სწრაფვა განზოგადება-გასიმბოლოებისაკენ, და როგორც აკაკი წერეთელი არ გაუშვებდა ხელიდან ზაქარია ჭიჭინაძის იმ სიტყვებს და ერთბაშად აზიდავდა ნოველის სიმაღლეზე, ისე თედო სახოკიაც ნოველის შთამბეჭდავ ფინალამდე ატყორცნიდა.

და აი, ის ლეგენდა, მკითხველთა წრეებში რომ დაიწყებდნენ მტკიცებას, ალექსანდრე ყაზბეგი იცნობს საფრანგეთის სახელგანთქმულ რომანისტს გი დე მოპასანს (საიდან და როგორ, ამდენს აღარ ჩასდევდნენ, რადგანაც ქართველმა მწერალმა სრულყოფილად რომ იცოდა ფრანგული ენა, ეს უკვე აფიქრებინებდათ, რომ ფრანგ შემოქმედებთან კავშირის გაბმა აღარ უნდა გასძნელებოდა, პირველ ყოვლისა კი სწორედაც გი დე მოპასანთან იპოვნიდა სულიერ სიახლოვეს) და, რაკიღა იმასაც პროგრესულმა დამბლამ გაუწამა სიცოცხლის მიმწუხრი, „ელგუჯას“ ავტორმა ტფილისის საავადმყოფოდან „ლამაზი მეგობრის“ ავტორს ამიტომაც გაუგზავნა პარიზში თანაგრძნობისა და მადლობის დეპეშა და მეგობრობა დაუმტკიცა არათუ კალმით, არამედ სიცოცხლის უკანასკნელი წამებითაცო.

ეგებ არც ღირდა ამ ლეგენდის გამოდევნება, როგორც ვიღაცის ფანტაზიის ნაყოფისა?

მაგრამ აღტაცდებოდა თედო სახოკია და ლეგენდას წიგნისმიერ სიცოცხლეს რომ მიანიჭებდა, საამისოდ ყველაზე სარწ-

მუნო და ეჭვშეუვალ არგუმენტად ანდაზას მოიშველიებდა, სწორედ ამ შემთხვევაზედაა ზედგამოჭრილიო:

— თუ მართალი არ არის, კარგად მოგონილი კია.

კარგად მოგონილიო...

ყოფითი სინამდვილის საზღვრები უნდა გაერღვია ამ „კარგად მოგონილს", მოჩვენებითი ზედაპირი გადაეხსნა და ის გულისგული ამოეჩინა, თვით ყოფითობის შინაარსს რომ განსაზღვრავდა. ფანტაზია გარეგნული გირლანდივით კი არ ეწვნოდა ცხოვრების ნაცრისფერ მდინარებას, რათა როგორმე მოელამაზებინა და ასატანი გაეხადა გულსატკენი გარემო, არამედ სულთა იდუმალ კავშირს ამოზიდავდა, რაც რაღაც გაუგებრობით ეგებ არც მომხდარიყო ყოფით რეალობაში, თორემ შინაგანი ლოგიკითა და კანონზომიერებით აქეთ მიისწრაფოდა ყველაფერი.

ანკი როგორ შეიძლებოდა ალექსანდრე ყაზბეგს დეპეშა არ მიეწერა მის სულთან ასერიგად მიბმული ფრანგი თანამოკალმისათვის და აგონიის წუთები როგორღაც არ შეემსუბუქებინა?!.

არ შეიძლებოდა და... თედო სახოკია კიდეც მიაგნებდა ყველაზე ბუნებრივ — არა მარტო გარეგნულად ეფექტურ — დასასრულს ხევის საგის შემოქმედის პორტრეტის დასაგვირგვინებლად.

უნებურად აკაკი წერეთელს გაეჯიბრებოდა?

ტოლს კი არ დაუდებდა და...

იმას ისეთი შემძვრელი აკორდი და ნოველური ფინალი ეპოვნა, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების ქრონიკა ამ მიგნების შემდეგ მხოლოდ ამ სურათით თუ შეიკვროდა მკითხველის ცნობიერებაშიც და ფურცელზეც გადატანის დროსაც, ვისაც უნდა მოენდომებინა ამ მართლაც შექსპირული ვნებებით დამუხტული და ტრაგიზმით გამსჭვალული ცხოვრების გადაქცევა ბიოგრაფიულ რომანად: მწერლის სულთმობრძაობა და აეროსტატით ვირის გაფრენის სახილველად აფოფინებული საზოგადოება...

და აი, თედო გადალახავდა ამ მიჯნას, თვით აკაკი წერეთლის მიერ ჩაყრილ სამანს გადასწევდა და, თუმც იმ ფინალის გამომსახველობას ოდნავადაც ვერ გააფერმკრთალებდა (ასე-

თი რამ აზრადაც არ მოუვიდოდა!), მეორე ფინალსაც შემოგვთავაზებდა, იმას რომ არ ჩამოუვარდებოდა — ოდნავადაც კი.

დიახ, უნებურად, თორემ ესეის რომ წერდა, არც იფიქრებდა, ან მკითხველის ცნობიერებაში შევიჭერი საკმაოდ მკვეთრად და ან ბიოგრაფიული რომანის მომავალ ავტორს მეორე ფინალის დართვასაც ვაიძულებო.

თავისთავად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მოხდებოდა ასე.

და თქვენი მონა-მორჩილის „ყაზბეგიანას" კომპოზიციური ქარგა ორივე ფინალით შემოირკალებოდა.

ორი ფინალი ერთად როგორ „მოძოვდნენ"?

როგორ და:

თედო სახოკიას მიერ შემონახული ლეგენდა ეპილოგად გაიშლებოდა მას შემდეგ, რაც აკაკი წერეთლის ნაამბობი მოათავებდა „ძირითად" თხრობას, ეპილოგში კი — თითქოს ზეციური წყალობააო — ისე მომევლინებოდა არმან ლანუს ბიოგრაფიული რომანი მოპასანზე და იქ ჩართული პასაჟი გონკურის დღიურიდან, სადაც აღნიშნულიყო თვითმხილველის ცნობა: სულთმობრძავი მწერალი ვიღაცისათვის დეპეშის გაგზავნას რომ მოინდომებდა, მაგრამ ვერაფრისდიდებით ვერ მოახერხებდა ტექსტის შედგენას.

ასეთ მძიმე დღეში ჩავარდნილი თავისით რატომ მოიწადინებდა დეპეშის გაგზავნას?

მისი ეს განწირული მცდელობა ძალდაუტანებლად მიგვანიშნებს, რომ იქით მიუვიდოდა ვიღაცის დეპეშა და საპასუხო სტრიქონებით მადლიერების გამოხატვას აპირებდა თანაგრძნობისა და საქებარი ეპითეტებისათვის.

რა ხდება?..

ნუთუ?.. ნუთუ მართლა მიეღო დეპეშა თავისნაირ ბედში მყოფი ქართველი მწერლისაგან?

ის მისტიკური იერი, რაც დასჩნევია თედო სახოკიას მონათხრობს, ერთბაშად ასე უნდა გამკვეთრებულიყო და მომხიბლავი ლეგენდა სისხლ-ხორცით აღვსილიყო.

არმან ლანუმ საქართველოში შეთხზული (ვითომ შეთხზული?) ამბისა, აბა, რა იცოდა, მაგრამ თავისთავად დიდი ცნო-

ბისნადილი გაუჩნდებოდა, გამოერკვია იმ უცნობი ადრესატის ვინაობა, ვისზე ფიქრშიც ამოხდომოდა სული გი დე მოპასანს, ძალიან შეწუხებულს, ნეტა ორიოდე სტრიქონისათვის როგორმე თავი მომაბმევინაო.

რას აღარ მოჩხრეკდა და მოიძევებდა არმან ლანუ, რას აღარ გადასწვდებოდა, მაგრამ უცნობ ადრესატს ცა ჩაყლაპავდა თუ მიწა, მიგნებით ვერ მიაგნებდა.

არადა, თურმე...

მაგრამ რა გინდა გააწყო, როდესაც შენს თვალსაწიერში ქართული მოდგმა არ იგულისხმება, რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვარზე ჯერაც მოფოფხიალე ერი.

ისე, ბიოგრაფიული რომანის ეპილოგის მთელი შთამბეჭდაობა ის უნდა ყოფილიყო, ეს ამბავი იდუმალებით შებურვილიყო — თან თითქოს გახსნილიყო, მაგრამ მისტიციზმის ბურუსში ჩანთქმულიც დარჩენილიყო, გვირგვინად კი რა დაშვენდებოდა უფრო უკეთესად, თუ არა ის ანდაზა, ამ ეპიზოდსა და მთელს ესეის რითაც აბოლოებდა თედო სახოკია:

— და თუ ეს მართალი არ არის, კარგად მოგონილი კია.

ოღონდ ჩემი რომანის ფინალში ეს... გი დე მოპასანმა უნდა გაიფიქროს.

რატომაც არა — ეპილოგი ხომ მის ირგვლივ მოქსოვილა, მოპასანის განცდა-ფიქრებით გაჯერებულა, და უკანასკნელი აკორდიც მისი სახელით უნდა იყოს გაცისკროვნებული, მითუმეტეს, რომ, თუ ვინმე იყო მისი სულიერის თანაზიარი — ფრანგთაგან თუ არაფრანგთაგან — ერთი უპირველესთაგანი სწორედ თედო სახოკიაა, რომელიც თავის მთარგმნელობითს ღვაწლს დაამშვენებდა მოპასანის ნოველების დიდტანიანი კრებულითაც, ისე რომ შეიჭრებოდა ფრანგი მწერლის სულსა და მხატვრული აზროვნების თავისებურებებში, ამ წიგნის ჩამთავრება აუცილებლად რომ გათქმევინებდა: ნეტა მოპასანს ნოველების ეს რკალი — არსებითად ნაღები მისი შემოქმედებისა, „ფუნთუშათი“ დაგვირგვინებული — ქართულად ხომ არ დაუწერიაო.

და თუ თედო ასერიგად ჩაზიარებოდა განცდებსა და ფიქრებში ფრანგ მწერალს, განა რა მოხდებოდა, რომ „ყაზბეგია-

ნას“ ფინალში მოპასანი ჩაზიარებოდა თავისი ქართველი მეგზურის ფიქრს?!..

ერთბაშად კი შემოიჭრებოდა ქართველი მკითხველის თვალსაწიერშიც, დასავლურ ლიტერატურას რომ ააფორიაქებდა და უზარმაზარ აუდიტორიასაც მიიტაცებდა — თუ ვინმეს მოეხვეჭა იმჟამად პოპულარობა, ერთ პირველთაგანს გი დე მოპასანსაც, თანაც თვალდათვალ კლასიკურ მემკვიდრეობას რომ ქმნიდა, იმ ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებას, ურომლისოდაც წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა, თუკი ამ ქვეყანას ენება ცივილიზებულ ერთა შორის ადგილის დამკვიდრება.

ქართველი მთარგმნელებიც რომ მოსინჯავდნენ მის ნოველებს, თედო ყველაზე თავგამოდებით დაეწაფებოდა და კიდეც მიაგნებდა იმ მთავარ ძარღვს, ნამდვილი მოპასანი რომ უნდა ამეტყველებულიყო მისთვის სრულიად უცნობ ენაზე. და საგულისხმოა, რომ თედო სახოკიას გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე მოპასანის სახელს იმთავითვე გადაეჯაჭვებოდა — დებიუტი თუ ჟულ ლემეტრის „მეფის ასული მიმი და იმისი მიჯნურნი“ იქნებოდა, მეორე პუბლიკაცია „ივერიის“ 1889 წლის 98-ე ნომერში უკვე ამ სახელოვანი ნოველისტის სახელით აღიბეჭდებოდა: „ორდენიანი“, მერე „პირველი თოვლიც“ რომ უნდა მოჰყოლოდა, „შურისძიებაც“, „ისიც“, „ქალბატონი ჰერმეტისაც“, „სარდლის აზრებიც“, „მაწანწალაც“... და კიდევ წლობით უნდა ეტრიალა ამ მხატვრულ სამყაროში, ვიდრე ყოველივე იმ მონაპოვრით არ დაგვირგვინდებოდა, ქართული მოპასანი რასაც ჰქვია, და არც არასოდეს მოაკლდება სიცოცხლისუნარიანობა ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების ისტორიაშიც მტკიცედ დამკვიდრებულს.

და მოპასანის გავლენითაც, მისი ნოველების ნიუანსებში ჩაწვდომითაც რომ გაითავისებდა და შეისისხლხორცებდა ამ ჟანრულ ფორმას თედო სახოკია, ამიტომაცაა ასე ლაღად რომ გაშლიდა ფრთებს ესეებსა თუ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში და ნოველური ჩანართებით გადაავსებდა და გაამშვენიერებდა თხრობას — და არა მარტო სიყმაწვილის მოგონებების

(„როგორ ვიზრდებოდით ძველად"), „მოგზაურობანის", ციმბირული დღიურებისა თუ „ჩემი საუკუნის ადამიანებისა", არამედ... ქართული ანდაზებისა და ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონისაც.

მართალიც რომ არ იყოს, კარგად მოგონილი კიაო...

თუ თედო ამბობდა, მაშ... მოპასანიც იტყოდა!..

ის მოპასანი, ვისი გავლენის კვალსაც ასე გულმოდგინედ დაეძებდნენ შიო არაგვისპირელის მცირე პროზაში. თითქოს კიდეც აგნებდნენ, მაგრამ ხელშესახებიც არ ჩანდა და ლიტერატორები თავს ინუგეშებდნენ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც მივაკვლევთ, თორემ როგორ შეიძლება, ქართველი კაცი ნოველებს წერდეს და მოპასანის ამ ყაიდის თხზულებანი არ ჰქონდეს თარგადო.

* * *

ძალზე შორეული, უფრო კი ზოგადი გავლენა, რატომაც არა, შიო არაგვისპირელსაც გადმოსწვდებოდა, უფრო კი ის თამასა მიიზიდავდა შიოს ყურადღებას, ფრანგი მწერალი ასე ლაღად და ბუნებრივად რომ ინარჩუნებდა და — ამდენი ნოველის შემქმნელი — ქვემოთ არაფრის-დიდებით არ ჩამოეშვებოდა. თარგად კი... ნამდვილად არ მოემარჯვებინა, თორემ დასამალი რა იყო და აგერ მიხეილ ჯავახიშვილი თავსაც კი მოიწონებდა, სწორედაც ნიმუშად რომ დაედო წინ მოპასანის ნოველები და მათი მიბაძვა ესახელებოდა და რარიგ ესახელებოდა! მართალია, ეს მისი სიჭაბუკის ჟამს მოხდებოდა და იმ თარგზე მოჭრილ ნოველებს დაუნანებლად გაატანდა ქარს, მაგრამ ამ მიბაძვა-მიბაძვისას დახელოვნდებოდა, მოპასანისადმი განსაკუთრებული სიყვარული კი არასდროს რომ არ გაუნელდებოდა, ამიტომაც გადმოიტანდა ქართულად მის რომანს „ლამაზი მეგობარი", რომელიც სულაც არ აღემატება ნოველებს, არ არის იმ სიმაღლის მოვლენა რომანისტიკაში, რაც აგერ თუნდ „ფუნთუშა" ნოველისტიკაში, მაგრამ მოპასანის სახელს რატომღაც „ლამაზ მეგობართან" ერთად უფრო ახსენებდნენ და თედო სახოკიას ესეიშიც ალექსანდრე ყაზბეგზე ფრანგი მწერალი აკი „ლამაზი მეგობრის" ავტორადაა მოხსენიებული.

მოპასანის „გასაქართველებლად“ კი გზას მიჰკვალავდა ალექსანდრე ყაზბეგი თავისი იმ რამდენიმესტრიქონიანი, მაგრამ როგორი გულანთებული დეპეშით!..

მერე რა, რომ იდუმალებაში ჩანთქმულიო!..

„მოძღვარის“ შემოქმედს კი აღტაცებული თედოც რომ მიაცილებდა და მოაცილებდა მხარზე მაიმუნშემოსკუპებულს და ამ წუთებს არაფერი ერჩივნა, ნეტა მწერალს იმ ადევნებულ სემინარიელთა შორის შიო დედაბრიშვილი და იოსებ ლაღიაშვილიც ხომ არ იმყოფებოდნენ?

თედო ზოგადი აღნიშვნით კმაყოფილდება, მაგრამ სავსებით მოსალოდნელია, რომ ისინიც დამგზავრებოდნენ თავიანთ მეგობარს — ეს სამეული განუყრელად ითვლებოდა, უერთმანეთოდ ვერა ძლებდნენ და რაღა ამჯერად დაცალკევდებოდნენ, მითუმეტეს, თუ რაიმე სასიხარულო შემოჭრილიყო სემინარიელთა ნაცრისფერ, ის კი არა, ყოვლად აუტანელ ყოფაში, ერთი უპირველესი სწორედ ალექსანდრე ყაზბეგის რომანტიკულ-ჰეროიკული სულით აღვსილი თხზულებანი, მათი ავტორის ადევნება კი, გარდა ყმაწვილური ცნობისწადილის და აღტკინებისა, პროტესტის გამოხატვაც იყო სემინარიის რეჟიმისა და ბურსაში ცხოვრების მიმართ, იმ ზღუდეთა გადალახვა, უკიდურესი სიმკაცრე და შემბოჭველი არტახები რასაც ერქვა და გულისხმობდა სემინარიის მთავრობის მონურ მორჩილებას, წირვა-ლოცვაზე უკლებლივ სიარულს, ენატანიობას და კითხვით მარტოდენ სემინარიის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების კითხვას.

პროტესტანტობა კი ნიშნავდა გარე სიარულს, სხვა წიგნების, როგორც რუსულის, ისე ქართულის, კითხვას, თეატრში (განსაკუთრებით ქართულში) სტუმრობას, თუთუნის წევასა და ღვინის სმას.

და პროტესტის სულით აღვსილი ყმაწვილკაცები ვის შეიძლება გაჰყოლ-გამოჰყოლოდნენ ხოლმე, თუ არა პროტესტის სულით ერთ ყველაზე მკვეთრად გამოხატული ქმნილებების შემოქმედს.

ისე, ამ ჩამონათვალში, ორ საპირისპირო პოლუსად რომ იყოფა, რაოდენ დაშორებული საგნები თუ მოვლენებია ერთად თავმოყრილი, არა?

ლიტერატურისა და თეატრის სიყვარული და... გარე-გარე ხეტიალი, ქეიფსა და თუთუნის მოწევასთან შეზავებული.

წირვა-ლოცვაზე უკლებლივ სიარული და... ხელმძღვანელობის მონური მორჩილება და ენატანიაობა.

თუ ყმაწვილკაცები ადვილად ვერ ერკვეოდნენ, რომ თვითგანათლება და ფუქსავატობა-დროსტარება ერთ სიბრტყეზე არ უნდა დაეყენებინათ, ვეღარც განსხვავება ეპოვნათ ეკლესიაში სიარულსა და ბეზღობას შორის... ასეთი გამორჩევა კი, პატივში სწორედ დამსმენნი და მონური სულით გაჟღენთილი სემინარიელები რომ იყვნენ და ღირსება და კეთილშობილება იწიხლებოდა, ეჭვქვეშ აყენებდა მოწაფეებში არამარტო სამღვდელოების ავტორიტეტს, არამედ... ღვთის რწმენასაც.

თორემ განა შეიძლება ასეთ წრფელ, გულმართალ, საერთოდაც ყოველგვარი ღირსებით შემკულ ყმაწვილებს, თუნდ ეს სამეული რომ გახლდათ, შერყეოდათ უფლის სასოება და, ნაცვლად სასულიერო მოღვაწეობისა, ურწმუნოების გზას დადგომოდნენ?!.

შიო არაგვისპირელი, დედაბრიანთ მღვდლის ოჯახში აღზრდილი, ვისაც თავი მოჰქონდა თავისი უკიდურესი ღვთისმოყვარეობით, თანდათან იგრძნობდა, რარიგ უნელდებოდა ეს განცდა და სწრაფვა სემინარიის ჯოჯოხეთური პირობების გამოისობით, სწავლა სიმახინჯისაგან რომ აღარც განესხვავებოდა და მასწავლებლები — მხეცებისაგან, და საღმრთო სჯულის, მღვდლისა და საყდრის ხსენება თვალსა და ხელს შუა უკვე ზიზღსაც მოჰგვრიდა, რაკიღა ეს ყოველივე იმავე სიბრტყეზე აღმოჩნდებოდა,სადაც ჯაშუშობა, ფლიდობა, უტიფრობა, ცრუპენტელობა, ძალმომრეობა და სხვა ამისთანა მანკიერებანი გაფუფუნებულიყვნენ და მორევივით ითრევდნენ სემინარიელებს.

თედო სახოკია აგერ სხვებსაც მოევლინებოდა თვალის ამხელად და, თვითონ რომ ჩაეკვლოდა ღვთის რწმენა, ტოლ-ამხანაგებსაც უბიძგებდა აქეთ; და იოლად გაუგებდა ვაჟა-ფშაველასაც, ვისთვისაც თელავისა და გორის სემინარიების ზღუდეები გამხდარიყო ის სულისამომრთმევი გარემო, სოციალისტური და ათეისტური იდეებისაკენ რომ უბიძგებდა და კინაღამ

რევოლუციონერადაც ჩამოაყალიბებდა; და ცხოვრების ასპარეზზე გამოსული დიდ თონეთში მასწავლებლობისას მოწაფეებსაც და გლეხებსაც რომ უბეჯითებდა, თვალებზე გადაფარებული სარწმუნოებრივი ლიბრი მოიშორეთო, — იმის გასათვალსაჩინოებლად, რომ ხატებს, რომლებზედაც ისინი ლოცულობდნენ, არავითარი ღვთიური ძალა არ გააჩნდათ, რადგანაც ადამიანის ხელით იყვნენ გაკეთებულნი. ერთ-ერთ მათგანს, თვით წმინდა გიორგის ხატს, საკლასო ოთახიდან გარეთ გამოიტანდა, მიაყუდებდა ერთ ხეს და რამდენჯერმე ესროდა თოფს: აბა, თუ რამე დამაკლოსო!..

იოსებ ლაღიაშვილს კი ის საზარელი, ჯოჯოხეთური გარემო სულაც მკვლელის სახელით დადაღავდა — და ეს იმ ყმაწვილკაცს, ვისაც თედო ყოველთვის მოიგონებდა ხოლმე როგორც ცხვარივით მშვიდს, თავმდაბალს, უწყინარსა და საამხანაგოს.

ჯერ მარტო ამ დახასიათებაში მოჩანს სემინარიული აღზრდის მანკიერი ბუნება, სასიკეთო განზრახვა უგვანი ადამიანების ხელში სრულიად რომ გადასხვაფერებულიყო და ცხვარივით მშვიდი, თავმდაბალი და უწყინარი ახალგაზრდების ჩამოყალიბების ნაცვლად... თავზეხელაღებული რევოლუციონერები და ღვთისმგმობელნი გამოდიოდნენ, და გამოდიოდნენ იმ კედლებიდან. პირწმინდად უქარწყლებდნენ, ვისაც კი ეს პიროვნული ღირსებანი ამშვენებდა და აგერ სათნოების განმასახიერებელი ყმაწვილი სულაც სემინარიის რექტორის მკვლელობით შემორჩებოდა ისტორიას...

...და თავის ადგილს დაიკავებდა თედო სახოკიას „ჩემი საუკუნის ადამიანების" ციკლშიც.

და ეს მხოლოდ იმიტომ არა, რომ მისი ბედი ასე მჭიდროდ დაუკავშირდებოდა დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკულ აღსასრულს. საამისოდ საკმარისი იქნებოდა ცოტა ვრცელი ნიალსვლა დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გამო, კვეთისას — გა ვერით მოხსენიება კი არა, სემინარიის რექტორის — პაველ ჩუდეცკის.

მკვლელობისა და ეგზარხოსის პაველის შიგნ ურთულესი [illegible] დანაწევრებისა; მკვლელი რომ ჭობა, არამედ [illegible]

საგულისხმო რეალიის გახსენება იოსებ ლაღიაშვილის პიროვნული ხასიათის წარმოსაჩენადაც და მკითხველისათვის მისი შემდგომი ხვედრის გასაცნობადაც...

მაგრამ თედოს როგორ გამორჩებოდა, რომ ამ პიროვნების ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი ცალკე და სწორედაც ცალკე უნდა წარმოსახულიყო, როგორც კოლორიტული და მღელვარე ბიოგრაფიის მქონე კაცისა, და არ ჩაკარგულიყო თუნდ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ქრონიკაში.

აჰა, ყველაზე მკაფიო დასტური, თუ რა შეიძლება დამართოდა ცხვარივით მშვიდ და უწყინარ ყმაწვილს გარეგნულად სულიერებისთვის მოწოდებულ, სინამდვილეში კი დაცემულ, გახრწნილ გარემოცვაში, თუ იღბალიც ასე უღვთოდ გაიმეტებდა.

და ამაზე არანაკლებ თედოს ისიც უბიძგებდა, ცალკე ჩასჯდომოდა ამ პიროვნების ზოგადი ბიოგრაფიული ქარგის გამოკვეთას, იოსები რომ არ შეეგუებოდა სახალინის კუნძულზე ჩარჩენას 20-წლიანი სასჯელის მოსახდელად და იქიდან გაქცევის განზრახვას წარმატებითაც შეასხამდა ხორცს — მალევე გაიქცეოდა ჯერ იაპონიაში და მერე ამერიკაში, სადაც სან-ფრანცისკოში შემთხვევით გადააწყდებოდა ქართველი მეზღვაური ჭავჭავაძე. გარდაცვალებით 1907 თუ 1908 წელს გარდაიცვლებოდა — თედოს ამდენი ველარ დაეზუსტებინა და ველარც მისი საქმიანობისათვის მიედევნებინა მზერა, თორემ უეჭველად აღნიშნავდა ესეიში, სადაც ყოველ დეტალსა თუ რეალიას გულდასმით მოუყრიდა თავს, რათა ინტერესი გაელვივებინა მომავალი ბიოგრაფოსებისათვის — არ არის მისაყრუებელი თავგადასავალი და ვინმე როგორ არ გაჰყვებით თავიდან ბოლომდე მის კვალს, ჩემი მხრივ კი საყრდენს შეგიქმნით საამისოდო...

არადა, რა მადლიანი მასალაა არამარტო ბიოგრაფოსთათვის, არამედ ბელეტრისტებისთვისაც, იმათაც რომ არანაკლებ წაადგებათ ამ მოვლენათა მართებული, ყოველმხრივი და ღრმა გააზრებისათვის.

აგერ რამდენიმე ათწლეულის მერე ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი) მოჰკიდებდა ხელს რომანის ქარგად ამ თემას, საუკუნეზე

მეტი ხნის შემდგომ კი ლაშა იმედაშვილი აქცევდა ვრცელი მოთხრობის სიუჟეტად...

ხოლო ბიოგრაფიული რომანისათვის უკეთესი კომპოზიციური ჩარჩო რა უნდა იყოს, თუ არა ის პასაჟი — არა ესეიში, არამედ ციმბირულ დღიურში რომ შეიტანდა თედო სახოკია — უფრო ზუსტად, ესეიში გაკვრით აღნიშნული აქ გულისშემძვრელ სურათად წარმოისახებოდა.

— იოსებ ლაღიაშვილს იმდენად გაუსაძლის პირობებში უხდებოდა სასჯელის მოხდა, რომ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაქცეულიყო სახალინიდან. მისულა ზღვის პირას, სადაც უნახავს სულ პატარა ნავი, რომელშიაც თავგანწირულის მეტი არავინ ჩაჯდებოდა თურმე... ლაღიაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა: ბედი ეცადა, ჩამჯდარიყო ნავში და, ზღვა თუ სადმე ადამიანურ ქვეყანაში გარიყავდა, ხომ რა კარგი, თუ არა და, დახრჩობა ერჩივნა სახალინზე ტანჯვას.

მზამზარეული კომპოზიციური ქარგაა, მითუმეტეს, ყოფითი სურათი მღელვარე ზღვაში ატორტმანებული ნავისა ძალდაუტანებლად განზოგადდება იოსებ ლაღიაშვილის დრამატულ ბედადაც და... საქართველოს თავზე დატეხილ ავ ბედისწერადაც!..

სწორედ აქედან უნდა ამოიხვიოს სიუჟეტმა მანამდელი ამბებიც და მომავლის მოლოდინში გამოკრული ეპიზოდებიც (თუმც... ვისთვის როგორ, არა?!), საბოლოოდ, სამოგზაურო რომანთა გმირებსაც რომ შეეხარბებათ, თედო სახოკიას მღელვარე ბიოგრაფიისა არ იყოს.

ჩემი მხრივ კი საყრდენს შეგიქმნით საამისოდო...

და ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოკვეთისას ისეთი ნეტარებით გაიხსენებდა, თუ როგორ გაუყარა მოთმინების ფიალააავსებულმა იოსებმა პალტოს ჯიბეში დამალული სატევარი მტარვალს, თითქოს თვითონაც იქ მდგარიყოს და ხელიც შეეშველებინოს ამ გარდუვალი აქტის აღსრულებისათვის.

იოსებ ლაღიაშვილის ხსოვნას ყველაზე უკეთეს ქომაგად თედო სახოკია თუ დაუდგებოდა, ანდა შიო არაგვისპირელი, ვისაც, ჯერ ისედაც სკეფსისმორეულს და ახლა ამ ახალმოწე-

სეთა გამოჩენით გულმოკლულს, ხელი ჩაექნია ცხოვრებაზე და ძალიან ეეჭვებოდა, რაიმე მნიშვნელობა თუ ჰქონდა სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავგამოდებას და ისტორიის დალაგებასაც ისე, სინამდვილეში როგორც იყო ყოველივე.

და თედოზეღა მოგდებულიყო იოსების კანთიელი პორტრეტის გამოკვეთა.

არადა, რა დრო იყო, ასერიგად რომ შესთვისებოდნენ ერთმანეთს და ოცნებებსაც ძალდაუტანებლად ასდევდნენ — ამ ორის ზეგავლენით შიოც, ბავშვობიდანვე რომ რაღაც გამოუთქმელ კაეშანს შეეპყრო და გარშემო მყოფთ ისე აფრთხობდა თავისი მიუკარებლობით, აგერ თვით თედოსაც შიში შეიპყრობდა მისი პირველი დანახვისას ტფილისის სასულიერო სემინარიის კედლებში და სულ იმას ცდილობდა, მის სიახლოვეს აღარ მოხვედრილიყო.

— საფრთხობელას შთაბეჭდილებას ტოვებდა.

საფრთხობელა საფრთხობელად, შიში შიშად...

მაგრამ თედო სახოკიას ჩინებულად მოეხსენებოდა კონტრასტის ხერხის ეფექტი და შეგნებულად დაიწყებდა შიო არაგვისპირელის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოქანდაკებას სწორედ ამ განცდებით,შემდგომ „უცნაურ გაცნობასაც“ რომ დაარქმევდა და... კიდეც ერთბაშად ჩაახედებდა მკითხველს ამ გარეგნულად მიუკარებელი ადამიანის ფაქიზი, ნატიფი სულის სიღრმეებში და თავის აღფრთოვანებასაც გადასდებდა ამ ხასიათის იდუმალი ხვეულების შეცნობით.

ესეც შიო არაგვისპირელის სულის კარდიოგრამაც და მეგზურიც ამ ხასიათის თავისებურებათა სრულყოფილად წარმოჩენისა და ცხოვრების ქარგის თავით ბოლომდე გადმოსაშლელად, ძალიან რომ წამადგებოდა ამ დიდებულ ნოველისტზე ბიოგრაფიული რომანის — „მზე და მწუხრი“ — შესაქმნელად, არამარტო თედო სახოკიას მონათხრობის კვალს რომ დავადგებოდი, არამედ თვითონ თედოსაც შემოვიყვანდი პერსონაჟად და საკმაოდ რელიეფურადაც დავისაჭიროებდი მისი პორტრეტის გამოკვეთასაც. აბა, შიო არაგვისპირელის ცხოვრება უთედოოდ?!. ვისაც ბედად ეწერა მეტად მნიშვნელოვანი, ის კი

არა და, სულაც გადამწყვეტი როლი შეესრულებინა მეგობრის გზის არჩევაში, გარდა რჩევებისა და ხელის გამართვისა, იმასაც ძალდაუტანებლად რომ გადაუშლიდა თვალწინ, რას ნიშნავდა უზომო სიკეთე და უანგარობა, და რომ დონკიხოტური სულის არსებობა ილუზია ან მოლანდება კი არ იყო, არამედ სავსებით რეალური მოვლენა, რომელსაც მხოლოდ სხვადასხვა სახელი ერქვა; ამჯერად კი თედო სახოკიას სახით გამოცხადებოდა მასაც და სხვათაც, ვინც თან იჯერებდნენ და თან ვერც იჯერებდნენ, ეს კაფანდარა და დაუდგრომელი, რას აღარ მოდებული კაცი მოყვასზე ისეთ ზრუნვასაც რომ ახერხებდა, ძალიან რომ უმსუბუქებდა და უადვილებდა ყოფითს ცხოვრებას, თორემ გარშემო მყოფთა ბედზე არც გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა ყოფილა მისთვის რაღაც იშვიათობა.

თითქოსდა უცნაურია, მაგრამ აღარც უცნაური, როდესაც ორივე ყმაწვილის სულში ვიხედებით, რომ ჯერ შიო დედაბრიშვილი და იოსებ ლაღიაშვილი დამეგობრდებოდნენ.

არადა, ისინი ამოიცნობდნენ, თუ ამოიცნობდნენ ერთმანეთში ღრმა სულიერ სიახლოვესა და თანაზიარობას.

და აი, თედო სახოკიაც უნდა შემოერთებოდა მათ და სამივეს ეგრძნო, თუ რას ნიშნავს მეგობრობა და განუყრელობის სურვილი.

შიოც და სოსოც, როგორც თედოზე ერთი წლით ადრე შესულები სემინარიაში და უკვე გაცნობილები და დიდადაც მოხიბლულები ახალი მიმართულებით — სოციალიზმით, თავს იდებდნენ ახალშეძენილი მეგობრის განათლება-გათვითცნობიერებასაც და მოამარაგებდნენ რუსული ყოველთვიური ჟურნალებით, „სოვრემენნიკი“ იქნებოდა თუ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, და ქართული გამოცემებით — ნიკო ნიკოლაძის „კრებულითა“ და მიხეილ გურგენიძის „იმედით“.

აღმზრდელ-მასწავლებლებად თვითონვე დაუდგებოდნენ და თედოც და მისი კლასელებიც ერთ წელიწადში სავსებით მომზადებულებად იგრძნობდნენ თავს სემინარიასთან არსებულ ფარულ წრეში მონაწილეობის მისაღებად.

იქ ადვილად კი არავის იღებდნენ — ჯერ კიდევ ის დროა, როდესაც გულდასმით არჩევენ სოციალისტური იდეების მო-

მავალ მქადაგებელთ და ხარისხი ბევრად ურჩევნიათ რაოდენობას. და სწორედ შიოსა და სოსოსთანა აღმზრდელები უნდა გყავდეს, იქ რომ შეაღწიო და თავიც დაიმკვიდრო.

ესეიში თედო საგანგებოდ გაიხსენებდა აღდგომის იმ კვირას, როდესაც ეს განუყრელი სამეული მთელ დღეს დაჰყოფდა ბუნების წიაღში, სასეირნო ადგილად კი წინასწარვე შეარჩევდნენ იმ გორაკს, რომელიც თავზე გადმოსცქეროდა დღევანდელ ღრმაღელეს, იმჟამად კი იქ მწყემსების ფარეხები ჩარიგებულიყო.

ამ დღეებში ბურსაში მყოფ სემინარიელებს ნება ეძლეოდათ მშობლებთან წასულ-წამოსულიყვნენ და შინ აღენიშნათ ეს ბრწყინვალე დღესასწაული, მაგრამ ვისაც სახლ-კარი ან დედმამა არ გააჩნდა? ანდა შინ გასამგზავრებლად ფული არ ებადა? რაღას იზამდნენ, ისინი ბურსაში უნდა დარჩენილიყვნენ და იქ გაეტარებინათ ეს დღეები, „ბედნიერიო“ — წინწკლებით რომ შემოსავდა თედო და ასე გვაგრძნობინებდა იმ მწარე ირონიას, ამ სამეულსაც რომ უნდა გამოეცადა ეს „ბედნიერება“, რადგანაც სოსოს აღარავინ და აღარაფერი მოეძევებოდა, ამ ორს კი სახარჯო ფულს, აბა, ვინ უწყალობებდა?!

აქ რომ გავჩერდეთ ეს დღეები, სულიც ამოგვხვდებაო, — ერთმანეთს შესჩივლებდნენ და კიდეც გადაწყვეტდნენ გორაკის მონახულებას.

მოგონება გვამცნობს, რომ მთავარი მიზეზი თუ მოტივი ეს ყოფილა — სემინარიისათვის დილიდან საღამომდე თავის მორიდება და სუფთა ჰაერის ყნოსვა, როგორც პირდაპირი, ისე სიმბოლური მნიშვნელობით, მითუმეტეს, რომ გზაშივე სოსო მქადაგებლად დადგებოდა და დაუხატავდა სემინარიის მთავრობას — ადამიანის სახით მოვლენილ ჯალათებს — და მერე მასზე ზემდგომ მთავრობასაც, რომელიც სემინარიის ხელმძღვანელობის ხელში ყრიდა ამდენი ახალგაზრდის ბედ-იღბალს; და თუმც შიოს ლაპარაკი ყოველთვის ემძიმებოდა, შიგადაშიგ ისიც ჩაურთავდა თითო-ოროლა სიტყვას კორექტივის ხასიათისას; და გაზაფხულის მზის თბილი სხივები უსაზღვროდ რომ უალერსებდნენ სამივეს, თედოს ეს ახალი, მისი სიცოცხლის გაზაფხულის სიტყვები სულ ახალსა და ახალ ჰორიზონტებს

გადაუშლიდა, გულს საამოდ დაუტკბობდა და ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლისათვის შეაგულიანებდა, ახალი მიმართულების ჭეშმარიტებით რომ გაუჟღენთდა ნორჩ არსებას.

— წარმომიდგა, ვითომ ახლა ამეხილა აქამდე დახუჭული თვალები, ფათურით მოსიარულე ახლა გამოვედი ნათლით გაბრწყინებულ გზაზედაო...

ცხადია, სამუდამოდ შემორჩებოდა ეს ეპიზოდი თედო სახოკიას ხსოვნას — ამ ექსკურსიით უნდა ჩაჰყროდა მკვიდრი საძირკველი იოსებ ლაღიაშვილსა და განსაკუთრებით შიო დედაბრიშვილთან მის დაახლოებას, რომელიც უნდა გადაქცეულიყო მტკიცე, ურყევ, სამარის კარამდე გაყოლილ მეგობრობად და ძმურ, დაუვიწყარ სიყვარულად, თანაც, სრული შემოტრიალება უნდა მომხდარიყო მის არსებაში და გორაკზე ასული, წყაროს პირას ჩამომჯდარი სემინარიელი იქიდან სოციალისტური დოქტრინით თავბრუდახვეული დაბრუნებულიყო... და როდესაც ასეთი სულისშემძვრელი დღე აღმოჩნდებოდა, საგანგებო ადგილიც უნდა ეპოვა საყმაწვილო ხანის გახსენებისას, მაგრამ ნურც ის გარემოება გამოგვრჩება, სტრიქონებს შორის ხელშესახებად რომ ილანდება და რაღაც სხვაზეც მიგვანიშნებს.

რა სხვაზე და: ეთნოგრაფის ცნობისწადილზე, მეტიც — წყურვილზე, რაც გულისხმობს არა მარტო შერწყმას გარემოსთან, მის შეთვისებასა და გაშინაგნებას, არამედ მისი ყოველმხრივი აღწერისათვის მზადყოფნას — ჯერ გაუცნობიერებლად, ცხადია, რათა შემდგომ ეს მისთვისაც დუმალი სწრაფვა ხელშესახებად გამოიკვეთოს და არა მარტოდენ საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული მოიხილოს და მოჩხრიკოს ამ თვალით, არამედ... ციმბირში გადასახლებაც საამისოდ გამოიყენოს, ის კი არა, მადლიერიც კი იყოს ბედისა, საციმბიროდ რომ გაამწესა და კატორღაში უკრა თავი: ეს სასჯელი რომ არა, აქაურობის მონახულება და შესწავლა ხომ არ მეღირსებოდაო.

ეს წამიერი გალაღებაა, გორაკზე ყოფით-სიმბოლური ასვლა-ჩამოსვლა, შემბოჭველ ყოფას რომ გამოჰგლეჯდა ეს სამეული ზოგიერთ სხვა გალაღებასთან ერთად, მაგრამ ულმობელი რეალობა მწარედ აზღვევინებდათ და იოსებ ლაღიაშვილი სახა-

ლინზე რომ ამოყოფდა თავს, სემინარიაში კი მკაცრ რეპრესიებს მიმართავდნენ, თედო სახოკიაც მოჰყვებოდა ამ ტალღაში, რომელსაც ერქვა გაცხრილვა საეჭვო და არასასურველი ელემენტებისაგან, ხოლო თედოზე უფრო საეჭვო და არასასურველი ვიღა ეგულებოდათ, მასთან სიახლოვესაც რომ ბრალდებად წაუყენებდნენ სხვებს და მის კვალს გააყოლებდნენ.

სემინარიის ინსპექტორი მის ბინას რომ დაათვალიერებდა და იპოვნიდა ლეიბქვეშ დამალულ პფეიფერის „კოოპერაციას", ამაზე ააგებდა თედოს არაკეთილსაიმედოობის ბრალდებას და ურჩევდა, თავისივე ნებით გასულიყო სემინარიიდან, თუკი სურდა მოწმობაში „5" გამოეყოლებინათ ყოფაქცევაში. თუ არა და, სემინარიის მმართველობა მაინც დაითხოვდა, ყოფაქცევაში კი „4"-ს გამოაყოლებდა, ხოლო ეს ყოველგვარ საშუალებას მოუსპობდა სხვა სასწავლებელში შესვლისას.

ჩათრევას რომ ჩაყოლა სჯობდა, ეს დიდი ხნით ადრე იცოდა თედომ, ვიდრე ქართული ანდაზების შეგროვებას მიჰყოფდა ხელს.

— იძულებული ვიყავ, მოვშორებოდი სემინარიის ამხანაგებსა და შიოს. მე საზღვარგარეთ წაველ, შიო კი სემინარიაში დარჩა.

ესეიში აღარ გაშლიდა ამ პასაჟს, იმასაც კი აღარ დააზუსტებდა, უშუალოდ რას გულისხმობდა საზღვარგარეთ გამგზავრება, ანდა შიო რამ იხსნა სემინარიიდან გამოძევებისაგან.

„ავტობიოგრაფიაშიც" ძუნწად გვიამბობდა, თუმც გაცილებით მეტს გვამცნობდა, დაწყებულს მამის წუხილით, დიდი იმედებით გაცილებული შვილი სააღდგომოდ რომ ჩაუვიდოდა უკვე „თავისუფალი", სემინარიის გარეშე მყოფი, ანაფორით შემოსვაზე სამუდამოდ ხელაღებული...

— მამაჩემი შესრულებული ფაქტის წინაშე დავაყენე და ისიც, ძალაუნებურად, შეურიგდა თავის მდგომარეობას.

* * *

ხალხოსნობას ძალიან რომ აფასებდა, შაქრო ბილანიშვილსაც ამიტომ მიაგებდა განსაკუთრებულ პატივს — როგორც ამ მოძრაობის პიონერს. თედო ტფილისის სემინარიაში რომ გადმოვიდოდა სწავლის გასაგრძელებლად, შაქროს სემინარია

კარგა ხნის დამთავრებული ექნებოდა, მაგრამ ეს ხშირად დაინახავდა მაღალი კლასის მოწაფეებს შორის ჩამდგარსა და მუსაიფში გართულს, იმგვარ მუსაიფში, ყველა სოციალისტის მოვალეობა რომ იყო: ყველასაგან დაჩაგრული, უსწავლელობით თვალებდაბნელებული, გონებამიძინებული გლეხის გამოღვიძება, ფეხზე დაყენება.

ეგაა, შორიდან თუ მიადევნებდა მზერას ამ ქერა, უფრო წითურ, მაღალ ყმაწვილკაცს, ეშხით მოლაპარაკეს, მის ქებას რომ ისმენდა ყველასაგან: ძალზე ნაკითხი და ხალხოსანიო.

შაქრო კი მოუწყინრად იმეორებდა და ყველას დაბეჯითებით შეაგონებდა:

— ვისაც უნდა, ხალხს ემსახუროს, ვინც ნამდვილი სოციალისტია, ამ ხალხში უნდა ტრიალებდეს, მისი ჭირ-ვარამი ყველაფერში უშუალოდ გაიგოს და შეეცადოს, დაუამოს ტკივილი.

ეს კეთილშობილური მიზანი გადააწყვეტინებდა სოფლის მასწავლებლობასაც.

ხალხში ტრიალი ერთხანს თითქოს დაუკმაყოფილებდა სწრაფვას და აფიქრებინებდა, რომ ასე და მხოლოდ ასე უნდა განეგრძო ცხოვრების გზა, მაგრამ... მთლადაც რომ ვერ შეაჯერებდა გულს ამ ყოფას?! თითქოს რაღაც აკლდა, რაღაც მნიშვნელოვანი გამორჩენოდა და... კიდეც შეეცვლებოდა მსოფლხედვა, უფრო ნამდვილ სამსახურს რომ იპოვიდა ხალხისათვის თავშესაწირად, ვიდრე პედაგოგობა იყო:

— მასწავლებლობას მღვდლობა სჯობია; მღვდელს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ხალხისათვის, ვიდრე მასწავლებელს; მდაბიო, გლეხი მღვდელს უფრო ენდობა, იმას უფრო გადაუშლის გულსა და თავის ჭირ-ვარამს გაუზიარებს. ასე რომ, მე გადაწყვეტილი მაქვს, ანაფორა ჩავიცვა და ისე ვემსახურო ხალხსა.

თედოსა და მის ტოლ-ამხანაგთ, ამ მართლაც ახალგამოჩეკილ სოციალისტებს, სასულიერო წოდებისადმი უარყოფითად განწყობილთ, ბარემ ეხამუშებოდათ შაქრო ბილანიშვილის სიტყვები, მაგრამ... იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი, ქედს მოიხრიდნენ მისი ნათქვამის წინაშე. თვითონაც თუ არ

აირჩევდნენ ამავე გზას, შაქროს მიმართ ოდნავი მუნათის გამოთქმას მაინც მოერიდებოდნენ.

სიტყვა და საქმე ერთი იქნებოდა შაქროსათვის, მღვდლადაც რომ ეკურთხებოდა და სამოღვაწეოდ გაიხდიდა წალკის მხარეს — საქართველოს ძველ სამხრეთ ნაწილში, ერთ დროს ქართველებით დასახლებულში, აწ ბერძენთა სამოსახლო რომ გამხდარიყო და აქა-იქღა კივკივებდა ქართველთა თითო-ოროლა სოფელი. ყოველმხრივ მომზადებულ პიროვნებას ეს გარემოება გულს რას გაუტეხდა და შეუდგებოდა ამ ნასოფლართა და აქ მცხოვრებ ქართველთა აღწერას. ნაკვლევს „ივერიას" გამოუგზავნიდა დროდადრო და თედოც ხელიდან არ გაუშვებდა არცერთ პუბლიკაციას და სხვა მკითხველებივით გატაცებით ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის ამ განაპირა მხარის წარსულს. და რომ ჩაუკვირდებოდა და ამ ყაიდის სხვა სტატიებს შეუდარებდა, დაბეჯითებით გამოთქვამდა ამ შეხედულებას: შაქრო გულისაშვილის ყოველმხრივ დასაბუთებულ წერილებს ინტერესის მხრივ შეედრება საქართველოს მეორე განაპირა მხარის — საინგილოს — აღწერა ედილისა, ცალკე წიგნად დაბეჭდილიო.

და გული სწყდებოდა, რომ შაქროს ნაწერებს აღარ ღირსებოდა წიგნად გამოცემა, რათა ახალ თაობათათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო გარდასულ ამბავთა სანდო, უტყუარი სურათები და მადლიერებით მოეხსენებინათ თავიანთი წინაპარი:

— პირდაპირ მშობლიური სიყვარულით მოყვარე თავისი უბედო ბედისაგან ტანჯული და ჩაგრული ქვეყნისა და ხალხისა.

მარჯვედ ნაპოვნი განსაზღვრებაა, ადამიანს თავისი ქვეყანა მშობლიური სიყვარულით რომ უყვარს.

მარჯვედ ნაპოვნი იმიტომაც, რომ თედო სახოკიას მთელი არსებით განეცადა საკუთარ თავზე, თუ რას ნიშნავს ამგვარი სიყვარული.

ეგ არის, სოციალისტის მიერ მღვდლის ანაფორის ჩაცმისა ვერა გაეგო რა!..

თუმც — ეს აკი თავიდან, თორემ მერე და მერე მკაფიოდ უნდა გაეცნობიერებინა სოციალიზმის მოჩვენებითობა, არსებითად ქრისტიანობის მატერიალიზებულ ვერსიას რომ წარმოად-

გენდა და ამიტომაც — გატლანქებულს, დაგონჯებულს, სულგამოცლილს, მარტოდენ გარეგნული ბრჭყვიალებით რომ იტაცებდა თვალს, ვიდრე საბოლოოდ გაკოტრდებოდა და თვითონაც კრახით დაასრულებდა არსებობას და იმ ქვეყნებსაც კრახით დაუმთავრებდა, ფეხს სადაც მოიკიდებდა ცეცხლითა და მახვილით გულმოცემული და გამძვინვარებული.

მასწავლებლობას მღვდლობა სჯობიაო...

და ამას ირწმუნებოდა სოციალისტურ იდეათა მქადაგებელი და ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი ბაირახტარი საქართველოში.

დაუდგებოდა დრო თედოსაც სოციალიზმის არსის შესაცნობად და ახალგაზრდულ წარმოდგენათა გადასაფასებლად, ხოლო ჯერჯერობით...

* * *

სემინარიას კი გამოერიდებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა მოეძებნა ახალი სასწავლებელი ცოდნის შესაძენად, აბა, ცხოვრებაში გარიყული ხომ არ დარჩებოდა!.. და მამის წინაშეც თავს დამნაშავედ რომ გრძნობდა, ფიქრობდა, ამ ყველაფერს გამოვასწორებ და გულსაც დავუმშვიდებო.

ახალი სასწავლებელი კი, მაგრამ... სად და რა ხასიათის?

საამისოდ ისევ თავისი ის აკვიატებული ახალი მიმართულება უბიძგებდა, რაკიღა ამ დოქტრინის მიმდევართა, მოსოციალისტოთა თვალში დიდ მოწონებას მოიპოვებდა აგრონომია, და ნეტარებით ივსებოდნენ, როდესაც წარმოიდგენდნენ, რომ საკუთარი ოფლით, ფიზიკური მუშაობით უნდა ერჩინათ თავი და საშუალება მიეცემოდათ, უშუალოდ გლეხს, ამ ყველასაგან გაქექილ, ყველას მიერ აბუჩად აგდებულ არსებას, ამოსდგომოდნენ გვერდით, მისი შრომა გაეზიარებინათ, მისი ნუგეშისცემაც მეტად შესძლებოდათ, ვიდრე მარტოდენ სიტყვიერი თანაგრძნობა გახლდათ.

საერთო განწყობილებას რომ გვამცნობს, რომლის შუაგულში თვითონაც მოქცეულა, აღარც თედო და აღარც სხვა ქართველი ახალგაზრდები აღარ დაგიდევდნენ, რომ ეს განწყობილებაც და შეხედულებანიც ევროპულ და რუსულ გარე-

მოს უფრო შეჰფეროდა, ვიდრე ქართულ სინამდვილეს, სადაც გლეხი სრულებითაც არ

ყოფილა ასერიგად დაბეჩავებული. რაკილა გაეხვივნენ სოციალისტურ-კომუნისტური ილუზიების ხიბლში, კიდეც ამ გადასახედიდან აღიქვამდნენ და გაიაზრებდნენ ყველასა და ყველაფერს, რადგანაც კლასებისა და მათი დაპირისპირების მარქსისტული თეორია უკეთესი განსჯის საშუალებას არ აძლევდათ.

ქართველ გლეხთა ყოფის ასეთი დრამატიზება რა სათქმელია, როდესაც ქართველი სოციალისტები თუ მათი მიმდევარნი არარსებული ქართული პროლეტარიატის გამოსახსნელადაც კი შემართულიყვნენ!..

ნეტა ვისგან უნდა გადაერჩინათ, რომელი კირთებქვეშიდან უნდა გამოეძვრინათ?!

ყველას მიერ გაქექილი, ყველას მიერ აბუჩად აგდებულიო...

ეს განცდა-შეხედულება რომ არა, განა ისე არ შეიძლებოდა აგრონომობა მოენდომებინათ თედოსა თუ სხვა სწავლამოწყურებულ ყმანვილკაცებს?..

რას იზამ, მთავარია, რომ ეს აუცილებელი დარგი უპატრონოდ არ დარჩებოდა, ის კი არა, ყველაზე მეტი მსურველი ამ ხელობას მიაწყდებოდა.

ეგაა, შვილის გამოძევებით გულგატეხილი მამის თვალში ეს ხელობა სულაც არ გამოჩნდებოდა რაღაც მნიშვნელოვნად, არამცთუ მღვდლობის შემცვლელად, და თედოსაც კი გაუძნელდებოდა მისი დაყოლიება, ასეთ ენამჭევრ ყმაწვილს, ადვილად რომ იგებდა ყველას გულს. ეტყობა, უხერხულობასაც რომ გრძნობდა მამის წინაშე, ესეც აბრკოლებდა, არადა, გულს უკლავდა მამის... ჯერ მთლად სასოწარკვეთილება თუ არა, ბევრიც არაფერი აკლდა.

ამ გაჭირვების ჟამს მრჩევლად, გზაზე დამყენებლად ანთიმოზ ჯუღელი რომ გამოუჩნდებოდა, თედოს მამასაც ის დაარწმუნებდა არამცთუ აგრონომობის ვარგისიანობაში, არამედ განსაკუთრებულ აუცილებლობაში, და ტიმოთე სახოკია რომ დაჰყაბულდებოდა შვილის გამგზავრებას საზღვარგარეთ და იქ სააგრონომო ცოდნის მიღებინებას, ეს იმიტომ, რომ:

— მისი ნათქვამი მამაჩემისათვის კანონი იყო.

და ორიოდე სტრიქონით მოხაზავდა, თუ რატომ შეიძლებოდა ანთიმოზ ჯუღელის სიტყვა ამ პიროვნებისთვისაც კანონივით ყოფილიყო, და საერთოდ რითი და როგორ მოეხვეჭა გამორჩეული ავტორიტეტი მოსახლეობაში:

— ძველი „სოციალისტი“, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, ურომლისოდაც არავითარი პროგრესული საქმე არ კეთდებოდა სოხუმში და რომელიც პატრონსა და ინტელიგენციას მოკლებულ ქართველობას სოხუმისას ნამდვილ პატრონობას უწევდა.

ეს ორიოდე სტრიქონიც ძალდაუტანებლად მიგვანიშნებს, რომ ამ კოლორიტული პიროვნების გარეშე არ დარჩებოდა „ჩემი საუკუნის ადამიანების“ გალერეა, სტერეოტიპული წარმოდგენის მიხედვით ერთი მეამბოხე ტიპი რომ შეიძლება გვეგონოს, მაგრამ აგერ თედო დაგვიხასიათებს როგორც ჩუმს, უწყინარს, უსაზღვროდ კეთილსა და მოყვასის გამკითხველს.

თითქოს თვითონ თედოს პიროვნულ თვისებებს ვაკვირდებოდეთ.

და აღარც ის გვიკვირს, რომ სვირის მღვდლის შვილი ანთიმოზი ვერ შეჰგუებოდა ტფილისის სასულიერო სამინარიის მეტად მახინჯ წესებს და მხოლოდ მეორე კლასამდე შემორჩენოდა იმ შემხუთველ ზღუდეებს.

ქართული ლიტერატურის მსახურებას რომ მოინდომებდა და პოეტურ კრებულსაც გამოსცემდა სახელწოდებით „პირველი სიყვარული“, ეს სათაური ისეთ სიცილსა და მეგობრულ შეხუმრებას გამოიწვევდა მკითხველებში, რომ... კიდეც მოთავდებოდა ანთიმოზის სამწერლო მოღვაწეობა.

ხან აქეთ რომ მიაწყდებოდა და ხანაც იქით, მასწავლებლობას დაიწყებდა სამეგრელოს სოფელ სუჯუნაში, მაგრამ... რევოლუციური მოქადაგე გამოდგაო — შეიპყრობდნენ და სამთვესაც ალესინებდნენ სატუსაღოს კედლებს.

სუჯუნიდან სოხუმში რომ გადმოვიდოდა, აქაურ მთიელთა სკოლაში, ზოგიერთს ქართულ გაზეთსაც გამოაწერინებდა — „დროებას“, რაც უჩვეულოდ გამოჩნდებოდა და თედო სახოკიაც

მოვალედ მიიჩნევდა თავს, ეს რეალიაც საგანგებოდ შეეტანა ანთიმოზ ჯუღელის მოკლე ბიოგრაფიულ ქრონიკაში, რომელიც ანთიმოზის მოღვაწეობიდან გამოარჩევდა, რომ სწორედ მას ესწავლებინა სოხუმელთათვის აბრეშუმის ჭიის მოვლა, ამისათვის კი ამ ქალაქის მკვიდრთ ხელის განძრევის მეტი არაფერი სჭირდებოდათ — სოხუმის გარშემო, ერთ კილომეტრზე, აუარებელი მიწა მოეპოვებოდა ქალაქს, თუთის ხეები სადაც ხარობდა. ანთიმოზს არაერთი მიმბაძველი გამოუჩნდებოდა, რაკიღა საკუთარი თვალით დარწმუნდებოდნენ, საქმე სახეირო ყოფილაო. სახეირო და ასეთი?! მეაბრეშუმეობის ამხანაგობაც დაარსდებოდა სოფელ დრანდაში, თუმც იქაური ადმინისტრაცია შეეცდებოდა ამხანაგობისათვის კუდი გამოება და ყველა დაერწმუნებინა: მეაბრეშუმეობა მოგონილია, სინამდვილეში პოლიტიკური კრება იყო და სულ სხვა რამ ედოთ გულში კრების გამხსნელთო.

თედო სახოკია მარტოდენ ამ ფრაზას გვამცნობს და თავის მხრივ არაფერს დასძენს, თუმც მის მიერ წარმოსახული ანთიმოზ ჯუღელის პორტრეტი ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ არც უამისობა იქნებოდა და კრების ყველა მონაწილეს თუ არა, თვითონ ანთიმოზსაც და რამდენიმე კაცსაც უსათუოდ პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდათ, რადგანაც ყველა წამოწყებას ამ თვალით ზომავდნენ, საქვეყნო გადასახედიდან და არა სათავისო ჩხირკედელაობიდან.

ანთიმოზისვე მეთაურობით სოხუმის აღმოსავლეთით ერთ კილომეტრზე, ციხის დაბლობზე, დაარსდებოდა ამხანაგობა მიწების შეძენისა. მიწის პატრონისაგან — ვინმე ჩაფაროვისაგან — 7 დესეტინა მიწას რომ შეიძენდნენ, ორმოც კაცზე მეტი დაინაწილებდა. სოხუმის განაპირას, მაღლობზე, შავი ზღვის გადასახედზე შეიძენდნენ სამოსახლო მიწებს, აიშენებდნენ სახლებს და ზაფხულობით სოხუმიდან გამგზავრება აღარც სჭირდებოდათ, ისე შეეძლოთ მთელი სამი თვე ქალაქიდან გაუსვლელად გაეტარებინათ. თითო ნაკვეთი მიწა ხუთი თუ ექვსი თუმანი დაუჯდებოდათ.

ეს ორიოდ მაგალითიც სავსებით კმარა, რათა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას ანთიმოზ ჯუღელის გავლენაზე, და რაღა ტიმოთე სახოკია დაუშვებდა ძირს მის რჩევას.

მოუგროვებდა შვილს სამგზავრო ფულს, გზას დაულოცავდა და ესეც დაადგებოდა ევროპის გზას ისეთი გულანთებული, შეუთვისებელი და შეუსწავლელი არაფერი დამრჩებაო, ეჭვიც არ ეპარებოდა.

პირველად თავს ამოყოფდა ჟენევაში, შვეიცარიის დედაქალაქში, სადაც დახვდებოდა იქ ახალჩასული ივანე მაჭავარიანი, ფრანგ მწერალთა თარგმნით რომ უნდა გაეთქვა სახელი და ივანე მაჩაბელთან, გრიგოლ ყიფშიძესთან, ნიკო ავალიშვილსა და თედო სახოკიასთან ერთად გზა გაეკვალა ქართველი მკითხველის ცნობიერებისათვის დასავლეთისაკენ, ამასობაში გერონტი ქიქოძეც ენერგიულად რომ უნდა ამოსდგომოდათ გვერდით და ერთბაშად აღედგინათ მთაწმინდელთა მოღვაწეობის ხანა, მთარგმნელთა დიდებული სახელებით დამშვენებული, თანადროულ მკითხველს მსოფლიო კულტურული მოვლენების შუაგულში რომ ამყოფებდნენ, რადგანაც რაც რაიმე მნიშვნელოვანი შექმნილიყო და იქმნებოდა აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, ყველაფერი ქართული ენობრივი სივრცის კუთვნილება ხდებოდა, თანაც — საარაკო სისწრაფით.

მერე დასავლეთს დაგვაშორებდა ბედისწერა.

მერე რუსეთის იმპერია ჩაეჩხირებოდა ჩვენსა და დასავლეთს შორის, რათა მხოლოდ მის პრიზმაში გამოვლილი გვცოდნოდა ევროპული სულიერი მონაპოვარი — ადაპტირებულს კიდევ ვინ ჩივის, თურმე დამახინჯებულიც, პირველქმნილებას საგრძნობლად დაცილებულიც... და დიდი სულიერი გარდატეხა უნდა მომხდარიყო ჩვენს სამწერლო ყოფაში,შემოსალტული მიჯნა რომ გაგვერღვია და ფეხდაფეხ ავდევნებოდით დასავლურ სალიტერატურო პროცესებს, საამისოდ კი თანდათან უნდა ამოგვევსო ის ხარვეზები, რაც ჟამთა უკუღმართობას გაეჩინა შენს მთარგმნელობით სფეროში, და თანადროული სიახლეებისთვისაც მეტი სიღრმით მიგედევნებინა მზერა.

იქ კი იმჟამად ორი ახალგაზრდა რომ ბჭობდა და გეგმებსაც უზიარებდნენ ერთმანეთს, ჯერ არცერთმა არ იცოდა, რამხელა მოვალეობა დაჰკისრებოდათ ქართული მწერლობის წინაშე — კულტურული ხიდების გადება, თუმც ივანეს, თედოზე რამ-

დენიმე წლით უფროსს, უკვე მოესინჯა თავი მთარგმნელობით სარბიელზე და პირველი პუბლიკაციის სიხარულიც განეცადა.

საერთო ბევრი აღმოაჩნდებოდათ, თანაზიარ სულებს როგორც შეშვენით, და ნიშანდობლივია, რომ თედო ივანე მაჭავარიანთან, და კიდევ სიკო სალარიძესა და ივანე ემელიანოვთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგს მოსწერდა ბარათს, დათარიღებულს 1886 წლის 29 დეკემბრით, არა მარტო ამ ოთხეულის, არამედ ამ ქალაქში მყოფი ყველა ქართველი სტუდენტის სახელით რომ სთხოვდნენ სახელოვან მწერალს, გაეგზავნა თითო ეგზემპლარი თავისი იმ თხზულებებისა, რომელნიც ცალკე წიგნებად გამოცემულიყო.

— ჩვენ დარწმუნებული გახლავართ, რამოდენადაც გიცნობთ, რომ ამ თხოვნაზე უარს არ გვეტყვით, და, ამასთანავე, რადგან ჩვენს

ლიტერატორებს ყველას იცნობთ, ყველას სთხოვოთ, რომ წიგნებით შეგვეწიონენ.

გარდა „ელგუჯას“ შემოქმედისა, ჩვენს ლიტერატორებს არაერთი სხვა მწერალიც იცნობდა და, შესაძლოა, კიდევ უფრო უკეთესადაც, მაგრამ ამ ახალგაზრდებს მაინც ალექსანდრე ეგულებათ ხიდადაც ქართულ ლიტერატურასთან, თორემ ყველაზე ძალიან მის თხზულებებს რომ ეწაფებიან და უპირველესად მათი გაცნობა სწყურიათ, ამ ბარათზე უკეთესი დასტური რაღა უნდა იყოს!

ვერა, ვერ იკმარებდნენ ჟენევაში მყოფი ქართველი სტუდენტები მარტოდენ სამეცნიერო საგნების სწავლას, აუცილებელი გახლდათ სისხლხორცეული კავშირი მშობლიურ გარემოსთან, საამისოდ კი მწერლობაზე უკეთესი საყრდენი თუ გზამკვლევი რა უნდა ყოფილიყო, მწერლობის ხსენება კი უპირველესად ალექსანდრე ყაზბეგის სახელს წამოუტივტივებდათ ცნობიერებაში, რაკიღა აქედან ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებად მისი თხზულებანი გაჰყოლოდათ.

ცნობისწადილი აიძულებდათ კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ მის ყოველ ახალ წიგნსაც და მის თანამოკალმეთაც, ტერიტორიული სიშორე რომ არ ეგრძნოთ სამშობლოსთან.

რამაზ სურმანიძე ამ ბარათის გადაკითხვისას ყურადღებას მიაქცევდა ერთ „წვრილმანს“, თედო სახოკია საკუთარ სახელს ასე რომ აწერდა: *თეოდოტი*, — ოფიციალურად როგორც ერქვა.

ჯერ არ გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე და ამიტომაც ამჯობინებს ოფიციალურ ფაქსიმილეს, რომელიც ჭკუაში აღარ დაუჯდება სამწერლო სივრცეში შემოსულს და, ნაცვლად *თეოდოტისა*, შინაურულ სახელს შეარჩევს იმ უბრალო მიზეზით, რომ ასე უფრო რიტმიზებული გახდებოდა მისი გვარ-სახელი: სად *თეოდოტი სახოკია* და სად *თედო სახოკია* — მკითხველისთვისაც გაცილებით იოლად დასამახსოვრებელი.

მოგვიანებით მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „მოგზაურობანი“ თედო 1892 წელს სოფელ აკეთში დაარსებულ გურიის სახალხო სამკითხველოზე რომ ჩამოაგდებდა სიტყვას და მის მნიშვნელობას წარმოაჩენდა: ხალხისათვის ფასდაუდებელია აქაური წიგნსაცავიო, — ამ ფასდაუდებლობის თვალსაჩინოებისათვის ამ მაგალითებს მოიხმობდა:

— ახალმოზარდს იშვიათად ნახავთ, არ იცოდეს სახელი ალ. ყაზბეგისა, არ იცნობდეს აკაკის ლექსებსა და სხვა მწერალთა ნაწარმოებებსა.

სახელდებით ეს ორი პირია დამოწმებული და ერთი — „მოძღვარის“ შემოქმედია.

ხოლო სამურზაყანოს სოფელ ოქუმში სულ ერთი თვის წინათ გახსნილი წიგნსაცავის თაობაზეც რომ ამცნობდა მკითხველს, იმ გარემოებას დაუკვირდებოდა, ცოტა არ ყოს, გაკვირვებული: სხვაგან ყველაზე მეტი მუშტარი კაზმულსიტყვაობას ჰყავს და აქ კი უფრო ისტორიულ ნაწერებს ეტანებიანო:

— აღტაცებაში მოდიან, როცა კითხულობენ ი. გოგებაშვილის „თავდადებულ ქართველებს“, რომელშიაც ნაცნობი გმირი „ცოტნე დადიანი“ ყველას თვალწინ ედგა. ყაზბეგის გემოს ცოტ-ცოტათი იღებენ. ყველაზე მეტად ეტანებიან „ჩანგსა“ და „ქალ-ვაჟიანს“.

სახელდებით ამჯერადაც ორი პირის დამოწმებას კმარობს და ერთი — კვლავ კავკასიური ილიადას შემოქმედია.

დამაფიქრებელი და საგულისხმოა, არა?

კაზმულსიტყვაობა იტაცებთ და — ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერები ეგულებათ ერთ უპირველეს საკითხავად.

ისტორია იტაცებთ და — ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერები ეგულებათ ერთ უპირველეს საკითხავად.

სულ რომ არაფერი ვიცოდეთ ამ პიროვნებაზე, ჯერ მარტო ოთხეულის ის ბარათი და ეს ორი პასაჟი „მოგზაურობანიდან“ მიგვახვედრებდა, თუ რამხელა პოპულარობა მოეხვეჭა ამ მწერალს სალიტერატურო სარბიელზე გამოჩენისთანავე და, მითუმეტეს, ოდნავი ეჭვიც აღარ ჩაგვრჩება, როდესაც იმ სურათს გავისიგრძეგანებთ, რარიგი აღტაცებით მოელიან ყმაწვილები მის გამოსვლას სასტუმროდან, რათა უკანაც აედევნონ უსაზღვროებაში გადაშვებულნი.

იქ კი, ჟენევაში, როგორც უფრო გამოცდილი და გზაგაკვალული, ივანე მაჭავარიანი თავს უფლებას მისცემდა, რჩევა გაეზიარებინა ახალჩამოსულისათვის.

ესეც დაუჯერებდა და ჯერ ამ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ქალაქში დარჩენას ამჯობინებდა. მოემზადებოდა ფრანგულ ენაში და შემოდგომაზე იქაური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ნაწილში შევიდოდა. პროფესორთა შორის მოისმენდა გამოჩენილი ანთროპოლოგისა და ბუნებისმეტყველის — კარლ ფოხტის ლექციებს ზოოლოგიაში, გეოლოგიასა და შედარებით ანატომიაში და არანაკლებ გამოჩენილი ქიმიკოსის — გრებეს ლექციებს.

ფოხტის სახელი, ისევე როგორც ჰოლანდიელი ბუნებისმეტყველისა და მატერიალიზმის მოძღვრების მქადაგებლის — მოლეშოტისა, ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნისას სმენოდა, მაგრამ მათ ნაწერებზე ხელი არ მიუწვდებოდა, რადგანაც კითხვა აკრძალული ჰქონდათ — სოციალისტურ ემბაზში ამოვლებულად მიიჩნეოდა მისი ნააზრევი და იმიტომ. და ახლა ისე მისჩერებოდა კათედრაზე მდგარს, თითქოს ლეგენდა გასცოცხლებია თვალწინო.

სამწუხაროდ, ბედი ასეც არ გაანებივრებდა და 1887 წლის მარტში უკანვე გამოისტუმრებდა — მამის სიკვდილი აიძულებდა იქაურობისათვის თავი დაენებებინა, დაბრუნებულიყო

შინ, გამოეძებნა შესაფერისი სახსარი და მხოლოდ მას შემდეგ მიეშურებინა შვეიცარიისათვის. იქ იმასღა გააწყობდა, რომ პარიზში გამგზავრებულიყო და სორბონის უნივერსიტეტის საისტორიო ნაწილზე შესულიყო, რაკიღა ამ დარგზე სწავლის ფულის გადახდა არა სჭირდებოდა.

მაგრამ ბედი ისე ავად ჩასაფრებოდა!..

და, მისდა სავალალოდ, აქაურობასაც უნდა გამოსთხოვებოდა და 1889 წლის დამდეგს კვლავ სამშობლოს დაბრუნებოდა.

ერთ წელიწადს მასწავლებლად გამწესდებოდა ქართლის სოფელ ტირძნისში და... შიო დედაბრიშვილთან დროებით გაწყვეტილი ურთიერთობა რომ აღდგებოდა, ეს ხომ თავისთავად — სულიერად ასე თანაზიარი ორი პიროვნება ანკი როგორ დასცილდებოდა ერთიმეორეს!

მართალია, შიო რეპრესიების იმ ტალღაში არ მოჰყვებოდა, თედოს რომ აუკრავდნენ გუდა-ნაბადს, მაგრამ სემინარიაში მისი დარჩენა დიდხანს ვეღარ გასტანდა, აღარც ვასილ ბარნოვი ეყოლებოდა მფარველად, თელავში გადატყორცნილი, და მასაც თედოს კვალს გააყოლებდნენ; ახლა კი, თედო რომ დაბრუნდებოდა, შიო რკინიგზის სამმართველოში დახვდებოდა, საპასპორტო განყოფილებაში, 25-მანეთიან ჯამაგირზე.

წერაც იმ წელს უნდა დაეწყო, ოღონდ არა ნოველებით, რაც თითქოს უფრო მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, არამედ კომედიებით. პოპულარული გახლდათ კომედიური სპექტაკლები, გიორგი ერისთავსა და ზურაბ ანტონოვს ავქსენტი ცაგარელიც შემატებოდათ და ახალი სუნთქვა გაეხსნა ამ ჟანრისათვის, კიდევ სხვანიც რომ ცდილობდნენ თავ-თავისას, და თუ შიო დედაბრიშვილი მთლად ამ წარმატებულ სამეულს ვერ გაუთანაბრდებოდა, ეგებ იმ სხვებს შორის მოყოლილიყო და საკუთარი პიესა სცენაზე ეხილა.

შემოსავალი აქ მეტი იქნებოდა, თუკი გაუმართლებდა, გადაამეტებდა ბელეტრისტულ თხზულებათა პუბლიკაციებს, რაც მეტად მცირე ჰონორარს თუ მოუტანდა ან... იმასაც ვერა. და შიო, წარმატების სურვილით აფოფინებული და ილუზიებს აყოლილი, აღარ დაგიდევდა, რომ იუმორის ნიჭით მაინცდამა-

ინც ვერ დაიკვეხნიდა, და შემდგომ ნოველისტიკასა თუ რომანისტიკაში კიდეც მოერიდებოდა ამ სტილისტიკას.

ჯერჯერობით კი კომედიებს რომ ჩასჯდომოდა გულითადი მეგობარი, თედოს თავისი იმ უნარისა ეიმედებოდა, ადვილად რომ შეეძლო ურთიერთობის გაბმა და მოხიბვლა საკმაოდ გავლენიანი ადამიანებისა, ამ უნარს კი სათავისოდ ნაკლებ, მაგრამ სხვათათვის კი დაუზარლად იყენებდა და თეატრალურ წრეებშიც თუ ვინმე, ისევ ეს — მისთვის თავგამოდებული კაცი გაუკვალავდა გზას.

თვით ისეთ უკარება და თავის თავში ჩაკეტილ პიროვნებას რომ მიინდობდა, როგორიც შიო არაგვისპირელი იყო, სხვა ვისთან გაუძნელდებოდა საერთო ენის გამონახვა!

ერთბაშად დაწერდა ორ კომედიას შიო, შუალედიც არ დასჭირდებოდა, და გულისფანცქალით გადასცემდა თედო სახოკიას, რომელიც ციმციმ მიურბენინებდა ვასო აბაშიძეს, უკვე სახელმოხვეჭილ მსახიობს და საკმაოდ გავლენიანსაც, ვინც, თუკი მოინდომებდა, დაუბრკოლებლივ გაუხსნიდა გზას სცენისაკენ.

თედოს განსაკუთრებით ის ეიმედებოდა, ეგებ საკუთარი თავი დაინახოს მთავარ გმირებს შორის და მაშინ წინ რაღა დაუდგება შიოს დამკვიდრებას სცენაზეო.

ვასო აბაშიძე ხელაღებით სულაც არ დაიწუნებდა ამ კომედიებს, არა, მთლად ისეც არ გადაირეოდა, ავქსენტი ცაგარლის გამოჩენას რომ გამოეწვია, მაგრამ რაღაც საგულისხმოს მიჰკვლევდა და ივარაუდებდა, კარგი რეჟისორის ხელში იქნებ კიდეც გაამართლოსო. თავისთვის მაინცდამაინც ვერ მოინიშნავდა რომელიმე პერსონაჟს.

თედოც რაღაც იმედს მისცემდა ავტორს, მაგრამ დრო გავიდოდა და... კომედიებს სცენაზე ასვლა არ ეღირსებოდათ.

ისე, მეორე პირი როგორ არ უნდა ჰქონოდა ხოლმე შიოს, ხელნაწერის ერთადერთი ცალი რომ მიანდო თეატრს და თუნდაც უახლოეს მეგობარს, ავი შემთხვევითობისაგან განა ვინმეა დაზღვეული?!

ორივე პიესა დაიკარგებოდა.

ერთი — სამუდამოდაც.

მეორე კი... სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდებოდა საქართველოს მუზეუმის არქივში, თედო სახოკიას ერთ ახალგაზრდობისდროინდელ ხელნაწერთან — „მოგზაურობა აფხაზეთში 1889 წლის ზაფხულს“ — ერთად. ეს ხელნაწერი წარმოადგენდა მოგზაურობის აღწერის რვეულს, მაშინ შევსებულს, ხარკოვიდან ჩამოსულ ბუნებისმეტყველ სტუდენტებს რომ გაჰყვებოდა თუ გაიყოლებდნენ აფხაზეთის მთებში.

საიდან უნდა გაჩენილიყო ან ერთი და ან მეორე მუზეუმშიო, ერთხანს თავს რომ იმტვრევდა თედო, მერე ჩამოეხსნებოდა ზედმეტ ფიქრს. დაბეჯითებით ახსოვდა, რომ ეს მეორე კომედია თავის წიგნებში ჰქონდა შენახული — ალბათ ვასო აბაშიძემ ჯერჯერობით ის პირველი უფრო ცნო დადგმის ღირსად და, რათა მეორე არ დაკარგულიყო, თედოს გამოატანა... ნაცნობთან მიბარებული მთელი ყუთი წიგნებისა, თედოს მოგზაურობის ჩანაწერები და შიოს პიესა უეცრად გაქრებოდა, ერთი ცნობით — 1891 თუ 92 წელს, მეორე ცნობით კი — 1906 წელს და თედოს სხვა რა ეფიქრა, თუ არა ის, რომ, ვინც ამ წიგნებს დაჰპატრონებოდა, ეს ხელნაწერები, როგორც მისთვის პრაქტიკულად მნიშვნელობას მოკლებული, დაკარგვას გადაარჩინაო, და მოულოდნელი პოვნით, სასწაულებრივ გადარჩენად რომ მოიხსენიებს, ისე აღფრთოვანდებოდა, იმ უცნობს გულში მადლობას რომ შეუთვლიდა, მერე ამ მადლიერებას ავტობიოგრაფიის ფურცლებზედაც გადაიტანდა. გარკვევით კი ვერაფრით გაარკვევდა, ვისგან, როდის და როგორ შეეძინა მუზეუმს ეს ხელნაწერი.

ეგაა, ის სასწაულებრივი ბედი, რაც ამ ხელნაწერს დაჰყვებოდა, აღარ განმეორდებოდა სხვა სამოგზაურო ჩანაწერის დაკარგვისას. 1898 წლის ზაფხულში რაჭას რომ მოივლიდა, დიდძალ მასალასაც შეკრებდა ამ მხარის აღსაწერად, მაგრამ, როდესაც მოგზაურობას დაასრულებდა და უკან გამობრუნდებოდა, ნიკორწმინდაში შემოსვლისას უეცრად აღმოაჩენდა, რომ რვეული, რომელშიც შეჰქონდა ყოველგვარი ცნობა თუ შთაბეჭდილება, მის მომავალ წერილებს საფუძვლად რომ უნდა დასდებოდა, როგორღაც გამქრალიყო. ცდით კი შეეცდებოდა

და ძალიანაც მოინდომებდა, მაგრამ... სამწუხაროდ, ჩანაწერების აღდგენას ვეღარ მოახერხებდა.

და მწარე სინანულის მეტი აღარა დარჩენოდა რა:

— მართალი უნდა ვთქვა, რომ ძალიან დამწყდა გული, რადგან მეტად საინტერესო მასალა მქონდა შეგროვილი.

ეჰ, ადვილი წარმოსადგენია, რა მასშტაბისაც იქნებოდა ეს „მეტად საინტერესო მასალა", თედოს, თავმდაბლობით, უკეთესი ეპითეტი რომ არ გაემეტებოდა.

* * *

შიოს საკუთარი გვარით რომ მოერიდებოდა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა და ფსევდონიმს ამოეფარებოდა, პიროვნული სიმორცხვით დაემართებოდა: ეგებ ვერც მიხვდნენ, მე რომ ვარ ავტორი, ყოველ შემთხვევაში ადვილად მაინც ვერაო!..

სხვას მის ადგილას იქნებ კეთილხმოვანებით ემჯობინებინა „არაგვისპირელი" „დედაბრიშვილისათვის", მაგრამ შიო ამდენს აღარ განსჯიდა და... შერჩებოდა და შერჩებოდა ეს ფსევდონიმი.

მოგვიანებით თედო „დედაბრიანთ ხარს" რომ გაიგონებდა და ამ ფრთიანი გამოთქმის წარმომავლობის დაზუსტებას შეეცდებოდა, გამოირკვეოდა, რომ ეს ნიშნავდა: ზანტს, ზარმაცს, მუშაობა ვისაც ეზარება.

ლიტერატურულ თხზულებებში რომ მოინდომებდა საილუსტრაციო მასალის მოძიებას, ვერსად დაადასტურებდა და იძულებული შეიქნებოდა ზეპირმეტყველებაში განაგონი ის ფრაზა ეკმარა:

— ფეხის გადადგმა და რისამე გაკეთება პირდაპირ ესიკვდილებოდა ამ ოჯახქორს, ნამდვილი დედაბრიანთ ხარია.

განმარტება-ექსკურსად კი ეს მიედევნებინა: სოფელ წილკანში (ქართლში) დედაბრიშვილებს ერთი შავი ხარი ჰყოლოდათ, ზანტი, საქმისათვის სხვაგან წასვლა ესიკვდილებოდა, შინ რომ მოატანდა, გამოიქცეოდა ხოლმე და ამიტომაც შერქმეოდა ეს სახელი საქმისათვის თავის დამძვრენ ადამიანს.

სხვა რომ ყოფილიყო შიოს ადგილას, ლაღი ბუნების, ხუმრობის მოყვარული, ხალისიანი პიროვნება, თედო აუცილებ-

ლად შეეხუმრებოდა: ახლა კი მივხვდი, რატომ გამოექეცი შენს ნამდვილ გვარს, ეგებ მასთან ერთად სიზანტისა და სიზარმაცისთვისაც დაგეღწია თავი, თუმც გიშველა თუ არა არაგვისპირელობამ, ჯერ ძნელი სათქმელიაო.

მაგრამ შიოსთან არა ღირდა ამისთანა შექილიკება, ხმას არ ამოიღებდა, უფრო ჩაშავდებოდა და ჩაქურუხდებოდა, უფრო ჩაიკეტებოდა, სულ უბრალო რამე კმაროდა, რომ გუნება წახდომოდა და ამიტომაც მოერიდებოდა თედო ასეთ გახუმრებასაც და თუნდ იმგვარსაც, საილუსტრაციო მასალა რომ დამჭირდეს ლიტერატურიდან, ეგებ სადმე გამოიყენო ნოველასა თუ ეტიუდში და იქიდან ამოვიწერ, მაინც ვალში ხარ ამ გამოთქმის წინაშეო.

ვერა, ვერ გაიმეტებდა...

ის მოხდენილი დეტალი კი, ხატოვანი სიტყვის განმარტებისას ხატოვანსავე გამოთქმას რომ მოიხმობდა: *ესიკვდილებოდაო*, — ჩვეულებრივ მოვლენად, ანუ ლამაზ, ფერადოვან გირლანდად გამოჰყვებოდა ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონს.

* * *

სოფლის მასწავლებლობას ლუკმაპურის მოსაპოვებლად იტვირთებდა თედო სახოკია და... უფალს მადლობას შესწირავდა, ეს გასაჭირი რომ დასდგომოდა და თანაც მასწავლებლის ადგილი ქართლის სოფელში გამოჩენილიყო.

აქამდე სულ უფრო და უფრო ღრმად მიიწევდა ქართული ენის წიაღში, სულ უფრო სრულყოფდა ამ ენის ნიუანსების შეგრძნებას და ეამაყებოდა, რომ ქართულის უკეთეს მცოდნეთა შორის თვითონაც აუცილებლად იგულისხმებოდა, მაგრამ... ქართლში ყოფნა და ქართლელთა ლაპარაკის მოსმენა, რაღაც უჩვეულო რიტმი და მელოდია და უმდიდრესი ლექსიკა ერთბაშად საგონებელში ჩააგდებდა, თურმე ჯერაც რაოდენ დიდი და დიდი გარჯა მჭირდება ამ ენის სულისა და არსების შესათვისებლადო და აღარც იმის გაფიქრებას მოერიდებოდა: აი, მაშინ კი აღარ შემრცხვება საზოგადოებაში ჩემი ქართულით თავის გამოჩენაო.

ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში არ არის აღნიშნული ნიკო ლომოურის განსაკუთრებული გავლენა თედოს მშობლიური

ენის დახვეწასა და ქართული მეტყველების სტიქიის შეგრძნება-შეცნობაში, თუმც ამ სასიკეთო ზემოქმედებას როგორ მიაყრუებდა და პანეგირიკსაც კი უძღვნიდა „ქაჯანას“ შემოქმედს თავანკარა, შეუბღალავი ქართულისათვის, თორემ მადლიერებას ხომ გამოხატავდა და გამოხატავდა მის მიმართ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტში.

სოფლის სამრევლო სკოლაში საქმიანობასთან ერთად, მასწავლებლად რომ დაუდგებოდა გორის თავადაზნაურთა წინამძღოლის შვილებს, ამიტომაც მოუწევდა ხშირად ამ ქალაქში ჩამოსვლა და ნიკო ლომოურსაც იქ გაიცნობდა, თავის საყვარელ ხალხოსან მწერალს, ვინც აღმოჩენად უნდა ქცეულიყო მისთვის და მოგვიანებით რომ გაიხსენებდა: გაცნობისთანავე მომხიბლა გამორჩეულობით გარშემომყოფთაგანო, — ეს სიტყვა „მომხიბლა“ ძალიან ეცოტავებოდა იმ გრძნობასთან შედარებით, რაც განეცადა პირველი შეხვედრა-გასაუბრებისას. „ტყვედმქნაო“, ახლა ამ სიტყვას მოუმარჯვებდა და... გაიხარებდა, მაინც ვიპოვნე შესაფერისი გამოთქმაო.

დატყვევებით კი დაატყვევებდა მისი ფაქიზი გარეგნობა, ალერსიანობა და ტკბილი, მუსიკალური ლაპარაკი.

ის, რაც მონუსხავდა სოფლად საუბრის მოსმენისას, ლაპარაკობენ თუ ღუღუნებენ თუ სიმღერის სუნთქვა მოაქვთ ყოველი სიტყვითო, ამ პიროვნების ბაგეთაგან სრულყოფილი უბრალოებითა და სიდიადით მოედინებოდა, თითქოსდა ზეპირმეტყველებას კლასიკური იერი მინიჭებია და ქართული ენის იდუმალი ძარღვი ერთბაშად გამკვეთრებულა და კიდევ უფრო გასხივოსნებულაო.

ან რაღა თითქოსდა...

კლასიკურ სიმაღლეზე აეზიდა ნიკო ლომოურს ქართული მეტყველება და თვითონ რუსთველური სტრიქონის ხორცშესხმად ამიტომაც ქცეულიყო: ყმა ტკბილი და ტკბილქართულიო...

ამ სიმაღლეს, ამ გამკვეთრებას, ამ გასხივოსნებას მოეჯადოებინა თედო სახოკიაც, ისევე როგორც მანამდე დავით კლდიაშვილი განეცვიფრებინა და შემდგომ — გრიგოლ რობაქიძე: აი, ქართული, აი, მეტყველებაო, — ნიკოს სახების ყოველი წამოგონებისას რომ გაიძახოდნენ.

ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილიც რომ აღიარებდნენ ნიკო ლომოურის განსაკუთრებულ ზეგავლენას მათი ქართულის დახვეწა-ჩამოყალიბებაზე, ამას საგანგებოდ აღნიშნავდა თედო და დასძენდა: სამნივე შეიქნენ მშვენება ჩვენი მწერლობისა და საუკეთესო მცოდნენი ქართული ენისაო.

ან ის რატომ უნდა დაკარგულიყო, რომ ნიკო ლომოურის დამსახურება იყო გორის საქალებო პროგიმნაზიიდან ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ამოზრდა, ჩვენი ლიტერატურის მშვენებისა.

რაო, შესაძლოა ვინმეს ეთქვა, ანასტასია ბუნებით იყო ნიჭიერი და ულომოუროდაც გაიკაფავდა გზას ცხოვრებაშიო?

ძალიან გულუბრყვილო უნდა ყოფილიყო ამის მთქმელი,

წუთისოფლის მდინარებაში სრულიად ჩაუხედავი, თორემ, აბა, თედოსა და სხვა გონიერი ადამიანებისათვის ეკითხათ, რამდენი ნიჭიერი პიროვნება არსებობდა, მაგრამ დასაწყისში პატრონი და ყურისმგდებელი რომ არ გამოსჩენოდათ, ნიჭი ჩაეხშობოდათ და გაფურჩქვნა აღარ ეღირსებოდათ. აგერ ნიკო კი ნიჭს რომ დაატყობდა ყმაწვილქალს, დაუყვავებდა, შეაგულიანებდა, როგორც მამა თუ უფროსი ძმა, და გზაზე დააყენებდა და დააწერინებდა, „მოლიპულ გზაზე“ იქნებოდა, „მიწა“ თუ სხვა თხზულებანი, თედო „ხელით საგოგმანებლად“ რომ მოიხსენიებდა.

ან ამავე, ლომოურული სკოლიდან არ შემოაბიჯებდა ლიტერატურაში არავიაშვილი, ვისი პირველივე მოთხრობაც, ბებნისელის ფსევდონიმით დაბეჭდილი 1903 წლის „ივერიის“ ფურცლებზე, ერთბაშად დაუმკვიდრებდა ავტორს ხალხოსანი და უტყუარი ნიჭის მწერლის სახელს?! ეგაა, ნაადრევი სიკვდილი ისევე არ დააცლიდა მეტის დაწერასა და ნიჭის უფრო გაშლას, როგორც გრიგოლ აფშინაშვილს, თედოს შეფასებით — ხალხური ზეპირსიტყვაობის სწორუპოვარ შემკრებს, ღირსეული მასწავლებლის ღირსეულ მოწაფედ რომ ესახებოდა ყველას.

ანდა ნიკო ჯანაშია, თედო რაზიკაშვილსა და გრიგოლ აფშინაშვილთან ერთად რომ სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში და თედოს თვალშიც იქნებოდა უებრო ეთნოგრაფი

აფხაზეთისა და აფხაზთა. იგი ხომ სოხუმის მთიელთა სკოლაში იზრდებოდა, სადაც დედაენა არ ესმოდათ, და ნიკოს სოხუმის სკოლის მთავრობა სწავლის დამთავრების შემდეგ გორში რომ გამოგზავნიდა, რუსულის ცოდნაში გავარჯიშებულსა და რუსულად სწავლა-აღზრდა მიღებულს, სემინარიის პანსიონის ამხანაგები, განსაკუთრებით კი ძმები რაზიკაშვილები, დაცინვას დაუწყებდნენ: სირცხვილი არ არის, ქართველმა ქართული ლაპარაკი არ იცოდეო?! და კიდეც შეემუდარებოდა ნიკო ლომოურს: თუ შეიძლება მეც მასწავლეთ ქართული ენაო!..

— დიდი სიამოვნებით, ჩემო კარგო, — დაყვავებითა და თავისებური ტკბილი ენით უნდა ეპასუხა საყვარელ მასწავლებელს, — მაგრამ ამის უფლება არა მაქვს. მიდი და სთხოვე დირექტორს, მოგცეს ქართულის სწავლის ნება.

და ყმაწვილკაცი ნებართვას რომ მოიპოვებდა, მაშინ უკვე დაუზარებლად მიუჯდებოდა და ქართულს (და რა ქართულს!) შეასწავლიდა. ეს პასუხი კი საგულისხმოა იმ მხრივ, რაოდენ კანონმორჩილია ნიკო ლომოური, ჩუმად, მალულად ერიდება მისთვის ასერიგად მნიშვნელოვან საქმესაც — გამოსტაცოს ქართველი ყმაწვილი რუსულ გარემოს და მშობლიურ წიაღში დააბრუნოს. ყოველ შემთხვევაში ურჩევნია ეს ყოველივე კანონიერი გზით მოხერხდეს, ხელმძღვანელობის ნებართვით, რაც ადვილად სულაც არ გაიცემოდა და დირექტორი მასთან შესულ ნიკო ჯანაშიას ცივი უარით გამოისტუმრებდა. და დაღონებული მოსწავლე მასწავლებელს რომ შესჩივლებდა თავის უბედობას, ის ანუგეშებდა: ცოტა ხნის შემდეგ ისევ სთხოვე და უარს არ გეტყვისო.

და ის მეორედაც რომ მიაკითხავდა, იქ ერთბაშად გადასხვაფერებული კაცი დახვდებოდა, ვინც მაშინვე დაჰყაბულდებოდა ყმაწვილის თხოვნას და ერთადერთ პირობას წაუყენებდა: ისწავლე ქართული, მხოლოდ სხვა საგნები სულ ხუთებზე უნდა ისწავლოო.

— ვისწავლი ხუთებზე, ბატონო, — და ფრენით მივიდოდა ნიკო ლომოურთან, უპირველესად ვისთვისაც უნდა ეხარებინა, და ისიც ისე მიიღებდა, თითქოს მისგან შეიტყო ეს ყველაფერიო.

თხრობისას არც ჩანს, რომ მოწაფისგან ფარულად მოელა-პარაკა დირექტორს და, ვინ იცის, საკმაოდ მკაცრი ლაპარაკიც დასჭირდა, ეგებ სემინარიიდან წასვლითაც დაემუქრა, უდავო სკანდალი რომ იქნებოდა და სემინარიელთა გარდუვალ ამბოხებასაც გამოიწვევდა, ისედაც დენთის კასრზე ისხდნენ და მცირე საბაბიღა იყო საჭირო, ეს კი რა მცირე, დიდზე დიდი საბაბი იქნებოდა და როგორ გინდოდა მათი ჩაწყნარება, თუ არა ნიკო ლომოურის აღდგენით სასწავლებელში.

ეს ყოველივე აშკარად არა ჩანს, მაგრამ სტრიქონებს შორის ხელშესახებად იგრძნობა.

აბა, მასწავლებელი ნიკოს რომ ურჩევდა, მეორედაც მიდი და უარით აღარ გამოგისტუმრებსო, უკვე დაიმედებული თუ არ იქნებოდა დირექტორისაგან, რატომღა გაგზავნიდა, მეორედ ვითომ რატომ ველარ ეტყოდა უარს სემინარიის ხელმძღვანელი, ის კი არა, შესაძლოა ეყვირა კიდეც: ნუთუ გასაგები არ იყო, რაც გითხარი, რა ქართულის სწავლა აგიტყდაო... არადა, ნაცვლად ამისა, ლამის მამაშვილურ შეგებებას იხილავდა ნიკო ჯანაშია, უსათუოდ უცნაურს იმ ცივი უარის შემდგომ... მაგრამ სავსებით საცნაურს, თუკი ვიგულისხმებთ, რომ ნიკო ლომოურს უკვე ყველაფერი მოგვარებული აქვს, როდესაც ქართულის შესწავლას მონყურებულ ყმაწვილკაცს ხელმეორე ვიზიტს ურჩევს.

ნიკო ჯანაშია თავის სიტყვას ქვემოთ როგორ დაუშვებდა — ყველა საგანში ხუთზე ნაკლები ნიშანი არ ეყოლებოდა, და ქართულს ხომ ისე შეიწოვდა და შეითვისებდა დიდებული მოქართულისაგან, ტოლს აღარავის დაუდებდა.

და აი, ამთავრებს სემინარიას და სამი თუ ოთხი წელი უნდა გავიდეს, ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე მთელი ციკლი რომ გამოჩნდებოდა სტატიებისა აფხაზეთის ეთნოგრაფიის შესახებ. რარიგ გაოცდებოდა და აღტაცდებოდა ნიკო ლომოური, ამ სტატიების ქვეშ ამ ხელმოწერას რომ იხილავდა: ნიკო ჯანაშია.

როგორი ამბავია — რაზიკაშვილთა ჯგუფს ნიკო ჯანაშიაც, ერთ დროს ქართულის უცოდინარი ყმაწვილიც, მიმატებოდა. ასე დაფასებოდა ამაგი და მისი ხელიდან მართლაც პიროვნებად გამოსულიყო მშობლიურ ენასა და ნიადაგს აცდენილი

ახალგაზრდა კაცი, აგერ ქართული ლიტერატურის მოამაგეთ გვერდით ამოსდგომოდა სამშობლოსათვის საერთო სამსახურის უღლის საზიდავად.

დატყვევებით დაატყვევებდა მისი ტკბილი, მუსიკალური ლაპარაკიო...

ვერა, ვერ იკმარებდა ამგვარ დახასიათებას, რაკიღა ეს პიროვნება გაცილებით მეტის ღირსი იყო და ბარემ თქმულიყო ეს „გაცილებით მეტიც“:

— ჩემს სიცოცხლეში, რაც მე ხალხი მინახავს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის ქვეყნებში, ვერავინ დამედარებინა ნიკო ლომოურისათვის! ის რომ გელაპარაკებოდათ, იტყოდით — ტკბილს რასმე მუსიკას ვისმენო.

რაც მე ხალხი მინახავსო...

თუ ვინმე იცნობდა უამრავ ადამიანს, მათ შორის უთუოდ თედო სახოკიაც, და ამ უზღვავ ხალხში ერთი კაციც ვერ ეპოვნა მშობლიური ენის ასეთი შემგრძნობი და იდუმალი სიმების ამომტანი სამზეოზე, სიტყვის კილოთიც რომ არანაკლებ გნუსხავდა, ვიდრე მისი შინაარსით, თავისთავად ღრმა და გულში-ჩამწვდომით. ამიტომაცაა, სწორუპოვრობას რომ იჩენდა დასაფლავებაზე გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმისას. რამდენჯერ შესწრებია თედოც ამ სცენას, მაყურებელი მდუღარე ცრემლით რომ იღვრებოდა, და არა მარტო მცნობნი მიცვალებულისა და უშუალო ჭირისუფალნი, არამედ სრულიად უცნობნიც. და არც თავს გაიიაფებდა ნიკო ლომოური, ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა სიტყვის თქმას დაკრძალვისას, თუკი მიცვალებული მართლაც რჩეული და მისი აღსასრული კი ყველასათვის გულდასაწვავი არ იქნებოდა. და ამიტომაც იხატებოდა მის ტკბილქართულში მოყვასის სიყვარული.

და თედო სახოკია მოვალედ მიიჩნევდა თავს, აქვე დაერთო ამონარიდი ნიკო ლომოურის ბარათიდან, ივანე გომელაურისათვის რომ მიეწერა — „ქართველი მწერლების ქრესტომათიის“ შემდგენლისათვის:

— პატარაობიდანვე მოკიდებული დღეს და ღამეს ამათთან (გლეხებთან) ვატარებდი. ჩემი თვალისა და გულის წინ მთელი

მათი ცხოვრება იყო გაშლილი, ცხოვრება, რომელიც უფრო მომეტებულად ჯაფისა და ტანჯვა-ვაებისაგან იყო შემდგარი, ვიდრე სიამოვნებისაგან. პატარაობიდანვე ღრმა ძლიერმა გრძნობამ მოიცვა მთელი ჩემი არსება: გლეხკაცის სიყვარულმა და სიბრალულმა. მიყვარდნენ, როგორც ნათესავები (ნათელ-მირონები) და მებრალებოდნენ, როგორც ტანჯულნი.

ამიტომაც იყო, თავს რომ ევლებოდა გლეხკაცობას და მალამოდ ადებდა თავის ნაწერებს მის წყლულებს...

და თედო, ისედაც რომ მოუთმენლად მოელოდა ამ პიროვნების გაცნობას, შეხვედრა გაუასკეცებდა მისი მონახულების სურვილს — რაც შეიძლება ხშირად; და მართლაც, ადვილი წარმოსადგენია, რარიგ მოენატრებოდა ხოლმე ამ ადამიანის ნახვა და მასთან ლაპარაკი. და ესეც, როგორც კი დროს მოიხელთებდა, სოფლიდან გორში გამორბოდა ნიკო ლომოურთან და არა სწყინდებოდა ბაასი ჩვენს ლიტერატურასა და ჩვენს ლიტერატორებზე, იმჟამად თითებზე რომ ჩამოითვლებოდნენ.

კიევის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად რომ გაამწესებდნენ ნიკოს, სამ წელიწადს თუ გაძლებდა დედაქალაქში, რადგანაც გული გორისაკენ უფრო მოუწევდა — არბოელისათვის აქ სამსახური უფრო უპრიანი იყო და სოფრომ მგალობლიშვილთან და ქაიხოსრო და ანტონ ფურცელაძეებთან ერთად საოსტატო სემინარიასა და საქალებო პროგიმნაზიაში მოუწევდა მასწავლებლობა, მაგრამ მთლად თავის ნებაზე ვინ გაუშვებდა, და ამ სადარდებელს თედოსაც შესჩივლებდა: ჟანდარმერიამ სრულიად წაგვართვა აქტიური მოქმედების შესაძლებლობაო.

და თუმცა სიცოცხლის ბოლომდე არ ეშვებოდა წუხილი, რომ მასწავლებლობა დიდ დროს ართმევდა და შესაფერისად ვეღარ აგრძელებდა თავის ნამდვილ საქმეს — მწერლობას, მაგრამ იანოვსკის მიერ განხორციელებული, მართლაც გაველებული ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკ ის პირობებში რამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა, მოსწავლეები ასეთი პიროვნებისაგან რომ ითვისებდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, საკუთარი სამშობლოს სიყვარულს.

თედო სახოკია საუბრებისას იმასაც ამცნობდა, ქართლის სოფლებში ტრიალისას კიდევ უფრო რომ ჩაღრმავდებოდა ჩვენი ხალხის ზეპირ-სიტყვაობას და აღფრთოვანებას ვერა ფარავდა: ეს რა მრავალ-ფეროვანი და უძირო ზღვა ყოფილა ხალხის სიბრძნისაო.

იმასაც გაუმჟღავნებდა: ქართული ხატოვანი თქმების სალექსიკონო მასალების შეკრება განვიზრახე და ანდაზების მოგროვება, უკვე შევუდექი საქმეს და, რომ არც ველოდი, ისე ხალისიანად აეწყო ეს პროცესიო.

ნიკო ლომოური მოუწონებდა ამ წამოწყებას, შეაგულიანებდა და თავისი მხრივაც შესთავაზებდა დახმარებას: ცალკეული დაზუსტებებისას მიმსახურე, თუკი რამე შემეძლებაო.

გაელიმებოდა თედო სახოკიას:

— თქვენ თუ არ შეგიძლიათ, აბა ვისღა!..

და თავს ვერ შეიკავებდა:

— მუსიკა იღვრება თქვენი ლაპარაკისას, ასეთი ენატკბილობა არავისაგან მსმენია, მიუხედავად იმისა, რომ ქართლში ეს რა საოცრად მეტყველებენ, გინდა დაუსრულებლად უგდო ყური და იმახსოვრო, იმახსოვრო, იმახსოვრო!..

შეეუხერხულებოდა ნიკო ლომოურს და ხელსაც აუქნევდა მორიდებით:

— მე იმდენად დიდი აზრისა არა ვარ ჩემს ქართულზე, აი ჩვენს სოფლებში კი, ოოო, მართლაც დიდებულად ლაპარაკობენ, დახვეწილობის იშვიათი ნიმუშია, თანაც ანდაზებიც სულ პირზე რომ აკერიათ და ხატოვანებაც რაოდენ ბუნებრივად მოსდგამთ, თვითონ ვერც იგებენ,შორეული მუსიკა რომ მოაქვთ, ჩემი მეტყველების მუსიკა მათთან რას მრჩვა.

ამაში ველარ დაეთანხმებოდა თედო, თუმც კამათს აღარ შეჰყვებოდა — სალაპარაკო გამოელეოდათ თუ რა!..

მთელი არსებით გადაეშვებოდა ფრთიან სიტყვა-გამოთქმათა და შეგონებათა უძირო ზღვაში და ერთადერთი ეს აფიქრებდა, რაღაც ნაწილი უნდა ვიმყოფინო, თორემ ასე არც არასოდეს დასრულდება და ფურცლების გროვა შემრჩება ხელთ წიგნების ნაცვლადო... თუმც ჯერ იქამდე შორი იყო და მთავარია, მასალა რაც შეიძლება ბლომად შეგროვებულიყო.

და ამ წამოწყების შუაგულში ჩამდგარი, თითქოს ალოობააო, თავის მომავალ მოღვაწეობას ამ გადასახედიდან განჭვრეტდა:

— ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად.

დადგებოდა დრო და კიდეც ამოიზრდებოდა ჩინებული წიგნები ამ ფურცლებიდან, „კულტად, ჩემი სიცოცხლის მიზნადო" — სწორედ ამ სიტყვების შესაფერისი.

ქართლის სოფელში მასწავლებლობა ვერ იკმარებდა საარსებო პურის მოსაპოვებლად და თედო იძულებული შეიქნებოდა, რაღას არ მოსდებოდა 1890-94 წლებში — ბორჯომში დიდი მთავრის — მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში მეტყევის თანაშემწედაც ემსახურა, „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა" კი გახლდათ მისი საფერო, მაგრამ იქით ზესტაფონში შავი ქვის მრეწველ ნიკო ღოღობერიძის წარმოებაში უცხოეთის კორესპონდენტადაც მოუწევდა მუშაობა და აქეთ ეგრეთწოდებულ „ფილოქსერას პარტიაში" შესვლაც, ჩვენს ქვეყანაში ვენახებს რომ იკვლევდა და სადაც სადმე ვაზზე ამ საშინელ მავნებელ მწერს — ფილოქსერას — აღმოაჩენდა, ასეთ ვენახებს ცეცხლში ბუგავდა ძირიან-ფესვიანად.

და ამდენ საქმეში გადაშვებული კაცი, სალექსიკონო და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებითაც გატაცებული, პროვინციული ცხოვრების ამბების მიმწოდებელი „ივერიისათვის" და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც უკვე საფუძვლიანად შებმული... ციხის საკანში ამოყოფდა თავს!..

დაატუსაღებდნენ ტფილისში — 1894 წლის 20 სექტემბერს და ქუთაისის ციხეში სამ თვეს აყურყუტებდნენ.

საქმის გამოძიების შემდეგ მასაც და მის თანამზრახველთაც თავდებით გამოუშვებდნენ, თვით საქმეს კი მოსასპობად წარადგენდნენ.

საციხოდ საქმე რატომ გაეხადა თედო სახოკიას, რა წამოწყებაში გახლართულიყო, როდიდან და უშუალოდ რას და ვის ებიძგა?

განსასჯელის სკამზე მასთან ერთად მოხვდებოდა შიო დედაბრიშვილიც, მოხვდებოდა კი არა, სწორედ იგი იყო ერთ-ერთი მეთაური იმ ფარული პოლიტიკური საქმიანობისა, რომლის წესდებაც ამ სახელწოდებით გაფორმდებოდა — „საქართველოს განთავისუფლების (რუსთ ხელმწიფის ხელიდან) ლიგა“, თავდაპირველად რომ გააერთიანებდა ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ ქართველ სტუდენტებს, თანდათან შემოიკრებდნენ რუსეთის უნივერსიტეტებში მიმოფანტულ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოების წევრებსაც და, რასაკვირველია, ტფილისელი და სხვა ქართულ ქალაქთა ახალგაზრდობის გაწევრიანებასაც შეეცდებოდნენ ამ საიდუმლო ორგანიზაციაში, ანუ როგორც თედო სახოკია ამჯობინებდა ამ სწრაფვის ჩამოყალიბებას ასეთ ლიტერატურულ ფორმულად:

— საზოგადოდ ქართველთა შორის გაახმიანეს თავიანთი წმინდა, უმწიკვლო სიყვარული მამულისა და მისთვის მსხვერპლად თავის დადების სურვილი.

და სადაც შიო დედაბრიშვილი მოთავე შეიქნებოდა, იქ თედოც აუცილებლად იქნებოდა მონაწილე, ერთი ყველაზე დიდი დასაყრდენი შიოსათვის საქართველოში ამ ორგანიზაციის ფილიალის ასაწყობად და მასთან ხშირი მიმოწერისას ამ ლიგის შესახებაც მოსწერდა და სთხოვდა ნაცნობ-მეგობრებისთვისაც გაეცნო წესდების მუხლები, საერთოდ, პოპულარული გაეხადა ლიგის იდეა და ეზრუნა მის თანამგრძნობთა გამრავლებისათვის.

ვის გაენდობოდა, თუ არა თედო სახოკიას?!

საერთოდაც, ვის იმედად მოჰკიდებდა ხელს ასეთ სახიფათო საქმიანობას, თუ არა თედოსი?!

აკი თედო იყო ყოველთვის მისი შემაგულიანებელი და, ამჯერად თუ შორს მყოფი თავიდანვე ვერ ჩაერეოდა ამ წამოწყებაში, შიო რომ ჩაებმოდა და ენერგიულადაც მოეკიდებოდა ამ განზრახვის გაშლას, იდუმალად სწორედ თედოს მზერა უბიძგებდა, მის გაცისკროვნებულ თვალებს ხედავდა, მისი აფორიაქებული გულისძგერას გრძნობდა და რაღა დააოკებდა, თავფეხიანად არ გადაშვებულიყო ეროვნული აჯანყების სამზადისში!

ჯერ ისედაც სიყრმიდანვე აეყოლიებინა ქართლის ბედს, ილია ჭავჭავაძის სტრიქონისა და პოლიტიკური მრწამსისა არ იყოს, უშუალოდ რომ გადმოსწვდენოდა ეს სწრაფვა დაზეგავლენა შიო დედაბრიშვილსაც, და, ვარშავაში ჩასული, უპირველესად თუ რაიმეს იგრძნობდა, იმას და მხოლოდ იმას, სამშობლოს სიყვარული სიგიჟემდე რომ მიუვიდოდა.

ასეც აღნიშნავს ამ განცდას თავის ავტობიოგრაფიაში.

თედო სახოკიას ასეთი რამ ასე პირდაპირ არც ავტობიოგრაფიაში უწერია და არც სადმე სხვაგან, თუმც რა აუცილებელია ეს თითქოსდა დოკუმენტური დადასტურება, როდესაც მისი პიროვნებაც და ღვაწლიც ისე კანთიელად წარმოგვისახავს ამ სიგიჟემდე მისვლას სამშობლოს სიყვარულისას, უფრო მტკიცე და დამაჯერებელი ცნობა რაღა უნდა იყოს!

ამ საერთოს ხედავდა ოთარ ჩხეიძე თედო სახოკიასა და შიო არაგვისპირელს შორის, ამ დიდ საერთოს, დიდ რამ საიდუმლოს და ამ სამზერიდან სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა ამ ორი ადამიანის დაახლოება, პიროვნული ხასიათებით ორ საპირისპირო პოლუსს რომ განასახიერებდნენ.

ესეის „სამყარო შიო არაგვისპირელისა“ სულაც ამ ორ განსხვავებულ ხასიათში ჩაღრმავებით დაიწყებდა, შიოს პიროვნულ ბუნებას რომ წარმოაჩენდა და, მასთან ერთად, და არანაკლები რელიეფურობითა და სიცხოველით — თედოს ხასიათის თვისებებსაც, იმ ადამიანთან რომ მოახერხებდა დაახლოება-დამეგობრებას, იშვიათად რომ უხსნიდა ვინმეს წარბს, როგორღაც განდგომილიყო, თუმც ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ბრუნავდა წუთისოფლის ჩარხთან ერთად, იშვიათად თუ ვინმე მიეზიდა გულთან ახლოს და... ამ იშვიათთა შორის უნდა რგებოდა გამორჩეული ადგილი თედო სახოკიას.

ბევრის თვალში უცნაურად მოჩანდა და თითქოს მართლაც უცნაურობა იყო, ხასიათის ამ უკიდურეს განსხვავებას რანაირად შეიძლებოდა სულიერი სიახლოვე მოჰყოლოდა.

თორემ აბა და:

შიო დედაბრიშვილის დაუსრულებელი მოღუშულობა, გაუცინრობა, სიტყვაძუნწობა, მორიდებულობა, უფრო კი — დამფრთხალობა თუ გულაწეწილობა საზოგადოების მიმართ.

და თედო სახოკიას მოძრაობა, გაუნელებელი მოქმედება, თაოსნობა, შუბლგახსნილობა და გულგახსნილობა, ამყოლობა და ამყოლიებლობა.

მეტიღა განსხვავება? ოდნავადაც არაფერი გადამიჭარბებია, მათი შედარებისას ორი საპირისპირო პოლუსი რომ მომადგა ენაზე.

ეს კი ასეა, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს ვერ გაეგო იმ ადამიანებისა, ვინც მაინცდამაინც და აუცილებლად ხასიათთა ერთიანობას ეძიებს მეგობრობაში და უკვირს, თუკი ყოველთვის ასე არ არის: ნეტა როგორ რიგდებიანო?!

თურმე ძალიანაც კარგად ეთვისებიან ერთმანეთს, ამ ორთა ძალდაუტანებელი თანხმობისა არ იყოს.

და ოთარ ჩხეიძის ფსიქოლოგიური დაკვირვება ადვილად ამოიცნობდა, რომ შიო არაგვისპირელის ბუნებისათვის თითქოს აუცილებელიც გამხდარიყო ასეთი გამომაფხიზლებელი და მამოძრავებელი ხასიათი, — მითუმეტეს, რომ ის დიდი საერთო და საიდუმლოც თავისთავად აბამდა ძაფებს მათ შორის, მთელი სიცოცხლე რომ ეყოფოდათ ეს სულიერი კავშირი, მოურეველი და მოუდუნებელი.

ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში რომ გააგრძელებდა სწავლას შიო დედაბრიშვილი, ამ შორეულ გზაზე დადგომას როგორ გაბედავდა, თუნდაც მის საპატრონებლად დარჩენილი ქვრივი დედისა და მის თვალ-წარბში შემყურე უსახსრო და-ძმების ბედზე მზრუნველი, თედოს ევროპა-მოვლილობას რომ არ გაემხნევებინა საამისოდ: ჟენევასა და პარიზში თუ შეიძლებოდა ცხოვრებაც და სწავლაც, ვითომ ვარშავა რაღა იყო ასეთი?!

იმან გამიადვილა მგზავრობაო, — ზოგადად რომ მიანიშნებს მკითხველს ევროპამოვლილ ახლობელზე — ისე, რომ მის ვინაობას აღარ აზუსტებს, ამ მინიშნების ამოცნობას განა რა უნდა!..

თედოც ზოგად აღნიშვნას რომ კმარობს: მეგობრებმაც შეაგულიანეს და თვითონაც გადაწყვიტა შესვლა უმაღლეს სასწავლებელშიო, — „მეგობრებში“ უპირველესად თვითონ იგულისხმება, მაგრამ „შეაგულიანეს“ ძალზე მოკრძალებული მინიშნებაა იმ ამაგზე, თედოს რომ მიუძღვის შიოს გამგზავრება-

ში. ეს შეგულიანება მარტოდენ სიტყვით არა ყოფილა, რადგანაც მარტო სიტყვა რას უშველიდა, როდესაც შიოს არავითარი სახსარი არ გააჩნდა ვარშავაში ფეხის მოსაკიდებლად. არც ქველმოქმედი გამოუჩნდებოდა, ვინც საკუთარ თავზე იტვირთებდა მის მომარაგებას თანხით — ერთჯერადი თუ ორჯერადი შემწეობა რას უშველიდა, თუმც ან იმას ვინ ჰპირდებოდა?!. და შიო უღონოდ რომ მიმოიხედავდა გარშემო და მისთვის თავგამოდებულ მრეწველს ვერავის დაიგულებდა, თედო განუცხადებდა: შენ ოღონდ ხელი არ ჩაიქნიო და აგერ მე ვიკისრებ ყოველთვიური თანხის გამოგზავნასო.

— ყოველთვიური? — ყურებს არ დაუჯერებდა შიო დედაბრიშვილი და გულში კი უეჭველად გაჰკრავდა, აბა, ეს რაღა სახუმარო თემააო.

— ყოველთვიური! — მტკიცედ შეხედავდა თვალებში თედო.

მწარედ გაეღიმებოდა შიოს:

— ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო...

ვითომ მართლაც ამ ანდაზის პერსონაჟებს ემგვანებოდნენ უნებურად?

— რასაც ვამბობ, ისე იქნება, — აინუნში არ ჩააგდებდა მეგობრის სკეფსისს კაცი, ვისაც თავისი გასჭირვებოდა და ყოველდღიური ლუკმა-პურის საძიებლად ყველა ხელობას ჰკიდებდა ხელს და თარგმანებისა და კორესპონდენციებისაც ძალიან ეიმედებოდა — დღე ვითომ მართლა 24 საათია, გავწელავ, გავაფართოებ და ვნახოთ, რაც მინდა, თუ ვერ მოვასწრებო, — თავს იმხნევებდა და ახლა თვით შიოსაც მოიყვანდა გუნებაზეც და იმედოვნებითაც აღავსებდა.

ფუჭი დაპირება არა სჩვეოდა თედო სახოკიას.

იოლად არაფერს იტყოდა.

მაგრამ თუ იტყოდა, უსიკვდილოდაც აღასრულებდა.

კი მაგრამ... კაცის შენახვა ვარშავაში?

რაღაცები წინასწარვე გაეთვალა, დაეანგარიშებინა, დაეზუსტებინა და აჰა, კიდეც განუცხადებდა შიოს:

— ნუღა გადადებ, თორემ მერე სხვა საშველი აღარ გამოგიჩნდება. თავის გასატან ფულს არასოდეს დაგიგვიანებ.

და ის შემოდგომაზე რომ დაადგებოდა გზას და საბეითლო ინსტიტუტის სტუდენტიც გახდებოდა, 1891 წლის 1 იანვარს ვარშავაში მყოფ ქართველთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად... „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ პროგრამის შემუშავებაში გაითენებდა.

ახალწლის დღე და ასეთი?!.

სასწავლებლად მიდიხარ და...

მაგრამ როდესაც სამშობლოს სიყვარული სიგიჟემდე მიგივა?!.

რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში გასტუდენტებულ ქართველთაგან ვინ რა ენთუზიაზმსა და ენერგიულობას გამოიჩენდა, რომელი სათვისტომო რა მოხერხებულობითა და ძალით აჰყვებოდა, წინასწარ ძნელი განსაჭვრეტი იყო, ერთადერთი, რაც შიო დედაბრიშვილს ოდნავადაც არ აფიქრებდა, ამ იატაკქვეშა ორგანიზაციაში თედო სახოკიას თავგადაკლული მონაწილეობა იყო — დიდ ძალად დაეგულებინა საქართველოში, საბოლოოდ სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ ცენტრი და გაშლილიყო გადამწყვეტი ბრძოლაც ილია ჭავჭავაძის ოცნების საქართველოს რეალურად გადმოსატანად და დასამკვიდრებლად მიწაზე, იმ ტერიტორიულ საზღვრებში, ოფიციალურად ყოფილი საქართველო რომ ერქვა.

თედო სახოკიას ბუნებისა და მისწრაფებების კაცი, ადვილი მოსალოდნელია, რაღაც ამგვარს ისედაც ფიქრობდა და ამ მზერით მიმოავლებდა თვალს გარშემო მყოფთ, ნეტა ფარული ორგანიზაციის აწყობა რამდენად რეალურია და რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს, ჯერ ცოტა ნაადრევია თუ უკვე ვაგვიანებთო, და უეცრად შიოს ბარათში ამგვარი განზრახვის დაფუძნებას რომ ამოიკითხავდა, სიხარულისაგან გადაირეოდა, ეგაა, საკუთარ თავს შეუწყრებოდა: აქამდე როგორ ვერ უნდა მივმხვდარიყავი, შიოს იატაკქვეშა მოღვაწეობის ასეთი მწველი სურვილი თუ ჰქონდაო.

ასეთი გარიდებული კაცი ყველასა და ყველაფრისაგან, საზოგადოებაში სულაც კრიჭაშეკრული და... „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ მესვეურთა შორის ყოფნა და სულაც... სულაც მეთაურობა?!

თუმც თედო კი არა, თვითონ შიოც ვერ მიმხვდარიყო თავის ამ ფარულ სწრაფვას, ვიდრე ვარშავაში ჩააღწევდა და გული და გონება ისე აუფორიაქდებოდა, შეფიქრიანდებოდა, ემანდ არაფერი დამემართოს, ცოტა ხანს კიდევ ვიბოგინო მზისქვეშეთშიო.

და კიდეც დაემართებოდა, ფარულ საქმიანობაში რომ არ გადაშვებულიყო და ამით სული არ მოეთქვა.

აქ თედო შეუდგებოდა ნაცნობ-მეგობრებში ლიგის წესდების მუხლების გავრცელებას და... უეცრად ხელი უნდა ეტაცათ და ქუთაისის ციხის „სეკრეტში“ გამოემწყვდიათ — პაწია, ქვაფენილისიატაკიან სენაკში, სრულიად განცალკევებით არა მარტო სხვა, არაპოლიტიკურ ტუსაღთაგან, არამედ ლიგის წევრთაგანაც, ვარშავიდანაც რომ ჩამოიყვანდნენ: ნიკოლოზ მელიქიშვილს, ნიკოლოზ შენგელიას, ანტონ გელაზარაშვილს, მიხეილ მირიანაშვილს, სერაპიონ მიქაძეს და, მოგვიანებით, შიო დედაბრიშვილსაც, თორემ თედოსა და ალექსანდრე მიქაბერიძეს ტფილისშივე მოჰკიდებდნენ ხელს.

ასეთ სენაკებს, ოთხი თუ ხუთი რომ იყო, ორ-ორი ჟანდარმი ჰყავდა მიჩენილი, და ლიგის წევრებს ერთმანეთსაც არ აჩვენებდნენ, სასეირნოდ ეზოში დღეში ნახევარი საათით რომ გაჰყავდათ თითო-თითოდ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა პატიმრები სეირნობას მორჩებოდნენ.

და თედოც და სხვანიც ისე გამოვიდოდნენ ციხიდან, რომ არც კი ეცოდინებოდათ, თუ ვინ ისხდნენ კიდევ მათ გვერდით ამ საქმეზე.

მაგრამ ერთ დილას თედოს რაღაც ხმა რომ გამოაღვიძებდა, მოულოდნელობისაგან შეჰყვირებდა — შიოს ხველა მოისმოდა, მისი ნიშანდობლივი ხველა, თედოს არავის ხველაში რომ არ აერეოდა... და უკვე აღარ დაგიდევდა სასტიკ რეჟიმს და თვით ჟანდარმების გადმობირებას შეეცდებოდა, აქამდე ასეთი რამ აზრადაც რომ არ მოსვლოდა, უფრო სწორად, გარისკვას მოერიდებოდა, ვინ იცის, რა გართულება მოჰყოლოდა ამგვარ მცდელობას, ახლა კი, შიო იმყოფება ჩემს გვერდითო, ეს განცდა ისე აიტანდა, აღარაფერს გაითვალისწინებდა და... გაუმართლებდა.

და ჟანდარმების მეშვეობით გაიმართებოდა ამბის მიტანმოტანა და ისეთი კავშირი გაიბმოდა, თედო წვრილად შეიტყობდა ლიგის გაცემის გარემოებებსაც და შიოს მწარე თავგადასავალსაც, აქაც უკანასკნელ დღეში მყოფს რომ ჩამოიყვანდნენ, რადგანაც ვარშავის ციხეში სასტიკი მოპყრობა აიძულებდა, ხსნა თვითმკვლელობაში ეძია — დიდი გაჭირვებით გატეხდა ძალიან სქელ შუშას და პირდაღმა მის წვერზე დაწვებოდა, რათა გული გაეხვრიტა... და შუშა ნელ-ნელა რომ მიიწევდა გულისაკენ, აუტანელი ტკივილიც ვერ გადააფიქრებინებდა შიოს ამ საზარელ განზრახვას... კიდევ კარგი, უამრავ სისხლს დაკარგავდა და გულიც წაუვიდოდა, ამასობაში კი მოუსწრებდნენ და ციხის საავადმყოფოში გადაიყვანდნენ...

საშინელი მოჩვენებანი რომ დაეწყებოდა, კინაღამ ჟანდარმი შემოაკვდებოდა და ჩამოხრჩობას მიუსჯიდნენ, ეს კიდევ ცალკე...

და თუ ჩამოხრჩობისაგან რაიმე იხსნიდა, მხოლოდ ექიმის მონდომებული ჩარევა: ჟანდარმს სკამი რომ დაუშვა თავში, სრულ ჭკუაზე აღარ იყო და არ გაეგებოდა, რას სჩადიოდაო...

აქ ჩამოყვანილიც სიგიჟემდე მისული ადამიანის შთაბეჭდილებას რომ ახდენდა ჟანდარმებზე, რა გასაკვირია — ლაპარაკი ხომ ისედაც არ უყვარდა და სულ დაღვრემილი იყო და ახლა, წარმოიდგინეთ, დაღვრემილობაც და მიუკარებლობაც რარიგ გაუმძაფრდებოდა. და ჟანდარმები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ამას ქვეყნიერებისა აღარაფერი, სრულიად აღარაფერი გაეგებაო.

მაგრამ ქუთაისის ციხე — რაც უნდა იყოს, მშობლიურ გარემოში ჩამდგარი —სასიკეთო ზეგავლენას მოახდენდა შიოზე, გამოაცოცხლებდა და ენას თანდათან ამოუდგამდა. თურმე ქვეყანაც კვლავ არსებობდა და მისიანებიც. და აგერ დედაც უნდა ჩამოსვლოდა სანახავად და, მოსაკითხს რომ მიუტანდა, შიოს რა გული გაუძლებდა, თვითონ გემრიელად შეექცია თავი და თედო კი იმ დღეში ყოფილიყო. ამიტომაც თავს არ დაზოგავდა და ქათამსა და ჩურჩხელებს შეუგზავნიდა საკანში. მერე იმდენსაც იმარჯვებდა, რომ თედოს მიერ გაგზავნილი მოსაკითხიც მიეღო.

რარიგ გაიხარებდა თედო, აქამდე საგონებელში ჩავარდნილი, ვაითუ აღარაფერი ეშველოსო. სააქაოსაკენ ექნა პირი შიოს და ასე ადვილად ველარაფერი დათრგუნავდა.

არა, მაინც როგორ გახსნილიყო ეს საქმე?

ჟანდარმერია მოულოდნელ ჩხრეკას რომ მოაწყობდა მიხეილ მირიანაშვილის ბინაზე 1893 წლის 29 აპრილს, „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ წესდებასა და სათვისტომოს სხდომათა ოქმებსაც თან წაიღებდნენ.

და ამას კიდეც მოჰყვებოდა ფარული ორგანიზაციის მთავარი ბირთვის დაპატიმრებაც.

თედო სახოკიას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ლიგის შექმნის ამბავი მთავრობას შესაძლოა საერთოდაც ვერ გაეგო, თუ არა და, ძალიან გვიან ჩასმოდა ყურთ და ვერც ადვილად მოეკიდა ხელი მისი მონაწილეებისათვის ნივთმტკიცებათა უქონლობის გამო, რომ არა... დიახ, რომ არა...

შიო არაგვისპირელს ვერც იმჟამად და ვერც მოგვიანებით ვერ დაარწმუნებდი, რომ ორგანიზაციის გაყიდვა სავსებით შეგნებულად შეიძლება მომხდარიყო. გარეგნულად ხომ ასეთი უკარება იყო და სკეპტიკურადაც უყურებდა ადამიანის ბუნებას, მაგრამ გულისგულში მაინც ეგონა, რომ ზნეობრივი დაცემა სულაც არ უსაზღვრო და სადღაც რაღაც მიჯნა მაინც დაედებოდა. და ეს მიჯნა იყო მის თვალში თანამზრახველობა ქვეყნის გამოსახსნელად — და როგორი წარმოსადგენი იყო, რომ ვიღაცას ეს სამანი გადაელახა. ნუთუ შეიძლება გამცემი თუ ჯაშუში ყოფილიყო მათ წრეში?

მაგრამ გაცემით რომ გაიცა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“?

შემთხვევითო, უნებლიეთო, წინასწარი განზრახვის გარეშეო, — თავს იმშვიდებდა შიო და ავტობიოგრაფიაში რომ დაისაჭიროებდა ამ დრამატული ამბის გახსენებას, ამჯობინებდა თვითონაც ასე დაებეჯითებინა და შთამომავლობისთვისაც ასევე შემოეხახა:

— ერთი ჩვენი წრის წევრის უტაქტო მოქმედების წყალობით...

მარტოდენ „უტაქტო მოქმედება“ ყოფილა თურმე, თანამოაზრეებს ციხეში რომ გაისტუმრებ.

არა, ეგებ მართლა უნებლიეთ დასცდენოდა იმ „ერთ წევრს“ რაღაც, ენას წაესწრო წინ, დატრაბახების სურვილს ვეღარ მორეოდა და ეს ამხელა წამოწყება უღვთოდ გაეწირა?!.

ვითომ შიო არაგვისპირელს ჩვენზე უკეთ არ მოეხსენება, ვინ რისი ჩამდენი იყო მის გარშემო?

მაგრამ გაცხადდება იმ „უტაქტო მოქმედების“ ავტორის ვინაობა და... უკვე შიოზე დაგვწყდება გული — ადამიანის რწმენა კარგია, თანამოაზრეთაგან არავის ღალატი რომ არ გინდა დაიჯერო, ულრმესი კეთილშობილების გამოხატულებაა, მაგრამ რწმენაც და კეთილშობილებაც მთლად მიამიტობაშიც არ უნდა გადაგეზარდოს და ადრე თუ გვიან გააცნობიერო, ვის გვერდით მოგახვედრა ბედმა თუ უბედობამო.

იმ „უტაქტო მოქმედების“ ავტორის ვინაობაო და... ფილიპე მახარაძე უნდა ამოჩნდეს იმ იატაკქვეშა ორგანიზაციის იდუმალებიდან, შემთხვევით და უნებლიეთ რომ არაფერი დაემართებოდა და მიზანმიმართულად გაწირავდა ქვეყნისათვის თავგადადებულ პატრიოტებს, რათა თანდათან ყველა ამ მრწამსისა და სწრაფვის პიროვნება ჩამოეშორებინა პოლიტიკური ასპარეზიდან — მარქსისტული დოქტრინა და სოციალ-დემოკრატიული სტილი ვერ იგუებდა ნაციონალისტურად განწყობილ ადამიანებს.

ერთი იასე ფალავანდიშვილს მოუვიდა უნებლიეთ და უტაქტო მოქმედებით 1832 წლის საიდუმლო შეთქმის გაცემა და მეორე — ფილიპე მახარაძეს, უკვე რომ ემზადებოდა ილია ჭავჭავაძის დასამხობად და გამოცდილების შესაძენად „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ განადგურება კარგი პრაქტიკა უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, როდესაც ფარული ორგანიზაციის წევრობას არც თანხმდები და მის თაოსნობასაც იჩემებ, იასე ფალავანდიშვილისა არ იყოს, მაინცდამაინც სოლომონ დოდაშვილს, ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანს რომ უნდა ამოსდგომოდა გვერდით, ისევე როგორც ახლა ფილიპე მახარაძე უნდა გამოჭიმულიყო შიო დედაბრიშვილის თანაბრად.

ფილიპემ წინდაწინვე იცოდა, რასაც შეამთხვევდა პატრიოტულად განწყობილ თანატოლებს და ყოველმხრივ ამიტომაც უწყობდა ხელს, რათა ენთუზიაზმი არ განელებულიყო და ლიგის წევრები არ ჩამოსცილებოდნენ მომავალ აჯანყებაზე ფიქრსა და სამზადისს.

ისე, ან წესდება რამ შეანახვინათ და, მითუმეტეს, სხდომის ოქმებს ან რატომ ადგენდნენ და ან მერე რატომ ვერ მოისაზრეს მისი მოსპობა, ახალ-ახალი თანამოაზრენი რომ ემატებოდნენ და მათი საქმიანობაც სულ უფრო სახიფათო შეიქნებოდა — ცეცხლთან თამაშისას ფურცლებს რაღა განახვინებს, შენივე ხელით რატომ ქმნი ნივთმტკიცებებს?

ნუთუ საფიქრებელი არ არის, რომ წესდების შენახვასაც და სათვისტომოს სხდომათა ოქმების ჩანიშვნა-დამალვასაც ფილიპე მახარაძე ურჩევდა თანამზრახველთ?

კი მაგრამ, ისინი როგორ შეცდნენ — მართალია, არ ეეჭვებოდათ მისი გულწრფელობა და არავინ გაივლებდა გულშიც კი, ვაითუ ნივთმტკიცებებს უგროვებს ხელისუფლებასო, მაგრამ ხომ შეიძლება არ დასთანხმებოდნენ მის რჩევას: ჟანდარმერიამ ხელთ რომ იგდოს რაღაც ავი შემთხვევითობით ეს ფურცლები, მერე რაღა გვეშველებაო?

ეგებ კიდეც უთხრეს, შიო თუ არ გამოიდებდა თავს საამისოდ, ვინმე მაინც გამოთქვამდა ამ შიშს, თანაც — არაერთხელ...

მაგრამ ფილიპე თავისას დაიჟინებდა და ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად იმას მოუყვანდა: ამ ყველაფერს ხომ ქართულად შევავსებთ, წესდებისა არ იყოს, სხდომის ოქმებსაც ქართულად ჩავიწერთ და ჟანდარმერიამ რა უნდა გაიგოს, შარი რომ მოგვდოსო.

ანთებულები არიან ყმაწვილკაცები, აფოფინებულები, აღგზნებულები და ამიტომაც აღარ დაუწყებდნენ ჩხრეკას ფილიპეს „არგუმენტს" და აღარ შეეპაექრებოდნენ: ჟანდარმები კი ვერაფერს გაიგებენ მთელი ამ დოკუმენტაციისა, მაგრამ საქართველოში რომ გადაგზავნონ, აი, მაშინ უკვე რაღა გვეშველებაო?!.

ერთი სიტყვით, თავისას გაიტანდა ფილიპე მახარაძე, და იქაური ჟანდარმერია მთელს ამ დოკუმენტაციას რომ დახვეტ-

და და თავსა და ბოლოს მართლაც ვერ გაუგებდა, კიდეც გადმოუგზავნიდა ვარშავიდან ქუთაისში, წინათ ვარშავაში ნამსახურევს და იმჟამად კი ქუთაისის საგუბერნიო საჟანდარმო მმართველობის უფროსს — დე-ბილს. აქ გამზადდებოდა ლიგის წესდებისა და სხდომათა ოქმების რუსული თარგმანი და არა მარტო ამ ორგანიზაციის მთავარ ბირთვს გამოავლენდნენ, აგერ თედო სახოკიასაც მოსწვდებოდნენ, მასალების გაცნობისას მისი გვარ-სახელიც რომ მოხვდებოდათ თვალში.

რაც ძიების პროცესში გაწვალდებოდნენ და გაწამდებოდნენ „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ წევრები, განსაკუთრებთი მაინც — შიო დედაბრიშვილი, თორემ საბედისწეროდ არ დასრულდებოდა სასამართლო, ყველას ბოლოს თავდებით რომ გამოუშვებდნენ, საქმეს კი მოსასპობად წარადგენდნენ.

მოტივად ის გამოიძებნებოდა: ლიგისა მხოლოდ წესდებაა შედგენილი, მის განსახორციელებლად კი საჭირო მუშაობის დაწყება ჯერ ვერ მოასწრესო.

ცხადია, ხელისუფლებას ეს ჰუმანიზმით არ მოსვლია და არც ამ წამოწყების შეუფასებლობით.

ზუსტად განმეორდებოდა იგივე, რაც ათწლეულთა წინათ მოხდებოდა 1832 წლის შეთქმულთა სასამართლო განაჩენის გამოტანისას, როდესაც მთავრობა ამჯობინებდა გაეარაფრებინა, დაემცირებინა ამ ფარული ორგანიზაციის მნიშვნელობა და ფუქსავატ და ემოციურ ყმაწვილკაცთა გაუაზრებელ ქმედებად მიეჩნია. მკაცრ რეპრესიებს შესაძლოა მძაფრი პროტესტი მოჰყოლოდა საქართველოშიც და ევროპაშიც და ეს უფრო სახიფათო გამხდარიყო რუსეთის იმპერიული ხელისუფლებისათვის, ვიდრე საქმის ჩაფარცხვა და შეთქმულების მონაწილეთა იოლი სასჯელით გადარჩენა.

ასეთი განაჩენი ორივე მხარეს აძლევდა ხელს — მთავრობასაც და მეამბოხეთაც.

ამჯერადაც ამ გზას დაადგებოდა ხელისუფლება და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩებოდა. არადა, მთავრობას ლიგელთა ამ წამოწყების გაარაფრება და დამცირება უფრო ერჩივნა, ვიდრე მკაცრი სასჯელის გამოტანა და პასუხად საქართველო-

ში წინააღმდეგობის გამძაფრება-აზვირთება და ევროპაშიც მწვავე გამოძახილი.

თედო ერთ დამატებით გარემოებასაც აღნიშნავს, მკაცრი სასჯელისაგან რასაც ეხსნა ისინი.

გარდაიცვლებოდა იმპერატორი ალექსანდრე მესამე და მის აღსასრულს კიდეც მოჰყვებოდა პატიმართა სვე-ბედის გაუმჯობესების მანიფესტები.

— ახლა რას იზამ? — ჰკითხავდა თედო მეგობარს, და შიო პასუხად:

— ორი გამოცდის ჩაბარება აღარ მაცალეს და ესა მაქვს მოსაგვარებელი.

1895 წლის თებერვალ-მარტში კიდეც რომ ჩააბარებდა ამ გამოცდებს და მაისში, შინ დაბრუნებისთანავე, ტფილისის სასაკლაოზე რომ დანიშნავდნენ ბეითლად, ნავთლუღში, ეს თითქოს მხოლოდ შიო არაგვისპირელის ბიოგრაფიის ნაწილია და მარტოდენ მისი ცხოვრების აღწერისას უნდა მივადევნოთ თვალი, მაგრამ... ისე მოხდებოდა, რომ თედოს ბიოგრაფიის უშუალო ნაწილიც შეიქნებოდა, რაკიღა მოუწევდა ჩარევა იქ დატრიალებული ამბების მიუკერძოებლად გადმოცემასა და მართებულ შეფასებაში, რათა შიოს სახელს ყოვლად უსამართლოდ და უდიერად არ დასცემოდა ჩრდილი, რისი მოწადინეც იმჟამადაც არაერთი უგვანი ადამიანი იყო და... მოგვიანებითაც არ დაელეოდათ იმათ სულიერი ჩამომავალნი.

შიოს რომ ესიკვდილებოდა სახელმწიფო სამსახურში შესვლა და ერთადერთი გზა რჩებოდა — ქალაქის თვითმმართველობაში ეძებნა თავშესაფარი, ტფილისის მაშინდელი თვითმმართველობა სომეხი დაშნაკებისაგან შედგებოდა, რომელნიც არამცთუ არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ქართველობას მათსავე სატახტო ქალაქში, სულაც მათ განაპირებას ცდილობდნენ ყოველივე საქმიანობისაგან, და ეს შიოსაც რომ მოეხსენებოდა, მაინც არ დაიხევდა უკან, ეტყობა, თავისი პატიოსნებისა და სულიერი სისპეტაკისა ეიმედებოდა: განა რას მიზამენ, ჩათრევით ვერაფერში ჩამითრევენ და, თუ გასაქანს არ მომცემენ, სამსახურის მიტოვება მაშინაც შეიძლებაო, — მაგრამ ეს სია-

ლალე კინაღამ ძალზე ძვირად დაუჯდებოდა, რადგანაც ცილისწამებაც იმ ადამიანთა ჩვეული მეთოდი იყო და, ცოტას გაწყდა, მართლაც საუკუნოდ წარუხოცელი ჩირქი არ მისცხეს.

აბა, ისპანდერიანცისნაირ თანამშრომლებს რომ გააპარპაშებ, ადამიანის სიცოცხლესაც ჩირად რომ არ აგდებდნენ და ღორის ტრიქინიანი ხორცის გასაღებით თვითონაც ბლომად იშოვნიდნენ ფულს და თვითმმართველობის გამგეობასაც გულს აუმსუყებდნენ. უფროსი ვეტერინარის უფლება ისპანდერიანცისათვის იმას ნიშნავდა, რომ მიკროსკოპით გასინჯვისას ხორცი ტრიქინიანი თუ აღმოჩნდებოდა და წესითა და კანონით ღუმელში უნდა ჩაებუგათ, ის მალულად აგროვებდა და კარგად აწყობილი ქსელის საშუალებით ყიდდა მოსახლეობაში.

დანაშაული და ასეთი?!

და თუმც უფროსი ვეტერინარი შეეცდებოდა, შიო არაგვისპირელი ჩამოეშორებინა ამ ყველაფრისაგან, მაგრამ, თედოს თქმისა არ იყოს, თვალსაც ხომ ვერ დაახუჭვინებდა, და შინაურული, ამხანაგური რჩევით რომ ვერას გააწყობდა შიო, ოფიციალურად მოახსენებდა საქმის ვითარებას ქალაქის გამგეობასაც და საგუბერნიო საექიმო მმართველობასაც, და მოითხოვდა კომისიის დანიშვნასა და საქმის დაწვრილებით გამოძიებას.

ისპანდერიანცი და მისი თანამზრახველები მოინდომებდნენ, იქით შესდავებოდნენ შიოს და მთელი დანაშაული მისთვის მოეხვიათ თავზე. ქალაქის გამგეობაც შეეცდებოდა საქმის ჩაფარცხვას და, მთლად უფრთო ანგელოზად თუ ვერ გამოიყვანდა დამნაშავეს და ვერც შიოს დააკლებდა ვერაფერს, იოლად კი გადაატარებდნენ ისპანდერიანცს და... სამსახურიდან გაშვებულს პენსიასაც არ მოაკლებდნენ, როგორც პირნათლად გამომვლელს ცხოვრების გზისას.

ეს ყოველივე რომ აღარ დაიფარებოდა და მთელი თავისი უკეთურობით წარმოჩნდებოდა, ილია ჭავჭავაძეც ჩაერეოდა მის განსჯა-შეფასებაში და 1897 წლის „ივერიის“ ხუთ ნომერში მეთაურ სტატიებს მიუძღვნიდა ქალაქის სასაკლაოზე მომხდარ საქმეს და ტფილისის გამგეობის მელაძუობასაც მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გამოსჭიმავდა.

თედო და შიოც სიხარულისაგან ხელებს იფშვნეტდნენ: ეს ბოლო მეთაური წერილი ხომ პირდაპირ საბრალდებო ოქმია მთელი ტფილისის პლუტოკრატიისათვის, ასე აბუჩად რომ იგდებს და კადნიერად დასცინის მცხოვრებთა ინტერესებს და ურცხვად აფარებს ხელს ისპანდერიანცებისა და ძმათა მისთა თავგასულობასო.

გულს მოიფხანდი ადამიანი ასეთი მკაცრი მხილებით, ილიას სიტყვის სიბასრე და სიმძაფრე ბიბლიური წინასწარმეტყველებისას რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა და კიდევ ერთხელ შეძრავდა და ააფორიაქებდა საზოგადოებრივ აზრს და სწორ სადინარში მიუშვებდა ქალაქის თვითმმართველობისადმი ხალხის დამოკიდებულებას, რათა ყველასათვის აშკარად სახილველი გამხდარიყო, რომ მხოლოდ ცალკეული პირები კი არ სჩადიოდნენ დანაშაულს ქართველობის დამცირებისა და სულაც სასიკვდილოდ გაწირვის ხარჯზე, არამედ ეს იყო საათივით აწყობილი სისტემა, დამნაშავეთა უკან უფრო დიდი დამნაშავენი რომ იმალებოდნენ და იმათ უკან — კიდევ უფრო დიდნი...

გულის მოფხანაც რაღაცას ნიშნავდა, მთლად რომ არ ამოვეხრჩვეთ უსამართლობის შეგრძნებასა და უმწეობის განცდას, გასრესით ხომ გვსრესენ და ლაფს მაინც ნუღა გვასხამენო, თორემ არც თედოსა და არც შიოს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ტფილისის მცხოვრებთა ბედ-იღბლის აბუჩად აგდება თვითმმართველობის გამგეობას ამჯერადაც ისევე შერჩებოდა, როგორც ამაზე უარესებიც არაერთხელ შერჩენოდა.

— ნაპოვნ დანასებრო, — ფრთიან გამოთქმასაც მოიხმობდა თედო სახოკია მეტი თვალსაჩინოებისათვის.

ასე მაინც როგორ ადგა ყველას შიო არაგვისპირელის ის თავგამოდება და აწყობილი დანაშაულებრივი ქმედების ჩაშლა, რომ ჯერ მისი გვამი გაცივებულიც არ იქნებოდა, „რაბოჩაია პრავდას“ 1926 წლის 10 იანვრის ნომერში რომ დაიბეჭდებოდა ვინმე პ. გონჩაროვის, ტფილისის სასაკლაოზე სავეტერინარო ფერშლად ნამსახურების, ვითომდა მოგონება, რომელიც ამ სათაკილო მიზანს ისახავდა — შიო გამოეყვანა საექიმო ეთიკის დამრღვევად და ისპანდერიანცის თვითმკვლელობის მიზეზად.

დრო ეხელთათ, გარდაცვლილი რაღას გვიპასუხებს და ცილისწამებას როგორ გააბათილებსო.

ისე, ცოტა დროს მაინც ჩაევლო, არა?

მაგრამ სულის სიმწარით რომ მოელიან რეალური ვითარების ამოყირავებას და შავის თეთრად და თეთრისა კი შავად წარმოჩენას, რაღას დააცდიდნენ — ჩაესმოდათ თუ არა, შიო არაგვისპირელი აღესრულაო, სასწრაფოდ გამზადდებოდა ეს უგვანობა და მისი დასაფლავების დღესვე დაარიგებდნენ გაზეთის ამ ნომერს.

თედო სახოკიას ბუნების კაცი ჯერ ისედაც არ მოითმენდა სიმართლის შებღალვას, რაკიღა იმ ამბების დროს თვითონაც ნავთლუღში ცხოვრობდა და ყველაფერს მის თვალწინ ჩაევლო და, მითუმეტეს, უახლოესი მეგობრის სახელს საჯიჯგნად არავის დაანებებდა.

— ჩემს წმინდა მოვალეობადა ვთვლი, გამოვამჟღავნო მთელი სიმართლე, რომ თვით მკითხველს შეეძლოს განსაჯოს, თუ რამდენად უხამსი და სათაკილოა საქციელი გონჩაროვისა და რამდენად აქვს მას უფლება, სხვას უსაყვედუროს „საექიმო ეთიკის დარღვევა".

იმ ერთი წლის განმავლობაში, რაც ქალაქის სასაკლაოს გამგის, ვეტექიმ ისპანდერიანცის მოადგილედ მსახურობდა, შიო დედაბრიშვილი მოწმე იყო ნათლიმამობისაც და ყოველგვარი საზიზღრობისაც, ქალაქის მეურნეობასა და, კერძოდ, სასაკლაოზე რომ მეფობდა, მაგრამ მისი მოთმინების ფიალა პირთამდე მაშინ აივსო, როდესაც მისმა უშუალო უფროსმა ღორების ტრიქინიანი ხორცის გაყიდვა დაიწყო და მოსახლეობის, განსაკუთრებით — ხელმოკლეთა, მოწამვლას არაფრად დაგიდევდათ, — კიდევ ერთხელ გამოჰქონდა სააშკარაოზე ის მიყრუებული ამბები და ისპანდერიანცის თვითმკვლელობის მიზეზად კი დაასახელებდა მასში აღძრულ სინდისის ქენჯნას ჩადენილი დანაშაულის გამო, სულ რომ გაიძახოდა: ერთთავად მოწამლული გლეხები მესიზმრებაო, — და სულიერი ავადმყოფობა კიდეც უბიძგებდა თავის მოსაკლავად.

რედაქცია თედოს ამ საპროტესტო წერილს დამახინჯებულად რომ დაბეჭდავდა, კიდევ ერთხელ დადასტურდებოდა,

რომ იმ ვინმე გონჩაროვს თავისით კი არ მოჰფიქრებოდა იმ „მოგონების“ გამოქვეყნება, არამედ მთელი ჯგუფი მოქმედებდა მისი გვარის უკან.

დამახინჯება გულს დასწყვეტდა თედოს, მაგრამ, რაც იყო თუ როგორც იყო, პროტესტი მაინც გამოითქმოდა და სიმართლეც აღარ ჩაბნელდებოდა მეტ-ნაკლებად გონიერი მკითხველის თვალში. მით უმეტეს, ეს „ნარედაქტორალი“ სტატია სულაც არ ჩაიკარგებოდა რუსული გამოცემის ფურცლებზე და თედო სახოკია სრული სახით ჩართავდა შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილ ესეიში, რომელიც ამ სევდიან ნოტზე უნდა გასრულებულიყო, შიო ქრონიკული ხველებისაგან გარდაიცვალა 1926 წლის იანვრის 2-ს, დილის 9 საათზე, ერთბაშად, სამსახურში წასვლას რომ აპირებდა და, ის იყო, ოთახიდან რომ გამოვიდა, თქმაც კი ვერ მოასწრო რისამეო.

თვითონ თედო მოუცილებლად შეჰყურებდა გონების თვალით ამ გაშეშებულ წამს და მკითხველსაც ჩაუბეჭდავდა გონებაში ამ გაშეშებული წამის იდუმალებასაც და... უჩვეულო ხიბლსაც.

სრულიად უცნობ, ანდა ნაკლებად ცნობილ რეალიებს უყრიდა თავს შიოს ირგვლივ, სხვა პიროვნებათა ბიოგრაფიები არ ემეტებოდა, ადვილად რომ გამქრალიყო იქიდან საგულისხმო დეტალები, და შიოს ცხოვრებას მთლად რას გაიმეტებდა, აგერ თუნდ საგანგებოდ რომ შემოიტანდა სალიტერატურო მიმოქცევაში იმ ამბავს, თუ რა გახდომოდა საბედისწეროდ ყოველკვირეულ გაზეთს „მზე“: თურმე შიო არაგვისპირელის ეტიუდის „სამარცხვინო ბოძთან“ გამომზეურება 1908 წლის 6 ოქტომბრის ნომერში, არსენა ჯორჯიაშვილის დახვრეტის გამო შექმნილი თხზულება უკვალოდ არ ჩაივლიდა და მასაც თავისი ბიოგრაფია მოებმოდა, — მოურიდებლად რომ მიახურავდნენ გაზეთს, რაკიღა რეპრესიების ხანა დგებოდა და ეს სუსხი უკვე ყველასა და ყველაფერს მწვავედ უნდა ეგრძნო.

გამოსდევდა შიო არაგვისპირელის ცხოვრებას თედო სახოკია; და მასზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანის („მზე და მწუხრი“) სიუჟეტსაც რომ გამოჰყვებოდა და ჯერ კიდევ თხრობის დაწყებისას გამოჩნდებოდა, სემინარიაში შიოს მოვლინება თავზარს

რომ დასცემდა, ვიდრე მისი განუყრელი მეგობარი შეიქნებოდა, კომპოზიციური ქარგის შეკვრის წინაც ერთხელ კიდევ უნდა გამოჩენილიყო, როგორც შიოს ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მზრუნველი — მის არქივსაც მოვაწესრიგებ და გამოუქვეყნებელ თხზულებებსაც ცალკე გადავარჩევ, წიგნად გამოცემამდეც რომ დავაბინაო ჟურნალ-გაზეთებში, რჩეულ კრებულსაც გავამზადებ გამოსაცემად, ვიდრე ტომებს მოებმოდეს თავიო.

შიო არაგვისპირელის რანგის შემოქმედის ნაღვაწს სწორედაც ტომებად უნდა მოეყარა თავი, თორემ ცალკეულ კრებულებად ხომ დროდადრო უნდა გამოსულიყო და სასკოლო ქრესტომათიებშიც აუცილებლად ეპოვა თავისი ადგილი.

ეჰ, ნეტა მართლა თედო სახოკიას ხელში გადმოსულიყო ეს ყოველივე და თბილისის უნივერსიტეტის რექტორს ლევან აღნიაშვილსაც არ გამოედო თავი შიოს ტომების გამოსაცემად, ოჯახისათვის არ მიეკითხა და მთელი არქივი თან არ წაეღო დამაიმედებელი სიტყვებით: ამას უნივერსიტეტის გამომცემლობა სულ მალე მიხედავსო.

რას წარმოიდგენდა, სიკვდილი ყურთან თუ ჩასაფრებოდა და... ხალხის მტრის სახელით რომ აღესრულებოდა ძალიან მალე, შიო არაგვისპირელის ხელნაწერებსაც რა ბედი ეწეოდა, ვეღარავინ გამოარკვევდა.

ეს მოულოდნელი და საბედისწერო ჩარევა რომ არა, თედო სახოკია შესაფერისადაც დააგვირგვინებდა შიოს ნაღვაწს, თავშისაცემად რომ აღარ გვექნებოდა, ვინ იცის, რა თხზულებანი გაგვიქრა თვალსა და ხელს შუაო. ვარადა, მისი დაუბეჭდავი ნაწერები ცოტა სულაც არა ყოფილა.

რარიგ დაშვენდებოდა იმ ტომებს გამხსნელად თედოს მიერ ჩამონაკვთული ის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტიც.

ნეტა ლექსიკონსაც ხომ არ დაურთავდა?

რატომაც არა — მაინც ხელი ეცმადუნებოდა ლექსიკონების შესადგენად, განმარტებათა დასაზუსტებლად, ცალკეულ ნიუანსთა მისაკვლევად და გამოსაკვეთად.

ხუთშაბათი შიო არაგვისპირელთან სტუმრობის დღედ რომ დაედგინა, ამ რიტუალისათვის შიოს გარდაცვალებაც ვერ გა-

დაახვევინებდა და ახლა მის ოჯახს უნდა სწვეოდა ხოლმე ერთი ხუთშაბათის გამოუტოვებლადაც.

მოტივტივებდა ხსოვნაში ცალკეული ეპიზოდები თუ დეტალები ამ ორთა ურთიერთობიდან, სახალისოც, დრამატულიც, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ის შიში წამოაგონდებოდა, შიოს პირველი ხილვისას რომ დაუფლებოდა, ეს რა პირქუში, შემაშფოთებელი სახე აქვს და მზერა ამ სემინარიელს, ამან რომ სადმე დამიმარტოხელოს და საუბარი გამიბას, რაღა მეშველება, ცოცხალი ველარ გამოვაღწევო... და იცინებდა, იცინებდა...

და ის წუთებიც არაერთხელ ამოებლანდებოდა თვალებში, სასტუმრო „პეტერბურგის“ წინ რომ დაწრიალებდა შიო დედაბრიშვილსა და იოსებ ლაღიაშვილთან ერთად, აგერ-აგერ ალექსანდრე ყაზბეგიც გამოგვეცხადება მაიმუნ ჟაკოთი მხარზეო...

თავი მესამე

ამბავი აკაკის ოხუნჯობათა შეგროვებისა

— ის და აკაკი წერეთელი მტრები იყვნენ.

ეს რა ექო ჰქონია იმ ხმაურს, ამდენი წლის შემდგომაც რომ არ ჩაწყნარებულიყო და გალაკტიონს ისლა აინტერესებდა, აკაკის გარდაცვალების მერე თედო სახოკიამ კიდევ ორმოცი წელი რომ იცოცხლა, ნეტა როგორ გაუსწორა ანგარიში ამა სოფლიდან გასულ მტერსო.

თვითონ გალაკტიონს არ ებრალებოდა თავისი მტრები და იცოდა მტრობა.

და თედო როგორღა მოქცეულიყო, როდესაც უკვე ბურთი და მოედანი დარჩენოდა და შეეძლო აშკარად თუ ფარულად გადაეხადა სამაგიერო?!.

სააშკარაოზე არაფერი მოჩანდა, ყოველ შემთხვევაში ვერაფერი ევარაუდა გალაკტიონს, მაგრამ, აი, ფარულად?!.

ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს რომ წარმოსახავდა აკაკი წერეთლისას, თედო საერთოდ არ გაიხსენებდა იმ უსიამოვნო ამბავს, ყრუდაც კი არა, არამცთუ მტკიცებას მოჰყოლოდა, ტყუილუბრალოდ დამესხა თავს, ჩემი კეთილი გულით ნაკარნახევი აბუჩად აიგდო და ნაშრომი უსამართლოდ გამიბიაბრუაო... მე როგორ მიყვარდა, მან კიო... ასეო, ისეო...

მაშ იქნებ აკაკის პორტრეტს დააჩნევდა ზოგიერთ ისეთ ზადს, რასაც უშუალო კავშირი არ ექნებოდა იმ სკანდალთან და შესაძლოა მკითხველს შემცდარი წარმოდგენა შექმნოდა: მემუარისტს რაიმე პირადი მოტივი სულაც არ ამოძრავებს, ეგაა, მართლა ჰქონია აკაკის ასეთი ბუნებითი ნაკლი, ანდა ნამდვი-

ლად ჩაუდენია ურიგო საქციელი და ლიტერატურული პორტრეტის ხატვისას, გინდა-არგინდა, გვერდს ვერ აუქცევდიო?!.

მაგრამ მოგონება-პორტრეტი იმ პანეგირისტული სულით განმსჭვალულა, თუნდ აგერ გალაკტიონი როგორც შეჰყურებდა აკაკის სახებას და ერთდროულად აღიქვამდა მიწიერად და ზეციურად, თან რომ გჯერა მისი არსებობა ყოფით რეალობაშიც, მაგრამ თან დაბეჯითებით გწამს, რომ ღვთიურ გამონათებას შეჰყურებ, ხორცი მხოლოდ მოჩვენებითად რომ ასხია.

რაღა გალაკტიონ ტაბიძისა და რაღა თედო სახოკიას ხედვა!..

თედოს აკაკი წერეთელი პირველად ეხილა ტფილისში — 1885 წლის გაზაფხულზე.

ის 45 წლისა იქნებოდა.

ეს — სასულიერო სემინარიის მოსწავლე.

შეჰყურებდა გაშეშებულ-გაოგნებული მაღალს, წარმოსადეგს, მხარბეჭიანს, დიდ, აწეწილ, ხუჭუჭა, შავ გრუზათმიანსა და შესაფერისად წვერულვაშიანს, ლამაზ ჩარჩოდ რომ შემოხვეოდა მეტად მაღალ შუბლსა და ვაჟკაცურ და ღვთაებრივ სახეს. ცოტათი კეხიან ცხვირს ზემოდან წამოსხდომოდა დიდრონი, ცოცხალ ნაპერწკალთა მფრქვევი, შორსგამჭვრეტი, ჭკვიანი თვალები.

იმ წუთს ეს შთაბეჭდილება დარჩებოდა და შემდგომი დაკვირვებანიც დაუდასტუ-რებდა, რომ, ვინც ერთხელ დაინახავდა ამ სახეს, შეუძლებელია დავიწყნოდა, და კაცი იქნებოდა თუ ქალი, ვინც აკაკის გვერდით ჩაუვლიდა, შეუძლებელი იყო, უკან არ მოეხედა, მზერა არ გაეყოლებინა პოეტისათვის, თითქოს სურს, სამარადისოდ ჩარჩეს ხსოვნაში მისი გარეგნობაო.

აგერ თვითონ თედოს, მრავალი წლის გადაკეცვის შემდგომაც, აკაკი, ეს განსახიერება არაჩვეულებრივი ფიზიკური და გონებრივი სიმშვენიერისა, თვალწინ ედგა ცხოვლად და უჭვრეტდა, და თვალწინ ედგა არამარტო მისი სახე, არამედ თვით ის ადგილიც, სადაც პირველად ენახა: მთავრობის ახალი სასახლის ბაღის ალაყაფის პირდაპირ, ტროტუარზე.

— მეტად განუზომელი იყო შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე დასტოვა, რომ ისე ადვილად დამვიწყნოდა!..

ლიტერატურულ პორტრეტს ისეთ კომპოზიციურ ღერძზე ააგებდა, რომ სხვადასხვა წლის თავისებური მოზაიკა შეექმნა

და ერთიან პანორამად გადაეჭიმა, თუმც ამდენს ველარ გასწვდებოდა და ორად ორ მონაკვეთს იკმარებდა: „აკაკი თბილისში 80-იან წლებში“ და „აკაკი პარიზში 1909 წელს“. პორტრეტს კი იმ დანიშნულებას დააკისრებდა, რომ წარმოჩენილიყო ერთ ფურცლად აკაკის ცხოვრებისა და იმ ხანისა, როდესაც ეს საამაყო პოეტი გამოჩნდა დედაქალაქის ცისკიდურზე.

თედოს ისიც ძალიან ხიბლავდა, რომ რუსეთიდან უმაღლეს სწავლადამთავრებულ ქართველთა შორის აკაკი გამონაკლისად წარმოდგებოდა, რაკიღა, მათგან განსხვავებით, არ ეცადა სახელმწიფო სამსახურში მოკალათებას და არც ჩინოვნიკობა გაეხადა იდეალად.

ანკი რა სჭირდა საამისო ბუნების ნებიერს:

— ნიჭით, არაჩვეულებრივი სილამაზის გარეგნობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით, დაუშრეტელი მახვილგონიერებით.

და თედოს ელიმებოდა, ნეტა ვის ეგონა, რომ თავისუფლების მეხოტბის, დამოუკიდებლობის მოყვარის ბუნება როგორღაც შეეგუებოდა ერთ ადგილასა და განსაზღვრულ საათებში ჯდომას, ვისიმე უფროსობას და ვისიმე ბრძანებების მოსმენას, რაც ჩინოვნიკთა ხვედრიაო.

თვალს რომ მიმოავლებდა გარშემო, აკაკის იგულისხმებდა იმ ერთადერთ ქართველად, რომელსაც ჩინოვნიკობა და საზოგადოდ რამე „სამსახური“ არ გამოეცადა, თუ არ ჩავთვლიდით ასეთ თავმოსაბეზრებელ სამსახურად ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეობას, ისიც — ძალზე მოკლე ხნით.

აკაკი ყველასათვის ძვირფასი და სანატრელი სტუმარი რომ გახლდათ, პირველი ოჯახი, სადაც ხანგრძლივად დაიდებდა ბინას, ლიზა ჭავჭავაძის ოჯახი იქნებოდა, მარჯანიშვილის ქვრივისა, მაშინდელ გოლოვინის (აწ რუსთაველის) პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში — იქ, სადაც გამზირს გრიბოედოვის ქუჩა უერთდებოდა.

თედო იმიტომ აზუსტებს ამ სახლის ადგილმდებარეობას, რათა მკითხველს უფრო ნიშანდობლივად წარმოუდგინოს ბინა, სადაც აკაკის ერთი საუკეთესო ოთახი საკუთრად ჰქონდა ღამის გასათევად და სამუშაოდ. ის „ცისფერ ოთახად“ იწოდებო-

და, რაკიღა იქ ცისფერი იყო ყველაფერი: საბანი, ლამპის აბა-ჟური, მუთაქები, კედლებიც კი... საერთო შეხამებისა და ჰარმონიისათვის დიასახლისის სამოსელშიც ცისფერი სჭარბობდა, და თედო ნინო მაჭავარიანის — ლიზა მარჯანიშვილის უფროსი ქალის — ნინოს ამხანაგის აღწერის მიხედვით ამ ყოველივეს ნიშანდობლივად რომ წარმოიდგენდა, თავისთვის დაიბეჯითებდა: ეტყობა, პოეტის სიმპათია ყოფილა ეს ფერიო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სიყრმიდანვე რომ ეტრფოდა ცისა ფერს, ეს განცდას ლექსში ასე პირდაპირვე აღბეჭდავდა.

ხოლო აკაკი წერეთლის გატაცება სიყრმიდანვე ამ ფერით ასე გამჟღავნდებოდა.

ისეთი სასოებითაა გათავისებული და გადმოცემული აკაკის ეს ტფილისური ადგილსამყოფელი, აშკარად გრძნობ, თედოს არაერთხელ უტრიალია მის სიახლოვეს და გაშეშებულიც მდგარა, რათა იქიდან მონაბერი მადლი ხელშესახებად განეცადა, განსაკუთრებით კი ის წუთები გამოკრთომოდა ხილვაში, თუ როგორ წერდა ლექსს აკაკი — დაირის ხმას რომ ააყოლებდა, დაირას დიასახლისი წამოავლებდა ხოლმე ხელს და ნელა, სულ დაბალი ხმით იწყებდა დაკვრას, პოეტი კი ბოლთას სცემდა ოთახში. მაგიდას რომ უნდა მისჯდომოდა და ხელში კალამი მოემარჯვებინა, თითით უნდა ენიშნებინა დიასახლისისათვის: შეჩერდიო, — და კიდეც შეუდგებოდა წერას.

თურმე რა პირობებში იქმნებოდა ის მშვენიერი ლექსები.

და თედოს საგანგებოდ უნდა აღენიშნა ამ მშვენიერი დიასახლისის ერთგვარი როლიც აკაკის პოეტურ შთაგონებასა და შემოქმედებაში.

ასე მოიარებით და ფაქიზად ამჯობინებს ლიზა ჭავჭავაძისა და აკაკის ურთიერთობის გადმოშლას.

რომანტიკული იერით შემოსვას.

აქ ცნაურდება არამარტო თედოს პიროვნული ბუნება, არამედ აკაკისადმი დამოკიდებულებაც.

განა ასეთი სიფაქიზითა და მოწიწებით მოეპყრობი მტრის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, მითუმეტეს, თუკი შეგიძლია სულ იოლად იპოვნო გასაკილი და არც მწარ-მწარე ეპითეტები მოაკლო?

მარტო ოთახში არ გამოიკეტებოდნენ, ზოგჯერ ეზოში მწვანეზე ხალიჩების გაშლაც სჩვეოდათ და ზედ მოკეცილთ ტკბილ ბაასში დროის გატარება — აკაკის დაუსრულებელი ოხუნჯობით გამშვენიერებულის.

ლიზა ჭავჭავაძის სალონის სტუმართა შორის გამოირჩეოდნენ: საქართველოში ახალდაბრუნებული ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი, სერგეი მესხი, ვასო აბაშიძე და მისი მომავალი მეუღლე მაკო საფაროვი. 1882 წელს ამ სალონს უნდა მიმატებოდა ახალკურსდამთავრებული ექიმი გრიგოლ ელიავა, შემდგომ ბათუმში რომ გადასახლდებოდა და სახელსაც გაითქვამდა საზოგადო მოღვაწეობით, ამასთან, სიძედ მოეკიდებოდა ლიზას — მის უფროს ქალს ნინოს შეირთავდა.

ილია ჭავჭავაძე აკლდა ამ გარემოს?

თედო მოვალედ მიიჩნევდა თავს, ამის მიზეზიც განემარტა — თურმე ილია არა მარტო იცნობდა ლიზას, არამედ მისი პირველი სიყვარულიც ის ყოფილა და მისი ცოლად შერთვაც სდომებია. და იმ უსათაურო და მართლაც გულდამწვარი ლექსის —

„გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდითო?.." შთამაგონებელი ეს სიყვარული იქნებოდა. ეს საქმე ჩაიშლებოდა და თედომ ისიც იცოდა, თითქოს მამა ლიზასი, სოლომონი, ილიას ახლო ნათესავი, გამხდარა წინააღმდეგი ნათესავთა ქორწინებისა... თუმც ნამდვილი მიზეზი სულ სხვა გახლდათ და სოლომონისათვის ნათესაობა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა... მაგრამ თხრობის გეზს ავცდებით და ეგაა, და მხოლოდ ის ვიკმაროთ, რომ ილიას ის ახალგაზრდული სიყვარული ლიზასადმი საკმაოდ შენელდებოდა, მითუფრო, ქალის გათხოვების შემდეგ, ის ჩაშლილი ურთიერთლტოლვა ბარიერად აღიმართებოდა ამ ორთა შორის და ილია მოერიდებოდა ამ ოჯახში სტუმრობას, რაოდენ თავმოსაწონებელიც უნდა ყოფილიყო მისი ფეხის შედგმა ლიზას სალონში.

ესეის ავტორი არც იმ ეპიზოდს გამოტოვებდა, ლიზა ჭავჭავაძე აკაკის სიღნაღში რომ წაიყვანდა ერთ ზაფხულს — თავის დას, ეკატერინეს ასტუმრებდა, ამ ქალაქში მდგარი ჯარის უფროსის — აბელიშვილის — მეუღლეს. და არამარტო უშუალო

მასპინძელი, არამედ მთელი სიღნაღის საზოგადოება განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით დაუხვდებოდა — აუღებელი სუფრა სუფრას მოსდევდა და აკაკის ენაწყლიანობით ხომ აღტაცებას ვერა ფარავდნენ. და სიღნაღელებს დიდხანს რომ ექნებოდა სალაპარაკოდ ეს სტუმრობა, აკაკიც თავის მხრივ იშვიათი სიამოვნებით იგონებდა ამ დახვედრასა და პატივისცემას.

ეს ეპიზოდები რომ მიიქცევდა თედო სახოკიას ყურადღებას, რა გასაკვირია, მაგრამ აკაკის პარიზული ყოფა რატომღა გამოერჩია?

თურმე გამოსარჩევი ეს იყო, თუ იყო მისთვის: აქედან არის სწორედ, ბრიუსელში დასახლებულ თედოს ბარათი რომ უნდა გამოუგზავნოს.

ციმბირიდან გამოქცეულს აქ უნდა ეპოვნა დროებითი თავშესაფარი და ისე მოხდებოდა, რომ სწორედ ამ ქალაქში უნდა მისვლოდა, ერთი მხრივ, აკაკი წერეთლისა და, მეორე მხრივ, ვაჟა-ფშაველას წერილები, ერთსაც რაღაც სათხოვარი რომ გასჩენოდა მასთან და მეორესაც.

პარიზში აკაკის სტუმრობა კი იქ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობისათვის მთელ დღესასწაულად რომ გადაიქცეოდა, რა მიხვედრა სჭირდება, და თედო მხოლოდ გვიდასტურებს, რომ მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონია, ყველანი დატრიალებულიყვნენ და მოენდომებინათ შესაფერისი დახვედრა. მის პატივსაცემად ქართულ საღამოსაც გამართავდნენ და მიიწვევდნენ ფრანგ მწერლებსაც, რომელთაც უნდა გაეზიარებინათ მასპინძელთა სიხარული, გამოწვეული სახელოვანი მგოსნის იქ ყოფნით.

ფრანგები პირველად რომ იხილავდნენ როგორც ქართველ პოეტს, ისე ერთად თავმოყრილ ქართველობას, მოხიბლულნი დარჩებოდნენ აკაკის არაჩვეულებრივი გარეგნობითაც და ქართული დროსტარებისა და ცეკვის მშვენიერებითაც. და ამიტომაც დარჩებოდათ ეს შეხვედრა სალაპარაკოდ და ტკბილ მოსაგონრად. თვითონ აკაკის კი ისე აღაფრთოვანებდა ეს წრფელი შეგებება, იმასღა იძახდა:

— ასეთი პატივისცემის შემდეგ რომ მოვკვდე, არ დამენანება კიდეც.

მერე მოინდომებდა პარიზიდან გადასვლას ევროპის სხვა ქალაქებში, სადაც ქართველები ეგულებოდა. ბრიუსელში თედოს გარდა კიდევ ორი ქართველი იმყოფებოდა: პალიკო ყიფიანი და ბარბარე ყიფიანისა, ხოლო ბელგიის სხვა ქალაქებში — ლიეჟში, ჟანბლუსა თუ მონსში — ათ კაცამდე მაინც იქნებოდა.

პარიზში აკაკის სტუმრობის ამბავს რომ შეიტყობდნენ, რა გუნებაზე დადგებოდნენ?

— დიახაც გვშურდა, რომ არ შეგვეძლო საყვარელი მგოსანი დაგვეპატიჟნა და ერთ კვირას მაინც გაგვეჩერებინა ჩვენს შორის.

განა მტრის მიმართ ასეთი განცდა უჩნდებათ — სხვისი სტუმარი რატომ არის და ჩემი რატომ არაო?

— ამ წუხილში ვიყავით ბელგიის ქართველობა.

ხედავთ, აკაკის დაპატიჟების სურვილი რარიგ გამძაფრებია თედოსაც?

და ამ დროს თვითონ აკაკის ბარათი უნდა მოსულიყო ბრიუსელში და არა ვინმე სხვის, არამედ — თედოს სახელზე.

ამდენი ქართველიდან ვითომ მაინცდამაინც მტერს გამოარჩევდა თხოვნის გადასაცემად?

აშკარაა, ყველაზე მეტად იმათში თედო სახოკიას აფასებს, ყველაზე ახლობლად ის ეგულება და ყველაზე თავგამოდებულადაც — თუკი რაიმე სახსარი მოიძევება ბელგიაში, იცის, თედო ქვას გახეთქავს და თავისას მიაღწევს, ოღონდაც ძვირფას სტუმარს ღირსეულად დახვდეს. და თუ თედოც ვერაფერს გააწყობს, ეს ნიშნავს, რომ ერთი ბეწო შანსიც არ არსებულა ბელგიური ტურნესი.

— ბედნიერი ვარ, რომ პარიზი ვნახე და საფლავში არ ჩამყვა მისი ჯავრიო, — იწერებოდა აკაკი, — აქაურმა ქართველობამ ძალიან მასიამოვნა, მინდა ევროპის სხვა ქალაქებიცა ვნახო, აი, თუნდა თქვენი ბრიუსელი, თქვენი ნახვაც გამიხარდებოდა, მაგრამ რა ვქნა, უფულობა, როგორც ყოველთვის, ხელს მიშლის. ამიტომ მიიღეთ შორი სალამიო.

ზოგად შინაარსს რატომ გადმოგვცემს თედო და უშუალო ციტატას კი არ იმოწმებს?

ეს ბარათი პირველი მსოფლიო ომის ატეხვისას ბრიუსელში დარჩებოდა თავის ბიბლიოთეკასთან ერთად, მაგრამ იმედს არა ჰკარგავდა, რომ კვლავაც იქ ინახებოდა და ადრე თუ გვიან, თვითონ თუ ველარ, ვიღაც მაინც მიაკვლევდა.

თქვენი ნახვაც გამიხარდებოდაო...

მტრის ნახვა განა რა გასახარია, არა?!.

უფულობა ხელს მიშლისო...

ეს ნიშნავდა, რომ ამათ უნდა ეზრუნათ საგზაო ფულის გაგზავნისა და, ბრიუსელში რომ ჩამოვიდოდა, შესაფერისი პატივისცემისთვისაც... მაგრამ, აი, სახსარი...

და თედო იძულებული შეიქნებოდა მადლობა მოეხსენებინა ბარათის მოწერისათვის და გამოეთქვა ბელგიაში მყოფი ქართველობის საერთო, გულწრფელი სინანული, რომ ხელმოკლეობა ნებას არ აძლევდათ, აკაკის აქ მოწვევით უსაზღვრო სიამოვნება განეცადათ.

პარიზში აკაკის ყოფნასთან დაკავშირებით მოიხსენიებდა პოეტის გამოუქვეყნებელ ლექსსაც, საჩხერეში რომ გამოეგზავნა ბეჟან წერეთლისათვის. ლექსში ხომ აკაკისებური იუმორით აღიწერებოდა ის შთაბეჭდილებანი, რაც პოეტზე დაეტოვებინა ამ მსოფლიო კულტურის ქალაქს, მის სახელდახელოდ ნანახ ცხოვრებას. იმ სინანულსაც გამოთქვამდა, რომ პარიზი ვერ ინახულა ახალგაზრდობისას, რათა სავსებით ეგემნა სიამენი ფრანგთა დედაქალაქისა. ახლა კი, — დასძენდა პოეტი, — ჩემთვის, მოხუცებულისათვის, ყოველივე ეს მიუწვდომელი, შორით საყურებელიაო.

ეს ლექსი საზოგადოებაში ხელნაწერის სახით რომ ტრიალებდა, თედოს აზრით, მისი დაბეჭდვა ზოგიერთი, ისედაც მისახვედრი სიტყვის გამოკლებით, მაინცდამაინც შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო.

„პარიზის“ გამოქვეყნების დროც დადგებოდა, თავით ბოლომდე ამ წუხილით რომ გაჟღენთილიყო, ეს როდის მომიწია ამ სამოთხის პირას მოხვედრა, თანაც სრულიად უარაფროდ, და ამიტომაცაა, რომ აქ ცხოვრებას ისე თუ მივწვდები, ვით მაღლა ცაში მთვარესაო. პარიზში ვის უნდა ეცხოვრა: ვინც

ლხინს დაჩვეულიყო, ჯიბე ოქროთი გასძეძგოდა და რკინის ხასიათითაც გამოირჩეოდა. ხასიათის სიმტკიცეს არ ემდუროდა აკაკი, მაგრამ, აი, სხვა მხრივ კი... და ისღა დარჩენოდა, რომ პირდაღებულს ეცქირა სხვათა ნეტარებისათვის და საკუთარ თავთან ებუტბუტა ნაღვლიანი აღსარება.

ვითომ კაცი ვარ მეც, რაღა?!
ნაციით ივერიელი...
ვცხოვრობ, დავდივარ, დავბზუი
ბუზივით, ოხერ-ტიელი.

ვიღაცას ეს ლექსი მწარე განცდების ანარეკლად მოეჩვენებოდა, მართლაც ნაღვლიან აღსარებად, თედოს კი როგორ გამორჩებოდა ის ლაღი, მხიარული განწყობილება, რაც მკვეთრად ანელებდა განცდათა სიმძაფრეს და ლირიზმს იუმორისტული სამოსელით მოსავდა.

აკაკისებური იუმორიო...

აკაკის დაუსრულებელი ოხუნჯობაო...

რაო, რას ირწმუნებოდა ანდაზა? — ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ ლაპარა-კობენო...

ამჯერად კი რა ხდებოდა — თვითონ „ჩამოხრჩობილი" ჩამოაგდებდა სიტყვას „თოკზე", თუმც საამისო აუცილებლობა მაინცდამაინც არა ჩანს. განა არ შეიძლება აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შტრიხები ისე წარმოსახო, რომ მის ენაკვიმატობასა და ხუმრობა-ოხუნჯობის დაუშრეტელ უნარს გვერდი აუქციო? ეს რომ სრულყოფილი პორტრეტი იყოს, კიდევ იძულებული იქნები, მაგრამ ფრაგმენტებში ნუ მოიხსენიებოდა აკაკის ეს ნიჭი იმ კაცისაგან, ვისაც უსიამოვნო მოგონებანი აუფორიაქებდა სულს.

მაგრამ თუკი თავს ვერ იკავებ „თოკის" ხსენებისაგან?

არადა, რას წარმოიდგენდა, რომ მისი უმანკო განზრახვა და მონდომებული გარჯა აკაკის მახვილსიტყვაობათა შესაგროვებლად ასე ვაგლახად შემოუტრიალდებოდა? აკაკის უამისოდ არ გაეძლებოდა — უიუმოროდ, ორიოდე კაცთან იდგებოდა თუ

დიდ თავყრილობაში მოხვდებოდა, ყოველთვის საოხუნჯოდ და საქილიკოდ მომართულიყო და დაუსრულებლად და დაუნანებლად აფრქვევდა ფრთიან სიტყვებსა თუ მოსწრებულ კალამბურებს და აცინებდა და ახარხარებდა ხალხს, რომელთაგან არავის აფიქრდებოდა, რომ ესეც თავისებური ლიტერატურულ-ფოლკლორული მონაპოვარი გახლდათ და მისი უკვალოდ გაქრობა არ ეგებოდა. თვითონ აკაკის არ ანაღვლებდა? როგორც ჩანს, არც სხვებს. და იმ წუთას რომ ხალისობდნენ და ნაცნობ-მეგობრებსაც უყვებოდნენ, ეტყობა, ეგონათ, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა — არც ეს ხუმრობა-მახვილსიტყვაობა მოაკლდებოდათ და თვითონაც ყოველთვის ემახსოვრებოდათ.

მხოლოდ იონა მეუნარგია დაფაცურდებოდა.

ჯერ ისედაც გაიმახვილებდა ყურს და გააფაციცებდა მზერას, რაკიღა თანამედროვე მწერალთა ბიოგრაფიული ქრონიკების შედგენას იმთავითვე განიზრახავდა, და გულდასმით რომ აგროვებდა ცალკეულ ცნობებსა თუ ამბებს ბიოგრაფიულ თხზულებათა გმირებად შერჩეულ შემოქმედებზე და აკაკი წერეთელსაც ამ ციკლში მოიხიშნავდა, სხვა საგულისხმო ცნობა-დეტალებთან ერთად მის ზოგიერთ იუმორისტულ გამონათქვამსაც ჩაიწერდა, უფრო იმ კუთხით, აკაკი მას გენერლების ბიოგრაფოსს რომ შეარქმევდა და შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, კბილი რომ არ წაეკრა.

იონა სიცილით და ხალისით შეხვდებოდა მისთვის სათაყვანო პოეტის ყოველ ამგვარ „თავდასხმას“ და თან უბის წიგნაკშიც მიუჩენდა ადგილს: უეჭველად გამომადგებაო.

თედო ვერ იკმარებდა ორიოდე ნიმუშის ჩანიშვნას და მთლად კრებულის შედგენას განიზრახავდა აკაკის მახვილსიტყვაობებისა. რაც სმენოდა, სმენოდა, და უკვე მიზანმიმართულადაც შეუდგებოდა შეგროვებას, რათა მერე სანანებელი არა ჰქონოდა არც მას და არც სხვას: ნეტა თავის დროზე გვეფიქრა ამ ნაკვესების შეკრებაო. და აღარც შთამომავლობას დაემუნათებინა პოეტის თანამედროვენი: ხალისით და სიცილით რომ იხსენებთ აკაკის მოსწრებულ სიტყვა-პასუხსა და მოხდენილ კალამბურებს, შემთხვევით შემონახული თითო-

ოროლა ნიმუში გვეყოფა მისი ამ თავისებური იუმორისტული ნიჭის გასასიგრძეგანებლადო?!.

მის ნაწერებში რომ მოჩქეფდა იუმორი, ირონია, სატირა, ეს ნიშნავდა, რომ წერისას ძალდაუტანებლად და სრულყოფილად იჩენდა ამ უნარს, მაგრამ განა იშვიათობა ყოფილა, რომ ზეპირმეტყველებისას უხვად დაღვრილი იუმორის პატრონს ეს უნარი წერისას აღარ გადასდევს, ანდა წერისას გამჟღავნებული იუმორისტული ტალანტი ზეპირმეტყველებისას მკრთალად ან სრულიადაც ვერ იგრძნობა?!. და ყოველთვის საგულისხმოა, როდესაც მწერალი ერთნაირი სილაღითა და ძალმოსილებით ამჟღავნებს ამ ნიჭს — წერისასაც და პირადი საუბრების დროსაც.

აკაკი წერეთელი ამგვარი ტალანტით დაჯილდოებულ ადამიანთა შორის გახლდათ და რატომ უნდა დაკარგულიყო ზეპირ ბრუნვაში დატრიალებული მისი ელვარე და ფრთიანი გამოთქმები?

თედო სახოკია ისედაც საამისოდ მომართულიყო — ყოფითი სინამდვილის თავისებურებანი და დაფარული სილამაზე აღმოეჩინა, თანდათანობით სურათებად ჩამოეყალიბებინა და ეს სურათები კი მანამდე გადაება ერთიმეორისათვის, ვიდრე ერთიანი პანორამის ზოგად იერს არ მოხაზავდა. ყველა დეტალი, ყველა წვრილმანი მეტად მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა და ძირისძირობამდე ამიტომაც ჩასდევდა გარემოს შესწავლა-გააზრებას, და ამ ყოფითი რეალობის მომხიბლავ გირლანდად რომ აღიქვამდა აკაკი წერეთლის მიერ ასე დაუნანებლად დაფანტულ მოსწრებულ თქმებს, კიდეც ამიტომ მოჰკიდებდა ხელს იმ ანეკდოტთა თავმოყრას, რომელთა შუაგულშიც აკაკის მონუმენტური ფიგურა იდგა, და „აკაკის ნაკვესების“ სახელით რომ გამოსცემდა 1895 წელს, ასე წააწერდა: წიგნი პირველიო.

ეს ნიშნავდა, რომ შესაგროვებელი კვლავაც უხვად რჩებოდა, ჯერ მარტო მეორე წიგნი იყო თავმოსაყრელი, თორემ, ვინ იცის, მესამე და მეოთხე წიგნებიც ამოსდგომოდნენ გვერდით იმ საჭაშნიკო ცდას, თედო კმაყოფილი რომ დარჩებოდა თავისი ნამოწყებით და სულგანაბული მიაყურადებდა: აბა, რა გამოძახილს გამოიწვევს საზოგადოებაშიო.

უპირველესად, რა გასაკვირია, თვითონ აკაკის აზრით რომ დაინტერესებულიყო. უთუოდ დამიმადლებსო, — ფიქრობდა, ანკი სხვაგვარად რატომ უნდა მომხდარიყო, როდესაც გასაქრობად განწირული იუმორისტული ნიმუშები ასე ერთად შეკონილიყო, და ეს მცდელობა კიდევ უფრო გააღვივებდა სურვილს, საზოგადოებას უფრო ენერგიულად მოეჩხრიკა თავისი ცნობიერება და ამ იუმორისტული ნიჭის ახალ-ახალი ნიმუშები ამოეყარა სამზეოზე. ჩამწერი და პატრონი, ღვთის მადლით, გამოჩენილიყო, და მაშ ამ წამოწყების წარმატებით გაგრძელებას წინ რაღა დაუდგებოდა!..

მაგრამ განეწყობოდა კი ამ წამოწყების მიმართ კეთილად საზოგადოება?

კრებული ვერ მოახდენდა იმ შთაბეჭდილებას, რაც თედოს განეზრახა — აკაკის მოსწრებულ სიტყვა-თქმას იმხელა სახელი მოეხვეჭა, დაბეჭდილი სახით იმ სიმაღლეს ვერ გაუტოლდებოდა და მკითხველი იმედგაცრუებული დარჩებოდა: თუ მეტი თავი არ ჰქონდა შემდგენელს, რილასთვის დაშვრა, ან რა გამოსაცემი იყოო.

შეგროვებას რომ შეუდგებოდა, გაცხრილვას აღარ დაიწყებდა. რასაც აკაკის სახელით უამბობდნენ, პირდაპირ გადაჰქონდა ფურცლებზე, ესწრაფოდა, რაც შეიძლება მეტი და მეტი ნიმუში შეეკრიბა.

ყველა ერთნაირად მოსწრებული და მოხდენილი რომ არ იყო და აშკარად ატყობდა ამ უთანაბრობას? მათგან ზოგი თვითონ აკაკის ვერ გამოსვლოდა მახვილი, ზოგიც — არ არის გამორიცხული — სხვათა ნათქვამი მიეწერებოდა, მაგრამ თედოს სად ედევნა და ეხარისხებინა, ისე ანთებულიყო ამ პროექტით, ოღონდაც ყური მოეკრა, აკაკისიაო, — თავის კოლექციას შემატებდა და... გაოგნდებოდა, ნირწამხდარი მკითხველის წინაშე რომ აღმოჩნდებოდა.

„კვალი“ ისე აღშფოთდებოდა, რომ არამცთუ კრიტიკულ სტატიას გამოაქვეყნებდა, სულაც ბრალდებულივით გაინაპირებდა თედო სახოკიას და აღარც იმის თქმას მოერიდებოდა: შემდგენელს აკაკის სახელით თავისი ნაკვესები შეუთხზავსო (1895, 15).

ცოტა ხანში იმავე გაზეთის ფურცლებზე, 7 მაისის ნომერში, თვითონ აკაკიც გამოეხმაურებოდა თავისი ნაკვესების კრებულს და, თედოს რომ ეიმედებოდა, ის მაინც დამიდგება გვერდით, დამიფასებს მისთვის თავგამოდებასო, აკაკი თავის იუმორისტულ ნიჭს... ახლა თედოზეც გამოსცდიდა და მასზე ახალისებდა მკითხველს.

შორიდან მოჰყვებოდა და მოლა ნასრედინს გაიხსენებდა, ენამჭევრ კაცს, ვისი ბევრი ნათქვამიც ანდაზებადაც დავარდნილიყო, მაგრამ ხალხს ეს რომ არ ეკმარებინა მისთვის, საუკუნეთა განმავლობაში ვისაც კი რამე ეთქვა, სუყველა ამ საცოდავი მოლასათვის მიეწერათ, ასე რომ, მისი სახელით წიგნები კეცა-კეცა გამოსულიყო. რასაკვირველია, იმ წიგნებში მეასედი და მეათასედიც აღარ იყო ნასრედინის ნათქვამი, მაგრამ ახლა ბევრიც რომ ეუარა, საიქიოს რაღას გააწყობდა, და იძულებით უნდა ეტვირთა საბრალო მოლას სხვათა სისულელე და უმარილო ოხუნჯობანი.

რაც იმ მოლა ნასრედინს სიკვდილის შემდეგ მოუვიდა, მე ის სიცოცხლეშივე მემართებაო, — მწარე ირონიით დასძენდა აკაკი, რაკიღა ისეთ რამეებს იმეორებდნენ მის ნათქვამად და მის ნაკვესებს ეძახდნენ, რომლებიც თვითონ მას პირველად ესმოდა.

— ბევრი მათგანი ისეთი უწმაწური და უმნიშვნელო ნათქვამია, რომ გიკვირს და ფიქრობ: „თუ არ გონება ჩლუნგს, ვის უთქვამს ეს ვითომ „მოსწრებული", და ან სხვები როგორ იმეორებენ!"

ზოგჯერ მართლაც აკაკის ნათქვამი რომ იყო გამეორებული? მაგრამ ისე დამტვრეულად კი, რომ აღარა გამოდიოდა რა.

ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად აკაკის გადაეწყვიტა, ახლა თვითონვე ეკისრა შეკრება და ცალკე წიგნად გამოცემა ნამდვილად მისი ნაკვესებისა, მარტო იმისთანების, რომელთაც მხოლოდ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდათ და შეეხებოდნენ ასე თუ ისე ჩვენი ცხოვრების საგანს.

ხოლო რაც შეეხებოდა სხვათა ნათქვამსა და დასტამბულს „ვითომ აკაკის ნათქვამად":

— ვთხოვ მკითხველს, ის ისევ მოლა-მასრადინს მიაწეროს და მე თავიდან ამაშოროს.

ვაი შენს თედოს!..

ეს რა შუაგულ ცეცხლში მოხვედრილიყო!

შენ კეთილი წამოწყება ეძახე და!..

არადა, ეს გამოცემა რომ არა, აკაკი ხომ არც არასოდეს გაიზრახავდა თავისი ნაკვესების შეგროვებას?!

ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩებოდა, რადგანაც გაირკვეოდა, რომ მოსწრებულ და მახვილგონივრულ სიტყვა-თქმათა შეკრება საკმაოდ ძნელი და უმადური საქმე ყოფილა, ის კი არა, დიდად უმადურიც, მითუმეტეს, რომ ფურცელზე გადატანისას არცთუ იშვიათად იკარგებოდა ის პეწი და ხიბლი, რაც ზეპირი მოყოლისას ასე გულიანად აცინებდა მსმენელს.

ესეცაა — არაერთი ნიმუში მართლაც აკაკისა თუ არ იყო, ხალხში მიეწერებოდა მას, მის ნათქვამად იმეორებდნენ და ასეთ მიწერ-მიკუთვნებას ვერ გადარჩენოდა ვერავინ და მომავალშიც ამ მხრივ არაფერი შეიცვლებოდა. მოლა ნასრედინის ბედი განზოგადებულად აირეკლავდა ენამჭევრთა და იუმორისტული ნიჭით დაჯილდოებულთა გარდუვალ ხვედრს — დიდებული სიტყვა-თქმების გვერდით აუცილებლად რომ მოიყრიდა თავს სხვათა სისულელეებიც და უმარილო ოხუნჯობანიც.

შემდგენელს თავისი ნაკვესები შეუთხზავსო, — „კვალის“ რედაქცია ჰაი-ჰარად რომ აბრალებდა, ცხადია, ასე არა ყოფილა და არც შეიძლება მომხდარიყო, რამდენადაც ვიცნობთ თედოს ალალსა და კეთილშობილურ ბუნებას, და თუ აკაკისათვის მიკუთვნებული ნაკვესები შეუმოწმებლად და დაუზუსტებლად შეზიდა წიგნის ქარგაში და უნებლიეთ გაანაწყენა მითვისაც სათაყვანო შემოქმედი, იმ მხრივ ხომ მაინც საგულისხმოა მთელი ეს მასალა — ნამდვილ ნიმუშებს რომ გამოვაკლებთ — თუ რა ეგონათ იმხანად აკაკის ნათქვამი.

როგორ, ნუთუ ხალხი ვერ განასხვავებდა უკბილო და უმარილო ოხუნჯობას იუმორის ცინცხალ გამოვლინებათაგან? მაგრამ, მოგეხსენებათ, როდესაც კაცს მოსწრებული სიტყვისა და კალამბურების ოსტატის სახელი დაუვარდება, მისი სახელის უბრალო ხსენებაც აცინებთ მსმენელთ და რაოდენ უმარილო ნაკვესიც უნდა მიეკუთვნოს, მაინც იცინიან.

და თუ თედო სახოკიას მიერ შედგენილი „აკაკის ნაკვესები“ მარტოდენ პოეტის ელვარე ენამჭევრობას კი არ გვიდასტურებს, არამედ არაერთი სუსტი პასაჟითაც გავსებულა, იმჟამინდელი საზოგადოებრივი განწყობილების გააზრებისას მაინც ნაგვადგება.

ხომ ყოველთვის ვაქცევთ ყურადღებას იმ აშკარა ჭორებსაც, ამა თუ იმ ხელოვანისა თუ მოღვაწის ბიოგრაფიულ ქრონიკას როდესაც ვადგენთ. მერე რა, რომ დაბეჯითებით მოგვეხსენება: ნატყუარია და სამარცხვინო ცილისწამებაო!.. სამაგიეროდ, მათი შესწავლით ცნაურდება, თუ რა მძიმე დღეში ჰყოლიათ ეს პიროვნება, როგორ სტკენდნენ გულს და ხან ეგებ წონასწორობასაც აკარგვინებდნენ. ამიტომაც დასაფასებელია, ამ ჭორებს თუ შემოგვინახავენ, მითუმეტეს, თუკი შეგვიგროვებენ. თვითონ შემგროვებელი არ გამივჯნავს ტყუილ-მართალს ჭორების კოლექციაში? ამას ჩვენ მივხედავთ, მთავარია, მასალა გვქონდეს ხელთ.

და თუმც სავსებით გასაგებია აკაკი წერეთლის გულისწყრომა, აშკარად გადამეტებულია „კვალის“ ის სასტიკი კრიტიკული გამოხმაურება, შემდგენელს გარჯა მთლიანად წყალში რომ ჩაუყარა.

ისე, „ვეფხისტყაოსანი“ ვერ გადარჩენილიყო „ხელის წამშველებელთა“ თუ „გამაკეთილშობილებელთა“ გარეშე და აკაკის ნაკვესებს რაღა იხსნიდა თანაავტორთაგან?!

ეჰ, რაც მოლა ნასრედინს დამართნოდა!..

და აკაკის გული რომ გაუსკდებოდა, ვაითუ მეც მთლად მის დღეში აღმოვჩნდე და აღარ დასრულდეს უკბილო და უმარილო ხუმრობების მოწერა ჩემთვისო, ამიტომაც დაფაცურდებოდა და შეეცდებოდა იმ კრიტიკული გამოხმაურებით აღეკვეთა ეს მისწრაფება — იმ პირველ წიგნს ასეთივე წიგნებიც ამოსდგომოდა გვერდით.

თედო სახოკია რაღას გააგრძელებდა იმ წამოწყებას!..

თუმც საძირკველს კი ჩაუყრიდა აკაკის ოხუნჯობათა შეკრებას და მოგვიანებით ლევან ასათიანის მიერ შედგენილი მცირე კრებული იმ ყბადაღებულ გამოცემას დაეფუძნებოდა

— იმ იდეასაც და ცალკეულ ნიმუშებსაც, დანარჩენთაგან რომ გაასუფთავებდა ციკლს და ასე ჩამოინაკვთებოდა აკაკი წერეთლის მონუმენტური ხასიათის ერთი მომხიბლავი და კოლორიტული შტრიხი.

ამ ნიმუშთაგან, რომელთა წაკითხვისასაც ვხალისობთ და ვიცინით, ნეტა ყველა აკაკისაა?

რაკილა მართლაც მახვილგონივრულია და მოხდენილი, განა არ შეიძლება ზოგიერთი უხილავი თანაავტორის ნახელავი იყოს?

„ვეფხისტყაოსანი“ ვერ გადარჩენია ისეთ ჩანართ სტროფებს, რუსთველურისაგან რომ არ გამოგვერჩევა, და აკაკის ოხუნჯობანი რაღა უნდა ყოფილიყო ასეთი, შიგადაშიგ ბადალი თანაავტორი რომ ვერ გამოსჩენოდა?!.

თუმც ამას სადავოდ არავინ ხდის, რაკილა აკაკის ამით ჩრდილი არ ადგება.

თუმც განა უნდა გამოირიცხოს, რომ აკაკის სიტყვა-თქმა ყოველთვის მართლაც ვერ ყოფილიყო მარჯვე და ფრთიანი, მოსწრებული და ელვარე? როდესაც შენგან ყოველ წუთს მოელიან რაღაც სასაცილოს, თითქოს მოვალე ხდები, რომ ეს მოლოდინი არ გააცრუო და ხან კიდეც დაბძალო ხოლმე საკუთარ თავს ოხუნჯურის თქმა. დაძალებული კი, მოგეხსენებათ, ის აღარ არის და არც შეიძლება იყოს, და ამიტომაცაა, რომ თავისთავად შეერევა იუმორის დიდებულ გაბრწყინებას ნაძალადევი ხუმრობანი, ის უმარილო ოხუნჯობანი, რომელთა გახსენებაც დიდად არ გეჭაშნიკება და მით უფრო აგემღვრევა გული, თუკი დაბეჭდილს იხილავ, მაგრამ რას იზამ — როდესაც ენამახვილის სახელი გაგივარდება, უნდა მოელოდე, რომ მდარე ხუმრობანიც გაგივრცელდება, თორემ სხვათა ძალადოხუნჯობანიც რომ მოგეწერება, ესეც გარდუვალობაა და აგერ საბრალო მოლა ნასრედინსაც მწარედ ეწვნია საკუთარ თავზე, აკაკი წერეთელი თანაგრძნობითაც რომ შეჰყურებდა მის აჩრდილს და შესჩიოდა კიდეც: ასე მოულოდნელად და უცნაურად მეც შენს დღეში არ აღმოვჩნდიო?!.

ლევან ასათიანის მიერ შედგენილ ციკლში თედო სახოკიას ის უმადური პროექტიც და მასთან დაკავშირებული ხმაურიც...

ნაკვესად შევიდოდა და თედოს დაუსახელებლად, თითქოს აკაკის ხუმრობანი უცნობად დარჩენილ პიროვნებას მოეგროვებინა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ, რაკიღა პოეტი ამ ნაკვესთა გადაკითხვისას ბევრს თავისად ვერა სცნობდა, ეს ფრთიანი ფრაზა დასცდებოდა:

— დალახვროს ეშმაკმა, ეს რამდენი აკაკი ყოფილა ქვეყანაზე!..

აკაკისებური ელვარებით კი აღბეჭდილა, მაგრამ ეს მართლაც რომ ეთქვა, ნუთუ იმ კრიტიკულ გამოხმაურებაში არ შეიტანდა? ამას ხელიდან როგორ გაუშვებდა, მაგრამ რადგანაც იმ მცირე ჩანაწერში არსად შეინიშნება დაჩივლება ამქვეყნად უამრავი აკაკის ყოფნით, უფრო მოსალოდნელია, რომ ეს ნაკვესი სხვათა შეთხზული იყოს — ან ლევან ასათიანამდე, ანდა უშუალოდ მისი... და თავისებურად აირეკლავდა და დაწურავდა იმ გასკანდალებულ ამბავს.

შეიქმნებოდა ათწლეულთა შემდგომ რეზო ჭეიშვილის იუმორისტულ ამბავთა და ანეკდოტთა ორიგინალური წიგნი „კურუ" და გაიხსნებოდა აკაკი წერეთლის იმ წუხილით, მოლა ნასრედინისა არ იყოს, იმ საბრალოსავით იძულებით უნდა ვიტვირთო სხვათა სისულელე და უმარილო ოხუნჯობანიო.

ჩემი ხელითაც დაიწერებოდა ნაკვესთა ციკლი „სიბრძნე სიცილისა" და... ისიც აკაკის ამ ყვედრებით უნდა დაწყებულიყო.

თუმცა, ცხადია, არ გამოგვრჩებოდა — ანკი როგორ შეიძლება გამოგვრჩენოდა — თედო სახოკიას იმ წამოწყების მნიშვნელობა და ხშირადაც გვიფიქრია: ნეტა ასეთი თავგამოდებული მოხალისე სხვათაც გამოსჩენოდათ, უშურველად რომ ფანტავდნენ ფრთიან სიტყვა-ფრაზებსა და კაფია-ექსპრომტებსო. მდარე ნიმუშები შეერეოდა იუმორის ბაჯაღლო გამონათებებს — უშუალოდ იმ ენაკვიმატი, ენამჭევრი კაცისა თუ სხვათა ნახელავი? რა — შედარებით ნაკლებღირებული ნაწარმოები არ წაგვიკითხავს სახელოვან მწერალთა სახელით, ანდა სულაც სუსტი? და განა ინტერპოლატორთა ენთუზიაზმისაგან დაზღვეულია ვინმე?

დაკარგვასა და გაქრობას ადვილად არ უნდა ვეგუებოდეთ და არ უნდა გვეგონოს, რომ სულ ასე გაგრძელდება დაუსრუ-

ლებლივ და ჩანიშვნას ყოველთვისაც მოვასწრებთ... ყოველთვისაც, ყოველთვისაც...

აკაკის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის მოხაზვისას თუ გაუძლებდა ცთუნებას თედო და წამლადაც კი არ გაურევდა პოეტის მახვილსიტყვაობის რომელიმე ნიმუშს, იაკობ გოგებაშვილის კოლორიტული სახების წარმოჩენისას არამცთუ გაიხსენებდა აკაკის იუმორისტულ გამოსხივებას, არამედ ესეის სულაც მისი ნაკვესით დააგვირგვინებდა.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თედო სახოკია საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „დედა-ენის" შემოქმედს ძალიან უყვარდა აკაკი წერეთელი, ვინც ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით უხდიდა საქართველოს ამაგდარ პედაგოგს. და განა რა მოხდა, რომ, მიუხედავად ამ სიყვარულისა, კვიმატი ენის პატრონ მგოსანს ხანდახან უწყინარი მეგობრული შარჟის მსგავსი ნაკვესი წამოსცდენოდა იაკობის მისამართით.

და აბა ეს მემუარისტული ჩანახატი ისე როგორ დაემთავრებინა, ერთი მათგანი რომ არ შეეთავაზებინა მკითხველისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა ჩვენთა მწერალთა ბიოგრაფოსი იონა მეუნარგია რომ მეგობრობდა ჩვენებურ გენერლებს — გრიგოლ ორბელიანს, გრიგოლ დადიანსა და სხვათ — და მათთან სიარული და ურთიერთობა უყვარდა, ეს ყველასათვის თვალშისაცემი გახლდათ და, ერთხელ აკაკი იონას იაკობ გოგებაშვილთან გავლილს რომ დაინახავდა, თანამოსაუბრეს ჰკითხავდა მიამიტი სახით:

— ნეტა როდის მიუღია იაკობს გენერლობა?

ის დიდად გაოცდებოდა:

— როგორ თუ გენერლობა?..

— როგორ და იონა მეუნარგიასთან დადიოდა.

სხვა შემთხვევაში თედო ბოლომდე გაუხსნიდა მკითხველს ამ არცთუ უწყინარი გადაკვრის ქვეტექსტს, რომლის ისარიც იაკობისკენ კი არა, იონა მეუნარგიასაკენ მიმართულიყო, მაგრამ იდუმალი ხმა უკარნახებდა, თავშეკავება გიჯობსო.

აკაკისათვის სამაგიეროს გადახდად ჩამოართმევდნენ.

არამარტო გალაკტიონის თვალში მოჩანდნენ ის და აკაკი მტრებად, არამედ ბევრი სხვისაც — სამართლიანად თუ უსამართლოდ, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა... თორემ გენერლებთან მეგობრობა-ურთიერთობის გამო არ ასტეხოდა სახელოვანი მგოსანი იონას, არამედ იმ ბიოგრაფიული ქრონიკისათვის, გრიგოლ ორბელიანს რომ მიუძღვნიდა. ჯერ „სადღეგრძელოს“ შემოქმედის ასეთი ამაღლება არ ეჭაშნიკებოდა და ამიტომაც ნაჰკრავდა და წამოჰკრავდა კბილს; მეორეც ის, რომ გამუდმებით შეახსენებდა ბიოგრაფოსს, ცოტა აქეთ-იქითაც გაიხედ-გამოიხედე, იქნებ გენერლებზე არანაკლები შემოქმედნიც გვიგულისხმო შენი ბიოგრაფიული ქრონიკების ციკლშიო. ის კი ირწმუნებოდა, ეს წამოწყება კვლავაც გაგრძელდებაო, და აკი აკაკი ნერეთელზედაც აგროვებდა შესაფერის მასალებს, მაგრამ ამას სული უსწრებდა: როდისღა, როდისღაო!..

ამის გამო მოჰყვებოდა იაკობ გოგებაშვილი უნებლიეთ აკაკის ერთი ნაკვესის შუაგულში.

არა, თედოს არ უღირდა ამ ყოველივეს გადმოფარჩავება და თხრობის გახალისების იქით აღარ გადაუცდებოდა ფეხი.

თხრობის გასახალისებლად კი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტშიც ჩართავდა იმ ანეკდოტისებურ შეხუმრებას, ესეის გმირს ნიკო ნიკოლაძესთან რომ მოსვლოდა, ანუ ზმების ტყორცნაში ტოლი არ დაედო მისთვის.

ზაფხულის პირზე ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ორივე ტფილისიდან სააგარაკოდ გასასვლელად რომ ემზადებოდა, ილიას ეკითხა:

— საით აპირებ წასვლას?

იმას პასუხი რუსულად დაუბრუნებია, და თუ რატომ, ადვილი მისახვედრი შეიქნებოდა:

— Или Коджори или Боржоми?

და რომ უნდა ეცინა გულიანად თანამოსაუბრის წამხდარი სახის შემხედვარეს, რის წამხდარი, რა წამხდარი, როდესაც ასეთი პასუხი დაუბრუნდებოდა რუსულადვე და უჩვეულო სისწრაფით:

— Ни Коджори, ни Боржоми.

თედო ენამოსწრებულად მოიხსენიებს ილიას, რითაც აგრძნობინებდა მკითხველს, რომ ეს ზმა რაღაც შემთხვევითობით კი არ გამოსვლოდა, არამედ საერთოდაც სჩვეოდა მახვილი და ფრთიანი სიტყვა-გამოთქმები და, თუმც ამ მხრივ აკაკი უფრო განთქმულიყო, არც ამას აკლდა ამ იშვიათი უნარის გამჟღავნების შემთხვევები. ეგაა, იმასავით ესეც დაუნანებლად და უანგარიშოდ ფანტავდა ენამოსწრებულობის მარგალიტებს და აქა-იქღა თუ შემოგვრჩენია ის ელვარე ნიმუშები.

თედოს იქნებ კიდეც განეზრახა ამ ნიმუშთა შეგროვებაც, აკაკის ნაკვესებს რომ მოათავებდა, მერე ილიას ნაკვესებზე გადაერთვებოდა, მაგრამ... ის არაჯანსაღი აჟიოტაჟი ჩაუკლავდა საამისო სურვილს.

ლიტერატურულ პორტრეტში კი — ჰა, კიდევ ერთი ნიმუშიც გამოერია, თორემ მეტი უკვე თვალშისაცემი იქნებოდა. ყოფილიყო, რა დაშავდებოდაო, აქედან კი დავცემთ დასტურს, ის კი არა, რარიგ გვენანება, ილიას ფრთიანი გამოთქმები და მახვილი ფრაზები დავიწყებაში რომ ჩანთქმულა, მაგრამ რასაც თავი ვერ მოება, ვერ მოება, და ეს ყველაზე ნაკლებადაა თედოს ბრალი.

ისე, თედო სახოკიას ასეთი კრებულის შედგენაში ხელი რომ არ შეშლოდა, ნეტა ილია ჭავჭავაძეს რა შთაბეჭდილება დარჩებოდა წიგნის გაცნობისას? იმასაც ხომ არ დასცდებოდა ჩაკითხვისას: დალახვროს ეშმაკმა, ეს რამდენი ილია ყოფილაო. და მასაც მოლა ნასრედინის აჩრდილი ხომ არ წამოეტუზებოდა, რათა იმისათვის შეეჩივლა: შენსავით მეც უნდა ვზიდო სხვათა უკბილო და უმარილო ოხუნჯობანიო?!. და თვითონვე ხომ არ მოინდომებდა თავისი ხუმრობების შეკრებას, რათა უკეთესი სურათი წარმოეჩინა თავისი იუმორისტული ნიჭისა, გაცხარებული კამათის დროს დიდად რომ შველოდა, ვიწრო წრეში იქნებოდა თუ ავანსცენაზე?.. თუ მოინდომებდა, კიდეც განახორციელებდა ამ ჩანაფიქრსაც, აკაკივით მალევე კი არ აუცრუვდებოდა გული, წამიერი შეცბუნება თუ გაგულისება გადაუვლიდა თუ არა. და გული გწყდება, რომ იმ აჟიოტაჟმა ასეთი კრებულები გამოგვაცალა ხელიდან: თედო სახოკიას მიერ შეკრებილი ილიას ნაკვესები და თვითონ ილიას მიერ თავმოყრილი საკუთარი მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

ჰა, კიდევ ერთი ნიმუშიც გამოერიაო...

1903 წლის შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას პარიზიდან ესტუმრებოდა ცნობილი მოგზაური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის აღმწერი ბარონ დე-ბაი. დავით სარაჯიშვილი ფრანგ სტუმარს სადილად დაპატიჟებდა თავის სახლში, ფრეილინის ქუჩაზე (შემდგომ სულხან-საბა ორბელიანის სახელი რომ ეწოდებოდა და კიდევ შემდგომ — ივანე მაჩაბლისა). სადილად მიიწვევდა: ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილსა და თედო სახოკიას.

მასპინძლის მეუღლე ეკატერინე ქალაქიდან იყო გასული, ასე რომ, სუფრას მარტო მამაკაცები უსხდებოდნენ. სადილი, რა გასაკვირია, დიდი სიმხიარულით თუ გამოირჩეოდა. საუბრობდნენ ქართულად და ფრანგულად.

პეტრე უმიკაშვილი ვიღაცას თუ ვიღაცებს უჩიოდა: დამჩაგრეს, აქაოდა გულკეთილი ხარო, დაბალ ღობედ გამიხადესო.

ნათქვამი უფრო ნათელი რომ გაეხადა მსმენელთათვის, ანდაზასაც მოიშველიებდა:

— მტრედს თავის სიალალით ნისკარტს მოსჭრიანო.

სულ დაავიწყდებოდა, რომ პატარა თავ-ტანთა შედარებით მეტად დისპროპორციული ცხვირი ჰქონდა და ეს ცხვირი ილია ჭავჭავაძეს ადრეც მეგობრული შარჟის საგნად გაეხადა. ახლაც ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა და პეტრე დაასრულებდა თუ არა სათქმელს, ილიას ასე უნდა ენუგეშებინა:

— ჩემო პეტრე, ფიქრი ნუ გაქვს, რაც უნდა ბევრი მოგაჭრან ცხვირი, სამყოფი მაინც დაგრჩება!..

ეს მოსწრებული სიტყვა საერთო სიცილს რომ გამოიწვევდა, ყველაზე მეტად თვით პეტრეს აცინებდა, სრულიად გულწრფელად და უწყინრად, თორემ თედოს მზერას არ გამოეპარებოდა მისი დაფარული განაწყენებაც. რაზე იცინითო? — კითხულობდა ბარონ დე-ბაი. ესენი პეტრეს ვერ გაიმეტებდნენ იმის თვალში, ამიტომაც რაღაცას შეთხზავდნენ სახელდახელოდ, მაგრამ ისე მარჯვე გამოუვიდოდათ, ფრანგ სტუმარსაც გულიანად აცინებდნენ.

ხოლო იმ ეპიზოდს რომ გაიხსენებდა, თუ როგორ ესტუმრა ილია ბერლინს 1903 წელს (ოღონდაც რომ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მანამდე დასავლეთი ევროპა არ უნახავსო, — საგანგებოდ დასძენდა), რათა შერყეული ჯანმრთელობისათვის მიეხედა, და გვამცნობდა, რომ ამ შორ გზაზე მას ახლდნენ რომანისტი ანტონ ფურცელაძე და ფშავ-ხევსურეთზე ეთნოგრაფიული წერილების ავტორი და ქართველ სჯულმდებელთა მკვლევარი ნიკო ხიზანიშვილი. მთელი ის მონაკვეთი ნიკოს ირგვლივ უფრო გაიშლებოდა და... აშკარა ნოველას დაემგვანებოდა, სიხალისითა და მხიარული იუმორით გამთბარს.

ეტყობა, ფიქრობდა, ვაითუ ცალკე აღარ მომიხერხდეს ნიკო ხიზანიშვილის ლიტერატურული პორტრეტის შექმნა და ბარემ ვისარგებლებ ილიასთან მისი მეგობრობით და აქვე მოვხაზავ მისი ხასიათის იმ თვისებას, სიცილს რომ იწვევდა გარშემო და ილიაც გამუდმებით ექილიკებოდა, თითქოს თვითონ დაზღვეული ყოფილიყოს ამ გატაცებისგანო.

ილიას ორივე თანამგზავრი მოუცდელი სტუმარი რომ იყო მისი ხუთშაბათობებისა, რომლებზედაც ზოგჯერ ორმოცდაათ კაცზე მეტიც მოიყრიდა ხოლმე თავს და იყო სჯა-ბაასი ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს საზოგადო კითხვებსა თუ სწავლა-განათლების საქმეზე, ყოველივე კი ტრადიციული ვახშმით უნდა დასრულებულიყო, ვახშამზე გამოჩინებულ ფიგურად წარმოდგებოდა სწორედ ნიკო, როგორც ცნობილი ბევრისმჭამელი და არაჩვეულებრივი ტევადობის მუცლის პატრონი.

მისი სმა-ჭამა ყველასათვის საარაკო იმიტომაც იქნებოდა, რომ ყოფილა შემთხვევები, რომ არა სჯერდებოდა ოფიციალურ ვახშამს და შეიპარებოდა ხოლმე მასპინძლის სამზარეულოში, იქ კი, დაინახავდა თუ არა დაბრაწულ გოჭს, პირი ნერწყვით გაევსებოდა, მიუჯდებოდა და მანამდე შეექცეოდა, ვიდრე ცარიელ ძვლებს არ დატოვებდა. მზარეულს გოჭის შემოტანა რომ დაუგვიანდებოდა, თვითონ ილია ჭავჭავაძე მიაკითხავდა სამზარეულოს და... შერჩებოდა დარცხვენილი ნიკო გოჭის ძვლებით ხელში.

იმ გარემოში სხვა რა მოჰყვებოდა ნიკოს საქციელს, თუ არა საერთო სიცილი.

ერთხელ თედოს ექნებოდა საქმე მასთან — პარასკევი დღე იყო და ამიტომაც გვიან ესტუმრებოდა, პირველ საათზე. ნიკოს მეუღლე სოფელში წასულიყო და ჩამოსვლა რომ დაუგვიანდებოდა, ორის ნახევარზეღა შემოაღებდა სახლის კარს. და ილია ჭავჭავაძისაგან ნამოსული ნიკო (იქ უღმერთოდ რომ დანაყრდებოდა, რა მიხვედრა უნდა) მეუღლეს პირველად ამას ჰკითხავდა:

— აბა, ლიზაჯან, რა ჩამოიტანე სოფლიდან?

და ის რომ მიუგებდა: ყველაფერიო, — ეს ზოგად პასუხს რას იმყოფინებდა და სათითაოდ ჩამოათვლევინებდა, რათა ჯერ საჭმელ-სანოვაგის სახელთა მოსმენით დამტკბარიყო და მერე — მათი შეხრამუნებით. ჭამის სხვა მოყვარული „შემწვარ გოჭს" რომ გაიგონებდა, ეგებ ნეტარებაშიც გადავარდნილიყო, მაგრამ ნიკო?!..

— მეტი?

— შემწვარი ინდაური.

— ინდაური კარგია... მეტი?

— შემწვარი დედალი...

— მეტი?

— ერთი ხურჯინი თონის პური, შენ რომ გიყვარს...

— გოჭთან თონის პურს თუ რამე სჯობია!..

რა ექსპრესიით მიმდინარეობდა ცოლ-ქმრის სიტყვა-პასუხი, თედო სახოკიას თხრობაში ისეთი მოხდენილობით რომ გადაინაცვლებდა, თითქოს „კაცია-ადამიანის?!" დაკარგული ფრაგმენტი ყოფილიყოს, ილიას მიერ უსამართლოდ დაწუნებული და ამოგდებული სიუჟეტის მდინარებიდან მომდევნო პასაჟიანად, მადისაღმძვრელი სურათი რომ აღიწერებოდა, თუ როგორ მისჯდომია მასპინძელი ჯერ გოჭს, თვალის დახამხამებაში რომ უნდა დაუბნელოს სიყმე... და გარეშე კაცი ვერაფრისდიდებით ვერ ირწმუნებდა, რომ ილიას ხუთშაბათობის ვახშამი ჰქონდა ნაჭამი — და ალბათ ერთი გოჭი საკუთრად!.. გოჭს მიაყოლებდა ინდაურს და ცალ ხურჯინ თონის პურს... მერე დედალსაც...

და სიამოვნებისაგან უნდა აღმოხდომოდა:

— თუ ჭამა ინატროს კაცმა, ასეთი ინატროს!.. ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!

და ბერლინში პროფესორ ლეიდენს რომ ესტუმრებოდნენ, ექიმი ჯერ გასინჯავდა ილია ჭავჭავაძეს, ვისაც გული მეტად დაღლილი და უნუგეშო მდგომარეობაში აღმოაჩნდებოდა, და დიდი მოსვენება სჭირდებოდა. აბაზანებს რომ დაუნიშნავდა პროფესორი, ანტონ ფურცელაძესაც ასეთივე მკურნალობას გამოუწერდა. ნიკოს კი თვალს მოჰკრავდა თუ არა, თარჯიმანს გადაულაპარაკებდა: ამ კაცს ჭამა ჰყვარებია და გადაყოლილიც იქნება ამ საქმესო. და დასძენდა: მეცნიერულად ამ სნეულებას ბულიმია ჰქვია, ხოლო მათებურად, მდაბიურად: გაუმაძღრობა ანუ ღორმუცელობაო.

უნებლიეთ „მგზავრის წერილების" ის პასაჟი ხომ არ წამოგიტივტივდათ, მთავარი გმირისა და რუსი ოფიცრის ბაასიდან, ის „მეცნიერულ" გამოთქმებს რომ იყენებს და იქვე „მდაბიურად" მოუთარგმნის?!. და თედოსაც ამ სტრიქონების წერისას ალბათ ილიას ეს პირველი პროზაული ქმნილება ახსენდებოდა და თავისთვის ელიმებოდა.

ბერლინელებს რომ შეარქმევდნენ ამ სამეულს პროფესორ ლეიდენთან სტუმრობის გამო, თერგდალეულთა ანალოგიით მოხდებოდა, თუმც ეგებ „ოდერდალეულები" უფრო სჯობდა — მეტი სიხალისისა და იუმორისათვის, მაგრამ ამჯერად იმ გზასაც მივადევნოთ მზერა, ნიკო — განსხვავებით თანამგზავრთაგან, იქიდან პირდაპირ ტფილისში რომ დაბრუნდებოდნენ — მეუღლესთან ერთად პარიზს, შვეიცარიასა და ვენას რომ მოივლიდა, საქართველოში ფეხის შემოდგომისას კი ძველ მეგობარს, ექიმ სამსონ თოფურიას შეუვლიდა ქუთაისში, ძალიან რომ გაახარებდა თავისი სტუმრობით, მაგრამ ამასაც ათქმევინებდა: ღმერთი არ გაგიწყრეს, შენებურმა ღორმუცელობამ არ გაგიტაცოს და ჩემს ხელში რაიმე არ მოგივიდესო.

პირველი დღე კი ჩაივლიდა მშვიდობიანად, მაგრამ სამსონსაც რა ექნა, უამრავი საქმე ეხვია და სტუმარს ყოველ წუთს თავზე ხომ არ დაადგებოდა, ეგაა, სადმე ვიზიტად წასვლისას ნიკოს უბარებდა: შენი ჭირიმე, არ დამღუპო, მეტი არა ჭამოო.

ითმენდა, ითმენდა ნიკო, მაგრამ განა როდემდე?! და თავისებურად რომ მიაძღებოდა, დაიწყებდა კრუსუნს და ჩაწვებოდა... მეგობრის თხოვნა-ვედრება ერთხანს კი დააოკებდა, მაგრამ მერე კვლავ წასძღევდა სული... სამსონი ძალიან დაფრთხებოდა, ხელში არ ჩამაკვდეს და სირცხვილი არა ვჭამოო!.. და ნიკო იძულებული შეიქნებოდა გამოსთხოვებოდა მასნპინძელს და მას შემდეგ ქუთაისისაკენ აღარც გაჭაჭანებულიყო.

თითქოს ლუარსაბ თათქარიძე გამოგვცხადებოდეს, ისეთი რელიეფურობით წარმოდგება ნიკო ხიზანიშვილის პორტრეტი. მერე რა, რომ ეს პერსონაჟი არსადაა ნახსენები. განა რა ხსენება და მინიშნება უნდოდა, ისე ვერ წამოგვაგონდებოდა?!. და არაპირდაპირ ჭამით ილია ჭავჭავაძის გატაცებაც ილანდება სტრიქონსა და სტრიქონს შუა. მერე რა, რომ ასეთი ღორმუცელური არა, ანკი ნიკოს როგორ შეეტოლებოდა, მაგრამ ილიასადმი მიძღვნილ ესეიში სავსებით ბუნებრივად თავსდება ნიკო-ლუარსაბის ცხოვრებისეული ეპიზოდები, ჩართულ ნოველას რომ მოგვაგონებს.

თუმც სევდიანი დასასრული კი უნდა აღმოაჩნდეს ამ ნოველას.

ვიცინით, ვხალისობთ ნიკოს ბულიმია-გაუმაძღრობაზე და... უეცრად თედო სახოკიამ უნდა შეგვახსენოს, რომ ნიკო 1906 წელს, როგორც გამომძიებელი, პასუხისგებაში მიცემულ ხულიგანთა, ძმათა კასრაძეთა, მსხვერპლი შეიქნა.

ესეც ის აკორდი, რასაც თავისებურად უნდა განემსჭვალა მთელი ეს მონათხრობი, გულიან სიცილში შერეული ცრემლის კურცხალი და ერთბაშად გადახსნა ეპოქის ტრაგიზმისა, ილია ჭავჭავაძის გარდუვალი ხვედრით დაკირული და მოშარავანდებული.

საგულისხმოა, რომ ბერლინურ თავგადასავალსა და ილიასა და ნიკო ნიკოლაძის ზმა-კალამბურულ გაპაექრებას უშუალოდ უნდა მოჰყვეს წიწამურის ტრაგედიის გახსენება და სოხუმის სასპატიმროს გამოხმაურება ამ შემაძრწუნებელ ამბავზე — თედოს თაოსნობით პოლიტიკური ტუსაღები სამძიმრის დეპეშას რომ გამოგზავნიდნენ „ისრის“ რედაქციაში, სოციალ-დემოკრატები კი პარტიული მოსაზრებით განზე გადგომას ამჯობინებდნენ.

ესეის კომპოზიციური სტრუქტურის ასე აგება ავტორის ტალანტის კიდევ ერთი გაბრწყინება გახლდათ.

ვახტანგ ჭელიძე თედო სახოკიას ნოველური ჩანართების სათვალსაჩინოდ სხვა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს მოიხმობდა — რაფიელ ერისთავზე, თხრობაში სასაცილო ამბავი რომ უნდა შემოჭრილიყო სოფლელი მღვდლისა, და ამ შემთხვევაშიც დასასრული სევდიანი უნდა ჰქონოდა ნოველას.

რაფიელი მთელ თავის დღეებს სახელმწიფო სამსახურს რომ შესწირავდა, მხოლოდ ერთ ხანას თავისი ცხოვრებისა, 1880-89 წლებს მოახმარდა ინტენსიურ შრომას სალიტერატურო ასპარეზზე, მაგრამ ეს მარტოდენ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებდა, ისევე, როგორც სხვა ლიტერატორებს, რადგანაც მატერიალურ უზრუნველყოფასა თუ ნაწილობრივ მაინც დაჯილდოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

და პური არსობისა საძებარი რომ გაუხდებოდა, 1888 წელს გაიცნობდა სემინარიელ სიკო გძელიშვილს, ერთხანს „ივერიის" რედაქციაშიც რომ თანამშრომლობდა, და შესჩივლებდა თავის უმწეო მატერიალურ ყოფას და დასძენდა, კახეთში, სოფელ ქისტაურში მშვენიერი ვენახები მაქვს და საუცხოო ღვინოც მომდისო.

ის აღტაცდებოდა: ღვინის პატრონი როგორ შეიძლება ღარიბად იხსენიებოდეს, ბრალია, სირაჯებს ალაგობრივ ჩავუგდოთ ხელთ ასეთი ნაღდი და მომგებიანი საქონელი. ჩამოატანინეთ ქალაქში, აქ დავიქირავოთ სადმე დასამხარ ალაგას სარდაფი, ორივე შიგ ჩავსხდეთ, ვყიდოთ ღვინო, მოვიგოთ ფული და მტერს თვალი დავუყენოთ, აღარც სამსახური გვინდა და აღარც უფროსიო.

და ხელდახელ რომ შეუდგენდა რაფიელს გეგმას მათი მომავალი ვაჭრობისა, ფულის მოგების პერსპექტივასაც გადაუშლიდა: მაშინ თქვენი ნაწერების გამოცემის საშუალებაც გექნებათო.

და რაფიელი — ესეის ავტორი ასე რომ წარმოგვიდგენს მისი პიროვნული ხასიათის უმთავრეს შტრიხებს: ალალი გულის პატრონი, უეშმაკო, ადამიანს ადვილად ენდობოდა, ეს წუთისოფელი ისე მოჭამა, ერთი განაწყენებული კაციც არა ჰყო-

ლიაო — თანამოსაუბრის სიტყვებით გაბრუებული, სიხარულით ცას დაეწეოდა და გულწრფელ სინანულს მოჰყვებოდა: რატომ აქამდე ვერ მივხვდი, ცხოვრება როგორ უნდა, აფსუს, რომ ვცდებოდი და ჩემი დღენი სახელმწიფო სამსახურს შევალიეო.

ერთი ონორე დე ბალზაკს გაუმართლებდა, რაღაც-რაღაც საქმეებს რომ მოეკიდებოდა, სამუდამოდ ავშენდებიო, სინამდვილეში კი ფულსაც და ენერგიასაც ამაოდ მიაფშვნიდა მისთვის სრულიად უცნობ და გაუაზრებელ წამოწყებებს, და მეორე, რაფიელ ერისთავი ააწყობდა საქმეს — კომერსანტი და ეკონომისტი გახლდათ, თუ რა!.. მდიდარი წარმოსახვა და ოცნებანი დაზარალებით თუ დააზარალებდა, თორემ ხეირს არა სწევდა... თუმც თავიდან სულაც არ ეტყობოდა ამ წამოწყებას მარცხიანი დასასრული — სარდაფს პუშკინის ქუჩაზე დაიქირავებდნენ, ქალაქის ცენტრში, მოგვიანებით წითელი ჯვრის სააფთიაქო მაღაზია სადაც გაიმართებოდა, და აი, ერთ მშვენიერ დღეს რაფიელი მოადგებოდა ამ სარდაფს თავანკარა ღვინით სავსე კასრებითა და რუმბებიანი ურმებით.

ღვინოს რომ დააბინავებდნენ, ამხანაგები როლებს ასე გაინაწილებდნენ: სიკო გძელიშვილი დახლში დაჯდებოდა და უხელმძღვანელებდა ფირმის საფინანსო ნაწილს, რაფიელი კი იკისრებდა მუშტრის დახვედრას, სუფრის გაშლას, კერძების მირთმევას, ხელადებით ღვინის ჩამოსხმას, მაყალზე მწვადების შეწვას, მუშტართან გახუმრებას, დროზე მოალერსებას, მოსწრებული სიტყვებისა და შაირების თქმას.

ორიოდ შტრიხით რაოდენ სახიერად წარმოჩნდება სარდაფის გარემოც და რაფიელ ერისთავის ადამიანური ბუნებაც; ის კოლორიტული იერი, რამაც იგი საყვარელ პიროვნებად აქცია ხალხის თვალში, და ნიშანდობლივია, რომ პირველი იუბილე საქართველოში მას და სწორედ მას გადაუხადეს.

ქალაქს მსწრაფლ რომ მოედებოდა ხმა ამ ახალი სარდაფის გახსნისა და მისი თავანკარა ღვინის ქებაც სად აღარ გაისმოდა, მუშტარი მიაწყდებოდა და რას მიაწყდებოდა, დარბაზში ტევა აღარ იქნებოდა.

თედო მკითხველს საგანგებოდ აუწყებს მუშტრის აღფრთოვანება-მიზიდვის მთავარ მიზეზსა თუ მოტივს: სარდაფის პატრონები ნისიად გაცემაზე უარს რომ არ ამბობდნენ. თუმც იმ გარემოებასაც თავის მნიშვნელობას მიანიჭებს, მუშტრის ერთ ნაწილს თვით პოეტის ნახვა რომ იზიდავდა, მისი ხუმრობის გაგონება, და მადლიერნი და აღტაცებულნი რომ ბრუნდებოდნენ, ქათინაურები არ ეზოგებოდათ რაფიელისადმი საქმის ასე სამაგალითოდ დაყენებისათვის.

და აი, თხრობაში უნდა გამოჩნდეს რაფიელის კომპანიონის ბიძა — სოფელ მეჯვრისხევის მღვდელი დავით გამრეკელი — ისეთი აშოლტილი, სხვებს ერთი მტკაველის სიმაღლიდან გადმოსცქეროდა, და სიმსხოც სიმაღლის შესაფერი ჰქონდა.

და ამის შემდეგ ისეთი მსუყე ფერებით უნდა დაიხატოს ამ კაცის პორტრეტი, გროტესკული იერით გარგანტუასა და პანტაგრუელს აღარც ჩამოუვარდება, მისი სახის გამომეტყველება განუწყვეტლივ ერთ რამეს რომ იძახის: მაჭამეთ და მასვითო!.. და რაც უნდა ბევრი საჭმელი ჩაეშვა მუცელში და ბევრი სასმელი, სუფრიდან წამომდგარს მაინც ვაჟა-ფშაველას ის სტრიქონები უნდა ემეორებინა: დამისხი, დამალევინე ე ღვინო ოხერ-ტიალიო!..

და გრძნობ, რომ მისი გამოჩენა საბედისწეროდ უნდა გადაექცეთ წარმატებულად დაწყებული საქმის თაოსანთ... და ჰა, კიდევ უნდა აცნობოს ამ ბაყბაყდევის ნატეხსა და მეტსახელად ბუა-მღვდლად ცნობილს ქალაქიდან ამოსულმა მღვდელმა: შენს დისწულს, სიკოს, ღვინის სარდაფი გაუღიაო.

და მალევე რომ მიაკითხავდათ, ისეთ ცნობისწადილს გამოამჟღავნებდა: სარდაფი ნაკურთხია თუ არაო, — თითქოს სულ ამის ჯავრი ჰკლავდა, სარდაფი უკურთხებელი არ დარჩენილიყო. ამიტომაც მღვდელი ოლარს გადაიკიდებდა და შეუდგებოდა ამ წესის აღსრულებას, რასაც თქვენი მოწონებული სადილი მოჰყვებოდა. ქართლური თხელი ღვინოები რაფიელის ვენახის ღვინოსთან შედარებით მღვდელს ჭყაპად მოეჩვენებოდა და ისე მიეძალებოდა, რაფიელი კასრებიდან ჩამოსხმასა და სავსე ხელადების სუფრაზე მიტანას ვერ აუვიდოდა. ტოლუმბაშობა-

საც პოეტი ითავებდა, როგორც ისედაც განთქმული თამადა, სტუმარი კი სარდაფშივე დაიძინებდა: აქაურობას ვერ მოვშორდები, ამაზე უკეთეს ადგილას სადღა უნდა წამიყვანოთო!..

ფრანსუა რაბლესებური სინამდვილის ხატვა გრძელდება და ასეც შეიკვრის ბუა-მღვდლის პორტრეტიც და თავგადასავალიც, უკვე უშუალოდ გადაჯაჭვული სარდაფის ბედთან, იმ პირველი სტუმრობისას მეშვიდე დღესღა რომ ამოყვინთავდა ღვინიდან და გაახსენდებოდა მეჯვრისხევში დატოვებული სამწყსო და მასზე ზრუნვა.

თედო სახოკია მარჯვედ გამოურევს მწვავე ირონიას: თითქოს ჭმუნვა რამ დააჩნდა ღვთის ხატებად შექმნილ სახეზედაო...

და მასპინძლებს რომ დალოცავდა, აღუთქვამდა: არ დაგივიწყებთ, ამ ერთ თვეში გნახავთო...

სიტყვას ხომ არ გატეხდა!..

ცალკე ეს მღვდელი მოევლინებოდათ უღმერთო მსმელად, ცალკე არც ნისიის მოყვარული მუშტრები დააკლებდნენ ხელს და... კლება სულ უფრო რომ დაეტყობოდა კასრებსა და რუმბებს, კომპანიონები გადაწყვეტდნენ, ეანგარიშათ მოგება... მოგება კი არა!.. ანგარიში ნირწამხდართ დატოვებდა — უიმედო ნისიების ჩაუთვლელად ვალიც კი ედებოდათ. ღვინის ახალი პარტიის ჩამოსატანად ხარჯი იყო საჭირო და ხარჯი კი სადღა უნდა ეშოვნათ?!. და ასე გათავდებოდა რაფიელ ერისთავის „ვაჭრობა“ და თავს იმით ინუგეშებდა: ქართველი კაცისათვის ვაჭრობა ღმერთს არ დაუწესებია, ცდა არ დამიკლია, არაფერი მითაკილია, მუშტრისათვის ერთი საწყენიც არაფერი შემიხვედრებია, პირიქით, სულ მიამებია... ბედი უნდა ყველაფერს, ბედი... ჩემს სიცოცხლეში რა აღარ მინახავს, ვაჭრობაღა მაკლდა და ისიც გამოვცადეო.

ამ სფეროში საკუთარ უუნარობას ისიც განაზოგადებდა და საერთოქართულ ხასიათად წარმოიდგენდა, თითქოს ელიზბარ ერისთავი, დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, გიორგი ქართველიშვილი, აკაკი ხოშტარია თუ კიდევ სხვანი ქართველები არ იყვნენ და ღმერთს ამიტომაც დაეწესებინა მათთვის კომერსანტობისა და ვაჭრობის უნარი.

ისე, ამ მარცხიან ვაჭრობაშიც რარიგ სახიერად იკვეთება რაფიელის ალალი და მიამიტი ბუნება, ვაჭრობა მუშტრებთან კეთილი და გულითადი მოპყრობა რომ ჰგონია და არ უფიქრდება, რომ ნისიასაც თავისი მიჯნა და საზღვარი უნდა დაედოს, თორემ წარუმატებლობა გარდუვალია, მით უმეტეს, ფრანსუა რაბლეს პერსონაჟი თუ შემოგიჩნდება, ვინც მთლად თუ არ გადაწყვეტდა, დაჩქარებით კი დააჩქარებდა რაფიელის სარდაფის დაკეტვას.

სხვას იქნებ აქ მოეთავებინა ბუა-მღვდლის ამბავიც, მაგრამ თედოს ბელეტრისტული უნარი უკარნახებდა, რომ მხიარულ და კომიკურ თხრობას აუცილებლად უნდა შერეოდა სასულიერო პირის ტრაგიკული აღსასრულიც, როგორც თავისებური დასტური სიცილისა და ცრემლის მონაცვლეობისა წუთისოფელში. და ამასთან რაღაც ფარული კანონზომიერებაც, მისთვის ღვთის წყალობად ამოზრდილი სარდაფის დახურვასთან ერთად მისი ამქვეყნიური არსებობაც რომ უნდა დასრულებულიყო.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ ნასვამი რომ ბრუნდებოდა შინ, გამოსავლელი ჰქონდა ხევის წყალი მეჯუდა, ზაფხულობით თითქმის დამშრალი, ქათამსაც რომ შეუძლია შიგ გასვლა. მღვდელი წაქცეულიყო და თავით წყალში ჩავარდნილიყო, სხეულს წყალი თურმე არც კი სწვდებოდა, მაგრამ ვიდრე მიუსწრებდნენ საშველად, მოძღვარი წყლით გაგუდული დახვდებოდათ.

და ერთბაშად სხვა თვალით ზომავ მანამდელ ნაამბობსაც და შენს ადგილსა და არსებობასაც წუთისოფელში — სიხარულისა და დარდის, სიცილისა და სევდის მონაცვლეობის სამყაროში.

ხან რაღაც მოვლენა სულაც ტრაგიზმისა და კომიზმის ზღვარზეც რომ გაივლიდა და ბედად საბედისწერო ფინალი არ მოჰყვებოდა, მერე კი შეგეძლო გეცინა და გემხიარულა მის გახსენებაზე, მაგრამ თურმე რაოდენ სახიფათოც შეიძლება ყოფილიყო სინამდვილეში. არადა, ახლა ანეკდოტივითაც შეგეძლო მოგეყოლა, იუმორისტულ ნოველადაც და... ამისთანა შემთხვევას თედო სახოკია ორივე ხელით ჩაეჭიდებოდა.

სხვას რომ წარმოეჩინა ნიკო ლომოურის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი, ბუნებრივად დააბოლოებდა იმ პასაჟით, „ქაჯანას“ შემოქმედს კედელზე რომ გაეკრა მოზრ-

დილ ჩარჩოში ჩასმული სურათი, ერთი მხრივ, ავსტრიელთა და, მეორე მხრივ, რომის პაპის მიერ დაპყრობილი იტალიის განმათავისუფლებელი ჯუზეპე გარიბალდისა, ვინც მეტად პოპულარული გახლდათ გორელ ხალხოსანთა შორისაც და ვისი ცხოვრებაც და სამსახურიც თავისი ერის წინაშე მისაბაძად და სახელმძღვანელოდ ჰქონდათ გორელებს და, მათ შორის, ცხადია, ნიკო ლომოურსაც.

მაგრამ თედოს გარიბალდის ხსენება ძალდაუტანებლად რომ წამოუტივტივებდა იმ ამბავს, გორში რომ დატრიალებულიყო 1882 წელს, აღარ დაგიდევდა ესეის ჟანრულ ჩარჩოებს და ფინალად სწორედ ამ ეპიზოდს მიუსადაგებდა, ლაღი იუმორით აღსავსეს.

რაკიღა გორელ ინტელიგენციას ეს სახელი სათაყვანოდ ჰქონდა, ჯუზეპე გარიბალდის გარდაცვალება გადააწყვეტინებდათ, რაიმეთი აღენიშნათ თავიანთი თანაგრძნობა, მონაწილეობა მიეღოთ იტალიის საერთო გლოვაში და იტალიის მთავრობას რომში სამძიმრის დეპეშას გაუგზავნიდნენ ასეთი ზოგადი ხელმოწერით: „გორის ინტელიგენცია".

რუს მმართველთაგან მოსალოდნელ საფრთხეს წინასწარვე იგუმანებდნენ და საკუთარ ვინაობათა დაფარვას ამიტომაც ამჯობინებდნენ?

არა, სიალალით უფრო მოუვიდოდათ — ხელმოწერა რაც უნდა ბევრი ყოფილიყო, მაინც შემოზღუდული იქნებოდა, ზოგადი აღნიშვნა კი წამკითხველთა წარმოსახვას კიდევ უფრო გაამძაფრებდა და სამძიმრის დეპეშასაც მეტ მნიშვნელობას შესძენდა, ამ ორი სიტყვის მიღმა ხალხის ერთსულოვნებას რომ აგრძნობინებდათ.

რომში სათანადოდაც შეაფასებდნენ შორიდან მოსული თანაგრძნობის სიტყვებს ამ ეროვნული გლოვის ჟამს და გორში სამადლობელი პასუხის გამოგზავნას დაადგენდნენ.

მაგრამ „გორი" მათთვის სრულიად უცნობი რომ გამოდგებოდა?

რა ეღონათ... რა ეღონათ და... აიღებდნენ და პირდაპირ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოუთვლიდნენ მად-

ლობას „გორის ინტელიგენციისათვის“ გადასაცემად. კი, როგორ არა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სულ მადლობის გადასაცემად გაირჯებოდა!.. მადლობას ვინ ჩივის, ფიცხელ განკარგულებას გასცემდა აღმოსაჩენად იმ კადნიერი „ინტელიგენციისა“, რომელმაც ამ სამინისტროს დაუკითხავად, უშუალოდ გაბედა დეპეშის გაგზავნა უცხოეთში და ისიც ისეთ საშიშ ადამიანთან დაკავშირებით, როგორიც გახლდათ ჯუზეპე გარიბალდი მაშინდელი რუსეთის თვალში!.. ბევრიც ეძებეს და თავგამოდებითაც ავტორები სამძიმრის დეპეშისა, მაგრამ ოფიციალურად ხელი ვერავის დაადეს და როგორღა დასჯიდნენ.

და რაკიღა ყოველივე ასე კეთილად დასრულდებოდა, თედოს შეეძლო ღიმილით, სწორედ ამ მოხდენილ აკორდზე დაემთავრებინა თხრობაც და ესეიც:

— ასე რომ, გარიბალდის გორელმა თაყვანისმცემლებმა შიში სჭამეს თავიანთი პატრიოტული გამოსვლისათვის.

ლიტერატურულ პორტრეტში ჩართული ნოველა რა სათქმელია, რაკიღა ეს ჟანრი იგუებს და მარჯვედაც იგუებს ასეთ ჩანართებს, გნებავთ დრამატიზმით და გნებავთ იუმორითა და კომიზმით განმსჭვალულს, ვახტანგ ჭელიძეს ის კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა, ეთნოგრაფიული ყაიდის თხზულებებშიც რომ შეეძლო თედო სახოკიას ცალკეულ ეპიზოდთა ჩასმა ნოველებივით და ზოგჯერ ეს ნოველები ძვირფასი თვლებივითაც გაიელვებდნენ.

აი, თუნდაც „მოგზაურობანი“...

თუმც ეს უკვე სხვა ქარგა და სხვა მოსათხრობია, ამჯერად ხომ იმ სიუჟეტური ძარღვის ირგვლივ ვტრიალებთ, თედო სახოკია აკაკის ნაკვესების თავმოყრით სასიკეთო საქმის აღსასრულებლად რომ განწყობილიყო და არაჯანსაღი აჟიოტაჟი კი განზრახვას დასაწყისშივე ჩაუკლავდა. და კიდევ კარგი, იმ ანდაზის პერსონაჟივით არ დაემართებოდა: ფაფით შეშინებული დოს რომ უბერავდა. და თანამედროვეთა პორტრეტებში გააბნევდა იუმორისტულ პასაჟებს, მწერლური ხელოვნებით სულაც ნოველებად რომ გამოჰკვეთდა.

* * *

არა, ის მაინც რატომ უნდა მომხდარიყო, რომ აკაკის სიცოცხლეშივე შეეგროვებინათ მისი მოსწრებული სიტყვა-თქმანი და მასთან შეუთანხმებლად გამოეცათ?

წაეკითხებინა მისთვის თედო სახოკიას, რა იქნებოდა?

ჯერ ვინც უნდა ყოფილიყო, და მერე თვით აკაკი წერეთლის მოსაზრებანი არ გაითვალისწინო მისი სახელით გამოცემულ წიგნში?

რა სულსწრაფობა გამოიჩინა ამისთანა?

გაეცნობოდა სასტამბოდ გამზადებულ მასალას აკაკი წერეთელი, რაღაცას ამოაკლებდა, რაღაცას ჩაამატებინებდა, და საბოლოო რედაქციას წარუდგენდა შემდგენელს. კრებულიც უფრო დაიხვეწებოდა და თედოც ასცდებოდა შარსა და უსიამოვნებებს, სალიტერატურო ასპარეზზე ახალგამოსული მაინცდამაინც სკანდალში რომ გაეხვეოდა და... სასამართლო დავის შუაგულშიც აღმოჩნდებოდა.

რა სულსწრაფობა გამოეჩინა ამისთანაო...

თურმე... არც არავითარი.

ვიდრე აკაკის ოხუნჯობათა შეგროვებას შეუდგებოდა, წინასწარვე ამცნობდა სახელოვან თანამოკალმეს, ასე და ასე ვაპირებო.

ის მოუწონებდა და შეაგულიანებდა.

ესეც თავისებური ენერგიულობით დაუტრიალდებოდა ამ საქმესაც და მალევე მოუყრიდა თავს საკმაო მასალას.

სტამბაში მიტანამდე ჯერ აკაკი წერეთელს აახლებდა გასაცნობად.

ის ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დაუბრუნებდა — არც არავითარი წარწერა აღმოჩნდებოდა ფურცლებზე და არც სიტყვიერად ეტყოდა რაიმე ამგვარს.

სტამბაში აიწყობოდა ეს ორიგინალური წიგნი, პირველ კორექტურასაც გულდასმით წაიკითხავდა თედო და მეორესაც, მაგრამ დასაბეჭდად გაშვების წინ მაინც არ იჩქარებდა და კორექტურის ფურცლებს აკაკის წარუდგენდა: ეგებ ახლა მაინც გაგიჩნდეს რაიმე შენიშვნა, ანაწყობში ყველაფერი უფრო თვალშისაცემიაო.

წამოსაღებად ეახლებოდა და... ანაწყობიც ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დაუბრუნდებოდა.

მეტი შეთანხმება რაღა უნდა ყოფილიყო აკაკისთან.

მეტი რაღა ნებართვა უნდა მიეღო მისგან.

და დაიმედებული და გახარებული — თვით აკაკის მიერაა მოწონებულიო, — გულისფანცქალით დაელოდებოდა აკაკის ოხუნჯობათა პირველი წიგნის გამოსვლას, ახალ მასალათა შესაკრებად კვლავაც რომ დაფაცურებულიყო.

„კვალის“ მწარე გამოხმაურებას ვინ ჩივის, კიდევ უფრო მწარე, მწვავეც და შეურაცხმყოფელიც აღმოჩნდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული რეცენზია ჩიორას ხელმოწერით.

რეცენზენტი არამარტო გულისწყრომას აფრქვევდა, პირდაპირ მიმართავდა აკაკი წერეთელს: მოხსენით თქვენი სახელი თედო სახოკიას მიერ შეკრებილ ვითომდა თქვენს ოხუნჯობებზეო.

თედო გიორგი ლასხიშვილთან რომ მეგობრობდა, იმისგან გამოარკვევდა „ჩიორას“ ფსევდონიმს ამოფარებული ჟურნალისტის ვინაობას, არტემ ახნაზაროვი რომ აღმოჩნდებოდა.

„სად მიყელა!..“

არ გაუკვირდებოდა მისგან ასეთი გამოლაშქრება, როგორც შურისძიება იმ საყვედურისათვის, თედოს გამო რომ მიეღო იმას ილია ჭავჭავაძისაგან.

თედოს ამ რედაქციისათვის რომ წარედგინა ერთი ეთნოგრაფიული ყაიდის ნარკვევი და არტემს უნდა შეეფასებინა მისი ავ-კარგი და დაბეჭდვა-არდაბეჭდვა გადაეწყვიტა, იმას დაჰკარგვოდა ეს ნარკვევი და პასუხის გასაგებად მისულ თედოს საკმაოდ უკმეხად დახვედროდა, თითქოს თავისი ბრალი კი არა ყოფილიყოს მასალის დაკარგვა, რომლის სხვა პირიც თედოს არ მოეპოვებოდა, არამედ — ავტორისა. თედო იუკადრისებდა ასეთ დახვედრას, თან ნაწერის უკვალოდ გაქრობაც გულს შეუღონებდა, და წაეჩხუბებოდა „ივერიის“ თანამშრომელს, ამ აყალმაყალს კი ილიაც შეიტყობდა და... როგორც მის დიდ ბუნებას შეჰფეროდა, არამცთუ თავის თანამშრომელს არ გამოე-

ქომაგებოდა, კარგადაც შეჯორავდა და მის მაგივრად თვითონ მოებოდიშებოდა თედოს, თანაც დასძენდა:

— ყმაწვილო, როგორმე აღადგინეთ ის სტატია და პირადად მე მომიტანეთ, აუცილებლად დავბეჭდავ!..

ბარემ ძალიან ესიამოვნებოდა ეს შეთავაზება, თანაც — ვისგან, მაგრამ რა ექნა, რომ დაკარგულის აღდგენის ხალისს ვერასოდეს გრძნობდა ხოლმე და ამის გამო არაერთ თხზულებას შელევია, ყველაზე ძალიან რაჭაში მოგზაურობის აღწერა რომ ენანებოდა: ვერა და ვერ დავუდე გული მის აღდგენასო.

თედოს კი გაახარებდა ილია თავისი გამოქომაგებით, მაგრამ არტემ ახნაზარავს რომ გაანაწყენებდა? ის ილიას რას შეჰბედავდა სამაგიეროს გადახდას, მაგრამ თედოს მიმართ ბოლმას კი ჩაიხვევდა გულში და... აგერ საშუალებაც მიეცემოდა, „ბრდღვირი ედინა" მისთვის.

თედო სახოკიაც არ დაუთმობდა და სასამართლოში სარჩელს აღძრავდა „ივერიის" რედაქციის წინააღმდეგ, ოღონდ ფაქტობრივად ეს უნდა ყოფილიყო დავა არტემ ახნაზაროვთან.

— სარჩელი თავიდანვე მკვდრადშობილი აღმოჩნდა, რადგან აკაკიმ ჩემთვის მოულოდნელი პოზიცია დაიკავა, — ჰყვებოდა თედო მოგვიანებით მეგობართა წრეში, დიდი ხვეწნით რომ აალაპარაკებდნენ, — მე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც პატივცემულმა აკაკიმ განაცხადა, სახოკიას მიერ შეკრებილ ჩემს ოხუნჯობათა კრებულს წინასწარ გაცნობილი არ ვიყავიო, და ეს მაშინ, როდესაც ხელნაწერმაც და კორექტურამაც მის ხელში გაიარა... საქმე, ცხადია, მოისპო...

— რა იყო აკაკის ამ უცნაური პოზიციის მიზეზი? — დაინტერესდებოდნენ მსმენელები.

და თედო:

— დღემდის ვერ ამიხსნია. ალბათ ჩემს, როგორც ახალგაზრდა ლიტერატორის, ავტორიტეტს მაინც გაზეთ „ივერიის" ავტორიტეტი ამჯობინა.

ოღონდ ამასაც დასძენდა:

— მიუხედავად ასეთი გაუგებრობისა, ჩემსა და აკაკის შორის ყოველთვის კარგი ოფიციალური ურთიერთობა სუფევდა

და არცერთ ჩვენგანს არასოდეს მოგვიგონებია ეს არასასიამოვნო ეპიზოდი.

კი მაგრამ, ილია ჭავჭავაძე როგორ დაყაბულდა არტემ ახნაზაროვის იმ უმართებულო რეცენზიის დაბეჭდვას?

თედოს თავიდან რაღაც უსიამოვნოდ რომ ჩასჩხვლეტდა გულში, პუბლიკაციას რომ ჩაავლებდა თვალს, მერე ისე გაიხარებდა, როდესაც შეიტყობდა, რომ იმხანად ილია ტფილისში არ ყოფილიყო და არც ჩიორას რეცენზიისა სცოდნოდა რაიმე..

მაგრამ სასამართლო სხდომა რომ გაიმართებოდა და თედო მოელოდა, ან რედაქციის მდივანი გამოცხადდება და ან თვითონ სტატიის ავტორიო, მოსამართლე რედაქციის წარმომადგენელს რომ გამოიძახებდა, დარბაზში... თვითონ ილია ჭავჭავაძე შემოაბიჯებდა.

ვაი შენს თედოს!..

ესღა აკლდა სწორედ!..

უნებლიეთ მთლად ილიასთან დაპირისპირება გამოსვლოდა, მისთვის სათაყვანო პიროვნებასთან, ასერიგად რომ ეამაყებოდა, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ვარ და ცოცხალს შევყურებო...

* * *

1893 წლის 18 აგვისტოს გაგზავნილ ბარათში დუტუ მეგრელს „მოამბის" გამოცემის მოახლოებას რომ აუწყებდა თედო და თავსაც გამოიდებდა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძეც ითანამშრომლებენ ჩვენთანო, — დასძენდა, რომ ტფილისში ერთთვიანი ყოფნის შემდეგ საგურამოში გაევლო და ილიაც სწორედ სოფლად იმყოფებოდა.

პირველად მაშინ გაიცნობდა.

და მეგობარს ახარებდა: მშვენივრად მიმიღოო.

ერთ დღეს დაჰყოფდა მასთან და... თავისუფლად ერთ წუთსაც ვერა ნახავდა. სულ სტუმრებს უნდებოდა თურმე.

ქალებისა მთელი ლაშქარი დასტყდომოდა თავს, ზოგი ვისი და ზოგიც ვისი.

დათა მიქელაძეც მაშინ ეწვეოდა.

და უკვირს თედოს: რა ვიცოდი და ილია ოჯახის კაციც ყოფილაო.

გულდასმით დაათვალიერებდა მის ვეება და საუცხოო მამულს, თუმც გულს დააკლდებოდა, რომ რიგიანი მოვლა არ ემჩნეოდა. ისე შეატყობდა, რომ, როდესაც ილია იქ იმყოფებოდა ხოლმე, რაც იყო და როგორც იყო, კიდევ ყურს უგდებდა, მაგრამ როდესაც ტფილისს შერჩებოდა, მაშინ კი... და თედოს როგორ არ გაეზიარებინა გულისტკივილი მეგობრისათვის: ხომ იცი, ჩვენებური მოურავის ხელში რა ხეირი დაეყრება მამულსა თუ სახლ-კარსო...

ილია დუტუ მეგრელის ამბავსაც იკითხავდა:

— როგორ არის, სად არის?

და თედო გახარებული აუწყებდა: ეტყობა, ძალიან აინტერესებს შენი ვინაობაო.

და კიდევ უფრო გახარებული ილიასთან ამ პირველი შეხვედრით:

— საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე...

მის განსაკუთრებულ თვისებად მაინც რას გამოარჩევდა?

თავაზიანობასა და სტუმართმოყვარეობას (მიმღებიანიო, — თედო ამ სიტყვას ამჯობინებს).

და ასე ერთბაშად და მკვეთრად უნდა შესცვლოდა აზრი იმ კაცზე, რომელიც მანამდე:

— რაღაც მიუკარებელ გველეშაპად მყავდა წარმოდგენილი.

ბარე ბევრ მიამიტ ყმაწვილკაცს შეუქმნა ბანკობიადამ ყოვლად მცდარი წარმოდგენა ილიაზე, და ყველას ხომ არა ჰქონდა თედო სახოკიას ბედი, პირადადაც შეხვედროდა, ესაუბრა და... ის ყალბი შეხედულება დამსხვრეოდა.

თედოს მხოლოდ კი არ დაემსხვრეოდა, უღრმესი მოწიწებითაც შეეცვლებოდა, მერე სულაც თაყვანისცემად რომ გადაეზრდებოდა და ხატივით იწამებდა.

* * *

დარბაზში... თვითონ ილია ჭავჭავაძე შემოაბიჯებდაო...

და ახლა სასამართლო დავა მათ შორის უნდა გამართულიყო?!.

თედო გაოცებით ხომ გაოცდებოდა ილიას დანახვისას, კიდეც შეკრთებოდა და გააციებდა და გააცხელებდა და აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო.

„ნეტა არ შეიძლება, რომ გავქრე?!.“

ილიას მზერას რას გამოეპარებოდა, თუ რა ცეცხლიც და გენაც დატრიალებულიყო ერთბაშად ამ ახალგაზრდა კაცის არსებაში და... გაუღიმებდა იმის დასტურად: ნურაფრისა გეშინია, აგერ არ ვარო?..

სასამართლოს დარბაზში ილიას ამ უეცარ გამოცხადებას ალექსანდრე სიგუასაც უამბობდა ათწლეულთა შემდგომ და იმ სამ მეგობარსაც, გიორგი შატბერაშვილს, ვახტანგ ჭელიძესა და ოთარ ჩხეიძეს, აკაკისთან გადამხდარ თავგადასავალს კი ალექსანდრე მიქაბერიძის ოჯახში, ჩვეული სამშაბათობისას, მოჰყვებოდა დეტალური სიზუსტით, და ეს იმიტომ, გივი ხვედელიძე რომ გამოიწვევდა სალაპარაკოდ.

ივანე თარხნიშვილზე ამზადებდა მონოგრაფიას და მასალების შეგროვების პროცესში მოუხდებოდა „ივერიის“ 90-იანი წლების კომპლექტების შესწავლა, და იქ რომ აღმოაჩენდა „ივერიისა“ და თედო სახოკიას სასამართლო დავის ისტორიას, გულდასმითაც გაეცნობოდა და აგერ, ერთი სამშაბათობისას, მისთვის დიდად პატივსაცემ ამ პიროვნებას სთხოვდა იმ ამბის გახსენებას.

თედო ხალისით სულაც არ აჰყვებოდა ამ თხოვნას.

მაგრამ გივიც ჩააცივდებოდა და აღარც სხვები მოეშვებოდნენ, და იძულებულს გახდიდნენ, ნავლწაყრილი ნაკვერჩხლები გაეშიშვლებინა.

ნაამბობს კი აკაკისაგან ბრიუსელში მიღებული ბარათით დააბოლოებდა, რათა ესეც დაერთო:

— ალბათ სურდა, ჩემს თვალში ხაზი გაესვა, რომ „ივერიასთან“ ინციდენტს იგი არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

წლები რომ ჩაიქროლებდა და თედოც გამოემშვიდობებოდა ამ წუთისოფელს, გივი ხვედელიძეს კვლავ და კვლავ აწუხებდა ეს უსიამოვნო ეპიზოდი და 1959 წელს, ბორჯომის სასტუმრო-

ში იოსებ გრიშაშვილთან ერთად რომ მოუწევდა დასვენება, რა გული გაუძლებდა, მისთვისაც არ ეკითხა „ივერიის" რედაქციასთან თედო სახოკიას ამ ინციდენტისა და მასში აკაკი წერეთლის, ამ უდავოდ დიდბუნებოვანი ადამიანის, უცნაური პოზიციის მიზეზთა თაობაზე.

გაიცინებდა იოსები:

— მე მგონია, ეს გაუგებრობა იმიტომ მოხდა, რომ აკაკიც და თედო სახოკიაც ცალ-ცალკე ორივენი მართლები იყვნენ.

— ეს როგორ — ორივე მართლები?

— გიკვირს? ნუ გაიკვირვებ: იმხანად, როდესაც თედო სახოკიამ აკაკის ოხუნჯობანი შეკრიბა, ახალდაარსებულ „ცნობის ფურცელსა" და „ივერიას" შორის გამწვავებული ურთიერთობა არსებობდა. მაშინ აკაკი „ივერიას" იყო შემომწყრალი და, რაკიღა ხშირად უხდებოდა ყოფნა „ცნობის ფურცლის" რედაქციაში, იქ ბევრ ცხარე ოხუნჯობასაც მიაყოლებდა ხოლმე „ივერიის" მისამართით. თედო სახოკია იმჟამად უფრო „ცნობის ფურცლის" ორიენტაციისა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ თითქმის ყველა მისი მეგობარი ჟურნალისტი სწორედ ამ რედაქციაში გახლდათ თავმოყრილი.

— ეს ოხუნჯობანიც თედოს უმთავრესად სწორედ იმ მეგობარმა ჟურნალისტებმა ხომ არ მიაწოდეს?

— სწორედ ასე მგონია. შესაძლებელია, თედომ, რომელიც ჯერაც ახალგაზრდა ლიტერატორი გახლდათ, ბევრი მართლაც ისეთი ოხუნჯობაც შეიტანა თავის კრებულში, რომელიც თქმით ითქმის, მაგრამ დაწერით არ დაიწერება. ასეა თუ ისე, ამაში ბრალი „ცნობის ფურცლის" ჟურნალისტებსაც მიუძღვით, რომელთაც ზედმეტი სიბეჯითე გამოიჩინეს, რათა „ივერიისათვის" ეკბინათ.

— თედო გვიამბობდა, რომ ოხუნჯობათა კრებულის ხელნაწერიც და შემდეგ კორექტურაც ნამდვილად ჩააბარა წასაკითხად აკაკის.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნებოდა. მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართული პოეზიის ბუმბერაზის სიცოცხლეში გამოეცათ მისი ოხუნჯობანი ავტორის უნებართ-

ვოდა და მასთან შეუთანხმებლად. თანაც ვინ — თედო სახოკია არ გააცნობდა წინასწარვე?!.

— მაშ სათავე რა უნდა იყოს მაშინ წარმოშობილი ასეთი გაუგებრობისა?

რა და, აკაკი არ იყო სტამბის კაცი და ამიტომაც არასოდეს კითხულობდა თავის ნაწარმოებთა კორექტურას, რისი მოწმეც პირადადაც ვარ.

და ამასაც დასძენდა იოსებ გრიშაშვილი:

— ასევე გულწრფელად უნდა ვიწამოთ აკაკის აღიარებაც, რომ თედო სახოკიას მიერ შედგენილი მის ოხუნჯობათა კრებული მას წაკითხული არა ჰქონდა... სხვათა შორის, აკაკის ამ თვისების გამო, კორექტურის კითხვა რომ არ უყვარდა, მხოლოდ ახლახან გახდა შესაძლებელი ზოგიერთი ადგილის აღდგენა მის ისეთ კაპიტალურ ნაწარმოებებშიც კი, როგორიცაა „ნათელა“ და „თორნიკე ერისთავი“.

— ესეც მიზეზი იმ ბედუკულმართი ინციდენტისა?

— ესეც მიზეზი!..

* * *

მაშინ კი, იქ:

...არა, ახლა მე თვითონ უნდა ვიკისრო შეკრება და ცალკე წიგნად გამოცემა ნამდვილად ჩემი ნაკვესებისა, საზოგადო მნიშვნელობა რომელთაც მოეპოვებათო, — პირობას დებდა აკაკი წერეთელი.

ეჰ, ნეტა მაინც თედო სახოკიასათვის დაევალებინა!..

თავის მხრივ კი რედაქტორული ჩარევის ფარგლებს არ გადასცდენოდა...

* * *

— შენ ჩემი მდგომარეობა უნდა იკითხოო, — შემოსჩიოდა და თანაგრძნობას ეძიებდა აკაკისგან მოლა ნასრედინის აჩრდილი.

თავი მეოთხე

სტენდალს რომ ხელთ ჩავარდნოდა

— ახირებულია ჩვენი საზოგადოება!.. — დამუნათებას არ მოერიდებოდა აკაკი წერეთელი თავის კრებულში ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ სტატიაში „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ (1898, №9): ყველგან და ყოველთვის სხვისგან გადამეტებას თხოულობს და თვითონ კი თავის მხრივ მცირეც ეზარებაო.

და უმართებულოდ მიიჩნევდა იმ საყვედურებს, ხშირად რომ გაისმოდა ჟურნალ „მოამბის“ მისამართით: არც შინაური მიმოხილვა აქვს და არც პოლიტიკური; და კრიტიკისა ხომ ხსენებაც არსად არისო.

ნუ გავიწყდებათო, — შეაგონებდა აკაკი, — რომ ის, რაც ერთგან რომ არ იბეჭდება, რაღა „მოამბეს“ გადავახდევინოთ, რადგანაც კრიტიკოსები საზოგადოდ არც ყოფილან და არც არიან ჩვენშიო.

დაე უმადურობას ნუ გამოიჩენდნენ და დაეფასებინათ, რომ ეს ჟურნალი სინდისიერად გამოდიოდა, სასარგებლოც გახლდათ და მაინცდამაინც ხელაღებით დაწუნება მიზეზ-მიზეზობას უფრო ჰგავდა.

აჰა, თუნდ „მოამბის“ ამა წლის პირველი ნომერი.

— სხვა რომ არა იყოს, აქ თ. სახოკიას სამგზავრო წერილებია — „გურია-აჭარა“ — დაბეჭდილი და ან აქვე უსახელო ავტორის სტატია „აფხაზეთის ახალშენები“. ამისთანა რამეებს სხვა ხალხის ჟურნალებშიაც ვერ შევხვდებით. ამათ მარტო ზღაპრული გადაკითხვა კი არ უნდა, საგულისხმოთ ჩაფიქრებაც ეჭირვება. თუ გნებავთ, ესენი იგივე პოლიტიკური და შინაური მიმოხილვაა იმდენად, რამდენადაც კი მოსახერხებელი იყო.

სხვა რომ არა იყოს რა, აქ თედო სახოკიას სამგზავრო წერილებია დაბეჭდილიო...

რარიგ გამოერჩია ეს თხზულება, ჟურნალის მნიშვნელობის ერთ ყველაზე მტკიცე საბუთად რომ მოიხმობდა და დამმუნათებელთ ნიშნს უგებდა, ასეთ მასალას ეგრე იოლად სხვა ენებზე გამოცემულ ჟურნალებშიც ვერ შეხვდებითო. ადვილი აღსაქმელი რომ არ იყო ეს თხზულებანი, დაე გულდასმით გარკვეულიყვნენ მის ღირსებებში და შეეცნოთ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, თორემ ეთნოგრაფიული ხომ — თავისთავად.

რარიგ უშურველია აკაკი წერეთელი.

და ეს იმ პიროვნების მიმართ, სულ ორიოდე წლის წინათ ვისთანაც გადახდენოდა ის უსიამოვნო ამბავი.

მაგრამ საქვეყნო სამზერიდან როდესაც შეჰყურებ და გაიაზრებ საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ მოვლენებს, მაშინ კი შესაძლებელია დაივიწყო პირადი წყენა და მიუკერძოებლად შეაფასო ამა თუ იმ პიროვნების ნაშრომი, მოქმედება თუ საქციელი. ამ შემთხვევაში — გურიისა თუ აჭარის ეთნოგრაფიული სურათები.

აკაკის რომ მაინცდამაინც არა სჩვეოდა წყენის ადვილად დავიწყება, მითუმეტეს — აგერ, მთლად გუშინდელის?

როგორც ჩანს, საერთო აჟიოტაჟმა აიძულა გამიჯვნოდა თედო სახოკიას და აკაკურადაც გაექილიკებინა, თორემ გულში სულაც არ უთვლიდა შეცდომად, მითუფრო — არაკეთილმოსურნეობით განზრახულ ქმედებად, მის მიერ დაუდევრად მიმობნეული ოხუნჯობებისა და მახვილსიტყვაობების შეკრებასა და წიგნად დასტამბვას.

თანაც, ამ მგზავრული ჩანაწერების კითხვა ისე გაიტაცებდა: რას ერჩი, მწერალი ყოფილაო, — უსათუოდ გაიფიქრებდა. და ამიტომაც ურჩევდა მკითხველს, თქვენ მხოლოდ ჩაუკვირდით, ჰაიჰარად არ გადაატაროთ მზერა სტრიქონებზე და ნახავთ, რარიგ მოგეწონოთ, მითუმეტეს, შინაური და პოლიტიკური მიმოხილვის უქონლობას რომ მისტირიხართ, „გურია-აჭარა" საუკეთესო ნიმუშია, ამ მხრივ წუწუნსაც რომ მოეშვათ და იმედითაც აღივსოთო.

მკითხველი სწორედ ასე აღიქვამდა აკაკი წერეთლის იმ რამდენიმე, ოღონდ ტევად ფრაზას. იმედი კი რატომაც არ უნდა განმტკიცებოდა, როდესაც ჯერ მარტო თედო სახოკია გააგრძელებდა ასე წარმატებით დაწყებულ ჟანრს და, თარგმანებთან ერთად, ახალ-ახალ ეთნოგრაფიულ-სამოგზაურო შთაბეჭდილებებსაც შესთავაზებდა. ასეთ დაუღლელ, დაუშოშმინებელ კაცს ანკი რა გააჩერებდა.

გურიისა და აჭარის აღწერილობამდე უკვე გამოექვეყნებინა „სამურზაყანო", მერე კი „აფხაზეთი" უნდა მოსდევნებოდა... რაჭის აღწერილობაც ამავე ციკლში ეგულისხმა, მაგრამ ავი შემთხვევა გამზადებულ მასალებს დააკარგვინებდა და ხელსაც ჩააქნევინებდა, მის აღდგენას რომ აღარც არასდროს ეცდებოდა. ციკლის განზრახვა ფართო გახლდათ, მთელი საქართველო უნდა მოეცვა, მაგრამ ისე კი მოხდებოდა, რომ ამ რკალთან შეწყდებოდა და... ნახევარი საუკუნის შემდეგღა ეღირსებოდა სამოგზაურო-ეთნოგრაფიულ ნარკვევთა ამ ორიოდე ნიმუშს ერთ წიგნად შეკვრა — 1950 წელს, საერთო სახელწოდებით — „მოგზაურობანი".

რედაქტორის წინათქმაში გიორგი ჩიტაია თედო სახოკიას მოიხსენიებდა ქართველ ეთნოგრაფთა იმ წრის თვალსაჩინო წარმომადგენლად, რომელმაც მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-90-იან წლებში და თავისი უანგარო და თავდადებული შრომით ჩვენს ეთნოგრაფიას დიდი სამსახური გაუწია.

რაოდენ ზუსტადაა შერჩეული ეს სიტყვები — „უანგარო" და „თავდადებული" — ქართველ ეთნოგრაფთა იმ გუნდის წარმოსაჩენად და თედო სახოკიას პიროვნული ბუნებისა და ცხოვრების სტილის დასახასიათებლად!

ილიას ხელი ხომ ყველა დიდებულ და მნიშვნელოვან წამოწყებას ადევს!..

და თედო პირდაპირაც მიუთითებდა ამ ზეგავლენას, თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევებს „მგზავრის წერილებად" რომ მოიხსენიებდა — და რა, განა ასე არ გახლდათ? ილიას დოკუმენტური ნოველის — „მგზავრის წერილები" — და ლელთ ღუნიას

სულისკვეთება და მსოფლშეგრძნება არ განსაზღვრავს თედოს მოგზაურობათა შინაარსსაც და მიზანსაც?

რედაქტორი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ავტორს წილად ხვდა, აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე შეესწავლა იმ დროს, როდესაც ამ მხარეში ახალგადავარდნილი იყო თურქული უღელი; რომ აღწერილობანი ისე გაჟღენთილა პუბლიცისტური ელემენტებით, რომ თედო სახოკია გვევლინება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ; რომ ეს ის წყაროა, რომელიც საქართველოს განაპირა მხარეთა XIX საუკუნის დამლევისა და XX-ის დამდეგის ვითარების თაობაზე მკითხველის ცოდნას ამდიდრებს და აღრმავებს; და რომ „მოგზაურობანი“ დიდი ინტერესით იკითხება, რასაც განაპირობებს ავტორის მდიდარი ენა და თხრობის შესანიშნავი ოსტატობა.

გერონტი ქიქოძე მეტსაც იტყოდა:

— ეს დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშია.

თვითონ შესანიშნავ სტილისტსა და დოკუმენტური პროზის ოსტატს ანკი როგორ გამორჩებოდა თედო სახოკიას თხრობის მანერის ეს თავისებურება!

უპირველესად რითი მოხიბლულიყო ამ წიგნის გაცნობისას?

— ავტორმა გამოამჟღავნა დიდი ცოდნა ქართველი ერის ისტორიისა და ეთნოგრაფიისა, დიდი სიყვარული ქართველი ხალხისადმი და ადამიანების, საგნების უებრო ხატვის ნიჭი, რის წყალობითაც მრავალი ფურცელი წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ვახტანგ ჭელიძეც „მოგზაურობანს“ საოცარ წიგნად მოიხსენიებდა, ეთნოგრაფიის ჩარჩოებში რომ ვერა თავსდება და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს — დიდი ბელეტრისტის ხელით გამოკვეთილი ხასიათებითა და სურათებით.

თედო ბელეტრისტულ ქმნილებად სულაც არ მიიჩნევდა ამ წიგნს და ეთნოგრაფიულ ნარკვევად სთავაზობდა მკითხველს?

პირობითად თუნდ ეთნოგრაფიულ ნარკვევებადაც ვიხსენიებდეთ, მართლაც რატომ უნდა გავიზიაროთ თედო სახოკიას უზომო თავმდაბლობით გამოწვეული თვითშეფასება და არა

გერონტი ქიქოძისეული თუ ვახტანგ ჭელიძისეული დახასიათება, განმსჭვალული იმ აღტაცებითა და ექსპრესიით, ყველა ჭეშმარიტი სულიერი მონაპოვარი რომ იწვევს?

— თედო სახოკია ჭეშმარიტი მხატვარია.

იტყოდა ამას ვახტანგ ჭელიძე და... ყურში ჩაესმოდა მიამიტი მკითხველის შეკითხვა: კი მაგრამ, ორიგინალური მოთხრობები და რომანები რომ არ დაეტოვებინაო?

და პასუხი წინასწარვე გაემზადებინა:

მისი ეთნოგრაფიული ყაიდის თხზულებანიც, თანამედროვეთა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტებიც, მემუარებიც ბელეტრისტის კალმით გახლავთ დაწერილიო.

ვახტანგ ჭელიძე ყურადღებას მიგვაქცევინებს, რომ ამ თხზულებებში ცალკეული ეპიზოდები ნოველებივით არის ჩასმული და ზოგჯერ ეს ნოველები ძვირფასი თვლებივით გაიელვებენ ხოლმე. აქ ამიტომაც ვხვდებით გამოკვეთილ ხასიათებს, რომელთა დავიწყებაც არ შეიძლება და რომლებიც მუდამ თან გახლავს, როგორც დიდ ლიტერატურულ ქმნილებათა პერსონაჟები. ვხვდებით ბელეტრისტულ პასაჟებსაც — ხან დრამატიზმით დამძიმებულს, ხან სევდიანს, ხან კომიკურს და მუდამ კი ლაღი ლირიზმით აღბეჭდილს... საერთოდაც ასე ლაღად რომ წერს თედო სახოკია, ასე თავისუფლად და ასე მიმზიდველად.

ეს საგულისხმო „წვრილმანიც“:

— აქ ბუნების სურათები ზომიერად არის მოხმობილი, არა ცრუპატრიოტული სიამაყის აღსატკინებლად, არამედ როგორც ერთგვარი პაუზები, როგორც დამაკავშირებელი ფრაზები ცალკეულ ეპიზოდებს შორის. და ზოგჯერ მართლაც მოხდენილი ფრაზის ელვარებით ბრწყინავენ ისინი.

თუ ვინმეს, სწორედ ვახტანგ ჭელიძეს არ გამორჩებოდა ეს სტილური თავისებურება და ნიუანსები, რაც თედო სახოკიას წერის ხელოვნებას განსაზღვრავდა და თვითონ ბატონი ვახტანგისთვისაც ნიშანდობლივი იყო — იგი მხოლოდ გარედან კი არ შეიცნობს ამ სტილს და აფასებს მის შთამბეჭდაობას, არამედ თვითონაც დიდებულად ფლობს ამ ხელოვნებას და ამიტომაცაა მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტებიც,

„ქართლის ცხოვრების ქრონიკებიც“ და მემუარებიც ბელეტრისტის კალმით დაწერილი და ჭეშმარიტ მხატვრადაც ამიტომ წარმოგვიდგება, რომ აღარაფერი ითქვას მის ბიოგრაფიულ რომანზე „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, სხვათა შორის, თედო სახოკიას ერთ უსაყვარლეს წიგნზე, „თანამედროვე ქართული პროზის შედევრთა“ (მისივე სიტყვებია) შორის რომ მიეჩინა მისთვის ადგილი.

ცალკეულ ეპიზოდებს ვახტანგ ჭელიძეც ნოველებივით ქმნიდა და ზოგჯერ ეს ნოველები ძვირფასი თვლებივით გაიელვებდნენ ხოლმე. მასთანაც ხშირად ვხვდებით გამოკვეთილ ხასიათებს, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია და თან მოგყვებიან დიდ ლიტერატურულ ქმნილებათა პერსონაჟებივით, და არც ბელეტრისტულ პასაჟებს მოვისაკლისებთ — ხან დრამატიზმით დამძიმებულს, ხან სევდიანს, ხან კომიკურს და ყოველთვის ლაღი ლირიზმით აღბეჭდილს... წერის ლაღი, თავისუფალი და მიმზიდველი მანერა თავისთავად და... ერთგვარ პაუზებსაც რაოდენ მოხდენილად ქმნიდა ხოლმე ცალკეულ ეპიზოდთა შორის დამაკავშირებელ ფრაზებად — ელვარებით რომ გაიბრწყინებდნენ.

უნებლიეთ თვითდახასიათებაც გამოუვიდოდა.

და სწორედ ეს სულიერი სიახლოვეა, ასე ღრმად რომ ჩასწვდებოდა თედო სახოკიას შემოქმედებით ბუნებასა და სტილური მანერის თავისებურებებს, მრავალმხრივ საგულისხმო მასალას და გონებამახვილურ დაკვირვებებს ყოველთვის, დახვეწილი ფორმაც რომ მოეძებნებოდა კომპოზიციურ საყრდენად და ქარგად.

ნოველური ჩანართების გასათვალსაჩინოებლად გაიხსენებდა თუნდ ისტორიულ ქრონიკას აკეთილ თავდგირიძეებზე; როგორი დრამატიზმითა და სოციალური სიმწვავით იკვეთებოდა ერთი ეპიზოდი ჩვენი ხალხის მძიმე წარსულისა, და რა თავისუფლად მოგვითხრობდა მწერალი-ეთნოგრაფი, რაოდენ სადად, როგორი სილაღითა და დინამიზმით; და ყურადღებას მიგვაქცევინებდა ხატოვან გამოთქმებზეც, მარჯვედ რომ გამოეყენებინა ავტორს თავ-თავის ადგილას და თვალში ამიტო-

მაც არ ეჩხირებოდა მკითხველს, თითქოს ვერც კი ამჩნევდა და, ამავდროულად, რა დიდი მხატვრულ-ემოციური დატვირთვა ენიჭებოდა ყოველ მათგანს!

აკეთი გორის ფერდზე შეფენილიყო და ზედ დასცქეროდა სუფსის ჭალას, გაღმით კი მოჩანდა რამდენიმე სოფელი გურიისა, გურია-აჭარის მთების კალთებზე შეფენილი, მთის ზემოთ კი — ხშირი ტყე. თუმც „სოფელს" რომ იტყოდა, იქვე დასძენდა: შეცდომა ხომ არ მომდის, რადგან თითო სოფელში თითო სახლს თუ მოჰკრავს კაცი თვალს, ისე დამალულა სახლების სახურავები ტყეშიო.

იქ ერთ კვირას რომ მოუწევდა დარჩენა ბახმაროში ასვლამდე და გაარკვევდა, თავადი თავდგირიძეებიც სახლობენ, რომელთა წინაპარიც XVII საუკუნეში აქ ქობულეთიდან გადმოსულაო, გამოიძიებდა ამ გადმოსვლის გარემოებებს, მიჰყვებოდა რაც შეიძლება სრული სურათის აღდგენამდე და, ფურცელზე რომ გადმოიტანდა, ხელთ ისეთი ისტორიული ქრონიკა შერჩებოდა, სტენდალიც რომ მოიხიბლებოდა, ამისთანა სიუჟეტი ხელთ რომ ჩავარდნოდა იტალიაში ისტორიული ეპიზოდების შეკრებისას, და უსათუოდ შეიტანდა თავისი ქრონიკების ციკლში, თედო სახოკიასავით ეთნოგრაფიული ნარკვევის ნაწილად კი არ გაიმეტებდა.

აწინდელი თავდგირიძეები წინათ თაქთირიძეები ყოფილან და იხსენიებოდნენ სახელოვან თავადებად სამცხე-საათაბაგოსი, სოფელ აკეთში კი პირველად ის მამუკა თავდგირიძე გამოჩენილა, იშვიათი ღონით რომ გამოირჩეოდა და თვით აბდულბეგ ხიმშიაშვილსაც რომ სძლევდა ორთაბრძოლისას, იმასაც საარაკო ღონის პატრონს, მამუკას მიერ მოპოვებულ მის თოფს სათუთად რომ ინახავდნენ შთამომავალნი და რაიმე დღესასწაულზე აუცილებლად გაისროდნენ ხოლმე, ჯერ უთუოდ თოკით ხეზე მიაკრავდნენ, რადგან ხელში მისი დაჭერა და ისე სროლა ყოვლად შეუძლებელი იყო.

მისი გადმოსვლა აკეთში უშუალოდ დაუკავშირდებოდა ქობულეთის მხარეში ქრისტიანთა და მაჰმადიანთა პირველ შეტაკებებს, ხოლო მთელი ჩაქვი და ქობულეთი, მისი საბატონო,

ჯერაც ქრისტიანი გახლდათ, მის შთამომავალთა შორის კი ორი შტო გამოიყოფოდა, როგორც მაჰმადიანური (ქობულეთი), ისე ქრისტიანული (აკეთი).

ეს გადმოცემა იმითაც გააღვივებდა თედო სახოკიას ცნობის-წადილს, რომ თვალსაჩინო ნიმუში იყო იმ ძნელად ასახსნელი, მართლაც საოცარი მოვლენისა, ხანდახან სრულიად უბრალო შემთხვევას, თითქმის უმნიშვნელო მიზეზსაც რომ შეუძლია მთელი მხარის სვე-ბედი წაღმა დაატრიალოს, თითქმის ძირეულად შეცვალოს მისი მდგომარეობა.

მამუკა თავდგირიძეს სახლთუხუცესად ოთარ იობიშვილი რომ ჰყოლია, 25 მოსახლე გლეხი ვისაც ემორჩილებოდა. ყველაფერი ბუნებრივად და უდრტვინველად წარიმართებოდა, სახლთუხუცესს თანამეცხედრე მეტად წუწურაქი და პურძვირი რომ არ გამოსდგომოდა, — ზღაპრების ავი დედინაცვალივით: ყანაში მომუშავე გლეხებს ერთი ხელის სიფართე მჭადსა და მის შესაფერ შეჭამადს თუ გაუგზავნიდა: როგორც გინდათ, იმყოფინეთო. კარგ გუნებაზე მყოფი კი ღვინოსაც მიადევნებდა, ოღონდ... თითოს თითო ყლუპი თუ ერგებოდა. ერთხელაც ნერვებს უნდა ემტყუნა გლეხებისათვის, სადილის მიმტანი, იმისი რა ბრალი იყო, ლაზათიანად მიებეგვათ და, შეშინებულები, ასეთ საქციელს ვინ გვაპატიებსო, ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. სახლთუხუცესის ცოლი სიკაპასით ცეცხლს მოიკიდებდა და ქმარს მოსთხოვდა: თუ დამნაშავეთ სამაგალითოდ არ დავსჯით, სხვებიც წაჰბაძავენ, გაგვიორგულდებიან და დავიღუპებითო.

სახლთუხუცესის ორი ძმისწულიდან უფროსი ვითომ მათ საძებრად და დასაჭერად გაეშურებოდა, მაგრამ გულში სულ სხვა რამ ედებოდა: რაღაც ჯავრი სჭირდა თავისი ბიძისა და, ოსმალეთში გადასული, ქრისტიანობაზე ხელს აიღებდა და თვითონაც მეამბოხეთ მიემხრობოდა იმ გადახვეწილ გლეხებს.

იმ დროს ბათუმსა და ჩაქვს შუა ადგილი ძარცვა-გლეჯის ასპარეზად რომ იყო გადაქცეული, იმ გზაზე ჩამოატარებდნენ ხოლმე გურიაში მოტაცებულ ლამაზ ქალებსაც ოსმალთა ჰარამხანებისათვის. ყმების გაქცევიდან ორი კვირის თავზე სახლთუხუცესს ლამაზი მოსამსახურე გოგო რომ დაეკარგებოდა,

მისი ცოლი ბრალს მეორე მაზლისწულს დასდებდა: გოგოს მოტაცებას სხვა ვერავინ გამიბედავდაო.

ახალგაზრდა კაცი აღშფოთდებოდა ასეთი ცილისწამების გამო, რადგანაც ცამდე მართალი იყო და, რათა დაედასტურებინა თავისი სრული უცოდველობა, თვითონ დაუწყებდა ძებნას დაკარგულ გოგოს და იმ წუთებში მიუსწრებდა, როდესაც ის ტრაპიზონში გასასტუმრებელ სანდალში იჯდა და წასვლასღა ელოდა. ბიჭი ტყვეს რომ გამოიხსნიდა, ბიძასთან გაგზავნიდა, თან ბარათსაც გაატანდა: ჰკითხე გოგოსა, მე მოვიტაცე თუ სხვამაო? — და გოგოც განუცხადებდა ქალბატონს: თქვენმა მაზლისწულმა კი არა, სხვამ მომიტაცაო.

თითქოს აქ უნდა მოთავებულიყო ერთიერთმანეთს მიბმული უსიამოვნო ამბები — გაქცეულებს ველარას დააკლებდნენ, ახალგაზრდა კაცს კი ველარაფერს უშარებდნენ,აგერ თვალდათვალ დამტკიცებულიყო, თავისი ძმასავით რომ არა ფიქრობდა, თანაც — როგორი სიმარჯვე და ვაჟკაცობა გამოამჟღავნა, ჰარამხანისათვის განწირულ ტყვეს რომ მიაგნო და შინ დააბრუნა. ამ მშვიდობიან აქტს უნდა შეეკრა ეს სიუჟეტი...

მაგრამ ტრაგიკული ჯაჭვი აქ მხოლოდ იჭედებოდა და თურმე ამის მერე უნდა ასხმულიყო ის სისხლიანი რგოლები, რომელთა დასაწყისსაც — სადილის მიმტანის უსამართლოდ მიბეგვას — უკვე ველარავინ გაიხსენებდა.

ხანდახან სრულიად უბრალო შემთხვევას, თითქმის უმნიშვნელო მიზეზსაცო...

დაფიქრდებოდა და ძალიანაც დაფრთხებოდა სახლთუხუცესი ოთარი: რაკი ასეთი ცილი დავწამე ალალ-მართალ ძმისწულს, ცოცხალს არ გამიშვებს, მოდი ისევ მე დავასწროო და, რადგანაც შიშს დიდი თვალები აქვს, აღარ დაგიდევდათ, მართლა იყო თუ არა ძმისწული სამაგიეროს გადამხდელი, თანაც ძალიან მწარედ, ეტყობა, ცოლიც შეაგულიანებდა ლედი მაკბეტივით და... ჩაუსაფრებდა გზაში კაცს თავის ძმისწულს და მოაკვლევინებდა.

მოკლულს დედის მხრიდანაც რომ ჰყავდა ბიძა, გვარად გუგუნავა, ამ შემზარავ ამბავს რომ შეიტყობდა, იტყოდა: სისხლი

უნდა ავიღოო, — და ოსმალეთში გადაიხვეწებოდა, იქ შემოიერთებდა სახლთუხუცესის იმ ადრე გაქცეულ ნაყმევებსაც, გამობრუნდებოდა უკანვე, დაეცემოდა თავს ოთარს და ძირიანბუდიანად ამოჟუჟავდა.

ჰოი, რას გაიხარებდნენ და ძალიანაც ისარგებლებდნენ ოსმალები ამ შინაური უთანხმოებით: ამდენი ხანია ვებრძვით გურჯებს და ვერაფერი დავაკელით. ახლა ამათ შევუერთდეთ და იქნებ ვძლიოთ ეს კერპი და გაუტეხელი ხალხიო.

თქმა და ქმნა ერთი იქნებოდა — თავს დაესხმოდნენ ქობულეთს და მოსრავდნენ იქაურობას. და კიდეც იქვე დაბინავდებოდნენ ოსმალთა ფაშები და მათი მხედრობა.

ჩვენი განკითხვის დღე დადგაო, — ამბობდა განსაცდელში ჩავარდნილი მოსახლეობა, — სჯული მაცხოვრისა ამდენ ხანს მტკიცედ და შეუმწიკვლელად დაგვიცავს და დაგვიფარავს, ახლა კი ან ხელი უნდა ავიღოთ მამა-პაპათა სალოცავებზე, ანდა სიკვდილს მივეგებოთო.

და რაკიღა ვინც ნებით არ მუსულმანდებოდა, მუსრს ავლებდნენ და არც მოხუცს ინდობდნენ და არც ახალგაზრდას, არც კაცსა და არც ქალს, ვინც თავს შეაკლავდა, შეაკლავდა ოსმალთა მახვილს, უფრო სუსტნი კი ქედს მოიხრიდნენ ახალი ბატონის წინაშე. ხოლო უმრავლესობა გურიაში გადაიხვეწებოდა, სადაც შეეძლოთ უშიშრად შეერთებოდნენ ქრისტიანებს.

მამუკა თავდგირიძე რას ფიქრობდა, რას აპირებდა?

ჯერ გამაგრდებოდა, — დროებითი ეგონებოდა ეს აწიოკება, — გრიგალი გადაივლის და ისევ მოსვენებული ცხოვრება გვეღირსებაო, მაგრამ.. მსხვერპლთა რიცხვი რომ ყოველდღე ემატებოდა?! ქრისტიანნი ადვილად ვერ თმობდნენ თავიანთ რჯულს და ზვარაკად შეწირვას ამჯობინებდნენ. სხვა გზა რომ აღარ დარჩებოდა, გადაწყვეტდა: აქაურობას უნდა გავერიდოო, — მაგრამ მარტო რომ ყოფილიყო, კი უშველიდა თავს როგორმე, დიდძალ მამულსაც შეელეოდა, ყველაფერზე ხელს აიღებდა, ოღონდაც მაჰმადიანობა ძალით არ მოეხვიათ თავზე მისთვისაც, მაგრამ სამშვიდობოზე არავინ გაატანდა ცოლშვილს — ოსმალები გულმოდგინედ სდარაჯობდნენ ამ ოჯახს,

თუკი ამას ავაღებინებთ ხელს თავის რჯულზე, ხელქვეითნიც მიბაძავენ და მათი გამაჰმადიანება გაგვიადვილდებაო.

მამუკა ხერხს მიმართავდა და ფაშას სთხოვდა გურიაში გაშვებას ცოლ-შვილითურთ: მანდეთ ყმები გამექცნენ და უნდა დავიბრუნოო. ფაშა ჯერ უარზე დადგებოდა, მაგრამ ბოლოს თითქოს დაჰყაბულდებოდა და... შესთავაზებდა: მძევალი დაგვიტოვეო.

— მძევალი რაღად გინდათ, — მიუგებდა მამუკა, — როცა მთელი ჩემი ავლადიდება თქვენს ხელთაა? განა ეს არ გეყოფათ მძევლად?

არ მოტყუვდებოდა ფაშა: შენი ცოლ-შვილი დაგვიტოვე და გზა ხსნილი გაქვსო.

და მამუკა იძულებული რომ შეიქნებოდა, მარტო დასდგომოდა გზას გურიისაკენ, მის ცოლსაც და შვილსაც, მაქსიმეს, — ოსმალები გაამაჰმადიანებდნენ და შემდგომ სწორედ ამ მაქსიმე თავდგირიძის შთამომავალნი იქნებოდნენ ქობულეთის ბეგები — თავდგირიძენი.

მამუკა ცალკე ქაიხოსრო გურიელს სთხოვდა შემწეობას, ცალკე — იმერეთის სამეფო კარს (თავის ცოლოურებს) და შეერთებული ჯარით მიუხტებოდა ქობულეთში ფეხმოკიდებულ ოსმალებს, მაგრამ ისინი სიმრავლით სძლევდნენ და დამარცხებულს გამოაბრუნებდნენ.

ის, რაც ოსმალთათვის შეუვალი იყო სულ ცოტა ხნის წინათ, ასე უღმერთოდ შეტეხილიყო და ახლა ქართველთათვის შეიქნებოდა შეუვალი, თვით მამუკა თავდგირიძეც რომ ველარას მოუხერხებდა.

ერთი ქალის პურაძვირობა და...

მთელ მხარეს ეს რა ავად შეუტრიალდებოდა ბედი!

აკეთში მამუკა მეორე ოჯახს გაიჩენდა, თან კი მუდამ იახლებდა 60 შეიარაღებულ კაცს, რომელთაც საკუთარი ხარჯით ინახავდა.

ის ეპიზოდიც მკაფიოდ შემორჩენოდა ამ სოფლის ცნობიერებას, მამუკა ერთხელ გიორგი გუგუნავას რომ უმასპინძლებდა, ძიმითელ მემამულეს, სადილად კი მსახური შემოვიდოდა და მოახსენებდა: ხუთი აჭარელი აღა გეახლათო, — ხოლო ისინი ამც-

ნობდნენ აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილის, აჭარის ფაშას, დანაბარებს: ნებით ჩაგვბარდები, თუ ძალით დაგიმორჩილოთო? — რის პასუხადაც ეს შეუთვლიდა: ცოცხალი თავით ნებით არ დაგმორჩილდებით და თუ ძალით მობრძანდებით — დაგიხვდებითო.

ხედავთ, აქაც აღარ აყენებდნენ, ფაშას მთლად საზღვრის გადმოწევა ეწადა გურიის მიწა-წყალზე და მამუკას დაშინებით ლამობდა მიზნის მიღწევას. რაკიღა სამკვიდროდან ერთხელ უკვე აეყარათ, ახლა მეორედაც ამასვე უპირებდნენ. ამდენს აღარ გააბედინებდა, თუმც მოციქულებზე ჯავრს სულაც არ იყრიდა და, როგორც დიპლომატიის წესი მოითხოვდა, დასაჩუქრებულებს გაისტუმრებდა.

ამ ყოველივეს გიორგი გუგუნავას რომ გააგებინებდა, შემწეობასაც სთხოვდა. ის, თავის მხრივ, შეჰპირდებოდა: ძიმითის ქვედა მხარეს გავამაგრებინებ ჩემს ყმებს და მტერს არ შემოვუშვებო.

და აკეთელებში კი ბრძანებას გაავრცელებდა: ვისაც თოფის აღება შეგიძლიათ, უნდა გამოხვიდეთ. მტერი მოდის და დავუხვდეთო. და ძიმითის საზღვრიდან მაცხოვრის ეკლესიამდე მათ გაამაგრებინებდა. თვითონ იმ თავისი 60 კაცით ტყეში ჩასაფრდებოდა და სუფსის პირას დაელოდებოდა მტერს, რომლის მოახლოებაც მებუკეს უნდა ემცნო ბუკის ჩაბერვით.

მეხუთე დღეს, აბდულ-ბეგიც რომ გამოჩნდებოდა აჭარელ მეომრებთან, ანუ მაჰმადიან ქართველებთან ერთად, მებუკე კიდეც ჰკრავდა ბუკს და ბანს თოფებიც მისცემდნენ. მამუკა უკნიდან დაუვლიდა მომხვდურს და, აბდულ-ბეგს რომ მიადგებოდა, ორივე მხრიდან თოფები დაიცლებოდა, მაგრამ ერთიც და მეორეც უვნებლად გადარჩებოდა.

მაშინაა, ხმალამოწვდილნი რომ ეკვეთებოდნენ ურთიერთს და მამუკა აბდულ-ბეგის თავმოკვეთილ სხეულს დასცემდა ცხენიდან, გაცხარებულ ბრძოლას კი წინამძღოლის დამკარგავი აჭარლები, მიუხედავად თავგანწირული კვეთებისა, ველარ გაუძლებდნენ და უკუიქცეოდნენ.

მაგრამ მამუკას იმხელა ძალ-ღონე აღარ ჰქონდა, რომ იქითაც გადასჭროდა მომხვდურთ და აჭარა ამოეგო.

რაც დაიკარგებოდა, დაიკარგებოდა.

როდესაც რუსეთი და ოსმალეთი თავიანთ სახელმწიფოებრივ საზღვრებს დაადგენდნენ საქართველოს ხარჯზე, ჩოლოქს იქითა მიწები ოსმალეთს დარჩებოდა. ასე რომ, ერთი ნაწილი მამუკა თავდგირიძის მემკვიდრეთა ადგილისა და, მაშასადამე, გურიისაც, რუსეთის ქვეშევრდომთ ჩამოერთმეოდათ და ოსმალეთი დაინარჩუნებდა. ამიტომაც მამუკას მემკვიდრენი არაერთგზის აღძრავდნენ საქმეს და მთავრობას სთხოვდნენ: საზღვარი მდინარე ცხრაფონაზე გადაიტანეთ, რადგან ცხრაფონამდე რაც ადგილებია, ჩვენია, ხოლო ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართო.

რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან გამართავდა მიმოწერას ამ საქმის შესახებ, მაგრამ ეს კითხვა კვლავაც გადაუწყვეტელი დარჩებოდა. მემკვიდრენი იმედს მაინც არ დაკარგავდნენ: ერთხელაც იქნება ჩვენსას დავიბრუნებთო.

ესეც ნოველა ღია ფინალით.

ისე სტენდალის სტილისტიკისთვისაც სწორედ ასეთი ფინალი იქნებოდა უფრო ნიშანდობლივი და გაიხარებდა, ყოფითი რეალობაც სწორედ ამ დასასრულს რომ შესთავაზებდა სიუჟეტური ქარგის შესაკვრელად, დასაწყისი რომ ძალიან მოხიბლავდა და ერთხელ კიდევ დაიბეჭითებდა: მაინც რარიგ აჭარბებს ყოფითი გარემო მწერლურ ფანტაზიას, რამდენიც უნდა მეფიქრა, ეგებ ვერც მიმეგნო ასეთი დრამატული, მეტიც, ტრაგიკული ქარგისათვის, რომელიც რაღაც უბრალო მიზეზზე ამოშენდებოდა და მთელ ჯაჭვს კი მოიყოლებდაო.

ეს სოფელი აკეთი იმითაც აღმოჩნდებოდა გამორჩეული, რომ აქ დაარსდებოდა გურიის სახალხო სამკითხველო, და თედო მზერას რომ მიმოატარებდა, დაიბეჭითებდა, ეს წიგნთსაცავი პირველი იყო არამცთუ გურიის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც.

— ახალი საქმე ყოველთვის ძნელი გასაკეთებელია, განსაკუთრებით ისეთი საქმე, როგორიც პირველად წიგნთსაცავის დაარსებაა. აკეთელებმა იმდენი იღონეს, რომ თავიანთ განათლების ტაძარს — სოფლის ორკლასიან სკოლას სამკითხველოც

ამოუყენეს გვერდით, როგორც უმცროსი დაი, ხელის შემწყობი სოფლელთა განათლებისა და წარმატების საქმეში. ზოგი იყიდეს, ზოგიც შემოაწირვინეს ქვეყნის გულ-შემატკივართა და, ბოლოს, მშვენიერმა კრებულმა ქართულისა და რუსულის წიგნებისამ დაამშვენა სადა, მაგრამ საკმაოდ დიდი განჯინები წიგნთსაცავისა.

კვირაობით აქ ხალხს სხვადასხვა წიგნსაც უკითხავდნენ.

დეკლამატორობაც თავისთავად მოიკიდებდა ფეხს.

ნეტა ერთი მსახიობის თეატრისკენაც ხომ არ გამოიჩენდნენ დახელოვნებული დეკლამატორები მიდრეკილებას?

მერე და მერე, რაც თედო სახოკია ამ მხარეში მოგზაურობდა, ძალიან შეაგულიანებდა აქაურებს გახარებული: ოზურგეთს არც თქვენ ჩამორჩეთო, — ოზურგეთი კი იმ მხრივ მოხიბლავდა განსაკუთრებით და დიდადაც ანუგეშებდა, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებს, იმათაც კი, სადაც თვითმმართველობა შემოღებულიყო, საღათას ძილით ეძინათ, ეს პატარა და ღარიბი ქალაქი წელებზე ფეხს იდგამდა და არც ცისა და ქვეყნის შეწუხებას ერიდებოდა: ეს გვინდა, ეს გვესაჭიროება, ეს დაგვიარსეთო!..

ამ გარემოებას კი ძალდაუტანებლად განაზოგადებდა გურულის ბუნებაზე, სიცოცხლით სავსე ხასიათზე: ათასნაირ გზას ეძებს — გასაჭირს მოუაროს, ოღონდ კი ფონს გავიდეს სადმეო. და გულში იმედი როგორ არ ჩაგესახებოდა ამ ყოველივეს შემყურეს?!.

ამ ექვსი წლის წინათ საქართველოში ქართული სტამბა თუ მხოლოდ სამგან იყო: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, 1890 წელს ოზურგეთის მკვიდრი კ. თავართქილაძე, დ. კილაძის ამხანაგობით, მშობლიურ ქალაქში გახსნიდა სტამბას, სადაც ჯერ უბრალო ბლანკები და ქორწილ-ტირილში მიპატიჟების წერილები იბეჭდებოდა, მაგრამ ჩათქმული წიგნის გამოცემა გახლდათ და, აჰა, კიდეც იხილავდა აქ გამოცემულ წიგნს საზოგადოება. ორჯერ „ვეფხისტყაოსანსაც“ დასტამბავდნენ.

სტამბას მალევე რომ მოჰყვებოდა წიგნის მაღაზია, სადაც დროულად შეეძლო მკითხველს ახალგამოსული წიგნის შეძენა, ესეც დიდი ნიშანი იქნებოდა წინსვლა-წარმატებისა, შეუწყვე-

ტელი კავშირი რომ გაიმართებოდა ოზურგეთსა და საქართველოს დედაქალაქს შორის და ინტერესიც აღიძვრებოდა საზოგადო საქმის ირგვლივ სჯა-ბაასისა.

ანდა 1890 წელს ტფილისში რომ დაარსდებოდა პირველი ამხანაგობა წიგნების გამოცემისა ალექსანდრე ჯაბადარის ხელმძღვანელობითა და თედო სახოკიას თავგამოდებული მონაწილეობით, ამ ამხანაგობას ყველაზე წინ ბანს მისცემდა ოზურგეთი.

თუ რაიმე გახდომოდა ამ ქალაქს საჭირბოროტოდ, ოზურგეთ-ნატანებსა და ოზურგეთს შუა მგზავრთა გაჭირვება.

მეეტლეთა თავგასულობას საზღვარი არა აქვსო, ყველა ამას ჩიოდა, რადგანაც უნდოდა — არ წაიყვანდა მგზავრს, უნდოდა — თუმანს გადაახდევინებდა, დამშლელი ვინა ჰყავდათ. განსაკუთრებით შეწუხებულიყვნენ ოზურგეთელი ვაჭრები, საქმეებისა გამო ხშირად რომ სჭირდებოდათ ნატანებს ჩასვლა.

მოთმინების ფიალა კი ავსებოდათ, მაგრამ გამოსავალს ვერა პოულობდნენ. და აი, ჩაესმოდათ ტფილისში ამხანაგობის დაფუძნების ამბავი და გადაწყვეტდნენ: მოდი ჩვენც ამხანაგობა დავაარსოთ და კერძო მეეტლეთა პარპაშს ბოლო მოვუღოთო. თქმა და ასრულება ერთი იქნებოდა — შეადგენდნენ „მეეტლეთა ამხანაგობას", წილის ფულს თვითეული წევრისათვის 20 მანეთს დანიშნავდნენ და დაიწყებდნენ კიდეც მოქმედებას, გადასახდელ თანხას მკაცრად რომ დააწესებდნენ ეტლისთვის ცალკე და დილიჟანსისათვის — ცალკე. ბევრს ეგონა, ამხანაგობა წააგებსო, მაგრამ ნაცვლად ზარალისა, ორნაირად მოიგებდა: ჯერ ერთი, ახეირებდა პაის პატრონებს, რომელთა რიცხვიც დღითიდღე გაიზრდებოდა, და მეორეც — მგზავრს მეტად გაუადვილდებოდა და გაუიაფდებოდა მიმოსვლა.

თედოს სტუმრობისას ამხანაგობას 250 წევრი ჰყავდა, შეძენილი ჰქონდა შიგ ქალაქში 2 000 კვადრატული მეტრი მიწა, ააგებდა შენობებსაც, მათ შორის — ეტლების საკეთებელ ქარხანასაც, დაიქირავებდა ოსტატებს, რომელნიც ადგილობრივე ამზადებდნენ ეტლებს, მარხილებს და კიდევ სხვათ.

— ეს პირველი „ამხანაგობა" იყო გურიაში. პირველივე ნაბიჯმა ნათლად დაარწმუნა ყველანი, რომ საერთო ღონით ყო-

ველთვის მეტი გაკეთდებაო, ვიდრე ცალ-ცალკე დაყოფილი ძალითაო.

საქალაქო წიგნსაცავსაც ძალიან დაუფასებდა, იმ ზაფხულს დაარსებულს, რადგანაც ოზურგეთს ამ მხრივ, ტფილისისა და ქუთაისის შემდგომ, ყველა ჩვენი დაბა-ქალაქისათვის გაესწრო — თვით ბათუმისა და ფოთისთვისაც, რომელთაც ოზურგეთი ქონებრივად ვერც შეედრებოდა.

მკითხველი წიგნსაცავს არ აკლდა და მათი რაოდენობა დღითიდღე მატულობდა, და უკვე იგრძნობოდა, რომ ეს ნორჩი დაწესებულება დიდ სამსახურს გაუწევდა აქაურებს, განსაკუთრებით ვაჭართა ნოქრებს, რომელთაც მანამდე არ იცოდნენ, თავისუფალი დრო რისთვის მოეხმარათ. ის კი არა, წიგნსაცავი გავლენას მოახდენდა ყომარბაზობისა, სამიკიტნოებში ფუჭად დროსტარებისა და ათასგვარი უწესობის შემცირებაზე.

ის ტრადიციაც დაწესდებოდა, რომ ყოველ კვირაობით შეკრებილ საზოგადოებას უკითხავდნენ ათასგვარ ლიტერატურულ თხზულებას, და ეს საქმე ჩაბარდებოდათ აქაურ ქალებს.

— სხვა ქალაქებში მკვიდრთათვის ასეთი საქმე უცხოა.

აქ კი მართლაც სანუგეშო საყურებელი გახლდათ, როდესაც კვირაობით შინიდან გამოსული ხალხი, ათასფრად მორთულ-მოკაზმული, ქალი თუ კაცი, სამკითხველოსაკენ მიეშურებოდა, წიგნი უნდა წაიკითხონო.

მგზავრის წერილების სისრულისათვის ციფრებსაც აალაპარაკებდა გურიაში სწავლა-განათლების შესახებ, ყველაზე მჭევრმეტყველურად რომ ღაღადებდნენ საქართველოს ამ კუთხის გონების დაწინაურების შესახებ. განსაკუთრებით აკვირდებოდა ამ მხარეს და შენიშნავდა, რომ იშვიათი არ იყო ისეთი სოფელი, სადაც წერა-კითხვა მხოლოდ ზოგიერთმა 40 წელს გადაცილებულმა არ იცოდა.

ვიდრე აჭარაში გადავიდოდა, ვინ იცის, რას აღარ ეუბნებოდნენ თედოს: მთელი აჭარა ფირალებითაა სავსე, კაცს გავლა არ შეუძლია მთაში, უეჭველად უნდა გაძარცვონ ან მოკლანო.

მას ასეთი გაფრთხილება რას შეაშინებდა, მართლაც ასე რომ ყოფილიყო, წარბშეუხრელად შეუყვებოდა აჭარის მხარის

გზა-ბილიკებს, მაგრამ, თუ გულში ფარულად მაინც უტრიალებდა მოსალოდნელი ხიფათის სუნთქვა, მგზავრობა დაარწმუნებდა, ეს ხმები მეტად გაზვიადებული ყოფილაო. მოხდებოდა ხოლმე, რომ ორ-სამ წელიწადში ერთხელ ვინმე ფირალად გავარდებოდა, მაგრამ... ეს იყო და ეს. არადა, ზოგიერთი გაზეთისათვის რომ დაგეგდოთ ყური, რწყილს აქლემს აშობინებდნენ, ერთი კაცი მთელ ჯარად ეჩვენებოდათ და მთელს ქვეყანას ბუკითა და ნაღარით აუწყებდნენ.

სხვაგან რომ ათასჯერ უარესი ამბები ხდებოდა? ეს ვითომც არაფერი, და თედოს ძალაუნებურად წამოაგონდებოდა სახარების შეგონება: სხვის თვალში ბეწვსა ხედავენ და საკუთარში — დირესაც არაო. და შეიბრალებდა აქ მოსახლეთ: საწყალი აჭარლებიო. რაკიღა ერთი სახელი გასტეხოდათ და ყბად აეღოთ, მერე აღარაფერი ეშველათ. ფირალობა რა სათქმელი იყო, როდესაც ისე გაკადნიერებულიყვნენ აჭარელთა ცუდად მახსენებელნი, რომ საჯაროდ ამტკიცებდნენ, აჭარელი გაუტანელიაო.

ამის მთქმელი განა იცნობდა აჭარლებს?

თედო სახოკიას ეჭვიც არ ეპარებოდა, ერთი აჭარელიც არ ეყოლება ნანახი თვალითო.

— უნდა ახლოს გაიცნოს კაცმა აჭარელი, რომ მართლა დააფასოს მისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენეთ, თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩათვლის ეს მთის შვილი. მაგრამ თუ, ერთი ბეწოც არის, მუხანათობა შეგატყოთ, დაუნდობელია. შეურაცხყოფა, მისი აზრით, მარტო სისხლით მოიბანება. შურისძიება არის აქა, მართალია, და ამას უკიჟინებენ, ბარბაროსობააო. მაგრამ იგი შურისძიებაა სხვაგანაც. განსხვავება ისაა, რომ ფორმა სხვაა ამ შურისძიებისა.

სოფელ ხიხაძირში საღამოხანს წყაროს მახლობლად თავმოყრილ მხცოვანთ რომ მიუახლოვდებოდა და ჩვეულ გამოკითხვას შეუდგებოდა რაც შეიძლება მეტი ცნობის შესაგროვებლად აქაურობის ისტორიის, ყოფითი კულტურისა თუ ზეპირსიტყვიერების ირგვლივ, ისინიც თავის მხრივ მეტად ფრთხილად გამოჰკითხავდნენ ვინაობას, და მაინც დაეჭვებულნი შეხედავდნენ მის მოგზაურობას ამ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ მხარეში.

გადასახადით ისე დაშინებულიყვნენ, რომ ყველა უცხო კაცს, აქეთ გადმოტყორცნილს, უნდობლად ხვდებოდნენ: ვაითუ მთავრობის მოხელე იყოს და ჩვენი ქონების შესატყობად გამოგზავნილი, რათა მერე ახალი გადასახადი დაგვიწესოსო. ვერ წარმოედგინათ, რომ ქვეყანაზე არსებობდა ვინმე ძე ხორციელი — მათი გულშემატკივარი, მათი კეთილის მდომი.

ამიტომაც ცდილობდნენ კითხვებზე პირდაპირ არ ეპასუხათ, ანდა ორჭოფი და სინამდვილისაგან დაშორებული პასუხი მიეცათ, თავიანთი გაჭირვება ერთიათად გაეზვიადებინათ და მეტად უმწეოდ და უსასოოდ მოეჩვენებინათ თავი. და თედოს დიდი ფიცი-მტკიცი დასჭირდებოდა მათ დასარწმუნებლად, არავითარი ბოროტი განზრახვა და ფარული აზრი არ მამოძრავებს და თქვენთან მხოლოდ სამოყვროდ ვარ მოსულიო.

რარიგ გაიხარებდა თედო, რომ ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობას გაემართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცული დახვდებოდა შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, ზედ რომ აკრავს გურიას.

— მაგალითად, სოფელ ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯეს ვპოულობთ ჩვენი ძველი ენისას.

ოჯახებში ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მეტადრე ქალები გახლდნენ წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა. რადგანაც ნაბეჭდი წიგნები აქეთ ამ უკანასკნელ ხანამდე არ მოიპოვებოდა, თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა — აქაური ბეგების დედებმა, უფრო ხანშიშესულებმა. მდაბიოთა შორის ძველებური წერის მცოდნე ჯერაც იშვიათად მოიპოვებოდა. ქალი წერისას ქართულ სიტყვებს იყენებდა, მაგრამ მათი ხელნაწერი მეტად დაშორებოდა ჩვენს აწინდელ ანბანს და შეუჩვეველი თვალისათვის მეტად ძნელი გასარჩევი გახლდათ — იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში ცდილობდნენ მრგვალად ეწერათ, თითქმის ყველა ასო, მათ მიერ გამოყვანილი, სამკუთხედს წააგავდა.

ძველი ხელნაწერები ერთიანად გამქრალიყო აქეთ. ბეგების გვაროვნობაში, 50-იან წლებამდე, დიდძალი სიგელ-გუჯარი

ყოფილიყო ჩვენი მეფეებისა, მაგრამ ყველა ბეგს სტამბოლში რომ დაიბარებდნენ, თან წააღებინებდნენ, თუ რამ სიგელები ჰქონდათ. ოსმალეთის მთავრობა დაჰპირდებოდათ, ახლებზე გამოგიცვლითო, მაგრამ... რაკიღა ხელთ იგდებდნენ, ერთიანად ცეცხლში უბუცებდნენ თავს, რათა ძველთაგან მოპოვებული ყოველგვარი უფლება წაერთმიათ მათი პატრონებისათვის.

შესაძლოა, სადმე ერთი-ორი ნიმუში კიდეც გადარჩენილიყო ძველ ხელნაწერთაგან, მაგრამ იმ მოკლე დროში, რასაც თედო სახოკია იმ მხარეში დაჰყოფდა, ვერაფერს წააწყდებოდა, მიუხედავად თავგამოდებული ძებნისა.

1896 წლის ზაფხულში ზაქარია ჭიჭინაძეს განეზრახა აჭარის გაცნობა და მცხოვრებთა შორის ქართული წიგნების გავრცელება. თან წაიღებდა იაფფასიან სახალხო წიგნებს, „არსენას ლექსი" იქნებოდა, „ქალ-ვაჟიანი" თუ ამ ყაიდის ლექსები. ყოველ წიგნს შიგ ჩაურთავდა ქართულ ანბანს და გაუდგებოდა გზას. იმ წელსაც და მომდევნო წლის ზაფხულშიც მოივლიდა ზემო და ქვემო აჭარის სოფლებს, ხალხს უსასყიდლოდ დაურიგებდა წიგნებს, შეკრებდა მრავალ ამბავს, ამ მხარის გამაჰმადიანების შესახებ ხალხში დარჩენილს, და „ივერიის" მეშვეობით გაუზიარებდა მკითხველ საზოგადოებას.

თედო სახოკია ძლიერ მოიხიბლებოდა იმ მეთოდით, ზაქარიას რომ გამოეყენებინა ამ ხალხის დასაახლოებლად და მათი გულის მოსაგებად.

იგი თურმე შედიოდა მათ ჯამეებში, შესვლის წინ კი ფეხთ იხდიდა მათსავით. თუ რაიმეს დაუწუნებდა, სასმელებისა და ლოთობის სიძულვილს და... მაშინვე მიიყვავილებდა ხალხის გულს და ყველასათვის ძვირფასი სტუმარი შეიქნებოდა. თანაც ქართულ წიგნებს უკითხავდა, აღვიძებდა ხალხში მიძინებულ გრძნობას ქართველობისა და ამიტომაც იყო, რომ წიგნაკებსაც სიამოვნებით ართმევდნენ და ანბანსაც სწავლობდნენ. და როდესაც 1897 წლის ზაფხულში ამ მხარეს თედოც ეწვეოდა, არა ერთგან და ორგან შეხვდებოდა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დატოვებული წიგნაკები, რომელშიც ქართული ასოებით არაბული ლოცვები და აქაური ლექსები იყო ჩართული. ამ ლოცვებისა და

ლექსების ხალისით ქართული ანბანიც ესწავლათ და მადლიერებით იგონებდნენ ამ წიგნაკთა დამრიგებელს ან, როგორც თვითონ ეძახდნენ: ზაქარია-ეფენდის, ანუ სწავლულ ზაქარიას.

სერზე ერთ სიმინდის ყანაში ტლანქად გაკეთებულ და მიწაში ჩარჭობილ ჯვარს რომ მოჰკრავდა თვალს, მხარ-ნახევრის სიმაღლისას, სწორედ ისეთს, თითქმის ყოველ ყანაში რომ შეხვდება ხოლმე ადამიანს გურია-სამეგრელოში, ამ კუთხეებში ასეთი ჯვრები ითვლებოდა მფარველად მკვიდრის ქონება-კარმიდამოსი მზაკვართა და მავნე სულთაგან.

ამ საქრისტიანო მხარეში ადამიანს თვალი შეჩვეული ჰქონდა და ასეთი ჯვრები არ აკვირვებდა, მაგრამ აჭარაში? აქ ხომ საუკუნე-ნახევარი იყო, რაც ქრისტეს რჯული და ჯვარი მაჰმადიანობას აღმოეფხვრა, და თედო ჯვრის დანახვას როგორ არ გაეოცებინა და ცნობისმოყვარეობაც როგორ არ გაღვივებოდა?!

თავიდან საკუთარ თვალს არც დაუჯერებდა, ხომ არ ვცდებიო, და იუნოსას ჰკითხავდა:

— რა დგას ყანაში?

იმას თედოს გაკვირვება გააკვირვებდა:

— ჯვარია, ბატონო, — და მის დანიშნულებასაც აუხსნიდა, — მოგეხსენებათ, ყანის მტერი ნამეტურ ჩხიკვია და, როცა ამას დაარჭობენ, სოფლიერი ჩხიკვს ეტყვის: თუ ამის მადლი გწამს, სიმინდი არ შემიჭამოო!..

ჯვართან ერთად ეს ჩვეულებაც რომ დარჩენილიყო — ღობის სარზე ჩამოკიდებული პირუტყვის თავის ქალისა ან, როგორც აქ ეძახდნენ, საქონლის ხაპერისა?

ამ ძვალს აჭარაშიც იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც იმერეთში: მავნე თვალთაგან დაეცვა და უვნებელეყო კარმიდამო და ქონება აჭარლისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამჟამიერი გუშაგი ყოფილიყო.

ხოლო სოხუმიდან ოჩამჩირემდე გემი სამ საათს რომ უნდებოდა გზას, ეს ხანი ისე გაივლიდა ხოლმე, რომ კალმით დახატული სანაპირო ადგილების ცქერაში მგზავრი ვეღარც კი იგებდა, მეტადრე, თუ გემი ჩინებული იყო და ამინდიც ხელს უწყობდა მის ნირშეუცვლელ სრიალს ზღვის გაშალაშინებულ ზედაპირზე.

საქართველოს დაბა-ქალაქებში შავი ზღვის პირას ბათუმის, ფოთისა და სოხუმის შემდეგ მეოთხე ადგილი ოჩამჩირეს რომ ეჭირა მცხოვრებთა რიცხვით, შენობებითა და სავაჭრო მნიშვნელობით და ერთ დროს სამურზაყანოს კარად და სავაჭრო ცენტრადაც მიიჩნეოდა, თედო სახოკიას დასტურით, ეს მნიშვნელობა კვლავაც შენარჩუნებული ჰქონდა — იმ განსხვავებით, რომ წინანდელ ახოხოლავებულ ხის დუქნებს ქვითკირის „მაღაზიები" ამოუდგებოდა გვერდით, ხალხი მოემატებოდა, ვაჭრობაც უფრო ფართო მოედანს მოიპოვებდა — აქედან გატანილი საქონელი, თურქეთი რა სათქმელია, იმასაც გასცილდებოდა, სხვა ქალაქებთან მიმოსვლაც გახშირდებოდა და გაადვილდებოდა.

ჩვენი წინაპრები სამურზაყანოდან არიან წასულნი ლაზისტანშიო, — თედოსაც უმტკიცებდნენ, — ახლაც გვყავს აქეთ შორეული ნათესავებიო.

და ესეც დაუკვირდებოდა, რომ ზოგს გვარები უცვლელად შერჩენოდა, ეგაა — სახელები ერქვათ ოსმალური. ლაპარაკით მეგრულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ისე დამახინჯებულად, რომ, თუ ყურს არ შეაჩვევდი, გაგება გაგიჭირდებოდა, მითუმეტეს, რომ საშინლად ბევრს ურევდნენ თურქულ სიტყვას.

ცხოვრების სახსარს მათთვის მენავეობა შეადგენდა.

და თედო სახოკია მათ ფსიქოლოგიას ძალდაუტანებლად დაუკავშირებდა მათივე ცხოვრების სტილს, ოსმალეთის ქალაქებში წასვლა, იქიდან სამშობლოში დაბრუნება და სამშობლოდან ისევ ოჩამჩირეში მოსვლა და სიმინდის ყიდვა — ამაში გადიოდა მათი სიცოცხლე, ათასთავგადასავლიანი, საშიში, მაგრამ ამ საშიშროებითა და ტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრებას ისე შეეჩვეოდნენ პატარაობიდანვე, ისე შეისისხლხორცებდნენ, რომ მუდამჟამ შიშში ყოფნა ლაზთათვის მეორე ბუნებად გადაიქცეოდა.

ასეთი ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვება თედოს თუ შეეძლო, ხელისგულზე რომ ედებოდა გარეგანი მარშრუტი და მის ნიაღში სხვადასხვა შრის ამობრუნებით ჩააღწევდა, ჩააღწევდა და გახსნიდა კიდეც ლაზთა ხასიათად ჩამოყალიბებულ იმ უმ-

თავრეს თვისებას, ზღვის გარეშე ვერარა სიამე რომ ვერ წარმოედგინათ და არაფრად უღირდათ მიწის მუშის მყუდრო ცხოვრება.

— ვერ წარმოუდგენიათ თავისთავი უნავოდ. ნავია მათი აღმზრდელი აკვანი, ნავი არწევს მთელი თავისი დღენი და ერთ დღეს თავის საყვარელ ნავთან ეხუტება ლაზი ზღვის ფსკერსა. ქართველებს ჯერხანად მარტო ლაზები-ღა გვყავს მენავენი — ამასთან, მენავენი თამამნი, შეჩვეულნი პატარაობითვე ზღვას გამწყრალ-განრისხებულსა და ზღვას დამშვიდებულსაცა.

ჭეშმარიტად პოეტური პასაჟია და ამგვარ პასაჟებს სულაც არ მოვისაკლისებთ „მოგზაურობათა“ ფურცლებზე.

თვალსაჩინო ნაკლად აქაური ცხოვრებისა ერთი, თუნდა მცირედი წიგნსაცავის უქონლობა რომ უნდა მიგვეჩნია, წამლად ერთი გაზეთის შოვნაც რომ არ შეიძლებოდა (მართალია, აქაურ ყავახანაში მისდიოდათ ბათუმის რუსული გაზეთი „შავი ზღვის უწყება“, მაგრამ ისე ვერ წაიკითხავდით ამ, უკაცრავად პასუხია, გაზეთს, ბრაზისაგან თავი შეგეკავებინათ, რადგანაც ნომერი ისე არ გამოვიდოდა, რომ იქ რაიმე უშვერი თრევა-ლანძღვა ან უგვანო ჭორიკანული ცილისწამება არა ყოფილიყო საქართველოს შესახებ), სამაგიეროდ, ოქუმის, ცოტა არ იყოს, მდორე ცხოვრებაში შეიჭრებოდა სასიამოვნო და სანუგეშო სიახლედ წიგნსაცავის დაარსება ყველაზე გამოჩინებულ ადგილას.

თედო რომ მოინახულებდა, ჯერ ერთი თვის გახსნილიც არ იყო და უმეტესობამ მოსახლეობისა ჯერ კარგადაც არ იცოდა, რა იყო წიგნსაცავი, ან რა დანიშნულება ჰქონდა. ივანე გეგია თავისი საფასით რომ გამართავდა აქაურობას, მის დასახმარებლად „ივერია“ გამოიდებდა თავს და ზნეობრივ და მატერიალურ შემწეობას აღმოუჩენდნენ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქიდან. და თედოს ფრიად სასიამოვნოდ დაურჩებოდა ერთობლივი შეგნება ამ დიადი საქმის მნიშვნელობისა და ის სიყვარული, რომელიც დამაარსებლის სახელზე გამოგზავნილ ბარათებში იგრძნობოდა ავქსონთაგან.

— ჯერხანად მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ წიგნსაცავებს უნდა მივაქციოთ, ამიტომ რომ ქართული სკოლები არა

გვაქვს ამ მხარეში, სკოლებიც ცოტაა და, სადაც კი არის, შიგ ქართულის ხსენება არ არის. მარტო წიგნები თუ არ დაგვაviწყებს ჩვენს ენას, ჩვენს თავს, ჩვენს წარსულსა; მარტო წიგნების შემწეობით თუ დავიწყებთ ზრუნვას ჩვენი აწმყოს და მომავლის კეთილ-მდგომარეობისათვის.

მთაში მწყემსებს რომ ესტუმრებოდა, უპირველესად ამას ჰკითხავდნენ: ჩინოვნიკი ხომ არა ბრძანდებითო? იქნებ „პისერი"? ანდა გამოქცეული? თუკი ასე იყო, მაშ ვიდრე იქ იმყოფებოდა, თავზე ერთი ღერი თმაც არ მოაკლდებოდა, რადგან მწყემსებს თავი მოჰქონდათ გამოქცეულთა და გაჭირვებულთა მფარველობით. უმალ გაწყდებოდნენ, ვიდრე მათი კარვის სტუმარს ცუდი რამ შეემთხვეოდა.

როგორ იქნებოდა ან ეს ხატოვანი გამოთქმა — **კარვის სტუმარი** — საგანგებოდ არ აღენიშნა და განმარტებაც არ დაერთო: თუ ერთი ღამე გაათიეთ მწყემსთან, მერე მის მოკეთედ ითვლებით და თქვენი გულისათვის, საჭიროებისას, თავს დასდებსო.

როდესაც შეიტყობდნენ, გაზეთის მკეთებელი ყოფილაო, მაშინვე მეფე-იმპერატორთან დააბარებდნენ თხოვნას, ეგებ შეღავათი რამ გვიწყალობოს, ბევრი გადასახადი გვაწევსო.

რას წარმოიდგენდნენ, სულ მალე სწორედ მეფე-იმპერატორთან რომ უნდა გაემართა პოლიტიკური მუშაირა ამ ტანმორჩილ, მორიდებულ კაცს, რომლის არსებაშიც თავზე ხელაღებული სული ბობოქრობდა.

მწყემსები ყველაზე დიდ მფარველად მთავარანგელოზ მიქელ-გაბრიელს აღიარებდნენ, პატრონს მთისას, ვისაც მორჩილებდნენ ცის მნათობნი. უიმისოდ ვერც მზე ააბრჭყვიალებდა ათასფრად დილის ბალახზე დამსხდარ ნამის მარგალიტებს, და ვერც ღამის გუშაგი მთვარე ამოვიდოდა და ვერც საოცნებოდ დაასურათხატებდა ათასი წლობით ნაგებ და მედიდურად წამოზიდულ ბუმბერაზ მთათა მწვერვალებსა და კალთებს, და მის ნებაზევე ეკიდა ელვა-ქუხილიც და კოკისპირული წვიმაც, ხანდახან ისე მომსკდარი, გეგონებოდა, მთას მთლად ჩამორეცხავს კაციან-საქონლიანადო.

ამ ყოველივეს გათვალისწინება უკვე ადვილად აგახსნევინებდა იმ მოწიწებას, იმ კრძალვას, უდიდეს სასოებასთან შეერთებულს, აქაური მწყემსები მიქელგაბრიელისადმი რომ გრძნობდნენ, და იმ ზრუნვასაც მის მოსამადლიერებლად და მათ თავზე გადმოვლინებული რისხვა-წყრომის ასაცილებლად.

რამდენჯერ შესწრებოდა თედო, წვიმისას მწყემსები დიდ ცეცხლს რომ დაანთებდნენ და **ერგეაშვას** უმღეროდნენ მიქელგაბრიელს: **„ერგე“** აფხაზურად ხომ მიქელგაბრიელს ნიშნავდა და **„აშვა“** — სიმღერას.

და თედო სახოკია კიდეც მოჰყვებოდა ერთ მომხიბლავ თქმულებას ამ დიდ მფარველზე, მწყემსური წარმოსახვა ხორციელს რომ ქმნიდა და ისე დაიახლოებდა, როგორც კარგ მეგობარს; და ამ თქმულების ჩაკითხვა ერთხელ კიდევ დაგარწმუნებს, თუ რატომ შეიძლება დაწყებულიყო კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ მაინცდამაინც ამ სიმღერითა და მისი იმგვარი შესხმით, ამ რომანის დიდებული მხატვრული სამყაროს კარის შემხსნელი რომ უნდა ყოფილიყო; ის ყველაზე მარჯვედ მიგნებული კამერტონიც და იდუმალი მელოდიაც, რომელსაც თან უნდა მოეყოლებინა ეპოქის ეს გულის-შემძვრელი დოკუმენტიც და ქართული ბელეტრისტული აზროვნების შედევრიც.

ერგეაშვა ეპყრა ხელთ კონსტანტინესაც, მის სიღრმეს ჩასდევდა, მის ნიუანსებს ითავისებდა და თვითონაც გაიკვლევდა გზას და მკითხველსაც სულმოუთქმელად ატარებდა მხატვრულ წარმოსახვათა ათასფერ ხვეულებში.

მიქელგაბრიელის შემდეგ კი აქაური მწყემსი დიდი სასოებით ეპყრობოდა მთას და მისი თაყვანისცემა და შიში კულტადაც გადაქცეოდა და ლაპარაკისას ხშირად ახსენებდა „მთის მადლს“. მათი აზრით, მთას შიშველ ტანს ვერ აჩვენებდა კაცი — ეწყინება, გაგულისებული კი წვიმასა და ავდარს მოგვივლენსო. თედომ არ იცოდა მათი ეს რწმენა და ამიტომაც არ მოერიდებოდა აქაურ წყალში გადაშვებას, მასპინძლები კი ხათრით ვერას ეუბნებოდნენ, ერთხელ კი მაინც წამოსცდებოდათ: ხშირი ნისლი რომ დაგვიდგა, ეს იმის ბრალია, რომ ტანს იბან და შიშველ ტანს მთას უჩვენებო.

მთაზე ყოფნისას მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხსაც რომ ერიდებოდნენ? მთას ეწყინებაო, და ცდილობდნენ, საალერსო სიტყვები გაეგონებინათ მისთვის, სიმღერებით დაეტკბოთ მისი ყურთასმენა.

ის რაღა იყო, ქვაბს რომ გადმოაპირქვავებდნენ, ზემოდან აუცილებლად ბალახი რომ უნდა დაეფარებინათ: ცამ შავი და მურიანი ძირი რომ დაინახოს ქვაბისა, განგვირისხდება და წვიმით სულს ამოგვხდისო.

მზის დაფიცებას რომ გაიგონებდა: „ბჟაშ მარდი მა“ (მზის მადლი მე), ანდა „უშულადუ ბჟაშ მარდი მა“ (დაუღალავი მზის მადლი მე) — და იკითხავდა: მზეს რადღა ჰფიცულობთო? — მიუგებდნენ: ისიც ღმერთიაო, — თედო კი თავისთვის დაიბეჯითებდა: ესეც ნაშთი ძველი ასტროლატრიისაო...

შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი კი, სადაც ოდესღაც ბერძენთა და რომაელთა ახალშენები ჰყვაოდა, კვლავ იბრუნებდა წარსულ სახელსა და დიდებას, ოღონდ ამჯერად რუსები უნდა მოსწყდომოდნენ და სულ უფრო ბევრი აღმოჩენილიყო აქ მიწების შეძენისა და დასახლკარების მსურველი. ჯერ სოხუმში მოიკიდებდნენ ფეხს, გავიდოდა ხანი და ფასი დაედებოდა სოხუმის გარეთ მდებარე ადგილებსაც და მყიდველები გამოუჩნდებოდნენ მთელს სანაპიროს სოხუმიდან ნოვოროსიისკამდე, გზატკეცილის გაყვანაც რომ დიდად წაადგებოდათ და ის, რაც ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ გაუვალ ტყეს მიჰქონდა, აგარაკებად გადაიქცეოდა. ამ მისწრაფებას კი სულს უდგამდა მოლოდინი რკინიგზისა, რომელსაც ძალიან უნდა გაეადვილებინა მიმოსვლა. აფხაზეთის მხარეს ახალი ხანა რომ დაუდგებოდა, ძირიანად შეეცვლებოდა ფერი მის პირველყოფილ ცხოვრებას. ვისაც აქეთ ოცი წლის წინათ ემოგზაურა, ვერც კი დაიჯერებდა, ეს მიდამო მოკლე ხანში ასე თუ გამოიცვლებოდა და მოსახლეობაც ეთნიკურად საკმაოდ აჭრელდებოდა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში სოხუმიდან გაგრისაკენ ეტლით რომ გავიდოდნენ თედო და ფრანგი მოგზაური და მკვლევარი ბარონ დე-ბაი, მიუხედავად შემოდგომისა, მცენარეულობას მწვავე ხასხასა ფერი ჯერაც შეუცვლელი ექნებოდა და მზის

სხივებიც ისე გაათბობდა ქვეყანას, ესენი ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ: ზაფხული მოგვდგომია კარს თუ როგორ არისო?!.

თვალსაჩინო სწავლულს საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროსაგან დაევალებოდა საქართველოში არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებანი, და იგი მთელი არსებით რომ გადაეშვებოდა ამ სივრცეში, ისე შეეთვისებოდა და შეიტკბობდა ქართულ სამყაროს, არა მარტო მოგზაურის მზერას იკმარებდა, შეძლებდა შიგნიდანაც შეეგრძნო და განეცადა ჩვენი ეროვნული თავისებურებანი და კიდეც შემატებოდა საქართველოს თაყვანის-მცემელთა გუნდს. საუკუნის მიწურულს ზედიზედ გამოიცემოდა პარიზში მისი სამი წიგნი: „საქართველო", „კავკასიის სამხრეთით" და „მშვენიერება — ქართული ლეგენდა" — და ლექციასაც წაიკითხავდა 1902 წლის 24 აპრილს პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების დარბაზში, და შინაარსობრივად მდიდარი გატაცებული მსჯელობისას ამასაც საგანგებოდ რომ აღნიშნავდა: მეგრელები, სვანები, კახელები, გურულები და სხვანი ერთი ერის შემადგენელი ნაწილებიაო, — იქ დამსწრე თედო სახოკია გაიხარებდა და ნიშნსაც მოუგებდა იმ ცრუპუბლიცისტებსა და ცრუეთნოგრაფებს, რომელნიც განგებ თუ უმეცრებით ცდილობდნენ, საცოდავ საქართველოში რამდენიმე ერის წარმომადგენელი დაესახლებინათ და ჩვენი ერის რიცხვი დაემცირებინათ.

პარიზში წაკითხვამდე ფრანგი სწავლული ამ ლექციით წარდგებოდა ქალაქ რეიმსის მსმენელთა წინაშე და იმ რვა კაცს შორის, დედაქალაქიდან რომ გაჰყვებოდა, რა გასაკვირია, თედოც რომ ერია, ვინც იმ ორი დღის განმავლობაში აკადემიის თავმჯდომარისა და წევრების სტუმარი შეიქნებოდა ამ შამპანურის სამშობლოში და არაერთ გულმხურვალე სადღეგრძელოსაც მოისმენდა საქართველოს მიმართ და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, ყველა ერთმანეთს ეჯიბრება ჩვენს პატივისცემაშიო; და სხვა ქართველებივით რა დაავიწყებდა მასპინძელთა დაუმცხრალ ცნობისწადილსაც და რეიმსის ტაძრით, მუზეუმით, მდიდარი წიგნსაცავით და შამპანურის სარდაფებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს.

საქართველოს შესახებ საჯარო ლაპარაკს პირველად რომ მოისმენდნენ რეიმსელები, როგორ გგონიათ, ყველაზე ძალიან რა აღაფრთოვანებს თედო სახოკიას? ის, რომ განსაკუთრებით აკაკი წერეთლის სახელი დარჩებოდათ დაუვიწყარი:

— მისმა პოეზიამ და სახემ მოხიბლა იქაურნი, — ამას გადაჭარბებულის მამულის მოყვარეობით არ ვამბობთ. თვითონ აღარ გვიმხელს, თორემ რა მიხვედრა უნდა, რომ ამ სახებისა და პოეზიის გამოკვეთაში თედოც ენერგიულად მიიღებდა მონაწილეობას და საამაყოდაც დაურჩებოდა, რომ ამ ძვირფას პორტრეტს ასე კანთიელად აღბეჭდავდა რეიმსელთა ცნობიერებაში.

ოდნავი, სულ ოდნავი წყენაც რომ ჩარჩენოდა გულში აკაკის ნაკვესების გამოცემის ირგვლივ ატეხილი უსიამოვნო აჟიოტაჟის გამო, განა ეს აღფრთოვანებული სტრიქონი ჩაიწერებოდა პარიზიდან გამოგზავნილ სტატიაში, რომლის მსგავსიც კიდევ ორი დაეწერა „ცნობის ფურცლისათვის" — ეს, რაც ბატონ დებაის ნაწერებსა და საჯარო გამოსვლებს ეხებოდა, თორემ ამ გაზეთისათვის მთელი ციკლი შეიქმნებოდა მისი ფელეტონებისა, ივან ვაზოვის, ბულგარელი რომანისტის, საქართველოზე მიმოხილვით სტატიასაც რომ გააცნობდა ჩვენს მკითხველს და იტალიელ ავტორთა (პისარი იქნებოდა თუ ანჯელო დე-გუბრნატი) ნაწერებსაც საქართველოსა და ქართველების შესახებ, შვეიცარიის სოფელ ლატერბახის ეთნოგრაფიულ პორტრეტსაც, შარლ ლეტურნოს გარდაცვალებასაც გამოეხმაურებოდა, თვალსაჩინო ანთროპოლოგისა, ფონოგრაფის დანიშნულებასა და ენთოგრაფიაში მის გამოყენებასაც საგანგებოდ წარმოაჩენდა, ამერიკაში გურულ ცხენოსანთა გამგზავრებასაც არ დატოვებდა უყურადღებოდ.

თუმც მანამდე ჯერ ადრეა და ეროვნული და იატაკქვეშა მოღვაწეობისათვის ჯერ საზღვარგარეთ გასაქცევად არ გახდომია საქმე, გზატკეცილს გაჰყურებს ბარონ დე-ბაისთან ერთად, ზღვის პირას რომ მიიკლაკნება, და აჰა, სოხუმიდან მეოთხე კილომეტრზე კიდეც უნდა დასრულდეს ქალაქის გარეუბანი, ციებ-ცხელებიანი, გუბეებიანი...

სწორედ ამ ჭაობებზე, ხშირ ტყეში მეგრელებს თავიანთი საცოდავი ფაცხები რომ წამოედგათ?!. მართლაც გაგიკვირდებოდა და ვერ მიხვდებოდი, რას გაებედინებინა ამ საცოდავთათვის ციებ-ცხელების ბუდეში დასახლკარება, მათ ჩამომხმარ-გაყვითლებულ სახეებზე მთელი ის ტანჯვა რომ ამოიკითხებოდა, ის წვალება, რაც აქამდე უნდა გამოევლოთ. განა რა დღეში უნდა ყოფილიყო ჩავარდნილი ეს 25 კომლი მეგრელი, სენაკის მაზრისათვის თავი რომ დაენებებინა და სოხუმის ოლქში გადმოხვეწილიყო ბედის საძიებლად. თურმე რა შეიძლება მოჰყოლოდა უმიწობას, ძაღლუმადურ ყოფას, უგზოუკვლოდ სიარულსაც რომ აღარ მოერიდებოდი და ურგებსა და ჭაობიან ადგილსაც იყაბულებდი ფეხის მოსაკიდებლად.

მართალია, იმპერატორს ტელეგრამას მისწერდნენ: ძალზე მძიმე დღეში ვართ და ეგებ მოწყალება მოიღოთო, — მაგრამ თედოს ისე შესჩიოდნენ, გული მოუკვდებოდა, დღეს რომ თავიანთ ღარიბულ ქოხში სძინავთ, არ იციან, ხვალ სად მოუხდებათ უსახლკაროდ ყოფნა, უმწეოდ ხეტიალი და ერთი მტკაველი მიწის ძებნაო... რუსთა ახალშენს რომ მიადგებოდნენ, პეტროპავლოვსკად წოდებულს, აღმოჩნდებოდა, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც მხარში ედგა სოხუმში დაარსებული კომიტეტი, ეს ადგილი საუკეთესოდ ეცნო გლეხთათვის: ნიადაგი ნაყოფიერია და ვაკე, სხვა რაღა უნდა რუსის მუჟიკსო. და არავის მოაგონდებოდა, რომ ამ ნოყიერი ადგილების გვერდით ჭაობებიც ბევრი იყო; არავის მოაგონდებოდა, რომ მალარია აქ დასაბამითვე ბუდობდა, არავის მოაგონდებოდა, რომ ამ მალარიის შიშით აქ აფხაზებიც ერიდებოდნენ დასახლებას. ვილაცას ეხსენებინა მალარია, განა არა, მაგრამ კომიტეტის ერთ წევრს, პროფესიით... ექიმს, ისიც ეთქვა: თუ ახალმოსულებს ციება გაწყვეტს, მათ ალაგას სხვები მოვლენო.

ისეთი „უმაღლესი მიზანი“ ჰქონდათ, თავიანთი ხალხის ჟუჟვასაც აღარ დაგიდევდნენ, და ვის-ვის, და თედო სახოკიას იოლად შეეძლო მათი ავი განზრახვის ამოცნობა:

— ხელი უნდა შევუშალოთ მეგრელთა ელემენტის გამრავლებას, თუნდაც მთელი სოფლის სიცოცხლედ დაგვიჯდეს ეს ხელის შეშლაო!..

უხვი წვიმა და ნამი საუკეთესო პირობები გახლდათ ციების არსებობისათვის და ამიტომაც იყო, რომ ზაფხულსა და შემოდგომაზე აქაურები მოცელილ თივასავით იწვებოდნენ. ზამთრობით კი ოდნავ იმიტომ ცხრებოდა ეს სნეულება, რომ ამ მართლაც კურთხეულ ქვეყანაში ზამთარმა სიცივე არ იცოდა, არც თოვლსა დებდა და არც ყინავდა.

და კიდევ ის, რომ ციებასა და ქონებრივ სიჩიავეს ზედ ერთოდა რუს მოახალშენეთა სიყვარული არყისა, სმისას არავითარი ზომა რომ არ იცოდნენ, და ნიშანდობლივია, რომ ნახევარ თვეში მედუქნეს შეეძლო 16 სათლი არაყი გაეყიდა.

ციება მოახალშენეთა ერთ მოდგმას შეინირავდა, მაგრამ, როგორც ჩაფიქრებული იყო, მათ ადგილას ახლები მოვიდოდნენ და დასახლდებოდნენ.

თითქოს მხოლოდ ეთნოგრაფი აღწერს გარემოს, მაგრამ ამ მონაკვეთშიც რარიგ საგრძნობია მძაფრი პოლიტიკური პათოსი, მით უმეტეს, რომ ეს სიმძაფრე მომდინარეობს არა მარტოდენ პუბლიცისტის კალმიდან, არამედ — პოლიტიკური იატაკქვეშელისა.

ისე, ყველას პირზე **გაგრა** რომ ეკერა?

თედოს არ გაუკვირდებოდა, რადგანაც მას იმთავითვე მიიჩნევდა ერთ საუკეთესო კუთხედ შავი ზღვის პირისა. აფხაზეთის ქება სოხუმით იწყებოდა და, როდესაც ეს ქალაქი ასპარეზზე გამოვიდოდა, აღარც ეგონებოდათ, თუ მისი მსგავსი კუთხე მეორეც გამოჩნდებოდა ამ მხარეში, მაგრამ აგერ დგებოდა გაგრის დრო, სულ რაღაც სამი წლის წინათ ერთი მივარდნილი და უდაბური ადგილისა, მისი მიგდებულობისა და უპატრონობის მიზეზი კი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ, ერთი მხრივ, ჰშორავდა სოჭს, მეორე მხრივ კი — გუდაუთას. ხოლო მეორე მიზეზი რიგიანი ნავსადგურის უქონლობა იყო, რათა გემებს უშიშრად შესძლებოდათ გაჩერება ღელვისას.

ომიანობისას კი ენიჭებოდა გაგრას სტრატეგიული მნიშვნელობა მარჯვე მდებარეობის წყალობით,კავკასიის ქედის თანატოლად მომავალი მთა აფხაზეთისა აქ ზღვაში რომ იჭრებოდა და ჰქმნიდა ბუნებრივ საზღვარს აფხაზეთსა და ჩერქეზეთს

შორის — მიუდგომელსა და ძნელად გადასალახს. ამიტომაც შეძლებდა აქ ჩასაფრებული ოცი თუ ათი კაციც რიცხვმრავალი მტრისათვის კუდით ქვა ესროლინებინათ. ამ სტრატეგიული დანიშნულების გამო ააშენებდა რუსის მთავრობა აქ ციხეს და შიგ გარნიზონებს ჩააყენებდა 60-იან წლებში, ომი როდესაც ჰქონდა ჩერქეზებთან.

და აი, საუკუნის მიწურულს გაგრა თავს რომ წამოყოფდა, არა როგორც ციხე-სიმაგრე, არამედ — კლიმატური სადგური, თვალის სასეირო და დროის გასატარებელი, რომელიც უთუოდ დიდ მეტოქეობას გაუწევდა დასავლეთ ევროპის კურორტებს. რუსეთში დიდი ხანია ტრიალებდა აზრი, შავი ზღვის პირას მშვენიერი ადგილები, ჰავით შემკულები, გამოვიყენოთ და ჩვენი ფული, ევროპის კურორტებში რომ იხარჯება, იმპერიაშივე დარჩესო. ამ აზრის ხორცშესხმას პრინცი ოლდენბურგელი რომ იდებდა თავს და კომისიასაც შეადგენდა, ბევრი კვლევისა და ძიების შემდეგ არჩევანს... გაგრაზე შეაჩერებდა.

— მართლაცდა, ამაზე უკეთეს ადგილს ვერც აირჩევდნენ აქეთკენ... გაგრა — ეს ერთბაშად შექმნილი კურორტი და, თუ გნებავთ, ქალაქი, მეტად საინტერესო და საყურადღებოა. მას უთუოდ დიდი მომავალიცა აქვს...

და თედო მკითხველს გამოუტყდებოდა, ცოტა არ იყოს, დაღონებული დავშორდით გაგრას, გაცხოველებულს — გაგრას, რომელმაც ახალი კულტურული ფერი უნდა დასდოს ჩვენი სამშობლოს ერთ კუთხესო.

განსაკუთრებით მაინც იმატებდა ნაღველი, როდესაც გზაზე დამდგართ თვალწინ წარმოუდგებოდათ მთელი კონტრასტი გამოღვიძებული გაგრისა და აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს შორის აღმართული, კონტრასტი — სიბეჩავის, უმეცრების, უპატრონობისა და უმწეობის აღმნიშვნელი...

ეს — განსაკუთრებით, მაგრამ მთავარი მიზეზი ნაღველისა მაინც სხვა უნდა იყოს და სტრიქონებს შორის აკი მკაფიოდაც გამოსჭვივის: და ეს ის დრამატიზმია, ილია ჭავჭავაძის გარეგნულად პარადოქსულ სტრიქონებში რომ ჩაწურულა: მაგრამ რაოდენც მშვენიერი ხარ, მით უფრო მეტად მიკვდება გულიო!..

მაგრამ რაოდენც მშვენიერი ხარ...
რაოდენც მშვენიერი...
რაოდენც...

პარადოქსში რამხელა ტრაგიზმი ჩაბუდებულიყო — დიდებულება და სილამაზე შენი ქვეყნისა, უზომო სიხარულს რომ გგვრიდა, მაგრამ იმავდროულად წუხილითაც გავსებდა, სწორედ ეს სილამაზე რომ იწვევდა ათასი ჯურის გადამთიელთაგან მისი წაგლეჯის, მითვისების, საკუთარი ისტორიისა და ყოფითი სინამდვილის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის დაუმცხრალ სურვილს, რასაც დასასრული არა და არ უჩანდა და ბედს მინდობილს უნდა გესულდგმულა სიცოცხლისა და დაღუპვის ზღვარზე — უნიჩბო ნავად აბობოქრებულ ზღვაში.

ამ ნაღველს უნდა შეეკრა თედო სახოკიას „მოგზაურობანი“, რომელსაც, სამწუხაროდ, აღარ დასცალდებოდა შევსება — თავდაპირველი განზრახვის კვალობაზე ერთიანად შემოწერა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულისა, და თუ რაჭის აღწერილობა სავალალო შემთხვევის გამოისობით დაკარგულიყო და ავტორს ვეღარც აღდგენა მოეხერხებინა და აღარც სურვილი ჰქონდა, ხელახლა მოევლო ეს კუთხე და ახალი სურათი შეექმნა მისი ეთნოგრაფიულ-პოლიტიკური რეალობისა, ციკლის დასრულება თავისთავად აიძულებდა, რომ ეს აუცილებელი რგოლიც არ გამოტოვებულიყო.

და თუ დაკარგული ტექსტის აღდგენაც და ხელახლა დაწერაც ყოველთვის ძალზე ძნელი ყოფილა, იშვიათ შემთხვევათა გარდა — სულაც შეუძლებელი, ამჯერად უსათუოდ ამოისვეტებოდა თვალწინ ძვირფასი ლანდი ილია ჭავჭავაძისა, ვისაც რარიგ დაენანებოდა რაჭაზე ეთნოგრაფიული ნარკვევის — უფრო სწორად, მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობის — გაუჩინარება და სთხოვდა: ეგებ როგორმე მოიკრიბო ძალა ბედისწერასთან შესარკინებლად და გამქრალის ამოსაგებადო.

ეს თხოვნა აგულიანებდა, თუმცა ცხოვრების პირობების გამო ყოველთვის გადადებას ამჯობინებდა, მაგრამ, აი, ციკლის მოთავების აუცილებლობა სხვა გზას აღარ დაუტოვებდა და რაჭას ამ ჟინით შეუყვებოდა კიდევ ერთხელ, გარდასული სუ-

რათები და განწყობილებანიც რომ წამოუტივტივდებოდა, თითქოს მინავლებული, მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ძალუმად უღვიოდა გულში...

ახლა ოცნებისთვისღა უნდა მიენდო ეს სწრაფვა იმ იმედით, დაე ამჯერად იყოს ეს ერთი რკალი, ისე როგორ იქნება, ოდესმე მისი გაგრძელება ვერ შევძლოო. და ეს მაშინ, როდესაც მისი ახალგაზრდობისდროინდელი ჩანაწერები წიგნად შეკვრას ხანდაზმულობისასღა ელირსებოდა, რვა ათეულს რომ გადააბიჯებდა, თუმც ისეთი სიმხნითა და ენერგიულობა-მოუსვენრობით, ჭაბუკებს რომ შეეხარბებოდათ. და კიდეც ეხარბებოდათ, რა გგონიათ...

მაგრამ რაოდენც მშვენიერი ხარო...

ხოლო ცალკეული ეპიზოდები „მოგზაურობათა" თხრობაში ნოველებივითაც რომ იელვებს ხოლმე, განა ასეთი ძვირფასი თვალი არ არის თუნდაც გაცნობა თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი თეთრწვერა მოხუცისა, მკერდს სხვადასხვა ჯვარი რომ უფარავდა: წმინდა გიორგის ჯვარი, ვერცხლის მედლები, ზოგი „მამაცობისათვის" — იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დროს მიღებული, ზოგიც „ერთგულებისათვის" და, ვინ იცის, კიდევ რისთვის. ვერ მოითმენდა დიდხანს ჩუმად ჯდომას ბერიკაცი და პირველად ის დაარღვევდა დუმილს, რაკიღა გზაში გაცნობა თანამგზავრისა იმთავითვე ადვილი ყოფილა, საერთო ინტერესი ხომ ბევრი ჩნდება მოგზაურთა შორის.

თვე-ნახევარი ბათუმის საავადმყოფოში წოლილიყო, სადაც მუქთად არჩენდნენ, რადგანაც საჭმელ-სასმელი სახელმწიფო ეძლეოდა, მაგრამ ამას თავისი მშობლიური სოფელი დვაბზუ ენატრებოდა, კაკლის ძირას მწვანეზე გაშლილი სუფრა... ენანებოდა ის დრო, როდესაც მკლავში ღონე ერჩოდა და მტრის მოკვლა შეეძლო, გარშემო ყველა რომ ეფერებოდა, „მალადეც", დავითო, და უფროსი საკუთარი ხელით ჩამოჰკიდებდა ხოლმე ჯვარს თუ მედალს. ახლა მოხუცებული აღარავის სჭირდებოდა და:

— გევიგე ჩემი სიაბდლე, მარა რაღა დროს!

ვეღარ გაუძლებდა იქაურობას, ბათუმს ქვა და გუნდას მიაყრიდა და გამოიქცეოდა, რათა, თუ სიკვდილი ეწერა, ისევ თავის

დვაბზუში აღსრულებულიყო — მეზობლების დასატირებლად. ახლა კი თანამგზავრებს შესჩიოდა: მირჩევნია აფერი მებადოს — არც სახლი, არც კარი, არც მამული, ოღონდ აფერი მტკიოდეს. ყოლიფერს იშოვის, ისესხებს კაცი, სიმთელეს კი — ვერაო.

ჯერაც 15 წლისა იქნებოდა, უწვერულვაშო ბაღანა, სხვები მასაც რომ წაიყვანდნენ საომრად: ჩერქეზები უნდა გავწყვიტოთო!.. და თხუთმეტი წლისას უკვე კაცისკვლას დააჩვევდნენ.

— ყანას, სახლ-კარს, სოფლის მყუდრო ცხოვრებას შეჩვეულს, მიძნელდებოდა ომში წასვლა, არ მივდიოდი. მარა ხმა გავარდა, ვისაც ბიჭობის გამოჩენა, ვისაც ჯვრის მიღება უნდა, ჩერქეზეთში წავიდეთო. ქე ავყევი სხვის ფეხის ხმას, დიდებს მეც წავხედე და ამ წახედულობამ ქეც წამწყმიდა.

რა წვალებასა და ჯაბირს აღარ გამოცდიდა თანამებრძოლებთან ერთად, ბევრჯერ მოენატრებოდათ გამხმარი ჭადის ყუა, ბევრჯერ წყურვილითაც გაჟუჟულან, წვიმაც ზედ გადასდიოდათ და საცოდავად წუწავდათ, სიცივე ლურსმანივით ატანდათ ტანში, მაგრამ ის აზრი, რომ წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები უნდა გამხდარიყვნენ, ამხნევებდათ და ავიწყებდათ ყოველგვარ გაჭირვებას.

პირველად ძალიან არ უნდოდა კაცისკვლა, მაგრამ, როდესაც ერთის თავს ტანს მოაშორებდა და სისხლით, კაცის სისხლით ხელს შეიღებავდა:

— მერე წევიდა და წევიდა, სუმთელი!.. რა ადამიანი მომეკლა და რა წიწილი, ჩემთვის სულ ერთი იყო. როგორც წიწილის მოკვლის დროს არ ამიკანკალდებოდა ხელი, ისე ადამიანის მოკვლის დროსაც. საქმე დაწყება იყო, შეჩვევა, პირველ შიშისგან თავის განთავისუფლება.

უფროსი თავისი ხელით რომ დაჰკიდებდა გულზე ჯვარს, ეს ერთ კვირას იმისი ცქერის მეტს არაფერს გააკეთებდა, ატრიალებდა ათასფრად ხელში, ხან რას უსინჯავდა და ხანაც რას... მის სოფელში კიდევ ერთს რომ ექნებოდა ამისთანა ჯვარი, ამას შეშურდებოდა, არ ემეტებოდა სხვისათვის. ჯვრიან კაცს შორიდანვე ამჩნევდა ხოლმე და სხვადასხვა სოფელში ხან იმის გულისთვისაც წასულა, რათა დაეთვალა, ვის და სად ეშოვნა ჯვარი...

— ეჰ, რომელი ერთი სიაბდლე გიამბოთ!..

შემდგომ, როგორც კი ხმა გავარდებოდა, „ვაინოობაო“, ყველაზე წინ ეს მიდიოდა. შეკაზმულ ცხენს გამოიყვანდა, შეათამაშებდა კოინდრიან ეზოში, ერთს ალერსიანად მიმოავლებდა თვალს იქაურობას, იქნება უკანასკნელად გხედავთო, დაემშვიდობებოდა ოჯახის წევრებს, ლაფშას მათრახს შემოჰკრავდა და... შორიდან მის ნალების ხმაღა მოისმოდა.

— აჭარლებისა და ქობულეთლების ხოცვა ბარემ არ მინდოდა, ვიცოდი, ჩვენიანები იყვნენ, მარა რა მექნა, ისინი თათრებს მოწინავე რაზმებში ჰყავდათ. გვესროდნენ და ჩვენც ვესროდით; სული ტკბილია: რო არ გვესროლა, დაგვხოცავდნენ.

ჯვარი და მედალი არ მოაკლდებოდა, ჩინსაც ეწეოდა და პენსიაც დაენიშნებოდა, ავადმყოფობისას „კაზიონად“ არჩენდნენ და გროშ-კაპიკის გადახდა არ უწევდა, მაგრამ:

— რეიზა მინდა ან ერთი ან მეორე! სულ იმას ვიძახი: რა ყაზილარი ვყოფილვარ! რა დამიშავეს სხვებმა, რო ვხოცავდი, ან მე ჩემს სიცოცხლეს ბეწვზედ რად ვკიდებდი?! მარა სად იყო, ბატონო, ჭკუა! სხვებიც მე მგვანდნენ, ჩემსავით ფიქრავდნენ, ჯვარისგამეტი აფერი ახსოვდათ, ერთი ჯვარიზა ხუთ კაცს წასჭრიდნენ კისერს. დრო იყო ამისთანა. თუ არ ომით, არ გვეგონა, თავის სახელება თუ შეიძლებოდა. შინ დარჩომა ქალთა წესიაო, ვამბობდით.

თუ არ ომითო...

მაგრამ ახალ-ახალი ჯვრის მოპოვების ჟინით აცახცახებულნი არად აგდებდნენ, თუ ვისთვის ღვრიდნენ სისხლს — საკუთარსა თუ სხვისას, რას ეწირებოდნენ, ვისთვის რა სარგებელი თუ სიკეთე მოჰქონდათ.

სამშობლოსათვის?

ვაი, რომ არა, ის კი არა და, სამშობლოს მტრის გასაძლიერებლად და კიდევ უფრო მტკიცედ დასამკვიდრებლად შენს მამულში, რომელიც შენს საკუთრებად აღარც გეგულებოდა და აღარც გენაღვლებოდა, და ამიტომაცაა, რომ კავკასიური მთლიანობის აუცილებლობაც არ გაგეგებოდა — და ამიტომაც აღარ ინდობდი აღარც თვისტომთ და აღარც ჩრდილოკავკასი-

ელ ძმებს, თორემ ან აჭარლებსა და ქობულეთელებს რას ერჩოდი, ანდა ჩერქეზებს... დროს რომ დააბრალებდა, ნუგეშისცემას ცდილობდა საკუთარი თავისათვის, მაგრამ ხვდებოდა, რომ ვერას მიაღწევდა ცრუნუგეშისცემით და ახლა მაინც უნდა გაეცნობიერებინა ფუჭად განვლილი ცხოვრების სინანული, ყალბი დიდების დევნის ამაოება, მტრის სამსახურში ჩამდგარი კაცის გაუსაძლისი ტრაგედია, რაკიღა გონებაც შერჩენოდა და მორალის ის ნამცეცებიც, ზმანებათაგან გამოფხიზლებულისათვის თანდათან რომ გამთლიანდებოდა და მონანიების წყურვილად გადაიქცეოდა.

ჯერაც ვერ შელევია ჯვრებითა და მედლებით მოკირწყლულ მკერდს, ჯერაც ვერ წარმოუდგენია უიმათოდ, მაგრამ თავმომწონეობაში უკვე მძაფრად შეჭრილა სინანულის ის ნოტები, სულიერი ტრაგედიის წინაშე რომ უნდა დააყენოს.

ეს აღსარება შემთხვევით შეხვედრილ თანამგზავრთა წინაშე სულიერი გაუსაძლისობითაა გამოწვეული, იმის სურვილით, რომ ამ უკუღმართმა დრომ ჩაიარა და ეგებ ახალი თაობა მაინც მოესწროს უკეთეს ჟამს — ჟამს მშვიდობითა და ადამიანურად ცხოვრებისა.

რას წარმოიდგენდა, კიდევ უარესი დრო თუ უნდა დამდგარიყო და სწორედ მის კარიბჭესთან იდგნენ გაურკვევლობის მოლოდინით შეპყრობილნი, და ისეთი წლებიც შორს აღარ იყო, ეპოქებს რომ დაიტევდა თავისი მღელვარებით, დრამატიზმით, მოულოდნელობებით...

ეს ნოველური ჩანართი კი აქ იკვროდა, ამაოების მწარე შეგრძნება აგვირგვინებდა, ჯვარ-მედლებში გამოჭედილი ამაოებისა.

ხასიათთა მრავალფეროვან გალერეაში, ანუ, როგორც თედო სახოკია ამჯობინებდა თქმას: ამ სხვადასხვა ჯურის წარმომადგენელთა კრებულში — გამოირჩეოდა ერთი ფრიად საინტერესო ტიპი, ძველი დროების შთამონაკვეთი, ძველი ცხოვრების ნაშთი, ვისაც ზრუნვა არსობის პურისათვის ზედმეტ ბარგად მიაჩნდა და წინ წარემძღვარებინა შეგონება ანდაზისა: სადაც ერდო მაღალიო, მეც იმისი მაყარიო. ანდაზა ირონიული

სულით განმსჭვალულიყო? ამას ხალას ჭეშმარიტებად მიეღო და... კიდეც მოუწყინრად მაყრობდა ერდომაღალ სახლებში.

საგულისხმოა, რომ იგი ბატონის სახლში გაზრდილიყო და თავისი ულუფაც უკლებლივ ჰქონდა. არ აკლდა ბატონის წყალობა, სილაღე, ცხენი, ტანისამოსი.

ეს პასაჟი, უსიამოვნო ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატთათვის, კიდევ უფრო მიუღებელი იქნებოდა სოციალისტური რეჟიმის პირობებში, კვლავაც ენერგიულად რომ ცდილობდნენ წარსულისათვის სახელის გატეხას, თუ რა სულის ამომხდელად იქცეოდნენ თავადაზნაურები. არადა, ისტორიული სინამდვილე სულ სხვას გვამცნობდა და აგერ თედო სახოკიას მოგზაურობის დღიურიც ამასვე ადასტურებდა — ყოველგვარ პროპაგანდისტულობას გარიდებული და დაყრდნობილი უშუალოდ თვალით ნანახსა, ანდა სანდო პირთა მიერ მონათხრობზე.

ნარკვევში — თუმც აკი მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად განვსაზღვრეთ მისი ჟანრი — თედო მოერიდებოდა იმ პიროვნების ვინაობის გამჟღავნებას, მაგრამ გიორგი ჩიტაია რომ აღარ მოეშვებოდა, მას გაუმხელდა და ისიც — რედაქტორის უფლებით — სქოლიოში აღნიშნავდა: ავტორის გადმოცემით, ეს გმირი გოჯასპირ მგელაძე ყოფილაო.

მისი ბიოგრაფია გარეგნულად თითქოს ძალიანაც წააგავდა იმ იმედგაცრუებული და მონანიე, აწ გაპენსიონერებული თანამგზავრის ბიოგრაფიას, სიცოცხლის საუკეთესო ხანას ესეც ბრძოლის ველზე რომ გაატარებდა და ახლაც ცათაფრენა შეუდგებოდა, როდესაც გაიხსენებდა ხოლმე იმ სანეტარო ხანას, ჩერქეზეთში რაც ენავარდა და წმინდა გიორგის ჯვარიც მიებნია მკერდზე. — ერთ ჩერქეზ თავადიშვილს თავი მოვჭერ წიწილივითო, — იქადნიდა, — მეორე კი ცოცხლად დავიჭირე და მივუყვანე „ატრიადის ნაჩალნიკსო".

სხვანი რომ სხვას ირწმუნებოდნენ? თითქოს თავის დღეში ოზურგეთს არ გასცილებოდეს... არა, ჩერქეზეთში კი იყო, მაგრამ ცოცხალი ჩერქეზი ისე არ დაუჭერია, როგორც მე — ლომიო... თავი მოჭრით მოაჭრა, მაგრამ ორთაბრძოლაში კი არა, უკვე მოკლულს, და თავის გამარჯვებად გაასაღაო...

ტახტის აზნაურობას იჩემებდა და, თუმც საამისოდ არავითარი საბუთი არ გააჩნდა, ძალიან ეცდებოდა მის მოსაპოვებლად, მთელ საცხოვრებელსაც დაუნანებლად გადაალევდა ამ საქმეს და... შესაფერის დოკუმენტსაც იშოვნიდა.

ენაზე თითქოს ნაღველი დაესხათ მისთვის, ამ აკეთელი ჰიდალგოსთვისო, ამ შესიტყვებით თედო დაუფარავ ირონიას რომ გამოურევდა თავისი გმირისადმი — პირში ყველას ქებას რომ ასხამდა, მაგრამ ზურგს უკან ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას აგყრიდა და არც ცინიკოსობას მოერიდებოდა, მის მიმართ გამოთქმული ყოველგვარი შენიშვნა კი ძალიან სწყინდა და, შესაძლოა, კარგა ხანს არ გაეჭაჭანებინა თქვენს სიახლოვეს. მაგრამ ტყუილად გაგეხარდებოდათ — საკმარისი იყო სტუმარი გწვეოდათ, რომ ისიც მოგევლინებოდათ დაბარებულივით და ისე მოგიჯდებოდათ გვერდით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

საკუთარ სახლში იშვიათად რომ იმყოფებოდა?

მისი ბუნება-ხასიათი და ცხოვრების სტილიც ეს გახლდათ — სადაც დაუღამდებოდა, იქ უნდა გასთენებოდა, ორ დღეს თქვენთან იქნებოდა, ორ დღეს სხვასთან და ამას დასასრული არ უჩანდა.

დავით კლდიაშვილის კირილე მიმინაშვილი წამოგაგონდება „სამანიშვილის დედინაცვლიდან" და ლეკო თათაშელი ოთარ ჩხეიძის „ბორიაყიდან", ისინიც ძველი დროების შთამონაკვეთნი, მხატვრულად აუცილებლად რომ უნდა წარმოსახულიყო და განზოგადებულიყო ეს ხასიათი, თუმც მხატვრულ-დოკუმენტურ თხრობასაც აგერ რარიგ დაშვენდებოდა!

ხომ კომიკურია ეს პერსონაჟი, თანასოფლელნი დასცინიან, სეირობენ, მაგრამ რაღაც თავისებურსაც ჰპოვებენ მასში, ამ პიროვნებაზე ლაპარაკი რომ არა და არა სწყინდებათ და თედო სახოკიასაც გააბრუებდნენ, ერთ კვირას მთელ მის თავგადასავალს რომ ასმენინებდნენ.

— რა დროს გოჯასპირია, — ივედრებოდა სტუმარი, — ბახმაროს მთები შორიდან გვესალმებიან, მზერას გვტაცებს მისი დახავერდებული ქედები, თავისკენ გვიზიდავს.

მაგრამ მასპინძლები გულში ხომ არ ჩაიტოვებდნენ სათქმელს და კვლავაც გოჯასპირს მიუბრუნდებოდნენ, ბახმარო არსად გაიქცევაო... თუმც გოჯასპირი სადღა იყო გამქცევი, კაცმა რომ თქვას, უკვე საიმედოდ შეხიზნული აკეთის ისტორიასაც და ქართველი მკითხველის ცნობიერებასაც თედო სახოკიას „მოგზაურობათა“ წყალობით. იმ მქირდავთ კი ვიღა გაიხსენებდა?!

წუთისოფელს სჩვევია ამისთანა და კიდევ უფრო მოულოდნელი და უცნაური აბრუნდებიც, თუმც თავისთავად არც მოულოდნელი უნდა იყოს და არც უცნაური გოჯასპირის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის ასე რელიეფურად და სისხლსავსედ წარმოჩენა, რადგანაც მისმა პორტრეტმა აგერ რა რანგის მწერალთა პერსონაჟები წამოგვიტივტივა, მათი ფსიქიკისა და ცხოვრების სტილის წარმოჩენისას მკვლევარები თედო სახოკიას „მოგზაურობათა“ ამ კანთიელ სახესაც რომ დაისაჭიროებენ, შესაძლოა, იმ ცთუნებასაც რომ იწვევდეს, რაღაც მიუნჰაუზენური რომ ჩაბუდებულა მის არსებაში, ეგებ ეს იდუმალი მუხტი გამკვეთრებულიყოო. მაგრამ თედოს ვერ აიყოლიებდა ეს ცთუნება, რადგანაც ბელეტრისტული გადახვევა დააზიანებდა თხრობის სტილისტიკას, მხატვრულ თხზულებას ხომ არა ქმნიდა, არამედ მხატვრულ-დოკუმენტურს და წარმოსახვა უსათუოდ უნდა მომწყვდეულიყო რაღაც ჩარჩოებში.

ყველაფერი ისე უნდა გადაგვშლოდა ხელისგულზე, თითქოს ფოტოგრაფიულ სურათს ვეცნობოდეთ, ციმბირული მოგონებებისა არ იყოს, კოტე მესხი გაოცებას რომ ვერ დაფარავდა მისი გაცნობის შემდეგ: არ არის შაბლონური, რაც საერთოდ სჩვევია უმეტეს ნაწილს მემუარებისა, რასაკვირველია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდაო.

ძველი ხალხოსანი არ განმარტავდა თავისი გაოცების მიზეზს, რის ახსნასაც მოინდომებდა დიმიტრი შველიძე რუსეთის იმპერიის გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე-მემუარისტთა თხზულებებთან შედარება-შეპირისპირებით. ისინი ხომ უმთავრესად აღწერდნენ რევოლუციური მოძრაობის პერიპეტიებს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობას, შე-

ხედულებებს, მათთან შეხვედრებს, მსოფლმხედველობრივ პოზიციებს, პარტიათა ურთიერთ-დამოკიდებულებას...

რა — განა ეს სავსებით ბუნებრივი არ არის?

სწორედაც, და ამით იპყრობდა ყურადღებას ლევ დეიჩის, პეტრე კროპოტკინის, ივანე ჯაბადარის, სერგეი სტეპნიაკ-კრავჩინსკის, შიო დავითაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, გიორგი ლასხიშვილისა თუ სხვა ათეულობითა თუ ასეულობითაც კი პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარები.

თედო სახოკია მართლაც განსხვავებულ გზას დაადგებოდა, რაკიღა გადაწყვეტდა, რომ აღეწერა არა პოლიტიკური გარემო, მოღვაწეთა საქმიანობა და მიზნები, არამედ:

— თვით ციმბირში გადასახლების პირობები, მიმდინარეობა, პატიმართა ყოფა-ცხოვრების მძიმე რეალობა, თვით ციმბირის ბუნება, სოფლები, ქალაქები, იქ მცხოვრები ადამიანების საქმიანობა, გადასახლებულთა მდგომარეობა, შემხვედრი სრულიად რიგითი ადამიანები და საკუთარი თავგადასავალი.

ძალიან არ ენაღვლებოდა პოლიტიკური მოღვაწენი და მათი ცხარე და დაუსრულებელი ბატალიები!..

ციმბირის ეთნოგრაფიული სინამდვილის წარმოსახვის ასეთ„მარჯვე" შესაძლებლობას კი ხელიდან როგორ გაუშვებდა: ყველაფერი ხარბი და მწყურვალი მზერით რომ არ ჩაებეჭდა გონებაში... ვინ იცის, აქეთ გადმოსროლა კიდევ თუ მოუწევდა ბორკილდადებულს, რომ რაღაც-რაღაცები სამომავლოდ გადაედო, მაშინ გამოვიკვლევ და დავაზუსტებ გულდასმითო.

ჭვრეტა-დაკვირვებაში გართულს ხან კიდეც ავიწყდებოდა სად იმყოფებოდა და თავი მოგზაურ-მკვლევარად წარმოედგინა, გარშემო-მყოფნი მოვალენი რომ იყვნენ, მისთვის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება რაც შეიძლება გაეადვილებინათ, თუკი ამ რეალობის ზუსტი, მიუკერძოებელი, ხვავრიელი და შთამბეჭდავი აღწერა-შემონახვა ენებათ.

მწკრივში ორ-ორნი მიაბიჯებდნენ.

სუფთა, თავისუფალი ჰაერი (კიდევ კარგი, ჰაერი მაინც გახლდათ თავისუფალი!) პირში რომ ჩასდიოდათ, ისეთი განცდა გაუჩნდებოდათ, თითქოს საჭმელს რასმე შეექცეოდნენ.

თან მომავლის სრული გათავისუფლების მოლოდინი მხნეობას ჰმატებდათ და გულს სიხარულით უვსებდათ.

პირველი დღის ეტაპი 35-კილომეტრიანი გახლდათ და ფეხით ჰქონდათ გასავლელი. საერთოდაც ყოველდღიურად 25-30 კილომეტრი უნდა გაევლოთ ხოლმე. თავიდან ყველა ყოჩაღად დაადგებოდა გზას. თვითონ თედო ერთ დროს კარგ მოსიარულედ რომ ითვლებოდა და საათში 6 კილომეტრის გავლა თავისუფლად შეეძლო, საკუთარი თავისა ამიტომაც ეიმედებოდა: სხვებს თუ ვერ გავუსწრებ, უკან მაინც არ ჩამოვრჩებიო. თავისი ეს სიმხნევე ახსოვდა, მაგრამ იმას ვეღარ გაითვალისწინებდა, რომ ოთხ კედელშუა ხანგრძლივი ჯდომისაგან, შესაძლოა, სიარულს გადასჩვეოდა, დასუსტებულიყო კიდეც და მუხლსაც ეღალატა.

უკან ჩამორჩენას რომ დააპირებდა, ხმალამოღებული კონვოის ჯარისკაცი თავისებურად შემოუკურთხებდა და ჯერ ამით წააქეზებდა, ფეხი აეჩქარებინა.

ეს განმეორებას რომ მოინდომებდა და შეყოვნდებოდა, ის უკვე ხმლითაც დაემუქრებოდა.

მაგრამ თედოს ძალიან რომ გაუჭირდებოდა, კონვოის უფროსს სთხოვდა, ნება დაერთო პატიმართა ბარგის წამომღებ მარხილზე დაჯდომისა.

ჰოი, რას გაგულისდებოდა უფროსი, ამას ვის გადავეყარე, განა არ იცის, სად იმყოფებაო?!. და თუკი დავიწყნოდა, რომ სასჯელის მოსახდელად დასდგომოდა გზას, და არა სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად, შემოკურთხებასა და მუქარას უნდა მოეყვანა გონზე. თოფის კონდახზე მიანიშნებდა, ვიდრე ეს მოგხვედრია, გიჯობს ჭკუით იყო და სხვებს ააყოლო ფეხიო...

არადა, სხვები, განსაკუთრებით კონვოის ჯარისკაცები, სრული სიჩქარით მიეშურებოდნენ წინ...

თედო თავს დაანებებდა ბუნების ჭვრეტას, პოეტურ სურათთა ხატვას გონებაში.

თურმე მარტოდენ ოთხ კედელშუა გამოკეტვის ბრალი არა ყოფილა, ფეხს რომ აითრევდა, მერე კი სულაც მარხილზე მო-

ინდომებდა მოკალათებას. ბუნების შეწოვა-შეთვისებას ესწრაფის, გაშინაგნებას, აგერ, სილამაზე უპოვია ციმბირულ სანახებში და ამ სილამაზის თავისებურებაში ჩაწვდომას ლამობს. საამისოდ კი ფეხაჩქარებით სიარული არ გამოადგება, არც გაწამებული ჩანჩალი, შესაფერისი პირობები ესაჭიროება და ამიტომაც აღარ დაგიდევს, უჩვეულო თხოვნით რომ მიმართავს კონვოის უფროსს.

მუქარა და მისი აღსრულების გარდუვალობა გამოარკვევდა სასიამოვნო ბურანიდან და უკანასკნელ ღონეს მოიკრებდა, ამდენმა ტანჯვამ ფუჭად არ ჩამიაროსო. ამ ჯახირში ნახევარ საათს შეასვენებდნენ და საუზმის ნებასაც დართავდნენ იქვე, გზის პირას, ფიჭვებქვეშ.

ეს დეტალიც აუცილებლად უნდა ჩაერთოს თხრობაში — ფიჭვების ქვეშ რომ სხედან იმ წამიერი სულის მოთქმისას, მუცელს რომ ბოძს შეუყენებდნენ, თორემ შიმშილი კვლავაც არ მოასვენებდათ ოთხანაღებთ გაარბენინებდნენ დარჩენილ მანძილს.

მირბის თედოც და ძალაუნებურად აგონდება ის წინამორბედნი, რომელთაც ამავე გზით ევლოთ და რაღაც 35 კილომეტრი კი არა ჰქონდათ გასავლელი, არამედ — 4 და 5 ათასი, თანაც ფეხებშებორკილთ და ერთმანეთზე გადაჯაჭვულთ, წვიმაში, ავდარში, თოვლში, უგზოობის გზით, რამდენიმე წლის განმავლობაში, როდესაც ამ გზაზე მოსახლეობა თითქმის არ იმყოფებოდა და, მაშასადამე, საჭმელ-სასმელის შოვნაც ძალიან ჭირდა, და სალდათებიც გაცილებით ჩამორჩებოდნენ ახლანდელთ შეგნებითა და ადამიანის სიბრალულით.

და ახლაღა გაითვალისწინებდა ნათლად, თუ რარიგ იტანჯებოდა ხალხი ძველად და რაოდენ მცირე იყო ამათი ტანჯვა იმათ ტანჯვასთან შედარებით.

თუნდ ამ დეტალშიც რაოდენ კანთიელად წარმოისახება თედო სახოკიას პიროვნული ბუნება — განა რამდენ მემუარისტს წამოუვლიდა ასეთი განცდები და ადრინდელ ტუსაღებს უფრო შეიბრალებდა, ვიდრე საკუთარ თავს?!.

პატიმართა გაგზავნა ციმბირში დასასახლებლად XVII საუკუნიდან დაიწყებოდა და მომდევნო საუკუნეებში სულაც სის-

ტემად გადაიქცეოდა, გადასახლებულნი ცოლშვილიანად რომ მიდიოდნენ და ამხელა მანძილსა და გაუსაძლის პირობებში ბუზებივით იხოცებოდნენ სიცივისა, შიმშილისა, დაღლილობისა თუ ათასგვარი ნაკლებობისაგან.

ასიდან ოცი თუ ჩააღწევდა?

რას ინაღვლიდა ხელისუფლება, დაე ის „ოცი" შესდგომოდა აქაურ ველურ ბუნებასა და პირობებთან ბრძოლას — ესეც მიღწევად მიიჩნეოდა ციმბირის დასახლების თვალსაზრისით.

თუმც მარტოდენ ძალდატანებით არა ხვდებოდნენ აქ ადამიანები — ის კი არა, ციმბირი თავშესაფრად გადაიქცეოდა ყველა კაცისმკვლელის, ქურდისა და ავაზაკისათვის, ვისაც სასჯელისა ეშინოდა და შინ არ ედგომებოდა.

და ციმბირისაკენ მორბოდნენ ის ყმებიც, ვინც ბატონებს გაანაწყენებდნენ და სხვა გზა არ დარჩენოდათ, თუ არა აქეთკენ ლტოლვა, თორემ ბატონის რისხვას (და უთუოდ სასტიკ რისხვას!) თავს ვერაფრისდიდებით ვერ დააღწევდნენ.

XIX საუკუნის დამდეგს თუ წელიწადში აქეთ 7-8 ათასი კაცი იგზავნებოდა ევროპის რუსეთიდან, მის მიწურულს ეს რიცხვი წლიურად 200 000-მდე ავიდოდა.

თედო სახოკიას ამ ცნობას დოკუმენტური მნიშვნელობა ენიჭებაო, — აღნიშნავდა ვალერიან ითონიშვილი: დოკუმენტური მნიშვნელობა ციმბირში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა შესწავლისათვის, აქ დასახლების სამ მიზეზს რომ გამოააშკარავებდა.

საერთოდ კი თედო სახოკიას პირველ ადგილს მიაკუთვნებდა, როგორც ქართველ ეთნოგრაფს ევროპული განათლებით.

თავს რომ მოუყრიდა მის ევროპულ ფელეტონებს და შესავალი ნარკვევის დართვით წიგნად გამოსცემდა, და ვრცელ გამოკვლევაშიც „ქართული ეთნოგრაფიის ისტორია" შესაფერისად შეისწავლიდა და წარმოაჩენდა ამ დარგში თედო სახოკიას ღვაწლს, ძალიან უკმარი მოეჩვენებოდა ეს ზოგადი მიმოხილვანი და დიდტანიან ნაშრომს საკუთრივ მიუძღვნიდა ამ პიროვნებას („თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში"), „მოგზაურობათა", „ფელეტონებისა" და „ციმბირის" გარდა,

მკითხველს რომ გააცნობდა მისი „ეთნოგრაფიული ნაწერების“ მნიშვნელობასაც, უმთავრესად სამეგრელოს სივრცით რომ შემოირკალებოდა... ლექსიკოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში მისი დამსახურების ზოგადი აღნუსხვა კიდევ ცალკე...

ეთნოგრაფი ევროპული განათლებითო...

მონოგრაფიის ავტორის შეფასებით, თედო სახოკიას მრავალფეროვან და მაღალკვალიფიციურ მუშაობას — ღრმა პროფესიულ განათლებასთან ერთად — საფუძვლად ედო ხალხის ყოფა-ცხოვრების ძირფესვიანად ცოდნა და ეთნოგრაფიული მასალის მოპოვების კომპლექსური მეთოდი.

ამ გამოთქმას — კომპლექსური მეთოდი — თვითონ თედო არსად ახსენებდა საგანგებოდ!

მთავარია, რომ მისი მრავალმხრივი კვლევა-ძიება სწორედ ამ მეთოდს ემყარებოდა.

და კიდევ — ის აუცილებელი გარემოება, რომ მკვლევარს არ აკმაყოფილებდა მარტოდენ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთა ყოფითი კულტურის თავისებურებათა შესწავლა, რათა საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული სურათი წარმოსახულიყო, არამედ უნდა გათვალისწინებულიყო ჩვენი ქვეყნის მეზობელი მხარეების მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაც.

მისი მართებული, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული აზროვნებისათვის ასერიგად მახლობელი და შესისხლხორცებული, თვალსაზრისით:

— ამ მეთოდით წარმოებული სამეცნიერო კვლევა-ძიება გვიჩვენებდა ქართველი ხალხის ადგილს ერთიან კავკასიურ სამყაროში ყველა ხალხის ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიუანსების წარმოჩენით.

მეცნიერული მნიშვნელობა მეცნიერულ მნიშვნელობად, მაგრამ ვახტანგ ჭელიძეს გული სწყდებოდა, რომ, ვთქვათ, „მოგზაურობანი“ მარტოდენ ეთნოგრაფიის ჩარჩოში მოექცეოდა, მის მხატვრულ-დოკუმენტურ მხარეს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა და ამიტომაც არ იბეჭდებოდა ხშირად, ტირაჟიც შემოზღუდულიყო, როგორც მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრის კუთვნილებისა, და უსამართლოდ ამიტომაც მიყრუვდებოდა.

— არა-და, იგი იმსახურებს, სკოლაშიც ისწავლებოდეს, სხვა ენებზედაც ითარგმნოს.

მხოლოდ თედო სახოკიას ხომ არ უნდა გადმოეტანა უცხო ენებზე შექმნილი თხზულებანი ქართულად, დაე მის ნაწერებსაც გაჰკვალოდა გზა დასავლურ ენობრივ და კულტურულ სივრცეში — მის ნაშრომებს, მისივე ამეტყველებულთ, ფრანგულ ენაზე გვერდით ამოსდგომოდა სხვა თხზულებანიც, შთამომავალთა მონდომებით გზაგაკვალულნი, სასკოლო ქრესტომათიებში მოხვედრისა არ იყოს, მარჯვედ გამოკრებილი პასაჟები — ყმაწვილთათვისაც არანაკლებ სასიამოვნოდ საკითხავი, ვიდრე დიდებისათვის — უსათუოდ რომ დაამშვენებს სწავლა-განათლების პროცესს და, რაც მთავარია, ბავშვს შეაყვარებს საქართველოს მთა-ბარს, შეაცნობინებს ქვეყნის მხარეთა და მკვიდრთა მრავალფეროვნებასა და ამ მრავალფეროვნების სილამაზეს, კოლორიტული თავისებურებანი ერთიან კულტურად რომ წარმოისახება, თვითმყოფადად და იმ სულით აღვსილად, ვერაფერი რომ ვერ დააკნინებდა, არამცთუ გაექარწყლებინა.

* * *

ჯერ კიდევ როდის გამოარჩევდა აკაკი წერეთელი თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ ძიებათა, არსებითად კი მხატვრულ-დოკუმენტური აზროვნების სიცინცხალესა და ცხოველმყოფელობას: ამისთანა რამეებს სხვა ხალხის ჟურნალებშიც ვერ შევხვდებითო!

თავი მეხუთე

განუყრელი სახებანი

ივანე მაჩაბელი მძიმედაა ავად, მეტად მძიმედ.

გულს არ იტეხს და უილიამ შექსპირის კიდევ ერთი ტრაგედიის თარგმნას აგრძელებს. და თუმც ადრინდელი ხალისითა და გატაცებით ვეღარ, მაგრამ იმედოვნებს, რომ გადალახავს უხილავ ბარიერს, თავს დააღწევს სნეულებას და არამცთუ ძველებურად გადაეშვება შექსპირულ სამყაროში, არამედ საზოგადოებრივ ასპარეზსაც დაუბრუნდება. ვერა, დიდხანს ვერ გაძლებს უიმისოდ ბანკი, რომელსაც ჯერჯერობით იძულებით ჩამოშორებია და გორის მაზრის მეურნეთა „სინდიკატის" ხელმძღვანელობით ითქვამს სულს.

აგერ, ზამთარიც უკვე ჩავლილია და გაზაფხულის სითბოს ისიც გამოუტყუებია გარეთ. შავი პლედი მოუსხამს და ბავშვებთან ერთად დაიარება ბაღში, სადაც პატარა აუზის მოწყობასაც ფიქრობს, ახალი მცენარეების ჩაყრასაც.

და დიდი სიხარული უნდა განიცადოს, როდესაც სოხუმიდან უმცროსი მეგობრის — თედო სახოკიას — საჩუქარს მიიღებს: სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა ნერგებს.

ცხადია, ადვილი მისახვედრია, რომ თედო ბარათით დაწვრილებით ამცნობდა,თუ როგორ უნდა გაეხარებინა და მოევლო ამ სუბტროპიკული მცენარეებისათვის, ვიდრე თვითონაც ჩამოვიდოდა დედაქალაქში და ხელსაც დაატყობდა ნარგავებს.

მაშინვე ვერ ადგენს სამადლობელ ბარათს საჩუქრისათვის, და ეს იმიტომ, რომ ავადმყოფობა შეუშლიდა ხელს, ახლა ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, ჭრილობაც — ქირურგიული ჩარევით მიყენებული — თითქმის უმრთელდებოდა და კალმის აღებას აღარ უშლიდა.

ამასთან, აკაკი წერეთლის ავადმყოფობის ამბავსაც აცნობებს. თვითონ გული დასწყვიტა ამის შეტყობამ და ისიც იცის, თუ ვინმე ძალიან ახლოს მიიტანს გულთან ამ ამბავს, მათ შორის უსათუოდ ეს ახალგაზრდა კაციც:

— შეიტყობდით აკაკის ავადმყოფობას. ქუთაისშია, თოფურიას საავადმყოფოში და აწუხებს თურმე ძალიან გულის ავადმყოფობა — грудная жаба. ეხლა უკეთ არის. ჩვენებმა მრავალი მოკითხვა გიძღვნეს. პატარები ძალიან გიმადლიან ხეების გამოგზავნისათვის. თქვენი მარად ერთგული ივანე მაჩაბელი.

ეს ეპიზოდი აქ მოთავდებოდა ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიულ რომანში ივანე მაჩაბელზე, პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეითაც რომ გამოირჩეოდა, და თხრობაში ძალდაუტანებლად უნდა გაეელვა თედო სახოკიას, სიცოცხლის მიმწუხრს ასე რომ გაულამაზებდა და შეუმსუბუქებდა დამაშვრალ მოღვაწეს თავისი გულისხმიერებით.

ეს ეპიზოდი არ გამოიტოვებოდა.

ისევე, როგორც არ გამოიტოვება თედო სახოკიას სახება კიდევ არაერთ ბიოგრაფიულ რომანში, ყველგან კოლორიტულად და მომხიბლავად რომ უნდა გამოჩნდეს — ზოგან არაერთ ეპიზოდში, ზოგანაც მხოლოდ გაიელვოს, მაგრამ ეს გაელვებაც დასამახსოვრებელია და აუცილებელი მთავარი გმირის ცხოვრებისთვისაც და ყოფითი სინამდვილის საერთო ფონის წარმოსახვისთვისაც.

ეგებ ხელიც ეცმადუნებოდა ვახტანგ ჭელიძეს, რომ უფრო ვრცელი მონაკვეთიც ეძღვნა ამ ორი პიროვნების მიმოწერისათვის, მაგრამ რომანის მკაცრად განსაზღვრული კომპოზიციური ქარგა საამისო გასაქანს აღარ მისცემდა. სამაგიეროდ, როდესაც წარმოსახავდა თედო სახოკიას პორტრეტს, იქ შეავსებდა ამ მიმოწერის სურათსაც, ნერგების გამოგზავნამდე და გამამხნევებელი, მანუგეშებელი და კვლავაც სიცოცხლისაკენ მომწოდებელი ბარათის დართვამდე ივანე მაჩაბელს უკვე რომ მიეღო ერთი წერილი ამ ახალგაზრდა კაცისაგან, ვინც აუწყებდა იმ მძიმე ვითარებას, რაც მეფის მთავრობის პოლიტიკას გამოეწვია აფხაზეთის მხარეში და სთხოვდა, კენჭი ეყარა სოხუ-

მის მმართველობაში, რადგანაც ძალიან ეიმედებოდა, რომ, თუ რაიმე გადასწონიდა ხელისუფლებისაგან ზურგმომაგრებულთა გავლენას — სწორედაც ივანე მაჩაბლის ავტორიტეტი.

მოებოდიშებოდა: თქვენი წერილი გვიან მივიღე, რადგან სოფელში ვიყავი და, აი, ვჩქარობ პასუხის მოწერასო.

რაც შეეხებოდა სოხუმის თვითმმართველობაში კენჭისყრას:

— სწორე გითხრათ, მეც, ჩემი სახლობაც, ძალიან მონდომებულნი ვართ, რომ გავშორდეთ აქაურობას და მყუდროდ სადმე შევუდგე მოღვაწეობას. შევიძლებ თუ არა პირიანად მინდობილის შესრულებას, არ ვიცი, წინდაწინ ვერას დაგპირდებით, მაგრამ ამაზედ კი სიტყვის მოცემა შემიძლიან, რომ ყოველ ჩემს ღონისძიებას დავასრულებ, ხალხის მინდობილობას არ ვუმტყუნოთ, მით უფრო, რომ ქართველობას უფრო მაგისთანა განაპირებში, როგორიც სოხუმია, გვმართებს პირნათლად თავის გამოჩენა.

სურვილი კი დიდი ჰქონდა, მაგრამ...

ბანკის საქმე გათავებულად ჯერაც არ მიაჩნდა, შესაძლოა კი ეს საქმე ისე დასრულებულიყო, რომ მაჩაბელს ხელ-ფეხი შეჰკვროდა და ქალაქიდან ვეღარც გამოსულიყო.

— იქნება ჩემმა ამომრჩევლებმა ზნეობითაც დამავალონ, აქედან ფეხი აღარ მოვიცვალოთ ჯერჯერობით მაინც.

ამიტომაც ოქტომბრის გასვლამდე უნდა მოეცადათ.

მაშინ კი, ვარაუდობდა, რომ საბოლოოდ გადაწყდებოდა ყველაფერი და ისიც უკვე დაბეჯითებულ პასუხს მოახსენებდა სოხუმში დიდძალად და იმედად შეგულებულ ახალგაზრდა კაცს.

— მანამდის მაინც ხომ მანდაც არა არის რა გადაწყვეტილი; ხმოსნები არ დაუმტკიცებიათ, და თუ არ დაამტკიცეს, ვინ იცის, ახალი არჩევნები რას იტყვის. თქვენ თუმცა მითხარით, რომ ახალი არჩევნები კიდევ უფრო გაგვამაგრებსო, მაგრამ, ესეც რომ იყოს, საქმე, უეჭველია, იანვრამდე ვერ გათავდება.

საკმაოდ რეალური ჩანს ივანე მაჩაბლის გადასვლაც სოხუმში ოჯახიანად და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაც, უთუოდ წარმატებითაც რომ დაგვირგვინდებოდა და ამ სარბიელზედაც ჩვეული ენერგიულობითა და თავდადებით წა-

რუძღვებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესს, სნეულებას საბოლოოდ რომ დააღწევდა თავს ახალ საზრუნავში თხემით ტერფამდე ჩაფლული.

მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ბედისწერა მეტად მკაცრია მაჩაბლის მიმართ და შექსპირის მთარგმნელი დაუწერელი შექსპირული ტრაგედიის გმირად უნდა აქციოს იდუმალი გაქრობით, მანამდე კი მძიმედ დაასნეულოს, ლამის საზოგადოებრივი ასპარეზიდანაც გარიყოს და გული გაუტეხოს ყველასა და ყველაფერზე... და ვახტანგ ჭელიძე, ასერიგად რომ მოიწონებდა თედო სახოკიას ამ ღრმა და გონებამახვილურ მოფიქრებას — ნერგებს რომ გამოუგზავნიდა, მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა ამ საჩუქრის არამარტო სიმბოლურ მნიშვნელობას — სიცოცხლის სურვილი რომ უნდა აღუნთოს გულში სნეულსა და იმედგაცრუებულ ადამიანს — არამედ იმ გარემოებასაც, რომ მაჩაბელი უკვე ყოველდღიურად უნდა ჩავიდეს ბაღში და თვალი ადევნოს, როგორ თანდათანობით იღვიძებს, როგორ თანდათანობით უბრუნდება სიცოცხლე მცენარეს...

და 1898 წლის 7 აპრილით დათარიღებული წერილით, ერთერთი უკანასკნელით, რაც ივანე მაჩაბელს დაუწერია, თავიდან მოებოდიშებოდა, ძმად რომ მოიხსენიებდა თავის ამ სოხუმელ კეთილისმყოფელს: დიდი ხანია მინდოდა, პასუხი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ავადმყოფობა მიშლიდა. ახლა ბევრად უკეთესად ვარ, ჭრილობა თითქო მრთელდება და კალმის აღებას ისე აღარ მიძნელებსო, — მერე კი ამცნობდა, რომ ნაჩუქარი ხეები მეორე დღესვე ჩაერგვევინებინა ბაღში და დღეს კი დაეთვალიერებინა, რადგანაც ამინდს ნება მიეცა ჰაერზე გასვლისა. ჩაის ბუჩქის ფოთლები ჯერაც მწვანე გახლდათ, ინდურ მცენარეს არა ეტყობოდა რა და ხურმას ორივე ფოთოლი გამოჰქონდა, კოკრები არ ეტყობოდა, მაგრამ იმედია, იხარებდნენ და თედო სახოკიას სახსოვრად დარჩებოდნენ. მაჩაბელი კი დიდად მადლობელი დაურჩებოდა ამ გახსენებისათვის, ეგაა, ძალიან განიცდიდა, როდესაც წარმოიდგენდა, თუ რარიგ უნდა შეწუხებულიყო თედო ნერგების შოვნა-გამოგზავნისას.

ვახტანგ ჭელიძის თქმისა არ იყოს, მართლაც, თავისთავად მრავლისმეტყველია, რომ ახალგაზრდა კაცს ასეთი მიმოწერა აქვს მაშინდელ დიდ მოღვაწესთან.

და მარტო ივანე მაჩაბელთან ხომ არა...

განა თედო სახოკია არ არის, ეგნატე ნინოშვილს რომ მფარველობს და მზრუნველობს? დასნეულებულს, განადგურებულს, თითქმის ყველასაგან დავიწყებულს. მერე კი მიაწყდებოდნენ მესამედასელები, ფარზე აზიდავდნენ მის სახელს და ქართული ლიტერატურის ისტორიას სულაც მისით დაიწყებდნენ, მის ახალგაჭრილ სამარესთან კი თავიანთი პარტიის ოფიციალურად დაფუძნებას გამოაცხადებდნენ, მაგრამ სულის ამოხდომამდე თუ ვინმეს ახსოვდა და ცდილობდა მის გამხნევება-გამომჯობინებას, სწორედ ის თედო, ვისაც შესჩივის და შველას ვისგანაც გამოელის ცხოვრებისაგან ნაგვემ-გაპარტახებული, მარტოშთენილი მწერალი:

— მაშ, რა ვქნა, ძმაო? ხომ გინახავს ფრთებდაჭრილი ფრინველი, რომელიც აღმა-დაღმა გასაფრენად იწევდა, მაგრამ ძალა კი არ შესწევდა? სწორედ ამ ფრთებდაჭრილ ფრინველს ჰგავს ჩემი წადილიც, გულს სწყურია, ენატრება სწავლა-განათლების შეძენა, ჟენევა-პარიჟის თავისუფალი ცხოვრების შეხედვა, მაგრამ ღონე და გარემოება არ შემწევს, ეგ წადილი განვახორციელო.

ბარათი 1888 წლის 30 აგვისტოთია დათარიღებული და სოფელ ჩოჩხათიდან გამოგზავნილი. ვახტანგ ჭელიძე კი საგანგებოდ მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ წერილის ადრესატი... ოციოდე წლის ყმაწვილკაცია, ვისაც რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ — 1892 წლის 7 აგვისტოს, ეგნატემ ასეთი თხოვნით უნდა მიმართოს:

— მე შინ ვარ. მაციებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უნდა გთხოვო: თუ შეგიძლია, მომიხერხე „ივერიის“ რედაქციაში მუდმივი სამუშაოს შოვნა. ავად ვარ, მაგრამ რა ვუყო, კარგა როდის ვყოფილვარ! სანამ ცოცხალი ვარ, ჭამა ხომ მინდა. იქ მუშაობა ქე მაინც არ მეთაკილება. მუშაობასაც შევიძლებ. ერთი სიტყვით, თედო, თუ ჩემთვის კარგი გსურს, გამიწყვე ეს

საქმე. მგონია, ეხლა ვაკანსიაც არის. შენ იცი, ეცადე, მეტი რაღა გითხრა. სხვა ადგილი, რაც გინდა ადგილი იყოს, არ მინდა, არა თუ ეხლა, თავის დღეშიც.

ამ ბარათებს რომ გაიხსენებდნენ ხოლმე, ჩვეულებრივ, იმ მიზნით, რომ ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფია შეევსოთ და მკითხველს თვალნათლივ შეეგრძნო მწერლის მძიმე ყოფა და სულიერი მდგომარეობა — თითქოს მართლაც სასიკვდილოდ განწირული კაცის სუნთქვა მოჰყვებოდა ამ სიტყვებს, სიცხიანი ადამიანის ანთებული თვალები შემოგვცქეროდა... მაგრამ ვახტანგ ჭელიძეს ეს ნაწყვეტები იმის გასათვალსაჩინოებლად მოეხმო, თუ რარიგ ავსებდა იგივე წერილები თედო სახოკიას ბიოგრაფიასაც, როგორ გვიჩვენებდა მის ხასიათსაც, რამდენ შტრიხს ჰმატებდა მის პორტრეტსაც.

ეგნატე ნინოშვილზედაც განეზრახა ბიოგრაფიული რომანის შექმნა, მაგრამ — განსხვავებით ივანე მაჩაბლის ცხოვრების ქრონიკისაგან — ეს ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩებოდა, ოღონდ ერთი მონაკვეთი ეგნატესა და თედო სახოკიას ურთიერთობას რომ დაეთმობოდა და პირადი წერილების ქარგაზე შემოირკალებოდა, ამას ეს ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტიც გვიდასტურებს, თედოს სილუეტის გამოკვეთისას ვახტანგ ჭელიძე ამ მიმოწერის გახსენებასაც რომ დაისაჭიროებდა.

და რაღა დაუდგებოდა წინ ბიოგრაფიული რომანის სიუჟეტის გაშლისას თედოს გაპერსონაჟებას: იქ ხომ გაცილებით მეტი ასპარეზია საამისოდ!

თედო სახოკიას ვერც ასცდები, ან რატომ უნდა ასცდე, როდესაც წარმოუდგენელია უიმისოდ ეგნატე ნინოშვილის სიცოცხლის მიმწუხრი, ამ ახალგაზრდა კაცთან ურთიერთობის გაბმით ცოტაოდნავ მაინც შემსუბუქებული, იმ წუთებში რომ უწყნარდებოდა აფორიაქებული და შეჭირვებული სული, ამ ყმაწვილკაცის სინათლით გასხივოსნებული ფიგურა რომ ამოესვეტებოდა თვალწინ ძალაუნებურადაც და მისგან ბარათის მიღებისას ხომ — თავისთავად, და მასთან წერილის მისაწერად რომ გაემზადებოდა, მხნეობა უნდა მოეკრიბა და თან ებოდიშა კიდეც და მადლიერებაც გულუხვად ეძღვნა თანადგომისათვის.

აგერ „მიწის" ფრანგული დედნის გამოგზავნაც ეთხოვა მისთვის, ემილ ზოლას რომანისა, და იმას კი პასუხად ეცნობებინა, უკვე გზაშიაო. მართალია, ჯერჯერობით არ მიეღო, მაგრამ იმედოვნებდა, რომ მასაც ისეთივე ბედი არ ეწეოდა, რაც კვირკველაძის მიერ გამოგზავნილ ეგზემპლარს, მოუთმენლად რომ ელოდა, რაკიღა იმას მოეწერა, — გამოგიგზავნეო, — მაგრამ საშველი რომ არა და არ დაადგებოდა, ეგნატე იძულებული ამიტომაც გამხდარიყო, ახლა უკვე თედო შეეწუხებინა.

თხოვნა „მიწის" ფრანგული ორიგინალის გამოგზავნისა საბაბი უფრო გახლდათ ეგნატესათვის, რათა ემცნო, რომ დიდად დავალებულად მიიჩნევდა მისგან თავს, მეტადრე იმიტომ, რომ არაფრით დაემსახურებინა თედოს ასეთი მეგობრობა და სიმპათია:

— ასე გასინჯე, ერთი უბრალო წერილიც ვერ მომიწერია თქვენთვინ, ღმერთმან იცის (ჩვეულებრივი ფიცია), ისეთი უგულო სისხლცივი არა ვარ, რომ მეგობრისა და ნაცნობის გახსენება არ ვიცოდე; მაგრამ დღევანდელი ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ ამ წმინდა მოვალეობის აღსრულებაში ყოველგვარად ხელს მიშლის.

ეს სტრიქონებიც იმავე ბარათიდანაა, რომელშიც ეგნატე საკუთარ წადილს ფრთებდაჭრილ ფრინველს ადარებს, ხოლო ბარათის მიუწერლობაზე რომ წუხს, დასძენს: ერთ-ორ წერილს ტყვეობაშიც გაახერხებს კაცი, მაგრამ მარტო სიტყვებით აჭრელებული წერილის მოწერა ამ სიშორე ადგილიდან, ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა, ვფიქრობდი — ერთი ხუთიოდე დღის ხარჯს (ფულს) მაინც გავუგზავნი-მეთქი. ვფიქრობდი, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენისთანა ბედუკუღმართი კაცების ფიქრი და წადილი, როგორც ხშირად აღუსრულებელი რჩებათ, მეც ეგრე მომივიდა: არ იქნა, ვერ მოვიგდე ხელში გროში, მეტადრე ისეთი, რომელსაც წინ-წინათ ათიოდე საჭირბოროტო გზა არა ჰქონდეს გაწალდულიო.

და დღეს კი, როდესაც აქეთ შეიქნებოდა დავალებული თედოსაგან მეგობრობითაც და ნივთიერადაც, ძალაუნებურად უნდა გაეგზავნა ეს ცარიელი, მარტო სიტყვებით აჭრელებული ბარათი, რადგანაც სულ ხმის გაუცემლობა, შესაძლოა, ნამეტანი უზრდელობას დამგვანებოდა.

თედოს შესრულებით კი პირნათლად შეესრულებინა ეგნატეს თხოვნა, მაგრამ მოვალედ მიიჩნევდა თავს, საკუთარი მოსაზრება გაეზიარებინა: ზოლას მაგ რომანის თარგმნა არა ღირსო.

და მართალია, მწერალი სავსებით ენდობოდა ასეთი კეთილი მეგობრის, ასეთი გონიერი და ფრანგულ ლიტერატურაში ასე რიგად გათვითცნობიერებული კაცის რჩევას, მაგრამ იოლადაც არ დათმობდა განზრახვას: ეგ რომანი ცუდ ზეგავლენას სულაც არ მოახდენს ჩვენს ხალხზეო.

რა — გარყვნილების მოქადაგე არ იყო ზოლას ეს რომანი?

ერთი შეხედვით, მართლაც ასე ჩანსო, — უმტკიცებდა ეგნატე, — მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, სულ სხვა რამ გამოდის: იქ არის მხოლოდ მავნე ტრადიციული ზნეობების უარყოფა და არა გარყვნილებათა ქადაგება. ამასთან, ბევრი ახალი, წვრილმანი იდეაა შიგ გაყვანილი, ისეთი იდეები, რომელთა მსგავსსაც ჩვენი მწერლებისაგან თავის დღეში ვერ გაიგონებს მკითხველიო.

ასეთი ყოფილა მეტადრე ის ნაწყვეტები „მიწისა“, ეგნატეს რაც წაეკითხა და, თუმც დაჟინებით ირწმუნებოდა რომანის ვარგისიანობას, თან, ცოტა არ იყოს, შეჭოჭმანებულიყო: შესაძლოა, მთელი რომანი კი არ იყოს თარგმნის ღირსი. ვნახოთ და ამის შესახებ კიდევ მოვილაპარაკოთო.

საგულისხმოა, რომ თედომ ადვილად კი არ დაუშალა უფროს თანამოკალმეს წიგნის თარგმნა, ყველაფერი იღონა, რათა შოვნით ეშოვნა და კიდეც გაეგზავნა, რათა იმას არ ჰგონებოდა, რომ ზოლას ამ რომანის დაწუნებით უბრალოდ თავიდან მოიცილეს, და კიდევ უფრო არ ასცრუებოდა გული ადამიანებზე. დაე ხელთ ჰქონდეს ეს წიგნი, რომლისაც აქამდე მარტოდენ ფრაგმენტებს იცნობს, ოღონდ თედო სახოკიას კეთილი რჩევა კი გაითვალისწინოს.

თედოს ეს რომანი არ უჯდებოდა გონებაში, თორემ ემილ ზოლას ქართულად ამეტყველების წინააღმდეგი როდი გახლდათ. ჟურნალ „მოამბის“ 1897 წლის მე-5 ნომერში დაიბეჭდებოდა მის მიერ თარგმნილი „სისხლი“, ემილ ზოლას ზღაპართა იმ ციკლიდან, „ნინოსათვის ნაამბობად“ რომ შერჩეულიყო საერთო სა-

ხელწოდებად,მაგრამ... მხოლოდ დასაწყისი, მომდევნო ნაწილი კი, რედაქციის განცხადებით, „მისდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო გამოკლებულიყო". თუმც ეს თხზულება მოგვიანებით, კერძოდ, 1927 წელს, ცალკე წიგნაკად დაიბეჭდებოდა. ამავე ციკლის კიდევ ერთი ნიმუში კი — „ბრძოლა" — „მოამბის" ფურცლებზე (1904, №9) გამოქვეყნდებოდა, ხოლო მოთხრობა „მარხვა" „ცნობის ფურცლიდან" (1903, №2355) იხილავდა მზის სინათლეს.

აქ კი, იმ მიმოწერისას:

1892 წლის 13 თებერვალს ზესტაფონში მყოფ ეგნატეს თედო მისწერდა, რომ „სიმონა" გამოსაცემად დაეთმო კილაძისათვის, რომელსაც დაუხასიათებდა, როგორც მუშაკაცს, და იმასაც დაატანდა: კიდევ დაწერე რამე, თუნდა „დათიკელაო".

„სიმონას" ავტორი შეწუხდებოდა, რადგანაც ეს მოთხრობაც და სხვანიც გამოსაცემად უკვე გადაეცა ოზურგეთში და პირობას ველარ გადავიდოდა. ამის გამო კი არ უნდა დამდურებოდნენ არც თედო და არც მისგან ნაქები გამომცემელი. რაც შეეხება ახალი მოთხრობის დაწერას კი... მშიერ კუჭზე ზრუნვა უფრო ადარდებდა, ვიდრე წერაზე ფიქრი, თორემ თედოს თხოვნას ძირს როგორ დაუშვებდა.

— მშიერი ძაღლივით დავწანწალებ იქით-აქეთ ლუკმაპურის საშოვნელად, დღესხვალეობით მოველი სიმშილი ამომართმევს სულს-მეთქი და აბა, იფიქრეთ, ამ მდგომარეობაში კაცს რაღა გემწერლება! მიდექი და მშიერი კუჭის ამარა ჯღაბნე კაცმა „სიმონები"! ნუ გეშინია, ლუკმაპურსაც არ წამოგიტეხს არავინ ამისთანა მწერლობისათვის!

იმ საწუხარსაც გაუზიარებდა, „ივერიის" ფურცლებზე ბარე 21 ფელეტონიც რომ გამოექვეყნებინა ამ ცხრა თუ ათი თვის განმავლობაში, მაგრამ საზღაურად გროშიც არ მიეღო... და თუ დავით ღამბაშიძისა და „მწყემსისგანაც" არ იყო მოსალოდნელი ჰონორარი, სულაც თავს დაანებებდა ამ ჯღაბნას.

და უეცრად ამ ცნობისწადილს გამოამჟღავნებდა:

— რა ქენით, რას შვრება თქვენი ვოლტერი?

რაკიღა შეეტყო, რომ თედოს იმის მოთხრობა — „უმანკო" — ეთარგმნა, მისი ბედიც დააინტერესებდა.

იმავე წლის 9 მაისს კი გომიდან ამცნობდა: გუშინ ცოტას დაავადდა, კინაღამ გავემგზავრე საიქიოსო.

მტკვარში დაჭერილ ახალ თევზს მიაძღებოდა მადიანად და... კინაღამ ის გაუხდებოდა საბედისწეროდ, ლუარსაბ თათქარიძისა არ იყოს. გულისრევა, თავის ტკივილი და ძარღვების კრუნჩხვა რომ აუტყდებოდა და არც ექიმი იქნებოდა სადმე და არც წამალი, გააბამდა წყლის სმას და, მერე რომ დაუკვირდებოდა, მგონი, სულაც ამ წყალს ეშველა... მთელი შიგნეული გამოერეცხებოდა და კიდეც გამოახელდა თვალებს. ეგაა, წამოდგომა უძნელდებოდა სისუსტისაგან ილაჯმიწყვეტილს და,ისედაც ფერმკრთალს, იერი ლურჯი სამოსელივით მოექცეოდა. და თუ რამე უნდოდა ახლა, ეგებ თედოს მოენახულებინა:

— თუ დრო დაგირჩეს, წამო, ძვირად არ ღირს, სულ რაღაც სამი მანეთია.

18 მაისს გაგზავნილ ბარათში დაინტერესდებოდა, თუ როდის დაიბეჭდებოდა თედოს მიერ გადმოღებული ჯონ ლოკის თხზულება. წერილში აღნიშნული არ არის, მაგრამ უნდა იგულისხმებოდეს მისი „ჰაზრნი ბავშვების აღზრდაზე“, რომელიც არც იმხანად და არც არასოდეს გამოქვეყნდებოდა და შერჩებოდა თედო სახოკიას არქივს.

დაინტერესდებოდა, ახალს თუ თარგმნიდა რაიმეს, და ამასთან:

— შენ რა უქენი შიო არაგვისპირელის მოთხრობას? არ გაუგზავნე „ივერიას“?

შიო იმჟამად ვარშავაში იმყოფებოდა სწავლის გასაგრძელებლად და იქიდან გამოგზავნილი მისი ნოველებისა და ეტიუდების პატრონობა თედოს რომ ებარა, ყველასათვის ცნობილი იყო. სულ უფრო იზრდებოდა მისი პოპულარობა, მის სახელს თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, პირველ რიგში ის ბელეტრისტული თხზულება უნდა წაეკითხათ და სალაპარაკოდაც ექციათ. და ეგნატე ნინოშვილიც ცნობისწადილით რომ ეცნობოდა მის ყოველ ახალ ნიმუშს, ვისთვის უნდა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილება თუ არა უპირველესად თედოსათვის, მითუმეტეს, მისი ეს მოსაზრებანი აუცილებლად მიაღწევდა შიომდე — მოწონებაც და ცალკეული შენიშვნებიც, გულშემატკივრული მიზნით გამხელილი.

აგერ შიოს ეს ახალი მოთხრობაც მოსწონებოდა ეგნატეს, მაგრამ, მისი ფიქრით, მწერალს შემთხვევითი ფაქტი არასდროს არ უნდა აეღო მოთხრობის დედააზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპები უნდა გამოხატულიყო თხზულებაში. და თუ შემთხვევით რამეს შეეხებოდა ავტორი, ეს შემთხვევითი „ქე მაინც" მეორეხარისხოვან ადგილას უნდა ჰქონოდა. წინამძღვრიანთკარის სკოლა, სამრევლო და სამონასტრო სკოლები სწორედ ასეთი შემთხვევითი ფაქტები გახლდათ, დღეს არა, ხვალ რომ აღარ იქნებოდა, და მაშინ...

— მართალია, ასეთ მოთხრობებს პუბლიცისტური ხასიათი აქვს და სარგებლობის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მოთხრობების მწერალი ბევრს აგებს ამით, — ამ შემთხვევითი ფაქტების დედააზრად აღების მიზეზია, რომ ეხლანდელი ბელეტრისტული თხზულებანი ძლიერ ადრე ბერდებიან და კარგავენ ფერს.

ეს განზოგადება უშუალოდ თითქოს აღარ ეხებოდა შიო არაგვისპირელსა და მის მწერლურ მანერას, მაგრამ ეგნატე, მართებულად თუ უმართებულოდ, რაღაც საფრთხეს მაინც ხედავდა ამ სტილურ მიმართულებასა თუ თავისებურებაში, პუბლიცისტური ნაკადის შემოჭრას ბელეტრისტიკაში, საზოგადო მნიშვნელობა რომ ჰქონდა, მაგრამ მხატვრულობას კი აზიანებდა და ხან — ძალიანაც.

საერთოდ კი:

— შიოს მოთხრობები ძლიერ მომწონს, გლ. უსპენსკის მომაგონებს.

ეგონა, დიდად ვაამებ შიოს მეგობარსაც და თვითონ შიოსაც, უსპენსკისთან თუ დავაკავშირებო. თუმც, ცხადია, ეს წამოგონება მეტად სუბიექტურია და შიო არაგვისპირელს არ განუცდია ამ რუსი მწერლის გავლენა, და არც მის ეტიუდებსა თუ ნოველებში იჭრებოდა პუბლიცისტური ნაკადი, ერთი-ორი გამონაკლისი რა განსაზოგადებელია, არც შემთხვევითი ფაქტები განსაზღვრავდა მისი თხრობის დედააზრს და არც მეორეხარისხოვანი დეტალები იყო მოხმობილი გადაჭარბებით. ეგაა, ეგნატე ნინოშვილი სულ სხვა ყაიდის ბელეტრისტი გახლდათ და შიოს თხრობის მანერა, აგებული ნიუანსებსა და განწყობილებებზე, მისი სტილისტიკისაგან შორს იყო.

ასე შებმოდა უნებლიეთ ერთიმეორეს ორი განსხვავებული სტილური მანერა.

ნეტა თედო რა პასუხს გასცემდა ამ მოსაზრებებზე?

მიმოწერაში საამისო არაფერი დასტურდება და ეგებ პირადი შეხვედრის დროისათვის გადადებდა, მეტი საშუალება ექნებოდა მსჯელობა-არგუმენტირებისათვის... ანდა სულაც არ მიიჩნევდა საჭიროდ ამ თემაზე პაექრობას: დაე ეგნატეს თავისი შეხედულება ჰქონოდა მწერლურ კანონებზე საერთოდ და შიოს შემოქმედებაზე კერძოდ, მთავარია, რომ მთლიანობაში მოსწონდა და, თუ კითხვისას უსპენსკის ლანდი გადაუელვებდა, ესეც მისი ნება იყო.

რა დროს ბარათებით შეგონება-კამათი იყო, ეგნატე ისეთი სასოებით მოელოდა თედოს შემოხმიანებას, ამ ერთადერთ გამამხნევებელ სიტყვას მას შემდეგ, რაც გომში, ამ ყრუ და უსიამოვნო გარემოში მოუწევდა ყოფნა.

— მიყვარს შენი წერილისთანა გულწრფელი და გრძნობით სავსე წერილები.

გულგატეხილობას იქამდე მიეყვანა ეგნატე, გული აჰყროდა თავის მოთხრობებზე და აგერ თედოსაც მტკიცებას დაუწყებდა: შენ გადაჭარბებული აზრი გაქვს მათზე, თორემ, ჩემი ფიქრით (მეტიჩრობით არ მომდის), იმ მიზნის გარდა, რომ ამ გაჭირვების ჟამს ორიოდე გროშს მომიპოვებდა, სრულიადაც არ ღირდა მათი გამოცემა ცალკე წიგნადო. და თურმე კარლო ჩხეიძე რომ ამუნათებდა: ასე სულაც არ არის და შესანიშნავ მოთხრობებს წერო, — იგი ცხარედ ეკამათებოდა: რატომ გავაზვიადო ჩემი ნაწერების მნიშვნელობა, ლუკმაპური საძებარი რომ არა მქონდეს, ამეებს რა დამაწერინებდაო.

შეჰპირდებოდა, რომ თედოსაც, ი. კაკაბაძესაც და სხვა მათნაირ კარგ მეგობრებს საკუთარი ხელით მიუძღვნიდა თითო საუკეთესო წიგნს, დედაქალაქში პეტრე უმიკაშვილსა და გრიგოლ ყიფშიძესაც უსათუოდ გაუგზავნიდა, და კიდევ ყველას, ყველას, ვისაც კი ესიამოვნებოდა.

— ნიკოლოზს წააკითხეო, — სთხოვდა, და თუმც ვარაუდობდა, სულელობად ჩათვლისო, მაგრამ არ ინაღვლიდა ეგნა-

ტე, რადგან ის გესლიანი კაცი არ იყო და მისი ნათქვამი ამას გულს ვერ ატკენდა. აი, მეორე ვიღაცაზე რომ ამბობდა თედო: იმასაც უნდა წავაკითხოო, — ეს არ ურჩევდა, რადგან, ცოტა არ იყოს, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ისეთი გამოტლაპნილი, დემოკრატიული მოთხრობები, როგორებიც იყო „სიმონა" და სხვა ნიმუშები, გულს აურევდა იმისთანა ნაზ „არისტოკრატკას".

— იმას, ძმავ, მაღალ ჰანგზე და გრძნობაზე დაწერილი რომანები უნდა, და არა გამურული დემოკრატის ნაჯღაბნი.

თუმც იქვე გადაიფიქრებდა:

— ისე ქეიფი შენია, წააკითხე. ჩემთვის სულ ერთია მისი მოწონებითი, გინდა დაწუნებითი აზრი.

— მართლა, სტუმრებს რომ პატივისცემა უნდოდათ?

— იმან ფრანგული იცის. მაშ, დაუფრანგულე.

19 მაისს მეგობრულ მადლობას უძღვნიდა ბარათის მოწერისათვის: შენი წერილი ყველა კარგი და საინტერესოა. ის არის ხანდახან ერთადერთი მოსაუბრე ჩემი ამ მიყრუებულ კუთხეშიო.

მადლობას უძღვნიდა აკროსტიქისთვისაც: ეგ გერასიმე „ივერიის" არჩილური შვიდთავის ავტორს არ ჩამოუვარდება, ძალიან ქება შეუსხამს ჩვენ ორი კაცისათვისო. და ძლიერ დაინტერესდებოდა: სხვებზე რაღა დაწერა: დიმიტრიზე, ვიქტორზე, კიდევ სხვებზე, ჩემთვის ეგ გერასიმეს ნაწარმოებია და ეგ ბავშვი ძმასავით მიყვარს, ეგაა, შემწეობა არაფერი შემიძლიაო.

სთხოვდა, შიო (მოსალოდნელია: მღვიმელი იგულისხმებოდეს) შეეგულიანებინა, რომ მისთვის ჩაეკითხებინა, და თუ დრო დაურჩებოდა, ბარემ თედო თვითონაც წამოჰყოლოდა:

— მართალია, აქ ისეთი ციებ-ცხელება მუშაობა დადგა ჩემთვის, რომ ჯანს მაგდებინებს. მაგრამ თქვენთან სალაპარაკოთ მაინც ვიშოვი დროს, რაც უნდა იყოს. ეს ოხერი ამ შემთხვევაში ქალური გული მაქვს, — როგორც კი ტოლ-ამხანაგებს დავშორდები, რაღაც საშინელი სევდა და ჯავრი მომიცავს.

ვიღაცა ვიღაცას ქართულს რომ უწუნებდა და თედო ამას აელელვებინა, ეგნატე ებოდიშებოდა: ახლა ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც მეშინია, ეს წერილი ცენზორს არ მოხვდეს ხელთ. ისე, იმ კაცს მეწუნიობა საზოგადოდ სჭირს, ოღონდ როცა ერ-

თმანეთს ვნახავთ, მაშინ გავაძლებ გულს ლაპარაკით, თორემ ასე მიწერ-მოწერით, აბა, რა ბევრს გავხდებით! მეათედსაც ვერ მოასწრებ კაცი თქმასო.

კიდევ იმას ებოდიშებოდა: შენთანაც და ვიქტორთანაც დიდი დანაშაული ვარ, რომ მაწონი ვერ გამოგიგზავნე, სიძუნწისა კი არა, მოუხერხებლობის ბრალია. მაინც, ეს ოხერი, ამბობენ, ამჟავდება იქ მისვლამდეო.

17 დეკემბერს ეს საბოდიშოც გაუჩნდებოდა: გიგზავნი ამ თითო ნაგლეჯ წერილებს და ყველა ერთ წერილად არა ღირს. მაგრამ რას იზამ ამ გაჭირვებულ მუშაობაშიო.

მისი წიგნების რიგიანად გამოცემას ხომ არა და არ დაადგებოდა საშველი — აქამდე კორექტურული შეცდომების თვლას ვერ აუდიოდა; ახლა კი ეს მთლად რაღა იყო — უსათაურო და უსარჩევო?!.

ქვეტექსტურად სხვა საწუხარსაც გაამჟღავნებდა და... თან შენატრებდა ადრესატსაც და სხვა ნაცნობ-მეგობართაც და თან თავსაც ინუგეშებდა, შესანატრებელი არც არაფერი აქვთო:

— სტუმრები რა უყავით? რას შვრებოდნენ იქ ამდენ ხანს. მაშ, დასტკბით მზერით? მაგრამ აღელვებულ სისხლს რითიღა იგრილებთ? სიზმრით? ნეტავ თქვენს ძარღვებს! მაგისთანა სტუმარი მავნებელია. ტყვილა სისხლს აგიღელვებს და ქე წავა. ამ დასაქცევში ხომ ხსენება არ არის „იმის". შენ რაღას შვრები, მარხულობ? რამდენ ხანს?

ადვილი ამოსაცნობია გამჭვირვალე მინიშნებებით, რაც აწუხებს, რაც აღელვებს, რაც აჟრჟოლებს ასე ძალიან და „შორით დაგვა, შორით კვდომა" ვერმიწვდომის ამაო გამართლებად ესახება.

2 ივლისს სამსონ კანდელაკისათვის დახმარების გაწევას სთხოვდა თედოს. ყველა კაცი კაცია და კახაბერი სხვა კაციაო, ანდაზას რომ შეახსენებდა, დასძენდა: სწორედ სამსონია ის სულ სხვა კაცი და, ვინ იცის, ოდესმე საქართველოს ედისონიც გახდესო.

— კაცო, ხედავ, რა ენერგია გამოიჩინა! აბა, შენ იცი.

7 ივლისს ამ ბარათს მიადევნებდა: სამსონი თქვენსკენ მოდის, მაგრამ ჯერ რამდენიმე დღეს ქუთაისში უნდა დარჩეს საქმეზე,

მერე ზესტაფონს ამოვა და ვეცადოთ, რაც შეიძლება ადრე, ხოლერის მოსვლამდე, ხელისმოწერა და წარმოდგენა მისთვისო.

თავის მხრივ 15 მანეთის მეტი არ შეეძლო ეგნატეს, ესეც მძიმე იყო მისი ჯიბისათვის, მაგრამ უფრო ნაკლები ეთაკილებოდა.

და თედოს მიაჩერდებოდა იმედის თვალით:

— ეცადეთ, თქვენებურად ეცადეთ ამ კეთილ საქმისათვის.

თბილისში ჩამოსული ზაქარია ჭიჭინაძეს შეეკედლებოდა და 21 ოქტომბერს თედოს ამცნობდა: მთაწმინდის ბუნებრივი სიმაღლე რომ არ ჰყოფნია ზაქროს, ხელოვნურადაც დაუმატებია, გადაუშენებია ზედ წვერზე ერთი მაღალი ოთახი და დაჰყურებს თბილისსო.

გზაში თუმც ცოტა უფრო ცუდად შექნილიყო, მაგრამ ამ ზამთარს რომ მთაზე გაატარებდა და მომავალ ზაფხულს სადმე დაბლობში, ამას უნდა ეშველა მისთვის და სრულად გამოემრთელებინა.

ისეთი ადგილიც ეპოვა, სადაც 7 კაპიკად მაძღრისად შეეძლო ჭამა, და უკვე ხუმრობის გუნებაზეც დამდგარი, თედოსა და იოსებს ექილიკებოდა: ვიცი თქვენი ამბავი, პოეზია გიყვართ (ჯამბაკურიზმმა ხომ ააყვავა ჩვენი პოეზია)და ასეთი სადილის შესახებ შეთხზავთ: რაღაა იგი ნაცია, რომლის ბელეტრისტმა უნდა ჭამოს შვიდკაპეიკიანი პორციაო!..

ბარათების მიწერას რომ სთხოვდა, თავის მხრივ აფრთხილებდა: პასუხს ნუ მომთხოვ ბარათებზე, ჯერ მეზარება და მერე — დროც არ მექნებაო.

ცარიელი ძვალი და ტყავი რომ დარჩენილიყო და თანაც ძონძებში გამოხვეულიყო, უფრო შესაბრალისი სანახავი ვილა უნდა ყოფილიყო, და ზაქარია ჭიჭინაძის დედა — თედოს ცნობით: ეს ყველას მამიდა და ყველას გულშემატკივარი — შუაზე უყოფდა ეგნატეს თავის ღარიბულ ლუკმას („ვუი, დედასა, შვილო, ჩემი საწყალი ქმრის სახელი ჰქვია, ამას როგორ არ უნდა ვუპატრონო მე უბედურმა"), თან შიშით აღარ იყო: ხელში არ შემომაკვდეს ეს უბედური და თავშისაცემი და დასამარხი არ გამიხდესო.

სტამბაში პურის ფულის საშოვნელად გამოუძებნიდნენ ადგილს დროებით და ამას ისიც ახარებდა: თან კაი კაცებსაც გავიცნობ და წიგნსაც ბლომად ვიშოვი წასაკითხადო.

თედოს გული რომ უკვდებოდა მისი სულიერი და ხორციელი ტანჯვის შემყურეს, რაღაც სიამეც ეღვრებოდა სულში, როდესაც შეჰყურებდა, თუ რარიგ ასულდგმულებდა იმედი ეგნატეს, რარიგ აცოცხლებდა, და იმედით აღჭურვილი კი არაფრად აგდებდა შევიწროებულ ყოფას. და მის გამჭრიახ მზერას, ფსიქოლოგიურ ალღო-დაკვირვებას არც ის გამორჩებოდა, რომ ეგნატეს:

— ის კი არა, თითქო თავიც მოჰქონდა თავისი გაჭირვებული მდგომარეობით.

ისედაც ეტყობოდა, მაგრამ ეგნატეს ის ფრაზა მთლად უდასტურებდა თავის ვარაუდს, ფრაზა —ძალდატანებული გულმაგრობით წარმოთქმული:

— „დემოკრატს" მეტი რა მინდა, ვაი „არისტოკრატებს", რომ, თუ ერთი ბეწო რამ დააკლდათ, დაიხოცებიანო...

ოქტომბრის თვეში თედოს თავისებურ ანგარიშს ჩააბარებდა, თუ როგორ შეესრულებინა მისგან მონდობილი საქმეები — ივანე მაჭავარიანისათვის მიწერილი ბარათი დაეტოვებინა პატარა გიორგისათვის (მაჭავარიანისათვის) და, ცხადია, ისიც, პირადად გიორგისათვის რომ მიეწერა. გრიგოლ ყიფშიძისთვისაც გადაეცა წერილები და იმას ეგნატეს თანდასწრებითვე წაეკითხა როგორც უშუალოდ მისთვის მიწერილი, ისე „კავკაზში" დასაბეჭდიც:

— დამიტოვე ორივე, დავბეჭდავ კიკვაძის გასამართლებელ წერილს. თუ დაკმაყოფილდა, ხომ კარგი, თუ არა და — წერილი წაიღე და დააბეჭდვინე „კავკაზში".

„კავკაზის" წერილს რომ დაიტოვებდა, ეგნატე ივარაუდებდა, ალბათ იმიტომ, რომ სხვებსაც აჩვენოს რედაქციელებსო.

თითქოს დავალება შეესრულებინა, მაგრამ ძალიან დააკლდებოდა გულს და ეგონა, თედო გაჯავრდება, რადგანაც ვერ მოვაგვარე ისე, როგორც დაბარებული მქონდაო.

ეს იმიტომ, რომ იცოდა: თედო მის ადგილას გაცილებით უფრო ენერგიულად და მოხერხებულად მოიქცეოდა და სა-

თუმცაოდ კი არ გახდიდა საქმეს, არამედ ქვას გახეთქავდა და მოუგვარებდა.

რაც შეეხება ეგნატეს პორტრეტს, თედოს რომ დასჭირვებოდა: ამაზე რაღა მაქვს სათქმელიო! — უმწეოდ შლიდა ხელებს ეგნატე, — ჩემი პორტრეტი ვინმეს კი ესაჭიროებოდეს და იმაზედ უარი ვუთხრა! მერე კიდევ შენ უნდა გითხრა უარი? ეს დიდი კადნიერება იქნება ჩემის მხრითო, — მაგრამ სინდისს დაიფიცებდა, რომ, როდესაც ამ დილით თავისი გროშები დაეთვალა, სულ... 5 მანეთი და 72 კაპიკი აღმოსჩენოდა.

— აბა რა არის, რას უნდა გახდე კაცი ამ ფულით თბილისში!

იქნება ოთახიც საძებარი გახდომოდა და... პორტრეტს, აბა, როგორღა გაუგზავნიდა. თუკი საახალწლოდ რედაქცია ცოტაოდენ ფულს გაიმეტებდა (დაპირებით არაფერს დაჰპირებოდნენ, მაგრამ ამას იმედი უჭიატებდა გულში), აი, მაშინ კი აუსრულებდა სურვილს თედოს და გადააღებინებდა თავის პორტრეტს.

— მაგრამ რად გინდა, კაცო, ჯერ მე რა ვარ და ჩემი პორტრეტი რაღა იქნება!..

14 დეკემბერს თედოს სამდურავისა და საყვედურის პასუხად, შესჩივლებდა: მიუტევე ჩემს უძლურებას, რაც თბილისში ამოველ, ამ ბოლო დროს 9-10 დღე და ღამეა ლოგინში ვწევარო. თან შინიდანაც რომ ძლიერ ცუდი ამბები მოსდიოდა? აგერ წინა დღეს მისი ერთი უსაყვარლესი ნათესავი დაემარხათ და ამას არამცთუ ავადმყოფობისას ვერ მოეხერხებინა მისი მონახულება, დაკრძალვასაც ვერ დასწრებოდა.

თედოს სამდურავი და საყვედური კი სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა: ბარათები მოიწერე და მოთხრობების წერაც გააგრძელეო. ამას „პარტახი" კი დაეწერა, მაგრამ გულს აკლდა, უხეირო გამომივიდაო. მართალია, ჩვენი ამხანაგობის კრებულისთვის კი გადავეცი, მაგრამ არა მგონია, დაიბეჭდოსო.

— ახლა კი აღარ მაქვს წერის ღონე. წერის მაგივრად მძიმე-მძიმედ ვახველებ და ვწევარ ლოგინში.

ნეტა თედო არ აპირებდა თბილისისაკენ?

— ამო, კარგია ერთი აქ ამოსვლა, რაღაც ათასი მოძრაობა კია ლიტერატურულ სფეროში. მართალია, მე შორს ვარ ამ მოძ-

რაობიდან, მაგრამ გავიგე კი მაინც, როგორც ეტყობა, 1893 წელი ძლიერ მსუქანი იქნება ჩვენი ლიტერატურისათვის.

თვითონ ეგნატე საშობაოდ ეპირებოდა ზესტაფონისაკენ და მაშინ კი იჯერებდნენ გულს ლაპარაკით.

26 აპრილს აცნობებდა, ჯაყელი თავმდაბალი და სიმპათიური ყმაწვილია, კარგი საათიც მაყიდინა. მას იქ ვუთხარი მადლობა და შენ აქ გიძღვნიო.

რედაქციას სტუმრებოდა და ალექსანდრე ნიკიტინისათვის თედოს წერილი გადაეცა. იმას ეთქვა: ან შენ გამოიარე რედაქციაში და ან მე გამოგიტან სადგურზე შენი წასვლის დროსო. დანიშნულ დროს ამას კი გაევლო რედაქციაში, მაგრამ ის ვერ ენახა და ფაეტონის ფული ტყუილ-უბრალოდ დაეხარჯა. არც სადგურზე მიეკითხებინა და დარჩენილიყო ეგნატე ხელცარიელი.

პოსტსკრიპტუმად კი ამ ფრაზას მიაწერდა:

— ი. ჭავჭავაძის შესახებ ბროშურას გიგზავნი. არაფერია, კაცმა რომ სთქვას.

იგულისხმება ის წიგნაკი „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“, იმხანად მართლაც ხელიდან ხელში რომ გადადიოდა და მეტი სალაპარაკო აღარც აღარაფერი იქნებოდა, რაკიღა გაოგნებული ჩასცქეროდა მის თვითეულ სტრიქონს ყველა: განაფული მკითხველებიც და წერა-კითხვის ძლივძლიობით მცოდნენიც, მაგრამ ამას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ!

„ბანკობიადას“ ნაყოფი აღმოჩნდებოდა ეს წიგნაკიც, ივანე მაჩაბლის მიერ შეთხზული თუ მისი სახელით გავრცელებული, ილია ჭავჭავაძის მორალურ განადგურებას რომ ისახავდა, თუმც უზომო მონდომებისა და გადაჭარბების გამოისობით თვითონ მაჩაბელს შემოუბრუნდებოდა საბედისწეროდ, რაკიღა ძალიან ბევრი ილიას მოწინააღმდეგეთაგანაც კი — არამცთუ ცნობისმოყვარენი თუ გარედან მაცქერალნი — აღშფოთდებოდა, ვანოს ეს აღარ უნდა ეკადრა, ერთიანად არ უნდა გადაეხაზა ილიას მოღვაწეობა, თითქოს სასიკეთო არასოდეს და არცერთ სარბიელზე არ მოეპოვებინოსო.

ასე წააგებდა საბანკო არჩევნებს უკვე დირექტორად გამზადებული ივანე მაჩაბელი.

თუმც მანამდე ვინ დაუფარავი სიხარულით ატრიალებდა ამ წიგნაკს ხელში, ვინ — ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული, ვაითუ წყალგაუვალი ფაქტები და არგუმენტებია მოხმობილი და წაგვიხდეს ამაღლებული შეხედულება ილიაზეო.

ეგნატეც მათ შორის გახლდათ, „ვაითუო", გული მასაც რომ შეუკანკალდებოდა.

და ნეტა თედოც შეფიქრიანებულიყო თუ აინუნშიც არ ჩააგდებდა, ილიას ვერც შეარყევენო?!

ასეა თუ ისე, ეგნატე უკვე ჯავარზე მოსულიყო წიგნაკის ჩაკითხვისას და თედოს წინასწარვე ამცნობდა: არაფერიაო...

ოდნავადაც არაფერი, თორემ გულის სიღრმეშიც რომ ასჭიატებოდა დაეჭვებისმაგვარი, ასე გულარხეინადაც ვერ იქნებოდა.

28 აპრილს შესჩივლებდა: ახალი მოთხრობის დასაწერად აქ სადღა მექნება დროო. ერთი-ორი დღე კიდევ და... ისეთი მუშაობა დაიწყებოდა, ეგნატეს ვაითუ ჭამისთვისაც ველარ მოეცალა, არამცთუ საწერად. მაგრამ ის უხარებდა გულს, რომ თედოს კი ექნებოდა საიმისო დრო, რამე გადმოეთარგმნა ფრანგულიდან.

მოსაზრებას გაუზიარებდა: კარგი იქნება ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელსა" და „ტარასკონის ნავთსაყუდელს" მოჰკიდო ხელიო. და მეტად საგულისხმო რჩევასაც დასძენდა:

— მხოლოდ ეს კი უნდა ეცადო, რომ ოხუნჯური კილო და ფერი არ დაეკარგოს გადმოთარგმნის დროს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამბობენ, სატირულ ნაწარმოებს ძლიერ იშვიათად შერჩება გადმოთარგმნის დროს ფერი და გემოო.

მოაკლებ თარგმანს ორიგინალისეულ ოხუნჯურ კილოსა და ფერს და... ხელთ აღარაფერი შეგრჩება, არამცთუ შესანიშნავი სატირული თხზულება. და მერე უკვირს მკითხველს, რატომაა ეს წიგნი ასერიგად აღიარებული თავის სამშობლოში, თითქოს მთლად ცუდიც არ არის, მაგრამ რაღაც მთავარი აკლია, გულს ოდნავადაც ვერ მიტოკებს თხრობაო.

ისე, თითქოს ეს რჩევა მოესმინოს ივანე მაჭავარიანს, ალფონს დოდეს ამ რომანს მარჯვედ რომ შეუნარჩუნებდა ოხუნ-

ჯურ კილოსა და ფერს და ქართული „ტარტარენ ტარასკონელის“ სახით ჩინებული სატირული ქმნილების მოწმეს გახდიდა მკითხველს. თუმც იმას ვის რა რჩევის მოსმენა სჭირდებოდა, ყოველთვისაც ზუსტად აგნებდა დედნისეულ განწყობილებასა და სტილისტიკას და შესაფერის ენობრივ და სტილურ სამოსელშიც ხვევდა.

სატირულ ნაწარმოებს ძლიერ იშვიათად შერჩება გადმოთარგმნის დროს ფერი და გემოო...

ივანე მაჭავარიანისეული „ტარტარენ ტარასკონელი“ სწორედ ამ ძლიერ იშვიათთა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს.

ასევე ძლიერ იშვიათთა შორისაა სამუდამოდ ალფონს დოდეს ამ რომანის შთამაგონებლის — მიგელ დე სერვანტეს-საავედრას განთქმული „დონ კიხოტის“ — ქართული ვერსიაც: ნიკო ავალიშვილის დიდებული მთარგმნელობითი ხელოვნების წყალობით, იუმორის კასკადიც რომ ტრიალებს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, გარდა დრამატულ პასაჟთა მონაცვლეობისა, ენობრივი ხატოვანებისა და დახვეწილობისა.

თუკი ალფონს დოდეს ამ რომანს არ მოინდომებდა თედო, აგერ თუნდ ემილ ზოლა მოესინჯა. მთავარია, რაიმე ეთარგმნა და ეგნატესათვის წინდაწინვე შეეტყობინებინა. იმას უნდოდა, გუნებაში თავისი დალოცვა მიედევნებინა — განა რამდენი გეგულებოდა გარშემო ლიტერატურისათვის ასერიგად თავშეწირული კაცი, დასავლეთთან რომ უნდა დავეახლოებინეთ და იმ ორბიტაში მოვექციეთ, რუსეთს საიდანაც მოვეწყვიტეთ და არ გვანებებდა უშუალოდ ვზიარებოდით იმ სულიერ და კულტურულ მონაპოვარს — მხოლოდ რუსულ საცერში გავლილს, მხოლოდ რუსულ პრიზმაში არეკლილს თუ გავეხახუნებოდით იმ სულიერად თვალშეუდგამ სამყაროს. და, აბა, ეს სადაურიღა დასავლეთი იყო?!

აუცილებლად უნდა გარღვეულიყო ეს ჩამოხუფული სივრცე. ალაგ-ალაგ ნაჩვრეტების დაჩნევა კი არა, პირწმინდად უნდა მორღვეულიყო. და თედო სახოკია, მოპასანით, ვოლტერითა და ჰიუგოთი რომ მისტანებოდა გულისგამყინავად აღმართულ კედლებს, დოდეც ძალიან წამოგეშველება ამ გზაზეო, ეგ-

ნატე ურჩევდა. ზოლა ყოფილიყო თუ გინდა, მთავარია, არ შეჩერებულიყო.

18 მაისს ბარათისათვის მადლობას მოახსენებდა:

— შენი წერილი ისეთი იყო, როგორიც მე მიყვარს — შინაარსიანი.

დაჟინებით უმეორებდა თედო, რამე დაწერეო?

ასეთ გარემოში რა დავწეროო, — თავისას შესჩიოდა ეგნატე, — ათასნაირი გარყვნილი ხალხით სავსე სამიკიტნოს ბუდესავით აკრული ერთიბეწო ოთახი, იატაკი — დამპალი და ოღროჩოღრო, უხეირო ჭერს თავს აარტყამდი, ფანჯარა — ხელისგულისოდენა, სამიკიტნოსაგან ამ კუბო-ოთახს აშორებდა კარდონივით თხელი ფიცრის კედელი და დუქნიდან ისე შედიოდა მთვრალების ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალმაყალი, თითქოს აქ არიანო... ჯერ სიცხეები არც დაწყებულიყო და უკვე სული შეგეხუთებოდა და... რაღა იქნებოდა შემდეგ?!

—ახლა მოდი და თან იმუშავე და თან წერე ამისთანა მდგომარეობაში! შეიძლება? არ ვფიქრობ.

თედოს რომ შეეტყობინებინა, — რაღაც აკროსტიხს გიგზავნიო, — ამას არაფერი მიეღო და...

გერასიმეს ჩააბარებდა: თედო, თვალყური გეჭიროს, კარგი დარიგება მიეცი, იცოდე, რომ მასში ნიჭი და ძალაა. მხოლოდ გზაზე დაყენება, ხელის მომართვა უნდაო.

— აბა შენ იცი, შენებურად ურჩიე რამე.

1893 წლის 19 აპრილს ერთ თუმანს სთხოვდა, შინ გამომიგზავნე, მამაჩემთანო.

— ვიცი, რომ ჩემი სიკეთისა არ იყვეს, ფული არ აბადია. მაგრამ, ამ დროებით, ვფიქრობ, არ გაგიჭირდება ერთი თუმნის სესხება. სრული იმედი მაქვს, ამ მოკლე დროის განმავლობაში გადაგიხადოთ.

თედოს ფული რომ არ ექნება, ეგნატეს ეჭვიც არ ეპარება, ამიტომაც სთხოვს: ისესხეო, — და სესხება კი რომ არ გაუძნელდება, ესეც ყველას მოეხსენება, რადგანაც ჯერ შემთხვევა არა ყოფილა და არც არასოდეს იქნება, რომ სესხი დროულად არ დააბრუნოს.

ამ თითქოსდა წვრილმანში ხელშესახებად აირეკლება თედოს ბუნებაც და ცხოვრების წესიც: თვითონ არასმქონემ სხვებს უნდა უშოვოს ფული, გასაჭირში ჩავარდნილ ამდენ ადამიანს, ყველა მისი საპატრონო რომ გამხდარა.

ეგნატესადმი მიძღვნილ ესეიში, რა გასაკვირია, ეს დეტალები არ შევიდოდა, თუ რარიგ ზრუნავდა თედო გაწამებულ და სასიკვდილოდ გადადებულ მწერალზე, თვითონ იმისი პიროვნული ხასიათის სიღრმეში ჩაწვდომას ესწრაფოდა ამ ესეით, იმ ცხოვრების წესის აღდგენას, ეგნატეს რომ რგებოდა ბედად, და საბოლოოდ ისეთ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს გამოკვეთდა, ძალიან რომ წაადგება ბიოგრაფოსს რომანის სიუჟეტის გასაშლელად.

საგულისხმოა, რომ „ჩემი საუკუნის ადამიანების“ ციკლში ეს ყველაზე ვრცელი ნიმუშია ვასილ ბარნოვისა და მარჯორი უორდროპისადმი მიძღვნილ ესეებთან ერთად. მარჯორისადმი მიძღვნილ პორტრეტს თუ ვრცელი ჩანართიც გაზრდიდა, ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობას თავით ბოლომდე რომ გადაიტანდა ესეის ქარგაში, ეს ორი მემუარისტული ყაიდის ქმნილება — ვასილ ბარნოვსა და ეგნატე ნინოშვილზე — ერთიანად პირად ურთიერთობათა ანარეკლია, უშუალო დაკვირვება-შთაბეჭდილებებსა და დოკუმენტურ (ეპისტოლურ) ამონარიდებზე დაყრდნობილი, და ეს კი ნიშნავს, რომ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური მასალა ამ ორ შემთხვევაში გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე, ვთქვათ, შიო არაგვისპირელთან დაკავშირებით, სხვა ესეებს რომ აჭარბებს მოცულობით,მაგრამ ეგნატე ნინოშვილისა და ვასილ ბარნოვის პორტრეტებთან შედარებით ნაკლებ ესეისტურ სივრცეშია ჩატეული.

იმისი პიროვნული ხასიათის სიღრმეში ჩაწვდომას ესწრაფოდაო...

თუნდ აგერ თოფისწამალივით აფეთქება რომ სჩვეოდა ეგნატეს და თანაც ვინმეს მოერიდებოდა, თუ რა!.. სადაც შემთხვევა მიეცემოდა, სულ იმას რომ ცდილობდა, დამჩაგვრელი ემხილებინა და დაჩაგრულისათვის ქომაგობა გაეწია, ამაგი დაედო. თავისი პირდაპირობისათვის კი უმრავლესობისაგან დაუმ-

სახურებელი სახელიც რომ დაემსახურებინა: გადარეულია, გიჟია! ქვეყანა ვის გაუსწორებია, რომ ახლა ამან გაასწოროსო?! და ისედაც აშლილ ნერვებს ასეთი ხმებით კიდევ უფრო უფუტკნიდნენ.

თავისი მოსიყვარულე გულის წყალობით ეგნატეს ძალიან მალე რომ სჩვეოდა კაცთან დაახლოება-დამეგობრება:

— თუ თვალში მოუვიდოდით, გადაგიშლიდათ მთელ თავის გულს და შიგ ჩაგახედებდათ.

ასე გადაეშალა მთელი თავისი გული თედოსთვისაც, რაკიღა თვალში მოსვლოდა, და ისიც შიგ რომ იხედებოდა, დიდი სიფაქიზით უკვირდებოდა და ჩასდევდა მის ხვეულებს, ნელ-ნელა ფურცლავდა და ისიგრძეგანებდა ამ პიროვნულ ბუნებას, ცხოვრებიდან ამოღებული სურათებით, თავისი სინამდვილითა და რეალიზმით თანაბრად რომ აუტოკა გული მუშასაც, გლეხსაც და ინტელიგენტსაც.

ისიც რომ სჩვეოდა, სულ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო მიზეზიც რომ კმაროდა მისთვის, რათა თვისი მეგობრობა და სიყვარული ეგმო ერთი წუთის განმავლობაში და მოსისხლე მტერივით გადაგკიდებოდათ?

ასეთი ერთბაშად მონაცვლეობა ერთი პოლუსიდან მეორისაკენ...

ის ადამიანი, ვინც მისთვის გენიოსიც გახლდათ, ყოველგვარი პატიოსნებით აღსავსეც, ნიჭითა და ზნეობითაც შემკული, მეორე წუთს შესაძლოა იდიოტიც გამხდარიყო, უპატიოსნოც, უნიჭოც, ნაცარქექიაც, ერთი სიტყვით, ყოველგვარ ღირსებას მოკლებულ კაცად გადაქცეულიყო.

ფსიქოლოგიური დაკვირვება ფსიქოლოგიურ დაკვირვებად და საგულისხმო ამჯერად ისიცაა, თედოსთან ურთიერთობისას ეს სულ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო მიზეზიც არსად გამკრთალა და გული ამიტომაც არასოდეს აჰყრია მასზე.

და კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შეუძლებელია თედოს გამორჩენოდა:

— რევოლვერი სულ მუდამ თან დაჰქონდა ჯიბით, თუმცა მაგალითი არა ყოფილა, რომ როდისმე ვისთვისმე ესროლა.

ეტყობა, გულს იმაგრებდა, იარაღს რომ დაატარებდა, უფრო დაჯერებულად გრძნობდა თავს, რომ შეურაცხმყოფელს არ აპატიებდა და ადვილადაც ვერავინ შეჰბედავდა... ნეტა აუცილებელი რომ გამხდარიყო, გაისროდა? როგორც ჩანს, სპირიდონ მცირიშვილში საკუთარ თავს გულისხმობდა, მოძალადისათვის არაფრის შერჩენას რომ არ აპირებდა, და არც ციმბირს შეუშინდებოდა, იმასავით რომ დაადგებოდა ჯერაც აბოლილი რევოლვერით თავს ჩვენი დროის რაინდს, მიწაზე გაშოტილს, და: მე მოვკალიო, — საქვეყნოდაც იძახებდა.

და კიდევ ესეც:

თუნდაც ჩვეულებრივი ლაპარაკის დროსაც არავის გაირევდა ისეთს, ვინც ოდნავ მაინც არ მოსწონდა. ზესტაფონის რკინიგზის სადგურზე გამოსულიც დაავლებდა ხელს ახლო მეგობრებს, გაიხმობდა ცალკე და ისე იწყებდა მათთან ხშირად სულ ცუდუბრალო საუბარსაც.

თედოს ვერ აეხსნა, რატომ უნდა ეთქვა უარი „ივერიას“ ამ მოთხრობის — „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ — გამოქვეყნებაზე, მითუმეტეს, ეგნატე შენუკვოდათ: ძალიან მიჭირს, თუ მოგეწონებათ, დამიბეჭდეთ და ხვედრი ფული მალე მომაშველეთო, — და დიდად გულნატკენ და აღშფოთებულ მწერალს იძულებულს გახდიდნენ, „კვალში“ მიეტანა და სასყიდლით გამოექვეყნებინა.

1893 წლის გაზაფხულამდე დედაქალაქში რომ დარჩებოდა, ავადმყოფობა საბოლოოდ მიატოვებინებდა აქაურობას და ჯერ ბათუმს რომ შეეკედლებოდა, მერე ჩოჩხათს დაუბრუნდებოდა, რათა იქ ამოხდომოდა ტანჯული სული.

აქაც განმეორდებოდა ის, რაც ასე მწარედ დააჩნდებოდა ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეს და ტრაგიკომიკურ ელფერს სძენდა: სიცოცხლეში გაწამების მეტს რომ ვერაფერს ეღირსებოდა ქვეყნისათვის გადაგებული კაცი და, სამაგიეროდ, დასაფლავება უნდა ყოფილიყო სანატრელი, საშურველი და ყოვლადის ბრწყინვალებით მოსილი. და საგულისხმო ის იყო, რომ დასაფლავების ამ დიდებულ სანახაობაში ხელოვნურობის მისხალიც არ ერია. მერე და მერე ესეც მოხდებოდა და

დაკრძალვის ცერემონიას პომპეზურობისათვის უფრო დაისაჭიროებდნენ, ვიდრე წრფელი დატირებისათვის, მაგრამ ჯერ ასე ძალიანაც არ ამღვრეულიყო სამგლოვიარო მსვლელობა.

და აგერ ამჯერადაც — აგერ თვით თედო ირწმუნება — ყველასა და ყოველივეს, ვინც და რაც კი უკავშირდებოდა ამ დასაფლავებას, უდიდესი გულწრფელობა და ბუნებრიობა ახასიათებდა. ყველა მისტიროდა, ყველა ვიშვიშებდა მის განშორებას და ამ ტირილსა და ვიშვიშობას კნინი ნაძალადეობის, კნინი ხელოვნურობისა და მოჩვენებითობისა არა ეტყობოდა რა, მასთან საუკუნო გამოთხოვება არავის კარნახით, გინდა ბრძანებით არ მოწყობილიყო.

თბილისიდან ჩამოვიდოდნენ ყველა რედაქციის წარმომადგენელნი და ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდანაც შეუერთდებოდნენ ეგნატეს პატივისმცემელნი, ერთი გრძნობითა და სურვილით განმსჭვალულნი — ამით მაინც გადაეხადათ მისთვის ის, რაც სიცოცხლეში დააკლეს... გამოგზავნილ გვირგვინებსა და ყვავილებს ხომ თვლა აღარც ექნებოდა...

— შიშველი დაბადებული შიშველივე მიდიოდა საფლავში, რომლისთვის სხვა ბედნიერება არ არსებობდა, თუ არა ბედნიერება თავისი ხალხისა, ტვირთმძიმე და მაშვრალისა...

ჩვენებური სოფლის გზით წაასვენებდნენ სასაფლაოზე.

9 მაისი იდგებოდა და გაზაფხულის სუნი იქნებოდა მიმობნეული უხვად.

ნელთბილი მზის ალერსიან მზერას გრძნობდნენ, მოკრძალებით რომ ატანდა მჭელეულებს ხშირ მცენარეთა ფოთლებში და პროცესიის მონაწილეთ ეგონათ, თანაგვიგრძნობს და იზიარებს ჩვენს საერთო გლოვასო.

გარემოს ფრინველთა ჭიკჭიკი ახმიანებდა.

ივანე ახალშენიშვილი სახელდახელოდ შეადგენდა იმპროვიზებულ გუნდს ქართლ-კახურ კილოზე მგალობელთა და ამ გალობით მიუძღვებოდნენ მიცვალებულს.

სამარეში ჩასვენებისას მრავალი აღმოჩნდებოდა სიტყვის მთქმელი, ოღონდ თედოც — ისევე, როგორც სხვანი — გამოარჩევდნენ გიორგი წერეთლის სიტყვას, სადაც საგანგებოდ

გაისმოდა, რომ განსვენებული, გარდა იმისა, რომ იყო ამსახველი დაბეჩავებული გლეხის ძაღლუმადური ცხოვრებისა ისეთი ხერხით, როგორითაც აქამდე იშვიათად თუ მოუხერხებია ვინმეს ქართველთაგან, გახლდათ საძირკვლის ჩამყრელიც იმ დასისა და იმ წრისა, რომელიც შემდგომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად უნდა გადაქცეულიყო; და დღეს მისი მესვეურნი მისი საფლავის გარშემო შემოკრებილიყვნენ მესამე დასის სახელით, — იმ მესამე დასისა, რომელიც უნდა ქცეულიყო მოწინავე მოძრაობის გამომხატველად და შეეტანა შეგნება პროლეტარიატის მოსისხლე მტრის — კაპიტალიზმის — წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებისა და უნდა ექადაგა საერთო ძმობა, ერთობა და სიყვარული.

მიამიტობა და ასეთი!..

ვინ-ვინ და გიორგი წერეთელი ვერ იფიქრებდა, ვერ განჭვრეტდა ვერაფრისდიდებით, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა სინამდვილეში სწორედაც ძმობის, ერთობისა და სიყვარულის წინააღმდეგ მოწოდებულიყო, თორემ საქართველოში არარსებული პროლეტარიატის გათავისუფლებას რომ ესწრაფოდა არარსებული კაპიტალისტებისაგან, ეს კიდევ სხვა უბედურება გახლდათ, ტრაგიკომიკურობის მწვერვალი!..

ეგნატე ნინოშვილის სახელს რომ ეტმასნებოდნენ პარტიად გაფორმებისას, ნიღბადაც ირგებდნენ და დროშადაც აფრიალებდნენ მის თსზულებებს!..

და ნიშნსაც უგებდნენ ეროვნულ მოღვაწეებს: თქვენი ილია, ჩვენი ეგნატეო!..

ესეი ასე თუ დასრულდებოდა, რომ: ასეთი სიტყვები პირველად ესმოდა გურულ გლეხობას და მისმა სასიამოვნო გაოცებამ უმეტესად იმატა. ყველას საკვირლად ჰქონდა, რომ მათი წიაღიდან ასეთი მეზობელი გამოსულა და იმათ კი დღემდე არაფერი იცოდნენ და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაიგეს მისი არსებობა და მნიშვნელობა.

მაგრამ რომ არა ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის სისასტიკის ხანა — 1935 წელი, თედო აუცილებლად აღნიშნავდა, რაც უმცროსი მეგობრებისათვის უთქვამს და რაც ისედაც ად-

ვილი მისახვედრია, რომ ასე ეფიქრა და რაც უსათუოდ ასე მოხდებოდა, ეგნატე ნინოშვილს რომ დასცლოდა და წიწამურის ტრაგედიას მოსწრებოდა.

იგი ისევე განუდგებოდა ძველ თანამებრძოლებსა და მის მოთაყვანეთ, როგორც იროდიონ ევდოშვილმა გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი სოციალ-დემოკრატებთან: რაც უნდა მემუქროთ, თქვენთან რაღა გამაჩერებს, ილიას სისხლში გაქვთ გასვრილი ხელებიო!..

სწორედ ამგვარი პიროვნული ხასიათი წარმოდგება ამ ლიტერატურული პორტრეტის მიხედვით.

პორტრეტისა, თავისებური გასაღები რომ არის ეგნატე ნინოშვილის სულსა და მხატვრულ წარმოსახვებში შესაღწევად.

და ვინც მისი ცხოვრების ქრონიკის შედგენას მოიწადინებს, გზამკვლევი აგერ ხელთა აქვს — სანდო, უტყუარი, საგულისხმო ნიუანსებით სავსე, თედოს ამ ესეის მათი პირადი წერილებითაც რომ შეავსებს.

და ვახტანგ ჭელიძესაც თედო სახოკიას მიერ წარმოსახული პორტრეტი ეგულებოდა მაშველად, თვითონ იმასაც კოლორიტული შტრიხებით რომ შემოიყვანდა თხრობაში.

ჯერჯერობით ვერ ელირსებოდა თედო ეგნატე ნინოშვილის ცხოვრების ქრონიკაში გაპერსონაჟებას?

სამაგიეროდ, ვასილ ბარნოვისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში გამოჩნდებოდა პერსონაჟად — ოთარ ჩხეიძე შემოხაზავდა მის პორტრეტსაც კანთიელი ფერებით, „მიმქრალი შარავანდედის“ შემოქმედს დიდ საყრდენად რომ ეგულებოდა უმცროსი მეგობარი და თავისი სიცოცხლის დაისის მანუგეშებლად.

მსოფლიო ომს რევოლუცია რომ მიემატებოდა და რევოლუციებს სამოქალაქო ომებიც წაემატებოდა, მასწავლებლის ბედის წყარო ეგრე დაშრებოდა და დაიწრიტებოდა, ყლუპიც აღარ იქნებოდა. კერძო გაკვეთილებიც ბევრს აღარაფერს იძლეოდა და ვასილ ბარნოვი სესხს რომ აიღებდა, მერე მეგობრებს ეხვეწებოდა, თამასუქები გადაავადებინეთ, სარგებელი მაინც როგორმე დამაფარინეთ, რაიმე უთხარით, როგორმე დამიშოშმინეთო.

თვალსაჩინოებისათვის ამ ერთიბეწო ბარათს მოიხმობდა ბიოგრაფოსი:

— ძ. თედო! აი კიკნაძის კაცი მოვიდა ანგარიშით და ეგებ როგორმე შეაცდევინო, პასუხი რაიმე მიეცი, ცოტახნობით დააშოშმინე...

და კიდევ ამას:

— ძ. თედო, აი გიტოვებ ვექსილს: ხელი მოაწერე; პართენმა უბრძანა, ის ვალი კიდევ სამი თვით მადროვონ. ხვალ შევიტან ამ თამასუქს...

იმ პირველს არავითარი თარიღი არ წასწეროდა, მეორეს — მხოლოდ 1 თებერვალი. სხვათა შორის, იქ ესეც აღნიშნულიყო: შიო შემხვდა „წერა-კითხვაში“ და მითხრა: თედომ ჩემსას შემოიაროსო, — მაგრამ ეს ფრაზა აღარ დასჭირვებოდა ოთარ ჩხეიძეს, ისევე როგორც სხვა ამონარიდები თუ ნაკუწები.

ეს თუნდაც 1920 წლის 27 ივლისს ორიოდე დღით რომ ესესხება („მათხოვე“) ას თუმანს ან ორასს: ძალიან არა მაქვსო.

ანდა ეს, 1925 წლის 29 თიბათვეს 5 მანეთის შოვნას რომ ავალებს „ზეგამდინ“.

იქ კიდევ — 1920 წელს რომ ავალებს: „ამქრის მშვენების“ დაბეჭდილი ფურცელი მიაწოდე იოსებ გრიშაშვილს „სახალხოს“ რედაქციაში. ხვალ წავა „შვიდ მნათობში“ და გადაწყვეტილ პასუხს მოგვიტანსო.

იმავე წელს ამასაც შეატყობინებდა: გუშინ რომ გითხარი, აი ავასრულე, მოვიტანე რვეული „ამქრის მშვენება“. იქ უიმედოდ იყვნენ, — ქაღალდი არ არისო. აბა თუ რასმე მოახერხებ, შენ იცი. მინიმალური ფასი ამ წიგნისა 50 მანეთი იქნება. „წერა-კითხვა“ გვაძლევს 15 პროცენტს, ორი ათასზე შედგება 15 000 მანეთი; მესამედი რომ ახლა მომცეს, ანუ 5 000 მანეთი, მივცემ უფლებას, მაგრამ, რასაკვირველია, ნახევარი ემჯობინებოდაო.

აგერ პირობის წერილსაც დაწერდა, თუკი ეშხი ჰქონდა... და სთხოვდა, თუ თედო მოახერხებდა, ღვინო დაელიათ ერთად.

— შავს ისევ წავიღებ, ეს თეთრი აქ იყოს. თუ მაგასთან არ მოხერხდა, ეგებ სხვას მივყიდოთ.

აბა, თუ რასმე მოახერხებ, შენ იციო...

და ეს მაშინ, როდესაც გამომცემელნი უიმედოდ არიან: ქაღალდი არ არისო.

1922 წლის 27 მაისს მეუღლის ავადმყოფობას ამცნობდა: ციებაა მეგონა და შავი სახადი ყოფილაო, და სთხოვდა:

— ამოიარე!

იმ დაუთარიღებელ ბარათში კი შეატყობინებდა, რომ მწერალთა კავშირს აღეთქვა შველა ბინის თაობაზე. პაოლო იაშვილს დაეძებდა, მაგრამ ვერ ეპოვნა და იქაური მდივანი დაჰპირებოდა: ხვალ ვაცნობებ, რომ შენი ბინა შეუხებელიაო. ტელეფონოგრამით თუ შეატყობინებდა მდივანი: კომისარიატის საბინაო კომიტეტს, მილიციის სამმართველოს, ქალაქის სამმართველოს და უმთავრეს სამეულის კომიტეტს... ეს ყოველივე თედოს უნდა ეცნობებინა მასწავლებელთა კავშირისათვის და იმას მიეღო ასეთი ან სხვა ზომები, თორემ:

— ყველას შეგვეხებიან, თუ გაუმარჯვდათ.

კარგი იქნებოდა, თუ რევკომის თუნდ მდივანი აცნობებდათ: შეიცადეთო.

ეს უნდა ეთქვა თედოს, რათა ვასილ ბარნოვის ბინაში არავინ ჩაესახლებინათ, ვიდრე გამოირკვეოდა საქმე მისი განცხადების გამო.

ეს სად ჩავარდნილიყო ვასილ ბარნოვი, გაწამაწიას რომ საშველი არა და არ ადგებოდა!

— მე დღეს ვირბინე ამაზედ და ხვალაც დილიდანვე შევუდგები. მოტეხილს მოსტეხიანო...

ფრაზა არც კი მთავრდებოდა.

1929 წელი რომ მოატანდა, მეგობრები შეუჩნდებოდნენ, მათ შორის თედოც, რასაკვირველია: 50 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაიხადეო. ათი წლის წინათ ასევე რომ შეუჩნდებოდნენ და დაიყაბულებდნენ, ახლა ვერა, ვეღარ დაითანხმებდნენ, თუმც დაბეჯითებით უმეორებდნენ: სულიერადაც გაგამხნევებს და ნივთიერადაც წამოგეშველებაო, — მაგრამ ვასილს ეს პასუხი შეეგებებინა და აღარც გადათქვამდა: სულიერი მხნეობა, ათას წელსაც რომ ვიცოცხლო, მეყოფა, მარადისობისათვის ათასი წელიც მხოლოდ წამია და წამის მხნეობა ყოველთვის მექნებაო.

თუ ისინიც თავისას არ დაიშლიდნენ, აგერ „წოდებული“ წაეღოთ, მოთხრობა შემოქმედის ტრაგედიაზე, დაებეჭდათ და ის იქნებოდა ვასილ ბარნოვის იუბილე.

კიდეც წარუდგენდნენ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიას ამ მოთხრობას თედო სახოკია და ალექსანდრე აბაშელი, შეავედრებდნენ, შეეხვეწებოდნენ, ჭირს მოსჭამდნენ და დაიყოლიებდნენ: დავბეჭდავთო.

განა რა სჭირდა შესახვეწ-შესავედრებელი ვასილ ბარნოვის მოთხრობას?!

ხომ უკვე ხელშესახებად წარმოისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა, სადაც სრულიად ზედმეტია ამ ყაიდისა და რანგის მწერალი, მხოლოდ სამადლოდ რომ უნდა მოითმინონ მისი არსებობა და ძაღლუმადურად უბეჭდონ.

რაც იყო და როგორც იყო, ის ორნიც გაიხარებდნენ და ამასაც გაახარებდნენ.

პუბლიკაციას სათაურთან ვარსკვლავი მიეტყუპებოდა, რათა სქოლიოში ეს განმარტება დართოდა: „იბეჭდება დამსახურებული მწერლის, ვასილ ბარნოვის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო“.

და პირველივე ფრაზას რომ წაიკითხავდა ვასილი, პირკატა ეცემოდა და შეშფოთებულს ძლივძლიობით დააწყნარებდნენ.

თვითონ ასე დაეწერა:

— ძლიერ მდინარეს ლაღად მოეგრკალა ტყით მოსილი სიმაღლე.

ჟურნალში კი „მოეგრკალა“-დან „გრ“-ს ამოგდებით სიტყვაც დამახინჯებულიყო და ფრაზაც, არაბარნოვულად რომ გაისმოდა:

— ძლიერ მდინარეს ლაღად მოეკალა ტყით მოსილი სიმაღლე.

ვითომ კორექტორის დაუდევრობის ბრალი იყო?

ჩაჰყვებოდა, ჩაჰყვებოდა ბოლომდე და... აღმოჩნდებოდა, რომ ვიღაცას პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე მართლაც მ ო ე კ ა - ლ ა მთელი თხზულება, დაეგონჯებინა და გაეუსუსურებინა, დიდი ვნებანი კი სასაცილოდღა გადაქცეულიყო, რაკილა ორიგინალური და ექსპრესიული სტილური მანერის ასეთი ცვლილებით არსი და სული გამოსცლოდა „წოდებულს“.

— ეს ჯალათობაა! ჯალათობა!.. — იმეორებდა გულმოკლული და გაფიცხებული ბერიკაცი.

და კიდეც სასწრაფოდ უხმობდნენ თედოს: თუ დაამშვიდებს, ისევ ის დაამშვიდებსო. ჟურნალიც იმას მოეტანა და არც ამჯერად დააყოვნებდა მოსვლას, არც თბილ სიტყვებს მოისაკლისებდა, ახალ ანეკდოტებსაც მოიტანდა, მოსწონებოდა და იცინოდა თავისივე მონაყოლზე, მაგრამ ღიმსაც ვერ მოჰგვრიდა ვასილს, შეშფოთებასაც ვერ გაუნელებდა.

სამაგიეროდ, თვითონ გამოელეოდა ის საგანგებოდ მოგვრილი ხალისი, იმ „მოკალვის“ ბურდოში გამოეხვეოდა და ისეთ ბოლთას მორთავდა, ძაგძაგს დაიწყებდა იატაკი და აკანკალდებოდა კედლებიც.

უშუალოდ ეს სურათი ოთარ ჩხეიძის მხატვრული წარმოსახვის ნაყოფია — რამდენადაც იცნობდა თედო სახოკიას, მის ენერგიასა და სიფიცხეს, მის დაუოკებლობასა და მღელვარებას, სწორედ ეს განწყობილება მოუხდებოდა, იატაკი რომ ძაგძაგს იწყებს და კედლები — კანკალს.

ორიოდ დეტალით რაოდენ შთამბეჭდავი ხასიათი წარმოდგება!

ის ხასიათი, ოთარ ჩხეიძისა და ვახტანგ ჭელიძის გაცნობისას უკვე რომ აღარც ამჟღავნებდა, ხანში შესულიყო, გარეგნულად აღარც შეიტყობდა სიფიცხესა თუ დაუოკებლობას, მაგრამ ამღელვარება რომ სჩვეოდა დროდადრო, მწერლის მზერა ადვილად მიჰკვლევდა ამ მგზნებარებაში ხასიათის იმ თავისებურებას, ამდენი გასაჭირისა და ფათერაკის გადატანა რომ შეაძლებინა და თანაც იმდენის, სათავგადასავლო რომანის პერსონაჟი უფრო გეგონებოდა, ვიდრე ათასგვარ ფურცელში თავჩარგული მწიგნობარი, უჩვეულო გატაცებით რომ შეეძლო ეკირკიტა თვითეული სიტყვისა თუ ფრაზისათვის.

თავის მოგონებაში თედო ცოტა სხვაგვარად გვიამბობს ამ ეპიზოდს. შინ კი არ მიუკითხავს ვასილ ბარნოვისათვის, არამედ ის რუსთაველის გამზირზე შეხვედრია შემთხვევით და აღელვებულს შემოუჩივლია:

— ჩემო თედო, ვერ უყურებ ამ უღმერთოებს, რა უქნიათ ჩემი მოთხრობა „წოდებულისათვის“... მთელი სტრიქონები ამო-

უშლიათ და განა ერთგან და ორგან!.. მერე ისე, რომ ჩემთვის არაფერი უკითხავთ... ერთი, შენი სულის ჭირიმე, შემყევი რედაქციაში, იქნებ მითხრან, რად მიქნეს ასეთი საქმე!..

ბიოგრაფიულ რომანშიც შესაძლებელია, განა არა, ამგვარი ჩარევანი მემუარებსა თუ სხვა დოკუმენტურ წყაროებში — გასამკვეთრებლად, სიუჟეტის გასამძაფრებლად, კადრს მიღმა დარჩენილ არსებით გარემოებათა თუ ნიუანსთა წამოსაწევად.

ის, რაც შესაძლოა იგულისხმო, ბარემ ხელშესახებიც შეიქნეს, მთავარია, ხასიათთა და მოვლენათა შინაგანი ლოგიკა არამცთუ არ დაირღვეს, ოდნავადაც, სულ ოდნავადაც არაფერმა დააზიანოს.

თუმც ამჯერად მოსალოდნელია, რომ ოთარ ჩხეიძე ვითარებას აღადგენდეს არა თედო სახოკიას მემუარულ ჩანაწერზე დაყრდნობით, არამედ პირადი მონაყოლისა, თორემ უამისოდ მის მონათხრობში არ გაჩნდებოდა ის დეტალი, „წოდებული“ რედაქციაში თედო სახოკიამ და ალექსანდრე აბაშელმა რომ წაიღეს და ხვეწნაც დასჭირდათ, რათა მოთხრობას მზის სინათლე ენახა. მართალია, ასეთ მზის ნახვას სჯობდა, მწერლის არქივში ჩარჩენილიყო, მაგრამ რას წარმოიდგენდნენ, რომ ვინმე ვასილ ბარნოვის ნაწერებს ასე მკრეხელურად,ასე ბარბაროსულად მოექცეოდა. ასეთი რამ ხომ მანამდე არასოდეს მომხდარიყო!..

თუმც ნუ ავცდებით ამ დეტალს — შუამავალთა დასახელებას.

ეს რომ დანამდვილებით არ იცოდეს ბიოგრაფოსმა, არც არაფერში დასჭირდებოდა მისი აღნიშვნა. განა რა მნიშვნელობა აქვს, ვასილ ბარნოვმა მოთხრობა თვითონ წაიღო რედაქციაში თუ ვინმეს გაატანა, ანდა — თუ ვინმეს გაატანა, რა ამისთანა მნიშვნელოვანია მოთხრობის წაღება რედაქციაში, რომ ან თედო სახოკიას ბიოგრაფიას წაადგეს დიდ ღირსებად და ან ალექსანდრე აბაშელისას.

რა გამოსაგონებელი ეს არის, თუ მართლა არ მომხდარა და გინდა, ნიშანდობლივად და ზუსტად აღადგინო, თუ რა როგორ მოხდა.

არადა, ეს დეტალი არ არის აღნიშნული თედო სახოკიას ესეიში ვასილ ბარნოვზე, ამ ამბავს რომ გვიყვება. არ მიიჩნია

აუცილებლად, თუმც აგერ ახალგაზრდებთან საუბრისას ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ეს დეტალიც.

და ხომ შეიძლება მორიდებოდა გამკვეთრებასაც — თავისი წვლილის წარმოჩენას, იმთავითვე პროტესტის გამოსათქმელად რომ შეიმართა და მწერალთან ერთად მიადგა რედაქციას მწვავე საყვედურის სათქმელად?!

მოგონებისას ამჯობინა, შემთხვევითობისათვის უფრო მიეწერა ეს შეხლა რედაქციის მდივანთან, უშუალოდ ვისაც ჩაედინა ეს მკრეხელობა და არამცთუ არაფერს ინანებდა, თავსაც მოიწონებდა, რომ ვასილ ბარნოვის მოთხრობა მან და სწორედ მან მოაქცია ბოლშევიკურ-კომუნისტურ არტახებში და თანაც მიუთითა, ამიერიდან როგორ უნდა ეწერა, თუკი სურდა ანაქრონიზმად არა ქცეულიყო ლიტერატურის აღმავლობის ჟამს.

თითქოს რუსთაველის გამზირზე რომ არ გადაჰყროდა აკანკალებულ მწერალს, თვითონ არც მოაფიქრდებოდა პასუხის მოთხოვნა „წოდებულის" დამახინჯებისათვის.

არადა, მონაყოლი ცოტა უფრო სხვას ირწმუნებოდა და ოთარ ჩხეიძეც იმ გეზს გაჰყვებოდა, როდესაც პერსონაჟად გადაქცეულ თედოს ათქმევინებდა:

— პროტესტი უნდა განვაცხადოთ!..

ეს მას შემდეგ, მისი ბოლთის ცემისაგან იატაკი რომ აძაგძაგდებოდა და კედლებიც აკანკალდებოდა.

— ახლავე, ამ წუთში, — უნდა დაედასტურებინა მასპინძელსაც.

და იქ კი, რედაქციაში:

— რად ინებეთ და ამომიშალეთ ჩემი მოთხრობის სხვადასხვა ადგილები, — მისალმების შემდეგ უნდა ეთქვა ვასილ ბარნოვს მდივნისათვის და თან „მნათობის" ნომერი გაეწოდებინა, — მკითხავდით მაინცა, თქვე დალოცვილიშვილებო, მაშინ შეიძლება სულაც არ დამებეჭდა, სახვეწარი რა მქონდა?!

ჩახლეჩილი ხმა უკანკალებდა და, ცოტას იყო, თვალთაგან ცრემლიც არ წამოსცვენოდა. და თედოს ვეღარ გაეგო, მდივანმა ვერ იგრძნო, თუ რა ზომამდე აეღელვებინა მის კადნიერებას თანამოსაუბრე, ან იგრძნო, მაგრამ ანგარიში აღარ გაუწია მის მდგომარეობას, თავს კი ნება მისცა ბოდიშებისა და გაფუჭე-

ბული საქმის გამოსწორების მაგიერ, ცოტა არ იყოს, უხამსად მიემართა მწერლისათვის:

— რედაქციას, ბატონო ვასილ, თავისი წესები აქვს და ამ წესების ძალით შეუძლია ავტორების მიერ წარმოდგენილი მასალა შეასწოროს, ან მასალაში რაც ზედმეტად მიაჩნია, სულაც წაშალოს...

ვასილ ბარნოვს უკვე ლაპარაკიც გაუძნელდებოდა, ენა ჩაუვარდებოდა, და თედო ველარ მოითმენდა და ჩაერეოდა:

— ამ წესს ნუთუ ვასილ ბარნოვის ნაწერიც უნდა დაჰმორჩილდეს?!

— თუნდ ვასილ ბარნოვისაცა! — ცოტა არ იყოს, უკმეხად მიუგებდა პატივცემული რედაქციის არაპატივცემული მდივანი.

მწერალი გაფითრდებოდა, ხელები და ტუჩები აუკანკალდებოდა, კრინტს ველარ დაძრავდა. თედო სიკვდილს გაათავებდა, რომ წილად ხვდა, ასეთ სცენას შესწრებოდა და თან პირდაპირ თვალში ეცქირა თავისი უძლურებისათვის. ნანობდა, რომ პატივისცემა ვასილ ბარნოვისა, ვისაც ამ კრიტიკულ მომენტში თან ახლდა, ნებას არ აძლევდა მდივნისათვის შესაფერისი პასუხი გაეცა.

ორივეს წამოსვლის მეტი არა დარჩენოდა რა.

მიეშველებოდა ნახევრად დადამბლავებულ მოხუცს, ააყენებდა, მხარში შეუდგებოდა და გამოეცლებოდნენ ამ წამების ალაგს. გულამღვრეული რის წვალებით მიიყვანდა შინ.

ეს აღელვება დამართებდა მწერალს პარკინსონის ავადმყოფობას, რაც გამოიხატებოდა უმთავრესად და გარეგნულად კიდურებისა და ტუჩების კანკალში, და სიარულსაც პატარა ნაბიჯებითა და ფეხების თრევით დაიწყებდა.

ექიმები მძიმედ სცნობდნენ მის სნეულებას: შეიძლება ერთბაშად მოუვიდეს რამე, მაგრამ ისიც შეიძლება, ოთხ-ხუთ წელიწადს კიდევ გაძლოს, ოღონდ უნდა ეცადოთ, ერთიბეწო უსიამოვნო არაფერი შეხვდეს, თორემ ავადმყოფობა სწრაფად განვითარდება. კიდევ კარგი, რომ გონება სრულიად საღი და ხელუხლებელი შერჩენია, თორემ ასეთ ავადმყოფს უმეტეს შემთხვევაში თავიდანვე გონება ეკარგვისო.

უბრალოდ ჰყვება თედო სახოკია ამ საბედისწერო ეპიზოდს ვასილ ბარნოვის ცხოვრებიდან, განზოგადებასა და გასიმბოლოებას არ ესწრაფის, თუმც თვითონ ამბავი ძალდაუტანებლად განზოგადდება ბოლშევიკურ-კომუნისტური პოლიტიკური რეჟიმისა და ნამდვილი მწერლობის შეურიგებელ ჭიდილად, ვის ფიზიკურად რომ მოსპობდნენ და ვის — მორალურად. თითქოს ვასილ ბარნოვს არ განუცდია დევნა და რეპრესიები, მაგრამ რაც მის მოთხრობასა და თვითონ მას დამართეს, განა რეპრესიად არ წარმოდგება, სიბერე რომ გაუმწარეს და ნაადრევადაც და სულმოშხამულიც რომ მიიყვანეს სამარემდე?!

ოთარ ჩხეიძის თხრობაში სწორედ ეს განზოგადება გამოიკვეთებოდა, ეს გასიმბოლოება,მოკლე დიალოგი რედაქციის მდივანთან ბიოგრაფიულ რომანში რომ გაიშლებოდა, ქვეტექსტებიც ზემოთ ამოვიდოდა და კიდევ უფრო დაიმუხტებოდა, რათა მკითხველს მძაფრად ჩაჰბეჭდვოდა ცნობიერებაში ისედაც გულმოსაკლავი ამ სცენის პოლიტიკური სარჩული, ის ნამდვილი შინაარსი, რაც საცნაურია თედოს მონათხრობში, მაგრამ დაე, კიდევ უფრო გამკვეთრებულიყო აქცენტები.

ვინაობა დამხვდურისა არც რომანშია გაშიფრული, მხოლოდ აღნიშნულია, რომ: მწერალი არ გახლდათ, სხვა საქმეს განაგებდა, უფრო დიდ საქმეს და „მნათობზედაც" ედო ხელი. რა გასაკვირია, რომ სწორი ეგონა, რასაც აკეთებდა, შენიშვნებსაც არ იყო ჩვეული და ამიტომაც ძნელი იყო გადმოცემა, თუ რარიგ გაიოცებდა, ის ორნი თავს რომ წაადგებოდნენ და ერთდროულად ეტყოდნენ:

— პროტესტს ვაცხადებთ!..

იმას უფრო გაბედულნი რომ აღარც ეგულებოდა, ოთარ ჩხეიძე დასძენს, სხვაგვარი გაბედულება არც მოხერხდებოდა, თუ არა დონკიხოტურიო.

და სერვანტესული ალუზია-ასოციაციებით გაიჟღინთებოდა ერთბაშად თხრობა, თითქოსდა მართლაც დონ კიხოტივით და სანჩო პანსასავით რომ წასდგომოდნენ თავზე: ერთი — მაღალი, უკვე მხრებში მოხრილი, მაგრამ მაინც მაღალი, მეორე — დაბალი, გამხდარი, სუსტი, მაგრამ მაინც დაბალი. და ერთი

რომ უფრო გამხდარი, უფრო აწონწილი ყოფილიყო, და ისე სანდომიანი, დიდებული სახე არა ჰქონოდა, მეორეს კი ღაბაბი და ღიპი გამოჰბმოდა, ეგონებოდა,ნამდვილად ისინი მოსულან, საუკუნეები გადმოულახავთ, გამომცხადებიან შუბმომარჯვებულნი და პასუხსა მთხოვენო.

ამას ზარისკენაც კი უნდა წაუვიდეს ხელი, ვიდრე მწარედ გაელიმებოდეს და დაეხსნებოდეს ზარს.

ხოლო იმათ ისევ უნდა შესძახონ:

— პროტესტს ვაცხადებთ!..

მდივანს ზურგსუკან მილიცია ედგა, საიდუმლო სამსახური და ჯარი — ერთიმეორეზე მძვინვარე და ყალყზე შემდგარი, და ამ ყველაფრით გულმოცემული განა რას დაუთმობდა თუნდ საუკუნეთა გადმომლახველ დონ კიხოტსა და მის ერთგულ მეაბჯრეს.

— გაასწორეს... დაგეხმარნენ... მადლობა გეთქმით...

იქითაც რომ დაამადლებდა.

— გაასწორეს?!

— გაასწორეს!..

— რა გაასწორეს, „წოდებული“?!

— „წოდებული“...

— განა „წოდებულს“ გასწორება უნდოდა?!

— გასწორება ყველაფერს უნდა.

— მხატვრულ ქმნილებასაც?!

— ყველაფერს!

— და მერე სტილი?!

— რა არის სტილი?! სტილი ერთი იქნება, ერთი, საერთო, ერთ მტკიცე ნებაში მოქცეული.

— მაშინ ლიტერატურა...

— ამაღლება!

— რა აამაღლებს, თუ ერთია?! ამაღლება სტილთა მრავალფეროვნება იყო...

— და აღარ არის, წარსულს ჩაჰბარდა.

— ხელოვნება წარსული არასოდეს ყოფილა.

— რაც არ გამოგვადგება, წარსულია.

ასე გაიშლებოდა თედო სახოკიას ესეიში ორიოდ სტრიქონში ჩაწურული დიალოგი, რადგანაც ოთარ ჩხეიძე საკუთარ ფიქრსა და განცდასაც მიადევნებდა იმ სიტყვა-პასუხს, თავის წუხილსაც შეურევდა იმათ სადარდებელს, რადგანაც საკუთარ თავზე ეწვნია ყრუ კედლებივით შეუვალ რედაქტორთა სუსხიანი დახვედრა და იმ „ერთი, საერთო, ერთ მტკიცე ნებაში მოქცეული“ სტილის მოთხოვნა, ეს სტილთა მრავალ-ფეროვნების იდეითა და მრწამსით რომ უპირისპირდებოდა.

რომანში კი თედოს ფიცხელი პასუხი რომ უნდა მოადგეს ენაზე, ჯერ ვასილ ბარნოვს უნდა შეხედოს, ეგებ გამამხნევოსო, მაგრამ იმას აკი აღარაფრის თავი აღარ ექნებოდა — აღარც სიტყვის, აღარც დგომის, აღარც დაჯდომის...აკანკალდებოდა, სახეც მოერღვეოდა და ტუჩებიც, და თედოს სხვა რაღა დარჩენოდა, ხელი უნდა მოეხვია და კარისაკენ წაეყვანა.

— მოიცადეთ, მოგეშველებიან, — თითქოს რაღაც ადამიანურს გამოიჩენდა დამხვდური, მაგრამ თედოსათვის ეს ვითომდა თანაგრძნობა კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იქნებოდა და:

— გმადლობთ!..

მკაცრად მიუგებდა, ფეხს ჰკრავდა კარს, გავიდოდა და გაიყვანდა ვეება კაცს ტანმორჩილი კაცი, მაგრამ განრისხებულიყო და ძალაც ამიტომ მისცემოდა — მრისხანება ღონიერიაო, სმენოდა და აგერ საკუთარ თავზეც რომ გამოეცადა, ამ ფრთიან გამოთქმასაც დაურთავდა, იმ სურათს რომ აღუწერდა ოთარ ჩხეიძეს, გარეთ გამოსულნი ეტლს რომ მიუახლოვდებოდნენ, მაგრამ თედო მარტო ვეღარ ჩასვამდა ვასილს და მეეტლის შემოშველება დასჭირდებოდა. ამდენს ვეღარ გაუწვდებოდა მრისხანება.

და ახსოვდა, როგორ ითხოვდა ვასილი: ნელაო, — ეტლი ერთბაშად რომ აჩქარდებოდა, რათა დროზე მიეყვანათ შინ და ექიმიც გამოეძახებინათ. არადა: ნელაო, — ივედრებოდა ღვაწლმოსილი მწერალი და აფეთქებულ თვალებს რომ აცეცებდა გამზირის ყოველ კუნჭულს, იქ თედო მიუხვდებოდა და აქ — ოთარ ჩხეიძე: თითქოს გრძნობდა, მორჩა, აქეთ ჩავლა აღარ მიწერიაო.

მერე იქ კიდევ უნდა შემოსულიყო თხრობაში თედო, ვასილ ბარნოვი აღუდღუდებულ ბუხარს რომ მისჯდომია, განაბულა და გაჰყურებია ბებერი ძვლები... სიყმაწვილის მოგონებებში გადავარდნილა და... თედოც ცეცხლთანვე უნდა მიუჯდეს და სიტყვათა განმარტების დაზუსტებას შეუდგეს. გამომცემლობას ვასილის მოთხრობათა კრებულის გამოცემა გადაუწყვეტია „ფერად-ფერადის“ სახელწოდებით და თედო ამ კრებულისათვის ადგენს ლექსიკონს.

ეს თვითონ თედოს გადაწყვეტილებაა, თორემ მწერალს არამცთუ არ უთხოვია მისთვის, გაოგნებულიც დარჩებოდა მოგონებათა მირინდებიდან ერთბაშად გამოფხიზლებული.

— ლექსიკონს? ჩემი წიგნისთვისა?! განა ჩემ წიგნს ლექსიკონი უნდა?!

— უნდა, — მოუჭრიდა თედო, ბევრს აღარ ალაპარაკებდა, ემანდ არ ჩამიშალოს ეს განზრახვაო, საკამათოს მაშინვე მოუჭრიდა და თავსაც არ აიღებდა ფურცლებიდან, კითხვასაც გააგრძელებდა ამ სიტყვარისას და შეკითხვებსაც:

— ხომ სწორეა განმარტებული?

— სწორეა, — უდასტურებდა ისიც და ცეცხლისათვის თვალგაშტერებული ფიქრს მიეცემოდა: ნუთუ ასე ჩამორჩენილა მკითხველი, ნუთუ ენა დავიწყებია, თავისი ენა, ენა აკვნისა, ენა მშობლისა, ნუთუ მართლა დავიწყებიაო?!

ვასილ ბარნოვის ეს ფიქრი უფრო ერცელია რომანში, იქითაც რომ გაიწევს, ეგებ მკითხველი არც იყო ბრალეული, თვითონვე ღრმად შეიჭრა ენის არსებაში, სათავეებამდე აჰყვა და ღრმად განიცადაო, ამ თეზისს რომ უნდა აესხას მტევანივით, და ოთარ ჩხეიძემ ამჯერადაც საკუთარი ფიქრი უნდა მიადევნოს ვასილ ბარნოვისას, საკუთარი ენობრივ-სტილური მანერის იდეური საწყისი და პოზიცია გააცხადოს, ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვივით რომ ესწრაფოდა საუკუნეთა თუ ეპოქათა საზღვრების მოშლას,უცხოურ ზეგავლენათა გაძევებას, მავნისა და უსახურის ჩამოცილებას, დახვეწას, დაწმენდას, ამაღლებას ენისა...

და ერთსაც და მეორესაც ამიტომ მიუხვდებოდა იმთავითვე, რას მიელტვოდნენ, ერთი თითქოსდა ფშაურ დიალექტს რომ მოეჭიდებოდა და მეორე — თითქოსდა ძველ ქართულ ენას,

ენის არსებაში შეჭრისა გახლდათ ეს ჟინი და სწრაფვა, სათავეებამდე აყოლის და ღრმად და მთლიანობაში განცდის...

და იმ წუთების იდუმალი შინაარსის ამოცნობაც ადვილად შეეძლო, ვასილი და თედო გაფიცხებულ ბუხარს რომ მისჯდომოდნენ და აზუსტებდნენ ვასილის ნაწერებში შემონახულ და გადარჩენილ სიტყვებს, რათა მკითხველის ცნობიერებაში უკვე ამოუშლელად დამკვიდრებულიყო ჟამთა ვითარებით გადავიწყებული სიტყვა-თქმები.

ეს გახსენება-აღდგენა საწინდარი იქნებოდა მწერლისა და მკითხველის განუყრელობისაც და ერთსულოვნებისაც, უერთმანეთოდ რომ ვეღარც გაძლებდნენ.

ამისათვის კი აუცილებელი იყო იმ ოცტომეულის გამოცემა, ვასილ ბარნოვს ასე რომ ეოცნებებოდა და გეგმა-მონახაზიც შეედგინა, თუ როგორ უნდა განლაგებულიყო მის მიერ მხატვრულად გადმოცემული საქართველოს ისტორია — უხსოვარი დროიდან მოკიდებული.

ჯერ აგერ კრებული მზადდებოდა: „ფერად-ფერადი“, და ჯერ მისი ლექსიკონისათვის გარჯილიყო თედო სახოკია, როგორც ერთგვარი ჭაშნიკისა თუ მოსამზადებელი ეტაპისათვის ოცტომეულის ლექსიკონის შესადგენად, მწერალი რომ აღარ აუხირდებოდა, რაკიღა ასერიგად ენდობოდა. და თუ ცოტა მაინც ეთანაღრებოდა გული, ზედმეტი გარჯა ხომ არ არისო? და ოთარ ჩხეიძე ვასილის ფიქრს ასე გაახმოვანებდა:

— თედოს ლექსიკონები უყვარს, შეადგინოს, მოიკლას სურვილი, ლექსიკონი იმისთვის მუსიკაა, გარდასულ დროთა მელოდიებია, უყვარს ტკბობა იმ მელოდიებითა, უყვარს და დასტკბეს; დასტკბეს აჰაა, დაუდასტურებს და მიეშველება, რომ უფრო დახვეწოს განმარტებანი. ეს კრებული ძეგლად უნდა, სამკაულადა ჰქონდეს თედოს ლექსიკონიცა...

არ დაშვენდებოდა თუ!..

ლექსიკონი თედოსთვის მუსიკაა, გარდასულ დროთა მელოდიებია, უყვარს ტკბობა ამ მელოდიებითაო...

ეს ოთარ ჩხეიძის შთაბეჭდილება და შეფასებაა, უმთავრესად გამოწვეული იმ სამტომეულით — „ქართული ხატოვანი

სიტყვა-თქმანი" — ყველაზე თვალსაჩინოდ სადაც წარმოდგება თედო სახოკიას ლექსიკოლოგიური ღვაწლი, თუმც ეს განსაკუთრებული შეგრძნება სიტყვისა, მისი ფარული მუსიკის განცდა თანდაყოლილი გახლდათ და ყოველთვისაც საცნაური მის ნაწერებში,ადვილმისაკვლევი დაკვირვებულ ადამიანთათვის, და ოთარ ჩხეიძე გარდასული მელოდიებით ტკბობასთან რომ გააიგივებდა თედოს დაუმცხრალ ძიებებს ქართული ენის სამყაროში, ძალდაუტანებლად მიაწერდ ამ შთაბეჭდილება-შეფასებას ვასილ ბარნოვსაც, დარწმუნებული — თუ ვინმეს არ გამოეპარებოდა თედოს ლექსიკოლოგიური ძიებების ეს მადლი და თავისებურება, ერთ უპირველესს — სწორედ მასო.

აგერ თედო ისევ რაღაცას ეკითხება და ხელიც უნდა შეახოს, ამან იგრძნოს, ჩაესმას, მაგრამ გარინდებას მაინც ვერ დააღწიოს თავი. მდუმარედ უნდა ისხდნენ და იბორიალონ ფიქრთა ლანდებში, ერთიმეორესაც ფიქრთა ლანდებში წააწყდნენ, ჩაიცინონ, წამოიწიონ, მუგუზლები შეასწორონ და წაჰყვნენ ისევ ფიქრებს.

ხან თუ სტუმრები ეწვეოდნენ — გიორგი ლეონიძე თუ სიმონ ჩიქოვანი, ამ კრებულზე რომ ზრუნავდნენ და ვასილ ბარნოვის ნაწერების სრულ გამოცემაზე ოცნებობდნენ — მაშინ თუ გადაიდებოდა ლექსიკონიც და ფიქრიც.

ესეიში თედოს არ აღუნიშნავს, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს ესეც პირადი მონათხრობიდან ახსოვდა და კიდეც შეიტანდა რომანის სიუჟეტში, სხვანიც, მაგრამ თედო განსაკუთრებით რომ ჩასციებოდა:

— ვერ გამიგია, ეგ „ოვი" რად ვერ მოგიშორებია, როდემდის უნდა ატარო ეგ ბორკილი სემინარიისა, რად არ აღიდგენ წინაპართა გვარსა, შენც ისე რად არ ეწერები, შენი წინაპრები რომ ეწერებოდნენ — ბარნაველი! განა არა სჯობს! სჯობს თუ არა სჯობს, ბარნაველი ხარ, „ფერად-ფერადს" ბარნაველი დააწერე.

ხოლო ის ბარათი რომ არსებობდა, სოლომონ ბარნაველისაგან მოწერილი:

— თქვენ გვარს თქვენ უცხო დაბოლოვებით აწერთ. სხვები თქვენ გვარს წერენ: ბარნოშვილი. ალბათ, არ მოგეხსენებათ,

რომ ჩვენი გვარი ბარნაველია. ჩვენი წინაპარი მღვდელი გადმოსულა სამცხიდან, სოფელ ბარნავიდან, როცა სამცხე ოსმალოს დაუჭერია. აქ ის ორბელიანის კარის მღვდლად გაუმწესებიათ.მაშინდელ საბუთებში ის მოხსენიებულია ბარნაველად. ვკადნიერდები და გაცნობებთ ამას, როგორც ამჟამად გვარის უფროსი წარმომადგენელი.

ბიოგრაფოსი ამ პირად წერილსაც თედოს მოამარჯვებინებდა ყველაზე მტკიცე საბუთად, იქით კოდელებიც რომ მოსძახოდნენ, ბარნაველიო, მთები გუგუნებდნენ და ტყეც ბუბუნებდა — ბარნაველიო, გვარი უხმობდა, წამოქოჩრილიყვნენ მისი მოგვარენი, ახლა კი... არა, როდის აქეთია, და: ჯერ კიდევ როდის იყო, სოლომონი რომ გწერდაო!..

და ერთმანეთს შეუზავდებოდა თედო სახოკიასა და ოთარ ჩხეიძის სიტყვები, მკაფიოდ რომ ვეღარც გაგირჩევია, რომელი ამბობს, თუმც გარჩევა ანკი რისთვის გინდა:

— ამ ოცდაათი წლის წინათ იყო, მაშინ ჯერ კიდევ ესოდენ არ გაგეთქვა სახელი, მაგრამ გვარი დაგეძებდა, დაგეძებდა ქორა მახვში, დაგეძებდა და მოგძახოდა: წასულხარ, წადი, ოღონდ გვარი წაიყოლეო, გვარი თუ შეგრჩებაო, არ დავიშლებითო.

რაო, როგორ ამბობდა სოლომონი — ვკადნიერდებიო?

და დაურთავდა ბიოგრაფოსი: წინათ მრისხანენი იყვნენ გვარის უფროსები, გვარის სიმტკიცესაც ინარჩუნებდნენო.

ის კიდევ, რაო — ალბათ არ მოგეხსენებაო?

მოეხსენებოდა და ის წუთიც კარგად ახსოვდა, მოკვეცილად რომ ამოიკითხავდნენ მის გვარს, „ბარნოვად" და არა „ბარნაველად", მაშინ დაიბნეოდა და მერეც დიდხანს ვერ გამოერკვეოდა, ვერ შეეჩვეოდა... მერე თუ მიეჩვეოდა, უხერხულობის გრძნობა არ გაუქრებოდა დიდხანს, ვიდრე ესეც არ ჩაილეოდა... თორემ ბარნაველი რომ გახლდათ სისხლით, ხორცით, სულითაც ბარნაველი, ყველაზე დამაჯერებელი საბუთი მისი ოცტომეულია, ქართლის ცხოვრების მხატვრული მატიანე.

და დრო უნდა ეხელთა თედოს:

— მაშ „ფერად-ფერადს" ბარნაველს მოაწერ?!

და ოთარ ჩხეიძე მიაყურადებდა ვასილ ბარნოვის ფიქრთა დენასაც და სულის თრთოლვასაც, რათა მისი გარინდებიდან ეს შინაგანი რკენა ამოეტანა, რომ მიჩვეულიყო, ხოლო მიჩვევაც რომ ძნელი ყოფილა, გადაჩვევაც არანაკლებად,ანდაზაც რომ ამას შეგვაგონებდა, მიუჩვეველს ნუ დააჩვევ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. სიავესაც შესჩვეოდა ადამიანი, სიგლახესაც, უკეთურობასაც, უკულმართობასაც, უბედურებასაც შესჩვეოდა და ყველაზე დიდი უბედურებაც ეს ყოფილა, ტრაგედიაც ეს ყოფილა, თავისასაც რომ შეიძლება გადასჩვეოდა ადამიანი, თვისიანს, თვისტომს, სხვას მიჰკედლებოდა. და დაე დარჩენილიყო ეს მოკვეცილი და დაგონჯებული გვარი იმის მაგალითად, რომ თავისას არავინ გადაეჩვიოს, თავისი არავინ დაკარგოს, სხვისა არ შეიგუოს, სხვისას არ შეეჩვიოს.

დაე, დარჩენილიყო მაგალითად.

— რას იტყვი? — არა და არ უნდა მოშვებოდა თედო.

— ფსევდონიმად დარჩეს...

იმას ნირი წაუხდებოდა, მაგრამ ვეღარას აწამებდა და... ამასღა მოებღაუჭებოდა:

— „ფერად-ფერადი“?

— ფსევდონიმითა...

დაე მაგალითად დარჩენილიყო.

და ედო ლექსიკონი მუხლებზე თედოს, შეშა კი ტკაცუნობდა, ადიოდა, ქანაობდა, ბურბურებდა ალი და კედლებზე კანკალებდა იმათი ლანდები... და უნდა აბუტბუტებულიყო მასპინძელი და მისი დუდუნი პლატონურ ხილვებსა თუ ასოციაციებზე გახვეულიყო: ის ლანდების ლანდებია, აჩრდილების აჩრდილებია, აჩრდილნიღა ვართ, აჩრდილნი ვყოფილვართო.

აქ უნდა შეკრულიყო ბიოგრაფიული რომანის კომპოზიციური ქარგა, ვასილ ბარნოვი და თედო სახოკია რომ უსხედან აგურგურებულ ბუხარს, მასწავლებელი და მოწაფე, ასაკით ასერიგად განსხვავებული მეგობრები, სწორედ აქ, ამ სცენით უნდა ამოხვეულიყო თხრობა და ძალდაუტანებლადაც განზოგადებულიყო, რადგანაც „ფერად-ფერადის“ ბოლოს დართული ლექსიკონი ის საბაბი თუ სიუჟეტური რგოლი იყო, კომპოზიციური ქარგის შეკვრაც რომ უნდა ეთავა.

თუ ეს კრებული ძეგლად უნდა, დაე სამკაულადა ჰქონდეს თედოს ლექსიკონიცაო...

უფრო ადრე ვაჟა-ფშაველას წიგნს დაერთოდა ლექსიკონი, ახლა ვასილ ბარნოვისაც მიემატებოდა ამ წამოწყებას და... ცოტა არ იყოს, გაღიზიანდებოდა კონსტანტინე გამსახურდია, უპირატესობის დემონსტრირებად ჩამოართმევდა ერთსაც და მეორესაც, და თუ ვაჟასგან ასე თუ ისე აიტანდა ამგვარ განზრახვას, ვასილ ბარნოვისაგან ძალიან აღარ დაუჯდებოდა გონებაში. სად ერკვია, თვითონ მწერალს მოენდომებინა ასე, თუ თედო სახოკია შესჩენოდა, კრებულს სამკაულად დაშვენებოდა ლექსიკონი და... დაფაცურდებოდა კონსტანტინეც — თუ სიტყვათა განმარტებანი რაღაც ღირსებას ადასტურებდა, დაე ეს ღირსება მისი წიგნის ბოლოსაც აღბეჭდილიყო.

თედოს კი რა დაავიწყებდა მის პირველ გაკვეთილს — კატეხიზმოს სწავლება ვასილ ბარნოვს რომ დაევალებოდა, მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ — 1882 წელს — 25 წლის ახალგაზრდას იმ დროისათვის დიდ პატივს რომ შესთავაზებდნენ — ეპისკოპოსობასა და წინამძღოლობას რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტრისას, მაგრამ იგი ამ წყალობას ამჯობინებდა სამშობლოში დაბრუნებას, ოთხი წლის განმავლობაში რომ არ ენახა.

ილიას მიერ გასიმბოლოებული ოთხი წელიწადი ვასილ ბარნოვის ცხოვრებაშიც განმეორდებოდა.

საქართველოში დაბრუნებულს კი სენაკის სასულიერო სასწავლებელში რომ გაამწესებდნენ ინსპექტორად, იქ უნდა გამხდარიყო თედო სახოკიას მასწავლებელიც და... იდეალიც!

იაკობ გოგებაშვილისათვის მოძღვრის იდეალი გაბრიელ ეპისკოპოსი შეიქნებოდა, ვასილ ბარნოვისათვის — იაკობ გოგებაშვილი, და თვითონ ვასილიც ასევე უნდა აღმატებულიყო იმ ყმაწვილის წარმოსახვაში, მოგვიანებით მასწავლებლის გარეგნულ და სულიერ პორტრეტს ორიოდე მნიშვნელოვანი შტრიხით ასე თვალნათლივ გამოკვეთდა:

— სუფთად ჩაცმული, მაღალი, შავთვალწარბა, შავწვერულვაშიანი, ლამაზი და სათნო სახისა. ადამიანის მთელ სახედ

ღირდა მისი ჭკვიანი, ლამაზი, წყლიანი თვალები, რომელნიც თქვენი გულის სიღრმეში კითხულობდნენ, რაც შიგ გედოთ. ამ იშვიათ თვალებს უმშვენებდა ოქროსჩარჩოიანი სათვალე, რომელსაც განუშორებლივ ატარებდა სიკვდილამდე.

იმ პირველ გაკვეთილზე საკლასო ჟურნალს რომ გაშლიდა და მოსწავლეთა გვარებს ამოიკითხავდა, შეათვალიერებდა ფეხზე წამომდგარს და... ამ დღიდან არცერთი მოწაფე არ შეეშლებოდა, ისე ჩაებეჭდებოდა მახსოვრობაში ყოველი მათგანის გვარი. გაკვეთილის ახსნას რომ შეუდგებოდა, მთელი კლასი სმენად გადაიქცეოდა, მცირე გაფაჩუნებასაც რომ ვერ გაიგონებდი. და ერთბაშად ისე მოიგებდა მთელი კლასის გულს — თვით ასეთი მშრალი საგნის წაკითხვითაც — რომ მთელი ორი წლის განმავლობაში საკლასო დისციპლინა ბეწვისოდენადაც არ დაირღვეოდა.

არადა, კატეხიზმოს სიმშრალეს აორკეცებდა უცოდინრობა იმ ენისა, რომლის საშუალებითაც სწავლობდნენ ყმაწვილები ყველა საგანს — თვით ბერძნულ და ლათინურ ენებსაც. რუსულად და მხოლოდ რუსულად უნდა ყოფილიყო სწავლება, რათა ქართული ჯერჯერობით საშინაო ენად დარჩენილიყო, ვიდრე სრულიად არ განიდევნებოდა საზოგადოებრივი ცნობიერებიდანაც კი.

მაშინდელ სკოლაში გამეფებული წესი სწავლებისა თედო სახოკიას როგორ შეიძლებოდა მოეხსენებინა, თუ არა „ბარბაროსული“. ისე, ამ შემთხვევაშიც „ბარბარუსულის“ თქმა სჯობს სიზუსტითაც და ტევადობითაც!.. თუმც რა გვეკალამბურება, როდესაც დათრგუნვილი იყო ყოველი ელემენტარული კანონიც საღი პედაგოგიკისა, სკოლა კი გადაქცეულიყო მოზარდი თაობის მოსასპობად, რაც ეკისრებოდათ მაშინდელ მასწავლებლებს.

და ამ მასწავლებელთა წრეში ვასილ ბარნოვიც რომ მოხვედრილიყო და გული ემღვრეოდა ამ ბარბაროსობის მხილველს, თავის სულიერ ტანჯვას წარმოსახავდა მოთხრობაში — „ქოჩორა ხე“, და თედო ადვილად მიუხვდებოდა, ეს ხომ ჩვენი სემინარიაა დახატულიო. სენაკი განზოგადებულიყო სოფელ ბლაგვიანად,მაგრამ განზოგადების გასამკვეთრებლად, მწე-

რალი პერსონაჟს ჯარისკაცთა სადგომთან რომ ჩაატარებდა, იმას ნაცნობი აუტანელი ბუღი უნდა სცემოდა ცხვირში და უნებლიეთ ფეხი აეჩქარებინა — სასწავლებელი, მასპინძლის სახლი, მთელი ქალაქი ამ საძაგელი სუნისათვის დაედარებინა, ეს სიმყრალეც იმის გამომსახველ ნიშნად დაესახა.

მანამდე კი გამოცდაზე შესულ ყმაწვილს უფროსის მიერ ამოკითხული გვარ-სახელი რომ უნდა გაეგონა:

— ნიკოლაი კანცაროვ!

აქეთ-იქით უნდა მიმოეხედა, ნეტა ვის ეძახიანო, ვიდრე მეორედაც მოისმოდა გაჯავრებით:

— ნიკოლაი კანცაროვ!

— მე ყანწარაშვილი გახლავარ, ბატონო, კიკო ყანწარაშვილი, — უნდა მიეგო ყმაწვილს, ვინც ვერ მიმხვდარიყო, რომ გვარ-სახელის ამ ცვლილებით უკვე ბორკილი უნდა დასდებოდა მის სულს.

მერეა, სიმყრალეს რომ ვეღარ უნდა დააღწიოს თავი, ვიდრე სემინარიას არ გამოექცევა, რაკიღა ვერ შეეგუება იმას, რომ, შესაძლოა, ისიც გაროზგონ.

გამორბის კიკო და გონებაში ბიბლიური სტრიქონები რომ უტრიალებს: მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მდევართა ჩემთაგან განმარინე მე! — ამ ფიქრსაც მიადევნებს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი:

— მე ქრისტიანებში ვიყავი, განა ისინი თათრებზე უდიერები არ არიან? თუ აძაღლებაა, იმისთანები უნდა აძაღლდნენ.

მაგრამ ამ მტანჯველ განცდასაც რომ ვეღარ უნდა გამოერიდოს: შინ ელდა ეცემათ, როგორ უნდა ვიმართლო თავი, ვინ დამიჯერებს ნამდვილ მიზეზს, იტყვიან, გაქსუებულა, უზარმაცია, უნიჭო გამომდგარაო... დავბრუდები! ისევ დავბრუნდები!.. მაგრამ მერე ხომ მომკლავენ, უფრო ამითვალწუნებენ, დევნას დამიწყებენ, ვერც ვისწავლი, როგორც იმათ უნდათ, ისე ვერ ვისწავლი: არ მესმის! არ შემიძლიაო!

როგორ გინდა, დაადგე გადაწყვეტილ აზრს, ხან ერთ კედელს რომ აწყდები და ხანაც — მეორეს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, და **ვაი**-საგან გამოქცეულს წინ **უი** დაგხვედ-

რია... ცხოვრების ზღვა აგღელვებია და ტალღას ბიამანზე გაუტყორცნიხარ, გაურიყიხარ.

— ბიამანი ხომ უდაბურ ადგილს ნიშნავსო, — ბუხართან იქნებ ამასაც აზუსტებინებდა თედო თავის ოდინდელ მასწავლებელს, ვინც იმითაც განირჩეოდა კოლეგებისაგან, რომ, თუ სხვანი დამუქრებით, შეშინებით, ზოგჯერ ყვირილითაც ცდილობდნენ, მათდამი მორიდებისა და მორჩილების გრძნობა ჩაენერგათ სემინარიის მოსწავლეებში, ეს უსიტყვოდ, უთქმელად, გაუწყრომლად მიახვედრებდა, თუ რარიგ დაეჭირათ თავი მასთან, თითქოს ბუნებითვე პედაგოგად, ადამიანის უებრო აღმზრდელად ყოფილიყოს დაბადებული!..

ორი წლის განმავლობაში თედოს სულ ორჯერ აგონდებოდა, რომ ვასილ ბარნოვს ქართულად დაელაპარაკოს.

ერთი იყო მესამე კლასში. საყდარზე ლაპარაკობდა და ყმაწვილებს აუხსნიდა: სიტყვა „საყდარი“ წარმომდგარია **ყუდება**საგანო.

შთაბეჭდილება ისეთი მძაფრი აღმოჩნდებოდა, რომ თედოს შეეძლო დაეფიცა: ეს დღევანდელ დღესავით მიდგას ყურშიო.

მისთვის ეს აღმოჩნდებოდა პირველი ეტიმოლოგიური ახსნა სიტყვისა.

მეორე ეპიზოდი კი მეოთხე კლასში უნდა მომხდარიყო.

თედო სასწავლებელს ამთავრებს. გამოცდაა ქართულ ენაში. მასწავლებელი, ერმილე კანდელაკი,აკითხებდა ილია ჭავჭავაძის „კაცია — ადამიანს?!“ დავით გურამიშვილის ლექსებს, ათიოდე გაკვეთილში ზოგადადაც წარმოუსახავდა საქართველოს ისტორიასაც და გეოგრაფიასაც.

გამოცდაზე ასისტენტობა დაევალებოდა ვასილ ბარნოვს.

მოისმენდა, რა იცოდა თედომ საქართველოს ისტორიაში, ათქმევინებდნენ დავით გურამიშვილის ლექსებსაც... საქმე კარგად მიდის და თედოს უხარია, ქართულში ჩემს პირველ მოწაფეობას ვასილ ბარნოვიც დაადასტურებსო, მაგრამ... უეცრად უნდა მოსჭროდა კბილი მის იმედს.

— აბა, შენ გაზრდას, მითხარი, ყმაწვილო, კახეთში რომელი დიდი მდინარეებია?

თედო გაშრებოდა და შერცხვებოდა.

თვითონ ის მიეშველებოდა:

— ალაზანი და იორი.

კიდევ კარგი, მასწავლებელი ჩაერეოდა და ყმაწვილის მაგივრად მოებოდიშებოდა:

— ეს არ მისწავლებია, თორემ ეცოდინებოდა...

რა დრო იყო, არა? — თედო სახოკიას ალაზნისა და ივრის სახელები რომ არ სმენოდა?!

მემუარისტი სულ სხვა მიზნით მოგვიყვებოდა ამ ამბებს, თუმც უნებლიეთ გამჟღავნდებოდა, რომ იმ წუთების განცდაშთაბეჭდილებანი ბევრწილად განსაზღვრავდა თედო სახოკიას ლიტერატურულ-მეცნიერულ ინტერესებს, სიტყვათა ფესვების ჩხრეკას რომ არ მოეშვებოდა და საქართველოს გეოგრაფიასაც ხუთი თითივით დაისწავლიდა, ალაზანი და იორი კი არა, სულ პატარა მდინარის სახელსაც არ გამოტოვებდა და ბევრ რაიმეს სწორედ მისგან შეიტყობდნენ, გაარკვევდნენ თუ დააზუსტებდნენ ლექსიკოლოგებიც და ეთნოგრაფებიც.

— შენ გაზრდას, ყმაწვილო, კახეთში რომელი დიდი მდინარეებია?..

ყველა მასწავლებელს მეტსახელს რომ შეარქმევდნენ, უმეტეს შემთხვევაში მათდამი ამათი მტრული განწყობის გამომხატველსა და სააუგოს, ვასილ ბარნოვს ვერაფერს მოუგონებდნენ, არაფერს აკადრებდნენ. ის კი არა, თვალში მოუვიდოდათ მისი თავისებური ხელმოწერა გვარ-სახელისა და მისადმი სიმპათიის გამოსახატავად წერდნენ ამას ფანქრით თუ მელნით მერხებზე, რვეულებში, კედლებზე, ცარცით — საკლასო დაფაზე, კარებზე. საკლასო ოთახი, კირით შელესილი, ვასილ ბარნოვის ფაქსიმილეთი აჭრელდებოდა. ბოლოსდაბოლოს ისე გავარჯიშდებოდნენ, რომ ადამიანს გაუჭირდებოდა ნამდვილი ხელმოწერის გარჩევა ყალბისაგან.

თვითონ თედოს, ვინ იცის, რამდენჯერ მოეწერა ვასილ ბარნოვის ფაქსიმილე — სად აღარ და რითი აღარ, და იმ გადაჭრელებაში ლომის წილს სწორედ იგი დაიდებდა, ამ ხელმოწერაში რომ აქსოვდა სიხარულსაც, სიყვარულსაც, აღტაცებასაც,

თაყვანებასაც და... ფარულ გულისხეთქებასაც: რა მეშველებოდა, ეს კაცი რომ არ მოგვევლენოდა ჩვენდა ნუგეშადო.

რას წარმოიდგენდა, თუ მთელი საქართველოსთვისაც უნდა ქცეულიყო ნუგეშად, ქართული რომანისათვის კი — ევროპულ სიმაღლეზე ამზიდავად.

არადა, პედაგოგიურ ასპარეზზედაც რარიგ გამოირჩეოდა იმ გარემოცვაში, როდესაც მასწავლებლებად ყველგან და სენაკშიც ძველი სემინარიელები ჰყავდათ — ძველებური დროის ძველებურ აზრ-შეხედულებების და სწავლა-აღზრდისას დრომოჭმულ ხერხს მიმართავდნენ — ზეპირ სწავლებას, ყვირილს, დატუქსვას და ზოგჯერ... ცემასაც!.. ამიტომაც უყურებდნენ მოწაფეები მათ, როგორც მტრებს, ყმაწვილთა სიავის მდომთ.

— კლასს გარეშე რომ დავინახავდით, გავურბოდით, ვემალებოდით, ცხრა მთას იქით გადავიკარგებოდით...

ხუთი წლის წინათ პოლიეევქტოს კვიცარიძე და ახლა ვასილ ბარნოვი და იმავე ხანებში მისული ქრისტეფორე უგრელიძე დაანახვებდნენ, რომ მასწავლებელი თურმე უფროსი ძმა უნდა ყოფილიყო მოწაფისა, ძმა კეთილისმყოფელი, გზის მაჩვენებელი, თვალისამხელი, რომლისაც კი არ უნდა გშინებოდა, არამედ დაახლოებოდი...

მოწაფეები დაბის მახლობელი სოფლების გლეხებთან ცხოვრობდნენ, ზოგი სამი და ოთხი კილომეტრის მანძილზეც, და კარგ ამინდში კიდევ რა უშავდა, ნაწვიმარში და ზამთრის სიცივე-ტალახებისას ქვამოუყრელი გზები ისეთ საფლობებად გადაიქცეოდა, სადაც ცხენოსანი თუღა გაივლიდა, თორემ ბავშვები თქვით, თანაც, ადგილობრივ ხარაზთა შეკერილ ჩუსტებში, ადვილად რომ იჟღინთებოდა წყლით და ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა. აბა, კალოშებსა და წაღებს, მასწავლებლებს რომ ემოსათ, მათ ვინ უწყალობებდათ?1

გაკვეთილების დასრულების შემდეგ შინ წამოსული მოსწავლის ამბავი აღარავის ეკითხებოდა — სად იყვნენ, რას ჭამდნენ ან ჭამდნენ რაიმეს თუ არა, რა პირობებში ამზადებდნენ გაკვეთილებს, ეწყობოდათ თუ არა ხელი ოდნავ მაინც რიგიანი მეცადინეობისათვის.

ასეთივე შავბნელი სურათი წარმოისახება, აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული თხზულებიდან რომ გვახსოვს — „ჩემი თავგადასავალი“. დრო გადიოდა, სასიკეთოდ მაინცდამაინც არაფერი იცვლებოდა. იაკობ გოგებაშვილი შებმით უკვე შეჰბმოდა იმ საზარელ მანქანას, რომელსაც იმპერიული სწავლააღზრდა ერქვა, ანუ რუსიფიკატორულ პოლიტიკად წარმოდგებოდა, და რაღაც საიმედო კრთოდა და ჭიატებდა ტფილისქალაქში, სასიკეთო შემობრუნების ნიშნები ჩნდებოდა და მკვეთრდებოდა — სულ უფრო და უფრო, მაგრამ სენაკამდე როდის ჩააღწევდა ეს ყოველივე, თუნდ შორეულ კრთომად და ჭიატად, და ვასილ ბარნოვს უნდა ეტვირთა იმედის ჩანერგვაც და ოცნების დამკვიდრებაც ყმაწვილთა გულსა და გონებაში, ამითაც რომ აგრძნობინებდა ყურადღებას და მხნეობითაც აღავსებდა, მოწაფეთა ბინების დავლას რომ დაიწყებდა მათი ყოფა-ცხოვრების შესასწავლად... მაგრამ... მხოლოდ შესასწავლად, რაკიღა ბავშვების ენითგამოუთქმელი სიღარიბე გარდატეხის საშუალებას არ მისცემდა მათ ცხოვრებაში. ეს იმათზე წუხდა, თედოსნაირ მგრძნობიარე ყმაწვილებს კი მასწავლებლის შემყურეთ ეწვებოდათ ძვლები, ხომ ვიცით, რარიგ მოქმედებს მის გულზე ჩვენი ღარიბული ბინების ნახვა, ჩვენი უსმელ-უჭმელობა, უბინაობა, ზამთარში უცეცხლობა, ტანთჩაუცმელობა, რარიგ ეწურება ეს ჩვენდამი სიყვარულით სავსე გული, ასეთ პირობებში მომეცადინეთ რომ გვხედავს, არადა, უძლურია, ჩვენთვის ხელები აღაპყროს, ჩვენდა საშველად რამე იღონოსო.

რაღაც-რაღაცები ხომ მაინც იყო შესაძლებელი.

თუნდ აგერ სასწავლებელს გვერდით ღელე რომ ჩამოუდიოდა, პატარები ზედ ადვილად რომ ხტებოდნენ, მაგრამ ნაწვიმარზე რაც თხრილების წყალი იყო, სულ აქ იყრიდა თავს და ღელის ერთი ნაპირიდან მეორეზე გასვლა შეუძლებელი ხდებოდა. ხიდები რომ არსად იქნებოდა, ადვილი მისახვედრია. და შემოდგომის ერთ დილას საშინლად მოვარდნილ წყალს რომ მიადგებოდა უმცროსკლასელთა მცირე ჯგუფი და შველას ითხოვდნენ, ვასილ ბარნოვი დაინახავდა, გაიყვანდა სასწავ-

ლებლის დარაჯს, ფეხთ გაახდევინებდა და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ სათითაოდ არ გამოაყვანინებდა წვიმისაგან გაწუწულ და წყლით სავსე ფეხსაცმელებიან ბავშვებს და შენობაში არ შემოაყვანინებდა.

ყმაწვილებს ძალიან გაუკვირდებოდათ ინსპექტორის მხრიდან ასეთი ყურადღება. რაც სასწავლებელში დაიარებოდნენ, პირველად ხდებოდა, რომ გაჭირვებაში მყოფ მოწაფეებს ინსპექტორი ან მასწავლებელი მიშველებოდათ.

ვასილ ბარნოვის ავტორიტეტი ყმაწვილების თვალში ერთბაშად ერთი-ორად გაიზრდებოდა.

და მოწაფეთა მამებიც რომ შეიტყობდნენ ამ და ამისთანა კიდევ არაერთ შემთხვევას,სამღვდელოების ყრილობაზე საჯაროდ მადლობასაც უძღვნიდნენ და ფულითაც დააჯილდოებდნენ.

ეს სასულიერო სასწავლებელი ერთადერთი პირველდაწყებითი სკოლა რომ იყო მთელი სამეგრელოს სამღვდელოებისა, შვიდი წლის განმავლობაში სახელმძღვანელოთა გარდა სხვა საკითხავ წიგნებს ვერას ხედავდნენ ყმაწვილები თავიანთი მწირი ცოდნის შესავსებად.

დაბა მარტვილის სასწავლებელს — რომელსაც გაბოროტებული მოწაფეები ცეცხლს წაუკიდებდნენ და გადაწვავდნენ — კი ჰქონდა რაღაც წიგნთსაცავის ნასახი, მაგრამ იქიდან გამოტანილი წიგნი არავის უნახავს მოწაფის ხელში. სასწავლებლის შენობასთან ერთად ცეცხლი ამ ბიბლიოთეკასაც რომ ამობუგავდა, რამდენიმე წიგნი თუღა გადარჩებოდა. როდესაც სასწავლებელს მარტვილიდან სენაკში გადაიტანდნენ, ბიბლიოთეკის ეს ნაშთიც თან გადაჰყვებოდა, მაგრამ არავის აფიქრდებოდა, რომ ეს თითო-ოროლა წიგნიც მიეწოდებინა ყმაწვილებისათვის საკითხავად.

ვის უნდა ეთავა ამ ბიბლიოთეკის გამოყენება და რუსული წიგნების (აბა, ქართული გამოცემები სად მოიძევებოდა!) დარიგება მოწაფეებისათვის, თუ არა ვასილ ბარნოვს... და კიდეც გადაღეჭავდნენ იმ გამოცემებს, ვისაც საამისოდ უძგერდა გული და, მეტსაც რომ მოინდომებდნენ, უკვე ველარაფერს იპოვნიდნენ.

მასწავლებლები არც სხვა მოწაფეებს და არც თედოს რომ არ ეპიტნავებოდათ, საგანგებოდ ამიტომაც გვამცნობს, რომ, მართალია, ისინი დაბის ინტელიგენციაში იგულისხმებოდნენ, მაგრამ სრულიად მოკლებულნი იყვნენ საქვეყნო საქმისათვის ზრუნვას, მოკლებულნი ყოველგვარ სულიერ საზრდოს და ინთქმეოდნენ პირდაპირ ცხოველური ცხოვრებისათვის ზრუნვაში.

ტფილისში ერთადერთი გაზეთი გამოდის ქართულად — „დროება".

და სენაკში „დროების"... ერთადერთი ცალი თუ ჩადის.

იმ სენაკში, სადაც ყველა საკუთარ ქერქში ჩაკეტილა, ზოგიც სმას გადაჰყოლია და ღვინოშიღა ეძებს შვებას.

ყმაწვილების მზერა ძალდაუტანებლად ამჩნევდა, რომ ვასილ ბარნოვი, აშკარად გამორჩეული თავისი განათლებითა და საზოგადოებრივი ინსტინქტით, განმარტოებით იდგა და ცდილობდა, არ ჩათრევინებოდა დამდოვრებულ ცხოვრებას, ის კი არა და, უშუალო მონაწილეობა მიეღო იმ პოლიტიკურ და კულტურულ გამოღვიძებაში, დედაქალაქში სულ უფრო რომ ბორგავდა.

ერთ ასეთ თემად თუ საკითხად სამეგრელოსათვის თედო სახოკია გამოარჩევს საღვთო წერილის მეგრულად თარგმნას. და ასეთ მწვავე ვითარებაში, როდესაც რუსი ჩინოვნიკები და პუბლიცისტები — ვითომდა მეგრელთათვის ზრუნვის სურვილით აღტკინებულნიო, — ირონიულად დასძენს მემუარისტი, — მიზანმიმართულად ლამობდნენ, ჩაებეჭდათ ხალხის ცნობიერებაში, რომ მეგრულს ქართულთან საერთო არა ჰქონდა რა და არც დღეს გააჩნდა, და წირვა-ლოცვა სამეგრელოს ეკლესიებში ქართულად რომ სრულდებოდა, ეს ყოველივე მეგრულად უნდა თარგმნილიყო და ამგვარად მეგრელები მათთვის „უცხო" ქართულისაგან გათავისუფლებულიყვნენ.

— ყველამ იცოდა, რუს სასულიერო მთავრობას რა მუცლის გვრემა ჰქონდა ან რას ესწრაფოდა. ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ დიდი კამპანია გააჩაღა ამ ძალადმაცხონე მზრუნველობის წინააღმდეგ. მაგრამ სასურველი იყო, თვითონ სამეგრელოდან, სამეგრელოს მკვიდრთაგან წამოსულიყო პროტესტის ხმა ასეთი უხამსობის წინააღმდეგ.

ესეც ვის უნდა ედო თავს, თუ არა ვასილ ბარნოვს, ვინც ამავე სასწავლებლის პედაგოგს — ნიკოლოზ ჭარაიას ამოიყენებდა გვერდით და დაიწყებდა სამეგრელოს სხვადასხვა ადგილიდან და სხვადასხვა ფსევდონიმით წერილების გზავნას სასულიერო ჟურნალში „მწყემსი“, დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით რომ გამოდიოდა.

ყველა წერილს ის აზრი და სულისკვეთება მსჭვალავდა, რომ მეგრულისა და ქართულის იგივეობა ეჭვშეუვალი იყო და სრული უაზრობა და მავნებლობა იქნებოდა წირვა-ლოცვის შემოღება მეგრულად.

და მემუარისტი დაუფარავი სიხარულით იგონებს ნეტარების იმ წუთებს, როდესაც ყველასათვის თვალნათლივი შეიქნა, თუ როგორ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში წირვა-ლოცვის მეგრულად თარგმნის მოსურნეთ. დაინიშნებოდა ოფიციალური კომისია ამ საქმის გამოსარკვევად და... კიდეც მოისპობოდა ეს საკითხი.

„სამუდამოდო“, — დარწმუნებით განაცხადებდა თედო სახოკია, რაკილა ამ ამბის შემდეგ აგერ უკვე 59 წელიწადი გასულიყო და სამეგრელოს მკვიდრთათვის ეს ერთ დროს საჭირბოროტო საკითხი ისტორიად ქცეულიყო... თუმც „სამუდამოს“ ვინ დაგანებებდა, ვიდრე რუსეთის იმპერია იარსებებდა, და მერეც, ვიდრე იმპერიის აღდგენის იმედი არ გაუქარწყლდებოდათ. ხან თუ მიინავლებოდა, მიიჩქმალებოდა ეს მზაკვრული განზრახვა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა, ხანაც ახალი ძალით იფეთქებდა და რუსული მმართველობა კვლავაც დაუმცხრალად ეძიებდა სამეგრელოს მხარეში ზნედაცემულ თუ ყოვლად მიამიტ ადამიანებს, რათა როგორმე მოეხვიათ თავზე ეს ანტიჰუმანური და ძალადობრივი გეგმა მთელი სამეგრელოსათვის.

მაშინ ერთ-ერთი სახიფათო ხანა იდგა ამ ჩვენდა დამღუპველი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად და მემუარისტს რარიგ ეამაყება და ტკბილად მოსაგონარს უწოდებს, რომ ამ იმპერიული გეგმის ჩაშლაში — სამეგრელოს მკვიდრნი კერძოდ და ქართველნი საზოგადოდ გულის-ფანცქალით რომ მოელოდნენ — ვასილ ბარნოვს თავისი წილი შრომისა მიუძღოდა და შეიძლება

თქმულიყო,რომ ეს მოხდა საზოგადო ასპარეზზე მისი გამოსვლის განთიადისას.

თედო სახოკია ამ ყოველივეს რომ ჰყვება, ვასილ ბარნოვის პორტრეტის წარმოსახვას ესწრაფის, რაც შეიძლება რელიეფურად და კოლორიტულად წარმოჩენას ამ ხასიათისა, მომხიბლავი და საზოგადოებრივი სამკაული რომ იქნებოდა მაშინაც, მწერლად რომ არც მოვლენოდა ქართველობას. და, ცხადია, ეს სასახელო ეპიზოდიც შესაფერისად უნდა წარმომდგარიყო ამ პორტრეტის გამოკვეთისას, მაგრამ იმავდროულად საცნაური ხდება, თუ რამ უბიძგა უკვე წამოზრდილ თედოს საკუთარ თავზე აეღო ქართული ენისა და ქართული სულის დაცვა სამეგრელოს მხარეში, ბურჯივით რომ უნდა ჩამდგარიყო ამ იდეალის დასაცავად, და ეს — იმის მიუხედავად, უშუალოდ ამ გეოგრაფიულ ფარგალში იდგებოდა, ტფილისში, ციმბირულ კატორღაში თუ ევროპის გზებზე.

ვასილ ბარნოვის ეს წერილებიც გამოაწრთობდა მის სულს, ცოდნითაც აღავსებდა და საბრძოლველადაც აღანთებდა, რაკიღა ბრძოლის ველი ახლა აქ გადმოტანილიყო — პრესაში, მიუხედავად ცენზურის მძინვარებისა, საიმედო ტრიბუნად რომ დაეგულებინათ მწერლებსა და ჟურნალისტებს, და საერთოდაც, ყველგან ტრიბუნის მოხელთებას რომ ცდილობდნენ და აკაკი წერეთელი ამბიონად ახალგაჭრილ საფლავებსაც კი გადააქცევდა, თორემ სუფრა და ბანკეტი ხომ ტრიბუნა გახლდათ და ტრიბუნა, თუკი მარჯვედ გამოიყენებდი.

სიმარჯვე არ აკლდა თედო სახოკიას და მისთვის ყველა ადგილი ამიტომაც გადაიქცეოდა ტრიბუნად — რა ჟურნალ-გაზეთების ფურცლები, რა სუფრა და ბანკეტი და რა ქუჩა თუ დერეფანი, კალამიც და ენაც ერთნაირად რომ გაუჭრიდა, კიდეც ამიტომ აღმოჩნდებოდა ხოლმე ყველგან და ყოველთვის მღელვარე მოვლენათა შუაგულში.

ჯერ კი ცამეტ-თოთხმეტი წლისაა და გული უნდა მოუკლას და აღაშფოთოს იმ უსამართლობამ, რაც კიდევ ერთხელ უნდა იწვნიოს ვასილ ბარნოვმა — 1883 წელს ამბროსი ხელაიას, სასწავლებლის ზედამხედველსა და გეოგრაფიის მასწავლებელს,

სენაკიდან თელავში რომ გადაიყვანდნენ, ზედამხედველის ადგილზე უკეთესი კანდიდატურა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა ყმაწვილთა ეს უსაყვარლესი პედაგოგი, მაგრამ ეგზარხოსი პავლე, სწორედ ის, ქართველი ერის დაწყევლითა და დიმიტრი ყიფიანის მგზნებარე პროტესტით რომ შემორჩებოდა ჩვენს ტრაგიკულ ისტორიას, და თედოსაგან „კაციჭამიას" ეპითეტსაც დაიმსახურებდა, ხელს შეუშლიდა ამ ყველაზე ღირსეული კანდიდატის გაზედამხედველებას.

განაწყენებულ ყმაწვილებს ისიც უნდა შეეტყოთ, რომ ამ პოლიტიკის სიტლანქე ვასილ ბარნოვს ექვსი წლის წინათ უკვე განეცადა, როდესაც ტფილისის სასულიერო სემინარიას თითქმის პირველ მოწაფედ დაასრულებდა, მაგრამ სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე გაგზავნიდნენ... ერთ რუსსა და ერთ ბერძენს.

სენაკიდან ტფილისში რომ გადმოიყვანდნენ ინსპექტორად, თედოს არ გაუკვირდებოდა, როდესაც შეიტყობდა, რომ თავისი სათნოებით ვასილ ბარნოვს აქაც მოწაფეთა საერთო სიყვარული დაემსახურებინა და, ერთი მოწაფე რა არის, ისიც არ გამოჩნდებოდა, რომ მასზე ძვირი ეთქვა.

ამასობაში იოსებ ლაღიაშვილს უნდა გამოეფატრა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და 1886 წლის მაისი ის მიჯნაც უნდა აღმოჩენილიყო ტფილისის ამ სასწავლებლის ცხოვრებაში, ათობით და ოცობით მოწაფეთა გარიცხვა რომ მოჰყვებოდა და მასწავლებელთა მიმოფანტვაც, ვასილს თელავში რომ გადაისროდნენ, მივარდნილ კუთხეში, ტფილისს სადილიჟნო ან საურმე გზით რომ უერთდებოდა, თუმც ინტელიგენცია კი საუკეთესო ეყოლებოდა, საზოგადო საქმეზე მოფიქრალი, მისი კეთილდღეობისა და წარმატებისათვის მზრუნველი.

და საუკეთესო და ნაყოფიერ დროს ახალგაზრდობისა ვასილ ბარნოვი ამ წრეში რომ გაატარებდა, მოგვიანებით, მოხუცებულობისას, კერძო, ინტიმურ ლაპარაკში თედოსთვისაც რამდენჯერ გადმოუშლია განსაკუთრებული გრძნობით იმ 24 წლის განცდა-შთაბეჭდილებანი, ცხოვრების თანამგზავრიც იქ რომ უნდა ეპოვნა და... საკუთარი თავიც!..

დიდ, განმარტოებულ სახლს დაიჭერდა, მფლობელი ქუთაისში რომ გადასახლებულიყო და, ამდენად, ვასილი შეიქნებოდა ამ სახლის მოურავიც, პატრონიც და მდგმურიც, კარგადაც შეაკეთებდა და ბაღსა და ბოსტანსაც რომ გაიჩენდა, შინაურ ფრინველსაც მოაშენებდა. პროვინციის ცხოვრების აუტანლობა ორ სენს შეჰყრიდა ადამიანს — სმას ან ქალალდის თამაშს, ანდა ორივეს ერთად. კიდეც ბევრს ჩაითრევდა და დაღუპავდა თელავშიც.

— მიკვირს, როგორ გადავურჩი, — გულახდილობას გამოიჩენდა თედოსთან.

ან მაშინაც რომ გადარჩა!..

რევოლუციის ხანაში მდაბალი ინსტინქტები ძალიან რომ აიშვებდა თავს, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა თუ ქალების მიტაცებაც ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნებოდა. და ერთხელ, ვასილი გვიან რომ დაბრუნდებოდა შინ, გაუნათებელ, ჩაწკვარამებულ ქუჩაში ორი ყაჩაღი მის გაძარცვას მოინდომებდა და ზედაც მიადგებოდნენ, მაგრამ ვიდრე ის რაიმეს გაფიქრებას მოასწრებდა, ერთს უნდა ეცნო და ჩაელაპარაკებინა თავისი ამხანაგისათვის:

— რჯულძაღლი, ჩვენი ვასო ყოფილა, კინაღამ შევცდი.

ჩვენი ვასოო...

რარიგ ეამაყებოდა ეს ეპიზოდი და თედოსთვისაც რამდენჯერ უამბნია მოუწყინრად, იმას მოსმენა რომ არა ჰბეზრდებოდა.

— გადავრჩი იმიტომ, რომ ყველას ვუყვარდი, თვით იმ ყაჩაღებსაც.

და დასძენდა, რომ, თუკი მის სახლამდე მიატანდნენ და მას შემოეფარებოდნენ, ეჭვიც არ შეეპარებოდათ, რომ თავისიანებთან იყვნენ და ბუზსაც ვერავინ აუფრენდა.

ამ სცენასაც თედო უნდა შესწრებოდა.

ვითომ შემთხვევით, ის თუ არა, ვინმე სხვაც შეიძლებოდა ყოფილიყო?!

არა, იმ ღრმა შინაგანი ლოგიკითა და კანონზომიერებით, იაკობ გოგებაშვილთან იმ წუთებში სწორედაც და აუცილებლადაც ნიკო ლომოური რომ უნდა ყოფილიყო, როდესაც მას-

პინძელი მთელ თავის ოფიციალურ დოკუმენტაციას აგუზგუზებულ ბუხარში შეუძახებდა, რათა აღარასოდეს გაჰკარებოდა სახელმწიფო სამსახურს. საკუთარ თავს აღთქმას რომ დაუდებდა იაკობ გოგებაშვილი, ეს უკვე ყველაფერს ნიშნავდა, ამ სიმტკიცეს რა შეარყევდა, მაგრამ მაინც თავს დაიზღვევდა, ვაითუ ოდნავმა სისუსტემ მძლიოს და ყოყმანი დავიწყოო. ეს ყოყმანიც შეურაცხმყოფელი იქნებოდა მისი ღირსებისათვის, უსათუოდ შეულახავდა თავმოყვარეობას და ამიტომაც გზა უნდა მოეჭრა, უკან მისაბრუნებელი ხიდი აეფეთქებინა.

და ესეც გზის მოჭრა და ხიდის აფეთქება იქნებოდა, დოკუმენტები ცეცხლში რომ ჩაინთქმოდა!

და ულამაზესი ალი გაანათებდა და მოაშარავანდებდა იაკობ გოგებაშვილის ამ უჩვეულო გადაწყვეტილებას, გარეგნულადაც ისევე გაცისკროვნებულს, როგორც შინაგანად.

და ვინ უნდა ყოფილიყო ამ დაუვიწყარი სცენის შემსწრე, თუ არა ნიკო ლომოური?!

ბუხრისა და ცეცხლისათვის ახლა სხვა ფურცლებიც გამეტებულიყო, ოღონდ მოშარავანდებისა და გაცისკროვნებისა კი რა მოგახსენოთ, რაკიღა, თუ მართლა ასე მოხდებოდა, მძაფრი ტრაგიზმით განიმსჭვალებოდა ეს აქტი — თავისთავადაც და განზოგადებული შინაარსითაც.

იმჟამად კი თემა ლაპარაკისა ვასილისთვისაც ის იქნებოდა, რაც სხვათათვის: შიმშილი, გაჭირვება, უფულობა... ფიქრი იმაზე, თუ საიდან და როგორ გაეჩინა ფული. ჩივილი, მთელი მისი დრო და გულისყური მჭადის ძებნას რომ უნდებოდა. წუხილი, ორი საათი მაინც რომ ჰქონოდა დღეში თავისუფალი და მწერლობისათვის შეეწირა.

— საწყალი ნინო ხელიდან არ გამომცლოდა, მსახური რომ მყოლოდა, — შეჰკვნესოდა უმცროს მეგობარს, — სულ იმას აწვა კისერზე ამოდენა ოჯახი. დასუსტდა, ავადმყოფობას ვეღარ მოერია და სულ მოკლე ხანში თან გადიტანა.

მერე ერთბაშად აჩქარებით უნდა ეთქვა:

— ერთი რამ უნდა გაჩვენო და შენ განსაჯე, თუ ღმერთი არის სადმე.

და კიდეც გამოეწია სამწერლო მაგიდის მარჯვენა უჯრა, გამოელო უთავბოლოდ არეული და შევსებული ფურცლები და მაგიდაზე დაეყარა გამწარებულს:

— ეს არის ჩემი სამი წლის ნაშრომი ლიტერატურის ისტორიიდან. ერთი წიგნი დაიბეჭდა, მეორე მზად არის დასაბეჭდად, მხოლოდ არ დამიბეჭდეს კია. მესამე და მეოთხე აქედან უნდა გამოვიდეს, მაგრამ გული აღარ არის, რომ გვერდებად დავაწყო, დავალაგო და დასაბეჭდად დავამზადო. თუ ისე მოვკვდი, რომ დაუბეჭდავი დამრჩა, ანდერძს ვტოვებ, დასწვან.

ამ სიტყვებს ისეთი მღელვარებით წარმოთქვამდა, თითქოს გულში ხელი ჩაუყვეს ამოსაგლეჯადო.

თედო მიაჩერდებოდა, მიაჩერდებოდა და... ცრემლებს ვეღარ შეიმაგრებდა, თან ცდილობდა მისთვის არ ეჩვენებინა ეს ცრემლები, ვაითუ უარესად გაუტყდეს გული, და თავის სამსახურს შესთავაზებდა:

— ერთ თავისუფალ დღეს მოვალ და გიშველი, ორივემ დავალაგოთ.

— არა, შენი სულის ჭირიმე, — როგორც საერთოდ სჩვეოდა მიმართვა, — საჭირო არ არის. სჯობია დაიწვას, ბრალი კი არის, მთელი ჩვენი ძველი მწერლობა ავნუსხე, გავარჩიე; გავარჩიე ახლებიცა, ფუტურისტებამდე, ამდენი მიშრომნია, მერე რა სიყვარულით, რა გრძნობით! და ყოველივე იმისთვის, რომ დაბეჭდვაც კი ვერ მომიხერხდეს და ანდერძში ვამბობდე — ჩემი სიკვდილის შემდეგ დასწვით-მეთქი?!

ეს რა საშინელი სცენა იყო, თედო თითქოს ანტიკური თუ შექსპირული ტრაგედიის შუაგულში მოხვედრილიყო, და ისედაც განიცდიდა ამ საშინელებას, თითქოს აჰა და, მართლა იწვის ამდენი ხნის ნაშრომი, იწვის ქაღალდი კი არა, თვით გულღვიძლი, ხორცი, სისხლი, გრძნობა გაწამებული, მოხუცი მწერლის და ძვირფასი ადამიანისაო...

ეგონა, თვით ვასილის სიკვდილს დავესწარიო, ისეთი საზარო იყო ის სცენა.

„მისი სიკვდილის დროს მეტს კი ვერ განიცდი კაცი!"

ანდერძს ვტოვებ, დასწვანო...

ასეთი ანდერძი აკი ფრანც კაფკასაც შეედგინა, ოღონდ იმას ერთი ნაშრომი კი არა, მთლად მთელი თავისი შემოქმედება გაემეტებინა ცეცხლში ამოსაბუგად, თვითგვემას რომ მისცემოდა, თანამედროვე ტრაგედია რომ წარმოვსახე და ადამიანის უკიდურესი დაცემის სურათები გადმოვშალე, ჩიხიდან თუ სასოწარკვეთილებიდან თავდაღწევის გზა რატომ ვეღარ ვიპოვნე და ვერც ვერავის დავუსახე, ჩემი თავისათვის ვერ მიშველია და ვის რა უნდა ვუშველო, ამიტომაც ცეცხლში ჩაფერფვლა სჯობს, ტყუილუბრალოდ რომ არავინ ააფორიაქოს და გატანჯოს, თითქოს ფორიაქი და ტანჯვა აკლდეთო.

ამ თვითგვემასა და გულისჭიდილში ჩაფლულა ვასილ ბარნოვიც.

თითქოს მხოლოდ ერთ ნაშრომ-ნადაგს იმეტებდა, მაგრამ სასოწარკვეთილება ისე დაუფლებოდა, ასე თუ გაგრძელდებოდა, უკვე აღარც მთელ მხატვრულ მემკვიდრეობას დაინანებდა: ვის რაში არგია, ჩემი თავისათვის ვერ მიშველია და ვის რა უნდა ვუშველო, რა სიმხნე შთავბერო, გულზე რა მალამო წავაცხო, ჩიხიდან გასაღწევი გზა როგორ დავსახო, მე თვითონ შიგ მოვმწყვდეულვარ და სული ამომდის ქართლის ბედის ძებნაშიო.

ამ ფიქრსა და განცდას რომ განჭვრეტდა თედო სახოკია, ამიტომაც იხილავდა თვალდათვალ, თუ როგორ იწვოდა ფურცლებთან ერთად ხორციც, სისხლიც, გრძნობაც და გულ-ღვიძლიც მწერლისა...

ეგონა, თვით ვასილის სიკვდილს დაესწარიო...

ეს დროც მოახლოებულიყო.

უმეტესწილად შინ ყოფნას ამჯობინებდა, თავისი ნაწერების თავმოყრასა და ტომებად განაწილებას.

როდესაც სნეულება ძალიან დარევდა ხელს და წერას გაუძნელებდა, შვილებს კარნახობდა ავტობიოგრაფიულ ეპიზოდებს. ზოგჯერ დილის 11 საათზე რუსთაველზე რომ გამოვიდოდა და ლაღიძის წყლების მაღაზიასა და „ზარია ვოსტოკას“ შორის გაისეირნ-გამოისეირნებდა მოკლე ნაბიჯებით, ხელში აუცილებლად უნდა სჭეროდა მოკაუჭებულთავიანი ჯოხი,

თავზედ კი ხურებოდა განუყრელი ნესვა-ქუდი, რომელსაც რეალიკვიად შემოინახავდნენ და თედოსაც მიაჩნდა სასოებით მოსაგონებელ განძად.

მისი სიარულის მანერის თავისებურებას ყველა ამჩნევდა, გარეშენიც კი, და თედო რომ შეეცდებოდა მისთვის სახელის დარქმევას, ამ ეპითეტებს გამოუძებნიდა: ნირშეუცვლელი და სტილიზებულიო.

კვირაობას ძველებურად ვასილს სტუმრობდა.

საღამოს ზუსტად 8 საათზე უეჭველად უნდა წარდგომოდა და, ცოტაც რომ დაეგვიანა, რაც იშვიათზე იშვიათად ხდებოდა, ის უკვე წუხილს იწყებდა.

ამ დროს სხვებიც სტუმრობდნენ — მისი პატივისმცემელი მწერლებიც და ნამოწაფრებიც.

— გახსოვსო? — მოიგონებდა სენაკში ყოფნის იმ ხანას, — დიდი კამპანია რომ წამოვიწყეთ იმათ წინააღმდეგ, ვინც საჭიროდ მიიჩნევდა საღვთო წერილის თარგმნას მეგრულად და ამით მეგრელთა ჩამოშორებას მათ სისხლ-ხორც ქართველთაგანო?

წამოუტივტივდებოდათ „მნათობის“ რედაქციაში მომხდარი ის სამწუხარო ეპიზოდიც, ასე საბედისწეროდ რომ იმოქმედებდა მწერალზე.

— უკაცრავად პასუხია, დიდი „დურაკი“ იყო ის მდივანი თუ ვიღაცა.

და გაიცინებდა თედო სახოკია, უფრო სხარტულად დახასიათება და გულისწყრომის უკეთ გამოხატვა აღარ შეიძლებოდაო. ეს სიტყვა „დურაკი“ ვასილ ბარნოვის ბაგით ხომ მრავლისმეტყველი გახლდათ და ისეთ ადამიანს შეუფარდებდა, ჭკუა-გონებისა და ზნეობის ნასახიც რომ არ გააჩნდა.

და ჩაფიქრდებოდა: მგონი, სხვანაირი ლანძღვა ვასილმა არც იცის, თორემ ამდენი ხანია, ვიცნობ და ერთხელ მაინც ამოუვიდოდა პირიდანო.

კარჩაკეტილობის დროც დაუდგებოდა და მთელი მისი სეირნობა იქნებოდა ერთი ოთახიდან მეორეში ტაატით გასვლა და უკან დაბრუნება.

ყველაზე ძალიან ხელების კანკალი ადარდებდა: საწერი ამდენი რამა მაქვს, ეს დალოცვილები კი მეურჩებიანო, — ხან დაუწყნარდებოდა და სიხარულისაგან აღარ იყო: აი, სულ მალე მომირჩება და შევუდგები წერას... საწერი კი ბევრი, სულ ბევრი მაქვს, ოღონდ მოვერიო კიო.

მაგრამ სნეულება სულ უფრო ერეოდა, ხელების კანკალიც უმატებდა და საჭმელსაც რის ვაი-ვაგლახით ჭამდა.

გულისმომკვლელი დეტალია:

სტუმრებს სასადილო ოთახში ჩაის დასალევად ეპატიჟება, თვითონ კი... სასტუმროში რჩება, ერიდება, სხვებთან ერთად სუფრას რომ მიუჯდეს.

ტუჩების კანკალის სულ უფრო გაძლიერება მის ლაპარაკს მკაფიოობას დაუკარგავდა და მისი წინანდელი ტკბილი ბაასის მოსმენა აღარავის შეეძლო.

გაუსაძლისი იყო თედოსათვის, როდესაც თვალდათვალ შეჰყურებდა, როგორ ეთხოვებოდა მისთვის ასერიგად ძვირფასი პიროვნება სააქაო არსებობას. ესიკვდილებოდა იქ მისვლა, მაგრამ ვასილის სიხარულით გაცისკროვნებული თვალები რომ წამოაგონდებოდა, როგორც კი თედო მის ბინაში შეაბიჯებდა, ამ სიხარულს ვერ მოაკლებდა.

მერე იყო, ლოგინიდან ამდგარს როგორღაც ფეხი რომ დაუცდებოდა და მარჯვენა ბარძაყის თავს მოიტეხდა.

ამას ზედ დაერთოდა გაციება და ფილტვების ანთებაც...

ოთარ ჩხეიძე კადრს იქ შეაჩერებდა, აგურგურებულ ბუხარს რომ შემოსხდომოდნენ ეს ორნი, ქართული სიტყვის წიაღში ჩაფლულნი, დროდადრო კედლებზე მათივე ლანდების თამაშსაც რომ მიადევნებდნენ მზერას და ძველთაძველი ჟამიც ხელშესახებად ეცხადებოდათ, ვართ თუ აჩრდილთა აჩრდილებიო, — რომ დუდუნებდა და იმედოვნებდა, ოდესმე ხომ დადგება ჟამი, როდესაც ან სრული უეჭველობით დადასტურდება გამოქვაბულისა და ანარეკლის ჩემეული წინასწარჭვრეტა, ანდა მის სიღრმეშიც შეაღწევს კაცობრიობის გონი, და თუ გახსნით ვერ გახსნის საიდუმლოს, მის საბურველს მაინც წაეტანება და ოდნავ აკეცავსო.

ლანდები თამაშობდნენ კედლებზე — მათიც, სხვებისაც. რაღა პლატონური გამოქვაბული და რაღა ეს ოთახი, თუკი წარმოსახვებს მიენდობოდი, და კიდევ — სიტყვის მუსიკას, გარდასული დროის მელოდიებს, მიენდობოდი და დატკბებოდი, დატკბებოდი და მეტი გაბედულებითაც გახედავდი გარემომცველ სინამდვილეს: სულის მოსათქმელი და თავშესაფარი ხომ მაინც დაგვრჩენიაო!..

* * *

იდუმალებაში გახვეული ოთახი.

კედლებზე მოთამაშე ლანდები.

და გარდასული დროის მელოდიები, სიტყვებში ჩაწურული და იქიდან ამომზევებული.

ესეც ის წვეთი — ზვირთად ითქვას, თუ გნებავთ — წუთისოფლისა, სამყაროს უსაზღვროების ამრეკლავი.

და... სხვა თავშესაფარს ანკი რაღას ვეძიებთ.

* * *

„ლექსიკონი თედოსთვის მუსიკაა, ძველთუძველესი ჟამიდან მონაბერი, უყვარს ტკბობა ამ მუსიკით და...დაე დატკბეს“, — მირინდებაში ხელს არ შეუშლის ვასილ ბარნოვი.

ლანდები კი, ჰოი, რას თამაშობენ კედლებზე, გარდასული დროის მელოდიებს შემოყოლილნი!..

თავი მეექვსე

ცა ქუდად, დედამიწა ქალამნად

— ათასი ჭორები მესმოდა შენზედ და მე იმედგადაწყვეტილი ვიყავ, მეგონა, ან ისევ საპატიმროში იყავ, ან სადმე შორს გაგზავნილი; მადლობა ღმერთს, სამშობლოში ყოფილხარ.

ამას სოფრომ მგალობლიშვილი მისწერდა დაუთარიღებელ ბარათში, რომლის თარიღის მიახლოებით განსაზღვრაც საძნელო არ არის, რაკიღა ფინალურ მონაკვეთში აღნიშნულია, რომ:

— მე ათში ქუთაისში ვიქნები გაბრიელის დასაფლავებისათვის...

გაბრიელ ეპისკოპოსი 1897 წლის 10 იანვარს დაკრძალეს, ასე რომ...

მეგონა ან ისევ საპატიმროში იყავ, ან სადმე შორს გაგზავნილიო...

რას წარმოიდგენს სოფრომ მგალობლიშვილი ან, მითუმეტეს, ის მეჭორენი, რომ ამ ფრაზაში არსებითად მოქცეულია თედო სახოკიას ამქვეყნიური ყოფაც და ბედისწერაც — ან სატუსალოში უნდა იყოს და ან მის კარზე და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევითობათა წყალობით უსხლტებოდეს.

აბა, მთელ სიცოცხლეს საპატიმროში ხომ არ გალევდა!..

თავისთავად ზოგადდება ეს ფრაზა.

სიმბოლური შინაარსით ივსება.

არადა, თითქოს მხოლოდ ყოფითი განცდებია, სოფრომი ძალიან განიცდის თედო სახოკიას მდგომარეობას, ბევრგვარი ჭორით გაბურბუსალებული, და რარიგ უნდა გაიხაროს, მისგან წერილი რომ მოუვა.

თავისი მხრივ რა მიეწერა?

წუხილი და ჩივილი:

ჩავვარდი ამ ოხერ კანცელარიაში, ვითა კამეჩი მორევსა, და ვცურავ რაღა! ვეღარ მოვიცალე ლიტერატურისათვის; თუმცა დაწყებული მაქვს რამდენიმე მოთხრობა, ამბები, სცენები, მაგრამ გათავება ვერ ეღირსათო...

თედოს წერილის პასუხად კი აცნობებდა, რომ სინოდის კანტორისათვის გაეგზავნათ მეგრული ენის შესახებ ჟურნალი, და:

— ექსარხოსი და მისი დამქაშები სულ ასკიკუკას თამაშობდნენ თურმე.

იმ დღეს ტფილისში რომ იმყოფებოდა, შეიტყობდა, რომ ჟურნალი ჯერ კიდევ არ გადაეცათ სინოდისათვის, შარს სდებდნენ: ლოცვები ჯერ სტრიქონ-სტრიქონ უნდა გადაეთარგმნათ ქართულად და რუსულად და ისე გამოეგზავნათო.

უკანვე დაბრუნებას უპირებდნენ ამ უბრალო ხრიკის მომიზეზებით.

ჟურნალში კი უარყოფილი იყო როგორც ლოცვების შეტანა, ისე მათი თარგმნა ქართულ-რუსულად.

— რას იზამ, ძალა აღმართის მხვნელია.

გრიგოლ ეპისკოპოსზე ჯერ ისედაც გადაკიდებულნი იყვნენ და ახლა ამ მეგრული ენის გამო აღარ იცოდნენ, სად გაეთხარათ მისთვის სამარე. ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რათა იგი როგორმე გამოეძევებინათ, როგორც ქართველი პატრიოტი. რაკიღა ასე პირდაპირ ვერ ჰკიდებდნენ ხელს და ვერაფერი ეპოვათ სამხილებელი, გამოჰყავდათ სცენაზე უღირსი პირნი და აჩივლებდნენ ვითომდა ეპისკოპოსის უწესო ქცევაზე.

— მახლას!!!

ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ ერთმანეთსაც არა ვზოგავდით, იარაღად ვიყავით უფროსების ხელში და ჩვენსავე მოძმეს მოსაკლავად არ ვინდობდით.

აგერ თუნდ:

ბესარიონ ეპისკოპოსს გადაეთარგმნინებინა ლეონიდე ეპისკოპოსის სიტყვა, კრწანისის ველზე ნათქვამი, დაერთო ზედ ათასი ცილი და „კლიაუზები" და ეგზარხოსისათვის გაეგზავნა: მე ბუ არ მომცემენ, ნურც მასო.

და სოფრომს ავი ძაღლის ანდაზა ახსენდებოდა.

ეგაა, იმათაც რომ სწორედ ეს უნდოდათ!.. და სიხარულისაგან აღარ იყვნენ!..

— ერთის სიტყვით, საშინლად გვეპყრობა სასულიერო მთავრობა (უმაღლესი, რასაკვირველია, აქაური).

როდესაც მოუვიდოდათ რამე მეგრულის შესახებ, მაშინვე აცნობებდა თედოს, მაგრამ... თვითონ ამ აზრისა იყო, რომ ჟურნალს ჩაილურის წყალს გაატანდნენ და სირცხვილით ჯერ-ჯერობით ვერ გამოჩნდებოდნენ.

თედო რომ სთხოვდა, გამომიგზავნე სამრევლო სკოლების პროგრამაო, — ამას ერთადერთი წიგნი მოეპოვებოდა, რომელიც განუშორებლად სჭირდებოდა. არადა, ეს წიგნი სოხუმშიც ექნებოდა სამასწავლებლო საბჭოს და ისინიც ათხოვებდნენ, ყველაფერი იქ რომ თავმოყრილიყო: როდის რა „უკაზი", დადგენილება და სხვა ამისთანანი ყოფილიყო გამოცხადებული.

თუ ტფილისში ჩამოსვლამდე სოფრომს შეუვლიდა, ის ძალიან დაუმადლებდა.

ხოლო გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა დიდ საერო ამბავს რომ ემსგავსებოდა, რა გასაკვირია, რომ ეგზარხოსს ეს ძალიან არ მოსწონებოდა.

ანთიმოზ ჯუღელთან დააბარებდა მოკითხვას: თუ იცნობო, — და აქედანაც მოკითხვას გადასცემდა: უნდა ნახო, რა ბიჭები მყავსო...

* * *

არჩევნები ჯერ არ დაემტკიცებინათ, ძალიან აჭიანურებდნენ და პოლიტიკურ ხასიათსაც მისცემდნენ — მეგრელებმა ჩაიგდეს ხელში ქალაქიო.

ეცინებოდა თედოს ამ საყვედურზე: — ქალაქი მეგრელებისაა და, რა თქმა უნდა, მეგრელები თავისას სხვას არ დაანებებენ!..

ასეა თუ ისე, მიაჩნდა, რომ ქალაქის თავის არჩევა შობამდე უნდა გათავებულიყო და ახალწლიდან ქალაქის თვითმმართველობას პოლიციისაგან ყოველი საქმე უნდა ჩაებარებინა ქალაქისა.

თბილისში რომ აპირებდა გამგზავრებას, თუკი ეს საქმე დაიძვროდა, სად წავიდოდა, თუ ყველაფერი წარმატებით არ დასრულდებოდა.

ამ ფიქრს ივანე მაჩაბელს რომ გაუზიარებდა 1896 წლის 28 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში, იმავე დღეს ალექსანდრე ყიფშიძესთანაც რომ აფრენდა წერილს, მასაც იმავე საწუხარს შესჩივლებდა: წერეთლის მწვადსავით გაჭიანურდა სოხუმის საქალაქო არჩევნების დამტკიცების საქმე, მთავრობა ყოყმანშია, დაამტკიცოს თუ არ დაამტკიცოს 26 ხმოსანში 19 ქართველი ხმოსანიო.

მეგრელებს რომ ბრალსა სდებდნენ, ქალაქი ჩაიგდეს ხელში და სხვები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვესო?

— დიდი ჭკუა და პატიოსნება არ უნდა, რომ კაცმა უსამართლობად ჩათვალოს აგეთი საყვედური! ქალაქი მეგრელებისაა, იმათ ჩაუღვრიათ სისხლი მისს სასიკეთოდ წარმართვაში და გადამთიელი ეუბნება, რატო ჩემი არ არისო! ახირებული არ არის განა?

არადა, სწორედ ამ უსაფუძვლო საფუძველს ჩასჭიდებოდნენ და არ ამტკიცებდნენ არჩევნებს. არ ამტკიცებდნენ, მაგრამ დარღვევითაც ვერ დაერღვიათ და საქმე ჯერ ქუთაისის გუბერნატორს რომ ექნებოდა, ზაფხულში თბილისს გადაეგზავნათ, მთავარმართებლის კანცელარიაში და... ეგდო იქ.

ალექსანდრესთან ეს სათხოვარი ჰქონდა:

— ახლა შენ როგორმე უნდა გაიგო, რას უპირებენ ამ საქმესა, და შეგვატყობინო, რითაც საუკუნოდ დაგვავალებთ სოხუმელთ. შენ არ შეგაწუხებდი, მაგრამ მე ამჟამად ვეღარ მივდივარ ქალაქში და განგებ ამისათვის იქ ჩასვლა ეკონომიურად მოუხერხებელია.

ამ არჩევნების შესახებ „მოამბისათვის" წერილი რომ გაეგზავნა, მე-8 ნომერში შეჰპირებოდნენ და... არ დაებეჭდათ, და თედოს უკვირდა და გული სწყდებოდა: ნუთუ შეიძლება არ აღელვებდეთ ჩვენი ქალაქის ბედ-იღბალიო?!

— ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდისინ პასუხი ვერ მოგეცი, შენი მონდობილობის გაგება ცოტა საძნელო აღმოჩნდა და ამის ბრალიაო, — მოსწერდა ალექსანდრე ყიფშიძე 1896 წლის 26

ნოემბერს. ახლაღა და ესღა გაერკვია, რომ სოხუმის არჩევნების დამტკიცების საქმე სულ ერთიანად მინისტრისათვის წარედგინათ და იქიდან ელოდნენ პასუხს. საქმის პოლიტიკურ მხარეს ყურადღება თითქმის არ ექცევაო, ასე დაერწმუნებინათ ალექსანდრე, ინტერესს იწვევს საჩივრის მხოლოდ ერთი მხარე — სანიტრების ბედიო.

— ამ ბატონებისთვისაც უნდათ მისცენ ხმა არჩევანისა და ამის გამო უფრო გაუგზავნიათ მინისტრისათვის.

14 დეკემბერს კი თედო მადლობას შემოუთვლიდა სოხუმელთა სახელით ამ ქალაქის ბედ-იღბლის შესახებ ცნობის მიწოდებისათვის.

არადა, რა დღეში ამყოფებდნენ:

— წარმოიდგინე, დღესაც არა ვიცით რა ამ საბედისწერო არჩევნებისა... სულ არად გვაგდებენ. არსად ნამუსი, არსად სირცხვილი... გაგონილა? მაგრამ აქეთკენ რა არ შეიძლება, რას არ გაიგონებს კაცი?!

როგორც იქნა, შეიკრიბებოდნენ და ქუთაისის გუბერნატორს თხოვნას გაუგზავნიდნენ: ან დაგვიმტკიცე თებერვალში არჩეული ხმოსნები და ან ახალი არჩევნების ნება მოგვეციო...

და ელოდებოდნენ, რას ან როდის ეტყოდნენ.

ანთიმოზ ჯუღელისგანაც გადასცემდა მოკითხვას ალექსანდრეს. ცოლ-შვილსაც შეუქებდა და მეოჯახეობა-მეურნეობასაც: ორი სახლი აქვს, ვენახი, მშვენიერი მოსახლე კაციაო.

— თუ სოხუმის ლორდმერის თანაშემწედაც ავირჩიეთ, მაშინ სულ უკეთესად წავა მისი საქმე.

ისე, ალექსანდრე ყიფშიძე რომ მოსწერდა: იშრომე განუწყვეტლივო, — სხვა რამე ესურვებინა, თორემ, თუ რაიმე არ აკლდა თედო სახოკიას,

სწორედ განუწყვეტელი შრომა, მისთვისაც დღე 24 საათით კი არა, გაცილებით მეტით რომ იზომებოდა და, როდესაც გაოცებას გამოთქვამდნენ: როდის ასწრებ ამდენ რამესო, — თედოს როგორ არ გაჰკვირვებოდა მათი გაკვირვება და ყველასათვის არ შეეხსენებინა: მე და ჩემისთანები რა სათქმელია, ილია ჭავჭავაძე როგორ ასწრებს ამდენ რამეს, აი, ეს კი მართლა გასაოცარიაო.

* * *

გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავალი" მორიგი კრება რომ გაიმართებოდა, 1897 წლის 7 თებერვლის ბარათში ვალერიან გუნია თედოს უსაყვედურებდა: რატომ აგვიანებ კორესპონდენციის გამოგზავნას, პირველი წერილი დღეს მივიღე, ანგარიში კარგად არის შედგენილი, მაგრამ, როდესაც მოხვალ, უნდა ამიხსნა კრების სული. თუ კაცი ხარ, არ მიღალატო და არავის მიემხრო, მე ჯერჯერობით მინდა ფოტოგრაფიული სისწორე კრებისა, და მერე ამ ფოტოგრაფიიდან შეიძლება კაცმა ასე თუ ისე გამოთქვას თავისი მსჯავრიო.

რჩევას უზიარებდა: საჭიროა აღნუსხო წვრილმანები კრებისა. გამიგე, ძალიან მჭირია, რა ხდება კულისებში,ასე ვთქვათ, თავყრილობის რემარკები, როგორც პიესებშია.ეს რემარკებია სული და გული კრებისაო.

და ცოტა სუსხსაც გაურევდა ხმაში:

ყოველ შემთხვევაში, შენი იმედი მაქვს, მჯერა, რომ თუ შენს პატიოსნებას არა, ჩემსას მაინც შეულახავად შეინახავ!.. მიტომაც გენდე და ამ ნდობას, უეჭველია, ღირსეულად შეასრულებო.

საპასუხო ბარათში თედო საყვედურზე საყვედურითვე მიუგებდა: მე კორესპონდენციები დროულად გამოგიგზავნე და ფოსტის დაგვიანებას მე რატომ მაბრალებო.

ვალერიანი განუმარტავდა: ორი პაკეტი, 7 თებერვალს რომ მივიღე, თავი ვერ შევიკავე, ასეა თუ ისე შენი წყენინება აზრადაც არა მქონია, და თუ „უკან არ დავიბრუნებ" („დავუნაზადებ"), ეს იმიტომ, რომ:

— ვიცი შენი მხიარული ხასიათი, ამას არ მიწყენ!

რაო, კიდევ რას საყვედურობდა თედო?

პატიოსნების ხსენება ზედმეტად მიმაჩნიაო.

მე სულაც არ შემიტანია ეჭვი შენს პატიოსნებაში და ღმერთმა ნუ ჰქნას ეგაო, — პასუხობდა ვალერიანი, — რწმენის დაკარგვა შენს პატიოსნებაზე შენი სიკვდილიც იქნებოდა და იმავდროულად ჩემი გულის მოკვლაც, რადგან ერთი პატიოსანი ჯარისკაცი მოაკლდებოდა იმ მცირე რაზმს, რომლის რიცხვში მეც მინდა ვერიო და ვურევივარ კიდეც ღვთისა და ჩემი უხინჯო ბუნების წყალობითო.

— ვიცი რა შენი საიმედო პატიოსნება, იმავე დროს უფრო კარგად ვიცი შენი პოეტური, აღტაცებული და სპეტაკი ბუნება და გუნებაც (საკმარისი არ არის, რომ თავად პატიოსანი იყო, უნდა გველივით გეზიზღებოდეს უპატიოსნობა და ვითარცა გველს, მუდამ მზად უნდა იყო, თავი გაუჭყლიტო უპატიოსნობას), — რომელიც ადვილად აპატიებს ადამიანს და თუნდაც მთელ წრეს რაიმე უმართებულო საქციელს. შენ უთუოდ ზურგს აუქცევ ყოველს უწესობას, მე კი უთუოდ შევებრძოლები და მიწასთან გავასწორებ, გავსრეს, გავანადგურებ. მე და შენ ორნივე პატიოსნები ვართ, ჩემო კარგო, მაგრამ განსხვავებაც არის ოდნავი მაინც და ეს განსხვავება მე ყოველთვის ნებას მაძლევს, გაგაფრთხილო მაინც და მეც ამის მეტი არა მითქვამს რა შენთვის და, თუ როდისმე მოხდა ესეთი უბედურება, რომ გისაყვედურო „გადაგვარება“, მაშინაც ისე მოურიდებლად პირდაპირ შუბლში მოგახლი აღშფოთებული გულიდან აღმოხეთქილ წყრომის ნაკადულს, როგორც ეხლა ძმურად გეუბნები პირში სიმართლეს, ქების წყალში ნარევს...

მართლაც ძმური ტირადაა, ოთარაანთ ქვრივისებური პილ-პილ-მოყრილი ქება, რომელმაც უნდა დაგვიდასტუროს თედო სახოკიას საიმედო პატიოსნებაც და პოეტური, აღტაცებული ბუნებაც და გუნებაც.

შენი ბავშვური გულის სისპეტაკე და აჩუყებული გრძნობა მეც მახარებს და ახალგაზრდად მხდისო, — რომ დასძენდა, ეს იმიტომ, საგანგებოდ გაეფრთხილებინა: სიყვარული კარგი რამ არის, მაგრამ არ მოტყუვდე, ამ რთულ გრძნობას საჭიროა უთუოდ გონებაც თან ახლდესო.

— ყოველ შემთხვევაში ვისურვებ შენთვის ღირსეულ ბედნიერებას და სულით და გულით გილოცავ შენც და შენს ციცასაც სინდისიერ კავშირს, ადამიანურ უმეტნაკლებო სიტკბოებას ამ ყოვლად მწარე წუთისა სოფლის სარბიელზე.

უსურვებდა ბედნიერებას და მოაგონებდა თავის დევიზს საზოგადო თუ კერძო ცხოვრებაში:

— ყოველი ადამიანი მჭედელია თავის ბედის ანუ უბედობისა.

და მაშ თედოსაც ისე დაეჭედა თავისი ბედი, რომ ვერც უბედურების გრიგალსა და ვერც ჭექა-ქუხილს ვერ დაემხო ის.

— თედო, მარტო ის არ კმარა, რომ შენ გიყვარდეს ქალი, საჭიროა იმას უყვარდე და, თუ შეიძლება, ერთი ათად მაინც მეტად, ვიდრე შენ გიყვარს იგი. ქალის ბუნება ჯერ დამდგარი არ არის და დიდზედ უფრო დიდი გრძნობა უნდა ღვიოდეს ქალის გულში, რომ სხვა გარეშე გრძნობამ, ზნემ, ჩვეულებამ, აღზრდამ და სხვა მრავალმა ან ათასმა წვრილმანმა არ დაუხშოს იგი დიდი გრძნობა.

ამასაც ურჩევდა: მუდამ უნდა ცდილობდე, რომ ყოველდღე, ვიდრე ქალი დაბერდებოდეს, სულ სხვადასხვა საუნჯე აჩვენო შენი გულისა, ან გონების ძლიერება და მისთანანი, მთელი სიცოცხლე, დაბერებამდე, ცოლისათვის, გარდა იმისა, რომ ქმარი ხარ, მოხდენილ და საამო არშიყად უნდა დარჩეო.

* * *

1897 წლის მარტში ნიკო ჯანაშიას ბარათი მიუვიდოდა, იმას აქამდისაც რომ უნდოდა წერილის გამოგზავნა, მაგრამ შინაური მწუხარების გამო (შვილი გარდასცვლოდა) ვეღარ მოეხერხებინა და ახლა ძლივსღა სწერდა.

გუდაუთელებს განეზრახათ, ეჩივლათ, სადაც ჯერ არს და ეთხოვათ, გუდაუთაში ქართული წირვა-ლოცვის ნება დაგვრთეთ, თუ მუდამ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინცო. ამიტომ, ვიდრე შეიტანდნენ თხოვნას, თედოს ეკითხებოდნენ რჩევას: სად უფრო უკეთესია თხოვნის შეტანა — კანტორაში თუ ეგზარხოსთანო? თედო ხომ იცნობდა მამა ლეონიდს, ამიტომაც ურჩევდა, მას დაჰკითხოდნენ, რარიგ მოქცეულიყვნენ ამ შემთხვევაში. ამასთან, კარგი იქნებოდა, თუ თხოვნის შავ პირს შეუდგენდნენ და გაუგზავნიდნენ:

— როგორც მოგეხსენება, აქ მისი დაწერის თავის მქონე არავინა გვყავს.

რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა მოეგვარებინა ეს ყოველივე, რომ გუდაუთელები დროულად შესდგომოდნენ საქმეს. ამასთან, თხოვნას რომ შეიტანდნენ, თედოს ეგებ მოეხერხებინა, რომ „კავკაზისათვის" ამათ სასარგებლოდ ამოელებინა ხმა.

ამისთანა საქმე და... თედოს გარეშე?

კარგია, რომ მარტო მისთვის არ აეკიდებინათ ყველაფერი და თვითონაც ცდილობდნენ საქვეყნო საქმეებში გარევას.

ყველგან მატულობდნენ ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანები.

კომისია რომ შეიქმნებოდა ეპისკოპოს ბესარიონის (დადიანი) თავმჯდომარეობით, ქართული ლოცვების მეგრული თარგმანიც მას უნდა შეემოწმებინა და, თუკი მოიწონებდა, წირვის წესის თარგმნასაც უნდა შესდგომოდნენ, ამ კომისიის მხურვალე მონაწილე, სულისჩამდგმელი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი თედო ჟორდანია აღმოჩნდებოდა. ეს კი იმთავითვე გულისხმობდა, რომ კომისიის წევრები სრული მიუკერძოებლობით მოიქცეოდნენ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდნენ ლოცვათა ამ თარგმანს და გამოამჟღავნებდნენ მთარგმნელთა მთელს უსუსურობას, თანაც დაადგენდნენ: მეგრულად თარგმნა ქართული ლოცვებისა თუ წირვის წესისა სრულებით საჭირო არ არის, რადგანაც ქართული მშვენივრად ესმით მეგრელებსო.

თედო სახოკიას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ესეების ციკლში თედო ჟორდანიას პორტრეტიც რომ წარმოისახებოდა, ეს ეპიზოდიც ჩაერთოდა და ამ კუთხით მისი მოღვაწეობაც თვალსაჩინოდ გადაიშლებოდა, ის უხილავი მიჯნაც წარმოჩნდებოდა მის ბიოგრაფიაში, 1896 წლის შემდეგ — იმერეთის საეპარქიო სკოლების მეთვალყურედ რაც დაინიშნებოდა — მისი საქმიანობა ერთბაშად რომ გამრავალფეროვნდებოდა: თუ აქამდე პირწმინდად კაბინეტური იყო, ამიერიდან ხალხთან მჭიდრო ურთიერთობას გააბამდა სკოლების გახსნის ნიადაგზე, შეუდგებოდა მოგზაურობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, დათვალიერებას ტაძარ-მონასტრებისა, შეკრებას ძველი ხელნაწერებისა და ათასგვარი საისტორიო და საარქეოლოგიო მასალისას, მათს დამუშავებასა და რიგზე გაწყობას.

ზაფხულს მეუღლის სოფელში რომ ატარებდა — ბერშუეთში, ქართლში, ცხოვრობდა სადად — მიწურში, გლეხებივით. უყვარდა მათ შორის ჩაჯდომა და ბაასი. ხან კიდევ მუშაობას შეიძლება ისე გაეტაცა, დავიწყებოდა დრო და ადგილი და ისე დასთენებოდა თავზე, ვერც კი გაეგო.

იმერეთის საეპარქიო სკოლათა ზედამხედველობა მაშინ მოუწევდა, როდესაც საქართველოს საეგზარხოსოს საეპარქიო სკოლების მეთვალყურეობა ებარა დეკანოზ ვოსტორგოვს, ვისაც თედოც ისევე დაახასიათებდა, როგორც ყველა ხედავდა: სულითა და გულით გამტარებელს სკოლებში რუსიფიკატორული პოლიტიკისა, ხელქვეითთაგანაც ამასვე რომ მოითხოვდა. ვთქვათ, ქართლში თუ სამრევლო სკოლებში ქართველებთან ერთად ოსი ბავშვებიც სწავლობდნენ, ვოსტორგოვის მოთხოვნით, სწავლება უეჭველად რუსულ ენაზე უნდა დანერგილიყო, თუნდ უმრავლესობა ყმაწვილებისა ქართველი ყოფილიყო და ოსებს კი ქართული სცოდნოდათ.

დაწერდა ამას თედო და... იქვე მწარე ღიმილით მიადევნებდა:

— ქართლში აბა რომელმა ოსმა არ იცოდა მაშინ ქართული?!

ეს პოლიტიკა განსაკუთრებით სახიფათო შეიქნებოდა სამეგრელოს მხარეში, სადაც განზრახული იყო ქართული ენის გაუქმება, როგორც არამშობლიურისა მეგრელი ბავშვებისათვის.

თედო ჟორდანიას, აბა, აქ დასჭირდებოდა თუ დასჭირდებოდა მთელი თავისი ცოდნა ქართულისაც და მეგრულისაც, რათა დაესაბუთებინა მთავრობისათვის, რომ ქართული მშობლიური ენა იყო მეგრელთა და, ამასთან, ენა, რომელზედაც მეგრელნი ქრისტიანობის შემოღებიდან ლოცულობდნენ ეკლესიაში!..

— თედო ჟორდანიას დასჭირდა, რომ ეს პოზიცია დაეცვა და მის არგუმენტებს გაეჩერებინა შემოსეული მტერი ქართული ენისა. ეს სწორედ იმ დროს იყო, როცა სამეგრელოში სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა უკვე 80-იანი წლებიდან განდევნილი იყო.

რა გასაკვირია, რომ, როდესაც 1905 წელს ატყდებოდა დავა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე, თედო ჟორდანიასაც თავისი ჩვეული ერუდიციით მზეზე გამოეფინა ეს საკითხი, გაეშუქებინა ყოველმხრივ და იმ საზოგადოებისათვის, რომელიც უარყოფდა ავტოკეფალიის აუცილებლობას, დაემტკიცებინა, თუ რამდენად კანონიერი და კანონიკური იყო ეს მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის მიერ.

მაგრამ ამ პიროვნების დევნას რომ არა და არ დაადგებოდა საშველი!

და თედო სახოკიას როგორ არ წამოჰგონებოდა დრამატული რეალობის დამადასტურებელი სიბრძნე: ზოგისა ბამბაც რომ ჩხრიალებდა და ზოგისა — კაკალიც არა?!

არ ისმოდა თედო ჟორდანიას კაკლის ჩხრიალი.

რა — თვითონ თედო სახოკიას კაკლის ჩხრიალი კი ისმოდა?

ისე, ამ თედოს ძალიან ეამაყებოდა, რომ იმ თედოს დაუნანებლად დაეტოვებინა მოსკოვის სასულიერო აკადემია, სადაც სახელმწიფო ხარჯით იყო გაგზავნილი, და დაეტოვებინა მაშინ, როდესაც მისი ლექტორი, მთელს რუსეთში ცნობილი ისტორიკოსი კლუჩევსკი დიდად აქებდა და სთავაზობდა მოსკოვში დარჩენას საპროფესოროდ.

ბევრი ვუშალე, რომ აქედან არ წასულიყოო, — გულისტკივილით ამბობდა რუსი პროფესორი თავის კოლეგებსა და მეგობრებში, — მაგრამ ვერაფერს მივაღწიე, ისეთი დაუოკებელი სწრაფვა ჰქონდა სამშობლოსაკენო.

ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად რომ გაამწესებდნენ 1879 წელს, მისი ნამონაფარნი აღტაცებით იგონებდნენ ხოლმე იმ დროს, როდესაც თედო ჟორდანია ჰყავდათ არამარტო ზედამხედველად და საგნის მასწავლებლად, არამედ — უფროს ძმად, მამად, რომელიც გადაყოლილი იყო მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ აღზრდასა და იმ სასწავლებლის კეთილდღეობასა და წარმატებაზე, მისთვის რომ ჩაებარებინათ.

რუსიფიკატორული პოლიტიკა განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნებოდა სამეგრელოში, სადაც ერთადერთი სასულიერო სასწავლებელი არსებობდა — სენაკში, სადაც ჯერ კიდევ ბოგინობდა ქართული ენა, ისიც — საგნად და არა საშუალებად სხვა საგნების შესწავლისა. იქ უნდა მოვლენოდა ქართულ ენას დამცველად ეს პიროვნება.

ჰოი, რას მძვინვარებდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი — მაზრის უფროსებისა და ბოქაულთა მეშვეობით ხალხს რომ ძალას ატანდა სამრევლო სკოლების

დასახურად და სამინისტრო სკოლების გასახსნელად. ეს ძალმომრეობა კი თავისთავად ფარატინა ქაღალდად აქცევდა სასულიერო სინოდის მიერ დამტკიცებულ პროგრამას, რომლის თანახმადაც პირველ წელიწადს აუცილებელი იყო, ყველა საგანი ქართულად ესწავლებინათ.

— თევდორე ჟორდანიას წილად ხვდა არაპირდაპირი შებრძოლება იანოვსკის უკუღმართ პოლიტიკასთან, დაცვა და გამოქომაგება სამრევლო სკოლების არსებობისა და ამ სკოლებში დატოვება იმ ენისა, რომელზედაც ეკლესიებში წირვა-ლოცვა სრულდებოდა, ე.ი. ქართული ენისა.

რაო, რას ირწმუნებოდნენ სამინისტრო ეკლესიის ბატონ-პატრონნი?

მეგრელნი ქართველები არ არიანო?

მაგრამ ჯერ მარტო ის გარემოება, რომ ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულად სრულდებოდა, განა საკმაო არგუმენტი არ იყო, რათა ეკლესიებთან სამრევლო სკოლები დაარსებულიყო?

თედო სახოკია თავისი სეხნიის დიდ ოსტატობასა და ტაქტს მიაწერს იმას, რომ სასულიერო სასწავლებელში დამკვიდრდა 1882 წელს სინოდის მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომლის ძალითაც საპატიო ადგილი ეთმობოდა ქართულის სწავლებას ამ სასწავლებლებში.

ლეგალურად მოქმედებდა თედო ჟორდანია?

მთავრობის სასულიერო სფეროებში მაინც აითვალწუნებდნენ და, როგორც საშიშ პიროვნებას, თავისებურად დასჯიდნენ — წაართმევდნენ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველობას და 1883 წელს გადაიყვანდნენ შტატგარეშე მასწავლებლად ქართული სიტყვიერებისა.

— ამის შემდეგ ცხოვრებისაგან ასეთი სასჯელი და დამცირება არ დაჰკლებია როგორც გარეშეთაგან, ისე, რაც უფრო გულს უკლავდა, შინაურთაგან.

სემინარიაში იგი გამოიჩენდა ტაქტსა და უნარს გარემოებასთან შეგუებისა და არსებულ პირობებისდაგვარად მოქმედებისა, ზოგჯერ დათმობისაც — იმ იმედით, რომ ამ დათმობით ცოტა რამეს მაინც მოვიგებო.

საზოგადოება რომ ითხოვდა მისგან, თავი გამოიდეო? გმირობა და რევოლუციონერობა გამოიჩინეო?

თედო არამცთუ გაკილავდა სხვებივით, პირიქით, თავგამოდებითაც იცავდა ამგვარი შემოტევებისაგან: რატომ ითხოვთ მისგან რევოლუციონერობას, ბუნებით არ არის ამ ყალიბისა და არც არასოდეს ჰქონია პრეტენზია, რევოლუციონერის სახელი ეტარებინა. მთავარია, რომ ერთ რამეს ვერავინ წაართმევს — ვერც მტერი და ვერც მოყვარეო:

— გული ჰქონდა ნამდვილი ქართველისა და, საცა კი დაინახავდა უსამართლობას, ქართველი ერის საწინააღმდეგოდ ჩადენილს, გული შემოჰკვნესოდა და ცდილობდა შეჰბმოდა ქართველის მტერსა და ავს ისე, როგორც მისი მშვიდობისმოყვარე ბუნება უკარნახებდა: წერით, დაჯერებით, ცოდნით და, როცა არაფერი გაუვიდოდა, როგორც მორწმუნე კაცი, უკანასკნელ საშუალებას მიმართავდა: უზენაესს შეავედრებდა დაჩაგრულის გაკითხვას და დამჩაგვრელის პასუხის-გებინებას.

ამ პასაჟში არამარტო თედო ჟორდანიას პიროვნული ბუნება იხატება ფსიქოლოგიური სიღრმითა და ნიუანსობრიობით, არამედ ავტორისაც, ვინც — თვითონ ბუნებით მებრძოლი — სულაც არ ითხოვდა სხვათაგანაც ასე მოქცევას, თავისი ცხოვრების სტილს სულაც არ აღიარებდა ერთადერთ ჭეშმარიტ გზად, რომლისგანაც გადახვევა ადამიანს დანაშაულად თუ შეცოდებად თუ ნაკლად უნდა ჩამორთმეოდა.

ყველა თავისი ბუნების კვალობაზე უნდა მოქცეულიყო — ვინ მშვიდობისმოყვარედ, ვინ ჯიქური შეტაკებით, მთავარია, რომ გული გქონოდა ნამდვილი ქართველისა და უსამართლობა არ მოგეთმინა, ამ მხრივ თუნდ თედო ჟორდანიას ცხოვრების წესიც სამაგალითო რომ იყო.

* * *

მეგონა, ან ისევ საპატიმროში იყავ, ან სადმე შორს გაგზავნილიო...

ვალერიან გუნია ბარათს რომ მისწერდა 1898 წლის 21 იანვარს, კარგად იცოდა, თედო ჯერჯერობით თავისუფლად რომ

იმყოფებოდა, ეგაა, ფეხი სტკენოდა, მაგრამ ამ სიტყვებით დაიწყებდა თუ არა წერილს:

— რასა იქ, არიგებ რასმე მანდ — თუ ოცნებობ?

იდუმალად სწორედ ამავე მოლოდინს ამჟღავნებს ეს ფრაზაც, რადგანაც თედო სახოკია იმ წუთას „რაიმეს არიგებს" თუ „ოცნებას მისცემია", უნებურად საციხოდ იხდის თავს — „რაიმეს გარიგებაც" არსებითად ამას ნიშნავს და ოცნებაც ბოლოს მაინც აქამდე მიიყვანს.

მათი უბედური გაზეთის თაობაზე კი რა ეცნობებინა ვალერიანს: უარი მომივიდაო?! პეტერბურგიდან ყველასთვის უარი შემოეთვალათ და გამონაკლისი არც ეს აღმოჩენილიყო. სხვა გზა აღარ რჩებოდა, უთუოდ უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში და საქმე თვითონვე გაერიგებინა. თებერვლის პირველ რიცხვებში იქ რომ აპირებდა წასვლას მთავარ-მართებელი თავისი კანცელარიის დირექტორიანად, ვალერიანი აპირებდა მათ ასდევნებოდა უკან ერთი კვირის თავზე და... თუ რაიმეს გახდებოდა, ხომ კარგი, თუ არა და, ეს ხომ მაინც ეცოდინებოდა, რა იყო დამაბრკოლებელი მიზეზი.

— თუ პროგრამა არ გამიდიდეს, ვეცდები, დამატებანი მომცენ... ეგ იქნება უფრო სასიკეთო გამოვიდეს... ასე თუ ისე, ივრელებისა არ იყოს, „ნავხოთ".

მაგრამ მის არყოფნისას ისედაც უბადრუკ „ცნობის ფურცელს" რა ხეირი დაეყრებოდა?! თუ კიდევ ოდნავ სული ედგა და რამეს ჰგავდა, ისევ შეერთებული მეცადინეობის წყალობით.

და კიდეც წაეხუმრებოდა და სათხოვარსაც გაუზიარებდა:

— ერთის სიტყვით, უვირისთაოდ ქორწილი არ იქნება და უშენოდ კიდევ ჩემს გაზეთს არა ეშველება რა ჩემს არყოფნის დროს... მიხვდი?

დიდი მიხვედრა ამას უნდოდა!..

მაშ თედო უნდა დალოდებოდა ვალერიანის დეპეშას, როგორც კი იგი დააპირებდა წასვლას, უთუოდ ამცნობდა და ესეც სოხუმიდან უნდა ჩამოსულიყო დედაქალაქში, თუ შეძლებდა და მოუხერხდებოდა. ეს ისე, სხვათა შორის ითქმის, თუ შეძლებ და მოგიხერხდებაო, თორემ ვალერიანს ეჭვიც არ ეპარება, რომ

თედო სახოკია „ცნობის ფურცელს“ უპატრონოდ არ დააგდებს, ქვას გახეთქავს და შეებმება ამ უღელს. ბევრს ვერას შეჰპირდებოდა რედაქტორი, მაგრამ საჭმელ-სასმელის ფარა კი ექნებოდა. თედოსი ეიმედებოდა გამგზავრების წინ და კოწიასი.

ოფიციალურ რედაქტორად ვინ დაეყენებინა?

უნდა შერჩეულიყო ისეთი კაცი, ვისაც არ დაიწუნებდა საცენზურო კომიტეტი.

ესეც კიდევ ერთი თავსამტვრევი საქმე.

ვასილ სულხანიშვილი ხომ არა, როგორც უკვე რედაქტორად („მეურნე“) ნამყოფი?

ან იქნებ გიორგი გვაზავა?

ამას ვალერიანი და თედო ერთად გადაწყვეტდნენ. მთავარია, საცენზურო კომიტეტს შეეწყნარებინა მათი კანდიდატურა.

ახალი ამბავი კი ის იყო, რომ წინა დღით ილია ჭავჭავაძეს დაეძახა ვალერიანისათვის და დიდხანს ელაპარაკა „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ შეერთებაზე.

ეს არც ჰო-ს ეტყოდა და არც არა-ს და დაშორებით რომ დაშორდებოდნენ ერთმანეთს:

— მითამ მოსაფიქრებლად. ეს, შენც დამეთანხმები, ჩვენთვის კარგი ნიშანია... რა თქმა უნდა, შეერთებაზე ჯერჯერობით, სანამ რაიმე ღონე შემწევს, ფიქრი და სჯა მეტია... ამას საიდუმლოდ გწერ. ნურავის ეტყვი...

თუ უფალი წყალობას მოიღებდა და ვალერიანი ერთ საქმეს გაარიგებდა, მაშინ საქმე ქუდში ექნებოდა. დაწერდა ამას და... ირონიულად დასძენდა: ვერაფერი ქართულია, თუმცა თარგმანი კი სწორია რუსულიდანო!..

წყალობა კი ის უნდა ყოფილიყო, რომ აძლევდნენ ნაღდ 5 000 მანეთს.

— იქნება გარიგდეს საქმე და მაშინ სტამბა, გაზეთი და წიგნები, ჩვენი მეცადინეობა, შრომა და წარმატება. მეტი რაღა გვინდა. აქა-იქ ლაპარაკობენ, რომ „გამომც. ამხ.“ გამგებლად ვალიკო კარგი იქნებოდაო. და ზოგმა კიდეც მთხოვა. მე უარზე ვარ, იქნება არც ამომარჩიონ, მაგრამ მაინც ჭორებსა გწერ. თუ ეს საქმეც მოხერხდა, უშენოდ არ ვიკისრებ.

თედო სახოკიას გარეშე მეტად ძნელი იქნებოდა მისთვის დათანხმება, მაგრამ ასეთი კაცის იმედად კი შეიძლება შეებას ადამიანი ძალიან ძნელ საქმეთაც.

უთედოოდ კი იმიტომაც ვერ გადაწყვეტს, რომ:

— რა ძნელია, ეს ოხერი, ერთგული კაცის პოვნა.

იქვე მეგობრულადაც წაჰკრავს: მართალია, შენ დიდი „ფირახვოტი" ხარო, — მაგრამ გატანით უსათუოდ გაიტანდა სვრელს თედო და... ვალერიანსაც მეტი არა უნდოდა რა.

პასუხს სასწრაფოდ სთხოვდა, ბარათის მიღებისთანავე, რათა თადარიგი შესაფერისი დაეჭირა.

ეჰ, მარტო თედო სახოკიას პასუხზე რომ ეკიდოს ეს საქმეები, და არა საცენზურო კომიტეტზე, პეტერბურგზე და... არაერთ ისეთ გარემოებაზე, სულს რომ უხუთავენ და ხშირად კვირტშივე ჰკლავენ საქვეყნო წამოწყებებს, და იძულებულს გხდიან, ამ ხელოვნურ ბარიერთა მოსაშლელად შემართულმა ან საპატიმროში ამოჰყო თავი, ან ციმბირის გზას დაადგე, და ან ემიგრაციას შეაფარო თავი. მაგრამ ესეც თუ შეფარებაა — იმ მწარე სამსალის დასრულებას გულისფანცქალით ელოდო!

* * *

1898-1900 წლებს სოხუმში გაატარებდა.

და ამ წლებს ყოველთვის გაიხსენებდა, როგორც გამორჩეულ ხანას თავისი ცხოვრებისას.

— მართლაც რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა — ქალამნად.

მეტი გამორჩეულობა რაღა გვინდა.

ისე, უმთავრესად მაინც რა ნიშნით მიიჩნევს განსაკუთრებულად?

— თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელი ახალგაზრდულის აღფრთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსის იმპერიალიზმის მიერ ჩვენის ქვეყნისა და ქართველ ხალხის გამარუსებელი პოლიტიკის გატარების საქმეს.

ბრძოლა მეტისმეტად უთანასწორო?!

ამიტომაც ესაჭიროებოდა ეს თვითრწმენა და ფანატიზმი, ეს შეუპოვრობა და თავზეხელაღებულობა — ცა ქუდად და დედამიწა ქალამნადო.

სოხუმში იმჟამად მეგრელობა და, საერთოდ, ქართველობა მოსახლეობის რა ნაწილს შეადგენდა?

თედო სახოკიაზე უკეთესი მოწმე ვინ გვინდა — 80 პროცენტსო.

ქალაქის უძრავი ქონების პატრონები? — ქართველები.

ვაჭრობის ტონის მიმცემნი? — უფრო მეგრული წარმოშობისანი.

სამაგიეროდ...

ადმინისტრაციაში მოსამსახურიდან (თედო თავს ვერ იკავებს, შესაფერისი ეპითეტიც არ მიადევნოს: სულმდაბალიო) მოკიდებული ოლქის უფროსამდე სულ — და ეპითეტთა სიუხვე ახლა ნახეთ — უვიც, ტლანქ, მექრთამე რუსის ჩინოვნიკებს ეპყრათ ყოველივე.

სასულიერო უწყება იყო და — რუსებისაგან შედგებოდა;

ეპისკოპოსი იყო და — რუსი;

გარშემო მღვდლები ეხვია და — რუსები;

სოხუმი სოხუმად და, მთლად მის ოლქში როგორ გამოიყურებოდა ქართველობა, ანუ მეგრელობა?

ზუსტად იმავე პროცენტით განისაზღვრებოდა, რაც ქალაქში — 80%.

საუკეთესო და უებარ საშუალებად ამა თუ იმ ერის გადაგვარებისა, ეროვნული სახის წართმევისა რაკიღა სკოლა აღიარებულიყო, თედო შეშფოთებული შეჰყურებდა, საქართველოს ამ განაპირა მხარის მცხოვრებთა გარუსების მისიონერები ხორციელი თუ სულიერი უწყებისა როგორ ხსნიდნენ სკოლებს მეგრელებისათვის იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს არ გაეგოთ, ქართველები რომ იყვნენ, და არც ის უნდა სცოდნოდათ, რომ სკოლაში საგნების სასწავლო ენა უნდა ყოფილიყო ქართული, ხოლო რუსული უნდა ესწავლათ — როგორც საგანი, როგორც სახელმწიფო ენა.

ცხადია, უკმარი იქნებოდა ქართული ენის განდევნა სკოლებიდან, ეკლესიებიდანაც უნდა გამოეძევებინათ და სოხუმის

ეპარქიის ეპისკოპოსი აიძულებდა სლავურის უცოდინარ ქართველობას, რათა მათთვის გასაგებ და მშობლიურ ქართულ ენაზე არ მოესმინათ წირვა-ლოცვა სოხუმის საკრებულო ტაძარში.

ამ მხარეშიც მიზანსწრაფულად გრძელდებოდა საერთო იმპერიული პოლიტიკა და ეპისკოპოსიც თავის მოქმედებას ამიტომაც მიიჩნევდა სავსებით ბუნებრივად და კანონიერად, ენერგიულობის კვალობის შესაფერისადაც რომ დაუფასდებოდა.

გულდაწყვეტით ბევრს სწყდებოდა გული ამ უმსგავსობის შემყურეს.

აღშფოთებით ბევრი აღშფოთებულიყო.

მაგრამ შესაფერისი გასაქანი ვერ ეპოვათ წუხილისა თუ გულისწყრომისათვის.

და აი, უნდა გამოჩნდეს ახალი თაობის კაცი, უკვე საკმაო გამოცდილებითაც აღჭურვილი როგორც ჟურნალისტურ-ლიტერატურულ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, და წარბშეუხრელად შეეხალოს ამ რეალობას მისი სრული გარდაქმნის ჟინით ანთებული.

მართლაც ცა ქუდად არ უნდა მიგაჩნდეს და დედამიწა ქალამნად, ასეთ ბრძოლაში როდესაც ებმები და მამხილებელი თუ საპროტესტო სტატიების მთელს ციკლს აქვეყნებ თავად უხტომსკის გაზეთში „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, და ვინ იცის, გზას გაიკვალავდა თუ არა ეს წერილები რუსულ პრესაში, რომ არა დიდად გავლენიანი პირისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ქომაგის ნიკოლაი დურნოვოს თანადგომა, ამჯერადაც მთელი არსებით რომ ემხრობოდა სოხუმის ოლქის მორწმუნე ქართველობის სურვილსა და სწრაფვას და, თედო სახოკიასი არ იყოს, ეპისკოპოსის ამგვარ მოქმედებას აფასებდა არა იმპერიული პოლიტიკის ნაწილად, არამედ თვითნებობად და თავხედობად.

ამგვარი ტაქტიკა აუცილებელი იყო, რათა წერილები არ დაბრკოლებულიყო და ეპისკოპოსის ქმედებასაც როგორმე ლაგამი ამოსდებოდა, მაგრამ გამოქვეყნება თუ მოხერხდებოდა, ლაგამის ამოდებისა კი რა მოგახსენოთ, სასულიერო უწყების მეთაურს მოჩვენებითად და გარეგნულადაც არავინ უსაყ-

ვედურებდა და... თედო სახოკიას მძაფრი სტატიები არაფრით განსხვავდებოდა უდაბნოში ღაღადებისაგან.

— და დაჩაგრულნი მკვიდრნი გულზე მოწოლილ ბოღმასა და ბრაზს, ასეთ უხეშის უსამართლობით გამოწვეულს, გულშივე იკლავდნენ.

მთელს ოლქში მეგრელებს „ტუზემცებს" რომ ეძახდნენ, დაპყრობილთა ამ დამაკნინებელ მეტსახელს, თედო ღრმად ჩაუკვირდებოდა ამ სიტყვის მნიშვნელობას და აღმოჩნდებოდა, რომ „ტუზემეცი" — არც მეტი, არც ნაკლები — ბუნების შეცდომასთან იგივდებოდა.

„ტუზემეცს" არც წარსული აქვს, არც აწმყო და აღარც მომავალი ექნებაო, — პირზე ქაფმომდგარნი იმეორებდნენ გადმთიელი გადიის ნაშიერნი, და ვერა და ვერ კმაყოფილდებოდნენ დამამცირებელ ეპითეტთა გამოძებნით: ესაა და — უნიჭოა, გამოთაყვანებულიო, ესაა და — დაბალი ღობეა და ყველას შეუძლია ზედ გადაალაჯოსო, ესაა და — არამცთუ სუფრის ბოლოს მიუჩინო ადგილი, სულაც უნდა მრაშორო იქაურობასო, ესაა და...

ერთხელ თედო თვითონვე შეესწრებოდა, როგორ ერეკებოდა სოხუმის ბულვარიდან ამ ბულვარში შეცდომით შემოსულ ჩოხიან და ყაბალახიან მეგრულს რუსი დარაჯი და... ამით მაყურებელ სოხუმელ რუსებს სავსებით კანონიერად და საფერად მიაჩნდათ დარაჯის ეს საქციელი და კიდეც აქეზებდნენ: ყოჩაღ! კვლავაც ასე მოიქეციო!..

1899 წლამდე სოხუმში ქალაქის მეურნეობა და პატრონობა პოლიცმეისტერის ხელში იქნებოდა. თანაც, რუსეთის იმპერიაში მარტო სოხუმში დარჩენილიყო ნიკოლაი გოგოლის დროინდელი სახელი პოლიცმეისტერისა — გოროდნიჩი. თედო სახოკია, ცხადია, შემთხვევით არ გაიხსენებდა გოგოლსა და მის პიესას „რევიზორი", რომელშიც ეს პერსონაჟი უკიდურესად გაპამპულებული და გაცუცურაკებულია, რუსული ადმინისტრაციის მანკიერი ბუნება კი — მთელი სიგრძე-სიგანით გადმოშლილი, გულს რომ მოგაფხანინებდა, მაგრამ... არა კმაროდა მარტოდენ სიცილი, რაკიღა სასაცილოდ შენ უფრო გაგხდომო-

და საქმე, გოროდნიჩის ხელში რომ იყავი და გასაქანს ვერა პოულობდი. რაღაც-რაღაც, თუნდ მოჩვენებითი, ცვლილებანი რომ ხდებოდა რუსეთის იმპერიაში, ეს მოჩვენებითობაც არა და არ ეღირსებოდა სოხუმს, ვიდრე 1899 წელს კავკასიის უმაღლესი მთავრობა არ გააუქმებდა გოროდნიჩობას და არ შემოიღებდა სოხუმისთვისაც თვითმმართველობას.

შედგებოდა ხმოსნების ამომრჩეველთა სია და კარგა ხანი მოუნდებოდა ამ სიის დამტკიცებას, რასაც მოჰყვებოდა ხმოსნების არჩევნები.ესეც მოთავდებოდა და 33 ხმოსანში ქართველი აღმოჩნდებოდა 26 კაცი, სხვები — რუსი და ბერძენი. ამ სიასაც დაამტკიცებდა ქუთაისის გუბერნატორი.

მთავარი ახლა იწყებოდა:

ქალაქის თავად აუცილებლად უნდა არჩეულიყო საქმის მცოდნე, განათლებული და ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანი.

— რამდენსამე კაცს, რომელნიც ვხელმძღვანელობდით საქალაქო არჩევნებს, გადაწყვეტილი გვქონდა, ასეთი კაცი მოგვეძებნა ქართველთა შორის...

რომელნიც ვხელმძღვანელობდითო...

ეს ცნობაც რომ არა, ისედაც რა დიდი მიხვედრა ესაჭიროება, რომ თედო სახოკია მთელი არსებით იქნებოდა მონაწილე ამ პროცესისა და უკეთესი გზის გამკვალავთა შორისაც თუ ვინმეს დაასახელებდნენ, იგი უნდა გვეგულისხმა. ისიც ნიშანდობლივია, რომ საკუთარი თავისათვის ოდნავადაც არ ირჯება და, როდესაც შესაფერისი კანდიდატის შესარჩევად მიმოიხედავდნენ გარშემო, სულაც არ შესთავაზებდა საკუთარ თავს.

იმ თვისებებს, ქალაქის თავს რომ უნდა მომადლებოდა, საკუთარ არსებაში ჯერჯერობით ვერ პოვებდა თედო, თუმც განა რა აკლდა — საქმის ცოდნა, განათლება თუ ზნეობრივი სისპეტაკე? მაგრამ მიიჩნევდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელი უკვე აღიარებული ავტორიტეტიც უნდა ყოფილიყო, საქართველოს უკეთეს შვილთა მიერ დაფასებული, და საამისოდ საკმაო ფიქრი და განსჯა ხდებოდა აუცილებელი.

თავისთვის კი ივარაუდებდნენ, ამ საქმისათვის ალექსანდრე სარაჯიშვილი იქნება ზედგამოჭრილი, გამოცდილი და ზნე-

ობით უმწიკვლო ადამიანიო, მაგრამ არ აჩქარდებოდნენ და რჩევისათვის მიმართავდნენ საზოგადოებრივი აზროვნების მეთაურებად და წარმმართველებად ნაგულისხმებ პიროვნებებს — ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, ვასილ პეტრიაშვილს, ალექსანდრე ხახანაშვილსა და იაკობ გოგებაშვილს, ვის ხსენებაზედაც თედო თავს ვერ იკავებს, რომ არ ჩაურთოს: ჩვენს საყვარელ პედაგოგსო.

ამ ადამიანებთან მიმოწერა რომ გაიმართებოდა ასეთ საჭირბოროტო თემაზე, იაკობთან მიმოწერის გამოცდილება თედოს უკვე ჰქონდა და მტკივნეული თემა ის იყო, თუ იყო, რადგანაც სოხუმის საეპარქიო მთავრობა აფხაზეთისა და სამურზაყანოს აფხაზურ და მეგრულ სკოლებში სახელმძღვანელოდ შემოიღებდა ვინმე პოპოვის მიერ შედგენილ რუსული ენის სახელმძღვანელოს, რუსეთის ბუნებასა თუ ცხოვრებასთან შეფარდებულსა და რუსი ბავშვისათვის გათვალისწინებულს.

გაგულისებული ატრიალებდა ხელში ამ წიგნს თედო: საღი პედაგოგიკის ყოველგვარი ელემენტარული მოთხოვნილების დარღვევა და ამისთანაო?! ცოდნა ბავშვს ხომ მისთვის გასაგები ენის წყალობით უნდა შეეძინა, და ახლა ამ სახელმძღვანელოთი აიძულებდნენ მეგრელ და აფხაზ ბავშვს, მათთვის გაუგებარი რუსული ენის საშუალებით ესწავლა არა მარტო ეს ენა, არამედ — საგანიც.

— ამგვარად, მახინჯდებოდა მათი გონება და ენას, რომელიც თუთიყუშივით უნდა ეზეპირებინათ, სამუდამოდ შეიძულებდნენ.

მოჰკიდებდა ხელს ამ წიგნს თედო და გაუგზავნიდა იაკობ გოგებაშვილს თხოვნით — დაეწერა რეცენზია და რომელიმე რუსულ გაზეთში აემაღლებინა თავისი ავტორიტეტული ხმა მეგრელ-აფხაზი ბავშვების გონებრივი დაჩლუნგების წინააღმდეგ.

სხვას ვის სთხოვდა ხმის ამაღლებას, თუ არა იმ იაკობ გოგებაშვილს, რომლის გამოსვლის ხანასაც საზოგადო ასპარეზზე თედოც მოიხსენიებდა „წყვდიადის მეფობისა“ და „განწირულების“ დროდ, რადგანაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში და პატივაყრილი ოჯახებში: არისტოკრატიას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსაწონად მიაჩნდა

რუსულად ლაპარაკი, ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულად მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად კი ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანის გარდა, არა არსებობდა რა...

და, აი, იაკობი შეეცდებოდა თავისი „დედაენის“ მეოხებით დაენერგა სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად „დედაენა“ ჰქონოდა, საძირკველი მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედაენის“ საშუალებით ჩაჰყროდა.

— სრულებით ბუნებრივი იყო, რომ იაკობ გოგებაშვილს თავისი „დედაენა“ მიეჩნია ქართველისათვის ეროვნული სახის შენარჩუნების საშუალებად და, ვინც ამ წიგნის საწინააღმდეგოს რასმე იტყოდა, გამოეცხადებინა ქართული ენის, ყოველივე ქართულის მტრად, საქართველოს ძირის გამომთხრელად.

ეს სტრიქონები იმ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტში აღინიშნებოდა, თედო ამ დიდებული მოღვაწის ხასიათსაც ხელშესახებად რომ წარმოგვიჩენდა და საგულისხმო რეალიებითაც შეგვივსებდა ცოდნას მის ბიოგრაფიასა და პიროვნულ თავისებურებებზე.

და ესეც მკვეთრად უნდა თქმულიყო, იმჟამინდელი საზოგადოებრივი განწყობილება რასაც ამჟღავნებდა და ისტორიული გადმოსახედიც თვალნათლივ დაადასტურებდა:

— ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახევანი ადამიანი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი.

„სახევანი“ — მაინცდამაინც ამ სიტყვას რომ შეარჩევდა მეტი შთამბეჭდაობისა და იდუმალებისათვის, განმარტების დართვასაც საჭიროდ მიიჩნევდა: სახენათელს ნიშნავსო.

სამოღვაწეო სარბიელიც თავისთავად და ბუნებრივად გადაენაწილებინათ.

პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა თუ არა რაიმე საკითხი და გაზეთში მტრისათვის პასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო:

— მაშინ ყველა ილია ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალებს: ვნახოთ, რას იტყვის ილია, მარტო მას შეუძლია მტერს პირი დააღებინოსო, ჩვენს თავს აბუჩად არავის ააგდებინებსო.

და როდესაც სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის საქმე ხდებოდა გასარჩევი თუ გადასაწყვეტი:

— იაკობ გოგებაშვილს დავუწყებდით ცქერას: ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას. ისიც მთელი ერუდიციით, ავტორიტეტული აზრით, სკოლის საშუალებით ჩვენი ხალხის გარუსების მომხრეთ უმტკიცებდა ასეთი პოლიტიკის მავნებლობას, ამჟღავნებდა თვით სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეუნდობელ დანაშაულს არარუსი მოსახლეობის ასეთი ჩაგვრისა.

ილია ჭავჭავაძეც და იაკობ გოგებაშვილიც გრძნობიდნენ თავიანთ ამ მძიმე როლს?

ოღონდაცო, — ეჭვიც არ ეპარებოდა თედო სახოკიას, მათი თავდაუზოგავი მოღვაწეობის შემყურესაც და გამსიგრძეგანებელსაც, დაბეჯითებით რომ შეეძლო თუნდ ამის განცხადებაც:

— „დედაენამ", რომელიც პირველად გამოვიდა 1876 წელს, საძირკველი ჩაუყარა ქართული ენის გადარჩენას რუსეთის იმპერიალისტური გამარუსებელი პოლიტიკის კლანჭებისაგან.

მაინც თავისას ესწრაფოდა აგერ თუნდ სოხუმის საეპარქიო მთავრობა?

აქ თედო სახოკია გამოჩენილიყო ქართველი საზოგადოების ნამდვილ პატრონად, მოამაგედ და ჭირისუფლად და ყველაზე დიდი თანამდგომის ძებნა სრულიად არ დასჭირდებოდა, ძალდაუტანებლად ამოიზიდებოდა იაკობ გოგებაშვილის სახევანი ფიგურა.

და მის პასუხსაც უნდა გასცნობოდა — 1896 წლის 29 ნოემბრით დათარიღებულს, ღრმად გააზრებულ დარიგებას, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ბრძოლა სოხუმის საეპარქიო მთავრობისა და იქაურ ხელისუფალთა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ის ორი რუსული წიგნი, რომელიც იაკობს ჩაუვიდოდა, მისთვის ახალი სულაც არ აღმოჩნდებოდა. მას ეს სახელმძღვანელოები კარგა ხნის მოპოვებული ჰქონდა, მაგრამ გარჩევისაგან თავი შეეკავებინა, მიუხედავად იმისა, რომ ცხადზე უცხადესი შეიქნებოდა, რუსი ბავშვებისათვის შედგენილი წიგნი რომ არ გამოადგებოდათ აფხაზ და მეგრელ ყმაწვილებს.

მითუფრო არ უნდა ედინებინა ბდღვირი?

მაგრამ იაკობი, როგორც დიდად გამოცდილი ამგვარ ბრძოლა-დაპირისპირებებში, უფრო შორს იხედებოდა და თედოსაც შეაგონებდა, რომ ამ უკუღმართობის წინააღმდეგ ადგილზევე აუცილებელი იყო ბრძოლა, მაგრამ საქმით და არამარტო წერით.

ერთი დიდი და უდიდესი საქმე სოხუმში იქნებოდა კერძო სკოლის გახსნა, ისეთისა, ბათუმში რომ უკვე დაფუძნებულიყო.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არ მისცემდნენ ნებას იქ ქართული სკოლის გახსნისა, თორემ იაკობი გულმტკივნეულად შეჰყურებდა, როგორ უკრავდნენ ყველგან გზებს ამ საზოგადოებას... მაგრამ კერძო პირს უარს ვერ ეტყოდნენ, რადგანაც ამგვარი სკოლის გახსნის უფლება ჰქონდა ყველას, ვისაც განათლების ცენზი მოეპოვებინა. ამიტომაც სოხუმში სკოლა უნდა დაეარსებინა ერთ პირს ან ორს, და იქაურ საზოგადოებას გვერდით რომ ამოიყენებდნენ, წერა-კითხვის საზოგადოება აუცილებლად შეეწეოდა წიგნებითაც და ფულითაც — დაფარულად თუ მიზანმიმართულად.

სულ წვრილ-წვრილად აცნობებდა, თუ როგორ უნდა ამოქმედებულიყო კერძო სკოლა და ამ ტაქტიკურ ხერხსაც გაუზიარებდა — ჯობს რუსულ-ქართული იყოს, როგორც ბათუმშიაო.

ვის შეიძლება მოლაპარაკებოდა თედო?

იაკობი ურჩევდა: ანთიმოზ ჯუღელმა ეს საქმე კარგად უნდა იცოდეს და დაე მან გახსნას თავის სახელზე კერძო სკოლაო.

— უნდა ვეცადოთ, ეს სკოლა სამაგალითო სკოლად გავხსნათ და ქართული ენის დახმარებით და ჩვენი სახელმძღვანელოებით ისეთი წარმატება ვუჩვენოთ ყველას რუსულ ენაში, რომ კბილი მოეჭრას ყველა უკუღმართსა. მოიფიქრეთ კარგად ამაზედ, შეადგინეთ პროექტი და გადმოგვიგზავნეთ გასასინჯად.

ესეც გოგებაშვილური გამოცდილება, ვითარებისდა კვალობაზე რომ ხდება სამოქმედო გეგმის არჩევა, და არა ზოგადი მოსაზრებების მიხედვით.

სხვა დროსა და ვითარებაში ეგებ პირველად სწორედაც სტატიის დაწერა ჯობდეს და თანაც ავტორიტეტული პირის ხელით, და დალოდება, თუ რა გამოხმაურება მოჰყვებოდა.

ამჯერად უშუალოდ სკოლის გახსნაა საზრუნავი და მის კვალდაკვალ კორესპონდენციის გამოგზავნა სოხუმიდან რუსული გაზეთისათვის ამ შინაარსისა — თუ რამდენად აბრკოლებს აქაურ სკოლებში რუსული ენის წარმატებას, შესწავლას პოპოვის წიგნი, შედგენილი არა აფხაზი ბავშვებისათვის, არამედ რუსებისათვის.

ნახეთ, აქცენტებს როგორ მარჯვედ ანაწილებს — ხელისუფალთ სწორედ ეს გარემოება შეაშფოთებთ, რუსული ენის წარმატებით სწავლებას რომ ფუძე მოეშლება, თორემ აფხაზი და მეგრელი ბავშვების ცნობიერების განვითარება თუ დაბრკოლდება, ძალიან არ ანაღვლებდათ!.. ანაღვლებდათ კი არა, საამისოდ მოწოდებულიყვნენ.

რამდენად აბრკოლებს სკოლებში რუსული ენის წარმატებასო...

და იაკობს გულდასმით რომ დაუმუშავებია ეს სახელმძღვანელო, კრიტიკულ შენიშვნებსაც ამიტომ ჩამოუწერს თედოს — წიგნი მოკლებულია ასამაღლებელ ნიშნებს, შინაარსით სრულიად არ შეეფერება, დედანი არ გააჩნია, რის გამოც ცალკე დედნის ყიდვა მის აუცილებელ ხარჯს შეადგენს. მოკლებულია სურათებს, ფოტოებს და სხვანიო...

სასურველი იყო, თუ თედო ჯერ ანთიმოზ ჯუღელს მოელაპარაკებოდა და ისე შეადგენდა კორესპონდენციას, რომელიც ჯობდა, დავით კარიჭაშვილისათვის გამოეგზავნა და მისთვის დაევალებინა, რომ დაებეჭდა „კავკაზის“, ანდა „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე. და კიდევ ერთი ნიუანსი, ფსიქოლოგიური:

— კარიჭაშვილთან წერილში საჭირო არ არის, მოიხსენიოთ, რომ ეს რჩევა მე მოგეცით, უფრო გულიანად გაირჯება.

თედო სახოკიას გამოჩენა ძალიან გაახარებდა და მხნეობითაც აღავსებდა იაკობ გოგებაშვილს და ბარათში ამ სიხარულსაც გაამჟღავნებდა და ადრესატსაც შეაგულიანებდა: იმედი მაქვს, თქვენ მანდ ძლიერ დაეხმარებით გაძლიერებას იმ წაღმართი მიმართულებისა სოხუმის საზოგადოებაში, რომელსაც ასეთი მტრული თვალით უყურებენ უკულმართნი და ადამიანის მოძულე პირნიო.

და თუ ვინმეს უსურვებდა ნაყოფიერ მოქმედებას საზოგადო ასპარეზზე ჩვეული მხნეობით, სწორედ თედოსნაირ შეწირულ

კაცს. და თან გული რომ ეთანაღრებოდა, ასე მოკლედ რატომ უნდა ვწერდეო, მოუბოდიშებდა: ავადმყოფობის ბრალია, თორემ უფრო განვითარებულ წერილებსაც გამოვამგზავრებ სოხუმისაკენო.

და ახლა უკვე ეს ახალი საზრუნავიც შემომატებოდათ — ქალაქის თავის არჩევა — და იაკობი 1899 წლის 28 აპრილს რომ გაგზავნიდა ბარათს ანთიმოზ ჯუღელის სახელზე, თან დარიგებასაც დაურთავდა, თუ როგორ დაეჭირათ თავი რუს ამომრჩეველთან, რომ არც მწვადი დაეწვათ და არც — შამფური.

სხვანი მხოლოდ კეთილი აზრის გამოთქმას იკმარებდნენ ალექსანდრე სარაჯიშვილზე და არჩევანს მოუწონებდნენ სოხუმელებს. იაკობი ისე როგორ გაჩერდებოდა, რჩევისაგან თავი შეეკავებინა, მითუმეტეს, რომ მისი დარიგება ეხებოდა არამარტო ამ კერძო შემთხვევას, არამედ სამოქმედო პროგრამას სთავაზობდა სოხუმის გავლენიან პირებს — სტრატეგიას თავისი ტაქტიკური შენაკადებით.

ალექსანდრე სარაჯიშვილი, განჯის საგუბერნიო საბჭოს მრჩეველი, თავს რომ ანებებდა ამ სამსახურს და სოხუმში ამჯობინებდა გადასვლას, გარშემო ძალიან უკვირდათ, მაგრამ იაკობი მის ამ გადაწყვეტილებას იოლად ახსნიდა ორი გარემოებით: ჯერ ერთი, მას სურდა საზოგადოების სამსახური, და მეორეც, პატრონობა თავისი მამულისა სოხუმის მაზრაში, და ტფილისშიც რომ ებადა შემოსავლიანი ქარვასლა, ეს ნიშნავდა, რომ შეძლებულ კაცად უნდა მიჩნეულიყო; და თუ ეს საკუთარი სახსარი არ ექნებოდა ცხოვრებისა, სოხუმში გადასახლებას ვერც გაბედავდა ეს ძლიერ პატიოსანი და მშრომელი კაცი.

იმ გარემოებაზეც მიანიშნებდა: რუსები როდესაც გაიცნობენ, მადლობას გეტყვიან ქართველებს, ამისთანა კაცი რომ მოგინახავთო. თან სისხლითაც რომ ენათესავებოდა რუსებს? დედაც რუსი ჰყავდა და ცოლადაც რუსის ქალი შეერთო, მაგრამ იაკობისათვის მთავარი და უმთავრესი ის გახლდათ, რომ ალექსანდრეს ეს ხელს არ უშლიდა, ქართველი მამულიშვილი ყოფილიყო, ოღონდ, რასაკვირველია, ჩამოშორებული იმ „ლობიოს პატრიოტობას“, რაც იაკობის თვალშიც ყოვლად სასაცილოდ და კომიკურად გამოიყურებოდა.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სოხუმელ ქართველებს მართებდათ, დიდი ტაქტით მოქცეულიყვნენ და რუსებთან არ გაემწვავებინათ ურთიერთობა.

და საამისოდ შეგონებას რომ მოიშველიებდა:

— ყოველი ჯგუფი ადამიანებისა მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს პატივისცემას და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად იცავს თავის საზოგადო ინტერესებს და ამავე დროს არ არღვევს სხვების კანონიერს ინტერესებსა.

ესეც — ის ოქროს შუალედი, რაც ბევრი ადამიანისათვის სადღაც მიღმა დარჩენილიყო ისე, რომ ოდნავადაც აღარ ითვალისწინებდნენ და ის ორი უკიდურესობა ერჩივნათ, ზოგი ლაქიურად რომ ელაქუცებოდა რუსებს და იმცირებდნენ თავს, რითაც ყოველგვარ პატივისცემას კარგავდნენ, და ზოგიც მამლაყინწურად ამაყობდა, წიწლაკიანობას მისდევდა და საზოგადო საქმეს კი აფუჭებდა.

მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ მიჰყვებოდა ამ ოქროს შუალედს, იმ ერთადერთ ღირსეულ გზას, რომ შეგნებით და დარბაისლურად დაგვეცვა ჩვენი ინტერესები და სხვებისთვისაც წყენა და ვნება არ მიგვეყენებინა მათს კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილებაში.

საკუთარ გამოცდილებასა და ცხოვრების სტილს იმიტომაც უზიარებდა, რომ ეჭვიც არ ეპარებოდა, სოხუმელ ქართველებში არაერთი გამომიჩნდება მხურვალე მომხრე მოქმედების ამ გეზისაო, თორემ თედო სახოკია ასე და მხოლოდ ასე რომ წარმართავდა თავის საქმიანობას, ესეც თავისთავადაც ცხადი გახლდათ. საერთო განწყობილება უნდა ყოფილიყო ამგვარი, საერთო ხედვა, საერთო სწრაფვა და მოქმედება. და თუ ტფილისი დიდად ვერ დაიქადნიდა ოქროს შუალედის დაცვის წყურვილით, ეგებ სოხუმი გამხდარიყო ამ მხრივ სამაგალითო და იქიდან დაძრულიყო ის ტალღა, იაკობ გოგებაშვილის ბარათში ამ სტრიქონებად რომ აღბეჭდილიყო:

— რუსებთან ძმურად მორიგება და მოქმედება ადვილად შესაძლებელია, თუ ტაქტით და წინდახედულად მოვიქცევით და ამავე დროს ყოველს ჩვენს საარსო მოთხოვნილებას, ინტერესს, ფხიზელ გუშაგად აღმოვუჩნდებით.

ამოსავალი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო: ყოველ ჩვენს საარსო მოთხოვნილებას, ინტერესს ფხიზელ გუშაგად აღმოვუჩნდებითო.

მაგრამ არა მამლაყინწური სიამაყით, წინდაკიანობითა და ლობიოს პატრიოტობით.

იაკობმა არ იცოდა, ამავე შეკითხვით სოხუმელებს სხვა მოღვაწეთათვისაც რომ მიემართათ, და მოვალედ მიიჩნევდა თავს, რომ თავისი შეხედულება სხვათა მოსაზრებებისთვისაც შეეჯერებინა, და ახლა დაბეჯითებით შეეძლო განეცხადებინა: რასაც სარაჯიშვილზე გწერთ, მარტო ჩემი აზრი არ არის. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ღოღობერიძე, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და მთელი თბილისის ინტელიგენცია სწორედ ამავე აზრისააო.

და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, რომელიც სოხუმელებს არ გახსენებიათ, იაკობი კი წინასწარვე მიანიჭებდა მნიშვნელობას: როგორ მოეპოვებინათ ალექსანდრე სარაჯიშვილისათვის შესაფერისი ცენზი.

და გზასაც შესთავაზებდა იმ ღონისძიებას, რომელსაც ყველა ის პირი, რომელთაც მოსთათბირებოდა, საუკეთესოდ მიიჩნევდა: უნდა აერჩიათ მეურვედ ობლებისა, რომელთაც ცენზი მოეპოვებოდათ, და ეს ცენზი ბუნებრივად გადავიდოდა სარაჯიშვილზე, როგორც მეურვეზე. ასე ერთხელ უკვე მოქცეულიყვნენ და ჩანაფიქრს გაემართლებინა.

თედოს ეამაყებოდა, რომ, როდესაც იაკობს სასულიერო აკადემიაში სწავლისას ფილტვები დაუზიანდა, სამშობლოში დაბრუნებული 1875 წელს სოხუმსაც მიაკითხავდა იქაური თბილი ჰაერით სამკურნალოდ.

იმ გარემოებას კი, თავისი ჯანმრთელობისათვის ზრუნვა კულტად რომ ჰქონდა გადაქცეული, თედოც საგანგებოდ აღნიშნავს: ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად თბილად იყო ჩაცმული, იშვიათად ნახავდით, რომ პალტო არა ჰქონოდა წამოსხმული და ფეხებზეც კალოშები არა სცმოდა. ცივ ნიავს არ იკარებდაო — აბა სწორედ იაკობზე ითქმოდაო.

და ის ცნობაც შემოენახა, შინ ყოველთვის ხალათი რომ ეცვა, იღლიაში თერმომეტრი ჰქონდა გაჩრილი, ოთახში ბოლთას სცემდა და თან მღეროდა: ავთანდილ გადინადირაო...

ან ესეც — გაციების გარდა, თუ აუცილებელი გაჭირვება არა, ძალიან რომ ერიდებოდა ისეთ ადგილას მისვლას, სადაც ორ ან სამ კაცზე მეტი იქნებოდა, რათა სხვისი ამონასუნთქი ჰაერი არ ჩაესუნთქა. „დედაენისა“ და სხვა სახელმძღვანელოთა ბეჭდვისას როგორღა იქცეოდა, საასოთამწყობოში შესვლა თუ მოუწევდა? შესვლა კი არა, თავსაც არ შეყოფდა და ასოთამწყობს უეჭველად გარეთ გამოიძახებდა რაიმეს საკითხავად ან სათქმელად.

ანდა ესეც — დედის მხრივ ჭლექიანის შთამომავალს თავის მოვალეობად მიეჩნია, რომ ცოლი არ შეერთო, რათა ჭლექიანი შთამომავლობა არ გაეჩინა.

ან კიდევ ესეც — ბერივით რომ ცხოვრობდა და არც თვითონ სტუმრობდა სხვას და არც მასთან მიდიოდნენ სტუმრები.

და ესეც აუცილებლად — როდესაც სტამბებში რაიმე იბეჭდებოდა მისი, იაკობი განუშორებლად დასტრიალებდა თავს და სულ იმის ცდაში იყო, წიგნი დაეზღვია კორექტურული შეცდომებისაგან, ამისთვის კი აკადემიური კორექტურა უნდა გაკეთებულიყო — ოთხჯერ მაინც წაკითხულიყო და ჩასწორებულიყო დიდი გულმოდგინებით და, ვიდრე წიგნი საბოლოოდ გამოვიდოდა საბეჭდავიდან, ამონაბეჭდებს ასოთამწყობებს დაურიგებდა და დაავალებდა შეცდომათა პოვნას. ყოველი ნაპოვნი შეცდომისათვის ორ შაურს აძლევდათ პრემიად, იმ დროისათვის კარგ ჯილდოს. და თვით ასეთი სიფრთხილითა და ყურადღებით ნასწორებ წიგნში კიდევ შეიძლებოდა შეცდომის აღმოჩენა. არ ისვენებდა იაკობი და არა, ვიდრე საბოლოო ნებას არ დართავდა დასაბეჭდად და საბეჭდავიდან უკვე დაბეჭდილ ფურცლებს არ ამოუტანდნენ.

ყველამ იცოდა, თუ სად შეიძლება ყოფილიყო იაკობი, გარდა სტამბისა — მკაცრად დადგენილი დღის რეჟიმი ოდნავი გადახვევის საშუალებასაც არ აძლევდა. სად და, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიასთან, წიგნის მაღაზიის აივანზე სათავადაზნაურო ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. ამ აივანზე მარტოს უყვარდა ბოლთის ცემა, ვიდრე რომელიმე ნაცნობი მიადგებოდა და საუბარს გაუმართავდა.

ჩვენითაც მივხვდებით, რომ კანცელარიასა და წიგნის მაღაზიაში მარტოდენ შეხედვას რომ იკმარებდა, შესვლით კი არაფრისდიდებით არ შევიდოდა უსუფთაო ჰაერის შიშით.

შუადღიდან ნაშუადღევის ორამდე, როდესაც კარგი დარი იდგა, აუცილებლად ნახავდით გოლოვინის პროსპექტზე, სადაც სიარული უყვარდა სასახლის ქუჩის თავიდან ლაღიძის წყლების სავაჭრომდე და განსაკუთრებით უხაროდა ახალგაზრდებთან შეხვედრა, ვინც მწერლობაში იწყებდა გამოსვლას და ასე თუ ისე ნიჭსა და უნარს გამოიჩენდა. თემა ბაასისა უმეტესწილად რა იყო? ესა თუ ის აღმაშფოთებელი ფაქტი მეფის მთავრობის აგენტების მიერ ქართველობის დევნა-შევიწროებისა, მათი უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკისა, ჩაგვრა ქართული ენისა, მისი განდევნა სკოლებიდან, ეკლესიიდან, ოჯახიდან, დარაზმვა ადამიანებისა ამ დევნის წინააღმდეგ.

რასაკვირველია, რაღა იაკობ გოგებაშვილი იქნებოდა, მხოლოდ აღშფოთება რომ ეკმარა და გულისტკივილის გამოხატვა და თანამოსაუბრენი, ხანდაზმული თუ ახალგაზრდა, არ აღენთო და მართლაც არ დაერაზმა უსამართლობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, სამოქმედო გეგმასაც რომ გააცნობდა.

ასე ზუსტად საიდან იცის თედო სახოკიამ იაკობ გოგებაშვილის გამზირული საუბრების შინაარსი?

რაკილა კარგად მოეხსენებოდა, იმხანად სადაც იმყოფებოდა ხოლმე ეს მისთვის სათაყვანო პიროვნება, მითუმეტეს, ყოველთვის მზადმყოფი ამ მტკივნეულ თემებზე სალაპარაკოდ, არაერთხელ მიაკითხავდა — საწუხარს გაუზიარებდა, რჩევასა და დავალებას მოისმენდა და კიდეც კვალდაკვალ მიჰყვებოდა მის აღსრულებას.

და უხაროდა იაკობს: ეს რა ძალა შევიძინეთ სოხუმში, პატიოსნებითა და ღირსებით ანთიმოზ ჯუღელს არ ჩამოუვარდება, არც შრომისმოყვარეობით და საქმის ერთგულებით, ოღონდ მისი მასშტაბი კიდევ უფრო სხვაა და მნიშვნელოვან კვალსაც დააჩნევს ქართულ კულტურასო.

ასე პირდაპირ ამ სიტყვებს ვერსად ამოვიკითხავთ, მაგრამ ის ურთიერთობა, რაც ძალდაუტანებლად გაიბმოდა ამ ორ პიროვნებას შორის, და იაკობის იშვიათი ალღო სწორედაც ამას

გვიდასტურებს, ისევე როგორც თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ აისეირნ-ჩამოისეირნებენ ერთად გოლოვინის პროსპექტზე ღვაწლმოსილი ერისკაცი და ამავე გზაზე შემდგარი მისი უმცროსი თანამოკალმე და თანამოდასე... და მათ მღელვარე საუბარსაც შეგვიძლია მივადევნოთ გულისყური...

ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ ესეის თედო იმ ანეკდოტივით ამბით რომ დაასრულებდა, აკაკი წერეთელი რომ იხუმრებდა: ნეტა როდის მიუღია იაკობს გენერლობაო, — მანამდე აუცილებლად მიიჩნევდა იმ ეპიზოდის გახსენებასაც, ლოგინად ჩავარდნილ იაკობს ნიკო ლომოური რომ მოინახულებდა მოსაკითხად და სანუგეშებლად, მალე მორჩენას უსურვებდა და გამოთხოვებისას... ხელზე ემთხვეოდა.

გაიოცებდა და... ცოტა არ იყოს ითაკილებდა კიდეც სნეული ასეთ პატივისცემას:

— შე კაი კაცო, დეკანოზი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მემთხვევი?!

— შერცხვეს ის დეკანოზი, შენზე მეტად ღირსი იყოს ხელზე მთხვევისა, — მიუგებდა ნიკო თავისი გულშიჩამწვდომი, იდუმალ მელოდიას აყოლილი ხმით, და იაკობს ხმის ეს კილოც რომ მოხიბლავდა, იმ უსაზღვრო სიწრფელესაც დაუფასებდა სტუმარს და, არამცთუ კიდევ ესაყვედურა, ცრემლი მოერეოდა.

იქ იმას აჩვილებოდა გული, აქ — თედო სახოკიას, ამ ამბავს რომ მოისმენდა და ესეიში შეტანისას დასძენდა: ასეთი სიყვარული და პატივისცემა დიახაც დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილმა თავისი მადლიერი ერისაგან... ნიკო ლომოური მხოლოდ გულწრფელი გამომხატველი იყო ამ საერთო სიყვარულისაო.

გაიხსენებდა, თუ როგორ შეხვდებოდა იაკობს უკანასკნელად 1905 წლის გაზაფხულზე, როდესაც ამ წლის რევოლუცია იწყებოდა და თედო საგანგებოდ დაბრუნებულიყო პარიზიდან ამ სამზადისში უშუალო მონაწილეობისათვის.

როგორ მოსწერდა ციმბირიდან იაკობს, აქედან გამოქცევას ვაპირებ, ამისთვის კი ფულია საჭიროო...

თუმც აქამდეც მიგვიყვანს თხრობის მდინარება, ჯერ ხომ იქ შევჩერებულვართ, ალექსანდრე სარაჯიშვილის კანდიდატურას

რომ შეარჩევდნენ თედო და მისი მოდასენი სოხუმ-ქალაქის თავად, ხოლო რუსები, თავის მხრივ, წამოაყენებდნენ კანდიდატად ვინმე ბერენსს, რუსეთის რომელ'ილაც ერობის უფროსად ნამყოფს და, არ გაგვიკვირდეს, რომ ასეთი დამსახურების მქონეს: საერობო თანხის გაფლანგვის გამო იძულებული რომ შეიქნებოდა, იქაურობა მიეტოვებინა და სოხუმისათვის შემოეფარებინა თავი.

დაიდგმოდა ორივეს სახელზე ყუთი და ქალაქის თავად არჩეული იქნებოდა ქართველი მოღვაწე, თანაც ხმების დიდი უმეტესობით.

მაგრამ ხომ არ გვავიწყდება, ეს რა ქვეყანაში ხდება.

და მოვლენებიც არა ბუნებრივად, არამედ იმ ქვეყნის მორალური სინამდვილის კვალობაზე უნდა წარიმართოს.

რუს ხმოსანთა შორის რომ ერივნენ ერთი მოსკოველი პროფესორი და ერთიც სამსახურიდან გამოსული გენერალი, ისინი თავიანთი მდგომარეობით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ უმეტესწილად ვაჭრებისაგან შემდგარ ქართველ ხმოსნებზე და მათ შორის ერთგვარ პანიკასაც თესავდნენ. და თუმც არჩევნებისას თავისას ვერ გაიტანდნენ, მაგრამ ხელისუფლების ისეთ მოსალოდნელ მხარდაჭერას გრძნობდნენ, რა გააჩერებდათ, და სწორედ ისინი ჩაუდგებოდნენ სათავეში რუს ხმოსნებს და ათასგვარი დაბეზღების ქაღალდს გაგზავნიდნენ გუბერნატორთან, ვისაც — საქალაქო დებულების ძალით — შეეძლო ხმოსანთა მიერ არჩეული კანდიდატის ალექსანდრე სარაჯიშვილის დამტკიცება ან დაუმტკიცებლობა.

ეს თითქოს უბრალო ფორმალობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღარც ფორმალობა, როდესაც რუსულ იმპერიულ ინტერესებს რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა, ღირსეულ, საქართველოს ბედზე მოფიქრალი კაცის გამარჯვებაზე მეტი ხიფათი კი რაღა უნდა გამხდარიყო ამ ინტერესებისათვის!

ხელზე დაიხვევდა იმ დასმენის წერილებს გუბერნატორი, ამ სულისკვეთებით გაჟღენთილს: არჩევნები არ დაამტკიცოო, — და არც დაამტკიცებდა, პასუხს მოსთხოვდა ვინმე თუ რა?! ეს როგორ შეიძლება, ალექსანდრე სარაჯიშვილმა რომ ყველა წესის დაცვითა და დიდი უპირატესობითაც მოუგო კონკურენტსო.

ალექსანდრე განჯაში რომ შეიტყობდა ამ ყოველივეს, რა გასაკვირია, ძალიან დაღონდებოდა, მაგრამ 1899 წლის 18 ივლისს გამოგზავნილი ბარათით თედოს ამ საფიქრალსაც უზიარებდა: ღირს განა სადმე სამსახური და ჯაფა ხმოსნისა, გინდ ქალაქის თავისაო?

— მუდამ გუბერნატორის ხელში ხარ და მუდამ შიშში უნდა იყო, რომ ვინმე უნამუსო რუსმა დაგაბეზღოს და პანღური ამოგკრან. ახლა პრისტავის თანაშემწის თანამდებობა უფრო საპატიო გახდა, ვინემ ქალაქის თავისა. ვერც იჩივლებ, ვერც თავს გაიმართლებ, დაგითხოვენ იმ მიზეზით, რომ შენი სამსახური სახელმწიფო ინტერესს არ ეთანხმებაო! რაღა საქმის ხალისი ექნება მაგ მდგომარეობაში მყოფს კაცს? თქვენ მანდაურებს, როგორა გგონიათ?

ბარემ ასევე ხედავდნენ ამ ყოველივეს, მაგრამ მაინც უნდა გეცადა შენი... ბოლოსდაბოლოს, ვიდრე სამსახურიდან გამოგისტუმრებდნენ, რაღაც სასიკეთოს მაინც მოასწრებდი შენი ქალაქისათვის და, ამასთან, ხელისუფლება რომ გააცნობიერებდა პატრიოტულად განწყობილ ხმოსანთა სულ უფრო მომძლავრებას, მერე და მერე ისე ველარ გაბედავდა თვითნებობას.

ჯერ კი...

დაინიშნებოდა ახალი არჩევნები.

გაწბილებული მოთავენი ქართველი ხმოსნებისა გულს მაინც არ გაიტეხდნენ და ახალ კანდიდატურას წამოაყენებდნენ — ვასილ აბულაძეს, განჯის საოლქო სასამართლოს წევრს, განათლებით იურისტს და რუსის სამსახურში დიდად დაწინაურებულს.

თედო სახოკია პირდაპირ არას ამბობს, მაგრამ კილო მისი თხრობისა და ამ გარემოების საგანგებო აღნიშვნა: რუსის სამსახურში დიდად დაწინაურებულიო, — ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, რომ სოხუმის წარჩინებული ქართველობა კომპრომისის — შესაძლოა, ჯობდეს თქმა — დიპლომატიის გზას დასდგომოდა. ხელისუფლების ნებასთან უშუალო შეხლამ რომ არ გაამართლა და ქართულ საქმეთათვის თავდადებული კაცი წინასწარვე ასე უბოდიშოდ ჩამოაშორეს ქალაქის მმართველო-

ბას, აწ უკვე რუსთათვის უფრო მისაღები კანდიდატურის ძებნა დაიწყეს, კაცისა, ვინც ალექსანდრე სარაჯიშვილივით არ იქნებოდა თავგადაკლული ქართული მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად, მაგრამ განსაკუთრებულ ურიგოსაც არაფერს ჩაიდენდა, იმპერიულ მოთხოვნებს ყოველთვის მორჩილად არ დაუკანტურებდა თავს.

ეგებ ხელისუფლება ამ ახალ კანდიდატურას მაინც დაჰყაბულებოდა, თუკი არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებდა.

ქართველი ხმოსნები კვლავაც დაირაზმებოდნენ და ვასილ აბულაძის გამარჯვებას უზრუნველყოფდნენ, მაგრამ... ხელისუფლება ოდნავადაც არ აპირებდა რაიმეს დათმობას: ქართველ ხმოსანთა მომძლავრება ისედაც საშიშად ეჩვენებოდა და მაშ აუცილებელი იყო, განსაკუთრებულადაც გამოეჩინა ბრჭყალები.

ამ ახალ კანდიდატსაც ხომ არ დაამტკიცებდა გუბერნატორი და არა, თურმე უარესიც იყო მისგან მოსალოდნელი. როდესაც ორი არჩევანი არა მტკიცდებოდა, მესამე არჩევანი უკვე აღარ ხდებოდა და გუბერნატორი ქალაქის თავს თვითონვე ნიშნავდა? ეს კი ასე გახლდათ მთელს იმპერიაში, მაგრამ ქართველ ხმოსნებს ყველაფერი რომ ეფიქრათ, ამას კი ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენდნენ — და თვით ისეთი გამჭრიახი გონების პატრონიც, თედო სახოკია რომ იყო — თუ გუბერნატორს შეეძლო ჩაედინა ისეთი რამ, რაც არსად მომხდარიყო მთელს რუსეთში მას შემდეგ, რაც ქალაქებში საქალაქო დებულება შემოელოთ: სოხუმი სამართავად ჩაჰბარდებოდა იმ კაცს, ვინც პირველ არჩევნებზე ასე დემონსტრაციულად გაეშავებინათ, საჯაროდ გამოეცხადებინათ უნდობლობა და ლაფდასხმული გაეშვათ...

მაინც რა მიამიტი გახლდათ თედო, გულსუფთა და ალალი, როდესაც დროის გადასახედიდანაც ასეთი რამ დასცდება: ბერენსის ალაგას სხვა, ოდნავ მაინც თავმოყვარე ადამიანი არამცთუ აღარ იკისრებდა სოხუმელთა ქალაქის თაობას, არამედ სრულიადაც და სამუდამოდაც გაეცლებოდა სოხუმს და გადაიკარგებოდა ისეთ ადგილას, სადაც მისი მცნობი არავინ იქნებოდა, ეს ვაჟბატონი კი თანახმა გახდა ქალაქისთავობისაო...

გასაკვირი ეს საქციელი კი არ არის სახელმწიფო ქონების მფლანგველობისათვის თავისი კუთხიდან გამოძევებული კაცისაგან, გასაოცარი სწორედ ის იქნებოდა, რომ სოხუმის გამგებლობაზე ეთქვა უარი, თორემ ამ ქალაქიდან გადაკარგვას ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა.

რაო, სულ ოდნავი თავმოყვარეობაო?!

ნუთუ თედო სახოკიამაც არ იცის, ვისთან შეიძლება ახსენოს ეს სიტყვა?

მაგრამ ეს სტრიქონები ყველაზე მკაფიოდ ადასტურებს იმ შეურაცხყოფას, რასაც სოხუმის ქართველი საზოგადოება იწვნევდა ხელისუფლებისაგან და თედო ასეც გამოთქვამდა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

— გუბერნატორის მიერ ასე უბოდიშოდ ნათავაზევი წიხლი...

ისე, თურმე შესაძლებელია ეს უხეშობაც ადმინისტრაციისა, ეს წიხლიც რაღაცით მაინც საყურადღებო ყოფილიყო.

თედო საკუთარი თავისა და თანამოაზრეთა დამშვიდებას ხომ არა ცდილობს, რათა სულაც სასოწარკვეთილება არ დაეუფლოთ?

ხან ასეთ საქციელსაც შეიძლება მოეძებნოს გამართლება, თუკი ძალიან არ მოიტყუებ თავს და თვითდამშვიდება თვითკმაყოფილებაში არ გადაგეზრდება. მაგრამ ამ შემთხვევაში თედო სახოკია სწორედაც ღრმად სწვდება მოვლენის არსს, რაკიღა მისთვის თავით ბოლომდეა თვალნათლივი და გასიგრძეგანებული სოხუმის ქართველი მოსახლეობის საერთო ცნობიერებაც და განწყობილებაც.

საყურადღებოც რა იყო:

— თვალი აეხილა თვით ბრმასაც კი და დაანახვა რუსის ადმინისტრაციის მთელი საზიზღარი ბუნება და, აქამდე თუ ვინმე ერთგული დარჩენოდა, ისიც კი გაუორგულდა.

განა ამას არა ცდილობდნენ ამ არჩევნების სათავეში მდგომნი და მისი ხელმძღვანელნი?

იქ, სადაც მცხოვრებთა 100 პროცენტი რუსთხელმწიფის მლოცავთა და მაქებელთაგან შედგებოდა, იქ, სადაც სწამდათ, რომ, რაც ქონება და სიმდიდრე შეეძინათ, ეს სულ ხელმწიფის

ბრძნული და სამართლიანი კანონების წყალობით იყო; იქ, სადაც ეჭვიც არ ეპარებოდათ, რუსი და არარუსი ამ კანონთა წინაშე სწორია და ერთსაც და მეორესაც მისი წყალობის კალთა ერთნაირად ეფინებაო, ხომ უნდა გადაწმენდილიყო გონებაზე ჩამოწოლილი ეს ბურუსი და შერყეულიყო ეს რწმენა?!

დაე, ყველაფერი აღქმულიყო ისე, როგორც სინამდვილეში იყო:

ქართველები უკანონო შვილები ვიყავით, კანონიერ შვილებთან, რუსებთან, არდასადარებელნი, კანონის გარეშე მდგარნი, სამართალს მოკლებულნი...

შეაგონებდნენ ამ „სიმართლეს" ერთი მუჭა ადამიანები და ვერა და ვერ შეესმინათ?

აჰა, კიდევ არ ირწმუნებდნენ აშკარა ძალადობის მხილველნი?

ირწმუნეს, გამოერკვნენო, ერთმანეთს ულოცავდნენ არჩევნების სათავეში მდგომნი და წარმმართველნი, და თედოსაც ეამაყებოდა თავისი წვლილი ამ საყოველთაო გამოფხიზლებაში და პირდაპირ დადნებოდა ბურუსგადაწმენდილი რეალობის შემყურე, თითქოს ახალი ადამიანები გამოცხადებიანო:

— დიაღაც რომ ტკბილი იყო ეს ნაყოფი ჩემის გარჯისა, დიაღაც რომ მეამტკბილებოდა, რომ ჩემიანების გამოდგომისათვის შრომამ და თავგამოდებამ ფუჭად არ ჩამიარა, რომ ჩავაგონე, თქვენთვის უანგაროთა მსურს სიკეთე-მეთქი...

ამ სტრიქონებს „ავტობიოგრაფიაში" უეცრად ასეთი ფრაზა უნდა მოჰყვეს:

— ამის შემდეგ გადავწყვიტე, ცოტა დამესვენა, ცოტა ხნით შემეჩერებინა ჩემი მუშაობა ჩვენის სამშობლოს ამ კუთხის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ...

გასაკვირია სწორედ — რა დროს „ცოტა დასვენება", „ცოტა შეჩერებაა", თანაც ვისგან, იმ თედო სახოკიასაგან, რომლის ბრძოლაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუსვენებლობითა და შეუჩერებლობით გამოირჩეოდა; და თანაც რა დროს — რუსთხელმწიფის მლოცავნი და მაქებელნი ახალი გამორკვეულნი არიან და პირველად შეჰყურებენ გარემოს დაუბინდავი მზერით. ახლა სჭირდებათ იმათ წინამძღოლი, ახლა მოელიან რჩევა-დარიგებას.

თედო რითი ამართლებს ამ „ცოტა დასვენებასა“ და „ცოტა შეჩერებას“?

— მით უფრო, რომ გამოჩნდნენ თითო-ოროლა განმგრძნობნი ჩემს მიერ დაწყებულ საქმისა.

ეს „თითო-ოროლა გამგრძნობი“ ისეთს რას უშველიდა, რასაც თვითონ თედო სახოკია, ძალდაუტანებლად რომ მოქცეულიყო ამ მოვლენათა სათავეში და ხალხიც იმედის თვალით სწორედ მას შეჰყურებდა.

მეორე მიზეზსაც გვამცნობს, თუმც ისეთ მნიშვნელოვანსაც არა, თითო-ოროლა მიმდევრის გამოჩენას რომ უთანაბრდებოდეს, მაგრამ გარკვეულად იმასაც უნდა ეთამაშა თავისი როლი:

— გადავწყვიტე აგრეთვე, დავბრუნებოდი საფრანგეთის დედაქალაქს და ათიოდე წელს წინათ დაწყებული საქმე უმაღლეს სწავლის მიღებისა განმეგრძო და დამემთავრებინა.

ეს სულაც არ არის უმნიშვნელო მოტივი, ადამიანი უმაღლესი სასწავლებლის დასრულებას რომ ესწრაფოდეს, წარმატებით დაწყებული სტუდენტობის ღირსეულად დაგვირგვინებას, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ:

ასეთ არცთუ შესაფერის დროს, როდესაც ანთებული, საბრძოლველად განწყობილი სოხუმი და მისი ოლქი უპირველესად მისგან მოელის სათავეში ჩადგომას?

სადაც ამდენ ხანს მოეთმინა სწავლის იძულებითი შეწყვეტა, ბარემ კიდევ ედროვა ერთ-ორ წელიწადს, ვიდრე ბრძოლას აფხაზეთის მხარის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ მართლაც შესაფერის მემკვიდრეს, მასავით თავგადადებულ კაცს გადააბარებდა, „თითო-ოროლა“ მიმდევრის ანაბარა კი არ დატოვებდა.

და, ცხადია, არ გამოგვრჩება, თუ როდის იწერება მისი ეს ავტობიოგრაფიული თხზულება — 1943 წელს ყელაფერს ვერ გაამჟღავნებდა ისე, თვითონ როგორც ენება და... იმის იმედადღა რჩებოდა, რომ შესაფერის ჟამს კიდეც წარმოსახავდა იმ ექსპრესიითა და ფსიქოლოგიური სიღრმით, როგორც საერთოდ სჩვეოდა.

ამ პასაჟიდან კი მხოლოდ ის ცნაურდება, რომ ავტორი რაღაცას ფარავს და ქვეტექსტს უფრო მიანდობს სათქმელს იმ

იმედით, რომ ოდესმე დადგება ის დროც, როდესაც ქვეტექსტის გაშიფვრა შემეძლებაო.

ქვეტექსტი კი რას მიანიშნებს შეფარულად და...

1900 წლის 3 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი მოახსენებდა მთავარმართებელს:

— სახოკიამ სოხუმის ოლქში ჩამოაყალიბა ქართველთა პარტია, რომელიც ისწრაფის: ა) აფხაზური მოსახლეობის ეკლესიებში მოაწყოს ღვთისმსახურება არა სლავურ, არამედ მხოლოდ ქართულ ენაზე და

ბ) სამრევლო-საეკლესიო სკოლებსა და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ სკოლებში, რომლებიც აფხაზეთისა და სამურზაყანოს ფარგლებშია, ყველა საგნის სწავლება მოაწყოს ქართულ და არა რუსულ ენაზე, რომ ამ გზით გააქართველოს აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობა.

რაო, რას ირწმუნება მთავარმართებელი, თედო სახოკიამ ქართული პარტია ჩამოაყალიბაო?

ის ორი უმთავრესი მიზანი, რომელთაც ეს პარტია ისახავდა, ისედაც ადვილი ამოსაცნობი იქნებოდა ჩვენთვის, მოხსენებადასმენაში რომც არ ყოფილიყო შენიშნული, თედო სახოკია აბა რატომ გაირჯებოდა, თანაც, რა დროს — საქართველოში არსებობს ერთადერთი პოლიტიკური პარტია: სოციალ-დემოკრატიული, ოფიციალურად გაფორმებული ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებისას და თედო სახოკიას თვალწინ.

ჯერ შორეულადაც არ ილანდება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაარსება, თურმე თედოს უშუალო მონაწილეობითაც რომ უნდა მოხდეს წლების შემდგომ, ისევე როგორც რეალურად ჯერ არც ილია ჭავჭავაძე ფიქრობს პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას და იმედოვნებს, რომ უამისოდაც არ გაუძნელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენა... მაგრამ თანდათან რომ შემოაცვდებოდა ეს იმედი, რაკიღა დაიბეჯითებდა, რომ უამისოდ უკვე აღარაფერი გამოვიდოდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთა წარმართვის სადავეები ხელიდან გაუსხლტებოდა, ახალ დროებას მოეტანა პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცი-

ლებლობა, და არა მარტოდენ სასურველობა, და რომ დაფა-
ცურდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დასაარსებ-
ლად, იაკობ გოგებაშვილს მიაკითხავდა, ჩვენ ორნი ჩავუდგეთ
სათავეში ამ წამოწყებასო.

და თუ თვით ილიასათვის უპირველესი თანამდგომი იაკობი
გახლდათ, რა გასაკვირია, რომ თედო სახოკიასთვისაც ის გამ-
ხდარიყო მთავარი მრჩეველი.

იდეა სულაც იაკობ გოგებაშვილმა ხომ არ შესთავაზა?

თუმც ასეც რომ ყოფილიყო, იაკობი დედაქალაქშიც დაფა-
ცურდებოდა საამისოდ და, თვითონ თუ არ იდებდა თავს პარ-
ტიის ერთპიროვნულ წინამძღოლობას, ვინმეს შეაგულიანებ-
და, თუნდ ილიას, ვისაც ჯერ დრო სჭირდებოდა მოღვაწეობის
სტილის გადასაწყობად.

ასე რომ, იდეა თედოსი უნდა ყოფილიყო, დასავლეთში ერ-
თხანს ცხოვრებითაც შთაგონებული და სოციალ-დემოკრატთა
პარტიის დაარსებითაც განმტკიცებული. მაინცდამაინც გონე-
ბაში არ დაუჯდებოდა იმათი მომძლავრება, მითუმეტეს, უკვე
წამითაც აღარ იფიქრებდა იმათთან გაწევრიანებაზე სრულიად
განსხვავებულ ინტერესთა გამო. და ამიტომაც ამჯობინებდა,
საკუთრივ ეძია ის პოლიტიკური გზაც და სარბიელიც, რომლის
მოსასინჯადაც უკეთესი რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა იმ
გუნდის თავმოყრა, ვინც წინ აღუდგებოდა რუსეთის კოლონი-
ურ პოლიტიკას აფხაზეთის მხარეში, მიზანმიმართულად რომ
ასახლებდნენ ამ მიწა-წყალზე გერმანელებს, ესტონელებს,
რუსებს, ბერძნებს, ოლონდაც კი შეევიწროებინათ აფხაზები
და ქართველები და უფრო იოლადაც გამოედევნათ ქართული
ენა ეკლესიებიდან და სკოლებიდან.

შემზარავია თუნდ ის დოკუმენტიც, მთავარმართებელი გო-
ლიცინი და ეგზარხოსი ალექსი რომ გაუგზავნიდნენ სინოდის
ობერ-პროკურორს:

— სოხუმის ეპარქია მისი ჭარბი აფხაზი და რუსი მოსახლე-
ობით სასურველი იქნება, გავაცალკეოთ უკიდურესად არასა-
სურველი ქართული გავლენისაგან და ამ მიზნისათვის პატარა
და მრავალენიანი სოხუმის ეპარქიის შეერთება ყუბანის მხარი-

სათვის მეტად სასარგებლო იქნება. ყუბანის მხარე ითვლის 1 716 245 სულს პირწმინდად რუსულ მართლმადიდებელ მოსახლეობას. ამ მასაში ადვილად გაითქვიფება შავი ზღვის სანაპიროს 100 000 მრავალენიანი მოსახლეობა.

ყველაფერი რა მზაკვრულად გაუთვლიათ, არა?

იმედოვნებენ, წინ რა შეიძლება გადაეღობოს ამ განზრახვას, თუკი მიზანსწრაფულად და თანამიმდევრულად ვიმოქმედებთო.

მაგრამ უმაღლესი ხელისუფლება უფრო ღრმად ჩახედულიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთა მდინარებაში, აშკარად ამჩნევდა მეამბოხურ, რევოლუციურ განწყობილებას, უკმაყოფილების ზრდას და ამიტომაც მოერიდებოდა ამ პროექტის ხორცშესხმას სასწრაფოდ, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ უგულებელყვეს — უბრალოდ, ამჯობინებდნენ, უფრო ხელსაყრელ პირობებს დალოდებოდნენ.

ასეც მოსწერდნენ მეტროპოლიიდან მთავარმართებელსა და ეგზარხოსს, დაუმადლებდნენ ერთგულ სამსახურს და ორივე მხარე — იქაური და აქაური ხელისუფალნი — კბილების ერთნაირი კაწკაწით დაელოდებოდა იმ უფრო ხელსაყრელ პირობებს.

არადა, სწორედ ამ რევოლუციურ განწყობილებასა და ტალღას აჰყვებოდა თედო სახოკია, რომელიც არამარტო დაიბეჯითებდა, ყოველი დღე,შესაძლოა, საბედისწეროც შეიქნეს, თუკი ამთავითვე არ ვიზრუნებთ მიზანმიმართული ორგანიზაციის შექმნასა და წინააღმდეგობის მოძრაობის გაშლაზე, არამედ საკუთარ თავზე აიღებდა წინამძღოლობას, მითუმეტეს, ასეთი მრჩეველი დაეგულებინა გვერდით.

ამიტომაც გაიმართებოდა ინტენსიური მიმოწერა სწორედ იმ ხანებში იაკობ გოგებაშვილთან, თითქოს მხოლოდ სახელმძღვანელოებისა და არჩევნების თემებზე.

ამიტომაც მოჰკრავდნენ თვალს არაერთხელ გოლოვინის გამზირზე ერთად მოსიარულეთ, თედო ნელ ნაბიჯს რომ აუწყობდა თავის და ყველას მოძღვარს და გარეგნულად მშვიდ მუსაიფში წინასწარვე აცნობდა მოქმედების იმ გეგმას, ასე

რომ შეაფიქრიანებდა ხელისუფლებას და კიდეც ჩაუჯდებოდა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს სოხუმის ოკრუგის განყოფილება „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მოღვაწეობის გამოძიებას, რათა საბოლოოდ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში დამზადებულიყო ვეება საბრალდებო საქმე, პარტიის არაერთ წევრს და, მათ შორის, უპირველესად თედო სახოკიას ხუთი წლით რომ მიუსჯიდა რუსეთის გუბერნიებში გადასახლებას ადმინისტრაციული წესით.

აგენტურა არც ამ მხარეში აკლდა ხელისუფლებას და ტროფიმე ხუნდაძე, თედო სახოკიას ბიოგრაფიული მასალების შეგროვებისას მისი პოლიტიკური მოღვაწეობის საერთო მდინარებასა და ზოგად სურათს რომ წარმოსახავდა საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით (მოგვიანებით აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურულიც რომ შეისწავლიდნენ ამავე მასალებს და არაერთ საგულისხმო რეალიასაც გამოამზეურებდნენ წიგნში „თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში“), ჩამოწერდა აგენტთა სახელებსაც და... ამ სიის ჩათვალიერებისას ხელთ სასულიერო პირები შეგვრჩება — სოხუმის ეპისკოპოსი, სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი, ბლაღოჩინი, დრანდისა თუ ოქუმის მღვდლები, რომელთაგანაც მისდიოდათ მეტ-ნაკლებად დეტალური ცნობები, კერძოდ:

დრანდაში, ბურჭულაძის ბინაზე, და ოჩამჩირეში, ფარნა დავითაიას ბინაზე, გამართულიყო კრებები, რომელთაც ესწრებოდნენ თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, აქვსენტი სახოკია, ივანე გეგია, სპირიდონ ნორაკიძე და სხვანი. ეგაა, ვერ დაეზუსტებინა აგენტურას თავყრილობათა მიზანი და საგანი.

სპირიდონ ნორაკიძე მონაწილეობდა საიდუმლო შეკრებაში მღვდელ კერესელიძის ბინაზე, სადაც განიხილებოდა საკითხი ქართული ენის შემოღებისა აფხაზური მოსახლეობის სკოლებში.

აშკარად ცნაურდება, რომ ჟანდარმერიას ვერ მოეხერხებინა თავისი კაცისა თუ სულაც რამდენიმე კაცის შეგზავნა ამ ფარულ ორგანიზაციაში, და ამიტომაც იძულებული შეიქნებოდა, ეკმარა ზოგადი ცნობები, ვიდრე საგულდაგულო ჩხრეკას ჩაატარებდა ეჭვმიტანილთა სახლებში.

პირადი შეხვედრების გარდა, პარტიის წევრები ერთმანეთს მიმოწერითაც რომ უკავშირდებოდნენ, ამ მიმოწერის შუაგულში თედო სახოკია ჩამდგარიყო და აქ იყრიდა თავს ანთიმოზ ჯუღელის, სპირიდონ ნორაკიძის (მრეწველის, ამ მხარის რევოლუციურ ორგანიზაციებს ნივთიერად რომ შეეწეოდა), ივანე ბურჭულაძის, გრიგოლ კანდელაკის (ოქუმის მეაფთიაქე), ივანე გეგიას (ოქუმის ბიბლიოთეკის გამგე, ყოფილი მასწავლებელი), ფარნა დავითაიას (ოჩამჩირის წვრილი ვაჭარი) ბარათები, თანაგრძნობით კი თანაუგრძნობდნენ ამ წამოწყებას: პეტრე ჭარაია (მასწავლებელი, აფხაზური ენისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი) და ნიკო ჯანაშია (გუდაუთის სკოლის მასწავლებელი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი) და კიდევ სხვანი, რომელთა თანადგომასაც ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქართული პარტია სულ უფრო თამამად გაშლიდა ფრთებს.

როდესაც 1889 წლის ზაფხულის პირას ანთიმოზ ჯუღელი თედოს გააცნობდა 16-17 წლის ყმაწვილს, გამხდარსა და სოხუმის ციებისაგან ფერმკრთალს, და დასძენდა: ეს არის, მთიელთა სკოლა დაამთავრა და სახელმწიფო ხარჯით გორის საოსტატო სემინარიაში გზავნიანო. ეს გაიხარებდა: რა კარგია, რომ გორში გზავნიან, იქ ქართველთა შორის მოუხდება ტრიალი და სოხუმიდან გარუსებულად წასული გორიდან გაქართველებული დაგვიბრუნდებაო.

ისე ყველა ღირსეულ ადამიანს ყველაფერი კეთილად აუხდეს!..

და ისიც ნიკო ჯანაშიას ბედი იყო, ნიკო ლომოური რომ მოევლინებოდა პედაგოგად და ქართული ენის შემსწავლელად, მთლად იშვიათი ქართულით რომ აამეტყველებდა ყმაწვილს, ვინც ისეთი გარემოდან მოდიოდა, იმ მთიელთა სკოლიდან, აფხაზეთის მკვიდრთა გარუსების მიზნით რომ დაარსებულიყო 1863 წელს, და შედგებოდა ორი ძირითადი და სამი მოსამზადებელი კლასისაგან. სოფლებიდან ჩამოყვანილი ბავშვებისათვის სკოლას ჰქონდა პანსიონი, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ როგორც საჭმელ-სასმელითა და ტანსაცმლით, ისე ბინით.

ნიკო ჯანაშიას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსახვისას თედო საჭიროდ ცნობდა ამ სკოლის დანიშნულების წარმოჩენასაც, ეს დანიშნულება კი გარეგნულად იმით ცნაურდებოდა, რომ მოსწავლეთა ფორმის სამოსი შავი მაუდისა იყო — იმდროინდელ სალდათთა ტანისამოსის სახისა, ბრჭყვიალაღილებიანი, და ქუდებიც სალდათური ეხურათ. ხოლო სკოლაში მოყვანის დღიდანვე ყმაწვილს მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენა რომ ესმოდა, ამ ანტიპედაგოგიურ გარემოს მართლაც იშვიათად თუ გაუძლებდა ვინმე ბოლომდე. და ამიტომაცაა, რომ უმეტესობა ბავშვებისა II, III მოსამზადებლიდან გამოდიოდა და აღარც უბრუნდებოდა სატანჯველად მოვლენილ მასწავლებლებს, და მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის ბავშვი თუ ახერხებდა მთიელთა სკოლის კურსის დამთავრებას,კურსდამთავრებულს კი ზოგჯერ გიმნაზიაშიც რომ გზავნიდნენ ხოლმე, არა ქუთაისისა თუ ტფილისისა, არამედ უმთავრესად სტავროპოლისაკენ. და ნიკო ჯანაშიას ასეთ დროს რარიგ გაუმართლებდა... გორში კი ნიკო ლომოურს რომ მიეკედლებოდა, სოფლიდან უქმეებზე ნიკოსთან სტუმრად მოსული თედო ამ ყმაწვილსაც — თავის ძველ ნაცნობს — კარგ საკითხავ წიგნებსაც შეურჩევდა ხოლმე ქართულად და არც სხვა რჩევა-დარიგებას აკლებდა, რათა მშობლიური ენა საფუძვლიანად შეესწავლა.

1891 წელს გორიდან დაბრუნებულ ნიკოს მასწავლებლად რომ გაამწესებდნენ თავისსავე მთიელთა სკოლაში, სამსახურის დაწყებისთანავე შეუდგებოდა ცხოვრებაში გატარებას იმ პრინციპებისა, რომელთაც ელემენტარული პედაგოგიური კანონი ითხოვდა: ყრმას მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა შეეთვისებინა პირველდაწყებითი ცოდნა. ამას ვინ აპატიებდა ნიკო ჯანაშიას — დასწამებდნენ გაქართველების პოლიტიკის მიმდევრობას და აიძულებდნენ გურიაში გადასულიყო, სოფელ მაკვანეთში.

ხოლო როდესაც ხელახლა დააბრუნებდნენ აფხაზეთში, დაბა გუდაუთის სამინისტროს სკოლის გამგედ, მისი იქ მისვლა, რა გასაკვირია, სრულიად გადაასხვაფერებდა საერთო სუ-

რათს — იგი, როგორც აფხაზურისა და მეგრულის მცოდნე, მოწაფეებს უხსნიდა მათთვის გაუგებარ რუსულ სიტყვებს, რაც მეტად ახალისებდათ და აყვარებდათ სწავლას და აღარ მიიჩნევდნენ აქაურობას საწამებელ ადგილად.

ძველ სენაკშიც მოუწევდა მასწავლებლობა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სკოლაში და სოხუმში გადასვლაც 1910 წელს ქართული სკოლის გამგედ, სიკვდილამდე რომ იქ დარჩებოდა, არადა, განა რამდენიღა მოუწევდა — 1918 წლამდე!

— ამ ხნის განმავლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ კულტურულ საქმეში. სკოლა მის ხელში გადაიქცა კერად, რომლის გარშემო თავს იყრიდა ადგილობრივი ქართველობა.

ქართულ გაზეთებში რომ თანამშრომლობდა „ჰამუთ-ბეის" ფსევდონიმით და გურიაში შეკრებილი ხალხური სიტყვიერების მასალებიც მოეთავსებინა ჟურნალში, თედო სახოკიას შეფასებით, იგი თავის სახელს უპირველესად უკვდავყოფდა გამოკვლევით „მასალები აფხაზეთის ეთნოგრაფიისათვის", ჟურნალი „მოამბე" გაგრძელებებით რომ გამოაქვეყნებდა 1897-99 წლების ნომრებში.

— ქართულ ლიტერატურაში ეს გამოკვლევა ამავე საგანზე, პეტრე ჭარაიას წერილების შემდეგ, წარმოადგენს აფხაზეთის ზნე-ჩვეულებათა საუკეთესო და ერთადერთ აღწერას.

თედო იმასაც აღნიშნავდა, რომ, რაც ნიკო ჯანაშია ცხოვრებაში გამოსულიყო, მასთან მიმოწერა ჰქონდა და, საბედნიეროდ, უკლებლივაც შემოენახა მისი ყველა ბარათი — 34 ნიმუში, მაკვანეთიდან, გუდაუთიდან, ძველი სენაკიდან გამოგზავნილი.

ესეის დაწერის თარიღი — 1938 წელი — თედოს საშუალებას არ მისცემდა, არამცთუ ვრცლად გაეხსენებინა ამ პიროვნების კავშირი ქართულ პარტიასთან, არამედ ზოგიერთი ეპიზოდიც კი მოეგონებინა. თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ბარათებიდან არაერთი შთაგონებულიყო პოლიტიკური სულისკვეთებით, თუმც ეს სულისკვეთება ამჯერადაც ისევე გაეხვეოდა მეცნიერული და კულტურული ინტერესების საბურველში, როგორც სკოლაში მისი მოღვაწეობა ამოეფარებო-

და მარჯვედ მორგებულ ფორმულას — კულტურულ საქმეებში მხურვალე მონაწილეობისა, რათა ადვილად ვეღარ წამოევლოთ მისთვის ხელი.

იმ მხრივ კი შეიძლებოდა ნიკო ჯანაშიას პოლიტიკურ სწრაფვაზე სიტყვის ჩამოგდება, რომ იგი არ ეპუებოდა აფხაზეთში შავრაზმელთა ბატონობას და აგერ გუდაუთაშიც შვიდ წელიწადს ატარებდა თავისი კალთით იქაურთა ჭირსა და ლხინს.

— ცდილობდა პრესის საშუალებით სააშკარაოზე გამოეტანა შავრაზმელთა უკუღმართობანი. ამავე დროს გულმოდგინედ განაგრძობდა საეთნოგრაფიო წერილების წერას. ეს ყოველივე აღნიშნულია მის წერილებში. და მართლაც რომ ბედად... შემონახულა ეს ძვირფასი დოკუმენტები ნიკო ჯანაშიას ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისა.

უფრო გამჭვირვალედ რაღა გვამცნოს, რომ მასთან მიმოწერა ქართული პარტიის მოღვაწეობის გაშლასაც უშუალოდ გადასჯაჭვოდა.

ხოლო სპირიდონ ნორაკიძის ხსოვნაც სახიერად თუ უნდა შემორჩენოდა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას, — იაკობ გოგებაშვილის წყალობით — და ეს იმიტომაც, რომ ამ პიროვნებაზე სხვათაგანაც ბევრი სმენოდა და თედო სახოკიასგანაც, განსაკუთრებით იმჟამად, ქართული პარტიის მოღვაწეობას ტფილისიდან რომ ხელს უმართავდა და მის მონაწილეთა მთავარი ბირთვის ვინაობაც გაცხადებული იყო მისთვის.

1909 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „უკიდურესი გულქვაობა“ კვლავაც მისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას რომ დაუბრუნდებოდა — პირველდაწყებითი განათლების მიღების აუცილებლობას მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე, რადგან მარტოდენ ასე თუ შეიძლება განეცადათ ადამიანებს აგერ თუნდ სახარების შეუდარებელი ზნეობრივი ზეგავლენა, რადგანაც ყოველგვარი მაღალი გრძნობის აღზრდა შესაძლებელი იყო (და არის) მხოლოდ დედაენის საშუალებით, გასათვალსაჩინოებლად გაიხსენებდა იმ ქართველ გლეხებს, რომელთაც პირველდაწყებითი სწავლა შეეძინათ იმ დროს, როდესაც სა-

ხალხო სკოლებში ყველა საგანი ქართულად ისწავლებოდა და მასში ძლიერი იყო ეროვნული ელემენტი. ამიტომაც აეშორებინათ ამ გლეხებს სწავლის დამთავრების შემდეგ ბიუროკრატიული სკოლის გავლენა და ქართული მწიგნობრობისა და ლიტერატურის მეოხებით საკმაო განვითარებაც მოეპოვებინათ. და ამისთანა გლეხები ძლიერაც განირჩეოდნენ სხვათაგან საღი ჭკუით, დაუმჭკნარი მხნეობით,სრული სინდისიერებით, სამშობლოს ერთგულებით, მოყვასთა სიყვარულითა და ნამდვილი ადამიანობით.

გლეხთა ამ ტიპს მიეკუთვნებოდა იმ დღეებში ბნელი ძალების ავაზაკური ხელით ვერაგულად მოკლული სპირიდონ ნორაკიძეც.

— ყველანი, ვინც კი მას და მის მოქმედებას დაახლოვებით იცნობდნენ, ერთხმივ აღვიარებენ, რომ იგი იყო განხორციელებული ენერგია, ხუთი კაცის ოდენას აკეთებდა, ქონებას იძენდა ყოვლად პატიოსანი გზით, სუფთა მხნეობით, და ამ ქონების ბლომა ნაწილს ახმარდა საზოგადო საქმეებს და გაჭირვებულს მოწაფეებს აქ და რუსეთში.

სპირიდონ ნორაკიძის ანდერძის აგებისას მიხეილ ყიფიანი მოუტ-რიალდებოდა იაკობს: საოცარი ღირსებით რომ იყო შემკული, ჯერ მარტო ამ საგულისხმიერო საბუთით დაგიდასტურებ, რომ, როდესაც მე რკინიგზის რევიზორად ვიყავი, საწყალ სპირიდონს რკინიგზის იჯარა ჰქონდა აღებული და ისეთი გლეხური ჯენტლმენობით ასრულებდა თავის მოვალეობას, რომ ყველას ხიბლავდა და მუშებიც ძალიან ემადლიერებოდნენო.

თითქოს ერთმანეთს უნდა გამორიცხავდეს ეს ორი სიტყვა: „გლეხი" და „ჯენტლმენი", — მაგრამ სავსებით ეთანხმება ერთიმეორეს მიხეილ ყიფიანის წარმოსახვაშიც და იაკობ გოგებაშვილისაც, ვისაც პირდაპირ გამოაქვს ეს სიტყვათშეხამება, რაკიღა თვითონაც სავსებით ეთანხმება. და ეს იმიტომ, რომ ისედაც არა ერთი და ორი მაგალითი მოეხსენება გლეხ ჯენტლმენთა არსებობისა ქართულ სინამდვილეში და არც სპირიდონ ნორაკიძის ჯენტლმენობის ხსენება სჭრის ყურს, ხოლო თავის მხრივ დასძენს, რომ უმთავრესი წყარო ამ დაუშრეტელი ენერ-

გიისა და მომხიბლავი პატიოსნებისა იყო აპრიალებული სიყვარული თავისი სამშობლოსი. ამის გამო ებრძოდა სპირიდონი ასე მედგრად იმ ბნელ ძალებს, რომელნიც მოწადინებულიყვნენ, გაეცალკევებინათ მეგრელები დანარჩენ ქართველთაგან, სამეგრელო მოეწყვიტათ საქართველოსათვის, ორივე მხარე დაესუსტებინათ და ადვილად მოსანელებელი გაეხადათ.

იაკობი სავსებით იზიარებდა გავრცელებულ ხმებს: სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი ყოვლად საზიზღარი მკვლელობისაო. პოლიტიკურ სარჩულს დაუდებდა — ზუსტსა და მართებულს, აბა, ყალბი ვერსია რას მოატყუებდა!

და განაზოგადებ-გაასიმბოლოებდა ამ სახელსაც და ცხოვრების სტილსაც:

— ჩვენი ქართველი გლეხობა სპირიდონ ნორაკიძეებად გადაიქცევა, თუ რომ ჩვენ მას მივანიჭებთ საღს განათლებას დედა-ენაზე, ეროვნულს ნიადაგზე და სახალხო სკოლას მჭიდროდ დავუკავშირებთ არა ბიუროკრატიულს საშუალო სასწავლებლებს, არამედ ახალს ქართულს სახალხო უნივერსიტეტებს, სადაც სწავლება თავიდგან ბოლომდინ უნდა იყოს ქართულს ენაზე.

ვინც მოისურვებდა, კიდევ უფრო ღრმად გარკვეულიყო იაკობ გოგებაშვილის ნააზრევში, ასეთ ცნობისწადილიან მკითხველს დაე მისი ის ვრცელი წერილი მოეძებნა „ცნობის ფურცლის" სვეტებში, სადაც ეს საგანი დეტალურად იყო გამორკვეული და წარმოჩენილი.

პირადი შეხვედრების გარდა, ქართული პარტიის წევრები ერთმანეთს მიმოწერითაც უკავშირდებოდნენო...

სწორედ ამ შინაარსის წერილებს უპოვიდა ჟანდარმერია გაჩხრეკისას ივანე გეგიას დაბა ოქუმში.

ამ ჯგუფის საქმიანობის მამხილებლად გამოიყენებდნენ თედო სახოკიასა და ივანე გეგიას გაჩხრეკის საშუალებით მოპოვებულ ხელმომწერთა სიას, ოქუმის მრევლის 169 წევრი რომ მზად იყო, არ მიემართათ ივანე ქავჟარაძისათვის მღვდელმსახურების საჭიროებისას და ამით გამოეხატათ თავიანთი პროტესტი ამ სასულიერო პირის აგენტურული საქმიანობის მიმართ.

ჟანდარმერია გულმოდგინედ რომ კრებდა ცნობებს ქართული პარტიის წევრთა და საქმიანობის ირგვლივ და კარგადაც გარკვეულიყო, ტროფიმე ხუნდაძის თქმისა არ იყოს, აგერ ხელშესახებად დასტურდებოდა 1900 წლის მარტში ერთდროულად მოწყობილი ჩხრეკით ორგანიზაციის აქტიური მონაწილეებისა:

ჯუღელისა და სახოკიასი — სოხუმში, ბურჭულაძისა — დრანდაში, დავითაიასი — ოჩამჩირეში, კანდელაკისა და გეგიასი — ოქუმში.

კიდევ კარგი, ბევრს ვერაფერს აღმოაჩენდა მისთვის სახეიროს მთავრობა.

ქართული პარტიის აქტივისტები წინასწარვე გაეფრთხილებინათ?

შესაძლოა, რატომაც არა, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ მათ იმთავითვე ჰქონოდათ დაჭერილი თადარიგი შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში.

ის ორიოდ დოკუმენტი, რაც მთავრობას ხელთ ეგდო, ეგებ მთლად სასურველი არ იყო თედო სახოკიასა და მისი ფარული საზოგადოებისათვის, მაგრამ იმის საბაბსაც არ იძლეოდა, რომ მონაწილენი — ან თუნდაც მეთაური — ახლავე საპყრობილეში გამოეკეტათ, და ამიტომაც დადგებოდნენ უარზე უეცარი თავდასხმის ქვეშ მოყოლილები: რა პარტია, რომელი პარტია, რა ეროვნული მიმართულებისა, აფხაზეთ-სამურზაყანოში ასეთ პარტიას რა უნდა, და თუ სადმე არსებობს, ჩვენ რა შუაში ვართ, რაც არც გვიფიქრია, იმის ხორცშესხმას როგორ გვაბრალებთო!..

დრანდაში შეკრება ვითომ ტყუილი იყო?

არა, რა ტყუილი — როდის ამბობენ, ასეთი შეხვედრა არ მომხდარაო; ისინი მხოლოდ რაღაც ქართული პარტიის წევრებად მონათვლას აპროტესტებენ, თორემ იქ ხომ მართლაც იმყოფებოდნენ და მხურვალე სჯა-ბაასიც ჰქონდათ გამართული, ოღონდ... მეაბრეშუმეთა საზოგადოების შექმნის ირგვლივ საუბრობდნენ, ხოლო მეაბრეშუმეობაზე ზრუნვას თუ პოლიტიკური სარჩული შეიძლება დასდებოდა, აბა, რას წარმოიდგენდნენ! ამიერიდან კი გაფრთხილდებიან და ასეთი წამოწყებისა-

გან თავს შეიკავებენ, თორემ მეაბრეშუმეობას ხომ არ შეეწირებიან ეს ალალ-მართალი ადამიანები.

რაო, თედო სახოკიას პუბლიცისტური სტატიები და კორესპონდენციები სულ სხვას ღაღადებს?

პოლიტიკური პარტია არ დაუარსებია, თორემ ის, რაც საამკარაოზეა გამოტანილი, როგორ გადაფიცავს. დიახაც, პრესის მეშვეობით ცდილობს, რათა ქართული ენა, როგორც მშობლიური, ისწავლებოდეს სოხუმის მოსახლეობაში, რადგანაც მტკიცედ სწამს, რომ ამ გზით შეეწყობა ხელი რუსული ენის უადვილესად შესწავლასაც, თედოს კი სხვა რა აღელვებს, თუ არა რუსულის რაც შეიძლება იოლად დაუფლება?!

ანდა რას ჩასციებიან, რატომ მოითხოვდი, ღვთისმსახურება სოხუმის ოლქის მეგრულ მოსახლეობაში ქართულ ენაზე აღესრულებოდესო?

პოლიტიკური პარტიის შექმნას რატომ მიაწერენ ამ მიზნის ხორცშესასხმელად, თორემ ამ მოსაზრებისა და სურვილის წამოჭრის უფლება რომ არავის წართმევია, აგერ სანქტ-პეტერბურგის გაზეთი — ამის ყველაზე სახიერი დასტური — თვით ის უთმობს თავის გვერდებს, რედაქციისა და ცენზურის მარწუხები გაუვლია მშვიდობიანად თედოს სტატიებს, უკანონოდ ვინ რას გამოუქვეყნებდა, და იმ გამოცემის ავტორიტეტს მაინც გაუწიოს ანგარიში ყველამ, ვინც ცდილობს, როგორმე მოსდოს შარი და არარსებული პოლიტიკური პარტიის მეთაურობა აჰკიდოს.

ძიებისას წამოტივტივდებოდა ზაქარია ჭიჭინაძის სახელიც — ივანე გეგიას გაჩხრეკისას იპოვნიდნენ მის ბარათს, ქართველი ხალხის საზიზღარ შვილებად რომ იხსენიებდა მღვდელ ივანე ქავჟარაძესა და მასწავლებელ ბორის ხაჩავას ქართული ენის დევნისათვის.

აცნობებდა იმასაც, გურია-სამეგრელოს კანცელარიის მდივნისათვის — ტროფიმე ხუნდაძე რომ დაინტერესდებოდა მისი ვინაობით, სოფრომ მგალობლიშვილი აღმოჩნდებოდა — დაეტოვებინა ათასი ცალი ქართული წიგნი, რომლებიც ივანე გეგიას უნდა დაერიგებინა უფასოდ სოხუმის მახლობელ მცხოვრებთათვის.

ადრესატი პირნათლად აღასრულებდა ამ დავალებას და... ჟანდარმერიის გულისწყრომასაც დაიმსახურებდა.

თედო სახოკიას ირგვლივ სულ უფრო რომ ვიწროვდებოდა რკალი, მთავარმართებლის 1904 წლის განაჩენით მკაცრადაც მოეკითხებოდა პასუხი, მაგრამ თედო ძიების დასრულებას ხომ არ დაელოდებოდა — სადაც არა ჯობდა, გაცლა ჯობდა მისთვისაც, ბრძენკაცური ნუგეშისა არ იყოს: კარგისა მამაცისაგანო. მითუმეტეს, გასაცლელიც ჰქონდა და როდემდე ყოფილიყო ჟანდარმერიისა და ადმინისტრაციის შემყურე.

ოთხი ათეული წლის შემდეგ შედგენილ ავტობიოგრაფიაშიც რომ უნდა მორიდებოდა სიმართლის გაშიშვლებას და კვლავაც საბურველის აფარება ემჯობინა?!

ცოტა დამესვენებინა, ცოტა ხნით შემეჩერებინა ჩემი მუშაობა ჩემი სამშობლოს ამ კუთხის რუსიფიკატორთა წინააღმდეგო...

ათიოდე წლის წინათ დაწყებული უმაღლესი სწავლის მიღება დამემთავრებინაო...

როდესაც შენს სარბიელზე არ გაყენებენ, ცხადია, ისეთი გზა უნდა მოძებნო, შარი ხეირად გექცეს და გამოწურო ყველაფერი, რაც გამოსაწურია იმ ახალი გარემოდან, რათა აფხაზეთის მხარის გარუსების მოსურნეთ კიდევ უფრო შეჭურვილი და მომძლავრებული შეემეტოქო.

თავი მეშვიდე

გარჯისა და განსწავლის ოდისეა

ამხელა გზას უნდა დასდგომოდა და მასთან გამოგზავნილ ბარათებს თან ხომ არ ატარებდა. არადა, შესანახი და გასაფრთხილებელი იყო და უსათუოდ სანდო პირისათვის უნდა ჩაებარებინა. თავს მოუყრიდა იმ „გულდასაწვავ წერილებს", გადასინჯავდა და, სადაც მთავრობის „საწყენ" სტრიქონებს წააწყდებოდა, გადაშლიდა. გასაგებია, რატომაც გამოიჩენდა ასეთ სიფრთხილეს — ვისაც ამ ბარათებს მიაბარებდა, რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდა ნიკოლოზის აგენტების მხრივ. და „ამნაირად გაუშიშროებულ" წერილებს ჩააბარებდა თავის მეგობარს გიგო ტატიშვილს, ცნობილ გრავიორს, და სულს ხელში ჩაუდებდა:

— საზღვარგარეთიდან ჩემს დაბრუნებამდე გებარებოდეს და, თუ ცოცხალი ვერ დავბრუნდი სამშობლოში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცი, რომ შთამომავლობას არ დაუკარგონ.

ამ მინაბარებს უკლებლივ დაიბრუნებდა... 1917 წელს გიგო ტატიშვილის მეუღლისაგან — მინადორასაგან, რადგანაც მეგობარი გარდაცვლილი დახვდებოდა.

1900-14 წლების ბარათებს რა ეშველებოდა, თორემ... მათგან მცირე გამონაკლისი თუ გადარჩებოდა, რადგანაც ზოგი ციმბირში დაიკარგებოდა და ზოგიც — ბელგიაში.

შინ სამუდამოდ დაბრუნებული კი ერთ ბარათსაც აღარ დაუკარგავდა შთამომავლობას. მის ხელთ რაც იყო, ყველაფერს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და კერძო წერილებსაც — საზოგადოებრივადაც მნიშვნელოვანსა და იმ პიროვნებათა სულსა თუ განწყობილებებში ჩასახედადაც მრავალმხრივ სა-

გულისხმოს, მიმოწერა ვისთანაც აკავშირებდა — რომ დაჰკანკალებდა, რა გასაკვირია, ამ მხრივაც სანდო დოკუმენტურ მასალებს რომ შემოგვინახავდა.

თუმც ჯერ აქედან უნდა გააღწიოს როგორმე, პოლიციის ხელთ რომ არ ჩავარდეს და... დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება კიდევ წინ ელოდება.

ემზადება შორეული გზებისათვის, მაგრამ ფორიაქით ძალიანაც არა ფორიაქობს, რათა ყურადღება არ მოუდუნდეს, ერთი „საწყენი" სტრიქონიც არ გაეპაროს ბარათებში და გიგო ტატიშვილი შარში არ გახვიოს.

შთამომავლობას ასეთ „გაუვნებლებულ" ბარათებს რომ უტოვებს?

თუმც... რა აუცილებელია, რომ წერილებში პირდაპირ ეწეროს მთავრობის ლანძღვა თუ მათი დამხობის სურვილი, განა სტრიქონებს შორის ისედაც კანთიელად არ ამოვიკითხავდით იმჟამინდელ განწყობილებას, სწორედ ამ სულისკვეთებით გაჟღენთილს?!.

„ნეტა სად მივდივარ?!" კიდევ ერთხელ აუთამაშდება გული და უხარია, რომ პირველად ახლა არ უწევს საზღვარგარეთ გამგზავრება.

* * *

— ეს ორი წელიწადია, ვსცდილობ როგორმე მოვახერხო წასვლა საზღვარგარეთ რამდენისამე წლით და მოვიკლა სწავლის ის წყურვილი, რომელიც ამდენი ხანია მახრჩობს, — მისწერდა ნიკო ცხვედაძეს 1899 წლის 22 სექტემბერს და... ხელშესახებად გრძნობ სწავლის წყურვილით ანთებული პიროვნების მღელვარებას, მართლაც რომ ყელში წასჭერია უფრო მეტის შეტყობისა და შეცნობის ჟინი და უკვე ველარ ერევა ამ წყურვილს.

საზოგადოებაში რომ გამოსულიყო?

და გამოსადეგ წევრადაც ქცეულიყო?

მაგრამ ეს სხვათა თვალში, თორემ თვითონ ახლა კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობდა, რომ თვალსაჩინო კვალს კაცი მხოლოდ მაშინ დააჩნევდა რაიმეს, როდესაც შესაფერისი მომზადებით აღიჭურვებოდა.

— არ გავკადნიერდები და არც ვიტყვი, ბევრს რასმე ვიზამმეთქი. იმას კი თამამად ვიტყვი, რომ ხალისი საქმის გაკეთებისა, საზოგადო ასპარეზზე შრომისა არ მაკლია. მხოლოდ ჩემი ნატვრაა — რაც დამაკლდა სწავლის შეძენის მხრივ, შევივსო, რომ ჩემი შრომა უფრო ნაყოფიერი იქმნეს.

საზღვარგარეთ წასვლა თუ ეღირსებოდა, განეზრახა სოციოლოგიური საგნებისათვის, კერძოდ კი ეთნოგრაფიისათვის მიეპყრო ყურადღება, რადგანაც ეს საგანი იმთავითვე უყვარდა და ახლაც იმის ცდაში იყო, რომ საფუძვლიანად შეესწავლა, რათა დაბრუნების შემდეგ:

— ჩემის სამშობლოს არც ერთი კუთხე არ გადამირჩეს გამოუკვლეველი და შეუსწავლელი, რა თქმა უნდა, რამდენადაც კი დრო ნებას მომცემს.

დასარჩენად იტალია აერჩია. ეს ენა ცოტაოდენი უკვე იცოდა და, როგორც ფრანგულისა და ლათინურის მცოდნეს, ეიმედებოდა, ორ-სამ თვეში ზედმიწევნით ვისწავლიო.

ახლა თავი და თავი დაბრკოლება — უფულობა.

ერთ ნაწილს შინიდან ჰპირდებოდნენ და მეორე ნაწილი კი ეგებ ნიკოს შემწეობით ეშოვნა:

— როგორც ვიცი, თქვენ ძალიან დაახლოებული ბრძანდებით ბ-ნ დავით სარაჯიშვილთან. რამდენადაც გაგონილი მაქვს, ბ-ნი დ. სარაჯიშვილი თავის ხარჯითა ზრდის რამდენსამე ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშიო. აი,აქ უნდა დამეხმაროთ. უნდა მიშუამდგომლოთ ბ-ნ დ. სარაჯიშვილთან, გააცნოთ ჩემი თავი — რამდენადაც ღირსი ვარ მათის დახმარებისა და **სამი წლის** განმავლობაში თვიურად **25 მანეთი** სთხოვოთ, ან რამდენსაც შესაძლებლად დაინახავენ. იმედი მაქვს, თუ ცოცხალი ვიქმენ, თქვენი შრომა არ გაგიცუდოთ.

ალექსანდრე სარაჯიშვილიც დაჰპირებოდა, როდესაც დავითს ვნახავ, ყველაფერს ვეტყვიო, მაგრამ ნიკო ცხვედაძის შუამდგომლობაც არ მოსჭარბდებოდა.

თუ ყოველივე შესაფერისად აეწყობოდა, თედო ტფილისში რომ ჩააკითხავდა, იქიდან სოხუმში დაბრუნებული უკვე დასავლეთის გზას დაადგებოდა.

* * *

1899 წლის 13 ნოემბრით დათარიღებული ბარათით ალექსანდრე მიქაბერიძე შეატყობინებდა თედოს ნიკო ცხვედაძის სიტყვებს: დავით სარაჯიშვილს ბევრი ვაივაგლახი ახვევია თავს და ამიტომ თითქმის არ მიხერხდება, შევაწუხოო. ალექსანდრე სარაჯიშვილთან კი ესაუბრა და ალექსანდრე დაჰპირებოდა ნიკოს: მე თვითონ მოველაპარაკები დავით ზახარიჩსო. მოლაპარაკებოდა თუ არა, ბარათის მიმწერს ჯერჯერობით ვერაფერი გაეგო, თუმც თავის მხრივ მაინცდამაინც ვერ აიმედებდა მეგობარს: დავით სარაჯიშვილი წელს ვერას გადასდებს შენთვის, რადგან 6 000 მანეთამდე ხარჯი ჰქონია ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობაზედო.

ყური მოეკრა, რომ თითქოს რაფიელ ისარლიშვილს — ჟურნალისტს, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა 1900 წელს პარიზის გამოფენაზე საქართველოდან ექსპონატების შეგროვება-გამოფენის საქმეში — განეზრახა თედოს წაყვანა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე.

— თუ ეს გამართლდა, მაშინ შენი მიზანი ნახევრად მაინც მიღწეული იქნება.

* * *

— მე თუ მკითხავ, გულწრფელად გირჩევ — სოხუმსაც და მის საბჭოსაც ხმოსნებითურთ დაანებე თავიო, — მისწერდა ალექსანდრე გაბუნია 1899 წლის 15 ნოემბერს და ამ რჩევას ასე დაუსაბუთებდა, — იმისთანა მდგომარეობაში, რომელშიც ახლაა თვითმმართველობა, შენი მიმართულების კაცი ვერაფერს გააწყობსო.

მაშ რა გზას დასდგომოდა?

არის სხვა ასპარეზნი, სადაც უფრო ბევრ ნაყოფს გამოიტანს შენი შრომა, ბუნებით, მადლობა ღმერთს, არა ხარ დაუჯილდოებელიო, — განაგრძობდა მისი გულშემატკივარი მტკიცებას, — წადი, როგორც ფიქრობდი, მაგრე — საზღვარგარეთ და შეისწავლე საყვარელი საგანიო.

რაო, შესაძლოა თედოს ეფიქრა, ახლა წასვლა ბრძოლის ველიდან გაპარვას ჰგავსო?

თუკი მართლა ამისთანა ფიქრები გასჩენოდა, ალექსანდრე გაბუნიას მხოლოდ გაეცინებოდა:

— ნუთუ შენ მართლა ფიქრობ, საზოგადო ბრძოლისთვის უპირველესი პირობაა მებრძოლთა თანასწორობა იურიდიულად, ე. ი. დაკანონებული პირობანი ბრძოლისათვის, და განა ეს პირობები გვაქვს ჩვენ? შენ თუ საბრძოლველად ხარ გამზადებული, შენ თვითონ მიხვდები, რანაირ ბრძოლას უნდა მიმართო; ამნაირი ბრძოლა არ აგვცდება და, იმედია, უკან არ დავიხევთ.

17 ნოემბერს კი ნიკო ჯანაშიას წერილი მიუვიდოდა და ძალზე გაახარებდა ამ სტრიქონების ამოკითხვა:

— რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შემიძლია შემწეობა მოგცე საზღვარგარეთ ყოფნის დროს, ამაში მენდე. თუ რამე უბედურებაში ჩაჰვარდი, მაშინ რა მოგახსენო, ისე, წლიურად ათ-თუთხმეტ თუმანს მუდამ მოვახერხებ, გამოგიგზავნო.

არც ალექსანდრე სარაჯიშვილი გაამტყუნებდა, დასავლეთში რომ აპირებდა გამგზავრებას, არ ჩაუთვლიდა ბრძოლის ველიდან გარიდებად, და 19 ნოემბერს ბარათით ამცნობდა თავის სიხარულს: ძალიან მიამა, რომ იშოვეთ წასვლის ღონე და გილოცავთ მომავალ თავისუფლებასა და საინტერესო ცხოვრებასო.

ცხადია, წამითაც არ იფიქრებდა, რომ შესაძლოა თედო ბრძოლას დაეღალა ან მარცხს დაეკარგვინებინა ხალისი მისთვის. უბრალოდ, უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევდა სწავლის გასაგრძელებლად გამგზავრებას, ვიდრე საარჩევნო ბატალიებში გამუდმებულ ტრიალს.

ისე... მაინც გული სწყდებოდა ალექსანდრეს, თედო სახოკია სოხუმის საქმეს რომ შორდებოდა.

— ვინღა იქნება თქვენს მაგიერ ოპოზიციის მოთავედ?

ყურადღებას მიაქცევდა, რომ, როდესაც თედო თავის ნაწერებში ბევრს უჩიოდა ამჟამინდელ წესებს, ჩვენს, ქართველთა გულგრილობაზე კრინტიც არ დაეძრა. ეს კი ნიშნავდა, რომ გაერთიანება ხერხდებოდა და ერთგული მომხრენიც არ აკლდა.

უპირველესად იტალიაში რომ აპირებდა გამგზავრებას, ალექსანდრე ცნობისწადილს გამოამჟღავნებდა: ვატიკანის წიგნთსაცავის გაჩხრეკას ხომ არ აპირებთო?

— ბევრჯერ გამიგონია, ვითამც იქ ქართული წიგნები იყოს შენახული, მაგრამ არ ვიცი, ჩვენს სასიქადულოდ მოგონილი ჭორი ხომ არ არის. ხშირად ვიცით ქართველებმა: ერთ რასმე მოვიგონებთ ჩვენის თავის მოსაწონად და ჩვენვე გვიხარია, გვჯერა ჩვენივე მოგონებული ჭორი და აღტაცებაში მოვდივართ.

არ იყო, არა, ეს ჩვენდა სასიქადულოდ მოგონილი ჭორი, და სწორედაც ის სიმართლე გახლდათ, რომელიც თუნდ მიხეილ თამარაშვილს ძალიან მალე უნდა გამოემზეურებინა საქვეყნოდ. და ნიშანდობლივია და ბუნებრივი, ამ გამომზეურების პროცესში თედო სახოკია რომ უნდა ამოსდგომოდა გვერდით, პარიზიდან რომ მიიწვევდა თავისთან სულიერი მამა, რადგან მრავალწლიანი კვლევა-ძიებით მოპოვებული დიდძალი მასალა სადაცაა წიგნად უნდა გადაქცეულიყო, და ამ გადამწყვეტ წუთებში უთედოოდ ძალზე გაუძნელდებოდა.

თედო რა, ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟივით დაძახილზევე იქ არ გაჩნდებოდა თუ რა?!

* * *

1899 წლის ნოემბერში ვალერიან გუნიას ბარათს რომ მიიღებდა, ის გახარებული ატყობინებდა: ჩემი ფურცელი გადავეცი გამომცემელ ამხანაგობას და, თუ ხვალ საცენზურო კომიტეტი დაამტკიცებს ჩვენს თხოვნას, 1 დეკემბრიდან გაზეთი გადავა ამხანაგობის ხელშიო.

— შენი ფელეტონების გულისათვის „ცნობის ფურცელი" კინაღამ დახურეს „ნოვოე ობოზრენიესთან" ერთად.

მიხაილ გაკელს გადაერჩინა თურმე, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს — მოეხსენებინა, სულერთია, მალე თვითონ რედაქტორი დაკეტავს და ქართველობას ტყუილად ნუღა მოვიმდურებთო!

— ასე, ჩემო თედო! ვიცი, რომ ყოველივე ეს გესიამოვნება, მაგრამ თუ ბერენსმა გაიმარჯვა, არა მგონია, შენც რამე ხეირი დაგეყაროს. ის თურმე გუბერნატორთან სჩივის და გუბერნატორი კიდევ — მთავარ-მართებელთან...

„ცნობის ფურცლის“ საჭოჭმანო ბედის ირგვლივ ხმები რომ დაირხეოდა, იპოლიტე ვართაგავა იმავე ნოემბერს მიწერილ ბარათში ეკითხებოდა: რას შვრება? ხომ არ დაკეტილაო?..

ალექსანდრე მიქაბერიძე კი 15 დეკემბერს ზოგიერთ დამატებით ცნობას მიაწვდიდა, რაკიღა ივარაუდებდა, რომ „მოამბის“ მიერ „ცნობის ფურცლის“ შესყიდვის ამბავი თედოს უკვე გაგებული ექნებოდა და მის პრემიერად გიორგი ლასხიშვილის დანიშვნაც. ალექსანდრე ჭყონიას შუამდგომლობა რომ აღეძრა, პროგრამა მომეცითო, თუ პროგრამას მისცემდნენ, მაშინ არა უშავდა, კარგად წაიყვანდნენ საქმეს... მაგრამ თუ არა?

— შენს მტერს, მკვდარი მკვდარს გადაეკიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ის იქნება.

* * *

თედოს თხოვნის თანახმადაც, ალექსანდრე მიქაბერიძე მოელაპარაკებოდა ისარლიშვილს. ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არა ჰქონოდა, თუ ვინ წაეყვანა პარიზში, და ალექსანდრე ისე გამოიდებდა თავს, ისე აიყვანდა ცამდე თედო სახოკიას, თავსაც მოიწონებდა: სწორედ მაგისთანა კაცი მინდაო, — აძახებინებდა, — გადავრიე მთლად ბებერიო. თედოს კი მიახარებდა 15 დეკემბერს: იქ წასვლა შენ არ აგცდება და შვიდ-რვა თუმანსაც დაგინიშნავენ თვეშიო.

— ასე, ჩემო თედო, შენ კი პარიზში ამოკრავ თავს, მაგრამ სოხუმის ქალაქის საქმეებმა კი რა ჰქნას. უშენობა მანდაურობას ძლიერ დაეტყობა.

ვიღა გააცოფებდა გოლიცინს: ჩემი ჩინოვნიკების გალანძღვას ვინ მიბედავსო?..

შიო არაგვისპირელი ქალაქში გადმოეყვანათ ორი-სამი თვით და ალექსანდრე იმედოვნებდა, ეგებ სულ ქალაქში დარჩესო.

— თედოს წერილს რატომ არა სწერ? — ეკითხებოდა თურმე.

და შიო:

— მე თედოსაგან პარიზიდან მოველოდი წერილს და პასუხს მანამდე არ მივცემ, ვიდრე დაპირებისამებრ პარიზიდან არ მივიღებ წერილს.

ასე რომ, ჩემო კარგოო, — შემოსცინოდა ალექსანდრეს ბარათის ის პასაჟი, — ისევ სჯობს პარიზში წახვიდე და იქიდან გამართო კორესპონდენცია შიოსთანო.

* * *

1899 წლის 16 დეკემბრის ბარათით შიო მღვიმელი ახარებდა: ყოვლად სამღვდელო კირიონმა მომავალი იანვრიდან აღგვითქვა ყოველთვე ოც-ოცი მანეთიო.

საქართველოს ეკლესიის მომავალ საჭეთმპყრობელს გაანეცხადებინა:

— ოღონდ კი გაკეთდეს რამე ჩემი ოცი მანეთით, ოღონდ ამ ოცმა მანეთმა ვინმეს მოუტანოს სარგებლობა და როგორ დავიშურებ. იანვრიდან სადაც დამინიშნავს ალაგს, იქ გავუგზავნი ხოლმე.

და ვინაიდან თედო სახოკიას მისამართი არ იცოდა, შიოსათვის დაევალებინა, შენ აუწყე თედოსო.

* * *

1900 წლის 14 თებერვლის ბარათით ამბროსი ხელაია ამცნობდა: ბევრი ვიარე, სხვასაც დავავალე, მაგრამ არ იქნა, თათრულ ანდაზებს არა ეშველა რა. ვისაც ვუთხარი, ყველამ გაიკვირვა: ამისთანა არა არის რაო. ეჭვგარეშეა, ამნაირი გამოცემა არ არსებობს და ამიტომაც შენს თხოვნას ვერ ვასრულებო.

* * *

მანდაური ამბები თქვენ რომ არ მოგეწერათ და სხვას ეამბნა, არ დავიჯერებდიო, — ალექსანდრე სარაჯიშვილი მისწერდა 1900 წლის 17 თებერვალს, და დასძენდა:

— გუშინ დავით სარაჯიშვილთან ვიყავ და იმასთან და ილია ჭავჭავაძესთან დიდი ბაასი მქონდა ველიჩკოსი და ზოგიერთ ჩვენების პოლიტიკაზე. ნეტა იქ თქვენი წიგნი მქონოდა ხელში!..

აღუთქვამდა:

— მაინც გამოვწერ თქვენის წიგნიდან მანდაურს ამბებს და ილიას და ჩემს სახლიკაცს გავუგზავნი — ნახონ, ვინ არიან, ვის იმედითაც უნდა ვიყვეთ.

ძალიან გაეგულისებინა ქართული პარტიის წევრთა საცხოვრებლებში შეჭრას და აგულიანებდა, არ ეპატიებინათ თავდამსხმელთა და მათ გამომგზავნთათვის:

— ან სახლების გაჩხრეკა რაღა სიმამაძაღლე იყო? ვისი ბრძანება იყო? გასაჩხრეკად რომ მოვიდნენ თქვენსა, მოწერილობა მოსთხოვეთ, ეჩვენებინათ თქვენთვის? გაჩხრეკა რომ გაათავეს, ოქმი შეადგინეს? თუ ეგენი არ აუსრულებიათ, სიმართლე გაქვსთ უჩივლოთ, და ნიშადურსაც ამოსცხებენ... თუ მაგით გულს მოიფხანთ!

ნიშადური მართლაც შეიძლება ამოეცხოთ სიჩქარისა და დაუდევრობისათვის, წინასწარ იურიდიული მხარის მოგვარებაზე თუ არ ეზრუნათ იმის იმედად: ვის მოუვა აზრად ჩვენი შემოწმება, ჩვენი საქმიანობის დეტალების გამორკვევაო.

დავით სარაჯიშვილი კი შენატროდა თედოს: რაც უნდა იყოს, მაინც ბედნიერი ხართ, საზღვარგარეთ მიდიხართო!..

* * *

1900 წლის 18 თებერვალს ალექსანდრე გაბუნია პეტერბურგიდან გამოუგზავნიდა ანდაზების კრებულს, დალის მიერ შედგენილს და მიადევნებდა: ჩემი ფიქრით, ამაზე უკეთესი კრებული არ უნდა იყოს რუსულ ლიტერატურაში, და აქ მაინც ესეც ძლივს გამოვნახე ბუკინისტთანო.

* * *

— სამნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიანო, — ოხუნჯობის გუნებაზე დამდგარიყო ნოე ჟორდანია, როდესაც არტემ ახნაზაროვი, იპოლიტე ვართაგავა და ვასილ წერეთელი შემოუტევდნენ, და იპოლიტე ძალიან გაიხარებდა,როდესაც ახალმოსულის ფსევდონიმით ვიღაც უცნობიც ჩაებმოდა გამოჩენილ მარქსისტთან პოლემიკაში და მწარე ოფლსაც აღვრევინებდა. ეჭვობდნენ, რომ ამ ფსევდონიმს ილია ჭავჭავაძე უნდა ამოჰფარებოდა, მაგრამ დადასტურებით ჯერ ვერ დაედასტურებინათ... თუმც იპოლიტე გაიხარებდა, რომ მათი გუნდი ასეთი ძლიერი მოკამათით — ვინც გინდა ყოფილიყო —

გაიზრდებოდა და თედოს მისწერდა 1900 წლის 29 მარტს, ერთი კიდევ უნდა მოვცხო მაგ წუწკსო!..

გათამამდები, აბა, რა იქნება, როდესაც ილიას რანგის პოლემისტს დაიგულებ გვერდით.

ჩხრეკის თაობაზეც გადაუკრავდა:

— გჯიჯგნეს განა? ალბათ, მოულოდნელად, შუაღამისას გეწვიენ შენ სადარბაზოდ? შერცხვენა და ლაფის დასხმა ამ საძაგლობის ინიციატორებს! ლაკერბაი განა მაგისთანა წუწკი და დაუნდობელი გამოდგა?..

გრიგოლ ნაჭყეპიას რომ ეცნობებინა მისთვის, — თედო დიდ ბრძოლაშიაო, — ეს კიდევ უფრო აგულიანებდა: — იბრძოლე, ძმაოჯან, სანამ სული გიდგას: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?“ „ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა!!!“ — ბრძოლა უსამართლობის, სიბნელისა და უსინდისობის წინააღმდეგო. და ამ მოწოდებას სამი ძახილის ნიშნით შეამკობდა.

გაზეთებში რომ ამოეკითხა, თითქოს სოხუმში აპირებდნენ სასულიერო სასწავლებლის დაარსებას, როგორ არ დაინტერესებულიყო, ვისი აზრია, ან ვინ ცდილობს, ამაზე დაწვრილებით მაცნობეო.

ბესარიონ ხელაია ბერად რომ კურთხეულიყო და ამბროსად მონათლულიყო, იპოლიტე იწონებდა მის ამ ნაბიჯს: კარგი უნებებია, მიზანს უფრო ადვილად მიაღწევსო.

* * *

— ძალიან ამხედრებულან შენს წინააღმდეგ მაქაური „ბრანდახლისტები“, მაგრამ ახალი ხილი არ არის შენთვის მაგათი გაიძვერობა, არ გეუცხოვებაო, — რაჟდენ ქუთათელაძე რომ მისწერდა 1900 წლის 4 აპრილს, გულსაც გაუკეთებდა და გაამხნევებდა, — იმედი მაქვს, ნივთიერ საბუთს ვერას გინახავენ საწინააღმდეგოდ. ისე, რამდენიც უნდა აპრაკუნონ, თვალსაჩინო დაღს ვერ დაგამჩნევენ. გაუმკლავდი ტუტუცობას. სხვა არ იყოს, ზნეობრივად მაინც დაკმაყოფილდები.

თუ რაიმე არ აკლდა თედო სახოკიას, სწორედ ეს „ზნეობრივად დაკმაყოფილება“, რაკიღა პირნათელი იყო ყველასა და ყველაფრის წინაშე.

ანდაზები ჯერჯერობით ვერ ვიშოვეო, — წუხდა, თედოს თხოვნა რომ ვერ შეესრულებინა, დაპირებით კი დაჰპირებოდა ერთი მალოროსიული მაღაზია შოვნას, მაგრამ აგერ გამოჩნდებოდა, რამდენად საიმედო იყო ეს დაპირება.

— ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დავაკლებ.

ამცნობდა, რომ დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს ბურების მოქმედებას და...ძალიან შესჯავრებოდა ინგლისელები. რუსეთის გულისწყრომას კი — ინგლისელებს რომ აძაგებდნენ, როგორ თუ ბურებს თავისუფლებას უსპობენო, — ირონიულად შეხედავდა: რა კარგია სხვისი გასამართლება!!! სხვაგან მოსწონს პატრიოტული გრძნობა, ხალხში გამეფებული, ჩვენში კი დევნის ამგვარ მოძრაობას. აი, ჯამბაზობაც ეს არისო.

ყველგან, კერძო ცხოვრებაშიც და სახელმწიფოთა ურთიერთობაშიც ეგოიზმი რომ გამეფებულიყო, ჰუმანურობის რიდე კი აეფარებინათ ზედ:

— უმაღლესი ეთიკის სახელით თავიანთი ინტერესის დაცვას ცდილობენ, ატყუილებენ ერთმანეთს, ცბიერობენ და, ვინც უფრო გამოწვრთნილია ამ მხრივ, ის უფრო იმარჯვებს დიპლომატიურად. რა დისონანსია ცხოვრების ძირითად მდგომარეობაში და მის არანორმალურ გამოქვეყნებაში?!

* * *

დრო საამისო კი ჰქონდა. ჯერ ტფილისში ჩამოსულიყო და „ცნობის ფურცლისა“ და ჟურნალ „მოამბის“ რედაქციებისათვის მიეკითხა და თვეში სამი თუმნის გაგზავნის პირობა ჩამოერთმია, სამაგიეროდ, დაჰპირდებოდა უცხოეთიდან თანამშრომლობას. თვეში ამდენივე თანხის გაგზავნას შეჰპირდებოდა ეპისკოპოსი კირიონი, თურმე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი რომ ელოდა დამოუკიდებლობააღდგენილ ეკლესიაში... და თედო სახოკია 1900 წლის ივლისში პირდაპირ მიაშურებდა პარიზს, სადაც მოელოდა მსოფლიო გამოფენის ნახვაც, ასეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა მასზე და ასე რელიეფურად წარმოუდგენდა თვალწინ იმ კოლოსალურ სასწაულებრივ და განსაცვიფრებელ წინსვლას, რომლის-

თვისაც კოლოსალურივე გარჯისა და შეუწყვეტელი რუდუნების წყალობით მიეღწია ადამიანის გონებას ყველა დარგში.

იმთავითვე ძალიან რომ აინტერესებდა ყოველი ორგანული არსისა და უმთავრესად, რასაკვირველია, ადამიანის წარმოშობის ისტორია, მისი პირველყოფილი მდგომარეობა და კულტურა, თანდათანი, ტაატით მავალი წინსვლა, ვიდრე დღევანდელობამდე ამოაღწევდა, გული ყოველთვის მიუწევდა ეთნოგრაფიისაკენ, რომელიც თავის სალიტერატურო საქმიანობაში სპეციალობად ესახებოდა.

და აი, მსოფლიო გამოფენის დათვალიერება უნდა გამომდგარიყო ის გადამწყვეტი ბიძგი, და შემოდგომაზე შეაღებინებდა პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოებასთან არსებული ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაფუძნებული საანთროპოლოგიო უმაღლესი სკოლის კარს. რა გასაკვირია, რომ აქ ემოღვაწევათ ისეთ მნათობთ ამ დარგისა, როგორებიც გახლდნენ: შარლ ლეტურნო თუ ანდრე ლეფევრი, ლ. მანუვრიე თუ ლაბორდი, თუ კიდევ სხვანი.

— ჩემის სიცოცხლის საუკეთესო, უტკბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი, ამ ადამიანთა მიერ ჩვენთა სულ უძველეს წინაპართა, ნახევრად ადამიანთა და ნახევრად მაიმუნთა, ყოფაცხოვრების თვალწინ დაყენების, ცხოვლად წარმოდგენის მოსმენაში, დღეს ყოველს მათს ნათქვამს კაცი პირდაპირ ჰყლაპავ, დაყმენდილ ადამიანივით, ოდეს ხედავ, თუ რამდენს ათასსა და ათიათას წელს გაუვლია ჩვენის წინაპრის ტაატით სიარულში, ტაატით ჭეშმარიტების ძიებაში ურთიერთცხოვრების კანონების, ზნეობის ამა თუ იმ პირველყოფილი სახის პრინციპების შემუშავებაში, სანამ დღევანდელ ადამიანს დაემსგავსებოდა, მისის ცოდნითა და გონებრივის ავლა-დიდებით შეიმოსებოდა...

ეს ის დროა, დარვინიზმი რომ მოსდებია ქვეყნიერებას და ახალ ჭეშმარიტებადაც გამოცხადებულა, მატერიალისტური ეპოქის, ღმერთსმოკლებული ჟამის ერთ უპირველეს და სახელმძღვანელოდ დასახულ დოქტრინად, ერთი დარგის ფარგლები რომ გაურღვევია და საზოგადოებრივი ცნობიერება წარუმართავს თავის ნებაზე მარქსიზმსა და ფროიდიზმთან ერთად.

ჩარლზ დარვინმა სილა გააწნა კაცობრიობის თვითშეგნებასო, მოგვიანებით ასეც შეაფასებდნენ ამ დოქტრინის მნიშვნელობას, თითქოსდა სილის გაწვნაში რაიმე სასახელო იგულისხმებოდეს. გამოფხიზლების მნიშვნელობით ამბობდნენ, ცხადია, სამყაროსათვის ახალი თვალით შეხედვას უფასებდნენ, მაგრამ განა ახლებური მზერა, მანამდე ართქმულის გამოხატვა თავისთავად ნიშნავს ღირსებასა და წარმატებას, თავისთავად გაჰყავხარ ყველაზე უკეთეს გზაზე საკაცობრიო ცხოვრებისა?..

სახიფათოა მაცდურება, ძალზე სახიფათო, მომხიბლავი შეხედულება-პერსპექტივა, თვალთმაამი მოდელი ადვილად აიყოლიებს ხოლმე ადამიანებს, ნაყოფი კი ამ აყოლიებისა ხან უკიდურესად სავალალო და საბედისწეროა, ხანაც — შედარებით ნაკლები ბოროტება, რაკიღა პოლიტიკურ მოძრაობას არ დასდებია სარჩულად და ისეც ვერ დასცემდა მორალურად ადამიანს, ისეც ვერ დაუფშვნიდა ამაღლებულ იდეალებს.

სამყაროზე ბიბლიურ წარმოდგენას დააყენებდა თავდაყირა დარვინიზმი, ედემისა და ადამ და ევას ამბავს ჯადოსნურ ზღაპართან გააიგივებდა, ღმერთს გააძევებდა საზოგადოების თვალსაწიერიდან და ადამიანს გამოაცხადებდა არა უფლის მიერ შექმნილად — თავის ხატად და მსგავსად, არამედ...მაიმუნის თანდათანობითი განვითარების ნაყოფად, შრომის წყალობით გამოცალკევებულად ცხოველური გარემოდან და ახალ საფეხურზე ასულად.

და კიდეც წალეკავდა დარვინიზმი თანადროულ აზროვნებას, სხვა დარგებიდანაც რომ გადმოყოფდნენ ხელს და მის მიერ შემუშავებულ ევოლუციის კანონს დაუდებდნენ საფუძვლად თავ-თავიანთ კვლევა-ძიებებს, როგორც უდავო ჭეშმარიტებას. თუკი ევოლუციას მთლად ამხელა ძალმოსილება მოეპოვებოდა, მაიმუნისაგან ადამიანი წარმოეშვა, სხვაგან, მითუმეტეს, რა დაუდგებოდა წინ, თუნდაც ლიტერატურაში, ანდა არქიტექტურაში...

რაო, არ მოგწონდა მაიმუნისაგან ადამიანის წარმოშობის თეორია, შენს თავმოყვარეობას აფორიაქებდა, რომ აღარ ითქვას, შეურაცხყოფდაო?!

მაგრამ თუკი სწორედ ასე მომხდარიყო სინამდვილეში და არა სხვაგვარად, რა უფლება გქონდა, ეს თუნდ თავმოყვარეობის შემლახავი ჭეშმარიტება გვერდით გადაგედო და ბიბლიური ლამაზი ზღაპრით მოგეტყუებინა თავი?

ჩარლზ დარვინი თვით უფალსაც ჩაენაცვლებოდა?

ამიტომაც ჩამოყრიდა კედლიდან ბევრი ადამიანი ქრისტიანულ ხატებს და... დარვინის გამოსახულებას მიაბნევდა ზედ... ახალი ეპოქის სხვა ასეთსავე ღმერთებსა და წმინდანებთან ერთად.

აგერ, თედოც აჰყოლოდა ამ მოძრაობას და კიდეც გააოგნებდა მამას სახლში რელიგიური კუთხის შეცვლით... დარვინული კუთხით.

მაგრამ გადაივლიდა უეცარი შთაბეჭდილება, გაიფანტებოდა ბანგისმომგვრელი შეგონებანი და... აღმოჩნდებოდა, რომ თვითონ დარვინიზმი ყოფილა უნიადაგო და უსაფუძვლო დოქტრინა, ყალბი მოდელი, რომელიც თავის წიაღში ვერაფრისდიდებით ვერ მოიქცევდა კაცობრიობის წარმოშობას...

და მეცნიერება კვლავ დაუბრუნდებოდა ბიბლიურ მოდელს, როგორც იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომელსაც გარეგნულად მომხიბლავი შეხედულებანი ასე ადვილად ვერაფერს დააკლებდა. კაცობრიობა მხოლოდ დააზარალებდა საკუთარ თავს, თუ კიდევ გაუგრძელდებოდა დარვინიზმის ტყვეობაში ყოფნა... და ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიაც ისევე გადაინაცვლებდა ისტორიის სანაგვეზე, როგორც მარქსის კლასობრივი თეორია, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს რომ გამოატარებდა ადამიანს სიყალბის მაცთური ბრჭყვიალებით.

დარვინიზმს ამხელა მასშტაბები ვერ ექნებოდა, ფროიდიზმისა არ იყოს, და დარჩებოდა წამიერი აფეთქების ნიმუშად საზოგადოებრივი და მეცნიერული აზროვნების ისტორიაში, XX საუკუნის დამდეგს ყველაფერი ჯერაც თავის წიაღში რომ ჩაეთრია და აგერ თედო სახოკიაც ადამიანის გაჩენის საიდუმლოს რომ უკირკიტებდა, ახალ ჭეშმარიტებად ისიც ამასვე ირწმუნებდა, ევოლუციის კანონს მიაპყრობდა მადლიერ მზერას და ადამიანის ნახევრადმაიმუნობაც (ეს უკვე მაშინ, მთლად მაიმუნურ ყოფას რომ გამორიდებოდა!) არამცთუ აკვირვებდა,

საყრდენად მიაჩნდა სამყაროს წარმოშობის იდუმალებაში ჩაძირვისას.

დარვინი იყო თუ ვერგილიუსი, ველარც გაგეგო, ისე აღიარებდნენ ანთროპოლოგები თავიანთ მეგზურად და ამ თეორიის გაღრმავებასა და ახალ-ახალი თვალსაჩინო მასალით შევსებაში ხედავდნენ თავიანთი მოღვაწეობის გზას.

საერთო განწყობილება იყო ასეთი, რასაკვირველია, თორემ დარვინიზმისათვისაც აუხვევიათ გვერდი ჯერ კიდევ მაშინ, ფარზე რომ აზიდულიყო. ამასთან, ცალკეული გარემოებებისა და რეალიების დასაზუსტებლად რომ არა კმაროდა ეს გაშეშებული სქემა, ამასაც აცნობიერებდნენ და ამიტომაც უწევდათ მისგან გადახვევა, ვიდრე სრულიად გამოერიდებოდნენ და მიხვდებოდნენ, მეცნიერული ძიება კი არა, რომანი უფრო ყოფილა, მხატვრული მოდელი, საკითხავად ეგებ თავისებურად სასიამოვნოც, თუკი ღმერთი სადღაც მოგფარებია, კრიზისული ეპოქის შუაგულში მოჰყოლილხარ და თავის გართობა გადაგიწყვეტიაო.

რაღა ფრანც კაფკას ნოველა „მოხსენებითი ბარათი აკადემიას" და რაღა ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობა", რომელიც შესაძლოა მოდერნისტულ რომანადაც მიგვეჩნია, მთელი სერიოზულობით რომ არ ამტკიცებდეს თავისი შეხედულების უეჭველობას და, ნაცვლად ამისა, პაროდიად წარმოგვიდგებოდეს, თუნდ... საკუთარი თავის პაროდიადაც, კაფკას ნოველისა არ იყოს, რომელიც ასე მოხდენილად აპამპულებს მთელს დარვინიზმს სულ რამდენიმე გვერდზე, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩება, თუნდ თვითონ მწერალს, შესაძლოა, იმ წუთას ეს ასე მკაფიოდ გაცნობიერებული არც ჰქონოდა.

დღეის გადასახედიდან ადვილია ამ ყოველივეს მიუკერძოებლად შეფასება, სამყაროს წარმოშობის ბიბლიური სურათის კიდევ ერთხელ აღიარება-დადასტურება, მაგრამ არც ის გვიკვირს, თავის დროზე ამხელა ხმაური და ძვრები რომ გამოიწვია, იმ აჟიოტაჟმა კი გაამძაფრა მეცნიერთა და მკითხველთა ინტერესი ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიმართ.

თედო სახოკიას თავისი სამშობლოს რეალობაც უბიძგებდა ეთნოგრაფობისაკენ, იმ ზნე-ჩვეულებათა და ეროვნულ თავისებურებათა შესასწავლადაც და გადასარჩენადაც, ქართული მოდგმის სახესა და თვითმყოფობას რაც განსაზღვრავდა, მაგრამ ახალი დოქტრინაც ჰკრავდა ფრთას მის წარმოსახვას და მეტი ცნობისწადილითაც აღავსებდა, ვიდრე წლების გადაკეცვის შემდეგ ირონიული და შემწყნარებლური ღიმილით გადმოხედავდა იმ აჟიოტაჟს, დარვინული სილის გაწვნას რომ მოჰყოლოდა, თუმც თავისი არჩევანით — ანთროპოლოგობისა და ეთნოგრაფობისათვის რომ მოეკიდა ხელი — მაშინაც კმაყოფილი იქნებოდა.

უმაღლეს სკოლაში სწავლისას ისე რა გააჩერებდა, რომ საანთროპოლოგიო საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე — ეს უკვე 1903 წელს მოხდებოდა — არ წაეკითხა მოხსენება ჩვენი სახალხო მკურნალობის ერთ-ერთი სახის — „ბატონების", იმავე ყვავილის — მოვლა-აღწერის თაობაზე. მართლაც, ადვილი წარმოსადგენია, რარიგ იღელვებდა, როდესაც ისე გაკადნიერდებოდა, რომ ცხრა მთას იქიდან მოსული ქართველი ასეთ მეცნიერთა წინაშე ქართველების შესახებ ჩამოაგდებდა სიტყვას.

— მოხსენება დიდის ყურადღებით და ფრანგულის თავაზიანობით მომისმინეს...

კადნიერებად რომ ჩაუთვლის თავს ასეთ გარემოში მოხსენებით გამოსვლას, სხვა გზას ვერა ხედავდა საქართველოს ირგვლივ სასაუბროდ ამ სამეცნიერო წრეში და ყველაზე მარჯვე საშუალება კი გამოძებნა — თან მეცნიერული კვლევა წარმოადგინა და თან ქართულ სინამდვილეზე ზოგიერთი რამ აცნობა და ცნობისწადილი გაუღვივა აუდიტორიას.

აი, „ფრანგული თავაზიანობაო", რომ ამბობს, მისი მორიდებული ბუნების გამჟღავნებაა, თუმც, რამდენადაც ვიცნობთ თედო სახოკიას მეცნიერულსა და ორატორულ უნარს, იოლი მისახვედრია, რომ მარტოდენ თავაზიანობის გამო არ უსმენდნენ განსაკუთრებული გულისყურით... და მარტოდენ თავაზიანობის გამოც არ აირჩევდნენ ერთ-ერთ სხდომაზე ამ უდიდესი სამეცნიერო ცენტრის საზღვარგარეთელ წევრ-კორესპონდენ-

ტად... რასაკვირველია, არც მოხსენებას გამოსცემდნენ ბროშურად — თავაზიანობა ამდენზე აღარ გაუწვდებოდათ...

იმავე ხანებში იქაურ ხალხური სიტყვიერების ჟურნალში საჭაშნიკოდ დაბეჭდავდა ქართულ ანდაზებს (მერე ცალკეც რომ გამოვიდოდა სამშობლოში), და სიამე ჩაეღვრებოდა გულში, როდესაც გაიხსენებდა ამ წვლილს — მისი შეფასებით, ერთგვარად მოკრძალებულს — ფრანგთა (და მათი გზით სხვა ევროპელთა) მიერ ჩვენი ხალხის გონებრივი მდგომარეობის გაცნობის საქმეში.

ამასობაში „ცნობის ფურცლისა" და „მოამბის" რედაქციები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ დანაპირებს?

თედოც ასეთივე პირნათელობით უგზავნიდა თვეში ოთხჯერ თითო ფელეტონს და აცნობდა ქართველ მკითხველს საფრანგეთის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ღირს-შესანიშნავ ამბავს, ანდა საქართველოს შესახებ თუ ვინმე რამეს იტყოდა ევროპაში, ესეც თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევდა ქართველი მკითხველისათვის ამ ამბის გაზიარებას.

მარტო საფრანგეთში რა გააჩერებდა!

ეს ინგლისიო, ეს შვეიცარიაო, ეს ბელგიაო, ეს იტალიაო.

ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მაინც იტალია დაუტოვებდა... თავისი ჩამორჩენილობით, ცხადია,ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით,თორემ... ისე კი გასაოცარ მსგავსებას აღმოაჩენდა ჩვენს ქვეყანასთან როგორც ბუნებით, ისე ეკონომიკური ყოფითა და მკვიდრთა ზნე-ჩვეულებით.

რამდენადაც ვიცნობთ თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ ნიჭსა და განსწავლულობას, ასეთ შთაბეჭდილებასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ტურისტის წამიერი აღქმაა.

იტალიაში საიდან მოხვდებოდა?

ჯერ ისედაც ნატვრად გადაჰქცეოდა მისი მონახულება და სწორედ ხელსაყრელი საბაბი აღმოჩნდებოდა კათოლიკე მღვდელი, მამა მიქელ თამარაშვილი რომ მიიწვევდა რომში 1901 წლის ზაფხულში, რათა მიშველებოდა მისი წიგნების დასაბეჭდად გამზადებაში.

* * *

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, თუკი შესაძლებელია, თქვენის თხოვნის ასრულებას და თქვენს ამებას ჩემს მოვალეობად ვრაცხ, განსაკუთრებით, როცა თქვენი თხოვნა ჩვენს ქვეყანას შეეხება, — მისწერდა 1901 წლის 4 მაისს მიხეილ თამარაშვილს, — თუკი შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ, უარს როგორ მოგახსენებთ. თანახმა გახლავართ, თქვენთან წამოვიდე, მით უფრო, რომ შემთხვევა მექნება რომიცა ვნახო.

ეგაა, თვის ბოლომდე შეუძლებელი იყო მისთვის სადმე გამგზავრება — კურსები 13 ივნისს უმთავრდებოდა. ასე რომ, 14-სა ან 15-ში თუ დაადგებოდა გზას.

აპირებდა, ის ზაფხული საფრანგეთის რომელიმე სოფელში გაეტარებინა, ცალკე — ჰაერის გამოსაცვლელად, ცალკე — ენის საფუძვლიანად შესასწავლად, მაგრამ მამა მიქაელის ბარათს ეს გადაწყვეტილება შეეცვალა — აქაურ სოფელში მომავალი წლის ზაფხულს გაატარებდა და ამ ზაფხულს კი იტალიაში დარჩებოდა. მიხეილ თამარაშვილისა ეიმედებოდა, რომ ერთ კარგ მთა ალაგას ამოურჩევდა სოფელს, და კიდეც იქ დაბინავდებოდა.

— იტალიურის სწავლა მაინც მინდოდა და იმედი მაქვს, სამ თვეში გვარიანად ვისწავლო.

ხარჯისათვის მამა მიქაელი ნუ შეწუხდებოდა: სულ ხელმოკლედ არ გახლავართო. ხოლო თუ მაინცდამაინც ცოტა დააკლდებოდა, მაშინ მეტი რა ჩარა იყო — უნდა შეშველებოდა თედოს, ვისაც ესეც აინტერესებდა, მორთულ ოთახს თუ იშოვიდა რომში. ხომ არ დასჭირდებოდა აქედან ბალიშის ან ზეწარსაბნის წაღება? ცხადია, ოთახის ფასიც წინასწარვე უნდა სცოდნოდა — რომშიც, სოფლადაც...

30 ივლისს „პეტერბურგის უწყებათა“ ნომრებსაც რომ მიაწვდიდა და მათ თარგმანსაც, დასძენდა: იმედი მაქვს, ჩემი შრომა გამოგადგებათ რაშიმე. დარწმუნებული იყავით, რომ შემდეგშიაც მზად გახლავართ, რითაც შემიძლია (გარდა ფულისა!) დახმარება აღმოგიჩინოთო.

* * *

მიხეილ თამარაშვილს საწერი მანქანის გაკეთების სურვილი რომ გაუჩნდებოდა და საქართველოში შემოთვლიდა, ყურსაც არავინ გააბარტყუნებდა და მანამდე თედოს შეწუხებას რომ მოერიდებოდა, ახლა სხვა გზა აღარ დარჩენოდა, ისევ მისთვის უნდა მიეკითხა.

თედოს გაუკვირდებოდა, ნეტა ვის მიმართა ამ თხოვნით, უყურადღებოდ რომ დატოვესო? — და, თავის მხრივ, ურჩევდა (ბარათი 1902 წლის 21 თებერვლითაა დათარიღებული): ამ საქმისათვის უნდა მიგეწერათ წიგნების გამომცემელი ამხანაგობისათვისო. ალექსანდრე ჯაბადარისათვის უნდა შეეთვალა, თუ რა სახის ასოები და რამდენი (წონა) ესაჭიროებოდა.

ოღონდ... ასე პირდაპირ მიწერას არ ურჩევდა:

— სჯობია, თქვენ პირადად არ მისწეროთ. მიაწერინეთ ვინმე სტამბის პატრონს, ვითომ თავის სტამბისათვის უნდა. წერილი ფრანგულად იყოს. გარედანაც ადრესი ფრანგული იყოს რუსულის მაგიერ და წერილიც დაზღვეული გაგზავნეთ. როცა ეს თქვენ სტამბის პატრონის სახელით მისწეროთ, შემატყობინეთ და მე აქედან ჯაბადარსა ვთხოვ, პასუხი არ დაგიგვიანოსთ.

ფსიქოლოგიურად რაოდენ საგულისხმო პასაჟია!..

თედოს ეს რჩევა ხელშესახებად ამზეურებს სამწერლო ცხოვრებაშიც გამეფებულ იმ განწყობილებას, თვით მიხეილ თამარაშვილზე მეტადაც რომელიმე სტამბის პატრონს რომ უწევენ ანგარიშს, ოღონდაც უცხოელი იყოს. პატრი მიხეილი ითხოვს, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში სულ მცირე დახმარება გაუწიონ? თავს არ შეიწუხებენ და მერე სულაც მიავიწყდებათ. აი, თუ თხოვნა ფრანგულადაა დაწერილი, მაშინ კი შეფუცხუნდებიან. არა, თავს ამჯერადაც დიდად არ მოიკლავენ და, შესაძლოა, შეხსენებაც დასჭირდეთ, მაგრამ მაინც გაუგზავნიან გასაგზავნს. ქართველი მოღვაწის გულისათვის კი შეხსენებაც არ უშველით — ძალიან ძნელად, თავი თუ ოდესმე მოაბეს!..

* * *

შინიდან ეს შემონათვალი ისე გაახარებდა, მიხეილ თამარაშვილსაც აცნობებდა 1901 წლის 22 აგვისტოს: ფოთის ქალაქის თავის, ნიკო ნიკოლაძის, მეთაურობით ქართველებს დაუარსებიათ სანაოსნო საზოგადოება. გემები უნდა იყიდონ და სოხუმსა, ფოთსა და ბათუმს შუა ამუშაონ. ერთი გემი სოხუმიდან კიდეც გასულა. ღმერთო, შენითაო!..

* * *

„ივერიაში" რომ ამოიკითხავდა, მიხეილ თამარაშვილის შრომის გამოსაცემად საჭირო ხარჯს სტეფანე ზუბალაშვილი გაიღებსო, რარიგ გაიხარებდა და სასწრაფოდ აფრენდა ბარათს რომში, 1902 წლის თებერვლით დათარიღებულს:

— მე, სწორე გითხრათ, ჩვენი ქართველების ამბავი ვიცოდი, ძალიან მეფიქრებოდა, ვაითუ ასეთს ძვირფას მასალას უფულობის გამო დაბეჭდვა დაუგვიანდეს-მეთქი. სულითა და გულით გილოცავთ ამ სასიხარულო ამბავს. ასე რომ, იმედია, ამ სამ თვეში თქვენს წიგნს, დაბეჭდილს დავინახავთ...

ურჩევდა, წიგნი უეჭველად „ქართველთა ამხანაგობის" სტამბაში დაბეჭდილიყო, პეტრე მირიანაშვილისათვის კი ეთხოვა, გულდასმით ედევნებინა თვალი ენისა თუ კორექტურისათვის. ამასთან, ორი თუ სამი ცალი ძვირფას ქაღალდზე გამოეცა — ერთს გამომცემელს უძღვნიდა და სხვებსაც — ვინმე წარჩინებულს, ან საქართველოში და ან რომში.

* * *

1902 წლის 6 მარტს ძალზე სამწუხარო ამბავი უნდა მიეწერა მიხეილ თამარაშვილისათვის: ეს ერთი კვირაა, აქაური ქართველები და ჩვენი რძალი (გიორგი დეკანოზიშვილის მეუღლეს გულისხმობდა — ჰენრიეტას) არც მკვდრები ვართ და აღარც ცოცხლებიო.

რა მომხდარიყო მაინც ამისთანა?

2 მარტს ფრანგ მუშებს რაღაც მანიფესტაცია ჰქონოდათ და მიხაკო წერეთელი და ალექსანდრე გაბუნია წასულიყვნენ საყურებლად (ეშმაკადო, — ჩაურთავდა თედო). მუშები და პო-

ლიციელები შეტაკებულიყვნენ და ამ არეულობაში ორივე დაეჭრათ. 4 მარტს სანდრო გაესამართლებინათ და სამი თვე ციხეში ჯდომა და მერე საფრანგეთიდან განდევნა მიესაჯათ. მიხაკოს საქმე კი კიდევ უფრო მძიმედ მოჩანდა: ბრალს სდებდნენ, ანარქისტი ხარო, და ემუქრება, სულ ცოტა, 6-თვიანი პატიმრობა და მერე აქედან განდევნა.

— ძალიან ვცდილობთ, როგორმე ვუშველოთ და განდევნით არ გავადევნინოთ. მინისტრ მილერანის დიდი იმედი გვაქვს — დაგვეხმარება. უზომოდ შეწუხებულნი ვართ ყველანი. არაფრის გული არა მაქვს. არ მინდოდა ასეთის ამბით შემეწუხებინეთ, მაგრამ უამბობაც არ იქნებოდა.

კიდევ კარგი, რომ 23 მარტს სასიამოვნო ამბის შეტყობინებაც მოუწევდა: წინა დღით გაერჩიათ მიხაკო წერეთლის საქმე და... 3-თვიანი ციხე მიესაჯათ, მაგრამ პროკურორს შუამდგომლობა აღეძრა სასამართლოს თავმჯდომარესთან, რათა არ დაემწყვდიათ და ახლავე გაეძევებინათ. ასე რომ, იმედოვნებდა, ორ-სამ დღეში გაუშვებენო. საფრანგეთი კი უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ამას ვიღა ჩიოდა. მთავარია, რომ ამნაირად ალექსანდრე გაბუნიასაც გაუშვებდნენ.

მარტის მიწურულს კი აცნობებდა, რომ სანდროსათვის სამთვიანი ციხე მიესაჯათ. ხოლო მიხაკოს გამოძიება გუშინწინ გათავებულიყო. უნდოდათ, როგორც ანარქისტი, ისე მიეცათ პასუხისგებაში, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ და ახლა პასუხს აგებდა, როგორც პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის გამწევი.

საფრანგეთიდან ორივეს გაძევება გადაწყვეტილიყო, მაგრამ ესენიც ძალიან ცდილობდნენ და დიდი იმედიც ჰქონდათ, გაძევებით არ გააძევებენო.

22 აპრილს კი სასიხარულო ცნობას მიაწვდიდა: ყმაწვილები (სანდრო და მიხაკო) კარგად არიან. ამ ერთ თვეში გაუთავდებათ ვადაო.

* * *

1902 წლის 9 მაისს გაგზავნილ ბარათში მიხეილ თამარაშვილს აცნობებდა, რომ კირიონი ისე შეევიწროებინათ, იძულე-

ბული გამხდარიყო, თვითონ გადასულიყო კამენეც-პოდოლსკის ეპისკოპოსის ვიკარად.

— რა დამცირებაა: საქართველოში ეგზარხოსის ვიკარად იყო და იქ კი უბრალო ეპისკოპოსის ვიკარად გადაჰყავთ. მწერენ, პეტერბურგში უნდა ჩავიდეს, იქ მთავრობას უნდა მოახსენოს, რა ცუდად ექცეოდნენ, და მერე სულაც დაანებებს თავს სამსახურსაო. არ ვიცი, რამდენად მართალია. იმის მაგივრად ყოვლად მყრალი, ჯაშუში დიმიტრი აბაშიძე და ერთი რუსი დაუნიშნავთ.

* * *

ძალზე გაახარებდა ეკატერინე გაბაშვილის ბარათი და თვითონაც მისწერდა 1902 წლის 3 აგვისტოს იმ ძვირფასი ბარათის პასუხს.

ვერ წარმოედგინა, თუ ეკატერინეს ასეთი მოსწრებული შვილი ეყოლებოდა, რევაზ გაბაშვილი უკვე უცხოეთში რომ ეპირებოდა სწავლის გაგრძელებას და ახლა თედოს უნდა გაერკვია და ეცნობებინა დედა-შვილისათვის რაღაც-რაღაცები.

ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენს ვაჟს ასეთი ნაწილი აურჩევია სასწავლებლადო, — განზრახვას კი უწონებდა, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ პარიზში მისთვის გიმნაზიური მომზადებით შეუძლებელი იქნებოდა რომელიმე სპეციალურ სასწავლებელში შესვლა. სამთამადნო ინსტიტუტს ესაჭიროებოდა ფრანგული ენის ზედმიწევნით ცოდნა და მეტად ძნელი კონკურსის გაძლება; საელექტრიკოსოში უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში კურსდამთავრებულთ ღებულობდნენ, სხვებს კი საშინელი კონკურსი უნდა გაევლოთ. ამასთან, სწავლის ფული მეტად დიდი იყო, როგორც პროგრამიდანაც ჩანდა.

სააგრონომო ინსტიტუტშიც კონკურსი დახვდებოდა. რჩებოდა ერთი უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტის ნაწილი) — ქიმიის პრაქტიკულად შესასწავლად. ამ სასწავლებელში შესასვლელად გამოცდის ჩაბარებას არ ითხოვდნენ, არც ფრანგულის ჩინებულ ცოდნას — გიმნაზიური მოწმობაც სავსებით კმაროდა.

თავის მხრივ, თედო სწორედ ამ სასწავლებელში შესვლას ურჩევდა ახალგაზრდა კაცს. თუ მას აირჩევდა, სწავლის ფულის გადახდა წელიწადში 500 ფრანკი მოუწევდა, ანუ ჩვენებური 20 თუმანი. რაც შეეხებოდა იქ ცხოვრებას, დასამალი რა არის, მეტად ძვირი გახლდათ.

აგერ თედოს 55 მანეთი უგროვდებოდა თვეში და ძლივს გაჰქონდა თავი.

— მე, რომელიც პატარაობითვე ტანჯვა-წვალება-ნაკლულევანების მეტი არა მინახავს რა, რასაც მე მოვითმენ, იმას თქვენი ვაჟი, ერთთავად დედის კალთაში გაზრდილი, შიმშილწყურვილის ხამი, რა თქმა უნდა, ვერ აიტანს.

საგულდაგულოდ უანგარიშებდა, ჭამა-სმისა და ოთახისთვის, ტანისამოსისთვის, წიგნებისთვის რაც დასჭირდებოდა და თვეში 85 მანეთამდე რომ ავიდოდა, ურჩევდა: ამაზე ნაკლები საგზლით არამც და არამც არ გამოისტუმროთ აქეთ თქვენი ვაჟიო. და თუ საზაფხულოდ შინ წაყვანას მოისურვებდა, იქითაქეთ 17 თუმანიც ამისთვის ცალკე უნდა გადაედო. რაო, რას იწერებოდა ეკატერინე გაბაშვილი? თვეში ხუთ თუმნამდე შემიძლიაო? აგერ მისი და თედოს ანგარიში ერთმანეთს ძალიან დაშორიშორებოდა.

მაშ თუ მეტი გზა არა რჩებოდა, ისევ რუსეთში უნდა ეძებათ ნავსაყუდელი. თედოს აზრით, რიგაში გასტუმრება უჯობდა, ან კიდევ ვარშავაში — იქაურ პოლიტექნიკუმებში შესასვლელად. ცხოვრებაც შედარებით იაფი გახლდათ ორივე ქალაქში; თანაც, ამ ევროპულ ქალაქებში უცხო ენის(გერმანულის) შესწავლას ადვილად მოახერხებდა; და თუ მაინცდამაინც ევროპაში მოისურვებდა გამგზავრებას, ერთი წელი მაინც დაეყო ან ერთ და ან მეორე პოლიტექნიკუმში, გერმანულიც ესწავლა და მაშინ შეეძლო გერმანიაში შესულიყო სპეციალურ სასწავლებელში. იქ — საფრანგეთთან შედარებით — ცხოვრებაც იაფი იყო და რუსეთის სპეციალური სასწავლებლის სტუდენტს უგამოცდოდ იღებდნენ გერმანულ სპეციალურ სასწავლებლებში.

რისი მიწოდებაც შეეძლო, აწვდიდა ყოველგვარ ცნობას და ახლა დაე ეკატერინე გაბაშვილს გადაეწყვიტა:

— გინატრით საუკეთესო გზის არჩევას და მისის ბედნიერებით თქვენის დედობრივის გულის გახარებას. იმედი მაქვს, ღირსეული დედის ღირსეული შვილი დადგება.

სწორედაც რომ!..

თვითონ თედო აპირებდა, ერთ წელიწადს კიდევ დარჩენილიყო პარიზში და მერე დაბრუნებოდა სამშობლოს:

— რომ მხარში ამოგიდგეთ.

* * *

1902 წლის 14 ოქტომბერს მიხეილ თამარაშვილს დაუბრუნებდა ვალს, აქამდე ძალიან რომ წუხდა, ფულს რომ უგვიანებდნენ და დათქმულ ვადაზე ველარ ისტუმრებდა ვალს.

აცნობებდა, რომ ხვალ შუადღისას მიემგზავრებოდა ვენეციაში, რათა ორ დღეს დარჩენილიყო და იქაურობა დაეთვალიერებინა. იქ დაელოდებოდა ალექსანდრე გაბუნიას ტელეგრამას, რომლითაც უნდა შეეტყო იმისი ბიძაშვილის გამოსვლა ჩვენი ქალაქიდან, და ესეც გასწევდა ავსტრიის საზღვრისაკენ მის დასახვედრად და შვეიცარიაში ჩამოსაყვანად.

სწყინდა, რომ მეტ ხანს ვერ დარჩენილიყო იტალიაში, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, ესეც უნდა ემყოფინებინა.

— ღვთით, კარგად მესმის და კარგადაც ვთარგმნი. აი, ეს არის, „ცნობის ფურცელში“ ვგზავნი ჩემს პირველ თარგმანს — იტალიურ ხალხურ ანდაზებს. მერე თქვენც ნახავთ.

თქვენი უანგარო შრომა და თავდადება ნუ მოგვაკლოსო, — ამ სიტყვებით გამოეთხოვებოდა.

22 ნოემბერს კი თავის ვარაუდს გაუზიარებდა: ეს ალბათ ბარონ დე-ბაის მოხერხებული საქმეა. ის ურჩევდა კარდინალს, წმინდა ნინოს შესახებ ცნობები შეეკრიბა. რაკი შენიშვნაში წერია, რომ მოსე ჯანაშვილს უკისრია ცნობების მიწოდება, ის ჩემზე უკეთესად მოახერხებს ყველაფერს და საჭირო აღარ არის, მეც ვეცადოო.

ჩემზე უკეთესად მოახერხებს ყველაფერსო...

ამის მთქმელი ბევრი ვერ იქნებოდა, ანკი — როდის ყოფილა — ჩემზე უკეთესადო... ჯერ მარტო ამ ფრაზით რაოდენ რელი-

ეფურად წარმოჩნდება თედო სახოკიას პიროვნული ბუნება, მისი უშურველობა, ამ მცირე ბარათშიც კი ერთხელ კიდევ რომ უნდა გამჟღავნებულიყო:

— თქვენის შრომის რეცენზიას რუსულად და ფრანგულად ზურაბ ავალიშვილს ვაწერინებ. ჩემზე უკეთესად დასწერს.

ჩემზე უკეთესად დაწერსო...

თანაც, რამხელა სიხარული ამოიკითხება სტრიქონებს შორის, ის უკეთესი დამწერნი რომ ეგულება, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნია, და ცდილობს, კეთილი სიტყვა შეაწიოს ყველას, ვისაც საამისო ნიჭი დაჰყოლია, ის კი არა, — შეაგულიანოს ხოლმე.

* * *

ალექსანდრე სარაჯიშვილი „ივერიისათვის“ რომ სთხოვდა მასალას, რაკიღა ეს გაზეთი ახლა მის ხელში გადასულიყო და, თუ ვინმე, — თედო სახოკიაც ძალიან წაადგებოდა ამ გამოცემის წარმატებას, 1903 წლის 4 თებერვალს გამოგზავნილ ბარათში მოუბოდიშებდა, ვერ ვისარგებლებ თქვენი შემოთავაზებითო.

— თქვენის წინამძღოლობით შრომა და გარჯა ჩვენის მწერლობისათვის, ჩემთვის დიახ, რომ სასიქადულოა (გთხოვთ, იმერულ პირფერობაში არ ჩამომართვათ). მაგრამ... ერთი, რომ არც მაგრე ღონიერი ვარ, რომ ამ შემთხვევაში მხარში ამოგიდგეთ, მეორე — ჩემი აქ დარჩენის ვადა ცოტაღა რჩება. ასე რომ, უნდა ვისარგებლო და ვიმეცადინო და, თუ ცოტათი თავისუფალი დრო გადამრჩა და რისამე დაწერა მოვახერხე, ზნეობრივად და იურიდიულად ვალდებული ვარ, „ცნობის ფურცელს“ მივაწოდო. იქნება მოგეხსენებათ, რომ ეს რედაქცია შეძლებისდაკვალად ყოველთვიურ საგზალს მაწვდის.

— მაინც ვცდიო, — შეჰპირდებოდა, თუმც გადაწყვეტით ვერა.

პარიზის ქართულ კოლონიაში იმჟამად 19 კაცი იმყოფებოდა და ყველა კითხულობდა „ივერიის“ იმ ნომერს, რომელსაც საქართველოდან უგზავნიდნენ, აქედან კი ევროპის სხვა ქალაქებში აწვდიდნენ თვისტომთ. ფოსტის ხარჯებს ესენი იკისრებდნენ, თუკი რედაქციას უფასოდ გზავნა არ დაამძიმებდა.

— თარგმანებსაც მოგაწვდით, თუ გამოიყენებთ.

გული ეთანაღრება, კორესპონდენციების ნაცვლად თარგმანებით რომ უნდა მოამარაგოს, თუმც თედოს თარგმანები რა, ნაკლები იქნებოდა მისსავე სტატიებზე? —ისეთ ნიმუშებს შეარჩევდა, ჩვენთვის სასიცოცხლო და საჭირბოროტო პრობლემებს უშუალოდ რომ გამოეხმაურებოდა, თითქოს ჩვენს რეალობაზე დაკვირვებით დაუწერიათო.

* * *

— ამ წერილს მოგიტანთ ჩემი დიდი მეგობარი ზურაბ ავალიშვილი, პეტერბურგში პროფესორად დატოვებული, — 1903 წლის 4 აპრილით დათარიღებულ ბარათს ჩაჰყურებდა მიხეილ თამარაშვილი, — თქვენ პირადად არ გიცნობთ, მაგრამ თქვენის მოღვაწეობის დიდი პატივის-მცემელი და თაყვანისმცემელია.

ესარგებლა დაკლებული ფასის ბილეთით და რომის დასათვალიერებლად გაჩქარებულიყო. ცდილობდა, ბევრი არ დაეხარჯა და რომაელებსაც არ მოეტყუებინათ. ამ მხრივ თედოს მამა მიქაელისა დიდად ეიმედებოდა, — ხელს შეუწყობს ყველაფერშიო. იაფ სასტუმროსაც უშოვიდა და ასწავლიდა, იაფად სად ესადილა.

ზურაბს თან ახლდა ერთი ქართველი მანდილოსანი — ჩოლოყაშვილის ქალი.

— თქვენთვის სურპრიზი იქნება ქართველი ქალის ნახვა რომში.

ხოლო თვითონ ზურაბი:

— ამ ყმაწვილმა ენები — იტალიური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური — ყველა იცის, ასე რომ, ამ მხრივ არა გაუჭირდება რა.

თედო სთხოვდა მის მომავალ მასპინძელს, აღდგომას წმინდა პეტრეს ტაძარში წაეყვანა ზურაბი წირვის მოსასმენად, და თუკი მოახერხებდა, პაპისთვისაც ეჩვენებინა.

ჩოლოყაშვილის ქალს ეგონა, თედო სახოკია რაკიღა რომში იმყოფებოდა, იქ კათოლიკობა მიეღო. და თედო ღიმილით ეტყოდა მიხეილ თამარაშვილს: ურჩიეთ, იმანაც მიიღოსო.

* * *

1903 წლის 16 ივლისს გაგზავნილ ბარათში ებოდიშებოდა მიხეილ თამარაშვილს და წუხილს გამოთქვამდა, რომ მისი შრომისათვის ხელის შეშველება ბოლომდე ვერ მოასწრო, ისე მოუწია სამშობლოში დაბრუნება. სამაგიეროდ, ჰპირდებოდა, რომ ბეჭდვის დროს ისიც და პეტრე მირიანაშვილიც ეცდებოდნენ ყველაფრისათვის თვალყური ედევნებინათ. პარიზში ტყუილად გაეგზავნა თავისი შრომა მამა მიქაელს, იქ მისი გამსწორებელი არავინ იყო.

— ისევ პეტრეს გამოუგზავნეთ გაუსწორებლად, და მერე ჩვენ ვიცით.

სოხუმელებს გამგეობის წევრად აერჩიათ თედო და 1500 მანეთი ჯამაგირიც დაენიშნათ. მართალია, გუბერნატორს ჯერ არ დაემტკიცებინა, მაგრამ აიმედებდნენ, დაგამტკიცებსო. თუ დაამტკიცებდნენ, დარჩებოდა სოხუმში, თუ არა და, ამ ორი თვის განმავლობაში კვლავ გასწევდა საზღვარგარეთ და, შესაძლოა, მილანშიც ამოეყო თავი.

— საქმე ის არის, რომ თბილისში საკომისიონერო ამხანაგობა დააარსეს ჩვენებმა და მთხოვენ, მარსელში მათი წარმომადგენლობა ვიკისრო. თუ არ დამამტკიცა გუბერნატორმა, მაშინ ამას ვიკისრებ და თქვენც გნახავთ.

„ივერიაში" რომ წაეკითხა მიხეილ თამარაშვილის წერილი ვატიკანის წიგნთსაცავში ნაპოვნი ქართული წიგნების შესახებ, ამცნობდა: ძალიან გავიხარეთ და ყველამ დაგლოცეთო.

სთხოვდა, თუ მოიცლით და მუსიკალურ მაღაზიაში შეხვალთ, იქნებ მიყიდოთ გარიბალდის ჰიმნი (ნოტები) და სარდინული ჰიმნიო.

29 ივლისის ბარათში კი მადლობას გადაუხდიდა იმ საგალობელთა გამოგზავნისათვის.

* * *

წუთისოფელში ყველაფერს რომ უნდა ელოდო: თურმე ამ ორ კეთილშობილ და ერთმანეთის პატივისმცემელ პიროვნებას — მიხეილ თამარაშვილსა და თედო სახოკიას — შორისაც

შეიძლება წყენა გაჩენილიყო. მიზეზი აღმოჩნდებოდა თედოს სტატია „უთანხმოება რომის პაპსა და საფრანგეთს“ შორის, „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული (1904, №2541), მამა მიქაელის გულისწყრომას რომ გამოიწვევდა და საპასუხო სტატიის დაწერას განიზრახავდა. ოღონდ მანამდე 12 აგვისტოს ბარათით თედოს გაუზიარებდა თავის უკმაყოფილებას და საკმაოდ მწვავედაც, რადგან თედოს ეწყინებოდა მისი მომართვის კილო, შინაარსი ხომ გააკვირვებდა და გააკვირვებდა.

29 აგვისტოს მიწერილ ბარათში საქებურად მიუთვლიდა, რომ მამა მიქაელი, როგორც ღრმადმორწმუნე კათოლიკე, მომხრე იყო პაპისა და თაყვანისმცემელი. კაცი დიახაც იმის ერთგული უნდა ყოფილიყო, ვინცა სწამდა, მაგრამ:

— ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველანი ერთისა და იმავე აზრისანი უნდა ვიყოთ.

აგერ თედოს სულაც არა სწამდა პაპის უცოდველობა, რადგანაც ისიც ხორციელი ადამიანი ბრძანდებოდა და, როგორც ყველა ხორციელს, ნებით თუ უნებლიეთ მასაც შეიძლება შეცდომა მოსვლოდა.

— ჩემის აზრით, მანვე შესცოდა ლუბეს საქმეშიაც. მე ამ საქმის შესახებ ჩემი აზრი გამოვთქვი, აზრი აწონილ-დაწონილი, როგორც ასეთს მძიმე საგანს ეკადრებოდა.

მიხეილ თამარაშვილი კი სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისა იყო ამ საკითხზე.

მართალია, პაპის წყალობით ბევრი სიკეთე მიუძღოდათ მისიონერებს ქართველი ერის წინაშე წარსულში, მაგრამ... ნუ დავივიწყებდით იმასაც, რომ:

— რომის პაპი იყო, რომ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში რუსის მთავრობის შუამდგომლობით, ქართული წირვა-ლოცვა მოსპო და ამით რუსის მთავრობას არ აწყენინა.

და თუ ქართველ ერსა და მის გულშემატკივარ მამულიშვილთ თავიანთი მოკეთის სამსახური არასოდეს არ უნდა დაევიწყებინათ, ამ მამულიშვილთათვის არც არავის უნდა ეკიჟინა, თუ ეს მოკეთე რაიმე ცუდსაც ჩაიდენდა და ამათ ეს საქციელიც შესაფერისად შეეფასებინათ.

მხოლოდ ერთი ვერ გამიგიაო, — აგრძელებდა თედო, — საწინააღმდეგო აზრების არსებობას რატომ უნდა ჰქონდეს გავლენა ჩვენს მეგობრობაზე, პირად დამოკიდებულებაზედო?! მიხეილი თუ ერთგული ბრძანდებოდა პაპისა, თედო კი ამ მხრივ ყველაფერში არ ეთანხმებოდა, აზრადაც არ მოსდიოდა, ამის გამო მეგობრული ურთიერთობა გაეწყვიტა კაცთან, ვის გამრჯელობასა და ღვაწლსაც დიდად აფასებდა, რაც იმას ქართული ისტორიული მწერლობისათვის დაედო და კვლავაც დასდებდა.

— კვლავ გიმეორებთ, თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი ვარ, პატივსა გცემთ, როგორც საქართველოს და ქართველი ერის ერთგულ წევრს, და თუ, მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც კავშირის გაწყვეტა გადასწყვიტეთ ჩემთან, მე მხოლოდ სინანულიღა დამრჩენია.

რაც შეეხებოდა საპასუხო წერილის დაწერას: სრული ნება გაქვთ ამისაო, — თედო ამცნობდა, —გულწრფელად მოგახსენებთ, სრულებითაც არ მეწყინება, რადგანაც თქვენს აქტს სიმართლის აღდგენა ექნება აზრადო.

და მართლაც, სავსებით მშვიდად აღიქვამდა მიხეილ თამარაშვილის იმ საპასუხო სტატიას, გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულს (1904, №183-84) „საკუთარი კორესპონდენტის“ ხელმოწერით.

* * *

ამ პიროვნებასაც უნდა გადაენაცვლებინა მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტების ციკლში, იმ დაჩივლებით, რომ დაიწყებოდა მისი მეცნიერული ღვაწლის წარმოჩენა, ჩვენი საეკლესიო ისტორია თუ სულ არა დუმს, მაინც მეტად მწირ ცნობებს იძლევა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მისიონერთა მოღვაწეობისა და ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოებით გავრცელების შესახებ, არადა, მისიონერთა ეს მოღვაწეობა მეცამეტე საუკუნიდან იწყება და თავდება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც მათ რუსეთთან შეერთებული საქართველოს პროვინციებში მართლმადი-

დებელ ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების ქადაგება აეკრძალათო.

თავის მხრივ, თედო აცნობებდა მკითხველს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ქართლი იქნებოდა, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო თუ გურია, ჩვენი მეფენი და მთავარნი, იშვიათი შემთხვევის გარდა, დიდ პატივს მიაგებდნენ მისიონერებს, მფარველობდნენ და ხელსაც უწყობდნენ მათი აზრის განხორციელებას; რომ ესენიც თავ-თავიანთი მრევლისათვის აშენებდნენ ეკლესიებს, ხსნიდნენ სკოლებსა და ახალმოქცეულთა სულიერი საჭიროებისათვის ზრუნავდნენ; რომ იმართებოდა მიმოწერა რომის პაპებსა და საქართველოს მეფეთა შორის და მყარდებოდა მათ შორის მეგობრული განწყობილება; რომ სხვა ქრისტიანებთან ერთად ჯვაროსანთა ომში წმინდა ადგილების დასახსნელად, რომის წინადადებით, ქართველებიც იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას; რომ საქართველოს ერი და ევროპის კათოლიკური სახელმწიფოები ერთმანეთს ეცნობოდნენ; და რომ...

სად გაჰყოლოდა ყველაფრის ჩამოთვლას, რა სასიკეთო ნიშნებსაც ხედავდა ამ სახელმწიფოებრივ (და არა მარტოდენ რელიგიურ) ურთიერთობაში!

დიახ, მიქელ თამარაშვილის გამოჩენამდე ამ ყოველივეს პირველად თუ აცნობებდი, თორემ შეხსენებით ვერ შეახსენებდი მკითხველს, რაკიღა ამ მხრივ ჩვენი წარსული ცხოვრება თითქმის უცნობი რჩებოდა, უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ ისტორიული დოკუმენტები საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების შესახებ ჩვენში აღარ დარჩენილიყო, ათასგვარი უბედურების ჟამს სამუდამოდ დაკარგოდა შთამომავლობას.

ამ გარემოებას პოლიტიკური მიზნითაც დაიხვევდნენ ხელზე სარუხანისებური პუბლიცისტ-მეცნიერები, რომელნიც მოჰყოლოდნენ მტკიცებას, კათოლიკობა საქართველოში იმთავითვე სომეხთა შორის ვრცელდებოდა, და თუ ქართველიც კათოლიკდებოდა, ისიც თითო ოროლა დიდებულთაგან და მოწყალებასავითო. იმ თითო-ოროლათა შორის ასახელებდნენ

სულხან-საბა ორბელიანსა და ანტონ კათოლიკოსს, თანაც დასძენდნენ: საბამ ბოლოს უარყო კათოლიკობა, რადგანაც ხალხისა შეეშინდაო.

და თუ ვინმეს სტკენდა გულს და აღაშფოთებდა ამგვარი ქადაგების პრაქტიკული ნაყოფი, მათ შორის — თედო სახოკიასაც, ვის მზერასაც როგორ გამორჩებოდა, რომ გულიდან მოგწყვეტოდა ახალციხის მაზრისა და ართვინის ქართველი კათოლიკობა, რადგანაც მოსპობოდათ წინაპართა ენაზე ღვთის ვედრება. და ყველგან და ყველაფერში სომხური ტიპიკონი გაბატონებულიყო.

და ინატრებდა თედო: ნეტა გამოგვიჩნდეს ვინმე, ვინც თავს მოუყრის ყველა იმ ისტორიულ საბუთს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას და, კერძოდ, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას შეეხება და რომლებიც უცხოეთის სხვადასხვა ქალაქის წიგნთსაცავ-არქივებში მოიპოვება, რათა შეივსოს ერთი ნაკლთაგანი ჩვენი ისტორიისა და სიმართლის დამთრგუნველ „მეცნიერთათვის" კი უბაჟოდ ლაპარაკის საშუალება მოისპოსო.

აი, სწორედ ასეთ შრომას იდებდა თავს მიქელ თამარაშვილი, რომელიც გულმოდგინედ ჩაუჯდებოდა ვატიკანისა და იტალიის სხვა ქალაქთა არქივებს, რამდენიმე წელიწადში მოუყრიდა თავს ქართველ კათოლიკეთა შესახებ იქ დაცულ ისტორიულ საბუთებს. და მხოლოდ იმას შეეძლო დაეფასებინა ჯეროვნად ეს შრომა, ვისაც გამოეცადა, თუ რაოდენ საძნელოა არქივებში მუშაობა, და თედო ამ მუშაობის მნიშვნელობას რომ გაუსიგრძეგანებს მკითხველს, უნებურად საკუთარი გარჯის მნიშვნელობასაც ამჟღავნებს: ვის-ვის, და თუ ვინმეს, მასაც ჩინებულად მოეხსენებოდა, თუ რას ნიშნავს არქივებში ჯდომა:

— ხანდისხან ორისა და სამის დღის განმავლობაში იძულებული ხარ, მრავალი დამტვერიანებული ტომი გადაფურცლო, რომ ბოლოს სამიოდ სტრიქონს წააწყდე საჭირო საკითხის შესახებ.

მიქელ თამარაშვილი ან თავგამოდებულ გარჯას როგორ შეუშინდებოდა და ან აუარებელ დაბრკოლებას, ასეთი შრომისას აუცილებლად რომ იჩენს ხოლმე თავს; და რომ შეკრებდა ყველა იმ მასალას, რაც გადარჩენოდა ჟამთა ვითარებას და რისი

მოპოვებაც კი შეიძლებოდა, ქრონოლოგიურადაც დაალაგებდა, თარგმნიდა, შესაფერის განმარტებასაც წარუმძღვარებდა და წარმოსახავდა ქართული კათოლიკობის ისტორიას XIII საუკუნიდან მოკიდებული XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე და, ცხადია, ამ ისტორიიდან ამოვარდნილი არ იქნებოდა ჩვენი ქვეყნის არც ერთი კუთხე. ძიებას მიეკვლია ქართულად დაწერილი წერილებისთვისაც, რუსუდან დედოფლისაგან იქნებოდა, ლუარსაბ მეფისაგან, სულხან-საბა ორბელიანისაგან, ერეკლე მეორისა თუ სხვათაგან. საბუთებს კი თარგმანთან ერთად დაერთოდა ტექსტები ლათინურად, იტალიურად და ფრანგულად.

— ეს შრომა მამა თამარაშვილისა განძად ჩაითვლება ჩვენი საისტორიო მწერლობისათვის.

ათასგვერდიანი წიგნი რომ მოიყრიდა თავს და ჩვენებურ მეცენატებსაც გამონახავდა სულიერი მამა გამოცემისათვის საჭირო ხარჯის გასაღებად, აუცილებლობად ცნობდა გვერდით ყოველმხრივ მომზადებული ადამიანის ამოყენებას წიგნის გამოცემის პროცესში.

და სულ რომ არ ვიცოდეთ, თუ ვინ არის თედო სახოკია, ჯერ მარტო ეს ცნობა — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" მიქელ თამარაშვილმა მისი თანადგომით გაამზადა დასაბეჭდადო — სრულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა მის პიროვნებასა და ცხოვრების სტილზე.

ესეი კი მკითხველს აცნობებდა, რომ მიქელ თამარაშვილი 21 წლისა წასულიყო ევროპაში სწავლის მისაღებად და პარიზში ღვთის-მეტყველების მაგისტრის წოდებაც მოეპოვებინა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულს ისეთი გამწვავებული ვითარება დახვდებოდა, იძულებული შეიქნებოდა, რომში გამგზავრებულიყო,სადაც ერთი ეკლესიის მღვდლად გამწესდებოდა და დღესა და ღამეს გააერთიანებდა სამშობლოს ისტორიის გულისათვის.

ამ წიგნს რომ მოათავებდა და განიზრახავდა იტალიურიდან თარგმნას ყველა იმ თხზულებისა და მოგზაურობის აღწერილობისა, რომელნიც ევროპაში დაბრუნების შემდგომ გამოექ-

ვეყნებინათ საქართველოში ნამყოფ კათოლიკე მისიონერებს, დიდძალი და ძვირფასი მასალის შემცველისაც ჩვენი ერის წარსული ცხოვრების შესახებ, 1910 წელს ფრანგულ ენაზე გამოსცემდა ვეება, სოლიდურ ნაშრომს „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდე", მართლაც მძიმესა და საპასუხისმგებლო საქმეს რომ იდებდა თავს: გაეფანტა ის უმეცრება, რომელიც სუფევდა ევროპაში ჩვენი ეკლესიის ირგვლივ.

— გამოცემა წიგნისა, რომელმაც მეცნიერნიც უნდა დააკმაყოფილოს და უბრალო მკითხველსაც ხალისი გაუღვიძოს ხსენებული ნაშრომის წასაკითხად. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ საქმეს დიდი გაბედვა უნდა.

ჩვენი საეკლესიო ისტორია მართლაც განა სხვა რა იყო, თუ არა ერთი დაუსრულებელი დარბევა-დაწიოკება გარშემორტყმულ მტერთაგან, მათ მიერ აკლება ჩვენი სასულიერო განძისა, დევნა, ულეტა..

და ამ განუწყვეტელი ბრძოლის დროს აუარებელი საბუთი რომ იკარგებოდა ჩვენი ისტორიისა და მათი აღდგენა ძნელი ან სრულიად შეუძლებელი ხდებოდა?

და თედო სახოკიას ესეც როგორ არ აღენიშნა, რომ ამგვარ პირობებში ჩვენი საეკლესიო ისტორიის დაწერა, ისიც ფრანგულ ენაზე, ევროპის მკითხველი საზოგადოებისათვის, დამწერისაგან მოითხოვდა არაჩვეულებრივ სიყვარულს საქმისადმი, მოთმინებას, ხანგრძლივ შრომასა და ათასგვარი დაბრკოლების დაძლევას.

მითუმეტეს, თუკი ამხელა განზრახვას წუნდაუდებლად აღასრულებ!..

თედო იმასაც დაურთავს, რომ მკითხველი საეკლესიო ისტორიასთან ერთად გაეცნობოდა ჩვენს სამოქალაქო ისტორიასაც, რაკილა ეს ორი ისტორია ჩვენში ერთმანეთს გადასჯაჭვოდა.რამდენიმე თავი ქართველთა ეთნოგრაფიის აღწერას ეთმობოდა, რათა მკითხველს გაადვილებოდა წიგნის შინაარსის უკეთ გაგება. ჩვენი ისტორიის წინა დროებიც (ურარტუს ლურსმნულ წარწერებზე დამყარებული) კი მოიხსენიებოდა და ეს ყოველივე შესაფერისი დოკუმენტაციით. თუკი რამ მოიპოვე-

ბოდა უცხო ენაზე დაწერილი ჩვენი ქვეყნის შესახებ, საიდანაც კი რაიმეს გამოყენება-დამოწმება შეიძლებოდა, ავტორს ყოველმხრივ ესარგებლა და ორასზე მეტი სხვადასხვა წყაროც ამიტომ მოეხმო და... აჰა, კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რას ნიშნავს გულმოდგინედ და რუდუნებით შედგენილი წიგნი.

საგანგებოდ დაუბრუნდებოდა წიგნის იმ მონაკვეთს, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას რომ ეძღვნებოდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა, თუ რა დევნა განეცადა კათოლიკობის საქმეს XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ რუსეთის მთავრობის მხრივ, რომელსაც არა სურდა, გვერდით მოცილე ჰყოლოდა ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, განსაკუთრებით ისეთი მოცილე, რომელსაც სამწყსოს თვალნი რომისაკენ ექნებოდა მიქცეული; და მთავრობის გარდა, საქართველოში სომეხთა სასულიერო წოდებაც მტრად გადაეკიდებოდა კათოლიკობას და უმწყემსოდ დაშთენილი ქართველი კათოლიკენი მათგან განიცდიდნენ ყოველგვარ დევნას — სომხურ ტიპიკონზე ძალით გადაყვანასა და ქართულ ეროვნებაზედაც ხელის ძალდატანებით აღებინებას...

და ქართველ კათოლიკეთა სავალალო ყოფით გულდათუთქულ ავტორს, რომელსაც საკუთარ თავზე ეწვნია ეს დევნა მთავრობისა და სომხებისაგან, სხვა რაღა დარჩენოდა, თუ არა ღაღადისი რომის წინაშე უპატრონოდ შთენილ სულიერ და ხორციელ ძმათა სახელით, არ უგულებელეყო ესოდენი სამწყსო და კვლავაც გამოეჩინა მამობრივი ზრუნვა, მსგავსად წარსული დროების ზრუნვა-პატრონობისა.

სომეხ კათოლიკეთ, რომელთა რიცხვიც 70-ს არ აღემატებოდა, ჰქონდათ საკუთარი საპატრიარქო, 16 საეპისკოპოსო ეპარქია, 9 სავიკარო.

ხოლო 40 000 ქართველ კათოლიკეს, საპატრიარქოს ვინა ჩივის, საკუთარი ეპისკოპოსიც კი არა ჰყავდათ მომვლელად და პატრონად!..

— ოღონდაც რომ სავალალო სურათია და ღირსი ყოვლადის თანაგრძნობისა რომის პაპის მიერ!

მიქელ თამარაშვილის ლიტერატურული პორტრეტი იმ ტრაგიკული და ჰეროიკული ეპიზოდით დაგვირგვინდებოდა, ამ პი-

როვნებას ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებათა კვლევისა და მთლიანი სურათის აღდგენისას რჩეულთა თანა რომ დაუმკვიდრებდა ადგილს და მკითხველის ფიქრს ძალდაუტანებლად მიმართავდა კიდევ ერთხელ იმ რწმენისაკენ, დიდი მოდგმის ნაშიერნი რომ ვართ, განსაკუთრებული სამყაროს ნაშთები და ამიტომაც არ გვიძნელდება თავგანწირვა თვით ჩვენი მცირერიცხოვნების შემყურეთ. ჩვენს წარმოსახვაში ხომ იმ დიდსა და გრანდიოზულს ვჭვრეტთ ჩვენი ისტორიის დასაბამში, რომლის ფონზეც აღარაფრად გვიღირს თვითეული ჩვენგანის სიცოცხლე, დღევანდელი დღის გადასახედიდან ასერიგად გასაფრთხილებელი.

„ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი“-ო!..

სწორედ ამ ნათელში ჭვრეტდა ქართული მოდგმის განფენილობასა და სიდიადეს სიმონ ჩიქოვანიც, ისევე როგორც მიქელ თამარაშვილი, ვინც 1910 წლის 13 სექტემბერს დასასვენებლად მიაკითხავდა სან-მარენას და თავის ნაცნობთან, მამა ავგუსტთან ერთად ზღვის ნაპირს აუყვ-ჩამოუყვებოდა. და აი, ვიღაც მუშა, ზღვაში საბანაოდ შესული, დანიშნულ მიჯნას გადასცდებოდა და, რადგანაც ღელვა იმატებდა, კინაღამ დასახრჩობად გაიწირებოდა. მის საშველად მამა ავგუსტი გადახტებოდა და მას კი თვითონ მიქელი მიეშველებოდა. ზღვა კიდევ უფრო აღელდებოდა. მოდარაჯე მენავენი მუშის გადასარჩენად გაეშურებოდნენ და კიდეც იხსნიდნენ, მაგრამ... მიქელ თამარაშვილს ველარ მიუსწრებდნენ და მხოლოდ ცხედარს გამოიტანდნენ ზვირთებიდან. მის თანამგზავრს კი სულაც ზღვა შთანთქავდა.

ასე დიდი ქვეყნების ღირსეული შვილები იქცევიან!..

მცირერიცხოვანი ქვეყნების ნაშიერნი ამგვარ თავგანწირვას უნდა მოერიდონ, რადგანაც მათი სიცოცხლე პირადად მათი კუთვნილება აღარ არის და სამშობლოს ესაჭიროება რაღაც განსაკუთრებული წყურვილით.

მაგრამ თუკი წამის გადაელვებისას თავს აწინდელი საქართველოს შვილად კი აღარა, არამედ დიდი მოდგმის, მრავალრიცხოვანი ერის შთამომავლად შეიგრძნობ?!

და თუკი მიქელ თამარაშვილის ზნეობის კაცი ხარ?!

მაშინ წუთითაც არ იყოყმანებ...

თუმც ეს წლების შემდგომ უნდა მოხდეს, ჯერ კი თედო ჩვეული მხურვალებით რომ შეეშველებოდა მამა მიქელს მისი ნაწერების დასაბეჭდად გამზადებაში, საქმის მოთავებისთანავე გადაწყვეტდა, შემოდგომამდე, ანუ პარიზში სწავლის განახლებამდე, ორი თვით შეხიზვნოდა იტალიის ისეთ მხარეს, სადაც ყველაზე წმინდად ლაპარაკობდნენ მშობლიურ ენაზე, იტალიურიც ესწავლა და დროც სოფლის სუფთა ჰაერზე გაეტარებინა.

თედო სახოკიაა — იგი მარტოდენ იტალიურის შესწავლას არ დათანხმდება, თუ მის გულისგულში არ შეაღწია, მის ძარღვს არ დაეწაფა, მისი ფარული რიტმი და იდუმალი მუსიკა არ იგრძნო.

ამიტომაც — მხოლოდ და მხოლოდ იქ, სადაც თავანკარა იტალიური გაისმის!

ასეთ ადგილად კი შეირჩეოდა ტოსკანის მხარე, ფლორენციის ახლო, ძველებური ქალაქის პისტოიას მეზობელი სოფელი კაპოსტრადა.

ისე შეუყვარდებოდა იქაურობა და თვით ხალხიც, ვისთანაც ურთიერთობა ექნებოდა, თვითონაც ისე შეაყვარებდა თავს და იმდენ მსგავსებას აღმოაჩენდა ქართველ ხალხთან, რომ შემდგომი წლების თვეებსაც აქ გაატარებდა და თან მათი უებრო მშვენიერების მუსიკალური ენის წიაღშიც სულ უფრო ჩაიძირებოდა...

მუსიკალურის, თორემ, აბა, თედო რას შეიძლება ასე გაეტაცა!..

„არა, ნიკო ლომოურს მაინც ვინც შეედრება, ტკბილი მუსიკა მისი მეტყველებიდან იღვრება თუ იღვრება“, ფიქრობს თედო და უხარია, ჰოი, რარიგ უხარია, იტალიური ქართლი რომ უპოვნია, ამ ორ ქვეყანას — იტალიასა და საქართველოს — შორის კი ხიდად ჯერჯერობით ანდაზები გაუდევს, ქართული ხალხური სიბრძნის ნასხლეტებს იტალიელებს რომ უთარგმნის, იტალიური ხალხური სიბრძნის ნასხლეტთაგან კი ქალების შესახებ გამოარჩევს რკალს და პირველად მას აცნობს ჩვენს მკითხველ საზოგადოებას.

* * *

„ცნობის ფურცლის“ 1902 წლის 26 მაისის ნომერში რუბრიკა „ახალი ამბავი“ მკითხველს ამცნობდა, რომ:

აღნიშნულიყო ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრე თეოდორეს ასულის დაბადების დღე ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში, გორისა და ალავერდის ეპისკოპოსები ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით სადღესასწაულო წირვას რომ შეასრულებდნენ და პარაკლისსაც გადაიხდიდნენ;

ქართველ დედათა სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლის დარბაზში სკოლის სამზრუნველო გამგეობის მეთაურობით გამართულიყო სკოლის წლიური აქტი;

მომხდარიყო ტფილისის სამოსამართლო ოლქის ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა საზოგადო კრება;

აღძრულიყო შუამდგომლობა,რათა ტფილისში ცენზურის ნებართვით გამოცემულიყო გაზეთი აზერბაიჯანულ ენაზე;

ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა, მიემგზავრებოდა სარევიზიოდ გამოჩინებულ საბლაღოჩინოში, ქვემო იმერეთში;

რუსეთიდან გადმოსახლებულთა კავკასიის დამხმარე საზოგადოებას თავისი ხარჯით გაემართა გადმოსახლებულთათვის სადგური ტფილისში;

ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას ეთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, ექირავათ ახალი სადგომი ვერის საქალაქო მეორე სასწავლებლის მოსათავსებლად;

სათავადაზნაურო სკოლის სახლის აღმშენებელ კომიტეტს დიდი მადლობა გამოეცხადებინა დეკანოზ სოლომონ ელიოზიშვილისათვის, ვისაც სკოლის შენობისათვის ათი თუმანი შემოეწირა...

და კიდევ:

— პარიზიდან გვატყობინებენ, რომ ბ. თედო სახოკია რეიმსის სამეცნიერო აკადემიას თავის წევრ-კორესპონდენტად აურჩევია.

პარიზში...

რეიმსის სამეცნიერო აკადემიაში...

წევრ-კორესპონდენტად...

მარგალიტივით ამოვარდებოდა ეს ცნობა არა მხოლოდ იმ დღის ქრონიკის ფონზე, არამედ დღეთა, თვეთა, წელთა დინებაშიც, მარტოდენ თედო სახოკიას ბიოგრაფიას რომ არ ამშვენებს და საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ენიჭება, რაკიღა ეს პიროვნება — ეჭვიც არ გეპარება — თანასწორად ჩამდგარა იმ გარემოში, სადაც ისე მოხიბლავდა ყველას თავისი განსწავლულობითა და აზროვნების სიღრმით, არ გაგიკვირდება, ესეც რომ ეთქვათ: წარმოშობით კი ქართველი ხარ, მაგრამ ისე ყოველმხრივ ფრანგი ბრძანდებიო.

* * *

საფრანგეთი საფრანგეთად, იტალია იტალიად და, 1902 წლის ზაფხულის ათ დღეს ოთხ ქართველ მეგობართან ერთად შვეიცარიის ერთ სოფელში მოუხდებოდა ათიოდე დღით დარჩენა და შედარებით მცირე სასყიდლით დროის ჩინებულად გატარება. ეს გახლდათ ლატერბახი, ბერნის კანტონში, ზიმენის ხეობაში, თედოს ჩვენებურ მთის ხეობებს რომ გაახსენებდა — რაჭასა თუ აჭარაში.

„მგზავრის შენიშვნებად“ ნაგულისხმევ ფელეტონთა ციკლს „ცნობის ფურცლის“ ხუთი ნომრისათვის გამოგზავნიდა, თუმც, რამდენადაც ვიცნობთ თედო სახოკიას სტილისტიკას, მისი ამგვარი შენიშვნები თუ ეთნოგრაფიული აღწერანი საკითხავად ნოველისაგან არ განირჩეოდა, თორემ სიღრმე და მასშტაბი ხომ თავისთავად.

მითუმეტეს, „შვეიცარიის სოფელში“ არის დასაბამი სოფლის ეთნოგრაფიული შესწავლისა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში, და თანაც, ევროპაში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით.

ამ გარემოებას რომ აღნიშნავს ვალერიან ითონიშვილი, კიდევ ერთ საგულისხმო ცნობასაც გვაწვდის: მანამდე და მას შემდეგაც რუსულ ენაზე არსებულ კრებულებსა და სერიულ გამოცემებში ეთნოგრაფიული მასალები იბეჭდებოდა ცალკეულ სოფელთა შესახებაც, მაგრამ სოფელი — როგორც დასახ-

ლების ერთეული მისი ძირითადი ატრიბუტებით — არ განიხილებოდაო.

თედო სახოკიას ეს ნარკვევ-ნოველა ამ მხრივაც პირველი ყოფილა და ეგაა — რუს მკვლევართათვისაც რომ დაუსწრია.

კვირა დღეს რომ დაინტერესდებოდა გლეხების დასვენების პირობებით, მკითხველს მიმართავდა: ალბათ წარმოგიდგათ ჩვენებური ბეჩავი გლეხი, დაგლეჯილი, უსუფთაო, უჭმელობისაგან ფერდებ-ჩავარდნილი, ყველასაგან დაჩაგრული, უსიტყვო არსება... და წარმოგიდგათ ჩვენებური სამიკიტნო და იქ ჩამსხდარი ის საცოდავი გლეხები — სიმთვრალე, ჩხუბი, აყალმაყალი, კეტების ტრიალი, გასისხლიანებული ცხვირ-პირი ან კიდევ სატევრით გამოწელილი ტანი ადამიანისაო.

— ახლა ნახეთ მისივე მოძმე შვეიცარიელი, იმავ კვირადღეს! შედარებაც შეუძლებელია. გეგონებათ, სულ სხვადასხვა პლანეტაზე ცხოვრობდნენ შვეიცარიელი და ქართველი და არა იმავ დედამიწაზეო!

ულამაზეს სანახებსა და პეიზაჟებს ზედ გადასჭდობოდა სანიმუშო წესრიგი და პატიოსნება, ყველამ თავ-თავისი საქმე რომ იცოდა, დიდმაც და პატარამაც, ქალმაც და კაცმაც, დაეწაწილებინათ შრომა და ერთობლივ ამშვენიერებდნენ იქაურობას, სრულ იდილიას რომ აღარაფერი უკლდა, საათივით აწყობილიყო ცხოვრება და ქურდობა-ავაზაკობის არსებობაც კი აღარ უწყოდნენ, ქალებიც ყოვლად უშიშრად რომ დაიარებოდნენ ტყეებში, ბავშვებს კი იმთავითვე ისე აჩვევდნენ სისუფთავეს, თუ სოფლის გზატკეცილზე დარში მტვერს ვერა ნახავდით და ავდარში ტალახს, ბავშვების წვლილითაც, ის კი არა, სათამაშო ურმებით დაიარებოდნენ და სადაც ნაკელს ნახავდნენ, ჰკრეფდნენ და შინ წვირეს ზვინს უმატებდნენ.

უმთავრესი წყარო შემოსავლისა უცხოეთიდან ჩამოსული ადამიანები რომ იყვნენ — დასასვენებლად თუ სამოგზაუროდ განწყობილნი, შვეიცარიელნი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ფული დაეტოვებინათ სტუმართათვის, ოღონდ ისეთი სასიამოვნო დრო გაეტარებინათ მათთვის, ძალზე კმაყოფილნი გაეშვათ, თანხა ტყუილუბრალოდ არ დაგვიხარჯავსო.

რას ნაეწია ასე თვალსაჩინოდ ეს პატარა ერი გონებრივად და ქონებრივად?

რას დაედარებინა მისი მამული სააქაო სამოთხეს?

რას გაეხადა ის სხვისთვის სახარბიელო აღმტაც საგნად?

საზოგადოდ სწავლა-განათლების გავრცელებას და კერძოდ სოფლის სკოლებს.

ესეც ის მთავარი ძარღვი, თედო სახოკიასთვის სანატრელი რომ გამხდარიყო, როდის იქნება, რომ საქართველოც პესტალოცის სამშობლოსავით ქვეყნისათვის მისაბაძი და სამაგალითო შეიქნეს სასოფლო სკოლის მოწყობისა და საზრიან ნიადაგზე პედაგოგიკის დაყენების წყალობითო.

„ცნობის ფურცლის" მკითხველს შეახსენებდა ამ გაზეთში დაბეჭდილ საყურადღებო წერილებს პეტრე ჭარაიასი, თავის მხრივ კი დასძენდა: აქ სოფელი უსკოლოდ წარმოუდგენელია, რაც უნდა გაჭირვებულნი იყვნენ გლეხები, სკოლა მაინც აქვთო.

თვისტომთ შვეიცარიული სოფლის ღირსებას ასე თვალნათლივ და შთამბეჭდავად რომ წარმოუსახავდა ცხოვრების შესანიშნავ პირობებს, იმედოვნებდა, სურვილს გავუჩენ აქეთ გამომგზავრებისა და ამ ყოველივეს საკუთარი თვალით ხილვისაო.

პასუხად რა შეიძლება მკითხველს ეთქვა?

შე დალოცვილო, ფული ვინ მოგვცა საამისოდ, ან ფული რომ ვიშოვნოთ კიდეც, ენა არ ვიცითო?

ორივე საბუთს თუმც პატივსაცემადაც მიიჩნევდა თედო, მაგრამ შეახსენებდა, რომ, სადაც სურვილი არსებობდა, იქ გადაულახავი აღარაფერი შეიძლება ყოფილიყო. თავი და თავი კი ის იყო, რომ ქართველებს მოგზაურობისა გვეშინოდა, უცხო ქვეყნების ნახვის, თვალის გახელის სურვილი ჯერ არ გაგვღვიძებოდა... მაგრამ დღეს თუ ხვალ, ეს ნავსი ხომ აუცილებლად უნდა გატეხილიყო და კრუხივით შინ ჯდომაზეც ხელი აგვეღო. ვინც აბასთუმანსა თუ ბორჯომში დაიარებოდა ყოველ ზაფხულს, ცოტა კიდევ რომ გაეჭირვებინა,შვეიცარიასაც თამამად ესტუმრებოდა, იქაურობის გაცნობა კი არამარტო სულიერად დაამშვიდებდა და გაამდიდრებდა (საკუთარი თვალით მოხილვას ხომ ვერანაირი წიგნის აღწერილობა ვერ შეცვლი-

და), მოანდომებდა, ასევე სააქაო სამოთხე ეხილა საკუთარ სამშობლოშიც, საამისოდ კი ძალ-ღონის დაუზოგავად გარჯილიყო. ბევრი რამის გადაღება შეიძლებოდა შვეიცარიელთაგან და ქართული სინამდვილისათვის მისადაგება.

შვეიცარიული სოფელი თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წიაღში გაფურჩქნულიყო?

დაე იმისათვის მიგვეღწია, რაც შესაძლებელი იყო რუსული კაბალის პირობებში, ხომ გამოგვეგლიჯა იაკობ გოგებაშვილის წყალობით სკოლა რუს მზრუნველთაგან და რუსული მზრუნველობისაგან და გაგვექართულებინა, და დაე მასზე დაფუძნებულიყო ჩვენი სოფლის მომავალი, ყუათსაც რომ მისცემდა და მაგალითსაც ქალაქსაც და ქვეყანასაც თავდადებული გარჯითა და წესრიგიანობით.

არ იკმარებდა მარტოდენ სოფლის მოწადინება?

უფრო მეტისათვის აგერ თედო სახოკია და მისი რწმენისა და ბუნების ადამიანები დაიხარჯებოდნენ, გადაშვებულნი უთანასწორო ბრძოლაში, ნაცნობ-მეგობრებს რომ ათქმევინებდნენ: ნეტა ისევ საპატიმროში არიან თუ სადმე შორს გაგზავნილნიო...

* * *

დ. ივანოვიჩის „ბოლგარეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი და წამებულნი“ სოსიკო მერკვილაძეს ისე ადვილადაც რომ ვერ გამოეცა, როგორც იმედოვნებდა, თედო დაამშვიდებდა 1905 წლის 14 იანვარს გამოგზავნილი ბარათით და თან შეაგულიანებდა: ვინძლო მაინც გაიტანო როგორმე შენიო. წიგნის სახელის გამოცვლაზეც დათანხმდებოდა; და სოსიკო ავტორად თედო სახოკიას რომ მიაწერდა, ნაცვლად მთარგმნელისა, ეს შეცდომა მოგვიანებითღა გასწორდებოდა თედო სახოკიას ნაწერების ბიბლიოგრაფიის შედგენისას.

ეჟის მილკოვსკის „განთიადის“ თედოსეული თარგმანის გამოცემასაც რომ აპირებდა სოსიკო მერკვილაძე, ეს მოთხრობა „მოამბის“ ფურცლებზე დაბეჭდვის გარდა ცალკე წიგნადაც გამოცემულიყო ათი წლის წინათ, და თუმც თედოს გაახარებდა

მისი ხელმეორე დასტამბვის დაპირება. მაინც დასძენდა: არ ვიცი, ხელს რამდენად მოგცემს, იმსისხო წიგნს ხარჯი დიდი დასჭირდება და ვაითუ იზარალოო.

თუ ის მაინც გაბედავდა, ეს საცენზუროდ წერილსაც გაუგზავნიდა, მხოლოდ სთხოვდა, კარგი იქნებოდა, ხელახლა გადამეთვალიერებინაო.

— ეს წიგნი ამ თორმეტის წლის წინათაა თარგმნილი. ახლა რა თქმა უნდა, უფრო შევამჩნევ შეცდომას და ენის კოჭლობას. ამიტომ გთხოვ, როცა გადასწყვიტო დაბეჭდვა, ერთი ეგზემპლარი მიშოვე სადმე და მომაწოდე, შალაშინს გავკრავ და უკანვე დაგიბრუნებ დაუყოვნებლივ.

თედო სახოკიას პასუხისმგებლობის პიროვნება ანკი როგორ დაჰყაბულდებოდა გამოცემას ჩაუსწორებლად, ახალი თვალით შემოწმება-ჩაკირკიტების გარეშე.

მიასწავლიდა კიდეც სოსიკოს, სად შეიძლებოდა „განთიადის“ ეგზემპლარის შოვნა: იოსებ იმედაშვილს ახლაც უნდა ჰქონდეს დარჩენილიო.

შინიდან სასიამოვნო ამბავი რომ მიეწერათ, ეს სოსიკოს ახარებდა, რაკი ადმინისტრაციულად გაგზავნილნი — ანთიმოზ ჯუღელი, ივანე გეგია, ფარნა დავითაია, სპირიდონ ნორაკიძე თუ სხვანი — უკვე დაებრუნებინათ.

— ასე რომ, ახლა მეც შემიძლია თავისუფლად დაბრუნება. მომავალ ზაფხულს ან შემოდგომის პირზე თავს დაგიკრავ.

და პირველად რას მოიმოქმედებდა სამშობლოში დაბრუნებული?

— მინდა სამეგრელოს სოფლებში ჩავჯდე საეთნოგრაფიო გამოკვლევათათვის.

არა, წუთს დაკარგავდა!.. მაშინ რაღა თედო იქნებოდა!..

* * *

დროზე თუ არ ვისაშველეთ რამე, გავიდა ცხოვრება და ეგააო, — გულს აწყდებოდა თედო სახოკია.

თავი მერვე

პარიზული „საქართველო“ და ზღვისპირული ფათერაკები

საქართველოდან პარიზში ჩასულს იქ არჩილ ჯორჯაძეც დახვდებოდა, ვისაც პირველი გიმნაზიის მოსწავლედ იცნობდა 1891 წელს, გიმნაზიის დასრულების შემდეგ კი თვალთაგან დაეკარგებოდა.

„ავტობიოგრაფიის“ ამ მონაკვეთში არჩილთან ერთად გიორგი დეკანოზიშვილმაც უნდა შემოგვანათოს, ორივე პიროვნების სახება თედოს პორტრეტთა გალერეაშიც რომ ჩაერთოდა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერის ძუნწი თხრობა იქ უფრო ვრცელი ნაამბობით წარმოგვიდგება, თუმც ისეთი ვრცელი და დეტალურითაც ვერა, როგორც თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში გაშლიდა და ეგებ მომხიბლავი სათავგადასავლო მოთხრობებიც გამოსვლოდა; ან რაღა ეგებ — დოკუმენტური პროზის ოსტატისაგან, იმ მოვლენების შუაგულში რომ მოქცეულა, განა გასაკვირია ისეთი შთამბეჭდავი თხრობა, ამ ჟანრის საუკეთესო ქმნილებათა გვერდითაც რომ შეიძლება აღმოჩენილიყო?!

გამჭვირვალე მინიშნებანი თუ ნართაულებიც ძალიან წაგვადგება საერთო სურათის აღდგენისას, მეტად საგულისხმო ცნობებთან ერთად, მითუმეტეს — ზუსტი შტრიხებით ჩამოქნილი პორტრეტების ფონზე, მაგრამ ახ — ერთი ისეთივე მონათხრობი, თედო სახოკიას ავტობიოგრაფიული რომანი რომ არის — „ციმბირში“, რას დაამშვენებდა ქართულ ლიტერატურას!..

არადა, ამაზე უფრო მღელვარე ამბავი რაღა გვინდა — ისტორიაში პირველად უნდა შემოიზიდოს იარაღი საქართველოში დიდი ამბოხის მოსამზადებლად.

სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ უნდა ითავოს ეს ამხელა საქმე.

და თედო სახოკიას უნდა დაევალოს მეტად მნიშვნელოვანი როლი იარალის გადმოტვირთვა-დაბინავების ორგანიზებაში.

თუმც მანამდე ჯერ დიდმა ხანმა უნდა განვლოს, რადგანაც თედომ ჯერ მხოლოდ უნდა გამოარჩიოს დინჯი, დაფიქრებული და თან მეტად სანდომიანი სახის ყმაწვილკაცი, გარშემო ყველას სიმპათიას თავისკენ რომ იზიდავდა, და არც ამოეშალოს მეხსიერებიდან, როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სასადილოში როგორ აჭმევდა უმცროს ძმას კერძო გაკვეთილებიდან აღებული ფულით (თვეში სამი მანეთი რომ ერგებოდა); მაშინვე კი ეს გაიფიქროს: მთლად მშობლიურ ზრუნვად გადაქცეულა თვით საზრუნავი ახალგაზრდა კაციო!.. არადა, რა ეღონა, როდესაც დედ-მამა, ერთ დროს შეძლებულები, ადრევე დახოცოდა.

მერეა, თვალთაგან რომ უნდა დაეკარგოს ჯერ პეტროგრადის უნივერსიტეტში შესული და იქიდან ვარშავაში გადანაცვლებული, ლონდონშიც რომ უნდა ამოეყო თავი და პარიზში იქიდანღა ჩამოეღწია, სორბონის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად, თორემ ინგლისური ხანა კიდევ რომ გაგრძელებოდა, სამუდამოდ ჩარჩებოდა ტოლსტოურ კოლონიაში და ჩამოყალიბდებოდა ამ სექტანტური მოძღვრების თავგადაკლულ მქადაგებლად, რაკიღა სულ უფრო და უფრო შორდებოდა ეროვნულ ფესვებსა და მსოფლმხედველობას, და ეროვნული იდეის გაზიარება ჩამორჩენილობად რომ მიაჩნდა კოსმოპოლიტურ მორევში გადავარდნილს, არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა სჯეროდა: ქართველი ერი რომელიმე სახელმწიფოსთან მიკედლების გარეშე პოლიტიკურ ცხოვრებას როგორ შეძლებსო.

ნეტა თუ იცოდა თედო სახოკიამ, საქართველოს განთავისუფლების ლიგაში გაწევრიანება არჩილსაც რომ შესთავაზეს, მან კი არ გაიზიარა ეს წამოწყება და განზე გადგა?!

არც არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსახვისას და არც შიო არაგვისპირელისა თუ

ალექსანდრე მიქაბერიძისადმი მიძღვნილ ესეებში არსად გაკრთება არჩილის სახელი; და ეს დეტალი — მისი გაწევრიანებაც რომ მოენდომებინათ, და რაკიღა თედო საქართველოდან უცხადებდა თანადგომას ამ ფარულ ორგანიზაციას, შესაძლოა არამცთუ მაშინ არა სცოდნოდა ასეთი დეტალები, მერეც აღარ მოჰყოლოდა სიტყვას და სამუდამოდ უცნობი დარჩენილიყო მისთვის, რომ ერთ დროს, შესაძლოა, ისინი თანამზრახველებიც ყოფილიყვნენ! მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ სცოდნოდა და ზედმეტად მიეჩნია ამ გარემოების გამომზეურება.

რამ შეიძლება ეს გვავარაუდებინოს?

არჩილის პორტრეტის გამოკვეთისას საგანგებოდაა აღნიშნული ის რეალია, რომ პოლონეთის დედაქალაქში მისი გადასვლისას ვარშავის ციხის კომენდანტად მსახურობდა გენერალი გიორგი ყაზბეგი, არჩილის ნათესავი, ამ რეალიის აღნიშვნას კი არ დაისაჭიროებდა, ყაზბეგთან ნათესაობას გარკვეული როლი რომ არ ეთამაშა საქართველოს განთავისუფლების ლიგისაგან მის ჩამოცილებაში. ჯერ ისედაც ხომ დიდად არა სწამდა ეროვნული ენერგიისა, მაგრამ კიდევ შეიძლება თვისტომთ მორიდებოდა და ასეთი მკვეთრი უარიც არ განეცხადებინა ამ ფარულ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. მისი ამ ნათესავის სამსახური რომ არა —ციხის კომენდანტის მხრივ მის მიმართ გაწეული მფარველობა არჩილს აიძულებდა, შორს დაეჭირა თავი ყოველგვარი იატაკქვეშა საქმიანობისაგან.

ეს პასაჟი ამ მინიშნებას რომ არა გულისხმობდეს, რა აუცილებელი იქნებოდა ან გიორგი ყაზბეგის მოხსენიება სახელდებით, ანდა მისი პროფესიისა, მაშინ როდესაც არც არჩილის მამის სახელია ნახსენები და არც მისი ძმისა, დედასა და ტრაგიკულად აღსრულებულ დებზე რომ აღარაფერი ითქვას.

ავტობიოგრაფიული ჩანაწერი ისე გვაცნობს არჩილ ჯორჯაძის შემოტრიალებას საქართველოსა და მშობლიური ფესვებისაკენ, თითქოს ეს ყოველივე თედო სახოკიასაგან სრულიად დაფარულად და დამოუკიდებლად მომხდარიყოს და, იმას რომ ეგონა, მორჩა, ეს კაცი, სხვა, მისი მოდას აყოლილი თანატოლებივით, საბოლოოდაა მოწყვეტილი ქართულ ფიზიონომიას და

ყველასა და ყველაფერს რუსული მსოფლ-ხედვით ზომავს და აფასებსო, უეცრად ეს ფესვებგადაჭრილი მოყვასი ამ თხოვნით უნდა გამოსცხადებოდა: „ცნობის ფურცლისათვის“ სტატია მაქვს დაწერილი რუსულ ენაზე, ოლონდ ეროვნულ კითხვაზე, და იქნებ შენ მითარგმნო ტფილისში გასაგზავნადო.

თანაც, თხოვნა მხოლოდ ამ ერთი სტატიის გაქართულებას კი არ კმარობდა, არამედ წერილების მთელი რიგი ჩაეფიქრებინა არჩილს, რათა საქართველოში დაბრუნებამდე, წინასწარვე გაეცნო თავი მკითხველისათვის.

ქართული ენა თითქმის რომ დავიწყებოდა, რასაკვირველია, ასეთ განზრახვას ვერც შებედავდა აღსასრულებლად, გვერდით თედო სახოკია რომ არ დაეგულებინა, ვინც საუკეთესო თანამდგომად უნდა აღმოსჩენოდა სულიერი გარდატეხის ჟამს.

ესეიში მთლად ასე მოულოდნელიც არა ჩანს არჩილის ეს სურვილი, რაკიღა ავტორი გვამცნობს, რომ მთელი წელიწადნახევარი, რაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ და ხშირი შეხვედრებიც აქვთ, არჩილ ჯორჯაძე დიდ სულიერ ბრძოლას განიცდის, ვიდრე 1901 წლის შემოდგომის ერთ საღამოს აღსარებასავით გაუმხელდეს ამ ჩანაფიქრს თედოს: მომბეზრდა ამდენი უგზო-უკვლოდ და, გნებავს, უმიზნოდ ცხოვრება, გადავწყვიტე, სამშობლოში დავბრუნდეო.

დაბრუნების მერცხლებად კი სტატიების გამზადებაზე უკეთესი რა უნდა ყოფილიყო!

— ქართულად წერა რომ არ იცი, ჩემო არჩილ?

თედოს სიტყვებში ერთმანეთს შეერწყმოდა უზომო გაოცება და არანაკლებ უზომო სიხარული, რაკიღა არჩილ ჯორჯაძე იმთავითვე დიდ ძალად, რჩეულ პიროვნებად ეწამა და, თუ ვინმეზე სწყდებოდა გული, სწორედ მასზე: ეჰ, ეს რომ შეებმოდეს საქართველოს ბედ-იღბლის უღელში, ამ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო.

და ყურებს გუგუნი რომ გაუდიოდა მღელვარებისაგან, სადღაც შორიდან მოესმოდა არჩილის რაღაც უჩვეულო მადლით გასხივოსნებული სიტყვები:

— მართალია, მაგრამ ერთი-ორჯერ შენ მათარგმნინე რუსულიდან, ერთი-ორჯერაც ჩემი ქართული გამისწორე, და მერე ვნახოთ.

საკუთარი თავისა ეიმედებოდა არჩილს, რომ ენასაც აღიდგენდა და არც სტილური დახვეწილობითა და ექსპრესიით ჩამოუვარდებოდა ვინმეს; მთავარია, რომ ქართული ენის ეს საუკეთესო მცოდნე ჰყავდა გვერდით, პედაგოგიური უნარითაც დაჯილდოებული, და მშობლიური ენის წიაღში დაბრუნების პროცესი არამარტო წარმატებული იქნებოდა, არამედ სწრაფადაც მოხდებოდა და, შესაძლოა, ერთი თვის თავზე გაკვირვება ვეღარც დაეფარა: ნუთუ სულ ცოტა ხნის წინათ ქართულად სიტყვის გადაბმასაც ვერ ვახერხებდი, ახლა მთლად წერაც აღარ მიძნელდებაო!..

დიახ, მოულოდნელი არა ჩანს ესეიში არჩილის ეს სურვილი, მაგრამ არც ისაა აღნიშნული, თუნდაც გაკვრით, რომ თედოს რაიმე მონაწილეობა მიეღოს ქართველთათვის ამ ზურგშექცეული ადამიანის სულიერ ბრძოლასა და სრულ მეტამორფოზაში. თითქოს მთელი ეს სულიერი ჭიდილი მარტოდმარტოს აღესრულებინოს არჩილ ჯორჯაძეს, თედოსაგან თუნდ ხელის ოდნავი ნაკვრის გარეშეც, და ტოლსტოური იდეა-წარმოდგენებისაგან ჯერაც რომ ვერ გათავისუფლებულიყო და პარიზში ჩამოსული აქეთ-იქით აწყდებოდა საკუთარი მსოფლხედვის ჩამოსაყალიბებლად, თავისით და მხოლოდ თავისით ეპოვნა გზა ჭეშმარიტებისაკენ ლამის დაკარგული ეროვნული ფესვების აღსადგენად.

არჩილ ჯორჯაძეს არ დასცალდებოდა ავტობიოგრაფიული თხზულების შექმნა, არამცთუ მხატვრულ-დოკუმენტური რომანისა, არამედ მოკლე მონახაზისაც,თორემ ვრცელი თხრობისა ხომ თავისთავად და გარდუვალად, და მოკლე მონახაზშიც სახიერად ამოიზრდებოდა თედო სახოკიას მონუმენტური სახება, როგორც ღვთით მოვლენილი მეგზურისა და მოციქულის არჩილ ჯორჯაძის სულის სახსნელად, მისი შინაგანი რყევების გასამძაფრებლად და იმ გზაზე მისანიშნებლად, სადაც არჩილს საკუთარი თავიც უნდა ეპოვნა და საკუთარი მისიაც სრულყოფილად გაეცნობიერებინა: ერთიანი ნიადაგის თეორიით საზოგადოებ-

რივ-პოლიტიკური სამოქმედო პროგრამა რომ უნდა შეეთავაზებინა არამარტო თანამედროვე ქართველთათვის, არამედ ყველა იმ თაობისათვის, საქართველოს სახელმწიფოსათვის ვინც იზრუნებდა — საკაცობრიო სივრცეში მის დასადგინებლად, მოსაღონიერებლად და წარმატებული წინსვლისათვის.

ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკურ მოძღვრებაზე რომ დააფუძნებდა საკუთარ ნააზრევს, სწორედ ასეთ სივრცეში უნდა გაჭრილიყო, თორემ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას რომ უნდა ჩასდგომოდა სათავეში და ევროპაშიც გაეხმიანებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ქართულ პუბლიცისტურ და ესეისტურ აზროვნებაზედაც დიდი ზეგავლენა მოეხდინა და XIX საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული სურათი ერთ მთლიანობაში წარმოესახა, ეს ყოველივე ხომ თავისთავად...

დიდია ღვაწლი ამ სულიერი და გონებრივი სიმაღლის კაცისა!..

და რამხელაა ღვაწლი იმ პიროვნების, ვინც ამხელა შესაძლებლობების კაცი დაბნეულ აზროვნებას უნდა გამოსტაცოს, განყენებულ, აბსტრაქტულ, სულაც ყალბ იდეათა ტყვეობას გამოჰგლიჯოს და საკუთარი მისიის აღმსრულებლად დააბრუნოს.

უზომო თავმდაბლობა შეუშლიდა ხელს თედო სახოკიას, ეს ყოველივე წარმოესახა ისე, სინამდვილეში როგორც იყო, და მთელი თავისი მონდომება და არჩილის სიჯიუტესთან შეხლილი ძალ-ღონე სადღაც მიეჩქმალა, რათა მკითხველისათვის მარტოდენ ამ გარჯისა და ძალდატანების სასიკეთო ნაყოფი ეცნობებინა.

არჩილ ჯორჯაძეს ნაადრევი აღსასრული შეუშლიდა ხელს ამ ამბების მოსათხრობად.

თუმც ჩვენით ხომ შეგვიძლია აღვადგინოთ ზოგადი სურათიც და ცალკეული ნიუანსებიც ამ ორი პიროვნების ხშირი შეხვედრისა და საუბრისა,თედო ყოველთვის იქით რომ წარმართავდა, ფესვებგადაჭრილი კაცის ცხოვრება არასრულფასოვანი ცხოვრებაა, უგზო-უკვლო და უაზრო, რასაც მარტოდენ მაშინ გააცნობიერებს, თორემ მაცთურ შეხედულებათაგან თავს დაიხსნის და ყოველივეს დაუბინდავი მზერით შეხედავსო.

ჯიუტი და თავისნათქვამა გახლდათ არჩილ ჯორჯაძე?

თედო სახოკია რა, ნაკლებ ჯიუტი და თავისნათქვამა იყო? თანაც, ფსიქოლოგიური ალღოთი მიაკვლევდა არჩილის ლაპარაკში იმ იმედ-გაცრუებას, რაც ინგლისის ტოლსტოურ ახალშენში დასჩნეოდა მის სულს, და ვიდრე ეს განცდა ჯერაც ცხელი იყო, თედოს ეს მარჯვე შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაეშვა და სწორედ აქ მიეტანა და მიეტანა ზედიზედ იერიში. ძარღვი კი მისი მტკიცებისა უსათუოდ ის იქნებოდა, რომ ახალშენური მარცხი ტოლსტოური გზიდან მიმდევართ გადახვევას კი არ გამოეწვია, არამედ თვითონ ეს გზა მოასწავებდა გარდუვალ კრახს; ეგაა, მიმდევართა ხელში აღსრულდა და დადასტურდა ტოლსტოიზმის ბუნდოვანება, ხელოვნურობა, შინაგანი საყრდენის უქონლობა. და კიდევ კარგი, არჩილი დროულად რომ გამორიდებოდა ამ ილუზიებს, ვიდრე ძალ-ღონე შესწევდა, ჭეშმარიტების გზით ევლო, თორემ მერე ენახა სინანული და სიმწარე, თუკი ისეთ დროს გააცნობიერებდა ყოველივე ამას, ადამიანური ცხოვრებით ცხოვრების თავი რომ აღარც ექნებოდა.

რაო, გზა ჭეშმარიტებისა ეროვნულ განცდასა და მრწამსზე გადიოდა?

და ამას ვინ უმტკიცებდა და ეჩიჩინებოდა არჩილს, ეს მრავალმხრივ განათლებული და თანადროული აზროვნების გულისგულში მოტრიალე კაცი, თედო სახოკიად გამოცხადებული, ვინც სულაც არ ჩაკეტილიყო საქართველოს საზღვრებში და აგერ ევროპაში რაოდენ თავისუფლად გადი-გამოდიოდა?

ეროვნული ენერგიის იმედი როგორ შეიძლება გქონოდა, როდესაც ეს მსოფლხედვა უკვე წარსულს ჩაჰბარებოდა, საქართველოს პოლიტიკური კალოც გალეწილიყო და რაღაც ქიმერულ სამშობლოსა და მშობლიურ ხალხზე ზრუნვა მოცლილ ადამიანებს უნდა გადაჰბარებოდათ, თორემ ნამდვილი საქმის მოწადინენი ამ ფუჭი ოცნებებისათვის რატომღა უნდა მოცდენილიყვნენ?

არადა, ეს თედო მოცლილს არაფრით არა ჰგავდა და არც ამაო ფიქრისა თუ საზრუნავისათვის შეიწუხებდა თავს.

მაშ რა დამართოდა?!.

თუმც თავისი საქმისა დაე თვითონ სცოდნოდა, არჩილი ვერ აჰყვებოდა ფუჭ ოცნებებში, სხვა მხრივ რაოდენ სასიამოვნო და კეთილისმყოფელიც უნდა ყოფილიყო მასთან საუბარი, მოუბეზრებელი, მოუწყინარი...

სულერთია, ბოლოს მაინც აქ უნდა მოხვიდე და გიჯობს დროულად ჩაუკვირდე შენი ქვეყნის მომავალს და ბედისწერასო, — უკვე რისკავდა და ძალიანაც რისკავდა თედო, რადგანაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ თანამოსაუბრეს ნერვები უმტყუნებდა და სამუდამოდაც დაემდურებოდნენ ერთიმეორეს.

სად უნდა მოვიდე, გალეწილ კალოზე რა დამრჩენია, ლაფში ჩაფლული ურმის ამომზიდავიც არა ვარ და ტყუილუბრალოდ დრო რატომ უნდა დავკარგო, აგერ ტოლსტოი და მისი მოძღვრება, მერე რა, რომ რაღაც-რაღაც ეჭვები გამჩენია, მაინც მოვერევი ამ ეჭვებს, გადავლახავ შინაგან ყოყმანს და დავუბრუნდები იმ ახალშენს, ამქვეყნიური სამოთხის მოდელი რომ არისო, — როგორ გინდოდა ამ რწმენისაგან საბოლოოდ გამოგეგლიჯა არჩილ ჯორჯაძე?!

სულერთია, ბოლოს მაინც აქ...

ჰა, ჰა, ჰა, ჰა, გალეწილ კალოზე?..

ბოლოს მაინც...

გალეწილზე?.. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

და აი:

მომბეზრდა ამდენი უგზო-უკვლო, უმიზნო ცხოვრება, გადავწყვიტე სამშობლოში დავბრუნდეო...

დიდ სულიერ რყევებსა და ბრძოლაში, ღვთის განგებით, ყველაზე სანდო და თავზეხელაღებული მოციქული დამგზავრებოდა და რატომაც არ გამოაღწევდა მშვიდობიანად, თითქოს ხელახლა შობილი ამირანი იყო, გველეშაპის გამოფატვრის წყალობით სამზეოზე გამოღწეული... გოჭს რომ ჰგავდა ხუხალასა.

ვინა თქვა, თითქოს მხოლოდ მითოსური და ეპიკური გმირები იბადებოდნენ ხელმეორედ?! ყოველ შემთხვევაში, თვალდათვალ რომ ჩანდეს დაბადების პროცესი.

აჰა, ყოფითი რეალობა და... არჩილ ჯორჯაძე, საქართველოსათვის თითქოს სამუდამოდ დაკარგული, ხელისგულზე რომ

გვიძევს მისი ხელმეორე შობის პროცესი, როგორც უნდა ეცადოს ამ პროცესის მიფარვას თედო სახოკია და მშობლიურ წიაღში ამ პიროვნების დაბრუნება სასწაულსა და წამიერ გარდასახვას მიაწეროს.

სასწაულის ტოლფასი გახლდათ მართლაც ეს სრული შემოტრიალება, წამიერი გარდასახვისა კი რა მოგახსენოთ, რადგანაც ამ პროცესისათვის მზერის მიდევნებისას ისე კანთიელად ელავს თედო სახოკიას ოფლისა და სისხლის წვეთები.

ერთი-ორჯერ შენ მათარგმნინე რუსულიდანო...

არც არჩილს უგულისხმია და არც თედო მოინდომებდა, რომ თავისთვის დამჯდარიყო განმარტოებით და ავტორისათვის გამზადებული ქართული ორეული ჩაებარებინა. აუცილებლად ერთად უნდა დამსხდარიყვნენ და თედოს სათითაოდ შეეხსენებინა არჩილისათვის თვითეული სიტყვის მნიშვნელობაც, სინონიმებიც, და ფრაზის გამართვისთვისაც შეეჩვია; ემეორებინა და ემეორებინა ქართულად არჩილის პუბლიცისტური ნააზრევი და მისთვის გაემეორებინებინა.

— პირველად ძალიან გვიჭირდა...

ასე ითარგმნებოდა ერთი წერილი, მეორე... ასე გავიდოდა ერთი კვირა, მეორე... თედო აწ უკვე მომზადებულად მიიჩნევდა არჩილს საიმისოდ, რომ დაუხმარებლადაც გაემართა სტატია ქართულ ენაზე. ის არა ყაბულდებოდა: ჯერ ვერ შევძლებ, ეგებ კიდევ წამეხმაროო, — მაგრამ თედო შორს დაიჭერდა და აიძულებდა, სწორედაც აიძულებდა, რომ პირდაპირ ქართულად დაეწერა. ჩასწორება უეჭველად დასჭირდებოდა მის ამ პირველ ცდებს? თედო რა, კვლავაც მის გვერდით არ იყო და შალაშინის გაკვრას დაამადლებდა?! ჯერ მკვეთრ შალაშინს, მერე უკვე მსუბუქსა და მსუბუქს და... აჰა, კიდეც უნდა ჩასვლოდათ პარიზში „ცნობის ფურცლის" ნომრები, სადაც არჩილ ჯორჯაძე ერთბაშად მოვლენოდა ქვეყანას მეტად საიმედო პუბლიცისტად.

არჩილ ჯორჯაძე საქართველოში რომ გამოემგზავრებოდა, მასთან ერთად დაადგებოდა პარიზიდან გზას გიორგი დეკანოზიშვილიც, ვინც თედოს, სხვათა შორის, იმავე 1891 წელს გაეცნო, არჩილ ჯორჯაძე როდესაც გამოჩნდებოდა მის თვალ-

თახედვაში. გიორგი იმჟამად პეტროგრადის სამთამადნო ინსტიტუტის სტუდენტი გახლდათ — დაბალი, სუსტი აგებულებისა და სუსტივე ხმის პატრონი, მაგრამ ლამაზი და ჭკვიანური თვალები ამშვენებდა, და ეს მიგახვედრებდათ, სხვა ყოფითობიდან ამოვარდნილი კაცი რომ იდგა შენს წინაშე,

ინსტიტუტში იგი მეთაურობდა კავკასიელ სტუდენტთა იმ წრეს, რომელიც ცდილობდა, თავისი ხალხისათვის მიეწოდებინა ადვილად საკითხავი იაფფასიანი წიგნები მშობლიურ ენაზე. პირველ დასაბეჭდ წიგნად ქართულ ენაზე გიორგი პეტროგრადიდან ჩამოიტანდა სამხედრო საექიმო აკადემიის სტუდენტის — ივანე თიკანაძის (შემდგომ ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორი რომ უნდა გამხდარიყო) წიგნაკს სოლიტერზე; და თედოზე იმთავითვე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა გიორგის გატაცებული ლაპარაკი, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანას შეძლებდნენ სტუდენტები სიბნელეში მყოფ ჩვენს ხალხში ასეთი მდაბიურად დაწერილი წიგნების გავრცელებით.

მაძიებელი გონების კაცი რომ იყო, იმითაც გამჟღავნდებოდა, ტფილისის რეალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში რომ გააგრძელებდა სწავლას, მერე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში გადაინაცვლებდა და როდის-როდის მიადგებოდა მისთვის ყველაზე სასურველ სამთამადნო ინსტიტუტს, რომლის დამთავრებისთანავე საქართველოს მოაშურებდა, რაკიღა მტკიცედ გადაეწყვიტა, რაც უნდა მცირეჯამაგირიანი სამსახური ვიშოვნო, მაინც ჩემს სამშობლოში უნდა დავრჩე, მის საზღვრებს არ გადავცდე და ჩემს ხალხს გამოვადგე როგორც სპეციალური ცოდნით, ისე ზოგადი განათლებითა და ენერგიითო.

რაოდენ დაშორიშორებულა, არა, არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის ინტერესები და მისწრაფებანი, ფიქრი და ცხოვრების სტილი?

ერთს საქართველოს გარდა არსად სურს ცხოვრება.

მეორე ყველგან იცხოვრებს, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეკუნჭულში, ოღონდაც მშობლიურად მისჯილ მიწა-წყალს არ გაეკაროს.

ერთი ქართული ენის სრულყოფილ შეთვისებას მიელტვის.

მეორეს არაფრად უღირს მისი ცოდნა და არც ნაღვლობს, როდესაც ატყობს, მავიწყდებაო.

ერთი ხალხოსანივით ცდილობს საზოგადოების დაბალ ფენაშიც განათლების შეტანას.

მეორე არც დაბალ ფენას აგდებს არაფრად და არც წარჩინებულთ.

და როგორი წარმოსადგენია, რომ დადგება დრო, როდესაც ეს ორნი განუყრელად შეებმიან ერთსა და იმავე ეროვნულ საქმეებს და უიმათოდ მნიშვნელოვანი აღარც აღარაფერი მოხდება ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

და ეს განუყრელობა კი თედო სახოკიას წყალობაა, მათ შორის რომ ჩადგებოდა, ერთმანეთთანაც შეადუღაბებდა და თვითონაც თხემით ტერფამდე გადაეშვებოდა ყველა იმ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ჟურნალისტურ თუ საგანმანათლებლო წამოწყებაში, ეს ორნი რომ უმეთაურებდნენ და ღირსეულადაც უნდა დასჩნეოდა საუკუნის დამდეგს.

გიორგი დეკანოზიშვილის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოჩენისას კი საგანებოდ მოიხმობდა იმ ბიოგრაფიულ დეტალს, რომ საქართველოში გიორგის დაბრუნება და ჩვენს მიწა-წყალზე ხოლერის გაჩენა ერთი იქნებოდა. ჩვენი ინტელიგენცია რამდენიმე რაზმს შეადგენდა სოფლის მცხოვრებთა მისაშველებლად და ერთ ასეთ რაზმში, რომელიც ქართლს უნდა მიშველებოდა, გიორგიც ჩაეწერებოდა და შეებრძოლებოდა ხოლერას, რომელსაც შიშის ზარი დაეცა ჩვენი ქვეყნისათვის. მთელი არსებით რომ მიეცემოდა ამ საქმეს, ეს მართლაც სხვათა მშველელი რაინდი თვითონ დასნეულდებოდა ხოლერით და დიდი წვალებით გადაარჩენდნენ ამხანაგები.

და კიდეც მიიწვევდა შავი ქვის მრეწველი ნიკო ღოღობერიძე დაბა ზესტაფონში ჭიათურის შავი ქვის მადნების გამგედ. იქაურები ჯერაც პრიმიტიულად, შინაურულად რომ აწარმოებდნენ ამ ძვირფას მადანს, სწორედ ნიკო ღოღობერიძეს ეყოლებოდა ერთი სპეციალისტი, ვინც ცოტაოდენ რაციონალური წესით მუშაობდა. და აი, გიორგი დეკანოზიშვილიც რომ გამოჩ-

ნდებოდა ინჟინრის ადგილზე და თვიურ ჯამაგირად თოთხმეტი თუმანი დაენიშნებოდა, იგი თავისი ჯამაგირის ნახევარს ხელმოკლე ამხანაგ-სტუდენტებს გაუგზავნიდა.

ასეთი მრავალმხრივი კაცი მარტოდენ ინჟინრობას რომ არ იკმარებდა, ესეც ადვილი მისახვედრია, და ბიოგრაფიული ცნობები მხოლოდ ადასტურებს ჩვენს ვარაუდს — თუ რაიმე ხდება სასიკეთო იმ მხარის სკოლების, სამკითხველოებისა და თეატრალურ ყოფაში, ყველგან იგია ჩარეული, და ისიც ნიშანდობლივია, რომ სწორედ გიორგი დეკანოზიშვილმა უნდა დაწეროს ქართულ ენაზე პირველი გამოკვლევა შავი ქვისა საერთოდ და კერძოდ — ჭიათურის შავი ქვის შესახებ.

ჭიათურიდან ბაქოში რომ გადაინაცვლებდა, ნობელის ნავთის მრეწველობაში, 1897 წლიდან იქაურობას თავს დაანებებდა და გაემგზავრებოდა ევროპაში — ეს იტალიაო, ეს ინგლისიო, ეს გერმანიაო, ეს საფრანგეთიო, ოღონდ სპეციალური და ზოგადი ცოდნის შესავსებად, რათა ეს ყოველივე ისევ თავისი ქვეყნისათვის მოეხმარებინა. ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებსაც მიამატებდა სრულყოფილად შესწავლილ რუსულ ენას, ოღონდ ეს ყოველივე ისე მოხდებოდა, რომ არაფერი, სრულიად არაფერი მოაკლდებოდა ქართულის ცოდნას, თორემ ან თედო და ან სხვა მემუარისტი რაღაცას გვამცნობდა ამის თაობაზე, ხელახლა მოუხდა მშობლიური ენის აღდგენაო.

1901 წელს არჩილთან ერთად რომ ჩამოვიდოდა საქართველოში, ისე რა გააჩერებდა, რომ ჩვეული გულმხურვალებით არ ჩაბმულიყო დრამატული საზოგადოებისა თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, ანდა უარი ეთქვა, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებას რომ შესთავაზებდა, სახელდობრ ბრაზილიაში — იქაური შავი ქვის წარმოებისა და ბაზრის შესასწავლად. ეს მისია მეტად წარმატებული რომ აღმოჩნდებოდა, დაადასტურებდა გიორგი დეკანოზიშვილის კაპიტალური შრომაც შავი ქვის შესახებ, მრეწველთა საბჭოს მიერ რუსულ ენაზე გამოცემული.

არჩილი პუბლიცისტურ საქმიანობასაც გააგრძელებდა და პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც უშუალოდ ჩაებმოდა, რათა სა-

ზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენილიყო ახალი ორგანიზებული ძალა, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა მესამედასელებს, თორემ სოხუმში დაფუძნებული ქართული პარტია არამცთუ ვერ მომძლავრებულიყო, ძიებას გადასცემოდა მათი საქმე და თედო სახოკიას საზღვარგარეთ გაქცევით ეშველა თავისათვის, სხვანიც რომ მიმოფანტულიყვნენ, 60-იანი წლების მოღვაწეებს კი ჯერაც ვერ აეღოთ ალღო ეროვნული პარტიის დაარსების აუცილებლობისათვის და... ბურთი და მოედანი რჩებოდათ ნოე ჟორდანიასა და მის მომხრეებს, რომ შემართულიყვნენ ილია ჭავჭავაძის გასანადგურებლად და ეროვნული იდეალების დასამხობად, და არ ჩანდა ორგანიზებული ძალა, მათ რომ გზას ჩაუხერგავდათ.

ახალი პარტიაც ფუძნდებოდა „ცნობის ფურცლის" რედაქციის ირგვლივ და იმ ზნეობრივი აქციის შემსწრენი უნდა გამხდარიყვნენ თანამედროვენიცა და შთამომავალნიც, რომ გიორგი ლასხიშვილი, ვინც იგულისხმებოდა მომავალი პარტიის უდავო წინამძღოლად, ნებაყოფლობით დაუთმობდა ლიდერის ადგილს არჩილ ჯორჯაძეს, როგორც უფრო შესაფერისს ორგანიზატორული უნარითაც და ჟურნალისტური ნიჭითაც, ღრმა თეორიული ნააზრევითაც რომ განამტკიცებდა სოციალისტ-ფედერალისტთა სიცოცხლისუნარიანობასაც და ბრძოლის ჟინსაც. დაუთმობდა წინამძღოლობას და თვითონ გვერდით ამოუდგებოდა, რათა ენერგიულად შეეშველებინა ხელი პროცესთა უკეთ წარმართვისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დროისა და ვითარებისათვის შესაფერის გადაწყვეტილებას მიიღებდა პარტიული ორგანოს გამოცემის შესახებ, ოღონდ აუცილებელი იყო იგი გამოეცათ ევროპაში, კერძოდ საფრანგეთის დედაქალაქში, რაკიღა ხელისუფლება აქ გასაქანს არ მისცემდა, და ამასთან, ევროპას უნდა გაეგონა ხმა, რომ რუსეთის სამხრეთ პროვინციად ნაგულისხმები მხარე თავს სულ სხვა მოდგმად და ერად აცხადებდა და ესწრაფოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, პირველ ეტაპზე ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებისაც რომ ყაბულს იყო, ოღონდ შემდგომ კი... შემდგომ...

და ვინ შეიძლებოდა შეერჩიათ განზრახული გაზეთის — „საქართველო“ — რედაქტორად, თუ არა არჩილ ჯორჯაძე?

და ვინ შეიძლებოდა შეერჩიათ მის დამაარსებლად და გამძღოლად, თუ არა გიორგი დეკანოზიშვილი?

და ესენი წინასწარვე რომ ივარაუდებდნენ, ვინ შეიძლებოდა ამოეყენებინათ გვერდით პარიზში მყოფ ქართველთაგან, უპირველეს ყოვლისა, თედო სახოკიას იმედად ჩაუდგებოდნენ ამ სასიცოცხლო საქმეს სათავეში, არჩილი უკვე რომ გაემგზავრებოდა საფრანგეთში, გიორგი კი ჯერ წრეებს ჩამოაყალიბებდა ტფილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ის კი არა, ბაქოშიც, რათა უზრუნველეყო საჭირო თანხის მოგროვება ყოველთვიურად.

თედო სახოკიას ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში გაკვრითაა მოხსენიებული მისი შემატება და ძალდაუტანებლად ჩადგომა მესვეურთა შორის:

— ამავე საქმისათვის, სრულიად ბუნებრივად და მექანიკურად, მეც შევუერთდი მესამედ.

რაოდენ ბევრის დამტევია ეს გამოთქმა, თედოს პიროვნული ხასიათის პატრონის მიერ აღბეჭდილი: სრულიად ბუნებრივად და მექანიკურადო...

ის კი არა, ისეთი ვითარებაც შეიძლება შექმნილიყო, რომ თედო სახოკიას მარტოდმარტოსაც გაეწია „საქართველოს“ ახალი ნომრის მომზადების ჭაპანი.

გიორგი დეკანოზიშვილი კი, პარიზში ჩავიდოდა თუ არა, მაშინვე მოძებნიდა ერთ ცნობილ ასოთამწყობს და ჩამოასხმევინებდა ქართულ ასოებს, და ეს შრიფტი, რომელსაც „პარიზული“ ეწოდებოდა, არსებულ შრიფტთაგან დიდად განირჩეოდა გარეგნული სილამაზითაც, ხვავიანობითაც და ჩამტეობითაც.

ამ ეპითეტებს — ლამაზს, ხვავიანსა და ჩამტევს — თედო სახოკია ავტობიოგრაფიულ ჩანაწერშიც მოიხმობს და გიორგი დეკანოზიშვილისადმი მიძღვნილ ესეიშიც, და თვალნათლივ გრძნობ, რარიგ ეფერება და ეალერსება ამ ახალ შრიფტს, თითქოს ცოცხალი არსება იყოს, გრძნობს თვითეული ასოს ყოველ ნიუანსს, აფასებს ასოთამწყობის ხელოვნებას და უმადლის გი-

ორგისა და არჩილს, რაკიღა მათი თავგამოდებით მოხერხდა ამ იშვიათი შრიფტის შექმნა. და „პარიზულად“ რომ მოიხსენიებს, ამით ისიც და „საქართველოს“ ის ორი თაოსანიც პატივს მიაგებდა ცნობილი მესტამბის — სტეფანე მელიქიშვილის ღვაწლს, XIX საუკუნის 70-იან წლებში ვენაში რომ ჩამოასხამდა ქართულ შრიფტს და დაარქმევდა „ვენურს“, დიდხანს და წარმატებით რომ გამოიყენებდნენ ქართულ პოლიგრაფიაში.

პარიზში გამოცემა გაზეთისა იმთავითვე გულისხმობდა, რომ ყოველი ქართული ნომრის ორეულიც უნდა გამოსულიყო ფრანგულ ენაზე, და აი, 1903 წლის აპრილში ორივე ვერსია — ქართულიც და ფრანგულიც — ერთდროულად იხილავდა მზის სინათლეს და ქართული კოლონია საერთო ნადიმით აღნიშნავდა უცხოეთში არალეგალური ქართული ორგანოს პირველ გამოსვლას.

პარიზში ოც კაცზე მეტი იმყოფებოდა მოსწავლე ქართველობა და თედო საგანგებოდ გაიხსენებს, რომ მესამედასელი, როგორც მაშინ ეძახდნენ სოციალ-დემოკრატებს, არცერთი არ ერიათ. იმათ ბუდედ აკი ჟენევა ითვლებოდა, შვეიცარიას შეჰფარებოდნენ, ხოლო პარიზი, როგორც უფრო არისტოკრატული ქალაქი, „ბურჟუების“, ანუ სოციალისტ-ფედერალისტებისათვის დაეთმოთ.

— დაბეჭდვა ადვილი იყო გაზეთისა, მაგრამ საქმე ამ გაზეთის გამოგზავნა გახლდათ.

იოლი, ცხადია, არც დაბეჭდვა ყოფილა, მაგრამ თედო სახოკიას ეს სიტყვები მოწმობს, რაოდენ დიდი სირთულის წინაშე დადგნენ, გამზადებული ნომრების შემოპარებისათვის რომ გაემზადნენ. წინასწარ განა არა ჰქონდათ გზები ნავარაუდები — საზღვაოც და სახმელეთოც, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ ამხელა მანძილის უხიფათოდ გამოვლაში, გარდა მოხერხებულობის, საზრიანობის, გაბედულებისა თუ გონებამახვილობისა, იღბალიც ძალიან უნდა შემოგშველებოდა, თორემ ზოგიერთი ეპიზოდი შემდგომ კომიკურად რომ გაგახსენდებოდა და ძალიანაც გაგახალისებდა, შესაძლოა, საკმაოდ დრამატულად შემოგტრიალებოდა.

საზღვაო გზა ნიშნავდა მარსელიდან გემზე მოსამსახურეთა შემწეობით გადმოზიდვას ბათუმში.

სახმელეთო გზა — გვადრუცების, ანუ ჩემოდნების გამოტანებას პარიზიდან სამშობლოში მომავალი ყოველი ქართველისათვის, კაცი იქნებოდა თუ ქალი, გვადრუცის ძირს კი ისე ავსებდნენ, რომ თვალით არც კი ჩანდა, შიგ თუ იყო რაიმე.

პირველი ნომრის წამოღებას თედო იკისრებდა, მაინც უწევდა სამშობლოში დაბრუნება და, რომც არა ჰქონოდა აქ საქმე, სხვას ნაკლებ ანდობდნენ გზის გაკვალვას — თვითონაც და გამოცემის თაოსანნიც.

მაისში მარსელიდან დაადგებოდა გზას, აქ წამოსაღებ და გასავრცელებელ ტირაჟს ერთ მეზღვაურს რომ ჩააბარებდა თითქმის მთლიანად, ის... ბათუმში შედრკებოდა, ვერ მოახერხებდა ნაპირზე გადაეტანა ის ცალები და... უკანვე წაიღებდა მარსელში, და იძულებული შეიქნებოდნენ, რომ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარ კომიტეტში დასჯერებოდნენ იმ რამდენიმე ნომერს, რომელსაც ჯიბით ჩამოიტანდნენ თედო და მისი თანამგზავრი ფრანგები.

ეს შემთხვევა გაკვეთილად გამოადგებოდა, რომ ნაპირზე ტირაჟის გადმოზიდვა უკვე ძალზე სანდო და გაბედული კაცისათვის უნდა მიენდო, ოღონდ, ვიდრე ასეთ კაცს გამოძებნიდა, მარცხი სასწრაფოდ უნდა გამოსწორებულიყო და თვითონვე უნდა ეთავა ეს აქცია, რომელსაც პრაქტიკულზე არანაკლებად და ეგებ უფრო მეტადაც მორალური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დაბრკოლება მალე და მარჯვედ უნდა გადალახულიყო, ტირაჟი სრულიად უხიფათოდ და უკლებლივ უნდა ჩამოეტანა გემიდან.

და თედო სახოკია ისეთ მახვილგონივრულ ხერხს გამოძებნიდა და ისეთი არტისტიზმითაც შეასრულებდა განზრახვას, ეტყობა, მიხეილ ჯავახიშვილმა არ იცოდა ეს ეპიზოდი, თორემ ხელიდან როგორ გაუშვებდა — პირდაპირვე შეიტანდა „კვაჭი კვაჭანტირაძეში" და კვაჭურ ოინთა შორის ერთ-ერთ გამომსახველად აქცევდა, ისევე როგორც თავისი ვითომდა მუნჯობის ამბავი — უეჭველი დაპატიმრებისაგან რომ იხსნა ამ ხერხმა — ამ რომანის მთავარ გმირს მიაწერა.

ოღონდ მანამდე ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოა ჩასაწერი, მისთვის ჩვეული ორატორული ხელოვნებით რომ უნდა წარმოეთქვა სოხუმში მის პატივსაცემად გაშლილ სუფრაზე და იმ პოლიტიკური მუხტით განემსჭვალა, იმ ეროვნული სულით აღევსო, სიყრმიდანვე რომ აჰყოლოდა და მის იქით საკუთარ არსებობას ველარც ხედავდა.

სოხუმის მკვიდრი ქართველობა განსაკუთრებით რომ იჩაგრებოდა იმპერიული რეჟიმისაგან, რაკიღა ადმინისტრაციაში დიდი ადგილები სულ შავრაზმელებს ეჭირათ — სასულიერო უწყებაც და სასწავლებელთა უფროსობაც სულ მათ ეპყრათ, თედოც და სხვა ყველაც ამჩნევდა, რარიგ აღივსებოდნენ ხოლმე ამ მწარე დღეში ჩავარდნილი ქართველები სიხარულით, ესა თუ ის წარჩინებული ქართველი შემთხვევითაც თუ შეივლიდა გზად სოხუმში.

თავს გამოიდებდნენ:

— აი, რა კაცები ჰყავს ჩვენს სამშობლოს!..

და გულში ათასნაირი იმედი ესახებოდათ.

თედო მთელ ეპოქად მოიხსენიებს აქაურ ცხოვრებაში ალექსანდრე ხახანაშვილის შემოვლას თავის ნათესავთა — გოგრიჩიძეების — სანახავად!.. ერთხელ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი მოიყვანდა ქართველ სტუდენტობას და კიდეც აღაფრთოვანებდა სოხუმელებს.

ერთხელ — ერთადერთხელ — გამოჩნდებოდა ნიკო ნიკოლაძე და იქაურებს საამაყოდ და დაუსრულებელ სალაპარაკოდ დაურჩებოდათ.

ერთი ჩამოსვლა რაღაა?!.

რატომ რაღა, როცა თუნდ აკაკი წერეთელი ისე გარდაიცვლებოდა, სოხუმში არც მოხვდებოდა.

ილია ჭავჭავაძე კი მოასწრებდა იქ ჩასვლას — ტრაგიკულ აღსასრულამდე ოთხი წლით ადრე, ამდენ ხანს კი — ვერა.

1903 წელს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას ერთ-ერთ სხდომაზე ლაპარაკი ექნებოდა იმ ამაგზეც, რომელსაც პრინცი პეტრე ოლდენბურგი დასდებდა აფხაზეთის მხარეს — გაგრის კურორტის დაარსებით, იქვე რეალური სასწავლებლის გახსნითა და საერთოდ ამ კუთხის გამოცოცხლებით.

მადლობის გამოსაცხადებლად აირჩეოდა დეპუტაცია — ილია ჭავჭავაძე, ტფილისის თავად-აზნაურთა მარშალი ალექსანდრე ორბელიანი (ვახტანგ ორბელიანის სიძე) და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

დეპუტაცია დავალებას რომ შეასრულებდა და გაგრას გულდასმით დაათვალიერებდა, იქიდან სოხუმშიც შეივლიდა, ახლა ამ ქალაქის სანახავადაც.

— ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით. წარმოიდგინეთ, რარიგ უნდა გაგვხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის — ილია ჭავჭავაძის მოსვლა!..

რათა ყველას შესძლებოდა ილიას ნახვა და მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდებოდა სადილის გამართვა ძმათა შარვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ, და აქ მოწვევა გაგრიდან დაბრუნებული სტუმრებისა.

სადილის მონაწილეთ სულზე ხუთ-ხუთი მანეთის გაღება მართებდათ, და თავს ვინ დაიშურებდა, თითქმის ყველა რომ გამოესწრაფებოდა აქეთკენ. ასზე მეტი ქალი და კაცი მოიყრიდა თავს, ისე რომ მოუხაროდათ, თითქოს დიდსა და ბრწყინვალე დღესასწაულს უნდა დაესწრონო. ან რაღა თითქოს, როდესაც ოდნავადაც არ გაუცრუვდებოდათ იმედოვნება და სუფრის დასასრულს მართლაც ეროვნული დღესასწაულის შემსწრენი შეიქნებოდნენ.

ილიას მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო ანკი სხვაგვარად როგორ აღიქმებოდა!..

თედო სახოკია სუფრის, უფრო სწორად, დღესასწაულის განწყობილებას რომ წარმოსახავს, მოვალედ მიიჩნევს თავს, აღწეროს მაისის ის დღე, სავსებით რომ მიესადაგებოდა სტუმართა სანეტარო გუნებას, რომელსაც განამტკიცებდა სოხუმის არაჩვეულებრივად ალერსიანი ცხრათვალა მზე, აქაურობას ზედ რომ აფრქვევდა თავის ოქროს მჭელეულებს, გაზაფხულის სანეტარო სუნით გაჟღენთილი ჰაერი, ხავერდისე-

ბური მწვანე, განსაკუთრებული ლაჟვარდოვნების ცა და ლაჟვარდოვანივე ზღვა — იმ დღეს ესოდენ ყუჩი, ესოდენ ნაზი და თვალთახედვის გამხარებელი...

ხომ ასე უყვარს თედო სახოკიას მშობლიური ქალაქი, მაგრამ ამ აღწერასა და სტრიქონსა და სტრიქონს შუაც ისეთი აღმტაცი, დაუოკებელი მღელვარება გამოსჭვივის, თითქოს პირველად შეჰყურებდეს ამ არემარეს, ანუ სხვაგვარად რომ ითქვას — ახალ სოხუმს ჭვრეტს, ახალი ზეცით, ახალი მიწითა და ახალი ზღვით.

და საყოველთაო განცდაც რომ ასეთივეა, მარტოდენ თედოს მდიდარი წარმოსახვის ნაყოფი კი არა!..

სტუმრები ოთხ საათზე რომ გამოჩნდებოდნენ, მათ სუფრის თავში დააბრძანებდნენ. ილიას გვერდით მოუსვამდნენ ღრმად მოხუცებული გრიგოლ შერვაშიძის მეუღლეს აღათი დადიანს, ხოლო ეს ძვირფასი სტუმარი ყველასათვის დასანახი რომ ყოფილიყო, მონადიმენი ორ რკალად შემოეწყობოდნენ სუფრას, თამადად კი აირჩევდნენ სოხუმელ მოქალაქეს თეიმურაზ გაბუნიას, ერთხმად აღიარებულს ჭკუა-გონებითა და სიდარბაისლით.

თამადად პირველად ილია ჭავჭავაძეს ადღეგრძელებდა, მიულოცავდა საქართველოს საუკეთესო შვილს მობრძანებას სოხუმში და მადლობას მოახსენებდა, თქვენი ჩამობრძანებით ყველასაგან დაჩაგრულთ ვაჟკაცობის სული შთაგვბერეო.

პირობას დადებდა: თანახმად თქვენი მოძღვრებისა, ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენც ვიშრომებთ და ჩვენს წვლილსაც შევიტანთ საერთო სალაროშიო.

ოღონდ... თხოვნაც უნდა შეეპარებინა, თხოვნა თუ... შეფარული საყვედური?! თუ მაინცდამაინც საყვედურად ითქმის, ესეც იმიტომ, მისი ხშირი გამოჩენა კიდევ უფრო რომ აღანთებდა წინააღმდეგობის ცეცხლს, აქ თვალდათვალაც მობრიალეს, თორემ ავად შემართულიყო გველეშაპი და... მერე შეძლებდა კი სოხუმი მითოსური გმირივით იმის შიგნეულის გამოჭრასა და კვლავაც სამზეოზე ამოღწევას?!

თხოვნა კი ეს გახლდათ, მთავარი და უმთავრესი:

— ჩვენო ძვირფასო ბატონო, თქვენ და თქვენისთანები ნუ დაგვივიწყებთ ხოლმე, ათასში ერთხელ დაგვხედეთ, გაგვამხნევეთ.

თეიმურაზ გაბუნიას განა არ მოეხსენება, რომ ილიასნაირი მარტოდენ ილიაა, მაგრამ ისიც ჩინებულად უწყის, უამრავ საზრუნავში გაბმულს ძალიან რომ უძნელდება საქართველოს მხარეების ჩამოვლა და მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრა, ამიტომაც საკმარისად მიიჩნევს, თუ ილიას ხელდებული, მის მიერ გამოგზავნილი კაცი შემოაღებს სოხუმის კარს.

თედო სახოკია კი ბედნიერებად მიითვლიდა, რომ თამადის შემდეგ მას ერგებოდა ილიას სადღეგრძელოს დალევა, და დიდი მოკრძალებით რომ გაიზიარებდა იმ საერთო აღტაცებას, რომელსაც ცათაფრენაშემდგარი (ბრწყინვალედ მიგნებული ნეოლოგიზმია, თედო სახოკიას სწორედაც რომ შეშვენის) ხალხი განიცდიდა მისი დანახვისას, განაცხადებდა:

— ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება სოხუმელთა ცხოვრებაში. თქვენმა აქ მობრძანებამ ყველა ტანჯვა დაავიწყა აქაურებს; დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება სოხუმელთათვის.ნება გვიბოძეთ, მრავალჟამიერი სიცოცხლე გისურვოთ და განუზომელი მადლობა მოგახსენოთ აქ მობრძანებისათვის, ჩვენის ნახვისა და ნუგეშისათვის.

იმას ღიმილი გადაჰფენია სახეზე და ამ მიმიკაში, გარდა სიხარულისა ასეთი დახვედრით, თედო კითხულობს: რა არის ეს წუთისოფელი, კინაღამ სასამართლო დავა არ მოგვიხდაო?!. — და თვითონაც ღიმილი გადაჰკრავს.

და ილია სამადლობელი სიტყვისათვის რომ წამოდგებოდა ზეზე, მთელი საზოგადოებაც ფეხზე წამოიჭრებოდა და ასე მოისმენდა იმ სამადლობელს, თედო თან გულისყურად რომ იქცეოდა და თან სახელდახელოდაც ჩაინიშნავდა, რათა შინ მისულს გაეშიფრა და ოდესმე შესაფერისი ადგილიც ეპოვა მის დასაბეჭდად, კიდეც რომ ჩართავდა ილიასადმი მიძღვნილ ესეიში.

ილია დიდი პატივისცემით ესალმება ყველას და ბედნიერად რაცხს თავს, რომ შეჰყურებს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულ კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს.

ასეთი დახვედრისათვის მადლობა მადლობად, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ გრძნობდა, რარიგ ჩაესახა გულს იმედი და სასოება, ჩვენი ქვეყანა წინ მიდის და მტერს ისე ადვილადაც აღარ დავეჩაგვრინებითო.

რაო, რას ამბობდნენ რომაელები — სინათლე აღმოსავლეთიდან გვევლინებაო?

მაშ ამათ ყურად იღონ ილიას ნათქვამი, აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა მხილველს რომ მოსდგომია ბაგეზე — სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსათვის მაინცო!..

დამხვდურნიც მიხვედრილნი გახლდნენ, მაგრამ შეხსენება არავის მოსჭარბდებოდა, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი იკავებდა ადგილს, ვინც ირჯებოდა, ვინც ცდილობდა, ქონება შეეძინა და ეკონომიკურად წელში გამაგრებულიყო. ხოლო ვინც ამას არა ფიქრობდა და სხვას შეჰყურებდა, აცა, რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილუბრალოდ დაელოდებოდა შორი მანძილის გავლას ცხოვრებაში, ფუჭად ექნებოდა იმედი ცხოვრების ჭიდილში ფონს გასვლისა.

— ასეთი ერი... დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით ასცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს! ყველასაგან გათელილი, ყველასაგან გაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე...

რა აუცილებელია, პირდაპირ გამოთქვას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სურვილი და გაზეთი მიახურინოს ხელისუფლებას და ხელ-ფეხიც შეიკრას საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე, როდესაც ყოველწამიერ — დაწერილი თუ ზეპირი სიტყვით — ეროვნული ენერგიის რწმენას ქადაგებს და საკუთარი ძალ-ღონით საკაცობრიო ასპარეზზე გასვლას ბუნებრივ მოვლენად სახავს — არავის მფარველობა არა გვჭირდება, მითუმეტეს, გადამთიელი და მოძალადე გადიისა, რომელიც უპირველესად იმას ესწრაფის, რომ მხნეო-

ბაც დაგიშრიტოს და საკუთარი თავის რწმენაც წაგართვას, მაჩანჩალად და კუდიმდევრად გაქციოს და თანდათან სულაც შეგირწყას დავრდომილი სხეულითა და ამორთმეული სულითო.

და აღმოსავლეთ ქართველებს წაჰკრავდა ყისტს: იმიტომ ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიკური მოღონიერებისაკენ, და ყველა ჩვენა გვჩაგრავს, თავზე გვასხდებიანო.

ამათ შემყურეს კი გული რომ უნათდებოდა და სასოებით ევსებოდა, ეს იმიტომ, მთელი ქალაქი მათ ხელში დაეგულებინა:

— აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთიორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება.

რაც შეიძლება მალე უნდა გარდასულიყო ის დრო, ვაჭრობა სათაკილო ხელობად რომ მიიჩნეოდა ჩვენში, ქართველი კაცის რაინდული ბუნებისათვის შეუფერებლად. ჟამი შეცვლილიყო, ბევრ რაიმეს შინაარსი სრულიად გამოსცლოდა, ანდა გადასხვაფერებოდა და ჩვენი რაინდული ბუნება ახლა ვაჭრობასა და მეწარმეობას უნდა გაემჟღავნებინა, ეკონომიკური მოღონიერება ქვეყნისა და ქველმოქმედება შთაგვბერავდა იმ სიმხნევესა და ძალას, მამულს,ენასა და სარწმუნოებას ღირსეულად რომ მივეპატრონებოდით და იმპერიულ არტახებსაც თანდათანობით დავაღწევდით თავს —სულით ძლიერნი და ეკონომიკურად ფეხზე მყარად მდგომნი.

ილიას სიტყვას კი, ვაჭრობის აპოლოგიად წარმომდგარს, განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც ენიჭებოდა და მსმე-

ნელთა გულშიც უფრო ღრმად იმიტომ იბეჭდებოდა, რომ მარტოდენ თეორიულად კი არ ასაბუთებდა ამ შეხედულებას (თუმც ესეც განა ცოტაა?), არამედ თვითონ აელო ხელთ ბანკირის საანგარიშო, მწერლისა და პუბლიცისტის კალმის ნაცვლად.

საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდისო, — კიდევ ერთხელ გაიმეორებდა.

გაიმეორებდა, დაუბეჯითებდა, რომ დაე დასავლეთ საქართველოს ქართველობას ეჩვენებინა მაგალითი აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეთათვის სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, ესწავლებინათ, რათა იმათაც ამავე გზით ევლოთ, იმათაც ამათთვის მოებაძათ და ერთობლივი ძალით შეგვერჩინა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა ქვეყანა (რამდენადაც უფრო მშვენიერი ხარ, მით უფრო მეტად მიკვდება გულიო, რაღაც სიმი ჩამორეკავდა მის სულში, მაგრამ ყურს აღარ ათხოვებდა მჭევრმეტყველებით გატაცებული!), სხვისათვის მისი დაპატრონების მადა არ გაგვეღვიძებინა, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავდგომოდით, გავმკლავებოდით, ხმალამოღებული დავხვედროდით, ჩვენზე არ გაგვეცინებინა...

— მაშ, გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!

ყოველი სიტყვა ელექტრონის დენისებრ რომ უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულ თედოს, ეგონა, ყველას ასე ჩემსავით უვლის ელექტრონის დენიო. და არცა ცდებოდა, რაკიღა ყველა ერთობლივ ხარბად შეჰყურებდა პირში ორატორს და ცდილობდნენ, ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვოდათ და თვალნათლივ რწმუნდებოდნენ, თუ რას ნიშნავდა უსაზღვრო ბედნიერება — აგერ თუნდ მთელი ქართველობისათვის მზრუნველ ამ სათაყვანო ადამიანს შენს პირისპირ რომ ხედავ. და როგორ არ განგიმტკიცდეს რწმენა, რომ ობლად სულაც არა ხარ შთენილი, გყავს პატრონი — ძლიერი, შემმართებელი, რომლის წინაშეც ჩვენი დაუძინებელი მტერიც ქედს იხრის.

რაღა დავით აღმაშენებლის სიტყვა დიდგორის ბრძოლის წინ და რაღა ილია ჭავჭავაძის ეს გამოსვლა სოხუმში, რადგანაც დიდგორი ახლა ეკონომიკური სარბიელი გახლდათ და მხოლოდ იქ ძლევამოსილი გამარჯვება შეგანარჩუნებინებდა ქვეყანას და ისეთი ძალ-ღონითაც აგავსებდა, მეთორმეტე საუკუნეში რომ მიგვეღწია და კვლავაც იდეალად გვესახებოდა. ეგაა, ბრძოლის ველი გამოცვლილიყო და გარეგნულად ასე მკვეთრადაც გამოცვლილიყო... ხოლო როგორც დავით აღმაშენებლის მემატიანეს ეამაყებოდა იმ ორატორული სიტყვის ჩანიშვნა და შემონახვა შთამომავლობისათვის, ასევე ელვრება გულში სიამე თედო სახოკიას ამ სადღეგრძელოს გადარჩენით, ჰაერში რომ უნდა გაბნეულიყო და გამქრალიყო ელექტრონდავლილი მსმენელების წუთისოფლიდან გაკრეფასთან ერთად...

ჯერ კი კარგა შებინდებულზე ყველა მხიარული და ბედნიერი უნდა დაშლილიყო, მეორე დღეს კი მთელს ქალაქს გაეცილებინა ილია და ეს გაცილება ერთ მთლიან ზეიმად ქცეულიყო.

მაგალითი უნდა უჩვენოთო...

ასე თვალის ერთი გადავლებით შეიცნო ილიამ სოხუმსა და ამ მხარეში ჩაბუდებული ენერგია და სულისკვეთება?.. არა, ავანსადაც შეიძლება გაეღო გამამხნევებელი სიტყვები, მაგრამ მაშინ ამგვარი აღტაცებისაგან თავს შეიკავებდა, მართლაც სრულყოფილად რომ არა ჰქონოდა გააზრებული დასავლეთ საქართველოს მოვალეობაც და უნარიც. ჩასვლით ჩავიდა პირველად სოხუმში, თორემ ყოველგვარ ცნობას კრებდა მის შესახებ და ქართული პარტიის არსებობაც მოეხსენებოდა და მისი გაბედული დაპირისპირებაც რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან, მეწარმეთა და ვაჭართა ვინაობაც მოეხსენებოდა და ახლა ამ კუთხით მიმართავდა უპირველესად სოხუმელთა, დასავლელი ქართველობისა და, რასაკვირველია, აღმოსავლელი ქართველობის ფიქრსა და მიზანსწრაფვასაც, რათა გულიანად დაწყებული ცდები ეკონომიკური საქმიანობისა ადვილად არ მიტოვებულიყო პირველი დაბრკოლებისთანავე, თორემ დაბრკოლებანი, ერთიერთმანეთზე უფრო გავეშებული, არ მოაკლდებოდათ.

ხოლო, როდესაც დასავლელქართველთა ზოგად ბუნებას გამოკვეთდა, მათი ხასიათის თავისებურებას უკვირდებოდა და საერთოქართულ ფიზიონომიასთან ათანხმებდა, იმ ცალკეულ პიროვნებებს გულისხმობდა, რომელთაც ჩინებულად იცნობდა და მათი თვისებანი უთუოდ წაადგებოდა განზოგადებისათვის. და ამ პიროვნებათა შორის უთუოდაა საგულებელი თედო სახოკია, რომელსაც იმთავითვე მოეხვეჭა სახელიც და პოპულარობაც ტფილისში, შემდგომი წლები მხოლოდ ადასტურებდა მის გამორჩეულობას, თორემ დაკლებით არაფერს აკლებდა.

აკაკის ნაკვესების გამოცემა და მის ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი, უნებურად ილიაც რომ მოჰყვებოდა მის შუაგულში, რა მოსატანია იმ საქმიანობასთან, თედო სახოკიას სახელს რომ უკავშირდებოდა და რჩეულ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის იმ ძალდაუტანებლობით ჩამდგარიყო, უიმისოდ აკი ვეღარც წარმოიდგინებოდა მნიშვნელოვანი ამბები, და ისიც ხომ ყოველთვის მზად გახლდათ, არაფერს გამოჰკლებოდა და რიღაცით შეშველებოდა, მხარი მაინც შეედგა, თუ მაინცდამაინც ყველგან მძიმე ტვირთი მას არ ერგებოდა.

ახლაც, სოხუმში ილიას გამოჩენა რომ აამაყებს, მისი იატაკქვეშა საქმიანობა, ქართულ პარტიად სახელდებული, გამომძიებელთა ხელშია და თვითონ კი ახალ არალეგალურ წამოწყებაში — პარიზში „საქართველოს“ გამოცემაში — ჩაფლულა თავფეხიანად.

ჰაი, თუ ჩაავლებენ!..

ხოლო მთლად მეზღვაურთა იმედად რომ ვერ იქნებოდა და გადაწყვეტდა, ჟანდარმერია რაღაც ოინს უნდა ვწიოო, მარსელიდან ბათუმში ჩამოსულ გემზე ერთ ახალგაზრდა და ლამაზ ქალთან ერთად ავიდოდა, ელპიდე მიმინოშვილთან, ვითომდა ხომალდის დასათვალიერებლად. ასვლისთანავე ქალს გარს შემოეხვეოდნენ კაპიტანი და მისი თანაშემწენი, თედო კი მებუფეტეს სასმელს მოატანინებდა მათ გასამასპინძლებლად. ფრანგებს ისე გაიტაცებდათ ქალის სილამაზე, რომ ისიც კი დაავიწყდებოდათ, რომ მას კავალერიც ახლდა. თედო ამით ისარგებლებდა, რაღაცას მოიმიზეზებდა, ქალს ხელში შეატო-

ვებდათ მათ და გაეშურებოდა გემის იმ მოსამსახურის მოსაძებნად, რომელსაც მოჰქონდა „საქართველოს“ ახალი ნომრები და სხვა პარტიული გამოცემანი. ხელად იპოვიდა, ვისაც ეძებდა, ყველაფერს უბესა და პერანგის ამხანაგში შემოილაგებდა სხეულზე და, რამდენადაც შეიძლებოდა, დამშვიდებული სახით ამოვიდოდა ერდოზე, სადაც მისი „დამა“ მუნჯურად (აბა, ამან ფრანგული არ იცოდა, ფრანგებმა კი — რუსული და, მითუმეტეს, ქართული) ელაპარაკებოდა, ხელების მეშვეობით, თანამოსაუბრეთ. ფრანგებს მადლობას მოახსენებდა თედო პატივისცემისათვის, გამოეთხოვებოდა და ნაპირას ზღვაში შეკეთებულ ხიდს ისე გადმოივლიდა თავის „დამასთან“ ხელიხელგაყრილი, რომ მას ზედაც არ შეხედავდნენ საბაჟოს მოხელენი, ისერიგად გაიტაცებდათ ყმაწვილი ქალის სილამაზე.

მიხეილ ჯავახიშვილმა არ იცოდა ეს ეპიზოდიც, თორემ ან ამას ხელიდან როგორ გაუშვებდა...

თვითონ თედოსაც რარიგ საამაყოდ დაშთენია!

— ეს პირველი ეშმაკობა იყო ჩემი, მომავალ 1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით ჩადენილი, დღისით-მზისით, ყველას თვალწინ, მერე ესდენის კადნიერებით!.. ისე შემრჩა, ბუზიც არ ამფრენია!

და, ტრაბახის იშტაზე მოსული, დასძენდა: ეს სახსენებელიც არ არის იმასთან შედარებით,რისი ჩადენაც შემდგომ მარგუნა რევოლუციამ, მაგრამ ამაზე მერეო.

ამჯერად კი ამ ეპიზოდის ფსიქოლოგიურ მხარეს ჩაუკვირდებოდა და მკითხველსაც შეაგონებდა, ასეთ სარისკო საქმეში თურმე მთავარ როლს თამაშობს სითამამე, პირდაპირი მიტანა იერიშისაო.

იმ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ მის ჩაცმულობასაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა —როგორც პარიზიდან ახალჩამოსული, სხვებში გამოირჩეოდა სამოსელით, რაც „კეთილსაიმედო“ ადამიანის იერს ანიჭებდა.

მართალია ქართული პარტიის საქმის ძიება სახეიროს ვერაფერს მოუტანდა სოხუმის ოლქის ხელისუფალთ მეამბოხეთა აღმოსაჩენად, მაგრამ ის ხომ შეეძლოთ, რომ კავკასიის უმაღ-

ლესი მთავრობისათვის წარედგინათ სია იმ პირებისა, რომელნიც ადგილობრივ ადმინისტრაციას ხელს უშლიდნენ ოლქის მცხოვრებთა გარუსების საქმეში. ამიტომაც მოითხოვდნენ, ეს პირები — თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, სპირიდონ ნორაკიძე, ივანე გეგია, ფარნა დავითაია და ივანე ბურჭულაძე — ხუთი წლით გადაასახლეთ რუსეთის შიდა გუბერნიებშიო.

ჯერ ის რა პოლიტიკური რეჟიმი იყო, და მაინც აღიარებით აღიარებდნენ: გარუსების პოლიტიკას უპირისპირდებიანო. საბჭოთა რეალობაში კი ამის გაჟმღავნება როგორღა შეიძლებოდა და თუნდ ამ ადამიანებს, თუკი მათი დასჯა გადაწყდებოდა საბჭოთა ეპოქაში, აუცილებლად დაჰბრალდებოდათ უცხო ქვეყნების აგენტობა, ხალხის მტრობა, მავნებლობა... თორემ, აბა, რაც არ ხდებოდა, იმისთვის ან კატორღაში ვის გაგზავნიდნენ და ან დასახვრეტად ვის გაიმეტებდნენ?! გარუსების პოლიტიკა კი... რას ამბობთ, ასეთი რამ ბოლშევიკურ-კომუნისტურ ხელისუფლებას აზრად როგორ მოუვიდოდა, ხოლო თუ მთელი ქართველობა საკუთარი ნებით განაცხადებდა უარს მშობლიურ ენაზე და მოინდომებდა რუსული ენის წიაღში შერწყმას, ხელისუფლებას რაღა შეეძლო, მთელი ხალხის ნებასა და მოთხოვნას ხომ არ აღუდგებოდა წინ!..

იქ კი, მაშინ:

თედო სახოკიაც და მისი თანამზრახველნიც შეიტყობდნენ, მეფისნაცვლის კანცელარიაში უკვე დადგენილია ჩვენი მიმოფანტვა რუსეთის გუბერნიებში და ეს დადგენილება მალევე ჩამოუვა სოხუმსო.

— რა თქმა უნდა, ლოდინი არ შეიძლებოდა და თავისთვის უნდა მეშველნა.

პარიზში დაბრუნებას მაინც აპირებდა: ეგაა, უნდა დაეჩქარებინა გამგზავრება. ამისათვის საზღვარგარეთის პასპორტის აღება ესაჭიროებოდა; და თუმც პასპორტის აღება კიდეც შეიძლებოდა რომელიმე საგუბერნიო ქალაქში — ვთქვათ, ქუთაისში ანდა ნოვოროსიისკში — მაგრამ საამისოდ სოხუმის პოლიციას უნდა მოეცა კეთილსაიმედოობის მოწმობა. სოხუმის პოლიცმეისტერად კი მსახურობდა მიხეილ ლაკერბაი, რომლის

დასახასიათებლადაც თედო ამ ხატოვან გამოთქმას მოიხმობს: ღვთისპირისაგან შეჩვენებულიო, — და ასეთი კაცი, რა გასაკვირია, რომ უეჭველ და მტკიცე უარს განუცხადებდა ამგვარი მოწმობის მიცემაზე.

მაშინ გადაწყვეტდა პირველივე გემით წასვლას ნოვოროსიისკში, რათა იქ მოეხერხებინა პასპორტის აღება. სოხუმელები, რომელნიც გულწრფელად წუხდნენ თედოს გამო — აბა, რა იქნებოდა, დიდ ჭირისუფლად და მზრუნველად ეგულებოდათ, და თუ ვინმეს, მას უნდა გაჰფრთხილებოდნენ — ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა სამშვიდობოზე გაეყვანათ — ბათუმიდან გემის მოსვლამდე ერთი საათით ადრე შეუგროვებდნენ საგზაო თანხას, ორმოცდაათ თუმანს, და გზას დაულოცავდნენ. ისე კი სიმარჯვე რომ არა მისი პატივისმცემლებისა, ნეტა როგორ აპირებდა ნოვოროსიისკში ჩაღწევას?! მაგრამ თედოს, ცოტა არ იყოს, ავანტიურული ბუნება რომ არ დაგიდევდა დაბრკოლებებს და ყოველთვის ბედს მიენდობოდა ხოლმე, ამჯერადაც ღვთის წყალობის იმედად იქნებოდა. აბა, შავრაზმელ რუსობასა და საოლქო ადმინისტრაციას ხომ არ დააჭერინებდა თავს და ვერც ფირალად გაიჭრებოდა ტყეში. პარიზი ედგა თვალწინ, პარიზი და „საქართველო“, როგორც სასიკეთო ამბების მაცნეც და შემამზადებელიც.

და ხომალდში რომ ჩაჯდებოდა და მშობლიურ ქალაქსა და თანამოქალაქეთ შორიდან დაუქნევდა ხელს, გულისგულში ჩაითქვამდა და ნიავს გამოატანდა:

— მომავალ, მოახლოებულ რევოლუციამდე...

ერთი იმდენი, როგორმე ნოვოროსიისკში ჩაელწია, თორემ იქ საბაჟოს უფროსად პეტრე ღლონტი ეგულებოდა, მამა თავისი დიდი მეგობრის — ხარლამპისა, ვისაც ბათუმიდან იცნობდა. პეტრე თავისი თანამდებობით გუბერნატორის შემდეგ მეორე პირად რომ მიიჩნეოდა, მისი ჩარევა ერთბაშად მოაგვარებდა ყველაფერს. სადარბაზო ბარათზე მისწერდა პეტრე ღლონტი, ვისაც გუბერნატორის კანცელარიაში პასპორტების საქმე ებარა: ამ ჩემს ნათესავს ძალიან ეჩქარება საზღვარგარეთ წასვლა და, ვიმედოვნებ, პასპორტს მალე ააღებინებთო.

ბარათს ნახავდა თუ არა ის მოხელე, თავაზიანობად დაიღვრებოდა: დაბრძანდით და ამ წუთში მოგართმევთო.

თედო, გულმოცემული ასეთი დახვედრით, განგებ დანიშნავდა საათს და... ნახევარი საათიც არ გავიდოდა, რომ საზღვარგარეთის პასპორტს ჩააბარებდნენ.

და უკვე შეეძლო სოხუმის პოლიცმეისტერისათვის შორიდან გუნებაში ნიშნი მოეგო!.. ნეტა რა ეგონა იმ ღვთისპირისაგან შეჩვენებულს, თედო სახოკიას გამჩერებელი იყო?!

მასპინძელთან გალაღებული რომ მიბრუნდებოდა, იქ სუფრა დახვდებოდა და, თედოს გარდა, კიდევ ექვსი სტუმარი შემოუსხდებოდა.

ეს თურმე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა ამ სტუმართმოყვარე ოჯახში, ცოლი და ქმარი ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ, რაც შეიძლება უკეთ დახვედროდნენ შემსვლელთ. დაე ქართული სითბო ბოლომდე განეცადათ ნოვოროსიისკში ჩასულ თვისტომთ.

ორ საათში კი თედო მეორე კლასის თბილ ვაგონში მოთავსდებოდა, რუსეთის საზღვრამდე რომ მიიყვანდა. მშვიდობით გადალახავდა ამ საზღვარსაც და სხვა ქვეყნებისასაც, და მეხუთე დღეს უკვე პარიზში იქნებოდა —და, აბა, იქ მისწვდმოოდა სოხუმის საოლქო ადმინისტრაციის, ქუთაისის გუბერნატორისა და მეფისნაცვლის სუსხი!

მართლაც, მარჯვედ მოუგვარდებოდა ყველაფერი და რუსეთის შიდა გუბერნიის რომელიმე ქალაქში იძულებითი ყოფნის მაგივრად, პარიზში მოითქვამდა სულსაც და დაწყებულ სარედაქციო საქმიანობასაც ჩვეული თავგამოდებით განაგრძობდა. ისევ ხალისით შევები უღელშიო, — ასე რომ გაიხსენებდა. ეგაა, წუხილიც არ მოეშვებოდა თავისი ამხანაგებისა და თანამოსაგრეთა ბედის გამო, რომელნიც, ვიდრე 1905 წლის რევოლუციის ხმა არ გაისმოდა, მოწყვეტილნი იქნებოდნენ თავიანთ ცოლ-შვილსა და სახლ-კარს.

ამასთანავე, განაახლებდა საანთროპოლოგიო სკოლაში დროებით შეჩერებულ მეცადინეობასაც.

„საქართველოს" რედაქციას ხომ ახალ მასალებსაც ჩამოუტანდა.

საქმე ამ გაზეთის გამოგზავნა გახლდათო...

აეწყობოდა ეს ქსელი, მაგრამ თედო იმ დროების გახსენებისას ამჯობინებდა ის სასაცილო ელემენტებიც არ დაკარგულიყო, ფარულ საქმიანობას აუცილებლად რომ თანა სდევს და ხან „კურიოზულად" იხსენიებენ ხოლმე და ხანაც — „კომიკურად".

ერთხელ, გვადრუცს რომ გაავსებდნენ,მის წამოღებას დაავალებდნენ ისეთ ადამიანს, ვისაც ყველაზე ნაკლები საერთო გააჩნდა რევოლუციასთან — მეუღლეს გორელი ადვოკატის ილია ნატროშვილისა, შემთხვევით რომ სწვეოდა პარიზს და ახლა სამშობლოში ბრუნდებოდა. კიდევ კარგი, რომ საზღვარზე ნიკოლოზ მეორის ჟანდარმები საკმაო ერთგულებას არ გამოიჩენდნენ იმპერატორისადმი, თორემ ქალს ძალიან გაუძნელდებოდა თავის მართლება.

ანდა ის რაღა იყო, საქართველოში მომავალ ხუთკაციან ჯგუფს, ხუთ გვადრუცს რომ გამოატანდა გიორგი დეკანოზიშვილი, აკრძალული ლიტერატურით გაძეძგილს. და ხუთივე ჩემოდანი...ერთი და იმავე ზომისა იქნებოდა,ერთი და იმავე გარეგნობისა, და კიდევ კარგი, რომ ამჯერადაც ჟანდარმთა დაუდევრობა იხსნიდა წამომღებთ მოსალოდნელი განსაცდელისაგან.

ორიოდე სიტყვით, ოღონდ ჩვეული ტევადობით მოხაზავდა გიორგის მეუღლის სილუეტს, ეროვნებით ფრანგი ქალისას:

— ჩვენი საქმისთვის ქმრის მსგავსად დაუზარებელი და ერთგული მუშაკი.

თანაც, გიორგის უფრო რომ გაუძლიერდებოდა (აბა, რა დაემართებოდა ასეთი დამჯაფავი შრომის გადამკიდეს) ბავშვობიდანვე თანდაყოლილი სისუსტე გულისა, ოდნავი აღელვებაც ლოგინში აწვენდა და აკვნესებდა, აღელვებისა და ნერვების აშლის მიზეზს კი რა გამოულევდა, მაგრამ მაინც თავი რომ არ ეზოგებოდა და გაიძახოდა:

— ვიშრომოთ რაც შეიძლება მეტი, იქნება მოვესწროთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ თავისუფლებას!..

დიახ, გულის სისუსტე ასერიგად რომ გაუძლიერდებოდა, ყველა ერთხმად აღიარებდა და თედო ამ საერთო აზრს შემოგვინახავდა: ისეთი მომვლელი და ყურისმგდებელი მეუღლე რომ

არა ჰყოლოდა, გიორგი იმდენსაც ვერ იცოცხლებდა, რაც იცოცხლაო.

გიორგის დღიური რომ შემოგვრჩებოდა, 1904 წლის 27 ივლისის ჩანაწერში მეუღლის ქებასაც გამოურევდა: საშინლად რომ ვუყვარვარ, ყველა ღონისძიებას ამიტომაც ხმარობს, რომ უშველოს ჩვენს საქმესო. ჰენრიეტა ასწორებდა ქართულ ნაწერებს და ამ გარემოების აღნიშვნისას ავტორი დასძენს: მერე ჩვენ მიერ დაწერილი წერილების გასწორება რა ძნელიაო. ეს ასეც იქნებოდა — სად ამათი ფრანგული — გიორგი იქნებოდა, არჩილ ჯორჯაძე თუ თედო სახოკია, რაოდენ ჩინებულადაც უნდა სცოდნოდათ, და სად ეროვნებით ფრანგისა, კორექტურის წაკითხვაც რომ მას მინდობოდა „საქართველოს“ ფრანგულ ვერსიაში. ის კი არა, ფულის შოვნაშიც შეეწეოდა მეუღლეს და კიდევ სხვა წვრილ-წვრილ სარედაქციო საქმეებსაც ასრულებდა, გიორგი რომ აღარც ჩამოთვლიდა.

მარტოდენ გიორგის მიმართ თუნდ მგზნებარე სიყვარული კმაროდა განა საიმისოდ, ასე რომ გადაეკლა თავი?

ხომ დაბეჯითებით აცხადებდა — დიახაცო, მაგრამ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ დაეჭვდებოდა თავისივე ნათქვამში და სხვა მიზეზებსაც დაასახელებდა:

— ეხლა გაიცნო ქართველები, გაიცნო ჩვენი მდგომარეობა და გულით და სულით შველის ყველა დაჩაგრულს.

შველოდა არამარტო ქართველებს, არამედ... დევნილ რუსებსაც, რაკიღა მათ იმპერიის მოქალაქეებად კი აღარ აღიქვამდა, არამედ დახმარების იმედად მყოფ ადამიანებად, და შემწეობას როგორ დაამადლიდა.

ამავე დღის ოთხ საათზე მიიღებდა არჩილ ჯორჯაძის ბარათს, გამოგზავნილს შვეიცარიიდან, ჭლექის სამკურნალოდ რომ იმყოფებოდა. წაიკითხავდა და ძალიან დაღონდებოდა:

— საშინლათ უმოქმედია ავადმყოფობას არჩილის ხასიათზედ; თავადაც დაულაგებელი და ჭინჭყლიანი კაცი იყო. ეხლა უარესი გამხდარა.

და იქვე ეს ფრაზა, ამოსავალი მთელი ამ პასაჟისაც და მათი ურთიერთობისაც, უერთმანეთოდ რომ არ წარმოიდგინებოდ-

ნენ იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში და ისტორიაშიც სიამის ტყუპებივით შევიდოდნენ:

— ძლიერ მიყვარს ეგ კაცი და ამისთვის არაფერს ვიშურებდი მისთვის.

აღიარებს მის ნიჭიერებასაც და სულიერი და პოლიტიკური მრწამსის ერთგულებასაც; დაბეჯითებით სწამს, რომ არაფრისდიდებით არ მიატოვებს თანამოაზრეთ.

— ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც მტერს ვებრძვით. საჭიროა კაცები, რომელნიც მზათ იყვნენ მედგრათ და უშიშრათ შეებრძოლონ მტერს.

მაშ რაღას გაეღიზიანებინა გიორგი დეკანოზიშვილი?

დემოკრატობაზე რომ სდებდა თავს, ამ თვალთახედვით განსჯიდა ყველასა და ყველაფერს და გონებაში არ უჯდებოდა, რომ არჩილი ნამდვილი შვილი იყო თავადაზნაურობისა. თან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ არჩილს სურდა განეგდო ყოველგვარი წოდებრივი ნაკლოვანება, არა სწამდა ეს წოდება, მაგრამ... მის ზნე-ჩვეულებას ვერ იშორებდა.

რას გულისხმობდა?

ფლანგვა რომ უყვარდა ფულისა, ვალის აღება და დაუბრუნებლობა, 2 საათამდე რომ უგრძელდებოდა ძილი და მერე კი ნანობდა დროის ამგვარ გაფლანგვას, უფულობისას ხომ მთლად აუტანელი ხდებოდა.

ძნელია მასთან მუშაობაო, — დასცდებოდა, — ბევრი მწარე დღე დამანახვაო. და შედარებას რომ დაისაჭიროებდა მეტი ხატოვანებისათვის, რათა თვითონვე უფრო ღრმად გარკვეულიყო არჩილ ჯორჯაძის პიროვნულ ხასიათში, აღმოაჩენდა, რომ:

— ნამდვილი ბავშვია, რომელიც მხიარულობს, როდესაც შოკოლადი აქვს.

ბავშვურობას სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებდა არჩილი — ეს სწორედ რომ ზუსტი შეფასებაა, და თუ ბავშვურობა ზოგჯერ ჭინჭყლობაშიც იჩენდა თავს და დაუდევრობაშიც, არც სილაღე რომ არ აკლდა და არც თავგანწირვის ის უნარი, ბავშვური სულის გარეშე რომ არ მოგმადლის ამ თვისებებს უფალი?!.

დღიურში, სადაც წამიერი განწყობილებანი იჩენს თავს, გასაკვირი არ არის ეს საყვედურიანი კილო, რომლის მიღმაც ხელშესახებად ილანდება, თუ რარიგ ეძვირფასება ეს მონუმენტური პიროვნება, წონასწორობა კი უფრო იმას დაუკარგვინებია, რომ ბარათიდან ეს შთაბეჭდილება დარჩენია: ყველაფერი გათავებულია, ეს კაცი ვეღარ იბრძოლებსო, და მისი შემცველი კი თვალსაწიერზე არსად მოჩანს.

ყველაფერი ვითომ რატომ უნდა იყოს გათავებული?

იწერებოდა: ხმა წამივიდა; რაც ვლაპარაკობ, ნამდვილი ხმა აღარ მაქვსო.

თანაც, ძალიან აწუხებდა თავისი ეს ყოფა არჩილ ჯორჯაძეს, მარტო გამოკეტვა, და საშინლად სწყუროდა პარიზში ჩასვლა.

აქ მოსვლა შეუძლებელიაო, — დღიურს ანდობდა გულისტკივილს გიორგი, — რადგან ჰაერი ძალიან ცუდია, ისევ ძველებურად გახდება ავად და მისი საქმე ორ დღეში გათავდებაო.

ნამდვილი ჭლექი რომ გამოსჩენოდა, შესაძლოა ჩამომავლობითაც დამართოდა, რაკიღა მის დებსაც ეს სნეულება შეჰყროდათ.

სჯეროდა, ეს ავადმყოფობა არ განუვითარდებოდა, რიგიანი ცხოვრება რომ ჰქონოდაო, და კიდეც არაერთხელ გაეფრთხილებინა: ღამის გატეხვა და მოუწესრიგებელი ცხოვრება მოგტეხავსო, — მაგრამ არჩილი რომ აინუნშიც არ ჩააგდებდა ამ გაფრთხილებას? გიორგის სწყინდა, ნუთუ ტყუილუბრალოდ ველაპარაკებიო!.. მაგრამ არჩილსაც რა ეღონა — განა არ უჯერებდა მეგობარს, მაგრამ საქმე რომ თავისას მოითხოვდა? და ნამდვილი ბავშვი სხვაგვარად ანკი როგორ მოიქცეოდა?!

— რა ძნელია, როდესაც ავათ გყავს ადამიანი, რომელიც გიყვარს. ამ ორმა სულ მთლად მომიკლეს გული.

არჩილთან ერთად გულისხმობს თავის მეუღლესაც, მასაც ჭლექი რომ მორეოდა. და ამ ორს მესამეც მიემატებოდა — მიხეილ კიკნაძე, სიყრუის გარდა სიფილისიც რომ გამოაჩნდებოდა. მართალია, აიმედებდნენ, სამ წელიწადში მორჩება, თუკი თავს მიხედავსო, მაგრამ „საქართველოს“ არ უნდა ეგრძნო ასოთამწყობის დასნეულებაც.

კიდევ კარგი, თედო სახოკიას მაინც არა სჭირდა სერიოზული სნეულება და აკი ამიტომაც მოუწევდა გარკვეულ დროს „საქართველოს" წამოკიდება ზურგზე.

ფულსაც რომ ითხოვდა არჩილი, გიორგიც იმედოვნებდა, ოღონდაც ფული გაგვიჩნდეს საიდანმე და... სანატორიუმში კი მოარჩენენ, ყოველ შემთხვევაში, კიდევ ათ წელიწადს მაინც შეძლებს იცოცხლოს ამ 30 წელს გადაცილებულმა კაცმაო.

ფული როგორ უნდა ეშოვა?

„ერთ კაცს"— ვინაობას არ გახსნიდა— გაუგზავნიდა „საქართველოს" და შეუთვლიდა: თუ მოგწონს ჩვენი მიმართულება, თუ გგონია, რომ ჩვენი მოქმედება სასარგებლოა ქართველი ხალხისათვის, მაშინ მოგვეშველე, თუ არადა — არც შენი შველა გვინდა და არც შენი ფული, თუმც კი ბევრი გაქვსო.

მაინც წაჰკრავდა... შენათვალი კი ამჟღავნებს, რომ გიორგი, ცოტა არ იყოს, ნაწყენია „იმ" პიროვნებაზე. მართალია, იმას უარით არ გამოუსტუმრებია, რაკილა აქამდე ამათ არაფერი ეთხოვათ, მაგრამ წყენა იმისაა, თავისით როგორ ვერ მოიფიქრა, რომ თანადგომა მისგანაც გვესაჭიროება, აბა, ამდენი თანხა რომ აბადია, სად შეიძლება დახარჯოს უკეთეს ადგილას, თუ არა ამ ეროვნულ საქმეშიო.

გუნებაში ალბათ კიდეც ჩაეთქვა, ისე არ გაგვიჭირვოს ღმერთმა, შენი დასახმარებელნი გავხდეთო, მაგრამ ვერ აწყობილიყო საქმე ისე რიგიანადაც, თამამად ყოფილიყვნენ, აგერ არჩილის ეს საშინელი სნეულებაც ცუდად წამოსწეოდათ და... ბოლოს და ბოლოს რა გახდა ერთი თხოვნა, გააწბილებდათ და ეგ იქნებოდა, არადა, ხომ შეიძლება... ხომ შეიძლება...

— ვნახოთ, რას იტყვის, მაგრამ ამას დრო უნდა. მანამ კი ცოტათი უნდა დავკმაყოფილდეთ.

კუჭს კი აკმარებ ცოტას, ენერგიასაც ცოტათი შეეშველები, მაგრამ ჭლექმაც თუ იცოდა, რომ ცოტას უნდა დასჯერებოდა?!

არჩილის ბარათებს, შვეიცარიიდან მოწერილს, თედოც გაიხსენებდა თავის ესეიში, ყოველ ბარათს ეს წუხილი რომ გამოსდევდა:

— მომბეზრდა ავადმყოფობა და აღარ მინდა ექიმობა, მინდა პარიზში ჩამოვიდე, ვიმუშაო და მუშაობაშივე მოვკვდე, სულერთია, დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია.

ვიმუშაო და მუშაობაშივე მოვკვდეო...

ესეც არჩილ ჯორჯაძის პიროვნული პორტრეტი — კანთიელი და სახიერი, კოლორიტული და შთამბეჭდავი.

კი მაგრამ, განა შეიძლება, პორტრეტი ერთ მოკლე ფრაზაში ჩაიწუროს?

აგერ, თუ არ შეიძლება — სიწრფელეს ამოსდევს პიროვნული ხასიათი, სიწრფელე ასხივოსნებს და რელიეფურს ხდის, თითქოს დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ადამიანური თვისებანიო.

ან რაღა თითქოს — ეს სწრაფვა, ვიმუშაო და მუშაობაშივე მოვკვდეო, ხომ ძალდაუტანებლად წარმოგვიჩენს ამ თვისებებს, ერთ მონოლითურ არსებად რომ იკვრის და მარტოდენ ჭლექს კი აღარ ათრგუნვინებს ასე ადვილად თავს, არამედ მთლად ბედისწერას შესტოქებია და მასთან ჭიდილში ლამობს იმ გამარჯვების მიღწევას, არჩილ ჯორჯაძე კიდეც რომ მოიპოვებდა იმ დარჩენილ ათ წელიწადში სამწერლო-ჟურნალისტურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე...

და გაცილებით მეტსაც შეიძლებდა, უფალი რომ არ გადაგვდგომოდა და ეროვნულ მოღვაწეებს დასცლოდათ ოცნებისა და იმედების აღსრულება...

თუმც არჩილ ჯორჯაძის განაჩენიც უკვე იქ გამოტანილიყო, წიწამურთან, რომელიც ერთ ტრაგიკულ აქტს კი აღარ გულისხმობდა, არამედ... 1921 წლის 25 თებერვალსაც, ეროვნულ ძალებს უკვე რამდენიმე წლის წინათ რომ ექნებოდათ გამოცლილი ხელიდან სადავეები, რომელთაც ილია ჭავჭავაძე უტოვებდა და ვეღარც უტოვებდა...

ასე წარმოედგინა არჩილს — გაზეთს უნდა დაჰკვდომოდა ზედ და ამით მოეგო ნიშნი სიკვდილისათვის, სულის უკანასკნელ ამოქშენამდე გაზეთის საზრუნავში რომ იქნებოდა გაბმული და სიცოცხლის ჩაქრობას რომანტიკული და ამაღლებული, მომხიბლავი და სხივიერი შარავანდით შეამკობდა.

სერგეი მესხისა არ იყოს.

მისი აღსასრული გადანათებულიყო ამ რომანტიკული მგზნებარებით, „დროებას“ რომ დაადებდა თავს და ოდნავადაც არ გაითვალისწინებდა არც მოკეთეთა შეგონებას და არც იდუმალი ხმის ძახილს: დაზოგე თავი, ძალები გადაანაწილე, ნელ-ნელა მიჰყევი საგაზეთო საქმიანობას, თორემ ასეთი უჯიათი შრომით ჯანმრთელობას მთლად წაიხდენ, ჯერ ისედაც ვერ დაიკვეხნი ჯანის სიმრთელითო.

რატომაც არა — როდესაც საშუალებაა, თავიც უნდა დაზოგო, ძალებიც გადაანაწილო და საქმიანობასაც ნელ-ნელა შეჰყვე, საგაზეთო იქნება თუ რაც გენებოს, მაგრამ თუკი დროება გაჩქარებს?! თუკი გაჭიანურება, დაგვიანება წაახდენს და ძალიანაც წაახდენს იმ განზრახვას, რომლისთვისაც მოწოდებულხარ?!

და კიდეც შეეწირებოდა სერგეი მესხი გაზეთს.

ახლა კი არჩილ ჯორჯაძე აპირებდა მისი საქციელის გამეორებას და ამიტომაცაა, სიტყვას საქმესაც რომ მოაყოლებდა — 1905 წლის დამდეგს ჩავიდოდა პარიზში და, როგორც თედო სახოკია გვამცნობს, უფრო მომეტებულადაც განაგრძობდა მუშაობას.

ხან სიცხე 39 გრადუსამდეც რომ ააღწევდა ხოლმე? მაგას დაგიდევდა სწორედ...

იქ კი, 27 ივლისის დღიურში გიორგი დეკანოზიშვილი ამ სტრიქონებსაც ჩაინიშნავდა:

— 6 საათზედ მოვიდა მიშა, ოქმებს ჟენევის კონგრესისას აწყობს. უნდა გადავცე მასალები ფრანგული ნომრისათვის, რადგან ჩემი წასვლის დროს შეეძლოს მუშაობა და დამზადება ფრანგულ ნომრისა.

ფრანგული ნომრის მასალები და გამზადება გასაგებია, რასაც გულისხმობს, მაგრამ ჟენევის კონგრესის ოქმები რაღას ნიშნავს?

ეს ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა, ჟენევის კონფერენციის სახელითაც რომ შევიდოდა ისტორიაში, ინტერპარტიული თავყრილობა, გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით ხორცშესხმული 1904 წლის აპრილის დამდეგს,

ოქმების გამოცემასაც გიორგი რომ ითავებდა და მეტად ფასეულ პოლიტიკურ დოკუმენტებსაც გადაარჩენდა დაკარგვას. სოციალისტ-ფედერალისტთა სამოქმედო პროგრამის საბოლოო ჩამოყალიბება-დახვეწაზე რომ აღარაფერი ითქვას.

თედო სახოკია მოკლედ ჩაურთავს ჟენევის კონგრესის ამბავს თავის ესეიში, თუმც მის სულისკვეთებასა და განწყობილებაზე სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის ზუსტად შერჩეული დეტალებით.

რაკიღა კონფერენციის ინტერპარტიულობა იყო მთავარი, ანარქისტთაგან ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი და კომანდო გოგელია დაესწრებოდნენ და სოციალ-დემოკრატებიც მიიღებდნენ მიწვევას, რათა ყველას ერთობლივ განეხორციელებინა კონგრესის მიზანი — გამოენახათ საერთო ენა საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის ხორცშესასხმელად... მაგრამ თავყრილობის მესამე თუ მეოთხე სხდომაზევე სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელნი ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დემონსტრაციულად დატოვებდნენ დარბაზს, რითაც საჯაროდ აღიარებდნენ: საქართველოს ავტონომიისათვის ზრუნვა რეტროგრადობა და მტკნარი უაზრობააო!..

ბარემ ჩაშლაც ენებათ, მაგრამ ამდენს ველარ შეძლებდნენ, გარშემო ისეთი ორატორები იმყოფებოდნენ, ამათი დემაგოგია გასავალს ველარ იპოვიდა, პატიოსანი კამათი კი სოციალ-დემოკრატთათვის სრულიად უცხო მოვლენა იყო და არც ამჯერად მოინდომებდნენ ამგვარ პაექრობაში დამარცხების აღიარებას. ამიტომაც გაქცევას ამჯობინებდნენ, თუმც ამ შემთხვევაში არ გამოდგება ძველთაგან ნაანდერძევი ფორმულა: კარგისა მამაცისაგანო, სულაც რუსთველურ აფორიზმად რომ აღიარებულიყო!.. მაინც არა სწამდათ რა „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედისა, ვიდრე სიცოცხლის დამლევს ნოე ჟორდანია არ მოინდომებდა, მასაც ისევე მიტმასნოდა, როგორც საქართველოს, თითქოსდა მისი დამოუკიდებლობის ძიებაში ამოსდიოდა სული.

ამ კონგრესის მოწვევის აუცილებლობასაც და სარედაქციო საქმიანობის გაცხოველებასაც პარტიული ბრძოლის გაშლასთან ერთად, გამოიწვევდა რუსეთსა და იაპონიას შორის ამტყ-

დარი ომი, ჰაერში რევოლუციის სუნს კიდევ უფრო ძალუმად რომ დაატრიალებდა, თორემ სუნი ისედაც იგრძნობოდა და სულ უფრო ადვილად ასდევდნენ ადამიანები მკვეთრი და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინში.

ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ გარდუვალი ცვლილება მხოლოდ სასიკეთო იქნებოდა. და თავისით რომ არ ებოძებოდათ გულზე ხელდაკრეფილთ, ამიტომაც უნდა აერჩიათ ის პოლიტიკური მიმართულება, ყველაზე ადრე რომ მიიყვანდა ყველაზე სასურველ მიზანთან.

მაისსა თუ ივნისში — გიორგი ლასხიშვილს ზუსტად ვეღარ მოეგონებინა — პეტერბურგიდან, უშუალოდ კი სოციალ-რევოლუციონერთა ცენტრალური კომიტეტისაგან სოციალ-ფედერალისტებს ტფილისში მოუვიდოდათ ცნობა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში პარიზში ივარაუდებოდა რუსეთის ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიის კონგრესი და ამათაც ევალებოდათ ორი წარმომადგენლის გაგზავნა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტი, რომელსაც იმჟამად, მემუარისტის გარდა, შეადგენდნენ გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და პეტრე ყიფიანი, მსჯელობის შემდეგ გადაწყვეტდა, რომ შესაფერისი მანდატები გაეგზავნათ პარიზში მყოფი თანამებრძოლებისათვის — არჩილ ჯორჯაძისა და სანდრო გაბუნიასათვის— და დაევალებინათ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა.

მაგრამ მალე პარიზიდან გიორგი დეკანოზიშვილს ფრიად სამწუხარო ამბავი უნდა მოეწერა, ერთ გაბმულ კვნესას რომ დამსგავსებოდა: არჩილი ძლიერ ავად გაგვიხდა, ძველმა სენმა — ჭლექმა ისევ იფეთქა და ექიმების რჩევით შვეიცარიაში გავგზავნეთო; სანდრო გაბუნია ოჯახურის საქმეების გამო შემოდგომით საქართველოში მოემგზავრებაო; მეც ავადა ვარ და ამ ზაფხულს სამხრეთ საფრანგეთში უნდა წავიდე დასასვენებლადო.

მაშ რიღას იმედი უნდა ჰქონდათ?

— ამგვარად, რედაქციაში მარტოდმარტო თედო სახოკია რჩება.

თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება ეს სტრიქონი გიორგის მოწერილი ბარათიდან და გიორგი ლასხიშვილის მემუარებიდან თედოს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერშიც:

— ასე რომ, გაზეთის რედაქციაში მარტოდმარტო ვარ დარჩენილი.

ეს ჩანაწერი იმასაც გვიზუსტებს, რომ სანდრო გაბუნიას მხოლოდ ოჯახური მდგომარეობა არ ეწევა სამშობლოსაკენ, რადგანაც გამოაჩნდა ნიშნები უკურნებელი სენის — პარანოიისა.

კარგია, რომ თედო მაინც არის საღ-სალამათიც და ჩვეულ ჯავარზეც, შეინარჩუნოს გაზეთის გამოცემა, მაგრამ ცუდია, რომ მის გარდა იქ სხვა სახსარი არ მოიპოვება და გვერდში ამომდგომს საჭიროებს. და პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები ამ განზრახვით რომ მიმოიხედავდნენ, ყველაზე შესაფერისად გიორგი ლასხიშვილს ცნობდნენ და დაავალებდნენ: თან კონგრესსაც დაესწარი და თან „საქართველოსაც“ უხელმძღვანელეო.

გიორგი ითხოვდა, დავალებას იმ პირობით ავასრულებ, რომ პარიზში ემიგრანტად არ დავრჩე. მხოლოდ რამდენიმე თვით წავალ და ამ ხნის განმავლობაში გამოირკვევა გაზეთის საკითხიც და მდგომარეობაც. ჩემი წასვლა საზღვარგარეთ კი არავინ უნდა გაიგოს, ნამეტურ — წასვლის მიზანიო.

„დიდ ადამიანთა სასტუმროში“ რომ მივიდოდა დასაბინავებლად, დაინტერესდებოდა ამ სახელწოდებით და ივარაუდებდა, ალბათ იმიტომ, რომ პანთეონის მახლობლადაა, დიდებული პიროვნებანი სადაც განისვენებენო. არადა, ადვილად შეატყობდა, რომ ეს იყო ღარიბი და უჩინარი ხალხის სადგომი — უცხოელი მოსწავლე-ახალგაზრდობის, მუშების, ნოქრებისა...

დაბინავდებოდა თუ არა, მაშინვე თედო სახოკიას საძებნელად გაეშურებოდა და ტფილისიდან წამოღებულ მისამართით ძლივს მიაგნებდა მის ბინას, თუმც იქვე ახლო მდგარა თურმე. ეგაა, შინ არ დახვდებოდა. ბარათს დაუტოვებდა და ისევ სასტუმროში რომ გაბრუნდებოდა, საღამომდე მოუწევდა ლოდინი. თედო როგორც კი შეიტყობდა მის ჩამოსვლას, გიორგი დეკანოზიშვილს გამოუვლიდა და ორივე ერთად ესტუმრებოდა. ის გიორგი ამ გიორგის ახალ ამბებს რომ გადასცემდა,

დასძენდა: კონგრესზე დაგაგვიანდა, ხვალ უკანასკნელი სხდომაა. გიორგი და სანდრო გაბუნია დაესწრებოდნენ, მაგრამ სტუმარს ურჩევდა, ხვალ შენ მაინც წადიო. არჩილს კი ჟენევის მახლობლად სოფელ კლარანსში დღესვე გაუგზავნიდა ბარათს და ამ სტუმრობის ამბავსაც შეატყობინებდა.

მეორე დღეს სისხამ დილაზევე მიაკითხავდა თედო, გაასტუმრებინებდა სასტუმროს პატრონს და სხვა ბინაზე გადაიყვანდა, უარეს სასტუმროში და მიყრუებულ სენ-ჟაკის ქუჩაზე:

— უფრო იაფი დაგიჯდება.

ის ოთახი საცხოვრებლად კი არა ვარგოდა, მაგრამ, თუკი მხოლოდ დასაძინებლად გამოიყენებდი, სასიამოვნოდაც დაგირჩებოდა იქ ყოფნა — დილას ყავა და მოსამსახურე თვეში მხოლოდ 15 მანეთამდე ჯდებოდა.

ისე მოხდებოდა, რომ, როდესაც შუადღისას სანდრო გაბუნია გაუვლიდა და კონგრესის სხდომაზე წავიდოდნენ, რამდენიმე კაციღა დახვდებოდათ — იმ უკანასკნელ სხდომაზედაც დააგვიანებდა, რეზოლუციებიც წაკითხული დახვდებოდა და ოქმებიც — ხელმოწერილი. ამიტომაც მონმარტრის ბულვარზე გაივლიდნენ და „საქართველოს" რედაქციაში შეაბიჯებდნენ.

— პირველ დღეებში მე და თედო სახოკია გულმოდგინედ შევუდექით „საქართველოს" მორიგი ნომრის მზადებას. დავბეჭდეთ იგი და საქართველოში გასაგზავნად დავამზადეთ.

მაშინ უნდა მოხდეს ის ეპიზოდი, თედო კურიოზებს შორის რომ მიუჩენდა ადგილს — გორელი ვექილის მეუღლისათვის გამოტანება ორძირიანი ჩემოდნით. გიორგი ლასხიშვილი იმასაც იხსენებს, თუ როგორ სთხოვეს ქალს, რომ, როგორც კი რუსეთის საზღვარს გადასცილდებოდა, მაშინვე ედეპეშა: კარგად ვარო. ეს იქნებოდა ნიშანი, რომ საზღვარზე მშვიდობიანად გადავიდა და აკრძალული ლიტერატურა ხიფათს გადარჩა. დეპეშა სამი-ოთხი კვირის შემდეგ უნდა მისვლოდათ, მაგრამ გადაიკეცებოდა ერთი კვირა, ერთი თვეც და... ველარაფერს შეიტყობდნენ. მართლაც ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ უსიამო გრძნობები და მწარე ფიქრები დაეუფლებოდათ. ერთმანეთს შესჩიოდნენ: დავღუპეთ პატიოსანი ქალი და ეგაო!.. მხოლოდ ერთი თვის თავზე მიუვი-

დოდათ მისი შვილის ბარათი გორიდან და იქიდან გაიგებდნენ ქალის მშვიდობიანად დაბრუნებას სამშობლოში. პარიზიდან პეტერბურგში გაევლო და მხოლოდ მას მერე ჩაებარებინა ტფილისში ჩემოდნები მათ მიერ გამოტანებულ მისამართზე.

არა, ერთი დეპეშის გაგზავნა რა გაუხდა?!

მაგრამ რაც ნაკლებად გაღელვებს, იოლადაც შეიძლება გადაგქართულდეს.

იმათ კი თავიანთი დაემართათ!..

თედო სახოკია გააცნობდა სტუმარს და აწ უკვე თანამშრომელს „ჩვენს სტამბას", რომელსაც ფრანგული გაზეთის სტამბაში დაედო ბინა, რომლის ერთი კუთხე ასოთამწყობ მიხეილ კიკნაძეს ეჭირა. მემუარისტი მას ფრიად ერთგულ მუშაკად მოიხსენიებს, ვინც იდეის გულისათვის ბევრი რამ დათმო და ბევრიც გადაიტანა.

როდესაც რედაქციის საქმიანობაში ჩაიხედავდა, გიორგი ლასხიშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდებოდა ის შინაგანი წუხილი, რომ „საქართველოს" და მის თანამშრომლებს საკმაო ფულს ვერ აწვდიდნენ. სამი წლის განმავლობაში არაერთხელ რომ დაჰგვიანებოდათ თანხის გაგზავნა, აქ მყოფი უფრო გაისიგრძეგანებდა, რარიგ გაჭირვებაშიც ჩაცვივდებოდნენ ხოლმე გაზეთის მესვეურნი.

ფრანგ მუშებს თავიდანვე მოეწონებოდათ მიხეილ კიკნაძე და სიყვარულითაც ეპყრობოდნენ, მაგრამ მხიარულები რომ იყვნენ და ხუმრობაც უყვარდათ, მიშასაც ემასხრებოდნე: სადმე ჟურნალსა ან გაზეთში როგორც კი ნახავდნენ ნიკოლოზ მეორის სურათს, ამოჭრიდნენ და წინ ჩამოუკიდებდნენ, და ეს რომ ჯავრობდა, ისინი ხარხარებდნენ. ეგრე არ უნდა მასხრობაო, — ჩაითქვამდა მიშა და სამაგიეროს გადასახდელად იმ გზას იპოვნიდა, რომ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრიდა რომის პაპის სურათს, იმათ ასერიგად რომ სძულდათ, და თვალსაჩინო ალაგას გამოჰკიდებდა ხოლმე სტამბაში. და ახლა ისინი ჯავრობდნენ და ქართველი ასოთამწყობი ხარხარებდა.

— ერთხელ რა მოხდა, ხომ იციო, — მოუყვებოდა თედო, — ერთხელ მივედით სტამბაში მე და არჩილი და ფრანგი მუშები

მოგვეგებნენ სიცილ-ხარხარით, თან გაიძახოდნენ: თქვენს სტამბაში საყოველთაო გაფიცვაა, საყოველთაო გაფიცვაო... ჯამაგირის მიცემა რომ დავუგვიანეთ მიშას ჩვენი უფულობის გამო, განაწყენებულა და გაქცეულაო.

საყოველთაოო, განა!..

ამას ისე, გასამხიარულებლად უამბობდა თედო, აზრადაც არ მოუვიდოდა, გადაეკრა, ფულს რომ გვიგვიანებდითო. განა ამათაც რა დალხინებული ყოფა ჰქონდათ, საიდან რა გამოედნოთ, იმას ფიქრობდნენ და ასე თუ ისე ხომ მაინც შეინახეს რედაქცია და გაბედული და შორსმიმავალი განზრახვაც წარმატებით აღასრულეს — ევროპასაც გააგონეს ხმა საქართველოდან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ დაუოკებელი სწრაფვის სურვილი, და სამშობლოშიც ბევრს აუხილეს თვალი, და კიდევ უფრო მეტადაც შეიძლებოდა თვისტომთა გამოფხიზლება და უფრო ადვილადაც, სოციალ-დემოკრატები რომ არ მოვლენოდნენ ხელისუფლებაზე არანაკლებ — ის კი არა, უფრო საშიშ — მოწინააღმდეგეებადაც, კვალში რომ ჩაუდგებოდნენ და შეეცდებოდნენ სრულიად მოეწყვიტათ ხალხისაგან, ყოველ შემთხვევაში, მუშებს ჩააგონებდნენ, ეგენი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ და თქვენი კლასობრივი მტრები არიან, ამიტომაც გასანადგურებლებიო.

ამდენი წლის განმავლობაში, ვიდრე ერთადერთ პარტიად პარპაშებდნენ საქართველოში, მესამედასელებს კიდეც საკმაოდ აემღვრიათ გონება ხალხისათვის და ეს გულსაკლავი რეალობა თუნდ ამჯერადაც თვალსაჩინოდ დასტურდებოდა. რომელი სოციოლოგიური გამოკითხვა შეედრებოდა იმ სამწუხარო ფაქტს, რომ მუშები თავიდან უკან უბრუნებდნენ „საქართველოს" ნომრებს და სოციალისტ-ფედერალისტებს გაორკეცებული ძალისხმევა დასჭირდებოდათ, რათა გარკვეული ზემოქმედება მოეხდინათ მათზე და ნაწილი მაინც შემოებრუნებინათ.

მოამზადებდა თუ არა თედო სახოკიასთან ერთად გაზეთის მეორე ნომერსაც გიორგი ლასხიშვილი, რამდენიმე დღით ბრიუსელს გაემგზავრებოდა და გაოცებას ვერ დამალავდა ამ პატარა, მჭიდროდ დასახლებული, მდიდარი და ლამაზი ქვეყნით,

გუნებაში საქართველოს რომ შეადარებდა და... მწარე გულისტკივილს სტრიქონებს შორის გალანდავდა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს პარიზიდან ბრიუსელამდე ერთი გადაბმული ქალაქი ეხილოს.

— დიდი მოძრაობა, ხმაურობა, მუშაობა.

ასეთ ლაკონიურ განმარტებას იკმარებდა იმ ერთი გადაბმული ქალაქის წარმოსასახავად მკითხველისათვის.

დაბრუნდებოდა პარიზში, გამოიცემოდა გაზეთის ის მეორე ნომერიც და კიდეც გაემზადებოდა საქართველოში წამოსასვლელად.

— აშკარა იყო, რუსეთში მალე დიდი ამბები დაიწყებოდა.

მეორე მხრივ, „საქართველოს" თაობაზეც შეიმუშავებდა გადაჭრილ აზრს, მთავარი კომიტეტისათვის რომ უნდა გაეზიარებინა. გაზეთს, მისი დაბეჯითებული რწმენით, უკვე შეესრულებინა თავისი როლი და მისი გამოცემის განგრძობა, თანაც მეტად ძნელ პირობებში, საჭირო აღარ იყო, მითუმეტეს, რომ... მითუმეტეს, მისი სულისჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი არჩილ ჯორჯაძე დიდი ხნით უნდა ჩამოშორებოდა საგაზეთო მუშაობას.

ნოემბრის შუა რიცხვებში — ორთვიანი პარიზული ცხოვრების შემდეგ — გამოეთხოვებოდა იქაურ მეგობრებს, გზად ჟენევაში მიხაკო წერეთელს შეუვლიდა, სტუმრის გამასპინძლების გარდა, მის ჩიჩერონეობასაც რომ იკისრებდა, და რა გული გაუძლებდა, კლარანსში არჩილ ჯორჯაძე რომ არ მოენახულებინა. ის, მწოლიარე, ხარბად რომ დაეწაფებოდა საქართველოს ამბებს, გიორგისთან მუსაიფი ისეთ კარგ გუნებაზე დააყენებდა და ისე გამოაკეთებდა, რომ ლოგინიდანაც ადგებოდა და, მიუხედავად დიასახლისის პროტესტისა, გარეთაც გამოვიდოდა გასასეირნებლად.

— მე აქ ვერ მოვრჩები, დავიღუპებიო, — შესჩიოდა სტუმარს, — რაც შეიძლება მალე უნდა დავბრუნდე სამშობლოში, და კახეთში უეჭველად ვძლევ ამ ჩემს საშინელ სენსო.

გიორგი ამშვიდებდა, რუსეთში მალე საკონსტიტუციო რეჟიმი იქნება და ყველა პოლიტიკურ გადახიზნულს საშუალება მიეცემა დაბრუნებისა და თავისუფლად ცხოვრებისაო, მაგრამ

არჩილი ვერ იჯერებდა ასეთ სასიკეთო შემოტრიალებას იმპერიული რეალობისა და სიტყვას ჩამოართმევდა, რომ თანაპარტიელები ხელს შეუწყობდნენ დაბრუნებაშიც და არალეგალურ ცხოვრებაშიც.

— დიდის სიამოვნებით დავყავი არჩილთან ეს დღეები; საუცხოო მოსაუბრე იყო, მეტად ნაზი და ნამდვილი კეთილშობილის გულის ადამიანი.

თვალცრემლიანი გამოეთხოვებოდა მასპინძელი და ხვეწნით დააბარებდა: აქ არ დამტოვოთ, უთუოდ მალე წამიყვანეთ სამშობლოშიო.

და გიორგი ლასხიშვილი რუსეთის მოსაზღვრე სადგურ ვარჟბოლოვოს რომ მოადგებოდა და მაშინვე ძველი რუსეთის „სუნი" ეცემოდა, ჟანდარმი ვიდრე მგზავრების პასპორტებს სინჯავდა, ვაგონებში რომ იყვნენ გამოკეტილები, დიდ დარბაზში კი ჩემოდნების გულდასმით ჩხრეკას შეუდგებოდნენ... დიახ, ამ სინამდვილის შემყურე, სუნთქვას ერთბაშად რომ გაუძნელებდა, მწარედ გაიფიქრებდა: ვერც სვიატოპოლკ-მირსკის „ლიბერალურ რეჟიმს" უშველია რა ამ ქვეყნისათვისო; და ძალდაუტანებლად რომ წამოაგონდებოდა დანტეს სტრიქონები „ღვთაებრივი კომედიიდან": აქ შემომსვლელო, დასტოვე ყოველგვარი იმედიო, — ფიქრს ფიქრს მიადევნებდა: ეს სიტყვები მარტო ჯოჯოხეთის კარიბჭეზე კი არ უნდა ეწეროს, არამედ რუსეთის საზღვრებზედაც ყველგან უნდა იყოს ჩამორიგებულიო.

მე აქ ვერ მოვრჩები, დავიღუპებიო...

კახეთში უეჭველად ვძლევ ამ ჩემს საშინელ სენსო...

მაინც აქ ერჩივნა არჩილ ჯორჯაძეს, ამ შემოსასვლელის მილმა, სადაც უნდა დაგეტოვებინა ყოველგვარი იმედი.

1905 წლის გაზაფხულზე, პარტიის გადაწყვეტილებით, შეჩერდებოდა პარიზში „საქართველოს" გამოცემა და არჩილსაც საზღვარგარეთიდან დააბრუნებდნენ.

იმხანადვე დაუბრუნდებოდნენ სამშობლოს თედო სახოკიაც და მიხეილ კიკნაძეც.

პარიზში გიორგი დეკანოზიშვილი დარჩებოდა, რათა განეგრძო რევოლუციური საქმიანობა, იმჟამად იარაღის შოვნას, შეგ-

როვებასა და საქართველოში გამოგზავნას რომ გულისხმობდა. და ამის შემძლე თუ ვინმე იყო, სწორედ ის გახლდათ — მარჯვედ რომ დაიწყებდა და ბრწყინვალედაც დააგვირგვინებდა.

ჩამოსათვლელად ადვილია და ეგებ ძალიანაც ადვილიო, — თავის განცვიფრებას მემუარებში გადმოღვრიდა გიორგი ლასხიშვილი, — იშოვო საჭირო თანხა, იყიდო დიდძალი თოფი შვეიცარიაში, დაიქირავო გემი „სირიუსი“ და იარაღით დატვირთო, შეარჩიო რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები, გვერდით ამოიყენო ნაცნობი სინდიკალისტები და ანარქისტები, გემს გამოატარებინო ამხელა გზა და იარაღი გადმოატვირთვინო ფოთის ნავსადგურშიო, კიდევ ბევრი საგულისხმო დეტალის დასახელებაც რომ შეიძლებოდა, მაგრამ...

— კარგად გასინჯეთ და დაუფიქრდით მთელ ამ საქმის ორგანიზაცია-ასრულებას და დარწმუნდებით, რომ გიორგი დეკანოზიშვილმა ამ მეტად ძნელ საქმეში პირდაპირ ზღაპრული ენერგია და ძალა გამოიჩინა.

რუსეთის სხვა რევოლუციური პარტიებიც რომ იძენდნენ მაშინ საზღვარგარეთ იარაღს და გზავნიდნენ რუსეთში?

მაგრამ მემუარისტი საგანგებოდ წარმოაჩენდა დიდ განსხვავებას, რაც იმ საქმიანობასა და ქართულ აქციას შორის არსებობდა და არ უნდა გამოგვრჩენოდა, თუკი ზედაპირულად არ განვსჯიდით მოვლენებს და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს ესერებსა თუ პოლონეთის პ.პ.ს-ს ფინელ აქტივისტებს არ დავუყენებდით გვერდით.

ამ პარტიებს ხომ დიდი ორგანიზაციები ჰქონდათ საზღვარგარეთ, ხალხიც ჰყავდათ და საშუალებანებბიცი არ აკლდათ — მთელ შტაბებს ამოქმედებდნენ.

— გიორგი დეკანოზიშვილი კი თითქმის მარტოდმარტო იყო, არც დამხმარე თავისიანი ხალხი, არც ფული.

და კიდევ ერთხელ როგორ არ აღტაცებულიყავი მისი გასაოცარი ენერგიითა და ნებისყოფით!..

მემუარისტი განაგრძობდა, თუ როგორ მოაწყვეს იარაღის მისაღებად აქ შესაფერისი ორგანიზაციები და როგორ შემუშავდა წინასწარი გეგმა იარაღის გადმოსატვირთად და გამზა-

დებულ საწყობებში დასალაგებლად, მერე კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გასატანად და ხალხის შესაიარაღებლად.

მთავარი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა დაევალებოდა მიხა ესაკიას, რომელიც ფოთში ცხოვრობდა, ტფილისიდან კი გაიგზავნებოდნენ თედო სახოკია და ვლადიმერ ლორთქიფანიძე, რომელთაც გაჰყვებოდა მეტად გამოცდილი მარჯვე მომუშავე სპირიდონ ნორაკიძე. და დიდი სიფრთხილე და კარგი ორგანიზება მართებდათ იარაღის დაუბრკოლებლივ მისაღებად, რათა ის არ დამართნოდათ, რაც იმ დღეებში ფინელ აქტივისტებს მოუვიდოდათ, ბალტიის ზღვაზე მათი გემი კლდეს რომ შეეჯახებოდა და ზედ შერჩებოდა, მთავრობას კი ყველაფერი წინდაწინ სცოდნოდა, მოდარაჯე გემები იქვე იდგნენ და მოელოდნენ რევოლუციონერთა ხომალდს, და როგორც კი იმათ ეს მარცხი მოუვიდოდათ, მაშინვე შეიპყრობდნენ და მთელ იარაღს ხელთ იგდებდნენ.

თუმც... მანამდე ჯერ ადრეა, 1904 წლის 1 დეკემბერია და გიორგი დეკანოზიშვილი თავის დღიურს შესჩივის, ოთხი თვე რომ არის, რაც არაფერი დამიწერია, ეს იმიტომ, რომ სრულებით არა მქონდა დრო, ისე ვიღლებოდი, რომ ღამის ათ-თერთმეტ საათზე უკვე აღარაფერი მესმოდა და კალამი მივარდებოდა ხელიდანო.

ვინც იქ იმყოფებოდნენ ქართველები, დიდი სიამოვნებით კი შველოდნენ, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ყოველი საქმის გაკეთება არ შეეძლოთ.

— გარდა ამისა, როგორც ქართველებს, ფიქრი უყვართ ბევრი, დაგვიანება უყვართ ძალიან, საქმე კი ითხოვს დროზე გაკეთებას, მერე გვიან არის, ევროპიელები აგრეთი ხალხია. მათთან გვაქვს საქმე: დაბეჭდვა, გაგზავნა, მოლაპარაკება და სხვა...

მცირე მონაკვეთში რაოდენ მარჯვედ და სახიერად შეუპირისპირებს დასავლურ და აღმოსავლურ ხასიათებს, ყოფით რეალობას განაზოგადებს და მის მიღმა ეროვნულ თვისებებს განჭვრეტს, ქართული ხასიათი აღმოსავლურის ნაირსახეობად რომ წარმოგვიდგება, რაც ძალიანაც რომ მოგწონდეს, როგორც შენივ ბუნება და არსი, გარემომცველმა სინამდვილემ უნდა გიბიძგოს რაღაცის შესაცვლელადაც შენს არსებაში, თო-

რემ ძალიან გაგიძნელდება ურთიერთობა მენტალიტეტით სრულიად დაცილებულ ადამიანებთან.

ფიქრი და დაგვიანება, რა, გიორგი დეკანოზიშვილს არ უყვარს?

ან არჩილ ჯორჯაძეს?

ანდა თედო სახოკიას?

მაგრამ ამ მხრივ გაევროპელებულან და ამიტომაც ჩართულან ასე ბუნებრივად იმათ ცხოვრებაში. თუმც გიორგი აგერ მაინც ძრახავდა არჩილს, ეგაა, საყვედურის შესანელებლად მის „სიზარმაცეს“ თავადურ დარდიმანდობას აბრალებდა.

დღიურის ამ ფურცელზე კი ძალიან წუხს არჩილის გაუნელებელ სნეულებას, მონტრედან გულსაკლავ ბარათებს რომ იწერება და პარიზში ჩამოსვლას ნატრობს.

ეს სანდრო გაბუნია მშვენიერი ყმაწვილი რომ არის და შველის კიდეც, სამაგიეროდ, პრაქტიკულ საქმეებში სრულიად არ ვარგა, რადგანაც წესი არ გააჩნია და... ფიქრიც უყვარს ბევრი.

რაც შეეხება თედო სახოკიას:

— გულით და სულით მშველის.

მაგრამ ეგ არის, რომ არ შეუძლია რედაქციის წარმომადგენლობა.

ანუ თედოს არა აქვს პირველკაცობის ჟინი — იგი დიდი ძალაა, როგორც მხარში ამომდგომი, უღლის გამზიარებელი, ტვირთის შემამსუბუქებელი, მაგრამ არც არასოდეს ლამობდა და არც იჩემებდა წინამძღოლობას. ქართული პარტიის დაარსება გამონაკლისად მოჩანს მის ბიოგრაფიაში. ისე პარტიას მოღვაწეობა რომ დასცლოდა, თედო იმის ცდაში იქნებოდა, გამოეზარდა თავისი შემცვლელი და სადავეები მისთვის გადაებარებინა, თავის მხრივ რომ ხელშეწყობას არ მოაკლებდა.

უიმისოდ თუნდ „საქართველოს“ შეიძლება ვერც ეარსება, ყოველ შემთხვევაში ასე მკვიდრად ვერ დამდგარიყო ფეხზე და ამხელა ზეგავლენაც ვერ მოეპოვებინა, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი თუ ძალდაუტანებლად ენაცვლებიან ერთიმეორეს, თედო არ არის მათი შემცვლელი და რედაქციის სიმბოლო.

ყველგან არის, მაგრამ არსად ლიდერი — თუმც წინამძღოლის უშუალო დასაყრდენი კი ყოველთვის თავისი ერთგულებით, გულგადახსნილობით, თავგანწირვის უნარით, მუხლჩაუხრელობით, დღე-ღამის გასწორებით, უღრმესი ერუდიციით, მსხვილმან-წვრილმანის ზედმიწევნითი ცოდნით...

და გიორგი დეკანოზიშვილი ამ თვალით რომ მიმოიხედავდა გარშემო, აბა, ვინ შეიძლება ჩამენაცვლოს, თუკი არჩილის აქ ჩამოსვლა ყოვლად შეუძლებელი იქნებაო, ვერავის იგუმანებდა და ამ წუხილსაც დღიურს ანდობდა: თუნდაც ავადაც ვიყო, მაინც საქმეში უნდა დავრჩე, ჯანი რომ მომდევდეს, არ დავიშურებდი შრომას, მაგრამ ჯანი აღარ მომდევს და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო.

იმ დღეს დაბეჭდილიყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიისა და სხვა პარტიების ერთობლივი დეკლარაცია.

— ბევრი ვეცადე, რომ ჩვენც დაგვეჭირა სხვა პარტიებთა შორის შესაფერისი ადგილი. ეს ხუთი თვეა, სულ ამას დავდევდი.

მოგზაურობდა, რათა ენახა სხვა პარტიათა წარმომადგენელნი. ხან წერილებს სწერდა. რასაც იშოვნიდა, სულ ამ საქმეს ახმარდა, რადგანაც ყველაზე საჭიროდ ასეთ კავშირებს მიიჩნევდა: რუსებთან იქნებოდა, ფინლანდიელებთან, პოლონელებთან, სომხებსა თუ ბელორუსებთან — ამ დროში ეს მოგვიტანს ყველაზე დიდ სარგებლობას, რადგანაც რუსეთის წესწყობილება დიდხანს ვეღარ იცოცხლებს, იაპონიასთან ომმა ძალიან დაასუსტა, მისი პრესტიჟი და ფინანსები ძალიან დაეცაო.

ამის თაობაზე თედო სახოკიაც საგანგებოდ დაწერს: რუსეთ-იაპონიის ომმა რევოლუციური მოძრაობა რომ გააძლიერა და მზის გათენების სუნი დაატრიალა, დასუსტებული გიორგი და იმაზე მეტად დასუსტებული არჩილი გააორკეცებდნენ ენერგიას, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირს შეჰკრავდნენ და მოეთათბირებოდნენ, როგორ მოეპოვებინა თვითეულ ერს თავისუფლება და გამოსცლოდა ორთავიანი არწივის კლანჭებს. და იაპონიის მიერ სანახევროდ დამარცხებულ რუსეთში რევოლუციური მოძრაობა რომ გამძაფრდებოდა, ქართველი პოლიტიკოსები კიდეც დააწყობდნენ სა-

ერთო მოქმედების გეგმას პოლონელებთან, ფინელებსა და იაპონელებთან ერთად. აი, სად წაგვადგებოდა, „საქართველოს“ ევროპისათვის უკვე ხმა რომ მიეწვდინა და ქართველობის მზადყოფნას ადასტურებდა დიდი ბრძოლისათვის, საყოველთაო აჯანყებით რომ უნდა გამოხატულიყო.

1905 წლის გაზაფხულზე პარიზის ქართველთა კოლონია კრებას გამართავდა და ბჭობას მოჰყვებოდნენ, რაგვარი მონაწილეობა მიეღოთ კარზე მომდგარ რევოლუციაში. გადაწყდებოდა, რომ ყველა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

გიორგი პარიზიდან ყველას საქართველოში გამოისტუმრებდა:

— სამშობლოს სჭირიხართ ყველანი!..

ერთადერთს სანდრო გაბუნიას მიავლენდა მაკედონიაში იქაური რევოლუციური მოძრაობის გასაცნობად და როგორც ქიმიკოსს, დაავალებდა „მაკედონური სისტემის“ ყუმბარების კეთების შესწავლას, რათა მერე საქართველოში ყუმბარების ლაბორატორია მოეწყო და მასალა მოემზადებინა აჯანყებულთათვის.

თვითონ გიორგი საზღვარგარეთ რომ დარჩებოდა, თედო ამას, ერთი მხრივ, ახსნის რუსის მთავრობის აგენტების მიჩენით, მის ყოველ ნაბიჯს რომ ზვერავდნენ და პარიზშიც არ ასვენებდნენ, მეორე მხრივ კი, უიმისოდ ვერაფრისდიდებით რომ ვერ აღსრულდებოდა ის დიდი საქმე — იარაღის შემოზიდვისა, რაკიღა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას არა სწამდა აჯანყება ცარიელი ხელებითა და გაფიცვებით: მტერს შეიარაღებული უნდა გაუმკლავდეს კაციო!..

გადაწყდა, ყველა სამშობლოში დაბრუნებულიყოო...

ამ ფრაზას რომ მიაქცევენ ყურადღებას მის ესეიში დიმიტრი შველიძე და გიორგი გაფრინდაშვილი, დასძენენ, რომ თედო სახოკია მხოლოდ ზოგადი გადაწყვეტილებით არ ჩამოსულა საქართველოში — მას სრულიად კონკრეტული და უაღრესად სახიფათო მისია ჰქონდა დავალებულიო:

გიორგი დეკანოზიშვილს წამოწყებული რომ ჰქონდა ევროპიდან იარაღის ფარულად შემოტანა, ეს იმიტომაც, რომ იაპონიის ხელისუფლებამ რუსეთთან ომის დროს სერიოზული ფინანსური

დახმარება აღმოუჩინა რუსეთის იმპერიის ეროვნულ-პოლიტიკურ და რევოლუციურ პარტიებს, რათა მათ შეიარაღებული აჯანყება მოეწყოთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პარტიების დაფინანსებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა იაპონიის სამხედრო ატაშე სტოკჰოლმში პოლკოვნიკი მოტოძირო აკაში, ვინც იმპერიის პარტიებს ფინელი პატრიოტის კონი ცილაკუსისა და გიორგი დეკანოზიშვილის მეოხებით უკავშირდებოდა.

ხედავთ, რა გავლენა მოუპოვებია ქართველ პატრიოტს!..

რამხელა მოვალეობა უტვირთია, გარდა იმისა, რომ ივლისის შუა ხანებისათვის პოლკოვნიკ აკაშისაგან მიღებული ფულით უკვე შეიძენდა 25 000 შაშხანასა და 4 მილიონზე მეტ ვაზნას, რომელიც იმპერიის პარტიებს — მათ შორის ფინელ აქტივისტებს, რუს ესერებსა და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს — რუსეთის საზღვრებში უნდა შემოეტანათ, და აჰა, 16 ოქტომბერს ამსტერდამიდან გამოვიდოდა უკვე გიორგი დეკანოზიშვილის ხელში გადასული გემი „სირიუსი", რომელსაც ფარულად მოჰქონდა 8 000 თოფი და მილიონ 200 000 ვაზნა.

ამ იარაღს დახვედრა და გადმოზიდვა ხომ სჭირდებოდა, მიმალვ-მომალვა საიმედო ადგილას და მებრძოლებისათვის დარიგება?

სწორედ ამ მიზნით მოეშურებოდა საქართველოში თედო საბახოკია — თავი მოება ამ ყველაფრისათვის.

სხვა თანამოაზრეთ გიორგი დეკანოზიშვილი ზოგს რომ რას დაავალებდა და ზოგსაც რას, ბოლოს ჯერი თედოზეც მოდგებოდა:

— სამშობლოში ჩამოსულს უნდა მეკისრა საზღვარგარეთიდან წამოსული იარაღის მისაღებად დახვედრება ხალხისა და ამ იარაღის გადმოცლა შავიზღვის პირის სხვადასხვა პუნქტებში. ეს ჩემი გასაკეთებელი საქმე ჩემთვის უნდა გაეადვილებინა იმ გარემოებასაც, რომ შავიზღვის პირის (სოხუმის) მცხოვრები ვიყავ და ამ ზღვის სანაპირო ადგილები და მკვიდრნი ჩემთვის ნაცნობნი და შინაურნი იყვნენ.

განსხვავებით ესეისაგან, ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში მეტ რეალიებს გვამცნობს და მათ შორის იმასაც, რომ ამ საიდუმლო ამბავს გაუზიარებდა თავისი სკოლის ამხანაგს მიხეილ

ესაკიას, ვისაც ფოთის პორტის მუშებში დიდი გავლენა და სახელი მოეხვეჭა, და სწორედ ამ პორტის მუშებსა და მენავეთ უნდა მიეღოთ ამ საქმეში უშუალო და მხურვალე მონაწილეობა — მათი მეშვეობით გადმოტვირთულიყო იარაღი და დარიგებოდა ხალხს რევოლუციისათვის.

შესაფერის კომიტეტებს თედო სახოკია ფოთის გარდა ბათუმსა და სოხუმშიც დააარსებდა.

ბათუმის გაზეთის — „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ — სტამბაში მოხერხდებოდა პარტიულ არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვა და აქედან ხალხში გავრცელება. თხრობისას ჩაურთავს, რომ მაშინ ამ გაზეთს რედაქტორობდა ალექსანდრე ნიკიტინი, წინანდელი რედაქტორი კი, შავრაზმელი პალმი, რევოლუციის მოახლოებას იგრძნობდა თუ არა, იძულებული შეიქნებოდა იქაურობას გასცლოდა.

სულერთია, ცოცხალს არ გაუშვებდნენო, — ძალიან ყოფილა მასზე გულმოსული თედო და არცაა გასაკვირი — ეს ხომ ის პალმია, ვინც დავით კლდიაშვილმა დუელში გამოიწვია ქართველების შეურაცხყოფისათვის!.. ის ამას გაბედავდა სწორედ, დუელში გაჰყოლოდა ქართველ ოფიცერს, და უღირსი გზით შეეცდებოდა ორთაბრძოლის არიდებას... ასეა თუ ისე, ის უგვანი გამოხდომა არ ეპატია... და კიდევ რამდენი ადამიანი გახლდათ გაგულისებული, და სავსებით ბუნებრივი გეჩვენება თედოს ის სიტყვები: ცოცხალს არ გაუშვებდნენო.

რადგანაც იარაღს მოელოდნენ, აუცილებელი იყო ხალხის დარაზმვა წინდაწინვე და ამიტომაც გაიმართებოდა სხვადასხვა ქალაქში მიტინგები და ახდილად და საყოველთაოდ დაიგმობოდა არსებული წესწყობილება და გამოითქმოდა წადილი ამ წყობილების გარდუვალი შეცვლისა.

მაგრამ ბათუმში რუსის საგარნიზონო ჯარის ნაწილი რომ დგას?

რა როლს შეასრულებს ოფიცერ-ჯარისკაცთა ეს გუნდი აჯანყებული ხალხის გამოსვლისას?

აჯანყებამდე კი იარაღის გადმოზიდვას ხელს ხომ არ შეუშლის?

ეს რომ აფიქრებდათ სოციალისტ-ფედერალისტებს, ამიტომაც მიავლენდნენ საგანგებოდ ალექსანდრე ჯაბადარს ბათუმში, რათა თედო სახოკია მოენახა და ორივ ერთად დაჰკავშირებოდა აქ დაბანაკებული ჯარის ოფიცრებს, უპირველესად კი იმას, ვინც ყველაზე სანდოდ მიაჩნდათ.

ასეთი კი სხვა ვინ — დავით კლდიაშვილი გახლდათ!..

ჟურნალ „მოამბის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მოთხრობებით უკვე ნიჭიერი და საპატიო მწერლის სახელი რომ მოეხვეჭა, ამას გარდა გრიგოლ ვოლსკისა და მის თანამოსაგრეთ მხარს უმშვენებდა საქალაქო საქმისათვის შავრაზმელებთან ბრძოლასა და ქართველ მოსახლეთა ინტერესების დაცვაში. სამხედრო კარიერა ხელს ხომ არ უშლიდა თავისი პრინციპების ერთგულებაში? ვის, დავით კლდიაშვილს? სხვა ოფიცრებისათვის თუ ჩვეული იყო სალდათებისათვის ისე შეეხედათ, როგორც ცხვრის ფარისათვის, ეს ადამიანი განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა მათ („ამ ყველასაგან დაჩაგრულ და ხელმწიფის ტახტის გამაგრებისათვის საჭირო ბრმა იარაღს"), და ისინიც რომ გრძნობდნენ ამ განწყობილებას, თავიანთი მხრივ გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ, ის კი არა, მზადაც იყვნენ მისი ადამიანობისათვის ყოველგვარი მსხვერპლი შეეწირათ.

მართლაც მეტად საფრთხილო და საჭოჭმანო წუთებია და ეს ორნი, ეტლით რომ მიემართებიან ეგრეთწოდებული „გოროდოკისაკენ", სადაც დავითი ცოლშვილიანად ცხოვრობს, ეიმედებათ, მისგან მივიღებთ ყოველმხრივ დახმარებას, რაც კი ხელიდან გამოუვაო.

წარმოიდგინეთ, რარიგ გაიხარებდა მასპინძელი, როდესაც იმ ნაცრისფერ რეალობაში, სამსახური სადაც უწევდა და ერთფეროვანი დღეები მოწყენილი სიზანტით მიჰყვებოდნენ ერთიმეორეს, უეცრად გამოეცხადებოდნენ მისი საყვარელი ჟურნალისა და გაზეთის („მოამბე" და „ცნობის ფურცელი") რედაქტორ-გამომცემელი და თანამშრომელი, გააცნობდა მეუღლესა და შვილებს — სერგოსა და მის დას, გიმნაზისტურ სამოსში გამოწყობილთ, და სასწრაფოდ გასცემდა განკარგულებას ძვირფას სტუმართა გასამასპინძლებლად.

ვიდრე სადილი მზადდებოდა, ესენი განმარტოვდებოდნენ და სტუმრები თავიანთი ვიზიტის მიზანს გაუმხელდნენ.

— როგორ... იარაღის შემოტანას აპირებთ?

დავითი ყველაფერს მოელოდა, მაგრამ შეიარაღებული აჯანყება თუ შეიძლება აგერ-აგერ მომხდარიყო, ეს უკვე ვეღარ წარმოედგინა. არადა, მისი სტუმრები ყმაწვილები კი არა, სოლიდური პიროვნებანი იყვნენ და ადვილად არაფერს აჰყვებოდნენ, თუკი ყოველივე გულდასმით არ ექნებოდათ გათვლილ-გაანგარიშებული. და ესენი დაუფარავად რომ გადმოუშლიდნენ იარაღის შემოზიდვის რეალურობასაც და აჯანყების სამზარეულოშიც შეახედებდნენ, თედო თვალდათვალ შეატყობდა უჩვეულო გარდასახვას მასპინძელს, ისედაც ცოცხალი თვალების კიდევ უფრო ანაკვერჩხლებით დაწყებულს და სხეულის ისეთი ატოკება-ატორტმანებით დამთავრებულს, თითქოს გასაჩერებელ ადგილსაც რომ ველარ იპოვიდა... ან რაღა თითქოს... აფორიაქება, ამღელვარება თედოსაც სჩვეოდა, მაგრამ ამისთანა?!.

გარდუვალ ცვლილებებს დავითიც გრძნობდა, ცხადია, ჰაერში ისე ტრიალებდა ჯანყის სუნი, ვის აღარ მისწვდებოდა და მითუმეტეს — მწერალს, მაგრამ ეს მაინც წარმოსახვა იყო, განცდა, ინტუიცია, თუნდ ყოველ წუთსაც რომ ელოდები რაღაც ახალს, მაგრამ... იმავდროულად შორსაც რომ გადაინაცვლებს მოსალოდნელი გარდატეხა, დღეები იმუხტება, იმუხტება, ოღონდ აფეთქების ხმა ჯერ არ ისმის, ვერც მკაფიოდ დაგილანდავს და დაუმცხრალ იმედოვნებას ამიტომაც შერევია სკეფსისიც: ეგებ კიდეც მოხდეს სასიკეთო ცვლილება, მაგრამ მე კი ვერ მოვესწრებიო.

აჯანყების სამზადისი იატაკქვეშ ჩამალულა და ყველას მზერა ვერ მისწვდომია.

მაგრამ ალექსანდრე ჯაბადარი იმთავითვე ადევნებს თვალს ყოველივეს, თედო სახოკია ხომ თხემით ტერფამდე ჩაფლულა და ფარული პროცესის ყოველი აქამომდელი და მომდევნო რგოლი მისი ხელითაც რომ იჭედება, აღარ უკვირს, ამხელა, ასეთ გრანდიოზულ განზრახვას თუ უნდა შეესხას ხორცი.

მაგრამ, აბა, დავით კლდიაშვილის ტყავშიც გაეხვიოს?!.

— მადლობელი ვარ, რომ გამახარეთ და გულს იმედი ჩამისახეთ, — სკამიდან ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯდება, ხელებს იფშვნეტს, მჭევრი ენა ლამის უდუნდება, მადლობას იმეორებს, მერე კი უჩვეულო ექსტაზით შესძახებს, — იქნება მოვესწროთ?!

— მოვესწრებით, — ამათ ოდნავადაც არაფერი აეჭვებთ, ისე შესჩვევიან იმ აზრს, რომ იარაღის შემოტანას ზედ უნდა წაებას მისი ჩამორიგებაც და აგრიგალებაც.

— ნიკოლოზის ტახტის დამხობას?

— ნიკოლოზის ტახტის დამხობას!

— იმპერიისაგან თავდაღწევას?

— იმპერიისაგან თავდაღწევას!

— საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრებას?

— საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრებას!

— სხვა ერებს გვერდით ამოვუდგებით, როგორც სწორი სწორს?

— ამოვუდგებით... სწორი სწორს!

— სხვა საოცნებო არც რა მქონია, ამისთვის თავიც არ მეზოგება.

— ჩვენც ამ წუთისათვის ვცოცხლობდით და არც თავი გვენანება.

— „ელგუჯა“ დამიდგა თვალწინ და თვითონ ელგუჯა, იმ წამის ნატრული, ყველა რომ ხმალს გააელებს ხელს!..

ჩვენც მასავით ვართ ნატრულნიო, — ორივე სტუმარი თავს დაუქნევდა და თედოს თვალწინ ამოესახებოდა ის დრო, იოსებ ლაღიაშვილსა და შიო დედაბრიშვილთან ერთად სასტუმრო „პეტერბურგის“ წინ რომ ტრიალებდა მღელვარება მოუთმენლობით, აჰადა წამიწამზე გამოჩნდება ჩვენი უსაყვარლესი მწერალი მხარზე შემოსკუპებული მაიმუნითო...

— მაგრამ... — ნეტარი ბურანიდან გამოჰყავს მასპინძლის ამ შეჭოჭმანებას.

— მაგრამ?.. — ორივეს ერთხმად დასცდება.

— მაგრამ, დიახ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს... მე ხომ მარტო, ვარ, მარტო, გარშემო სულ შავრაზმელები მახვევია. ჩემი როტა რომ გამომყვეს, სხვები გამომყვებიან?

საამისოდ აქ ხომ არავინ გარჯილიყო, არავინ ცდილიყო გაელვიძებინა გონებაჩამორჩენილი რუსის სალდათი. პარტიული პროპაგანდისტები აქ ხომ მხოლოდ ნავთის საწმენდ ქარხანაში მომუშავეებს უტრიალებდნენ და მათ ანთებას ლამობდნენ რევოლუციური სულისკვეთებით, ხოლო აქაური ჯარი ასეთ მოძრაობაში მონაწილეობას მაშინღა მიიღებდა, როდესაც დაინახავდნენ, ხალხი, უმრავლესობაა გამარჯვებულიო, ოოო, მერე კი შესაძლოა დროშაც აეფრიალებინა და წინაც გაძღოლოდა მთელს მოძრაობას.

— ჯერჯერობით მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. მერე ვნახოთ. პირადად მე ჩვენი ქვეყნის ჭირის სანაცვლო ვიყო! როგორც ერთი კაცი, მომიხმარეთ, რაც გენებოთ, ის დამავალეთ. რაც ჩემს ძალ-ღონეს მოეთხოვება, მზადა ვარ რევოლუციის სამსხვერპლოზე ზვარაკად მივიტანო ჩემი სიცოცხლე.

სტრიქონსა და სტრიქონს შორის მკაფიოდ გამოსჭვივის მასპინძლის შეფარული დაპირება, რომ შეეცდება ცალკეულ ოფიცრებთან მოლაპარაკებასაც და ჯარისკაცების თანდათანობით გამოფხიზლებასაც, რათა ჩამორჩენილი გონება როგორმე აუმოძრაოს და გააგებინოს, რომ, გარდა ამ გარემოსი, სადაც ისინი ტრიალებენ, არსებობს კიდევ სხვა ცხოვრებაც, რომელიც ბევრად უკეთესი შეიძლება გახდეს, თუკი ყოველივე ისე წარიმართება, ყველაზე ბუნებრივი პროცესი რაც შეიძლება იყოს, ამ პროცესის მდინარებას კი ხელი სალდათებმაც უნდა შეაშველონ, ის კი არა... ის კი არა, შესაძლოა სათავეშიც მოექცნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს და გადამწყვეტი სიტყვაც თქვან. ჰა, რითია ცუდი, თუკი ადამიანს მნიშვნელოვან საქმეთათვის მომართავ და საკუთარი ძალის იმედით აავსებ, ოღონდ ეს ძალა მხოლოდ სასიკეთოდ უნდა დაიხარჯოს.

დავით კლდიაშვილიც რევოლუციისაგან გამოელოდა ხეირს საქართველოსათვის, საყოველთაო აჯანყებას იმპერიაში ქართველობაც რომ შეუერთდებოდა და მხოლოდ იმპერატორის დასამხობად კი არ გადადებდა თავს, არამედ უმწვავეს ჭიდილში საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც გამოჰკრავდა ხელს... ეგაა, სოციალ-დემოკრატები თავისას ჩა-

აგონებდნენ ხალხს და საქართველოსთვის, ამ რაღაც მიწის ნაგლეჯისათვის, კი არ აღანთებდნენ, არამედ მსოფლიო რევოლუციისაკენ ეწეოდნენ, იმ სამყაროსაკენ, სადაც ეროვნებანი აღარც იარსებებდნენ და არც დამოუკიდებელი სახელმწიფოები დასჭირდებოდა ვინმეს... მაგრამ ისინი თუ თავისას ჩააგონებდნენ, შენც შენი მრწამსით აგეყოლიებინა, ეროვნული სულით გაგემსჭვალა და ეროვნებათა მრავალფეროვნებაში დაგენახვებინა მათთვის სიცოცხლის აზრიც და ცხოვრების მიზანიც, ანუ იმ სამყაროსკენ გასძღოლოდი, სადაც ეროვნული თავისებურებანი და ნიშან-თვისებანი აუცილებლად შენარჩუნდებოდა.

როგორც ერთი კაცი, მომიხმარეთო...

გამოიკითხავდა იარაღის შემოტანის დროს და მისი გასანაწილებელი პუნქტების მდებარეობას.

— საერთოდ, გაეცნო გეგმას სამხედრო კაცის თვალსაზრისით.

ზოგადად რომ მოუწონებდა, თედოს სიამე ჩაეღვრებოდა გულში, თურმე ურიგოდ არ ვერკვევი სამხედრო საქმეშიცო, და გულისყურით დაუგდებდა ყურს, მასპინძელი რამდენიმე მოსაღოდნელ დაბრკოლებას რომ მიანიშნებდა და მათ გათვალისწინებას ურჩევდა. ასე რომ, თუმც უშუალოდ არ დაესწრებოდა, მაგრამ იარაღის გადმოზიდვის იმ აქციაში დავით კლდიაშვილის ხელიც ურევია.

გაათვალისწინებინებდა და... კიდეც მოათავებდნენ ამ თემაზე ბაასს, რათა ლიტერატურასა და ლიტერატორებზე გადასულიყვნენ — მათთვის არანაკლებ სულისშემძვრელ თემაზე. ამასობაში სადილიც უნდა გაწყობილიყო და დავითის მეუღლის, მარიამის, დიასახლისური მადლიც საკუთარ თავზე გამოეცადათ.

დავით კლდიაშვილის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს რომ შექმნიდა, რა გასაკვირია, რომ ამ ეპიზოდის ძარღვზე ამოაშენებდა, თუმც მისი სიცოცხლის მიმწუხრის ერთ ამბავსაც ამცნობდა მკითხველს, რადგან თვითონაც გარეულიყო თედო და ტფილისს გარეთ ეს მეორედ მოინახულებდა საყვარელ მწერალს — ბათუმის „გოროდოკში" სტუმრობი-

დან მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ იმის საკუთარ სახლში, სოფელ სვიმონეთში.

შემოდგომა იდგებოდა, სექტემბერი. დავითისათვის სნეულებას ისე დაერია ხელი, რომ აღარავითარი იმედი აღარ რჩებოდა სიკვდილისაგან თავის დაღწევისა. მისთვის თავდადებული მეუღლე კი არ აკლებდა ზრუნვას, მაგრამ აუცილებელი იყო სნეულის დაწვენა საავადმყოფოში, რადგანაც მხოლოდ ამ რეჟიმში თუ შეიძლებოდა მისი გაჩერება და ყურისგდება.

მწერალთა კავშირში მოილაპარაკებდნენ სოფლიდან დავითის წამოყვანის შესახებ და ამ საპატიო როლს დააკისრებდნენ თედო სახოკიასა და სერგო კლდიაშვილს, ესეიში მამის მიერ გაკვალული გზის ღირსეულ გამგრძელებლად რომ მოიხსენიება.

სვირის სადგურზე ჩამოხტებოდნენ და აქედან ფეხით შეუდგებოდნენ გზას, რამდენიმე კილომეტრი ვაკეზე რომ უნდა გაგევლო, ვიდრე, სოფელში შესვლისას, ზევით აუყვებოდი. აქ თავდებოდა აჯამეთის ჭაობების ნაწილი და დაიწყებოდა ზეგანი — იმერეთი თავისი საღი ჰაერითა და ბუნების სიკეკლუცით. მართალია ესეიში საამისო ადგილი თითქოს არ არის, მაგრამ თედო ხელიდან როგორ გაუშვებს შემთხვევას, თუნდ ორიოდე ფრაზით არ განგაცდევინოს ამ მიდამოს თავისებურება და სილამაზე, ამ სტრიქონების გარდა, კიდევ რომ უნდა დაუბრუნდეს.

კიდევ ორიოდ კილომეტრსაც გაივლიდნენ და მიადგებოდნენ მწერლის ხშირ ძელქვებში ჩადგმულ ფიცრულ ორთვალა სახლს.

დავითი მწოლიარე დაუხვდებოდათ. და შეგებება-მოკითხვისთანავე დედაქალაქისა და მწერლობის ამბებს გამოიკითხავდა, რა ხდებოდა ახალი ლიტერატურულ ცხოვრებაში. და შეჩივლებითაც ამას შემოსჩივლებდა:

— ძალიან ვიტანჯვი და მაწუხებს ცალკე ავადმყოფობა და ცალკე კიდევ თბილისისა და მეგობრების მოშორება.

და თედო პასუხად:

— აი, სწორედ ამიტომ გეახელით, ჩემო დავით! დაგვავალეს: თბილისში წაგვიყვანოთ და საავადმყოფოში მოგათავსოთ. საუკეთესო ექიმები დაგადგებიან თავზე. ეცდებიან, მალე ფეხზე დაგაყენონ იმდენად, რომ წერაც კი შეიძლო.

გაიხარებდა და დაეთანხმებოდათ:

— ჩემი საწყალი მეუღლე მეტად დაიღალა ჩემს მოვლაში, დაისვენებს.

მეუღლე მეზობლებს სთხოვდა, პატივი დაგვდეთ და დავითი სვირის სადგურში საკაცით მიიყვანეთო. უარს ვინ ეტყოდა და კიდეც შეუდგებოდნენ მზადებას მეორე დილისათვის.

თედო მეორე დილითვე დაათვალიერებდა სოფელს. ავიდოდა ზედ მიკრულ გორაკზე, სადაც პატარა ეკლესია წამოდგმულიყო, და საუცხოო სურათი გადაეშლებოდა თვალწინ ყვირილასი, რიონისა და სანაპირო ადგილებისა, აჯამეთის ტყისა და თვალწარმტაც სანახაობად შეიგრძნობდა მთელს ტყეს ძელქვებისა, ძვირფასის გარდა, საარქეოლოგიო ხეებადაც რომ მოიხსენიებს.

და ამ სურათის ნახვის შემდეგ შეიგნებდა, თუ რად უყვარდა დავითს უსაზღვროდ მშობლიური სოფელი, სადაც ულეველ მასალას პოულობდა მოთხრობათა უკვდავი ტიპების ჩამოსაქანდაკებლად!..

სწორედ იმ წუთს, რა წუთსაც უნდა გამოსულიყვნენ სვიმონეთიდან, ავადმყოფს ერთბაშად უნდა გადაეფიქრებინა.

ნუთუ... ნუთუ მოეჩვენა, რომ სასიკვდილოდ მიჰყავდათ თბილისში?!.

მაშ იოლად რატომღა დაჰყაბულდა მგზავრობას?

წარმოსახვაში, მოგეხსენებათ, გაცილებით ადვილია ყველაფერი, თანაგრძნობამ და ყურადღებამ გული აუჩვილა: თურმე მწერლებს მიტოვებული სულაც არა ვყავარ და ჩემზე ფიქრობენ?, — მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გაუძნელდებოდა და ძალიანაც გაუძნელდებოდა. და თედო გაოგნებული უგდებდა ყურს მწერლის ოთახიდან გაუნელებელი სასოწარკვეთილების ყვირილს:

— არ მინდა თბილისში წასვლა... არ მინდა... იქ მომკლავენ... თუ სიკვდილია, ისევ ჩემი მაშოს ხელში მოვკვდე, ჩემსავე სახლში!..

თედო ოთახში შეიჭრებოდა და მოჰყვებოდა მის დამშვიდებას:

— თუ არ გნებავთ, თქვენი ჭირიმე, ჩვენ თქვენის გადასულს, აბა, როგორ ვიზამთ!

როდის-როდის დააწყნარებდა და რომ გამოემშვიდობებოდა... ეს უკანასკნელი გამომშვიდობება აღმოჩნდებოდა მასთან და უკანასკნელი ნახვა ცოცხლისა.

დავითის გადმოყვანა რომ გადაწყდებოდა თბილისის საავადმყოფოში, სერგოს ამის სათქმელად თითქოს რა გამყოლი ესაჭიროებოდა, მაგრამ თვითონ ითხოვდა: მე მარტოს გამიჭირდება მისი დაყოლიება და ერთი კაცი მაინც გამომაყოლეთო. და თვითონაც გუნებაში თედო სახოკიაზე რომ შეაჩერებდა არჩევანს, ყველა ერთობლივ თედოს იგულისხმებდა მისი პიროვნული მომხიბვლელობის, მჭევრი მეტყველების, დიპლომატიური უნარის იმედად; და თავიდან აკი კიდეც გაუჭირდათ გუმანი, და უთუოდ ბოლომდეც გაუმართლებდათ არჩევანი, დროდადრო ბინდი რომ არ ნაჰფარებოდა დავითის გონებას. ამიტომაც შეცვლიდა ასე უეცრად გადაწყვეტილებას, ნისლში რომ შეცურდებოდა და სოფლიდან გასვლა პირდაპირ საიქიოში შებიჯებად წარმოესახებოდა. საკუთარი ნებით კი იქ რა შეიყვანდა!

გაწბილებული უბრუნდებოდა დედაქალაქს თედო, თუმც ის ფიქრიც გაუჩნდებოდა: კიდევ კარგი, წამოსვლის წინ გაჯიუტდა, თორემ თბილისში რომ ჩამოგვეყვანა, ვაითუ ისე დაერია ხელი სვიმონეთიდან მოწყვეტის განცდას, უკან მიბრუნებაც ვეღარ მოგვესწრო და ხელიდან გამოგვცლოდაო.

ახლა ნახევარ წელიწადზე კიდევ მეტს შერჩებოდა წუთისოფელს დავით კლდიაშვილი.

თუმც ეს როდის უნდა მოხდეს?

ჯერ ხომ რამდენიმე რჩევას უზიარებს სტუმრებს და თვითონაც გულისფანცქალით ელოდება ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის შესაფერისად დაგვირგვინებას, რაც კიდეც სრული წარმატებით აღსრულდებოდა, რომ არა...

თუმც „სირიუსის“ ჩამოდგომამდე 1905 წლის რევოლუციად სახელდებული მოვლენაც უნდა მომხდარიყო, თავისთავად ბევრს არაფერს რომ წარმოადგენდა — ვერც კი მოასწრებდა ხალხი გოლოვინის გამზირზე თავმოყრას, მხოლოდ მცირე ჯგუფი გამოჩნდებოდა მანიფესტანტებისა, სხვანი კი ჯერაც

ნაკადებად მოედინებოდნენ დიდი დემონსტრაციის გასამართავად, რომ ცხენოსანი პოლიცია დაერეოდა და აქეთ-იქით მიმოფანტავდა.

ეს იქნებოდა და ეს.

მაგრამ გამოძახილს კი, მართლაც, დიდს გამოიწვევდა, მისი აღზევება და მოშარავანდება მიზანმიმართულად მოხდებოდა, რაკიღა ევროპას ხელს აძლევდა ამ ჩანასახშივე შეწყვეტილი აქციის ასერიგად გაბუქვა-გაზვიადება და ასე მოინათლებოდა ეს უდღეური გამოსვლა რევოლუციად — მართალია, დამარცხებულად, მაგრამ მაინც რევოლუციად, რომელსაც კიდევ უფრო უნდა დაერაზმა ხალხი გადამწყვეტი ბრძოლისათვის რუსთ ხელმწიფის დასამხობად.

ბარემ ძალიანაც უსწრებდათ სული და ახლავე უნდოდათ ტახტის გადატრიალება, ისე ანთებულიყვნენ და მომართულიყვნენ, მაგრამ რაკიღა ჩაიშლებოდა ჩანაფიქრი, ვერც ივარგებდა ეს დიდი სახალხო გაწბილება საყოველთაო აჯანყების უვერტიურად.

შენ „ვერ ივარგებდა" ეძახე —ისტორია მაინც ასე მიუჩენდა ადგილს: 1917 წლის რევოლუციების უვერტიურად — ჯერ თებერვლისა და მერე უკვე უშუალოდ ოქტომბრისა,სინამდვილეში სახელმწიფო გადატრიალება რომ უფრო იყო, ვიდრე რევოლუცია, დამპატიჟეები რომ წაესეოდნენ თებერვლის მონაპოვარს. ჯერ ისინი რა ხალხი იყო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთა, რა ხეირის მომტანნი, და ბოლშევიკური ფრთა იმათაც კი წააჭარბებდა, თავიანთ ყოფილ თანამოძმეებს, სისასტიკითა და დაუნდობლობით, ეიფორიისაგან გამოფხიზლებულ მოსახლეობას თვით მენშევიკებიც რომ სანატრელნი გაუხდებოდათ.

ამოიშლებოდა საბჭოთა ისტორიული ანალებიდან თებერვლის რევოლუციის ნამდვილი მნიშვნელობა, გაკვრითღა აღინიშნებოდა. სამაგიეროდ, 1905 წლის ის დღე გადიადდებოდა და 1917 წლის თებერვალს სულაც გადაყლაპავდა, ჯერ მის წინამორბედად რომ სახელდებოდა და ამით მოეპოვებინა განსაკუთრებული ადგილი უახლეს ისტორიაში, ამიერიდან კი — მი-

სი შთანმთქმელი — თებერვლის გამორჩეულობასაც თვითონ შეითავსებდა და ასე გაიდებოდა ის უშუალო ხიდი 1905 და 1917 წლების ოქტომბრებს შორის, როგორც წინამორბედსა და მესიას შორის, მაინც მესიობას იჩემებდა ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი, კაცობრიობის მხსნელად თვითგამოცხადებული.

თურმე იმ ჩაშლილი და უდღეური გამოსვლისა ტყუილუბრალოდ კი არ ეიმედებოდათ. მერე რა, რომ იმწუთას არ მოჰყოლია რევოლუციონერთათვის გულთმაამი შედეგი, იმწუთას ვერ დატკბნენ მისი ნაყოფით, სამაგიეროდ, ნებისად გადაკეთებული ისტორიადააფასებდა იმ სახალხო ფორიაქსა და აღტკინებას, რომელსაც ერთადერთი ილია ჭავჭავაძე არ იზიარებდა, თორემ მისი თანამოაზრენი და თანამოდასენი მთელი არსებით აჰყოლოდნენ საყოველთაო აჟიოტაჟს იმ ოცნების ახდენის მოიმედენი, რევოლუციას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გადავზრდით და კიდეც აღვიდგენთ სახელმწიფოებრიობასო.

მხოლოდ მერე უნდა მიმხვდარიყვნენ ამ იმედის მოჩვენებითობას, წიწამურის ტრაგედიას უნდა გადაეშალა მათთვის თვალნათლივ, რომ შეუთავსებლის შეთავსება არასოდეს მოხდება, როგორც უნდა გეწადოს და მომხიბლავ სურათებადაც გეხატებოდეს წარმოსახვაში.

იაკობ გოგებაშვილიც მაშინღა უნდა გამორკვეულიყო ნეტარი ოცნებიდან, ჯერ კი ჭაბუკური აღტკინებით აჰყოლოდა რევოლუციის სუნთქვას და მასში პოვებდა ოცნების ახდენას.

ძლიერდებოდა რევოლუციის სუნთქვა და მძაფრდებოდა მისი ახალგაზრდული გზნებაც, და თედო — საზღვარგარეთიდან ჩამოსვლისთანავე იაკობს მისთვის ჩვეული სეირნობისას რომ შეხვდებოდა— უფრო ზუსტად, საგანგებოდ მოინახულებდა — გოლოვინის გამზირზე, მაშინვე შენიშნავდა იმ ცვლილებას, რაც სახელოვან თანამოღვაწეს დაუფლებოდა, და მერე... მერე ხომ...

მეტი ცვლილება კი რაღა უნდა ყოფილიყო, როდესაც იაკობს იმ საყოველთაო სიხარულისა და აღტაცების ჟამს დავიწყებოდა თავისი განუწყვეტელი ჩივილი ავადმყოფობაზე, 65

წლის კაცს თვალები 25 წლის ახალგაზრდასავით უბრწყინავდა, მთელ სახეს სიხარულის სხივი გადაჰფენოდა, წელში გასწორებულიყო, თავი მაღლა აეღო და ხმასაც მეტი რიხი და სითამამე მომატებოდა.

— იქნებ რამე გვეშველოს, — მხიარულად შემოსძახებდა, თითქოს გუშინ დაშორებიან ერთიმეორესო, — რაც ამდენ ხანს ოცნების საგნად მიგვაჩნდა, ახლა რეალობად გახდეს, შრომამ ფუჭად არ ჩაგვიაროს... ბედნიერები ხართ ახალგაზრდები, რომ ყველაფერს მოესწრებით... მე კიდევ ვეცდები, ჩემი „დედაენა" უკეთესად გადავაკეთო, გადავახალისო, შევავსო განახლებული თანამედროვე ცხოვრებისა და პირობათა მიხედვით, ამდენი ხნის მონობისაგან განთავისუფლებული ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილების თანახმად.

იმ ჩაფლავებული რევოლუციის დღეს კი იაკობს ვერსად გადააწყდებოდა თედო სახოკია და მხოლოდ მოგვიანებით შეიტყობდა, ძლივს რომ გადარჩენოდა ტრაგიკულ აღსასრულს, ხმალამოღებული კაზაკი რომ გაეკიდებოდა და გაჭაბუკებული ბერიკაცი ბიბლიოთეკაში შევარდნითღა უშველიდა თავს... ჰაერში კი გაფრინდებოდა მისი კალოშები, თავდაუზოგავი სირბილისას ფეხებიდან წამძვრალი...

ეს რევოლუცია დააშორებდა თედოს იაკობ გოგებაშვილსაც და დედაქალაქსაც.

— ნახავთ თქვენს სეირსო, — გულში ექადნებოდა ხელისუფლებას ზღვის სანაპიროსაკენ გაჩქარებული, რაკიღა იქ ეგულებოდა ყველაზე დიდი დასაყრდენი სამაგიეროს მიზღვისათვის — ეროვნული სამაგიეროსი, თორემ ეს ერთი დარბევა რა ბედენა იყო!

ტალღებს მოაპობდა „სირიუსი".

საბოლოოდ აზუსტებდნენ მოქმედების გეგმას და უკანასკნელ განკარგულებებსაც გასცემდნენ თედო სახოკია და მიხა ესაკია.

დგებოდა ისტორიული წუთი.

გიორგი ლასხიშვილის მემუარები გვამცნობს, თუ როგორ გაჩერებულიყო ეს ხომალდი ფოთის მახლობლად და ღამით

სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზებით გამზადებული ნავები რიგ-რიგად და მწყობრად როგორ მისდგომოდნენ გემს და დაეწყოთ იარაღის გადმოზიდვა.

პირველი ნავები მშვიდობიანად მოადგებოდნენ ნაპირს და დანიშნულ ადგილას გადაიტანდნენ იარაღით დატვირთულ პირველ ყუთებს.

და თითქოს მთელი ეს ოპერაცია კარგად და მშვიდობიანადვე უნდა მოთავებულიყო, მაგრამ...

მემუარისტი „სამწუხარო გარემოებად" მოიხსენიებს მოულოდნელ დაბრკოლებას, რასაც თავის პარტიულ ამხანაგებსაც აბრალებს: საჭირო კონსპირაცია ვერ დაიცვეს და იარაღის ჩამოტანის ამბავი ფოთში ბევრმა გაიგოო.

როდესაც იარაღის გადმოტვირთვა დაწყებულიყო, ნაპირს ბევრი ხალხი მისწყდომოდა, ვიღაცებს შეკრული ყუთიც გაეხსნათ და იარაღი გაეტაცებინათ. ატყდებოდა ხმაური, სირბილი... მოდარაჯე გემი ამ დროს შენიშნავდა ნავებს და გაისროდა, შემდეგ ნავსადგურიდანაც გავიდოდა და შორიდან „სირიუსსაც" შეამჩნევდა, და კიდეც ატეხდა სროლას. „სირიუსის" მეზღვაურები რამდენიმე ყუთს, უკვე ნავებში ჩასაწყობად გამზადებულს, ზღვაში გადაყრიდნენ და გემსაც დაძრავდნენ. ჩვენები დატვირთულ ნავებს გაგრის მახლობლად გააჩერებდნენ და გათენებისას იქლა მოახერხებდნენ იარაღის გადმოზიდვას ნაპირზე.

ასე ჩაიშლებოდა წინასწარ დეტალურად შედგენილი გეგმა.

ნანინანატრი იარაღიდან ზოგი ადგილობრივ მთავრობას ჩაუვარდებოდა ხელში.

ზოგს, ვინ იცის, ვინ გაიტაცებდა.

ზოგიც ზღვაში ჩაიძირებოდა.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ფათერაკისა, ბევრი იარაღი მაინც შერჩებოდათ ხელთ რევოლუციონერებს და თავის დროზე ხალხსაც დაურიგდებოდა. და ამიტომაც მოხდებოდა, რომ შვეიცარიის თოფები ბევრგან გაიფანტებოდა სოფლად თუ ქალაქად, უმთავრესად მაინც — სამეგრელოსა და იმერეთში.

რაოდენ ზუსტადაც უნდა გქონდეს წინასწარი გეგმა გათვლილ-გაანგარიშებული, ყოველთვის შეიძლება წამოიჭრას გა-

უთვალისწინებელი გარემოება, მოულოდნელი ხიფათი ან დაბრკოლება, ფათერაკისაგან არასოდეს არავინ არის დაზღვეული და... ეგებ ფოთის ნავსადგურშიც დამხვდურებმა რაღაც ვერ მოზომეს, ცოტა ილბალმაც უმუხთლათ, გამოუცდელობამაც იჩინა თავი წვრილმანებში, რაც საბოლოოდ აღარც ისეთი წვრილმანი გამოდგა და სიმწრით ნაშოვნი თოფების ერთი ნაწილი იმ მთავრობამ იგდო ხელთ, რომლის დასამხობადაც შემართულიყვენ ამ აქციის მონაწილენი — გიორგი დეკანოზიშვილით დაწყებული, რომლის ზღაპრული, საარაკო ძალისხმევაც, ძალიან თუ არა, ცოტათი ხომ მაინც გამოადგებოდა ხელისუფლებას, რევოლუციონერთა დამრბევთ რომ შეაიარაღებდა.

მთლად რომ არ ჩაშლილა და საბოლოოდ მაინც წარმატებულად უნდა შეფასდეს მთელი ეს თავგადასავალიც და მისი ნაყოფიც, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები ძალიანაც რომ გაამხნევა, ამას განა ვინ უარყოფს, მაგრამ მაინც გული გწყდება, ისე საგულდაგულოდ იყო ყველაფერი მომზადებული, ნეტა იმ ტრიუმფით დაგვირგვინებულიყო, ნავების პირველი წყების ორგანიზებული სვლა რომ იწვევს ჩვენს თვალში: ხომ შეიძლება ძალიან ეფრთხილათ და ფოთის მოსახლეობას წინასწარვე არ მოსდებოდა ეს ამბავი, სახალხო აღტკინება და სიხარული ცუდად რომ შემოუბრუნდათ და კინაღამ საბედისწეროდაცო!..

აქაც ზუსტად განმეორებულიყო ის, რაც ფინლანდიელ აქტივისტებს დამართოდათ.

თუმც... ვითომ უნებლიე გამჟღავნებამ და მოსახლეობის მოუზომავმა აღტაცებამ შექმნა ის მწვავე ხიფათი?

როდესაც გიორგი დეკანოზიშვილის „დღიურს" გამოაქვეყნებდა ვიკტორ ნოზაძე პარიზული ქართული გამოცემის ფურცლებზე — „კავკასიონი", 1964, IX — ასეთ ბოლოთქმას დაურთავდა:

— სამწუხაროდ, აქ სრულდება ეს რვეული. მაგრამ ცნობილია, რომ გემიდან იარაღი გადატვირთეს, ხოლო იარაღის მიმღებ სოციალისტ-ფედერალისტებს შეედავნენ სოციალ-დემოკრატები და ამ იარაღის გამო მათ შორის მწვავე დავაც მოხდა. ამის მოწმენი აქაც უნდა იყვნენ და საჭიროა ამ ამბის აღწერა.

გიორგი დეკანოზიშვილისადმი მიძღვნილ ესეში თედო სახოკია მოერიდებოდა ამ ეპიზოდის აღწერას და მხოლოდ გამჭვირვალე მინიშნებას იკმარებდა:

— თუ რა სამარცხვინო როლი ითამაშა ამ იარაღის გადმოტვირთვის დროს ზოგმა ვითომდა თანამებრძოლმა, ამის შესახებ სხვა უფრო შესაფერ დროს ვიტყვით, დღეს კი იმასღა აღვნიშნავთ, რომ ისინი რომ ამ საქმეში არ გარეულიყვნენ, ათ კაცში, რომელნიც სასამართლოს ჩავუვარდით ხელში ამ იარაღის შემოტანის გამო და რომელთაც ციმბირი გვიჩვენეს, არც ერთი არ დავისჯებოდით, თავიდანვე საქმე ისე გვქონდა დაწყებული.

სხვა უფრო შესაფერ დროს ვიტყვითო...

ეიმედებოდა, რომ იმ „შესაფერ დროს" საქვეყნოდ გამოიტანდა ამ დრამატული ეპიზოდის იმ ფარულ და სამარცხვინო ნაკადს, და თანაც საკმაოდ გაშლიდა, გიორგი დეკანოზიშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ასე რომ ჩაეწურა:

— მივიღეთ (იარაღის) მხოლოდ ნახევარი. მეორე ნახევარსაც მივიღებდით, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა სწორედ ნავების წასვლის დროს ხელი შეგვიშალეს.

დიახაც, სოციალ-დემოკრატებმა!..

მათი ბუნება რაც იყო იმთავითვე, სული სულთაგანი და არსი არსთაგანი, არანაირ სათაკილო გზას რომ არ მოერიდებოდნენ და პარტიულ დაპირისპირებას არამცთუ ქვეყნისათვის სასარგებლო წამოწყებებს უმსხვერპლებდნენ, არამედ მთავრობასთან კონკურენტების დასმენასაც არ მოერიდებოდნენ.

თითქოს ებრძოდნენ, არა, ხელისუფლებას?

თითქოს გაშმაგებითაც, შეუპოვრადაც, თავდაუზოგავადაც?

მაგრამ რატომ ხდებოდა, რომ ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას... ფარულ ძაფებს აბამდნენ ხოლმე მათთან?

რაც სოციალ-დემოკრატებმა ჩვენ დღე დაგვაყენეს და გვაყენებენ ამ იარაღის გამო, კაცი ენით ვერ გამოთქვამსო, — აგრძელებდა ბარათს თედო სახოკია:

— გურიაში იმ ორ სანდალს (ნავს) უნდა გადმოეტანათ იარაღი. არ გადმოუტანიათ, თორემ ისეთი სისხლის ღვრა მოხდებო-

და ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, რომ საქვეყნოდ თავი მოეჭრებოდა ჩვენს ხალხს. ვერ აგიწერ, რა სისაძაგლეს არ მიმართეს, ოღონდ ჩვენთვის ხელი შეეშალათ. იმ გადარჩენილ იარაღის შესახებ ხალხს ეუბნებიან, იმიტომ მოიტანეს ფედერალისტებმა, რომ თავადებს დაურიგონ და ხალხი გააჟლეტინონო.

მაინც როგორ დაჰბნელებოდათ გონება მარქსის კლასობრივი თეორიით, იმის იქით გახედვა რომ აღარც სურდათ და... აღარც შეეძლოთ, კაცმა რომ თქვას.

არადა, დემაგოგიის როგორ უნარს იჩენდნენ, მწერლური ფანტაზიაც რომ ვერ მისწვდებოდა მათ გამომგონებლობას.

ცხრამეტი წლის შემდგომ აკი ამავე ცომით მოზელდნენ იმ დემაგოგიურ პროპაგანდას ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულთა რაზმის წინააღმდეგ: ხალხისათვის კი არა მზადდება აჯანყება, არამედ თავადაზნაურობის დაკარგული პრივილეგიების დასაბრუნებლად, რათა ხალხი კვლავაც დაბეჩავებული ჰყავდეთო.

და კიდეც ძალიან წაეხმარნენ ხელისუფლებას ამ აჯანყების ჩახშობაში.

იარაღის გადმოზიდვის დროს, რა, ნაკლებად წაეხმარნენ?

გარდა იმისა, რომ შეხლა-შემოხლა მოუწყვეს სოციალისტ-ფედერალისტებს საკმაოდ სახიფათო წუთებში და მათ მიერ ნაზრუნი თოფების ხელში ჩაგდება მოინდომეს იოლად და უზრუნველად, როგორ გგონიათ, მოდარაჯე გემმა მართლა შემთხვევით გაიგო აყალმაყალი და მაშინღა დაფაცურდნენ?!არ გაგიკვირდეთ, გაცემულნი რომ ყოფილიყვნენ ამ აქციის მონაწილენი. რა სისაძაგლეს არ მიმართეს სოციალ-დემოკრატებმაო, თედო რომ ჩივის, დაბეზღებასაც უნდა გულისხმობდეს, მოდარაჯე გემი გულდასმით რომ მიჰყურადებოდა მოსალოდნელ გადმოტანას იარაღისას და, ჩინებულად გათვლილი ოპერაცია რომ არა, თედო და მისი თანამზრახველნი პირველივე ნავების დატვირთვისას ჩაცვივდებოდნენ.

ის კი არა, წინასწარაც რომ არ გაეფრთხილებინათ მთავრობა სოციალ-დემოკრატებს, უშუალოდ ოპერაციის მსვლელობისას აყალმაყალს რომ ასტეხდნენ, ნუთუ არა ფიქრობდნენ,

რომ ადვილი შესაძლებელია მოდარაჯე გემის ყურადღება მიექციათ?! გონებაჩლუნგები ხომ არ იყვნენ, გნიასი არაფრად ჩაეგდოთ, ხმაურს არ დარიდებოდნენ?!. ასე ჰაიჰარად ვინ წაატაცებინებდათ ნალოლიავებ იარაღს, მთელ იმედებს რაზედაც ამყარებდა ფედერალისტური პარტია.

სხვა თუ არაფერი, ამ ვერაგობით მიაწვდენდნენ ხმას მთავრობის ერთგულ მსახურთ.

ამ ხელოვნურად გამოწვეული ალიაქოთის შედეგი გაცილებით სამძიმო იქნებოდა ქართველი პატრიოტებისათვის, ფოთის პოლიცმეისტერად აბაშიძე რომ არა ყოფილიყო. სახელიც კი ვეღარ გაეხსენებინა მისი თედოს, არადა, თურმე მას გადაერჩინა იარაღი სრული ჩამორთმევისაგან, ამ საქმის მონაწილენი კი — ადგილზევე დაპატიმრებისაგან.

თედო სახოკიას ნაწერებში სადღაც მიკარგულიყო ეს პიროვნებაც და მისი ეს უჩვეულო საქციელიც, იმ უფრო შესაფერისი დროისათვის მზადდებოდა გამოსამზეურებლად, მაგრამ ზეპირი თხრობისას ვინღა ან რაღა დაუშლიდა ამ პოლიცმეისტერის გახსენებას, სამსახურებრივი მოვალეობა რევოლუციონერთა დევნასა და დატუსაღებას რომ ავალდებულებდა, მაგრამ ძალიან არ დაგიდევდა ამ ვალდებულებას?! არამცთუ ცდილობდა თვალი მოერიდებინა და ფეხიც აეთრია, ამა თუ იმ რევოლუციონერის ადგილსამყოფელს ან შესაძლო მოქმედებას რომ ამცნობდნენ, სულაც წინასწარვე შეუთვლიდა და გააფრთხილებდა ხოლმე ახლო ნათესავის პირით მიზანში ამოღებულ იატაკქვეშელებს, ზუსტად ამცნობდა, რა დროს და სად აპირებდა თავდასხმას თავისი ჩაფრებით, და ალბათ სიცილსაც მიადევნებდა ამ გაფრთხილებას: მაინცდამაინც იქ ნუ დამხვდებით დაპატიმრების მოლოდინშიო.

და მერე ისე „განიცდიდა“, სულ თაეში იცემდა ხელებს: როდემდე უნდა ვიაროთ ასე ტყუილუბრალოდ, ან ჩვენს აგენტებს ვერა და ვერ დაუზუსტებიათ მათი ნამდვილი ადგილსამყოფელი, ანდა ვიღაც აფრთხილებს წინასწარო, — და სუსხიან მზერას მიმოატარებდა გარშემო, გუნებაში კი სიცილითაც იჭაჭებოდა ნირწამხდარი და შეფიქრიანებული ჩაფრების შემხედვარე.

ჩვენი დაპატიმრების ოპერაციის ხელმძღვანელობა ძირითადად ამ აბაშიძის ხელში ყოფილიყო თავმოყრილიო, — თედო ასე რომ მოიგონებდა იმ — გონებაში მართლაც იშვიათი სიცხოველით შემონახულ — ეპიზოდს, ამ ფრაზით აშკარად ცნაურდება, რომ მოდარაჯე გემს შემთხვევით არ შეუტყვია „სირიუსის" მიზანი, სოციალ-დემოკრატთა მიერ ატეხილი გნიასი ის სიგნალი იყო, ჩაფრები რომ უნდა დასტყდომოდნენ უეცრად თავზე იარაღის გადმოზიდვით გართულ პატრიოტებს. ასეც მოხდებოდა და მოულოდნელ და ელვისებურ თავდასხმას ვინღა დაუსხლტებოდა ხელიდან, პოლიცმეისტერის ჩვეული მოქმედება რომ არა — სიფრთხილე გვმართებს, განსაკუთრებულად დიდი სიფრთხილეო. ამის მომიზეზებით რაც შეიძლება დააყოვნებდა ალყას და მანამდე არ მიუშვებდა ჩაფრებს გადმოზიდვის ადგილამდე, ვიდრე „სირიუსი" გაქცევით არ უშველიდა თავს და ესენიც — თედო და მისი კაცები — სამშვიდობოს არ გააღწევდნენ ბლომა იარაღიანად.

პოლიცმეისტერი აბაშიძე რომ არა, თედოსაც იქვე დაატუსაღებდნენ და არა მოგვიანებით — სოხუმში და, ისიც, დაბეზღების გამოისობით, თორემ მისი კვალი აშკარად აღარსად ჩანდა და კინაღამ კიდეც დაუსხლტა სასამართლოს კლანჭებსაც და ციმბირულ მოგზაურობასაც.

და თედო ყოველთვის პატივისცემით რომ მოიგონებდა ამ პიროვნებას, აუცილებლად დასძენდა:

— ეს აბაშიძე რომ არა ყოფილიყო პოლიცმეისტერად, ფოთი ალბათ ნათოფარს დაემსგავსებოდა!..

მართლაც მისი გონივრული მოქმედება რომ არა, არამცთუ ჩაიშლებოდა გიორგი დეკანოზიშვილის გრანდიოზული ჩანაფიქრი და პროტესტანტებიც მწარედ იწვნევდნენ პოლიციის ხელს, ფოთი ვერ გადაურჩებოდა დიდ უბედურებას.

მეტი უბედურება რაღა გინდა, ქალაქი თუ ნათოფარისაგან ველარ გაგირჩევია.

სხვა უფრო შესაფერ დროს ვიტყვითო...

ესეი 1922 წელს დაიწერებოდა და ხელისუფლება უკვე სოციალ-დემოკრატთა იმ ფრთას ეპყრა, ვის სამხილებლადაც კბი-

ლები უკანკალებდა თედოს, და უშუალოდ ის პიროვნება აღმოჩენილიყო ახალმოწესეთა ხელისუფლების სათავეში, ვინც პირადად დაგეგმა და კინაღამ კიდეც მიაღწია მიზანს — ჩაეგდო სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ ორგანიზებული ეს ამხელა საქმე. დიახ, სერგო ორჯონიკიძის ხელთ გადასულიყო ძალაუფლება და თედო — ბევრი სხვა პატრიოტივით — მაინც იმედით გაჰყურებდა მომავალს: განა როდემდე გაძლებენ, ჰა, ერთი წელი მიგვიცია, შესაძლოა რამდენიმე თვე კიდევ გადააჭარბონ, თორემ მერე ხომ სულ კუდით ქვა უნდა ვასროლინოთო!..

მაგრამ... დადგებოდა 1943 წელი და... ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში არამცთუ გამჭვირვალე მინიშნებას, უკვე ნართაულსაც მოერიდებოდა და მარტოდენ იმ გარემოების აღნიშვნას იკმარებდა:

— გადმოტვირთული იარაღის ნაწილი მთავრობამ ჩაიგდო ხელში, სხვა ხალხს დაურიგდა.

ჰა, ერთი წელი მიგვიციაო...

მერე სულ კუდით ქვასო...

თუმც ისე გაჩერებულიყო დრო-ჟამი, ისე ჩაკეტილიყო ერთ წრეში და ისე შეკუმშულიყო, ერთ წელიწადს კი არა, ერთ ღამეს დამსგავსებოდა დროის სვლა ტაატით, ხანგრძლივსა და კოშმარულ ღამეს, ერთს, ერთადერთს...

თუმც იქამდე ჯერ შორია.

1905 წლის „დროებით გაღიმებასა“ თუ „ბედნიერ დღეებს“ 1906 წელს მთავრობისაგან სასტიკი რეაქცია რომ მოჰყვებოდა და გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმები ცოდვისკითხვას დაატრიალებდნენ დასავლეთ საქართველოში, საერთოდ კი რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი გუნდ-გუნდად აღმოჩნდებოდნენ ციხე-გადასახლებაში, გიორგი დეკანოზიშვილსაც სამუდამოდ ჩაერაზებოდა გზა ემიგრაციიდან სამშობლოში დასაბრუნებლად.

„სირიუსის“ ექსპედიციის ხორცშესხმას ვინ აპატიებდა!..

და... მხოლოდ ნეშტად თუ დაუბრუნდებოდა საქართველოს.

გაგონებით კი გაუგონებდა ექიმების რჩევას და პარიზიდან სამხრეთ საფრანგეთში გადასახლდებოდა, ქალაქ მონპელიეში,

მაგრამ დაუნდობლად გაფლანგული ჯანმრთელობა ვეღარ აღდგებოდა, ოცდაოთხსაათიან სამუშაო რეჟიმს ეს დასვენება ვეღარას უშველიდა და ეს თავგანწირული მოღვაწეც უნდა გამოსცლოდა იმ დიდ რყევებს, აგერ-აგერ რომ უნდა მომხდარიყო და, თუ ვინმე, გიორგი დეკანოზიშვილიც ასერიგად აუცილებელი იყო აბობოქრებულ ზღვაში მოხვედრილი საქართველოსათვის ამ რყევების შედარებით უხიფათოდ გამოსავლელად.

მაგრამ როდესაც ბედისწერას ზურგი შეუქცევია შენთვის!..

მის გასვენებაზე კანის ფრანგი სოციალისტები ძალიან რომ გამოიდებდნენ თავს, ჩვენს იდეებს შეეწირა და შესაფერისი პატივი როგორ არ მივაგოთო, რას წარმოიდგენდნენ, სინამდვილეში თუ რას შესწირვოდა, რა უპირველეს იდეასა და იდეალს, თორემ სოციალისტობაზე არც არასოდეს უთქვამს უარი.

ძალიან გამოიდებდა თავს გიორგის და — მარიამ ქანანაშვილი, რათა ძმას უკანასკნელი განსასვენებელი მაინც ტფილისის მიწაში ეპოვა, და სთხოვდა რუსის მთავრობას ნებართვას, რათა ნეშტი საფრანგეთიდან აქ გადმოესვენებინათ.

მთავრობა დაჰყაბულდებოდა ამ თხოვნას, ოღონდ ერთი პირობით — რკინიგზის სადგურზე სასახლეს ნათესავების გარდა არავინ უნდა დახვედროდა.

იმ ჭკუაზე იყო სწორედ მთავრობა, გიორგი დეკანოზიშვილის დაკრძალვა მიტინგად თუ სულაც მანიფესტაციად გადაექცევინებინათ ხალხისათვის და გამოსათხოვარი სიტყვები კი მკაცრ საპროტესტო გამოსვლებს დამგვანებოდა.

— და ასე, თითქმის უპატრონოდ მიაბარეს მიწას წმინდა ნინოს სასაფლაოზე გვამი ამ უანგარო და დაუღალავი მამულიშვილისა.

თითქმის უპატრონოდო...

ვერა და ვერ მოენელებინა, უიმისოდ რომ ჩაასვენებდნენ სამარეში ამ ძვირფას ცხედარს, არადა, რა ეღონა, ძლივს გაესწრო საზღვარგარეთ, ისედაც რამდენი ფათერაკის გამოვლის შემდეგ, სულ ადვილად რომ შეიძლება დაღუპულიყო, და ახლა ორიოდე დღით სამშობლოში დაბრუნება უსათუოდ საბედისწეროდ დაუმთავრდებოდა — მისი გამოჩენა პოლიციას არ გამო-

ეპარებოდა და ციმბირიდან გამოქცეულს კვლავაც იქით გაუყენებდნენ გზას, თუკი მოიხელთებდნენ.

და როდესაც ბედი ინებებდა მისი ემიგრანტული წლების მოთავებას და გზა გაეხსნებოდა საქართველოსაკენ, დედაქალაქში შემოსული ერთ უპირველეს საქმედ ამას დაისახავდა და კიდეც მალევე გამოარკვევდა და დააზუსტებდა.

გიორგი დეკანოზიშვილის ნეშტი დაკრძალვით კი დაეკრძალათ სასაფლაოზე, მაგრამ სამარეზე მიცვალებულის ვინაობის აღნიშვნა აეკრძალა მთავრობას და თანდათანობით საერთოდაც ძალიან გაძნელებულიყო განსასვენებლის პოვნა.

ეს უნდა გამოერკვია თედოს, ზუსტად მოენიშნებინა ადგილი და, ვიდრე დადგებოდა დრო ქვის დადებისა და წარწერის გაკეთებისა, რაც შეიძლება ბევრს უნდა სცოდნოდა გიორგის ეს სამუდამო ადგილ-სამყოფელი, რათა ვაითუ თვითონ რამე მოსვლოდა და შთამომავლობას არ დაჰკარგოდა ეს ერთი სალოცავ სამარეთაგანი.

ზოგს საგანგებოდ აიყვანდა კუკიის სასაფლაოზე.

ზოგს კი, იქ რომ მოჰკრავდა თვალს, ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა.

ტროფიმე ხუნდაძის მიერ გახსენებული იმ ეპიზოდისა არ იყოს, ამ სასაფლაოზე მყოფი შემთხვევით თედო სახოკიას რომ გადააწყდებოდა, ის კი მაშინვე წაავლებდა ხელს, ალაყაფის კართან მიიყვანდა, კედლის გასწვრივ მარჯვნივ ექვს დაგრძელებულ ნაბიჯს გადადგამდა და მტკიცედ განუცხადებდა:

—გახსოვდეს, კარგად დაიხსომე, რომ აქ, ამ ადგილას დაკრძალულია გიორგი დეკანოზიშვილი.

და ხელს დაადებდა მოტიტვლებულ ადგილს.

მარტოდენ იმიტომ არა, კარგად დაებეჭითებინა თანამოსაუბრისათვის სამარის სამყოფელი, ხელის დადებით თითქოს მადლს ისრუტავდა იქიდან, ძალასა და მხნეობას იკრებდა ანთეოსივით.

რიტუალივით ხომ არ დაედო დროდადრო იქ ასვლა და იმ ადგილის შეხება?

რატომაც არა.

ეგაა, სხვანიც უნდა შემატებოდნენ, სხვებისთვისაც არანაკლებ ძვირფასი უნდა შექმნილიყო ეს სამარე და ეს სახელი... თუმც დიდი, კოშმარული, აუტანელი ღამე გულმოდგინედ ფარავდა ამ სახელსაც და ამ საფლავსაც, კიდევ უფრო მეტი ულმობლობით, მეფის მთავრობა როგორც მოექცა გიორგი დეკანოზიშვილს.

ჯერ ის რა იყო და ისიც სანატრელი გამხდარიყო,არჩილ ჯორჯაძის ხვედრისა არ იყოს, ასევე რომ უნდა ჩაემალათ სიწყვდიადეში, ახლა გიორგის სამარესთან რომ იდგა გიორგი ლასხიშვილსა და სამსონ ფირცხალავასთან ერთად და დიდ საწუხარს უახლოესი მეგობრის დაკარგვის გამო ესეც მიმატებოდა: ადგილი მაინც შეერჩიათ ცოტა უკეთესი, ეს სად დაუსაფლავებიათო, — მანამდე კი „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან (1910, 10 ნოემბერი) შეფარულად, დაუსახელებლად თუ გამოიგლოვდა მის ნაადრევ აღსასრულს.

1905 წლის გაზაფხულზე გიორგი დეკანოზიშვილის დავალებით სამშობლოსაკენ რომ გამოეჩქარებოდა მეამბოხეთა ეს მცირე გუნდი, არჩილი, ავადმყოფობის მიზეზით, პარიზში დარჩებოდა, რაკიღა მგზავრობა არ შეეძლო. არადა, გული ისე მოუწევდა საქართველოსაკენ, ოდნავ გამოკეთებას იგრძნობდა თუ არა, აღარაფერს დაერიდებოდა და კიდეც გამოეშურებოდა აქეთ. სხვა მხრივ კი მისი წამოსვლა საშიში არ გახლდათ, რადგანაც ოფიციალურად არ ყოფილა ემიგრანტად აღიარებული.

ეს მოხდებოდა ზაფხულის გასულს.

სამშობლოში ჩამოსულს ბათუმის ახლოს რომ დააბინავებდნენ, მახინჯაურის ერთ-ერთ სააგარაკო სახლში, იმ შემოდგომით თედო სახოკია და ალექსანდრე ჯაბადარიც მოინახულებდნენ ავადმყოფს, გამოუნელებელ სიცხეს რომ აძლევდა, ძალზე ახველებდა და ჭამის მადაც ნაკლებად ჰქონდა, ის კი არა, ლოგინიდანაც ვეღარ დგებოდა.

— ავადმყოფობისა და თვით სიკვდილისა სრულებით არ მეშინია, — ჩივილით ამოთქვამდა ამათი სტუმრობით გამოხალისებული, — მაგრამ მეორე სიკვდილი ის არის, რომ, როცა სიცოცხლე სდუღს, ჩვენს ქვეყანას მზიანი დღე უთენდება და თან

სჭირია ხალხი, მუშა, მოქმედი ხალხი, იძულებული ვარ, ლოგინში ვიწვე და შორიდან გულხელ-დაკრეფილი შევცქეროდე ქვეყანას.

ნებისყოფის სიმტკიცე, შინაგანი მხნეობა თავისას იზამდა და არჩილ ჯორჯაძეც თანდათან რომ გამომჯობინდებოდა, მისი ნაყოფიერი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობის კვალი რაოდენ სასიკეთოდ დააჩნდებოდა ჩვენს მწერლობასაც და ჟურნალისტიკასაც, თითქოს ილია ჭავჭავაძისაგან რომ გადაიბარებდა საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეებს.

ან რაღა თითქოს!..

1911 წელს სნეულებას ისევ უნდა შეეხსენებინა თავი მისთვის, ამჯერად უკვე საბედისწეროდ.

1913 წელს კი თედოს ბრიუსელში უნდა მიეღო სიკვდილამდე ორი თვით ადრე დაწერილი მისი უკანასკნელი ბარათი, ავადმყოფობას მწარედ რომ უჩიოდა არჩილ ჯორჯაძე. და თედოს მტანჯველად შემოჰკვნესდა გული: აშკარად გრძნობს სიკვდილის მოახლოებასო.

პირდაპირაც გამოთქვამდა:

— ის მენანება, რომ ეს გაოხრებული სიკვდილი მომიახლოვდა, ძალზე მომიახლოვდა და კარზე მიკაკუნებს კიდეც.მუშაობას მაინც თავს არ ვანებებ, მაგრამ მადლი კი არა აქვს ასეთ მუშაობას.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებას უჯდა, მისი პიროვნებისა და ბედის-წერის იდუმალებას უკვირდებოდა, ამოცნობას ლამობდა და კიდეც ამოჰქონდა სამზეოზე. თვითონ არ აკმაყოფილებდა: ავად რომ არ ვიყო, დიმიტრის შესაფერის მონოგრაფიას შევქმნიდიო, — წუხდა, თუმც ტყუილუბრალოდ ნაღვლობს უმადლობას, ისეთი სიღრმითა და ექსპრესიით განიმსჭვალებოდა თხრობა, დიმიტრი ყიფიანის მონუმენტური ფიგურა ხელშესახებად წარმოდგებოდა.

და მადლიც სხვა რა ყოფილა.

მარტის 23-ს განუტევა კიდეც სული ამ სულიერად და ხორციელად ლამაზმა არსებამო, — მასაც შორიდან თუ გამოიტირებდა თედო, ვისზე უკეთესადაც ბევრი ვერ მიხვდებოდა, რომ

ამ ტრაგიკული დღით საბედისწეროდ იკვროდა წრე საქართველოსათვის,რომელსაც წინამურის ტრაგედია ისე ვერ დასცემდა, არჩილ ჯორჯაძე მაინც რომ ჰყოლოდა საღ-სალამათი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესის კვლავაც სათავეში მდგარი, სნეულიც რომ ინარჩუნებდა წინამძღოლობას და მამულიშვილთ განუმტკიცებდათ რწმენასა და იმედოვნებას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

ნამდვილ აღდგენას, ეფემერულსა და წამიერად გადაელვებულს კი არა, საამისოდ კი აგერ, შესაფერის კაცსაც დაიგულებდნენ, ქვეყნის გამყვანად საერთაშორისო ასპარეზზე და ისე დასამკვიდრებლად, ტოლ-სწორად რომ წარმოვდგებოდით სხვა სახელმწიფოთა გვერდით.

ახლა კი...

არჩილ ჯორჯაძის გარეშე...

მძიმედ მიჭრიალებდა ისტორიის ვეება ალაყაფი დასაგმანად, ვიდრე უფალი წუთისოფლურ ათწლეულთა შემდგომ კიდევ არ გადმოიხედავდა ჩვენკენ იმ ალაყაფის გადასახსნელად თუ სულაც ჩამოსაგდებად.

თავი მეცხრე

არისტოკრატული შურისგება

ზოგი ჭირი მარგებელიაო, — რა გასაკვირია, ეს ცნობილი ანდაზა რომ წამოჰგონებოდა თედო სახოკიას, ანდაზების შეგროვების მხრივაც დიდ მონდომებასა და მიზანსწრაფვას რომ გამოიჩენდა და საბოლოოდ ჩინებულ კრებულსაც მოუყრიდა თავს. იქ კი იმისთანა ნიმუშებსაც ბლომად ჩაალაგებდა, ნაკლებ ცნობილი რომ იყო, ანდა სრულიად უცნობიც და უშუალოდ მის ყურთასმენას ელოდნენ, რათა ზეპირმეტყველებაში მიმობნეულ-ჩაკარგულთ წიგნისმიერი სიცოცხლეც ეპოვათ და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც უკვე მტკიცედ ჩაბეჭდილიყვნენ.

იმ ფრაზას კი ისე მისჩვეოდა ყური, რომ ლამის ანდაზად აღარავის ჩაეგდო.

და აი, თედოც მოიმარჯვებდა ამ სენტენციას, რათა ყველაზე უკეთ წარმოეჩინა თავისი იმჟამინდელი განწყობილება.

გაიხარებდა, აბა, რა იქნებოდა, როდესაც მოასწრებდა მონახულებას სამი მუზეუმისას — პეტერბურგის, კავკასიისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა — რათა სამეგრელოს საეთნოგრაფიო კოლექცია შეეგროვებინა და თან გასცნობოდა სამეგრელოს ისეთ მივარდნილ კუთხეებს, რომელთა უნახაობაც გულზე ლოდად აწვა და მისთვის ნატვრის საგანს შეადგენდა.

მოსასწრები რა იყო?

ანდა ჭირი მარგებლად რატომ გადაჰქცეოდა?

თედო თავისას განაგრძობდა, წარმატებული კვლევა-ძიებისაგან გალაღებული: იარაღის შემოტანის საქმე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ამ ადგილების ხილვა აღარც კი მღირსებოდა და ისიც სულ ადვილი შესაძლებელია, ნატვრა საფლავში ჩამეტანაო.

„იარაღის შემოტანის“ საქმე გემ „სირიუსის“ იმ ლეგენდარულ ექსპედიციას გულისხმობს, გიორგი დეკანოზიშვილს რომ ეთავა და ამ უაღრესად სახიფათო წამოწყების მონაწილეთა შორის თედო სახოკია იმთავითვე ეგულისხმა, ნაპირზე იარაღის გადმოტანისათვის ვისაც უნდა ეხელმძღვანელა.

აბა, რაიმე პოლიტიკური ნაბიჯი სოციალ-ფედერალისტებისა და... უთედოოდ?!

ვერ დაიფარებოდა ამ წამოწყების მონაწილეთა ვინაობა და თედოს წინასწარ ორ წელიწადს რომ აყურყუტებდნენ ციხეში, სასამართლო სხდომა დაინიშნებოდა 1907 წლის 17 სექტემბერს, სოხუმში. ოქმის თანახმად კი სასამართლოს წინაშე მასთან ერთად უნდა წარმდგარიყვნენ სოციალ-ფედერალისტთაგან იოსებ მატახერია და გუდაუთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა ერთი წყება, რომელთაც, მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის გარდა, ჰბრალდებოდათ იაპონელთა წყალობით შეძენილი ამ შვეიცარიული სისტემის თოფების შემოტანაში მონაწილეობაც.

ეს ორი საქმე ერთმანეთს რომ გადაებმოდა, დაერქმეოდა „საქმე სოხუმის რესპუბლიკისა“.

სასამართლოს რა ენაღვლებოდა, ამ ორ საქმეს ერთმანეთს რომ გადააბამდა და ერთი სახელწოდების ქვეშ მოაქცევდა, მაგრამ სინამდვილეში თუ ვინმე დაშორებოდა ერთმანეთს იდეურად და სულისკვეთებით, სწორედაც სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები, ეს სრული ანტაგონიზმი ციხის კედლებშიც რომ გარდუვალად იჩენდა თავს.

ჯერ ისედაც და, მითუმეტეს, 29 აგვისტოს გაზეთი „ისარი“ გულშემზარავ ამბავს რომ აუწყებდა მათაც: ილია ჭავჭავაძე მოკლესო!..

თედო სახოკია არამარტო შეძრწუნდებოდა, მოინდომებდა ჯგუფური პროტესტის გამოხატვას და შესთავაზებდა ყველა პოლიტიკურ პატიმარს: სამძიმრის დეპეშა გავუგზავნოთ გაზეთის რედაქციასო.

თუ ვინმეს მოეხსენებოდა სოციალ-დემოკრატთა ულმობელი დაპირისპირება ილიასთან, მათ შორის სწორედ თედოს, გულ-

დასმით რომ ადევნებდა თვალს ყველა საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციას, ილიას სახელის გასატეხად მიმართულს, და იმის საპასუხო სტატიებსაც, ბდღვირს რომ ადენდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ... თვალს კი ადევნებდა და ძალიანაც არ მოსწონდა სოციალ-დემოკრატთა ზღვარგადასული თავდასხმები, ჟურნალისტურ და პოლემიკურ ჩარჩოებს სრულიად რომ არა ცნობდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა, რომ ტრაგედიამდე მივიდოდა საქმე. და თუ ამ საბედისწერო ამბის შეტყობა მაშინვე მიახვედრებდა, შარაგზის ყაჩაღები არ უნდა იყვნენ და არც ხელისუფლებას აძლევდა ხელს ილიას სისხლის დანთხევა, ამიტომაც უსათუოდ ის პირნი უნდა იყვნენ მოთავენი, დემოკრატობასა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა-გარჯას ვინც იჩემებსო... დიახ, მიხვედრით სწორად მიიტანდა გუმანს, მაგრამ ამდენს ველარ წარმოიდგენდა, რომ სოციალ-დემოკრატთა მთელი პარტია შეიძლება ყოფილიყო განდობილი და თვითეულ მესამედასელს ილიასათვის გამოტანილი ჰქონოდა ის განაჩენი, რაც აგერ ნიწამურის ველზე კიდეც აღსრულებულიყო.

ასეა თუ ისე, მაინც ეიმედებოდა, ახდილად უარის თქმას მოერიდებიან და ერთსულოვნად რომ გამოვაცხადებთ გლოვას სოხუმის ციხის კედლებში სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები, ჩვენს, ტუსაღთა ხმასაც მივაწვდენთ მთელს საქართველოსო.

სოციალ-დემოკრატები, მართალია, სიფრთხილეს ამჯობინებდნენ და პირდაპირ არ მიახლიდნენ ამ განზრახვის წამომწყებს უარს, მაგრამ მობოდიშებითა და მიკიბულ-მოკიბულით მაინც განზე გადგომას ამჯობინებდნენ.

არგუმენტს ისეთს მოიმარჯვებდნენ, წყალი არ გაუვიდოდა:

— პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებით!..

და თედო სახოკია იძულებული შეიქნებოდა, რომ დეპეშა პოლიტიკურ პატიმართა მხოლოდ ერთი ჯგუფის, ანუ ფედერალისტთა, სახელით გაეგზავნა.

ეს დეპეშა გამოქვეყნდებოდა სამსონ ფირცხალავას თაოსნობით შედგენილ დასურათებულ კრებულში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, რომელიც თავს მოუყრიდა ნარ-

ჩევ წერილებს, დეპეშებსა და სიტყვებს, რაც კი წარმოითქმოდა ერის მამის მკვლელობიდან მის დაკრძალვამდე.

და ამ გამოცემას რარიგ შვენის თედო სახოკიას მიერ შედგენილი ტექსტი თანამზრახველთა სახელითაც:

— აქაურ (სოხუმის) ციხის პოლიტიკურნი პატიმარნი ვიზიარებთ დაობლებულ საქართველოს თავისუფლად მყოფთ ასულთა და ძეთა მწუხარებას, მათთან ერთად ძაძით ვიმოსებით და ვგლოვობთ ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველთა უებრო მასწავლებლისა და მოქალაქის, შესანიშნავ მოძღვრის — ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებას. ჩვენს ზიზღს ვუგზავნით იმათ, ვინც საქართველოს ასე ვერაგულად მოსტაცა მისი სიამაყე და მისი დიდება. დარწმუნებული ვართ, რომ ავაზაკნი, რომელთაც მხცოვან მოხუცის წმინდა სისხლით ხელი შეიღებეს, და მათნი სულის ჩამდგმელნი სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გართხმულნი.

მათნი სულის ჩამდგმელნიო...

ამ გამჭვირვალე მინიშნებიდან მკაფიოდ გამოსჭვივის, რომ თედო სახოკიაც იმათ შორისაა, ვინც ილიაზე თავდასხმას სულაც არ მიიჩნევდა შარაგზის ყაჩაღობად და მის სათავეს პოლიტიკურ დაპირისპირებაში ხედავდა.

ამ ვარაუდს აკი სოციალ-დემოკრატ ტუსაღთა განზე გადგომა დოკუმენტური უტყუარობით დაუდასტურებდა.

პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო...

თავს თვითონვე გასცემდნენ.

და ვარაუდი სრულიად სარწმუნო როგორ არ შექნილიყო მისთვის.

რაღა სოციალ-დემოკრატთა მიერ თუნდ ეს თავშეკავება პარტიული მოსაზრებით და რაღა დოკუმენტის მოპოვება, ზედ აღბეჭდილი წარწერით: ილია ჭავჭავაძე ჩვენი მოკლულიაო, — და „დამშვენებული" ხელმომწერთა დაუსრულებელი წყებით!

ეს სტრიქონები თედო სახოკიას იმ ესეიში ჩაერთოდა, 1937 წელს რომ შეიქმნებოდა, ბოლშევიკური მმართველობის სრული ძალმოსილების ჟამს, ილიას მკვლელობის საკუთარი ვერსია რომ შეემუშავებინათ და წიწამურის ტრაგედიას ნიკოლოზ მეორის „ოხრანკას" აბრალებდნენ: მათ მიერ იყო ორგანიზებულიო.

ამ „კანონიკურ“ ვერსიას ვერ გადაუხვევდი — ცენზურა მკაცრად აღმართულიყო მისი ეჭვშეუვალად დადგინების სადარაჯოზე.

პირდაპირ არა, მაგრამ მოიარებით ხომ შეიძლებოდა, აი, ასე თედო სახოკიას როგორც მოეხერხებინა და თანამედროვეთათვის და ახალ-თაობელთათვის ეს ძვირფასი დოკუმენტი შემოეცურებინა.

თითქოს მხოლოდ ციხის ერთი ეპიზოდის გახსენებას ცდილობს. თანაც, ნახეთ, როგორ მსჯელობაში გახვევს და აქცენტს საით გადაიტანს, იმ გულისწყრომის მახვილს: განა წარმოსადგენი იყო, ილია ჭავჭავაძისათვის გარეწარს და არაკაცს ვისმე სიცოცხლე მოესპო და მისი სიკვდილი ყველა ქართველისათვის ერთნაირად სამწუხარო არ იქნებოდა, ყველა ქართველი ერთნაირად ძაძით არ შეიმოსებოდა ამ მთელი საქართველოსათვის საგლოვ დღესო, — რომ განაცხადებს, ამაში უპირველესად იმჟამინდელ ხელისუფლებას დაადანაშაულებს, მეფის მთავრობას დაამუნათებს:

— მაგრამ ისეთ დროსა და ბნელში ვცხოვრობდით, ეროვნულად იმდენად შეუგნებელნი ვიყავით, იმდენად შორს იყო ჩვენგან კულტურა, რომ შეუძლებელი და წარმოუდგენელიც შესაძლებელი და წარმოსადგენი იყო...

იმპერატორსა და მის მთავრობას ბრალი უნდა დაედოს იმაში, რასაც მართლა სცოდავდნენ — რუსიფიკატორული პოლიტიკით ეროვნულ გრძნობებსა და მისწრაფებებს რომ აჩლუნგებდნენ და ბუნებრივი განვითარების გზაზე წინ ელობებოდნენ საქართველოს, და კიდეც შესაფერისად აფასებს ამ ცოდვას ლიტერატურული პორტრეტის ავტორი, მაგრამ წიწამურის ტრაგედიას მათ სრულიადაც არ აბრალებს. ეგაა, „დროისა“ და „სიბნელის“ ხსენება იმისათვის დაუსაჭიროებია, რათა მოადუნოს ბოლშევიკ მმართველთა მიერ გამოშვებულ ცერბერთა სიფხიზლე და ისერიგად აღარ ჩაუკვირდნენ სოხუმის ციხის სოციალ-დემოკრატ ტუსაღთა იძულებით აღიარებას: პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო!..

რას ნიშნავდა ეს „წამოცდენა“?

გამგები გაიგებდა.

პუბლიცისტურ ხლართს ვერ აირიდებდა თედო სახოკია, მაგრამ ეს ხლართი რა სათქმელია, როდესაც დიქტატურის მძინვარების პირობებში სიმართლე მჟღავნდებოდა და ათწლეულთა განმავლობაში ამ პასაჟს იქნებოდა შეჩერებული საზოგადოება, მოგვიანებით, სახელდობრ 1969 წელს, განმეორებულს წიგნშიც — „ჩემი საუკუნის ადამიანები“.

იქ კი, იმჟამად ის ორი საქმე ერთმანეთს რომ გადაებმოდა და ოფიციალურად ასე გაფორმდებოდა — „საქმე სოხუმის რესპუბლიკისაო“:

ამ საქმის გასარჩევად სოხუმში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია რომ ჩავიდოდა და მიემატებოდნენ იქაურ წოდებათა წარმომადგენელნი, ბრალდებულთა დასაცავად მოიწვევდნენ პეტერბურგიდან — საუკეთესოებად აღიარებულ ლუარსაბ ანდრონიკაშვილსა და ნ. სიდამონ-ერისთავს, ტფილისიდან კი — გიორგი გვაზავასა და იოსებ ბარათაშვილს, ამათაც უკვე ცნობილთ პოლიტიკურ პროცესებში არაერთი გამოსვლით.

დამცველნი რომ არც მჭევრმეტყველებას დააკლებდნენ და არც გონებამახვილობას თედოს გამოსახსნელად, ეს ისედაც ადვილი მისახვედრია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ზეგავლენა სულაც არ გახლდათ მათივე ადვოკატური უნარის შესაფერისი, და ყველაფერი კულისებში რომ წყდებოდა ხოლმე, ანუ სათათბირო ოთახში, ამჯერადაც საინტერესო სწორედ ის იყო, ორ ბანაკად გაყოფილ მოსამართლეთა შორის რომელი მხარე გადასძალავდა.

პალატის წევრთაგან ორნი თავიანთი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და ბრალდებულს, თუნდ უდანაშაულოს, რაკიღა ხელში ჩაიგდებდნენ, დაუსჯელად არაფრისდიდებით არ გაუშვებდნენ, ხოლო მათთან მოპაექრე წოდებათა წარმომადგენელნი პალატის თავმჯდომარის მიმხრობასაც რომ მოახერხებდნენ,თავიდან ძალ-ღონეს არ დაზოგავდნენ და თედოს სრულ გამართლებასაც კი მოითხოვდნენ, მაგრამ... ყრუ და შეუვალი კედლის წინაშე თანდათან უკან-უკან დაიხევდნენ და დაჰყაბულდებოდნენ ბრალდებულისათვის უფლებათა აყრასა და სა-

მუდამო საცხოვრებლად შორეულ ციმბირში გაგზავნას. ის სასტიკი მსაჯულნი იცოტავებდნენ ასეთ განაჩენს და მოითხოვდნენ სულ ცოტა 4-წლიანი იძულებითი სამუშაოს მისჯას, მაგრამ წოდებათა წარმომადგენელნი ამას უკვე აღარ დაუთმობდნენ.

როდესაც თავმჯდომარე სასამართლოს განაჩენს აცნობებდა ბრალდებულს და სამუდამო გაციმბირებას გამოუცხადებდა, ამასაც დასძენდა:

— დამნაშავეს შეუძლია ასი თუმნის თავმდებით გათავისუფლდეს, ვიდრე კასაციის პასუხი მოვიდოდეს პეტერბურგის უმართებლეს სენატისაგან.

ხალხით გადაჭედილ სხდომათა დარბაზში ერთბაშად გამოირჩეოდა სოხუმის მოქალაქე ქრისტეფორე სამურიდი და უშიშრად მოახსენებდა სასამართლოს:

— ნება მიბოძეთ, მე ვუთავმდებო დამნაშავეს...

დამსწრენი ამ სიტყვების მოსმენისას, თედო ჯენტლმენურ ჟესტად რომ მოიხსენიებდა ციმბირულ მოგონებებში, კინაღამ ტაშისცემას ასტეხდნენ და, თუმც სასამართლო დარბაზში ოვაციებს მოერიდებოდნენ, ყველა ერთობლივ მადლიერი მზერით მიაჩერდებოდა სამურიდის.

საჭირო ფორმალობის შესრულებას (ხაზინაში სათავმდებო თანხის მაგიერ ჩეკის შეტანა და სამაგიერო ქვითრის გამოტანა) ორი საათი რომ დასჭირდებოდა, ამის შემდეგ თედოც და მასთან ერთად გასამართლებულნიც — გარდა სერგო ორჯონიკიძისა, ვისაც გაქცევა მოეხერხებინა და ამიტომაც მისი საქმე ცალკე გამოეყოთ — სატუსაღოს დატოვებდნენ.

განაჩენით, ცხადია, თედო აღტაცებული ვერ დარჩებოდა, მაგრამ მისი გასაჩივრების უფლებას ხელიდან როგორ გაუშვებდა, და საქმეს სენატში გადაიტანდა.

ვიდრე იქიდან პასუხი მოუვიდოდა, ჩიტივით თავისუფალი გახლდათ და ოთხივ კუთხივ შეეძლო წასვლა, მითუფრო, რომ მისი თავმდებისათვის ასი თუმნის დაკარგვა მაინცდამაინც საგრძნობი არ იქნებოდა.

ასეც განეცხადებინა მისთვის ქრისტეფორე სამურიდის:

— გეთაყვა, ნუ მომეხათრებით, ასი თუმანი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, ვითომც არც კი მქონია, ისე მივითვლი, თუ ამით თქვენს მდგომარეობას ელხინება რამე.

სამწუხაროდ, სავსებით ვერ გამოვიყენე ჩემი მოთავდების პატივისცემაო, — მოგონებებში რომ აღნიშნულა, ერთბაშად ცოტა არ იყოს, შეცბუნდები, ან სამწუხაროს რას უწოდებს თედო და ან სავსებით როგორ შეიძლებოდა ამ თავმდებობის გამოყენებაო?!.

ეს ხომ ჯერ კიდევ ის დროა, როდესაც თავმდებს რაღაც სასტიკი სასჯელი სულაც არ ელოდებოდა, თუკი ბრალდებული სასპატიმროდან თავდაღწევის მარჯვე შემთხვევას შესაფერისადაც მოიხმარდა და დასავლეთის ქვეყნებში გაასწრებდა. საზღვარზე მალულად გადასვლა სულაც არ წარმოადგენდა გადაულახავ დაბრკოლებას და შეგეძლო თავი შეგეფარებინა საფრანგეთისა თუ ევროპის სხვა თავისუფალი ქვეყნებისათვის.

ეს ნიშნავდა, რომ თავმდები მარტოდენ იმ თანხას დაკარგავდა, შენი დროებითი გამოხსნისათვის რომ გაეღო.

თუ გაქცევას მოახერხებდი, რაღა დროებითი გამოხსნა იქნებოდა!..

უხერხულობის გრძნობა მაინც გექნებოდა, შენთვის თავგამოდებული კაცი გარკვეულ თანხას რომ უნდა შელეოდა?

აგერ სამურიდი ამ განცდას წინასწარვე უქარწყლებდა: თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო.

სამწუხაროს რას უწოდებდა და...

სავსებით როგორ უნდა გამოეყენებინა თავისი მოთავდების პატივისცემა და...

ოჯახს არ უნდა მოჰკიდებოდა, მშვიდობისმოყვარე მოქალაქის სახე არ უნდა მიეღო და, ცხადია, აღარც ოჯახის უფროსის როლი გამოეყენებინა ერთგვარ ფარად.

ამ გახურებული რევოლუციის შემდეგ, ციხეში ჯდომისა და იქიდან გამოშვების ინტერვალებში, რა დაოჯახება ამიტყდაო, — იმუნათებდა თავს, რაკიღა, თუ რაიმე შეუშლიდა ხელს რევოლუციონერობაში, უპირველესად სწორედაც ოჯახი, თუნდ აგერ ახლაც სასჯელის გაძლებას რომ უნდა დაჰყაბულებოდა, დასავლეთის ქვეყნებში კი აღარ ეძია პოლიტიკური თავშესაფარი.

— ეს ხომ მაინც შემრჩებაო, — მაშინ არის, რომ ინუგეშებდა თავს, — სამ მუზეუმში საეთნოგრაფიო კოლექციის შეგროვება და სამეგრელოს მივარდნილი კუთხეების გაცნობაო.

მაგრამ რაკიღა მარგებელია ზოგი ჭირი...

და კიდევ ერთხელ უნდა ჩაყურყუმელავებულიყო იმ უჩვეულო სამყაროში, ქართული ხალხური რწმენა-წარმოდგენები და ზეპირ-სიტყვიერება რომ ერქვა — კერძოდ კი — მეგრული განშტოება, თავიდან როგორღაც გვერდით მირჩენილი, შემკრებლური საქმიანობის მიზანმიმართული წამოწყებისას, ვიდრე თედო სახოკია არ გამოიდებდა თავს და თეორიულადაც არ შემოიტანდა მკვლევართა თვალსაწიერში მეგრულ გარემოს და მასალებსაც უხვად შემოზიდავდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, 1882 წელს რომ დასტამბავდა „პროგრამას ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის" და მის შედგენაში კი მონაწილეობას მიიღებდნენ პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე, ხალხური საუნჯის მოპოვებას უმთავრესად სახალხო მასწავლებლებს რომ აკისრებდნენ, პროგრამაში არსად აღინიშნებოდა ქვეყნის ეს სრულუფლებიანი და მომხიბლავი თავისებურებებით აღბეჭდილი მხარე — სამეგრელო.

და აი, თედო სახოკია სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან ცოტა ხანში შეეცდებოდა აღმოეფხვრა ეს ხარვეზი და „ივერიის" ფურცლებზე (1891, №22) გამოაქვეყნებდა მოწოდებას „ხალხური ნაწარმოების მოყვარულთა მიმართ", აგებულს იმ სატკივრის ირგვლივ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთები შესდგომოდნენ ქართული ფოლკლორის შეგროვებას, თითქმის ყველა კუთხე-ბანს შეაწევდა, ყველა თავთავის წვლილს შეიტანდა ამ საშვილიშვილო წამოწყებაში, მაგრამ... საქართველოს ერთი კუთხეთაგანი — სამეგრელო — მივიწყებული დარჩენილიყო, თითქოს იქ ზეპირსიტყვაობის ჭაჭანებაც არ ყოფილიყოს.

— ჩვენს მწერლობაში ეს კი დიდ ნაკლად, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, ახლა ჩვენ განვიზრახეთ ეს ნაკლი, მცირედაც არის, შევავსოთ. ამიტომ გულმხურვალედ ვსთხოვ ყველას, ვისაც ასე თუ ისე, რაიმე დამოკიდებულება აქვს ხალხთან, ნამე-

ტურ სოფლის მასწავლებელთ, — რომ შეგვიგროვონ მეგრული ხალხური ზღაპრები, შაირები, ანდაზები, ლექსები, შელოცვები, გამოცანები, თქმულებები ალ-ქაჯებზე და სხვ. და სხვ. ყველა ეს მასალა მეგრულ ენაზედ უნდა იყოს დაწერილი, რა თქმა უნდა, ქართული ასოებით, ხოლო მათს ქართულად გამოცემას ჩვენა ვკისრულობთ.

ამასთან, ყველას სთხოვდა, გადმოწერისას ნებით თუ უნებლიეთ თავისი არა ჩაემატებინათ რა, არამედ ჩაეწერათ ისე, როგორც გაიგონებდნენ. და აუცილებლად აღენიშნათ ის სოფელი, სადაც ჩასაწერ მასალას მოისმენდნენ. ხოლო როდესაც საკმაო მასალა შეგროვდებოდა და ცალკე გამოიცემოდა, თითო ეგზემპლარი დაეგზავნებოდა ყველას, ვისაც დახმარება არ დაეშურებინა.

მაგალითს თვითონ იძლეოდა — რას ნიშნავდა სულითა და გულით ჩაძირვა ასეთ უმნიშვნელოვანეს საქმიანობაში; რას ნიშნავდა ჩამწერის სიფაქიზე, რათა მასალა რაც შეიძლება სანდო ყოფილიყო, გარიდებული ყოველგვარ ხელოვნურ ჩარევას, თუნდ კთილშობილური მიზნითაც.

როგორ გინდოდა ეთნოგრაფიული დეტალები და ნიუანსები დაბეჯითებით გამოგერკვია, თუკი სათანადო მასალა არ გექნებოდა ხელთ?! ასე რომ, თავისთავადი სულიერი ღირებულების გარდა, რაც ხალხურ სიტყვიერ საუნჯეს — და მათ შორის მეგრულ განშტოებას — უნდა განეცდევინებინა მკითხველისათვის, ხალხის ყოფა-ცხოვრების თავისებურებათა მართებული ახსნაც მასზე ეკიდა.

და წუხდა თედო სახოკია, ფოლკლორულ საუნჯეს ძალზე ცოტას რომ ხედავდა ფურცელზე თავმოყრილს, იმასაც დაუმუშავებელსა და მიმობნეულს სისტემატიზაციის მოლოდინში.

თავის მხრივ კი რასაც გასწვდებოდა, თავდაუზოგაობად სწორედ ეს ითქმის, აგერ სამუდამო გადასახლების მოლოდინშიც დროს რომ არა ჰკარგავდა და... კიდეც რომ ემადლიერებოდა თავის მკაცრ ბედს: მას რომ არ ავეჩქარებინე, სამეგრელოს ამ მივარდნილ კუთხეებში სტუმრობას კიდევ გადავდებდი და, ვინ იცის, ოდესმე მოვინახულებდი თუ არაო.

ისე, ციხეში ჯდომისა და იქიდან გამოშვების ინტერვალებში მართლაც რა ოჯახის მოკიდების ჭია შესჩენოდა?!.

პარიზში მსოფლიო გამოფენას რომ ესტუმრებოდა 1900 წელს, საფრანგეთის დედაქალაქში დახვდებოდა თავისი მეგობარი, მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი, სამშობლოში უკვე ცნობილი და ახლა აქ ჩამოსული სამხატვრო აკადემიაში სამუშაოდ და თავის ხელობაში გასაწაფად, მონპარნასის სადგურის ახლოს რომ დაბინავდებოდა და სხვა მხატვართაგან არც განირჩეოდა სიღარიბით: ოთახში საწოლი ედგა, ერთი მაგიდა, ორი სკამი და სამხატვრო ხელსაწყო, ეს იყო და ეს.

აქ ეს ყოველივე რა შუაშია?..

უკან რა აუცილებლობით ვუბრუნდებით თხრობის ძაფს, თავიდან რატომ ვახვევთ?..

მასთან ბინაზე ბაასი ტკბილად დაამახსოვრდებოდა თედოს, თუმც თემა კი ყოველთვის გულისშემძვრელი იყო და მღელვარე, რაკიღა მშობელი ხალხის ძნელბედობას უტრიალებდნენ, დაბეჩავებულის, აბუჩად აგდებულის, რუსთხელმწიფის სატრაპთაგან ფეხქვეშ გათელილის. ეგაა, ბაასი მუდამ უნდა გათავებულიყო მასპინძლის საყვარელი სიმღერით: „ანანურით წამოვედით, ჩვენ ვიყავით სამნი ძმანიო...“ და დაასრულებდნენ თუ არა ის და თედო შეხმატკბილებულ გალობას, ალექსანდრეს ეს რიტორიკული შეკითხვა აუცილებლად უნდა ემეორებინა და ემეორებინა:

— ამ სიმღერას თუ რამე სჯობს?!

იმ ხანებში მხატვარს თედოს ბინაში სხვა ფოტოსურათებთან ერთად უნდა ენახა ფოტო მასპინძლის მეგობრის, დეკანოზ ანტონ კეკელიასი, რომელიც სამეგრელოში როგორც სასულიერო, ისე სახორციელოთა შორის უმშვენიერეს, პირდაპირ კლასიკური სილამაზის ადამიანად აღიარებულიყო.

— განსაკუთრებით ჰშვენოდა ანაფორა და მაყურებელი ძალაუნებურად ქრისტეს სახეს ადარებდა.

რა გასაკვირია, მხატვრის განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ამ ფოტოს და ჩვეულებისდა კვალად ჯერ ფანქრით დაეხატა კედელზე და აღეთქვა: ზეთის საღებავებით სამშობლოში დავხატავო. სულ კი იმას გაიძახოდა თურმე:

— ქრისტეს დახატვა ვისაც უნდა, ტიპად ეს ადამიანი უნდა გამოიყენოსო.

თედოს ამის მოსმენაც ძალიან ახარებდა და იმისაც, მხატვრის ფრანგი ნაცნობ-მეგობრები კედელზე დახატულ ამ სურათს რომ მოჰკრავდნენ მზერას, თვალი ზედა რჩებოდათ და ერთხმად უდასტურებდნენ: ქრისტე ასეთად უნდა დაიხატოსო.

ეს ყოველივე აქ რა შუაშია?..

ეს დეკანოზი ანტონ კეკელია, მღვდლად გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი და საქართველოში ოცამდე სკოლის, სოფელ ბანძის საავადმყოფოს, ფოსტის, ბანკისა და სასამართლოს დაარსების თაოსანი, მეგრულად სახარების თარგმნის თავგამოდებული მოწინააღმდეგე და მებრძოლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, თუ აქამდე თედო სახოკიას მეგობარი იყო, ამიერიდან მისი სიმამრი უნდა გამხდარიყო, რაკიღა ციხეში ჯდომისა და იქიდან გამოშვების ინტერვალებში თედო მის ქალიშვილს ითხოვდა — ნადეს (ნადეჟდას), ტფილისის ქალთა სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამის მიერ დაარსებულ ბანძის სკოლაში რომ მასწავლებლობდა და ყმაწვილებს თუ ნიჭს შეატყობდა, დამატებით ამეცადინებდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ხოლო ამასობაში გასამართლების დღიდან უკვე წელიწადიც გადაიკეცებოდა.

ჰა და ჰა, უკვე პასუხიც უნდა მოსულიყო სენატისაგან და თედო სახოკიას ვერა და ვეღარ გადაელახა ყოყმანი, საბოლოოდ შეჰგუებოდა ეტაპით მგზავრობას, თუ რამდენიმე საათში გადაეკვეთა საზღვარი.

ჰო თუ არა?.. ჰო თუ არა?.. ჰო თუ არა?..

თუკი სენატისაგან უარყოფითი პასუხი მოვიდოდა, პოლიციაც იმთავითვე გაფრთხილებული იქნებოდა, რომ თედოსათვის ყოველმხრივ შეეკრათ გზა, რათა საზღვარი არ გადაეკვეთა, ჯერჯერობით კი თავისუფლად შეეძლო მიმოსვლა და ცდილობდა როგორმე წინასწარვე შეეტყო სენატის პასუხი, რათა გარდუვალი სასჯელისაგან თავი დაეღწია მანამდე, სანამ პოლიცია დაფაცურდებოდა.

კი მაგრამ, წინასწარვე როგორ შეიძლება შეეტყო?

სოხუმში ბოქაულად მსახურობდა პლატონ მიქაბერიძე, ვინც — როგორც მარტოხელა — ბინად იდგა ნიკო თავდგირიძესთან, თედოს მეგობართან, ვისთანაც თედო, დაპატიმრებამდე, მდივნად მუშაობდა. და რა გასაკვირია, თუ სწორედ ნიკოს მეშვეობით შეეცდებოდა გარკვევას, საკასაციო საჩივრისათვის უარის თქმისთანავე პოლიცია როდის მიიღებდა მოწერილობას თედოს დასაჭერად, რათა სასამართლო განაჩენი აღსრულებულიყო.

პლატონი შეჰპირდებოდა, სენატის პასუხს მალულად გაცნობებო, და თედოც დაიმედდებოდა:აშკარა ღალატს როგორ იკადრებს და დასაჭერად როგორ არ დამზოგავს, მითუმეტეს, რომ ჩემი, როგორც ცოლშვილიანი კაცის, დატუსაღება დიდ ვაჟკაცობად არ ჩამოერთმევაო.

და არამცთუ უბრალო ჯილდოსაც ვერ ეღირსებოდა, მადლობასაც არავინ ეტყოდა.

ყველაფერი თითქოს თედოს სასარგებლოდ ლაგდებოდა და იმ დღესაც გულმოცემული რომ დაადგებოდა ქალაქის გამგეობის გზას, ნიკო თავდგირიძეს შეუვლიდა, ისიც და პლატონიც ახალი ამდგრები რომ დახვდებოდნენ, წინ სამოვარი ედგათ და ჩაის შეექცეოდნენ.

ამასაც მიიწვევდნენ და პლატონი დიდი თავაზით დაუდგამდა თავისივე ხელით დასხმულ ჩაის. რაღაც ბანალურ ლაპარაკს შეჰყვებოდნენ და საუბრისას ისე საამოდ უელავდა ბოქაულს თეთრი კბილები!

ჯიბეში კი... თედოს დაჭერის ბრძანება უკვე გაშანშალებული ედო.

და მის აღსრულებას ერთ საათში აპირებდა.

თედო გამოეთხოვებოდა მასპინძლებს.

პლატონ მიქაბერიძე პოლიციაში შეივლიდა, იქიდან თან იახლებდა ერთ პოლიციელს და ფორმალობის შესასრულებლად ჯერ თედოს სახლს მიადგებოდა და შინაურებს გამოჰკითხავდა:

— სად არის, მჭირია, ქაღალდი რამ უნდა ჩავაბარო.

თითქოს თედოს არ ეთქვას, სადაც მიდიოდა.

ის თითქოს ახლაღა დაადგენდა თედოს ადგილსამყოფელს და კიდეც დაადგებოდა თავზე ქალაქის საბჭოს კანცელარიაში მშვიდად ჩამომჯდარს, უეცრად კარი რომ უნდა შემოფეთებულიყო და პლატონ მიქაბერიძეს გამოჩენისთანავე მიეძახა მისთვის:

— დაპატიმრებული ხართ!

ეს შეეცდებოდა დაემტკიცებინა, გამქცევი არსად ვყოფილვარ და არც ახლა ვარო, მაგრამ ის არ მოუსმენდა და გაიმეორებდა და გაიმეორებდა: დაპატიმრებული ხართო!..

ნიკო თავდგირიძე მოინდომებდა სირცხვილ-ნამუსზე შეეგდო იმპერატორის ერთგული მსახური, მაგრამ ამაოდ... თედოს დატუსაღების ამბავი ერთბაშად რომ გავრცელდებოდა ქალაქში,ყველა აღშფოთდებოდა და საფურთხებლადაც გაიხდიდნენ ბოქაულს, მაგრამ ის ისე დაიჭერდა თავს, თითქოს ესაა და დიდი ხნის გავარდნილი ყაჩაღი შევიპყარი, თანაც ცხარე შეტაკებისა და იარაღის ტრიალის შემდეგო...

ხელშესახები ფსიქოლოგიური შტრიხების მეოხებით ასე თვალნათლივ იკვეთება პორტრეტი მოუქრთამავი, თავისი სამსახურის ერთგული აღმსრულებლისა, იმდენად ერთგულისა, რომ თუკი უბრძანებდნენ, საკუთარ თავსაც არ დაზოგავდა დასაჭერად, თორემ დედ-მამას ხომ რას დაინდობდა!..

მტერიც და მოყვარეც ერთნაირად ადასტურებდნენ მის მოუსყიდველობას: ქრთამით მისი გულის მოგება შეუძლებელი იყოო.

და ეს — საზარელი კორუფციისა და მექრთამეობის პირობებში...

თითქოს რაღა უნდა გქონდეს სადავო ასეთ ადამიანთან — სანიმუშო მოხელე ყოფილა და ეგ არის...მაგრამ არსებობს თურმე ისეთი თვისებაც, მექრთამეობას თუ არა სჯობს, არც დიდად ჩამოუვარდება. და ამ თვისებას მხოლოდ ამგვარი განსაზღვრა თუ შეჰფეროდა: საშინელი ერთგულება.

როგორ, თვით ერთგულებაც შეიძლება საშინელი შეიქნას?

აგერ თუ არა.

და პლატონ მიქაბერიძე პრინციპების შეურყევლობით რომ ვერ დაიქადდა, მისი ამ თვისების ნაყოფი გახლდათ. მთავარია,

სამსახურში მდგარიყო და ბრძანება და დავალება პირნათლად აღესრულებინა, და სრულიად არ დაგიდევდათ, იმპერატორისა იქნებოდა ეს სამსახური, მენშევიკებისა თუ ბოლშევიკებისა.

რაო, რას ირწმუნებოდა ის ანდაზა? — ურიის პურს თუ ჭამ, ურიის ხმალიც მოიქნიეო?

და აჰა, ხორცშესხმული გამოხატულება ამ ანდაზისა.

და თედო სახოკია გულს მოიფხანდა, როდესაც შეიტყობდა, რომ მენშევიკების მმართველობისას მილიციის უფროსი ვლადიმერ სულაქველიძე პლატონს შეურაცხყოფას მიაყენებდა რუსთაველის გამზირზე, ავტომობილში, ის კი არამცთუ შეურაცხყოფად არ მიითვლიდა იმის საქციელს, შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად თითსაც არ გაატოკებდა.

— დაპატიმრებული ხართ, — ჯავარზე იდგა პლატონ მიქაბერიძე და თედოს ისღა დარჩენოდა, რომ გულში ჩაეხვია ჯავრი და გულშივე დამუქრებოდა: შენმა რა მიყოს, თუ ეს შეგარჩინო და შენი ჯავრი არ ვიყაროო!..

დიდხანს ხომ არ გაუგრძელდებოდა მემუარისტს იმპერატორის ამ ტიპური მოხელის დახასიათება?

გამართლება ის იყო თხრობის შეყოვნებისა ამ ადამიანის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე, რომ, ჯერ ერთი, მან ითამაშა გადამწყვეტი როლი თედოს გასამგზავრებლად ციმბირში, და მეორეც ის, რომ მკითხველი უფრო გარკვევით და ნათლად წარმოიდგენდა მის სახეს მას მერე, რაც ბედი ამ ორ ადამიანს მეორედაც შეახვედრებდა პირისპირ, ოღონდ ამჯერად თედოსათვის უკეთეს პირობებში.

— მაგრამ ამბავს წინ ნუ გავუსწრებთ და მიეყვეთ ყველაფერს ქრონოლოგიურად.

რარიგ ჰბაძავს მკითხველის ცნობისწადილს!..

არ გინდა, ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მიჰყვე და უკვე არ შეიტყო, როგორ გადაუხადა სამაგიერო თავის გამამწარებელს? თანაც, რარიგ კმაყოფილია თედო —ჯერ: ვიყარე კიდეცა ეს ჯავრი და კარგადაც ვიყარეო... მერე: ბედი მასთან მეორედაც შემახვედრებს, მხოლოდ ჩემთვის უკეთეს პირობებშიო.

რაღაც განსაკუთრებული შურისგება მომხდარა და ეგაა.

საამისოდ თედოს თავმომწონე ჩაღიმებაც გვამზადებს და ამ ამბის დაბოლოების იქით და იქით გადაწევაც, ციმბირულ მოგონებათა ფინალშიღა რომ უნდა გამჟღავნდეს და დაუოკებელი ცნობისწადილიც მაშინღა დაგვიშოშმინდეს.

ისე გამოდის, რომ ამ ავტობიოგრაფიული რომანის კომპოზიციური ჩარჩო სულაც პლატონ მიქაბერიძესთან ამ ორი შეხვედრით შეიკვროდა — პატიმრის დამუქრებას გუნებაში მისი აღსრულება კიდეც რომ უნდა მოჰყოლოდა და ჰაერში გამოკიდებული არ დარჩენილიყო.

და განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ მიანიჭებდა მთხრობელი თავისი იმ შურისგების აღსრულებას, ამიტომაცაა, რომ მოგონებანი სულაც პლატონ მიქაბერიძის მოლანდებით უნდა გასრულებულიყო — სიზმარში რომ იხილავდა თედო და ნიშნსაც მოუგებდა.

ცხადში ვერ ეხილა მისი ნირწამხდარი სახე და მარტოდენ წარმოსახვა ეკმარა ნიშნის მოსაგებად?

აგერ ზმანება მოევლინებოდა მეკავშირედ და ის ამოაყრევინებდა გულის ბუხარს სწორედ ისე, იმ გამწარებულ გუნებაზე როგორც ჩაეთქვა, გამწარებულზე არა იმდენად დაპატიმრებითა და ციმბირული ხვედრით, არამედ ადამიანის ასეთი დაცემის ხილვით — განა აგერ ახლახან არ იყო, ბოქაული დიდი თავაზითა და საკუთარი ხელით რომ უსხამდა ჩაის და ბანალურ თემებზედაც მონდომებით ესაუბრებოდა?!.

იმ წუთებშიც სიზმარ-ცხადის ზღვარზე დააბიჯებდა, ტფილისს რომ დაუბრუნდებოდა მატარებლით ეს ციმბირიდან გამოქცეული დამნაშავე და, პირველ ყოვლისა, შიო არაგვისპირელს დაადგებოდა თავზე, სიყრმის მეგობარს, მერე კი ერეკლეს აბანოს მიაკითხავდა და ისეთ ნეტარებას შეიგრძნობდა, მოგვიანებითაც დაბეჯითებით ირწმუნებოდა: მის მსგავსს ვერსად ჰპოვებთ, სამყარო კიდით კიდემდეც რომ მოიაროთო.

მექისე თათარი თავისი ხელობის ყოველ წესს შეასრულებდა და მოაშორებდა, რაც ზედმეტი ეკრა მის ტანს ციმბირიდან წამოყოლილი, განიბერტყავდა მტვერს ფერხთაგან და სასიამოვნოდ შემსუბუქებული მიადგებოდა სალაროს,რათა ქუქუნაკის

ჯიბეში ჩადებული ხუთმანეთიანი ოქროს ფული ამოეღო, მაგრამ... ეძიებდა და ველარ იპოვიდა. ისეთიც არაფერი გააჩნდა, სალაროში გირაოდ დაეტოვებინა და... უეცრად წარმოუდგებოდა აყალმაყალი, პოლიციის ჩარევა, ოქმის შეყენება, ვინაობის გამორკვევა, პასპორტის მოთხოვნა და, ვინ იცის, რა საბედისწეროდ დასრულებულიყო აბანოს მონახულება.

სიკვდილი გავათავეო, ასე რომ გაიხსენებდა, ოდნავადაც არ გადააჭარბებდა. კიდევ კარგი, ქუქუნაკის ჩხრეკას არ მოეშვებოდა. თურმე ჯიბე გარღვეული ყოფილიყო და ფული ამიტომაც ალმოჩენილიყო სულ სხვა ადგილას... შიშსა და თავზარს ვიღა ჩივის, როდესაც მოსალოდნელ დავიდარაბას ასე უვნებლად გადარჩებოდა.

თანამოსაგრეთა სანახავად ასწრაფდებოდა — რა გუნებაზე იყვნენ, რას ფიქრობდნენ, რას აპირებდნენ. რეპრესიებს საგრძნობლად შეეთხელებინა მათი რიგები, ბევრისათვის გული გაეტეხა. ეს ვერ იყო კარგი ამბავი, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელოვნურად მიტმასნილი ადამიანები ჩამოსცილებოდნენ პარტიას და ცოტა მაინც ამოესუნთქებინათ. ცხადია, იყვნენ ისეთებიც, ქარტეხილი და რყევა-ყოყმანი არჩეული გზიდან რომ ვერ გადაახვევინებდათ, მაგრამ იძულებულნი კი გამხდარიყვნენ, რომ საქმიანობა ჯერჯერობით მალულად გაეგრძელებინათ.

პარტიის მისწრაფებათა გამომხატველი ორგანოები მხოლოდ თვეობით — ის კი არა, ხან ნაკლები დროითაც — თუ არსებობდა.

ესეც მაშინდელი საზოგადოებრივ-პლიტიკური რეალობის გარდუვალი სურათი, ორგანოთა სახელებიც ნამდაუწუმ რომ უნდა შეცვლილიყო და მათთან ერთად შეცვლილიყო რედაქტორთა გვარებიც. ნარედაქტორალებს მეტეხის პენსიონრებად მოიხსენიებდნენ, ან ადმინისტრაციული წესით რუსეთის სხვადასხვა ქალაქში უწევდათ დასახლება.

პარტიას რაღაც სახსარი რომ მოეპოვებოდა?

ისედაც მწირი შემოსავალი სატუსაღოებში დავარდნილ პარტიულ მომუშავეთა შენახვას უნდებოდა.

ნეტა რისი იმედიღა ჰქონდათ?

თურმე — სახელმწიფო საბჭოსი.

ხავსივით ებღაუჭებოდნენ თუ?..

უღურს რომ არ იტეხდნენ — სახელმწიფო საბჭოს აუცილებლად მოჰყვება რევოლუცია, საბოლოო გამარჯვება ხალხს დარჩება და საბჭო რუსეთის პარლამენტად გადაიქცევა, ამას წინ არა უდგას რაო...

გადაწყვეტდა, სულ ცოტა, ერთ კვირას მაინც დარჩენილიყო ტფილისში და უნახავი არავინ დაეტოვებინა მეგობართაგან.

სარისკო გადაწყვეტილებაა?

ნაცნობ-მეგობართა, მისთვის პატივსაცემ ადამიანთა მონახულება არამარტო ცხოვრების წესი იყო მისთვის, არამედ — მთელი არსებაც და სტიქიაც. და თუ შეიძლება გარემოებათა გამო ცხოვრების წესს გადაუხვიო —ხანდახან მაინც, სრულიად წარმოუდგენელია განუდგე შენს არსებასა და სტიქიას.

და ასეთ დროს რისკი განა რა ბედენაა?!

მითუმეტეს, მისგან დაწვრილებით მოელის ყველაფრის შეტყობას პარიზში მყოფი გიორგი დეკანოზიშვილი და თედო რა პირით ესტუმროს მას, თუკი ტფილისურ ამბებს ძირისძირობამდე და ფერადოვნად არ გადაუშლის თვალწინ?! ის გიორგი, ვისაც მართლაც შუაზე გაუყოფდა ცხოვრებას რევოლუციის დამარცხება, მაგრამ არამცთუ თვითონ არ იტეხდა გულს, არამედ გამამხნევებელ წერილებს უგზავნიდა ფედერალისტთა პარტიას, ურჩევდა, მუშაობა არ შეწყვიტოთ, ფარ-ხმლის დაყრა არ ეგებისო.

— ის კი არ იცოდა საცოდავმა, რომ ერთის წლის უკან ულმობელი სიკვდილი მის თავსაც გამოაკლებდა პარტიას და საზღვარგარეთ, მის სიკვდილთან ერთათ ჩაჰქრებოდა,დროებით მაინც, მისგან ატრიალებული საქმე საქართველოს განთავისუფლებისა ნიკოლოზის კლანჭებისაგან...

მისგან ატრიალებული საქმეო...

რაოდენ დაწურულად და სხარტად გამოითქმის გიორგი დეკანოზიშვილის აქამდე დაუფასებელი ეროვნულ-პოლიტიკური ღვაწლი, მძაფრი საზოგადოებრივი პროცესების სათავეში დგომა, სულაც ამ პროცესთა გამოწვევა.

თედოსათვის რომ გეკითხა, სარისკო არც არაფერი იყო, რადგანაც ტფილისში კარგა ხანია არ ეცხოვრა და პოლიციის მხრივ მცნობი არავინ ჰყავდა, და ქალაქი დიდი რომ იყო, დამალვაც თავისუფლად შეეძლო.

საბჭოურ პოლიტიკურ რეჟიმთან შედარებით, იმ პოლიციურ-ჩეკისტური სინამდვილის ფონზე იმპერატორისდროინდელი ტფილისური გარემო კურორტად გამოიყურება „სახელმწიფო დამნაშავეთათვის", მაგრამ, რასაკვირველია, მთლად ისეც არა ყოფილა, როგორც თედო იმხნევებდა თავს და თამამად შეჰყურებდა მოსალოდნელ ხიფათს — ისე მოწყურებულიყო აქაური ცხოვრების შუაგულში შეცურებას, ერჩივნა ასე და მხოლოდ ასე ერწმუნა ბუნებით ისედაც უშიშარ კაცს, ნირს ბევრად რთული და გაუსაძლისი პირობებიც რომ ვერ შეუცვლიდა.

მეორე დღეს თავის კარგ მეგობარს აკაკი ხოშტარიას ესტუმრებოდა ბინაზე — სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრებში". სადილობისას შემოესწრებოდათ საერთო მეგობარი გიორგი ჩიჩუაც და სტუმარ-მასპინძლური მხიარულებისას უეცრად დიასახლისს უნდა წამოეძახა:

— თედო, იცი ვინ არის ტფილისში? შენი „მეგობარი" ბოქაული მიქაბერიძე!..

თედოსათვის თითქოს გველს ეკბინოს ამ გვარის გაგონებისთანავე, ერთბაშად რომ აეშლებოდა ძველი დარდები და თვალწინ ამოესახებოდა ის კაცი, რომელმაც ასე მოღალატურად და სულმდაბლურად დაატუსაღა და 1908 წლის 17 ოქტომბრიდან 1909 წლის 17 მაისამდე გამოაცდევინა ყოველივე ის, რასაც თედო მოსისხლე მტერსაც არ უსურვებდა.

სოხუმიდან თედოს გასტუმრების შემდეგ ამ ბოქაულისათვის ვიღაცას ქვა ესროლა, და ამისათვის... დაეწინაურებინათ და ფოთში გადმოეყვანათ.

ფოთში მოსაკლავადაც არ დანანებოდათ და რევოლვერიც დაეხალათ, მაგრამ კვლავ მშვიდობით რომ გადარჩენილიყო... კიდევ დაეწინაურებინათ და ტფილისში გადმოყვანილი მეცხრე რაიონის, ანუ კუკიის ბოქაულად გაემწესებინათ.

და თედო, ციმბირიდან გამოქცეული, დროებით ტფილისს რომ შეეფარებოდა, ბოქაული მიქაბერიძე უკვე ქალაქის პოლიცმეისტერის თანაშემწეობას უმიზნებდა.

საამისოდ რარიგ წაადგებოდა თედოს ჩაგდება ხელში!..

და ძალიან შეფიქრიანდებოდა აქამდე ასერიგად გათამამებული მსჯავრდებული: ეს ხომ ის კაცია, ჩემი დანახვაც არა სჭირდება, სუნითაც იგრძნობს ჩემს აქ ყოფნას და ხელ-ფეხსაც გამიკრავსო.

ამიტომაც სასწრაფოდ უნდა შეეცვალა პირვანდელი ჩანაფიქრი და აქ დარჩენის დრო რაც შეიძლება შეემცირებინა... დაუყოვნებლივ, დაუყოვნებლივ უნდა გასცლოდა აქაურობას!

რაო, რას ამბობს გიორგი ჩიჩუა? საღამოს 7 საათზე ბათუმს მიემგზავრება მატარებლით? მაშ, თედოც თან გაჰყვება, მითუმეტეს, რომ უკეთეს თანამგზავრს ისედაც ვერ იშოვნის.

კი მაგრამ, გუნებაში რომ დაქადნებოდა: არ შეგარჩენ და ამ ჯავრს უსათუოდ ამოვიყრიო, — თუკი სასწრაფოდ უნდა გასცლოდა, როდისღა უნდა ეძია შური?.. არა, ახლა არაფრისდიდებით არ გამოვიდოდა სამაგიეროს გადახდა — ისევ თვითონ თუ დაზარალდებოდა. ამიტომაც კვლავ უკეთესი დროისათვის უნდა გადაედო, ამჯერად კი რაც შეიძლება ეფრთხილა, თორემ სუნს, სუნს იკრავდა მისი „კეთილის-მყოფელი“ და დაპატიმრება ახლა ენახა, თავი რომ ეწონებოდა, კატორღას ხომ გამოვექეციო.

საღამოს შვიდის ნახევარზე უკვე სადგურზე იქნებოდნენ. გიორგი ჩიჩუას,ჯერ მარტო თავისი წარმოსადეგობისა და რიხიანობის წყალობით და მერე კიდევ — სახელმწიფო საგლეხო ბანკში მოურავად ყოფნის გამოისობით რკინიგზაზე ყველა იცნობდა — სულ ამ გზაზე არ იყო გაკრული?! ჟანდარმებიც და ბუფეტის თანამშრომლებიც გულითადად ხვდებოდნენ. და ახლაც, სალაროსაკენ წინ გიორგი რომ მიაბიჯებდა, მისი ახოვანი ტანი თედოს სიმაღლე-სიგანეზე ფარავდა და ამიტომაც მას ზედაც არავინ უყურებდა.

— მის წარმოსადეგობასთან სხვისი სხეული ძალაუნებურად იჩრდილებოდა. ამ შემთხვევაში მე, რა თქმა უნდა, ამ გარემოებას ჩემთვის დამამცირებლად და ჩემის თავმოყვარეობის შემლახავად სრულიადაც არა ვთვლიდი.

ბელეტრისტული თვალიც რომ აქვს თედო სახოკიას!..

ორიოდ სტრიქონში რარიგ სახიერადაა წარმოჩენილი თანამგზავრთან ერთად მისი მსვლელობა სალაროსაკენ, იდუმალი ღიმილითაც განათებული.

გიორგი მიუახლოვდებოდა ჟანდარმს, გადასცემდა ორ თუმნიანს და ბრძანების კილოთი მიმართავდა, რომ ორი ბილეთი ეყიდა: მისთვის სამტრედიამდე, ხოლო მისი თანამგზავრისთვის კი — ბათუმამდე. ისიც იყიდდა და დიდი მოწიწებითაც მოართმევდა ხურდასთან ერთად. თან... მადლობასაც რომ აქეთ გადაუხდიდა, ბრწყინვალე თავადმა რომ სწორედ იგი ცნო მომსახურების ღირსად.

ისე, მეტი კომიზმი რაღა გინდა — კატორღიდან გამოქცეული კაცის ბილეთს ჟანდარმი იღებს და გზასაც ულოცავს, რათა ბათუმამდე მშვიდობიანად იაროს.

მე ისევ ჩრდილში ვარო, — უხარია თედოს.

შენ ჩრდილში ყოფნა ეძახე!.. ვითარების კომიზმს კი ამით არა აკლდება რა!..

კუპეში რომ ჩასხდებოდნენ, კიდეც ამოისუნთქებდა შვებით თედო, განსაცდელს რომ გადაურჩა, პლატონ მიქაბერიძის კლანჭებში არ მოხვდა და ამდენმა ჯაბირმა ფუჭად არ ჩაუარა. იმასღა ნატრობდა, მატარებელი რაც შეიძლება მალე მოშორებოდა ტფილისს და შეგრიალებულიყო ბათუმში, სადაც ოჯახობის ნახვა ელოდა.

მცხეთაში რომ გაჩერდებოდა მატარებელი, გიორგი შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, რათა განთქმული მცხეთური ბოხჩოვანებით ჩაეტკბარუნებინა პირი, და თანამგზავრსაც მიიპატიჟებდა.

თედო ცოტა დაგვიანებით ჩამოდის ვაგონიდან, რომელიც სადგურის შუაგულის პირდაპირაა ჩამომდგარი.

ბაქანი ცარიელია.

ბაქნის აღმოსავლეთიდან, სწორედ ბუფეტის კარისაკენ, ხედავს მისკენ მომავალ ვიღაც დაბალი ტანის სამხედრო პირს, რომელსაც მარჯვნიდან ქალი მოჰყვება და მასთან საუბარშია გართული.

ეს ერთხანს შედგება.

„ნეტა ვინ უნდა იყოს ეს სამხედრო?.. იოსებ გედევანიშვილი ტანდაბალიცაა და სამხედროც, მაგრამ... დუშეთის ხაზინის საქმეში მონაწილეობისათვის სამხედროდ ხომ უკვე აღარ ირიცხება?!. და მაშ ვინ?.."

თუმც დიდ თავისმტვრევასაც არ მოჰყვებოდა, თავისი მეგობარი იოსებ გედევანიშვილი რომ არ იქნებოდა, მიხვდებოდა, და უცნობ პიროვნებაზე ან ამდენს რატომ ფიქრობდა... რა არის, არა, ცნობისმოყვარეობა?!

რაც იყო თუ როგორც იყო, თამამად კი გასწევდა წინ.

ამასობაში თავისი დამისაკენ პირშექცეული სამხედრო ისე ახლოს ჩაუვლიდა, რომ მათ შორის მტკაველიც კი აღარ დარჩებოდა.

შეხედავდა და...

კიდეც გაშეშდებოდა და კარგა ხანსაც ვერ მოეგებოდა გონს.

ის ორნი ჩაუვლიდნენ, გაშორდებოდნენ, ლამის თვალსაწიერიდანაც დაიკარგებოდნენ, ეს კი იდგებოდა ასე გაუნძრევლად, ვიდრე — აზრზე მოსული — ვაგონისაკენ სასწრაფოდ არ გამოტრიალდებოდა.

რა დროს განთქმული მცხეთური ბოხჩოვანები იყო!..

მიხვდებოდით, ვის გვერდითაც აღმოჩენილიყო უნებურად თედო სახოკია.

დიახ, სწორედაც იმ პლატონ მიქაბერიძისა, ციმბირში ვისაც გაესტუმრებინა და ახლა კინალამ მანვე შეაწყვეტინა კატორღიდან რის წვალებით გამოვლილი გზა...

ის ქალი თურმე პლატონის დანიშნული გახლდათ. ბოქაულს ესარგებლა იმ გარემოებით, რომ სულიწმინდის მოფენის დღესასწაულის გამოისობით ორი დღე, კვირა-ორშაბათი,უქმე იყო და თავისი დანიშნული მცხეთაში გამოესეირნებინა...

ჩაფლულა, თვით ბოქაულიც ჩაფლულა სიყვარულის ნეტარებაში და გარშემო ვერავის და ვეღარაფერს ამჩნევს.

მაგრამ თედოს ამას რას დააჯერებდი, ის კი არა, იმისთანა ეჭვები დაეხვეოდა,მიქაბერიძემ ტფილისში ალბათ ყური მოჰკ-

რა ჩემი ჩამოსვლის ამბავს და იქ ან განგებ არ დამიჭირა, ან ვერ მოასწრო შეპყრობა და გამომდია, რათა მატარებელში ციმბირიდან გამოქცეული კაცის დაჭერით თავისი პრესტიჟი უფრო აამაღლოს უფროსების თვალში და ხელად გაიკრას წარჩინება — პოლიცმეისტერის თანაშემწეობა, სახელი გაითქვას, როგორც სწორუპოვარმა აგენტმა პოლიციისამო!..

„ნახეთ ბიჭი!"

ჰოი, რას უცემდა გული.

როგორ, ზღვას გადარჩენილი ცვარს უნდა დაეხრჩო?!

ცალ ხელს ბარგს დაავლებდა და მოუთმენლად დაელოდებოდა გიორგი ჩიჩუას დაბრუნებას, ბოხჩოვანებით რომ იგემრიელებდა პირს და აჭიანურებდა წამოსვლას, რაკიღა ეგონა, რომ თედო წუთი-წუთზე შეაბიჯებდა ბუფეტში. მატარებლის დაძვრის დრო რომ მოახლოვდებოდა, ვაგონისაკენ მაშინღა გამოეშურებოდა და გაკვირვებული ჰკითხავდა თანამგზავრს: თითქოს მოდიოდი და განა რა მოხდა ასეთიო?!

პასუხის ნაცვლად თედო სთხოვდა, ფანჯარასთან გაჩერდი და მატარებელი რომ დაიძვრება, თვალყური ადევნე, ბაქანზე ქალთან ერთად მოსეირნე სამხედრო კაცი მატარებელს გამოჰყვება თუ არაო.

— რა სამხედრო, პოლიციელიაო, — დაზუსტებას მოჰყვებოდა გიორგი ჩიჩუა, რომელიც გულისხმაში ვერ ჩავარდნილიყო, ასე რას აეფორიაქებინა ყოველთვის გულმშვიდი და გაწონასწორებული თედო, და იმ ადამიანის სამოსს რომ დააკვირდებოდა, უკვე იოლად გაარჩევდა, რაც წამიერი შეხედვით ყველას უძნელდებოდა და მითუმეტეს —ციმბირს თავდაღწეულ ტყვეს: პოლიციის უფროს მოხელეთა ფორმა სამხედროთა ტანსაცმელს ჰგავდა და მხოლოდ სამხრულებით თუ გაარჩევდი ერთი-მეორისაგან.

— შენ თვალყური ადევნე! — ფანჯარასთან მიახლოებასაც ვეღარ ბედავდა თედო.

თუ ვინიცობაა, მიქაბერიძე ვაგონში შემოვიდოდა, თედოს სხვა აღარა დარჩენოდა რა და სასწრაფოდ უნდა ეშველა თავისათვის — ვაგონის მეორე მხრიდან გადამხტარიყო და დარჩენი-

ლიყო მცხეთაში, სადაც მეგობრები ეგულებოდა და ისინი შეიფარებდნენ, ან არადა, სამხედრო გზით დილომში ჩამოაღწევდა მეგობართან, ვიდრე მალულად გაერიდებოდა საქართველოს.

და აჰა, კიდეც დაიძვრებოდა მატარებელი.

და პლატონ მიქაბერიძე კი... თავის დამიანად მცხეთაში დარჩებოდა.

და თედოს უკვე შეეძლო დამშვიდებით ეამბნა ყველაფერი ცნობისმოყვარეობად ქცეული გიორგი ჩიჩუასათვის.

— ვინც ილოცა, აბა სწორედ შენთვის ულოცია! — გაამხნევებდა გიორგი.

— ოღონდაც!

და ამ ეპიზოდის გახსენებისას რომ დასძენდა: ოღონდ რომ ბრალი იქნებოდაო, — უპირველესად ეს განცდა აუბობოქრდებოდა გულში: მაშინ ხომ ვეღარ გადავუხდიდი პლატონს სამაგიეროს,ხომ ვეღარ მოვუკლავდი გულს და ვეღარ ავუსრულებდი იმ მუქარას, სოხუმში ჩემი დაჭერისას რომ დავექადნეო.

მართალია, გულში დაემუქრა, მაგრამ ხომ მაინც შეელახებოდა თავმოყვარეობა, თუკი ის მუქარა ამაო ქადილი აღმოჩნდებოდა.

აგერ, ორი თვეც ჩაივლიდა.

თედო უკვე პარიზში გახლდათ და იქ უნდა შეხვედროდა საქართველოდან ჩასულ თავის მეგობარს და სასამართლო საქმის გარჩევისას კი თავის დამცველს — გიორგი გვაზავას, და ბოქაულ მიქაბერიძის ოინებს რომ უამბობდა, სთხოვდა:

— ტფილისში რომ დაბრუნდები, პლატონ მიქაბერიძეს თუ არ იცნობ, გაიცანი და ჩემ მაგიერ მოახსენე: სულ ერთი მტკაველის მანძილზე იყო შენგან დაწინაურება, დაჯილდოება, თუგინდ ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეობა და ნურას უკაცრავად, ყველაფერი ხელიდან გამოგაცალეო.

გიორგი გვაზავა ამ დანაბარებს მართლაც გადასცემდა ბოქაულს, და ის კი პასუხად:

— რომ მენახნა თედო, ხელსაც არ ვახლებდი, გამეხარდებოდა კიდეც, ჰო, ჩემმა მზემ!

თედო, ცხადია, არ დაიჯერებდა და ამ ფრაზის მოსმენა ჩააღიმებდა:

— სწორედ მაგისმა მზემ, ხელს არ მახლებდა, იქნებ დამხმარებოდა კიდეცა!.. მიქაბერიძე?!.

ვითომ ნანობდა მაშინდელ საქციელს ბოქაული და ამ სიტყვებით ცდილობდა გამოესყიდა ის ცოდვა?!

თუ გაწბილების გადატანას ასე მოინდომებდა, ვითომც არაფერიო, და გუნებაში დამუქრებითღა მოიოხებდა გულს, ჰაი, თუ კიდევ გადაგეყარე სადმეო?!

თედო ადვილად ვერ ირწმუნებდა სწორ გზაზე დადგომას იმ ბოქაულისას, ვინც კარიერის გულისათვის დედას არ დაინდობდა და მამას, თორემ ნათესავი და ახლობელი რა ანგარიშში ჩასაგდები იყო მისთვის. თუმც... იქნებ იმ ქალთან ურთიერთობას გაეჩინა მის გულში რაღაც ადამიანური?!

მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, როგორ ესახებოდა თედო სახოკიას შურისგება.

ციმბირში ყოფნისას ამ განცდით ანთებული რომ ითვლიდა დღეებს, არაფრისდიდებით არ ვაპატიებ მიქაბერიძესო, გაგონია, ყველაზე სასტიკი სურათები წარმოუდგებოდა ფანტაზიის გაქანებისასო, მაგრამ თურმე რას შეიძლება დაეცხრო მისი შურისძიების ჟინი — ბოქაულის გაწბილებული სახის წარმოდგენას, როდესაც შეიტყობდა, თუ რა ახლოს ჩაევლო მისთვის დაწინაურების პერსპექტივას, სულ ერთ მტკაველზე!..

და ეს მოულოდნელი შეხვედრა რომ არა?!

მაშინ ალაბთ იმის წარმოდგენით ტკბებოდა თედო, თუ როგორ შეიცვლებოდა პოლიტიკური რეალობა, და ციმბირული ხანა დამსახურებად რომ ჩაეთვლებოდა და თამამად გაივლიდა ქუჩაში, აუცილებლად მოძებნიდა ბოქაულს და... ირონიული ღიმილით შეაჩერდებოდა სახეში: ახლა როგორღაო?!

ეს იქნებოდა და ეს.

და ახლა კი რარიგ აღფრთოვანებულა, შურისგების საშუალება რომ მიეცა და დაწინაურებას დახარბებული ბოქაული პირში ჩალა-გამოვლებული დატოვა.

რაო, რას ამტკიცებდა პლატონ მიქაბერიძე?

ხელსაც არ ვახლებდი და გამეხარდებოდა კიდეც მისი ნახვაო?

და ხარობდა და ნეტარებდა თედო, ამ სიტყვებისა რომ არა სჯეროდა და წარმოიდგენდა ბოქაულს, საკუთარ გულს რომ ასკდებოდა და საკუთარ თვალებს კი ყველდრებით ავსებდა, რამ დაგაბრმავათ, თქვე ოხრებო, ერთ მტკაველზეც ვეღარ შეგინიშნავთ და როგორღა გენდოთ, ჯილდო, პატივი და თბილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეობა დამაკარგვინეთო.

იცინოდა, ლაღობდა თედო სახოკია!..

მუქარა და დანაქადები აღსრულებულიყო.

და რაოდენ ხელშესახებად წარმოისახება თვითონ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტიც ამ ნაამბობის წყალობით, თუ როგორ ესმის სამაგიეროს გადახდა და დაპირებული მუქარის შესრულება.

და კიდევ მეტიც ითქმის. „მეტი" კი ისაა, რომ ეს მხოლოდ პირადი თვისება არ არის და მისი განზოგადება ძალდაუტანებლად შეიძლება ქართული ეროვნული ხასიათისა და ფსიქიკის იმ თავისებურებაზე, საამაყოდაც რომ შემოგვრჩენია და იმ უშორესი ეპოქისკენაც გვახედებს, დიდი მოდგმის ჩამომავლობას დაბეჯითებით რაც გვაფიქრებინებს.

ჯერ კიდევ ალექსანდრე ბატონიშვილი რომ ირწმუნებოდა გლეხთა სულიერ არისტოკრატიზმს, და ალექსანდრე ორბელიანიც ადასტურებდა, ილია ჭავჭავაძეც დამცველად მოევლინებოდა ამ მტკიცებას და არჩილ ჯორჯაძისთვის ეს სწორედაც რეალობა აღმოჩნდებოდა და არა ოცნებისმიერი ხილვა, აგერ თვალსაჩინო დასტური გლეხთა არისტოკრატიზმისა, თედო სახოკიასაც რომ უნდა შეენარჩუნებინა ამ მოვლენის უწყვეტობა — გლეხის სულიერი არისტოკრატობა — ისე, რომ ამაზე არც ეფიქრა.

ანკი რა ფიქრი უნდოდა?!

თავი მეათე

ციმბირული ეპოპეა ანაბიჭობას ვინ დამიგდებსა!..“

უკვე მარტიც ჩაივლიდა.

ეს თვე იმით განსხვავდებოდა მანამდელთაგან, რომ თედოსა და სხვა მის მსგავსთა ყოფას ოფიციალურად თავისუფლებაც კი დაერქმეოდა, მაგრამ ესენი უფრო ზუსტ სახელს შეურჩევდნენ: თავისუფალი ციხეო.

ერთი და იგივე ქუჩა, ერთი და იგივე სახეები... საღამოს 8 საათზე დაძინება, გაუთავებელი ღამეები, დილის 7 საათზე ადგომა... და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი ეჩვენებოდათ იქაურობა. და თედო და ვასო თურმანიძე ერთმანეთს რომ უზიარებდნენ თავიანთ ფიქრსა და დარდს, მთავარი ორივესათვის შეიქნებოდა სამშობლოში დატოვებული ოჯახები, მეგობრები... მანამდე თუ საკუთარ თავსაც დარდობდნენ, ახლა გაუნელებელი წუხილი შორს ჩაკარგულ მხარეს დასტრიალებდა და ბოლმა სულ უფრო აწვებოდათ ყელში.

აქ როგორ უნდა ჩავმარხო, და მერე რა უშნოდ, ჩემი სიცოცხლის საუკეთესო დრო, თუ მთლად სიცოცხლე არაო, — საკუთარ გულს აწყდებოდა თედო, — ნუთუ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ენერგია არაფერს არ უნდა გამოადგესო?!

და მარტო ამის გაფიქრებაზედაც ისე შეაჟრჟოლებდა ხოლმე...

თავისუფალ ციხეში დაბინავების პირველივე დღეებში კოჭებშივე შეატყობდნენ იქაურობას, რომ ვერაფრისდიდებით ვერ შეეთვისებოდნენ, ბოლომდე ვერ გაუძლებდნენ და ვერ.... უერთგულებდნენ.

ეს მხოლოდ მოგვიანებით შერჩეული სიტყვა არ უნდა იყოს, ციმბირული ყოფის დოკუმენტური მატიანის შექმნისას, იმ წუთშივე გაუელვებდა ეს ირონია, ოდნავი სულის მოთქმის საშუალება მიეცემოდა თუ არა: რა გიყო, ჩემო ციმბირო, ვერ გიერთგულებ და ვერაო.

და უკვე მაშინვე ჩაისახებოდა მკრთალად აზრი აქედან ლტოლვისა.

ეს აზრი დღითი დღე გაიზრდებოდა [გაღრმავდებოდა, გაძლიერდებოდა] და ბოლოს მკაფიოდ ჩამოინაკვთებოდა მტკიცე გადაწყვეტილებად, იდეაფიქსად:

— ოტებულ ვიქმნეთ აქედან, რადაც უნდა დაგვიჯდეს ასეთი გამბედაობა!..

ერთ თვეში ეს გადაწყვეტილება ერთი თვისა შეიქნებოდა.

რაო, რა მოვალეობა დაეკისრებოდათ, ვოლოსტში რომ გამოუშვებდნენ — ექვს თვეს ფეხმოუცვლელად უნდა იყოთო?

ექვსი თვის თავზე მიეცემოდათ ბილეთი და ნებას დართავდნენ მთელ მაზრაში ეცხოვრათ, სადაც მოეგუნებებოდათ. ერთი წლის თავზე უფლება მიენიჭებოდათ გუბერნიის სხვადასხვა ადგილას დაბინავებულიყვნენ, სადაც მოეწონებოდათ; ხუთი წლის თავზე უფლება გაეზრდებოდათ, ახლა უკვე მთელ ციმბირში აერჩიათ მათთვის სასურველი ადგილი — ურალიდან ვლადივოსტოკამდე; და აი, რვა წლის თავზე ებოძებოდათ გლეხის ბილეთი და უფლება — სადაც გენებოთ, იქ დასახლდით მთელს რუსეთის იმპერიაში, თუნდაც თქვენივე სამშობლოშიო.

ჩონგურივით აეწყო და ეგაა ხელისუფლებას სასჯელის ბოლომდე მოხდის პროცესი.

მაგრამ გაციმბირებული ყოველთვის მორჩილი რომ არ გამოდგებოდა კანონისა და რვა წელიწადს მოთმინებით არ მიაჩერდებოდა?

კანონმდებელთ წინდაწინვე გაეთვალისწინებინათ არსებობა ზოგიერთი ურჩისა, თედოსებრ შეუპოვარსა და გაბედულს, ვინც ვადაზე ადრე განიზრახავდა თავისი მაზრის, გინდ გუბერნიისა ან სულაც ციმბირის დატოვებას და ასეთთა მოსაჭკვიანებლად ამგვარი სასჯელი შეემუშავებინათ:

თუ გამოქცეულს იმავე გუბერნიაში დაიჭერდნენ, ერთი თვის ციხეს არგუნებდნენ. ვინც გაკადნიერდებოდა და რომელიმე სხვა გუბერნიაში მოინდომებდა ცხოვრებას, სამთვიანი ციხით გაუმასპინძლდებოდნენ, ხოლო ძალიან კადნიერნი, ციმბირს რომ გამოექცეოდნენ და მთლად ევროპის რუსეთშიც კი გადავიდოდნენ, თუკი მიასწრებდნენ, ოთხწლიან კატორღასაც ვეღარ გადაურჩებოდნენ — ათას ქისა მარჩილისთვისაცო, ხატოვნად ამჯობინებდა გამოთქმას თედო სახოკია მეტი სიცხოველისათვის და სალექსიკონოდაც ამზადებდა შესაფერისი განმარტებით: ბევრ, აურაცხელ ფულს რომ გულისხმობდა, უთვალავ სიმდიდრეს. მარჩილი — ანუ 24 ბისტი — ძველებური ქართული ფული იყო, უდრიდა ქართულისავე ვერცხლის სამ აბაზს. ფულს ძველად ქსოვილისაგან შეკერილ ქისებში ინახავდნენ. როდესაც სურდათ რაიმე საგნის დიდი ღირებულება გამოეხატათ, ამბობდნენ: ამას ათას ქისა მარჩილადაც ვერ მოგცემთო.

ეს ყოველივე ჯერ კიდევ ირკუტსკის ციხეში ყოფნისას მოეხსენებოდათ, ყრუდ, გულისგულში რომ უფეთქავდათ იქიდან თავდაღწევის წადილი; და ახლა, გაქცევის ჟინი სულ უფრო ძალუმად რომ დაუვლიდათ, მაშინვე წინ წამოეტუზებოდათ გარდუვალი სასჯელის საშიშროება.

მაგრამ ეს ვითომდა თავისუფალი სატუსაღო, სადაც გამყოფებდნენ კაცს, ვისაც მუშაობაც შეგეძლო, საქმის გაკეთების უნარიცა და ხალისიც არ გაკლდა, არადა, ხელ-ფეხს გიკრავდნენ და დამბლადაცემულივით გასულდგმულებდნენ, ნამდვილ სატუსაღოზე უარესიც კი გამოდგებოდა.

გადაწყდებოდა...

უნდა გამოქცეულიყვნენ...

მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსაო, — მესტვირე ასე რომ იმეორებდა არსენა ოძელაშვილის დანაქადებს, ახლა თედო სახოკიაც ამავე სწრაფვით ანთებულიყო: მე რომ ამ ციმბირში ჩავკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსაო, — და ვინღა და რაღა გადაუდგებოდა წინ, ოთხწლიანი კატორღა ხომ რა სათქმელია!.. განა კატორღა არ იყო, ძალ-ღონესა და ენერგიას აქ თუ ჩაშრეტდა და სიცოცხლის საუკეთესო წლებს აქ თუ ჩამარხავდა?!

აქამდე რაც იყო, იყო. კიდევ კარგა ხანს ეთმინა, ისიც იმიტომ, ციმბირულ ყოფაში ასე ყოველმხრივ სხვაგვარად როგორ გაერკვეოდა, შესასწავლი შეესწავლა უკვე, გასააზრებელი გაეაზრებინა, მკვლევარ-ეთნოგრაფის გარჯა ამოწურულიყო, დანარჩენისათვის კი დაე სხვებს მიეხედათ, გამოსწრებაზე იყო და კიდეც გადმოლახავდა თავის რუბიკონს... აბა, თუ არა!.. აბა, თუ არა!..

რა დრო იყო, სად ჩარჩენილი, ორ კვირას სოხუმის ციხეში რომ ამყოფებდნენ და ქუთაისის ციხეში რომ გადაგზავნიდნენ, რათა იქიდან გაემწესებინათ ციმბირის იმ გუბერნიაში, სადაც ცხოვრება მოუწევდა. პირველ ღამეს საერთო კამერაში მოათავსებდნენ, გამანაწილებელში, პოლიტიკურებთან ერთად სისხლის სამართლის დამნაშავენიც რომ ჩაემწყვდიათ, იქ კი მასპინძლად დახვდებოდა კოწია ქავთარაძე, სოციალ-დემოკრატი და შეურიგებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგე გარეთ, მაგრამ აქ... მორბილებული, ალერსიანი, თითქოს მათ შორის პოლიტიკური უთანხმოება არც კი მომხდარიყოს.

ეს მხოლოდ პიროვნული ბუნება არ არის, სოციალ-დემოკრატიული ფსიქოლოგიაა — სადაც გაუვათ, სისასტიკესაც რომ არ ერიდებიან, და სადაც არ გაუვათ, მოკრძალებად და სიკეთედ იღვრებიან.

დახვდებოდა თანამოსაგრეც საზღვარგარეთიდან შემოტანილი იარაღის საქმისა მაქსიმე გასვიანი, გუდაუთაში ჩამოსულ იარაღთაგან რამდენიმე თოფი რომ ეგდო ხელთ, იქიდან დალის ხეობით სვანეთში აეღწია, მაგრამ დაეჭირათ, გაესამართლებინათ და, საციმბიროდ გამზადებული,ისიც თედოსავით ელოდა, რომელ გუბერნიას შემირჩევენო.

ის პოლიტიკურებიც დახვდებოდნენ, საზღვარგარეთ გაღწევა რომ ვერ მოეხერხებინათ, ტყე-ღრეში თავის მალვა მოჰბეზრებოდათ და ადმინისტრაციას ჩაჰბარებოდნენ.

ასე იყრიდნენ თავს უკანასკნელი ნაშთნი 1905 წლის რევოლუციისა, ამ დაჭერითა და დასჯით მთავრობა ბოლომდე ანადგურებდა ამ რევოლუციას, მაგრამ პროცესის ჩაკვლას კი...

დახვდებოდნენ ზესტაფონის ხაზინის ექსპროპრიაციის საქმის მონაწილენიც: პავლე საყვარელიძე, კარპე მოდებაძე, საშა

სტეპანოვი... და მასპინძლებივით შეეცდებოდნენ, შეემსუბუქებინათ თედოსათვის ციხის რეჟიმი, რომელსაც მაინცდამაინც მკაცრს ვერც დაარქმევდი.

და საბჭოური ციხე-რეჟიმის გადასახედიდან ვერც დაიჯერებ, რომ:

პოლიტიკურების კამერები კორპუსის შიგნით მთელი დღე ღია იყო და ტუსაღებს შეძლოთ ერთმანეთთან თავისუფლად მისვლა-მოსვლა, წიგნების კითხვა, წერა და საერთო გონებრივი გართობა;

გეგონება, იმპერატორი მთავრობის აპოლოგეტი ირწმუნებოდეს, არადა, ამ სტრიქონებს წერს კაცი, ვისაც პირადი ყველაფერი გაუწირავს და სიცოცხლეც არ ენანება ხელისუფლების დასამხობად.

ციხის შიგნით გამართული დუქანი იყო და, ყველაფრის შოვნას შეძლებდი.

მიმოწერა იყო და, ვისაც გინდოდა გაუგზავნიდი და ვისგანაც გსურდა, მიიღებდი, და ეს — მზარეულთა მეშვეობით, გარეთ ყოველდღე რომ გამოდიოდნენ სურსათის მოსატანად.

არა, რა აპოლოგეტი, რომელი აპოლოგეტი!..

თვით ციხის ადმინისტრაციაც რომ დაშინებულიყო?

აბა, საბჭოთა სინამდვილეშიც დაგეშინებინა ციხის უფროსობა, აბა, მაშინ მოგეკლა ადმინისტრაციის თავკაცი, როგორც ქუთაისის ციხეში გაესაღებინათ სულ ცოტა ხნის წინათ პოლიტიკურებს. ის კი არა, პოლიტიკურებივე შეძლებდნენ გვირაბის გაყვანას ციხის ქვეშ მეზობელი სახლიდან, პირდაპირ პოლიტიკური პატიმრების კამერაში რომ ამოდიოდა.

ამ გვირაბით 1907 წლის სექტემბერში გასულიყო 37 კაცი, რომელთაგან ყველას ეშველა საკუთარი თავისათვის, გარდა ოთხი ტუსაღისა, რომელნიც ხამები ყოფილიყვნენ ქუთაისში და ქალაქიდან გაღწევა ვერ მოესწროთ, მდევრები არქიელის გორაზე რომ შეიპყრობდნენ.

ამ გვირაბის გასაყვანად საგანგებოდ ჩამოეყვანათ ჭიათურიდან შავი ქვის მაღაროების მთხრელნი, გამოცდილი მუშები და 50 მეტრის სიგრძე გვირაბი მათემატიკური სიზუსტით გაეჭ-

რათ პოლიტიკურთა კამერაში ამოსაყვანად. და თვით სპეციალისტი ინჟინრებიც გაკვირვებას ვერა ფარავდნენ, როგორ სძლიეს ასეთ პირობებში ასეთი სიზუსტით ასეთი სერიოზული სიძნელეო.

ეს დიდად ასწევდა ციხის ადმინისტრაციის — და საერთოდ ქალაქის ხელმძღვანელობის — თვალში პოლიტიკურ ტუსაღთა პრესტიჟს, მათდამი ერთგვარი რიდი და კრძალვა დაებადებოდათ და მოპყრობის რეჟიმიც, აქამდე შედარებით უფრო მკაცრი და სასტიკი, მათდა სასარგებლოდ შეიცვლებოდა.

და თედო კარპე მოდებაძეს რომ უყურებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, პატიმარი კი არა, ეს არის ციხის უფროსიო.

რას წარმოიდგენდა მაშინ თედო, გაქცეულთა შორის მომავალი მწერალიც თუ იმყოფებოდა — ლეო ქიაჩელი, და გვირაბის გათხრის ეს უჩვეულო ამბავი დოკუმენტური სიზუსტით აღიწერებოდა მის რომანში „სისხლი", დოკუმენტურადაც და შთამბეჭდავადაც, და თუმც ეს რომანი არ აღმოჩნდებოდა განსაკუთრებული მხატვრული ძალისა და მწერლის ტალანტის შესაფერისი, ტუსაღთა გაქცევის აღწერას წუნს ვერ დასდებ, მითუმეტეს, ისტორიულ ეპიზოდადაც ჩაიწერებოდა ახალი დროის მატიანეში — გაყალბებულშიც და პირუთვნელშიც, რადგანაც ორივე — ოფიციალურიც და არაოფიციალურიც — თავთავისებურად გამოიყენებდა ამ გახმაურებულ ამბავს.

ტუსაღები უმეტეს ხანს... წიგნის კითხვას ანდომებდნენ და ათასში ერთხელ — პარტიულ თემაზე პაექრობას. წიგნები კი ლეგალურიც მოიძებნებოდა და არალეგალურიც, ზოგს სულაც ბიბლიოთეკა ჰქონდა, სურათებით შემკული კამერაც...

აპოლოგეტი კი არა!..

დადგებოდა გამგზავრების წამიც.

ქუთაისის გუბერნატორი თედოს გადაუწყვეტდა ირკუტსკის გუბერნიაში გადასახლებას, კომისია კი მასაც შეამოწმებდა ჯანმრთელობის მხრივ — გაუძლებდა თუ არა ციმბირის ჰავას.

საბჭოთა იმპერიაში საკონცენტრაციო ბანაკებისათვის გამზადებული პატიმრები სულ კომისიაზე არ გაჰყავდათ, ნეტა თუ გაუძლებს იქაურ ჰავასო!..

ბოლოს... ფეხებში ბორკილებს გაუყრიდნენ თედოს.

აქამდე პოლიტიკურ პატიმრებს სულ ხელხუნდებს ადებდნენ და ეს ფეხბორკილები სადაური რა გამოდიოდა?!

პეტერბურგიდან ბრძანება რომ ჩამოუვიდოდათ ქუთაისში, პოლიტიკურ დამნაშავეებს ბორკილები გაუყარეთო, აქ — სხვა საგუბერნიო ციხეთა ინსპექციისაგან განსხვავებით — საბორკილედ ფეხებს ცნობდნენ. არადა, გზად ვინც შემოუერთდებოდნენ პოლიტიკური ტუსაღები, ყველა ხელხუნდიანი იქნებოდა.

ამდენ პატიმარში ამ მხრივ მარტო ქუთაისიდან წამოყვანილები რომ გამოირჩეოდნენ, დამცირებულებად იგრძნობდნენ თავს, მაგრამ ისე კი მოხდებოდა, რომ ეფექტის თვალსაზრისით სისხლის სამართლის დამნაშავეთა თვალში ფეხის ბორკილებს დიდი უპირატესობა მიენიჭებოდა და... ზოგჯერ კიდეც გამოადგებოდათ, ხიფათისაგან გადაარჩენდათ იქ, სადაც თავიანთი ფიზიკური ღონით მტერს პასუხს ვერ გასცემდნენ.

ბორკილების დაჭედვას თვითონ ციხის უფროსი — მეტსახელად დიშლა (ფაეტონის ხელნა) — რომ დაესწრებოდა, მამობრივი ზრუნვით დაადგებოდა თავს მჭედელს და დარიგებებსაც არ მოაკლებდა, რათა დაჭედილი კარგად გამოსულიყო, თედოს გზაში გატეხა არ შესძლებოდა ანდა ფეხიდან არ წაეძრო.

მართლა არსენა ოძელაშვილი იყო თუ რა!..

მაგრამ დიშლა ისე დაშინებულიყო, რამე რომ მოხდეს, დაუდევრობაში ჩამომართმევენ და პასუხსაც მომკითხავენო, ველარ უწევდა ანგარიშს, რომ თედო ბორკილების დამლეწავი არ იყო.

დაჭედვა რომ დამთავრდებოდა, დიშლა კმაყოფილი და სრულიად სერიოზულად ჰკითხავდა:

— ხომ კარგადაა, შვილო, დაჭედილი, ხომ არ გიჭერს?..

ამ ფრაზის დაკარგვა როგორ იქნებოდა, ამ კმაყოფილებისა და ზრუნვისა, თითქოს მჭედელს კი არა, სულაც მას დაეჭედოს და ახლა ხელობის შექების მოლოდინში გატვრენილიყოს.

— ხომ არ გიჭერსო?..

ფრანც კაფკასაც შეეხარბებოდა ეს ფრაზა და აბსურდის სკოლის მწერლებსაც: აი, წარმოსახვა ამას ჰქვია, აი, მხატვრული ხილვა, აი, მახვილგონიერების გაქანებაო!..

ხილვა და გაქანება კი არა — პირდაპირ გადმოჰქონდა ეს სიტყვები თედოს ყოფითი სინამდვილიდან, რომელსაც მხატვრული წარმოსახვა ვერ გაუტოლდებოდა.

და თედო არც თავის პასუხს დაგვიკარგავდა, ირონიით, უფრო კი მხიარული კომიზმით გაჟღენთილს:

— მშვენივრად მადგას.

— გიხდება კიდეც, — ცინიზმით არა, მოწონებით განუცხადებდა ციხის უფროსი, ეამაყებოდა თავისი საქმიანობა, ზედ აკვდებოდა, დასთათანებდა, და ახლა ყველა ფეხბორკილიან ტუსაღს სათითაოდ რომ ჩამოუვლიდა და შეამოწმებდა... გზასაც დაულოცავდა.

აბა, დაულოცავად ხომ არ გაუშვებდა ამხელა გზაზე!..

ციხის უფროსი არ ცინიკოსობს — იგი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი ადამიანია და მისთვის სრულიად გაუგებარი რჩება, კომიკურ ვითარებაში თუ იგდებს თავს.

თედოს რა დაავიწყებდა იმ თეატრალურ სცენას, ციხიდან გამოყვანილებსა და ჩაფრებით გარშემორტყმულთ ქუჩაში რომ ჩაატარებდნენ, გზად კი ქუთათურებს დუქნებს აკეტვინებდნენ, ვაითუ მათი დახმარებით პატიმრებმა გაქცევა შეძლონო.

თედოსთან ერთად კიდევ ორმა მაინც — ფეხბორკილიანებმა!.. თორემ ოცკაციანი ეტაპიდან სხვა ამ დღეში არავინ იყო.

— ცხადია, ჩვენის ბორკილების ჩხარუნს და ასეთის ზეიმით გატარებულებს სათანადო ეფექტი უნდა მოეხდინა მაყურებლებზე, და არამცთუ არა ცდილობდნენ ჩვენს განთავისუფლებას, პირიქით: გზას გვიტევდნენ და ისწრაფოდენ, მოჰრიდებოდენ იქაურობას, თითქო ალალმა დაჰქროლაო.

რას წარმოიდგენდა, ქუჩაში შემთხვევით შემოხვედრილ კონია მკურნალს სახელს რომ დაუძახებდა და მშვიდობას უსურვებდა, იმას თუ ხმა ჩაუწყდებოდა, ლუღლუღსაც კი ვეღარ მოახერხებდა, საცოდავად მოიბუზებოდა, თვალს გაადევნებდა და საჩქაროდ სხვა ქუჩას შეაფარებდა თავს.

ჯერ ბათუმში ჩაიყვანდნენ და ორ ღამეს იქ ამყოფებდნენ, ამიერიდან კი, მთელი ეტაპის დროს, მათი სასტუმრო მხოლოდ ციხე იქნებოდა. იქ უამრავი ადამიანი დახვდებოდათ —ზოგი

გასაციმბირებელი და ზოგიც — გასასამართლებელი. ციხის რეჟიმი, ქუთაისისა არ იყოს, აქაც გასაძლისი ჩანდა, რაკიღა რევოლუციის შიშისაგან ჯერაც ვერ გათავისუფლებულიყო როგორც ციხის ადმინისტრაცია, ისე საგუბერნიო მმართველობა. ის კი არა, დაბეჯითებითაც შეიძლებოდა თქმა, რომ რევოლუციურ პარტიებს, სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს ერთმანეთთან მეგობრული განწყობილება უფრო დააკავშირებდათ და პრინციპულ საკითხებზეც უფრო დამშვიდებით კამათობდნენ... აჯამებდნენ თავიანთ შეცდომებს და ერთიმეორეს თითქოს ებოდიშებიანო, პარტიული გაცხარებისას ერთურთისათვის შეურაცხყოფაც რომ არაერთხელ მიეყენებინათ... უნებლიეთ, თორემ ჩვენ რა გვაქვს საჩხუბარიო, უმტკიცებდნენ ყოფილ მოქიშპეთ, ჯერჯერობით ყოფილთ, რადგანაც საერთო მტერს ყოველგვარი გულისწყრომა, პარტიული ფანატიზმი ლამის პირწმინდად გაექრო.

ბათუმიდან ნოვოროსიისკისაკენ რომ გაუყენებდნენ გზას და აჰა, სოხუმის ნავსადგურსაც მიატანდნენ, საიდანაც ერთი თვის წინათ ქუთაისის ციხეში გააქანებდნენ, როგორც მოგვიანებით შეიტყობდა, მისი პატარა, ერთი წლის ქალი სწორედ იმ საათს ბოდავდა და მამას უხმობდა თურმე... და თედო კი გონების თვალით ემშვიდობებოდა ყველასა და ყველაფერს, რაც უძვირფასესი რჩებოდა სამშობლოში, და დროებით, მხოლოდ დროებით ემშვიდობებოდა რევოლუციას, რომლისთვისაც თავი სასიკვდილოდ არ ეზოგებოდათ არც მას და არც მის თანამოსაგრეთ მომავალ, მეორე რევოლუციამდე, რომელიც პირველს უეჭველად უნდა მოჰყოლოდა და უფრო გადამწყვეტი, უფრო რადიკალური უნდა ყოფილიყო, ვიდრე პირველი...

მოგვიანებით კი გაუხდებოდა სანანებელი და ძალიანაც სანანებელი ის მეორე რევოლუცია, ის უფრო გადამწყვეტი და რადიკალური, მაგრამ ციმბირულ დღიურს ამ სადარდებელს ვერ ანდობდა და მხოლოდ იმწამიერი განწყობილების აღნიშვნას იკმარებდა.

გზად გულიგულში მიესალმებოდა იმ ადგილებს: ისორათს (ანაკლიასთან), სოხუმს, გუდაუთას, გაგრას, სადაც 1905 წელს ჩამოტანილი იარაღიდან გადარჩენილი ნაწილი მოიყრიდა თავს.

ამ აქციისათვის სამი მენავე — ზოსიმე ხუბუა, კირილე კორშია და ელიზბარ ჩარტია — უკვე გაეყენებინათ ციმბირისაკენ და ახლა მათ კვალს თედო სახოკიაც მიჰყვებოდა.

ეს ის სამი პირია, ვასო თურმანიძესთან ერთად რომ მიეძღვნებოდათ თედოს ციმბირული მატიანე — გულსავსედ, როგორც წმინდა მოვალეობის აღსრულება, იმ უჩინარ ადამიანებს, პირდაპირ ხალხის გულიდან მოწყვეტილ არსებებს, რომელთაც თავიანთი მარტივი (თედო ამ სიტყვაში გულალალობას გულისხმობს) სიცოცხლე უანგაროდ, სავსებით და წრფელად მიიტანეს ზვარაკად საქართველოს თავისუფლების სამსხვერპლოზე და რომლებთან ერთადაც ციმბირში ხანმოკლე ყოფნისას იყოფდა ჭირსა და ლხინს. მათგან ორი, ელიზბარ ჩარტია და კირილე კორშია თავისიანთა მიერ დაუტირებელნი და მიწამიუყრელნი, საკუთარ ძვლებს ჩატოვებდნენ ციმბირის გაყინულ მხარეში და აღარავის ეცოდინებოდა, სად იმყოფებოდა მათი წმინდა საფლავები.

მათი სახით ყველა უჩინრად დარჩენილ თავდადებულ ადამიანს მიეძღვნებოდა თედო სახოკიას ციმბირული მოგონებანი, როგორც თავისებური ძეგლი, რადგანაც — ნიკო ლორთქიფანიძისა არ იყოს — მასაც სწამდა, რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ უნდა იკარგებოდნენ.

საზარლად დაამახსოვრდებოდა ნოვოროსიისკის ციხე, როგორც გახრწნილების ამაზრზენი გარემო, იქაური მდგმურნი სხვადასხვა დარგის კვალიფიციური ავაზაკნი, ზნეობის უდაბლეს საფეხურზე ჩამოქვეითებული ადამიანები რომ იყვნენ, კეთილშობილების ყოველგვარ სამოსგანძარცულთ ნასახიც არ შერჩენოდათ იმისა, რასაც კულტურულ ქვეყნებში სინდისი ჰქვია. ეგებ ვინმეს აქ შემოსვლამდე კიდევ დარჩენოდა კნინი შეგნება მორალისა? მაგრამ ციხეში ერთბაშად წარეხოცებოდა. და თურმე ამას ვინ ჩივის, როდესაც აქ გამეფებულიყო ის სენი, ძალიან გავრცელებული ბიბლიურ ქალაქებში — სოდომსა და გომორში.

და ახლა იმავე უფალს ექვსი ათასი წლის შემდგომ იმავე სასჯელით რომ მოენდომებინა ნოვოროსიისკის ციხის მეოთხე კამერის დასჯა, მის რისხვას აქ მყოფთაგან ერთიც ვერ დააღწევდა თავს... სხვა კამერიდან გამოყვანილი 15-16 წლის ბიჭები

აქ ისე იქცეოდნენ, როგორც პროფესიონალი მეძავები... ციხის ადმინისტრაციას მოეხსენებოდა ეს ვითარება, მაგრამ მას სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა და... მფარველობდა კიდეც სატუსაღოს ზღუდეთა შორის. ამით წათამამებული სატუსაღოს პანსიონერი დიდგულადაც გაიძახოდა: სიამოვნებას ვიღებ იქ, სადაც ვპოულობო...

აღმოჩნდებოდა, რომ ეს ყოფილა არა რაღაც გამონაკლისი, არამედ ერთი დამახასიათებელ თვისებათაგანი იმდროინდელი ციხეებისა.

რამხელა ჯებირი აღმართულა ქართულ და რუსულ ციხეებს შორის!..

აი, სალდათების სიტყვა-პასუხი რომ მოეხსენებოდათ გამოცდილ პატიმრებს, თედოს საგანგებოდ გააფრთხილებდნენ: ღმერთი არ გაგიწყრეს და პარიზის სალონთა შესაფერისი მეტყველება არ მოითხოვო მათგან, თუ არ გინდა მდგომარეობა ძალიან გაიუარესოო.

და ისიც იძულებული შეიქნებოდა, მათი ყოველი ნათქვამი იობის მოთმინებით აეტანა.

შუაგულში ყურადღებისა და სიფრთხილისა ეს სამნი აღმოჩნდებოდნენ, ბორკილგაყრილნი — პირველად ესენი უნდა შესულიყვნენ შესასვლელიდან, პირველად ესენი უნდა დამსხდარიყვნენ, სადაც დასაჯდომი იყო, პირველად ესენი თუ გამოეძახებინათ, თუ გამოსაძახებელი იყო ვინმე. და ეს განსაკუთრებული ზრუნვა მათზე სხვა ტუსაღთა თვალში რიდისა და მოწიწების შარავანდით მოსავდათ თედოსა და მის ბედში მყოფთ.

მეხსიერებაში როსტოვის ციხე შემოცურდებოდა, რკინიგზის სადგურზე ტფილის-ბაქო-დაღესტნიდან წამოსული ეტაპებიც რომ შეუერთდებოდნენ და, ასე, 500 კაცი რომ მოგროვდებოდა, ერთ კარგ სოფელს ეყოფოდნენ დასასახლებლად. დამწკრივებულნი ერთკილომეტრიან მანძილს შეავსებდნენ. ციხისაკენ დაძრულებს კი კვლავ თედო და მისი მსგავსი ფეხბორკილდადებულნი უნდა გასძღოლოდნენ სარქლებივით.

შამილის სამშობლოდან უმეტესობა ხანშიშესული აღმოჩნდებოდა, ერთი — 75 წლისაც, და თითქოს მთავრობისაგან არ

ეყოფოდათ სასჯელი, ტუსაღებსაც რომ არ გაეწამებინათ დაცინვითა და მასხრად აგდებით, როდესაც ლოცვად დადგებოდნენ ხოლმე... ერთ მოხუცს კიდეც აატირებდნენ... და ამას უკვე ველარ მოითმენდა თედო და რამდენიმე კაცთან ერთად რომ ჩაერეოდა და გამოექომაგებოდა დაჩაგრულთ, კიდეც მოთავდებოდა ლეკების წვალება. ისე, ბორკილი რომ არა ჰქონოდა გაყრილი, ვინ დაემორჩილებოდა, რომელი ავაზაკი, მაგრამ ამ შარავანდს ვერ გადალახავდნენ, ვერ ხელყოფდნენ სულიერად ასერიგად დაცემული არსებებიც.

ამ ლეკებს დასტა-დასტად რომ მიერეკებოდნენ სამშობლოდან ურალისაკენ, ორენბურგის გუბერნიაში, თურმე არც ერთს არა ჰქონოდა სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელი. ყველანი ადმინისტრაციული წესით იყვნენ გადასახლებულნი.

ეს რას ნიშნავდა?

ადმინისტრაციას — მამასახლისი იქნებოდა, ბოქაული, მაზრის უფროსი თუ გუბერნატორი — შეეძლო რუსეთის შიდაგუბერნიებსა ან ციმბირში გადაესახლებინა ისეთი პირნი, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ, მაგრამ, მათი აზრით, საშიშნი იყვნენ სახელმწიფოს მშვიდობიანობისათვის. ასე რომ, სრული თვითნებობის საშუალება გეძლეოდა — ამ მოტივით შეგეძლო გადასახლებაში გაგესტუმრებინა ყველა, ვინც თვალში არ მოგდიოდა. ვინმე ამისათვის პასუხს მოგთხოვდა თუ რა!.. ის კი არა, ძალიანაც დაგიმადლებდნენ სახელმწიფოებრივ სიფხიზლეს.

ეს ადმინისტრაციული აღვირაშვებული თვითნებობა სახელმწიფო „კანონიერების" გვერდით იმიტომ არსებობს, რათა ამ კანონიერების უძლურება დაფაროს, ეგებ როგორმე შეავსოსო, — მაშინვე მიხვდებოდა თედო მიზეზს და არც იმის ამოცნობა გაუჭირდებოდა, რაღა მაინცდა-მაინც შამილის ქვეყნის ხალხს მიერეკებოდნენ ასე უღმერთოდ და გაუთავებლად ციმბირისაკენ.

გამოივლიდნენ კოზლოვსაც უხიფათოდ.

უკვე შეეჩვეოდნენ ეტაპს, გასაჩერებელ პუნქტებში დამხვდურ ტუსაღთა ტიპებს, მათ ზნე-ჩვეულებას.

აგერ უკვე რიაჟსკიც — შემაერთებელი, ერთი მხრივ, სამხრეთ რუსეთიდან წამოსული ეტაპებისა, მეორე მხრივ კი — დასავლეთ რუსეთიდან, მოსკოვ-პეტროგრადიდან წამოსულებისა. აქედან ეტაპები სამარის გზით მიემართებოდა ურალისაკენ და მერე — ციმბირის რკინიგზით — დანიშნული ადგილებისაკენ.

ამ საკვანძო ადგილას მეტად თავისებური წესები რომ არსებობდა, თედოც გამოსცდიდა საკუთარ თავზე — ადმინისტრაციის უჩვეულო ლმობიერება.

ეს რითი გამოიხატებოდა?

თუნდ აგერ ტუსაღებს, თვით ბორკილიანებსაც, ციხის დარაჯთა თანხლებით შეეძლოთ ქალაქში გავლა და ყიდვა, რაც ესაჭიროებოდათ.

სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტოდენ თავისუფალი ჰაერის ჩასუნთქვა მართლაც რადა ღირდა!..

ასეთი წესები აქ ერთხანს კიდევ გაგრძელებულიყო, მაგრამ ყველა პატიმარი ვერ შეიშნოვებდა ციხის უფროსის გულკეთილობას, ბოროტად ისარგებლებდნენ და გაქცევას მოახერხებდნენ, რითაც სხვა ტუსაღთა მდგომარეობას ძალიან გაართულებდნენ, რადგანაც მოლიბერალო ციხის უფროსს იქ ვიღა გააჩერებდა...

ასე დასრულდებოდა თავისუფლების ეპოქა!..

რიაჟსკის ციხე თედოს არც თავისუფალი ჰაერის ჩაყლაპვით დაავიწყდებოდა არასოდეს და არც კედელზე მიხატული ნავითა და ქვეშ ქართულად მიწერილი გვარ-სახელებით: ზოსიმე ხუბუა, კირილე კორშია და ელიზბარ ჩარტია.

ჯერ იქ აღბეჭდილიყო მათი კვალი, ვიდრე თედო სახოკიას დოკუმენტური რომანის ფურცლებზე გადმოინაცვლებდნენ.

— ამგვარი კედლის ლაკონიური ლიტერატურა ციხეში მეტად გავრცელებულია და ზოგჯერ ტუსაღს ვრცელ ეპისტოლეზე თუ მეტს არა, ნაკლებს არ ეუბნება...

არა, ნავიც რომ მიეხატა ამ სამეულს — თავი და ბოლო მათი გაციმბირებისა.

აქ მესამე დაბორკილ თანამგზავრს კი ჩამოაშორებდნენ, საუკუნო კატორღა რომ უნდა მოეხადა, მაგრამ სამაგიეროდ პო-

ლიტიკურ პატიმრებს შემოუერთებდნენ უხვად, მატარებლის სამ თუ ოთხ ვაგონს მარტო ესენი რომ დაიკავებდნენ: ანარქისტები, მაქსიმალისტები (იმჟამად ბოლშევიკები ამ სახელს ირქმევდნენ), სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები (ქართველები და უკრაინელები).

საშინელ სივიწროვეში ღამით და საწოლის შოვნაზე ტყუილუბრალოდ არ უნდა გეოცნება და თედოც უძილო ღამისათვის რომ გაემზადებოდა, უეცრად კონვოის სალდათები შემოვიდოდნენ ვაგონში და მისი და გასვიანის გვარებს დაიძახებდნენ.

ამათ ძალიან არ ესიამოვნებოდათ ეს შუაღამის გამოძახება.

მიზეზს იკითხავდნენ.

კონვოის უფროსი გიბარებთო.

„აუჰ, ესღა გვაკლდა!.. რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩვენთან კონვოის უფროსს?!"

კიდევ უფრო შეეკვროდათ ისედაც დაბორკილი ფეხები, მაგრამ წინააღმდეგობას გაწევდნენ თუ რა... და მღელვარედ რომ შეაბიჯებდნენ ერთ ვაგონში, იქ დახვდებოდნენ... გრძელულვაშა მოღიმარი ახალგაზრდა ოფიცერი და... გულა წულუკიძე, ვინც თედოსთან ერთად იჯდა სოხუმის ციხეში სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობისათვის და ახლა ადმინისტრაციული წესით გადმოესახლებინათ ორენბურგის გუბერნიაში.

ოფიცერი ამათ თავს ჩააბარებდა წულუკიძის ქალს, თვითონ კი თავაზიანად დაუკრავდა თავს და გაშორდებოდა.

„რა ხდება ნეტა?.."

იდგებოდნენ სახტად დარჩენილები.

და ამცნობდათ ქალი, რომ კონვოის უფროსი ოფიცერი პოლონელი ყოფილიყო და მეტად დარდიმანდი. ქალი რომ ენახა ეტაპში და თანაც — თავადური წარმოშობისა, პოლონელთა ჩვევისამებრ, კავალრობა გამოეჩინა და ალერსიანი სიტყვებითაც მოჰპყრობოდა. ქალს ამით ესარგებლა და ეთხოვა:

— ნათესავები მყავს სადღაც ვაგონში, მგონი, ვიწროდ არიან და აქ, ჩემთან გადმოაყვანინეთ, რათა თავისუფლად შეიძლონ მოგზაურობა.

თავს გამოიდებდა პოლონელი და ქალის გულის მოსაგებად სასწრაფოდ გასცემდა განკარგულებას თედოსა და მისი თანამზრახველის აქ მოყვანისა.

ასე ჩამოუვარდებოდათ ციდან დასაწოლიც და მოსვენებული მოგზაურობაც თვით სამარამდე.

ასეთ ხვედრს ვერც ინატრებდნენ და...

პოლიტიკური პატიმრები სულ ახალგაზრდები იყვნენ, ქალიცა და კაციც 20-23 წლისანი, და თედო თანდათან ყველას რომ გამოეცნაურებოდა, დაიბეჯითებდა, რომ ყველა ერთი გრძნობით, ერთი აზრით განმსჭვალულიყო — ერთობლივი ძალით ებრძოლათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მის დასამხობად თავიანთი ახალგაზრდობა და სიცოცხლე შეეწირათ, გულწრფელად სწამდათ, საბოლოო გამარჯვება მებრძოლთ დარჩებათო... ოცნებებში ლივლივებდა დათრგუნული ძალმომრეობა, ტირანია, თვითმპყრობელობა და მათ სანაცვლოდ ტახტზე მორჭმით დამჯდარი საყოველთაო სიმართლე, თანასწორობა, ძმობა, ერთობა, ხალხის სუფევა... საბოლოოდ სინათლე სძლევდა სიბნელეს...

ვოლგა, რუსეთის დედამდინარე, პატიმრების გადაყვანისას გაყინულიყო და ზედ ურმები და მარხილები გადადიოდა. და თედო პირველად იხილავდა იმ სურათს, რასაც სასწავლებელში თუთიყუშივით იმეორებდა, რომ მდინარის გაყინვა თურმე ასეც კი შეიძლებოდა. და თუმც მაშინ მისი წარმოსახვა ამას ვერა სწვდებოდა, აგერ თვალნათლივ უნდა დარწმუნებულიყო ამ მოსაზრების სიმართლეში.

გზაში თურმე ისეთი მხიარულება სუფევდა, ტუსაღები ვერც კი შეიტყობდნენ, ისე აღმოჩნდებოდნენ სამარაში, სადაც სამსართულიანი ციხე დახვდებოდათ და გარეგნულად ისეთი სასიამოვნო სანახავი, რომ ერთბაშად შეატყობდი, სატუსაღოს ინსპექციას ხარჯი არ დაუზოგავს, რათა შენობა საშვილიშვილო და სანაქებო ყოფილიყოო.

შიგნითა ნაწილიც სავსებით რომ შეეფერებოდა გარეგნულს?! მაღალი, ვრცელი და ნათელი ოთახები, სისუფთავითაც რომ დაიქადებდა!.. კედლები კირით შეელესათ და ვერსად

წააწყდებოდით კვალსაც კედლის ლიტერატურისა და ფრესკებისა, სხვა ციხეები ასე რომ გადაეცსო.

საჩინო ადგილას გაკრული წარწერა პატიმრებს აფრთხილებდა, იატაკზე არ ენერწყვათ, არც ცხვირი მოეხოცათ და საერთოდ იატაკზე ერთი ბეწო მტვერიც არა ყოფილიყო. ყოველდღე საგანგებო ჩვრებით მორიგეობით უნდა ეწმინდათ ტუსაღებს.

სხვა რას დაარქმევდი, თუ არა მართლაც გასაოცარ კონტრასტს აქამდე ნანახ ციხეებსა და სამარის სატუსაღოს შორის სისუფთავის მხრივ?!

ადმინისტრაციას ეს სარეკლამოდ, უცხოელთათვის საჩვენებლად ჰქონდა, თავის მოსაწონებლად? ცხადია, აბა, პატიმრებს ხომ არ გადაჰყვებოდნენ თან... თუმც თედოს ეს ანდაზა უფრო მოადგებოდა პირზე: ხან ვარხალალეო, ხან სულ არაო!..

რარიგ კანთიელად მოცურავდა წარმოსახვაში უფის კონვოი, რომლის ქებაც ჯერ კიდევ ნოვოროსიისკის ციხეში სმენოდათ, ახლა კი საკუთარი თვალით უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს ქება იმათ ღირსეულად დაემსახურებინათ. არამცთუ ერთ სალანძღავ სიტყვასაც არა ჰკადრებდნენ პატიმრებს, დიდი თავაზიანობითაც ექცეოდნენ. ის კი არა, ზოგიერთი პოლიტიკური ტუსაღი, პროპაგანდის გუნებაზე დამდგარი, მეტად მწვავე თემებზეც გაუბამდა ლაპარაკს. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდნენ და ზოგიერთ ბუნდოვან საკითხზე ახსნა-განმარტებასაც კი თხოულობდნენ.

მიზეზი მათი ასეთი თავაზიანობისა ის გახლდათ, რომ უმეტესობა... პოლონელი იყო წარმოშობით.

უფაში გამოთხოვების წინ ბარათებს დააწერინებდნენ ახლობლებთან, ჩალათებსა და მარკებს თვითონვე მიუტანდნენ და მათ თვალწინვე ჩაუშვებდნენ ფოსტის ყუთებში.

ჯერ ისედაც ყოველთვის სასიამოვნოდ დაურჩებოდათ პატიმრებს ასეთი მოპყრობა და მითუფრო — კონვოის სალდათთა ენითუთქმელი სიმხეცის ფონზე, მთლად დაუვიწყარ და მარადმოსაგონარ დღეებად რომ შემორჩებოდა მათ ცნობიერებას პოლონელ ჯარისკაცთა გვერდით გატარებული ხანმოკლე სიხარული — ყოფითადაც განცდილი და ძალდაუტანებლადაც

განზოგადებული, რომ ადამიანებს თვით ჯოჯოხეთურ გარემოშიც შეიძლება გადაეყარო, და კიდევ — დაპყრობილი, მუდმივ განსაცდელში მყოფი ერის შვილებს საუკეთესოდ მოეხსენებათ ფასი და მნიშვნელობა ჰუმანურობისა და კეთილშობილებისა!..

და თედო სახოკია რომ მოინდომებდა, სრულყოფილად შეეგრძნობინებინა მკითხველისათვის უფას კონვოის ადამიანური ღირსებანი, ტუსაღებს შეადარებდა საჰარის უდაბნოში დატანჯულ მგზავრებს, რომელნიც ერთბაშად ოაზისში ამოყოფენ ხოლმე თავს, პალმების ჩრდილს შეფარებულნი წყლით ისველებენ ამომშრალ ხახას და სულად მისულნი კვლავ უბრუნდებიან სიცოცხლეს.

გავიდოდნენ ურალის გვირაბში და თავს ამოყოფდნენ აზიაში, გამოეთხოვებოდნენ ევროპას და თავს დაუკრავდნენ ციმბირს, სადაც დასავლეთიდან ბაწარაღებით მოდიოდნენ გადასახლებულნი და მისი მუცელი მაინც ვერა ძღებოდა, ანკი რა გააძღობდა, როდესაც ისეთ ვრცელ ტერიტორიად გადაჭიმულიყო, მთელი რუსეთიც რომ აყრილიყო, ყველას დაიტევდა, ყველას ეყოფოდა, ყველას შიგ მოითავსებდა.

დაე ვისაც როგორ ენება — ჩარჩენილიყვნენ იქ ვადის მოხდამდე, რათა მთელი სიცოცხლე დევნასა და ძებნაში არა ყოფილიყვნენ მთავრობისაგან. თედოს არც ეეჭვებოდა, მეფის ხელისუფლებას მალე რომ გამოუყვანდნენ წირვას და დიდხანს სულაც არ მოუწევდა მალულად ყოფნა სამშობლოში თუ საზღვარგარეთ, ერთი იმდენი, აქედან დაელწია თავი, და მტკიცედ რომ გადაწყვეტდა გადასაწყვეტს, სამშობლოში მეგობრებსა და პატივისმცემელთ გაუზიარებდა თავის განზრახვას და სთხოვდა, შეგვაძლებინეთ აქედან გამოქცევაო.

საბჭოთა იმპერიის მძლავრებისას ვინმეს ბარათი ან დეპეშა რომ მოეწერა ახლობლებთან გადასახლებიდან, გამოქცევას ვაპირებ და ფული მესაჭიროებაო!..

თედოს წერილის მიღებისას განსაკუთრებით თედო ჟორდანია და იაკობ გოგებაშვილი გამოიდებდნენ თავს, დაუყოვნებლივ რომ მიაწვდიდნენ ხუთ-ხუთ თუმანს ტელეგრამით.

საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებიც აკი მოიფინებოდა აქედან გაგზავნილი ფულით, თუ მანდ ვეღარ ძლებთ, ბარემ ნუღა დაყოვნდებითო!..

ჯერ კი ზლატოუსტში უნდა ჩამოეშორებინათ ყველა, ვინც ადმინისტრაციული წესით გადმოეკარგათ, მათ შორის, წულუკიძის ქალიც, და დარჩენილიყვნენ მხოლოდ გაციმბირებულნი, და ეტაპელთა რიცხვიც საგრძნობლად შემცირებულიყო.

სამაგიეროდ, არაპოლიტიკური ტუსაღები უნდა შემატებოდნენ თანდათანობით, ჩვეულებრივი დამნაშავენი, დაგლეჯილნი და შიშველ-ტიტველნი, თან რომ შემოჰქონდათ საშინელი სიბინძურე, ჭუჭყი, მყრალი სუნი და უხვად მკბენარნი, რომელთაგან თავის დაფარვა ყოვლად შეუძლებელი შეიქნებოდა. თითქოს თუთის ხე დაბერტყესო, ისეთი პანტაპუნტით ეცემოდათ ეს პარაზიტები და თანაც საკმაოდ მსხვილი ჯიშისანი... აყროლებული სუნისაგან ხომ ლამის გაგუდულიყვნენ... და თედო ერთხელ კიდევ დარწმუნდებოდა, რომ ადამიანს ყოველგვარ პირობებთან შესძლებოდა შეგუება და შერიგება, ოღონდ კი არსებობისათვის ბრძოლაში როგორმე ფონს გასულიყო. და მკბენარებსაც ისე შეეგუებოდნენ და შეურიგდებოდნენ, რომ თანაცხოვრება ამ პარაზიტებთან უკვე ჩვეულებრივ მოვლენად მოეჩვენებოდათ, ის კი არა, ადამიანი უამპარაზიტოდ ვეღარც წარმოედგინათ, მითუმეტეს, რომ საპნის გამოყენება პატიმარს ეკრძალებოდა, ცივილიზაციის ეს გამოგონება ტუსაღისათვის არ არსებობდა და მკბენარის შემოსევას როგორ გინდა, გამკლავებოდი, ანდა ათასგვარი სნეულება როგორ არ იჩენდა თავს!..

კრასნოიარსკიდან უნდა დაწყებულიყო ტუსაღთა გოლგოთა, მათი ნამდვილი ტანჯვა-წამება, უსასტიკესი ყინვისაგან გამოწვეული... მაგრამ რაკილა ამქვეყნად ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, ქუთაისის ციხიდან 18 ნოემბერს გამოსულნი ქრისტეშობისთვის 15-ს ჩააღწევდნენ ირკუტსკის გუბერნიის დედაქალაქ ირკუტსკში, 40-გრადუსიანი ყინვა რომ დახვდებოდათ და ქუთაისიდან წამოყვანილთა ჩაცმულობას კი არაფერი მოემატებოდა — რკინიგზის სადგურიდან ციხეში რომ წაიყვანდნენ სამი კილომეტრის მანძილზე, ჩუსტებისა და თხელი, უსარჩულო ფარაჯის ანაბარა!..

„სასწაული კიდევ არსებობს ქვეყნად, — ფიქრობს თედო და სულ უფრო რწმუნდება ამ ჭეშმარიტებაში, — აბა, ასე რომ არ იყოს, ჩუსტები როგორ შეძლებდა სატუსაღოში შისვლამდე ჩემთვის დაუზრავად შეენარჩუნებინა ფეხები?!"

ხის შენობაში შელალავდნენ, ეგრეთწოდებულ გასანაწილებელში, რათა ციხეთა საგუბერნიო ინსპექტორს აქ მიეჩინა თვითეული პატიმრისათვის თავ-თავისი მაზრა საცხოვრებლად ანდა ალექსანდროვსკის საკატორღო ციხეში გაეგზავნა 35 კილომეტრის დაშორებით.

რა მიხვედრა უნდა, რომ ახალმოსულთა შემომატება დამხვდურთათვის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე — ვინ ნაცნობს ეძებდა, ვინ ახალი ამბის მოსმენას ესწრაფოდა, გამოკეტილი ამ ყინულეთში, სადაც, როგორც ადამიანისგან, ისე ბუნებისაგან ჩაგვრის, დამცირებისა და განადგურების მეტს სხვა სიკეთეს არ გამოელოდნენ.

— სადაც დღეყოველ და ჟამსა ყოველსა წინ უნდა ედგესთ აჩრდილი სიკვდილისა ამა თუ იმ სახითა.

თედო მისჩერებია და თვალებს არ უჯერებს — აგერ ზოსიმე ხუბუაც, აგერ ელიზბარ ჩარტიაც, აგერ კიდევ კირილე კორშიაც. ჰოი, რას გაიხარებდნენ, ამიერიდან ერთად მოგვიწევს ციმბირული ჭაპანის გაწევაო. მოკლედ რომ მოიკითხავდნენ ერთმანეთს, მასპინძლები ფიცხლავ შეუდგებოდნენ თედოს ფეხებზე ბორკილების მტვრევას.

ეს შეშინდებოდა.

— კანონის დარღვევაში ჩამოგვართმევენ.

დაამშვიდებდნენ ფოთელი მენავენი:

— უკვე ჩვეულებად არის დამკვიდრებული, რომ ყოველ ახალმოყვანილ პატიმარს ტუსაღებმავე აჰყარონ როგორც ხელის, ისე ფეხის ბორკილები.

— ადმინისტრაციამ არ იცის? — ჩაეძიებოდა თედო.

— როგორ არ იცის, მაგრამ არაფერს ამბობს, ვიდრე ბორკილიანი ტუსაღი წასაყვანი არ გახდება ალექსანდროვსკის საკატორღო ციხეში ან დასასახლებელ მაზრაში.

ყველაზე მარჯვე ზოსიმე ხუბუა აღმოჩნდებოდა.

— შენ რა დაოსტატებულხარ ამ საქმეში, — შეჰღიმებდა თედო და ამაყად ჩაიცინებდა ზოსიმე.

ბორკილებისაგან კი გათავისუფლდებოდა, მაგრამ სახარბიელო არ იქნებოდა მისი სხეულის ყოფა ნაბორკილევს: ფეხები კოჭებს ზემოთ მთლად დასწყლულებოდა და პარაზიტებსაც კარგად მოეკიდებინათ ფეხი მის სხეულზე... ფრჩხილები ხომ ხელ-ფეხზე... მეტი სასჯელი მართლაც აღარ შეიძლებოდა ადამიანისათვის, განსაკუთრებით ისეთისათვის, რუსეთს გარდა ევროპის ქვეყნებიც რომ ენახა, ქვეყნები, სადაც საპონს ფუფუნების საგნად აღარც კი მიიჩნევდნენ.

ეროვნების მხრივ ნამდვილ კალეიდოსკოპს რომ ჰგავდა იქაურობა, ქართველი ხუთი კაცი ერია.

ციხის რეჟიმს თედო მაინცდამაინც ვერ დაემდურებოდა. დილაადრიან რომ შევიდოდა, ადმინისტრაცია და დაითვლიდა ტუსაღებს, მერე მთელ დღეს ღია რჩებოდა კამერის კარი და ტუსაღებს თავისუფლად შეეძლოთ ეზოში სიარული. 40-გრადუსიან ყინვას ადვილად უძლებდნენ, კამერის გარეთ ყველაფერი ქვასავით შეკრულიყო ყინულისაგან. ამ სუფთა ჰაერზე ყოფნა ანეიტრალებდა ღამით კამერაში მდგარ ბუღს, თორემ უამისოდ პატიმართა ფილტვები ნახშირბადით სავსე ჰაერს რას გაუძლებდა!..

საჭმელი? არ დაიწუნებოდა გემრიელი ჭვავის პური, წვნიანი ცოტა ხორცით და მოხარშული უგრეხელი, ღორის ქონიანი. ვისაც ფული მოეპოვებოდა, ყველაფერს იშოვიდა, რაც სურდა.

სულიერი საზრდო? ოოო, ამ მხრივ დიდ სიმწირეს განიცდიდნენ, რადგან თითო-ოროლა პოლიტიკურ ტუსაღს საიდანღაც და როგორღაც ერთი-ორი წიგნი თუ შერჩენოდა, იმასაც ერთმანეთს სტაცებდნენ.

უმრავლესობა პირუტყვულ ყოფას ამჯობინებდა, ოღონდაც როგორმე გადარჩენილიყვნენ.

დილით დიდი კასრით ჩაისათვის ადუღებულ წყალს რომ შეიტანდნენ, ყველა ეშურებოდა თავისი ჭურჭლის შიგ ჩაყოფას წყლის ამოსაღებად, და მერე რა ჭურჭლის — ყველგან ნაგდების, ათასგვარ სიბინძურემიკრობილის... შემხედვარეს გული

აგერეოდა, მაგრამ თვალებს ხუჭავდი და შენც იმავე წესით იღებდი წყალს, აღარ ინაღვლიდი, მიკრობებით თუ გამოგევსებოდა გულ-მუცელი.

სადილადაც ყველა თავ-თავისი ჯამით უნდა დასძგერებოდა კასრს.

ძილის წინ, როგორც წესი, იწყებოდა ნადირობა... მკბენარებზე.

არც ქაღალდის თამაშს იკლებდნენ და, თედო იფიცება, ერთმა თავის პარტნიორს ცოლი მოუგოო.

ტუსაღთა დათვლისა და კარის მჭიდროდ დაკეტვის შემდეგ კამერებში ლამპრები ბჟუტვას რომ იწყებდა და თანდათან ნახშირბადით ივსებოდა იქაურობა, რის წვალებით მიატანდნენ მეორე დღემდე, რომელიც... ჰგავდა წინა დღეს და რომელსაც დაემგვანებოდა მესამე, მეოთხე და ყველა დანარჩენი დღე, ვიდრე სათვალავი არ აირეოდა და ციხე-ბანაკის ყოფა ერთ გაუსაძლის დღეს არ დაემსგავსებოდა — ისეთივე გაყინულს, როგორიც კამერისგარეთა რეალობა იყო.

და ლამის გადააავიწყდეთ, კამერის გარეთ სხვა ქვეყანა და სხვა ხალხი კიდევ თუ არსებობს.

მოწყენილობისაგან აღარ იცი, რა იღონო.

მაგრამ, აი, უნდა დადგეს შობა და თედო უნდა გაოცდეს, როდესაც ციხის უფროსი შედის სატუსაღოში ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მისალოცად პატიმრებისათვის, მას კი ტელეგრამაც უნდა გადასცეს და მიახაროს:

— ვაჟიშვილი შეგძენია, ღმერთმა გაჩუქა!

ციხის უფროსი და ასეთი სანტიმენტალიზმი?!.

„ნუთუ ამ სბირების გულშიაც ჩარჩენილა ადამიანური გრძნობის ნასახი?.."

ამასობაში სატუსაღოთა ინსპექციაში რომ წყდებოდა პატიმართა ბედი, ვისთვის რომელი მაზრა ერგუნებინათ, ხუთი მაზრიდან ყველაზე უარესი ადამიანის საცხოვრებლად კირენსკისა გახლდათ, რომლის სამაზრო ქალაქიც რაღაც 20-30 კომლს ითვლიდა, და იქ გაგზავნილს, განსაკუთრებით პოლიტიკურ დამნაშავეს, სამუშაოს იმედი ტყუილად არ უნდა ჰქონოდა. არაჩვეულებრივი ჯანის პატრონი უნდა ყოფილიყო გადასახ-

ლებული, რომ იქაური გლეხის მოთხოვნილებისათვის გაეძლო და... ამიტომაც ხდებოდა ხშირი თვითმკვლელობები.

აქაურ სიცივეს იკითხავდით და... 50-55-გრადუსიანი ყინვა რა ხეირს დააყრიდა ადამიანს.

სწორედ ამ მხარეში ბინადრობდა მეოთხე ხანის ცხოველი ელეფას პრიმგენიუსი, პირველყოფილი სპილო, რომელსაც ყინულიანი ოკეანის სანაპიროთა მცხოვრები იაკუტები მამონტს დაარქმევდნენ. და თედო თავს როგორ შეიკავებს, რომ თხრობისას არ ჩაურთოს, მისი თითო ეშვი 7 მეტრი სიგრძისაა და იწონის 200 კილოს, სიმაღლე კი ცხოველის ქეჩოსთან 5 მეტრს აღემატებაო.

მამონტის უხრწნელი სხეული ყინულში აღმოეჩინა ინგლისელ ბუნებისმეტყველს ადამსს 1799 წელს მდინარე ლენის შესართავებისაკენ და მაშინვე აღეძრა შუამდგომლობა მთელი ცხოველის გატანის თაობაზე, მაგრამ ვიდრე ნებას დართავდნენ პეტერბურგელი ბიუროკრატები, ორი წელიწადიც გასულა და ამასობაში ზოგიერთ იქაურ მცხოვრებს თავისი ძაღლებისათვის უჭმევია ასეთი ძვირფასი აღმონაჩენის ხორცი, ზოგიც გარეულ ნადირებს გაუგლეჯიათ. თვითონ ჩონჩხს და ერთ ნაწილს ტყავისა პეტერბურგის მუზეუმი წაიღებდა და აქედან ევროპის მუზეუმებს დაურიგდებოდათ თითო რამ ნაწილი, მათ შორის პარიზის მუზეუმს ერგებოდა ერთი ბეწვი ამ ეგზემპლარისა, წმინდა კანაფის სიმსხო.

უკვე ხვდებით, რომ თედოსა და მაქსიმე გასვიანს სწორედ კირენსკის მაზრაში გამგზავრებას გამოუცხადებდნენ.

მანამდე ელიზბარ ჩარტიაც იქ გაემწესებინათ, მაგრამ მაშინ პირდაპირი გზა შეკრული იყო და გაზაფხულამდე, ნავიგაციის გახსნამდე, ვერხოლენსკის მაზრაში გაგზავნიდნენ. მერე კი წაიყვანდნენ კირენსკში, მაგრამ იმ ზაფხულსვე — 1909 წლისა — ბოდაიბოში გადავიდოდა. კირილე კორშიას — სატუსაღოში თედოს ყოფნის დროსვე — საავადმყოფოში დააწვენდნენ და მერე იქვე გარდაიცვლებოდა, ზოსიმე ხუბუასაც კირენსკს რომ გადაუწყვეტდნენ, ზამთრის გასატარებლად ალექსანდროვსკის საკატორღო ციხეში წაიყვანდნენ.

კირენსკში ჩასვლამდე ამ საკატორღო ციხის „სიამე“ ყველას რომ უნდა გამოეცადა, თედოც და მაქსიმეც ფიქრს მიეცემოდნენ, როგორ დაეღწიათ თავი თუნდაც ოთხთვიანი ყოფნისთვისაც ამ ციხეში. დაუყოვნებლივ წაყვანისაგან ერთადერთი — ავადმყოფობა თუ იხსნიდათ, ორგანიზმის შეგნებული დასუსტება.

თედოს ეს ისედაც არ აკლდა, რომელი ყარამან ყანთელი ის იყო, ასე რომ, მაინცდამაინც არ დასჭირდებოდა თავის მოავადმყოფება, მაგრამ მაქსიმე გასვიანის გარეგნობის კაცი?! ვინ უნდა დაეჯერებინა, სუსტად ვარ, უქეიფოდო?.. თავისას მაინც შეეცდებოდნენ და დილით, გამოძახებისას, ორივე იატაკზე გაწვებოდა, სადმე გამგზავრება კი არა, წამოდგომის თავიც არა გვაქვსო.

შემმოწმებელი, ერთი ფერშალი, თედოს თერმომეტრს რომ ჩასჩრიდა იღლიაში, ტემპერატურა 38 გრადუსი აღმოაჩნდებოდა და მაშინვე საავადმყოფოში წასაყვანად გაწერდა. მაქსიმეს ტემპერატურა კი ნორმალური აღმოჩნდებოდა და ფერშალი პირდაპირ შეუტევდა: ადექიო. მკვახე მიმართვას ის ძალიან ითაკილებდა, დაავიწყდებოდა, თავს რომ იმკვდარუნებდა და მთელი სიმაღლით წამოიმართებოდა და მისი გოლიათური აღნაგობა მთლად გულს გაუხეთქავდა ფერშალს. ასეა თუ ისე, კარგადმყოფებში ჩარიცხავდნენ და სხვებთან ერთად გაუყენებდნენ ალექსანდროვსკის ციხის გზას, საიდანაც კირენსკში უკრავდნენ თავს.

იქ ველარ დააკავებდნენ და გამოიქცეოდა.

მაგრამ ბედი არ გინდა?! სამშობლოში ვიღაცას მარცხად შემოაკვდებოდა.

ხოლო თედოს საავადმყოფოში ექიმი რომ შეამოწმებდა, აღმოაჩნდებოდა მალარია, სკაბი, საერთო სისუსტე ცუდი კვებისაგან, ანემია, ფეხები დასწყლულებოდა ბორკილებისა და ფხანისაგან... ეს ყოველივე სავსებით კმაროდა, რათა სამ კვირას მაინც არ გამოეშვათ საავადმყოფოდან და კირენსკის მაზრაში აღარ გაეგზავნათ, როგორც ყველაზე გაუსაძლისში. უფრო ახლომდებარე მაზრა შეერჩიათ მისთვის.

ერთ დღეს ექიმი სადღაც რომ წავიდოდა და მის მაგივრად ექიმი ქალი ჩამოუვლიდათ, პან სიგიზმუნდი, მომველელად და

ყურისმგდებლად რომ მიეჩინათ სნეულთათვის, თედოს წინასწარვე აცნობებდა: ამ ექიმმა ფრანგული იცისო.

თედო ძალიან გაიხარებდა.

„ამ ყველასაგან მოძულებულ მხარესა და პირობებში ეგებ გამომადგეს ჩემი ფრანგულის ცოდნა!..“

კიდეც გამოელაპარაკებოდა და შესჩივლებდა თავის ყოფასაც და ზოსიმე ხუბუასისაც, ალექსანდროვსკის ციხეში რომ გამოკეტილიყო და... თედოსაგან მოელოდა შველას.

ვისი რა მშველელი იყო თედო, თვითონ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი?

მაგრამ ფსიქოლოგიურად ადვილი ასახსნელია ზოსიმეს ეს რწმენა და მოლოდინი.

თედოს ხომ ასეთი სახელი აქვს — ყველას მოამაგე, ყველაზე გადამკვდარი, საკუთარი თავისათვის ნაკლებად, მაგრამ სხვებისათვის — ყველაფრის შემძლე.

ამიტომაც შეჰყურებენ ყველგან და ყოველთვის როგორც გადამრჩენელს.

და ესეც რომ არავის უმტყუნებს იმედს?!.

ექიმი სახტად დარჩებოდა თედოს ფრანგულის მოსმენისას, ყველაფერს მოელოდა და ირკუტსკის ციხეში თუ ვინმე ასეთი დახვეწილი ფრანგულით გამოელაპარაკებოდა, ვერასოდეს იფიქრებდა.

რაღა მეცხვარის სამოსში გამოწყობილი ალექსანდრე ყაზბეგი რომ გააოგნებდა უცხოელებს თავისი ნატიფი ფრანგულით და რაღა თედოსა და იმ ექიმი ქალის გაცნობის წუთები.

ის ეტყოდა, პარიზში მისწავლიაო.

მეც მისწავლიაო, თედოც გამოიდებდა თავს და, რომ მიიკითხ-მოიკითხავდნენ, საერთო ნაცნობებიც აღმოაჩნდებოდათ.

ეს საკმარისი იქნებოდა, რათა ექიმი მხურვალედ შეჰპირებოდა: ორივესათვის შევაცვლევინებ მაზრებს, შენთვისაც და შენი მეგობრისთვისაც, და კირენსკის ნაცვლად ვერხოლენსკის მაზრაში გავაგზავნინებ თქვენს თავსო.

— მითუფრო, რომ დასუსტებულები ყოფილხართ და ისიც — სამხრეთის ნაზი ბუნების შვილები!..

დაჰპირდებოდა და აასრულებდა.

არ გავიდოდა სამი დღეც, რომ ზოსიმე ხუბუას საკატორღო ციხიდან ისევ ირკუტსკში დააბრუნებდნენ და თედოსთან ერთად მოათავსებდნენ საავადმყოფოში.

და რა გასაკვირია, რომ მთელი სიცოცხლე თედოს დიდი სასოებითა და მადლიერებით მოეგონებინა ის ქალბატონი, მოყვასის სიყვარულით განმსჭვალული მისი პიროვნება, ეს ორი ადამიანი უეჭველი სიკვდილისაგან რომ იხსნა.

რასაკვირველია, ვერას გააწყობდა, მიუხედავად თავგამოდებისა, რომ არა...

* * *

საპყრობილიდან რომ გამოუშვებდნენ გვანჯი ჩიქოვანს და ირკუტსკში თავისუფლად ცხოვრების ნებას დართავდნენ, ჟანდარმერიისა და პოლიციის გაძლიერებული ეჭვი და თვალთვალი არ მოაკლდებოდა არც მას და არც მასავით გამოშვებულთ, ირკუტსკიდან გასვლა რომ ეკრძალებოდათ; მაგრამ ესენიც არ შეეპუებოდნენ და შეინარჩუნებდნენ არალეგალურ რევოლუციურ წრეს, რათა დიდი სიფრთხილით, მაგრამ აუცილებლად კი დახმარებოდნენ ციხეში მყოფ თუ შორეულ გადასახლებაში მიმავალ მეამბოხეებს. და გვანჯი საკუთარი ხარჯით თითქმის ყოველთვის ინახავდა გასაჭირში ჩავარდნილ ხუთ-ექვს კაცს და, რითაც შეეძლო, ყველას ხელს უმართავდა.

ასეთი ხელგაშლილობა და მოყვასისათვის თავდადება რა გასაკვირია იმ პიროვნებისაგან, სულაც რაინდული ეპოქის მოლანდებას რომ განგაცდევინებდა, თითქოს იმ ძველი საქართველოდან გადმოხვეწილაო.

რომანის ფურცლებზეც მოხვდებოდა გვანჯი ჩიქოვანი, როგორც პროტოტიპი გვანჯი აფაქიძისა — კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“, და თვითონაც დაგვიტოვებდა ავტობიოგრაფიულ თხზულებას ექიმისა და მწიგნობრის, ციმბირის კატორღაში ნატანჯი და იქიდან ღირსეულად გამოსული დავით კვიტაიშვილის შემწეობით, მის მონათხრობს რომ ჩაიწერდა 1948 წელს ორთაჭალის მეორე კოლონიაში.

ამ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, მრავალფეროვან გალერეას რომ გვაცნობს კეთილშობილი ადამიანებისა, უნდა შემოებიჯებინა თედო სახოკიასაც — თანაც ორ ეპიზოდში.

ერთი ეპიზოდი მაშინაა, გვანჯი და მისი ფარული წრის წევრები რომ შეიტყობდნენ, ირკუტსკის ციხეში ჩამოიყვანეს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე თედო სახოკიაო, და კიდეც დაფაცურებულიყვნენ ისიც და ნესტორ კალანდარიშვილიც, რათა მისთვის აღმოეჩინათ რაიმე დახმარება.

ამ ბჭობაში რომ იყვნენ, რა და როგორ გვიჯობსო, კიდეც უნდა სტუმრებოდა გვანჯის ბინაზე ციხის ერთ-ერთი უმცროსი მოხელე, მიეწოდებინა ბარათი და პასუხს აღარც დალოდებოდა, ისე გატრიალებულიყო.

თედო იწერებოდა:

— ძვირფასო გვანჯი, გავიგე, რომ აქ ხართ. ჩემი საქმე ცუდად არის. მასახლებენ იაკუტიის გუბერნიის შორეულ, ცივ მხარეში, სადაც ჩემი სუსტი ჯანმრთელობის გამო უეჭველად დავიღუპები. ჩემი შველა შეუძლია ციხის მთავარ ექიმს, სერედას,რომელთანაც შეიძლება ფულით გაკეთდეს საქმე, რათა, როგორც ავადმყოფი, სადმე უახლოეს რაიონში გამაგზავნოს...

ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო.

სასწრაფოდ მოიყრიდნენ თავს გვანჯი, ნესტორი, კოლია წულუკიძე და ბეჟან ბერეჟიანი და გადაწყვეტდნენ, წერილით მიემართათ ექიმ სერედასათვის. საქმის აღსრულება გვანჯი ჩიქოვანს დაევალებოდა. შედგენით ნესტორი შეადგენდა მეტად მგრძნობიარე წერილს. რაკიღა წინასწარ არ ჰქონდათ გაგებული ექიმის მისამართი, ჩადებდნენ ამ წერილს კონვერტში ორას მანეთთან ერთად და გვანჯი გაეშურებოდა ექიმის ბინისაკენ.

იმას ავადმყოფთა მიღება ექნებოდა.

გვანჯი შევიდოდა მის კაბინეტში, მიესალმებოდა, თავაზიანად გაუწვდიდა კონვერტს და ეტყოდა:

— პატივცემულო ექიმო, გთხოვთ იმოქმედოთ თქვენი სინდისის მიხედვით!

სწრაფად გამოტრიალდებოდა, სწრაფადვე ჩაჯდებოდა ეტლში და შინ დაბრუნდებოდა.

ექიმთან ვიზიტის მეხუთე დღეს გადაშლიდნენ ირკუტსკის გაზეთს „სიბირსკაია ზარია“ და ნახავდნენ იქ დაბეჭდილ განცხადებას ექიმ სერედასი.

განცხადება იუწყებოდა, რომ... ექიმს ვიღაც უცნობმა ქრთამის სახით გადასცა 200 მანეთი, ის კი ამ თანხას სწირავს უპატრონო ბავშვთა სახლს.

გვანჯისა და მის მეგობრებს ელდა ეცემოდათ, სასტიკად შეწუხდებოდნენ და იმედი გაუცრუვდებოდათ. შეურიგდებოდნენ იმ ამბავს, რომ თედო სახოკიას შველა აღარ შეეძლოთ.

მაშ კიდეც გადაასახლებენ იაკუტიის შორეულ, ცივ მხარეში.

მისი ჯანმრთელობის პატრონს კი გარდუვალი დაღუპვა ელის.

მაგრამ... მათი სასოწარკვეთილება ხანმოკლე უნდა აღმოჩენილიყო.

ამ ყოფაში ჩავარდნილთ უნდა სტუმრებოდათ თედოს გამოგზავნილი კაცი და გადმოეცა მის მიერ შემონათვალი მადლობა:

— სერედამ საქმე გააკეთა...

იჯერებ და ვეღარც იჯერებ, მაგრამ ისე დამაჯერებლად გაისმის ყოველი სიტყვა, თითქოს შემონათვალს კი არ გადმოსცემდნენ, არამედ თვითონ თედო იდგეს გაღიმებული და ის უბეჯითებდეთ.

— სერედამ საქმე გააკეთა და, ნაცვლად იაკუტიისა, სამი ათასი კილომეტრით რომ არის დაშორებული, გამამწესეს მეზობელ კირენსკის მაზრაში, ირკუტსკიდან ექვსას კილომეტრზე.

„შენ სერედა ეძახე!.. ის განცხადება მაინც რა იყო?! ეს რა დაგვაფეთა!.. თუმც ვიღა ჩივის, კი გადაგვირჩინა თედო და...“

ხოლო მეორე ეპიზოდი...

თუმც მანამდე საკმაო ხანი ძევს და თედო სახოკიას არც მწუხარე დღეები უნდა მოაკლდეს და არც ფათერაკები.

* * *

არამცთუ ციხეში, მის საავადმყოფოშიც არ იყვნენ ადამიანები დაცულნი. თუ ვინმეზე ხელს ჩაიქნევდნენ, აუცილებლად „დასამშვიდებელს“ გაუკეთებდნენ და... ოც წუთში მომვლელი გა-

რეთ მიათრევდა რკინის საწოლსა და ზედ დასვენებულ უსულო გვამს... განსაკურნავად ყველაფერი ელონათ კი არა,თუკი ვინმეზე გაწყრებოდნენ, მასაც იმავე გზას გაუყენებდნენ ხოლმე.

— რად აძლევთ ავადმყოფებს ამ „დამამშვიდებელს“? — იკითხავდა თედო, გაოგნებული ასეთი მოპყრობით, თავდაპირველად რომ ეგონა, ადმინისტრაციამ ამის თაობაზე არაფერი იცისო, და მხოლოდ თანდათან უნდა გამოერკვია, რომ — იცოდა რომელია!.. მათთვის ეს სავსებით ბუნებრივად და ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, ის კი არა... ერთგვარ სპორტადაც!.. კანონისა არ ეშინოდათ და გამოკიდებით ვინ გამოეკიდებოდათ. შეკითხვას კი ასეთ პასუხს გასცემდნენ:

— ტყუილად იტანჯებიან, ერთხელაც იქნება, მაინც უნდა დაიხოცონ და არა ჯობს, ტანჯვა შევუმსუბუქოთ?..

და თედო გაიფიქრებდა: რა ვიცოდი, კაცთმოყვარეობის ცნების განმარტება თურმე ბევრნაირად ყოფილა შესაძლებელიო.

მოგვიანებით, როდესაც ამ საკვირველებათა მხარიდან ევროპაში გააღწევდა, ფრანგული გაზეთების განგაში ამცნობდა, რომ ქალაქ ლიონის ერთი ექიმი სნეულთა კურნებისას სწორედ ასეთივე საშუალებას მიმართავდა, როგორსაც მისი ირკუტსკელი კოლეგები — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფრანგ ესკულაპს ჯერ მარტო ექვსი თუ შვიდი პაციენტი გაესტუმრებინა საიქიოს. ესეც მალევე შეუტყვიათ და ისიც დაუდგენიათ, რომ ასეთი საქმის ავტორი სრულ ჭკუაზე არა ყოფილა და ერთგვარი ფსიქოზის გავლენით მოქმედებდა.

ერთ დღეს კი თედო საავადმყოფოს ეზოში სეირნობისას შემთხვევით შეიხედავდა ფარდულში, სადაც სადურგლო მოეთავსებინათ, და... ათ მკვდარს დაითვლიდა, ერთმანეთზე მიწყობილთ. იკითხავდა: რატომ არ ელირსათ ამ მიცვალებულთ დასაფლავებაო? — და განუმარტავდნენ: ვიდრე მათი რიცხვი ოცამდე არ ააღწევს, აქედან არ დავძრავთო.

მიზეზი ნათელია — ზედმეტი ხარჯის გაწევას ერიდებოდნენ.

ციმბირის წარსულს რომ მიადევნებდა მზერას და გარშემოც მიმოიხედავდა, პოლიტიკურ პატიმართა მარტიროლოგსაც გულდასმით დაუკვირდებოდა და ძალდაუტანებლად წამოეშ-

ლებოდა სახებანი იმ ქართველი ტუსაღებისა, საკატორღო ციხეში ყოფნის შემდეგ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის კორიფეებად და მშვენებად რომ გამოიკვეთებოდნენ (50-იანელთა პროცესს იგულისხმებდა): გიორგი ზდანოვიჩი იქნებოდა თუ ალექსანდრე ციციშვილი,ანთიმოზ გამყრელიძე, მიხეილ ჩიკოიძე თუ ივანე ჯაბადარი. ამათ მოჰყვებოდნენ: ალექსანდრე ნანეიშვილი, მიხეილ ყიფიანი თუ სტეფანე ჭრელაშვილი. კიდევ უფრო გვიან: გიორგი ლასხიშვილი თუ კონსტანტინე მესხი.

ეს ხდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მას შემდეგ კი ციმბირში ბევრი რამ გამოიცვლებოდა. უმთავრესი მაინც რკინიგზის გაყვანა გახლდათ, რაც დაასრულებდა გაციმბირებულთა ტარებას ფეხით. თუნდ აგერ მანძილი ქუთაისიდან ირკუტსკამდე — 9000 კილომეტრი, რის გადალახვასაც ძველად რამდენიმე წელიწადი ესაჭიროებოდა, ახლა 25 დღეში შეგეძლო დაგეფარა.

და მწარედ ჩაიცინებდა თედო:

— წინსვლაა და მერე როგორი!..

საავადმყოფოში წოლის ვადა რომ გაუვიდოდა და მოუწევდა უსტ-უდინსკისაკენ გამგზავრება, ეს პირველი საეტაპო გასაჩერებელი აღთქმულ ქვეყანად მოეჩვენებოდა. აქ ხელბორკილებს ახსნიდნენ და აღარც საპატიმროს ოთხკედელშუა ყურყუტი გააწამებდა და აღარც თოფიან სალდათთა ყარაულობა.

და იგრძნობდა თუ არა სიოს შედარებით თავისუფლად ყოფნისა, საღერღელი აეშლებოდა და ატოკდებოდა აზრი აქედან გაქცევისა, თანამზრახველებთან ერთად დაიწყებდა ცნობების მოკრებას,დაკვირვებას გეოგრაფიულ რუკაზე, გზების გაცნობას...

მერე კვლავ მარხილები... კვლავ ტრიალ მინდვრებს შორის სრიალი... და მოულოდნელად გაჩენილი საფრთხე — პოლიტიკური პატიმრები თვალში არ მოსდით სხვა ტუსაღებს — ავაზაკებსა და ბაცაცებს, და ლამისაა ჩააშხამონ შედარებით შვებით ამოსუნთქვის სიამოვნება. არადა, როგორია — ამდენი მთა და ბარი გადმოლახო, თავი დააღწიო ამდენ გზას, ხიშტიან და უპასუხისმგებლო სალდათებს და... ჟიგანებს შეეწირო!.. ზღვას გადარჩენილი ახლა ცვარმა დაგახრჩოს სადღაც შორს, მივარდ-

ნილ ადგილას, საიდანაც შენი ამბის წამღებიც კი არავინ იქნებაა, ან რატომ უნდა შეიწუხოს თავი ამისათვის?!.

აგერ მიატანენ ერთ სოფელს და... ჟიგანები შარის მოსადებად უტრიალებენ, ცდილობენ ქალალდის თამაშში ჩაითრიონ და ესენი, რამდენიმე პოლიტიკური ტუსაღი, უარს რომ ეუბნებიან: არა გვკადრულობთო? — შემოულრენენ.

ესენი — ოთხნი.

ისინი — ოცნი.

ესენი — კუთხეში მიჭუჭკულნი.

ისინი — გალაღებულ-გათავხედებულნი.

ჯერ ერთ საცოდავ ბურიატზე გამოსცდიდნენ თავიანთ ძალას — ამათ დასაშინებლად, ცხადია, ჯერ სიტყვიერად დაამცირებდნენ, მერე ცემას დაუწყებდნენ და ბავშვივით აატირებდნენ.ესენი აღშფოთდებოდნენ და ზოსიმე ხუბუა, ამათში ყველაზე ღონიერი, გაალმასებული მიუბრუნდებოდა თედოს, ვის გავლენასა და ავტორიტეტსაც ურყევად აღიარებდა:

— ოღონდაც შენ ნება მომეცი ამ მხეცებს დავერიო, და ულვაში შემირცხვეს, თუ სოროები არ მოვაძებნინო ამ წუწკებს.

თავზეხელაღებულობა და ასეთი?!

მითუმეტეს, ამათი იმედი არ უნდა ჰქონოდა, ის სამნი საერთოდაც გაერიდებოდნენ ორთაბრძოლას, თედო კი ამას თუ დაჰპირდებოდა: გამშველებლად თუ ჩავდგები თქვენს შუა, როდესაც ვიგრძნობ, რომ გაგიჭირდა, და ვეცდები შენი თავი არ დავაჩაგვრინოო.

— შენი ჭირი შემეყაროს, — გახალისდებოდა ზოსიმე, — ახლა მე ვიცოდე და ამათ.

და რომ დასჭყივლებდა ჟიგანთა მეთაურს, ის კი თამამად წამოეყინჩებოდა, მაგრამ სხვები, გაფიცხებული და მგრგვინავი ზოსიმეს შემყურენი, აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტებოდნენ, იმ ერთ კაცს კი ზოსიმე ისეთ დღეს დააყრიდა, თედო სიამით გაიფიქრებდა: ქართულ ზღაპრებში როგორც არის, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცაო.

მაგრამ აქ რომ არ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი?! ზნედაცემულ ადამიანთაგან რას აღარ უნდა მოელოდე და აჰა კიდეც

— ახლა სოფელ ბაიანდაიში რომ ჩაიყვანდნენ და ამ ხუთეულს ორნიც გამოაკლდებოდნენ, ამ სამს მეტად მძიმე განსაცდელი მოელოდა იმის გამო, რომ ჟიგანები სასწრაფოდ მოინახულებდნენ იქაურ ტუსაღებს და ამცნობდნენ: საკმაოდ ფულიანი პოლიტიკურები მოგადგებიან, ღირსნი გაძარცვისაც და დახოცვისაც ჩვენი შეურაცხყოფისთვის და, აბა, თქვენ იცოდეთ და იმათაო!..

ესენი სასიკვდილოდ განწირულებივით გადააბიჯებდნენ ციხის ზღურბლს. ბარემ უკან რჩებოდათ ფეხები, მაგრამ რა უნდა ელონათ?! გრძელი საკნის ტახტზე დააწყობდნენ ბარგს და მიაჩერდებოდნენ, თუ როგორ სცემდა შუაში ბოლთას ერთი კარგი ბუღას მსგავსი ყირგიზი, ამათ მრისხანედ და თვალმოუშორებლად რომ დაუწყებდა თვალიერებას.

ეგრევე შეატყობდნენ, ეს უნდა იყოს ციხის მდგმურთა წინამძღოლიო, აქაურობის ავისა და კარგის გამკითხავიო.

ამათი ბედიც მის ხელთაა.

განკითხვის ჟამის მოახლოებას გრძნობენ.

თუ მოინდომებს, ჯერ მარტო მას არ ეყოფიან ლუკმად ეს სამნი, თვით ზოსიმეც. ჟიგანები მხიარულად მიმოდიან, ჩაის იმზადებენ და ელიან ნეტარ წუთს, როდესაც მათ ჯავრს ეს ყირგიზი ამოიყრის.

უეცრად ზოსიმე წამოდგებოდა, ყირგიზს მიესალმებოდა, გვერდით ამოუდგებოდა და თათრულად გამოელაპარაკებოდა.

ფოთში მენავეობის დროს ტრაპიზონში ხშირად რომ უწევდა მიმოსვლა, ოსმალურს იქ ისწავლიდა. და ახლა ეს ოსმალური უნდა გამოსდგომოდა მასაც და ამ ორსაც, უკვე საიქიოში რომ დაეგულებინა თავი.

ყირგიზი მისთვის გასაგებ ენაზე მოლაპარაკე კაცს რომ იხილავადა, ერთბაშად გადაეყრებოდა სახიდან ღრუბელი და იკითხავდა: ქართველები ხომ არა ხართო?..

ზოსიმე დაუდასტურებდა.

ის მაქსიმე შეროზიას ახსენებდა:

— ჩემთან საკატორღო ციხეში იჯდა, მერე ერთად „ვმუშაობდით", ჩემი დიდი მეგობარი იყო, სულს მერჩივნა...

— როგორ არ ვიცნობდი, ჩემი მეზობელი იყო, — თავს გამოიდებდა ზოსიმე, — მაგრამ კარგა ხანია, გააციმბირეს და აღარ მინახავს. კარგი კაცი იყო... ნეტა კი სადმე შევხვდებოდე...

ყირგიზი ლამის დადნებოდა და ზოსიმეს გამოჰკითხავდა ჟიგანებთან ჩხუბის მიზეზს და... შვებით ამოისუნთქებდა: ამ შეჩვენებულებმა ისე დამიხატეს თქვენი ვინაობა, დილით ცოცხალი აღარცერთი აღარ იქნებოდითო.

— რაკიღა ჩემი მაქსიმეს ქვეყნის ხალხი ყოფილხართ, ღმერთი როგორ გამიწყრება და ხელს როგორ გახლებთ!.. ნუღარაფრის გეშინიათ, ციხეებში ყველგან შევუთვლი, ხელი არავინ გახლოთ... იმათ კი... იმათ დედას ვუტირებ...

ამათ ცათაფრენა შეუდგებოდათ მხსნელისა და მფარველის მოულოდნელი მოვლინებით და მოჰყვებოდნენ დალოცვას მაქსიმე შეროზიასი, ვისაც ასეთი კარგი ხსოვნა დაეტოვებინა ამ ღვთისა და კაცისაგან მოძულებულ მხარეში და მისგან გადებულ-დატოვებული ხიდი ამათ უხიფათო სავლელად გამოადგებოდათ.

სად გამოადგათ თავიანთი ქართველობა!..

და თურმე როგორღა უნდა მოეფიქრებინათ, რომ ეს ქართველობა კიდევ იხსნიდათ სიკვდილისაგან და ისიც ამ მოკლე ხანში...

— რა კარგია, არა, უცხო ენა რომ იცი? — ძილის წინ გადაულაპარაკებდა ზოსიმეს თედო.

— ჰო, — ის უკვე ზმანებაში გახვეულიყო.

ჯერ თედოს ფრანგული გაუკვალავდა გზას, ახლა მაქსიმეს თურქული კვლავ მიაქანებდა მარხილებით და საღამოს მიატანდნენ მანზურკას, სადაც ხის საეტაპო შენობა დახვდებოდათ.

მეორე დღეს კაჩუგაში ჩააღწევდნენ, ნახევრად სოფელში, ნახევრად ქალაქში.

იქ დასახლებული პოლიტიკურები გამოეგებებოდნენ, მამასახლისს ნებართვას სთხოვდნენ, ღამის გასათევად ჩვენ წავიყვანთ და თავდებშიც ჩვენ დავუდგებით, რომ არსად გაიქცევიანო. ამათ მომავალ ცხოვრებაზე ცნობებს მიაწვდიდნენ, გულსაც რომ გაუთბობდნენ მასპინძლობით, და გააფრთხილებდ-

ნენ: ვერხოლენსკის სამაზრო ციხეში არაფრისდიდებით არ შეჰყვეთ ამ ჟიგანებს, თორემ საშიშია, რამე დაგმართონო.

კაჩუგიდან დაღონებულნი დაადგებოდნენ გზას. სასწაული თუ იხსნიდათ.

მაგრამ სასწაულთა ხანა რომ გარდასულა?

ერთი, ერთადერთი სასწაული მაინც როგორ აღარ გაიელვებს და... ამათ მეტი არც უნდათ.

ნატრობენ, ნეტა ეს გზა დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, ისე დიდხანს, რომ აღარც დასრულდეს, რათა ვერხოლენსკის ციხის კარს არ მიადგესო.

არაფრისდიდებით არ შეჰყვეთო...

ამათ ნებაზეა თუ რა — ბადრაგი, აბა, სად გაამწესებთ... თუმც თუ სოფლის მამასახლისი გამოიდებს თავს, შეუძლია კერძო ბინაზე გაჩერების ნება დართონ... მაგრამ თავი რატომ უნდა გამოიდოს?!.

ესენი თავისას მაინც ეცდებოდნენ — ესაო და, არაპოლიტიკური პატიმრები გადაგვეკიდნენო, ესაო და, გაძარცვა და დახოცვა დაგვიპირესო, ესაო და, კვლავ გვემუქრებიან, ახლა მაინც გაგისწორებთ ანგარიშს, ამ ციხიდან უკვე ველარ გამოგვასწრებთ ცოცხლებიო...

მამასახლისი ცუდი პიროვნება არ აღმოჩნდებოდა, შეწუხდებოდა ამათი ბედით, მაგრამ ვითარებასაც აუხსნიდა:

— მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, დიდი სიამოვნებით აგისრულებდით თხოვნას, მაგრამ მე აქ უფროსი მყავს — ბოქაული. იმას უნდა შევატყობინოთ და, ვიმედოვნებ, თანახმა გაგიხდებათ...

ბოქაულთან გზირს გაგზავნიდა და თან თავის შუამდგომლობასაც დაურთავდა.

იმის მობრუნებამდე თედოს განზე გაიყვანდა და სადაურობას ჰკითხავდა.

— ორნი ქართველები ვართ, მესამე კი უკრაინელია, — მიუგებდა.

„ქართველის“ გაგონებაზე თვალებში სიამე გაუკრთებოდა და გუბერნიის დაზუსტებას მოინდომებდა.

— ქუთაისის გუბერნიიდან.

რაო, ქუთაისიო? მამასახლისს აშკარა სიხარული დაეტყობოდა სახეზე.

— ზდანოვიჩს ხომ არ იცნობთ? იქაურია...

ახლა თედო აღტაცდებოდა სიხარულისაგან:

— გიორგი ფელიქსის ძეს? ვიცნობ და მეტი არა?! იმას ვინ არ იცნობს ჩვენში!.. პირადად ჩემთვის დიდად პატივცემული და საყვარელი კაცია.

გადაეხვეოდა მამასახლისი და ხელზე მაგრად მოუჭერდა, იჯერებდა და ვეღარც იჯერებდა, ნუთუ გიორგი ზდანოვიჩის თანამემამულენი ხართო.

— ჰო, თქვენმა მზემ, — უდასტურებდა თედო.

მამასახლისს ხმაც აუკანკალდებოდა და თვალებზე ცრემლიც მოადგებოდა:

— თქვენი ჭირიმე, მითხარით, ცოცხალია, როგორ არის, რასა იქს, როგორ მოეწყო, — შეკითხვები არა და არ უთავდებოდა.

ეს ამცნობდა, რომ კარგად იყო, ერთ დიდ სავაჭრო საზოგადოებას, ჭიათურის შავი ქვისა, ჩასდგომოდა სათავეში და ქართულ ლიტერატურაშიც მხურვალედ მონაწილეობდა, საუკეთესო და დიდმოაზროვნე მწერლად აღიარებულიყო. საზოგადო საქმეებში ყველგან თავისი წვლილი შეჰქონდა და 1905 წლის რევოლუციის დროსაც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ფედერალისტებს, ხელმძღვანელობდა. ძველი რევოლუციონერობა, ძველი რვოლუციური ტრადიციები წმინდად და შეურყევლად შემორჩენოდა.

— ყველას უყვარს, ყველასი სათაყვანოა, მტერიც კი უარს ვერა ჰყოფს მის კეთილშობილებას, ზნეობრივ სისპეტაკეს, პრინციპების სიწმინდეს...

ეშხში შევიდოდა — ისეთი პიროვნების დახასიათება მოუწევდა, დიდად რომ აფასებდა და გუნებაში ებაძებოდა კიდეც, და რალა გააჩუმებდა, თუ არა მამასახლისის ჩარევა: ჩემი ძვირფასი, ჩემთვის ტკბილად მოსაგონარიო, — ლამის სლუკუნით რომ ამოთქვამდა, გარდასული სურათები ერთბაშად რომ წამოეშლებოდა.

საიდან იცნობდა?

კარის საკატორლო ციხეში სასჯელის მოხდის შემდეგ ზდანოვიჩს ირკუტსკის გუბერნიაში რომ გადმოასახლებდნენ, ვერხოლენსკში, მასთან ერთად იქნებოდნენ ანთიმოზ გამყრელიძე და მიხეილ ჩიკოიძე. თვითონ გიორგი ამათ სახლში იცხოვრებდა, მამასახლისი მაშინ 15 წლის ბიჭი რომ იქნებოდა. ის ასწავლიდა წერა-კითხვას, ის ჩაუნერგავდა კეთილშობილურ, ადამიანურ აზრებს,ის აუხელდა თვალს, ის დააყენებდა სულ ახალ გზაზე.

— ერთის სიტყვით, კაცად გამომიყვანა.

მოუვლიდა, უპატრონებდა, ძმასავით შეიყვარებდა. და თუ მამასახლისს რაიმე ეცხო ადამიანობისა, სულ იმ დაუვიწყარი გიორგი ფელიქსის ძის წყალობით.

— სახლში მისი სურათი სალოცავ ხატად გვაქვს ყველას. რა ტკბილად, რა უზომო სიყვარულით მოვიგონებთ ხოლმე... ჩემი გიორგი, მისი ჭირიმე!..

ხარობდა, რომ მასზე გაწეული შრომა ტყუილად არ დაკარგულიყო, ამაგი დაფასებოდა და აგერ უკვე მამასახლისად მყოფი უპირველესად ადამიანად გრძნობდა თავს და ეს ეამაყებოდა, თანამდებობა კი არა.

გიორგი ზდანოვიჩს კი ყველა რომ აღმერთებდა, იმიტომაც იყო, სასჯელმოხდილს მთელი ვერხოლენსკი რომ მისტიროდა.

მამასახლისი 1905 წლის რევოლუციაში რომ მიიღებდა მონაწილეობას და დაიჭერდნენ კიდეც, ის ფიქრი და განცდა ამხნევებდა, ჰოი, რარიგ გაეხარდება გიორგი ფელიქსის ძეს, ეს რომ გაიგოსო... მისი მოლანდება აძლებინებდა ციხეში, სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ კი აგერ მამასახლისობისთვისაც მიელწია.

— ღმერთო ჩემო, გიორგი ფელიქსის ძის ქვეყნის ხალხსა ვხედავდე, ჩემი დახმარება სჭიროდესთ და მე არ დავეხმარო?!მაშინ ხომ თვალებზე მიწა უნდა დამეყაროს!.. ნურაფრისა გეშინიათ, თქვენი ჭირიმე, ყველაფერს გამოგიწყობთ; ჩემთან არაფერს გაგიჭირებთ...

ერთი, ერთადერთი სასწაულიო და... აჰა, ის სასწაულიც!..

გიორგი ზდანოვიჩის მიერ დათესილი თესლი ცეთილი ამ მივარდნილ მხარეში სამ ადამიანს იხსნიდა სიკვდილისაგან.

ეს რა კარგი ანდაზაა, მართლაც ბრძნული: კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო, — ფიქრობს თედო.

ისე, მაინც რა არის წუთისოფელი — აქ კი „კაი კაცის პურმარილი" უშველიდათ, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ ავაზაკის სახელს უნდა დაეფარათ. აბა, იმ ყირგიზთან ერთად „მუშაობა" სხვას კი არას ნიშნავდა, თუ არა ავაზაკობასა და ყაჩაღობას. თუმც ამდენს აღარ ჩაუღრმავდებოდა თედო, ერთიმეორეს უცნაურად ებმოდა ორი სახელი — მაქსიმე შეროზია და გიორგი ზდანოვიჩი — მაგრამ ასეთი და სხვა ათასგვარი უცნაურობა აქამდეც ენახა და არც ამიერიდან მოაკლდებოდა.

ბოქაული ნებას დართავდა კერძო ოჯახში დაბინავებისა.

მამასახლისი ყველაზე სანდო კაცს შეურჩევდათ მასპინძლად — პან ჟოსიას, რომლის ქოხის ერთ კუთხეშიც ხატი დასვენებულიყო და ქვეშ პოლონური ლოცვანი და ჯვარცმის ქანდაკება მოთავსებულიყო.

რაო, ქართველი სტუმრები მყავსო? და პან ჟოსია გაიხსენებდა მიხეილ ჩიკოიძეს: ამ 25 წლის წინათ ჩემთან იდგაო.

ცოცხალი აღარ იყო?

მასპინძელს ძალიან ეწყინებოდა და მოჰყვებოდა მის ქებას: ნასწავლიო, კეთილშობილიო, ადამიანის გულშემატკივარიო, ისეთი კაცი მეტი არც დაიბადებაო.

— თუმცა რაც ქართველები აქ იყვნენ გადმოსახლებულნი საცხოვრებლად, ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ, ალბათ მათ სამშობლოშიაც ხალხი საერთოდ კარგია, რომ ასეთი შვილები აქეთკენ გამოუგზავნია... მოხარული ვარ, მეტად მოხარული, რომ ბედმა კიდევ შემახვედრა ჩიკოიძის ქვეყნის ხალხს, რომ მომგონებოდა წარსული ტკბილი, სანეტარო დრო, იმასთან ერთად რომ მიტარებია...

ხოლო როდესაც აქეთ შემოსჩივლებდა: თუ სიცოცხლეში არ მეწერა სამშობლოში ცხოვრება, მინდოდა ჩემი სიკვდილის შემდეგ მაინც დაჰყროდა ჩემს ძვლებს პოლონური მიწა, მაგრამ რაც არის, არის, დაუმარხავს აქაც არ გამიშვებენ, მიწა იქაური იქნება თუ აქაური, მგონი, სულერთი უნდა იყოს, თუმც, სულო ცოდვილო, იქაური კი მერჩივნაო, — თედოს გული მოუკვდე-

ბოდა ბერიკაცის უზომო სულიერი ტრაგიზმის შემყურეს და სანუგეშებლად და ტკივილის დასაამებლად იმასღა ეტყოდა: თქვენმა სამშობლომ, მართალია, აქამდე თავი ვერ გაითავისუფლა რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭებისაგან, მაგრამ ცდილობს და კოპერნიკისა და სენკევიჩის სამშობლოს იმედი აქვს, ეწიოს ამდენი ხნის გულისწადილს. სწავლა-მეცნიერებით სხვა ხალხთა შორის უკანასკნელი ალაგი არ უჭირავთ პოლონელთ, მისი შვილები, მეცნიერების უღელში შებმულნი, დიდების გვირგვინით უმკობენ თავს საკუთარ ქვეყანასო.

ამის თქმაზე პან ჟოსიას ცრემლები წამოსცვივდებოდა და მალე ქვითინადაც გადაიქცეოდა.

ადვილი საყურებელი სცენა ნამდვილად არ იქნებოდა.

ამათ გული ჩასწყდებოდათ, რომ რუსულ დესპოტიას კიდევ ერთი პიროვნებისათვის წაერთმია ნიჭი აზროვნებისა და ველურ ბუნებასთან ჭიდილისას თვითვე გაეველურებინა, ადამიანის ნასახიღა რომ შერჩენოდა.

— მისი გულიდან უხეშად ამოეგლიჯათ მისი სატრფიალო, ნალოლიავები საგანი, მისი ოცნება, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყურვილი; მოეშორებინათ დედ-მამისა, და-ძმებისა, მთელ თავის ქვეყნისათვის განა ერთისა და ორის წლით, საუკუნოდ... ენა ადვილად იტყვის... თქვენ მისი შესრულება ბრძანეთ!..

ვაითუ... ვაითუ თედოსაც იგივე ბედი მოელოდა?! რატომაც არა, თუკი შეეგუებოდა მის მსახვრელობას და მიენდობოდა ცხოვრების დინებას... ყოველ შემთხვევაში, მთელი არსებით შეიგრძნობდა ამ სულიერ ტრაგედიას და შეზარავდა მოსალოდნელი საფრთხე, ყველა გაციმბირებულს რომ ჩასაჰფრებოდა, თუ თვითონე არ გამოჭედდა საკუთარ ბედს და რაც შეიძლება სასწრაფოდ, თორემ ვაითუ ისე ჩაეთრია იქაურ ყოფას, უეცრად გამოფხიზლებულს აღმოეჩინა, რომ ცხოვრება ხელში შემოსდნობოდა.

გამოთხოვებისას მამასახლისი დაჰპირდებოდათ: აქედან სანდო გლეხს გაგაყოლებთ და სამშვიდობოზე უვნებლად გაგიყვანთ, ჟიგანებს კი ოთხ-ხუთ დღეს ციხიდან არ გამოვუშვებ და თქვენ უკვე დაბინავებულნი იქნებით სოფელში. ისე, როდე-

საც გიორგი ფელიქსის ძეს შეხვდებით,დიდი მოკითხვა, სიყვარული და ნახვის ნატვრა გადაეცით მის ნამოწაფარ მიხაილ შემეტოვისაგანო...

ზოსიმე ხუბუა სოფელ ზნამენკაში უნდა გაჩერებულიყო.

თედო და ნოვოსადსკი კი ტუტურის ვოლოსტში უნდა დაბინავებულიყვნენ.

კანცელარიაში მათ დოკუმენტებს რომ ჩაიბარებდნენ და თანდართულ ფოტოსურათებს შეუდარებდნენ მათ სახეებს, ეტყოდნენ: თავისუფლები ხართ, ამ მხარეში რომელი სოფელიც მოგეწონებათ, იქ დაბინავდითო.

ესენი ერთხანს გაოცებულნი მიაჩერდებოდნენ სოფლის მწერალს.

„ასეთი ამბით, ამდენი ნაირ-ნაირი მცველის თანხლებითა და ასეთი სიფრთხილით წამოყვანილებს ნუთუ ასე იოლად შეგველიენ?!"

— საულუფეს ხომ არაფერს მოგვცემთ? — იკითხავდა თედო, მაგრამ სოფლის მწერალი მკვახედ აგრძნობინებდა, რომ საკუთარი თავისათვის თვითონვე უნდა ეპატრონა. რითი და როგორ? როგორც ენება, თუნდ უცხო მხარეში მოხვედრილს ძეხორციელი ნაცნობიც არა ჰყოლოდა.

გავიდოდა ორი-სამი დღე და თედოს ახალი საფიქრალი გაუჩნდებოდა: მერე რაღა ვიღონო, როგორ გავატარო დრო ჩემი აქ ყოფნისა, რა საქმე გავიჩინო, რომ ეს „თავისუფლება" „თავისუფალ ციხედ" არ გადამექცეს, ციხეში ყოფნაზე მეტადაც რომ შეიძლება მემწაროსო.

გაგონებით გაეგონა, ციმბირში კარგ მონადირეს შეუძლია თავიც ირჩინოს და ფულიც მოიგოსო, და მოინდომებდა ამ ხელობას მოჰკიდებოდა, მაგრამ ფიასკოს რომ განიცდიდა, ერთბაშად შემოეფანტებოდა ილუზიები: სად მე და სად მეთოფეობაო!.. ხოლო რაკიღა იმ სოფელში სხვა ხელობას ვერ გაიჩენდა, გადაწყვეტდა გასცლოდა იქაურობას და შვიდ კილომეტრში მდებარე სოფელ ჟიგალოვოში გადასულიყო, სადაც ქართველი პოლიტიკური პატიმრებიც იმყოფებოდნენ, ფოსტა-ტელეგრაფიც მოიპოვებოდა, დუქანიც და ცივილიზაციის სხვა ნიშნებიც.

ემანდ ბარგმა კი არ დამამძიმოსო, — იცინებდა გუნებაში.

ჟიგალოვოში ორი ქართველი რომ დახვდებოდა, ორივე პოლიტიკური ტუსაღი: ვასო თურმანიძე და ვასო გეგეშიძე, ვინც აქ ცოლიანად დასახლებულიყო და ცალკე იდგა, თურმანიძე კი ერთ გლეხთან ათევდა ღამეს შაურად. თედო და ის ერთად დაბინავდებოდნენ სხვა გლეხთან, რადგანაც იქ კარგად იგრძნობდნენ თავს —გლეხს გამოცდილება ჰქონდა პოლიტიკურ პატიმრებთან ურთიერთობისა.

ჟიგალოვო გახდებოდა თედოსათვის ის საყრდენი, რომლის ყოფა-ცხოვრების გულდასმით შესწავლა და განზოგადებაც ძალიან გამოადგებოდა ციმბირის თავისებურებათა გასააზრებლად, მანამდე მოკრებილი ცნობები და შთაბეჭდილებანი ჟიგალოვოს გარშემო რომ დატრიალდებოდა და გზასავალს იპოვნიდა თედოს გონებასა და მეხსიერებაში, რათა მოგვიანებით გამოკვეთილიყო იმ ძარღვად,რომელიც მის ციმბირულ მოგონებებს გამორჩეულს გახდიდა სხვათა ამ ყაიდის მემუარების ფონზე.

სხვაა, შვეიცარიის სოფელში რომ მოიხმობ შენს ეთნოგრაფიულ უნარს, და სხვა — ციმბირის სოფელში, ერთგან თავისუფლებაში მყოფი, და მეორეგან — ისეთ თავისუფლებაში გამომწყვდეული, ლამის ციხეც რომ გირჩევნია, იქ ლუკმა-პური მაინც არა გაქვს საძებნელი, აქ კი შესაძლოა შიმშილითაც ამოგხდეს სული... მაგრამ პროფესიონალიზმიც ისაა, არად ჩააგდო გარემო პირობები და ძალ-ღონე არ დაიშურო ამა თუ იმ მხარის ყოფის სიღრმეში ჩასაძირადაც და იმ სულის მისაგნებადაც, ადგილის დედა რომ დარქმევია...

არსებობისათვის ბრძოლას ყველა გადასახლებული ისე გაეტაცა, სხვა დანარჩენი ფიქრი და ურვა დავიწყოდათ. უმეტესობა პოლონელი ებრაელები, ხელოსანი გახლდათ და წაღების კერვა იცოდნენ. დღედაღამეს რომ ასწორებდნენ, შრომაც უფასდებოდათ. მაგრამ ნუღა მოსთხოვდი, რომ საკუთარ ნაჭუჭში არა ყოფილიყვნენ გამომწყვდეულნი.

ერთი ქართველი სოციალ-დემოკრატიც რომ იმყოფებოდა ამ „თავისუფლებაში"?

უკვირდა თედოს, თავისი ფანატიზმი და სექტანტობა საქართველოდან აქაც როგორ წამოჰყოლიაო. ამიტომაც იყო, ეს ორ-

ნი კი შეეცდებოდნენ მასთან საერთო ენის გამონახვას, მაგრამ ის, როგორც ფედერალისტებს, არ მოეკარებოდათ.

პარტიული ზეგავლენა არ მოეხდინათ მასზე და ფედერალისტად არ ექციათ თუ რა?!

თედო, რაკიღა ხელობა არაფერი იცოდა, სრულიად უმწეო გამოდგებოდა აქაური ცხოვრების პირობებთან ბრძოლაში. ვასო თურმანიძე, მართალია, ლოკომოტივის მემანქანე იყო, მაგრამ აქ რკინიგზას 400 კილომეტრი აშორებდათ. ჟიგალოვოს ცოტა მოშორებით გემთსაშენი და შესაკეთებელი ვერფი რომ იყო, იქ სათედოო სამუშაო არაფერი აღმოჩნდებოდა, ვასო კი იძულებული იქნებოდა ეკისრა გემის რკინის ნაწილების შელებვა, რაც თავის სიცოცხლეში არ გაეკეთებინა... მაგრამ ორ დღეში ესეც აღარ ექნებოდა.

— ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი ასეთ უმწეო, უსასოო მდგომარეობაში. პრაქტიკული ცხოვრებისათვის სრულებით მოუმზადებელი გამოვჩნდი. პარიკმახერობა რა არის, ის მაინც მცოდნოდა, უყვედრებელ ლუკმა-პურის შოვნას შევიძლებდი, ერთად-ერთი — მასწავლებლობა შემეძლო და პედაგოგობის კარებსაც მიხშობდა ჩემი წოდება გაციმბირებულისა.

მაშინღა დარწმუნდებოდა, რომ, რაც უნდა სწავლა მიეცათ ყმაწვილისათვის, ცხოვრებაში გამოსადეგი რაიმე ხელობაც უეჭველად უნდა სცოდნოდა, თორემ არსებობისათვის ბრძოლაში ყოველთვის დაჩაგრულად იგრძნობდა თავს.

გადასახლებაში ხელობის ეს უცოდინრობა უბრალოდ მკვეთრად ჩანდა, და დაჩაგრულობის შეგრძნებაც — უფრო დამთრგუნველი.

ამ უდაბნოში ქვეყნიერებასთან აკავშირებდათ გაზეთები, რომელიც მეოცე დღეზე მოჰქონდა ტფილისიდან გამოგზავნილ ფოსტას.

ადვილი მისახვედრია, ფოსტის მისვლის დღე უბედნიერესი რომ იქნებოდა თედოსა და ვასოსათვის. მომავალ ფოსტასთან მისაგებებლად სოფლიდან ათსა და მეტ კილომეტრსაც გადიოდნენ ფეხით, უკან დაბრუნებისას კი ფოსტა უკვე გარჩეული ხვდებოდათ.

არა, აქ ვერ ჩარჩებოდა, დამბლადაცემულ ყოფას ვეღარ შეეგუებოდა.

და მაშინაა, მტკიცედ რომ გადაწყვეტდნენ ციმბირიდან გამოქცევას.

მაშინაა, მეგობრებსა და პატივისმცემელთ რომ გაუზიარებდნენ ამ განზრახვას.

მაშინაა, თედო ჟორდანიასა და იაკობ გოგებაშვილისაგან დაუყოვნებლივ რომ მიიღებდნენ ხუთ-ხუთ თუმანს ტელეგრაფით.

ლენაზე ყინული დაიწყებდა დნობას და გრანდიოზული სურათები მიიპყრობდა თედოს ყურადღებას, ყინულის ლოდები ისე რომ წამოკოკოლავდებოდა, ჯებირად აღიმართებოდა, ჯებირი მაღალ მთას ემსგავსებოდა, მდინარეს აგუბებდა და იქაურობას წარღვნას უქადდა... ნერვებდაძაგრული თუ მიაჩერდებოდი ამ სურათს წარღვნის მოლოდინში, მერე გაისმოდა ზარბაზნის ქუხილის მსგავსი ხმა — ეს ნიშნავდა, რომ ყინულის ჯებირი გამსკდარიყო და წყალსაც ეპოვნა სადინარი.

რაღა ბიბლიური სურათის მოლანდება და რაღა თვალწინ გადაელვებული წარღვნა... თუ სოფელს ვერ შთანთქავდა, სახნავ-სათეს ადგილებს კი ხშირად მიიტაცებდა ხოლმე და დიდ ზარალსაც აყენებდა მოსახლეობას.

უზარმაზარი ყინულისაგან მდინარის გათავისუფლების მოლოდინს თედო სხვა ვერაფერს შეადარებდა, თუ არა ისრაელთა განცდას აღთქმულ ქვეყანასთან შეხვედრისა.

ჩაივლიდა ეს შიშისმომგვრელი ათი დღე და კიდეც ესტუმრებოდნენ ზნამენკიდან ზოსიმე ხუბუა და ერთიც — ჩოხატაურელი შავგულიძე და გამოუცხადებდნენ: სამშობლოში უნდა დავბრუნდეთო. საგზაო ფული? ოოო, საგზაო ფული კი არცერთს არ გააჩნდა. თედოს სთხოვდა ზოსიმე, ეგებ იმდენი ფული მიშოვნო, ირკუტსკამდე ჩავაღწიო, იქ კი ნაცნობების იმედი მაქვს, გზის გაგრძელების საშუალებას მომცემენო.

გააყიდინებდნენ ბალიშს, მთელ მის ლოგინს, გააყიდინებდნენ ტყაპუჭს და ორი მანეთი მოუგროვდებოდა, ხუთ მანეთსაც თედო დაუმატებდა, თან სქემატურ რუკასაც დაუხატავდა, თუ როგორ უნდა ევლო, არც დარიგებას მოაკლებდა, გზაში ვის და რას უნდა მორიდებოდა.

300 კილომეტრი ურმით უნდა გაევლო. თოვლი უკვე აღებული იყო და მარხილით სიარული არ შეიძლებოდა. ასე მიაღწევდა რკინიგზის სადგურ ტირეტს, საიდანაც უკან უნდა შემობრუნებულიყო ირკუტსკში ჩასასვლელად.

ფული ჩამოუვიდოდათ და ფოსტიდან დაუბრკოლებლივ ჩაიბარებდნენ.

აპრილი იწურება.

თედო და ვასო ემზადებიან და... ხშირ-ხშირად გასცქერიან სამხრეთ-დასავლეთს, საითაც სამშობლო ეგულებათ. ჰა, საცაა უნდა დაადგნენ გზას, რომელსაც სულ ცოტა 10 000 კილომეტრი სიგრძე აქვს და ორ კვირაზე მეტი დრო მოუნდება... და თედო გრძნობს, როგორ უტოკავს გული და ლამობს საგულედან ამოვარდნას...

ცდილობენ, გაითვალისწინონ ყოველი მოსალოდნელი ხიფათი თუ მარცხი.

ცდილობენ, არ ჩაიდინონ ისეთი რამ, ხელი მოეცაროთ და ბოლო ჟამს სანანურად გაუხდეთ.

და რაღაც ეშმაკად...

სოფელში საიდანღაც ერთი მოხეტიალე ფოტოგრაფი გამოჩნდებოდა და თვალსაჩინო ადგილას რომ გამოჰკიდებდა ჩარჩოს და ზედ თავის გადაღებულ სურათებს ჩაამწკრივებდა, იქაურ ჩალდონებს ფოტოს გადაღების საღერღელს აუშლიდა. ვასო თურმანიძეც აჰყვებოდა სხვათა ფეხის ხმას და თედოს ფულს სთხოვდა, ერთ მანეთს, ფოტოგრაფის გასამრჯელოდ.

სურათის გადაღება და თავიანთი არსებობის კვალის დატოვება აქ, ისიც მაშინ, როდესაც ციმბირს სამუდამოდ უნდა განშორებოდნენ, თედოს უზომო გაუფრთხილებლობად მოეჩვენებოდა და ფულის მიცემაზე მტკიცე უარს ეტყოდა. ვასოს მაინც იმედი ჰქონდა თედოს გულკეთილობისა და მოლბობისა და სურათს მაინც გადააღებინებდა.

მისი ეს სიკერპე კინაღამ საბედისწეროდ გადაექცეოდათ!..

გამოქცევისას სახლის პატრონს დაუბარებდნენ, ორი-სამი დღით მეგობრების სანახავად და მათთან დროის გასატარებლად მივდივართ სოფელ ზნამენკაშიო.

ფოტოგრაფი კი,რაკიღა საქმე ბევრი არა ჰქონდა რა, ვასოს სურათს ხელად გაამზადებდა და მოძებნიდა ამათ ბინას და იმ ორ-სამ დღესაც დაელოდებოდა, აი, ახლა გამოჩნდება და ვალს გამისტუმრებს და, აი, ახლაო.

დათქმული ვადა რომ გავიდოდა, შეატყობდა, ჟიგალოვოში დაბრუნების სურვილი აღარ უნდა ჰქონდეთო, და ურიადნიკს განუცხადებდა, ასეა და ასეო. ურიადნიკი ზნამენკაში ბოქაულს შეატყობინებდა რაპორტით, ზნამენკის ბოქაული ვერხოლენსკის ბოქაულს აცნობებდა, ის კიდევ — ირკუტსკის ციხის სამმართველოს: ესა და ეს ადამიანები გაქცეულები უნდა იყვნენო. ციხის სამმართველო მთელ რუსეთს მოჰფენდა: ესა და ეს კაცები გამოიქცნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან და სადაც მოასწროთ, არ გაუშვათ, შეიპყარითო!..

ჯერ „მგზავრობა" კარგად არც დაეწყოთ და უკვე ასეთი განსაცდელი უნდა დასტყდომოდათ თავს.

მერედა რისთვის? რაღაც უბრალო ფოტოგრაფიული სურათისათვის.

სხვების გამოქცევის ამბავი, თუნდ აგერ ზოსიმე ხუბუასი, როდის-როდის გამომჟღავნდებოდა, ესენი კი ჯერ გამოქცეულებიც არ არიან და... უკვე მთელმა იმპერიამ იცის, თედო სახოკია და ვასილ თურმანიძე ციმბირის მიტოვებას აპირებენო.

— რა იყო, რამ აგაჩემებინა სურათის გადაღება? — უფრო გაოცებულიყო, ვიდრე გაგულისებულიყო თედო.

— დანიშნულისათვის მინდოდა გამომეგზავნა, — უხერხულად იშმუშნებოდა ვასო, — გამიგე, რა!..

თედო კი გაუგებდა, მაგრამ ხელისუფლებაც თუ გაუგებდა?!.

მაინც რამ იხსნა გარდუვალი დაჭერისაგან?

ისევ რუსულმა ბიუროკრატიულმა საქმის გაჭიანურებამ, ერთი კანცელარიიდან მეორე კანცელარიაში ამათ შესახებ ქაღალდების მოგზაურობამ.

ამ გაჭიანურების წყალობით იყო, რომ, ვიდრე მათზე რაიმე განკარგულებას გასცემდნენ, ესენი უკვე სამშვიდობოზე იქნებოდნენ. ასეა თუ ისე, გამოღწეულნი აღმოჩნდებოდნენ იმ რკა-

ლიდან, სადაც უშუალოდ მოელოდათ საფრთხე და შედარებით ადვილად ჩაუცვივდებოდნენ ხელთ ადმინისტრაციას.

ძაღლის ნაკბენივით კი დაამახსოვრდებოდა თედოს ის შიში და მღელვარება, საბედისწერო წრის გამოღწევამდე რომ დაეუფლებოდა, და გულში რომ დალოცავდა რუსულ ბიუროკრატიას,შემდგომშიც არასოდეს დასცდებოდა ერთი საყვედურიც, როდესაც ვინმე ამ ბიუროკრატიას ახსენებდა — მისი ის გაჭიანურებული სტილი რომ არა, თედო სახოკიასა და მის თანამგზავრს იქვე გასკვანჩავდნენ, გამოქცევისათვის გადადგმულ პირველ ნაბიჯებისთანავე და ამ ბარგიანად — ქაღალდში გახვეული თითო ხელი საცვალი, პირსახოცი და საპონი.

რაო, რას ამბობდნენ — ბარგის თვისებითა და რაოდენობით შეიძლება აზრი შევადგინოთ მის პატრონზეო?

მაშ ამ ბარგის მიხედვით მკითხველი ვერ დარჩებოდა მაინცდამაინც მაღალი აზრისა გამოქცეულებზე.

თუმც თედო ყურადღებას მიაქცევინებდა ცივილიზაციის უტყუარ მაჩვენებელზე — საპონზე, როგორც აუცილებელი კუთვნილების საგანზე. ბარემ სხვა ნივთებსაც სიამოვნებით წამოიღებდნენ, მათ ხელთ რომ ყოფილიყო, მაგრამ... ლიკვიდაციაქმნილ საგნებს, აბა, რანაირად ატარებ თან...

— მშვიდობით, — დაუბარებდნენ ჟიგალოვოს.

გულს გაიმაგრებდნენ.

და გაბედული ნაბიჯით დაადგებოდნენ გზას, რომელზეც ჯერ ორ გამოქცეულ ტუსაღს გადააწყდებოდნენ და მერე — კიდევ ორს, ღიმილით რომ აგრძნობინებდნენ ურთიერთს, რა განზრახვას აეყოლიებინათ.

„პირი შევკარით თუ რა, რომ ყველა მაინცდამაინც დღეს გამოვსულიყავით?!“

გული უცნაური განცდებით ევსებოდა, ერთიერთმანეთს რომ ეხლებოდა, და აეხსნა და ვეღარც აეხსნა ის ფსიქოლოგიური მიზეზი, გუნებაში რომ იფიცებოდა,მოვკვდები და აქეთ აღარასოდეს მოვხვდებიო, და თან... ენანებოდა იქაურობა და პირველად გააცნობიერებდა, რომ მართლაც სასწაული მოეხდინა ციმბირულ ჰაერს მის ჯანმრთელობაზეც — სურდო რა

არის, ისიც არ გამოეცადა ამ ორი თვის განმავლობაში, რაც „თავისუფალი ცხოვრება“ ერგებოდა... და არც მადას უჩიოდა.

და დითირამბს რომ აღუვლენდა გულში ციმბირულ სასწაულს, მოგვიანებით ეს განცდა იმ პირველქმნილივე სიცინცხალითა და ექსპრესიით გადაინაცვლებდა ფურცელზეც:

— ჩემს სიცოცხლეში ისე კარგათ, ისე მხნედ, ისე ხალისიანად არა ვყოფილვარ, როგორც იქ ვიყავ; იმდენის ენერგიის მოზღვავება, იმდენი გადახალისება, რაც იქ განვიცადე, არასდროს მიგრძვნია. პირდაპირ სასწაულმოქმედი თვისება ჰქონდა იქაურობას ადამიანის აგებულობაზე. ჩემის აზრით, ასეთის მაკურნებლის თვისებით არის შემკული არა მარტო ვერხოლენსკის მაზრა, არამედ მთელი ირკუტსკის გუბერნია...

შვეიცარიას ერთი დავოზი მოეპოვებოდა, სადაც ზამთრობით შესაძლებელია ჭლექიანთა მკურნალობა, რადგან იქ ქარი არ იცის. და ირკუტსკის გუბერნიაში მაინც რამდენი არსებობდა დავოზის მსგავსი ადგილი? რამდენი და... რაღა რამდენი, როდესაც მთელი ეს გუბერნია ერთიანი დავოზი იყო, ერთიანი სანატორიუმი ჭლექიანთათვის. მთავარია, პატრონი გამოსჩენოდა და ეფიქრა ავადმყოფებისათვის სანატორიუმის მსგავსი შენობის გამართვა, სულ ელემენტარულადაც რომ მოეწყო, ისიც დიდი სიკეთის მომტანი იქნებოდა.

თუმც განა მარტო სანატორიუმისა და მკურნალობის მხრივ იყო ეს მხარე გამოუყენებელი?

ვინ იცის, რა სიმდიდრეს წარმოადგენდა მისი ხელუხლებელი ტყე, რა სიმდიდრე დაცულიყო მის წიაღში, მცოდნე ხელს რომ მოელოდა და ენერგიულ გარჯას, ყოველმხრივ რომ შესწავლილიყო და იქაურობა უშრეტი ნაყოფიერების წყაროდ ქცეულიყო.

თედოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მაშინ სრულიად ჩამოსცილდებოდა მთელ მხარეს აწინდელი შეჩვენებისა და წყევლაკრულვის ხასიათი და შეიძენდა სახეს სააქაო სამოთხისა.

ჩემს სიცოცხლეში ისე კარგად, ისე მხნედ, ისე ხალისიანად არა ვყოფილვარო...

მადლიერებაც ხომ არ უნდა დაიშურო სამუდამო გამოთხოვების წინ.

„მოვკვდები და აქ აღარასოდეს დავბრუნდები!.."

ლტოლვილთა გზა გადიოდა ზედ ქალაქ ბალაგანსკზე, სადაც მცირე ხანში ირაკლი წერეთელი უნდა გამოეგზავნათ სასჯელის მოსახდელად, და იქიდან პირდაპირ დაუმიზნებდნენ რკინიგზის სადგურ ტირეტს.

განზე რჩებოდათ ვერხოლენსკი და ვეღარც მათ კეთილისმყოფელ მამასახლისს მოინახულებდნენ, თუმც იგი შეჰპირებოდათ, თუკი გამოქცევას გადაწყვეტთ, აუცილებლად გამომიარეთ, ჩემს მამასახლისობას სრულიად დავივიწყებ და ყოველნაირად შეგიწყობთ ხელსო.

მაგრამ რას იზამ, როდესაც საამისო დრო არა გაქვს.

პირველი მაისიც დამდგარა, ის დღე, როდესაც ციმბირელმა გლეხმა, ძველისძველი ჩვეულების თანახმად, გუთანი უეჭველად უნდა გაიტანოს მინდვრად, ფორმის გულისათვის, სულერთია — ჯერ კიდევ დევს თოვლი თუ არა. ეს ხომ მამა-პაპათაგან გადმოცემული ჩვეულებაა — ნიშანი გაზაფხულის შემოსვლისა, ქოხიდან გამოსვლისა და საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისა. ორიოდ, სამიოდ ბელტი გადმოაბრუნოს და, თუკი ამინდი ხელს არ შეუწყობს, გუთანი ისევ შინ შეიტანოს.

სხვა რომელი პოლიტიკური პატიმრის მემუარებში შეიძლება შეგვხვედროდა თუნდაც ამგვარი პასაჟი — გამოქცევის წუთებია, ასერიგად მღელვარე და სულისა და გულის შემპყრობი დაძაბულობისაგან, და ავტორმა მოვალედ მიიჩნიოს თავი... ადგილობრივი ჩვეულება გააცნოს მკითხველს!..

მაგრამ ეს ხომ თედო სახოკიაა, ვისთვისაც ასერიგად ძვირფასია ყოველი წესი და ტრადიცია, აუცილებლად დასამახსოვრებელი და შემოსანახი ფურცელზეც...

და გულს უწვავს ის ცეცხლი, დაუდევრობით რომ ტოვებენ ტყეში ანთებულს... და ერთბაშად შეიძლება გადაიბუგოს ვეება ტერიტორია, რადგანაც წვიმის გარდა ვეღარაფერი აჩერებს მის დაუოკებელ ჟინს. და თედომ როგორ არ დაიტიროს ის ნატისუსალი, იმ ტყისაგან დარჩენილი ბუნება, ათასი წლის განმავლობაში რომ ქმნიდა და... აწ კი რჩებოდა მარტოდენ გარუჯული ტანი გოლიათებისა — ისპობოდა სამუდამოდ და ასე უშ-

ნოდ, ასე ბარბაროსულად ამდენი ხნის ნაგროვები ეს სიმდიდრე ბუნებისა.

არც დამნაშავეს ეძებდნენ.

არც წინასწარი ზომებისათვის ზრუნავდნენ.

თედო მთელი არსებით მოისწრაფოდა სამშობლოსაკენ და თან გულიც ეწურებოდა ამ პირველყოფილ ტყეთა გაჩანაგების შემყურეს: რა ჯავრი სჭირებიათ მათი ამისთანა, რომ გაბოროტებულთ გამოუწვავთ და გამოუხრაკავთ ცეცხლში უსულღმერთოდო...

არსად სოფელი, არსად ადამიანი...

და როდესაც გგონია, აჰა და კიდეც ჩავიხრჩობი ტყის სიხშირეშიო, უეცრად უნდა გამოგეცხადოს მცირე რამ ბუსნო, სადაც ადამიანის ხელს მგზავრის თავშესაფარებლად და ცხენების დასაბინავებლად ხის შენობა გაუმართავს — რაღა ეს და რაღა ოაზისი უდაბნოში!..

აგერ უკვე ანგარაზე გადადიან, და მემუარისტი შემთხვევას როგორ გაუშვებს ხელიდან, რომ არ აღნიშნოს მისი სათავე, შესართავი, სიგრძე, სიგანე... ბაიკალის ტბაში შესული და იქიდან თავდაღწეული ჯერ ჩრდილოეთით რომ მიედინება მდინარე ლენის თანატოლად, მერე კი დასავლეთისაკენ უხვევს და შეერთვის დიდ მდინარე ენისეის... მისი სისწრაფე საწინდარია იმისა, რომ სხვა მდინარეებზე ადრე თავისუფლდება ყინვისაგან და ადრევე იწყება აქ მენავეობა.

მალაგანსკში მათი გამომყოლი გლეხი იქაურებს ამცნობდა: ესენი ვაჭრები არიან და ირკუტსკში მიემგზავრებიან თავიანთი კომერციის გასაფართოებლადო, — მაგრამ ამათი მოკრძალებული ჩაცმულობა მაინცდამაინც ვერ ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ვაჭართა ფენას ეკუთვნოდნენ, თანაც ცხადად ეტყობოდა ორივეს, ქართველები რომ იყვნენ, ქართველებს კი თავზეხელაღებულთა სახელი ჰქონდათ გავარდნილი და ამიტომაც ეჭვს იწვევდნენ ყველას თვალში. ახლა ამათაც როგორ ნდობოდნენ — ვაითუ გამყოლი ტყეში მოკლან მისი ცხენის დასაპატრონებლადო.

მალაგანსკელი გამომყოლი, როგორც იქნა, დაარწმუნებდა მის შემცველელს ამათ კაიკაცობაში და ასე გააგრძელებდნენ

გზას, სადაც ერთ ებრაელს გადაეყრებოდნენ, მართლაც სავაჭროდ წამოსულს, ძალიან რომ შეფიქრიანდებოდა ამათი შემხედვარე, ვაითუ რისი წვალებით ნაშოვნი ქონების ხელში ჩასაგდებად ყელიც გამომჭრანო... იმას თავისი შიში კლავდა და ამათ თავისი, ყოველ ნაბიჯზე გამცემი, ჯაშუში, მოღალატე რომ ელანდებოდათ. ასე ნერვებდაძაგრულნი გალევდნენ გზას ტირეტამდე და ასეთი მტრული განწყობილება დარჩებოდა მათ შორის ბოლო წამამდე, ვიდრე მანძილი სულ არ ამოთავდებოდა და არ დარწმუნდებოდნენ, რომ სრულიად ტყუილად და უსაფუძვლოდ ჰქონიათ თურმე ერთმანეთის შიში.

სადგურში დაელოდებოდნენ მატარებელს, და ცდილობდნენ, ხამებივით არ მოქცეულიყვნენ, რათა ყურადღება არ მიეპყროთ. ის კი არა, ვასო თურმანიძეს ხმა რომ ჩახრინწოდა, მოითათბირებდნენ და სიფრთხილისათვის გადაწყვეტდნენ ყელი შეეხვია ცხვირსახოცით და, თუ ვინმე ჰკითხავდა მიზეზს, ყელის ჭლექი მოემიზეზებინა, რათა მოსაუბრეს დაჰკარგოდა არათუ ბაასის, არამედ მასთან ახლოს დგომის ხალისიც.

ისე, ხმის ეს ჩახრინწვა რას გამოეწვია? გასამართლებამდე მემანქანედ რომ მუშაობდა ამიერკავკასიის სახალხო მატარებელზე, 1905 წლის საერთო გაფიცვებისას ისიც მხურვალედ მონაწილეობდა საპროტესტო მოძრაობაში, გაფიცვის გამოცხადება კი სვირის სადგურში მოუსწრებდა,სადაც გამოჩნდებოდა ერთი ასეული ყაზახ-რუსებისა გზაზე „წესიერების დასამყარებლად". ვასო ორთქლმავალს რომ თავს დაანებებდა, ისინი უბრძანებდნენ უკანვე აბრუნებას, და ეს უარზე რომ დადგებოდა, ერთ-ერთი ხმალს დაჰკრავდა კისერზე. ჭრილობისაგან მისი მოგვარე იხსნიდა თავიანთი განთქმული მალამოთი, მაგრამ ხმა კი დანჯღრეული შერჩებოდა და ჩახლეჩილი ხმით ამიტომაც ლაპარაკობდა. ამას ჩიოდა?!

— ყელი რად შეგიხვევია? — მიადგებოდა ურიადნიკი ვასოს.

— ყელის ჭლექი მაქვს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ახლა გავცივდი და უარესად შევიქენი, ლამის სულ წამერთვას ხმა, ირკუტსკში გეახლებით საექიმოდ, — და, ხველას რომ ასტეხდა, ის გველნაკბენივით მოშორდებოდა და ახლა შავგული-

ძეს მიადგებოდა, შემთხვევით რომ შემოერთებოდა ამ ორს, და ბოხოხს მათრახით გადაუგდებდა, ეს რა დაგიხურავსო.

ისიც მოახსენებდა, რომ ავად შექნილიყო და ირკუტსკში სამკურნალოდ მიეშურებოდა... და მთლად გადარევდა: აი, ჭირი კი დაგერიოთ სუყველასო, — და ფაცხაფუცხით გაშორდებოდა სადგურს.

თედო მიულოცავდა თანამგზავრთ გამოცდის ასე საუცხოოდ ჩატარებას.

მატარებელი ის-ისაა უნდა დაიძრას, რომ დაინახავდა ვაგონების წინ გაცხარებით მორბენალ მოლარეს, ყველა მგზავრს რომ აცქერდებოდა. აგერ, მოატანდა თედომდეც და:

— გიპოვნე! — გახარებული შესძახებდა.

ამას გული გაუსკდებოდა და შეეგუებოდა მწარე ბედს.

ის კი:

— მანეთი გადმოგაყოლეთ და დამიბრუნეთ.

აი, თურმე რა!.. მანეთს კი არა, ლამის მთლად ამოისუფთავებდა ჯიბეებს, ამხელა თავზარი ასე იოლად რომ გაუქარწყლდებოდა.

ამავე ვაგონში აღმოჩნდებოდა ის ებრაელიც, ლაპარაკსა და ქცევაში უკვე სითამამე რომ მოემატებოდა, რადგანაც თანდათან რწმუნდებოდა, რომ, თუმც ამათ ვაჭრებისა არაფერი ეცხოთ, ყოველ შემთხვევაში სხვათა ქონების მითვისების მოყვარულებსაც არა ჰგავდნენ, ასე რომ, მის ქონებას ამათგან ჯვარი ეწერა და შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა.

თითქოს უხსოვარი დროიდან არ ენახოთ ირკუტსკი, ისე იხამებდნენ იქაურობას.

სრულიად სხვა თვალით უყურებდნენ და იმიტომ.

თურმე ორ-სამსართულიანი სახლები დგას, ეტლები დაიარებიან, შიგ ევროპულად მორთული კაცები და ქალები სხედან, იქ კიდევ მაღაზიები...

სალდათები თავისთვის მიმოდიან და შენი ჯავრი არა აქვთ.

პოლიციელები არც კი გიყურებენ.

თვალებსაც კი არ უჯერებენ და მთვრალებივით დაიარებიან.

ფსიქოლოგიურად რაოდენ დამაჯერებელი და მეტყველი ვითარება და სურათია...

გამანაწილებელ ციხეში ყოფნისას განა იფიქრებდა თედო, რომ ოდესმე ამ ქალაქში თავისუფლად შეეძლებოდა გავლა, უკონვოიოდ?!

ახლა კი გაკადნიერებულა და საღერღელიც აშლია, ირკუტსკზე უფრო დიდი ქალაქების ხილვაც მეღირსებაო.

და ამას ფიქრობს — ოფიციალურად — ტუტურის ვოლოსტის მცხოვრები. სასჯელი ასე მოითხოვს და...

როგორ არ გაეცინოს:

ჰაი გიდი, სოფელო, რარიგ ბურთივით გვათამაშებო!..

* * *

ის ეპიზოდი თედო სახოკიას გადარჩენისა უეჭველი სიკვდილისაგან 1907 წლის ზამთრის თარიღით შევიდოდა გვანჯი ჩიქოვანის მემუარებში.

მეორე ეპიზოდი კი 1908 წლის გაზაფხულის ერთი საღამოს ბინდთან ერთად შემოცურდებოდა, გადასახლებიდან გამოქცეული თედო მოულოდნელად რომ მიადგებოდა კარზე.

მეხსიერებისმიერი ცთომილებანი დათარიღებაში ადვილად შეიძლება დაზუსტდეს თედო სახოკიას ციმბირული მოგონებების მოშველიებით, პირველი ეპიზოდი 1908-9 წლების ზამთრის მიჯნაზე რომ ძევს, მეორე კი 1909 წლის მაისის დამდეგია — თედოს უეცარი მოვლინება.

— ყველამ დიდი სიხარულით მივიღეთ ეს საუცხოო ადამიანი. მოვუარეთ, დავასვენეთ, ფერზე მოვიყვანეთ, მოვაჯანსაღეთ.

მალე იქ მყოფი ქართველები ყოველმხრივ მოამზადებდნენ და საიდუმლოდ გამოამგზავრებდნენ კავკასიაში.

მაგრამ... თედო სახოკია რომ არ ახსენებს თავის მემუარებში გვანჯი ჩიქოვანს?

რა — ვეღარ გაუხსენებია მისი პიროვნება და ამაგი?

გაუხსენებია რომელია, მაგრამ... ჯერჯერობით გუნებაში, რადგანაც „ციმბირის“ წერისას — 1931 წელს იოლად ნუ შევხედავთ — ძალიან საფრთხილოა, ხელისუფლებამ ისედაც ამო-

მიზნებულ გვანჯის მიზეზი არ უკრიფოს და კვლავ კატორღაში არ უკრას თავი.ამიტომ რაც ნაკლებ ახსენებენ მის სახელს, მით უკეთესი გვანჯისათვის.

და ამიტომაც თედო სახოკიას ავტობიოგრაფიული რომანის სტრიქონსა და სტრიქონს შორის უნდა ვიგულისხმოთ რაინდული ეპოქის ეს ჩამომავალი და... ჩვენთვის კი გვენანებოდეს, მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი ამ გასაგები მიზეზის გამო ჩაუხატავი რომ დარჩა, თორემ ნესტორ კალანდარიშვილის პორტრეტზე ნაკლებ კოლორიტული და შთამბეჭდავი სახება კი არ ამოიზიდებოდა მკითხველის თვალწინ, თუ მეტი არა.

მთავარია, რომ ორჯერ გადაეყრებოდა ერთმანეთს ეს ორი კაცი, და ორივეჯერ ირკუტსკში, და ორივეჯერ გვანჯი ჩიქოვანს უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ეთამაშა თედოს ბიოგრაფიაში, გადასახლებაში ყოფნასაც რომ შეუმსუბუქებდა და გამოქცევაში ხომ შეაშველებდა და შეაშველებდა ხელს, თვითონ კი ნესტორ კალანდარიშვილის თანადგომის წყალობით დააღწევდა თავს თავისუფალ დასახლებას და მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდებოდა... ახალი რეპრესიების მოლოდინში.

* * *

და თედოს მონათხრობს რომ მივადევნებთ თვალს და სტრიქონებს შორის გვანჯი ჩიქოვანსაც ამოვიცნობთ, კიდევ უფრო შეივსება ეს მონათხრობი, რომლის მთავარი გმირიც ისე მიაბიჯებს უცხო, თავზარდამცემად გასახსენებელი ქალაქის ქუჩებში, ველარც სალდათები რომ ველარ ამჩნევენ და ველარც პოლიციელები.

და სეირნობა-სეირნობაში კიდეც უნდა მისდგომოდა პარტიული თანამოსაგრისა და მეგობრის — ნესტორ კალანდარიშვილის ბინას, 1905 წელს რომ გაეცნო ბათუმში, სადაც მუშაობდა სოციალისტ- ფედერალისტთა პარტიის კომიტეტი, რომლისთვისაც საძირკველი ამ ქალაქშიც სწორედ ნესტორს ჩაეყრევინებინა, პარტიული ლიტერატურის აქტიურ გამავრცელებელს, შესახედავად წარმოსადეგს, რიხიანს,გულადს, უშიშარს, ლამაზ ვაჟკაცს, მსმენელზე საუცხოო შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა.

ნესტორ კალანდარიშვილი დიდ როლს ითამაშებდა საზღვარგარეთიდან ფედერალისტთა მიერ მიღებული თოფ-იარაღის წამოღებაში გაგრიდან და საერთოდ პარტიულ მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლაში.

1906 წელს, როდესაც ნიკოლოზის მთავრობა დაუპატიმრებელს არავის უშვებდა და ვინც ჯერ არ დაეჭირათ, თავს შველოდა, ნესტორი გადაწყვეტდა, სრულიად განშორებოდა სამშობლოს და საკუთარი ნებით გადასულიყო შორეულ ირკუტსკში, სადაც სახლიკაცი ეგულებოდა, და იქ განეგრძო რევოლუციური საქმიანობა. იქ მუშაობა კი ისე გაუტკბებოდა, რომ თავისი ნებით დარჩებოდა ციმბირში.

ისე მოხდებოდა, რომ 1917 წელს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ამოყოფდა თავს, შეადგენდა პარტიზანთა რაზმს და შიშის ზარს დასცემდა კოლჩაკსემიონოვისა და იაპონელ ინტერვენტთა ჯარებს.

ეჰ, რა დრო დამდგარა, 1931 წელს, ციმბირული მოგონებების წერისას, თედომ იაპონელები ინტერვენტებად რომ უნდა მოიხსენიოს, თორემ ეს „ინტერვენტები" არ იყვნენ, რომელთაც ისიც დიდი იმედით შესცქეროდა და მათგან მოწოდებული იარაღის საიმედოდ დაბინავებისათვის მოუწევდა სწორედ ცხე-გადასახლება!..

ხოლო ნესტორი თავგამოდებული ბრძოლისათვის მიიღებდა წითელი დროშის ორდენს, 1921 წელს კი მოსკოვში გაიწვევდნენ და საგანგებო დავალებასაც მისცემდნენ თეთრგვარდიელებსა და იაპონელებთან საბრძოლველად. 1926 წელს ირკუტსკის ახლოს დაუპირისპირდებოდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულებს და ეს იქნებოდა მისი საბედისწერო და უკანასკნელი ბრძოლა — ტყვია რომ განგმირავდა.

სახელოვანი გმირი-პარტიზანიო, ასე რომ მოიხსენიებს თედო, ეს პოლიტიკური კონიუნქტურის გამო სულაც არა. მართალია, ნესტორი სხვა გზას დაადგა და შეიქნა დამცველი იმისა, რის წინააღმდეგაც, წესითა და კანონით, დაუღალავად და თავგანწირვით უნდა ებრძოლა, მაგრამ თედოს არ შეუძლია დაივიწყოს მასთან პირადი კეთილი ურთიერთობა, იმედით აღვსი-

ლი რომ უახლოვდებოდა მის ბინას, გულითადადაც დამიხვდება და ყოველნაირადაც შემეწევა გაქცევის წარმატებით დასაგვირგვინებლადო.

იმედი სავსებით გაუმართლდებოდა.

პირველი კაცი, ვინც ნესტორის ბინაზე დახვდებოდა... ზოსიმე ხუბუა აღმოჩნდებოდა, თედოს უკვე სამშობლოში რომ ეგულებოდა, მაგრამ ზოსიმეს მეგობრებისა რომ ეიმედებოდა, ეს იმედი გასცრუებოდა, კიდევ კარგი, რუს მღვდელ-დიაკვნებს გადაჰყროდა, სოფელ-სოფელ და კარდაკარ რომ დადიოდნენ აღდგომის მისალოცად, და მათთან ერთად შეუდგებოდა მონაწილეობას ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვაში და მორწმუნეთა მიერ მოცემული „პასკები" და კვერცხები მასაც შეხვდებოდა, ის კი არა, გადიაკვნებულ ზოსიმეს ფულსაც არგუნებდნენ.

თედოს წინაშე მდგარი კი ძალიან ნანობდა, რა მინდოდა, რატომ ავჩქარდი, დამეჯერებინა შენთვის და ბარემ ერთად წამოვსულიყავითო.

აქედან რომ წასულიყვნენ ერთად?!

ამჯერად ეს უკვე ვეღარ ხერხდებოდა, რაკიღა ფული ბლომად იყო საშოვნი და ეს კი თანდათან თუ მოხერხდებოდა.

ასე შეიქნებოდა თედოს მთავარი საზრუნავი:

ეშოვნა საგზაო ფული ზოსიმე ხუბუასათვის და გაესტუმრებინა აქედან.

მერე ეშოვნა საგზაო ფული ვასო თურმანიძისათვის და ისიც გაესტუმრებინა საქართველოში.

და მერე შეიძლებოდა, რომ იმდენს ცდილიყო, თვითონაც მათ კვალს გაჰყოლოდა.

აბა, რისი თედო სახოკია იქნება, თუკი ყოველგვარ ვითარებაში, რაოდენ რთულიც უნდა იყოს, თედო სახოკიად არ დარჩება?

ჯერ სხვებს უნდა უპატრონოს და მერეღა მოიცალოს საკუთარი თავისათვის.

ირკუტსკი, როგორც ციმბირის პირველი სავაჭრო ქალაქი და საკმაოდ მდიდარი, ბევრ ადამიანს იზიდავდა და, მათ შორის, ქართველებსაც, ბლომად რომ მოეყარათ აქ თავი. სასჯელის

მოხდის შემდეგ აქვე დარჩენას ამჯობინებდნენ და ვაჭრობისათვის ხელის მოკიდებას. თითო-ოროლა დიდ ნიჭსა და უნარსაც გამოიჩენდა და დიდძალ ქონებასაც შეიძენდა, უმრავლესობა კი წვრილფეხა ვაჭრობას ვერ გასცდებოდა — აქაური ლუდხანებისა და საეჭვო რეპუტაციის დუქანთა პატრონები.

ამათ რომ გამოსდგომოდნენ, ისეთები თითებზე ჩამოითვლებოდა.

ასეა თუ ისე, ზოსიმეს თედო 35 მანეთს უშოვნიდა, იმდენს, ბილეთს რომ შეიძენდა ნოვოროსიისკამდე, იქიდან კი, როგორც მეზღვაურს, ეიმედებოდა, რომელიმე ხომალდს გავყვები ფოთამდეო.

ნოვოროსიისკამდეც მშვიდობით იმგზავრებდა და ფოთამდეც, იქ დიდხანს რომ აღარ გაჩერდებოდა და გადავიდოდა ფოთსა და ლაზისტანის ნაპირებს შუა სანდალზე, თუმც ამ ქალაქშიც ხშირად ახერხებდა შემოსვლას ცოლ-შვილის სანახავად. ასე შეინახავდა თავს 1917 წლის რევოლუციამდე, როდესაც შეძლებდა სააშკარაოზე გამოსვლასაც და თავის ხელობასთან (მესანდლეობა და მეთევზეობა) დაბრუნებასაც.

ვასოს საქმე უფრო გაძნელდებოდა, ფულის შეგროვება კი მოხერხდებოდა, მაგრამ...

გასამართლების წინ ღირსების აყრასა და ქონების უფლების ჩამორთმევას რომ მოელოდა, რაც კი ებადა უძრავი, სულ თავისი დის სახელზე დაამტკიცებდა ნოტარიუსის წესით. მისი და ზესტაფონში ცხოვრობდა და ფულის გასესხებითა და სარგებლის აღებით იყო დაკავებული. ჯერ კიდევ ჟიგალოვოდან მისწერდა ვასო თავის დას წერილს წერილზე, პასუხგაუცემელი დეპეშაც არაერთი დაუგროვდებოდა და საგზაო ფულს კი ვერა და ვერ ეღირსებოდა მისგან.

ახლა ირკუტსკიდანაც აფრენდა ტელეგრამას.

და თუ ვასოს ამის დაჯერება არაფრისდიდებით არ უნდოდა, თედო იოლად ჩასწვდებოდა უცნობი ქალის ფიქრსა და გულისნადებს: ჩემი ძმა აქეთ თავისუფლად ვეღარ დაბრუნდება, და თუ ნამალავად მომადგება კარს, კანონით ვერაფერს წაიღებს ჩემგან, მაშასადამე, უჭკუობა იქნება ჩემი მხრიდან, ნებით გა-

ვუგზავნო თანხაო. ან წერილის დასაწერადაც რატომ უნდა შეეწუხებინა თავი?!

რაც ეპისტოლეებში ფულის დახარჯვა მოუწევდათ, სამყოფი თუ არა, ცოტაც არ იქნებოდა... მაგრამ დრო იყო, ხელი აეღოთ დის გულში დაძმური სიყვარულის გამოღვიძებაზე და უფრო რეალური გზა ეძიათ: ვასო ჯერჯერობით ირკუტსკში უნდა დარჩენილიყო, თედოს კი ბაქოში უნდა გამოევლო, იქ მოენახა ვასოს ნამეგობრალები, რომელნიც ამ ადამიანის წინაშე ვალში იყვნენ, და ეთხოვა: ისეთ კრიტიკულ ყოფაშია, დანა ყელზე აქვს მიბჯენილი და მისი გადამრჩენი ხუთი თუმნის გაგზავნას ნუ დაიზარებთო.

თედო იმდენ ფულს მოუყრიდა თავს, რომ ბაქომდე როგორმე ჩამოაღწევდა. სამოსშიც ისეთში გამოეწყობოდა, „რიგიან“ საზოგადოებაში გამოჩენისა არ შერცხვებოდა. რჩებოდა პასპორტის საქმე, რომლის მოგვარებასაც ნესტორ კალანდარიშვილი იკისრებდა.

ეს საქმე მას საუცხოოდ დაეყენებინა და პოლიტიკურ ტუსაღებს მხსნელად ევლინებოდა. და ეს იმიტომ, რომ კანცელარიაში, სადაც პასპორტის ბლანკები ებარა მოხელეს, იგი შინაურ კაცად გახლდათ მიღებული. ყოველ პასპორტში ექვსი პატარა არყიანი ბოთლის ფასს იხდიდა, სამ მანეთს, და ყველაფერი აჟურში მოჰყავდა.

წამოსვლის წინადღეს თედოსაც გადასცემდა პასპორტს გორის მაზრის მცხოვრები ა ზნაურის ა. ნატროშვილის სახელზე, მაზრის უფროსის, თავად ნ. ერისთავის მიერ ხელმოწერილსა და ვითომ ტფილისში ყოფნისას პოლიცმეისტერის კანცელარიაში წარდგენის ბეჭედდასმულს.

უკვე ერთ კვირას ამოათავებდა, ირკუტსკში და ქუჩებში თავისუფლად სიარულს რომ შეეჩვეოდა, და თავისუფლად მოსიარულე ხალხის ნახვასა და მათთან ლაპარაკს თანდათან წარეხოცებოდა ტყვეობაში ნამყოფი ადამიანის ქცევა, თავის დაჭერა, თითქოს შიშიც გაუქრებოდა და 7 მაისს რკინიგზის სადგურზე თავისი ურმით მიიყვანდა ნესტორის ნათესავი პლატონ კალანდარიშვილი.

წინასწარვე დაიჭერდა თადარიგს, რომ მეორე კლასის ვაგონით წამოსულიყო, რადგანაც მესამე კლასის ვაგონით მგზავრობისას მეტი შანსი ეძლეოდა ადმინისტრაციას გაქცეული პატიმრის დაჭერისა — იქ ხომ ჩხუბი და აყალმაყალიც ხშირი იყო და ჟანდარმერიისა და ურიადნიკების ჩარევაც და პასპორტების მოთხოვნაც. მეორე კლასის ვაგონის მგზავრებისა კი ეიმედებოდათ, იქ მყოფთაგან არსებული წეს-წყობილების ორგულობას ვინ იკადრებსო. ამიტომაც იოლად შეიმალებოდი სხვებს შორის.

მთავარია, სიზრანამდე მიეღწია, გზის სახიფათო ნაწილი სადაც მთავრდებოდა, მერე კი უკვე შეიძლებოდა მესამე კლასის ვაგონში გადასვლაც. შესაძლოა, თავს იმშვიდებდა, ამის შემდეგ ისეთი საშიში აღარ იქნებაო, რადგანაც ბილეთის ფული სიზრანამდე ჰყოფნიდა უფრო ძვირი მგზავრობისათვის.

ისე როგორ იქნებოდა, უჩვეულო და სასიამოვნო ამბავი არ გადახდენოდა... და კვლავ ფრანგული ენის ცოდნის წყალობით, ერთ-ერთი მგზავრი ქალის ხელში ფრანგულ რომანს რომ მოჰკრავდა თვალს და წიგნის პატრონის გვარსაც ამოიკითხავდა: პეშკოვი, — და კიდეც წამოეშლებოდა მოგონებანი.

ვიდრე ციმბირში ეტაპის წესით გამოგზავნიდნენ, ცდილობდა, ნება დაერთოთ, რათა საკუთარი ხარჯით დასდგომოდა გზას და ოჯახობაც თან წაეყვანა, და ირკუტსკში რომ ჩავიდოდა, მოეხერხებინა და იქ დაეტოვებინათ, დიდ ქალაქში კი შედარებით ადვილად შეძლებდა რამე საქმის შოვნასა და არსებობას. იმ დროს შეხვდებოდა მისი პატივისმცემელი და კარგი ნაცნობი ტელემაქ გურიელი და, როდესაც შეიტყობდა, ირკუტსკში გზავნიანო, ბარათს დაუწერდა თავის ერთ ნაცნობ ქალთან, ვინც წინათ მასთან მდგარიყო ბავშვების გუვერნანტად და ფრანგულის მასწავლებლად, შემდგომ კი ირკუტსკში გადასულიყო გიმნაზიის მასწავლებლად და ერთ სამხედრო პირზე გათხოვილიყო, გვარად პეშკოვზე.

რაკიღა ქუთაისის გუბერნატორი ამ გზას ჩაუკეტავდა, ის ბარათიც გამოუყენებელი დარჩებოდა და თედოსაც მიავიწყდებოდა წერილიც და მისი ადრესატიც. ერთ კვირას ირკუტსკში რომ დაჰყოფდა, მაშინაც არ წამოაგონდებოდა.

ახლა კი დიდი რამ თავის მტვრევა აღარ იყო საჭირო.

ფრანგული რომანი.

კითხულობს პეშკოვა.

სულ ადვილად გაიბმოდა ძაფები ტელემაქის ბავშვების გუვერნანტთან.

და მორიდებით სთხოვდა:

— როცა კითხვას მორჩებით ამ წიგნისა, თუ შეიძლება მათხოვეთ.

— განა ფრანგული იცით?

და კიდეც გამოეცნაურებოდა ქალსაც და მის მეუღლესაც და... კუპე სალიტერატურო სალონად გადაიქცეოდა. ჩამოჰყვებოდნენ ფრანგული მწერლობის კორიფეებს: ემილ ზოლას, გუსტავ ფლობერს, გი დე მოპასანს... დრო შეუმჩნეველად და მხიარულად გავიდოდა. ცოლ-ქმარი რომ არა ჰკითხავდა: საიდან მოდიხარო, — თედო ამას დელიკატურობაში ჩამოართმევდა და მადლიერიც დაურჩებოდა, უთუოდ იგრძნეს, ჩვეულებრივი მგზავრი რომ არ ვიყავიო.

სადილისას სუფრა რომ გაიშლებოდა, თანაც რარიგი — რა გინდა სულო და გულო, თედო გაინაზებოდა... ისინი იწყენდნენ: როგორ, ქართველი კაცი ვნახეთ, ტელემაქის მეგობარი, და სუფრაზე არ დაგვეწვიოს ჩვენს ქვეყანაშიო?!

თურმე ქართველობა კიდევ სად შეიძლება წასდგომოდა!..

არადა, ესეც რომ თავს იდებს... და წლების გადმოსახედიდან იუმორით განსჯიდა იმ თედო სახოკიას საქციელს, ვისაც იმ წუთას დაავიწყდებოდა თავისი მდგომარეობა, დაავიწყდებოდა, რომ თავისუფალი არ გახლდათ, და რომ კიდევ ათი დღე ესაჭიროებოდა — ესეც იმ შემთხვევაში, თუკი ყველაფერი მშვიდობიანად ჩათავდებოდა — ვიდრე ბათუმში ჩააღწევდა და იქიდან ოსმალეთში გადავიდოდა... იმ თედო სახოკიას, ვისთვისაც იმ წუთას მნიშვნელობა დაეკარგებოდა მისი ჯიბის სიმჩატე-სიმძიმეს.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟია და ეგაა!..

თავისი სიამაყე, თუნდ კოკობზიკური თავმომწონეობა ყველაფერს ურჩევნია.

მოხიბვლით რომ მოხიბლავდა ცოლ-ქმარს, რა გასაკვირია, მისი მანერების დახვეწილობა და გულითადობა ერთბაშად დაამეგობრებდა ორივესთან და... დიდ სადგურებზე იმდენად გაკადნიერდებოდა, პოლკოვნიკ პეშკოვთან ხელიხელგაყრილი გაივლ-გამოივლიდა. ჟანდარმები იმას სამხედრო სალამს რომ აძლევდნენ, ნაწილი იმ სალმისა და პატივისა თედოსაც ხვდებოდა. ხოლო თუ ქალბატონ პეშკოვასთან ერთად მოუხდებოდა გავლა-გამოვლა, ყველას მზერა იმისაკენ იქნებოდა მიპყრობილი, როგორც მაღალი და წარმოსადეგი ქალისაკენ, თედო კი სულაც არა თაკილობდა, რომ ხანდახან სამხედრო ტოპოგრაფის მეუღლეს მიშველებოდა და გადიის როლიც ეკისრა — მისი ძუძუთა ბავშვი დაეჭირა და ჩვრებიც გამოეცვალა.

და თხრობაში ღიმილი კიდევ ერთხელ გამოანათებს: უნდა მოგახსენოთ, რომ პირნათლად ვუძღვებოდი ნაკისრ საქმესო.

და უკვე დროა, სიხალისე ჰომერულ სიცილშიც გადაიზარდოს, როდესაც სურათის კომიკურობას ასე ეფექტურად წარმოსახავს, თვით შერლოკ ჰოლმსსაც არ მოუვიდოდა აზრად, რომ სამხედროთა თანამგზავრი, მათთან ხან ფრანგულ ლიტერატურაზე მობაასე და ხანაც ძუძუთა ბავშვის გადია და მათთან მოსუფრალი... შესაძლოა ყოფილიყო ტუტურის ვოლოსტის სოფელ ჟიგალოვოში გადასახლებული პიროვნება.

— უკითხავად, ნებადაურთველად ოტებული, ორგული რუსი ხელმწიფის ტახტისა, ერთი ვინმე სათოკე, შფოთისთავი, რომელსაც ფარად, მეოხად და მეხთამრიდად თვით რუსთხელმწიფის ბრწყინვალე სამსახურის ერთგული კაცები მყავდნენ...

ნოველასავით ჩანართი გამოვიდოდა და ფინალური აკორდიც სწორედ შესაფერისი უნდა ყოფილიყო:

— არა, ჩემმა მზემ!

ვისთვის ეს გაქვავებული ფორმულა-მეტაფორა იყო, ისე ჩაბეჭდილი გონებაში და ისე გამოყენებული ყოველდღიურ მეტყველებაში, აღარც კი ჩაუფიქრდებოდა მის სათავეს. ჩემს სიცოცხლეს ვფიცავო, იგულისხმებდა ამ გამოთქმით, ისიც სიტყვის მასალად უფრო, მაგრამ თედო ყოველთვის სხვაგვარად წარმოთქვამდა და ახლა კიდევ — განსაკუთრებით, რაკიღა

მისთვის ეს გამოთქმა ერთ-ერთი ხელშესახები ნაშთი გახლდათ ჩვენში უხსოვარ დროს მზის თაყვანისმცემლობის არსებობისა, ამისთანა გამოთქმას კი იმდენს დაადასტურებდა, ლექსიკონში ბლომად მასალას მოუყრიდა თავს მზით გასხივოსნებული მეტაფორებისა, ხალხში ასე უხვად რომ მიმობნეულიყო, და ხიდს გასდებდა შოთა რუსთველთან, რაკილა იმას „ვეფხისტყაოსანში" იშვიათად გამოერია ისეთი ტაეპი, შიგ რომ ხოტბა არა ყოფილიყო მზისა.

მატარებელი კი მოჰქრის, მოჰქრის საკმაო სისწრაფით. და საათში 40 კილომეტრს მაინც უნდა გადიოდეს.

გზაში ზოგჯერ სადგურებთან აჩერებს საბარგო მატარებელთა გროვა, ირკუტსკიდან გადმოსახლებულთა კოლონები რომ მოჰყავთ, უმეტესად უკრაინელებისა, მიწის სივიწროვის გამო რომ აიყრებოდნენ სამშობლოდან, რაც ებადათ, მიყიდ-მოყიდდნენ და, მხოლოდ უსაჭიროეს და ადვილად წამოსაღებ საოჯახო ნივთებს რომ იკმარებდნენ, ცოლ-შვილიანად დაიძვრებოდნენ ირკუტსკისაკენ გადასახლების მომწყობი კომისიის იმედად: იქ მოგვეცემა სახნავ-სათესი მიწა, პირველად დაგვეხმარებიან, შეგვაძლებინებენ ფეხის მოკიდებას, გზა-კვალს გვიჩვენებენ, მფარველებად აღმოგვიჩნდებიანო...

კაცი ბჭობდა და...

გაოგნებულიყო თედო და ძლიერ განიცდიდა ამ ადამიანთა ტრაგედიას, თან ვერ აეხსნა, კომისიის დაპირებას როგორ ენდნენ, რატომ ვერ წარმოიდგინეს, რომ კანცელარიიდან კანცელარიაში წონიალის გარდა სხვა რამ ხეირს ვერას პოვებდნენ და უკან დაბრუნება მოუწევდათო.

დაბრუნებაცაა და დაბრუნებაც:

სამოსი დახეოდათ, სასმელ-საჭმელი ველარ ეშოვათ, ათასგვარი ავადმყოფობაც მორეოდათ, განსაკუთრებით ბავშვებს, დახოცილთ იქვე, გზის პირას რომ მარხავდნენ, და მიწა კი კვლავ და კვლავ ითხოვდა გვამებს, ისე საშიშრად დაეფჩინა ხახა.

ათი და ოცი ოჯახი იმყოფებოდა ამ დღეში?

ათი და ოცი კი არა, გადავსებული მატარებლები, ა-თა-სობით!..

მიზეზი იოლად ამოიცნობოდა — კომისიებს ხომ გუბერნატორები თავმჯდომარეობდნენ და... საზღვარი არ უჩანდა გადასახლებისათვის პეტერბურგიდან გამოგზავნილი თანხების ფლანგვას. ასიათასობით ფული ქრებოდა, ციმბირის კოლონიზაციის საქმე კი კუს ნაბიჯით თუ მიიწევდა წინ.

მატარებელი კი მოქრის გაუჩერებლად.

აგერ მეხუთე დღემაც უნდა ჩაიაროს.

თედოს მეგობრობა და სიამტკბილობა თანამგზავრებთან უფრო და უფრო უნდა განმტკიცდეს და დროდადრო კიდეც გადაავიწყდეს შიში და ასე ეგონოს, ჩემი სიამოვნებისათვის ვმოგზაურობ და ეთნოგრაფიული ინტერესებითო.

ამასობაში ჩელიაბინსკს უნდა მიახლოებოდა მატარებელი, ციმბირისა და ევროპის რუსეთის საზღვარს, ყველაზე საშიშ ადგილს ისეთი კაცისათვის, ვისაც რუსთხელმწიფის აგენტებთან ანგარიში გაუსწორებელი დარჩენოდა.

ამ სადგურში მატარებელი დიდხანს უნდა გაჩერდეს, ლოკომოტივმა წყალი მოიმარაგოს, ბრიგადა და მემანქანეც შეიცვალოს.

თედო პირველი კლასის ბუფეტში გამოჭიმულა და, როგორც ჭეშმარიტ კავალერს შეშვენის, თავის დამას არა შორდება. რაც ოდესმე ქათინაური მოუსმენია პარიზში, ყველას ერთად იშველიებს და თვალ-წარბში შესცქერის.

უეცრად დარბაზში ბოქაულმა უნდა შემოყოს თავი, ბუფეტის შუამდე მივიდეს და შორსგანმჭვრეტი მზერა მიმოავლოს მოსუფრალთ.

ალბათ საკბილოს ეძებს.

შესაძლოა თედოსაც, რადგან მის შესახებ ქაღალდი უკვე ექნება მიღებული ირკუტსკიდან.

ამათი მაგიდისკენაც უნდა მიიხედოს.

და იხილავს თუ არა ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელს, უნდა გამოეჭიმოს და სამხედრო სალამი ჰკადროს, როგორც უფროსს.

„ღმერთი როგორ გაუწყრება და როგორ იფიქრებს, რომ პოლკოვნიკის გვერდით საეჭვო კაციც იქნება ასე თამამად გამოჭიმული?!“

არც გაუწყრებოდა ღმერთი.

ჩექმის ქუსლებზე შემოპროწიალდებოდა და გავიდოდა.

ამას კი თავისი დაემართებოდა და მოეჩვენებოდა, რომ დრო ძალიან ჭიანურდებოდა მატარებლის დაძვრამდე.

„წუთია თუ წელიწადი?.. წუთია თუ სულაც საუკუნე?.. "

რაღაც ხომ არ იყნოსა ბოქაულმა, ისევ რომ შემობრუნდა და ქორივით ათვალიერებს დარბაზს.

ნადირის კვალს სწორად მიჰყვა თუ რა?!

მაგრამ ბრჭყვიალა სამოსი თავგზას უბნევს, განსაკუთრებით პოლკოვნიკის მუნდირი უბნელებს მზერას და საჩქაროდ ტოვებს იქაურობას.

„ნაკვალევი დაეკარგა, მგონი..."

რაღა „მგონი" — მატარებელი კიდეც დაიძვრის და თედოს დაძაგრული ნერვებიც ნება-ნება უნდა მოეშვას და აღმოაჩინოს ცის ლურჯი კამარაც და ცხრათვალა მზით ალმოდებული, ხასხასა მწვანით შემოსილი მხარეც.

ესეც ურალის მთები.

ფანჯრებში გაზაფხულის დამათრობელ სითბოსთან ერთად იჭრება ჩიტების გალობაც, გულის დამამშვიდებელი და კაეშანთა უკუმყრელი.

არა, სამყარო და ბუნება ასეთი ალერსიანი ლამის არასოდეს ყოფილა.

და მისი თანამგზავრები ხომ სიყვარულისა და გულკეთილობის ულევ წყაროს დამგვანებიან.

„დღეა თუ ერთი წუთი?.."

უკვე უფასაც უნდა გამოსცდნენ.

პოლკოვნიკი პეშკოვი მოსკოვს მიდის და იქ ეპატიჟება: მერე საზღვარგარეთაც წავიდეთო.

კაპიტან-ტოპოგრაფს ოდესისაკენ უძევს გზა და იქ სთხოვს წაყოლას.

აბა, ერთი თედოს გულშიც ჩაიხედონ, თუ რად უღირს მათთან ერთად სიცილი და უდარდელობა.

და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა და უფრო მძაფრადაც განიცდიდა ოცი წლის წინანდელ ამბავს, ოზურგეთიდან

ნატანებისაკენ ეტლით რომ მიდიოდა და გვერდით ეჯდა ნაცნობი მანდილოსანი, წინა სკამზე კი მოახლე მოთავსებულიყო, მუხლებზე რომ ესვენა საბანში გახვეული შვილი და ქმართან მიდიოდა ბათუმში. თედოს ნაცნობი ქართული ლიტერატურის ტრფიალი გახლდათ და ლაპარაკი ბუნებრივად ჩამოვარდებოდა ჩვენს მწერლობასა და მწერლებზე. ზოგიერთი სახუმარო თემაც შემოვიდოდა საუბარში. მოახლესაც ძალაუნებურად უნდა გაეცინა... ასეთი ნაძალადევი მხიარულებით ჩავიდოდნენ ნატანებში, სადაც ერთმანეთს გამოემშვიდობებოდნენ. და მხოლოდ ორი წლის შემდეგ უნდა შეეტყო, რომ ბავშვი, რომელიც მოახლეს მიჰყავდა... მიცვალებული ყოფილიყო და, რაკიღა რკინიგზის კანონით მიცვალებულის წასვენება უკუბოოდ აკრძალული იყო, გამწარებული მშობელი ამ ხერხს მიმართავდა და... თედოსთვისაც მხიარული სახე უნდა ეჩვენებინა, მაშინ როდესაც წინ პირმშოს უსულო გვამი ესვენა და გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა.

ნოველის გამზადებული ქარგაა, გაშლაღა რომ ესაჭიროება და შესაძლოა შედევრადაც ჩამოინაკვთოს.

თანაც... სწორედ შიო არაგვისპირელის სტილისტიკისაა, მისი მწერლური მანერისათვის შესაფერისი. და ალბათ მისთვის უფრო უპრიანი გახლდათ, რომ თავს გადახდენოდა. თუმც რა — განა თედო არ მოუყვებოდა ამ გულისშემძვრელ ეპიზოდს?!. მაშ რატომ არ მოჰკიდა ხელი ამ მზამზარეულ სიუჟეტს დასამუშავებლად?! უფრო შესაფერ დროს ელოდა, ამ თემას წარმატებით რომ დაძლევდა?! კი მაგრამ, არა და აღარ დაუდგა ეს დრო?! იქნებ... იქნებ კიდეც აქცია ნოველად, ჭეშმარიტად არაგვისპირელურ ქმნილებად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თხზულება მის დაკარგულ ნაწერებს შორის მოჰყვა?!

ნეტა ვინმე თუ მოჰკიდებს ხელს, ოღონდ კიდეც მოაქცევს მხატვრულ ქარგაში, თორემ ერთიხანობა ოთარ ჩხეიძეც უტრიალებდა ამ სიუჟეტს, „ჩემი სოფლის ეტიუდების“ შესანდობართა რკალში ბუნებრივად რომ ჩართავდა და თედო სახოკიასაც თავისივე გვარ-სახელით გამოიყვანდა პერსონაჟად, მაგრამ ეს იმ დროს მოხდებოდა, ერთბაშად აჩქარებული დრო წლების ნაცვ-

ლად ეპოქებს რომ გვაცხოვრებდა და ისიც კვალში მიჰყვებოდა ასწრაფებულ დრო-ჟამს და თვალწინ დატრიალებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს შემოუნახავდა შთამომავლობას ერთიერთმანეთს მიყოლებული რომანებით.

ამ სიუჟეტს კი დანანებით ახსენებდა ხოლმე და ვარაუდობდა, რომ შიო არაგვისპირელის გამქრალ ნოველებში ეს ამბავიც აუცილებლად იკიაფებდა სხვა მძაფრ სიუჟეტებთან ერთად.

გამოსცდებოდნენ სამარას და მიუახლოვდებოდნენ სიზრანს, სადაც სამივე გამოეთხოვებოდა ერთმანეთს და თავ-თავისი გზით გასწევდნენ — ვინ მოსკოვისკენ, ვინ ოდესისკენ და ვინ ტფილისისაკენ, ოღონდ ჯერ ცარიცინის გავლით ბაქოში უნდა ჩავიდეს ვასო თურმანიძის საქმის მოსაგვარებლად. როგორც უნდა სძლევდეს სული ცოლ-შვილის მოსანახულებლად, მეგობარი ჰყავს მისახედი და მას უნდა უპატრონოს, დისაგან ასერიგად გამეტებულს.

ერთ საათში ობლად უნდა იგრძნოს თავი.

აგერ სადგურის შორიახლო კი დაიარება უდარდელი კაცის იერით, მაგრამ მწირი თანხის ანგარიშში ჩაფლულა და ყოველი გროში ასანონ-დასანონი გახდომია. ბაქომდე სამი დღის მანძილი უდევს წინ, ბილეთის აღების შემდეგ ჯიბეში დარჩება მანეთი და ათი შაური, ეს თანხა კი გამოზოგვით უნდა ხარჯოს, რათა ბაქოში სამი აბაზი მაინც ჩაჰყვეს... ეტლისათვის.

ბავშვებიან ებრაელ ქალს რომ ხელს წაახმარდა, ის გაოცდებოდა უცხოს მხრივ გამოჩენილი ყურადღებით, რადგანაც დევნის, შეურაცხყოფისა და დამცირების გარდა არაფერი ეგრძნო სხვებისაგან, და თედოს ისეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩებოდა, რომ, რაც ისრაელის ერს თავისი არსებობის ხანაში გამოევლო ისტორიული ტანჯვა, ამ სულდგმულს, უფრო სწორად, სულდგმულის აჩრდილს, ერთიანად ეხატებოდა განაწამებ სახეზე.

მაგრამ ის რაღა იყო, ერთ სადგურში ვიღაც გიტარიანი ქალი-მუსიკოსი რომ შემოვიდოდა ვაგონში და დაამღერებდა კუპლეტებს, ამას ულტრარევოლუციურად რომ მოეჩვენებოდა და შიში აიტანდა, ვაითუ ხელისუფლება ჩაერიოს, ყველა აქ მყოფი დაიჭიროს და მეც თან მიმაყოლოსო.

საზღვარგარეთ ხალხი ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს, ჩვენში კი ღმერთი უწყრებათო, — მღეროდა მუსიკოსი, — იქ ქურდობა და მექრთამეობა აუგია, ჩვენში კი ორივე კულტად გაუხდიათო...

და არამცთუ ხელად გაიჩენდა აუდიტორიას, ხმას სხვანიც ააყოლებდნენ და ერთბაშად მთელი ქორო გაჩნდებოდა. მსმენელნიც გულუხვად დააჯილდოებდნენ, რაკიღა მისი ნამღერი ყველას გულს მოჰფხანდა. ქალი კმაყოფილი მოშორდებოდათ და თედოც შვებით ამოისუნთქებდა.

აგერ კავკასიონის ქედიც... თითქმის მკაფიოდ მოჩანს იალბუზი, რომლის მიღმაც სამშობლო ეგულვის (სწორედ ეს „ეგულვის", რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას" ძალდაუტანებელი წამოგონება)... მიიწევს ნატვრის საგნისაკენ... განა სჯერა, რომ!.. მაგრამ მაინც მიიწევს.

მინერალური წყლების სადგურიც უნდა გამოიაროს.

ოჰ, ეს ვინაა? სანდროა, თოიძე, მისი ძველი მეგობარი.

იმანაც გაკვირვებით უნდა შემოხედოს.

— შვებულებით გამოგიშვეს? — უნებლიეთ თვითონვე ჩააგონებდა სანდრო, თუ რა უნდა ეპასუხა:

— ჰო, შვებულება მომცეს დროებით.

ირკუტსკიდან წამოსულმა პირველად უნდა დაილაპარაკოს ქართულად და... ეს ეუცხოოს.

შორიდან ესალმება კავკავს... ცოტა კიდევ და — დარუბანდს... აზერბაიჯანს... ყანაში კამეჩები დაიზლაზნებიან, ვაგონში თათრები ამოემატებიან თანამგზავრებად... მათი ფაფახები — სამშობლოს მიწა-წყლის მომგონებელი...

ესეც ბაქო.

უპირველესად ვასო თურმანიძის ის მეგობარია მოსანახულებელი და აჰა, კიდეც უამბობს ვასოს გასაჭირსაც და შემონათვალსაც. ფულის გაგზავნაზე ხომ უარს იტყოდა და უარს „მეგობარი", თან, ეტყობა, ნაციმბირალი კაცის დანახვა ისე დააფრთხობდა, თედო აქეთ შეშინდებოდა: არაფერი შემამთხვიოსო.

სხვა რაღა დარჩენოდა და სასწრაფოდ გამოეცლებოდა.

აქედან ბათუმში ჩასულს შავგულიძე რომ დახვდებოდა, მასთან ერთად ნაციმბირალი, საგანგებოდ გაგზავნიდა ზესტაფონში თურმანიძის დასთან, ეგებ დაანამუსოსო. გაგიგონია?! ისევ ირკუტსკელები მოუხერხებდნენ საგზაო ფულის შოვნას და ვასოც ჩამოაღწევდა საქართველოში, ერთხანს რომ იმალებოდა და იწროება და წვალება არ მოაკლდებოდა, მალვის ეს მართლაც აუცილებელი თანამგზავრნი. დაავადდებოდა და სნეულებას გადაჰყვებოდა კიდეც ისე, რომ რევოლუციას ვერ მოესწრებოდა და სააშკარაოზე თამამად გამოსვლას.

და თედო გულისტკივილით დასძენდა: ვერ ჩამოვუსწარი ადამიანს, ვისთან ერთადაც გავატარე ორი თვე ციმბირული ცხოვრებისა და ვზიდე მწუხარებისა თუ იმედიანობის ყოფაო.

დრო იყო, საკუთარი თავისთვისაც ეზრუნა.

გზად იმ ებრაელ ქალსა და მის შვილებს რომ დაახარჯავდა თანხას, ჯიბეში დარჩებოდა სამი აბაზი ფულად და მუცელში... მადა დაყმენდილი მგლისა.

უფულობას კიდევ გაუძლებდა, მაგრამ უჭმელობას?!

ამდენ შიმშილს გამოეწრთო, მაგრამ, ეტყობა, ყველაფერს საზღვარი ჰქონდა და შეფიქრიანდებოდა, ძალიან ხომ არ დავძაბუნდიო. შიში ისე მოერეოდა, სულ გადაავიწყდებოდა, რომ ბაქოში ნაცნობები ჰყავდა: მანსვეტაშვილი თუ კვიტაშვილი, დადიანი თუ დეკანოზიშვილი.

კიდევ კარგი, ექიმ ივანე ელიაშვილის სახელი წამოუტივტივდებოდა მეხსიერებაში. გაიკითხავდა და... თურმე ქალაქგარეთ სახლობდა. ორ აბაზად გაურიგდებოდა მეეტლეს და კარზე მიადგებოდა ოდესღაც თავის მეგობარს, ვისაც დიდი ხანია არ ენახა თედო და არც მისი უკანასკნელი ამბავი სცოდნოდა. თავიდან არც არაფერს გაუმხელდა და მშვენიერ მასლაათში გემრიელ სადილსაც მიირთმევდა. რა გასაკვირია, რომ კარგა ხანია, ასე გემრიელად კბილი არაფრისთვის მოეკიდებინა. ნასადილევს კი გაუმჟღავნებდა თავის თავგადასავალს და სთხოვდა, ეგებ დამეხმარო ტფილისამდე ჩავაღწიოო.

თან სუნთქვაშეკრული მიაჩერდებოდა, რა შთაბეჭდილება მოეხდინა მასპინძელზე მის აღსარებას.

როგორც ჩანს, მძიმედ ჩარჩენოდა გულში ვასო თურმანიძის „მეგობრის" საქციელი და ეჭვი გაუჩნდებოდა ყველას მიმართ, მანამდე უფრო მიამიტურად, ალალად რომ შეჰყურებდა ყველას.

მაგრამ ეჭვი იქვე უნდა გაქარწყლებულიყო და არამარტო ივანე ელიაშვილის მიმართ, არამედ ადამიანისა საერთოდ, რადგან ის ისე დაფაცურდებოდა და ფულსაც ხელად გაუჩენდა, თედო ლამის თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებდა. მასპინძელი კი თანხას რჩევასაც დაატანდა:

— ჯაშუშებისა და მზვერავებისაგან თავდასაღწევად ჯობს დაუყოვნებლივ გასცილდე აქაურობას... ბათუმში რომ ჩახვალ, იქაც დაგხვდება გზის გასაგრძელებელი ფული.

„კაცი ეს ყოფილა!.."

ბაქოს რკინიგზის სადგურში მეორე კლასის ბილეთს რომ შეიძენდა ტფილისამდე, იყიდდა მაშინდელ რეაქციულად შერაცხილ გაზეთსაც „ნოვოე ვრემია" და ხელში ისე დაიჭერდა, ქვეყანას დაენახა და შესაფერისადაც ეფიქრა, ამ გაზეთის წამკითხველი რა კაციც იქნებოდა.

ივანეს მეგობრული დახვედრა და თანადგომა ისე გაახალისებდა და გაათამამებდა, ჟანდარმთან უკმაყოფილებასაც გამოხატავდა: რა არის, მატარებელი ათ თუ თხუთმეტ წუთს რატომ იგვიანებსო, — მიზეზსაც ჩაეკითხებოდა. ჟანდარმი თავაზიანად აუხსნიდა დაგვიანების მიზეზს და თან ანუგეშებდა: ცოტაც მოითმინეთ და ახლავე გავაო. სულ გათავხედდებოდა და ერთი-ორჯერ კიდევ აუვლ-ჩაუვლიდა ჟანდარმებს და კიდევ რაღაცას იკითხავდა, „ნოვოე ვრემია" კი დემონსტრაციულად ეჭირებოდა ხელში, როგორც ყველაზე საიმედო ფარი.

კუპეში მის გარდა არავინ იმყოფებოდა და შეეძლო, მთელი ღამე ეძინა. კონდუქტორს მანეთიანს წინდაწინვე აჩუქებდა და სთხოვდა, გზაში სალიონის ხიზილალა და კარაქი სულ თავანკარა ეყიდა. ისიც სიამოვნებით დაჰპირდებოდა, რატომაც არა.

რამდენიმე დღე-ღამის მოუსვენებელი და უძინარი მკვდარივით დაიძინებდა.

მეორე დღეს საუცხოო ხიზილალითა და კარაქით ჩაიტკბარუნებდა პირს.

რაო, ბატონკაცურად უნდა დაუბრუნდეს სამშობლოს?

ბატონკაცურობა რა მოსატანია — მხნედ, გაუტეხელი სულითა და სხეულით.

რარიგ უსწრებს სული!..

მატარებელი კი მიქრის, მაგრამ თედოს დაარწმუნებ?.. ჰგონია, კუს ნაბიჯით მიიწევს წინო.

— ჩქარა, ჩქარა, — გული ისე გაჰკივის, ბაგესაც გადაედება და ბორბლების დაგადუგს ააყოლებს ყვირილსა და საყვედურს, რომ მატარებელს არა გაეგება რა თედოს განცდისა და სწრაფვისა, თორემ კი არ იღოღებდა, ასწრაფდებოდა და მალეც ჩაიყვანდა ტფილისში და უჩვენებდა თავისიანებს, რათა ყველას გადახვეოდა და მოალერსებოდა ტყვეობასა და საუკუნო დაღუპვას გადარჩენილი და საზღვარგარეთ გადახვეწისაკენ მიმსწრაფი.

აბა, ამჯერად მაინც ხომ არ გავა ტყეში?!

მაგრამ მატარებელმა ასე თუ იღოღა კუს ნაბიჯით, ტფილისამდე ალბათ ვერც ვერასოდეს ჩააღწევს და თედოც შერჩება სამუდამოდ ვაგონს.

გული თავისას ჰკივის.

ბორბლები თავისას მიდუგდუგებენ.

და როგორც უნდა გახევდეს და გაიყინოს დრო, მაინც ხომ ვეღარაფერი დაუდგება წინ თედო სახოკიას შემობიჯებას თავის მიწა-წყალზე...

თავი მეთერთმეტე

ემიგრანტის დღე

გერონტი ქიქოძე რომ ესტუმრებოდა ხოლმე თედო სახოკიას, მის სტუდენტურ ოთახში შესულს პატარა ტაბელ-კალენდარზე ის დღე წაშლილი ხვდებოდა, თითქოს უკვე განვლილი ყოფილიყოს.

თავიდან რაღაც შემთხვევითობად მიიჩნევდა — ეტყობა, უნებლიეთ გადაეშალა ნაადრევადო.

მაგრამ გახშირდებოდა მასთან სტუმრობა და... ერთი დღე რა არის, ერთი დღეც არ აღმოჩნდებოდა განსხვავებული.

რაღაც ნამეტანი ადრე სწირავდა თედო დასაღამებლად.

და მიზანმიმართულად, თორემ მხოლოდ ხანდახან რომ ასწრაფებულიყო, ერთმანეთს შეენაცვლებოდა წაუშლელი და ნაადრევად წაშლილი დღეები ტაბელ-კალენდარზე.

ნეტა რას გულისხმობდა, რა აზრი ჩაეთქვა ამ მოქმედებაში?

და დაინტერესდებოდა გერონტი, თუ რომელი მონაკვეთიდან მიიჩნევდა მასპინძელი იმ დღეს უკვე დასრულებულად და გასტუმრებულად, და აქეთ და აქეთ გადმოსწევდა ვიზიტის დროს.

მივა... თედოს ტაბელ-კალენდარი გადაშლილ დღეს აჩვენებს.

მივა კიდევ უფრო ადრე და... დღე კვლავ წაშლილია.

ერთხელაც უთენია დაადგებოდა თავზე ახალწამომდგარს და... ისევ იმავე სურათს რომ იხილავდა ტაბელზე, ველარ მოითმენდა:

— შე კაცო, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ ესაა დაიწყო, შენ კი უკვე გადაგიხაზავს.

უეცრად რამხელა ნაღველი ჩაუდგებოდა მასპინძელს თვალებში:

— ემიგრანტისთვის, ვისაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა სტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილი დღეა...

და გერონტი ქიქოძე თითქოს ახალი მზერით დაინახავდა თედო სახოკიას, ვისაც ისედაც ძალიან აფასებდა როგორც ჩინებულ ლიტერატორსაც და როგორც მოუდრეკავ ადამიანსაც, ვერც ციმბირს და ვერც ემიგრაციაში ყოფნას რომ ვერ შეენელებინა მისი დაუმცხრალი სწრაფვა საქართველოს თავისუფლებისათვის, რაკიღა ერთხელ და სამუდამოდ ეპოვნა ურყევი ნიადაგი ამაღლებული იდეალების სიწმინდეში.

მითუმეტეს, რომ გერონტის ძირისძირობამდე გაეაზრებინა ის დრო-ჟამი, ხანგრძლივ პოლარულ ღამესაც რომ ადარებდა, როდესაც თედო სახოკიას — და მასთან ერთად მის მეგობრებსაც — ეგნატე ნინოშვილს, შიო არაგვისპირელსა თუ ვასილ ბარნოვს — მოუხდა გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე.

პოლარული ღამის დადგომას კი, რა გასაკვირია, ყველაზე გულგატეხილი ადამიანიც შეეფიქრიანებინა და სრულიად ამაო მოსჩვენებოდა ყოველი ბრძოლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და კეთილგონივრულ პოლიტიკად ეღიარებინა მორჩილება და შეგუება.

— თედო სახოკია არ ეკუთვნოდა ამ კეთილგონიერი პოლიტიკოსების რაზმს.

რაოდენ უბრალოდ შეიძლება გამოითქვას აღტაცება პიროვნებითა და მის მიერ არჩეული გზით, ლეგენდაში გადასულთაგან რომ აღარც გამოგერჩევა.

არ ეკუთვნოდა კეთილგონიერთა რაზმსო...

დონ კიხოტი და... კეთილგონიერება?!

სამაგიეროდ, ეკუთვნოდა ილია ჭავჭავაძის რაზმს, მასავით აყოლიებული სიყრმიდანვე ქართველის ბედს.

პოლარული ღამე რასაც გულისხმობს, ძნელი ამოსაცნობი არ არის, მაგრამ გერონტი ქიქოძე მაინც გამოარჩევდა მის უმთავრეს ნიშნებს,რათა შთამომავლობისათვის კვლავ და კვლავ შეეხსენებინა ეპოქის ტრაგიზმი:

საქართველოს სახელი წაშლილია პოლიტიკური გეოგრაფიის რუკიდან;

ქართული ენა განდევნილია ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან, სასამართლოდან, საშუალო სკოლიდან;

ხელისუფლება ერთმანეთს უპირისპირებს ქართლ-კახელებს, იმერლებს, მეგრელებსა და აფხაზებს;

შემუშავებულია პროექტი, რომლის მიხედვითაც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ენა უნდა გაძევებულიყო სამეგრელოს ეკლესიებიდან, ხოლო დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწერები ამოღებულიყო პირველდაწყებითი სკოლების პროგრამიდან.

და თედო სახოკია უშიშრად და შეუდრეკლად რომ შეებრძოლებოდა ამ უკუღმართ პოლიტიკას, გერონტი ქიქოძე მისთვის ჩვეულ ღრმა და ტევად ფორმულაში ჩაწურავდა ცხოვრების ამ სტილის მნიშვნელობას:

— მისი დამსახურება ქართველი ერის მთლიანობის და თვითშეგნების განმტკიცებაში დაუფასებელია. და ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავისი უანგარო შვილის ამ ღვაწლს.

ამ ღვაწლის გამოისობით აღმოჩნდებოდა ციმბირის ციხე-გადასახლებაში, იქიდან თავდაღწეული, ხუმრობის გუნებაზეც რომ დამდგარიყო:

— თუ საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მეგობრების დახმარებით მიმოგზაურია, ციმბირში — რუსეთის მეფის ხარჯით.

ამ ღვაწლის გამოისობით ხვრეპდა ამჟამად ემიგრანტის მწარე ფიალას.

ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილი დღეაო...

ქართულ ანდაზებს აგროვებდა მთელი სიცოცხლე, ხალხური სიბრძნის სალაროდან ამ მარგალიტებსაც ჰკრებდა და არაერთ შეგონებაში იცნობდა საკუთარ თავსაც, ამა თუ იმ ამბავსა თუ ვითარებას რომ გაახსენებდა თავისი ცხოვრებიდან ხან მიახლოებით და ხანაც უჩვეულო სიზუსტით, მაგრამ ამ სენტენციის მსგავსი ანდაზა არსად მოიპოვებოდა ქართველი ხალხის სულიერ სალაროში...

თუმც არ მოიპოვებოდა აქამდე, თორემ ამიერიდან განა ეს შეგონებაც ძალდაუტანებლად არ მიემატებოდა ანდაზებს?! თედო სახოკია რა — ამ ხალხის შვილი არ გახლდათ და... გარ-

და სხვათა გონივრული თქმების შეგროვებისა, თვითონაც არ შეეძლო ახალი მარგალიტების შემატება?!

მერე რა, რომ თვითონ არ გაურევდა ამ ფრაზას რჩეულ ქართულ ანდაზათა ნაკრებში, არ ცნობდა ღირსად, ანდა, უბრალოდ, მოერიდებოდა... ჩვენი მხრივ ხომ შეგვიძლია მივუმატოთ სილამაზისა და სიბრძნის იმ სამყაროს,ქართული ანდაზები რომ დარქმევია, და უსათუოდ რომ აკლია ეს სენტენცია, ბელგიის დედაქალაქში დაბადებული, ეროვნული და სოციალური ბრძოლებით სახელგანთქმულ ბრიუსელში, ოღონდ ქართულ სამოსელში გამოწყობილი:

— ემიგრანტისთვის, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა სტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილი დღეა.

დაე შეუცვალონ სამოსელი და, გარდა ფრანგულისა, სხვა ენებზეც აამეტყველონ, რომელთაგან ზოგიერთს თედო სახოკია ზედმიწევნითაც ფლობდა და კიდეც წაახმარდა ხელს ამ ანდაზის სრულფასოვან, შთამბეჭდავ გადატანაშიც, შეგონებად რომ მიეჩნია და არა ღრმა, გაუნელებელი ტკივილის ძალდაუტანებელ გამჟღავნებად, რაც ალბათ არც მოხდებოდა, გერონტი ქიქოძეს საგანგებო ყურადღება რომ არ მიექცია მისი ტაბელ-კალენდარისათვის და კიდეც არ „ჩასაფრებოდა“ ცნობისწადილით ატანილი: ნეტა რა დროიდან მიიჩნევს დღეს უკვე ჩავლილადო.

თურმე... თვალს გამოახელდა თუ არა ზმანებიდან.

ემიგრანტული თეორია ასეთ შეგონებას არ იცნობდა?

როსტომ წერეთლის იმ ცნობილი სენტენციისა არ იყოს, თარგმნონ, მოიმარჯვონ ხოლმე თედო სახოკიას ანდაზა და... თეორიაც ეგ იქნება!..

ახალგათენებული დღე — უკვე განვლილი დღე.

„მზად არის, სიცოცხლის დღები შეუმოკლდეს, ოღონდაც საქართველოში დაბრუნებას ელირსოს!..“

და გერონტი ქიქოძისათვის ახლა უნდა გამხდარიყო ცხადიც და გასაგებიც ძველ ათენელთა სამართალი, რომლის მიხედვითაც სამშობლოდან გაძევება და სიკვდილი თანაბარ სასჯელად მიიჩნეოდა.

ხომ ასე გააოცებდა გერონტის თედოს ეს თითქოსდა უცნაური, მაგრამ თურმე რაოდენ ღრმააზროვანი საქციელი, და არანაკლებ აოცებდა მის მეგობართა უფართოესი წრეც — მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იშვიათად შეხვედროდა ადამიანი, ვისაც ამდენი მეგობარი ჰყოლოდეს, რაც ამ კოლორიტულ პიროვნებას, თანამედროვეობის ყველა გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან რომ აკავშირებდა პირადი ურთიერთობა თუ მიმოწერა; და წინასწარვე ივარაუდებდა გერონტი, იმისი კერძო წერილები და მოგონებანი რაოდენ საგულისხმო მასალის მომცველი იქნებოდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად.

მაშინ კი, საზღვარგარეთ გაღწევამდე მცხეთის სადგურზე პლატონ მიქაბერიძეს რომ უვნებლად დააღწევდა თავს, გუნებაში გადაწყვეტდა, რომ ასეთი კაზუსი მეტი აღარ მოსვლოდა, თორემ კოკა ყოველთვის წყალს რომ ვერა ზიდავს, თუ ვინმეს, თედო სახოკიასაც ჩინებულად მოეხსენებოდა.

კუპეში თედოსა და მის თანამგზავრს ერთი ახალგაზრდა კაციც რომ დახვდებოდათ, გიორგი ჩიჩუას ნაცნობი აღმოჩნდებოდა — ქუთაისის მეძებარი პოლიციის აგენტი,ვიღაც ბოროტმოქმედს რომ გამოსდევნებოდა და გორში კი კვალი დაეკარგა. გიორგის შეეშინდებოდა, ვაითუ შენ გეძებსო, — მაგრამ ეს დაამშვიდებდა: მე მაღლა საწოლზე დავწვები და ვეცდები დავიძინო ან თავი მოვიმძინარო, შენ კი, თუ გინდა,ელაპარაკეო.

გორიდან ხაშურამდე მხოლოდ ამ ქალაქში გამოვიდოდა ვაგონიდან თედო, რათა სოხუმში შეეტყობინებინა ოჯახობისათვის, ბათუმში დახვედროდნენ. მერე კუპეში შებრუნებული მაღლა რომ დაწვებოდა, აღარც გაიჩუჩუნებდა, თუმც რული არც გაეკარებოდა.

პოლიციის აგენტს ეჭვიც არ გაჰკრავდა, მის კუპეში ციმბირიდან ოტებული კაცი თუ იმყოფებოდა, თორემ მისი დაჭერა ქუთაისიდან გამოდევნებული ავაზაკის დაჭერაზე ნაკლებ ბიჭობაში არ ჩამოერთმეოდა და შესაფერისი ჯილდოც არ ასცდებოდა.

და ღიმილი გაკვესავს თხრობას:

— მაგათაც ყოველთვის როდი სწყალობს ბედი!

რიონის სადგურზე აგენტი ჩამოშორდებოდათ, სამტრედიაში კი გიორგი გამოეთხოვებოდა, გზას დაულოცავდა და ეტყოდა:

— ამაღამ ორ ხიფათს ზედიზედ გადაგარჩინე და ახლა შენ იცი, თუ როგორ გახვალ ფონს.

კუპეს რომ გამოიცვლიდა, მოექცეოდა ერთი რუსი სამხედრო გენერლის პირდაპირ.

„რა არის, ამ გზაში რა დამეკვება მაინც ეს სამხედროებთან ერთად მოგზაურობა!.."

გამოცდილება, სიცილით გასახსენებელი თავგადასავალი წაათამამებდა და თავისუფლად გაუბამდა საუბარს... ეკონომიკაზე. აღტაცებით ორივე აღტაცებული დარჩებოდა მიდამოების თვალიერებით და ვერც გაიძლობდნენ თვალს ბუნების მშვენიერებით.

„ფეერიულია, ფეერიული, ფეერიული" — რეკავს თედო სახოკიას გული, და თუმც გენერლის გულს ამისა და ამგვარების ჩამორეკვა არ შეუძლია, თავის სამყოფს ისიც ხომ განიცდის. ძალიან კი მოსწონს და...

აგერ ბათუმიც.

და გენერალი ისე გამოეთხოვებოდა, როგორც დიდი ხნის მეგობარს.

ამ ქალაქიდან ექვსი თვის წინათ გაუყენეს რუსეთისა და მერე უკვე ციმბირის გზას. კოკისპირული წვიმა გააცილებდა და გადაბრდღვიალებული მზე შემოეგებებოდა. ჯიქურ, თამამად მიაბიჯებს ქალაქის გამგეობისაკენ, სადაც ხვდება პარტიულ ამხანაგებს, მაშინ ფეხებში ბორკილგაყრილი რომ გააცილეს, საგზალი გადასცეს და გზა დაულოცეს.

აგერ თუ არ გამოელო ნაყოფი იმათ ლოცვას.

თედო მოსაყოლს მოკლედ უამბობდა, გამოსაკითხსაც გამოიკითხავდა და მისამართსაც გამოართმევდა თავისი მოკეთისა და მეგობრის მიშა წულუკიძისა, ვისთანაც უნდა დარჩენილიყო რამდენიმე დღე და ვისთანაც უნდა ჩამომხტარიყო მისი ოჯახობაც.

ოჯახობა კი ჩამოუვიდოდა, მაგრამ იქ ერთ ღამეზე მეტს ვერ გაატარებდა, რაკიღა დიასახლისს თავ-ტანს დაუკარგავდა მის ჭერქვეშ ციმბირიდან გამოქცეული კაცის ყოფნა. წამდაუწუმ

მოელოდა პოლიციის თავდასხმას, მკითხავსაც კი მოინახულებდა უახლოესი მომავლის გასაგებად და ქმარსაც შეუჩნდებოდა: ოჯახს ნუ დავღუპავთო.

მიადგებოდა ძველ მეგობარს, საბაჟოს მოხელეს — ილია გვარამაძეს, რომლის შემწეობითა და მხურვალე მონაწილეობითაც თითქმის თავისუფლად გადმოჰქონდა ხმელეთზე პარიზიდან „პაკესა“ და „მესაჟერი მარიტიმის“ გემებით ჩამოზიდული „საქართველოს“ ნომრები და სხვა არალეგალური გამოცემანი. სიხარულით კი დახვდებოდა ცოლ-ქმარი, მაგრამ არ გაივლიდა ნახევარი საათიც, რომ ეწვეოდათ ისეთი სტუმარი, რომელიც შინ თედოსნაირი კაცის შეშვებისათვის ხეირს არ დააყრიდათ. ვიდრე ის იქ იმყოფებოდა, თედო საჭირო ოთახში გამოიკეტებოდა...და თუმც მშვიდობიანად გადარჩებოდა, მისი ამ ოჯახში გაჩერება შეუძლებელი შეიქნებოდა. ახლაღა მიაქცევდა ყურადღებას, რომ მისი მეგობრის ბინა საბაჟოს შენობაში მოთავსებულიყო და ათასი ჯურის ადამიანიც ირეოდა შიგ. მაინცდამაინც გარდუვალ ხიფათს ხომ არ უნდა დალოდებოდა?!

ახლა ვასილ ბერეჟიანს მიადგებოდა კარზე, პარტიულ მეგობარსა და თანამოსაგრეს, 1905 წლის რევოლუციის დროს — სტუდენტ-მედიკოსს, აწ უკვე გაექიმებულს, ნორიოში რომ დაბინავებულიყო და კერძო პრაქტიკისათვის მიეყო ხელი.

რაო, რას აფრთხილებდა მარჩიელი, რა საშიშროებას უნდა ელოდეო?

მაგრამ არც პოლიცია მიადგებოდა კარს და აღარც პოლიცმეისტერი.

ამასობაში მისი მეგობრები ბეგებს გარევდნენ ამ საქმეში, მათგან კი ერთი — გვარად ლორთქიფანიძე — ყველაზე მეტად გამოიდებდა თავს და ჩააბარებდა ერთ გონიოელ ლაზს, ცნობილ კონტრაბანდისტს და გაწაფულს ოსმალეთში ისეთი ხალხის გადაყვანაში, ნიკოლოზის მთავრობისადმი ლოიალური განწყობილებით რომ არ გამოირჩეოდა და მის სახელმწიფო საზღვრებში არ ეცხოვრებოდა.

ის ხოფამდე ჩააცილებდა სამ თუმნად, მერე კი თედოს თვითონვე უნდა მიეხედა საკუთარი თავისათვის.

ამისი წინასწარი თადარიგი ის იქნებოდა, რომ შეიძენდა ოსმალურ ფესს, რათა იქაური იერი მიეღო, დაიქირავებდა ფაეტონს ჭოროხამდე, ჩაისვამდა გამცილებელს და ერთ მშვენიერ დილას (გამოთქმად მოიშველიებს, თორემ მართლა მშვენიერი იქნებოდა თუ არა, გზა გამოაჩენდა!) გასწევდა გონიოსაკენ. იქ ხიდი რომ არ დახვდებოდათ, ნავით გადავიდოდნენ მეორე ნაპირას, მერე კი ოთხ-ხუთ კილომეტრს ფეხით შეუყვებოდნენ.

თედო არხეინად, უშიშრად გრძნობს თავს, თითქოს სასეირნოდ და დროის გასატარებლად მიეშურებოდეს.

ჟიგალოვოდან წამოსულს, როგორც ჩანს, თანდათან გაჰქრობოდა შიშის გრძნობა, იმდენი მღელვარება გადაეტანა, განცდები მოსჩლუნგებოდა, თანაც ცოტაღა რჩება სამშვიდობოზე გასაღწევად და თავს იმხნევებს. ასე ჩაუვლიდნენ გონიოს ციხეს — წინათ ქალაქად გაშლილს, აწ გასოფლებულს. გამცილებელი თავის სახლში რომ შეუძღვებოდა, წამდაუწუმ გავიდოდა გარეთ, რათა ჰავის ცვალებადობისათვის მიედევნებინა მზერა.

— ზურგქარი თუ არ დადგა, გასვლა არა ღირს!..

ამ მხრივ გაუმართლებდათ.

და დილაადრიან ჩაიყვანდა ზღვის პირას, სადაც უკვე მომდგარიყო ერთანძიანი ნავი და გვერდითაც ორი მენავე ედგა. გამცილებელი ამათთან დააყენებდა თედოს, თვითონ კი გასწევდა ასიოდ მეტრში მდგარი ყაზარმისაკენ, საიდანაც ჯარისკაცები თვალყურს ადევნებდნენ, რათა არც დაუბაჟავი საქონელი შემოეტანა ვინმეს და არც უპასპორტოდ გადასულ-გადმოსულიყო ხალხი, მაგრამ... წინასწარი მოლაპარაკება პოსტის უფროსთან ნიშნავდა, რომ ყველაფერზე თვალებსაც დაიბრმავებდნენ და მებაღის ყურებსაც გამოისხამდნენ.

ათ წუთში დაბრუნდებოდა გამცილებელი და მოიტანდა ბარათს, სადაც ეწერა: ნავი გადის სათევზაოდ და შიგ ზის სამი მეზღვაურიო. ამის საფასურად პოსტის უფროსს კონიაკს დაჰპირებოდა და თედოც მაშინვე გაიკრავდა ჯიბეზე ხელს ამ თანხის დასამატებლადაც.

ნავში ჩაჯდომამდე თვალს მოჰკრავდა ავგაროზს, რომელიც ნავის თავში ჩამოეკიდათ.

„ასეთ ავგაროზს ხომ პატარაობისას ძიძა გვიკიდებდა მე და ჩემს ძიძიშვილებს ყოველი მავნე თვალების პატრონისაგან დასაფარავად?!.“

და უნებურად ჰკითხავდა მენავეს:

— ეგ რიღასთვის გიკიდიათ?

— ეგ, ბატონო, — აუხსნიდა ის, — ავი თვალისა და მავნესაგან იფარავს ნავსა და შიგ მსხდომთ, იგივე ჰფარავს ნავს ზღვის ღელვისა და ყოველგვარი დაზარალებისაგან. თქვენც ნუ გეშინიათ შიგ ჩაჯდომისა.

ჯერ ისედაც არ შეეშინდებოდა და ახლა — მითუმეტეს — მთლად მეზღვაურად მონათლულიყო. თანაც ხამად სულაც არ გახლდათ — სოხუმში ხოფების მოსმა რომ ესწავლა, აქ გამოადგებოდა, იმათთან ერთად თვითონაც რომ მოუსვამდა ხოფებს და... ჰაიდააა!..

ასე ორას მეტრს რომ გაივლიდნენ, ერთი მენავეთაგანი, რომელმაც იცოდა, გასაპარებელი კაცი რომ მიჰყავდა და არაერთი აქამდეც გაეპარებინა, მხიარულად ეტყოდა:

— აწი ნურაფრის გეშინიათ, ბატონო, სათათრეთში გადავედით.

ჩემისთანა არა ერთი და ორიო, — თედო რომ აღნიშნავს, აუცილებლად უნდა შევუსწოროთ: არა ერთი და ორი ნამდვილად, მაგრამ თედოსთანა?! სად გვყავდა ასე უხვად თედო სახოკიასთანები!..

რას წარმოიდგენდა ოდესმე, სათათრეთის ხსენება ასე თუ გაახარებდა და კინაღამ გადაეხვეოდა ამ სიტყვების მთქმელს!..

იმ განცდას პირველქმნილი სიცინცხალით რომ შემოინახავდა სიცოცხლის ბოლომდე, ასე ეგონებოდა: ახლა დავიბადე და თავისუფლება ამ ლაზმა მომანიჭაო.

„დაბადებამდელ“ ხანაში კი ტოვებდა: ციხეს, ბორკილებს, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებათა ფეხქვეშ გათელვას, ტირეტელ ურიადნიკს, ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეობის პრეტენდენტს... და შედიოდა ევროპის თავისუფალ ქვეყანაში თუ არა, მის კარიბჭეში ხომ მაინც...

— ბედის დაცინვა იყო რუსეთისათვის, მა რა უბედურება იყო!..

ამასობაში ზურგქარსაც უნდა დაებერა, მენავეებს გაეშალათ ანძაზე დაკიდებული იალქანი, ქარი მძლავრად რომ მოაწვებოდა და სწრაფად გააქანებდა ნავს.

ეს ორნი — თედო და მეზღვაური — ხოფებს დააწყობდნენ.

მესაჭე საჭეს მოჰკიდებდა ხელს, მეორე მენავე კი შორიახლო ჩამოუჯდებოდა და პაპიროსებსაც გაირჭობდნენ პირში. ამასაც შესთავაზებდნენ, მაგრამ თედო იუარებდა: არ ვეწევიო.

ნავი ნაპირის დაშორებით მისრიალებს დამშვიდებულ ლურჯ ზღვაზე, ალისფრად რომ ალაპლაპებს კარგად ამოზიდული მზე. თედო საამურ ტყიან ნაპირთა ცქერად გადაქცეულა, მომხიბლავი სურათი სურათს ცვლის და არ უნდა თვალი მოსწყვიტოს.

ასეთი ჩანართები თუ გადახვევანი საერთოდ კი ნიშანდობლივია თედო სახოკიას თხრობის მანერისათვის, მაგრამ აქ გული გიგრძნობს, რომ იგი კიდევ საგანგებოდ ანელებს თხრობის დინებას და ქმნის იდილიურ სურათს, რათა მკვეთრი იყოს ის კონტრასტი, რაც უეცრად უნდა შემოიჭრას თხრობაში და თედომაც დეტალურად უნდა აღადგინოს მენავეთა საუბარი, თანაც არა მესამე პირში, არამედ დიალოგის სახითვე.

ამხელა დიალოგი ციმბირულ დღიურში აქამდე არც გეხვდება, არამცთუ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში, სადაც მენავეთა საუბარი ცოტა შემოკლებულია, თუმც თედო სახოკია ხელიდან ვერ გაუშვებდა შემთხვევას, ეს მეტად მღელვარე და ამაღელვებელი პასაჟი ერთხელ კიდევ არ გაემეორებინა.

მცირე პიესაა ჩადგმული თხრობაში?

თუ უფრო — ნოველა დიალოგებად?

დამოუკიდებელი მნიშვნელობაც კი ენიჭება და თედო სახოკიაზე პიესა თუ დაიწერება ოდესმე, მონტაჟის ტექნიკის გამოყენებისას დრამატურგს პირდაპირაც შეუძლია მისი გადატანა პიესის ქარგაში, მითუმეტეს, თუ პოსტმოდერნისტობაზეც დადებს თავს.

ხომ ასე ჩაფლულა თედო ბუნების სურათთა ცქერაში, გულსულწაღებული გარშემო სხვა ვერაფერს რომ ველარ ხედავს და არც არაფერი ესმის, მაგრამ მენავეები ისე მიაშტერდებოდნენ

და მუშტრის თვალით დაუწყებდნენ სინჯვას, გული უგრძნობდა რაღაცას და მზერას აქეთ შემოატრიალებდა, მდუმარებით დაძაბული თანამგზავრებისაკენ, რაღაც არცთუ სასიკეთოს რომ ხლართავდა მათი გონება.

დუმილი მესაჭეს უნდა დაერღვია,მეორეს ლაზურად რომ ჰკითხავდა, დაიმედებული, უცხო კაცი ჩვენი ენისას რას გაიგებსო:

— ნეტა ვინ უნდა იყოს?

— ვინ იქნება?! გამოქცეული ვინმე, ყაჩაღი, — მეორეს ეჭვიც არ შეეპარებოდა თედოს ავკაცობაში, რადგანაც აქამდე სულ ყაჩაღები გადაჰყავდა მალულად.

მესაჭე გულდასმით რომ შეათვალიერებდა თედოს, მისი ტანმორჩილობა მაინცდამაინც ვერ აფიქრებინებდა, ავაზაკი უნდა იყოსო, და თანამგზავრს გაუტრიზავებდა ნათქვამს, მაგრამ ის თავისას დაიჟინებდა: იქნებ კაცისმკვლელიაო.

ის პირველი თავს შეიკავებდა გადახარხარებისაგან და კოლეგის გონზე მოყვანას შეეცდებოდა: ამის მოკლული კაცი ხელახლა მოსაკლავი იქნებაო.

მაგრამ მეორე მოაგონებდა, რომ რუსეთის ფადიშაჰს ხალხი ასჯანყებოდა და მდაბიორებს ტახტიდან მისი ჩამოგდება მოენდომებინათ, გეყოფა, რაც იმეფე, ახლა ფუხარა ხალხი უნდა ჩაუდგეს ყველაფერს სათავეშიო.

— იცი, რა მგონია: ეს კაცი დუშმანი უნდა იყოს მოსკოვის ფადიშაჰისა, თავის სახელმწიფოში არ ედგომება და ამიტომ უნდა გადმოიხვეწოს თურქეთში!.. რას იტყვი, ჭკუას ახლოს არ არის?!.

არადა, როგორ გინდა დაარწმუნო ის ადამიანი, ვისაც რუსთხელმწიფის დუშმანად ორმეტრნახევრიანი ბუმბერაზი თუ წარმოუდგენია და არა ეს ვიღაც საშუალოზეც ნაკლები აგებულების კაცი.

— ვაი რა ვუთხრა იმ ფადიშაჰს, ვისაც ამისთანა დუშმანის შეეშინდება ან ვისაც ეს კაცი რასმე დააკლებს?!

თედოს გუნებაში ეღიმებოდა, ვერც ერთი კატეგორიის ავისმოქმედს რომ ვერ მიაკუთვნეს და ეს აწუხებდათ: ნაირნაირი ადამიანი ენახათ, გამოცდილება უკვე ადვილად ამოაცნობინებ-

დათ ხოლმე მათ ბუნებასაც და ვინაობასაც, მაგრამ აგერ თედო სახოკიას გამოცნობა რარიგ გასძნელებოდათ, თავს იმტვრევდნენ, მაგრამ ამოცანა მართლაც გამოსაცნობად ურჩებოდათ.

მაგრამ ღიმილი იქვე უნდა ჩაუკვდეს, როდესაც მესაჭის სიტყვებს მოისმენს: ასეა თუ ისე, რაკიღა გამოქცეულია, ფულიც ექნება და შესაძლოა — ბევრიც... მოდი, წავართვათ და მერე ზღვაში გადავაგდოთ... ხახვივით შეგვრჩებაო.

და წამაქეზებლად მიაჩერდებოდა მეორეს.

ვაი შენს თედოს, რას გამოქცეული სად შეიძლება დაღუპულიყო!.. ისევ თავის ბედს თუ მიენდობოდა, ამაზე უარეს განსაცდელთაგან რომ დაეხსნა აქამდე და ამჯერადაც არ უნდა გაეწირა. ისე, სხვა რა დარჩენოდა, მოთმინებით თუ არ აღიჭურვებოდა.

„ვნახოთ, რითი გათავდება მათი ბაასი“.

ისე, ვაითუ მათი ბაასის გათავებასთან ერთად... მისი სიცოცხლეც გათავებულიყო?! და ცოტა დაამშვიდებდა იმ მეორის შემოკამათება: ეს როგორ შეიძლება, რა პასუხი გავცეთ ან იმას, ვინც ამის თავი ჩაგვაბარა, და ან იმ ბეგებს, ვინც სანდლის პატრონს სთხოვეს ამ კაცის გაყვანა ოსმალეთში? ხომ შევრცხვით და თავი მოგვეჭრაო?!

ჯერ კი ეწინააღმდეგება, მაგრამ კამათი თუ გაგრძელდა, ვინ იცის, მესაჭემ უფრო წაიყვანოს თავის ჭკუაზე და... თედო უეცრად ზღვის ფსკერზე აღმოჩნდეს?!

მისგან სიჩუმე აღარ ეგებოდა, აუცილებლად უნდა ჩარეულიყო, ოღონდ ისე, რომ არც გაეგულისებინა და არც დაეეჭვებინა, ემანდ არ გაგვცეს, გაძარცვასა და მოკვლას რომ ვუპირებდითო.

ნავი ნაპირთან სულ ახლოს მიცურავს და თედოს თვალწინ ამოზიდულა ფერდობზე შეფენილი სოფელი, სამეგრელო-გურიის მთაგორიანი ადგილის სოფელივით.

და თანამგზავრებს მეგრულად უნდა ჰკითხოს სრულიად მშვიდად და აუღელვებლად:

— ხოფამდე ბევრი გვიკლია ან ეს რა სოფელია?

და კიდეც გამოეხატებოდათ უშველებელი განცვიფრების ნიშანი სახეზე ერთსაც და მეორესაც და ხან თედოს შემოხე-

დავდნენ, ხანაც ერთმანეთს დააკვირდებოდნენ... და თედოს ისეთი შეგრძნება გაუჩნდებოდა, თითქოს გულში ნანობდა კიდეც: ეს რა მოგვივიდა, ამ კაცთან როგორ შევრცხვითო!..

ერთხანს კრინტსაც ვეღარ დაძრავდნენ.

როდის-როდის ისევ მესაჭე დაარღვევდა სიჩუმეს:

— შენ საიდან იცი ჩვენი ენა?

— საიდან და, მეგრელი ვარ... მეგრული და ლაზური ხომ ერთი და იგივეა? — აუხსნიდა.

— მართალია, ერთი და იგივეა, — ლინგვისტური ექსკურსი აღარც დასჭირდებოდა მესაჭეს, რაკილა ყოველივე ესმოდა თედოს ნაუბარიდან, მაგრამ მაინც დააზუსტებდა: ჩემი ნათქვამიდან ყველაფერი გაიგეო?..

თედო უკვე ნაპირზე და სამშვიდობოს რომ ყოფილიყო, აუცილებლად გაეხუმრებოდა: ყველაფერი გავიგე, გარდა იმ სიტყვებისა, მოკვლასა და ზღვაში გადაგდებას რომ მიპირებდითო, — მაგრამ ნავში მენავესთან ჩხუბი თუ ირონიული ლაპარაკი რომ არ შეიძლება, ანდაზაც შეაგონებდა, ამიტომაც დიპლომატიური ლაპარაკი ჯობდა.

ყველაფერი გაიგო, რომელია, სიტყვაც არ გამოჰპარვოდა.

მაშ რას ფიქრობდა? რა აიმედებდა?

რა და:

იმ კაცისათვის, ვისაც არც ყაჩაღობა შეეძლო, არც კაცისკვლა გამოუვიდოდა ხელიდან და, მითუფრო, ვერ გაუწევდა მოსკოვის ფადიშაჰს დუშმანობას, ხელს არ გაისვრიდნენ. განა თედომ ვერ შეატყო, რომ ხუმრობდნენ?! ფულს თუ აგულებდნენ, 15 მანეთის მეტი არ გააჩნდა და აქეთ უფრო დაუმატებდნენ თანხას, ვიდრე იმ საცოდავი 15 მანეთის წართმევას იკადრებდნენ.

გულით რომ სწადიათ მისი ვინაობის გაგება?

დასამალი რა აქვს — არც კაცი მოეკლა თავის დღეში და არც ვინმესთვის წაერთმია რამე. მოსკოვის ფადიშაჰის მტრობა კი ჩაედო გულში და არც მოეშვებოდა, ვიდრე პირში სული ედგა. სწორედ მისთანები იყვნენ, ამ ფადიშაჰს მტრებად რომ ჰყავდა და ძილსაც უფრთხობდნენ.

ამოიგმინავდა მესაჭე: თქვენი ჭირიმე, ჩვენი კაცი ყოფილხართ და ძალიან გთხოვთ, გვაპატიოთ ჩვენი ხუმრობა. ბეგებს არაფერი უთხრათ, თორემ თავი მოგვეჭრება, პატიოსანი სიტყვა მოგვეცით, შემოგვფიცეთო...

თედოც აიღებდა და მენავე ლაზებს შეჰფიცებდა, რაც გააჩნდა, ყველა საფიცარს, რომ მათ „ხუმრობას" არავის გაუმჟღავნებდა, განსაკუთრებით ბათუმელ ბეგებს.

მაგრამ აგერ საჯაროდ რომ გამოჰქონდა ეს ამბავი?

იმხანად არ უნდა გაემხილა, თორემ ოთხი ათეული წელი რომ ჩაივლიდა, ახლა უკვე შესაძლებელი იყო მემუარისტის კალმით გაცოცხლება იმ ეპიზოდისა.

მოსალოდნელია, რომ მზეს აღარ უცქერდნენ აღარც ის ბეგები, მენავე ლაზების მეოხებით ოსმალეთში რომ გააპარეს ციმბირიდან ლტოლვილი, და აღარც ის მენავენი, რომელთაც იკისრეს, რომ თავიანთი ნავით ნიკოლოზის სამეფოსათვის გაეცილებინათ.

საჯაროდაც დაიფიცებდა თედო მკითხველის წინაშე, რომ ტკბილად, მეტად ტკბილად იგონებდა მათ სახელსაც და თავისი შფოთიანი ცხოვრების ამ მცირე ეპიზოდსაც, რომელზედაც სხვა არა ითქმოდა რა, გარდა იმისა, რომ ელვის სისწრაფით მოანათა და ელვის სისწრაფითვე გაქრა...

მენავეები ნავს ნაპირს მიაყენებდნენ, ერთი ლაზური სოფლის პირდაპირ, და თითით მიანიშნებდნენ ორი კილომეტრის იქით:

— აჰა, შენი ხოფა, რაც გინდა, ისა ქენი!

თედო ვიდრე გზას დაადგებოდა, გადაწყვეტდა, დაეთვალიერებინა თვალწინ გადაშლილი სოფელი, მისი მოსახლენი — ლაზები... და ათასი ფიქრი რომ გაურბენდა თავში კალეიდოსკოპივით, ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა თავისი სიყრმე, როდესაც ლაზები ხუროებად მოდიოდნენ სამეგრელოში და, ზამთრობით აქ რომ რჩებოდნენ, მეგრელებთან ერთად ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ: ჭამა-სმა და ლაპარაკი ერთნაირი ჰქონდათ. ზოგიერთი ლაზი თავის ძველ მეგრულ გვარსაც იგონებდა...

ეს ლაზები მეგრელებს თავიანთ ნათესავებად მიიჩნევდნენ, ოღონდ შორეულებად. დღეს კი, როგორც მაჰმადის რჯულის

აღმსარებელნი, მტრებად და მოწინააღმდეგეებად რაცხდნენ... მაგრამ თედო რომ წამოიზრდებოდა და გააცნობიერებდა ლაზთა ვინაობასა და მეგრელებთან მათ ნათესაობასა და მკვიდრობას, ნატვრად გადაექცეოდა პირისპირ მათი ნახვა — მათი სამუდამო ბინის, მათი ოჯახის, მათი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

აჰა, ამისთანა ხელსაყრელი შემთხვევა კარზე მოსდგომოდა, მაგრამ... მაინცდამაინც მაშინ, როდესაც ხელფეხშებორკილად გრძნობდა თავს — ლტოლვილი და უსახსრო. და ეს დრამატული გარემოება არ აძლევდა ნებას:

— ჩვენი ძმები, ჩვენს გულმკერდს, ჩვენს მიწა-წყალს საუკუნოებით მოწყვეტილები თავისუფლად, შინაურულად მენახნა, მათს შორის დავტრიალებულვიყავ, მათს სულსა და გულს ჩავსწვდომოდი, საერთო ენა გამომენახა სალაპარაკოდ, მეძებნა ნიადაგი ჩვენს შორის ძველის გაწყვეტილის კავშირის აღდგენისა...

და კიდეც გაიტაცებდა ოცნება, რომ ეგებ მოსწრებოდა იმ დღეს, როდესაც დედა-საქართველოს გულიდან მოწყვეტილი სამოთხისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და გაწამებული მხარე — ლაზეთი — და მისი მკვიდრნი — ლაზნი — კვლავ დაუბრუნდებოდნენ სამშობლოს.

შეაბიჯებდა სოფელში.

ეს რა ხდება, რაღაც მანქანებით სამეგრელოსა თუ გურიის სოფელი ხომ არ გადმოტყორცნილა — ფიცრული სახლები, ხეებით სავსე ეზოებიანი... ხეებზე გასული ვაზები, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები. იქვე წყაროები, სადაც წყლის ამოსაღებად და კოკაში ჩასასხმელად მეგრულტარიანი ხრიკებია... მეგრული ლაპარაკი ქალებისა და ბავშვებისა... თედოს მისვლისას მამაკაცები ყანებში გასულიყვნენ სამუშაოდ, ასე რომ, უმამაკაცო ოჯახში შესვლა, როგორც არამაჰმადიანს, სათაკილოდ და საშიშრადაც მოეჩვენებოდა... თვალებით მიესალმებოდა იქაურობას და, ვიდრე რაიმე უსიამოვნება — და შესაძლოა დიდიც — შეხვდებოდა, ამჯობინებდა, დროზე გასცლოდა...

ოცნება გაიფანტებოდა.

ჯერ ხოფამდე იყო გასავლელი მანძილი, ზღვისპირა დაბამდე.

იქ მისულს მოაგონდებოდა, რომ აქ თუ არა, მის მახლობლად მაინც უნდა ყოფილიყო მისი ციხის ამხანაგი, ლაზი ახმეტ ბექირ-ოღლი, ვინც საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი იარაღის გადმოტვირთვაში მონაწილეობდა და, თედოს რომ დაატუსაღებდნენ, სოხუმის ციხეში ისიც დახვდებოდა. თედო შემთხვევას როგორ გაუშვებდა თუნდ ციხის კედლებში, რომ ლაზების ამბავი არ გამოეკითხა და მეგრელებისა და ლაზების ერთი შტოდან წარმოშობის, მათი ძმური განუყრელობის ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ არ შეემოწმებინა. ახმეტი ამაზე მეტს ვერაფერს ამცნობდა, ძველად ჩვენც მეგრელები ვყოფილვართ და ჩემი მაშინდელი გვარი ბაქრაძე იყოო.

ციხეში შესვლის მეორე დღესვე რომ განიზრახავდა კამერაში წერა-კითხვის უცოდინრობა აღმოეფხვრა, მოქალაქეები ხელად მიაწვდიდნენ „დედა-ენის“ რამდენიმე ეგზემპლარს, რვეულებსა და საწერ-კალამს, და მსურველებიც სწავლისა საკმაოდ აღმოჩნდებოდნენ, ამ სახელდახელო სკოლაში შეგირდობას ახმეტიც სთხოვდა.თედო სიამოვნებით დაუწყებდა სწავლებას და... თვალებს არ დაუჯერებდა, რომ სამ-ოთხ დღეში ეს ოცდაათი წლის კაცი, სხვა ენაზე უსწავლელი, ქართულ წერა-კითხვას მარჯვედ შეითვისებდა.

ერთ დღესაც სატუსაღოს ეზოში სასეირნოდ რომ გამოუშვებდნენ, ახმეტი კამერაში დარჩებოდა. თედო რომ დაინტერესდებოდა მიზეზით, ის პასუხად გაუწვდიდა რვეულს, რომელშიც ლაზური ტექსტი იქნებოდა ჩაწერილი მოკლე სახალხო ლექსისა.თედო ხმამაღლა რომ წაიკითხავდა, იმას ცრემლები წამოუვიდოდა და ხელზე კოცნასაც დაუპირებდა:

— აი, შენი წყალობით კაცი ვარ ახლა... ხოფაში რომ წავალ, თუ აქედან გამომიშვეს, იქ თავს მოვიწონებ, რადგან ქართულად წერა ჩემს მეტს სხვას არავის ეცოდინება... შენც უნდა მოხვიდე ჩვენთან ხოფაში — საზაფხულო ადგილებია, ციება სრულებით არ იცის.

ახმეტის მიმართ თედოს ეპითეტები არ დაეწანებოდა: ბუნების ნამდვილი შვილიო, უზადოო, გაურყვნელიო... მოიხიბლებოდა, რომ თანადროული ცივილიზაციისა არა მოსცხებოდა რა, და დაჰპირდებოდა, აუცილებლად გინახულებო.

რას წარმოიდგენდა, გადასახლებიდან გამოქცეულს თუ მოუხდებოდა მასთან სტუმრობა!..

სხვათა შორის, ახმეტი გაციმბირებამდე გამოექცეოდა პატიმრობას — როდესაც პოლიტიკურ ტუსაღებს სოხუმის დიდი ციხიდან მცირე სატუსაღოში გადაიყვანდნენ, ერთ დღესაც გული ამოუტრიალდებოდა, ძალიან მომენატრა ჩემი ხოფა, რომ არ წავიდე, მოვკვდებიო და... კიდეც შეასრულებდა დანაქადებს, მე აქ გამძლები აღარ ვარო.

თედოს გული დასწყდებოდა, როდესაც შეიტყობდა, ახმეტს ნაცნობი მენავის შემწეობით მოუხერხებია აქედან გაქცევაო: ნეტა მე რას ჩამტოვა ციხეში, ჩემთვისაც შემოეთავაზებინაო.

ახლა კი ახმეტის ადგილსამყოფელს რომ გამოარკვევდა, ხოფადან სამ თუ ოთხ კილომეტრში პატარა საყავე რომ ჰქონოდა, ქართულად მისწერდა ბარათს: აქ ვარ და მნახეო. და ის ბარათის მიღებისთანავე ისეთი ქუდმოგლეჯილი გამოვარდებოდა და თედოს ისე ჩაიკრავდა გულში, როგორც დიდი ხნის უნახავ ძმას...

— მეც შენსავით ვარ გამოქცეული, ოღონდ ცოტა უფრო შორი ადგილიდან და მანძილიც მეტი გამოვიარე, ვიდრე სოხუმიდან ხოფამდეა...

— ნიკოლოზს ჩვენ ვაჯობეთ, — პირს მოხსნიდა თავის საფიქრალ-საწუხარს მასპინძელი, — სულთან ჰამიდი ჩამოვაგდეთ ტახტიდან, რესპუბლიკა გვაქვს. ყველა გვეუბნება, თავისუფლები ხართო, მაგრამ ჩვენი ფუხარა ხალხისათვის არაფერი მოუტანია, მისი მდგომარეობა არ გამოკეთებულა.

მჭადი როგორც მაშინ უნდა ეშოვნათ გაჭირვებით, ახლაც ისევე გაჭირვებით შოულობდნენ.

გადასახადებსაც ძველებურად ახდევინებდნენ — ის კი არა, მოიმატებდა კიდეც.

ყველაფერი რომ ერთბაშად არა ხდება?

ამ იმედს ეკონინებოდა ახმეტიც და მთელი ღარიბობაც, დრო-ჟამი რომ გაივლის, ეგებ უკეთესობა დაგვეტყოს, დღევანდელი ჯოჯოხეთური ყოფა გამოიცვალოს და კარგი ბედიც დაგვიდგესო, მაგრამ... რაღაცას ხომ ახლავეც უნდა დაჩნეოდა სასიკეთო პირი.

ხვეწნით ბევრსაც შეეხვეწებოდა თედოს, შინ მესტუმრე, მიუხედავად სიღარიბისა, შენს საკადრის საჭმელ-სასმელს როგორმე ვიშოვნიო, — მაგრამ სად ეცალა საამისოდ, როდესაც საღამოს პატარა ორთქლმავალი გემი უნდა ჩამომდგარიყო ტრაპიზონიდან და მას წაჰყოლოდა, რათა იქ მოეხერხებინა რაიმე საქმის შოვნა და დარჩენაც, როგორც სამშობლოდან დასამხარ ადგილას.

ამ ქალაქში პარტიული ამხანაგი რომ ეგულებოდა, მემედბეგ აბაშიძე, იმისი ეიმედებოდა, ნიკოლოზის მთავრობას ბათუმში რომ არ დაეყენებინა და ტრაპიზონში იძულებით გადახვეწილიყო. ხოფადან გასვლის წინ ტელეგრამით შეატყობინებდა, მოვდივარო, და სთხოვდა, ნავსადგურში დახვედროდა.

გემის მოლოდინისას უეცრად გამოეცხადებოდა აქაური ხელისუფლების წარმომადგენელი (ჩვენებურ ბოქაულს რომ მიამგვანებდა) და ჰკითხავდა ვინაობასა და საითმიმავლობას.

ეს კაკაბაძედ გაასაღებდა თავს.

იმას თურმე შინებია, სომეხი არ იყოსო, თორემ თედოს მიერ გაგზავნილი ტელეგრამის შინაარსი უკვე სცოდნოდა. ეგაა, ეფიქრა: მე რატომ დავიჭირო, თუ დასატუსაღებელია, ტრაპიზონში მიხედონო. და ტელეგრამით უცნობებია, ცოტა საეჭვო კაცი მოემგზავრება თქვენკენო.

დილის 7 საათზე რიზეს რომ მიადგებოდნენ, ისე როგორ იქნებოდა, თხრობისას თედოური პასაჟი აქაც არ გამორეულიყო, აქაურობას რომ შეჰყურებდა, ფორთოხლისა და ლიმონის ხეებით გადაფენილ მშვენიერ სანახებს, ამ ფიქრსაც მიადევნებდა: ორივე ეს ხილი აქ ისევე მოჰყავთ, როგორც ჩვენში ვაშლი. სიცივე და ყინვა არ იცის, მაშასადამე, ეს ხეები თავს სავსებით საკუთარ სამშობლოში გრძნობენ, იტალია-ესპანეთისა არ იყოსო.

მემედ-ბეგ აბაშიძე ნავით შემოეგებებოდა ამ გამამხნევებელი სიტყვებით:

— ნუ გეშინის, რესპუბლიკაში ვართ!..

ნავიდან გადმოსულს საბაჟოს მოხელე რომ დაუხვდებოდა და პასპორტს მოსთხოვდა, თედო განგებ იუცხოებდა:

— რესპუბლიკაში კაცისათვის პასპორტის მოთხოვნა სად გაგონილა!..

მოხელეც იქნებოდა, ამგვარ პასუხზე წამოგებულიყო, და თავისას დაიჟინებდა.

თედო სახოკიას სად ებადა პასპორტი, რომ მიეწოდებინა და ამდენ ლაპარაკს აშორებოდა...კიდევ კარგი, მოხელე თუმნიანის გადახდევინებას იკმარებდა.

დაბინავებით ერთადერთ რიგიან სასტუმროში დაბინავდებოდა, ქალაქის შუაგულში — „შეფეთ ოტელად" სახელდებულში, ერთადერთი ბაღი მას რომ ეკრა.

მდებარეობა კი საუცხოო აღმოაჩნდებოდა, მაგრამ ტყუილუბრალოდ დაუწყებდით ძებნას იმას, რაც ევროპულ ქალაქს უეჭველად მოეთხოვება — მოკირწყლულსა და დაგეგმილ ქუჩებს. აქ არავინ იცოდა, რა იყო წიგნთსაცავი, თეატრი, ცირკიც კი... ან სუფთა რესტორანი სად უნდა გეპოვნა, ანდა ელექტრონით განათებული ქუჩა... არც ქარხანა სადმე, არც მრეწველობა. ერთადერთი აბანო მოეძევებოდათ, აღმოსავლური მექისეებითურთ, საამისოდ შავშელები და იმერხეველები რომ შეერჩიათ, სულ დარჩეული ბიჭები. და თედოს ისე შეელახებოდა ეროვნული თავმოყვარეობა, როდესაც შეიტყობდა, რომ ტრაპიზონელთათვის აბანო ერთგვარი დიდი ოჯახიც გახლდათ და... ქალების როლს მექისეები ასრულებდნენ.

ოდესღაც ტრაპიზონს ლაზური ქალაქიც რომ ერქვა, ახლა ძალიან დაცოტავებულიყვნენ ლაზები, დაწრეტილიყვნენ და რაღაც უმნიშვნელო როლსღა თამაშობდნენ, წვრილი მევაჭრეობის იქით გასაქანი რომ აღარც გააჩნდათ და დაჩაგრულებად გრძნობდნენ თავს, სუფრის ბოლოს გდებულებად.

რაკიღა ოსმალეთის იმპერიალიზმი სხვა ეროვნებას არა ჰგუობდა, თვით ლაზებიც კი დაიწყებდნენ დამალვას საკუთარი ვინაობისა, ლაზობა და ლაზური ლაპარაკიც რომ ერცხვინებოდათ უკვე. და ინტელიგენტი ხომ მათ შორის ძლიერ გაიშვიათდებოდა.

ასეთს თედო ერთადერთს შეხვდებოდა, ვეტერინარს, ვისაც კიდევ ჰქონდა შეგნება, რომ ქართველის ჩამომავალი გახლდათ და ქართველთა ისტორია იმავე ლაზთა ისტორია იყო.

საუბარს ფრანგულის მეშვეობით მოახერხებდნენ, და კიდევ — ცოტაოდენი ლაზურისა. ის სთხოვდა თედოს მისამართს

ისეთი დაწესებულებისა, საიდანაც შეძლებდა წიგნების გამოწერას ჩვენი ძველი ცხოვრების შესახებ. თედო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე მიუთითებდა და ვეტერინარი კიდეც გამოიწერდა, რაც რამ მოგვეპოვებოდა ფრანგულ ენაზე მისი გამოსაყენებელი.

ისე, თედოს იქ ჩასვლა მეორე დღესვე ეცოდინებოდა მთელს ქალაქს.

პროვინციული ქალაქი ჯერ საერთოდაც და მერე — ოსმალეთისა...

და ერთ დღესაც ვალის, ანუ იქაური გუბერნატორის კანცელარიაში დაიბარებდნენ.

ბარემ არ ესიამოვნებოდა, მაგრამ რას იზამდა. ეახლებოდა და ფრანგული ენის თარჯიმნის მეშვეობით გამოჰკითხავდნენ ვინაობას, სადაურობასა და მიზეზს ტრაპიზონში დაბინავებისა.

ეს მთელს თავის მჭევრმეტყველების უნარს მოიშველიებდა, რათა იქაური ხელისუფლება დაერწმუნებინა, ჩემი ზრახვანი ოსმალეთის ახალგაზრდა რესპუბლიკის მიმართ სავსებით მშვიდობისმოყვარულია, სულითა და გულით ვნატრობ მის აღორძინებას და, რითაც შემეძლება, მზად ვარ, ხელი შევუწყო მის პოპულარიზაციასა და განმტკიცებასო.

ამ თარჯიმნის შემდეგ დაალაპარაკებდნენ მეგრულად ერთ ლაზ ქითაბჩისთან (ჩვენებურად: კანცელარიის მოხელე) და ის თედოს ორატორობაზე უკეთესადაც დაამშვიდებდა ყველას. აღმოჩნდებოდა, რომ სომეხი ჰგონებოდათ, მათ წინააღმდეგ მოქმედი და მოღალატე. მერე თედოს ნაცნობი გავლენიანი პირნიც ჩაერეოდნენ საქმეში და ტრაპიზონის ხელისუფლების წარმომადგენელი და თედო თითქმის მეგობრულად განშორდებოდნენ ერთიმეორეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფეხი როგორღა მოეკიდებინა გარემოში, სადაც ცხოვრება სულ მიმკვდარებულიყო და მაჯისცემა ოდნავღა ეტყობოდა. ინტელიგენტს, თანაც გარეშეს, აქ რა საქმე შეიძლება ეშოვა, არსებობისათვის რა წყაროს გაიჩენდა, როდესაც ევროპული ენების ცოდნაც ვერაფერს, სრულიად ვერაფერს გშველოდა.

აქამდე იმედი რომ უღვიოდა გულში, აქ დავმკვიდრდები და სამშობლოდან ოჯახობასაც დავიბარებო, ერთბაშად გაეფანტებოდა ილუზიები ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრებისა, ერთი იმდენი, თავი გაეტანა როგორმე, საამისოდ კი კვლავ დასავლეთ ევროპას თუ მიაპყრობდა მზერას, იქ ნაცნობ-მეგობრებიც ცოტა არ ეგულებოდა და ეგებ შესაფერისი სავანეც მოეძებნა.

ამიტომაც გამოეთხოვებოდა ტრაპიზონს და ფრანგთა საზოგადოების გემით გაუდგებოდა სტამბოლის გზას, სადაც მხილველი შეიქნებოდა გალათში გამართული სახრჩობელებისა და ზედ ჩამოკიდებული ახალგაზრდა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებისა... ერთს აქაც მიაწყდ-მოაწყდებოდა, მაგრამ ხელს ჩაიქნევდა და გამოეთხოვებოდა ოსმალთა სატახტო ქალაქსაც.

სტამბოლიდან გასული გემი სალონიკს რომ ჩაუვლიდა, ლამის ფერდს გაჰკრავდა იმ სახლს, სადაც დაემწყვდიათ დამხობილი ხელისუფალი.

ხომალდი მისრიალებს.

აგერ ამ გაზაფხულზე საშინელი მიწისძვრისაგან ნანგრევებად ქცეული იტალიური ქალაქი რეჯიო.

აგერ მესინის სრუტე — სცილას ზღვისქვეშა კლდე და ქარიბდას მორევი, ორივეს რომ გადაურჩებოდა და ხელშესახებად იხილავდა და გამოცდიდა იმ ხატოვან გამოთქმას, იმ საყოველთაო სიმბოლიკას, სცილად და ქარიბდად რომ დამკვიდრებულიყო და თედო სახოკიას მღელვარე ბიოგრაფიაც ამ სიმბოლიკაში მომწყვდეულიყო, მათ შორის მიიკვლევდა გზას ვაი-ვაგლახით და არაერთხელ საბედისწერო ზღვარზე მდგარიც, ხან სცილას რომ აწყდებოდა და ხანაც ქარიბდა ითრევდა.

აგერ კვამლის გვირგვინით შემკულთავიანი ვეზუვი, შორიდან რომ უძღვნიდა სალამს...

აგერ ბონიფაჩიოს სრუტე კორსიკისა და სარდინიის კუნძულებს შორის...

და აჰა მარსელის ნავსადგურიც, საღამოხანს რომ მიადგებოდნენ, მაგრამ, ვიდრე ხმელეთზე ფეხს დადგამდნენ და ქალაქში შევიდოდნენ, უკვე ღამის 11 საათიც შესრულდებოდა.

ერთბაშად ჯერ მარტო იმიტომაც იგრძნობდა სულ სხვა სამყაროში თავს, რომ მოთხოვნა პასპორტისა,ურომლისოდაც ნიკოლოზის სამეფოში კაცი ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, აქ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა.

ამდენ მგზავრობას თედოსთვის ჯიბეში რა თანხა ჩაეტოვებინა და... ორი თუ სამი ფრანკი.

ლამის საქონლის მატარებელზე პირუტყვთა გამყოლობასაც დათანხმებოდა.

კიდევ კარგი, იმხანად გიორგი დეკანოზიშვილი მონპელიეში რომ ცხოვრობდა, უკვე დაავადებული. და მისგან მოუსწრებდა თედოს პარიზში წასასვლელი ფული.

აჰა, უკვე პარიზიც... ლიონის სადგური... ლათინთა უბანი... პანთეონის გარემო... გარშემო ფრანგული ლაპარაკი გაისმის და... თედომ როგორ დაიჯეროს, რომ სიზმარში არ არის?!.

განა აქედან არ მიისწრაფ-მიეშურებოდა ოთხი წლის წინათ, რევოლუციის გარიჟრაჟად აღქმულ — და აღთქმულ — 1905 წლის გაზაფხულზე საბრძოლველად თავგადადებული სამშობლოსაკენ?..

განა აქედან არ იყო წამოსული ის იარაღი, რომლის გადმოტვირთვასაც ხელმძღვანელობდა ფოთის ნავსადგურში?..

წრე შეკრულიყო.

ერთი მღელვარე თავგადასავლის კომპოზიციური ქარგა ამოხვეულიყო.

— ახლა აქვე იყო, რომ ვბრუნდებოდი. სამშობლოდან შორეულ ციმბირში განაგზავნი და იქიდან ოტებული, ხელმწიფის მართლ-მსაჯულების მიერ დევნილი, აქეთკენ გადმოხვეწილი, ძებნად მყუდრო თავშესაფრისა, ადამიანთა შორის სამყოფელად, თავისუფლად ამოსასუნთქავად, და შორებული სამშობლოსა, ჩემს ხალხსა, ოჯახსა, ტკბილ მეგობრებსა, მათთან მხარში დგომასა, მათთან ერთად მუშაობასა, დაწყებული რევოლუციის საქმის გაგრძელებასა...

რომ არა და არ ეშვებოდა?!

აღტაცებულსა და ანთებულს უეცრად ის შეკითხვა წამოუვლიდა: მაინც როდემდისო?

იმედს არ ჩაიხშობდა, რაკიღა გული რაღაც სასიკეთოს კარნახობდა, თანაც, დიდხანსაც რომ აღარ უნდა დასჭირვებოდა ლოდინი.

რადგანაც გრგვინვად გადავლილიყო: ძირს ნიკოლოზიო! — და რაკიღა ეს პირველი ნაბიჯი გადადგმულიყო, საქმე უკვე ურმის თვლებზე შემდგარიყო და გზაც მაინცდამაინც საბრკომიალო არ უჩანდა, რომ ვერ შესძლებოდა გორებით ჩამოსვლა.

ხატოვნად რომ შეჰყურებს ყველაფერს თავის წარმოსახვაში!..

მართალია, პარიზთან ბევრგვარად იყო დაკავშირებული და ახალგაზრდობის საუკეთესო წლები იქ გაეტარებინა, მაგრამ მოეკრძალებოდა, რომ იქ შებრძოლებოდა ცხოვრებას.

ცხოვრებასთან ბრძოლის ხამი არა ვარ და რა მემართებაო, — ფიქრობდა, მაგრამ უცნაურად გაჩენილ შიშს ვერ მოერეოდა და ბოლოს მაინც ამჯობინებდა პატარა ბელგიის დედაქალაქს — ბრიუსელს, სადაც გულითადი მეგობარი ეგულებოდა, პალიკო ყიფიანი, ჟამსა გაჭირვებისას უსათუოდ რომ მიეშველებოდა, და ცხოვრებაც, პარიზულთან შედარებით, უფრო იაფი იყო.

თანაც: როგორც პოლიტიკური დამნაშავე, აქაური კანონის ძალით, რუსეთის მთავრობის მხრივ ხელშეუხებელი იქნებოდა.

იქ გადასვლა არ გაუძნელდებოდა, დაბინავდებოდა და სულსაც მოითქვამდა.

მთელი ორი წელი, რასაც იქ გაატარებდა, ერთი ღამეც არ იქნებოდა ისეთი, რომ სიზმრად, სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ არსებითად ასეთი სურათები არ ენახა:

ციმბირშია (ან სადმე სხვაგან), მორბის, მოსდევენ ჯერ ქვეითად თოფიანი ურიადნიკები, მერე ცხენოსნები, მორბის და თავის დაღწევას ახერხებს.

ბრიუსელში აეროპლანებს რომ დაინახავდა, გულში გაივლებდა: ნეტა ციმბირში ესენი მქონოდა, ჩავჯდებოდი და... მშვიდობით იქაურობაო!..

სიზმრად კი, როდესაც მორბის, ჯერ სირბილით სჯობნის თავის მდევრებს და, როდესაც საქმე სახრინავზე მიდგება (ანუ: უკიდურესი გასაჭირი დაუდგება) და ის-ისაა უნდა დაიჭირონ,

უეცრად საიდანღაც აეროპლანი ჩნდება მხსნელ ანგელოსად, ავიატორი ჩაისვამს და... ციმბირელი ურიადნიკები ქვემოდან შემოსცქერიან ნირწამხდარნი.

ერთ სიზმარში პლატონ მიქაბერიძესაც რომ იხილავდა, ვითომ უკვე გაპოლიცმეისტერებულსა და გულზე ორდენებდაკიდებულს, მოასწრებდა აეროპლანში ჩაჯდომას და ნიშნისმოგებით თითსაც დაუქნევდა...

ბრიუსელური სიზმრების გახსენება აგვირგვინებდა ციმბირულ დღიურს, თედოს მწერლური ნიჭიერება ამ სიუჟეტურ სვლაშიც ხელშესახებად რომ იჩენდა თავს, ყველაზე მოხდენილი ფინალური აკორდით სიზმარეულ ჩვენებებში რომ გადაჰქონდა მძაფრი დრამატიზმითა და აბსურდული ვითარებებით აღსავსე თხრობა, შიგადაშიგ ღიმილით ისედაც განათებული, შინაგანად კიდეც რომ ამზადებდა რაღაც ამგვარს.

დღიური მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებად ძალდაუტანებლად გადაიზრდებოდა?!

მართლაც რომ!..

ბრიუსელშია სწორედ, აკაკი წერეთლის ბარათს რომ მიიღებს პარიზიდან: უფულობა რომ არა, სიამოვნებით მოვინახულებდი მაგ ქალაქსაც და მანდაურ ქართველობასაცო, — ქართველთა არცთუ მცირე კოლონიიდან მაინცდამაინც თედოს რომ სთხოვდა ხელის გამართვასა და საღამოს ორგანიზებასაც, ჯერ ერთი, როგორც ყველაზე თავგამოდებულსა და ორგანიზატორული უნარითაც დაჯილდოებულს, და მეორეც — მათ ურთიერთობაში ოდესღაც გაელვებული რაღაც უსიამოვნებისა თუ გაუგებრობის საბოლოოდ გასაქარწყლებლად.

ბრიუსელშია სწორედ, ვაჟა-ფშაველას ბარათსაც რომ მიიღებს ტფილისიდან: გავიგე შენ და პალიკო ყიფიანს ჩემი „გველის-მჭამელის" თარგმნა განგიზრახავთ ფრანგულად. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და კეთილად შეგასრულებინოთ განზრახვა. იმედი მაქვს, მეც არ დამივიწყებთო, — მის თვალშიც თედო ერთ ყველაზე საიმედო კაცად და საყრდენად რომ მიიჩნეოდა, თან ეს ციმბირიდან გამოქცევაც კიდევ ერთ სხივს შემატებდა მის სახელსაც და მოღვაწეობასაც.

გული აუთრთოლდებოდა თედოს, მისი საყვარელი მგოსნის ხელწერას რომ გაარჩევდა და ერთბაშად ამოიზიდებოდა მის იდუმალ მზერაში ვაჟას ბრგე, მხარბეჭიანი სილუეტი, არწივისებური გამოხედვითაც შემკული. შინმოქსოვილ შალის ღართში გამოწყობილს ქამარზე მუდამ დიდი სატევარი რომ ეკიდა და მის შემოხედვა-ლაპარაკში გრძნობდი, ფშავის ლაღი ბუნების ლაღივე შვილი რომ აგსვეტოდა წინ — თამამი, შეუდრეკელი, შემმართებელი!..

და რა გასაკვირია, რომ ქალაქის ცხოვრებისათვის, კარჩაკეტილი ოთახის ჰაერით სუნთქვისათვის ვერ გაეძლო და ბარად მყოფი მარად მიმსწრაფი ყოფილიყო მთისაკენ, რომელსაც მისთვის აკვანი დაერწია და მის უებრო, ზეციურ მეხოტბედ და გუნდრუკის მკმეველად, ქაღალდზე მისთა ათასგვარ საიდუმლოებათა და გრძნობათა გამომხატველად გამოეზარდა.

თედო რომ გაიცნობდა, ის უკვე ათი წლის გამოსულიც იქნებოდა სამწერლო ასპარეზზე, თვით ილიას მიერ აღიარებული მომავალ დიდ მგოსნად, რომლის წინაშეც თვითონ კალამს ძირს დებდა, რათა ადგილი დაეცალა ვაჟასათვის, ვისაც კიდეც უნდა დაეჩრდილა ყველა პოეტი გარშემო, გარდა...

— ამ დაჩრდილვას მხოლოდ აკაკი თუ არ მოჰყვებოდა.

როგორც სხვა ახალგაზრდები, თედოც მხოლოდ მოწიწებას განიცდიდა ვაჟას წინაშე.

პირადად მასთან გაცნობა მოხდებოდა კრიტიკოსისა და ციმბირში ნაკატორღალის — სტეფანე ჭრელაშვილის სახლში, სადაც ვაჟა შინაურულად იყო მიღებული და ჩარგლიდან დედაქალაქში ჩამოსული ხშირად ათევდა ღამეს, თედო კი ამ ოჯახში დადიოდა როგორც ფრანგული ენის მასწავლებელი სტეფანეს ორი დისწულისა და ისიც შინაურივით შეთვისებოდა ამ სტუმართმოყვარე გარემოს.

თედო სახოკიას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტთა ციკლს ემატებოდა ესეიც ვაჟა-ფშაველაზე, საგულისხმო რეალიებს რომ მოკრებდა — თვალით ნანახს სხვათა ნაამბობებითაც შეავსებდა და ბიოგრაფოსებს მოამარაგებდა იშვიათი მასალით, სხვა წერილებსა თუ მოგონებებში რომ არ დას-

ტურდებოდა, ზოგიერთ ცნობას კი განამტკიცებდა, თუ რაღაც ნიუანსს კიდევ შესძენდა.

ჯერ მარტო ის რად ღირს, სტეფანე ჭრელაშვილის ოჯახში ჩამომხდარს არამარტო ზედ რომ გადაჰყვებოდნენ და სტეპკოს დედა და დები ვაჟას სამოსელის გენერალურ რეცხვას იწყებდნენ, არამედ სტუმარი მასპინძლის ტანსაცმელში უნდა გამოწყობილიყო, თორემ თვითონ სხვა რამ გამოსაცვლელი არ გააჩნდა.

ერთი-ორი დღე ასე უნდა ყოფილიყო — სტეპკოს სამოსმოცმული, მასპინძლები ზედ რომ დაჰკანკალებდნენ, არიქა, კიდევ რითი ვაამოთო.

ჩარგლურად გამოწყობილი ვაჟა აბგით ჩამოტანილ ახალ ნაწერებს, დასაბეჭდად გამზადებულს, „ივერიის“ რედაქციაში რომ ჩაიტანდა, ნიკოლოზის ქუჩაზე,აქ მისაღებს აიღებდა და მიაკითხავდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სალიტერატურო ფონდიდან თავის ხვედრს (სამ თუმნამდე) რომ გამოართმევდა საჭიროებათა პირის მოსაწმენდად... მერე უკვე თანამეინახეთა ძებნას შეუდგებოდა და თავის მოყრას: შიო მღვიმელის, ივანე ბუქურაულის, იროდიონ ევდოშვილის, ილია აღლაძისა და მთაში ღვინოს დანატრულებული პირდაპირ „ქოსების“ სარდაფში („ივერიის“ რედაქციის წინ) ჩავიდოდა. სმა უყვარდა და კარგადაც ქეიფობდა, მაგრამ ის ზნე კი ბოლომდე შერჩებოდა — ერთხელ რა არის, ერთხელაც არ დათვრებოდა ისე, რომ ბინაზე წასასვლელად სხვისი მიხმარება დასჭირვებოდა. ეგაა, სმაში ჭირვეულობას იჩენდა და ვერავინ უბედავდა საწინააღმდეგოს თქმას, და სატევარზეც გამუდმებით ედო ხელი, თუმც ეს სატევარი ქარქაშიდან ამოღებული არავის ენახა... ეგებ ჩარგალსა და მთის სოფლებში კიდეც გაეშიშვლებინა? მაგრამ ქალაქში, თედო თავს დასდებდა, ერთხელაც რომ არ ამოუზიდავს.

არამარტო თვითონ ერიდებოდა ვაჟა იარაღის ამოღებას, გარშემო მყოფნიც ძალიან ფრთხილობდნენ.

— ყველას ახსოვდა მისი ისტორია სოფელ თონეთში (მანგლისის ახლოს).

ეს ინციდენტი დაარწმუნებდა, ჩემისთანა ფიცხი და ამაყი ხასიათის პატრონისათვის მშვიდობიანი მასწავლებლის როლი შეუფერებელიაო და... კიდეც მიანებებდა თავს სკოლას, ერთი ხანობა ოთარშენში კოტე ამილახვრის ოჯახში რეპეტიტორად რომ დადგებოდა, მაგრამ რაც არ იყო მისი საქმე, საბოლოოდაც ჩამოეხსნებოდა.

ერთხანს პეტერბურგშიც რომ გაემგზავრებოდა და ქართველ სტუდენტებთან იტრიალებდა, მერე ამაზეც გული უნდა აეყარა და დაჰბრუნებოდა მამისეულ კერას.

პეტერბურგშივე, ვაჟას იქ მყოფობის ხანს, მისი უფროსი ძმაც რომ ცხოვრობდა, გიორგი, თედო სახოკია საგულისხმოდ ცნობდა მის მიერ გამოგზავნილი ბარათებიდან თითო ფრაზის მოხმობას, როგორც მაშინდელი სწავლის დონის გამოსაცნობადაც და სტუდენტური განწყობილების გასათვალსაჩინოებლადაც.

ერთი წელი რომ ჩაივლიდა, შინ მოიწერებოდა: ახლა „პრისტავობაზე" ჩავაბარეო.

გადაიკეცებოდა მეორეც და: ახლა „უეზდნაჩალნიკობაზე" ჩავაბარეო.

კიდევ რას გამოელოდა?

მომავალ წელიწადს „გუბერნატორობაზე" ჩააბარებდა და კიდეც დაუბრუნდებოდა თავის მამულს.

რაკილა ვაჟა ამ და ამგვარ განწყობილებებს სრულიად გამოსთიშვოდა და ერთადერთ ასპარეზად მწერლობა დაეგულებინა, კიდეც ცხოვრების ის წესი და სტილი უნდა აერჩია, რომლის ერთგულ რაინდადაც უნდა დარჩენილიყო მისი დიდბუნებოვანი სული.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ მაგ განზრახვის აღსრულებაშიო, — აქედან რომ დალოცავდა თავისი პოემის შესაძლო მთარგმნელებს, ფრანგულ სამყაროში მის მეგზურთ, ისიც ახარებდა, არჩევანი სწორედ „გველის-მჭამელზე" რომ შეეჩერებინათ, ყველაზე ძალიან რომელი თხზულებისაც ეიმედებოდა ვაჟას დასავლურ სამყაროში შესაღწევად — ჯერ მარტო ფაუსტური თვალსაზრისით იქნებოდა საგულისხმო ევროპელი ლიტერატორებისა და მკითხველებისათვის ეს პოემა, რომ აღარა-

ფერი თქმულიყო ორიგინალურ სიუჟეტსა და მთავარი გმირის ისეთ სულიერ ტრაგიზმზე, ანტიკური გმირებისას არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა და სოფოკლეს, ესქილეს, ევრიპიდეს პიესებით აღტაცებული და შთაგონებული მკითხველი „გველის-მჭამელს“ მათ უშუალო გაგრძელებადაც კი აღიქვამდა, მითუმეტეს, შინაგანი სტრუქტურით ეს პოემა ახლოს იდგა ანტიკურ დრამასთან.

თედო სახოკიასა და პალიკო ყიფიანსაც ყველაზე მეტად ეს პოემა ესახებოდათ როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე ქართული კულტურის სავიზიტო ბარათად დასავლეთთან, ამიტომაც გამოიდებდნენ თავს, მაგრამ... კეთილი განზრახვა და ცხოვრების გართულებული პირობები მწვავედ შეეჯახებოდა ერთიმეორეს და იძულებული შეიქნებოდნენ, ვაჟა ჯერჯერობით დიდად ვერ დაეიმედებინათ: ლუკმაპურისათვის წელებზე ფეხს ვიდგამთ და როდის ამოვაღწევთ სიდუხჭირიდან, რათა მინდიას დრამატულ თავგადასავალში მთელი არსებით გადავეშვათ,დაბეჯითებით ვერ გვითქვამსო.

არადა, რა ემჯობინებოდა, „გველის-მჭამელის“ მეგზურობა თედო სახოკიას რომ ხვდომოდა წილად ფრანგულ ენობრივ სივრცეში!..

როცა იქნება, ხომ ჩემი ხელითაა აღსასრულებელი ეს საქმეო, — გუნებაში რომ დაიქადნიდა. ახლავე თუ ვერა, ადრე თუ გვიან ხომ უზომოდ გაახარებდა ვაჟასაც, ვისაც, თედოს დაბეჯითებული რწმენით, ას წლამდეც უნდა მიეტანა ჭაბუკური მგზნებარებით... და ვერაფრის-დიდებით ვერ იჯერებდა, როდესაც სულ რაღაც სამ წელიწადში საქართველოდან სამწუხარო ცნობა ჩაუვიდოდა: ვაჟა-ფშაველა არა გვყავსო!..

„რაღაც გაუგებრობაა!.. ყველაფერს შეიძლება მოელოდე, მაგრამ ვაჟა, ეს გოლიათი, ფიზიკური სიძლიერის ხორცშესხმა და... ნუთუ ასე ნაადრევად?!“

და როდესაც გააცნობიერებდა და თავზარიც დაეცემოდა, რუსთველური სტრიქონები წამოეშლებოდა ძალდაუტანებლად: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანიო“...

რუსთველური აფორიზმები თუ შეგონებანი არაერთხელ წამოშველებოდა, მაგრამ ესეის მაინცდამაინც ამ აკორდით რომ დააბოლოებდა, იმიტომაც, ვაჟას უშუალოდ „ვეფხის-ტყაოსნის“ შემოქმედთან რომ გაედო იდუმალი ხიდი და ფშაურ კილოს რომ მიუსადაგებდა თავის უმძაფრეს პოეტურ ხილვებს ყალიბში ჩამოსასხმელად, ეჭვიც არ ეპარებოდა, დაკარგულ ქართულ ენას აღვადგენ, შოთა რუსთველის მეტყველებას ვაგრძელებო.

ევროპაში აქამდე ნებით თუ იმყოფებოდა, ახლა იძულებით კი მოხვედრილიყო, მაგრამ იმ წამოწყების გაგრძელება კი ახლაც შეეძლო თედოს და თავსაც არ დაზოგავდა: პირადად გაეცნო ესა თუ ის გავლენიანი პიროვნება ან მეცნიერებისა თუ სალიტერატურო სარბიელის თვალსაჩინო წევრნი, რათა მათ ინტერესებში შემოეტანა ჩვენი ქვეყანა და მისი დრამატული ბედი — ქართველი ხალხის გასაჭირი, მისი პოლიტიკური ჩაგვრა რუსეთის იმპერიალიზმის მიერ, ჩვენი თავგანწირული ბრძოლა ამ დამონებული ყოფიდან თავდასახსნელად.

თვითეული მათგანის თუნდ უბრალო თანაგრძნობის სიტყვაც მალამოდ ეცხებოდა თედოს გულს და ისწრაფოდა, სხვა ქართველებისთვისაც ეცნობებინა, რათა მათთვისაც ჩაესახა იმედი, რომ სულ უფრო პოპულარული გახდებოდა ევროპაში სახელი საქართველოსი, მისი სვე-ბედის თანამგრძნობთა რიცხვი — თანდათან გაიზრდებოდა და შეიქმნებოდა ერთგვარი მიმდინარეობა აზრისა და აღიმაღლებოდა ხმა უკმაყოფილებისა და პროტესტისა, რომლისთვისაც ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაეწია რუსეთის მთავრობას.

* * *

შევიდოდა მის ოთახში გერონტი ქიქოძე და ტაბელ-კალენდარზე ის დღე უკვე წაშლილი რომ დახვდებოდა, გაუკვირდებოდა: ეს რა დამართვია თედოს, რატომ უჩქარია დღევანდელი დღის გადაკეცვაო.

ჯერ საღამოსპირი გახლდათ და დღის გასტუმრებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა, და ვინ იცის, რა აღარ მომხდარიყო ამ რამდენიმე საათში.

რატომღაც აჩქარებულიყო.

მერე შუადღეზე მოხვდებოდა აქ და... დღე ისევ წაშლილი აღმოჩნდებოდა.

შეკითხვას ამჯერადაც მოერიდებოდა, მაგრამ გუნებაში მოინდომებდა დაზუსტებას, მაინც როდიდან მიიჩნევდა მასპინძელი იმ დღეს უკვე ჩავლილად.

მიადგებოდა კიდევ უფრო ადრე და... დღე კვლავ გადახაზულიყო.

უკვე სპორტული ინტერესი გაუჩნდებოდა გერონტის, მიეგნო იმ წუთისათვის, რომელსაც თედო სახოკია მიჯნად მიიჩნევდა იმ დღის გასასტუმრებლად.

გაგრძელდებოდა ასე, გაგრძელდებოდა და... აჰა, სისხამზე უნდა წამოსდგომოდა თავს, გულში რომ ჩაეთქვა, ახლა მაინც ხელუხლებელი დამხვდება ეს დღე ტაბელ-კალენდარზეო.

გაგიგონია?!

და ხელს ჩაიქნევდა გერონტი, მიხვდებოდა, იმ წუთს მაინც ვერ მიაგნებდა და აღარც სურდა მისი დაზუსტება, ოღონდაც მასპინძელს გაემხილა მიზეზი, რაღაც უთუო ფსიქოლოგიური ბიძგი, რაც კალამს მოამარჯვებინებდა ხელში, ასე ნაადრევად რომ გადაეხაზა ჯერაც ათასგვარი ამბითა თუ მღელვარებით აღსავსე შემოტრიალება მზისა.

მაშინაა, გაკვირვება და საყვედური ერთიმეორეს რომ შეეზავებოდა გერონტის ფრაზაში: დღევანდელი დღე ეს-ესაა დაიწყო და შენ კი უკვე გადაგიხაზავსო.

და მაშინაა, თედო სახოკიას სენტენციის დაბადების მოწმე რომ უნდა შეიქნას, ახალთახალი ანდაზისა, რომელიც გითვალსაჩინოებს, რომ ემიგრანტისათვის, ვისაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა ტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილი დღეა...

და წინდაწინვე ეთხოვებოდა ტაბელ-კალენდარი ემიგრანტულ დღეთა რიგს, ემიგრანტულ დღეთა ჯარს.

და ეს კითხვა-პასუხიც ერთ უკვე ასეთ გამქრალ დღეს მომხდარიყო!..

თავი მეთორმეტე

ის საბედისწერო სტატია

1914 წლის გაზაფხულზე თედო სახოკიას, იმჟამად ლონდონს რომ შეჰფარებოდა, ორი ბარათი მიუვიდოდა საქართველოდან ერთი და იმავე თხოვნით.

ერთს გრიგოლ გველესიანი აწერდა ხელს, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

მეორეს — დავით მესხი, მწერალი, „თმა პუსას" მეტსახელით ცნობილი, მესხების თვალსაჩინო ოჯახის წევრი, ძმა სერგის, კოტეს, ივანესა და ეფემიასი.

თხოვნით კი სთხოვდნენ თანამშრომლობას ქუთაისში ახალდაარსებულ ყოველდღიურ გაზეთთან „ჩვენი ერი", რომლის რედაქტორ-გამომცემლობაც საკუთარ თავზე აეღო სერგო გერსამიას.

აუწყებდნენ რედაქციის სიღარიბის ამბავს — სხვა რედაქციათაგან ანკი რა გამონაკლისი შეიძლება ყოფილიყო „ჩვენი ერი" — და დიდ და მუდმივ ჰონორარს ვერ დაჰპირდებოდნენ, თუმც იმედს გამოთქვამდნენ: ცოტ-ცოტას კი როგორმე გამოგიგზავნითო.

პასუხს რომ მოელოდნენ თანხმობისა, თედოსაგან ბარათი არა და არ გამოჩნდებოდა და ესენი უკვე ხელსაც ჩაიქნევდნენ; როგორც უნდა დაბრკოლებულიყო საპასუხო წერილი, აქამდე კარგა ხნის მიღებულიც უნდა გვქონოდაო, ეჰ, არ უნდა ჩვენთან თანამშრომლობა და ეგააო, — და უეცრად ლონდონიდან უნდა ჩამოსვლოდათ საკმაოდ მოზრდილი პაკეტი, რომელშიც იდებოდა თედო სახოკიას ვრცელი პუბლიცისტურ-პოლიტიკური ნარკვევი „პოლონეთი და პოლონელები", და მასთან ერთად საპასუხო ბარათიც.

ზედმეტად მიიჩნევდა პასუხს, ვიდრე გამზადებული სტატია არ ექნებოდა ხელთ და, რაღა შეპირებისთვის გარჯილიყო, ბარემ საქმით დაუმტკიცებდა, სიამოვნებით რომ ითანამშრომლებდა ამ რედაქციასთან.

ამათ კი მანამდე თავიანთი დაემართებოდათ!..

როგორია — ერთ საიმედო ძალად შეგულებული პუბლიცისტისაგან ჩამიჩუმიც რომ არ ისმის!..

სამაგიეროდ, რარიგ გაიხარებდნენ, ასერიგად მნიშვნელოვანი, მწვავე და აქტუალური სტატია რომ ექნებოდათ ხელთ, სულაც რამდენიმე ნომრისთვის რომ გასწვდებოდათ ფელეტონებად.

რას წარმოიდგენდა სერგო გერსამია, საბედისწეროდ თუ უნდა გადაჰქცეოდა ეს პუბლიკაცია.

საპასუხო ბარათში კი თედო სიხარულს გამოხატავდა, მთავრობის განკარგულებით, „ჩვენი ერის" წინამორბედი გაზეთის დახურვის შემდეგ მისი გაგრძელება მაინც რომ შეიქნა შესაძლებელი. ჰონორარზე სიტყვის ჩამოგდება კი გააღიმებდა და იმ ანდაზას გაახსენებდა: მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმიყვანეო. და თავის მხრივ აღუთქვამდა:

— თქვენ რა გაგაჩნიათ, რომ იქიდან მე რამე მომაწოდოთ. არაფერს გთხოვთ, უჰონორაროდ ვითანამშრომლებ.

სერგოს თედო სახოკიას არსებობა, როგორც მწერლისა და მოღვაწისა, პირველად მოწაფეობისას გაეგო, 1909 წელს, ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასში ყოფნისას. მოგონებაში კი მკითხველს ამასაც დაუზუსტებდა: გიმნაზიაში იყო ოთხი მოსამზადებელი განყოფილება და რვა კლასი, ასე რომ, პროგრამის მიხედვით, მაშინდელი მეხუთე კლასი დაახლოებით უდრიდა ახლანდელ საშუალო სკოლის მეცხრე კლასსო.

საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურას ასწავლიდათ მწერალი და ისტორიკოსი სიმონ ქვარიანი, რომლის თაოსნობითა და ხელმძღვანელობითაც მოწაფეები შეადგენდნენ ამ საგანთა შემსწავლელ წრეს, ყოველ შაბათს, საღამოობით რომ იკრიბებოდნენ მასწავლებლის ოჯახში და სხვადასხვა თემაზე კითხულობდნენ რეფერატებს, სულ უფრო და უფრო გაიწაფებოდნენ. ამ წრის მნიშვნელობა კი ის იქნებოდა, რომ

ყმაწვილების გონებრივ განვითარებასა და ეროვნულ გათვითცნობიერებაზე დიდ ზეგავლენას მოახდენდა.

ერთ-ერთ შეკრებაზე სიმონ ქვარიანი მოწაფეებს მიუტანდა საშუალოზე ნაკლები ფორმატის, არც ისე სქელ წიგნს და ეტყოდა:

— საინტერესო წიგნია, მისი ავტორია თედო სახოკია, წაიღეთ სათითაოდ, წაიკითხეთ მორიგეობით და, როცა წაიკითხავთ, ერთმანეთს აზრი გაუზიარეთ.

წიგნი, გამოცემული 1910 წელს, ასე დასათაურებულიყო: „სამშობლოსათვის თავდადებულნი". და თუმც 54 წლის შემდეგ სერგოს მისი შინაარსი დაწვრილებით ველარ მოეგონებინა, მაგრამ ახსოვდა, რომ ეძღვნებოდა ბულგარელი ხალხის პატრიოტ შვილებს, გმირულად რომ იბრძოდნენ თურქეთის მონობაში მყოფი სამშობლოს გათავისუფლებისათვის, აგრეთვე ჯუზეპე გარიბალდსა და კიდევ სხვებს, და ეს ყოველივე სადა, გასაგები და მიმზიდველი ენით რომ იყო დაწერილი, მკითხველსაც ძლიერ იზიდავდა და მასში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას უწყობდა ხელს.

— ავტორიც ამ თავის ნაშრომს ასეთ მიზანსაც უსახავდა და მას ჩინებულადაც აღწევდა.

წიგნი ისე გაიტაცებდათ, რომ წრის გარეშე მყოფ ამხანაგებსაც გააცნობდნენ მის შინაარსს და მოანდომებდნენ, რომ თვითონაც ეშოვნათ და წაეკითხათ „სამშობლოსათვის თავდადებულნი".

იმ საგულისხმო ცნობასაც ამოვიკითხავთ ამ მოგონებაში, რომ იმხანად ქუთაისელ ხელოსანთაგან ბევრი იყო დაინტერესებული წიგნების კითხვით და ასეთ პირთა დაზგაზე ხშირად დაინახავდით იაფფასიან სახალხო გამოცემებს, შესვენებისას რომ კითხულობდნენ, ზოგიერთი კი კვირა-უქმეებს სულ კითხვაში ატარებდა. განსაკუთრებით ეტანებოდნენ საგმირო-სათავგადასავლო და ისტორიული შინაარსის წიგნებს, და მათ შორის პოპულარობით სარგებლობდა: „არსენას ლექსი", „ყარამანიანი", ილია ჭავჭავაძის — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", „დედა და შვილი", აკაკი წერეთლის — „თამარ მეფე", „პატარა კახი" „ორი ქართველი — ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი", ვასო აბაშიძის მიერ შედგენილი კრებული „ჩანგი" და, აი,ამ გამოცემათა რიგში მოექცეოდა თედო სახოკიას „სამშობლოსათვის თავდადებულნიც".

ის ხმებიც რომ დატრიალდებოდა ქუთაისშიც და ტფილისშიც: თურმე ძველი დროიდან აფრიკაში ქართველები ცხოვრობენ და ბევრი მათგანი ახლაც ქართულად ლაპარაკობსო!

ეს ხმები სულ უფრო რომ აღიტაცებდა ორივე ქალაქს, ტფილისში გადაწყდებოდა, ვინმე გავგზავნოთ აფრიკაში იქაურ ქართველთა გასაცნობად და მათი ყოფა-ცხოვრების შესასწავლადო.

ხშირად გაისმოდა მუსაიფისას ერთ ქალაქშიც და მეორეშიც:

— საწყალი საქართველო, რამდენი უბედურება აქვს გადატანილი... აქეთ ფერეიდნელი ქართველები, იქით — აფრიკელები. ეჰ, ვინ იცის, კიდევ ეგებ სხვაგანაც არიან თავშეფარებულნი...

ჰა, ვინ გაბედავდა ასეთ მოგზაურობას — უაღრესად სახიფათოს, გაურკვევლობაში რომ უნდა გადაშვებულიყავი და, ძნელი სათქმელია, რას გაგიმზადებდა ბედი.

გულში ყველა... თედო სახოკიასაკენ გაიხედავდა: თუ ვინმეა ამ სარისკო ნაბიჯის გადამდგმელი, უპირველესად იგიო.

თუმც მოთხოვნით როგორ გინდოდა მოგეთხოვა ასეთ შორეულ გზაზე დადგომა?

მაგრამ თედოს ვისი რა დავალება სჭირდებოდა, თვითონვე ვერ ივალდებულებდა?

სახიფათო მოგზაურობას რას დაგიდევდა, მთავარია, ასეთი ხმების საფუძვლიანობა-უსაფუძვლობა იყო გამოსარკვევი და... თვითონვე მიიზიდავდა აფრიკის იდუმალი სამყარო, მტკიცედ რომ ათქმევინებდა:

— მე წავიდოდი, ოღონდ...

„ოღონდ" ის, რომ შესაფერისი თანხაც უნდა გამოძებნილიყო. სავსებით იკმარებდა, როგორღაც რომ გაეტანა თავი.

ისეთი აჟიოტაჟი შეიქნებოდა, თითქოს წინ რა უნდა დასდგომოდა ფულის შოვნას, მაგრამ ხმაური ხმაურად დარჩებოდა და თავს მაინცდამაინც არავინ გამოიდებდა — მეცენატებს დაეჭვებდათ ამ მოგზაურობის სასურველი შედეგი: ამაოდ მოუწევს შორეულ გზაზე დადგომა და არა ღირს ფუჭი და სარისკო წამოწყების გულისათვის ფულის გადაყრაო.

ვისაც არ ეეჭვებოდა, იმას კი არავითარი სახსარი არ მოეპოვებოდა მხარში ამოსადგომად, განსაკუთრებით მაინც ახალ-

გაზრდებს, თედო სახოკიას პატრიოტიზმით ამჯერადაც აღტაცებულნი რომ დარჩებოდნენ და ამ გაბედულ კაცს სულაც გმირად წარმოიდგენდნენ.

ამ შარავანდს არც არაფერი მოაკლდებოდა მათ თვალში მას შემდეგაც, ეს განზრახვა უნუგეშოდ რომ ჩაიშლებოდა.

მთავარია, რომ თედო სახოკია მზად გახლდათ გასამგზავრებლად.

მისი სიტყვა კი ურყევი იყო — ვერაფერი გადაახვევინებდა ჩანაფიქრიდან, თუკი ის ბარიერი არ აღემართებოდა წინ, ფული რომ ერქვა, უფრო სწორად — უფულობა.

— მე წავიდოდი...

და ყმაწვილებს უხაროდათ, გუნებაში თედოს რომ გულისხმობდნენ ასეთ მოგზაურად და მისი მზადყოფნა დაუდასტურებდა ამგვარი ფიქრის უტყუარობას.

სერგო გერსამიას ოცნებად გადაჰქცეოდა მასთან შეხვედრა და... აგერ ზეცას გადმოეხედა წყალობით, მის გაზეთთან თანამშრომლობას სიხარულით რომ ეხმაურებოდა და ვრცელ ნარკვევსაც უკვე აწვდიდა — ნაცვლად საპასუხო ბარათისა და თუნდ მხურვალე დაპირებისა, მარტისა და აპრილის მიჯნაზე რამდენიმე ფელეტონით რომ გაუმდიდრებდა გამოცემას.

1914 წლის გაზაფხულზე ლონდონში შედგებოდა დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბალკანეთის ომთან დაკავშირებულ საკითხთა მოწესრიგება და ალბანეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. პოლონეთის პოლიტიკური პარტიები ისარგებლებდნენ ამ ხელსაყრელი შემთხვევით, შეთანხმდებოდნენ და კონფერენციას წარუდგენდნენ ერთობლივ პეტიციას, რათა მის მონაწილეებს ყურადღება მიექციათ პოლონეთის მდგომარეობისთვისაც და, ალბანეთის მსგავსად, განეხილათ პოლონეთისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხიც.

თედო სახოკია ყოველმხრივ რომ ჩაულრმავდებოდა სამ სახელმწიფოს — რუსეთი, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი — შორის განაწილებული პოლონეთის ეროვნულ მდგომარეობასა და მომავლის პერსპექტივას, ეჭვით შეხედავდა ევროპის თავ-

გამოდებას, რათა პოლონელი ერის ჭრილობას უებარი წამალი დასდებოდა, მაგრამ მოვალედ მიიჩნევდა თავს, ეს სატკივარი საქვეყნოდ გამოეტანა და პოლონელთა ხვედრში საქართველოს ტრაგიკული ბედიც გამოეხვია, და საერთოდაც — შეუპოვრად გამოხმაურებოდა მცირერიცხოვან და დაჩაგრულ ერთა სასიცოცხლო მისწრაფებებს.

არადა, რარიგ მძიმედ შეიძლება განიცდიდე მცირერიცხოვანი საქართველოს მომავალს და ეშურებოდე რაც შეიძლება მალე თავდაღწევას რუსული კაბალისაგან, ვიდრე ერთიანად შეწოვილი აღმოჩნდებოდე მის წიაღში, როდესაც თვით 24-მილიონიანი პოლონეთიც კი ამაოდ აწყდება საკუთარი სახელმწიფოს აღდგენის წინაშე აღმართულ კედლებს.

მაგრამ წამითაც არ უნდა განელდეს ბრძოლა და სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

ყველაფერს უნდა ჩაებღაუჭო, რაც ხელმოსაჭიდად გამოდგება.

აგერ ლონდონის კონფერენციასაც მიაწყდე.

აგერ პეტიციის წარდგენის ამბავიც მართებულად და ღრმად გააშუქო, და თანაგრძნობა გამოუცხადო იმ პოლონელ ერს, რომელსაც წართმეოდა უფლება, თვითვე წარემართა თავისი ეკონომიკური ცხოვრებაც და სწავლა-განათლებაც, ძველად ექვსი უმაღლესი სასწავლებელი რომ ავრცელებდა ხალხში განათლებას, ამჟამად კი... წამლადაც აღარ მოიძებნებოდა პოლონური უნივერსიტეტი და აღარც აკადემია. პირველდაწყებით სასწავლებელს მთავრობის ხარჯი არ ინახავდა და თვით კერძო სწავლა-განათლების საქმესაც ათასგვარი დაბრკოლება ეღობებოდა წინ.

როგორ უნდა მიეღწია პოლონეთს თავისუფლებისათვის?

ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად თედო სახოკია მიიჩნევდა მთელი პოლონეთის გაერთიანებას, რაოდენ ხანგრძლივი ბრძოლაც უნდა დასჭირვებოდა ამის მიღწევას. სამაგიეროდ, მყარ დასაყრდენად გაუჩნდებოდათ ის მტკიცე საფეხური, საიდანაც ავტონომიის მოპოვებისკენ ააბიჯებდნენ, შემდეგ კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც აღარც შორს იქნებოდა და აღარც მარტოდენ ოცნებაში გამოხვეული.

თედოს სტატიის დასკვნითი, უკანასკნელი ფელეტონი 3 აპრილის ნომერში გამოქვეყნდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის წინა ხანს წინასწარი ცენზურა აღარ არსებობდა და გაზეთი დაიბეჭდებოდა თუ არა, ის ხელზე გამყიდველებს სტამბიდანვე ურიგდებოდათ და იქიდანვე პირდაპირ ეგზავნებოდა ჟურნალ-გაზეთების კანტორას გასავრცელებლად.

იმავდროულად ახალგამოცემული ნომრის რამდენიმე ეგზემპლარი ცენზურასაც მისდიოდა ნებართვის გასაცემად. და თუ ცენზორი იპოვიდა რაიმეს, პოლიტიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მიუღებელს, ნომერს შეაჩერებდა, გავრცელებას აკრძალავდა და პოლიციის საშუალებით ჟურნალ-გაზეთთა კანტორაში დარჩენილ გაუყიდავ ეგზემპლარებსაც კონფისკაციის წესით წაიღებდა.

„ჩვენი ერის" 3 აპრილის ნომერიც ჩვეულებრივად დარიგდებოდა.

მეორე დღეს რედაქციისაკენ მიმავალი სერგო გერსამია ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში" შეივლიდა (იმჟამად ქუთაისში ეს ერთადერთი კანტორა რომ არსებობდა), იქ კი გამგე ისიდორე კვიჟინაძე (მწერლობაში ისოს ფსევდონიმით ცნობილი) სამწუხარო ამბავს დაახვედრებდა:

— გუშინ საღამოს შენს გაზეთს პოლიციამ ცენზურის განკარგულებით კონფისკაცია გაუკეთა...

აუჰ, გული გაუჩერდებოდა რედაქტორს!..

კონფისკაცია კონფისკაციად და სასამართლოც გარდუვალი შეიქნებოდა, როგორც ცენზურის ამგვარი განკარგულების ბუნებრივი შედეგი. სასჯელი რაც შეიძლება მკაცრი უნდა ყოფილიყო.

რედაქციაში ყველა ცხვირჩამოშვებული დახვდებოდა.

მაგრამ თვით ასეთ უნუგეშო ვითარებაშიც რარიგ გაიხარებდა რედაქტორი, როდესაც შეიტყობდა, რომ კონფისკაციის მსხვერპლი სულ 100-120 ეგზემპლარი გამხდარიყო. დანარჩენიდან ხელზე გამყიდველებს ზოგი უკვე გაესაღებინათ, ზოგიც დამტარებლებს ჰქონოდათ ხელმომწერთათვის დასარიგებლად. ეგაა, ქუთაისის გარეთ მცხოვრებ ხელმომწერთათვის ფოსტით გაგზავნა გაზეთისა ჯერ ვერ მოესწროთ.

სერგო აიღებდა აკრძალულ ნომერს და ჩაათვალიერებდა, რათა ეპოვნა ის ადგილი, რომელსაც ცენზურის რისხვა გამოეწვია.

ამასობაში ცენზორის გამოგზავნილი შიკრიკიც მოვიდოდა და სადარბაზო ბარათს გადასცემდა, რომელშიც აღნიშნული-ყო, რომ სერგო გერსამიას საღამოს 9 საათისათვის... ეპატიჟებოდნენ ჩაიზე, ოღონდ... უარი არც უნდა გაეფიქრებინა.

ყველა მიხვდებოდა, რა „ჩაიც" ელოდა იქ რედაქტორს, კაცთან, ვინც თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ორ სკამზე ჯდომით გამოიჩენდა თავს, ძალიან შეავიწროებდა პრესას; და აგერ „ჩვენი ერი" ჯერ წესიერადაც რომ ვერ მოასწრებდა გამოსვლას — ორი თვის არსებობა, აბა, რა სათქმელია — სერგო გერსამიას უკვე სამჯერ მისცემდა პასუხისგებაში.

შეგებებით ღიმილით და თავაზიანად შეეგებებოდა და„ნოტაციასაც" წაუკითხავდა:

— რედაქტორებსა და ცენზორს შორის ახლო დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. თქვენ, რედაქტორები, ამას გაურბიხართ და ამიტომაც იქმნება ასე ხშირად უსიამოვნო მდგომარეობა.

შეიყვანდა თავის კაბინეტში, გადაუშლიდა „ჩვენი ერის" აკრძალულ ნომერს და უჩვენებდა სტატიის საბედისწერო ადგილს.

როგორც მოელოდა, თედო სახოკიას სტატია აღმოჩნდებოდა.

სულ ხუთი თუ ექვსი სტრიქონი ჩაეხაზათ წითელი მელნით.

რედაქტორი ჩაიკითხავდა და იქვე მიხვდებოდა მიზეზს.

და ცენზორი მოჰყვებოდა საყვედურებს, რომ ახლანდელმა მწერლებმა და ჟურნალისტ-პუბლიცისტებმა წერა არ იცოდნენ და პირდაპირ წერდნენ, რაც ენაზე მოადგებოდათ, ისე, რომ აღარ ითვალისწინებდნენ, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მათს დაუფიქრელობას, ხოლო, ვინც გაზეთის ნომრებს ამზადებდნენ, ყველაფერს ზერელედ ეპყრობოდა და სიფხიზლეს არ იჩენდა.

— მერე ჩვენ, ცენზორებს, გვაბრალებთ ყველაფერს და გვლანძღავთ, ჩვენ კი დამნაშავე არაფერში ვართ. მე იძულებული ვიყავი, ეს ნომერი ამეკრძალა. იძულებული ვარ საქმე პროკურორს გადავცე, ასეა წესი. მე იმისთვის მოგიწვიეთ, რომ გაგაფრთხილოთ და გთხოვოთ, მომავალში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ, თორემ შეიძლება უფრო მეტ ხიფათს გადაეკიდოთ.

რარიგ ტკბება ცენზორი თავისი ყალბი თანაგრძნობით, ვითომდა გულშემატკივრობით, ღიმილის ქვეშ კბილთა ღრჭიალს რომ მალავს და ველარც მალავს.

ეს სიტყვას შეაპარებდა, აწი უფრო ფრთხილად ვიქნები, თქვენ კი ეგებ ნომრის კონფისკაცია იკმაროთ და საქმე პროკურორს აღარ გადასცეთო.

სულ ამ ჭკუაზე გახლდათ მასპინძელი:

— არა, ჩემო კარგო, ამას ვერ ვიზამ, რომ პასუხისგებაში არ მიგცე. ხომ იცი ჩვენი ხალხის ამბავი, ვინმე შარიანი კაცი აღმოჩნდება და უმაღლეს ორგანოში მიჩივლებს, აშკარა დამნაშავეს ხელს აფარებსო, და პასუხს მომთხოვენ...და ჩემს პასუხისგებაში მიცემას შენი პასუხისგებაში მიცემა მირჩევნია.

და რედაქტორი ველარ შებედავდა: ნეტა „ჩვენს ხალხში" ვის გულისხმობო? — და დაღონებული გამოემშვიდობებოდა.

5 აპრილს ქუთაისის გუბერნიის ბეჭდვითი საქმის ინსპექტორი ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორს გაუგზავნიდა მიმართვას, რომელშიც მოითხოვდა, რომ ყოველდღიური გაზეთის „ჩვენი ერი" რედაქტორ-გამომცემელი სერგო გერსამია თედო სახოკიას წერილის — „პოლონეთი და პოლონელები" — მოთავსებისათვის გაზეთში, როგორც მძიმე დამნაშავე, პასუხისგებაში მიეცათ.

ამ მიმართვის საფუძველზე პროკურორი სასწრაფოდ დაიწყებდა ძიებას და ამ საქმეზე შედგენილ საბრალდებო აქტში აღინიშნებოდა, რომ:

— გაზეთში დაბეჭდილი სახოკიას სტატიები აშკარად ეწინააღმდეგებოდა მეფის მთავრობის პოლიტიკას.

რაკილა რედაქტორ-გამომცემელს პასუხისგებაში მისცემდნენ რუსეთის საიმპერიო კანონთა სისხლის სამართლის 129-ე მუხლის საფუძველზე, ეს მუხლი ითვალისწინებდა დამნაშავის დასჯას ერთიდან 6 წლამდე ციხეში პატიმრობით, ხოლო, თუ ქმედება ჩადენილი იყო ომიანობის დროს, სასჯელი კიდევ უფრო სასტიკი ხდებოდა.

საქმე გაირჩეოდა ქუთაისში, 1914 წლის 3 ნოემბერს.

საბრალდებო აქტში ბრალდება ისე ჩამოყალიბდებოდა, რომ სტატიის ავტორი თედო სახოკია სეპარატისტი იყო და ამიტო-

მაც იცავდა და ავრცელებდა იმ აზრს, რომ საჭიროა სრულიად რუსეთის იმპერიას ერთიანად ჩამოსცილდეს პოლონეთი, მას შეუერთდეს პოლონეთის სხვა ნაწილებიც — გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის მფლობელობაში მყოფი — და დაარსდეს პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოო. და რაკიღა „ჩვენი ერის“ რედაქტორ-გამომცემელიც სეპარატისტი გახლდათ და მოსახლეობაში ამ იდეების გავრცელებას უწყობდა ხელს, ვერც ის გადაურჩებოდა თავის წილ პასუხისმგებლობას.

და პროკურორი თავის რიხიან გამოსვლას ასე დააბოლოებდა:

— ვინაიდან სტატიის ავტორი თედო სახოკია ემიგრაციაში იმყოფება და მისი პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელია, ამიტომ გაზეთის რედაქტორი უნდა დაისაჯოს, როგორც სტატიის ავტორის მხარდამჭერი და მისი იდეების გამავრცელებელი.

ადვოკატები — ცნობილი ქუთაისელი მოღვაწე მექი ფაღავა და ჟურნალისტი გრიგოლ ლაღიძე, დალისა და ლაღის ფსევდონიმებით რომ წერდა — ნაკლები რიხით არ გამოვიდოდნენ და რაც შეიძლება გადაეფარებოდნენ შერისხულს, მაგრამ მთელი თავიანთი თავგამოდებითა და პროფესიული ხელოვნებით მხოლოდ იმას მიაღწევდნენ, რომ სერგო გერსამიას სასჯელად სასამართლო მხოლოდ ერთ წელს აკმარებდა.

თავის სიტყვაში ბრალდებული განაცხადებდა, „ჩვენი ერი“ სეპარატისტულ იდეებს არ იცავს, ამის შესახებ ცნობებს პროკურორი გაზეთის ვერცერთ ნომერში ვერ იპოვნისო.

— გაზეთი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მყოფ პატარა ერთა ავტონომიის მომხრეა. ამ პრინციპზე მტკიცედ დგას, ასე რომ, არც სტატიის ავტორი და არც მე სეპარატისტები არა ვართ, ავტონომიას ვემხრობით და გამოქვეყნებულ სტატიაშიც არსად ჩანს სეპარატისტული იდეების პროპაგანდის კვალი.

ერთწლიან სასჯელს სერგო გერსამია ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოიხდიდა.

მას შემდეგ კი... 23 წელი ჩაიქროლებდა.

ამას სულ რაიონებში მოუწევდა ცხოვრება, დედაქალაქს იშვიათად თუ სტუმრობდა, და მხოლოდ 1938 წელს გადმოვიდოდა აქ საცხოვრებლად.

ერთ დღესაც რუსთაველის პროსპექტზე მიდის და... დაინახავს ქუთაისურ გაზეთთა ცნობილ თანამშრომელს — სოლომონ ცაიშვილს (**ცაიშელის** ფსევდონიმით რომ წერდა ჟურნალისტურ სტატიებს, ვიდრე ლიტერატურისმცოდნეობაში გადაინაცვლებდა), გვერდით გამხდარი, ჭაღარამოსილი, სანდომიანი კაცი რომ მოჰყვება.

სერგო და სოლომონი ერთმანეთს მიესალმებოდნენ.

სოლომონი შეაჩერებდა და თანამგზავრს მიუბრუნდებოდა:

— თედო! შენ ამ კაცს არ იცნობ? ეს არის ის პირი, რომელიც შენი სტატიისათვის ერთი წელიწადი ციხეში იჯდა.

— ეს არის ის გერსამია, შენ რომ მელაპარაკებოდი? ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — გადაიბადრებოდა თედო სახოკია, მაგრამ უეცრადვე მოელუშებოდა სახე და ჩაითუთქებოდა:

— ძალიან მაწუხებს, რომ უნებლიეთ მოგაყენეთ სასჯელი.

და მოჰყვებოდა ბოდიშებს და რას მოჰყვებოდა: მაპატიეთო, უსიამოვნება მოგაყენეთო, დაგსაჯეთო...

— რას ბრძანებთ, ბატონო თედო, თქვენ რა შუაში ხართ, — გაუარაფრებდა წუხილს სერგო, — თქვენ ხომ პროკურორი ან მოსამართლე არ იყავით, თქვენ სრულიად უდანაშაულო ხართ. თქვენ, როგორც ავტორმა, საჭიროდ სცანით ასეთი სტატიის გამოქვეყნება, და რედაქციამაც გაიზიარა და დაბეჭდა. ამას ჩვენი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს არის და ეს. თქვენ ჩემს წინაშე დანაშაული არ მიგიძღვით, ამაში მთავრობა იყო დამნაშავე.

ვერ მოენელებინა მაინც თედოს:

— მართალია, მაგრამ მთავრობას საბაბი მე მივეცი.

და კვლავ განაგრძობდა მობოდიშებას, აღელდებოდა, წუხილი მოემატებოდა.

სერგო გერსამია მის დამშვიდებას შეეცდებოდა და როდის-როდის გადაიტანდა საუბარს სულ სხვა თემაზე.

„ეს რა კაცი გავიცანი, — არც გზად მოეშვებოდა ეს ფიქრი სერგო გერსამიას და შემდგომშიც საამაყოდ ექნებოდა ეს შეხვედრაც და თედოსთან ურთიერთობის გაგრძელებაც, სოხუმის თეატრის ისტორიის შესწავლისას მის მიერ მიწოდებული ცნო-

ბები და მასალებიც ძალიან რომ გამოადგებოდა, თორემ სულიერად რომ გაამდიდრებდა მასთან საუბრები, ეს კიდევ ცალკე, — არა, ეს რა კაცი გავიცანი... ხომ ისედაც მსმენოდა, თედო სახოკიაზე რომ ლაპარაკობდნენ, კეთილშობილების, სათნოების, პატიოსნებისა და თავმდაბლობის განსახიერებააო... და აჰა, საკუთარი თვალითაც დავრწმუნდი... არა, მაინც რა ფეხზე გამოვედი რუსთაველის პროსპექტზე...“

* * *

ჰონორარი, აი, ჰონორარი კი... — წუხილს უზიარებდნენ ახლა ამ გაზეთს შეჩერებული ჟურნალისტები, ეგებ მანამდე მოესწროთ რაღაც სასიკეთო, ვიდრე ამ გამოცემასაც მიუხურავდნენ.

— მკვდარი მკვდარს აეკიდაო, — ეღიმებოდა თედო სახოკიას და ლონდონში გამართულ დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა კონფერენციის მასალებს გადახედავდა ამ თვალით: ჯერ ამით დავიწყებო, — სტატიის წერისას, ვინ იცის, რამდენჯერ რომ მოუკვდებოდა გული: პოლონეთს ვერ უშველია საკუთარი თავისათვის და ჩვენ რიღასი რა იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ თავისას ხომ ცდილობენ და არც ჩვენ უნდა მოვეშვათ ჩვენსას... თუმც მოვეშვათ რა, გვინდა-არგვინდა, სიყრმიდანვე ავყოლილვართ ქართლის ბედსო!..

* * *

წითელი მელნით ჩახაზავდა ცენზორი ყველაზე მძაფრ სტრიქონებს.

და სასწრაფოდ გაიცემოდა განკარგულება „ჩვენი ერის“აკრძალვისა.

— ხომ მაინც მოვასწარი გავრცელება, — ჯავარზე იდგა სერგო გერსამია, ციხის ზღურბლს რომ გადააბიჯებდა.

...ნეტა აქ ვყოფილიყავი, ამ გამოუცდელი, პატიმრობას შეუჩვეველი კაცის მაგივრად ხომ მე ვიტვირთავდი ამ სასჯელსაც, — ვერა და ვერ ეპატიებინა თედო სახოკიას საკუთარი თავისათვის.

თავი მეცამეტე

უორდროპები

— წამოდი, ქალაქი დავათვალიეროთ...მეორედ იქნებ ვერც კი ვნახოთ, — თედო სახოკია ამას რომ ეტყოდა ლეო ქიაჩელს, მაშინვე კარს მიაშურებდა, რათა ასე აეძულებინა, რომ გაჰყოლოდა და თავიდან აეცილებინა ზედმეტი შეგონება, მოსვენება გვიჯობს, განა რა ასეთი აუცილებელია ნორვეგიის ამ თუნდ თვალსაჩინო სანავსადგურო ქალაქის — ბერგენის — დათვალიერებაო.

მართლაც განა ისეთი რა შთაბეჭდილება უნდა მიეღოთ, რა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ ბერგენის გულდასმით მონახულების გარეშე სამშობლოში ვერ დაბრუნებულიყვნენ?!

ამხელა მღელვარება მაინც არ გადაეტანათ ზღვაზე, კინაღამ რომ ააფეთქა მათი გემი გერმანელთა წყალქვეშა ნავმა, გახსენებისას ჯერაც გული რომ აუბაგუნდებოდათ.

— ვაიმე, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ცოლო და შვილო, — აღმოხდებოდა მაშინ თედო სახოკიას.

— ვაიმე ჩემო... — ყელში გაეჩხირებოდა ფრაზა ლეო ქიაჩელს, უდიდესი განსაცდელის წინაშე მდგარს ენა რომ ჩაუვარდებოდა, „ ჩემო“ კი არც სამშობლოს გულისხმობდა და არც ცოლ-შვილს, რა გგონიათ, მისი პირველი რომანის — „ტარიელ გოლუას“ — ხელნაწერის მოსალოდნელ დაღუპვას გამოიგლოვდა გუნებაში.

პარიზიდან რუსეთის საზღვრამდე ერთად მოუწევდა მგზავრობა ამ ორ ქართველს.

არა და... პირველი მსოფლიო ომია.

უფრო გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა რაღა უნდა იყოს!

სახმელეთო და საზღვაო გზები ერთნაირადაა დასერილი ხიფათით.

და მხოლოდ ბედსა ხარ მინდობილი.

და კიდევ იმ ანდაზის სიბრძნეს, შორი გზით მოვლას რომ გირჩევდა, თუკი შინ დაბრუნება მშვიდობით გსურდა.

ეს ანდაზა იყო თუ რა იყო, ასე რომ აწოწიალებდათ საფრანგეთიდან ინგლისში, ინგლისიდან ნორვეგიაში, ნორვეგიიდან შვეციაში.

ლონდონში საჭირო ვიზების მიღებას ბარე ათი დღე მოუნდებოდა.

მერე გადაჭრიდნენ დიდი ბრიტანეთის კუნძულს სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით და რკინიგზით ჩავიდოდნენ შოტლანდიის ქალაქ ნიუკასტლში,ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე რომ მდებარეობდა.

და რარიგ გაიხარებდნენ: ბედი გვიღიმის და ეგააო, — როდესაც შეიტყობდნენ, რომ ნავსადგურში ნორვეგიის ერთი პატარა სავაჭრო გემი იდგა და სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა.

მაშინვე მისკენ გაეშურებოდნენ.

ღამეს რა უშავდა, მაგრამ სქელ ნისლს დაებურა ქვეყანა და გაავდრებას დიდი ღელვაც მოჰყოლოდა ზღვაზე.

გემი მაინც გასვლას აპირებდა.

ესენი წაყვანას რომ სთხოვდნენ, კაპიტანი დათანხმებით კი დათანხმდებოდათ, მაგრამ, თავის მხრივ, ხელწერილის დადებას შესთავაზებდა:

— უბედურ შემთხვევაში თქვენმა ჭირისუფლებმა არავითარი პრეტენზია არ უნდა გამოთქვან გემის მეპატრონე კომპანიისადმი.

ესენი ისე ესწრაფოდნენ შინ დაბრუნებას, უყოყმანოდ მისცემდნენ ხელწერილს.

და დაუყოვნებლივაც ჩასხდებოდნენ ხომალდში.

შეცურდებოდნენ თუ არა ზღვაში, აბობოქრებული ტალღები ნაფოტივით აიტაცებდნენ პატარა გემს. ამათსავით შემთხვევითი მგზავრი კიდევ ოცი კაცი თუ იქნებოდა და ყველა ქვედა ნა-

წილს შეაფარებდა თავს. და დაიხშობოდა კიდეც ბანის კარი, რათა მოთარეშე ტალღები შიგნით არ შემოვარდნილიყვნენ.

ვერც თედო და ვერც ლეო ფეხზე ვეღარ დადგებოდნენ. მალე ზღვის ავადმყოფობაც დაეწყებოდათ. ამიტომ მეზღვაურები ტახტებზე დააკრავდნენ და პირთან ტაშტებსაც მოუმარჯვებდნენ.

ჯერაც ღამე იყო, მგზავრებს შორის პანიკა რომ ატყდებოდა.

და კიდეც დადგებოდა გემი რწევით. შეშინებული მგზავრები მიზეზის გასაგებად ზოგი სად მიაწყდებოდა და ზოგიც — სად. ესენი შეეცდებოდნენ წამოდგომას. მიკრულები რომ იყვნენ, ახსნით კი ახსნიდნენ მეზღვაურები, მაგრამ ფეხზე დადგომა გაუძნელდებოდათ.

უეცრად შემაშფოთებელი ხმა გავარდებოდა:

— გერმანელთა წყალქვეშა ნავმა გაგვაჩერა და აფეთქებას გვიპირებს!

რა გაუკვირდებოდათ — გერმანიის წყალქვეშა ნავები ყველაზე უფრო სწორედაც ჩრდილოეთის ზღვაში დათარეშობდნენ.

მაშინაა, თედო რომ ამოიგმინებდა: ვაიმე, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ცოლო და შვილო! — ლეოს კი გმინვა ტუჩებზევე შეეყინებოდა: ჩემოო...

თვე-ნახევრით ადრე, ვიდრე ჟენევიდან პარიზისაკენ გაუდგებოდა გზას, უკანასკნელი თხზულების ხელნაწერს ფოსტით გამოგზავნიდა ტფილისში, ერთ-ერთი რედაქციის მისამართზე, რადგანაც მისი თან ტარება სახელმწიფოდან სახელმწიფოში მეტად სახიფათო გახლდათ. ასლს კი ყოველი შემთხვევისათვის ერთ ჟენეველ მეგობარს ჩააბარებდა.

იმ ხელნაწერს იგივე გზა უნდა გამოევლო, ეს თედოსთან ერთად რომ ადგა და...

„თუ ჩვენ ვიღუპებით, იმას რაღა გადაარჩენს!" — როგორია, ასეთი აზრი რომ აგეკვიატება და ისედაც განსაცდელის წუთებს კიდევ უფრო რომ მოგიწამლავს?!

ჯერ ის როგორი გადასატანია, ყოველ წამს აფეთქება რომ გელოდება, მაგრამ, თუ შენთან ერთად შენი თხზულებაც უნდა აფეთქდეს, თანაც ისეთი, რომლისაც ძალიან გეიმედება?! მა-

ნამდე რაც დაგეწერა, იმ მოთხრობებისა მაინცდამაინც არა გჯეროდა, ჩემს სახელს შეინახავენო, მაგრამ ეს კი, ეს — „ტარიელ გოლუა“ იმ რომანად გესახებოდა გუნებაში, ერთბაშად რომ უნდა ამოჭრილიყო ქართული ლიტერატურის კაბადონზე და გადაენათებინა იქაურობა.

თვითონ დაღუპვა ელოდა?

ასეთი ძეგლი მაინც დარჩენილიყო მის ხსოვნად, მის უკვდავებად.

მაგრამ თუკი ვერც ის უნდა გადარჩენოდა განსაცდელს?!

„ვაიმე, ჩემო...“

და ხევდებოდა და იყინებოდა გმინვა.

რომანი არ გაგვაჩნია,— გაისმოდა ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში დრტვინვა და წუხილი, და ამ სატკივარს არჩილ ჯორჯაძე დაურიდებლადაც გამოიტანდა სააშკარაოზე 1910 წელს შექმნილ ესეიში „ნავსაყუდელის ძიებაში“, როდესაც განაცხადებდა, რომ ესკიზებში, ეტიუდებსა და ნოველებში ჩვენი ცხოვრება მეტად დაკუწული რომ მოჩანდა, არ იგრძნობოდა მთელი ერის გულისძგერა. და თუ ყოფით სინამდვილეს ვერ დაენახვებინა ჩვენთვის სინთეზი ჩვენი ცხოვრებისა, მაშ ხელოვნებას მაინც უნდა გაებედა და მხატვრულ ნაკვთში წარმოეჩინა ის, რაც ისახება, მაგრამ სავსებით არ გამოსახულიყო, რაც იზრდებოდა და მწიფდებოდა, მაგრამ სავსებით არ გაზრდილიყო და მომწიფებულიყო.

ხელოვნება ერთგვარი ჭვრეტისა და მზერის პროცესი გახლდათ?

მაშ ეს პროცესი უნდა ყოფილიყო ფართო სინთეტიკური, რათა თავი დაგვეღწია ესკიზებისა და ეტიუდებისათვის და შეგვექმნა ქართული რეალისტური რომანი, რომელშიც გამოსახული იქნებოდა არა მარტო ის, რაც რეალურად არსებობდა, არამედ ისიც, რაც შესაძლოა არსებულიყო, მაგრამ ჯერ არსად ჩანდა.

„ქართული რეალისტური რომანი... სინთეტიკური რომანი...“ — ტვინს გაუბურღავდა ეს გამოთქმებიც და ის სტატიაც — განსაკუთრებით მაინც ეს პასაჟი — ლეო ქიაჩელს და გულში ჩაითქვამდა: რა ბიჭი ვიქნები, მე თუ არ შევქმენი ეს სინთეტი-

კური ტილო, ჩვენი ლიტერატურის ღირსებისათვის შესაფერისი რეალისტური რომანიო.

„სინთეტიკური" სწორედაც ფართოდ და პრინციპულად უნდა გაგვეაზრებინა.

ამას მივყავდით სამყაროს თავისებურ შეგრძნებამდე.

ეს კი უნდა შეჰფარდებოდა ადამიანის სულის წიაღში ისტორიულად ჩამოყალიბებულ, აუცილებელი სიუჟეტის საშუალებით გამომჟღავნებულ მსოფლგაგებას.

და თავისთვის მკაფიოდ რომ ჩამოაყალიბებდა ამ ლიტერატურულ ფორმულას, დიდი ერუდიციის წყალობით ადვილად მიმოიხედავდა ევროპულ რომანისტიკაში, რათა დაებეჯითებინა ამ პრინციპზე აგებული რამდენიმე ტიპის ეპიკური ქმნილება, ფრანგული იქნებოდა, ინგლისური თუ სხვა, რომელთა შორის განსხვავებაც უმთავრესად სიუჟეტის მიხედვით აშკარავდებოდა.

სულ უფრო მოდური გახდებოდა დასავლურ მწერლობაში უსიუჟეტობა?

ჩვენშიც გამოუჩნდებოდნენ მიმდევარნი ამ ნაკადს, მოდერნისტულად განწყობილნი?

ლეო არ აჰყვებოდა ამ განწყობილებას და კლასიკური ლიტერატურის გზას გააგრძელებდა ამ თავიდან იმ თავამდე, და „ტარიელ გოლუაც" ამ ნაკადს რომ შეერეოდა, ხელნაწერის გადაკითხვა ურიგო შთაბეჭდილებას არ დაუტოვებდა და, წამოთამამებული, არჩილ ჯორჯაძის აჩრდილს გახედავდა გუნებაში: შენ რომ გინდოდა და მოითხოვდი, სწორედ იმ ყაიდის ქმნილებაა, სინთეტიკური რომანის ნიმუშიო.

და რაღა გამოდიოდა, თუკი ავტორის გარდა ეს არავის ეცოდინებოდა და ერთად მოუწევდათ გაქრობა.

„ვაიმე, ჩემო..."

მაგრამ... მალე გაისმოდა გემის ქშენა, ჯერ ერთ გვერდზე გადაწვებოდა, მერე — მეორეზე და... „ჰოი, საკვირველებავ" — აღმოხდებოდა ლეოს, ტორტმანით რომ ფეხს აიდგამდა ხომალდი, ეს ტორტმანი კი არაფრით არა ჰგავდა ჩაძირვას.

ბანიდან ქვემოთ ჩამოსულები აუწყებდნენ, გადავრჩითო.

ეს სასწაულებრივი ხსნა რას გამოეწვია?

გემის პასპორტი დაარწმუნებდა თავდამსხმელებს, რომ ეს ნეიტრალური ნორვეგიის სავაჭრო ხომალდი გახლდათ, და ულმობელ განზრახვაზე ხელს ააღებინებდათ, თორემ უსათუოდ ჩაძირავდნენ.

თედო მაინც თვალდახუჭული იწვებოდა ტახტზე პირაღმა და ხმასაც არ გაიღებდა.

ზღვაში დაჰყოფდნენ სულ ორ ღამესა და ერთ დღეს და მშვიდობით ჩააღწევდნენ ბერგენში, ნორვეგიის ნავსადგურში, და დაღლილ-დაქანცულნი მაშინვე სასტუმროს მიაშურებდნენ.

მეორე დილით, ლეო თვალს გამოახელდა თუ არა, გაოცებული უნდა მისჩერებოდა თანამგზავრს, ვისაც ახალი კოსტიუმი ჩაეცვა, კედლის სარკის წინ დამდგარიყო და თმას ისწორებდა.

ეს ის კაცი არ იყო, დაქანცულობას ვინ ჩივის, სულ ახლახან ამხელა შიში რომ გადაეტანა და იქნებ ამ დილას ველარც მოსწრებოდა?!

ლეოს ჯერაც არ განელებოდა ის ზაფრა, მიუხედავად იმისა, რომ მშვიდი ცხოვრებით სულაც არ ეცხოვრა და არც ციხე დაჰკლებოდა, არც გვირაბის გათხრა და ასე გამოქცევა იქიდან, და არც ემიგრანტობის სიმწარე.ბევრისა და თვით თედოს თვალშიც ლეგენდის გმირი გახლდათ იმ გვირაბისა და გაქცევის წყალობით.

„ეს რას გადავურჩით?!."

არა, თედოს მაინც რა კოხტაობა მოჰგუნებებოდა?!

ის შემოხედავდა და:

— ადექი, შე ძილისგუდავ... გამოეწყე, ყავა საჩქაროდ დალიე და წავიდეთ!

ამასაც რომ ეპატიჟებოდა!..

— სად? — როგორ დაეფარა უკიდურესი გაკვირვება!..

— ბერგენში ჩვენი მეგობარი ოლივერ უორდროპი ცხოვრობს, „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელის — მარჯორი უორდროპის ძმა... უნდა ვეწვიოთ. ძალიან ეწყინება, თუ გაიგო, რომ აქ ვიყავით ქართველები.და ის კი არ მთვიკითხეთ.

და თავს წამოადგებოდა მწოლიარეს, რათა აეჩქარებინა.

ოლივერ უორდროპთან მიმოწერას თედო ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გააბამდა — ჯერაც ბრიუსელში მყოფი, და ომის გაჩაღების პირველი დღიდანვე პარიზში რომ გადასახლდებოდა, იმჟამინდელი ბარათებიდან მის არქივს 1914 წლის 25 აგვისტოს მიღებული ნიმუში შემორჩებოდა, ოლივერი სიხარულს რომ გამოთქვამდა თედოს კარგად ყოფნის შეტყობით, რაკიღა საკუთარ თავს სულ იმას ეკითხებოდა: ბრიუსელსა და საერთოდ ბელგიაში მყოფი ქართველები იქაურობას როგორ დააღწევენ თავსო.

ჯერ ის არ კმაროდა, რომ ჯერაც ვერაფერი გაეგო მიხაკო წერეთლისა და ასერიგად ადარდებდა მისი და გერმანიასა და სხვაგან მცხოვრები ქართველი მეგობრების ბედი?!

ეს იმედი მაინც ასულდგმულებდა, რომ საქართველოში მშვიდობა სუფევდა.

ნორვეგიაში იმყოფებოდა შუა ივლისიდან, ხოლო ბერგენში — ომის დაწყებისთანავე. 2 სექტემბერს აპირებდა ქრისტიანიიდან გემით გამგზავრებულიყო ჰულში, და დამკვიდრებულიყო ჩიფსტიდ სევენოუკის გვერდით, მამაპაპისეული სახლი სადაც ედგა.

ამ სოფელსა და ამ სახლს თედოც სტუმრებოდა 1910 წელს, მაგრამ თვალი ამაოდ ეძებდა ხელმეორედ ნახვას მარჯორი უორდროპისა, ვინც ერთხელ მგზავრად ენახა საქართველოში და ვისი ხელახლა ხილვაც ასერიგად სწყუროდა.

სწორედ ამ სიტყვას „მწყუროდა" შეარჩევდა მემუარულ ჩანაწერში თავისი იმჟამინდელი განწყობილების ყველაზე უკეთ გამოსახატავად.

ინგლისელი ლედის ხმა, ორად ორ სიტყვაში — „მშვიდობით ბრძანდებოდეთ", — გამოთქმული ჯერაც ყურში ედგა.

მაგრამ...

— ამ სიტყვების გამომთქმელნი ბაგენი, ვაგლახ, უკვე ექვსი თვის დადუმებულნი იყვნენ, ვაგლახ, საუკუნო დუმილითა!..

ნაცვლად სიცოცხლით სავსე ქალისა... მხოლოდ სამარის ქვა უნდა ეხილა სევენოუკის მყუდრო სასაფლაოზე, სადა, უბრალო, როგორიც გახლდათ თვით მის ქვეშ გადანაცვლებული სულმნათი მიცვალებული.

წარწერაც რა მარტივი შეერჩიათ:

მისს მარჯორი სკოტ უორდროპი 1869 ნოემბრის 29 — 1909 დეკემბრის 7.

თედო მოწიწებით ჩაჰკიდებდა თავს, მდუმარედ სცემდა თაყვანს მის ნეშტს, საყვარელი მამის გვერდით დასაფლავებულს, და თავის ლოცვას შეუერთებდა თანამემამულეთა მხურვალე ლოცვას მისი საუკუნო განსვენებისათვის.

მგლოვიარე დედა მარჯორისა და ძმა თედოსა და მასთან ერთად ჩასულ ქართველებს დაათვალიერებინებდნენ მარჯორის მიერ ნაგროვები წიგნებით შედგენილ ქართულ ბიბლიოთეკას, მის ქართულ ხელნაწერებს და მათ შორის თვით „ვეფხისტყაოსნის" თარგმანის ხელნაწერსაც. ბიბლიოთეკაში შემოკრებილიყო ყოველი წიგნი და სადროგამოშვებითო გამოცემა, თუკი რაიმე გამოსულიყო ქართული მწერლობისა და ისტორიის შესახებ და რისი შოვნაც შეიძლებოდა ქართულსა თუ სხვა ენებზე.

ამ ბიბლიოთეკის შემძენელს ქართული მწერლობის კეთილდღეობით გატაცება ხომ ეტყობოდა, და კიდევ ის, რომ ამ განძის შემოსაკრებად არავითარი მატერიალური ხარჯი არ ეშურებოდა.

— გარნა ყველაზე საამო წარმოსადგენი იყო ის სიყვარული და ენერგია, რა სიყვარულითა და ენერგიით ყოველივე ეს მთელი ოცი წლის განმავლობაში ეგროვებინა წმინდა ინგლისელ ადამიანის წესისმოყვარეობითა და დაუღალავობით.

თუ ვინმეს შეეძლო ამ პიროვნულ თვისებათა შემჩნევაც და დაფასებაც, მათ შორის ერთ უპირველესს სწორედ თედო სახოკიას, რადგან თვითონ მასაც მოსდგამდა ეს თვისებანი — დაუღალაობაც და წესისმოყვარეობაც, და ის უბრალოება და შინაგანი მონუმენტურობა, სანიმუშოდ რომ უნდა შემორჩენოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას იმ უანგარობასა და კეთილშობილებასთან ერთად, ასერიგად რომ ამშვენიერებს ამ მოღვაწის პორტრეტს და სიცოცხლეში ანიჭებდა იმ ძალასა და მხნეობას, ბევრგან რომ ვპოულობთ მის ნაამაგარს, არაერთი მწერლისა თუ მოღვაწის ბიოგრაფიაში შემალულს და უეცრად გამონათებულს, მოვინდომებთ თუ არა უფრო ღრმად გაღწევას ამ ბიოგრაფიათა ბილიკებზე.

ძმა და დედა სტუმრებს შემოატარებდნენ და აღუწერდნენ სახლთან მიკრულ ბაღს, სადაც მათი ძვირფასი მაჯი — საალერსოდ როგორც შეემოკლებინათ მარჯორის სახელი — ერთობოდა და სითბოსა და ალერსს ჰფენდა გარშემო. და თედოს ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, რომ მთელი გულისამაჩუყებელი ამბავი დაიწერებოდა უსიტყვო ფრინველთა ცხოვრებიდან, რომლებიც მარჯორის არა მარტო მოშინაურებული ჰყავდა, არამედ მათთან მეგობრობდა კიდეც.

— მისი ალერსიანი ქცევა და ხმა იმდენადვე ესმოდათ თურმე, როგორც ადამიანს ადამიანისა...

რაღა მინდია და რაღა მარჯორი უორდროპი!..

რაღა ვაჟა-ფშაველა და რაღა ეს ინგლისელი ლედი!..

ყოველ მოგონებაზე დედას ხმა რომ უკანკალებდა და ძმის მდგომარეობაც აუწერელი გახლდათ, დარდისაგან გამხმარ სახეს მწუხარების ღრუბელი რომ არა შორდებოდა, სანუგეშოდ ხომ მაინც დარჩენოდათ, რომ განსვენებულს ხანმოკლე სიცოცხლით უკვდავეყო თავისი სახელი როგორც საკუთარ სამშობლოში, ისე შორეულ საქართველოშიც.

გული როგორ არ ასჩუყებოდათ სტუმრებს, როდესაც შეიტყობდნენ, რომ სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე ლედის უკანასკნელ წამებში ენა რომ ჩავარდნოდა და ვეღარ წარმოეთქვა მისთვის ასერიგად სანუკვარი სიტყვა, ჰაერში ხელით დაეხატა ეს სიტყვა „საქართველო“, სახელი იმ ქვეყნისა, საზრუნავად რომ გადაჰქცეოდა.

და კიდეც განუტევებდა სულს.

მთელი კოლექცია არსებობს სიკვდილის წინ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვებისა, თავისებურ ფსიქოლოგიურ ტესტადაც რომ გამოდგება, რაკიღა სულთმობრძავის ყველაზე ღრმა, ინტიმურ განცდებს ააშკარავებს, და ამ კოლექციას უნდა შეემატოს მარჯორი უორდროპის ხელის ეს უკანასკნელი მოძრაობაც, ასერიგად მეტყველი და გამომსახველი, სიტყვაზე არანაკლები.

თედო პირადად გასცნობოდა მარჯორი უორდროპს, როდესაც ინგლისელი ლედი მეორედ ესტუმრებოდა საქართველოს, თავის მეორე სამშობლოდ გადაქცეულ ქვეყანას — 1896 წლის

ზაფხულში, და სამუდამოდ დარჩებოდა საამაყოდ, რომ იმ ქართველთა შორის ირიცხებოდა, რომელთაც განიცადეს უზენაესი სიამოვნება ამ ქალბატონის ხილვისაგან.

პირველად მარტო რომ სწვეოდა ჩვენს ქვეყანას, მისი მშვენიერებით მოხიბლულს მეორედ თავისი მშობლებიც წამოეყვანა თან დიდებული ალბიონის ასულს: მე კნინიღა გიამბეთ ამ საოცნებო ქვეყანაზე და რისი თქმაც ენით ვერ შევძელი, დაე საკუთარი თვალით იხილეთო.

მატარებლით მგზავრობისას რომ გაეცნო რუსეთიდან საზაფხულოდ დაბრუნებული ქართველი სტუდენტები, ისინი ისე ექცეოდნენ თურმე, როგორც ღვიძლი და დიდი ხნის უნახავი ძმები. რაღა ისინი და რაღა ოლივერი!..

თედო ნავთლუღის პატარა სადგურზევე ელოდებოდა სტუმარს, მხოლოდ რამდენიმე წუთით რომ ჩერდებოდა მატარებელი, და კიდეც დაინახავდა ორ ხანშიშესულ ადამიანს, ნამდვილი ინგლისური სიმაღლისებს, ბატონ უორდროპსა და მის მეუღლეს, და მაღალივე, სათნო სახისა და ქალისათვის უჩვეულოდ მაღალი შუბლის პატრონ მათ ასულს, რომელიც მხურვალედ გამოეთხოვებოდა გზაში შეძენილ მეგობრებს და ტკბილად, ქართულად უსურვებდა მშვიდობით დარჩენას.

წამიც და... თვალთაგან მიეფარებოდა მატარებელი.

და თუმც ეს აღმოჩნდებოდა პირველიც და, სავალალოდ, უკანასკნელი ხილვაც თედოსათვის ამ ძვირფასი ადამიანისა, თანაც წამიერი, მაგრამ მისი ალერსიანი და არაამქვეყნიური სათნოების შუქმფენი სახე მკაფიოდ და წარუშლელად აღებეჭდებოდა მახსოვრობაში — მასაც ისევე, როგორც სხვებს, ოღონდ დითირამბს თედო უძღვნიდა მოგვიანებით შექმნილ ლიტერატურულ პორტრეტში, კიდეც რომ განაზოგადებდა და სიმბოლომდე აზიდავდა:

— ასეთნი სახენი ცხოვრების სიმწარეთა ღრუბლებ შორის შორეულ ვარსკვლავთა მსგავსად ციმციმებენ, ნიადაგ სიამით მოსაგონარნი არიან, ნიადაგ რაღაც შვებას გვანიჭებენ, იარაზე მალამოდ გვედებიან, გვამხნევებენ და გვამეორებინებენ უკვდავი შოთას სიტყვებს, რომ: „ღმერთი ბოროტს არ დაჰბა-

დებს", „ბოროტსა სძლია კეთილმან" და „ვინც რა უნდა სთქვას, ქვეყანა სატრფიალოაო"...

ილია ჭავჭავაძე საგურამოში მიიწვევდა ინგლისელ სტუმრებს და დიდი ამბითაც დაუხვდებოდა. თედო წვეულთა შორის არ იმყოფებოდა, თუმც საგულდაგულოდ მოკრებდა ცნობებს იმ ქართველი საზოგადოების წევრთაგან, ილიაობა დღეს მისალოცად რომ მისულიყვნენ საგურამოში და უხაროდათ, რომ საშუალება გასჩენოდათ განეცხადებინათ თავიანთი პატივისცემა და სიყვარული იმ ადამიანისადმი, ვისაც არ ეშურებოდა ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენთვის.

ალბიონის ასული ცდილობდა ახალ ნაცნობებთან მხოლოდ ქართულად ებაასა, ქართულად გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი და... ეგაა, დროდადრო უკვირდა და წუხილს ვერ იკავებდა, როდესაც თანამობაასეთა, განსაკუთრებით კი მანდილოსანთა, სახეზე გაკვირვების ნიშანს კითხულობდა.

„ნუთუ გარკვევით ვერ გამოვთქვი ქართულად?!"

თითქოს ეიმედებოდა, სწორად ვლაპარაკობო და... ვაი, თურმე საკმაო შეცდომები მოსდიოდა. და კარგა ხანსაც გაუგრძელდებოდა გაოცებაც და დარდიც, ვიდრე არ აუხსნიდნენ გაუგებრობის მიზეზს. რაკიღა მას ქართულის სწავლა ინგლისში დაეწყო, პირველად შეესწავლა არა თანამედროვე ენა, იმჟამინდელი ქართველი რომლითაც ლაპარაკობდა, არამედ ენა სახარებისა, IX ან კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეებში გამოყენებული... და ძვირფას სტუმარს აუხსნიდნენ ჩვენი ქალების სისუსტეს ძველი ქართული ენის ცოდნის მხრივ და ასე დაამშვიდებდნენ... თუმც დაამშვიდებდნენ ვითომ?! ახლა ახალი საფიქრალი და გასაკვირი მიემატებოდა, ასე როგორ ამოშლილა ეს სიტყვა-გამოთქმანი საზოგადოებრივი ცნობიერებიდანო.

თედო სახოკიას კი ის გაახარებდა, რომ ეს შემთხვევა არა ერთსა და ორ პიროვნებას დააფიქრებდა ჩვენს მიერ დედაენის დავიწყების თაობაზე და შემდგომ უკვე უცხოელის ეს მაგალითი თვალწინ დაუდგებოდათ ხოლმე თავიანთი ნაკლის მამხილებლად.

ისე, აქ რომ შეეთვისებინა მარჯორი უორდროპს ქართული ენა და არა ინგლისში, მაშინ ხომ ასცდებოდა ძველ ქართულ

ენას, რომელიც ახლა ასე გაუადვილებდა რუსთველის ენის შეთვისებას.

თედო ამ გარემოებასაც მიაქცევდა საგანგებო ყურადღებას, რაკილა უამისოდ გვერდით დარჩებოდა ალბიონის ასულის მოღვაწეობის გვირგვინი — ინგლისურად გარდათქმული „ვეფხისტყაოსანი“.

და მოაგონდებოდა ის ტკბილი წუთიც, რომელიც სხვებთან ერთად განეცადა „ივერიის“ რედაქციაში 1894 წელს, როდესაც დათა მიქელაძე, მკითხველებში **მეველედ** ცნობილი, წერილს შემოიტანდა, ქართულად ლამაზი ხელით დაწერილს და მიახარებდა:

— აი, უორდროპის ასულს ილიასათვის წერილი გამოუგზავნია და ნებართვასა სთხოვს, „განდეგილი“ ინგლისურად თარგმნოს.

ესენი თვალებს ვერ დაუჯერებდნენ, ბარათს როდესაც გაეცნობოდნენ!..

როგორი წარმოსადგენი გახლდათ, რომ ქართულ ენას, უცხოელთათვის ძნელად შესასწავლ ენად მიჩნეულს, ასე ჩინებულად ისწავლიდა ინგლისელი ქალი, და ისიც საქართველოს უნახავად, ცოცხალი ენის გაუგონებლად!..

რარიგ გამხნევდებოდნენ და იმედიც მოეფინებოდათ.

„არა ვყოფილვართ მთლად დავიწყებულნი ღმერთისგანაც და კაცისგანაც...“

და ერთხმად აჟივილხივილდებოდნენ, თითქოს ყმაწვილები არიანო:

— გზა დავულოცოთ ასეთ არაჩვეულებრივ ასულს!..
— გზა დავულოცოთ!..
— გზა დავულოცოთ!..
— იკურთხოს ის დედა, ვინც ძუძუ აწოვა!..
— იკურთხოს!..
— იკურთხოს!..
— და ის ქვეყანა, რომელმაც წარმოშვა!..
— იკურთხოს!..
— იკურთხოს!..

ილია არა მარტო ნებას დართავდა მარჯორი უორდროპს „განდეგილის“ სათარგმნელად, არამედ „ივერიის“ 8 სექტემბრის ნომერშიც გამოაქვეყნებდა მის ბარათს როგორც ნიმუშს სტილისა. და ეს პუბლიკაცია ქართველ ახალგაზრდობას გაცხოველებით რომ გაუცხოველებდა ინტერესს მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი, ინგლისელი ლედი ერთბაშად ამაღლდებოდა მათ შეგნებაში, უჩვეულო შარავანდით შეიმოსებოდა და პირველად ესტუმრებოდა თუ არა საქართველოს 1894 წლის მიწურულს, ქართველობა უკვე დიდი აღტაცებით დაუხვდებოდა, მეორე ჩამოსვლისას კი ჩვენი საზოგადოების ყველა წოდებასაც გაეცნობოდა, ბევრ გულწრფელ მეგობარსაც გაიჩენდა და მათთან მიმოწერასაც გამართავდა — რასაკვირველია, ქართულ ენაზე.

ოლივერს ეამაყებოდა, რომ საქართველოში იშვიათად თუ მოიპოვებოდა ოჯახი, სადაც მისი დის სახელი არ გაეგონათ.

სხვაგვარად ანკი როგორ იქნებოდა, რადგანაც ასერიგად მოწადინებულიყო, სცოდნოდა ყოველივე, რაც ქართველთა კეთილდღეობას შეეხებოდა და ისე იღვწოდა ამ მოდგმის სასიკეთოდ, რომ მისთვის არაფერი ეშურებოდა.

სათუთი და სუსტი აგებულებისა გახლდათ?

თავი კი არ ეზოგებოდა მოყვასთა მისაშველებლად, ნუგეშის საცემად და...

ხელოვნებაში რომ ზედმიწევნით ერკვეოდა, რა გასაკვირი გახლდათ — ინგლისური ოჯახი ასე ზრდიდა შვილებს, მაგრამ მხიარული გუნება, საღი გონება და მხურვალე გული მისი პიროვნული თვისებანი იყო, ისევე, როგორც თავმდაბლობა და მოკრძალებულობა, და ამიტომაც გაურბოდა თავისი ნაშრომების შესახებ ლაპარაკს. და ამიტომაც, ვინც დამტკბარიყო მისი ოჯახობრივი და საზოგადოებრივი ღირსებებით, ბევრს ვერც წარმოედგინა, თუ მარჯორი თავისუფალ დროს მეცნიერებას ანდომებდა.

ვის-ვის და ოლივერს კი ჩინებულად მოეხსენებოდა, რაოდენ მშვიდად, მხიარულად გაუსწორებია მის დას თვალი გადამდები სენისა, ომისა თუ სხვა მრავალი განსაცდელისათვის, და სა-

მივეგან, სადაც მოუწევდა ცხოვრება, ჰაიტის რესპუბლიკა იქნებოდა (1902), პეტერბურგი (1905) თუ ბუქარესტი (1907), მოწამე შეიქნებოდა ზარბაზანთა გრგვინვა-ჭექისა სამოქალაქო ბრძოლის დროს და კიდეც გაინაწილებდა როგორც სიხარულს, ისე განსაცდელს და მწუხარებას იმ ხალხისა, რომელთა შორისაც ცხოვრობდა.

მის მიერ არაერთხელ რომ გამოითქმოდა ეს სურვილი, კიდეც დაარსდებოდა ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართული ენის შესასწავლად და მისი წიგნები და ხელნაწერები კი ბოდლეის წიგნთსაცავს გადაეცემოდა.

— ჩემი ქართული ბიბლიოთეკა ივსება! ჩემი მუშაობა კი უფრო შინაარსიანი გახდება, თუ საქართველოში ჩამოვალ, — ამას მარჯორი 1894 წლის 27 ოქტომბერს მოსწერდა საქართველოში მყოფ ოლივერს და კიდეც ჩამოაკითხავდა აქაურობას დეკემბერში, ანკი სამშობლოში რაღა გააძლებინებდა, როდესაც ძმას გამოუტყდებოდა: არ ვიცი, რატომ არ შემიძლია, საქართველოს გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო და ვილაპარაკოო.

რარიგ განმსჭვალულიყო ქართული სამყაროთი, დღედაღამ მასზეღა რომ ფიქრობდა და უკვე ბოდავდა მისი ხილვისა და უფრო ღრმად შეცნობის წყურვილით.

— მიხარია, რომ შენ მანდ იმყოფები, მაგრამ, ოჰ, ნეტავ მეც ვიყო შენთან ერთად! ახლა ჩემი ორი სიყვარული ერთმანეთის გვერდითაა: შენ და საქართველო!

მედეა აბაშიძე, ვინც ამ ბარათსაც აამეტყველებდა ქართულად მარჯორი უორდროპის დოკუმენტური თხზულების — „მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები“ — შესავლად წამძღვარებულ ნარკვევში, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ინგლისელი ლედი იყენებდა გამოთქმას: dearest (უძვირფასესო), — რომლითაც ძმას მიმართავდა ხოლმე.

სამოგზაურო თხზულება კი საქართველოში პირველად ჩამოსვლის კვალზევე შეიქმნებოდა და იმთავითვე პოლიტიკური დანიშნულება უფრო ექნებოდა. ის შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, რაც ამ წამიერი მოხილვისას გაუჩნდებოდა, ისე შეირჩეოდა და დალაგდებოდა, რომ ბრიტანეთისა და საერთოდ

დასავლეთისათვის ცხადი გაეხადა ამ ქვეყნის თვითმყოფადობაც და ცივილიზაციის ის დონეც, რომელიც მხოლოდ ასე თუ განისაზღვრებოდა: მაღალი, — და თუ ეს ცივილიზაცია დაცემის გზაზე იდგა, გამოწვეული გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ იმ ჩაგვრისა და დესპოტიზმისაგან, რაც ქართველობას დასტეხოდა თავს და სრული რუსიფიკაციით ემუქრებოდა.

მაგრამ ეს ხალხი სულაც არ აპირებდა ავ ბედისწერასთან შეგუებას და ყოველ წუთს მზად გახლდათ აჯანყებისათვის, რათა თავი დაეღწია იმ ცბიერ და სასტიკ საფრთხეთაგან, მისი ეროვნულობის გასაქრობად რომ მოიწევდა.

საკუთარი ძალ-ღონით უძნელდებოდა გამკლავება ულმობელ განსაცდელთან?

თვითმყოფობის შენარჩუნებას კი ჯერაც ახერხებდა, მაგრამ საფრთხეც არა და არ იკლებდა?

მაშ დაე დასავლეთ ევროპას გამოედო თავი საქართველოს უძველესი სამეფოსათვის, იმედის თვალით რომ მოელოდნენ შემწეობასა და თანაგრძნობას!

ამ პოლიტიკური მოწოდებით ბოლოვდებოდა მარჯორი უორდროპის მოგზაურობის ჩანაწერები და... გული გწყდება, ხელთ მარტოდენ ზოგადი ქარგა რომ გაქვს და არა გაშლილი და ხვავრიელი თხრობა, კოლორიტული პორტრეტებითაც დამშვენებული, და მხოლოდ ცალკეული — თავისთავად მარჯვედ შემჩნეული და საგულისხმო — დაკვირვებანი თუ შეხედულებანი უნდა ვიკმაროთ, ამ ფრიად მნიშვნელოვანი თეზისის ირგვლივ შემოწყობილი: ქართველებს, სხვა მთიელებივით, მდიდარი წარმოსახვა და პოეზიის სიყვარული გამოარჩევთო.

შემწეობასა და თანაგრძნობას მოველოდით ევროპისაგან?

თანაგრძნობა ეგებ მართლაც არ მოგვკლებოდა დასავლეთის ქვეყნებისაგან, მაგრამ, აი, რეალური დახმარება კი... და ეს მას შემდეგ, რაც გერმანიის თანადგომით შევიძლებდით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებას, ბრიტანეთის მოსამხრობად ძალ-ღონეს კი არ დაიშურებდა ოლივერ უორდროპი, მაგრამ შეიცვლიდა თუ არა ბრიტანეთი პოლიტიკურ კურსს და გვიგანებდა, ოლივერი პროტესტის ნიშ-

ნად გადადგებოდა ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უზენაესი რწმუნებულის თანამდებობიდან.

მაგრამ ეს 1920 წელს მოხდება, წლების შემდგომ, რაც თედო სახოკია მოინახულებდა ბერგენში და პირადად კიდევ ერთხელ დაუდასტურებდა ქართველთა მხურვალე პატივისცემას უანგაროდ გამოწვდილი ხელისათვის.

თუმც ჯერ ბერგენის შეხვედრაც რა დროსია, 1886 წელი დგას და, როგორც ინგლისური არისტოკრატიული ოჯახის შვილს შეჰფერის, ოლივერიც დაუღალავ მოგზაურთა წყებას უნდა შეუერთდეს და რომში სამ თვეს რომ დაყოფს უნივერსიტეტში, იტალიით დაწყებული ოდისეა ეგვიპტით, სირიით, პალესტინითა და თურქეთით გააგრძელოს...

აგერ უკვე პალესტინა.

1887 წლის 19 თებერვალი.

ჯვრის მონასტერი და... ფრესკაზე ორ დიდ საეკლესიო მამას შორის აღბეჭდილი უცნობი კაცის გამოსახულება, შოთა რუსთველი რომ უნდა აღმოჩნდეს, მანამდე ოლივერს არამცთუ ეს სახელი და მისი ეპიკური ქმნილება რომ არა სმენოდა, არამედ თვით მისი ქვეყნისაც — საქართველო... და რას წარმოიდგენდა, რომ სულ მალე მასზე წიგნსაც თუ დაწერდა: „საქართველოს სამეფო (მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში)“, აქ ჩამოსვლის პირველ შთაბეჭდილებას კი ასე გაუზიარებდა მშობლებს 1887 წლის აპრილში გაგზავნილი ბარათით:

— მომეწონა რომი, მაგრამ აღფრთოვანებული ვარ საქართველოთი, ყველაზე ლამაზი ქვეყნით.

ეს მხოლოდ წამიერი განცდა არ აღმოჩნდებოდა.

ყმაწვილური აღქმა და აღფრთოვანება ამ უჩვეულო სამყაროთი — თვალწინ აღმართული ყოფითი რეალობით თუ ისტორიაში ჩაკარგული ფესვებით არც არასოდეს გაუნელდებოდა ბრიტანელ დიპლომატსა და სწავლულს და ამ სიყვარულით თავის დასაც რომ აღანთებდა და რარიგ აღინთებოდა, ჯვრის მონასტრის ფრესკაზე ნანახი კაცის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თურმე სწორედაც მარჯორი უორდროპის ხელის შეხებას მოელოდა, რათა ინგლისურ ენობრივ სივრცეშიც გაეღწია. საკუ-

თარ დას კი არა, აგერ კონსტანტინ ბალმონტსაც ოლივერი აიყოლიებდა სანკტ-პეტერბურგში ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად და კონსულად მუშაობისას და რუსული ვერსიაც მისი წყალობით მომზადდებოდა — არცთუ ურიგო, რაკიღა ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის ხელთ აღმოჩნდებოდა ჩვენი ეპიკური ქმნილება.

გეოგრაფიული, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით თითქოს უფრო მოსალოდნელი გახლდათ, რომ რუსეთიდან გაკვალვოდა გზა „ვეფხისტყაოსანს" ინგლისისაკენ, მაგრამ რეალობა სულ სხვას ადასტურებდა და ინგლისური ენობრივი სინამდვილიდან შემოაღწევდა რუსულ გარემოში.

და-ძმა პეტიციასაც შეადგენდა 1905 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე.

მარჯორის გარდაცვალების შემდეგ ოლივერი დის სახელობაზე საქველმოქმედო ფონდს რომ დააარსებდა, ქართული ენის კათედრის დაფუძნებასაც ჩაიფიქრებდა ამ ფონდზე დაყრდნობით და ქართველოლოგიური კვლევა-ძიების გაშლა-გაღრმავებასაც, თავის მხრივ კი, აქეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" რომ თარგმნიდა ინგლისურად კომენტარებითურთ, იქით კიდევ საპროტესტო კომიტეტსაც შექმნიდა კაზაკთა რეპრესიებისაგან ქართველი გლეხობისა და მშრომელთა დასაცავად.

ინგლის-საქართველოს საზოგადოების დაფუძნება კიდევ ცალკე, და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან — ლორდ კერზონთან — მოლაპარაკებანიც იმ მიზანს ისახავდა, რომ ბრიტანეთს დროზე აღმოეჩინა შემწეობა საქართველოსათვის, ვიდრე გვიან იქნებოდა და ან სცილა იმსხვერპლებდა და ან ქარიბდა.

ცხადია, არ იკმარებდა შეშფოთების გამოხატვა საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობით, და ოლივერი შეეცდებოდა, დაერწმუნებინა თავისი ქვეყნის მთავრობა, რომ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შავ და კასპიის ზღვებს შორის სტრატეგიულად დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა ინგლისელთათვის.

და ბრიტანეთი განზე რომ გადგებოდა და ოლივერი შემოსწყრებოდა თავისიანებს, იმდენს ვეღარ იფიქრებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაც მაინცდამაინც არ მოწადინებულიყო ამ პოლიტიკურ ურთიერთობას, ნოე ჟორდანია ყოველნაირად ცდილობდა ჩამოეცილებინა გერმანიაც და ინგლისიც, რაკიღა რუსეთის იქით თავისი ბედი ვერ წარმოედგინა.

სად ჰყავდა გვერდით ოლივერ უორდროპს რევაზ გაბაშვილი, რათა გაერკვია საქართველოს მთავრობის ხლართებში, იმ წაჯექუკუჯექურ პოლიტიკაში, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე რომ ამხელდა სოციალ-დემოკრატებსა და მათ წინამძღოლთ, მაგრამ რა გინდა — ბედისწერის ავი განჩინებით ამათ ხელში ჩავარდნილიყო 117-წლოვანი წყვდიადიდან უეცრად მზის სინათლეზე ამოვარდნილი ქვეყანა... და ოლივერ უორდროპიც ამაოდ რომ მიაწყდ-მოაწყდებოდა აქეთ-იქით, ხელს ჩაიქნევდა საჯარო სამსახურზე და ერთიანად გადაეშვებოდა მარჯორი უორდროპის ფონდის საქმიანობაში.

ფონდი მატერიალურად რომ დაეხმარებოდა ინგლისში მყოფ ქართველ სტუდენტებს, მათ შორის იქნებოდა მიხაკო წერეთელიც.

კიდევ ახალ-ახალი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შეძენა ოქსფორდის უნივერსიტეტის, ბრიტანეთის მუზეუმისა და ლონდონის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის.

კიდევ უოლტერ ალენთან ერთად საქართველოს საისტორიო საზოგადოების დაარსება.

კიდევ ჟურნალ „გეორგიკას“ გამოცემა.

კიდევ მატერიალური დახმარების აღმოჩენა თბილისში დაფუძნებული კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტისათვის.

კიდევ ხელშეწყობა ქართველოლოგიური კვლევა-ძიებისათვის კემბრიჯის უნივერსიტეტში.

კიდევ ქართველოლოგთა მოწვევა ლექციების წასაკითხად.

კიდევ...

არ გაბეზრდებოდა ოლივერ უორდროპი, არ დაცხრებოდა.

ჯერ კი ჩიფსტიდ სევენოუკიდან უგზავნიდა ბარათს თედო სახოკიას, 1914 წლის 1 ნოემბრით დათარიღებულს და ებოდიშებო-

და, რომ აქამდე ვერ მოეხერხებინა ეპასუხა მის ღია წერილზე, თედოს 1 აგვისტოს რომ გაეგზავნა, არადა, ოლივერს სულ რამდენიმე დღის წინათ მიეღო, როდესაც დავით ღამბაშიძეს შეხვედროდა.

— დროებაა ისეთი, რომ ადამიანს ბევრი სადარდებელი აქვს და წერილებიც წესიერად არ დადის ხოლმე.

იმედოვნებდა, რომ ქართველი სწავლული მიიღებდა „ვისრამიანისა" და „საქართველოს მეფე გიორგი V-ის ძეგლისდების" თარგმანებს, 17 ოქტომბერს რომ გაეგზავნა მისთვის. და კიდევ იმ 46 ფრანკს არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის" შესაძენად, რათა მისი ისედაც მდიდარი ბიბლიოთეკა შევსებულიყო. ეს წიგნი შემოდგომაზე აღმოეჩინა თედოს პარიზში ერთ ბუკინისტთან და მაშინვე დაფაცურებულიყო: ოლივერს გამოადგებაო. ისიც სიხარულით შეჰგებებოდა ამ ცნობას და მხოლოდ იმას სთხოვდა: ამანათი დაზღვეული გამომიგზავნეთ, ასე ნაკლები შიში იქნება მისი დაკარგვისაო.

ბიბლიოთეკის შევსება შევსებად და თედო როგორ არ აღტაცებულიყო, რომ ბრიტანელ დიპლომატსა და სწავლულს ქართული სტამბაც გაეჩინა და ქართული ენის კათედრის დაარსებასაც ხელის-გაწვდენაზე იგულვებდა.

ოლივერი იმასაც ამცნობდა, ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი მეუღლე რომ მოენახულებინა, ეგაა, საქართველოს ამბები არაფერი იცოდნენ. არადა, ამას სული უსწრებდა, შეეტყო, თუ რა ხდებოდა მის მეორე სამშობლოდ დაგულებულ ქვეყანაში. ვაითუ ბევრი ქართველი დახოცილიყო პოლონეთში ბრძოლის დროს. გაზეთში ცნობა ამოეკითხა: ერთი კავკასიური ლეგიონი მეტისმეტად დაზარალდაო.

და ბარათი კვლავ ამ თხოვნით ბოლოვდებოდა:

— თუ რამ გაიგოთ სამშობლოდან, გეთაყვათ, შემატყობინეთ, რა ხდება საქართველოში.

ეს წერილი კი 2 ნოემბრით დათარიღებულიყო, თედოს 30 ოქტომბრის ბარათის საპასუხოდ, დიდზე დიდ მადლობას რომ მოახსენებდა და 46 ფრანკის მანდატსაც უგზავნიდა.

ყური მოეკრა, თბილისში ქართულ წიგნთსაცავს ცეცხლი გასჩენიაო, და ძალიან წუხდა და თედოს შესჩიოდა: მანდ რომ

გახლდით, ყველას ვეუბნებოდი, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავი სადმე სხვაგან გადაიტანეთ, ასეთი ძვირფასი განძის შენახვა ამგვარ ადგილას მეტად საშიშია-მეთქი, მაგრამ ყური არ მიგდესო.

— ბერძნებმა თქვენი ძველი ხელნაწერები გაანადგურეს, ხოლო სხვა მტრებმა (სრულებით არ გამიკვირდება, თუ გამოირკვა, რომ ამ საქმეში ბნელი ძალების ხელი ურევია) კიდევ ასეთი საშინელი უბედურება დაატეხეს თავზე ქართველებს! ამ ამბავმა პირდაპირ გული მომიკლა. ოქსფორდში დაარსებული ჩვენი საცოდავი პატარა წიგნთსაცავი სახსენებელიც არ არის ამ საშინლად დაზარალებულ წიგნთსაცავთან შედარებით. გერმანელთა მხეცური საქციელი ალბათ წააქეზებს სხვა ნადირ ხალხს, მიჰბაძოს ლუვენში გერმანელების მიერ ჩადენილ ბარბაროსობას.

ლუვენში, ბელგიის ქალაქში, გერმანელები რომ შეიჭრებოდნენ, მის მდიდარ ბიბლიოთეკას დაწვავდნენ, თბილისში კი, ბედად, წიგნების საწყობს, თავადაზნაურობის ქარვასლას მოედებოდა ცეცხლი და არა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკასა და სამუზეუმო ნივთებს, რაც მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. და თუმც წიგნების საწყობები ძალიანაც დაზარალდებოდა, მაგრამ ამ მატერიალური ზარალის ანაზღაურება ასე თუ ისე მაინც შეიძლებოდა. კიდევ კარგი, ძვირფასი ხელნაწერები საწყობის მოშორებით მდებარეობდა და ეს გადაარჩენდა სრულიად უვნებლად.

14 ნოემბრის ბარათით კი მოუბოდიშებდა იმ უსაფუძვლო ეჭვის თაობაზე, ვითომც უბედურების (რასაც ძალზე დაეკოდა მისთვის გული) მიზეზი მტერი და ავისმდომი ყოფილიყოს.

— იმედი მაქვს, მხოლოდ მარცხი იყო და მეტი არაფერი. მაგრამ გული იმდენად მქონდა სავსე დარდით ქართულ ხელნაწერებისა და წიგნების დაღუპვითა და იმდენად აღშფოთებული გახლდით ჩვენი დროის ჰუნების მხეცობის გამო, რომ როცა ამასა გწერდით, ჩემი გრძნობათა უფალი და მბრძანებელი არ გახლდით.

ნამდვილი ბრიტანელი ჯენტლმენი რომ არის ოლივერ უორდროპი!.. რარიგ ნანობს, რომ იჩქარა ეჭვის გამოთქმა, მაშინ,

როდესაც შესაძლოა საამისო საფუძველი არც არსებობდა. თითქოს ისეთიც რა მოხდა — ბოლოს და ბოლოს, ერთ ადამიანს გაუზიარა თავისი ეჭვი... მაგრამ განიცდის, ფიქრშიც არ უნდა გამევლო, ვიდრე შესაფერისი საბუთები არ მექნებოდა ხელთ დანაშაულის დამადასტურებლადო. ბრმა შემთხვევა კი ბრმა შემთხვევა გახლდათ და მისი სხვაგვარი განზოგადება საჩოთიროდ მოეჩვენებოდა ინგლისელ არისტოკრატს.

ხოლო ბარათში ჩამოწერდა სიას თავისი უკვე დაბეჭდილი ნაწერებისა საქართველოს შესახებ, და ესეც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მითუმეტეს, რომ სისწრაფისას შესაძლოა ზოგი რამ უნებლიეთ დავიწყებოდა — წერისას ასე იმას აეჩქარებინა, რომ საზღვარგარეთ უწევდა წასვლა თავისი სამშობლოს სამსახურში.

და კვლავ ის თხოვნა:

— მომწეროთ წერილი და შემატყობინოთ როგორც თქვენი პირადი, ისე საქართველოს ამბები...

* * *

ლუარსაბ ბოცვაძე მოსამზადებელი კლასების პროგრამას რომ გაუგზავნიდა საერთო ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისათვის, ბარათსაც მიადევნებდა, 1915 წლის 12 ივნისით დათარიღებულს, და აცნობებდა, რომ წინა დღით მოლაპარაკება ჰქონდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანთან, ვახტანგის ასულთან, და იქ იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილიც, მარიამის სიძე.

— ყველამ დახმარებისა და მფარველობის სურვილი გამოსთქვეს შენი გოგონისათვის. მეც დარწმუნებული ვარ ყველანი დაგეხმარებიან, პანსიონი არ არის, მაგრამ შეიძლება სადმე ბინად მოხერხდეს. ყოველ შემთხვევაში იმედი გქონდესთ, რომ თანამგრძნობი და დამხმარე აქ არ მოგაკლდება და მეც ვეცდები რაც-კი შეიძლება.

მაინც ურჩევდა: შენც რომ მოსწერდე კნეინა ორბელიანს, კარგი იქნება, ის არის ქალთა სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე და დიდი გავლენაც აქვს სხვებზეო.

ბავშვი 20 აგვისტოსათვის უნდა მიეყვანათ გამოცდაზე.

ოქსფორდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის წიგნების შეგროვების საქმე რომ მიყუჩებულიყო, თედო ამისათვის ნუ გაამტყუნებდა ნურც ლუარსაბსა და ნურც ნურავის, ომს ყველაფერში შეეშალა ხელი და, ვიდრე ქვეყანა არ დამშვიდდებოდა, რას უნდა გამხდარიყვნენ.

ლუარსაბი სთხოვდა მუდმივ მისამართს, რათა ჟურნალი „განათლება" გაეგზავნა, ამასთან ორიოდე სასარგებლო ცნობის მოწოდებასაც ევროპიდან — ჟურნალში დასაბეჭდად.

დიდი იმედი რომ ჰქონდა ვარია ყიფიანისა და სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც მიეწვია მასწავლებლად, თურმე ქართულში ძლიერ სუსტი ყოფილიყო — ბელგიიდან გამოგზავნილი მისი წერილი ნახევარი თედოს

დაეწერა და... ლუარსაბიც ამას შეეცდინა: ეს რა ჩინებული ქართული სცოდნიაო!..

* * *

ოლივერ უორდროპი 1915 წლის 18 სექტემბრის ბარათით მოებოდიშებოდა, რომ თედოს წინა თვის წერილი ამდენ ხანს უპასუხოდ დარჩენოდა. საკონსულოში იმდენი საქმე ეყარა თავს, უძნელდებოდა თუნდ რამდენიმე წუთის გადარჩენაც კერძო მიმოწერისათვის.

ემადლიერებოდა გაზეთის იმ ნომრის გამოგზავნისათვის („სახალხო ფურცლის" 1915 წლის 302-ე ნომერი იგულისხმება), სადაც დაბეჭდილიყო თედოს შენიშვნა ოლივერ უორდროპის თარგმანზე.

ცდებით, რომ გიფიქრიათ, ვითომც მე რამე დამებეჭდოს „ტაიმსში" ან სხვა გაზეთში მას აქეთ, რაც ომი დაიწყოო, — აცნობებდა, — ის კი არა, წერილიც არ მინახავს აჭარლების შესახებ, ვისზედაც წერილში მელაპარაკებით, მაგრამ სასიამოვნოდ მრჩება, რომ მათი დაუმსახურებელი გაჭირვებისათვის ინგლისელებს ყურადღება მიუქცევიათო.

ბარათისათვის დართულ კომენტარში თედო სახოკია აღნიშნავდა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარლებს ნიკოლოზის მთავრობა ოსმალთა მომხრეობასა და სახელმწიფო

ღალატს დასწამებდა, მაგრამ მათ უდანაშაულობას თბილისიდან გაგზავნილი თავადი გოლიცინი ცხადყოფდა.

[გთხოვთ] ძალიან, ჩემმა ქართველმა მეგობრებმა მომაწოდონ ქართული წიგნები და გაზეთები ამ მისამართზე: ბრიტანეთის საკონსულო. ბერგენი (ნორვეგია), — მაგრამ მეგობრებთან მიმოწერა რუსეთში ისე გამიჭირდა, რომ ფოსტით ვის რას მივწერ, ისე კი იშვიათად მიჩნდება შემთხვევა, ვინმეს წერილი გავატანო ხოლმეო.

რამდენადაც შეეძლო გაეთვალისწინებინა, აქ ომის დასრულებამდე მოუწევდა დარჩენა. სიმრთელით თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ მეტისმეტი მუშაობისაგან კი ძალზე მოქანცულიყო. აგერ აპრილის თვეში მეუღლე და ორი შვილი სტუმრებოდა.

იმედოვნებდა, რომ თედოს საქმე კარგად მიდიოდა.

მიხაკო წერეთლის ავადმყოფობის ამბავს კი ძალიან შეეწუხებინა, შეეტყო, კლინიკაში წევსო, და განიცდიდა: საბრალოა მისი ყოფნა იქ, სადაც ახლა არისო.

რამდენიმე დღის წინათ ჩერქეზიშვილებისა და ღამბაშიძის ამბავი მისვლოდა.

აგერ უკვე 1916 წლის მესამე თვეც დამდგარიყო და 11 მარტს გამოგზავნილ ბარათში დიდ სიხარულს გამოთქვამდა, თედოს რომ შეეტყობინებინა მისთვის 3 მარტს მიწერილი ბარათით: საქართველოში ვბრუნდებიო.

— წარმოვიდგენ იმ სიამოვნებას, რომელსაც განვიცდი თქვენი ნახვით, როცა ბერგენზე გამოიცლით. იმედი მაქვს, იმდენს დროს ვიშოვნით, რომ ცოტა რამ გავუზიაროთ ერთმანეთს იქითურ-აქეთურისა. რაც აქ ჩამოვსულვარ, ისე დატვირთული ვიყავი მუშაობით, რომ ვერ მომიცლია ქართული გაზეთი გადამეთვალიერებინა.

ინგლისიდან გასვლის ნებართვის აღება თედოს არ უნდა გასძნელებოდა. ოლივერის წერილს წარადგენდა ნებართვის გასაცემ ბიუროში და ყველაფერს მოუგვარებდნენ.

— მე დიდი სიამოვნებით გიმოწმებთ, რომ შვიდი წელიწადია, რაც გიცნობთ და რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენთან

ხშირი მიწერ-მოწერა მქონდა; წერილებსა გწერდით უკანასკნელ ხანს პარიზში, როცა თქვენ ბლენვილის ქუჩაზე ცხოვრობდით, რომ თქვენ, როგორც გამოცდილი მწერალი, დიდ დახმარებას მიწევდით (ჩემს) სალიტერატურო მუშაობაში.

ამასაც დასძენდა: შემიძლია დაგიმოწმოთ, რომ დაბადებით რუსეთის ქვეშევრდომი ბრძანდებითო.

და ბარათს ეს სტრიქონი აბოლოებდა:

— თქვენი სიამოვნებით ნახვის მოლოდინში დავშთები თქვენი უერთგულესი...

ადექი, შე ძილისგუდაო, — აჩქარებდა სარკის წინ მდგარი თედო სახოკია ლეო ქიაჩელს.

როგორ, ბერგენში ჩამოსულებს ოლივერ უორდროპი არ მოენახულებინათ? ხომ გაუტყდებოდა იმას გული არამარტო ამათზე, არამედ საერთოდ ქართველებზე.

ლეო ხელებს გაასავსავებდა.

მაინცდამაინც აღტაცებული კი არ დარჩებოდა თავისი ამ უარით, მაგრამ რა ექნა, როდესაც მისი ცოტა მძიმე ხასიათი ასეთი შემთხვევებისას ყოველთვის დაბრკოლებად ექცეოდა ხოლმე.

ჯერ ისედაც, და ახლა თედოს ფიცხი ხასიათის ფონზე კიდევ უფრო ხელშესახებად გამოიკვეთებოდა ლეოს ეს შინაგანი შებოჭილობაც და სიზანტეც, მითუფრო — ამხელა განსაცდელის შემდეგ, კარგა ხანს რომ ვერ მოეგებოდა გონს, დაღლილობა და ზღვის ავადმყოფობა არც არაფრად რომ არ ჩავაგდოთ.

თედო ამ საყვედურსაც არ მოერიდებოდა:

— ამდენი ხანი გიცხოვრია ევროპაში და ევროპული ზრდილობა ვერ გისწავლია.

და გაგულისებული მარტო გაუდგებოდა გზას.

უკან რომ მობრუნდებოდა, კარგ გუნებაზე იქნებოდა, გაზეთების შეკვრას მოიტანდა, მაგიდაზე დადებდა და თანამგზავრს ეტყოდა:

— ავადმყოფობით გავამართლე შენი მიუსვლელობა. ინაღვლა. წამოსვლა უნდოდა სანახავად, როცა გაიგო, რომ მწერალი ხარ, მაგრამ არ დავანებე. მოკითხვა შემოგითვალა.

ეს ბოლომდე არც მოუსმენდა მის სიტყვებს, იფიქრებდა, ამას იმიტომ მეუბნება, რომ შემარცხვინოსო. უფრო კი იმიტომ, რომ თვალი გაზეთებისაკენ ეჭირა.

„ნეტა რა გაზეთებია?..“

და ლეოს გაოცებას საზღვარი არ ექნებოდა, როდესაც გაზეთები ქართული აღმოჩნდებოდა. ისე, ჩვენი ბრიტანელი მეგობარი უკეთ რომ სცნობოდა, გაკვირვებით არა გაუკვირდებოდა რა. ის ხომ სულს სწორედ ქართული პერიოდული გამოცემების გაცნობით ითქვამდა.

მაგიდაზე „სახალხო გაზეთის“ მთელი დასტა ეწყო, რედაქცია განუწყვეტლივ რომ უგზავნიდა გაზეთის ყოველ ნომერს. მისი დის საპატივსაცემოდო, ასე ეგონებოდა ლეო ქიაჩელს, თუმც თვითონ ოლივერსაც კი მიუძღოდა იმხელა ღვაწლი ჩვენი ქვეყნისა და კულტურის წინაშე, რომ არავის დაემადლებინა ახალ გამოცემათა მიწოდება.

ლეოს კი, რაკიღა კარგა ხანია, თვალითაც არ ენახა ქართული გაზეთი, თედოს აღარც დააცდიდა საყვედურით სავსე ტირადის ჩამთავრებას, დასწვდებოდა და გადაშლიდა.

დამთხვევათა არსებობა არ აოცებდა ამ მოვლენის მართლაც ათასნაირობისა გამო, მაგრამ ნუთუ ამისთანა დამთხვევაც იყო შესაძლებელი?..

კინაღამ გაგიჟდებოდა მოულოდნელობისა და სიხარულისაგან.

„სიზმარში ხომ არა ვარ?..“

ხელში ეჭირა ფართოდ გაშლილი გაზეთი და მზერას ვერ აშორებდა მისი მაღალი ფელეტონის მომსხოდ დაბეჭდილ სათაურს — „ტარიელ გოლუა“.

არა, ეს სიზმარი არ გახლდათ, არამედ ის ცხადი, საბოლოოდ რომ უნდა ერწმუნა ლეო ქიაჩელს თავისი მწერლური ნიჭი და უნარიც და თანაც იმ თხზულების გამომზეურებით, ასე რომ ისაკლისებდა ქართული ლიტერატურა. და ახლა მაინცდამაინც ის ნომერი აეღო, სადაც დაბეჭდილიყო მისი რომანის პირველი თავი სარედაქციო მცირე შენიშვნითურთ, რომელიც ნაწარმოების დიდ ქებას შეიცავდა.

— რა ხდება? — თედოს რას გამოეპარებოდა მისი უზომო მღელვარება.

და ლეო არამარტო გაზეთს გადასცემდა, არამედ თავიდან ბოლომდე უამბობდა იმ მოლოდინსა და წუხილს, რაც აქამდე დაეფარა და ახლა კი ძალდაუტანებლად ამოსკდებოდა გულიდან. არამცთუ დაკარგულიყო ხელნაწერი, აგერ უკვე გზასავალიც მისცემოდა და მინიატურებსა და ესკიზებში გახლართულ ქართულ ლიტერატურას, ორიოდე ეპიკური ნიმუშის ანაბარა დარჩენილს, კიდევ ერთი რომანი ემატებოდა, ავტორი არჩილ ჯორჯაძის აჩრდილს რომ გახედავდა კიდევ უფრო გულმოცემული: ხომ ის არის, რაც ასე გენატრებოდა და ყველას გვაგულიანებდიო.

მითუმეტეს, რომ თედო ისე აღტაცდებოდა ჯერ მარტო თვალის გადავლებით ნაბეჭდ ტექსტზე, ლეო ქიაჩელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: არამცთუ გაიზიარა ჩემი სიხარული, როგორც მეგობარს, ჩემზე უფროც გაეხარდა ჩემი ბედნიერებაო.

— შენს ფელეტონს საღამოს წავიკითხავ, — სული კი უსწრებდა თედოს, მაგრამ არ უნდოდა, აქედან ისე გამომგზავრებულიყო საქართველოში, რომ ბერგენი ერთი მისებურად არ დაეთვალიერებინა კუთხე-კუნჭულებიანად.

მაშინაა, ლეოსაც კვლავ რომ შესთავაზებდა თან გაყოლას, და თუ ოლივერთან სტუმრობისას მაინც შეიბრალებდა დაქანცულსა და ჯერაც გონებამოცულს ახალგადატანილი განსაცდელით, ახლა დაე იმას დაეთმო, მითუფრო, რომ ლეო გრძნობდა, ვერავითარი ძალა თუ ხათრი ვერ დააკავებდა თედო სახოკიას, რაკიღა მისი მარად გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობა ამჯერადაც სამოქმედოდ მოუწოდებდა.

ლეო ქიაჩელი სავსებით კმარობს იმის აღნიშვნას თავის მემუარულ ჩანაწერში, რომ დაუყოვნებლივ გაჰყოლოდა, ხოლო თედოს რომ აღეწერა ის შთაბეჭდილებანი, ჰოი, რა საგულდაგულოდ წარმოსახავდა ნორვეგიის ამ ზღვისპირა ქალაქს, და ერთი თვალის გადავლებითაც ეთნოგრაფიულ ნარკვევს შექმნიდა.

სად გასწვდენოდა ყველასა და ყველაფერს, რომ სამშობლოში დაბრუნების ეს თავგადასავალიც ისევე დასდებოდა საფუძ-

ვლად მის მოგონებათა ცალკე რკალს, როგორც ციმბირული შთაბეჭდილებებიდან ამოზრდილიყო ორიგინალური ეპიკური ქმნილება, რომლის სიუჟეტური ქარგის გაშლის დროსაც ერთმანეთს მოხდენილად შერწყმოდა თავზეხელაღებული კატორღელი, ეთნოგრაფი და მწერალი და ჩინებული ავტობიოგრაფიული რომანი ამიტომაც გამოინასკვებოდა.

და ამისთანა რომანები სხვაც არაერთი შეიძლება გვქონოდა, რაკიღა თედო სახოკიას ცხოვრება ასერიგად აღვსილიყო მღელვარებებით.

ბერგენიდან ტორნეომდე და ტორნეოდან რუსეთ-ფინლანდიის საზღვრამდე მშვიდობიანად იმგზავრებდნენ რკინიგზითა თუ მარხილით, თუმც საბუთებს ყველა საზღვარზე უსინჯავდნენ და უჩხრეკდნენ. მართალია, ლეოს საბუთები სხვის სახელსა და გვარზე იყო შედგენილი, მაგრამ ჩავარდნისა არ ეშინოდა, რაკიღა ყველაფერი რიგზე იყო. ფოტოსურათი საკონსულოს დაემოწმებინა და ეჭვს არაფერი იწვევდა.

განსაკუთრებით გაძლიერებულ ჩხრეკასა და დაკითხვაში მოჰყვებოდნენ რუსეთ-ფინლანდიის საზღვარზე, სადაც სულ ცოტა ათი მაგიდის წინ მაინც უნდა გატარებულიყვნენ, რათა ნებართვა აეღოთ რუსეთის მხრიდან ჩამომდგარ მატარებელში ჩასაჯდომად. ლეო თანამგზავრზე წინ მიდიოდა, მაგიდიდან მაგიდისაკენ ინაცვლებდა, სამხედრო პირები და ჟანდარმები რომ შემოსხდომოდნენ. და დაკითხვა ყველგან ერთნაირი გახლდათ: სად იყავით და რატომ? სად მიდიხართ და რატომ?

ნერვები უნდა მოგეთოკა და გემეორებინა ერთი და იგივე.

მრავალ საელჩოსა და საკონსულოში გატარებული და დამოწმებული საბუთებით დაიმედებულ ლეოს რისი შიში შეიძლება ჰქონოდა, და კიდეც დაუბრკოლებლივ გაივლიდა ყველა მაგიდას და ვიზასაც მიიღებდა.

ან თედოს გამო რატომ უნდა შინებოდა?

მას ხომ სულაც უმტკიცესი საბუთები ეპყრა ხელთ, რუსეთის ცენტრალური მთავრობის მიერ დადასტურებული, ოფიციალურად რომ რთავდნენ ნებას ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებისა.

ეს ნელი ნაბიჯით გაემართებოდა გასასვლელისაკენ, თედო დამეწევა და რუსულ ბაქანზე ბარემ ერთად გავალთო.

მაგრამ... თედო რომ აყოვნებდა?!.

გასასვლელთან ჟანდარმი იდგა და, რომ შეატყობდა, ეს მგზავრი გასვლას აგვიანებსო, კარს გააღებდა და თავაზიანად შესთავაზებდა: მიბრძანდითო. მეტი რა გზა იყო, უნდა გასულიყო. პეტროგრადისაკენ მიმავალი მატარებელი უკვე ჩამოეყენებინათ, მაგრამ ეს ბაქანზე შეჩერდებოდა თედოს მოლოდინში.

ის კი არა და არ ჩანდა.

მის ნაცვლად ვიღაც უცნობები გამოვიდოდნენ.

„ნეტა რა უნდა მომხდარიყო?.."

და გაკვირვებული ლეო კარს მიუახლოვდებოდა მეგობრის დაგვიანების მიზეზის გამოსარკვევად. მეკარე ჟანდარმი, დარბაზიდან რომელსაც გამოეცილებინა, კარს გამოაღებდა და, ცოტა არ იყოს, გამაფრთხილებელი ხმით განუცხადებდა:

— თქვენი გზა განაგრძეთ... თქვენი თანამგზავრი არ მოვა.

ესეც რა თედო სახოკიას ბედი გახლდათ!..

შენ უმტკიცესი საბუთები ეძახე, თურმე შესაძლოა, იმასაც ვერ დაეფარა.

გაოგნებული იდგა ლეო ქიაჩელი: მე ყოველგვარი ნებართვის გარეშე, არალეგალურად მოვდივარ და დაუბრკოლებლად გამომატარეს, თედო კი ოფიციალური ნებართვითაა აღჭურვილი, სავსებით ლეგალურად ბრუნდება სამშობლოში და... მაინც დააკავესო.

„ბედის ირონია ეს არის თუ არის!.."

და იქვე გადაწყვეტდა, პეტროგრადში ჩასვლისთანავე ეცნობებინა სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატებისათვის ეს სამწუხარო ამბავი, რათა თედო სასწრაფოდ გამოეხსნათ.

კიდეც მიაღწევდა თავისას.

ერთობლივი მგზავრობის ამ ეპიზოდის გახსენებას კი დაისაჭიროებდა თედოს ზოგიერთი პროვნული თვისების წარმოსაჩენადაც და იმ წვეთადაც, რომელშიც უნდა არეკლილიყო მწერლისა და მოღვაწის მრავალჭირგადანახადი დიდი გზა.

...ახ, ნეტა ციმბირულ მოგონებათა ყაიდის თხზულება ამ მგზავრობაზეც შემოგვრჩენოდაო, — უსათუოდ გაივლებ გულში ამ უაღრესად დაწურული სტრიქონების ჩაკითხვისას... და მოინდომებ ამ თვალით გადახედვას ლეო ქიაჩელის ნოველებისა და რომანებისათვის; ნეტა სად გაიბნა ეს შთაბეჭდილებანი, ან თედო სახოკია პროტოტიპად თუ არ იგულისხმა რომელიმე პერსონაჟისათვის, მისი პიროვნული თვისებანი ვის ხასიათებზე და როგორ გადანაწილდაო.

ეს ხომ ის კაცი გახლდათ, ძალდაუტანებლად რომ მოგანდომებს სადმე აღბეჭდო, ჩახატო მისი კოლორიტული ბუნება თუ ღრმა, მრავალფეროვანი, კეთილშობილური სულით განმსჭვალული ხასიათის ის წახნაგები, ცალკეულ პიროვნებებშიღა რომ ბჟუტავდა და ასე თუ ინარჩუნებდა უწყვეტობას.

* * *

ლეო ქიაჩელი კიდეც მიაღწევდა თავისასო...

და ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ 1916 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდებოდა თედო სახოკიას პორტრეტი ამგვარი წარწერით:

— მთავრობამ ნება დართო ემიგრაციიდან დაბრუნდეს საქართველოში.

და ამ ამბავს, თედოს გათავისუფლებისა, რუსული გაზეთიც „დენ“ მიახარებდა თავის მკითხველს 18 აპრილის ნომერში.

უკან დარჩებოდა ევროპა — სამუდამოდ.

მხოლოდღა სულიერი გზებით რომ დაუბრუნდებოდა ხოლმე — დროდადრო.

თავი მეთოთხმეტე

რწმენა და განათლება

ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“ გამოიცემოდა ორ ტომად.

იმ მხატვრულ ქმნილებათაგანი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა.

თუკი არ მოგეპოვებოდა მისი ორეული შენს მშობლიურ ენაზე, ეს ხარვეზად მიიჩნეოდა და აუცილებლად ვინმეს უნდა ედო თავს მისი თარგმნა, რასაკვირველია, სრულფასოვნად, კლასიკურ ძეგლს როგორც შეჰფერის.

ეს ხარვეზი დაჩნეოდა ქართულ კულტურასაც.

და თუ ვინმეს შეეძლო „დეკამერონის“ ღირსეული ორეულის შექმნა, უშუალოდ იტალიურიდან, ორიგინალის ენიდან გადმოღებულის, სწორედ თედო სახოკიას, კიდეც რომ მოჰკიდებდა ხელს და კიდევ ერთი მონაპოვრითაც გაამდიდრებდა ჩვენს კულტურას, თორემ ლიტერატურას ხომ თავისთავად.

ახალ მოწესეებს ჭკუაში დაუჯდებოდათ ის ორიოდე ნოველა ასი ნიმუშიდან, მღვდელი რომ გამოეყვანა მწერალს პერსონაჟად და სასეიროდაც გაეხადა. იმას რა ენაღვლებოდა, სასულიერო პირებს თუ გაამასხრებდა, ულირსი ადამიანი ყველა ფენასა და წრეში მოიპოვება და ეკლესიასაც შესჩეოდნენ პირადი გამორჩენის მიზნით. მათ ამხელდა და ამუნათებდა ბოკაჩო, მღვდლის სახელს ჩირქს ვინც სცხებდა, თორემ სხვაგვარი განზოგადება ამ რამდენიმე ნიმუშისა არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა... მაგრამ ახალი მოწესეები მოებღაუჭებოდნენ სწორედ იმ ორიოდე ნიმუშს: ეგებ რამეში გამოვიყენოთო, — და ორტომეულის გამოცემას აღარ დააბრკოლებდნენ. ის, რაც იტალიელ მწერალს სულ სხვა განზრახვით ექცია ნოველის სი-

უჟეტად, თედო სახოკიას წაადგებოდა ცენზურის მოსაგერიებლად; ის კი არა, ოფიციოზი გამოეხმაურებოდა ამ გამოცემას, „კომუნისტი" დაუთმობდა საკუთარ ფურცლებს ქართული „დეკამერონის" შეფასებას და გალაკტიონ ტაბიძე რეცენზიას რომ ჩაიკითხავდა, საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ სტატიის ავტორი — სიმონ წეველი — აქებდა მთარგმნელის ენას.

ამ რეალიას თავის უბის წიგნაკში რომ აღნიშნავდა, დასძენდა:

— აი, რას ნიშნავს, როდესაც ადამიანი გულმოდგინედ მუშაობს.

გალაკტიონს არავისგან ესწავლებოდა გულმოდგინე, მუყაითი გარჯა, თითო სიტყვის მოსაძებნად, თითო სტრიქონის გასამართავად უჯიათი შრომა და თედო სახოკიასაც დაუფასებდა ამ ღვაწლს.

და იმავდროულად შინაგანი მზერით გაზომავდა იმ მანძილს, რაც ამ წარმატებამდე გამოევლო მთარგმნელს.

მანძილს წინა საუკუნის იმ 90-იანი წლებიდან — უფრო ნიშანდობლივ, 1897 წლიდან — როდესაც თედო გამოსცემდა რუსულ-ქართულ ლექსიკონს. და მის გასაზომად დაეყრდნობოდა ერთი ძველი თავადის ქალის ნათქვამს:

— მე ვსწავლობდი ფრანგულ პანსიონში ტფილისში, მეცა და ჩემი მეგობარი ქალებიც დაინტერესებულნი ვიყავით ქართული ენით. ხელთ გვქონდა სახოკიას ლექსიკონი ასეთი სიტყვებით: Лимон — მჟავე კვერცხი. Сквазной ветер — გახვრეტილი ქალი (Сквоз).

ის რაღაცას მოადევნებდა ამ სიტყვებს და უეცრად ძალიან დაინტერესდებოდა გალაკტიონი:

— როგორ, როგორ?.. მაშ „მჟავე კვერცხი" რა ყოფილა? ქარის გახვრეტა პირველად გავიგე და... უთუოდ სადმე გამოვიყენებ!..

გულიანად იცინებდა და იმ ძველ თავადის ქალსაც აიყოლიებდა, ისედაც საქილიკოდ რომ გაიხსენებდა ხოლმე ზოგიერთს სახოკიასეულ განმარტებათაგან, მაგრამ მსმენელთაგან ასეთ კარგ გუნებაზე ვერავის დააყენებდა, გალაკტიონი რომ ხალისობდა და ეხვეწებოდა, კიდევ იქნება ამისთანა განმარტებანი იმ ლექსი-

კონში და ეგებ სხვებიც გაიხსენოთ, ერთად თავმოყრილი იუმორისტულ მასალადაც რომ შეიძლება შევთავაზოთ „ნიანგსო".

თავადის ქალს ველარ მოეგონებინა და ურჩევდა გალაკტიონს: შენ თვითონ უნდა მოიძიო საჯარო ბიბლიოთეკაში ეს ლექსიკონი და გულდასმითაც ჩაუჯდე, მაგალითებს კიდევ ამოჰკრებ და, თუ საკმაოდაც მოგროვდება, იუმორისტული მასალაც გამზადებული გექნებაო.

გალაკტიონს სად ედევნა სახოკიასეულ რუსულ-ქართული ლექსიკონის ამ კუთხით შესასწავლად, თუმც ამ პიროვნებაზე ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი რომ განეზრახა, იქ ეს ორი მაგალითიც იკმარებდა და იმ განწყობილების გაცოცხლებაც, ფრანგული პანსიონის მოსწავლე გოგონები ერთმანეთს რომ აჩვენებდნენ ამ გამოცემას და სიცილ-კისკისი არა ცხრებოდა.

ეს „გახვრეტილი ქარი" მაინც რა იყო?..

და უბის წიგნაკში რომ ჩაინიშნავდა თავადის ქალის სიტყვებს, ჩანაწერი ასე დასათაურდებოდა: „გამოდგება".

უთუოდ იგულისხმება — იმ ესეში ჩასართავადო; აი, დაუწერელი რომ დარჩებოდა, და ამ პასაჟს გალაკტიონური ღიმილი რომ გადაანათებდა, ერთბაშად უნდა შემოტრიალებულიყო განწყობილება: იცოდეთ ყველამ და კარგი იქნება, თუ საკუთარ თავზეც გამოცდით, რას ნიშნავს გულმოდგინე მუშაობაო.

თედო სახოკიას საიდან სად მიეღწია და აბა, ახლაც გაექილიკებინათ, ქართული ენის მადლის შესაგრძნობად მისი ნაწერებიც და თარგმანებიც საუკეთესო ნიმუშებად რომ ლაგდებოდა და აქედან ამოკრებილი პასაჟების ადგილი სასკოლო სახელმძღვანელოებშიც რომ იყო წესითა და კანონით, სიტყვის ფერს, სუნთქვას, ელვარებას რომ განგაცდევინებდა და ქართული ენის უძირო ზღვაშიც თხემით ტერფამდე ჩაგაყურყუმელავებდა.

აგერ თვით „კომუნისტსაც" ვერ შეეკავებინა თავი. მართალია, სულ სხვა მიზნით უწევდა პოპულარიზაციას „დეკამერონს", მაგრამ შეფასებისას როგორ შეიძლებოდა უპირველესად თარგმანის ენობრივი შთამბეჭდაობა და მადლი არ აღენიშნათ (ვის-ვის და სიმონ წეველს, ანუ თავისი ნამდვილი გვა-

რით — გაჩეჩილაძეს, ეს გარემოება შეუფასებელი როგორ დარჩებოდა, პოეზიის საუფლოდან ლიტერატურისმცოდნეობაში რომ გადაენაცვლებინა და ჩინებული სტილისტის სახელიც მოეხვეჭა), და გალაკტიონი თან თავის მომავალ ესეიში რომ მოინიშნავდა ამ რეცენზიისათვის ადგილს, თან... შეეხარბებოდა — თვითონ სახოტბო სტატიები არ აკლდა, მაგრამ „კომუნისტის" ყოველ ახალ ნომერს გულისფანცქალით გადაშლიდა ხოლმე, რათა საკუთარი გვარ-სახელი თუნდ გაელვებული ენახა რაიმე დადებით კონტექსტშიც, თორემ ქება ხომ ისე აღიტაცებდა, ოთახში ვეღარც გაჩერდებოდა.

„ისე თედოზე ალალია!.."

„კომუნისტს" თავისი განზრახვა თუ ჰქონდა ჯოვანი ბოკაჩოს ნოველების დასამკვიდრებლად საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მიმოქცევაში და სიმონ წეველი კი მარჯვე დროს იშოვიდა თავისი მოწონების გამოსათქმელად, სკოლის მოსწავლეებს — ბიჭებსაც და არანაკლებ გოგონებსაც — თავიანთი სურვილი ამოძრავებდათ და ხელიდან ხელშიც გადადიოდა ეს ორტომეული მაშინვე, გამოცემისთანავე, და წლებისა და წლების შემდგომაც, ეს ყმაწვილური გატაცება რომ არა და არა ცხრებოდა.

და აგერ შუქია აფრიდონიძე სამუსიკო სასწავლებელშიც რომ დაიარებოდა, მეოთხე კლასში მყოფი — იქაური ამხანაგებიდან თითქმის ყველაზე უმცროსი — ერთხელ სოლფეჯიოს გაკვეთილზე თვალს შეასწრებდა, რომ მასზე ორი-სამი წლით უფროსი გოგონები მერხის ქვეშ რაღაც წიგნს კითხულობდნენ. ცნობისწადილი წასძლევდა, გაეგო, რა წიგნი იყო, მერე სულაც გამორთმევასა და გაცნობასაც მოინდომებდა, მაგრამ... ახლოსაც არ მიაკარებდნენ:

— ეს „დეკამერონია" და შენთვის ჯერ ადრეა.

„დეკამერონი"? ეს ხომ პაპას თარგმანი იყო, მაგრამ ეს გოგონები რას გადაჰფარებოდნენ ასეთი კანკალით, შინ რომ არავინ უმალავდა ამ წიგნს? დამალვა კი არა, პირდაპირ პაპას საწერი მაგიდის თაროზე იდო — გამოსაჩენ ადგილას.

— ეტყობა, ის სხვა „დეკამერონია", — გაიფიქრებდა შუქია და დასაზუსტებლად დედას მიმართავდა: „დეკამერონი" რამ-

დენიაო? — ცხადია, ერთი, — მიუგებდა შეფიქრიანებული, რისთვის დასჭირდა ამის გამოკითხვაო; და შვილი რომ იგრძნობდა, მგონი, პაპას გაფრთხილებას აპირებსო, დაასწრებდა და პირდაპირ თედოს მიადგებოდა.

ის... ძალზე მშვიდად შეხვდებოდა „დეკამერონზე" სიტყვის ჩამოგდებას.

„პედაგოგიურადო", მოგვიანებით ასე შეაფასებდა მის საქციელს შვილიშვილი, იმ წუთას ასეთ პასუხს რომ მოისმენდა:

— აი, ეს წიგნი, რაკი ასე დაინტერესებულხარ, წაიკითხე და, თუ რამეს ვერ გაიგებ, მერე ვისაუბროთ.

შუქიას სურათები ისედაც დათვალიერებული ჰქონდა, დასაწყისიც — ნაწილობრივ წაკითხული და ამიტომაც — რაკილა პაპისაგან არავითარ წინააღმდეგობას არ წასწყდომია — ინტერესი ერთბაშად დაეკარგებოდა.

აკრძალული ხილის პრინციპითო, მოგვიანებით ამ ფსიქოლოგიურ სათავესა თუ სარჩულსაც გააცნობიერებდა და ბოლომდე გააცხადებდა: რომ აეკრძალათ, ცხადია, მაშინვე ჩაკირკიტებით წავიკითხავდიო, — თავისი მეგობარი გოგონებივით, მერხის ქვეშ რომ ამოდებდა და... ვითომ სოლფეჯიოს გაკვეთილს უსმენდა.

წლების შემდგომ რომ მიუბრუნდებოდა ამ კლასიკურ ძეგლს?

მაშინ უკვე შინაარსი — და მითუმეტეს, ფრივოლური ადგილები — იმდენად აღარ დააინტერესებდა, რამდენადაც თედო სახოკიას თარგმნის ხელოვნება. და სავსებით დააფასებდა პაპის პედაგოგიურ უნარს, იმ მოხერხებულ ფსიქოლოგიურ სვლას, რომლის წყალობითაც ნაადრევად აღარ გაეცნობოდა „დეკამერონს", მეგობარი გოგონებისაგან ასერიგად ატაცებულ პასაჟებზედაც ყურადღება აღარ გამახვილდებოდა და ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა.

რამდენი ამისთანა პედაგოგიური სვლა ჩამალულიყო მათ ურთიერთობაში, ზოგს მოგვიანებით მკაფიოდ რომ გააცნობიერებდა, ბოკაჩოს ნოველების გაცნობისა არ იყოს, ზოგიც მიეკარგებოდა თვალთაგან, მაგრამ რა გააქრობდა იმ იდუმალ ზე-

გავლენას, რასაც თედო სახოკიას ფსიქოლოგიური მადლი მოახდენდა გოგონასა თუ შემდგომ უკვე ყმაწვილქალის შეგნებასა თუ მისწრაფებებზე.

ეს ეპიზოდი კი მარჯვედ დასათაურებულ მინიატიურადაც ჩაერთვოდა შუქია აფრიდონიძის „მოუგონელი მოგონებების“ ცალკე თავში: „დეკამერონი“ — ნებადართული „აკრძალული ხილი“.

თვითონ თედო ამ თარგმანს მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდა ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, როდესაც ჩამოთვლიდა რამდენიმე ნიმუშს, მისი თარგმანების გამოცემით ყველაზე ხვავიან წლებად რომ შეიქნებოდა, ანუ: 1924-36.

მაშინ მოხერხდებოდა სახელგამის მიერ ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ ორ წიგნად გამოცემაც, გი დე მოპასანის პატარ-პატარა მოთხრობების სამი წიგნის დაბეჭდვაც, მეოთხე — გამოსაქვეყნებლად რომ გამზადებულიყო; და კიდევ — ანრი ბარბიუსის „ცეცხლისა“ (1924 და 1930 წლებში), ჯუზეპე გარიბალდის „კლელიასი“ და კორნელი ბოროზდინის „სამეგრელოსვანეთისა“...

ჩამოთვლას აღარც გააგრძელებდა, ეს ნიმუშებიც იმდენად თვალსაჩინო და შთამბეჭდავი გახლდათ.

უკანასკნელი თავი „ავტობიოგრაფიისა“ თავიდან ბოლომდე ბიბლიოგრაფიული ყაიდისაა, განსხვავებით სხვა თავებისაგან, მხატვრულ-დოკუმენტური თხრობის ოსტატობითაც რომ გვხიბლავს. მაგრამ ერთბაშად მოკვეთდა, მოათავებდა ამ ორიგინალური თხზულების კომპოზიციურ ქარგას მარტოდენ თვალის გადავლებით, თუ რა შეექმნა ქართული მწერლობის მსახურებისას, ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ რომ დაელოცა გზა მისთვის ამ ასპარეზზე და თანაც — თარგმანით.

ამჯერად ჩამონათვალს იკმარებდა და ვრცელ მსჯელობას მემუარებისათვის შემოინახავდა?

შესაძლოა ასეცაა, უთუოდ ეიმედებოდა მის მოგონებათა ეს ნაწილიც ვრცლად რომ გაიშლებოდა, სიყმაწვილის გახსენებისა თუ სამოგზაურო და ციმბირული დღიურებისა არ იყოს, და მაშინ კი გვექნებოდა ხელთ მის ყველაზე მნიშვნელოვან თარგმანთა შთაგონება-მომზადების გარემოებანიც და საკუთარი

მთარგმნელობითი მეთოდის დახასიათებაც,თვით თეზისური მონახაზიც ფრიად ფასეული თეორიული ნააზრევი რომ აღმოჩნდებოდა, მაგრამ ვეღარ გასწვდებოდა ამდენს, ბევრ დროს წაიღებდა ლექსიკონებისა და ანდაზების საბოლოო გამზადებაც წიგნებად და ზრუნვაც ოდესღაც ჟურნალში გამოქვეყნებული გურია-აჭარა-სამურზაყანო-აფხაზეთში მოგზაურობათა ჩანაწერების ერთად შესაკონად.

მისი მთარგმნელობითი მეთოდისა და ხელოვნების შესწავლა-გააზრებასაც მთლიანად შთამომავლობას მიანდობდა, რათა ღვაწლი ღვაწლად შეეფასებინათ და გათვალისწინებითაც გაეთვალისწინებინათ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს უცხოური თხზულების ხელმეორე ამეტყველება მმშობლიურ ენაზე, იმავე შთამბეჭდაობით, თორემ, აბა, ისე...

საკუთარი ნაღვაწისა და მათ შორის მთარგმნელობითი ნამუშაკევის ირგვლივ თხრობა რომ დასცლოდა, იქ საგანგებოდ გამოიკვეთებოდა სახება გრიგოლ ყიფშიძისა და ყველასათვის სარწმუნო შეიქნებოდა მისი დამსახურება ახალ-ახალ მთარგმნელთა გამოზრდაშიც, არამცთუ მარტოდენ თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით შემოფარგლულიყო ეს დიდებული პიროვნება თედო სახოკია მისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტში სიამოვნებითა და სიამაყით რომ ჩამოთვლიდა ყიფშიძისეულ ორეულებს, ორიგინალის სადარ ქართულ ვერსიებს ჰენრიკ სენკევიჩისა („ცეცხლითა და მახვილით“ და „ბარტეკ ძლევამოსილი“) თუ პოლ ბურჟეს რომანებისა („ანდრე კორნელი“ და „ცოდვა სიჭაბუკისა“), რუბაკინის სამეცნიერო-პოპულარული წიგნისა „ცხოველთა სამეფო“ თუ ალექსანდრე სუმბათაშვილის პიესისა „ღალატი“, თუმც ზედმეტად მიიჩნევდა დაემატებინა, ამ დრამატურგიული თხზულების სხვა თარგმანებიც რომ არსებობდა, თვით აკაკი წერეთლისაც, ყიფშიძისეულ ვერსიას ვერცერთი ვერ შეედრებოდა.

სამაგიეროდ, გულდაწყვეტით აღნიშნავდა და გამომცემელთაც შეაგონებდა, რომ გრიგოლის მიერ გადმოქართულებული მარტო წვრილი მოთხრობებისათვის რომ მოეყარა ერთად კაცს თავი, რამდენიმე წიგნს გასწვდებოდა, მთარგმნელი სიცოცხლე-

ში მხოლოდ პატარა წიგნის გამოცემას რომ მოახერხებდა და მთელი ეს ციკლი ძველი პერიოდიკის ფურცლებზე ჩარჩებოდა ჩვენდა სავალალოდ, რადგანაც არც ამ ნიმუშებს გაუვიდოდა ოდესმე ყავლი და მით უფრო აუცილებელი გახლდათ, რომ ადვილად ხელმისაწვდომი ყოფილიყო მკითხველისათვის.

ლაკონიურად როგორ შეიძლება დაწურულიყო ამ იშვიათი პიროვნების ღვაწლი, რომელი ლიტერატურული ფორმულა აირეკლავდა ყველაზე უკეთ?

— გრიგოლ ყიფშიძემ შექმნა მთელი სკოლა მოქართულეთა, ქართული თარგმნის ოსტატთა, სხვათა შორის, ისეთი ლამაზი მთარგმნელი ქართულად, როგორიც ალექსანდრე ნიკიტინია, გრიგოლ ყიფშიძის ქურაშია გამოწრთობილი.

ქართული თარგმნის ოსტატთა მთელი სკოლა შექმნაო...

ესეც მოქართულეთა სკოლის ერთი თვალსაჩინო განშტოება.

ალექსანდრე ნიკიტინს გამოყოფდა სანიმუშოდ, თუმც „სკოლა“ არაერთ ადამიანს გულისხმობს და მათ რიგში — უსათუოდ თვითონ თედო სახოკიასაც, თავმდაბლობის გამო მაშინაც რომ არ მოიაზრებდა საკუთარ თავს ამ სკოლის წარმომადგენლად, მთელი სიაც რომ ჩამოეწერა, რაკიღა ეს გარემო ოსტატებით დასახლებულიყო, თორემ თავის წინამორბედად სიამოვნებით აღიარებდა — ეს უკვე მემუარულ თხზულებაში, დაწერა რომ დასცლოდა და ჩვეული ხელოვნებით გაშლა თხრობისა.

ახლა მისი სილუეტის სახიერ წარმოჩენაზე ზრუნავდა და მკითხველს იმთავითვე აცნობდა ამ პიროვნებას, როგორც ქართული მწერლობის ერთ თვალსაჩინო მესვეურს, ჩვენი საზოგადოების ერთ საუკეთესო მოჭირნახულეს, გულშემატკივარსა და მოამაგეს.

როგორც ყველა იმდროინდელი მღვდლის შვილი, ისიც ტფილისის სასულიერო სემინარიაში რომ სწავლობდა, ესეის ავტორი აუცილებლობად მიიჩნევდა ამ გარემოების აღნიშვნასაც: კლასით ეამხანაგებოდა ჩვენს მხცოვან რომანისტს ვასილ ბარნაველსო.

ერთხანს პეტროგრადის უნივერსიტეტში რომ შევიდოდა თავისუფალ მსმენელად, ოჯახური მდგომარეობა აიძულებდა

სამშობლოში დაბრუნებას და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საქმის მწარმოებლად მუშაობასაც, ყოველკვირეულ ჟურნალ და მერე უკვე ყოველდღიურ გაზეთ „ივერიაში" მოღვაწეობასაც, არა მარტო ილია ჭავჭავაძის მუდმივი თანამშრომელი რომ გახლდათ, არამედ — და თედო ამას სრული დაბეჯითებით განაცხადებდა — მარჯვენა ხელიც.

გიგო ყიფშიძის საარაკო სამწერლო საქმიანობის დასაწყისად განსაკუთრებით 1886 წელს მიიჩნევს.

— კისრად აწვა... ის ჩუმი, უჩინარი, ყოველდღიური და შეუწყვეტელი მუშაობა, რომელსაც საგაზეთო მუშაობა ჰქვია და რომლის სიმძიმეც მხოლოდ იმათ იციან, ვისაც ასეთი მუშაობით უმუშავიათ.

თედოს თვითონაც მოეხსენებოდა ამგვარი საქმიანობის დამჯაფველი სიმძიმეც და მის თვალწინაც სხვა რა მიედინებოდა, თუ არა საგაზეთო და საჟურნალო საქმიანობა; და თვითონ რომ დამფასებელი გახლდათ ჩუმი და უჩინარი გარჯისა — იმიტომაც, რომ მისთვის სულაც არა ყოფილა ეს შრომა არც ჩუმი და არც უჩინარი, მკითხველი რომ არ დაგიდევდა საგამომცემლო სამზარეულოს — აუცილებლობას დაუმაშვრალობისა და გასაოცარი რუდუნებისა, რათა ახალ ნომერს დაუბრკოლებლივ და შინაარსით აღსავსეს მიეღწია მასთან.

მკითხველს ანკი რატომ უნდა აინტერესებდეს ჟურნალისა თუ გაზეთის მზადების პროცესი, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა იდოს თავს, დროდადრო შეხსენებით მაინც აღნიშნოს ამ უმადური გარჯის მნიშვნელობა.

საგულისხმოა: გრიგოლ ყიფშიძის პიროვნულ თვისებებსა და ცხოვრება-მოღვაწეობის სტილს ახასიათებს და... უნებლიეთ საკუთარ თავსაც წარმოაჩენს; ყველა ის ეპითეტი, ძალდაუტანებლად რომ შეიძლება გადავიტანოთ თვითონ თედო სახოკიაზედაც, საქმის აღსრულებით ისიც ძველი დროის ტიპური „ბურსაკი" რომ გახლდათ და არ დაგიდევდათ თავისი საარაკო გარჯისა და გასაოცარი რუდუნების გახვევას მდუმარებისა და უჩინრობის საბურველში, ოღონდაც ერთი ბეწო ზადიც არ დასჩნეოდა თავდადრეკილ მსახურებასა და მოწამებრივ ერთგუ-

ლებას იმ ღვთაებათა წინაშე, საქართველო და ქართული მწერლობა-კულტურა რომ ერქვა.

და იყო გიგო ყიფშიძე აუარებელი საგაზეთო მასალის გამსწორებელიც, გამწესრიგებელიც, კორექტორიც და, როდესაც მასალა დააკლდებოდა, მთარგმნელიც მოთხრობებისა თუ სტატიებისაც.

ცენზურას რომ სჩვეოდა სტატიების დაჭერა, როგორც იმხანად ითქმოდა?!

ასეთ დროს, — რაც ხშირად მეორდებოდა ხოლმე, — გიგოს უნდა ერბინა ცენზორთან ახსნა-განმარტებით, რათა დაბეჭდვის ნებართვა გამოეთხოვა.

ასე გადადიოდა მის კისერზე მთელი შავი სამუშაო.

მთელი ეს ჭაპანწყვეტა უმადური...

— ფაქტიურად რედაქტორად „ივერიისა" გიგო ყიფშიძე იყო, რადგან ნამდვილ რედაქტორს, ილია ჭავჭავაძეს, როგორც სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარეს, გაზეთის ტექნიკურად გაძღოლისათვის საკმაო დრო და მოცალეობა არა ჰქონდა.

ასე გადააქცევდა გრიგოლ ყიფშიძე „ივერიას" სკოლად, ქართული ენის განსაწმენდელ ტაძრად.

თედო სახოკიას თვალწინაც არაერთხელ მომხდარიყო და სხვათაგანაც სმენოდა და, რაც მთავარია, გაზეთის გულდასმით გაცნობა ადასტურებდა, რომ ერთი სტრიქონიც კი დასაბეჭდი მასალისა, თუნდ უბრალო განცხადებისაც გაზეთის სვეტზე ისე ვერ მოხვდებოდა, გიგოს მადლიანი ხელი თუ არ შეეხებოდა და ყოველგვარი უხამსობა არ ჩამოეცლებოდა.

— უქართულობის გაქართულება... მანიადა ჰქონდა გადაქცეული.

უქართულობის გაქართულებაო...

რაოდენ მარჯვედაა ნათქვამი — ურთიერთშეხამებული ორი სიტყვა რამხელა შინაარსით აღვსილა, რამხელა მღელვარებით ათრთოლებულა და რამხელა მისიით განმსჭვალულა!..

მანიად რომ გადაჰქცევია, ამ აღნიშვნაში დაწურულა გრიგოლ ყიფშიძის პიროვნული ხასიათის ერთი ყველაზე არსებითი ნიშანი.

ეს თვისება, ეს ჟინი ავალდებულებდა სწორედ, რომ წვრილმანად არაფერი მიეჩნია, რაც საგაზეთო ენასა და სტილს ეხებოდა და ყოველივეს გულმოდგინედ მოჰკიდებოდა, დიახაც — უბრალო განცხადებასაც... თუ მის ხელთ იყო გაზეთის მოვლა, მაშ, ყველაფერი ბოლომდე უზადო უნდა ყოფილიყო.

ეს დითირამბი თვითონ თედოსაც რომ მიესადაგება ძალდაუტანებლად?!

განა მასაც მანიად არ გადაჰქცეოდა უქართულობის გაქართულება?!

შესაძლოა, მკაფიოდ ვერც აცნობიერებდა ამ მანიას საკუთარ თავში, ისე ბუნებრივად შესთვისებოდა და შესისხლხორცებოდა ენის სტიქიას და მის სიღრმეებში კიდევ უფრო შეღწევის დაუმცხრალი ჟინი მაინც არ ასვენებდა, გრიგოლ ყიფშიძისა არ იყოს, ვინც ასევე გაიკვირვებდა, თუკი მანიაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას: აბა, მაშ როგორ, ყველა ფრაზა ხომ სრულყოფილად უნდა დაიხვეწოს და გაიმართოს, ყველა სიტყვას ხომ თავ-თავისი ადგილი უნდა მოეძებნოსო.

გრიგოლი თავგამოდებული მომხრე და მათაყვანებელი რომ გახლდათ ჩვენს მწერლობაში ქართლ-კახური კილოს განმტკიცება-გაბატონებისა და შეუბრალებლად სდევნიდა დასავლეთ საქართველოს კილოკავის უხეშად გამოყენებას, და ამის გამო დიდი ბრძოლა და კამათი რომ უხდებოდა და ბევრი მოწინააღმდეგეც გაეჩინა, თედო სახოკია მის ყველაზე ერთგულ მომხრედ წარმოდგებოდა და ეს თანადგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გიგოსათვის, რაკიღა ეს მხარდამჭერი თავისივე კუთხიდან კი არა, სწორედაც ლიხსიქეთიდან, სამეგრელოდან მოვლენოდა და დასდგომოდა გვერდით ხმალამოღებული.

მტკიცედ რომ შემართულიყო და პოზიციას არავის უთმობდა, ყველაზე დიდ საყრდენად რა ეგულებოდა?

პირველ ყოვლისა — რა კი არა, ვინ: ფარად ილია ჭავჭავაძე რომ გეყოლება, ეს მართლაც ბუმბერაზი ქართული მეტყველებისა...

და ამასთან, მთელი ათი წლის განმავლობაში „ივერია" ერთადერთი დროგამოშვებითი გამოცემა იყო საქართველოს კიდით კიდემდე და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ნიშნავდა,

რომ ჯერ უნდა შეგეღო ბჭენი „ივერიისა“, ამ გამოცემის ემბაზში მოგენათლა შენი პირმშო და მხოლოდ ამის შემდეგ გაგეხტუმრებინა დღის სინათლის სახილველად.

უპირველესად ვის გულისხმობდა „ივერიის“ ემბაზში განათლულებად?

ვის და: ეკატერინე გაბაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნაველს, ნიკო ლომოურს, სოფრომ მგალობლიშვილს, დუტუ მეგრელს, მელანიას (ნიკოლოზ ნათაძეს), შიო არაგვისპირელს, ეგნატე ნინოშვილს, ია ეკალაძეს...

და განა ამავე გაზეთში არ გამოეკვართათ და დაეხვეწათ თავ-თავისი ენა: გიორგი მაიაშვილს (ზდანოვიჩს), სტეფანე ჭრელაშვილს, ნიკოლოზ ურბნელს (ხიზანაშვილს), ალექსანდრე ნანეიშვილს, ალექსანდრე ფრონელს და კიდევ ვის აღარ?

ყველას შეხებოდა გრიგოლ ყიფშიძის მადლიანი ხელი, როგორც უებრო სტილისტისა და ენის დამხვეწისა.

წუთისოფელმა იცის უცნაური აბრუნდები, დაუჯერებელი მოულოდნელობანი, და ამ უცნაურობასა და დაუჯერებლობას უნდა გამოეწვია დაშორება ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ყიფშიძისა, თედოს შეტყობითაც, თანდათან დავით მიქელაძე რომ დაწინაურდებოდა „ივერიაში“, ის მოიხვეჭდა მეტ გავლენას და... ილიაც მას გადააბარებდა გაზეთის სადავეებს. გიგა ვერ იგუებდა ამ წყენას და გადაინაცვლებდა სტილისტად ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, სადაც ერთბაშად დააჩნევდა სასიკეთო ხელს და მართლაც რომ გაალამაზებდა ჟურნალის ქართულ მეტყველებას, ვიდრე მოგვიანებით ფილიპე გოგიჩაიშვილი არ დააბრუნებდა მშობლიურ „ივერიაში“.

ისე მოხდებოდა, რომ 1906 წლიდან იგი საერთოდ ჩამოშორდებოდა სარედაქციო საქმიანობას და:

— აკი დაეტყო კიდეცა ეს მისი ჩამოშორება მერმინდელ გაზეთებსა.

რათა ბოლომდე გაესიგრძეგანებინა მკითხველს მნიშვნელობა გრიგოლ ყიფშიძის სტატიებისა ქართული ენის ბუნების შესახებ, მისი ომისა, როგორც მარჯვე დასტაქრისა, ქართული ენისაგან ხორცმეტების ამოსაჭრელად, უცხო ენათაგან შემო-

პარული სიტყვების განდევნისათვის, მოაგონებდა ყველას, რომ იმჟამად შინა თუ გარეთ, სკოლასა თუ ოჯახში უცხო ჟღურტულიღა ისმოდა, ქართველი მწერალიც სხვა ენაზე უფრო ფიქრობდა და რის წვალებითა და ჯახირით ახერხებდა თავისი ნაფიქრ-ნააზრევის გადატანას ქართულად ქაღალდზე.

თარგმანები თარგმანებად და თედო სახოკია შეახსენებდა და აგულიანებდა მკვლევართ და გამომცემელთ, რომ გიგო ყიფშიძის პუბლიცისტური წერილები მიმოფანტულიყო „ივერიისა“ და „მოამბის“ ნომრებში და ერთად თავმომყრელსა და გამომქვეყნებელს მოელოდა.

1906 წელს უკვე ხანშიშესული და დამსახურებული მწერალი... ხელმოკლეობის გამო იძულებული შეიქნებოდა, კალამი ბანკირის საანგარიშოზე გაეცვალა (ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისა არ იყოს) და მოლარედ დამდგარიყო ქართულ სამეურნეო ბანკში, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთ დირექტორადაც აირჩევდნენ, მაგრამ თედოს როგორ არ დასწყვეტოდა გული, რომ ამ ხნის განმავლობაში ათასში ერთხელ თუღა მოახერხებდა ასეთი დიდებული მოქართულე, მწერლობაში მიეღო მონაწილეობა.

— 1921 წელს, როცა საქართველოში ბანკები გაუქმდა...

ესეიში აღარ გაშიფრულიყო მიზეზი ამგვარი მოქმედებისა, თუმც თარიღი თავისთავად მიგვახვედრებს, თუ რას გამოეწვია ბანკების გაუქმებაც და ასეთ — ყოველმხრივ შემკულ — პიროვნებათა დატოვებაც უსამსახუროდ.

— ზედდატანებაზე, თბილისში მისი სახლიც აიკლეს ნაძირალებმა...

არც ამ „ნაძირალათა“ ვინაობა გაშიფრულა და არც ის, უნებლიეთ რომ დაემთხვა ეს ორი მოვლენა ერთმანეთს თუ სავსებით შეგნებულად გადაება.

თუმც მომდევნო ფრაზის ქვეტექსტმა რაღაცას უნდა მიგვახვედროს:

— და მოხუცებული, მაგრამ ჯერ ისევ ჯანსაღად მყოფი, ცოლშვილიანად სამშობლო სოფელ საღოლაშენში გადაბარგდა...

არა მარტო სამსახურის შოვნის იმედი გადასწურვია, არამედ ლიტერატურული სტატიებისა და თარგმანების გამოქვეყ-

ნებისთვისაც მჭიდროდ ჩარაზვია რედაქცია-გამომცემლობათა კარი, ნაძირალათა თავდასხმას კი ძალიანაც აუჩქარებია, რათა დროულად გაეცალოს აქაურობას.

ესენი რომ ჩვეულებრივი ავაზაკები ყოფილიყვნენ, ასე რატომ დაფრთხებოდა გრიგოლ ყიფშიძე — თუკი ყაჩაღებს თავიანთ ნებაზე პარპაშის საშუალება მისცემოდათ, აბა, სრულიად უნდა დაცლილიყო ახალმოგებულზე სამწლიანი დედაქალაქი, ან კვლავ რუსეთის სამხრეთ პროვინციის ქალაქად ჩამოქვეითებული. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თვალით რომ დარწმუნდებოდნენ, ამ კაცს გასაძარცვი არც არაფერი მოეპოვებაო, მეორედ რაღას მიუცვივდებოდნენ...

მაგრამ თუკი ახალმოწესეთა გაწვრთნილი ბანდა მოქმედებს?! თუკი ილია ჭავჭავაძესთან დიდი სიახლოვე, მისი მარჯვენახელობა და ბიოგრაფოსობა არ უნდა ეპატიოს?! მაშ რა შეუშლით ხელს, მეორედაც მიუცვივდნენ, მესამედაც, მეოთხედაც, აიკლონ, სიცოცხლე გაუმწარონ და აიძულონ აქაურობის დატოვება... საკუთარი თავი თუ არ ენაღვლებოდა, ცოლშვილს ხომ მაინც უნდა გაჰფრთხილებოდა და... დაჰბრუნებოდა მშობლიურ სოფელს, მეუღლისა და შვილებისათვის კი ნუგეში ამით ეცა: რა სჯობს სოფელში ცხოვრებას, მაინც ნატვრად მქონდა გადაქცეული აქ დამკვიდრება და აჰა, მომეცა ხელსაყრელი საშუალებაო.

„ხელსაყრელი" რომ, ნუღა იტყვი!..

სულ რამდენიმე თვეში რა მოუღებდა ბოლოს?

გულის სიგანივრეო, — ასე გამოცხადდებოდა ოფიციალურად, თუმც მის მოულოდნელ აღსასრულში ქვეყნის ტრაგედიასაც უნდა მიუძღოდეს თავისი წილი და პირად შევიწროებასაც, ტფილისიდან გასახლებულს მთავრობა, მოჩვენებითი მზრუნველობით, პენსიასაც რომ დაუნიშნავდა სხვა მწერლებთან ერთად, თუმც ნუ გაგიკვირდებათ, რომ მისი აღება ერთხელაც არ დასცალდებოდა.

ცოტა სულს კი მოითქვამდა თანშეზრდილ გლეხებთან ტრიალით და მეურნის საქმისათვის ხელის მოკიდებით, მაგრამ იწურებოდა მისი წუთისოფელიც და, თუ პიროვნული მორიდე-

ბულობა აფიქრებინებდა: ეჰ, ნეტა რამე მომესწრო ჩემი ქვეყნისათვის, აღმესრულებინა, რაც განმეზრახა და დიდი იმედოვნებითაც შევები ქართული მწერლობისა და კულტურის მსახურებასო,— მის ამ სინანულს თუ ვინმე არ გაიზიარებდა, ერთი უპირველესთაგანი თედო სახოკია, ვისაც მის თანამედროვეთაგან ჩინებულად მოეხსენებოდა გრიგოლ ყიფშიძის ღვაწლი და ამაგი და თავის მხრივ შეაგონებდა შთამომავლობას, რომ ამ პიროვნებას თამამად შეეძლო განეცხადებინა: რამდენადაც ძალმედვა, ვიშრომე ჩემი ხალხისათვის, ვიტანჯე მისი ტანჯვითა, ვილხინე მისი ლხენითა... და შემფერის კიდევაცა ვთქვა, მსგავსად სვიმეონ მართლისა: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობითო...

საუკუნო იყოს ხსენება შენიო, — ფინალურ აკორდად შესაფერის ფრაზას რომ მოიშველიებდა ნეკროლოგად ნაგულისხმები ესეისათვის, ასე მიმართავდა მარადიულ ქვეყანაში დაბინადრებულს:

— საყვარელო ძმაო და ძვირფასო მასწავლებელო.

კი მაგრამ, გრიგოლ ყიფშიძე პედაგოგი რომ არასოდეს ყოფილა და თედოსაც ვერ ასწავლიდა სემინარიაში, განსხვავებით ვასილ ბარნოვისაგან?

თუმც აკი „ივერიის“ სამეტყველო ენით კიდევ უფრო გაწაფავდა ქართულში, მითუმეტეს, პირადადაც არაერთხელ გაუზიარებდა საგულისხმო რჩევებსა თუ მოსაზრებებს.

და რატომ არ უნდა ეღიარებინა თედოსნაირ კეთილშობილ კაცს ეს ადამიანი თავის მასწავლებლად ლიტერატურის მსახურებისას საერთოდ და მთარგმნელობითი მოღვაწეობისას — კერძოდ?!.

შექმნა მთელი სკოლა მოქართულეთა, ქართულად თარგმნის ოსტატთაო...

იქ აკი მოერიდებოდა საკუთარი თავის დასახელებას, მაგრამ მოიარებით აგერ ცხადყოფდა, გრიგოლ ყიფშიძის სკოლის აღზრდილად და იმ საქმის გამგრძელებლად რომ ეგულებოდა თავი.

თვითონაც გაიჩენდა მიმდევრებს მოქართულეთა, ქართულად თარგმნის ოსტატთა.

თუმც — განსხვავებით თავისი ამ სულიერი მასწავლებლისაგან — თედო სახოკიას უშუალოდაც მოუწევდა პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობაც — სულ რვა წელიწადს, მაგრამ ეს წლები — 1916-24 — იმ მოწაფეთათვისაც დაუვიწყარი იქნებოდა და თვითონ თედოსთვისაც, რაღაც ახალი ნაკადი რომ გაიხსნებოდა მის არსებაში.

ისე, რა თარიღებია, არა?

რამდენიმე ეპოქის მომცველი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებამდე, მას შემდეგ უკვე რომ უნდა გამოსთხოვებოდი იმედს სახელმწიფოებრიობის მალევე ამოგებისა.

ავტობიოგრაფიაში მარტოდენ ფაქტების აღნიშვნას იკმარებდა, სწრაფად რომ გადაავლებდა თვალს ამ წლებს:

— უცხოეთში დავრჩი ემიგრანტად, სანამ ნიკოლოზის ტახტს საბოლოოდ არ გამოეცალა ლიბო ქვეშიდან. 1916 წელს სამშობლოში დავბრუნდი, ერთ ხანს ვიყავ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ფრანგულის მასწავლებლად. მერე მე-VIII გიმნაზიაში (სემინარია და ქართული გიმნაზია ერთად შეერთებული) ქართულისა და ფრანგულის მასწავლებლად ვიდრე 1924 წლამდე. 1924 წელს პედაგოგობას თავი დავანებე და მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურა გავიხადე არსებობისა და შემოსავლის წყაროდ.

სამაგიეროდ, იპოლიტე ვართაგავა გვამცნობს, უფრო სწორად, გვიდასტურებს ზოგიერთ ისეთ გარემოებას, რაც ისედაც სავარაუდო გახლდათ, მაგრამ რა სჯობს, როდესაც თუნდ დამაჯერებელ ვარაუდს დოკუმენტური წყარო განამტკიცებს.

როდესაც უცხო ენების სწავლებას შემოიღებდნენ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, ქართველი მასწავლებლები გამოიჩენდნენ თაოსნობას,რათა ფრანგული ენის მასწავლებლად მიწვეული ყოფილიყო თედო სახოკია.

ეს გადაწყვეტილება დიდ აღფრთოვანებას გამოიწვევდა მოწაფეებში.

და ეს იმიტომ, რომ ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ თედოს, როგორც მგზნებარე პატრიოტს, თავგანწირულ მებრ-

ძოლს მეფის თვითმპყრობელობასთან, მოღვაწეს, ვისაც ათეული წლები არ მოაკლდებოდა გადასახლება თუ ემიგრაცია.

ახალ პედაგოგს ჩინებულად საიდან მოეხსენებოდა სემინარიელთა სულისკვეთება და როგორ შეეძლო დაემყარებინა მოწაფეებთან ნამდვილი მეგობრული დამოკიდებულება?

იპოლიტე ვართაგავა ამ ახსნას უძებნის, უმთავრეს მოტივად ამას მიიჩნევს:

— თვითონ სემინარიელი იყო.

სხვათა შორის, როდესაც გამოცხადდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია — 1918 წლის 10 მარტს — და შედგებოდა სინოდი, მის წევრებს ერის კაცებიდანაც მიიწვევდნენ და მათ შორის აღმოჩნდებოდა იპოლიტეც. და მოგვიანებით რამდენიმე ერისკაცის მიწვევას შესაფერის მიზეზს რომ გამოუძებნიდა, ალბათ ამიტომო, საკუთარ თავზე იტყოდა: მე, როგორც სასულიერო სემინარიის მასწავლებელიო.

თედო არ მოიხსენიება ამ ჩამონათვალში, მაგრამ, რაკიღა სინოდის წევრთა შორის ისიც გახლდათ, საფიქრებელია, რომ იპოლიტე ვართაგავასავით მასაც სწორედ სასულიერო სემინარიის მასწავლებლობა გაუხსნიდა გზას აქეთკენ.

საკათალიკოსო საბჭოს წევრობაა, თედო სახოკიას სახელი ნიკიტა თალაკვაძის „მოქალაქე-მღვდლის დღიურის" ფურცლებზეც რომ მოხვდებოდა — ერთი თავგამოდებული მონაწილისა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, სულაც მის ბინაზე რომ შედგებოდა 1917 წლის 8 მარტს ის საიდუმლო კრება, რომელსაც დაესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია (სოსიკო მერკვილაძე რომ მოიყვანდა), დარიის მონასტრიდან ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), თედო სახოკია, და აგრეთვე დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი, იპოლიტე ვართაგავა და პეტრე ბარათაშვილი, — და რომელზედაც გადაწყდებოდა, რომ 12 მარტს სვეტიცხოველის ტაძარში გადახდილიყო მშვიდობის პარაკლისი და წაკითხულიყო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აქტი.

ეს სად მოხვედრილიყო თედო სახოკია — ჯერ ისედაც მცირერიცხოვან გუნდში, ამხელა საქმე რომ ედო თავს — საუკუნის ნაოცნებარი და გზის გამკვალავი საქართველოს სახელმ-

ნიფოებრიობის აღსადგენად... დიახ, ჯერ ისედაც მცირერიცხოვანში და, თუ დავაკვირდებით, კიდევ უფრო ვიწრო წრეშიც, უშუალოდ ვინც უნდა გადაწყვიტოს ამ საარაკო აქტის გამოცხადება.

ის სამეული, ნიკიტა თალაკვაძის სიაში რომ მოიხსენიება ბოლოს, მონაწილენი კი არიან, მაგრამ მთავარი სიტყვა მათ არ ეთქმით — არც ვასილ კარბელაშვილს, არც იპოლიტე ვართაგავასა და არც პეტრე ბარათაშვილს.

სოსიკო მერკვილაძეს თავისი ფუნქცია აკისრია და პირნათლადაც შეუსრულებია — ნოე ჟორდანიაც აწვიათ, ესაა და ეს.

ნოე ჟორდანიასაგან პირობა და აღთქმა ესაჭიროებათ, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობას არ შეზღუდავს. და თუმც ის პოლიტიკური დირექტივებისაგან თავს ვერ შეიკავებდა, მთავარ თხოვნასა თუ მოთხოვნას დაჰყაბულდებოდა — არ ჩარეულიყო საერო ხელისუფლება ეკლესიის საქმეებში.

და რჩებიან სამნი: ორი სასულიერო პირი — დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე და ეპისკოპოსი ანტონი — და ერთიც საერო — თედო სახოკია.

— შევუდგეთ ქრისტეს!

უფრო მეტად როგორღა შესდგომოდა, ეს გრანდიოზული აქტი უიმისოდ რომ არ ცხადდებოდა.

მითუმეტეს, წინა დღეებში საგანგებო მისიით ესტუმრებოდა დასავლეთ საქართველოს — საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად და განწყობილების გასაღვივ-განსამტკიცებლად.

ამავე მიზნით პეტრე ბარათაშვილი კახეთს მოივლიდა.

ნიკიტა თალაქვაძე — ტფილისს დაივალებდა.

თანაც ნუ გამოგვრჩება ის ვითარება, რომ 12 მარტს ეპისკოპოსი კირიონი ვერც ჩამოუსწრებდათ რუსეთიდან, სახელდობრ ვიტებსკიდან.

მაგრამ სვეტიცხოველში რომ გამოცხადდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ყველა მღვდელმთავრისა და დიდძალი ხალხის თანდასწრებით, დეპეშით პეტერბურგის დროებით მთავრობასაც ეუწყებოდა, სინოდსაც და ამიერკავკასიის კომისარიატსაც.

ნოე ჟორდანია მოერიდებოდა იქ მისვლას და თავის მაგივრად გააყოლებდა ალექსანდრე ლომთათიძეს, რომელიც ტაძრის ეზოში პირველი სიტყვით მიმართავდა ზღვა ხალხს, მერე კი ვრცელი სიტყვით ნიკიტა თალაქვაძე გამოვიდოდა.

შედგებოდა დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიისა ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით — ფოთიდან ჩამოვიდოდა.

მაგრამ მეტად უთავბოლოდ რომ შეიქმნებოდა ახალაღდგენილი ეკლესიის აპარატი?

ნიკიტას დღიურში ეს არასახარბიელო ვითარება ასეა ახსნილი: ეგზარქოსთა დროის ოინბაზები აქაც გაბატონდნენო!..

რა გასაკვირია, რომ მოინდომებდნენ თავიანთი ბატონობისა და პრივილეგიების შენარჩუნებას, ანდა კათოლიკოსობაზე რომ გაიმართებოდა მწვავე შუღლი.

ნიკიტას შეტყობით, საზოგადოებრივი აზრი კათოლიკოსად სახავდა და აშკარად ასახელებდა კირიონს (საძაგლიშვილს).

და ასეთ დროს ეგზარქოსთა ყოფილი დამქაშები რას ესწრაფოდნენ?

გარს შემოეხვეოდნენ და ხელთ იგდებდნენ ლეონიდს.

ვითომ ლეონიდის ჯავრი ჰქონდათ?

კირიონს ისევ ეს ერჩივნათ, თორემ გულში არც ლეონიდი ჩაჰქროდათ, ცხადია.

და 8 სექტემბერს პირველი საეკლესიო კრება ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებებს რომ მიიღებდა, კათოლიკოსად ხმათა უმეტესობით აირჩეოდა კირიონი და... ახლა უნდა გენახათ ლეონიდის მომხრეთა და თვით ლეონიდის გაწიწმატება.

ეს მოასწავებდა, რომ საკათალიკოსო საბჭოში გადაინაცვლებდა საარჩევნო ბრძოლა, განხეთქილება შეიჭრებოდა საეკლესიო ცხოვრებაში და... გარდუვალი შეიქნებოდა მარტყოფის ტრაგედია.

არ იკმარებდნენ კირიონ მეორის განგმირვას ტყვიით და სექტემბერში მოწამლავდნენ ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს.

— მეტად გახრწნილი აღმოჩნდა სინოდალური რეჟიმისაგან ტფილისის სამღვდელოება...

ნიკიტა თალაქვაძის ნაქონი „ჟამნის" ბოლო, თავისუფალ ფურცლებზე აღიბეჭდებოდა საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებისა და საეკლესიო კრების ამბებიც, ჩანაწერები იმით გაიხსნებოდა, 1917 წლის 27 თებერვლის რუსეთის რევოლუცია რომანოვთა ტახტს რომ დაამხობდა და საქართველოში დაარსდებოდა დროებითი მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, კიდეც რეალობად იქცეოდა ოცნება და თავდადებული ღვაწლი ამდენი სასულიერო პირისა ამდენი წლის განმავლობაში ეკლესიის დამოუკიდებლობის ამოსაგებად.

იმავე წლის სექტემბერში კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ რომ დაასახელებდნენ მამა ნიკიტას და სწორედ იგი გამოაცხადებდა კირიონ მეორეს ახალაღდგენილი ეკლესიის კათოლიკოსად, შემთხვევითობით კი არა, არამედ იმ აუცილებლობით, რომ, თუ ვინმე ჰყავდა კირიონს ერთგული და მოთაყვანე, უპირველესთაგანთა შორის — დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვარი, კათოლიკოსის მკვლელობის — 1918 წლის ივნისში — შემდეგ საერო ხელისუფლებასაც მწვავედ რომ დაუპირისპირდებოდა და სასულიეროსაც, რადგანაც ორივეს ბრალად მიიჩნევდა ამ დანაშაულს.

ჯერ აქამდეც და, მითუმეტეს, ამ ტრაგიკული აქტის შემდგომ მისთვის მიუღებელი გახდებოდა ყველა, ვისაც ეპისკოპოს (კირიონის მერე: კათოლიკოს) ლეონიდის მომხრედ სცნობდა, და ზომას ვეღარც დაიცავდა მათი ხსენებისას, ხან წონასწორობასაც რომ დაკარგავდა, რაკიღა ყველა ისინი მის თვალში ამხელა დანაშაულის შეგნებულ თუ უნებლიე მონაწილეებად გამოიყურებოდნენ.

ამ კუთხიდან ედავებოდა არქიმანდრიტ ნაზარსა (ლეჟავა) და დეკანოზ მარკოზს (ტყემალაძე) და სამედიატორო სამსჯავროც გაიმართებოდა მათ შორის, პირველ სხდომას — 25 აგვისტოს — თედო სახოკიაც რომ დაესწრებოდა, მაგრამ სიმონ ქვარიანის გამოუცხადებლობა ჩაშლიდა მსჯელობას.

19 ოქტომბერს საკათალიკოზო საბჭოს სხდომის დახურვის შემდეგ — კათოლიკოს კირიონის, პართენ გოთუას, თედო სა-

ხოკიასა და კიდევ სხვათა თანდასწრებით — ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე განუცხადებდა: სამიტროპოლიტო საბჭოსათვის წარმომადგენელთა არჩევა ანჩისხატის ტაძრიდან არ არის საჭირო! შენა და ანჩისხატის ტაძარი საკათალიკოსო ბრძანდებითო, — და კირიონს მწარე ღიმილი რომ დააკვდებოდა ტუჩებზე ამის გაგონებისას, ნიკიტა მიხვდებოდა, ლეონიდს არ ვუნდივარ თავისი ეპარქიის სამღვდელოების წევრადო.

საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე დავით დავითაშვილის კანდიდატურას რომ წამოაყენებდნენ ამ დაწესებულების კანცელარიისა და თვით საბჭოს სხდომების მდივნობაზე პეტრე ბარათაშვილი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და პავლე ინგოროყვა (ჯამაგირიანებიო, — მწარედ შენიშნავს დღიურის ავტორი), კომისიაში ამ საკითხზე მსჯელობას არ დასთანხმდებოდა ქრისტეფორე კაპანაძე და ასე გადმოვიდოდა საქმე საკათალიკოსო საბჭოში.

— აქ დავითაშვილის **გაყვანა** განუზრახავთ თავხედურად, ძალით! კარგად იცოდნენ, რასაკვირველია, კირიონისა და დავითოვის ურთიერთადმი განწყობილება! კათალიკოსს საკათალიკოსო საბჭოში მესაიდუმლედ — სეკრეტარად — ჩაუჟინონ მოსისხლე მტერი!.. ეტყობოდა, რომ ძლიერ ემუშავათ ამისათვის.

პართენ გოთუაც გადაეყვანათ თავიანთ მხარეზე.

დეკანოზი კორნელი კეკელიძე განაცხადებდა:

— სხვა მაგისი ფასი როგორ იქნება ვიშოვოთ?!

კვერს დაუკრავდა იპოლიტე ვართაგავაც:

— ყველა აკადემიელებს გვჯობია!

პეტრე ბარათაშვილი სულ ცაში აიყვანდა:

— ეგ არის ავტოკეფალიის გმირი, თავისი ზურგით გამოგვიყვანა!

„დავიდოვი თუა ავტოკეფალიის გმირი, მაშ კირიონი ვიღა ყოფილა!.. ვაი ჩვენს ბრალსა და მოსწრებას!..“

და აღშფოთებული ნიკიტა მძაფრად გაილაშქრებდა ამ კანდიდატურის წინააღმდეგ და დაასურათებდა დროებით მმართველობაში მის „მუშაობას“, ეგზარქოსის კანცელარიის ტიპურ მექრთამე მოხელედ რომ მიიჩნევდა და მეტისმეტ გაზვიადე-

ბად ჩამოართმევდა ამ გამომსვლელ-რეკომენდატორთ დავით დავითაშვილის მიმართ გამოთქმულ აღმატებულ ეპითეტებს.

და ამ მკვეთრი დაპირისპირებისას:

— მხარი დამიჭირა თედო სახოკიამ...

და კიდეც ჩაერეოდა კათოლიკოსი კირიონ მეორე:

— მე აქ ვერ დავრჩები, თუ დავიდოვს აირჩევთ!

ჰოი, რა აურზაური ატყდებოდა!.. მიწევ-მოწევა... კათოლიკოსის შეურაცხყოფა...

„ეს ჯამაგირიანი წევრები რა დანაზე ეხევიან!.."

— ეს გინდოდათ გეთქმევინებინათ კათოლიკოსისათვის, — განუცხადებდათ ნიკიტა, — ეს გარემოება კი ყველამ ვიცოდით! ამიტომ გადავიტანეთ მდივნის არჩევა „ოთხთა კომისიაში". ასეთი ქცევა არ არის შესაფერისი საკათალიკოზო საბჭოსადმი, ხოლო ეს ცდა „ჯამაგირიან" წევრთა უსაქმურობის ნიშანია...

ბოლოს მდივნად აირჩევდნენ ალექსანდრე ნიკიტინს — ჟურნალისტს, ქართველ კაცს რუსული გვარით! ქართულის კარგად მცოდნეს...

მეორე დღეს სისხამზე დავით დავითაშვილი შეუვარდებოდა კათოლიკოს კირიონს მის ბინაზე, სასახლეში, ძლიერ გალანძღავდა მოხუც იერარქს, დაემუქრებოდა და საცემრადაც გაიწევდა მასზე... კიდევ კარგი, ტარასი არქიმანდრიტი შესწრებოდა ამ სცენას, კათოლიკოსის ეკონომი, და მას გამოეგდო გარეთ „ეს მხეცი მოძალადე".

ნიკიტას რა გაჰკვირვებოდა, როდესაც ერთი თვის წინათ მისთვის სულაც რევოლვერი დაედო მუცელზე ბატონ დავიდოვს და: მოგკლავო, — დამუქრებოდა.

12 დეკემბერს საკათალიკოსო საბჭოში მოისმენდნენ არქიმანდრიტ ნაზარის შესახებ „ოქმს" დროებითი მმართველობისა 44, 18 ივლისის თარიღით.

ამ ოქმს ანუ ჟურნალს, დავიდოვის მიერ შედგენილს, ნიკიტა თალაქვაძე წარუდგენდა საბჭოს როგორც თვითნებური და უსწორმასწორო საქმის წარმოებისა იმ სამმართველოში.

თედო სახოკია განაცხადებდა:

— ჩემი წინადადება სულ დამახინჯებულია!

ნიკიტა პროტესტს გამოთქვამდა: რატომ უწოდებს ოქმში დავითაშვილი ამ საქმეს „პირად კინკლაობას“, როდესაც „პირადი საკინკლაო“ ან გასაყოფი არც ნაზართან მქონია არასოდეს და არც დავიდოვთანო.

კრებას წაუკითხავდა ოქმიდან იმ პასაჟს, სადაც კორნელი კეკელიძე ექომაგებოდა არქიმანდრიტ ნაზარს, როგორც „მეგობარს“.

კორნელი არ დაუთმობდა: კონკრეტული ბრალდება წამოაყენე ნაზარის წინააღმდეგო, — და არც ნიკიტა შეეპუებოდა: რაღა სხვა რამ ბრალდება წამოვაყენო, როდესაც ჩვენ ყველას საკუთარი თვალით გვინახავს ნაზარისა და იეროფეის სამარცხვინო ვაკხანალიები ტფილისის ქუჩებშიო!.. — და მისდგებოდა და მისდგებოდა... ჟანდარმერიასთან ფარულ თანამშრომლობასაც კი უხსენებდა და კიდევ: არქიელი ინოკენტი ჟანდარმებისა და ნაზარისთანა აგენტების საშუალებით მითხრიდა ძირს დიდუბეში და გამომითხარა კიდეცო.

შემდგომ უკვე 1922 წლის 12 ნოემბრის ჩანაწერში გამოჩნდებოდა თედო სახოკია „მოქალაქე-მღვდლის დღიურის“ ფურცლებზე, წინა საღამოს 9 საათზე რომ მიაკითხავდა ნიკიტა თალაქვაძეს და ამცნობდა, რომ უკვე ყოფილიყო კათოლიკოსთან, რომელიც ხვალინდელი შუადღის პირველ საათზე მწერალთა კავშირს მიეპატიჟა დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების 35 წლის აღსანიშნავი პანაშვიდის გადასახდელად მამადავითზე, კათოლიკოსი დათანხმებულიყო, მხოლოდ ესაყვედურა, ცოტა ადრე რატომ არ შეგვატყობინეთ, რათა შევმზადებულიყავითო:

— თანამსახური მღვდლების შოვნაც გაჭირდება, ვინაიდან კვირაა და ყველას თავისი საქმე აქვს ტაძრებში, მაგალითად, დეკანოზი თალაქვაძე ერთი მღვდელია თავის ტაძარში და როგორ უნდა დატოვოს უწირავად...

თედო შესთავაზებდა მამა ნიკიტას, მონაწილეობა მიეღო პანაშვიდის გადახდაში და ამცნობდა, რომ ყოველკვირეული გაზეთის „ლომისი“ კვირის ნომერი (№11) მთლიანად დიმიტრი ყიფიანს ეძღვნებოდა.

— შეიძინე, წაიკითხე და სიტყვა წარმოთქვი.

მასპინძელი მტკიცედ უარყოფდა ამ შეთავაზებას, არადა, დიდი თაყვანისმცემელი დიმიტრი ყიფიანისა, მუდამ რომ იხსენიებდა წირვაში, როგორც წამებულ-თავდადებულ მამულიშვილს.

მაშ... უარი რაღას უნდა გამოეწვია?

— ჩემი სინდისი იმ ზომ აღშფოთებულია „სურამის ციხის“ სენემატოგრაფიულ ლენტზე ჩვენი სამღვდელოების გამასხარავებით და თავლაფ-დასხმით, რომ არ შემიძლია ცინცაძე-თოთიბაძეებს გვერდით ამოვუდგე და ისე საზოგადოებას ვეჩვენო.

თედო გაოცებული მიაჩერდებოდა და ნიკიტა გაიფიქრებდა, ისე მაჩვენებს თავს, თითქოს არაფერი იცოდეს არც „სურამიადასა“ და არც კორნელი კეკელიძის სკანდალურ ჯვრისწერაზეო.

და ფიქრს ფიქრი მიედევნებოდა: ეს მეგრელი კათოლიკოსის მიერ დასაზვერადაა შემოგზავნილი, რას ვიტყვი, რა გუნებაზე ვარ, კიდევ ვღელავ და ვშფოთავ, თუ დავმშვიდდიო.

ბუნებით ეჭვიანი რომ არის ნიკიტა თალაქვაძე და მძაფრ დაპირისპირებას კიდევ უფრო ეჭვიანი გაუხდია, თორემ თედოს არ უნდა გამოეწვია მისი ასეთი შეფიქრიანება —ნუთუ ამდენი ხნის ურთიერთობით ვერ გაეცნო მისი პიროვნება, ასეთი დავალებით რომ არავის გამოეგზავნებოდა — დასაზვერად, ამბის წასაღებად?!

ზღვა ხალხი რომ მოაწყდებოდა სვეტიცხოველს იმ შარავანდმოსილ 12 მარტს, განა თედოს მიერ შთაგონებული და შეგულიანებული უამრავი ადამიანიც არ ერია მათ შორის, საიდან სად ჩამოსული?!

ანდა საკათალიკოსო საბჭოს იმ სხდომაზე, დავით დავითაშვილის გაყვანა რომ უნდოდათ კანცელარიის მდივნად და ნიკიტა ხმალამოღებული გაილაშქრებდა ამ კანდიდატურის წინააღმდეგ, ერთადერთი ვინ დაუდგებოდა გვერდით საბჭოს წევრთაგან, თუ არა თედო სახოკია?!

მაშ... რაღას ერჩოდა?

ეჰ, ეჭვიანი ბუნება ისეთი რამაა!.. მით უფრო იმგვარ გარემოცვაში, უამრავი თაღლითი, მზაკვარი, ორპირი ადამიანი რომ გახვევია ირგვლივ, ეგზარქოსული მმართველობით დაღდასმულნი.

და რაღაც გელანდება თედოს ალალ მზერაშიც და ნატრობ: აჰ, ნეტა ამის გულში ჩამახედაო.

რაც გულში უძევს თედოს, მზერაშიც ის გამოსჭვივის და ბაგეზეც ის ადგას, მაგრამ ნიკიტა თალაქვაძე მაინც ისე უნდა დაელაპარაკოს, როგორც დასაზვერად შემოგზავნილს და გაითამაშოს, ვითომდა სჯეროდეს თედოს გულუბრყვილო არცოდნისა.

ასე უნდა უამბოს მთელი ვითარება საქმისა, ის სირცხვილი და დამცირება, რაც კათოლიკოსის განკარგულებით დამართოდა თბილისის სამღვდელოებას — ცნობილ მაჭანკალ „დეკანოზთა" მიერ დაგებული მახეების გამოისობით როგორ გაებმოდა კათოლიკოსი ლეონიდე სამარცხვინო ბადე-ქსელში და აღარც იმ უკანონობის ჩადენას მოერიდებოდა ყოფილ დეკანოზ კორნელი კეკელიძის განქორწინების საქმეში და ხელმეორედ ისევ ეკლესიური წესით დაქორწინებაში.

ყოფილი ეპარქიული სასწავლებლის, აწ კი უკვე ქალთა ტექნიკუმის მოწაფეები შეიგნებდნენ მინადორა კასრაძის უზნეო საქციელს, აღარ შეუშვებდნენ სკოლაში მასწავლებლად, აიძულებდნენ ერთი წლით შვებულება აეღო და გადასახლებულიყო კორნელის ბინაზე.

და აბობოქრდებოდა ნიკიტა თალაქვაძე:

— ჩვენმა „უმაღლესმა სამღვდელოებამ" კი ეს ვერ შეიგნო, პირიქით, ყველაფრით ხელი შეუწყვეს „ეკლესიური წესით" დაეკანონებიათ ეს უკანონობა, ეს უდიდესი უზნეო აქტი, რომელიც უფრო დიდ სამარცხვინო ლაქად დაედო კათოლიკოსსა და მის მრჩევლებს, ვინემ „სურამიადა"! იმ ზომ აღშფოთებული ვარ ყოველივე ამით, რომ მაპატიეთ, ვერ მივიღებ ამათთან პანაშვიდში მონაწილეობას, მე ჩემს ტაძარში შევავედრებ დიმიტრის ტანჯულ სულს ჩემს უფალს! თქვენ კი, ქართველმა მწერლებმა, წაიყვანეთ ეს „ქამები", ამოუდექით გვერდით და... ილოცეთ, თუ არ შეგრცხვებათ!..

მისდგებოდა „სურამის ციხესაც", დანიელ ჭონქაძესაც, როგორც ბატონყმობის ყალბად და ტენდენციურად გამშუქებელს, და დასძენდა: ვისაც „სურამის ციხე" ერთხელ მაინც წა-

უკითხავს და მაინც დათანხმდა „აგიტ-პუნქტის“ მანეკენად სურათის გადაღებას, მას სინდისი არ გააჩნიაო.

ნიკიტასათვის უცნობი იყო ალექსანდრე ორბელიანისეული მკაცრი კრიტიკა ამ მართლაც ყალბი მოთხრობისა, სადღაც რომ მიკარგულიყო, „ცისკრის“ როდინდელ ნომერში, დანიელ ჭონქაძის აგიტაციური თხზულება კი ფარზე აეზიდათ და აგერ კინოფილმადაც ექციათ, თვით ვალერიან გუნიაც რომ იძულებული გამხდარიყო, ეთამაშა ამ ფილმში და ნიკიტას რისხვაც დაემსახურებინა: ეტყობა, ჩვენი „მოწინავე დეკანოზებივით“ ისიც ფულის გულისათვის ყველაფერს კადრულობსო!

და, აბა, ასეთ სამარცხვინო ვითარებაში რა პირით უნდა გადახდილიყო ხვალ პანაშვიდი?..

— განა არ ვიცი, რომ ხვალინდელი თქვენი პანაშვიდი თქვენ რაღაც „დემონსტრაციად“ გინდათ აჩვენოთ „ვინმეებს“, მაგრამ ეს უკანასკნელები მწარე ღიმილით გიპასუხებენ თქვენს „პანაშვიდზე“! ღმერთმა გაპატიოთ ამდენი თვალთმაქცობა და უილაჯობა.

თედო რა შუაში გახლდათ, ამ რისხვის ქვეშ უნებლიეთ რომ მოყოლილიყო, თუმც გამოკამათების სურვილი არ გაუჩნდებოდა, ის კი არა, თავსაც დაუქნევდა და ერთი-ორჯერ მწარედაც გადააფურთხებდა, მაგრამ... ნიკიტას მაინც ვერ დაარწმუნებდა, კათოლიკოსის შემოგზავნილი რომ არ იყო.

„ისე დამწუხრებული მიგდებს ყურს, თითქოს ეს ყოველივე პირველად ესმოდეს“.

გამოემშვიდობებოდა თედო და, რომ ეტყოდა, სადაც მიეშურებოდა: დეკანოზებს, კალისტრატე ცინცაძესა და ანტონ თოთიბაძეს, უნდა შევატყობინო, მონაწილეობა მიიღონ პანაშვიდშიო, — უნებურად კიდევ ცეცხლს მოუკიდებდა ნიკიტას.

— ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავო! — არა, ღმერთმანიო, — ანდაზად შემორჩენილიყო და სწორედ ის მოაგონდებოდა ამ დეკანოზების ხსენებაზე, ასეა მათი საქმეც, რაც უნდა ჩაედინოთ, ჩაიდინონ ან კიდევ ჩაიდენენ, ჩვენი „საზოგადოება“ უმაგათოდ მაინც არ ვარგა, ესენი „სჭირდება“ ამ „საზოგადოებასო“!..

როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო, — ახლა სხვა ანდაზა მოადგებოდა პირზე.

„ვნახოთ ერთი, როგორი პანაშვიდი გადაიხადეს!..“

დილითვე რომ გადაიკითხავდა „ლომისს“, კმაყოფილი დარჩებოდა: ჩინებული მოგონებებიაო.

გაზეთი იწყებოდა ილია ჭავჭავაძის მართლაც ჩინებული სტატიით, „ივერიის“ 1887 წლის 30 ნოემბრის ნომრიდან რომ გადმოებეჭდათ, და ნიკიტა გულდასმით რომ გაეცნობოდა „ლომისის“ ამ ნომერს, მთლიანად გადმოიწერდა თავის დღიურში დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი სტატიებისა და მოგონებათა სარჩევს, ზოგიერთს მოწონების სიტყვებსაც რომ მიადევნებდა, ეს — განსაკუთრებით რაც მოხიბლავდა, თორემ დასაწუნს ვერაფერს იპოვნიდა, თუმც ვალერიან გუნიას მაინც წაჰკრავდა ყისტს: დიდ მოამაგედ გამოჰყავს იმ დროს ჭაბუკ გუნიას საკუთარი თავი, თითქოს ის ყოფილიყოს დიმიტრის უმთავრესი ჭირისუფალიო.

ჩამონათვალში მოიხსენიებდა თედო სახოკიას მოგონებასაც იოსებ ლაღიაშვილზე, რომლის მიერ ჩადენილ მკვლელობასაც მოჰყოლოდა დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივი აღსასრული.

კონსტანტინე გამსახურდიას წერილიდან ორ ციტატას ამოწერდა, ძალიან რომ მოხვდებოდა გულზე და მეტად კონტრასტულად გამოჩნდებოდა თანადროულ ყოფასთან შედარებით:

— ის თაობა, რომელიც გმირების აკლდამების ჩრდილებს ეფარება, ის ღირსი არ არის არსებობისა!..

და:

— მარტვილი და გმირი სჭირია დღეს ქართველ ერს, რადგან უდიდესი მოვალეობაა საქართველოსათვის სიცოცხლე და მუშაობა! ხოლო უდიდესი გამარჯვება — მისთვის სიკვდილი!

არადა, რუს-სომხობასა და სხვებს ისე გაედგათ ძირი ჩვენს ქვეყანაში, ქართველებს ნაციონალისტობას უკიჟინებდნენ და აქეთ-იქით ფანტავდნენ, თვით კომუნისტებსაც კი!.. და თავის მხრივ საკუთარი ბატონობისა თუ ახალი სამშობლოს შეძენისა და დამკვიდრების პოლიტიკას ახორციელებდნენ.

და ბიბლიურ წინასწარმეტყველთ დაედარებოდა ნიკიტა თალაქვაძე თანადროული რეალობის დამუნათებით:

— კოშმარია! თავი შეგეზიზღება ადამიანს, კარგად რომ ჩაუკვირდეს ეხლანდელ ჩვენს ვითარებას! „ბატონ-ყმობა“ დღეს

„დიქტატურით" შეიცვალა, „ფეოდალიზმის" ნაცვლად „რევოლუცია" მოგვევლინა! ძველი ბურჟუაზიის ნაცვლად ახალი იბადება — უქნარა, მუქთახორა, სხვის მონაგების მფლანგავნი! ასეთებს „პასუხისმგებელი ამხანაგები" ჰქვიან!..

შემდეგ დიდხანს აღარსად გაიელვებდა თედო სახოკიას სახელი „მოქალაქე-მღვდლის დღიურში", ვიდრე მოაწევდა 1932 წლის 14 იანვარი, კათოლიკოს ქრისტეფორეს დასაფლავების დღე, და ნიკიტა თალაქვაძე გვამცნობდა,კათოლიკოს ამბროსის გარდაცვალების შემდეგ ქრისტეფორე ძალით რომ შეიჭრებოდა სიონში და შეეცდებოდა ძალაუფლების ჩაგდებას ხელში, თომა ჩიქვანაია, თედო სახოკია, ივანე რატიშვილი და სხვანი აუმხედრდებოდნენ და ბრძოლას გამოუცხადებდნენ ქრისტეფორეს, საშუალებას არ მისცემდნენ, ეწირა სიონის ტაძარში, არ მისცემდნენ შესამოსელს თანამსახურ მღვდლებსა და მთავრებს, არც ლანძღვას მოაკლებდნენ და არც თავლაფის დასხმას, რათა გზა გაეკვალათ კალისტრატესათვის უმაღლესი სასულიერო კათედრისაკენ.

ნიკიტა არც კალისტრატეს მოღვაწეობაზეა დიდი აზრის, მაგრამ მოუდგომელი და პირუთვნელი განსჯა-შეფასება მისი ღვაწლისა, კალისტრატე კათოლიკოსს წარმოგვიდგენს ერთ გამორჩეულ სახელად მეოცე საუკუნის ძნელბედობის ჟამს როგორც ქვეყნის, ისე სამღვდელოებისათვის, ხოლო კათოლიკოსი ქრისტეფორე ნაკლებად გახლდათ ღირსი იმ აღმატებისა, რასაც ხელისუფლების თანადგომით მიაღწევდა და იმ ჟინით, ძალით შეჭრასაც რომ არ მოერიდებოდა სიონის ტაძარში და თავისი მფლობელობის დამყარებას.

თუმც... ძალიან კი შეგვიტყუა ნიკიტა თალაქვაძის დღიურმა და 30-იანი წლების დამდეგამდეც მოგვიყვანა.

არადა, ჯერ მანამდე დიდი გზა აქვს გასავლელი ქვეყანასაც და მის ერთგულ შვილთაც — დიდი ქარტეხილების, ტრიუმფისაც და ტრაგიზმის გზაც.

თედო სახოკიამ კი ის-ისაა უნდა შემოაღწიოს მშობლიურ საზღვრებში.

და გაზეთებითაც მოეფინოს ქვეყანას მისი ემიგრანტობის დამთავრების ამბავი, ახალგათენებულ დღეს რომ აღარ მიიჩნევს უკვე ჩავლილად-მოუთმენლობისაგან გათანგული.

„რა იყო მაინც, სად ვიყავი?!. ან... ახლა სადღა ვარ?!."

* * *

თითქოს ლაგდებოდა მისი პირადი ცხოვრება, როგორც იქნა დაუბრუნდებოდა ოჯახს — მეუღლესა და ქალ-ვაჟს, მაგრამ რომ ეგონა, ამიერიდან რაღამ უნდა გათიშოს ჩვენი მყუდროება და სიამტკბილობაო, მითუმეტეს, ოცნების ახდენის ჟამს — საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ყველა დიდი იმედით რომ მიაჩერდებოდა მომავალს, ვერ აუნაზღაურდებოდა თედოს ამდენი ხნის ტანჯვა-წვალება და მეუღლე ხელიდან გამოეცლებოდა.

ნადე კეკელიას დაკრძალვაზე ვრცელ გამოსათხოვარ სიტყვას წარმოთქვამდა იმჟამად ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია ჩვეული მჭევრმეტყველებით და ხელშესახებად წარმოსახავდა კეთილშობილი ქალბატონის პორტრეტს, ყველას მომხიბლავს სიკეთითა და მოძმეთადმი სიყვარულით, როგორც შეჰფერის მორწმუნე შვილს ეკლესიისა, ღირსეულ შვილს ღირსეული მშობლებისა, მოსიყვარულე შვილის მოვალეობას პირნათლად რომ ასრულებდა, და როგორც მასწავლებელს მოზარდი თაობისა.

— შენ იცოდი, რომ ეს არის წმინდა საქმე და მას შესწირე თავის ძალ-ღონე, ამან კი მოამზადა ნიადაგი შენი ავადმყოფობისათვის.

მისი მეოჯახეობა კიდევ ცალკე უნდა თქმულიყო, რადგანაც ბედს მისთვის საკმაოდ დრამატული ყოფა ერგუნებინა და თავისი მოვალეობის აღსრულებით ღირსეული ქმრის შესაფერის მეუღლეობას იტვირთებდა, ქმრისა, რომელმაც:

— სავსებით განიცადა სიმძიმე ამქვეყნიური უსამართლობა-ძალმომრეობისა, განიცადა დევნა-ექსორიობა მხოლოდ იმისთვის, რომ ის პირნათლად ასრულებდა მოვალეობას თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურისას.

ორიოდ სტრიქონში რარიგ სახიერად ჩაწურულა თედო სახოკიას დრამატიზმით აღსავსე ხვედრი, და ეს სიტყვები მით უფრო ფასეულია, რომ წარმოთქვამს პიროვნება, ვისაც ასევე სავსებით განეცადა სიმძიმე ამქვეყნიური უსამართლობა-ძალმომრეობისა და დევნა-ექსორიობაც მხოლოდ იმისთვის, რომ თავი არ ეზოგებოდა თავისი სამშობლოს სამსახურად.

და თუ ვინმეს, ამ ორ მოღვაწესაც სავსებით შეეძლო გაეგო ერთმანეთისა.

— ხოლო შენ, განსვენებულო, — განაგრძობდა სულიერი მამა, — არ გიღალატნია მოვალეობისათვის როგორც მეუღლეს, როგორც დედას. მხნედ იტანდი სიყვარულის და მოსიყვარულე მეუღლის დიდი ხნით მოშორებას, თუმცა კი სულით იტანჯებოდი.

მაგრამ ნეტარიც ხომ იყო სწორედ ამგვარი ბედისა და კიდევ იმისათვის, რომ აღესრულებინა მოვალეობა თვისი და, მიუხედავად უკურნებელი სენისა, მოსწრებოდა სიცოცხლეშივე ეხილა არამცთუ დაბრუნებული მეუღლე, არამედ ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა დგებოდა გათავისუფლების გზაზე, რასაც შეჰხაროდა და ემსახურებოდა ნადე კეკელიაც და მეტადრე მისი ღირსეული ქმარიც.

— საუკუნო იყოს ხსენება შენი, კეთილო ადამიანო.

და თავშეყრილ ხალხს ამბროსი ხელაიას გულშიჩამწვდომი სიტყვები კიდევ უფრო ააქვითინებდა.

* * *

ნადე კეკელია ან მისი ფოტოსურათი რომ ენახა ალექსანდრე მრევლიშვილს, ნეტა იმას რომელიღა წმინდა მოწამის მოდელად ივარაუდებდა?!

მამამისის სახება კი მაცხოვრის თარგად ეგულისხმა და რარიგ უხაროდა, მეგობარი მხატვრებიც სავსებით რომ უდასტურებდნენ ამ გარეგნულ შეფარდებას, გარეგნულსაც და სულიერსაც, რაკიღა შინაგანი სისპეტაკე, სათნოება, კეთილშობილება, ჯერ ბუნებითადაც და მერე ქრისტიანობის ემბაზში ამოვლებული, ანტონ კეკელიას კანთიელად აღბეჭდოდა სახეზე და ამასაც გადაეცისკროვნებინა მისი იერი,

ნახატზე გადატანისას აუცილებლად რომ უნდა შენარჩუნებულიყო.

არა ჩქარობდა სანდრო პორტრეტის შესრულებას, ესკიზად რომ სასწრაფოდ გადაეხატა ფოტოსურათიდან და იმედოვნებდა, შესაფერისი შთაგონება რომ მეწვევა, აი, მაშინ კი მივაღწევ ჩემსას, ერთ საუკეთესო ნახატს რომ შევქმნიო... ჯერჯერობით

კი თედო სახოკიასათვის სულ სხვა სურათი უნდა ეჩუქებინა — სახსოვრად და მოსაგონებლად.

1918 წელს ალექსანდრე მრევლიშვილს რომ შეხვდებოდა თედო, შესჩივლებდა: შენი ნაჩუქარი სურათი ასე და ასე დაიკარგა და ძალიან განვიცდიო.

ეს ნახატი გახლდათ ერთმეტრიან ტილოზე გამოსახული შიშველი ქალი, რომლის სხეულის ყოველი დეტალიც ზედმიწევნითი სიცხოვლით გადასულიყო და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა: ჩემს წინაშე ცოცხალი ქალი დგას და აჰადა დამელაპარაკებაო!..

პირველი მსოფლიო ომი რომ გამოცხადდებოდა და სოხუმის მცხოვრებნი აიყრებოდნენ, ეს ნახატი — მთელ ბიბლიოთეკასთან ერთად — დარჩებოდა თედოს ერთ მეგობართან, ხოლო ომის შემდგომ რომ მოიკითხავდნენ, აღარც ეს სურათი აღმოჩნდებოდა თავის ადგილას და აღარც ბიბლიოთეკის წიგნები. თედოს ყველაზე ძალიან ის დაუწვავდა გულს, რომ ალექსანდრე მრევლიშვილს ამ ზომის ფერწერული ნახატი სხვა არც გააჩნდა.

ამას შესჩიოდა: შენი ნახატიც ომის მსხვერპლი აღმოჩნდაო.

იმას წყენით ძალიან ეწყინებოდა, მაგრამ ისევ აქეთ ანუგეშებდა: ჩვენ ვიყოთ კარგად და ამისთანას სხვას უკეთესს დავხატავო.

იმედი იმედად რჩებოდა.

ოცნება ოცნებად.

ასეთ ნახატს ის ვეღარც გაიმეორებდა და თედოს მხოლოდ სინანულის გამოთქმა შეეძლო, ნაადრევი სიკვდილი ამ ნიჭიერ შემოქმედსაც რომ წაგვტაცებდა, არა ერთი და ორი ნახატის დატოვება რომ შეეძლო სხვა სურათებთან ერთად.

ვერა, ვერ იჭერდა სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...

* * *

იპოლიტე ვართაგავა მწუხარედ რომ აღნიშნავს თედოს მეუღლის გარდაცვალებას, დასძენს: ობლები დარჩა ქალ-ვაჟი (თინა და ვახტანგი), სკოლის დაბალი კლასის მოსწავლეები, მაგრამ სხვა ცოლი აღარ შეურთავს და თვითვე იდო თავს შვი-

ლების გაზრდაც, ქალიშვილის გათხოვებაც და ვაჟის დაქორწინებაცო.

— მაგრამ ამით კი არ თავდება მისი საკუთარი კერისადმი სიყვარული. თედო ბაბუა გახდა. უნდა გენახათ თედო ამ პერიოდში!..

მაგრამ თედო სახოკია ჯერ სანახავი გვყავს იმ პერიოდში, საკუთარ ბინაში შეფარებული რომ ჰყავდა პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელობა და ეს სახლი ამ მხრივაც ისტორიული შეიქნებოდა, აქ თედოს მოსახლეობის წყალობითაც რომ შემორჩენოდა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

შუქიასაც ღრმად ჩაებეჭდებოდა გონებაში დედის ნაამბობი მეამბოხე სტუმრებზე, ერთბაშად იატაკქვეშა სამყოფელად რომ აქცევდნენ მოსკოვის შესახვევის 4 ნომერ სახლს ზემელზე, რუსული (მოგვიანებით: ტვერელის) ეკლესიის ქვედა კალთაზე, მაგრამ ვიდრე მისი მემუარული ჩანაწერები გამოქვეყნდებოდა პაპაზე, თედოს ძმისწული დორა სახოკია გაიხსენებდა იმ მღელვარე დღეებს, 1923 წელს სოხუმის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსული უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, ბიძას რომ შეეკედლებოდა თავის უფროს და-ძმასთან (ასევე სტუდენტებთან) ერთად და იქ გაიცნობდა... **კოტე ანდრონიკაშვილს**, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს, **იასონ ჯავახიშვილს**, თავმჯდომარის მოადგილეს, **დავით ონიაშვილს**, ერთი მხრივ, მინათმოქმედების მინისტრობას რომ ჩააბარებდნენ დამოუკიდებლობის წლებში და, მეორე მხრივ, გოეთეს „ფაუსტს“ აამეტყველებდა ქართულად, **სოლომონ ზალდასტანიშვილსა** და პოლკოვნიკ **ირაკლი ცაგურიას**.

ისინი მორიგეობით სტუმრობდნენ და აუცილებლად საღამო ჟამს, როდესაც დაბნელდებოდა, და დაახლოებით თითო თვეს ინახავდნენ თავს თედო სახოკიას ბინაში, ვიდრე ადგილს მოინაცვლებდნენ და ახლა სხვაგან გადავიდოდნენ.

ყველაზე ხშირად და მეტი ხნითაც იმყოფებოდა დავით ონიაშვილი და ყმაწვილი ქალი ისე გაუშინაურდებოდა, როგორც ოჯახის წევრს, ვინც მთელი დღეები იჯდებოდა თედოს სამუშაო ოთახში „ფაუსტის“ თარგმნაში ჩაფლული.

კოტე ანდრონიკაშვილი როგორ დაამახსოვრდებოდა?

განათლებულ, ზრდილ, თავდაჭერილ ადამიანად, სიამაყეც რომ არ აკლდა, და ახალგაზრდებს მისი ძალიან ერიდებოდათ.

იასონ ჯავახიშვილი?

ცოტა სევდიანად, თავაზიანად, განათლებულად, მისი მოსმენა ახალგაზრდებისათვის ყოველთვის სასიამოვნო რომ იყო. სხვათა შორის, მოინახულებდა ხოლმე ერთი მანდილოსანი, რომელიც ბაქტერიოლოგიის კურსს უძღვებოდა სამკურნალო ფაკულტეტზე.

სოლომონ ზალდასტანიშვილი?

მხნედ და ცოცხალი იერის მქონედ, ყურადღებიანად, არც იუმორის გრძნობა რომ არ აკლდა და არც სითბო და ახალგაზრდებსაც იზიდავდა მისი ალერსიანი და კეთილი ღიმილი.

ირაკლი ცაგურია?

ნამდვილ სამხედრო პირად, მხედრული, გამოზომილი მიხრა-მოხრის მქონედ, გარიდებულად.

1924 წლის ზაფხულში თედო საკუთარ შვილებს სასკოლო არდადეგებზე ბორჯომის მახლობლად, სოფელ რველში რომ წაიყვანდა, თავისი მეგობრის, აგრონომ გიორგი თაქთაქიშვილის სოფელში, დორას და-ძმებს დაუბარებდა:

— თბილისში დარჩით, სოხუმში არ წახვიდეთ, ესენი აქ იქნებიან და თქვენი აქ ყოფნა საჭიროა, რათა მეზობლებმა არაფერი იეჭვონ.

დადგებოდა 23 აგვისტოს ღამე.

ათი-თორმეტი ადამიანი მაინც მოიყრიდა თავს თედოს სამუშაო ოთახში და მთელი ღამე ითათბირებდნენ, ხოლო ახალგაზრდების დაწოლის დრო რომ მოაწევდა, კოტე ანდრონიკაშვილი გამოვიდოდა და ეტყოდა:

— დაწექით ღია აივანზე და ეზოდან — შემოსასვლელში. ზედ კართან დაიგეთ ლოგინი. ვინმე თუ მოვა, კარს ვერ გააღებს თქვენს გაუღვიძებლად.

მართლაც, სამივე კართან და ფანჯარასთან დაიგებდა ლოგინს და დაწვებოდნენ.

ოდნავ ინათებდა თუ არა, კოტე გააღვიძებდა, დაემშვიდობებოდა და სათითაოდ და უჩუმრად გაიკრიფებოდნენ.

აგვისტოს გამოსვლები ტრაგიკულად დასრულდებოდა, რადგანაც პარიზში გადახვეწილი მენშევიკური მთავრობა მოახერხებდა უხეშად ჩარეულიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ წამოწყებულ ბრძოლაში — აღმოჩნდებოდა, რომ ბევრად უჯობდათ, ხელისუფლება კვლავაც ბოლშევიკთა ხელთ ყოფილიყო, ვიდრე ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალები მოსულიყვნენ. და ტრაგიზმის მორევში, ცხადია, მოჰყვებოდნენ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებიც, თედო სახოკიას სახლი არამცთუ თავშესაფრად, შტაბბადაც რომ დაეგულებინათ იმედით აღვსილებს, ახლა კი სამალავადღა თუ გამოადგებოდათ, ვიდრე ქვეყნიდან გააღწევდნენ. ყველა ვერც, რასაკვირველია.

ქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდებოდა და 8 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა აიკრძალებოდა.

არადა, აგერ უკვე 9 საათი სრულდებოდა და თინა კი იგვიანებდა.

აღელვებულებმა აღარ იცოდნენ, რა ეღონათ, ძებნას დაუწყებდნენ თუ რა!..

ახალგაზრდები უეცრად დაინახავდნენ ეზოში მომავალ თინას... მილიციელთან ერთად, და სასწრაფოდ შეატყობინებდნენ უფროსებს, რომელნიც მაშინვე თავს უშველიდნენ ისე, რომ სამოსის გამოცვლასაც ვერ მოასწრებდნენ, ის კი არა, ზოგიერთი საშინაო ფეხსაცმლითაც გავარდებოდა გარეთ მეორე შემოსასვლელიდან. იქ რომ დახვდებოდათ ქურთი მეეზოვე და მოინდომებდა სასტვენის მიტანას პირთან, პოლკოვნიკი ცაგურია რევოლვერს მიაბჯენდა მკერდზე და დაემუქრებოდა: ხმა არ ამოიღო, თორემ მოგკლავო, — და მაშინ კი არა, მეეზოვე მერეც აღარ ამოიღებდა ხმას, ვითომ კი არ გადასწყდომია, შორიდანაც არ მოუკრავს თვალი მათთვისო.

მოსკოვისა და კურსკის ქუჩების ყველა კუთხეში მილიციელები რომ იდგნენ?

დამარცხებული მეამბოხენი გაცვივდებოდნენ ზემოთ გორაკზე, რუსული უმოქმედო ეკლესიისაკენ.

მილიციელის ეს მოულოდნელი მოვლინება მაინც რას ნიშნავდა?

თინა რომ დაიგვიანებდა, გზად მილიციელი დააკავებდა და განყოფილებაში მოუნდომებდა წაყვანას, ეს ხვეწნას დაუწყებდა: არ წამიყვანოო, — და რაკიღა მოსალოდნელი იყო, რომ ხათაბალაში გახვეულიყო, მილიციელი თავს გამოიდებდა და შინამდე გამოაცილებდა. ცხადია, წარმოდგენაც არა ჰქონდა, სახლში ამდენი ძებნილი თუ იმყოფებოდა, თანაც ასეთი თვალსაჩინონი.

თინას ბარემ ძალიან არ ეჭაშნიკებოდა მილიციელის გამოყოლა, მაგრამ უარს ხომ არ განუცხადებდა, უთუოდ დააეჭვებდა და ვაითუ სულაც ალყაში მოქცეულიყო სახლი. იმდენს მაინც მოახერხებდა, რომ ეზოდან შემოვიდოდა და არა სადარბაზოდან, და სწორედ ამით გააფრთხილებდა შინაურებსაც და სტუმრებსაც, თედო სტუმრების გაპარებასაც რომ მოასწრებდა სადარბაზოდან და სამზარეულოდან შემოსული მილიციელის დახვედრასაც, მხურვალე მადლობასაც რომ მოახსენებდა ქალიშვილის მოცილებისათვის.

იმ სასაცილო ეპიზოდსაც გაიხსენებდა დორა, ზაფხულში იატაკ-ქვეშელნი ხშირად რომ გზავნიდნენ მის ძმას მიშას ღვინის საყიდლად. და მიშასაც ღვინის ბოთლები „ავოსკით" მოჰქონდა. სახლის პატრონი, რუსის ქალი გაოცებული მიაჩერდებოდა ყმაწვილის ყოველდღიურ სიარულს მისთვის შეუფერებელ საყიდლებზე და ზაფხულის მიწურულს აგარაკიდან დაბრუნებულ თედოს ყველაფერს ჩაუკაკლავდა, თან თავსაც მოიწონებდა, რომ ახალგაზრდების დაუსრულებელი ქეიფ-დროსტარების კურსში ოჯახის უფროსს დროულად ჩააყენებდა.

თედო რას შეიმჩნევდა, ის კი არა, სინანულით გადააქნევდა თავს და მადლობის გადახდის შემდეგ დაჰპირდებოდა: ახლა მე ვიცოდე და მაგათ, ვასწავლი, როგორ უნდა ასეთი ნაადრევი და გაუთავებელი ღვინის სმაო...

ხმა დაირხეოდა, შიომღვიმის მონასტერში იმალებოდნენ და იქ შეიპყრეს და იქვე დახვრიტეს კოტე ანდრონიკაშვილიც, იასონ ჯავახიშვილიც, ირაკლი ცაგურიაც და კიდევ სხვებიო. დავით ონიაშვილი მონასტერში არ იმყოფებოდა და ერთი წელი ვერც ვერსად მოიხელთეს, მაგრამ ერთხელაც გლეხურად ჩაცმული

რომ მიდიოდა თბილისის ქუჩაში, მზვერავებმა რაღაც იეჭვეს და გაჩხრიკეს, და გულის ჯიბეში კბილის ჯაგრისი უპოვნესო.

გლეხი და ჯიბეში... კბილის ჯაგრისი?

მაშინვე მიხვდებოდნენ, მათ წინ აჯანყების მონაწილე რომ იდგა.

სოლომონ ზალდასტანიშვილის გაქცევას რომ შეიტყობდნენ საზღვარგარეთ, არავის გაუკვირდებოდა ასეთი მოძრავი და მარჯვე კაცისაგან, ერთი-ორი წლის შემდეგ მეუღლისა და ორი შვილის გადაყვანასაც რომ მოახერხებდა უცხოეთში.

დორა სახოკია დიდხანს ატარებდა საიდუმლოდ ამ ყოველივეს, მაგრამ სამარეში ჩატანა აღარ დასჭირდებოდა, რადგანაც საბჭოთა იმპერიის დამსხვრევა შესაძლებელს გახდიდა უამრავი საიდუმლოს გამჟღავნებასაც და ისტორიის თეთრი ლაქების თანდათანობით ამოვსებასაც, რათა ის რეალობა, რაც ან მიჩქმალულიყო და ან სრულიად უკუღმართად და გაყალბებულად წარმოდგებოდა, ახლა თავისი ნამდვილი სახით წარმოჩენილიყო და XX საუკუნის საქართველოს ბედისწერაც მთელი თავისი ტრაგიზმითა და ჰეროიკით გამოკვეთილიყო.

ისე, ის რა დაუვიწყარი სურათია, თავისებურად ტრაგიკომიკურიც, მეამბოხენი ფაცხაფუცხით რომ გამოცვივდებიან გარეთ, თედო კი მათ გამოაცილებს თუ არა, ერთი ფეხით რომ შემოუსწრებს მილიციელს და მხურვალედ ართმევს ხელს: რომ იცოდეთ, რამხელა ლოდი მომხსენით გულიდან, თორემ ლამის ჭკუაზე გადავსულიყავი, რა აღარ ვიფიქრეო!..

ის წავიდოდა გაჯგიმულ-გაამაყებული ასეთი დახვედრით, რაღაც უზღვავ სიხარულს რომ შეატყობდა მასპინძელს და იფიქრებდა, ჩემმა საქციელმა და პიროვნულმა იერმა გამოიწვია ეს აღტაცებაო, არადა, გოგონას ხილვასა და გულის დამშვიდებას იმხელა აფორიაქება-აღფრთოვანება შემატებოდა მეამბოხეთა გადარჩენით, თედო სახოკიას ნერვიული სიმტკიცისა თუ სულიერი წონასწორობის კაცი თუ მოახერხებდა ამგვარ სიმარჯვესაც და მილიციელის წინაშე ისეთ თავდაჭერასაც, იმას ერთი ბეწო ეჭვიც რომ არ გაუჩნდებოდა, მითუმეტეს, როდესაც მილიციასაც და „ჩეკასაც“ თვალში ამოელოთ ეს გარეგნულად სათნო პიროვნებაც და მისი ბინაც.

დაუვიწყარი სურათიო...

კინოკადრად როგორი იქნება?!

მიაბიჯებდა მილიციელი რუსთაველის გამზირზე, თედოს კი გულში ჩაეხუტებინა თინა და სიცილს ვერ იკავებდა:

— ყველაფერი უცნაური შენ როგორ უნდა გადაგხდეს ან როგორ უნდა გადააწყდე?!

რამდენიმე წლის წინანდელ ეპიზოდს იგულისხმებდა, მუსიკის გაკვეთილიდან შინ მომავალ გოგონას მთავრობის სასახლის წინ რომ უნდა გამოევლო და უჩვეულო სურათს გადააწყდებოდა — ხალხი მოზღვავებულიყო ერთ ადგილას, ზიმზიმებდა, ჩოჩქოლობდა, ახალ-ახალი ნაკადი ემატებოდა და არა და არა ცხრებოდა ყიჟინა და აღტაცებული შეძახილები.

ეს... რა ხდებოდა?!

ვიღაც კაცს აბურთავებდნენ მთელი გულითა და სულით, აისროდნენ ჰაერში, ჩამოუშვებდნენ და კვლავ აისროდნენ, ამბურთავებელთა ერთი ჯგუფი რომ გამოეცლებოდა, ახლა სხვა ჩაენაცვლებოდა და ასეეეე... მეტად მოხერხებულად კი იქცეოდნენ, გამოზომილი სიზუსტით, თორემ მარცხი გარდუვალი შეიქნებოდა და კაცი ისე დაენარცხებოდა, ვაითუ, წელიც ვეღარ აეთრია.

— გმადლობთ, ბატონებო! მეყოფა, ბატონებო!..

ხან ზემოდან, ჰაერიდან მოისმოდა ეს თხოვნა, თანდათან სულაც ვედრებაში გადასული, ხან — ხელებზე ატატებული სხეული რომ ლამობდა გამორიდებას როგორმე, ვიდრე კიდევ ერთხელ შეიტყორცნებოდა...

გამორიდებას, როგორ არა!..

არადა, რას წარმოიდგენდა, ასეთი ექსტაზი თუ შეიძლება მოჰყოლოდა მის ნათქვამს:

— დიდმა ბრიტანეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა!

საყოველთაო სიხარულს რომ გამოიწვევდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, აღფრთოვანებას, ექსტაზსაც — რატომაც არა, მაგრამ ხომ უნდა ჰქონოდა ყველაფერს საზღვარი, აქ კი ეს საზღვარი არა და არ ჩანდა, ჯერ ხელი რომ დაავლეს და მაღლა

შეტყორცნეს, ის ეჩვენა გადაჭარბებად და ეს რაღა იყო, მიწაზე არაფრისდიდებით რომ აღარ უშვებდნენ?!.

ეგონა, კარგად გავიცანი ქართველებიო.

ანკი რატომ არ უნდა ჰგონებოდა, როდესაც ოლივერ უორდროპი გახლდათ, შინაურ კაცად მიღებული ჩვენს ქვეყანაში, ამაგსაც რომ დიდად დაუფასებდნენ: აი, ასეთი პიროვნული ღირსების ადამიანები უნდა აცნობდნენ ჩვენს თავს ევროპას, წარსული დიდებულებითა თუ ამჟამინდელი ტრაგიზმითო, — და თუ ვინმესი ეიმედებოდათ, ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენასაც სასიკეთოდ წაადგებიანო, სწორედ მისტერ უორდროპისაც, აგერ, დიდი ბრიტანეთიდან ეს აღმტაცი ცნობა რომ გადმოესროლა ხალხში და... ნეტა რა მოელოდა, ნეტა როდემდე უნდა ეტრიალა ჰაერში?!

— მეყოფა, ბატონებო!.. გმადლობთ, ბატონებო!..

ეს მისთვის იყო საკმარისი, თორემ ქართველები რას დაგიდევდნენ ასეთი საპატიო სტუმრის თხოვნას, როდესაც თავიანთი ვალი ჰქონდათ მოსახდელი მის წინაშე, ბოლომდე გადმოეფრქვიათ მადლიერება, მადლიერების გადმოსაფრქვევად კი უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინათ ასე სახელდახელოდ, ვიდრე ინგლისელი ჯენტლმენის ჰაერში აბურთავება გახლდათ.

ან ეს კი როგორი კინოკადრია?!

განზოგადებისათვის ხომ მისწრებაა, ეროვნული ხასიათის თავისებურებას რომ აირეკლავს— განცდის უკიდურესობას, გარეგნულად კომიზმშიც გადაზრდილს, ოლივერ უორდროპს საკუთარ თავზე რომ უნდა ეწვნია და, თუ მოგვიანებით იუმორითაც გაიხსენებდა ამ უცნაურ ეპიზოდს, იმჟამად ხუმრობის გუნებაზე მაინცდამაინც ველარ იქნებოდა, ჰაერში მის ბზრიალს ბოლო რომ არა და აღარ უჩანდა.

— მეყოფა, ბატონებო!..

რიგი მიდიოდა.

რიგი მოდიოდა.

და ისე მარჯვედ და მოხერხებულად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, თითქოს წინასწარვე ყოფილიყვნენ შეთანხმებულნიც და გაწვრთნილნიც.

მხიარულება, ყიჟინი, ტაში, ტაში, ტაში — ჯერ ძალდაუტანებელი და გაუპამპულებელი, ვიდრე საბჭოთა რეჟიმი უკიდურესი გადაჭარბების გამოისობით სამასხარაოდ გადააქცევდა.

— ახლა კი გაგვიცნობს კარგად, თუ რაიმე დარჩენოდა შეუცნობელი, თვალწინ გადაშლია და ეგაა, — გაიცინებდა თედო, შვილისაგან ამ ამბავს რომ მოისმენდა, და მერეც ღიმილი აეკიდებოდა ხოლმე სახეზე, ეს სურათი რომ წამოაგონდებოდა.

ეჰ, რა სჯობს, საღიმილოდ როცა გაქვს საქმე, გულით გასაღიმებლად და არა სიმწრისად, მაშინ კი, მიამიტურად რომ ართმევდა ხელს მილიციელს, თან შვებით სუნთქავდა, თან გუნებაში ეგებ კიდეც ეღიმებოდა, მაგრამ ხიფათის აჩრდილიც გადაუელვებდა.

„წამებში მოესწრო ყველაფერი!..“

რამაზ სურმანიძე თედოს ძმისწულის — დორა სახოკიას მოგონებას თავით ბოლომდე რომ გადმოიტანდა თავის წიგნში („ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია“), ექსკურსებსაც დაურთავდა ამ ხუთეულზე, რათა მოგონების ზოგიერთი უსწორო ცნობაც დაეზუსტებინა და მკითხველისათვისაც უფრო გაეთვალსაჩინოებინა, თუ რამხელა რისკს უკავშირდებოდა მასპინძლისათვის ამ ადამიანთა თუნდაც ერთჯერადი სტუმრობა. არადა...

კოტე ანდრონიკაშვილი დახვრეტით არ დაეხვრიტათ, არც იქვე, შიომღვიმის მონასტერში, და არც შემდგომ, ისევე, როგორც იასონ ჯავახიშვილი, სასამართლო პროცესი ერთ წელიწადს რომ გაგრძელდებოდა და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესჯებოდათ მათაც და მათ სხვა თანამზრახველთაც, ურალის საკონცენტრაციო ბანაკებში რომ გამოამწყვდევდნენ, მათი გარდაცვალების თარიღი კი უცნობი დარჩებოდა.

დავით ონიაშვილს 10 წლით რომ მიუსჯიდნენ პატიმრობას, ავადმყოფობის გამო პირობითი სასჯელით შეუცვლიდნენ, მაგრამ 1937 წელს ხელმეორედ დაატუსაღებდნენ სამშობლოს ღალატის ბრალდებით და სასჯელის უმაღლეს ზომას მიუსჯიდნენ.

დიდი სახელები იტაცებდა და 1913 წელს ამ მონოგრაფიით რომ გამოჩნდებოდა სამწერლო ასპარეზზე — „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“, გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილის

გამოცემასაც შეძლებდა 1927 წელს, და თუმც მეორე ნაწილის დასტამბვას ვეღარ მოესწრებოდა, დასრულებით ხომ მაინც დაასრულებდა და გზას გაუკვალავდა ამ საკაცობრიო ქმნილებას ქართულ ენობრივ სივრცეში.

ირაკლი ცაგურიას იმხელა მოვალეობა დაეკისრებოდა აჯანყებისას — მეორე დღესვე მის ხელში უნდა გადასულიყო თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები, მაგრამ ღალატის გამოისობით ეს გეგმა ჩაიშლებოდა და ახლა იმის იმედადღა იქნებოდნენ მეამბოხენი, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მანგლისის მხრიდან მოადგებოდა თბილისს, პოლკოვნიკ ცაგურიას ვაზიანიდან უნდა შემოეტია, მაგრამ რაზმი დროულად არ მიუვიდოდა და ვეღარც პატარძეულის მილიციის განიარაღებას შეძლებდა. და იძულებული შეიქნებოდა მარტოდმარტო შემოპარულიყო დედაქალაქში და ხლებოდა სოლომონ ზალდასტანიშვილს.

ისე მოხდებოდა, რომ თედო სახოკიას ფარულ სტუმართაგან სწორედ ეს ორნი დაუსხლტებოდნენ ჩეკას და საზღვარგარეთაც გააღწევდნენ, მაგრამ იქ კი მოუხდებოდათ კამათი აჯანყების მარცხის მიზეზთა გარკვევის ირგვლივ, სოლომონი რომ არ მოითმენდა იმ მღელვარე ამბების ირაკლი ცაგურიასეულ გაშუქებას: ჩახედული არ არის აჯანყების წინაპირობებში და ამითაა გამოწვეული მისი მცდარი დასკვნებიო.

შალვა ამირეჯიბი კიდევ უფრო მეტ სიმკაცრეს გამოიჩენდა: ირაკლი ცაგურია მენშევიკების მიერ გაბრიყვებული კაცია, მისი ბროშურები კი ყოვლად ბინძური წიგნაკები; იგი ის ღირსებააყრილი ოფიცერია, რომლის დასაცავადაც არცერთმა ქართველმა სამხედრომ არ აღიმაღლა ხმა და მენშევიკებიც კი აღარ გამოესარჩლნენ, ეს პოლკონივიკი ბრმა იარაღად რომ გამოიყენესო.

— ასე სევდიანად და უღიმღამოდ დასრულდა ერთ დროს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხმალშემართული ქართველი სარდლის ბიოგრაფიაო, — დასძენს რამაზ სურმანიძე, ვინც ვეღარ მიაკვლევდა ცნობებს ირაკლი ცაგურიას ცხოვრების ბოლო წლებზე.

სოლომონ ზალდასტანიშვილის წიგნი კი — „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ — ერთ ყველაზე სანდო წყაროდ შემორჩებოდა იმ ჰეროიკულ-ტრაგიკულ დღეებს მისი პიროვნული ღირსებებისა და იმის წყალობითაც, რომ თავით ბოლომდე უშუალო მონაწილე გახლდათ აჯანყების სამზადისისა და სამხედრო გეგმის შემუშავებისაც.

დაუვიწყარი იქნებოდა მისი ენერგიული მოქმედება მეორე მსოფლიო ომის ჟამს, როდესაც გარდუვალი სიკვდილისაგან დაიხსნიდა მრავალ ტყვედჩავარდნილ ქართველს, რისთვისაც საგანგებოდ მოუწევდა ჩასვლა რუმინეთში, სადაც ტვინის ანთება დაემართებოდა და ბუქარესტის საავადმყოფოში აღესრულებოდა 1941 წლის 5 დეკემბერს.

დაზუსტებით მისი გარდაცვალების თარიღი ვიცით, თორემ ისიც ვერ დადგენილა, დავით ონიაშვილი როდის დახვრიტეს — 1937 წლის 12 აგვისტოს თუ 12 ივნისს.

დიდ იმედებს დაასამარებდა 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის მიჯნა.

* * *

მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ სპირიდონ კედიას ჩეკას მაშინდელი თავმჯდომარე ოკუჯავა საყვედურს რომ მიახლიდა, როგორ თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილი რამდენიმე ათეული კაცით მთებში გავიდა და იქიდან დაგვიწყო ბრძოლაო:

— ჩოლოყაშვილი თქვენი კუდია, ეს ყველაფერი თქვენი საქმეა!..

ტუსაღი არ შეეპუებოდა:

— ჩოლოყაშვილი ნამდვილი ვაჟკაცია და ვაჟკაცურადაც მოიქცა, ჩვენ, ლაჩრები, კი შეგრჩით ხელში...

ექიმები თავს დასტრიალებდნენ სპირიდონის პატარა გოგონას, გაუთავებელი ავადმყოფობა რომ ტანჯავდა, და თუ წამალი არ იშოვებოდა, ხომ არსებობდა ის კაცი, რომელიც მთელ აფთიაქებს შეძრავდა ხოლმე, რათა თეოსათვის წამალი მიეტანა.

გაჭირვებულთა ჭირისუფალიო, — ამ სიტყვებით განსაზღვრავდა სპირიდონ კედიას მეუღლე ამ კაცის პიროვნულ მრწამსსა და ცხოვრების წესს.

ანუ: თედო სახოკიასი.

ასე ყველაზე ზრუნვას როგორ ასწრებდა?

ეს მისი საიდუმლო გახლდათ, თუმც რომ ჩაკითხვოდით, ვერც მოგიგებდათ, ამისთანას მაინც რა საიდუმლოს ფლობდა.

ეს მისი არსება გახლდათ, მისი სუნთქვა, მისი ცხოვრების სტილი...

ჩვენ, ლაჩრები, კი შეგრჩით ხელშიო, — საკუთარ თავს არ ინდობდა სპირიდონი, უშუალოდ რომ არ იმყოფებოდა მთაში გასული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით, საქართველოს მაჯისცემად ვინც ქცეულიყო. არადა, შეიარაღებული წინააღმდეგობის წამოწყებას რომ დააპირებდა შეფიცულთა რაზმის ბელადი, ერთ-ერთ პირველს სწორედ სპირიდონს გაუმჟღავნებდა ამ განზრახვას.

შეგრჩით ხელშიო...

მაინც გაასწრებდა აქედან დახვრეტას გადარჩენილი, თუმც ცოლს კი გაუმხელდა თავის ეჭვს და შიშს მოსალოდნელი აჯანყების გამო:

— ევროპა არ გვიშველის...

და სოფიო ჩიჯავაძეს ამ სიტყვების შემდეგ კი აღარ გაეხარდებოდა, არამედ თავზარი დაეცემოდა, როდესაც ზაფხულის მიწურულს ბაკურიანში თბილისიდან ავიდოდა მასწავლებელი ტრიფონ ჯაფარიძე და გაუმხელდა:

— მინდა ერთი საიდუმლოება განდოთ და, იმედია, თქვენგან არ გავა. ამ დღეებში აპირებენ აჯანყებას, ყველაფერი მზად არის, ევროპიდანაც შავი ზღვით სამხედრო ძალა იქნება გადმოსხმული ჩვენ დასახმარებლად.

ეჰ, სამხედრო ძალის გადმოსხმა კი არა!..

სპირიდონ კედია უფრო სწორად ჭვრეტდა ევროპის უმოქმედობასაც და მოსალოდნელ საფრთხესაც.

და აი, დედაქალაქიდან უკვე ამოაღწევდა საშინელი ხმები: დიდძალი ხალხია დაჭერილი და დახვრეტილიო... სისხლის გუბეებია დამდგარიო...

და სოფიო ჩიჯავაძე ორი კვირის თავზე რომ დაუბრუნდებოდა თბილისს, დედაქალაქი თითქოს დაწყნარებული ჩანდა,

მაგრამ ქალის მზერას არ გამოეპარებოდა, რომ ეს ჰგავდა ქვეყნის წალეკვას დიდი ქარიშხლის შემდეგ.

თითქმის არ დარჩენილიყო ოჯახი, რომელსაც უბედურება თავს არ დასტეხოდა!..

ყველაზე მეტი სისხლი სამეგრელომ გაიღოო, ასე დაამახსოვრდებოდა. ოჯახები აეწიოკებინათ, მისი წევრები ერთმანეთის მიმართ გაეორგულებინათ და ეჯაშუშებინათ.

არც თელავს მოჰკლებოდა შემზარავი სურათები და მნახველთაგან მოისმენდა: დილით ნადიკვარზე რომ მიეედით, სისხლის გუბე იდგა დახოცილი ხალხისაო...

ხშირად სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც რომ ემსხვერპლებოდნენ, ესეც იმთავითვე გაცხადდებოდა — ზოგჯერ ვინმეს გვარი არ მოეწონებოდათ ან ერთის მაგივრად მეორეს სტაცებდნენ ხელს და ყველასთან ერთად მიერეკებოდნენ საბურთალოზე, სადაც ნამდვილი სასაკლაო გაემართათ.

მძორის სუნი დიდხანს ეფინებოდა იქაურობას.

და ამიტომაც იმ ზამთარს უკვე თბილისშიც ნახავდნენ ნადირს, საბურთალოზე მგელი და ტურა ადვილად დაიწყებდნენ პარპაშს.

ეს მწარე, გაუნელებელი მოგონებანი ოდესმე მის ავტობიოგრაფიულ რომანში ჰპოვებდა ადგილს: „ნასმენ-ნახული“ — ერთ გრძელ, ვრცელ ეპისტოლედ რომ ჩაიფიქრებდა შვილისადმი — თეო კედიასადმი, კომპოზიციის ასაგებად მარჯვე მწერლურ ხერხს მოიფიქრებდა და მასზე გაშლიდა გულისშემძვრელ თხრობას, უაღრესად სანდოს და ათასგვარი ამბითა თუ რეალიით სავსეს, ზოგი სხვათა ცნობებს რომ ავსებდა და ადასტურებდა და ზოგიც მხოლოდ მისი წყალობით შემოგვრჩებოდა.

ჟლეტა ჟლეტად და... ჭირისუფალთა დრამა ამით კიდევ უფრო გამძაფრებულიყო და სულაც გაორკეცებულიყო, სოფიოს უკვირდა: ნეტა გონება როგორ შეინარჩუნესო, — და შენატროდა იმ ადამიანებს, რომლებიც არ შესწრებოდნენ ამ უბედურებას.

გავიდოდა დრო და ცხოვრება ისე წარიმართებოდა, სოფიოს განცდა გაუჩნდებოდა, თითქოს იარა გამორწყულია და ახლა იშუშებსო.

ეგონა, პირველ ხანებში მაინც მოერიდება ხალხი გასართობებს და თუნდ თეატრის კარი დაიკეტებაო, მაგრამ... ერთი თვის თავზე „აბესალომ და ეთერის" დადგმას არამცთუ დაესწრებოდა ხალხი ოპერაში, დარბაზი თურმე გადატენილიც იქნებოდა. და ყველა, ვინც სოფიოს იცნობდა, გადაჭარბებულად მიიჩნევდა მის ბოიკოტს, განრიდებას გასართობებისაგან და გლოვას ამ კიდევ ერთი ტრაგედიის გამო.

თავდაუზოგავად აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას, ძალიან იღლებოდა და კიდევ შინაგანი სევდაც რომ უღრღნიდა არსებას, ასე ეგონა, დავრდომილი ადამიანისაგან აღარაფრით განვსხვავდებიო, თუმც ამას არ იმჩნევდა და სხვა მასწავლებლებს, თვით ახალგაზრდებსაც ეხარბებოდათ მისი: გვრცხვენია, როდესაც თქვენ გხედავთ, რამდენი სიცოცხლე და ამტანობა გაქვთო.

გულშემატკივარი და ხელის შემშველებელიც არ აკლდა, თორემ ძალიან გაუძნელდებოდა უკაცოდ დარჩენილ ოჯახს: სოფიოს — პატარა გოგონასა და დედასთან ერთად.

გოგონას რას დაამახსოვრდებოდა ის მძიმე დღეები და სოფიო ამცნობდა თავისი იმ ვრცელი უსტარით ერთი ყველაზე დიდი თანამდგომის სახელს, გაჭირვებულთა ჭირისუფლისა:

— ჩვენი იმდროინდელი ნამდვილი მეგობარი და ჭირისუფალი ბევრ სხვასთან ერთად თედო სახოკია იყო.

ის გაგვიკვირდეს, ასე რომ არ ყოფილიყო, ერთი პირველთაგანი იგი არ მოვლენოდა მფარველად გადახვეწილი მეგობრის ოჯახს, პატარა გოგონასაც რომ ართობდა და ბევრსაც იცინოდა მის „ფილოსოფიაზე".

ხშირად სტუმრობდათ თავის მუდამ ზაფხულის „პლაშჩში" ჩაჭედილი (არა, სეზონური ტანისამოსი ექნებოდა!), თუნდ დიდი ყინვებიც დაეჭირა, და ახალ ამბებს რომ უყვებოდათ, შეუძლებელია მალიმალ ეს სიტყვებიც არ დაეყოლებინა:

— ესენი მალე წაშავდებიან და მაშინ ჩვენი ცხოვრება ნორმალური იქნება.

ოცნებას რეალობასთან აიგივებდა და თვითონაც სულს ითქვამდა და სხვებსაც ამხნევებდა.

სოფიოს დედა პირში მისჩერებოდა ხოლმე, ეგებ მეტი სასიამოვნო ამბავი შევიტყო ამ ჩვენი წინასწარმეტყველისაგანო.

მიართმევდა ცხელ-ცხელ ჩაის და თუ ამასთან თეფშით ყველსაც მიუდგამდა, ეს მშიერი, გაყინული კაცი ცოტა სულს მოითქვამდა, მასპინძლებსაც კარგ გუნებაზე დააყენებდა და გაუდგებოდა ხოლმე თავის გზას.

ცოტა თუ შეუგვიანდებოდა სტუმრობა, დედა დაღონებული ეტყოდა სოფიოს:

— ნეტა ამ საღამოს თედო მაინც შემოვიდეს.

ოჯახის უფროსი დიასახლისის ქართული თედოს ძალიან მოსწონდა და, რომ აღნიშნავდა: ეს კარგიაო, — როგორც სჩვეოდა, იმ გამოთქმასაც მაშინვე ჩაიწერდა პატარა წიგნაკში.

და თავს მოიწონებდა მასპინძელი, იუმორიც უხვად რომ მომადლებოდა:

— მეგრელებმა ნამდვილი ქართული ენა ჩვენგან უნდა ისწავლოთ, თქვენ ღომის გაკეთებაც გეყოფათ.

უფროსები იცინოდნენ, პატარა გოგონა კი გაგულისდებოდა და ხმამაღლა მიაძახებდათ დედასა და დიდედას:

— თქვენ ჩიდავაანები ხართ, მე კი კედია მქვია, ჰოდა კედია სჯობია...

არ ვიცი, ვინ ჩაგაგონაო, — ამდენი ხნის შემდეგაც უკვირდა დედას, — ზუგდიდში წლინახევრისა იყავი, მაშინ ხომ არაფერი გესმოდა, გასაოცარი იყო შენი მეგრელობა, მერე ასეთიო.

რამხელა სიამაყე გამოსჭვივის ამ სტრიქონებიდან!..

ელისაბედ ორბელიანის გულშემატკივარი და ჭირისუფალიც თუ ვინმე იქნებოდა, ისევ თედო სახოკია.

სოფიო ჩიჯავაძის ავტობიოგრაფიულ რომანში ერთ სტრიქონად ასე ჩაინურებოდა ამ დიდებული ქალბატონის პიროვნული ხასიათი:

— ის იყო გარეგნობით ნამდვილი პარიზელი და ამასთან ქართველი პატრიოტი ქალი.

სხვაგვარად ანკი როგორი უნდა ყოფილიყო მეფე ერეკლეს შვილთაშვილი.

ზამთარ-ზაფხულ ყვავილებიანი ქუდით დაიარებოდა ქუჩაში, მეტისმეტად ფერმიხდილი პალტოთი, სიძველის გამო ფერ-

დაკარგულით, და ეცვა მაუდის ფაჩუჩები, ხელთ — ბეწვის ხელთსაბუნი, ისიც ყვავილისკონით შემკული.

— აი მისი სილუეტი ამ ჩვენი ქვეყნის უბედურებაში, ძალიან იყო გაჭირებული.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ უნივერსიტეტში რომ დანიშნავდნენ ინგლისური ენის მასწავლებლად, ეს იყო მისთვის არსებობის წყარო, მაგრამ როდესაც უცხოეთიდან დელეგაცია ეწვეოდათ და იკითხავდნენ: ვინა ნიშნავს პროფესორებსო? — და ლიზა მიუგებდათ:

— ყველა პროფესორი ზევიდან არის დანიშნული.

სტუმრების წასვლა და ელისაბედ ორბელიანის დათხოვნა ერთი იქნებოდა.

ასე დაკარგავდა უკანასკნელ ლუკმასაც.

და მემუარისტს თვალწინ რომ წარმოესახებოდა მისი გაჭირვებული ყოფა, როგორ არ დასცდენოდა ბედის სამდურავი და როგორ არ ამოსჩენოდა თვალწინ იმ კაცის სილუეტი, ლეგენდად რომ გადმოსცემოდა შთამომავლობას და ქაქუცა ჩოლოყაშვილს სწორედ მას ადარებდნენ:

— აფსუს, მისი პაპა ალექსანდრე ბატონიშვილი სად იყო, იქნება ერთხელ კიდევ ეცადნა რამე დაუპატიჟებელ სტუმრების მიმართ...

და თედო სახოკია რომ ჭირისუფლობდა, სოფიო გვამცნობს: ალბათ სიტყვიერად ანუგეშებდა, თორემ სხვას ხომ ვერაფერს მიუტანდაო.

— ხშირად ფრანგულად ლაპარაკობდნენ, რადგან თედომ რამდენიმე წელიწადი ბელგიაში გაატარა და იქ მიიღო განათლება.

შუქია აფრიდონიძე ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავდა, თავს ვერ შეიკავებდა, იქვე, აშიაზევე არ მიეწერა:

— სწორი არ არის: თედო სახოკიამ უმაღლესი განათლება ჯერ ჟენევაში, შემდეგ კი პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო ბოლოს დაამთავრა უმაღლესი ანთროპოლოგიური სკოლა.

ამგვარი მინაწერები თუ დაზუსტებანია, ძალიან რომ წაადგება ხოლმე კომენტირებული გამოცემების მომზადებას.

აფსუს, მართლაც სად იყო პაპამისი, ალექსანდრე ბატონიშვილი?!.

ან ქაქუცა ჩოლოყაშვილი სადღა იყო, აქედან უკვე გადახვენილი...

— შენ, ქაქუცავ, ალექსანდრე ბატონიშვილის ბილიკებზედ ასული, აქ ევროპამ ბარში არ ჩამოგიყვანოს, — გული უკვდებოდა სპირიდონ კედიას.

* * *

ცოტა ხანს გლოვის უფლებას დაგიტოვებდნენ ახალმოწესენი, სისხლითა და გამარჯვებით დამთვრალნი, მერე ეგეც აღარ შეგრჩებოდა, აჯანყება ავანტიურად რომ გამოცხადდებოდა და მერე სულაც აიკრძალებოდა და გაქრებოდა ოფიციალური გამოცემებიდან მისი ხსენება, თითქოს არც ეს ამბოხი ყოფილიყოს, არც ქაქუცა ჩოლოყაშვილი არსებულიყოს თავის შეფიცულთა რაზმიანად და არც უამრავი ადამიანი ჩაეხოცოს ხელისუფლებას ულმობლად, ზოგი კიდეც გარეული ამბოხებაში და ზოგიც შორს მდგარი მისგან, მაგრამ კეთილშობილი ჩამომავლობა აღმოჩნდებოდა მათთვის საბედისწერო... ზოგი საერთოდაც ისე გაიწირებოდა, ვერც გაიგებდა, რა მომხდარიყო და რისთვის შეეწირათ ზვარაკად, ერთბაშად წამოკრეფილ ხალხში რომ მოჰყვებოდნენ შემთხვევით და „გაქცევისას" კი...

პატრიოტები გარდუვალად მოელოდნენ სულ უფრო მოჭერას მარწუხებისას და ლაგამის ამოდებასაც, რამდენადაც იცნობდნენ ბოლშევიკების ფსიქოლოგიას, მაგრამ თურმე მათი გონიერების ადამიანებსაც უნდა გასძნელებოდათ განჭვრეტა, რაოდენ სულისშემხუთავი აღმოჩნდებოდა ეს მარწუხები, იმპერატორის ხელისუფლება ამასთან შედარებით უფრო თავშეკავებულად და ლამის გულმოწყალედაც რომ წარმოდგებოდა მათ თვალში.

ყველა ერთბაშად დადგებოდა იდუმალი გილიოტინის წინაშე — მთელი მოსახლეობა, არამცთუ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებულნი და კვლავაც სახელმწიფოებრიობის ამოგებაზე მეოცნებენი, არამედ მთავრობისადმი

სრულიად ლოიალურად განწყობილი ადამიანებიც და... ის კი არა, ახალი პოლიტიკური რეჟიმის მხურვალე მომხრენიც.

ყველა უნდა დაშინებულიყო — დამნაშავეც და უდანაშაულოც თვით ბოლშევიკური თვალთახედვითა და დაყოფითაც, უფრო სწორად,პირობით ზღვარსაც მოშლიდნენ მათ შორის და ყველა ერთობლივ შეირაცხებოდა დამნაშავედ... და ამიტომაც, როდესაც ენებათ, მაშინ წამოგავლებდნენ ხელს და როგორც ენებათ, ისეც მოგექცეოდნენ.

სულიერად უნდა დათრგუნულიყავი, დაჩიავებულიყავი, გასაქანი ველარსად გეპოვნა.

და ტერორს უნდა ემძვინვარა, ყველგან ჩასაფრებულს და ყოველ წამს ამოსაფრქვევად მომზადებულს.

გილიოტინის წინაშე იდექი სრულიად დაუცველი და ბედს მინდობილი, თანაც, ფრანგი რევოლუციონერებისა და არისტოკრატებისაგან განსხვავებით, ჰეროიკული აღსასრულის საშუალებასაც აღარავინ გიტოვებდა, სადღაც უნდა ჩაეკალით და შენი ხსოვნაც პირწმინდად გაქარწყლებულიყო.

* * *

თედო სახოკია ჩამოშორდებოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ამჯობინებდა შინ ჩამჯდარიყო და უმთავრესად თარგმნაზე გადართულიყო — ახალი ორეულებიც შეექმნა, ძველი პუბლიკაციებისთვისაც გადაეხედა და წიგნებად გაემზადებინა.

თარგმანი თავშესაფარივით გამოდიოდა.

მთლად საიმედოდ ესეც არა, ცხადია, მაგრამ შედარებით მაინც...

1925 წლის 9 იანვარს მიწერილ ბარათში ლეო ქიაჩელი უამბობდა, როგორ ერჩიათ მისთვის მეგობრებს, ეთარგმნინებინა რუსულად „ტარიელ გოლუა“ და ალექსანდრე ნიკიტინი დაესახელებინათ ამ საქმისათვის ყველაზე შესაფერისად. ის თარგმნით კი თარგმნიდა, მაგრამ ლეო უკმაყოფილო დარჩებოდა: ასე დაბეჭდვა შეუძლებელიაო.

იმას შეეთავაზებინა:

— როგორც თედო სახოკია იტყვის, იმის ყაბულს ვიქნები.

— მე რა მეთქმოდა შენი ავტორიტეტის წინააღმდეგო, — ლეომ.

და ახლა დედანიც და ალექსანდრე ნიკიტინის რუსული ვერსიაც თედოსათვის წარედგინა და სთხოვდა:

— ვიცი, რომ სრულიად მიუდგომელი იქნები და ჩემს ინტერესს (როგორც მწერლისას) დაიცავ, აგრეთვე მთარგმნელისას, რამდენადაც ამას სრული სამართლიანობა მოითხოვს... შენი გამოცდილი თვალი მცირე შედარებიდანაც გამოარკვევს, თუ თარგმანი მისაღებია, და საზოგადოდ მსჯავრს დასდებს.

რაოდენ ხელშესახებად და რელიეფურად წარმოჩნდება ამ პაწია ბარათით ლეო ქიაჩელის პიროვნება, სრულ სამართლიანობას რომ ესწრაფის და მზადაა, აღიაროს თავისი მცდარი შეხედულება, თუკი ამის საჭიროება გაჩნდება.

ჩემი ინტერესიც დაიცავი და... მთარგმნელისაცო...

ა, კაცი!..

ხოლო თედო სახოკიას რომ ჩარევდნენ ამ დავაში, რა გასაკვირია. თუ ვინმესი შეიძლება სჯეროდეთ — მისი პატიოსნებისა და პროფესიონალიზმისა — ერთი უპირველესთაგანი სწორედაც თედოა, გემოვნების კანონმდებლის სახელი რომ აქვს მოხვეჭილი საზოგადოებაში და ამჯერადაც ლეო ქიაჩელიც და ალექსანდრე ნიკიტინიც უყოყმანოდ აღიარებენ მის მსჯავრს.

არა, მაინც როგორი მორიდებული პიროვნებაა ლეო ქიაჩელი: იქნება ბოროტად ვსარგებლობდე შენს ამდენ ყურადღებას და დაუმსახურებელ პატივისცემასო.

ებოდიშება ბარათის დასაწყისში... ებოდიშება ბარათის ბოლოს...

და ეს — ადვილად საურთიერთობო კაცს, უცნობსაც რომ თან გადაჰყვებოდა, თორემ მეგობარ მწერალს ყურადღებას რას მოაკლებდა — ორიგინალისა და თარგმანის შედარება რა სათქმელია, ბევრად რთულ დავალებასაც შეასრულებდა მისი ხათრით, თანაც ისეთი ხალისით, გეგონებოდა, სწორედ ამ საქმეზე ოცნებობდა და კიდევ კარგი, აგერ რომ გამოუჩნდაო.

აჩქარებული დრო ნელ-ნელა შეჩერდებოდა და გახევდებოდა — თედოს თვალწინ რამდენიმე ათწლეული გადაიკეცებოდა ისე, რომ შიგადაშიგ მოჩვენებითი წინსვლის მიუხედავად,

დრო-ჟამის გაშეშებას არაფერი ეშველებოდა და 80-იანი წლების მიწურულამდე სოციალისტ-კომუნისტურ გამყინვარებაში ჩაეფლობოდა ყველა და ყველაფერი.

და თედო სახოკიას შინაგანი მჩქეფარება და დაუშოშმინებლობა სანერ მაგიდასღა უნდა მისჯაჭვოდა.

ჯერ იქაც შემაძრწუნებლად ილანდებოდა გილიოტინა — ხან უჯრიდანაც რომ ამოყოფდა თავს, ხან კედლიდან გადმოაცქერდებოდა და ხანაც ჭერიდან.

იცოდეთ, ორგანიზებულობა — ეს არის, ძია თედოს რომ სჩვევიაო, — შვილებს ამ შეგონებით ზრდიდნენ მისი მეგობარ-ამხანაგებიც, ნაცნობებიც, ნათესავებიც, მეზობლებიც, თან რომ ეხარბებოდათ და თან ძალიანაც ეამაყებოდათ, ეს ჩუმი, მორიდებული კაცი ყველაფერს რომ სწვდებოდა და ყველაფერს ასწრებდა.

მისი დღის განაწესზე ასე თუ ისე ყველას ჰქონდა წარმოდგენა.

დილის საათებში უთუოდ მუშაობდა — თარგმნიდა ან თავისას წერდა, ნასადილევს — ისვენებდა, საღამოს 8-10 საათამდე რომელიმე მეგობრის ოჯახში ატარებდა, ღამის 11 საათზე კი აუცილებლად უნდა დაწოლილიყო დასაძინებლად.

რაღაც განსაკუთრებული დღის რეჟიმი სულაც არ არის, მაგრამ განსაკუთრებულად კი იყენებდა ყოველ წუთს და მითუმეტეს — წუთთა ქარავანს, მის ხელში უაღრესად სავსედ და ტევადად რომ გრძნობდნენ თავს და უშურველადაც აფრქვევდნენ შინაგან ძალასა და სიღრმეს.

კვირის ყოველი დღის საღამოს უახლოეს მეგობართა სახელები ერქვა.

ორშაბათს — კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძისა;

სამშაბათს — ელინური მითებისა და „ილიადას" მთარგმნელის ალექსანდრე მიქაბერიძისა (გზად ზოგჯერ შეივლიდა ცნობილ ენათმეცნიერთან — ვუკოლ ბერიძესთან); ბოლო წლებში კი დადიოდა ახლოს მცხოვრებ ნათესავ ექიმთან — პროფ. გივი ხვედელიძესთან;

ოთხშაბათს — ექიმ პროფ. ევგენი შალამბერიძისა, ნევროპათოლოგისა;

ხუთშაბათს — მწერალ შიო დედაბრიშვილისა, ქართული ნოველის თვალსაჩინო ოსტატისა;

პარასკევს — ექიმ ირაკლი გუნცაძისა; მოგვიანებით — მწერალ სოლომონ ცაიშვილისა;

შაბათს — აგრონომ ნიკოლოზ ყავრიშვილისა;

კვირას — მწერალ ვასილ ბარნოვისა, ქართული პროზის თვალსაჩინო ოსტატისა.

მალე გამოიხურავდა წუთისოფლის კარს შიო არაგვისპირელი, მაგრამ უცვლელი დარჩებოდა მის ოჯახში თედოს სტუმრობა ამ დღეს, ხუთშაბათი შიოს სახელზე რომ დადგენილიყო.

მერე ვასილ ბარნოვიც გაჰყვებოდა მის კვალს იმიერ სამყაროში, მაგრამ რა შეცვლიდა მის სახელზე დადგენილ დღეს თედოს სტუმრობას მის ოჯახში!

საათიც რომ არასოდეს შეიცვლებოდა ათწლეულთა განმავლობაშიც.

თანაც — გერმანული სიზუსტით.

ლეგენდასავით შემორჩებოდა, იმანუელ კანტის შინიდან გამოსვლისას სასეირნოდ კენიგსბერგელები საათს რომ დახედავდნენ შესამოწმებლად და... გასასწორებლად.

და ლეგენდასავითაა შემოსანახი, უახლოეს მეგობართა ოჯახებში თედო სახოკიას სტუმრობისას მასპინძლები საათებს რომ დახედავდნენ შესამოწმებლად და... გასასწორებლად!

თანაც — ერთი ბოთლი „მუკუზნით“.

ესეც ამ რიტუალის აუცილებელი დეტალი გახლდათ.

თუ რაიმე გადაუდებელი საქმის გამო ის საღამო დაკავებული ჰქონდა, აუცილებლად თვითონ უნდა მისულიყო და გაეფრთხილებინა. ეს მაშინ, როდესაც ტაქსები არ იყო და ტელეფონიც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

ნინო ნადირაძეს, ალექსანდრე მიქაბერიძის დისწულს, ასე დაამახსოვრდებოდა ეს რიტუალური სტუმრობანი, და ეს ჯერ კიდევ 1925 წლიდან.

თუ მოხდებოდა, რომ თედო ვერც მისვლას მოახერხებდა და ვერც მიუსვლელობის მიზეზს ამცნობდა, ოჯახში ყველა აღელდებოდა და დილითვე აფრენდნენ ხოლმე მასთან ვინმეს, უმეტესწილად — ნინოს, ვინც სიამოვნებით კისრულობდა ამ დავალებას... თუმც ასეთი რამ 15 წლის განმავლობაში 3-4-ჯერ თუ მომხდარა.

გამორჩეულად დაამახსოვრდებოდა თავისი პირველი სტუმრობა თედოს ოჯახში, კარს თვითონვე რომ გაუღებდა — თურმე გაციებულიყო, შლაპა ეხურა, ყელი თბილი ყელსახვევით შეეხვია და ხელებს იფშვნეტდა. მობოდიშებითაც მოუბოდიშებდა: ჩემი უღონობის შესახებ ვერ გაცნობეთო.

ოთახის სამი კედელი ჭერამდე წიგნებს გადაეკრა და იატაკზეც ელაგა, რაკიღა სხვა ადგილი აღარ მოიძებნებოდა.

საწერ მაგიდაზე სამუშაო გაეშალა.

იქვე მაგიდასთან, იატაკზე სადილი მზადდებოდა ბატონი თედოს მეთვალყურეობით. ეს იმიტომ, რომ თინა დილით სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო და, იძულებული იყო, საოჯახო საქმეები დილაობით მამისათვის მიენდო, მითუმეტეს, თედოს ეხერხებოდა კერძების მომზადება.

საწერი მაგიდის ერთ კუთხეში წითელი კვერცხებით სავსე მოზრდილი ლარნაკი იდგა და სტუმრად მოსული ნინო ცნობისწადილით რომ მიაჩერდებოდა, მასპინძელი ეტყოდა:

— ყოველ აღდგომას ახალ წითელ კვერცხს ვუმატებ ამ კვერცხებს.

კი, მაგრამ წითელი კვერცხების ეს შეგროვება რას ნიშნავდა?

მაგრამ სტუმარი ველარ შებედავდა ეკითხა, რა მიზნით გროვდებოდა კვერცხები.

სამშაბათობებს კი მოგვიანებით ისე აღწერდა ნინო ნადირაძე, როგორც ერთგვარ დღესასწაულს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა ალექსანდრე მიქაბერიძის მეუღლეს — ვერა ქართველიშვილს, გონიერ, საქმიან და სტუმართმოყვარე ქალბატონს, ყოველთვის ჩვეული ხალისით რომ ემზადებოდა ამ საღამოსათვის და არამარტო ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებზე ზრუნავდა, არამედ სწორედაც განსაკუთრებულობის იერს ანიჭებდა შეხვედრა-საუბრებს.

ისედაც ადვილი მისახვედრია, რომ ეს არ შეიძლება ყოფილიყო უბრალო შეხვედრები, დატვირთული საყველპურო მასლაათით, საამისოდ არც სტუმარი მოცდებოდა და არც მასპინძელი, და თუ ერთ ფორმულაში შეიძლება მოექცეს სამშაბათობაც და კვირის ყველა ორსაათიანი საღამოც, უთუოდ ამ განსაზღვრებაში:

დიდი სკოლა საერთო განათლების მისაღებად.

თვითონ ნინო ამ სკოლას დაამთავრებდა, მისთვის უნივერსიტეტის დასრულებასაც რომ გაუტოლდებოდა, და არა საბჭოთა მარწუხებში ჩავარდნილი უნივერსიტეტის, არამედ დასავლეთ ევროპის რომელიმე მოწინავე ქვეყნისა.

და, რასაკვირველია, საუბრის ამაღლებული შინაარსი ჩინებულად იგუებდა გონებამახვილურ, ჯანსაღ მხიარულებასაც.

— ბატონმა თედომ მეტად ფაქიზი იუმორით იცოდა ხოლმე თხრობა თავისი ბავშვობის, გადასახლებაში თუ უცხოეთში გატარებული წლების შესახებ.

ხშირად აამბობინებდნენ ხოლმე იმ ეპიზოდს, ციმბირიდან გამოქცეული ლაზებს ნავით თურქეთში რომ გადაჰყავდათ და... ერთმანეთში თათბირს შეუდგებოდნენ, გავძარცვოთ და ზღვაში გადავაგდოთო. და ეს, უეჭველი დაღუპვისათვის განწირული, მეგრულად რომ გააგებინებდა, თქვენი საუბრის შინაარსიც მოვისმინე და ამიტომ ვაპირებ გადაპარვას უცხოეთშიო, ისინი, დარცხვენილები, უვნებლად გადაიყვანდნენ თურქეთში.

— ამას გვიამბობდა ყოველთვის ისე ლამაზად, ამაღელვებლად, რომ სიცილი და ცრემლები ერთმანეთს სცვლიდა ხოლმე.

დაწერითაც სწორედ ასე დაწერდა, ლამაზად და ამაღელვებლად, მკითხველის სიცილი და ცრემლები ერთმანეთს რომ ენაცვლება — აკი თანაბრად ემარჯვებოდა თხრობა ზეპირადაც და ფურცელზეც.

ამბავი კი უსათუოდ ამ შეგონებით უნდა დაებოლოებინა:

— აი, რა სასარგებლოა ენების ცოდნა, რომელიც უნდა იყოს. მეგრული რომ არ მცოდნოდა, ეხლა ჩემი ძვლები ზღვის ფსკერზედაც აღარ იქნებოდა.

ეს სულხანსაბაური ფინალი, თითქოს არაკს ჰყვებოდეს (თუმც რა, განა არაკივით არა ჰყვებოდა!), მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნში აღარ გადაინაცვლებდა და მხოლოდ ქვეტექსტურად იგულისხმებდა.

უბის წიგნაკი და ფანქარი აქაც მუდამ მომარჯვებული ჰქონდა მისთვის საინტერესო სიტყვებისა და გამოთქმების ჩასაწერად. და ნინოს სიამაყით აევსებოდა გული, როდესაც რამდენიმე გამოთქმას, ზემო- იმერული მეტყველებიდან, თვითონ ჩააწერინებდა ძია თედოს.

მაგალითად: ზემო იმერეთში არ იტყოდნენ: 27 პური გამოვაცხეო, — არამედ: სამი ცხრა პური, ორი ცხრა გომიჯი ან ერთი ცხრა ხაჭაპური გამოვაცხეო.

საღამოები განსაკუთრებით ხალისიანი ხდებოდა, როდესაც მას სპირიდონ ბაქრაძეც ესწრებოდა (ფილოსოფოსის, პროფესორის კოტე ბაქრაძის მამა) — გონებამახვილი, ჭაბუკური ხალისით აღსავსე ბერიკაცი, იშვიათ ხალისს რომ აფრქვევდა ირგვლივ.

სუფრის გაშლა და მომსახურება ნინოს ევალებოდა ხოლმე და გამორჩეულად ინდომებდა, რათა თავიდან აეცილებინა ძია თედოს შენიშვნა:

— პარიზში ასე არ იციან!..

15 მარტს კი, თედო სახოკიას დაბადების დღეს, მის მეგობრებს აუცილებლად მის ოჯახში უნდა მოეყარათ თავი.

ნინო ნადირაძე საგანგებოდ გამოარჩევს იმ წლებს, როდესაც მხოლოდ თმადათოვლილი წყვილები ამშვენებდნენ სუფრას და ეს ლამაზ სანახაობად აღიქმებოდა — ევგენი შალამბერიძე, ნიკოლოზ ყავრიშვილი და ალექსადრე მიქაბერიძე მეუღლეებითურთ, ძმები სონღულაშვილები — ვანო და ირიდიონი. ამ წვეულების მუდმივი სტუმრები იყვნენ ხოლმე ვასილ ბარნოვის ქალიშვილები — ლელა და სარა. და წელთა კვალობაზე თედოს მეგობრები თანდათან რომ აკლდებოდა და მათ ადგილს მათი შვილები (ვთქვათ, თამარ მიქაბერიძე, ნათელა დედაბრიშვილი) დაიკავებდნენ, მერე და მერე მასპინძლის დაბადების დღეს შუახნის ხალხი და ახალგაზრდობა მოეძალებოდა.

ნინოს ბიძის მიყვანა და წამოყვანა ევალებოდა, რადგანაც იმხანად იგი გულით ავადმყოფობდა და შინიდან თითქმის აღარ გამოდიოდა, მაგრამ „მეგზურსაც“ რომ იწვევდნენ ზეიმზე, ნინო ამას ხსნის მისადმი ძია თედოს განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულებით, თორემ სხვაგვარად რა აუცილებელი უნდა ყოფილიყო მისი დასწრებაც სუფრაზე?!

მასპინძელი ზრუნავდა, რომ სუფრა ყოველთვის საგანგებო გაწყობილიყო.

ჩიტის რძეც არ უნდა ჰკლებოდა?

დროისა და ვითარების კვალობაზე — სწორედაც რომ!..

ჭარბობდა დასავლური კერძები. სუფრა კი უსათუოდ უნდა დაემშვენებინა ნაზუქს, ფლავს კომშის მურაბით და მუკუზნის ღვინოს.

სუფრაზე რამდენიმე ადგილას, ზოგჯერ კი ყველა თეფშთანაც, „მენიუ“ რომ იდო, ეს ყოველთვის გამოცოცხლებას იწვევდა.

პარიზში ასე იცოდნენ?

აბა, თედო რატომ გამოიდებდა თავს!..

და თამადის დავალებით, ყველა სტუმარი დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს, რათა მენიუში შეტანილ საჭმელთაგან არაფერი „დაჰკლებოდათ“.

საგულისხმო იქნება, არა, ქართულ-ფრანგულად შედგენილი მენიუს გაცნობა?

სულგუნი — მეგრული, ტყემალი — a la ნადია (კეკელიასი), მწვანილი — დიღმური, ქათამი — მეგრული, ინდაური — იმერული, ღომი — მეგრული, მჭადი — მეგრული, ნაზუქი — a la მარიამ (სონღულაშვილისა), ფლავი კომშის მურაბით — a la ლელა (ბარნაველი), ღვინო — მუკუზნური.

თამადად ყოველთვის ივანე სონღულაშვილი შეგულებულიყო. სამაგიეროდ, 2 მაისს თედო უნდა სტუმრებოდა დიღომს ივანეს დაბადების დღეზე იმ საზეიმო სუფრის სათამადოდ.

სადილი მხიარულად რომ ტარდებოდა, ეს თავისთავადაც იგულისხმება, მაგრამ უდავოდ საინტერესოა ცნობა, რომ თინას წკრიალა ხმით წამოწყებულ სიმღერას უერთდებოდა სუფ-

რის წევრების ხმაც, და თედო სახოკიას მეორე ყოველთვის გამოირჩეოდა საერთო სიმღერებში.

როდესაც ნინოსაც მიეცემოდა საშუალება (ბედნიერებაო — თვითონ ასე ამბობს) იუბილარისათვის დაბადების დღე მიელოცა, საჩუქრად ჰალსტუხს მიართმევდა. ძია თედოს საჩუქარი ძალიან მოეწონებოდა და ყოველთვის მას ატარებდა.

30-იანი წლების შუა ხანებში თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე ფრანგული ფილმი რომ გამოვიდოდა — „პარიზის ცისქვეშ", თედოს დიდად არ ეჭაშნიკებოდა კინოში სიარული და ამ ფილმზეც რა წაიყვანდა, ნინო რომ არ შესჩენოდა, თანაც მარჯვე ხერხს გამოძებნიდა:

— სხვა რომ არაფერი, პარიზს იხილავთ!..

და ერთად ესტუმრებოდნენ კინოთეატრ „მინიონს" (შემდგომ „თბილისი" რომ დაერქმეოდა), ვერა მიქაბერიძესაც თან რომ იახლებდნენ. თედო ეკრანს მიაჩერდებოდა, ნინო — თედოს არ მოაშორებდა მზერას და, როდესაც მის კმაყოფილებით გაბრწყინებულ სახეს შეჰყურებდა, სიმშვიდე ეუფლებოდა, თორემ აკი თედოს გაფრთხილებული ჰყავდა:

— დრო არ დამაკარგვინო!..

ფილმის ერთი ადგილი, მოგეხსენებათ, ასეთია:

პარიზის გარეუბანში მოხეტიალე მომღერალი მღერის ახალ სიმღერას პარიზზე. გამვლელნიც და ფანჯრებსა თუ აივნებზე გადმოფენილი ხალხიც აიტაცებენ ახალ ჰანგებს და ყველა ერთად ამღერდება.

ოოო, ეს ადგილი მოეწონებოდა და რა მოეწონებოდა თედოს, და კიდეც წამოეშლებოდა ახალგაზრდული და პარიზული მოგონებანი.

— მე თვითონაც არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა ასეთ „კონცერტში".

და კინოთეატრიდან რომ გამოვიდოდნენ და თედო აღიღინდებოდა, ნინო ყურადღებას მიაქცევდა, რომ ეს სწორედ ფილმის მელოდია გახლდათ.

ასაკობრივი სხვაობა არავისთან უშლიდა ხელს ურთიერთობაში თედოს და, რა გასაკვირია, რომ ნინო ნადირაძესთანაც

დიდი მეგობრობით დაკავშირებულიყო. დაიზარებდა თუ რა რჩევა-დარიგების გაზიარებას ან ცნობისმოყვარე შეკითხვებზე პასუხის გაცემას!..

არც დატუქსვას მოერიდებოდა, თუკი ახალგაზრდა ქალი სამშაბათობას გააცდენდა, დაბეჯითებით უმეორებდა ხოლმე:

— რასაც აქ გაიგებ, იმას ვერსად წაიკითხავ, ყურადღებით მოგვისმინე და დაიმახსოვრე.

ნინო გუნებაში კიდეც ბრაზობდა, მაგრამ სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა, და ადვილადაც აღარ აცდენდა სამშაბათის შეკრებებს. გავიდოდა ხანი და... რარიგ ემადლიერებოდა ძია თედოს ამ სიტყვებისათვის.

თედო არც კამათს გაურბოდა ახალგაზრდებთან, ის კი არა, საგანგებოდაც აგულიანებდათ საამისოდ, რომ არც მისი ასაკისათვის გაეწიათ ანგარიში და არც ავტორიტებისათვის. თვითონ აკი იმთავითვე არაფრად აგდებდა არც არავის ხნოვანებას და არც არავის გავლენას და თამამად ეპაექრებოდა ყველას, მისთვისაც მეტად ძვირფას ადამიანებსაც, რომელთა ნაცნობობა თუ ახლობლობა ძალიანაც ეამაყებოდა, მაგრამ როდესაც განსხვავებული მოსაზრება უჩნდებოდა, ძნელი ხდებოდა მისი დაოკება და არც არასოდეს უნანია ხმის ამოღება, თუნდაც მოგვიანებით ცოტა სხვაგვარადაც შეეხედა იმ ყოველივესთვის და ალალად ეღიარებინა: ვცდებოდი თურმეო.

მთავარია, რომ იმ წუთას გულწრფელი გახლდათ და საგნისა თუ მოვლენის არსში რაც შეიძლება ღრმად ჩახედვას ესწრაფოდა. ეს ჟინი და სწრაფვა კი არაფრისდიდებით არ უნდა ჩახშულიყო რაღაც გაუგებარი მორიდების, ავტორიტეტთა წინაშე ქედმოხრის გამოისობით.

კამათისას საკუთარ თვალსაზრისებს ამოწმებდა და ახალ-ახალ არგუმენტებსაც ეძიებდა.

და ამჯერად დაე ახალგაზრდებს შეემოწმებინათ მასთან დისკუსიისას საკუთარი თვალსაზრისები და ახალ-ახალი არგუმენტებიც მოეძიათ.

მათი აზროვნებისა და მსჯელობის დახვეწაზედაც ზრუნავდა.

და თავისი შეხედულებების გადახალისებაზეც, რაოდენ კონსერვატორიც უნდა ყოფილიყო ბუნებითა თუ აზროვნებისა და ცხოვრების სტილით.

ნინო ნადირაძეს ყველაზე მკვეთრად სარწმუნოებრივ თემებზე კამათი დაამახსოვრდებოდა, განსაკუთრებით ის საკითხი — შეიძლებოდა თუ არა განათლებული ადამიანი ყოფილიყო მორწმუნე.

თედო სახოკია დაბეჯითებით უმეორებდა:

— შეიძლება კი არა, აუცილებელიცაა, ყოველ შემთხვევაში ერთმანეთს არ გამორიცხავს განათლება და მორწმუნეობა.

გოგონას უკვირდა მისი ეს თავგამოდება.

„განა ძია თედო არ იყო, სემინარიაში სწავლისას შინ უფლისა და წმინდანთა ხატები დარვინისა და სხვა მეცნიერთა სურათებით რომ შეცვალა?! განა ძია თედო არ იყო, პარიზში ყოფნისას მონაწილეობას რომ იღებდა ანტირელიგიურ დემონსტრაციაში, რომელიც იმით დამთავრდა, რომ პოლიციის მიერ დევნილებს მოსახლეობა ყოველგვარ უსუფთაობას ასხამდა თავზე?!.“

ეს და კიდევ ამისთანა ამბები ხომ არა ვინმე სხვისგან, არამედ თვითონ თედო სახოკიასაგან მოესმინა, და მაშ ახლა საპირისპიროს რატომ ამტკიცებდა, მორწმუნედ რატომ წარმოუდგენდა თავს?

„ალბათ ცხარე კამათში რომ გამომიწვიოს და ნახოს, რამდენად დამაჯერებლად ვიცავ ჩემს პოზიციას და სრულიად შეუთავსებლად მივიჩნევ განათლებასა და მორწმუნეობას“.

და აღარც კამათის გამძაფრებას მოერიდებოდა, დაე მაღიაროს, მეც როგორი ურწმუნო ვარ, რელიგიის ბაცილებს ახლოსაც არ გავიკარებო.

მაგრამ თედო ამ ამბებს რომ ჰყვებოდა სუფრაზე, იმასაც ხომ ჰყვებოდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების წინ გაცხოველებული სამზადისისას მთლად შუაგულში რომ ტრიალებდა და საკმარისზე მეტიც გადაეტანა, რათა ეს უმნიშვნელოვანესი დღე — სულიერადაც და სახელმწიფოებრივადაც — აღარ დაგვიანებულიყო?!

გადაეფასებინა სიჭაბუკის ეს შეცოდება, გამოწვეული სემინარიის რეჟიმის არნახული სისასტიკით, პედაგოგებად მოვლენილ სამღვდელო პირთა ულმობლობით, ფარისევლობით, ზნედაცემულობით, უფლის მიმართ რომ შეერყეოდა რწმენა, ვიდრე არ გააცნობიერებდა, რომ უგვან ადამიანთა გამო სულიერების გზას არ უნდა გადასცდენოდა, და სულ უფრო ღრმად რომ ჩაიხედავდა წმინდა წერილში, გულში ჩაეჭრებოდა ის ჭეშმარიტი რწმენა, ურომლისოდაც უკვე აღარ გაეძლებოდა და ეჭვიც არ შეეპარებოდა, რომ ღვთის ძალისა და მადლის შეგრძნებამდე სწორედ განათლებას მიეყვანა, არამცთუ დაეშორებინა ეკლესიისაგან, მის უბეში თავის შესაფარებლად განეწყო.

შევუდგეთ ქრიტეს!

ესეც მისი ის რელიგიური ფორმულა, ბავშვობაშივე შეთვისებული შეუგნებლად, მერე სადღაც რომ უნდა დაჰკარგოდა თუ განზრახ დაეკარგა, ვიდრე ხელახლა დაუბრუნდებოდა ამ ხატსა და სახებას, და დაუბრუნდებოდა აზრითა და განცდით აღსავსე, გულიგულში რომ გამოატარებდა ქრისტიანულ მრწამსს, მაცხოვრის მოლანდებით გადაცისკრებულს... და აჰა, ესეც ეს ფორმულა, ყველა სასიკეთო საქმის წამოწყების წინ რომ ამხნევებდა საკუთარ თავს და თითქოს ახალი ენერგიით ივსებოდა და იმუხტებოდა და სამყაროსაც ერთბაშად ფერნაცვალს იხილავდა ხოლმე.

ეს მოლანდება გახლდათ იმ საზარელი მოლანდების ცოტაოდნავ შემამსუბუქებელი, გილიოტინა რომ იელვებდა ხოლმე თედო სახოკიას თვალთა წინაშეც ყველგან — ხალხის დუნდგოში ჩამდგარისა თუ სრულიად განმარტოებულის, ხალისიანად მოსაუბრისა თუ დასევდიანებულის...

ხან ისე ახლოს გაისმოდა მისი დამთრგუნველი სუნთქვაც და ხმაც, თითქოს აგერ უკვე ფიცარნაგზე დგასო.

ვერას იღონებდი, ვერას, გარდა იმისა, ბედს მინდობოდი.

მაშინ კი, 1938 წლის იმ ავისმომასწავებელ დღეებში...

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების გენერალურ კომისარიატში გაიგზავნებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სახალხო კომისრის სერგო გოგლიძის მოხსენე-

ბითი ბარათი, რომელიც იუწყებოდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფეხი მოეკიდებინა კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ ორგანიზაციას იმ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, ვისაც წინასწარვე მოეხსენებოდა, რომ მზადდებოდა აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წელს, საერთოდ კი ამ ანტისაბჭოთა ჯგუფს ჯერ კიდევ 1921 წლიდან გაება კავშირი გერმანიის დაზვერვასა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან, საიდანაც იღებდნენ დირექტივებს, რათა დაემხოთ ბოლშევიკური ხელისუფლება და საქართველო გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მოექციათ.

რას ითხოვდა სახალხო კომისარი გენერალური კომისრისა და მისი მოადგილის — ნიკოლაი ეჟოვისა და ლავრენტი ბერიასაგან?

რაკიღა ამ კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის საქმის გამოძიება ამ ეტაპზე დაწყებით სტადიაში იყო, ნება უნდა დართოდათ, რათა დაეპატიმრებინათ 121 პირი, უდავო დამნაშავენი საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის წინაშე და თანაც საშიშნი, ვაითუ რაიმე უბედურება მოეხდინათ.

ვის აღარ ნახავდით ამ სიაში: გიორგი ახვლედიანსა თუ სიმონ ყაუხჩიშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილსა თუ კოტე ფოცხვერაშვილს, კონსტანტინე გამსახურდიასა თუ პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილსა თუ სარგის კაკაბაძეს, ალექსანდრე აბაშელსა თუ გიორგი ლეონიძეს, ლეო ქიაჩელსა თუ გერონტი ქიქოძეს, მოსე გოგიბერიძესა თუ აპოლონ წულაძეს, სერგი ჯიქიასა თუ სიმონ ჯანაშიას, დიმიტრი უზნაძესა თუ პეტრე სარაჯიშვილს, კორნელი კეკელიძესა თუ გიორგი ჩუბინაშვილს, არნოლდ ჩიქობავასა თუ აკაკი შანიძეს, ნიკო მუსხელიშვილსა თუ ვარლამ თოფურიას, ალექსანდრე ნათიშვილსა თუ ალექსანდრე წუწუნავას...

და მათ შორის, აბა, ვინ გამოტოვებდა თედო სახოკიას!..

საგულისხმო იქნება, ამ სიის საფუძველზე მცირე ენციკლოპედიაც რომ მომზადდეს, რათა ყველასათვის გათვალსაჩინოვდეს, ვინ უნდა შესწირვოდა რეპრესიათა ახალ ტალღას, საგულდაგულოდ აღინუსხოს მათი დამსახურებანი 1938 წლის შემოდგომამდეც და 1938 წლის შემოდგომის მერეც...

მოხსენებითი ბარათი 2 ოქტომბრით დათარიღებულიყო.

ნეტა რეზოლუციადადებული დოკუმენტის ხელახლა მიღებას როდისთვის ვარაუდობდა სერგო გოგლიძე, იმავე ღამეს რომ შეესია განწირულთათვის თავისი რაზმელები და ლოგინებიდან წამოეკრიფა, თითქოს 1832 წლის შეთქმულები ყოფილიყვნენ.

თუმც რა — განა მათი სულიერი ჩამომავალნი არ იყვნენ?!.

გამზადებულ სიას ეს ორად ორი სიტყვა აკლდა: „თანახმა ვარ".

და... ნეტა რატომ არ წასწეროდა ეს რეზოლუცია, რატომ ჩაშლოდა საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სახალხო კომისარს ამხელა წამოწყება — ქართული ინტელექტუალური ბირთვის განადგურება?!

გული კი უსათუოდ უგრძნობდათ, რომ რაღაც დიდმა საფრთხემ ჩაუქროლა ყურთან, მაგრამ ბოლომდე ვერც გააცნობიერებდნენ მის სიახლოვეს.

ამათ კისრებს აღარ მოსინჯავდა გილიოტინის ალესილი ნაჯახი.

გაელვებით კი კვლავაც იელვებდა ხან სად და ხანაც სად და სულის მოთქმასაც არ დაგაცლიდა.

თედო სახოკია თავის დღის რეჟიმს მიჰყვებოდა.

დილის საათებში საწერ მაგიდას უჯდა.

ნასადილევს დაისვენებდა.

რვა საათზე იმ დღით მომლოდინე მეგობრის ოჯახის კარი უნდა შეეღო.

და არც თერთმეტ საათზე მოეშალა დასაძინებლად დაწოლა.

მოსაწევი, თუ ბედი განირავდა, მასაც მოეწეოდა, მანამდე კი... რაკიღა კაცი ერქვა, შვილი სოფლისა!..

* * *

პარიზში ასე არასოდეს მოქცეულანო, — ამას კი ველარ იტყოდა თედო სახოკია, გილიოტინის ელვარებასა და სრიალს მიჩერებული, ეგაა, იქ მაშინ იმ საშუალებას მაინც გიტოვებდნენ, თამამად ჩაგეხედა სიკვდილისათვის თვალებში და ღირსეულად აღსრულებულიყავი!..

თავი მეთხუთმეტე

ლექსიკონი, როგორც რომანი

გიორგი შატბერაშვილი ძალიან დაუმეგობრდებოდა თედო სახოკიას — მისი სიცოცხლის მიმწუხრზე ერთ ყველაზე ერთგულ ადამიანად მოევლინებოდა, ღრმა პატივისმცემლად, რაკიღა ჩინებულად ერკვეოდა მის ორიგინალურსა და მთარგმნელობით ნამოღვაწარში და მისი საზოგადო და ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობაც ხელისგულზე ედო.

არა სწყინდებოდა მისი მოსმენა.

არა სწყინდებოდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში ჩაკირკიტება, რომლის უშუალო და თავგამოდებული მონაწილეც თედო გახლდათ და იმასაც ამოჰქონდა და ამოჰქონდა მეხსიერების ტალანებიდან ათასგვარი ამბავი, ეპიზოდი, პორტრეტი, რეალია...

„კომუნისტი“ 1951 წლის 117-ე ნომერში ნოველას რომ გამოუქვეყნებდა გიორგი შატბერაშვილს, თედოს ძალიან მოეწონებოდა, ქართული ენის მადლიც სხვაგვარად აუფორიაქებდა გულს და ავტორს ბარათს მისწერდა და აცნობებდა, რომ თავისი ლექსიკონისათვის ამ ნოველიდან რამდენიმე სიტყვა შეერჩია.

გიორგი შატბერაშვილის საპასუხო ბარათი 1951 წლის 23 ივნისითაა დათარიღებული, მოულოდნელობისაგან თავსდამტყდარ სიხარულს გულში რომ ვეღარ იტევდა და თედოს წერილს ხომ ჯიბით დაატარებდა. როგორ არ აღეტაცა ღვაწლმოსილი მოღვაწის ასეთ გულისხმიერებას, როდესაც გარშემო ბევრი მწერალი, სამწუხაროდ, მოკლებული იყო ამ ადამიანურ თვისებას.

— თუ კარგი რამ შენიშნა, კეთილი სიტყვის მაგიერ წაუყრუებს, თვალს არიდებს, უფრო მეტი რომ არა ვსთქვათ.

ლექსიკონისათვის თედოს რამდენიმე სიტყვა რომ ამოეწერა ნოველიდან, მწერალი დაინტერესდებოდა: ნეტა რომელ სიტყვებს გულისხმობსო?

პირადი შეხვედრისას უკლებლივ ყველა ამ სიტყვის ჩამონათვალს გაეცნობოდა, მისი ბარათის პუბლიკაციისას კი თინა სახოკია სქოლიოში აღნიშნავდა, რომ ასეთი 16 სიტყვა იყო და თვალსაჩინოებისათვის ზოგიერთს დაურთავდა: **სართაული, გავეშებული, დანალული, დაძარღვული, ნაჩუმარი, რიხნართმეული, ყარყარა...**

ჩემი მეგობარი ლავრენტი შატბერაშვილი შენი რა არისო? — ეკითხებოდა თედო და გიორგი პასუხობდა: მამაჩემის გარე ბიძაშვილი იყო და ჩემს მოგონებაში ნათლად ცოცხლობს, როგორც მხიარული, მოსიყვარულე და ტკბილად მოუბარ-მომღერალი კაციო.

და ისეთ ცნობებსაც მიადევნებდა, თედოს განსაკუთრებით რომ აღაფრთოვანებდა.

ლავრენტის წინაპარი ზებედე მღვდელი (ვისი სახელიც გიორგის თავისი ვაჟისათვის დაერქმია) და გიორგის წინაპარი ივანე, კავთისხევის მოურავი, ძმები ყოფილიყვნენ და 1812 წლის აჯანყების დროს დაღუპულიყვნენ — ზებედე ციმბირში გადაესახლებინათ, ხოლო ივანეს სპარსეთიდან თრიალეთზე გადმოსული ალექსანდრე ბატონიშვილი გაეყვანა კახეთში, სადაც მეგზური მოეკლათ სოფელ ნაფარეულში.

აი, ქართული ენის ცოდნაო, — მოხიბლულიყო თედო უმცროსი თანამოკალმის ნაწერებითაც და საუბრითაც, შორეული მუსიკა რომ მოჰყვებოდა მისი მეტყველების კილოს, ქართლის წიაღით ნასაზრდოები და თედოსთვისაც უკვე ასერიგად გამშობლიურებული, აქამდე ისიც რომ ეგონა, ერთი გამოთქმა რა არის, ისიც არ დამრჩენია მზერის მიღმაო, და ახლა რარიგ გახარებულიყო: ვენაცვალე, ამოუწყავი რომ არის ჩვენი ენის სალაროო!..

თედოს ძალიან ახარებდა ამ უმცროს თანამოკალმესთან ასე დაახლოება, რადგანაც ერთ საუკეთესო მწერლად მიიჩნევდა და ქართული ენის ღრმა მცოდნედ, ენის იდუმალ მუსიკასაც რომ გაგრძნობინებდა მისი სტილური მანერა, მოქნილი

სინტაქსითა და მდიდარი ლექსიკით აღბეჭდილი, მშობლიური მეტყველების სალაროდან უხვად რომ ამოჰქონდა მივიწყებული სიტყვები და გამოთქმები და ხელახლა ამკვიდრებდა სამწერლო სივრცეშიც და მკითხველის ცნობიერებაშიც, ისე მარჯვედ და ზუსტად რომ ჩასვამდა ხოლმე კონტექსტში, ისე ფაქიზად, არც შინაარსის ამოცნობა გიძნელდებოდა და არც ცალკეული ნიუანსისა და ელფერისა... და თედოც იხიბლებოდა ამ მადლმოფენილი ენითაც და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გიორგი შატბერაშვილის უკეთესი მხატვრული ქმნილებანი ჩვენი ლიტერატურის რჩეულ მონაპოვართა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს.

დაახლოება თედო სახოკიასთან გიორგის გაუადვილებდა ერთი საიდუმლოს გამხელას, ლექსიკონს რომ ადგენდა თავისი მშობლიური სოფლის — თვალადის — მეტყველებასა და საერთოდ კასპის მხარის ქართულზე დაყრდნობით, ადგენდა წლების განმავლობაში, იმ ხანიდან, შინაპატიმრობა რომ ჰქონდა მისჯილი და აქაურობას ვერ გამოსცილდებოდა. აგროვებდა და განმარტავდა, აზუსტებდა ნიუანსობრივად და ადარებდა სხვა ლექსიკონებსაც, განსაკუთრებით მაინც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს მოსჭიდებოდა გზამკვლევად და საკუთარი დედაც ერთ საუკეთესო მეგზურად ეგულებოდა სიტყვიერების უსიერ და მშვენიერებით გამთანგველ ტევრში.

რაზეც მოხვდებოდა, იმაზე იწერდა სახელდახელოდ და თანდათან გადაჰქონდა უბის წიგნაკებში, ერთიერთმანეთს რომ ემატებოდა და უკვე საგრძნობი მასალაც დაუგროვდებოდა, მასალას კი თურმე თავისი მოხდენილი ფორმა უნდა გამოსძებნოდა და ერთ ჩინებულ ქმნილებად შემატებოდა ჩვენს ლიტერატურას „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ სახელწოდებით.

მანამდე კი უახლოეს მეგობრებს — გრიგოლ აბაშიძეს, ვახტანგ ჭელიძესა თუ ოთარ ჩხეიძეს — გაუმჟღავნებდა ამ საიდუმლოს შემოდგომის ერთ ჟინჟღლიან დღეს, თვალადში შატბერაანთ აივანზე რომ ისხდებოდნენ, ჩამობურულიყო, წვიმა ცრიდა და კატაულას სერი ოდნავღა გამოლანდულიყო გაცრილ წვიმაში.

ოთარ ჩხეიძის ესეი თუ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი გიორგი შატბერაშვილზე ამ სურათით უნდა დაწყებულიყო, იმ უამური განწყობილების აღწერით, ერთმანეთს რომ შემსჭვალოდა გარემო თუ ამათი სულიერი ყოფა — ისიც ჩამობურული და ესენიც ჩამობურულნი, ისიც ჟინჟღლიანი და ესენიც ჟინღლიანნი, ამ წუხილით რომ ავსილიყო მათი საუბარიც: იკარგება ძველი, ღონიერი, სახიერი ქართული გამოთქმები, მსუბუქდება, მჩატდება ენა — დინჯი, ღრმა, შემძლე ყოვლისაო.

მაშინ იყო, მასპინძელი რომ ადგებოდა უჩუმარი პირით და რვეულს გამოიტანდა, ოდნავ რომ ჩაჰყვითლებოდა ფურცლები. ქვემოჭალაში რომ მასწავლებლობდა და გაჰქონდა ბილიკები თვალადიდან ქვემოჭალამდის, იმ ბილიკებზე, იმ გზებზე წამოეკრიფა მადლიანი ქართული სიტყვები, მაშინ ჯერ კიდევ უხვად რომ აფრქვევდნენ თვალადელნი თუ წინარეხელნი, კავთისხეველნი თუ კასპელნი, სამთავისელნი თუ ქვემოჭალელნი, წამოეკრიფა და ჩაეწიკწიკებინა რვეულებში.

უეცრად თითქოს ჟინჟღლს აიყრიდა თვალადი.

თითქოს კატაულაც გადაიწმინდებოდა.

მერელა მიხვდებოდნენ სტუმრები, ეს ჩვენ ავიყარეთ ჟინჟღლი, ხალისმა რომ დაგვრია ხელი, აგვიყოლა და აგვიტანაო.

— სულხანსაბაობაღა გაკლდა, — მაინც შეეხუმრებოდნენ.

ეს შეხუმრება იმისგან იყო:

— ერთი ჟანრითა და ერთი-ორი სალიტერატურო საქმიანობით რო ვერ შეჯერებულიყო, ყველას მისტანებოდა, ყველას შეჰბმოდა, ჩვენებური მდინარეებისა არ იყოს, ჩამოევაკებინა და მოედინებოდა ფართო ველადა. მეგობრებს სჯეროდათ მისი განსაკუთრებული მხატვრული ალღოსი, დაკვირვებული თვალისა, გამოთქმისა თუ გამოხატვის თავისებური მომხიბლავობისა, მოსწონდათ მისი ლექსებიცა, მოთხრობებიცა, დრამებიცა, ძიებანიცა, პოლემიკური წერილებიცა, მაგრამ მაინც ეგონათ, ერთ რომელიმე ჟანრში უფრო ამოიფრქვეოდა ძლევამოსილადა, შეჰქმნიდა ჭეშმარიტად მაღალმხატვრულსა, ჭეშმარიტად დიდებულ ძეგლსა.

ასე რომ ეგონათ, ამიტომაც შეეხუმრებოდნენ ხოლმე დროდადრო.

და ახლა უკვე ესეც: სულხანსაბაობაღა გაკლდაო.

საუკუნეთა სიღრმეში ეს დიდებული მოღვაწე რომ დაეგულებინა მეგზურად ქართული ენის მღელვარე თავგადასავლის გასიგრძეგანებისას, თანადროულ ყოფაში ვის მინდობოდა, თუ არა თედო სახოკიას, ერთ უპირველეს მცოდნესა და განმცდელს ამ უჩვეულო და მზერაშეუდგამი სამყაროსი, რომელიც თვალდათვალ ასე მსუბუქდებოდა და მჩატდებოდა.

ჯერ ისედაც მოეპოვებინა ეს სახელი წერილებითაც და თარგმანებითაც და ახლა „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა" ტომები რომ გამოჩნდებოდა, კიდევ ერთი დიდებული ძეგლის ავტორად შეირაცხებოდა. თანაც ეს მხოლოდ ნაწილი გახლდათ მისი ლექსიკოგრაფიული ძიებებისა, სრულ გამოცემას ჯერჯერობით საშველი რომ არ დაადგებოდა და მარტოდენ ერთი ნაკადი უნდა ეკმარა,ხატოვანი მეტყველების სურათით შემოფარგლულიყო.

და დადგებოდა ის წუთი, გიორგი შატბერაშვილს თედო სახოკიასთვისაც რომ უნდა გაემხილა ეს საიდუმლო და ზოგიერთი მოსაზრებისა თუ რჩევის გაზიარებაც ეთხოვა.

უკვე გაეხსნა სახე თედოს გიორგისა და მისი უახლოესი მეგობრებისათვის და ამათაც აღმოეჩინათ მისი ასკეტური გარეგნობის მიღმა მხურვალე გული და უზომო სიკეთის უნარი, ასერიგად რომ მოჰფრქვეოდათ მის უფროს თუ თანატოლ თანამოკალმეთ და უმცროსთაც დაუნანებლად სწვდებოდათ, ერთი იმდენი, გაჰკარებოდი და მისი დახმარება დაგჭირვებოდა. ცოტას სთხოვდი და... ბევრსაც არ დაიშურებდა. და ახლაც ისე აღფრთოვანდებოდა და აფოფინდებოდა, თითქოს ყმაწვილურმა გზნებამ დარია ხელიო, და გიორგის შინ მიიპატიჟებდა, დავსხდეთ და ვარკვიოთ, რამდენი შეხვედრაც დაგვჭირდეს, იმდენი მოვანდომოთ, ასაჩქარებელი არაფერი გვაქვსო.

— გეცლებათ? — შეეუხერხულებოდა გიორგი შატბერაშვილს.

— ქართული სიტყვისათვის? — შეკითხვას შეკითხვითვე შეაგებებდა პასუხს თედო და გიორგი მოგვიანებით ვახტანგს რომ ეტყოდა: როგორ ერთბაშად ცვლის თედო სახოკიას ღიმი-

ლი, თითქოს სულ სხვა კაცი ხდებაო, — ის მიუგებდა: შენც გამოსცადეო?.. ეს ღიმილი უჩვეულო სხივმოსილებით აღიბეჭდებოდა ოთარ ჩხეიძის ხსოვნაშიც და ამ ბილიკს გაჰყვებოდა ეს სამეული მისკენ, ასეთ მყუდრო და შინაურ გარემოში რომ უნდა ეგრძნოთ თავი იმ ბინაში, რომელიც ოდესღაც პარიტეტული კომიტეტის წევრებს ერთ საიმედო თავშესაფრად დაეგულებინათ იმ გადამწყვეტ ჟამს, ძალზე ახლოს რომ ეჩვენებოდათ საქართველოს დამოუკიდებლობის ამოგება.

— ეს რა ამოუწურავი ზღვა არის, — გიორგი თავის უბის წიგნაკს რომ გაშლიდა აგუზგუზებული ბუხრის ახლოს მიმდგარ მაგიდაზე, კიდევ ერთხელ ვერ დაფარავდა აღტაცებას და გაკვირვებასაც, — რაც მეტ სიტყვას ვაგროვებდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი ჩვენი ენის სიმდიდრესა და ძალმოსილებაში.

— ზღვა არის, — უდასტურებდა თედო, თავისი ჩანაწერები რომ გადმოელაგებინა, — ეგრე იცის ენის სიღრმეებში შესვლამ, ვეღარც გამოაღწევ.

— ან რატომ უნდა გამოაღწიო?

— არც უნდა გამოაღწიო.

ესენი ადარებდნენ, სინჯავდნენ, თვალები უფართოვდებოდათ, სახეზე მალიმალ აღტაცებისა და სიამაყის ღიმილი ეფინებოდათ და ავიწყდებოდათ ხოლმე ის ორნი, რომელნიც სიამოვნებით უგდებდნენ ყურს მათ სჯა-ბაასს და კვლავ და კვლავ რწმუნდებოდნენ, რას ნიშნავდა შინაგანი სმენა და ენის განსაკუთრებული გრძნობა, თვითონაც რომ მომადლებოდათ და ამიტომაც იმსჭვალებოდა იქაურობა ნამდვილი ჰარმონიით — ქართული ენის სულითა და იმ ამაღლებული სულიერებით, მცირე კერებად რომ მიმოფანტულიყო საქართველოში და მოელოდა იმ ღვთაებრივი წუთის დადგომას, ეს კერები რომ შეერთებოდა და მათზე და საერთოდ სულიერების ნანგრევებზე ამოიზრდებოდა ის სახელმწიფო, რომელიც თედო სახოკიას მოლანდებად, წამიერ გადაქროლებად შემორჩენოდა ცნობიერებაში და ახალგაზრდებს უბეჯითებდა: მეორედ ან აღარ გველირსება ოცნების ახდენა, ანდა წამიერი აღარ იქნება, მოლანდებად აღარ ჩაიქროლებს და იმ სახელმწიფოს მოესწრება ქართველობა, ილია ჭავ-

ჭავაძემ რომ იწინასწარმეტყველა და წარმოსახვაშიც დაგვიდგინა მისი ეროვნულ-პოლიტიკური საფუძვლებიო.

რვა ათეულ წელს რა არტისტულად ატარებდა თედო, დარდიმანდულად რომ მოეგდო მხრებზე.

არა ჰბეზრდებოდა ხშირ-ხშირი წამოდგომა, კარადასთან მისვლა და რომელიმე წიგნის გადმოღება... არც კუთხეში მიყრილი შეშიდან ნაპობის წამოღება ცეცხლის შესაკეთებლად... ეგაა, მოკლე ნაბიჯებით...

„სიბერეს არ უტყდება!..“

„თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ თავისებური აღნაგობა თითქოს კიდეც გააძნელებდა მის ჟანრობრივ განსაზღვრას. მაგრამ ძალიან არ დაგიდევდა ვახტანგ ჭელიძე ჟანრობრივ დაზუსტებას?!

— ფორმით თითქოს ლექსიკონსა ჰგავს, მაგრამ ლექსიკონის ჩარჩოებში ვერ ჩასტევ. უფრო სხვა არის, უფრო მეტი. და უფრო საინტერესოც...

მისი კითხვისას ისეთი გრძნობა გაუჩნდებოდა, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა და ისე დადიოდა ტრადიციაშემორჩენილ ქართულ სოფელში, ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა, და მკითხველს ურჩევდა, აბა, თქვენც შეიგრძენით უჩინმაჩინის ქუდის არსებობა, ნახავთ, რარიგ გაგიღრმავდებათ შთაბეჭდილება, თანაც საგულისხმოა, რომ მარტო ერთი თაობის სოფელს კი არ შევყურებ, თითქოს შორეულ წარსულშიც გადაჰყავხარ შენს მეგზურს და მათ წინაპრებსაც გიჩვენებს, ვისაც ახლა ხედავ და უსმენო.

ასე ეცნობოდი ქართულ სოფელს, მისი ცხოვრების წესს, მის მეტყველებას, მის განუმეორებელ იუმორს, მის ტკბილ-მწარე ირონიას, მის ყოფით კულტურას, მის შრომისმოყვარეობას, მის გულითადობას, პატიოსნებას... .

და ეს იმიტომ, რომ:

— აქ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსაც შეხვდები, პატარა ესკიზებს, დასრულებულ ნოველებს. რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარ ნოველას. და ხასიათებს. ზოგჯერ თითო სიტყვით დახატულ ხასიათებს.

ორიგინალური ფორმის გამოსაძებნად კი „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ შემოქმედს ძალიან წაადგებოდა „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ გათვალისწინება, მისი ესკიზური და ნოველური საწყისების, მისი ეთნოგრაფიული იერის გაშლა-გაღრმავება. ორიგინალური ფორმა მხოლოდ თუ დაამშვენებდა ლექსიკოგრაფიულ ძიებებს, სახალისოს, ცოცხლად საკითხავს გახდიდა, თორემ დაზიანებით რას დააზიანებდა — ცხადია, ვერც მის მეცნიერულ დანიშნულებას გააფერმკრთალებდა სულ ოდნავადაც.

კითხულობ ამ უჩვეულო თხზულების ასერიგად ზუსტ და მოხდენილ დახასიათებას და „თვალადური ქართულის ჭაშნიკთან“ ერთად თითქოს თედო სახოკიას ლექსიკონის შეფასებასაც ეცნობოდე იმავდროულად... თუმც ვარაუდი, თუნდ დაბეჯითებული, რაღად გვინდა, როდესაც „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ შეფასებასაც ასეთ ლაკონიურ და ტევად სტრიქონებში ჩასტევდა:

— ამ საოცარ წიგნს, რომელიც არღვევს ჟანრობრივ რკალს და გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მისი სათაური გვიხასიათებს — ერის სულიერ ცხოვრებას ჰფენს შუქს, ქართველი ადამიანის ბუნებას გვიხსნის, მის ხასიათს გაგვაცნობს.

ტირძნისული მონაგარის ლექსიკონად გადაქცევას მალევე რომ ეპირებოდა, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს, უკიდურესად აფორიაქებული, მღელვარე ცხოვრება ასერიგად გაუჭიანურებდა, ახალგაზრდობისდროინდელ წამოწყებას აგერ სიბერემდე მოატანინებდა, მაგრამ ხელს კი ვერ ააღებინებდა.

1936 წელს შეუდგებოდა ამ მასალების ანბანზე დალაგებას, სათითაოდ მათი შინაარსის ახსნას და შიგ მათი წარმოშობის ისტორიის ჩართვას. ეს სამუშაო „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონის“ სათაურით დასრულდებოდა და, დადებული ხელშეკრულების თანახმად, ჩაბარდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას (ნიკო მარის სახელობის ისტორიისა და ენის ინსტიტუტს) დასაბეჭდად, მაგრამ... 1941 წელს დაწყებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მიზეზით ამ ნაშრომის ბეჭდვა შეჩერდებოდა.

საგულისხმოა, რომ 1943 წელს შედგენილ „ავტობიოგრაფიაში“ ეს ომი მოხსენიებულია არა „დიდ სამამულოდ“, როგორც საბჭოეთის მოსახლეობას ყურები ჰქონდა გამოჭედილი, არამედ „მსოფლიოდ“.

მეორე წიგნი კი, რომელსაც ამჟამად უჯდა, „ქართული ანდაზები“ იყო, როგორც მანამდე სხვების, ისე მის მიერ შეკრებილი. განზრახვის მიხედვით: თვითეული ანდაზის მნიშვნელობა და დედააზრი უნდა აეხსნა, თემატურად დაელაგებინა და, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ყოველ ანდაზაში გამოყენებულ სიტყვათა ახსნა და თვითეულის წარმოშობის ისტორია დაერთო.

ასე შემოვიდოდა ანდაზების კრებულიც უშუალოდ ლექსიკოგრაფიული ძიებების რკალში.

ხატოვან თქმათა ლექსიკონს დიდტანიანს ვარაუდობდა, 4 ტომს რომ დაისაჭიროებდა, თვითეულს — დაახლოებით 500-გვერდიანს. ანდაზები კი 20-25 ფორმამდე უნდა გამოსულიყო.

მის დასამუშავებლად და საბოლოო სახის მისანიჭებლად რამდენ ხანს ვარაუდობდა?

სულ ცოტა ორ წელიწადს.

იმავდროულად კი ამზადებდა ქართულ ლექსიკონს, რომელშიც შევიდოდა ისეთი სიტყვები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში რომ შეეგროვებინა მთაბარობის დროს და არ აღბეჭდილიყო ჩვენი ლექსიკოგრაფიის მამამთავართა — სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის — ლექსიკონებში. შემდგომ — აგრეთვე განმარტებით ლექსიკონშიც!

თაობები, რომლებსაც ზეპირსიტყვიერება ესაჭიროებოდა, როგორც კი გადავიდოდნენ ასპარეზიდან მწიგნობრობის გაჩენა-დამკვიდრებასთან ერთად, თან წაჰყვებოდათ ეს ფოლკლორული საუნჯე და ამიტომაც დროულად უნდა გადასულიყო მთელი ეს მონაგარი ფურცელზე. ყველაზე მეტი და სწრაფი საფრთხე, განსაკუთრებული საშიშროება მოელოდა ხატოვან თქმებსა და ანდაზებს, რასაც სხვა რა შეიძლება დარქმეოდა, თუ არა ჩვენი მეტყველების ლაზათი და სიმდიდრე.

და ძალიან წუხდა და განიცდიდა თედო, რომ ერთიცა და მეორეც, ან ზოგჯერ სულაც ორივე გვავიწყდებოდა და აღარც

ვიყენებდით ხოლმე, ანდა თუ მაინც გვაგონდებოდა და ვიყენებდით, უფრო უალაგო ალაგას, რადგანაც მათი შინაარსი და მნიშვნელობა აღარ გვესმოდა, მეხსიერებიდან ამოგვშლოდა, ან კიდევ, რაკიღა შინაარსი აღარ გვესმოდა, უკეთეს შემთხვევაში უაზრობად, მოცლილ ადამიანთა მოგონილად მიგვაჩნდა და ამიტომ აღარც კი ვურთავდით ლაპარაკში.

გულისმომკვლელი სურათი იხატება — თვალნათლივი დადასტურება ენის ამსუბუქება-ამჩატებისა, თანდათანობით სრული გადაგვარებაც რომ დაემუქრება, თუკი დაქვეითების პროცესს ნებაზე მიუშვებ ისედაც ქართული ენის დასაღუპავად მომართულ სინამდვილეში.

— „ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონი“ და „ქართული ანდაზები“, ჩემის აზრით, აბა სწორედ ამიტომ უნდა გახდეს ჩემთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინე.

შვილიშვილი ამ სტრიქონს რომ ამოიკითხავდა „ავტობიოგრაფიაში“, ეს უცნობი სიტყვა „ბენიამინე“ ჩააფიქრებდა, მაგრამ პაპას რატომღაც არაფერს ჰკითხავდა და თავისით შეეცდებოდა ახსნას. ეს რომ კაცის სახელი იყო, იცოდა, ახლობელთაგან კი ეს სახელი ერქვა ბიძამისის — ვახტანგის — უახლოეს მეგობარს, იურისტ ბენო ხომერიკს და... ეჭვიც არ შეეპარებოდა, ის უნდა იგულისხმებოდესო. როგორც ადვოკატი, შესანიშნავი ორატორიც გახლდათ, მეგობრის სახლში წვეულებებს ყოველთვის იგი თამადობდა და მჭევრმეტყველებით ყველა მოხიბლული ჰყავდა. და ხატოვანი თქმებიც ბუნებრივი ასოციაციით გადაეჯაჭვებოდა მის სახელს. და მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც ძველ აღთქმაში გაეცნობოდა იოსების თავგადასავალს და აღმოაჩენდა, რომ ბენიამინი მის უმცროს ძმას ერქვა, იაკობის ვაჟთაგან უმრწემესს, მღელვარე ამბის შუაგულში რომ უნდა მოქცეულიყო, გაიაზრებდა პაპისეული ფრაზის რეალურ შინაარსს.

როდესაც „ავტობიოგრაფიის“ ეს სტრიქონები იწერებოდა, მისი ფინალური მონაკვეთი, თედო სამოცდამეთექვსმეტე წელში გადამდგარიყო, მაგრამ, მისდა — და, დავძენდი, ქართული კულტურის — ბედად, ხალისი სალიტერატურო მუშაო-

ბისა იმაზე ნაკლები არ შერჩენოდა, რაც ჰქონდა ორმოცი-ორმოცდახუთი წლის წინათ.

— არ მინდა სააქაოს გავშორდე, სანამ „ანდაზებს“ ჩემის სურვილისამებრ არ დავამუშავებ და ასე არ დავტოვებ დასასტამბავად.

უკანასკნელი სტრიქონები კი სწორედ ეს ან რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო — თედო სახოკიას პიროვნული ბუნებისა და ცხოვრების სტილის შესაფერისი და „ავტობიოგრაფიის“ ყველაზე მოხდენილი ფინალური აკორდი:

— იმედი მაქვს, შთამომავლობამ ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს თვისი წინაპარი, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად მიაჩნდა სამშობლოსა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ გარჯა და შრომა და გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ძალედვა.

შვილიშვილის თვალწინ ჩაივლიდა ლექსიკონზე მუშაობის პროცესი ორი მიმართულებით: ერთი — ამობარათება ქართველ მწერალთა თხზულებებიდან, მეორე კი — ველზე მუშაობა, მასალის შეგროვება ქუჩაშიც, ბაზარშიც, სტუმრად ყოფნისასაც... ყოველწამიერ მიყურადებული და მზადმყოფი... საამისოდ აკი მთელი სიცოცხლე გამეცადინებულიყო, სიყმაწვილიდან მოკიდებული, მაგრამ ახლა ამაზეღა გადაგებულიყო, რათა მის სალიტერატურო ნამოლვაწარს ბენიამინიც ღირსი ჰყოლოდა, მართლაც ჭეშმარიტი დამაგვირგვინებელი, ნაბოლარობიდან ამოზრდილი და მონუმენტურად წარმომდგარი, მოულოდნელ ფათერაკს, განწირულებას გამორიდებულს უკვე ველარაფერი რომ ველარ გადაუდგებოდა წინ.

შვილიშვილს ისიც დაამახსოვრდებოდა, რომ ხატოვან სიტყვა-თქმათა შეგროვებისას თედო სახოკია არამცთუ ყველგან დაეძებდა ინფორმანტებს და კიდეც პოულობდა, არამედ უმეგობრდებოდა კიდეც.

კურიოზებიც ხომ არ გადახდებოდა?

როგორ არა, და ყველაზე სახიერსა და ეფექტურს შეარჩევდა მოსაყოლად შუქია აფრიდონიძე, აგერ თუნდ იმ მეზობელი ყასბის ეპიზოდს, კვირაობით სასაკლაოზე რომ დადიოდა და იქიდან შინ ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა. სიფხიზლისას რაც კი გაახსენდებოდა ხატოვანი სიტყვა ან გამოთქმა, აწერინებდა

თედოს, მაგრამ, აი, სიმთვრალისას კი მოაგონდებოდა ხოლმე, რომ სახლის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოზე ეს კაცი მოწმედ... მის მოწინააღმდეგეს დაუდგა, და გუნებაამღვრეული წონასწორობას ჰკარგავდა.

ერთხელ, კვლავ რომ მოაწვებოდა ბრაზი, ვეღარ მოზომავდა და:

— თედო, სისხლს რად იძლევი!

თურმე იდიომური გამოთქმა ყოფილიყო და ნიშნავდა: რად მეკვლევინებიო.

თედო ასეთი მიამიტი არ გახლდათ, ყასაბის ბოლმას ვერ ჩასწვდენოდა, მაგრამ მისი დამუქრება სხვა დროს თუ ირონიის გუნებაზე დააყენებდა, ახლა, ფრთიანი გამოთქმით აფოფინებულს, სხვა ყველაფერს დაავიწყებდა და სისხლმოწყურებულ მეზობელს შეევედრებოდა:

— დაიცა, არ დაგავიწყდეს, ახლავე ფანქარსა და უბის წიგნაკს გამოვიტანო.

ის... გაოგნდებოდა, და გონზე რომ მოვიდოდა, ვეღარას აწამებდა რას, გაცინებისაგან თავს შეიკავებდა, მაგრამ ტუჩები მაინც აეგრიხებოდა და სხეულიც აუთახთახდებოდა. არა, არ გამოვიდოდა თედოსთან ჩხუბი და დავიდარაბა. და ისე ჩაუცხრებოდა სიბრაზე, მერეც, ნასვამი რომ შემოალაჯებდა ეზოში, ამ უცნაური კაციsაკენ აღარ დაიძვროდა ანგარიშის გასასწორებლად, ახლა უბისწიგნაკდაფანქარმომარჯვებული რომ დასდგომოდა წინ და:

— აბა, ერთი გაიმეორე, როგორ... როგორ?.. სისხლს რად იძლევიო, არა?!

არ ეშვებოდა.

თედოსაც რა მხიარულ გუნებაზე აყენებდა ხოლმე ამ ეპიზოდის გახსენება, მოიგონებდა და იცინებდა და ხელებსაც სიამოვნებით მოიფშვნეტდა, განა რამდენჯერ დააცლიდა ცხოვრება ასეთ გუნებაზე ყოფნას — გულიან სიცილსა და სიამით ხელების ფშვნეტას, აგერ სულაც ასკეტად რომ ეჩვენებოდათ.

ვერა და ვეღარ შეეჯერებინა გული განმარტებებზე: ვაითუ რაიმე ნიუანსი ან ელფერი გამოგრჩესო, და არც დასრულდებოდა ეს პროცესი, ლექსიკონს ბოლოს და ბოლოს გამოცემა

რომ არა ღირსებოდა, და სამტომეულის ბოლოსიტყვაობაში რედაქტორი გიორგი ჩიტაია ჩვენი ხატოვანი სიტყვა-თქმების მდიდარი მარაგის შესაკრებად თედოს გარჯას უანგარობად და თავდადებად რომ შეაფასებდა, დასძენდა, ამ მასალის გამოყენება მრავალმხრივ შეიძლებაო.

მაინც როგორ?

— ის დიდად შეუწყობს ხელს ქართული ეთნოგრაფიული ენციკლოპედიის შექმნას.

ხოლო იპოლიტე ვართაგავა თედო სახოკიას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს რომ შექმნიდა, ფინალურ აკორდად მისთა "სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინეს" მოიხმობდა, როგორც უეჭველად კაპიტალური შრომის ნაყოფს.

— მხოლოდ თედოს, ქართული ენის, და მთელი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ღრმა მცოდნეს შეეძლო ასეთი შრომა ეკისრა!

და ვალერიან ითონიშვილის მონოგრაფიაშიც („თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში") ცალკე თავად რომ შევიდოდა „ლექსიკოგრაფია და ფოლკლორისტიკა", დაყრდნობილი უმთავრესად ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონის განსჯა-შეფასებაზე, საგანგებოდ მოიხსენიებდა ამ სამტომეულს ენციკლოპედიური ხასიათის დიდ საგანძურად და ძვირფას შენაძენად ქართული ეთნოგრაფიისთვისაც, ცხადია, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, და დასძენდა:

— თედო სახოკიას რომ არც ერთი ეთნოგრაფიული ნაშრომი არ დაეწერა, მარტოოდენ ამ ლექსიკონითაც კი საპატიო ადგილს მოიპოვებდა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

ყოველთვის ასე იქნება, როდესაც სიტყვის ახსნა თვალწინ წარმოგისახავს ხალხის თვისებასთან დაკავშირებულ რეალობას.

„თვალადური ქართულის ჭაშნიკის" შეფასების დროსაც ძალდაუტანებლად რომ დაგცდება: გიორგი შატბერაშვილს ამ ლექსიკონითაც კი საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული ჩვენი ეთნოგრაფიის ისტორიაშიო.

ვახტანგ ჭელიძე მეტაფორულად ამჯობინებდა ამ მოსაზრების გამოთქმას:

თავისებური ქებათა-ქებაა ქართული ენისა და ქართული სოფლისაო.

და ეს მეტაფორული განსაზღვრა ბუნებრივად მიესადაგება „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ ლექსიკონსაც, როგორც ასევე თავისებურ ქებათა-ქებას ქართული ენისა და ქართული სოფლისა.

ვალერიან ითონიშვილი ლექსიკონში ჩართული ეთნოგრაფიული ეტიუდების ნიმუშად მოიხმობდა ცალკეულ განმარტებებს, იქნებოდა ეს „გაჯიქება“ თუ „დაჭდევა“, „კატის დაკიდება“ თუ „ლაზარესებრ დასველება“, „მანდილის მოხდა“ თუ „სამანის ჩასმა“, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობდა მიწაში სამიჯნო ქვის ჩადგმას, ხატოვნად კი — თემის საზღვრებიდან განდევნას ადამიანისას, ყოველგვარი ღირსების აყრას, საზოგადოების წინაშე უდიდეს და საქვეყნო დამნაშავედ გამოცხადებას.

რაო, რას ამბობდა ალექსანდრე ყაზბეგი „მოძღვარში“ მაყვალაზე, ონისესა და გელაზე?

— სამთავ ჩაესვათ სათემო სამანი, სამნივ თემისაგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქმნენ.

ეს ფრაზა უნდა გაშლილიყო თედო სახოკიას განმარტებაექსკურსში, რათა თვალნათლივ ამოჩენილიყო ხევის სასამართლოს, თემის ყრილობის მიერ გამოტანილი ამ სასჯელის დანიშნულებაც და შესრულების წესიც, ისევე როგორც ამავე რომანში აღბეჭდილ ჩვეულებას — სამანში სახელის ჩატანებას (მხოლოდ დამნაშავეს კი არა, მასაც რომ ელოდა, ვინც განდევნილს წყალს მიაწოდებდა თუ ლუკმას გაუშვერდა) — სწორედ თედოსნაირი მკვლევარი და მწერალი ესაჭიროებოდა ჩამწვდომად, შემცნობად და ამხსნელად, მსჯელობისას ძველ ბერძნებში გავრცელებულ წესს — ოსტრაკიზმსაც — რომ გამოიხმობდა.

ჟანრობრივი ჩარჩოები რომ შემორღვევია ხატოვან სიტყვათა ამ ლექსიკონს, ამიტომაც გამოიყურება მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებადაც და ნოველების ციკლივით, თუნდ სულაც რომანივით საკითხავადაც გადაქცეულა, მოზაიკური აღ-

ნაგობის რომანივით, გინდ მიჰყევი და იკითხე მოუწყინრად, ვიდრე „ააბრუნა წისქვილიდან“ „ჰოპოპები ჰყავს!..“ —თან გახვიდოდე, და გინდ ნებისმიერ გვერდზე გადაშალე.

სიტყვის მნიშვნელობას სიტყვის მნიშვნელობად შეიცნობ თუ დააზუსტებ.

ყოფით სურათებს ყოფით სურათებად განიცდი.

და ისტორიის სუნთქვასაც ძალუმად შეიგრძნობ.

აბაშიძეების გზა გადატანით რას შეიძლება გულისხმობდეს?

თურმე: ტყვედ გაყიდვას ქართველებისა ოსმალეთში.

რატომ და: ძველად, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისში ეგრეთწოდებული აბაშიძეების გზა სოფელ ქვიშხეთიდან ქედ-ქედ გადადიოდა და ბორჯომის მთაზე, გოგიას ციხესთან თავდებოდა. ამ გზით მიჰყავდათ ქართველი ტყვეები ოსმალეთში გასაყიდად. და რაკიღა აქ უნდა გაევლოთ ტყვედგასაყიდთ, ეს გზა ასეთ სინონიმურ შინაარსს ამიტომაც შეიძენდა.

აბელას ფეხების გაკეთება, აბელას ფეხებზე შედგომა რაღას შეიძლება ნიშნავდეს?

იქ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ სტატიაში ამოიკითხავდი ამ გამოთქმას, აქ — სოფრომ მგალობლიშვილის ნოველაში.

განგებ ამაღლება ყოფილა დაბალისა, მოსაჩვენებლად მიკუთვნება ისეთ თვისებათა, რაც არ გააჩნდა მიმკუთვნებელს.

რატომ და: თბილისში, XIX საუკუნის 60-იან წლებში ვინმე აბელა ჩამოსულიყო რაჭიდან, ისედაც მაღალი მაღალივე ოჩოფეხებზეც შედგებოდა ხოლმე და დადიოდა ქუჩებში სეირისათვის. სამადლიან ოჩოფეხებზე შემდგარი რომ ჩამოივლიდა ანჩისხატის უბანში, ბალღებს დღესასწაული დაუდგებოდათ და აუარება ხალხიც დაედევნებოდა უკან, როგორც ჯამბაზს. და აბელა ფულსაც შოულობდა ამით.

სხვათა შორის, ეკლესიების სამრეკლოთა შემკეთებელ-შემამკობელიც ყოფილა, თავზე ჯვრის დამსმელი, და ისე თამამად დადიოდა ეკლესიათა გუმბათებზე, თითქოს კუკიის ხიდზე დასეირნობსო.

წავიდოდა, გაქრებოდა აბელაც და რჩებოდა ხატოვან გამოთქმად არა ეკლესიათა შეკეთება-შემკობა, არამედ სხვებზე ყველაფრით მაღლა დგომის სურვილი, სხვებისათვის ზემოდან ყურება, სხვების დაცინვა.

ათასი თოკიდან გამომძვრალი რას გულისხმობდა?

აგერ ავქსენტი ცაგარელის პერსონაჟის სიტყვები უნდა დაზუსტებულიყო: ჩვენ ქალაქელები ვართ, ათას თოკიდან გამომძვრალები, შენ ან სხვა რას გაიტანთ ჩვენგანო!

რას და: მეტად გამოცდილს, ბევრი გაჭირვების მნახველსა და გადარჩენილს.

რატომ და: ძველად, როდესაც თოკის ხმარებას გაიცნობდა ადამიანი შეპყრობილი მტრის უძრავსაყოფად, მის საბოლოოდ დასამორჩილებლად თოკით შეუკრავდნენ ხოლმე ხელებს; როდესაც ადამიანი ფხას გამოიჩენდა და მის შესაკრავ თოკს რამდენჯერმე დაუძვრებოდა, ამით გამოცდილებას იძენდა, ეცნობოდა საშუალებას, როგორ ეხსნა თავი კარზე მომდგარი გასაჭირისაგან. ასეთი კაცი სხვათათვის დიახაც რომ შურის საგნად ხდებოდა, მოყვასთა შორის მისი სიმარჯვე მისაბაძი და თითით საჩვენებელი იყო. ამიტომაც იწვევდა აღტაცებას: ეს, ძმაო, ათას თოკიდანაა გამომძვრალიო.

ასქეიფა როგორ უნდა გაგვეგო?

როგორ და: ხუშტურიანი, ახირებული, უხიაგი, ჟინიანი.

რატომ და: წამდაუწუმ იცვლიდა გუნებას, ამ წუთას რომ კარგ გუნებაზე იყო, მეორე წამს სულ საწინააღმდეგოდ შეიძლება შესცვლოდა განწყობილება, კაცი ვერ გაუგებდა, რა უნდოდა, რა მოსწონდა ან რა ეჯავრებოდა.

რაოდენ ცოცხლად და მარჯვედ წარმოჩნდება პიროვნული ხასიათი ზუსტი განმარტების წყალობით!

ატოცის გლახასებრ სიარული რას ნიშნავდა?

რას და: თავგანწირვით, დაჟინებით მთხოვნელს.

რატომ და: სოფელ ატოცში, რომელიც შიდა ქართლში მდებარეობს, გორს ზემოთ მცხოვრებნი ღარიბები იყვნენ და ეკლესიის დღეობისას იცოდნენ თავმოყრა მის კართან სამათხოვროდ და მლოცველთა თავის მოსაბეზრებლად.

გაფრანგება რაღას გულისხმობდა?

აგერ დიმიტრი მაჩხანელის პუბლიცისტურ სტატიაში რომ გაისმოდა: ჩაფარხანა უფრო გაფრანგდა და გაასრდაო.

რას და: გაალმასებას, გულის მოსვლას, გაფიცხებას, გულზე ცეცხლის მოდებას, გაჯავრებას.

რატომ და: ფრანგული ფშავ-ხევსურეთში ერქვა ცალი მხრით მჭრელ, საუკეთესო ფოლადის ხმალს, რომელიც ევროპიდან (საფრანგეთიდან) უნდა ყოფილიყო შემოტანილი ჩვენში შუა საუკუნეებში.

და აღარ დაილეოდა **გაფრანგებულის** სინონიმები: გაბოროტებული, გაანჩხლებული, გაცეცხლებული, გაალმასებული, გამძვინვარებული, უზომოდ გამწყრალი.

გაწბილება როგორღა უნდა გაგვეგო?

თედო რაზიკაშვილი თავის ლექსიკონში ასე რომ განმარტავდა: წბილა ფშავში ჰქვია ბალახის მეტად წვრილ, ნემსის მსგავს ღეროსო, — ხატოვნად რაღას ნიშნავდა?

აგერ „ქილილა და დამანა" რომ ადასტურებდა: მეძავსა და ავხორცს დაუძახებენ, მის ნათესავთა და მოძმესთანა **პირწბილად** იქნებაო.

რას და: დამცირებას, დაკნინებას, შერცხვენას, გაბიაბრუებას, არაფრად ჩაგდებას.

რატომ და: გაწბილებული ადამიანი ემსგავსებოდა იმ ნემსის სადარ, ბალახის თითქმის უჩინარ ღერს.

გულის ბუხრის ამოყრა რას გულისხმობდა?

აგერ ვასილ ბარნოვი მოიხმობდა: კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, გულიდან ბუხარს ყრილობდა, ტვინს ავარჯიშებდა, აზრსა ჰმახვავდაო.

რას და: დარდ-ვარამის გაზიარებას სხვისათვის, თავის მწუხარების შეჩივლებას და გაქარვებას,ვინმეს ჯავრის ამოყრას, მტრის შურისძიებით მოსვენებას, მისთვის სიავის შეურჩენლობას, სამაგიეროს გადახდას.

რატომ და: ხალხის წარმოდგენით, დარდი, მწუხარება, სიხარული, სიძულვილი, ჯავრი, ერთი სიტყვით, ყოველი დადებითი თუ უარყოფითი გრძნობა ადამიანის გულმკერდში გროვდებო-

და,ხოლო თვით გულ-მკერდი ხატოვნად დაედარებოდა ბუხარს, რომელიც, კვამლის მსგავსად, მაღლა უშვებს გამოსამზევებლად შიგ დაგროვილ თვითეულს ამ გრძნობათაგან და ენა-პირის საშუალებით სხვას უზიარებს.

თასჩამოყრილი რაღას ნიშნავდა?

რას და: საჯაროდ შერცხვენილს, აუგიანს, დასჯილს.

რატომ და: ხევსურეთში ზნეობის კანონთა, ადათ-წესების გადამლახავს ხატობაში ჯარზე გამოიყვანდნენ, ჯერ ლუდით სავსე თასს დააჭერინებდნენ ხელში და მერე ლუდის შესმას არ დაუცდიდნენ, ისე თასს უკანვე ჩამოართმევდნენ, ანუ „ჩამოჰყრიდნენ", როგორც უღირსს საერთო ზეიმის, საერთო მხიარულების გაზიარებისას. „თასჩამოყრილი" კაცი შერცხვენილად შეირაცხებოდა და მასთან ურთიერთობაც სათაკილო შეიქნებოდა, აბა, რა იქნებოდა.

იმერული აბაზი რაღას გულისხმობდა?

რას და: ყალბს, უმნიშვნელოს, უფასურს; და ამასთან — ღალატსა და ორგულობასაც.

აგერ ილია ელეფთერიძესაც დაესაჭიროებინა მოთხრობაში: არადა... შენი სიტყვა სწორედ იმერული აბაზია, აიო!

რატომ და: XIX საუკუნის 70-იანი წლების ქუთაისში ერთი წერეთელი დაიწყებდა ყალბი ქართული ვერცხლის ორაბაზიანების კეთებასა და გასაღებას. გაუგებდნენ და კიდეც დასჯიდნენ, მაგრამ მისი მოჭრილი ფული კიდევ დიდხანს იტრიალებდა. ამერეთშიც გამოაღწევდა ეს ფული „იმერული აბაზის" სახელით და კიდეც გაუიგივდებოდა ყოველსავე ყალბსა და ნაეშმაკევს, რომელიც ღირსი არ იყო ნდობისა და ერთგულებისა.

შვილიშვილს ხშირად ეკითხებოდნენ:

— მეგრელ-იმერელი ხარ და თედოს აღმოსავლურად პაპას რატომ ეძახდი?

უკვირდათ, „ბაბუა" ერთხელაც რომ არ წამოსცდებოდა, და ეს მაშინ, როდესაც ბავშვები „აღმოსავლელ" მშობელს დედისა თუ მამისას „პაპად" მიმართავდნენ, „დასავლელს" კი —„ბაბუად". და ეს ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა ოჯახებში. აქ კი, ამ გარემოში შუქიასათვის „ბაბუა" ისეთი მშობლიური უნდა

ყოფილიყო, „პაპას“ ყურიც უნდა მოეჭრა მისთვის. მაგრამ ყურს... „ბაბუა“ სჭრიდა... და ეს სულ იმ ლინგვისტური ორიენტაციის გამოისობით, თედო სახოკიას რომ დაემკვიდრებინა ოჯახში ტირძნისის ქართულით შთაგონებულს, ხშირად რომ უყვარდა გამეორება, ხუმრობით, ოღონდ საჯავახოურით:

— ქართლში უფრო ბევრი ვისწავლე, ვიდრე ვასწავლეო.

და შვილიშვილი ამ ფრაზას ძალდაუტანებლად გაშიფრავდა, რომ: სამეგრელოში დაბადებულ-გაზრდილის წიგნით ნასწავლი ქართული თანდათან შეიძენდა ქართლური მეტყველების ელფერს და, სიჭაბუკიდან მოკიდებული, სალიტერატურო ქართულის ეს საყრდენი კილო მუდამ ბურჯად ექნებოდა შეყენებული მის მართლაც მდიდარსა და წვნიან ენას. და მეტი სიმკვეთრისათვის რევაზ ინანიშვილის სიტყვებს მოიშველიებდა: შამპანურივით შუშხუნაო.

ამ "შამპანურივით შუშხუნა" ენით — ანუ მეცნიერულად რომ ითქვას: ქართლური დიალექტით — გაზრდიდა თედო ძიძა-გადიებისაგან მობრუნებულ და მეგრულად ამეტყველებულ, ადრე დაობლებულ შვილებსაც და შემდეგ უკვე შუქიასაც, ვინც მეზობლის შეკითხვაზე: ბატონი თედო შინა ბრძანდება? — აუცილებლად პაპის ნასწავლით მიუგებდა: გახლავთო; ან — არ გახლავთო, — ოღონდ საყმაწვილო დეფექტით ყოველთვის ასე გამოსდიოდა: გლახავთო; ან — არ გლახავთო.

და ვერ იგებდა, რატომ მხიარულდებოდნენ ასე უფროსები.

თითქოს არაფერი, მაგრამ თედო ასეთ „წვრილმანსაც“ ყურადღებას აქცევდა და შუქიასაც აჩვევდა, რომ არ ეთქვა: ეს პაპაჩემიაო. უსათუოდ გაუსწორებდა: მე კი არა ვარ პაპაშენი, შენა ხარ ჩემი შვილიშვილიო. იმ წუთას ალღოთი ხვდებოდა რაღაცას ბავშვი, მოგვიანებით კი მკაფიოდ გააცნობიერებდა, რომ საერთოდაც ასეთი უფროს-უმცროსობის ნიუანსებით „მოჩუქურთმებულიყო“ პაპის მეტყველება, რომლის ეშხშიც ეს თანდათან უნდა შესულიყო.

თუ რაიმე სძულდა ჭირის დღესავით თედოს, მათ შორის უპირველესად — ნარევი ენით ლაპარაკი, ენის წაბილწვად რომ მიაჩნდა და ყველას ამას შეაგონებდა. პოლიგლოტი რომ გახლ-

დათ? ბევრი ენის ცოდნა კიდევ უფრო გაუმძაფრებდა და გაუმკვეთრებდა ამ განცდას, ისედაც რომ ვერასოდეს იტანდა ასეთ მეტყველებას. და რა გასაკვირია, რომ მისი სალიტერატურო ქართული, პურისტული იერით აღბეჭდილი, სხვადასხვა თავშესაქცევი ამბისა თუ ანეკდოტური შემთხვევის გამომწვევი ყოფილიყო. არაერთი ახლობელი და შვილიშვილიც პირადადაც ხშირად შესწრებოდა გასტრონომსა თუ პურის მაღაზიაში გათამაშებულ სცენებს — შაქრის ფხვნილსა და „პესოკთან", ანდა „სერ პურთან" დაკავშირებულ ხანგრძლივ დისკუსიებს. განა იგივე არ იმართებოდა რუსულად (და ხშირად — დამტვრეული რუსულით) მოანგარიშე მოლარეებთან?

ნინო ნადირაძეს ყველაზე კანთიელად ის სცენა წამოაგონდებოდა ხოლმე, თედო მოლარეს ხუთმანეთიანს რომ გადაანოდებდა და ეტყოდა: მიიღეთ 6 აბაზიო. მოლარე დაიწყებდა ქვითრის გამოწერას და ხმამაღლა გაიმეორებდა: რუბლ დვაცატო. თედო შეაჩერებდა და დაუბეჯითებდა: ექვსი აბაზიო. მოლარე გაკვირვებით შემოხედავდა და ისევ თავისას ეტყოდა: რუბლ დვაცატო. თედო კვლავ, ოღონდ ამჯერად დამარცვლით გაუმეორებდა: არა, ექვსი აბაზიო. მოლარე, დაბნეული და გაკვირვებული, იმ „რუბლ დვაცატს" ვერა და ვერ მოეშვებოდა. და ასე გაგრძელდებოდა,ვიდრე თედო აცრემლებულ მოლარეს არ მიახვედრებდა, თუ რა განსხვავება იყო ექვს აბაზსა და „რუბლ დვაცატს" შორის.

ესეც კიდევ — ვერც შუქია და ვერც ვერავინ ერთ, ერთადერთ შემთხვევასაც ვერ გაიხსენებდა, პაპას გულგრილად ჩაევლოს ქართულის დამახინჯებისათვის.

ბავშვს თავიდან ეხამუშებოდა კიდეც ამ კამათის მოსმენა, პაპას სახელოზე ექაჩებოდა და წასასვლელად აჩქარებდა, მაგრამ...

— თედო სახოკია რის თედო სახოკია იქნებოდა, დედაენის ხელყოფა რომ შეერჩინა ვინმესათვის!

ჯერ ხომ ეხამუშებოდა, მაგრამ ამასობაში ისე შეეჩვეოდა დამახინჯებული ქართულის გასწორების აუცილებლობას, რომ, როგორც კი ენობრივ დარღვევას შეამჩნევდა ვინმეს, უმცროსუფროსობას აღარ დაგიდევდა და უსათუოდ შეუსწორებდა.

— პაპამისის ნატეხია, — ხუმრობდნენ ხოლმე მასზე.

ამას ძალიანაც ეამაყებოდა და მონდომებას გააათკეცებდა.

ჯერ კიდევ როდის სმენოდა იპოლიტე ვართაგავას თედო სახოკიას ორიგინალური ხასიათისა და საქციელის შესახებ, რის ყველაზე თვალსაჩინო დასტურადაც ირწმუნებოდნენ: რუსული ენა კი კარგად იცის, მაგრამ საშინლად ეზარება შერეული რუსულ-ქართული ლაპარაკი და მოურიდებლად ამხელს ყველას ამისათვისო.

ზოგიერთები პირდაპირ ანეკდოტური ყაიდის ეპიზოდებსაც ჰყვებოდნენ მისი ცხოვრებიდან. თითქოს თედო ეძებდა აუცილებლად ნაცნობ მეეტლეს, და ერთხელ, როდესაც მთელ საათს ეძება და მაინც ვერ იპოვა, ფეხით წავიდა და დააგვიანდა, თუმც საჭირო საქმეზე მიდიოდა. ასე ერჩივნა, ოღონდ შერეული რუსულ-ქართული სიტყვა-ფრაზებით არ ასჭრელებოდა ყურთასმენა.

აჭარბებთო, — ადვილად არ დაიჯერებდა იპოლიტე, ვინც ჯერ კიდევ სემინარიაში მოწაფეობისას მოხიბლულიყო თედო სახოკიას თარგმანებით, განსაკუთრებით ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობით„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, მერე კი გულდასმით მიადევნებდა მზერას „მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის სამოგზაურო-ეთნოგრაფიულ ნარკვევებს გურია-აჭარაზე,სრულფასოვანი დოკუმენტური პროზისაგან რომ არც განერჩეოდა.

არაფერს ვაჭარბებთ, გაიცნობ და თვითონვე ნახავო, — არ ეპუებოდნენ ისინი, ეს კი ნატვრით ნატრობდა, როდის დადგებოდა ეს დღე. და აკი კიდეც მოუწევდა შეხვედრა თედოსთან 1898 წლის ზაფხულში ყაზანის აკადემიიდან არდადეგებზე ჩამოსულს ახალ სენაკში, თავისი მეგობრის არისტრახო კალანდარიშვილის ოჯახში. არისტრახოც ხომ გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, მაგრამ მეუღლე — ნატაშა, ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწის ქალიშვილი, კიდეც აჭარბებდა ქმარს, და ასეთი გულგახსნილობა ძალდაუტანებლად მოანდომებდათ, რომ იპოლიტეს ჩამოსვლის აღსანიშნავად დიდი პურობა გაემართათ, თავი მოეყარათ მისი ამხანაგებისთვის, ყოფილ სემინარიელთათვის. საგანგებოდ გაგზავნიდა კაცს მახ-

ლობელ სოფელში და ჩამოაყვანინებდა იპოლიტეს გულითად მეგობარს დომენტი პარკიას და, შემთხვევით რომ შეიტყობდა, თედო სახოკია ყოფილა სენაკში ჩამოსულიო, სულაც პირადად ეახლებოდა და სტუმრად მოიპატიჟებდა.

ასე გაიცნობდა თედოს — მომცრო ტანისას, ძლიერ ცოცხალს, მოძრავს, ქარივით მარდსა და სწრაფს.

ორიოდე სიტყვით რაოდენ სახიერი დახასიათებაა, ლიტერატურული პორტრეტის ოსტატს როგორც შეშვენის.

— სახე ყოველთვის უღიმოდა.

მოგვიანებით აკი შეეცვლებოდა ეს გადაბადრული იერი სახისა და ასკეტს უფრო დაემგვანებოდა,მაგრამ მაშინაც ღიმილი რარიგ ერთბაშად გამოუშუქებდა ხოლმე მზერასაც და გამომეტყველებასაც, უმცროს მეგობრებს რომ აოცებდა: სულ სხვა კაცი ხდებაო.

იპოლიტეს ძლიერ მოეწონებოდა თედოს ტკბილი, გამართული, უაქცენტო ქართული, და ყურადღებას მიაქცევდა იმასაც, რომ მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ან ქართულად ლაპარაკობდა და ან მეგრულად და ერთ სიტყვასაც არ წარმოთქვამდა სხვა ენაზე.

დიასახლისს გაგონილი ჰქონდა, თედოს საშინლად ეჯავრება შერეული ლაპარაკიო, და მის მოსვლამდე სტუმრებს შეჰპირდებოდა, თედოს თანდასწრებით ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი რუსულადო. არადა, როგორც რუსი მოხელის ოჯახში აღზრდილი, განსაკუთრებით სცოდავდა რუსულ-ქართულის არევაში.

თედო ძლიერ მხიარული მოსაუბრე გამოდგებოდა და დიასახლისსაც ბევრს აცინებდა რაღაც ამბის მოყოლით, და ისიც განსაკუთრებული ყურადღებით, ლამის მოწიწებით მოეპყრობოდა ამ ძვირფას სტუმარს.

დასხდებოდნენ სადილად.

თედოს, რასაკვირველია, საპატიო ადგილს მისთავაზებდა დიასახლისი და გვერდითაც ჩამოუჯდებოდა. ჯერჯერობით საუბარი უავარიოდ მიმდინარეობდა — ნატაშას სიტყვაც არ წამოსცდებოდა რუსულად. მაგრამ, აი, მოსამსახურე პირველად თედოსთან მიიტანდა საცივს ლამბაქით. განსაკუთრებით

პატივისცემის აღსანიშნავად ნატაშა ჩამოართმევდა მოსამსახურეს ლამბაქს, წამოდგებოდა და თედოს მიაწვდიდა. ის ჩანგალს აიღებდა რაღაც ნაჭრის გადმოსაღებად და ამ დროს დიასახლისი ჩაერეოდა:

— აი, აი, ბატონო თედო, ეს აიღეთ, კარგი „კუსოკია".

ეს ბოლო სიტყვა ყველას ყურადღებას მიიქცევდა და იპოლიტეც, ვინც ახლოს იჯდა, სწრაფად შეავლებდა მზერას თედოსა და ნატაშას.

თედოს მოღიმარი ტუჩები... უცბად შეიკუმშებოდა, წარბებს შეკრავდა და ცივი ხმით მიუგებდა:

— პატივცემულო დიასახლისო, „კუსოკის" რა მოგახსენოთ, ნაჭერი კი მართლაც კარგი ყოფილა.

ჩაჰკრავდა ჩანგალს და თეფშზე გადმოიღებდა.

ნატაშა ძალიან შეცბუნდებოდა, თავს ჩაღუნავდა და დამნაშავესავით დაეშვებოდა სკამზე. და არისტრახოც რომ შეამჩნევდა ამ ინციდენტს, ჩაიცინებდა და მეუღლეს ჩასჩურჩულებდა: ესეც შენო.

ეს ხმა უცებ გავარდებოდა სენაკში და მთელ სამეგრელოსაც მოედებოდა.

ასე შეემატებოდა თედო სახოკიაზე ანეკდოტებისა თუ სახალისო ამბების ყულაბას კიდევ ერთი ნიმუში.

თედოს ამ ჩვეულებას, რომ ქართველთან ყოველთვის ქართულად ელაპარაკა, რომ ნაცნობებიცა და უცნობებიც ემხილებინა არეული რუსულ-ქართული მეტყველებისათვის, და რომ ნაცნობ მუშებს, მეეტლეებს ეძებდა და სხვების წინაშე უპირატესობას მათ ანიჭებდა, — დიახ, თედოს ამ თვისებას ბევრი ვერ ეგუებოდა და იპოლიტესაც სმენოდა, როგორ ეძახდნენ პირს უკან შოვინისტს. იმდენიც არ გაეგებოდათ ამ რუს-ქართველა ადამიანებს, ეროვნულ-კულტურული სატკივარისადმი სრული ინდიფერენტიზმით რომ განწყობილიყვნენ, რომ ყოვლად წარმოუდგენელია მცირერიცხოვანი ერის შვილი შოვინისტი იყოს. იპოლიტე ვერ ითმენდა თედოს აუგს და არაერთხელ შეხლია მის გამკილავთ, ენაც რომ ჩაუგდებინებია მუცელში.

მემუარულ ჩანაწერში ამის თაობაზე არას ამბობს, ვაითუ, ტრაბახში ჩამომერთვასო, მაგრამ თუნდ ოთარ ჩხეიძესთან პირადი საუბრების დროს სიამაყით ჩაურთავს, თუ რა დღე აწია რამდენჯერმე თედო სახოკიაზე „შოვინისტის“ მთქმელებს, და მერე მისი თანდასწრებით ასეთი რამ აღარავის გაუბედავს.

სიხარულით კი უხაროდა, რომ ქართველთა შეგნებულ ნაწილს, განსაკუთრებით ეროვნულად განწყობილ ახალგაზრდობას, ყოველთვის ჩინებულად მოეხსენებოდა თედო სახოკიას ფასიც და ისიც, რომ მას ასულდგმულებდა არა კაცთმოძულე ან ხალხთმოძულე პოლიტიკა, არამედ ეროვნების ბურჯის — სამშობლო ენის — სიწმინდე, მისადმი სიყვარული. და ყოველთვისაც ასეა, როდესაც სისხლ-ხორცში გაგიჯდება სიმართლე და ჭეშმარიტება იმ მსოფლგანცდისა, გრიგოლ ორბელიანის ბაგით ასე რომ გამოითქმოდა: რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო!..

არადა, ეს ჭეშმარიტება ბევრ ქართველს რომ დავიწყებოდა, იპოლიტეს რაღა ესაყვედურა ქვეყნის ისეთი კუთხეებისათვის, როგორიც აფხაზეთი (სამურზაყანო) და სამეგრელო გახლდათ, როდესაც თვით კულტურულ ცენტრებად აღიარებულ ტფილისსა და ქუთაისშიც ძალიან სცოდავდნენ ამ მხრივ.

აფხაზეთის მხარის სამწუხარო რეალობა ეს იყო — იქ მცხოვრები ქართველები ნაკლებად რომ კითხულობდნენ ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, და ცოტაოდნავ მოინტელიგენტო ქართულ ოჯახებში რუსულად ტიტინს ამჯობინებდნენ, განსაკუთრებით გიმნაზიის მოსწავლე ქალიშვილები.

და თედო თავისებურად რომ ებრძოდა ასეთ მახინჯ მოვლენას, იპოლიტეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მის ერთი შეხედვით ტლანქ მხილებას ბევრი ჩაეფიქრებინა სერიოზულად და, შესაძლოა, გამოესწორებინა კიდეც.

რაღა შორს წასულიყო თვალსაჩინოებისათვის, როდესაც შეეძლო საკუთარი თავი დაემოწმებინა ნიმუშად.

რაკილა კარგად მოეხსენებოდა თედოს ხასიათი, რომ მეგობრის წყენასაც არ მოერიდებოდა, როდესაც საქმე ქართულ ენას შეეხებოდა, ახალგაზრდობაშივე ცდილობდა, მისთვის გული არ ეტკენინებინა და არეულად არ ესაუბრა მასთან. მოხუცობი-

სასაც, როდესაც თედოსთან მუსაიფობდა და რუსული ფრაზა ენაზე მოადგებოდა, თავს შეიკავებდა და ქართულად განაგრძობდა ლაპარაკს, ანდა ჩაუმეგრულებდა.

— თედო, სხვათა შორის, მეგრულად მშვენივრად ლაპარაკობდა, მე კი ცოტათი ვბორძიკობდი.

ნეტა სხვებსაც თუ ახსოვდათ, თედოს რამდენიმე ათეული წლის წინათ პატარა ლექსიკონი რომ გამოეცა, სადაც მოთავსებულიყო ქართული ენაში შემოსულ უცხო სიტყვების შემცვლელი, მეგრულიდან აღებული ან მის მიერვე შექმნილი სიტყვები?

ზოგიერთი იპოლიტეს არც არასოდეს დაავიწყდებოდა:

გვაბანაკი (პალტო მეგრულიდან), **ქუქუნაკი** (პიჯაკი მეგრულიდან), **გლარჯა, გლარჯის მილი** (თამბაქო), **ცხენუკა** (კონკა), **სატუცავი** (კალოში), **თვითმხარშავი** (სამოვარი) და სხვაც არაერთი, ამის თვალში უცნაურად რომ გამოიყურებოდა.

და თედოს მიმართ განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ხელს ვერ შეუშლიდა, რომ არ გაეზიარებინა საყოველთაოდ გამოყენებული უცხო სიტყვების შეცვლა ახალი გამოთქმებით. მაგალითად, **სამოვარი** რუსებმა რომ გამოიგონეს, ეს სიტყვა გამოიყენებოდა ყველგან და „თვითმხარშავით" მისი შეცვლა განა რითი უნდა გამართლებულიყო? ანდა სამეგრელოს სოფელ ჯვარში ხმარებული „გვაბანაკი" პალტოს როგორ ჩაენაცვლებოდა? „სატუცავით" კალოშის შეცვლა კი... იპოლიტეს სულაც სასაცილოდ ეჩვენებოდა.

— შე გლარჯის მილოო, — ექილიკებოდა ვალერიან გუნია 1897 წლის 7 თებერვალს მიწერილ ბარათში. ეს მეგობრული შეხუმრება კი იმას გამოეწვია, რომ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში" რამდენიმე პურიზმთან ერთად თედოს ეს გამოთქმაც „გლარჯის მილი" გამოეყენებინა რუსული папироса-ს შესატყვისად.

გადასახლებიდან გამოქცეული თედო ირკუტსკში რომ შეაფარებდა ცოტა ხნით თავს, გვანჯი ჩიქოვანს სთხოვდა:

— ჩემო გვანჯი, იქნებ სატუცავი მიყიდო.

ის გაოცებით შემოხედავდა, ნეტა რას გულისხმობსო:

— სატუცავი რა არის?

გაიცინებდა თედო:

— „გალოშებს“ ასე ჰქვია ქართულად.

გვანჯი ფიქრშიც ვერა ჰკადრებდა: ამ შუაგულ ირკუტსკში რა „სატუცავი“ აუტყდა, „გალოშს“ ვერ იტყოდაო? ის კი არა, მოწიწებით გაიხსენებდა ამ სცენას დავით კვიტაიშვილთან თავისი თავგადასავლის თხრობისას და დასძენდა:

— თედო როცა ქართულად ლაპარაკობს, რუსულს ერთ სიტყვასაც არ გაურევს. სამაგალითოდ უფრთხილდება ჩვენი ენის სიწმინდეს.

იპოლიტე ვართაგავას თუ ეხამუშებოდა ეს სიტყვა, გვანჯი ჩიქოვანს მალამოსავით მოეცხებოდა გულზე.

სხვათა შორის, ენის სიწმინდეზე მსჯელობისას ვახტანგ ჭელიძე პუბლიცისტურ ნარკვევში „საშვილიშვილო საგანძური“ — იპოლიტესი არ იყოს — ასევე არ გაიზიარებდა გადაჭარბებებსა და მეტისმეტ პურიზმს — ბრძოლას ისეთი სიტყვების წინააღმდეგაც, ყველა ენაში რომ შეელწია. ისეთი სიტყვების გაკეთება-შეკოწიწებას ან, მითუმეტეს, გამოგონებას, რაც ჩვენი ენის ბუნებისათვის არ არის დამახასიათებელი, გაუმართლებლად მიიჩნევდა და დასძენდა: ვერც აიტანს ჩვენი ენა, ისევე როგორც ვერ აიტანა „სატუცავი“ (კალოშის ნაცვლად), ანდა „ორთვალა“ (ველოსიპედის ნაცვლადო). რატომ უნდა უარგვეყო თუნდ სიტყვა „ფასონი“? რამდენიც უნდა გვებრძოლა მის წინააღმდეგ, ის მაინც შემოდიოდა და დღეს თუ ხვალ უსათუოდ დამკვიდრდებოდა. ზედმიწევნით ამ ცნების გადმომცემი სიტყვა მას თანადროულ ქართულში ვერ დაედასტურებინა და ვერც ვერავინ იპოვნიდა ზუსტ შესატყვისს:

— რა თქმა უნდა, ჩვენი ენა ისეთი მდიდარი და ელასტიურია, რომ, რა კონტექსტშიაც უნდა შეგვხვდეს ეს სიტყვა, მაინც მოვახერხებთ და ფრაზის აზრს ზედმიწევნითი სისწორით გადმოვცემთ ქართულად. მაგრამ არის კი საჭირო ამგვარი თავგამოდება და„პრინციპული“ ბრძოლა ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვის წინააღმდეგ, რომლის ზუსტი ადეკვატი ქართულად არ მოგვეპოვება?

ზოგიერთი მთარგმნელი „ფასონს“ „ყაიდად“ რომ თარგმნიდა, ეს ყოველთვის არ გადმოსცემდა აზრს სწორად.

გადამეტებულ პურიზმს, შესაძლოა, დაუჯერებელ კურიოზებამდეც მიეყვანა ადამიანი, მთარგმნელი იქნებოდა, მწერალი თუ ჟურნალისტი, და საამისო ნიმუშებიც არ აკლდა ჩვენს პერიოდიკასა თუ წიგნებს, მაგრამ მთავარი ამ მსჯელობაში ვახტანგ ჭელიძის მკვეთრი უარყოფითი პოზიციაა პურიზმის წინააღმდეგ, დაუსახელებლად თედო სახოკიასაც რომ გულისხმობს და თუმც შეფარვით, მაგრამ მაინც არ ერიდება მის ძვირფას პიროვნებასაც, რაკიღა ქართულ ენას ეხება განსჯა, იმ საღვთო მოვლენას, რომლის არამცთუ ხელყოფა, მცირედი უხერხულობაც მის წინაშე არავის უნდა ჰპატიებოდა.

ეს მტკიცე შეხედულება, ეს დაუთმობლობა თედო სახოკიას ილია ჭავჭავაძისაგან შეეთვისებინა.

ვახტანგ ჭელიძეს — ილია ჭავჭავაძისგანაც და თედო სახოკიასგანაც.

რაო, რას ირწმუნება იპოლიტე ვართაგავა?

თედოს მიერ პროექტირებული არცერთი სიტყვა სალიტერატურო მიმოქცევაში არ შევიდა და ნეოლოგიზმად დარჩაო.

მაგრამ იპოლიტესათვის მთავარი ის გახლდათ, რომ თედო სახოკიას ცდა წმინდა წყაროდან მომდინარეობდა, მის ძირითად მსოფლმხედველობასთან იყო დაკავშირებული.

იქვე გაიხსენებდა მეორე საზოგადო მოღვაწესაც, მწერალსა და პედაგოგს სილოვან ხუნდაძეს და მის ასეთივე მოურიდებელ, სასტიკ ბრძოლას ქართული ენის სიწმინდისათვის, ფელეტონების მთელ ციკლს — „კარტველი კალები“ — რომ დაბეჭდავდა ქუთაისურ გაზეთში და სასტიკად ამხელდა იმ ქართველ ქალებს, რომელთაც მშობლიურ ენაზე ლაპარაკი არ ეხერხებოდათ ან ეჩოთირებოდათ და რუსულად „ჭუკჭუკებდნენ“.

— თედო სახოკია და სილოვან ხუნდაძე მხოლოდ „ღიმმორეული სიცილით“ არ დასცინოდნენ ქართველებს სამშობლო ენის უპატივისმცემლობისა და აბუჩად აგდებისათვის. ისინი ბრაზმორეული შეურიგებლობით გმობდნენ სასიკვდილო ეროვნულ სენს.

ამისათვის თედოს შოვინისტობას რომ სწამებდნენ, ზოგჯერ პურიშკევიჩსაც შეადარებდნენ ხოლმე და იპოლიტე ვართაგა-

ვას ვერ გაეგო, რატომ კადრულობდნენ ასეთ ყოვლად უაზრო შედარებას, თორემ განა რა მსგავსება შეიძლება ყოფილიყო თვითმპყრობელობის ერთგულ მონასა და კაციჭამია პურიშკევიჩსა და ხალხის თავისუფლებისა და მისი სულიერი განძის დაცვისათვის მებრძოლ თედო სახოკიას შორის?!

აეყოლიებინა ქართული ენის ბედსაც და დაე ეძრახათ, თუ მისი გადარჩენისათვის ბრძოლაში უნდა დაელია დღენი.

სახელოზე ექაჩებოდა შვილიშვილი.

აჩქარებდა წამოსასვლელად.

მაინც რა იყო ეს დაუსრულებელი კამათი გასტრონომსა თუ პურის მაღაზიაში?

და თურმე ამასობაში პაპამისის ნატეხად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ვიდრე სკოლაში მიაბარებდნენ, თედო ყველა არაქართველ მეზობელს სთხოვდა: შუქიას მხოლოდ ქართულად ელაპარაკეთო. ხათრს ვინ გაუტეხდა, არადა, უძნელდებოდათ ქართულად ფრაზის გამართვა თუ აზრის ჩამოყალიბება და ჰოი, რას ცოდვილობდნენ!.. იწვალებდნენ, იჯახირებდნენ, მაგრამ თედოს წყენინებას ისევ ეს ჯახირ-წვალება ერჩივნათ.

გავიდოდა დრო, გოგონა წამოიჩიტებოდა, უკვე სასკოლოდ მომწიფდებოდა და... თედოს თხოვნა შეიცვლებოდა: ახლა არათუ ნებას დართავდა მეზობლებს რუსულად ლაპარაკისა, არამედ სწორედაც პირიქით — რაც შეიძლება მალე გაეტეხინებინათ მისთვის ენა რუსულად.

მხოლოდ მოგვიანებით გაიგებდა — ჯერ კვლავ პაპასაგან, შემდეგ კი უნივერსიტეტის სტუდენტობისას — რომ დედაენაზე სწავლის დაწყება მთელი თეორია ყოფილიყო და წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეს საკითხი წესდებაში საგანგებო პარაგრაფადაც ჰქონდა შეტანილი...

ამ საფუძველზე იდგა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება: უპირველესად მშობლიური ენა უნდა შეგეთვისებინა, მერე კი გაგეშალა ფრთები და თუგინდ ენა ენაზე შეგესწავლა თედო სახოკიასავით, პოლიგლოტობა კიდევ უფრო რომ დაარწმუნებდა ამ მოთხოვნისა თუ მრწამსის ჭეშმარიტებაში.

ხოლო... **კვესა** რას ნიშნავდა? ხატოვნად, თორემ ცეცხლის გაჩენას რომ გულისხმობდა, ეს ბავშვმაც იცოდა.

რას და: მოსწრებული, მახვილგონივრული სიტყვის თქმას.

შიო მღვიმელისა არ იყოს: მოუჯდეს ბუხარს და ტკბილად შაირ-ლექსები ჰკვესოსა.

რატომ და: ახალფეხადგმული ადამიანისათვის ტალი და კვესი უხსოვარი დროიდანვე რომ მიიჩნეოდა წყაროდ ბედნიერებისა, როგორც გამჩენი ცეცხლისა, მზის შემდეგ მეორე ადგილი რომ ეჭირა ხელოვნური სითბოს მიწოდებაში ჩვენი ნახევრად შეუმოსავი და ბუნების სიმკაცრესთან ბრძოლაში უძლური წინაპრისათვის, მეტაფორულად მოსწრებული ლექსისა ან სიტყვის თქმა ამიტომაც გაუიგივდებოდა ცეცხლის მიმსგავსებით კვესას და საყმაწვილო პოეტიც ამ აზრით მოიხმობდა ამ ზმნას ლექსში, ბესომ არაჩვეულებრივი შაირები თქვას, რათა გააცინოს და გაამხიარულოს მსმენელიო.

მიხუთშაბათება როგორ უნდა გაგვეგო?

როგორ და: მიფუჩეჩებად, ძაღლუმადურად გაკეთებად, ნაჩქარეობად.

რატომ და: ძველად, როდესაც პარასკევი მიიჩნეოდა უქმედ, ღვთისმსახურების დღედ, როდესაც ხელით არაფერი უნდა გაკეთებულიყო, ყოველგვარი ფიზიკური გარჯა-მუშაობა, განსაკუთრებით მიწის „შენძრევა", აკრძალული იყო, წინა დღეს, ხუთშაბათს უნდა დამთავრებულიყო, მზის ჩასვლამდე, ანუ სამუშაო დღის დასრულებამდე; თუ საქმე ძნელი მოსასწრები იქნებოდა, ადამიანს საკუთარი თავისათვის ძალა უნდა დაეტანებინა და ავად იქნებოდა თუ კარგად, ადრე იქნებოდა თუ გვიან, უნდა **მიეხუთშაბათებინა**, ხუთშაბათს უნდა დაესრულებინა, საპარასკეოდ არ უნდა დარჩენოდა. ზოგჯერ კარგადაც გამოდიოდა ნასაქმარი, მაგრამ, უფრო მეტ შემთხვევაში, ხუთშაბათს დამთავრებულ საქმეს დაღი ნაჩქარეობისა, მიფუჩეჩებისა, ჰაი-ჰარობით გაკეთებისა მაინც ეტყობოდა.

ქრისტიანობის შემოღებისა და კვირიაკის მეშვიდე დღედ კვირის დადგენის შემდეგ ხუთშაბათს ემაგიერებოდა შაბათი, კვირაძალი, როდესაც საშაბათო საქმე უეჭველად უნდა გათავე-

ბულიყო კვირაძლამდე, ანუ როდესაც ეკლესიებში ზარის რეკვა სამწუხრო ლოცვად არ მოუხმობდა მორწმუნეთ. ცხადია, პარასკევის ჩვეულება ახლა კვირაზე გადმოვიდოდა და სასტიკად აიკრძალებოდა ხელით საქმიანობა. ხუთშაბათის როლი შაბათს მიეკუთვნებოდა და გაჩნდებოდა გამოთქმა: მიაშაბათა, მიშაბათებაო, ანუ იჩქარა, ნაჩქარევად გააკეთა ესა თუ ის საქმეო.

მობრძანდის კაცი ვის ერქვა?

ვის და: ყველასათვის შემტყობინებელს, მომპატიჟებელს ქორწილში.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია გვინახავდა ამ გამოთქმას: **მობრძანდის კაცი** დილასვე დაატარეს, ჩვენთანაც იყოო.

რატომ და: წინათ ქართლის სოფელში, როდესაც ქორწილში ჰპატიჟებდნენ ნაცნობ-მეგობრებსა თუ მეზობლებს, ერთ-ერთ მეზობელს დაავალებდნენ ჩამოვლასა და ყველასათვის შეტყობინებას: მავანს ქორწილი აქვს და გთხოვენ, მობრძანდეთ დასასწრებლადო. აქედან დაერქმეოდა ეს სახელი — „მობრძანდის კაცი“.

მოსალამე როგორ უნდა გაგვეგო?

როგორ და: ბევრ მოსარწყავად.

რუსთველური სტრიქონისა არ იყოს: მათ თვალთა ცრემლი სდიოდეს მინდორთა მოსალამენიო.

სიტყვა„ლამე“, სოველის მნიშვნელობით, მეგრულში შემორჩენილიყო და გულისხმობდა: არც მეტად სველს და არც მეტად მშრალს.

რუსთველი „მოსალამეს“ იყენებდა მორწყვის მნიშვნელობით: თვალთაგან იმდენი ცრემლი სდიოდათ, რომ მინდვრებს ეყოფოდა მოსარწყავადაო.

ოთხფეხის ჩაკვლა საფლავში რას გულისხმობდა?

რას და: შეგინებას, შებილწვას ვინმეს სულისა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასაგან შემოგვრჩენოდა: იმ დღეს აქეთ გულში ჩამივარდა და შევიგინე: იმი დედ-მამის საფლავში ჩავკალ ოთხფეხი, რომელმაც, ჩემ თავათ, არ გაზარდოს შვილი ხატობაზე-მეთქი.

რატომ და: მიცვალებულთა სულებისათვის შესაწირად წინათ ქართველებს მიცვალებულთა საფლავზე საქონლის დაკვ-

ლა სჩვეოდათ. ამას „დასაკლავი"ერქვა და დასაკლავად გამოიყენებოდა ისეთი ოთხფეხი, რომელიც იჭმებოდა: ხარი იქნებოდა, ძროხა, ცხვარი თუ სხვამისთანანი. ხოლო ის ცხოველი, რომელიც არ იჭმებოდა, ძაღლი იქნებოდა, კატა და, ამასთანავე, უწმინდურადაც ითვლებოდა, რასაკვირველია, დასაკლავადაც არ გამოდგებოდა და აზრადაც არავის მოუვიდოდა მათი დაკვლა მიცვალებულის სულისათვის შესაწირავად. ასეთი ცხოველის დაკვლაზე ლაპარაკი მაშინღა შეიძლებოდა, როდესაც უნდოდათ შეგინება, შეურაცხყოფა მიცვალებულის სულისა.

ოცის კაცი რას შეიძლება ნიშნავდეს?

რას და: იმპერატორის სახელმწიფო მოხელეს, ჩინოვნიკს, ვისაც ყოველი ლმობიერება, ადამიანობა, ადამიანის სიბრალული გულიდან ამორეცხოდა.

სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვებისა არ იყოს: აწინდელი მღვდელი — ჩინოვნიკია, იგი ნამდვილი ბიუროკრატია, ოცის კაცად გამხდარი, კისერზე აწევს სოფელსაო.

რატომ და: რუსეთის თვითმპყრობელობისას სახელმწიფო აპარატში მოსამსახურეთ „ჩინოვნიკებს", ბიუროკრატებს რომ ეძახდნენ, ისინი ბოროტად სარგებლობდნენ თავიანთი უფლებით,მოქალაქეთა ინტერესებს და საქმის არსებითად სამსახურს უგულებელყოფდნენ და თავიანთი თანამდებობის ფორმალურ მხარეს გაზვიადებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამასთან, თავიანთ საქმეს გულგრილად ეკიდებოდნენ, უხალისოდ, და მათ დაცინვით თუ გასაქირდავად **ოცის კაცებს** ეძახდნენ, რადგან სამსახურში ჯამაგირს ყოველი თვის 20 რიცხვში ღებულობდნენ.

ოწინარით ასაწევი როგორ უნდა გაგვეგო?

როგორ და: ვისაც თვითონ რაიმეს გაკეთების შნო არ გააჩნდა და ნიადაგ სხვისი დახმარება, შველა სჭიროდა.

რატომ და: დაცინვითი, საქირდავი თქმა გახლდათ. მცონარა და უშნო ადამიანს მიმართავდნენ, სულ სხვას რომ შესცქერის თვალ-წარბში,ერთ-თავად სხვათა მოიმედეა და თვითონ კი ესიკვდილება განძრევა და ფხის გამოჩენა. დაცინვასთან ერთად კი გამოხატავდნენ სურვილსაც, ასეთი უქნარა გულისხმა-

ში ჩავარდნილიყო, ეკმარა სიზარმაცე და თვითონაც გამოეღო ხელი. და როდესაც დაინახავდნენ მისი მხრით რაიმეს გაკეთების წადილს, სხვასაც აღარ დაეზარებოდა დახმარებოდნენ, საქმის აღსრულება გაეადვილებინათ.

სხვათა შორის, ამ ნიმუშთან დაკავშირებით გიორგი ჩიტაია საგანგებოდ აღნიშნავდა სამტომეულისათვის დართულ ბოლოსიტყვაობაში: საყურადღებოა არა მარტო ხალხში დამოწმებული განმარტებანი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ისინიც, რომელნიც ავტორს ეკუთვნის. ისინი იმითაც იმსახურებენ ყურადღებას, რომ თვით შეიცავენ ხატოვან სიტყვა-თქმებსო. „ოწინარით ასაწევი"-ს განმარტებაში ავტორისეული „ესიკვდილება" ხატოვანი გამოთქმაა, რომელიც ლექსიკონში უნდა შევიდესო.

— ნაშრომში ოსტატურად შესრულებული ამ სახის განმარტებანი უხვადაა წარმოდგენილი.

რა გასაკვირია, ფრთიან სიტყვას ფრთიანი სიტყვითვე რომ განმარტავდეს და დაუსრულებლივ ახვავებდეს ამისთანა მაგალითებს, რადგანაც ხატოვანებით აღბეჭდილიყო თედო სახოკიას მეტყველება, ისე შესჩვეოდა და გაეშინაგნებინა ეს მანერა, წყაროსავით მოჩქეფდა მისი ბაგიდანაც და კალმის წვერიდანაც — თუნდ ნიკო ავალიშვილისა და გრიგოლ ყიფშიძისა არ იყოს... ილია ჭავჭავაძის სტილური მეტყველებაც ხომ მოკირწყლულიყო ამგვარი გამოთქმებით, თედოს ლექსიკონშიც წამდაუწუმ რომ შემოგვანათებს ეს სახელი... ხოლო სამტომეულში უხვად რომ მიმობნეულა ამ სახის განმარტებანი — ხატოვანების წარმოჩენა ხატოვანებითვე, ჯერ მარტო ის ნიმუშები დაგიდასტურებთ, თხრობისას რაც ამოიკრიბა და კვლავაც ამოიკრიბება. გხიბლავთ ფრთიანი სიტყვა და... არანაკლებ გხიბლავთ განმარტებაშიც გაელვებული ხატოვანი თქმა.

პირქვე დასამარხავი რას გულისხმობდა?

რას და: უბედურებას, დაღუპვას.

თუნდ აგერ პეტრე უმიკაშვილის მიერ მოძიებული ხალხური სტრიქონებისა არ იყოს: სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლევ, ჩემი ძმა ხარო. — მე შენი ძმა რათ ვიქნები, შენ **პირქვე დასამარხავოო**.

რატომ და: ქრისტიანული წესის თანახმად, მიცვალებული პირაღმა უნდა ყოფილიყო ჩასვენებული საფლავში, რათა მაცხოვრის მეორედ მოსვლისას, „განსჯად ცხოველთა და მკვდართა“, როდესაც მიცვალებულნი აღდგებოდნენ, პირი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონოდათ შექცეული. პირქვე დამარხულები ამ საშუალებას მოაკლდებოდნენ და მათთვის ეს დიდი უბედურება იქნებოდა. მაშასადამე, დაწყევლა: პირქვე დასამარხავო, — მეტად მძიმე წყევლად ითვლებოდა.

სალექსოდ საქმის გახდომა რას მიგვანიშნებდა?

რას და: დაცინვას, ყბად აღებას, ქვეყანაში თავის მოჭრას.

და ალექსანდრე ყაზბეგი შემოგვეშველება: თუ ძალათა ხარ წამოყვანილი, მთელი სოფელი აქა ვართ. ღვთის მადლმა, გავსწყდეთ, ის გვირჩევნია, სანამ სალექსოდ საქმე გაგვიხდესო.

რატომ და: ძველად, როდესაც ხალხის მიერ დადგენილ ზნეობის ნორმებს გადავიდოდა ვინმე, როდესაც სოფლის წეს-ადათს შელახავდა, თუ სოფლის სასამართლოს მიერ მისჯილ ფიზიკურ სასჯელს თავს დააღწევდა, მეორენაირ სასჯელს, ზნეობრივსა და ზოგჯერ ფიზიკურ სასჯელზე უფრო ეფექტურსაც, მაინც ვერ ასცდებოდა — ეს იყო სოფლის მელექსის მიერ შეთხზვა პამფლეტისა, ლექსის გამოთქმა და კვიმატი სიტყვებით კბენა, საჯაროდ გაკიცხვა სააუგო საქმის ჩამდენისა. ასეთ ადამიანზე იტყოდნენ: სალექსოდ გაიხადა საქმეო. ან როდესაც სურდათ, მოყვასი შეეკავებინათ და სოფლის წესიერების კანონები არ შეელახვინებინათ, ურჩევდნენ: სალექსოდ ნუ გაიხდი საქმესაო!

ტყუილი არახელისააო, რომ მოვისმენდით, როგორ უნდა გაგვეგო?

როგორ და: ტყუილის თქმა ხელთუპყარი კაცის საქმეა, კარგმა კაცმა სიმართლე უნდა თქვასო.

ტყუილი არახელისააო, — აგერ სოფრომ მგალობლიშვილიც გვიმოწმებდა, — უნდა გითხრა, რომ სულ მოხელეები აბრიყვებთ და ათამაშებთ ხალხსაო.

რატომ და: არახელი ჩვენს ხალხს პირდაპირ ეწოდებინა ისეთისათვის, ვისაც ხელი არ გააჩნია ან გარეგნულად აბია კია ხელი სხეულზე, მაგრამ ასეთ ხელს უხელობა ათასწილად სჯობს.

ამ ხელთუპყარ და ხელთგამოუვალ ადამიანს დაერქმეოდა ხატოვნად **არახელი**. მისგან სასიკეთო არაფერი გამოდის არც მოყვრისა და არც მტრისათვის. მაშასადამე, ეს არახელი ადამიანი რაკი სწორი გზით ვერ ახერხებს ფონს გასვლას, იძულებულია ეძებოს უსწორო, დახლართული გზა, მოიშველიოს ტყუილები და თავისი დღენი ისე გააჩანჩალოს ყველასაგან ყბადაღებულმა, მასხრად აგდებულმა, ხალხში არგასარევმა. თვითონ ტყუილი, ტყუილის თქმა ჩვენს ხალხს არახელის დამახასიათებელ სიტყვად, მის სინონიმად გადაექცია და ბოლოს ეს ანდაზაც შეექმნა: ტყუილი არახელისააო! არახელის მეტოქე სიტყვაა იყო მოხელე, ანუ ვისი ხელიც ხელობს და ამ ხელის მოხმარება შეუძლია ცხოვრებაში გზის გასაკვალავად. ამიტომაც მიკუთვნებოდა ეს სიტყვა „მოხელე" ამა თუ იმ თანამდებობის კაცს.

ურთას მიხტომა რას გულისხმობდა?

რას და: უძლეველი სიძნელის გადალახვის მონდომებას.

რატომ და: ურთა სახელია სამეგრელოს ერთ-ერთი მთისა, სოფელ ხეთას ზემოდან. ამ მთის თავზე ერთი დიდი, მოქანავე ლოდი იდო და საკმარისი იყო ხელით ოდნავ შეხებოდი, რომ შეტოკებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მისი გადაგდება, ადგილის მონაცვლეობა ერთ კაცს ხელით არ შეეძლო. აქ მწყემსები რომ ამოდიოდნენ, ბევრს ეცადა მისი გადაგორება და დასჯაჯგურებოდა კიდეც, მაგრამ ამაოდ. სწორედ ამნაირ ცდას ეძახდნენ „ურთას მიხტომას" და გადატანით იყენებდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც მოეჭიდებოდნენ ისეთ კაცს, გინდ საქმეს,რომლის ძლევაც მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაგრამ მონდომებას რომ მაინც არ იშლიდნენ.

ურთას მიხტომაზე ხელს მაინც რომ არ იღებდნენ?

ნეტა თვითონაც ხომ არ დასჯაჯგურებოდა სიყმაწვილისას იმ ლოდს, ხელის ოდნავი შეხებით რომ შეატოკებდა, და ვითომ რატომ არ უნდა გათამამებულიყო, დავეჭიდები და კიდეც გადავაყირავებო.

რაღა ვაჟა-ფშაველას ჯაჯგური კოპალას ლოდის ასაწევად ლუკა რაზიკაშვილობისას და რაღა თედო სახოკიასი — იმ დიდი, მოქანავე ლოდის გადასაგორებლად!..

მშობლიურ სახელად და ბავშვობის მოგონებათა და ზმანებათა მოუცილებელ ხატად ჩარჩენოდა ის მთაც და ის ლოდიც, ახლა გულათრთოლებულს რომ გამოჰყავდა ასოები ფურცელზე: უ-რ-თ-ა, ისევე, როგორც ოთხასოიანივე სიტყვა „ხეთა" გამორჩეულად უმღელვარებდა გულს. და როდესაც ლექსიკოგრაფიული ძიებებით ქართული სოფლის ქებათაქებას ქმნიდა, მშობლიური სოფელი ედგა თვალწინ, მას შეჰხაროდა, მის საგალობელს აწიკწიკებდა ფურცლიდან ფურცელზე, იქიდან მოჰყვებოდა მადლი, იქიდან ინარჩუნებდა გაუტეხლობის ძალასა და რწმენას და იქიდანვე აგვირგვინებდა მუხლჩაუდრეკელ სალიტერატურო გარჯას ბენიამინეთი...

ურთა და ხეთა, ხეთა და ურთა...

ვითომ ერთ ჩვეულებრივ განმარტებად ჩამჯდარა სალექსიკონო სიტყვათა უგრძეს მწკრივში, მზერასაც რომ ძლივას მიადევნებდი, მაგრამ თედომ ხომ იცოდა, რომ ეს რამდენიმე სტრიქონი იდუმალი შუქით ანათებდა და განსაზღვრავდა ამ სამტომეულის სულისკვეთებასაც და მთელი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისაც, ფათერაკებითაც აღვსილს, თორემ მღელვარება რა სათქმელია, წუთითაც რომ არ მოაკლდებოდა ჯერ კიდევ სემინარიელს... მერე და მერე ხომ...

ურთას მიხტომად ჩამოერთმეოდა, აბა, სხვა რად, იმპერიულ პოლიტიკას რომ დაუპირისპირდებოდა და იმპერატორის დამხობაში ჰპოვებდა თავისი არსებობის მიზანსა და გამართლებას, და აკი გადარევდა იმ ლაზ მენავეებსაც: ნუთუ ამ ჭინჭრაქას მოუნდომებია იმპერატორისათვის ტახტის გამოცლაო!..

ურთას მიხტომა იყო ქართული პარტიის შექმნა სოხუმში.

ურთას მიხტომა იყო „სირიუსიდან" ფოთის სანაპიროზე იარაღის გადმოცლის ორგანიზება.

ძალიან გვიშველა პოლიცმეისტერმა აბაშიძემო,—იმ სამშაბათობაზეც კიდევ ერთხელ ახსენებდა პატივისცემით ამ კაცსა და მის ღვაწლს ამ უჩვეულო პოლიტიკური აქციის წარმატებასა და მის მონაწილეთა გადარჩენაში, და თუ ბოლომდე მაინც ვეღარ დაიფარა, ეს უკვე სერგო ორჯონიკიძისა და სოციალ-დემოკრატთა ბრალი გახლდათ, პარტიულ ეგოიზმს რომ შესწირავდნენ ამ ეროვ-

ნულ საქმეს, მაგრამ იმ წუთას თედო სახოკიას სერგო ნაკლებად ადარდებდა — იმას აკი იძულებითი თვითმკვლელობით ეზღო დანაშაულებებით გადავსებული ცხოვრების გზა — და პოლიცმეისტერ პლატონ მიქაბერიძის მიმართ გამოთქვამდა გაუნელებელ,მწარე გულისწყრომას, პირადი ნაცნობისადმი, ვისაც სთხოვდა სენატიდან პასუხის მიღებისთანავე არაოფიციალურად მაცნობე, ციმბირი მომელის თუ არაო, და ის მხურვალედ რომ შეჰპირდებოდა: რა ბრძანებაა, სასწრაფოდ შეგატყობინებო, — მაგრამ თვით მაშინაც კი დაუმალავდა, როდესაც დილით შემთხვევით მოხვდებოდნენ ერთ სუფრაზე ჩაის დასალევად, ქალაქის თვითმმართველობაში მისულს კი ორი ჟანდარმის თანხლებით შეეჭრებოდა და ბევრი ადამიანის თვალწინ საჯაროდ დაატუსაღებდა.

სპექტაკლს დადგამდა და ეგაა!..

მართალია, იქ მყოფთაგან ყველა სახეში შეაფურთხებდა პოლიცმეისტერს, რაკიღა მოეხსენებოდათ მისი შეპირება, მაგრამ თედოს რაღას უშველიდნენ!

არადა, თედოს ისეთ თავზარს დასცემდა ადამიანის ასეთი უსულგულობა და მზაკვრობა, ასეთი გამჟღავნება მონური ფსიქოლოგიისა, რომ ამ ტკივილთან შედარებით გაციმბირებას უკვე არად ჩააგდებდა.

კიდევ ერთხელ მოჰყვებოდა ამ ეპიზოდს ისეთი მღელვარებით, თითქოს ისევ იქაა და ეს წუთია, რაც გამოუცხადეს სასტიკი განაჩენიო.

აგერ ბოლო ფრაზასაც იტყოდა ანთებული.

მსმენელნიც, მისი თხრობით გატაცებულნი, თითქოს სოხუმის თვითმმართველობის ოთახში აღმოჩნდებოდნენ და მათაც ტუჩებზე მოადგებოდათ ნერწყვი, რათა თავიანთი წილი ფურთხი არ დაემადლებინათ პოლიცმეისტერისათვის.

და უეცრად კარზე ვიღაცას ზარი უნდა დაერეკა და ესენი ერთბაშად გამოერკვია ილუზიისაგან.

მასპინძელს ამცნობდნენ: ვიღაც მოხუცი გკითხულობთო.

შემოიპატიჟებდა.

ოთახში შემოაბიჯებდა თეთრი წვერ-ულვაშით მოსილი სანდომიანი სახის ბერიკაცი.

თედო და ახალმოსული ერთმანეთს დაუფარავი გაოცებით შეხედავდნენ და... გაირინდებოდნენ... და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მიესალმებოდნენ ერთურთს გაუბედავად.

უხერხულ სიჩუმეს ისევ მასპინძელი დაარღვევდა და სტუმარს მოსვლის მიზეზს ჰკითხავდა.

ის თავს გააცნობდა:

— პლატონ მიქაბერიძე გახლავართ.

და მიზეზსაც მოახსენებდა:

— გავიგე, რომ თქვენ შეგისწავლიათ რაღაც ახალი პრეპარატის მოქმედება, რომელიც პარკინსონიზმით დაავადებულთა წამლობისათვის იხმარება. ძალიან დამავალებთ, თუ ამ წამალს მიშოვნით ჩემი მეუღლის სამკურნალოდ.

ეს პრეპარატი (სუკრაბდელი) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტს ჰქონდა მიღებული და იოველ ქუთათელაძის მიერ დამუშავებული მეთოდით ექსპერიმენტულად სწორედ გივი ხვედელიძეს შეესწავლა, შედეგებს ცალკე წიგნადაც რომ გამოსცემდა 1956 წელს, ხოლო პარკინსონიზმით დაავადებულებზე ამ წამლის სასიკეთო გავლენა დადასტურებული იყო პეტრე სარაჯიშვილისა და პეტრე ქავთარაძის მიერ.

სტუმარს ამ წამლის შოვნაში დახმარებას რომ აღუთქვამდა, ქართული წესის კვალობაზე, გაშლილ სუფრასთანაც მიიწვევდა და არაფრისდიდებით არ გაუშვებდა, მიუხედავად მისი დიდი უარისა.

მასპინძელიც და სხვა სტუმრებიც დაძაბულნი მიაჩერდებოდნენ თედოსაც და შემოსწრებულსაც. რა ხდებოდა მაინც... ნეტა მისტიკა იყო თუ?.. თეატრალურ სცენაზე აღმოჩენილიყვნენ ყველანი ერთად მახვილგონივრული დრამატურგიული ჩანაფიქრის წყალობით თუ რომანის სიუჟეტი თვითონვე გადმოსულიყო რეალობაში?..

განა ეს ორნიც დაძაბულნი არ იქნებოდნენ და კიდევ უფრო მეტადაც? მაგრამ თედოც და პლატონიც თავს დაიმორჩილებდნენ და უკვე სავსებით დამშვიდებით დაიწყებდნენ ძალდაუტანებელ საუბარს.

„თითქოს ძველი, დიდი ხნის უნახავი კეთილი ნაცნობები იყვნენ!..“

ჯერ პლატონ მიქაბერიძე გამოემშვიდობებოდათ.

შემდეგ უკვე თედოც, გამოთხოვებისას რომ ეტყოდა მასპინძლებს:

— პირისპირ სალაპარაკოდ 1907 წლის შემდეგ აღარ შევხვედრივარ... და... ასეთი საოცარი დამთხვევის პირობებში?.. ჩემთვის სხვას რომ ეამბნა მსგავსი რამ, არ დავიჯერებდი.

გაიღიმებდა თავისი საოცარი ღიმილით, ერთბაშად რომ ცვლიდა ხოლმე. და შეჰპირდებოდა:

— რაკილა ასეთი ფატალური შეხვედრის მოწმენი გახდით, მომავალ სამშაბათს მოგიყვებით დღეს დაწყებული ამბის დასასრულს.

არ უნდოდა სახელდახელოდ მოეყოლა მცხეთის სადგურში პლატონთან ის მოულოდნელი გადაყრის ამბავი, ციმბირიდან გამოქცეული ტფილისიდან ბათუმისაკენ რომ მიეშურებოდა ცოლშვილის მოსანახულებლად საზღვარგარეთ გადახვეწის წინ.

„როგორ, კიდევ რაღაც უცნაურობა შემთხვეოდათ?..“

წარმოიდგინეთ, რარიგი გულისფანცქალით დაელოდებოდნენ კვირის ჩავლას, ისედაც აჩქარებულის, თედოსათვის რომ მთლად გადაელვებულივით გამოიყურებოდა: რა არის ეს წუთისოფელი, განა რამეს დაგაცდის, ეს ანდაზები მაინც მიმაყვანინოს ბოლომდე ისე, როგორც განვიზრახეო...

ქალაქია დღე რას ნიშნავდა?

რას და: დაუსრულებელ, გრძელ, დიდ დღეს.

ნიკო ლომოურიც გვიდასტურებს, პერსონაჟს რომ ათქმევინებს: ე გოგო უფრო მეცოდება, ამ **ქალაქ დღე** სუ ეგრე უზის გვერდზე და განუწყვეტლივ დასტირის ზედაო.

რატომ და: რაკილა ქალაქი გვიქვია ერთად და ბლომად შეგროვილი და ქუჩების წესზე განრიგებული სახლებისათვის, აქედან ქცეულიყო ეს სიტყვა ყოველი სიმრავლისა და სიდიდის გამომხატველ ცნებად.

ქვა ქვაზედ ნუღარ დარჩებაო — რას გულისხმობდა?

რას და: ყველაფერი შეიმუსროს, განადგურდეს, დაიმსხვრეს, სავსებით დაინგრესო.

აგერ ილია ჭავჭავაძე ლუარსაბ თათქარიძეს ათქმევინებდა: თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ, ბოდბელისა არ იყოს, **ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო**.

ივანე ბუქურაული კი ლეკთაგან თუშეთში ბევრი ცეცხლისა და მახვილის შეტანას რომ ახსენებდა, დასძენდა: ბევრი სოფლის **ქვა ქვაზედაც არ დაუნარჩუნებია**, მაგრამ ამ ხალხის სიმტკიცე ვერა და ვერ დაუჩაგრიაო.

რატომ და: ამ საშინელი წყევლის ფორმულას ჯერ კიდევ სახარებაში რომ ვხვდებოდით, ქართულ მეტყველებაში ეს წყევლა განსაკუთრებით პოპულარული გახდებოდა მას შემდეგ, რაც ბოდბელი (ქიზიყში) მიტროპოლიტი იოანე(მაყაშვილი) გამოიყენებდა XIX საუკუნის დამდეგს, სულთმობრძავთან რომ მივიდოდნენ და სთხოვდნენ: მეუფეო, სიკვდილის წინ დალოცე საქართველო და შენი სულიერი სამწყსოო, — ბოდბელი კი მიუგებდა: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ დარჩენილაო... გაზეთი „სახალხო ფურცელი" (1915, №284, 19/V) თავისი კორესპონდენტის პირით ამ სიტყვებს მიაკუთვნებდა ანტონ კათოლიკოსს, მაგრამ ხალხში ბოდბელის ნათქვამად მიაჩნდათ და... უკეთეს მოწმედ ვინ შეიძლება მოეხმო თედოს, თუ არა ილია ჭავჭავაძე?!.

ქვის გადაბრუნება როგორ უნდა გაგვეგო?

როგორ და: დაზარალების აშორება თავიდან, მოსალოდნელი სიავის აცდენა.

აგერ გიგო ხეჩუაშვილის პერსონაჟი მღვდელს რომ დაინახავდა, ცხენიდან ჩამოხტებოდა, ქვას გადააბრუნებდა და ისევ მარდად ამხედრდებოდა.

რატომ და: ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მღვდელი სულიერი მამა გახლდათ თავისი მრევლისა, წარმომადგენელი სიკეთისა, სათნოებისა; დავალებული ჰქონდა ეზრუნა სულიერ შვილთა ზნეობისათვის სააქაო ცხოვრებაში; და ზრუნავდა საიქიო ცხოვრებაშიც მათი კეთილად მოწყობისა და საუკუნო ნეტარების დასამკვიდრებლად.

მაგრამ ხალხი მღვდელს, ამ ღირსებათა მხარდამხარ, მიაკუთვნებდა იმ თვისებასაც: მღვდლის შეხვედრა დილით, შინიდან

ახალგამოსულზე ცუდად რომ ჰქონდათ დაცდილი — მოელოდნენ მის მიერ დანავსვას, ვნებას, მატერიალურ დაზარალებას.

ამის მიზეზი იქ იმალებოდა, თანამედროვე მღვდელი პირდაპირი შთამომავალი რომ გახლდათ პირვანდელი ქურუმისა, რომელსაც კავშირი ჰქონდა როგორც კეთილ, ისე ბოროტ სულებთან და მათ მოქმედებაში მაგია, თვალთმაქცობა რომ ჭარბობდა, უმთავრესად ამით გადიოდნენ ფონს.

მღვდელშეხვედრილ მგზავრს ხელში მოხვედრილი პირველივე ქვა ერთი მხრიდან მეორეზე ამიტომ უნდა გადაებრუნებინა, ხიფათი თავიდან ასცდენოდა; ნავსი, მღვდლისაგან წამოსული, ვიდრე ადამიანს მოხვდებოდა და ავნებდა, მოხვდებოდა ქვის ზედაპირს, ხოლო რაკიღა ეს ზედაპირი ქვისა ქვეშ მოექცეოდა და დაიფარებოდა, მასთან ერთადვე ქვეშ მოექცეოდა „ცუდი თვალიც“ ნავსი მღვდლისა, ან ამნაირად გზაკვალი აერეოდა, ქვის ზეგავლენით ჰკარგავდა მავნებლობის ყოველგვარ ძალას და მიზანს ვეღარ მიაღწევდა.

ცხადია, აქ როლს თამაშობდა საზოგადოდ ძალა, პირველყოფილი ადამიანის მიერ ქვას რომ მინიჭებოდა ჯერაც იმ უხსოვარი დროიდან, როდესაც ყოველგვარ მტერთან საბრძოლველად და ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად იარაღი ქვისაგან მზადდებოდა.

და ამიტომაც ადამიანი ბუნებრივად გაიხდიდა ქვას თაყვანისცემის, კულტის საგნად (ლითოლატრია).

ქართლშივე იმავე მღვდელთან შეხვედრისას ცდილობდნენ გაეტეხათ ნემსი და გადაეყარათ მღვდლის მიმართულებით როგორც სიმბოლო იმ აზრისა: ვითარცა ეს ნემსი გატყდა და გამოუსადეგარი შეიქნა, ისე გატყდეს შენს მიერ გამოსროლილი ნავსი და წაერთვას ყოველი ძალაო. თან დაატანდნენ: შენიანი მოიკითხეო! ვითომდა, რაც სიავე ჩემთვის გემეტებოდეს, შენიანს მიერგუნოსო.

ფსიქოლოგიური საფანელი, ადამიანის ფსიქიკაში ღრმად ჩაფესვილი ახალი დროის კვალობაზე კიდევ უფრო გამკვეთრდებოდა, მესამედასელები უკვე მონდომებით რომ შეუდგებოდნენ სამღვდელოებისათვის სახელის გატეხას, შემდეგ მენ-

შევიკური და კიდევ უფრო სასტიკად — ბოლშევიკური ხანა მთლად რბევაში მოაყოლებდა ეკლესიასაც და მის მსახურთაც და უამრავ ადამიანს აურევდა თავგზას. ასე გადაიქცეოდა ქურუმთან დამაკავშირებელი იდუმალი, გაუცნობიერებელი ძაფი სასულიერო პირთა ისედაც გაუსაძლისი ყოფისათვის კიდევ ერთ დამამძიმებელ გარემოებად.

რასაკვირველია, ამ ვითარების ირგვლივ ლექსიკონში სიტყვაც აღარ დაიძვროდა, თუმც თედო სახოკიას ეიმედებოდა, რომ გადაივლიდა ჯოჯოხეთური ჟამი და ამ ხატოვანი გამოთქმის განმარტებას რაიმეს დამატება აღარც დასჭირდებოდა, მღვდლისადმი დამოკიდებულება სრულიად რომ შეიცვლებოდა და ეს თქმაც ისტორიას უფრო შემორჩებოდა, ვიდრე რეალობას.

ყბადაღებული-წყალწაღებული ამბავი რაღას ნიშნავდა?

რას და: სასაცილოდ აგდებულს, გაბასრულს, გაბახებულს, გაქირდულს, შერცხვენილს, გაკიცხულს, გაწბილებულს, მასხრად აგდებულს.

ამ სათაურით ერთ დროს ილია ჭავჭავაძის სახუმარო ფელეტონები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ჩვენი ცხოვრების დღიურ საჭირბოროტო კითხვებზე და მკითხველთა შორის დიდი გასავალიცა ჰქონდა.

ორშაბათის ყეინი რაღას გულისხმობდა?

რას და: მასხარას, ბერიკას, ჯამბაზს.

და ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკიდანაც დაიმოწმებდა სტრიქონებს: ტირაცუა ვანუა და მისი ტოლ-ამხანაგი ყეინი ზიილი იმ ნაზუქამდე არ მიუშვიათო, — და ბელეტრისტიკიდანაც: ხმლის პირი ზედწამოცმული ვაშლით რომ ამოღებული სჭეროდა ლუარსაბს, თავიდან ფეხამდინ **ორშაბათის ყეინი** იქნებოდაო.

რატომ და: ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ თბილისში იმართებოდა ყეინობა. დიდმარხვის დიდ ორშაბათს ხალხი აირჩევდა საყეინო კაცს, ყეინად მორთავდნენ, აქლემზე შესვამდნენ, ხელში ამოღებულ ხმალს დააჭერინებდნენ, ზედაც ვაშლს წამოაცვამდნენ, ერთი კაცი ქვეითად გაუძღვებოდა და ქალაქის ქუჩებს შემოატარებდნენ. ამ კაცს საკუთარი თავი მართლა ყეინად მიაჩნდა, სხვანი ვითომ მისი ქვეშევრდომები იყვნენ. მაყურებლები იცი-

ნოდნენ, ამასხარავებდნენ, საღამოს აქლემიდან ჩამოაგდებდნენ და გააძევებდნენ. ეს იყო ერთგვარი მოგონება თბილისის გამაოხრებელი ყეინისა, რომლის სახელიც — **ორშაბათის ყეინი** — მერე ხატოვნად დაერქმეოდა ყველა მასხარასა და ჯამბაზს.

ჩემს ხელთაა როგორღა უნდა გაგვეგო?

როგორ და: მე ვარ პატრონი (რისამე), ჩემი საკუთრებაა, არავის დავანებებ; შემიძლია რისამე გაკეთება, რასმე ვეუფლები.

აქეთ ავქსენტი ცაგარელი მოიმარჯვებდა: ქორწილი მაგათი კი არა, ჩემია, კარგა მოუთაროვებ კიდეც, სახლი ჩემ ხელთ არისო; იქით — ლავრენტი არდაზიანი: განა მე-კი არ მეშურება, განა მე-კი არ ვიტანჯები, განა ვერა ვგრძნობ შენსა ტანჯვასა! მაგრამ რასა ვიქ, **ჩვენს ხელში** რომ არა არის რაო.

რატომ და: პირველყოფილი ადამიანისათვის ხელი იყო მტრის შეპყრობის, მისი მორევისა და დამარცხების იარაღი; იგივე იყო წართმევისა და მიკუთვნების იარაღიც; რაკი ხელში ჩაიგდებდა რაიმეს, რაკი ხელში მოიქცევდა, მერე შეპყრობილი საგნის პატრონად ის ითვლებოდა, სხვას „ხელი არა ჰქონდა“ იმ საგანზე, და ძალით თუ მოუნდომებდა ვინმე წართმევას, „ხელიდან გამოცლას“.

ჩვენი(ს) **წყლისაა** რას ნიშნავდა?

რას და: ჩვენებურს, ჩვენი მხრისას, ჩვენი ქვეყნისას.

სანიმუშოდ თუნდ აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსის სტრიქონებიც იკმარებდა: რად ვხოცდით ბარის ღილღვლებსა, თემია **ჩვენის წყლისაო**.

რატომ და: როდესაც გვსურდა, აღგვენიშნა ჩვენი სადაურობა, ადგილი, სადაც დავიბადენით და აღვიზარდენით, ვამბობდით: ჩვენი მიწა-წყალი აქა და აქ არისო. აღვნიშნავდით მიწას, მაგრამ ამ მიწას დავატანდით წყალსაც. თუ სამოსახლო მიწას წყალი არსაიდანა ხვდებოდა, ახლოს არა ჰქონდა, ასეთი მიწა თუ სულ უფასური არა, ნახევარი ღირებულებისა მაინც იყო... უწყლო მიწა ადამიანის სამოსახლოდ ქართველთათვის წარმოუდგენელი იყო. და აქედან ცხადი ხდებოდა, თუ რატომ დარქმეოდა მიწა-წყალი ადგილს, სადაც დავბადებულიყავით და სადაც სიცოცხლის დასრულების შემდგომ ჩვენი ძვლები უნდა მიჰბარებოდა.

აღსანიშნავია, რომ ხევსური და საერთოდ ჩვენი მთის მოსახლეობა უფრო შორსაც მიდიოდა ცნება „სამშობლოს“ განმარტებაში. ხევსური სამშობლო ადგილს **წყალს** უწოდებდა და ეს წყალი ყველაფრის შემცველ ცნებად წარმოდგებოდა, წყალი მისთვის ყველაფერს ნიშნავდა.

დაწვრილებით იხილე სიტყვა: წყალიო, — მიგვითითებდა ლექსიკოგრაფი თუ რომან-ლექსიკონის ავტორი ამ განმარტების ბოლოს, მაგრამ დაწვრილებით კი ვეღარ ამოვწერთ იმ ბუდეში გაერთიანებულ სტატიას.

ორიოდ ფრაგმენტად კი:

ეს სიტყვა ხატოვნად გულისხმობდა ქვეყნის დამამშვენებელს, მოხდენილს, საამოს, გაჭირვებისაგან მხსნელს, შვება-ლხენის მომნიჭებელს, პატიოსნებას, სინდისიანობას, ბედნიერებას.

იქ რუსთველური: მოუბარი წყლიანიო, და — ჩემი სოფლისა წყალიო; აქ — ხალხური სტრიქონი: პირზე არა აქვს წყალიო; და კიდევ ილია ჭავჭავაძისა — ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვაო.

ილია უხსოვარ დროდ სახელდებულ ხანას ქართველთა წინაპრების მიერ მდინარეების — ტიგროსისა და ევფრატის — სიახლოვეს არსებულ პირველ სავანესთან რომ აიგივებდა, თედო სახოკია სავსებით იზიარებდა ამ შეხედულებას და დასძენდა, რომ წყალი მარად საძებრად, მარად ნატვრის საგნად გვქონდა გადაქცეული. ამას ამტკიცებდა ჩვენს ენაში დარჩენილი ამდენი სიტყვა, წყლისაგან წარმოებული, და თვით ის უდიდესი მნიშვნელობა, წყალს რომ ბუნებრივად მინიჭებოდა.

სამაგალითოდ გამოდგებოდა თუნდ: **სიწყალული** — სიბრალული; **წყალობა, მოწყალება** — სიქველე, მფარველობა, გულკეთილობა, სვიანობა, ლმობიერება; **მეწყალვის** — მებრალვის, მეცოდება; **უწყალო** — ულმობელი, გულქვა, შეუბრალებელი; **უწყალო** — ღარიბი, უქონელი, გაჭირვებული, უპატრონო; **წყლიანი სიტყვა** — სინდისიანი, ლამაზი სიტყვა; **საწყალი, საწყალობელი** — შესაცოდებელი, საბრალო, უპოვარი, ხელმოკლე; **მიწყალე, შემიწყალე** — შემიბრალე, მომხედე, მილხინე, გაჭირვებისაგან მიხსენ; პირგასაწყვეტი — უნამუსოდ დასარჩენი...

სიტყვა „წყალი“ ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი დალოცვის ფორმულაშიც შედიოდა, როგორც მთავარი საგანი. როდესაც ქართლ-კახეთში ახალგათხოვილ ქალს, უკვე გაბედნიერებულს, სურდა თავისი მეგობარი, გასათხოვარი ქალი დაელოცა და მისთვისაც ენატრა მალე გათხოვება, ეუბნებოდა: **ჩემი წყალი გადაგესხასო!**.. „წყალი“ ამ შემთხვევაში გამოხატავდა ბედს, იღბალს, ანუ: როგორც მე გავთხოვდი და გავბედნიერდი, შენც ისე გათხოვილიყავ მალე და გაბედნიერებულიყავიო...

ქრისტიანულ სარწმუნოებაში დიდ როლს თამაშობდა წყალი: ნათლისღება აკი წყლის შემწეობით ხორციელდება. თვით იესო ქრისტემ ამ წყლით ნათელიღო. მოსანათლავი, — სარწმუნოების თანახმად, წყლის მეშვეობით იშორებს ყოველგვარ მწიკვლოვანებას, ჩვენთა პირველ წინაპართა — ადამ და ევას — ბიბლიურ ცოდვას, იჯმნის ეშმაკისაგან, განაგდებს სატანას, შეუდგება ქრისტეს, დაადგება სასუფევლის გზას...

ერთი სიტყვით, წყალს სარწმუნოებაში ენიჭებოდა თვისება განკურნებისა, განწმენდისა, ცოდვათა მიტევებისა...

ახალწლის დილას სამეგრელოში მეკვლე უთენია მიდიოდა წყაროზე, ხმას არავის გასცემდა, ისე წამოიღებდა დოქით წყალს და ამ წყალს, როგორც ბედნიერებისა და უხვების მომტანს, მოასხამდა სახლსა და ბოსელ-საღორე-საქათმეში.

შურის კვირაში (დიდმარხვის დაწყებამდე სამი კვირით ადრე) მლაშე ბედისკვერნაჭამ გასათხოვარ ქალებს თუ საცოლე ყმაწვილებს სიზმრად მოეჩვენებოდათ თავიანთ საბედოთა მიერ მოწოდებული სასმისები, წყლით სავსენი, და ამ სასმისთა (ხირკა იქნებოდა თუ ჭიქა) საშუალებით შეიტყობდნენ საბედოთა ჩამომავლობას: გლეხისა — ხირკათი, თუ კეთილშობილისა, აზნაურ-თავადისა — ჭიქით.

სამურზაყანოში მწყემსები, ზაფხულობით მთას რომ ააკითხავდნენ ხოლმე თავიანთ საქონლიანად, იქაურ წყაროებში ტანს არ იბანდნენ, რათა წყალი არ შეებილწათ, არ გაეუწმინდურებინათ, და წყლის რისხვა არ გადმოვლენოდათ თავზე.

ლექსიკონში აღარ იყო ამის ადგილი და აღარც თედო ჩაურთავდა იმ დეტალს, არაერთხელ რომ წამოტივტივებია მეხსიე-

რებაში და „მოგზაურობანში" კიდეც შეეტანა ის საყვედური, სამურზაყანოელ მწყემსებს მოკრძალებით რომ შეეკადრებინათ მისთვის: ხშირი ნისლი იმის ბრალია, რომ ბანაობას არ ერიდები და შიშველ ტანს მთას უჩვენებო.

მაშინ ამ საყვედურს მარტოდენ მთის კულტით ახსნიდა, მთისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემით, და აგერ საცნაური ხდებოდა, რომ თურმე წყალსაც ეკრძალვოდნენ ის მწყემსებიც, ეგაა, ეს ველარ შებედეს: წყაროს წმინდა წყალი უნებურად შეგვიბილწე თუ გაგვიუწმინდურეო.

წყალში ყოველი ჩასვლისას თითქოს ხელახლა რომ იბადებოდა, თურმე მწყემსთა მსოფლგანცდას ხელყოფდა უნებლიეთ და თავს გაუწყრებოდა, წინასწარვე უნდა გამოგერკვია აქაური რწმენა-წარმოდგენები, მაშინ ხომ ამ უხერხულობას აირიდებდიო.

ენის წიაღში ჩაფლული ხატოვანი სიტყვა-თქმებითაც მიიკვლევდა გზას მითოსისაკენ და წყალი მეგრულ მესეფობასაც ძალდაუტანებლად წამოაგონებდა — ზღვიდან ამოსვლას მესეფებისა ანუ ქონდრის-კაცუნებისა. ეს ამბავი ემთხვეოდა შემოდგომას, როდესაც ჭირნახული ჯერაც დაუბინავებელი ჰქონდა გლეხკაცს და წვიმა და სინესტე ისედაც ნესტიან მხარეს არამცთუ არ ესაჭიროებოდა, არამედ ძალიანაც აზარალებდა წყალდიდობითა თუ ადამიანთა მისვლა-მოსვლის შეწყვეტით... შავი ზღვის ნაპირას მცხოვრებ მეგრელთა რწმენით, ზღვიდან ხმელეთზე დროებით ამოდიოდნენ მესეფენი და თან ამოჰქონდათ ტროპიკული, გადაუღებელი, კოკისპირული წვიმები, რომლებიც ადიდებდა მდინარეებს და ხშირად გლეხს სარჩო-საბადებელზე ცარიელსა სვამდა.

რაოდენ მძაფრი და შემძვრელი გახლდათ ის მითოსური ხილვანიც, მთვარიან ღამეებში წყაროების პირას რომ უყვარდათ ალებს, ანუ ტყის მეფეთ თავიანთ უმტვერო თოვლივით თეთრ და გამოქანდაკებულ ტანზე გადმოშლილი გრძელი თმის ვარცხნა და დაღამებულ მგზავრთა შეცდენა, თორემ ცხენს რომ აღვირს უჭერდნენ და მორევში ითრევდნენ დასახრჩობად, ესეც დაგვიანებულ მგზავრთა მწარე ხვედრი გახლდათ.

მითოსი კიდევ ცალკე იზიდავდა წყლის გრძნეული სულივით, უბიძგებდა ხილვათა მორევისაკენაც, მაგრამ ყველაფერს ვეღარ გასწვდენოდა, სამაგიეროდ, იქ მისასვლელ ბილიკებს მტკიცე ნაბიჯით მიჰკვალავდა და, ამდენი მასალა რომ დაყრობოდა თავზე, თანდათანობით აწესრიგებდა და შესაფერის ფორმაშიც მოაქცევდა, ეთნოგრაფიულ ნარკვევთა ჟანრულ ჩარჩოებსაც რომ ამსხვრევდა და ლექსიკონებისაც, ჭეშმარიტი სტილისტის ძალმოსილებით ღრმა მეცნიერულ ძიებათა და აღმოჩენათა ფონზე მომხიბლავი მინიატურებისა და ნოველების მკითხველებადაც რომ გვაქცევდა, სულაც მოზაიკური აღნაგობის რომანის მკითხველებად.

მსგავს ექსპერიმენტს პოსტმოდერნისტული რომანიც ჩაატარებდა, ლექსიკონის სტრუქტურას ფორმად რომ მოიშველიებდა და ამ უჩვეულო, გონებამახვილურ ქარგაზე გაშლიდა თხრობას: მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვისკონა“ — იმ გულისტკივილითა და განგაშით აღსავსე, რომ ქრებოდნენ ენები, ერები ქრებოდნენ და ამ საშიშროების წინაშე კვლავაც მწვავედ იდგა კაცობრიობა — ახალ-ახალი ფერი რომ შეიძლება მოჰკლებოდა ისტორიის გზასავალზე, ნიშანდობლივი და აუცილებელი. და დროის კვალობაზე როგორც უნდა განელდეს ცნობისწადილი ამ რომანის მიმართ, ლიტერატურის ისტორიას მაინც შერჩება საგულისხმო მხატვრულ მიგნებად.

თედო სახოკია რომ მოსწრებოდა ამ ექსპერიმენტს, უთუოდ მოიხიბლებოდა ფორმის არჩევითაც და მხატვრული მრწამსითაც, ერებსა და ენებს მოკავშირედ რომ მოვლენოდა მსოფლიო გლობალიზმის ხანაში, შთანთქმით რომ დაემუქრებოდა ენებსაც და ერებსაც, და თავგანწირული ბრძოლა გჭირდებოდა ამ საფრთხის ასარიდებლად, მითუფრო — მცირერიცხოვან ქვეყნებს, ჯერაც რომ ვერ მოგეკიდებინა ფეხი თანასწორად სხვა ერთა შორის.

ამ დიდი ბრძოლის მონაწილედ დაგვეგულებინა თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანიც“, ვრცელი ლექსიკონიც და ანდაზებიც, პოსტმოდერნისტული რომანის ადეპტებიც უთუოდ რომ აღტაცდებოდნენ ამ თხზულებათა გაცნო-

ბით, ჯერ კიდევ როდის მიუმართავთ ქართველებს ამ ფორმისათვის რომანისტიკაშიო. და უსათუოდ დასძენდნენ: არადა, ეს პოსტმოდერნიზმიც რაოდენ მოქნილია, ყველაფრის მორგება რომ შეუძლია უმტკივნეულოდო.

თედო სახოკიას სულ სამწერლო ექსპერიმენტის დარდი არა ჰქონდა!..

არც ლექსიკოგრაფიაში დაგიდევდა ექსპერიმენტებს, თავისთავად გამოვიდოდა ასე, ჩარჩოები ერთბაშად რომ მოერღვეოდა სიტყვათა განმარტებების დადგენილ ფორმას და აგერ გიორგი შატბერაშვილსაც სავსებით დაარწმუნებდა ამგვარი რღვევის აუცილებლობასა და „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ ისეთნაირ აგებაში, დღესდღეობით პოსტმოდერნისტული რომანისაგან რომ ვეღარც გაგვირჩევია, და ეს იმიტომ, ყოველივე ბუნებრივ ფესვზე რომ ამოიზრდებოდა სულხან-საბას ორივე მემკვიდრისათვის და კვლევა-ძიება თვითონვე გიბიძგებდა, ის გზაც გადაგეშალა მკითხველის თვალწინ, განმარტებამდე თუ ეტიმოლოგიამდე რასაც მიეყვანე. როდესაც შეგეძლო ცოცხლად და ექსპრესიულად შემოგეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ძიების ლაბორატორიაც თავისი ათასფერადი ნიუანსებით, საამისო შემთხვევა ხელიდან რატომ უნდა გაგეშვა?!.

რომანის ფორმა ილანდება თუ სულაც იკვეთება იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონშიც“, თედო სახოკიასაგან დამოუკიდებლად რომ ადგენდა და მასალა თანდათან ისეთ სახეს იძენდა, რომანივით საკითხავადაც რომ გამოდგება, ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონისა“ ლექსიკონისა არ იყოს, ისიც რაღაც ამგვარ განსაზღვრებას რომ მოითხოვს — რომანივით საკითხავიო.

აქეთ მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვისკონაც“ ეცოდინებოდა ლევან ბრეგაძეს და იქით თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანიც“, თავის ლექსიკონს მასაც რომ შეუდარებდა, ხოლო ამ ორიგინალური წიგნის — „ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“ — შედგენა-კომენტირებისას გზამკვლევად პირველ ყოვლისა თუ რაიმეს მოიმარჯვებდა, სწორედ თედო სახოკიას ამ ლექსიკონს, გადავსებულს დიდძალი ეთნოგრაფიული

მასალით, წამდაუწუმ რომ დაისაჭიროებდა მის მითითებას ნიშნებად, ტაბუდ თუ რჩევებად დალაგებისას ცხოვრების პოეტური გამონათებებისა, რატომღაც ცრურწმენებსაც რომ ეძახდნენ და ყველა ვერ ჩასწვდომოდა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შეხედულებას, ეს „ცრურწმენა“ ადამიანის არსების ნაწილად რომ მიაჩნდა, და ცდილობდა დაერწმუნებინა სკეპტიკოსები, ნურასოდეს გეგონებათ, რომ სავსებით განდევნეთ იგი, იცოდეთ, აღმოჩნდება, მას თურმე საოცარზე საოცარი კუთხე-კუნჭულებისათვის შეუფარებია თავი, საიდანაც ისევ გამოძვრება, როგორც კი რამდენადმე უსაფრთხოდ იგრძნობს თავსო.

ცხოვრების პოეზია ბევრგვარად იჩენდა თავს თედო სახოკიას ნაწერებში და ან ეს მხარე როგორ გამორჩებოდა, ცრურწმენის გალიაში გამოჭედილი, არადა...

ჩემთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინეო...

რაღაცას მოასწრებდა.

რაღაცას — ვეღარც.

და ის ყოველივე უკვე მასალად რჩებოდა, ძვირფას მონაპოვრად, თავისი დრო მასაც რომ დაუდგებოდა ადრე თუ გვიან, გამოკვეთილიყო ბენიამინეს კონტურები, თუმც იმ სრულყოფილებას ჯერაც აკლდა, თვითონ როგორც ეოცნებებოდა... თავს არ იზოგავდა და სიკვდილთან გამოთამაშებასაც აღარ მოერიდებოდა, მხოლოდ ნაბიჯი რომ დაუმოკლდებოდა, თორემ სხვა მხრივ არ დაიტყობდა წელთა სიმრავლეს.

ენის უძირო წიაღში ჩაყურყუმელავებულიყო, მინდობილი ლექსიკონის მუსიკას, თავშეფარებული გარდასულ დროთა მელოდიებს, ჩამტკბარი და ჩაყუჩებული, მითუმეტეს, ყოფით რეალობაში ბევრი არაფერი მოიძებნებოდა სულის მოსათქმელი.

* * *

ნიკო ლომოურმა მაინც რა საოცარი ქართული იცოდაო, — იმის ლანდს შეჰყურებდა ხოლმე ერთბაშად გადაცისკროვნებული, მხნეობით რომ ივსებოდა, — რომ მელაპარაკებოდა, თითქოს ტკბილს რასმე მუსიკას ვისმენდი, არა, ვერავის შევადარებ ვერც ჩვენში და ვერც უცხოეთშიო...

ლანდები აუბორიალდებოდნენ თვალწინ, ერთმანეთს შეხლართულნი თუ გამოხსნილნი, კანთიელნი თუ მობურუსებულნი... ვინ როგორ... და მოგონებებში რომ ჩაიძირებოდა, რალაც ხმას უნდა გაეკვესა და გამოეფხიზლებინა: შენთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინეო...

თავმოსაყრელი გახლდათ მემუარები, რამდენიმე წიგნად დაფანტულნი, ამოვსება და შეკვრა რომ ენებათ და ერთ ვრცელ თხრობად გაშლა-გამოქანდაკება, მაგრამ დაე ყოფილიყო ისე, როგორც დაწერილიყო, დამოუკიდებელ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებად, მკითხველის ცნობიერება რომ გაამთლიანებდა.

ჯერ ბენიამინე ითხოვდა თავისას, მუსიკის ჩქერალში რომ ხვევდა და სამოქმედო არეალსაც შემოურკალავდა იმ გარდასული მელოდიებით...

თავი მეთექვსმეტე

ვის ვეახლოთ სააღსარებოდ?

ოთახს ილია ჭავჭავაძის უზარმაზარი პორტრეტი გადმოჰყურებდა.

თამარ მეფისა და დიმიტრი ყიფიანის პორტრეტებითაც გამშვენიერებულიყო, ოღონდ ეს უკვე სხვა კედელი, საიდანაც ჯუზეპე გარიბალდი და გი დე მოპასანი იმზირებოდნენ.

და კიდევ შიო არაგვისპირელის, ვასილ ბარნოვისა და ალექსანდრე მიქაბერიძის გრაფიკული პორტრეტებითაც, თედო სახოკიას საგანგებოდ რომ შეეკვეთა მხატვრისათვის — იყო ასეთი, გიორგი ფეკლისტაშვილი, რომელსაც უახლოეს მეგობართა ფოტოსურათების გრაფიკული ასლები გააკეთებინა და საწერი მაგიდის თავზე ჩამოჰკიდა.

საწოლის თავთან ცოლოურის საგვარეულოს დამონტაჟებული სურათი ემჯობინებინა (სიმამრის — „ბლალოჩინი" დეკანოზის ანტონ კეკელიას და მისი ცოლ-შვილის (რვა შვილის!) ოვალური ფოტოები, ერთ დიდ ჩარჩოიან სურათად გაერთიანებული.

მაგრამ ილია მაინც...

თითქოს კავკასიონის ქედზე გადმომდგარიყოს, „აჩრდილის" მოხუცისა არ იყოს, ერის სახებად რომ გაესიმბოლოებინა, მის უკვდავ სულად, მაგრამ შთამომავლობა თვითონ ილიას იგულისხმებდა ამ პერსონაჟში.

უზარმაზარი პორტრეტი მიგანიშნებდათ, რომ ოჯახის პატრონს ეს პიროვნება რაღაც განსაკუთრებული და უღრმესი სიყვარულით უნდა ჰყვარებოდა.

შვილიშვილი ამ სახელის გარემოცვაში გაიზრდებოდა, ილიას ხსენება პაპას არასოდეს რომ არ მოსწყინდებოდა.

სხვებთანაც სულ „ილია“ ეკერა პირზე.

ალექსანდრე სიგუაც ირწმუნება: დღე არ გავიდოდა, მისი სახელი არ ეხსენებინაო.

ერთხელ თედო საგანგებოდ ჩამოუწერდა 1897 წლის „ივერიის“ ნომრებს (53, 61, 67, 75, 78, 80, 85-86, 88-93) და ეტყოდა:

— აქ ხელმოუწერლად დაბეჭდილი მოწინავე წერილები ილიას ეკუთვნის, წაიკითხე და გაიგებ, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე; ყოველი მისი მოწინავე წერილი, გარდა თავისი მებრძოლი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, წარმოადგენს მხატვრულ შედევრს. ქართული ენის მთავარი ძარღვი აქა სცემსო.

და გული აუბაგუნდებოდა ხოლმე, რადგანაც ილიას ყოველი ხსენებისას თავისთავად ამოდიოდა თვალწინ ის სცენა, სასამართლოს დარბაზში „ივერიის“ მდივანს რომ ელოდა, ანდა მისი შეურაცხმყოფელი სტატიის ავტორს — არტემ ახნაზაროვს, და... უეცრად თვით ილია ჭავჭავაძე რომ გამოეცხადებოდა მოპასუხის როლში.

„ივერიის“ წინააღმდეგ თედო სახოკიას მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის გამო ილია იმიტომაც შეწუხებულიყო, რათა შეთანხმებით მოეგვარებინა ყოველივე და ზედმეტად არ გახიახებულიყო, თორემ უკეთურ ადამიანთა ჩარევას, ვინ იცის, რა გამწვავება შეიძლება მოჰყოლოდა.

გაცნობით, ალექსანდრე სიგუას, წიგნის მაღაზიაში გაეცნო თედო სახოკია — „განათლებაში“, მის პატრონს, სილიბისტრო თავართქილაძეს, თავისი გამომცემლობაც რომ ჰქონდა; და მაშინდელი შეხედულებით სასახელო თაოსნობას გამოიჩენდა და შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ რომ გამოსცემდა იუსტინე აბულაძის რედაქციითა და შენიშვნებით, მოადევნებდა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომსა და იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიისა არ იყოს, „განათლების“ მაღაზიაც ერთბაშად გადაიქცეოდა ჩვენს მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა თავშეყრის ადგილად, ივანე ჯავახიშვილსაც რომ უნდა შემოევლო ხოლმე, ვასილ ბარნოვსაც, შალვა დადიანსაც, შიო მღვიმელსაც, ივანე გომართელ-

საც, ზაქარია ჭიჭინაძესაც, იუსტინე აბულაძესაც, ვასო აბაშიძესაც, ვალერიან გუნიასაც... და აბა, ამ გარემოს თედო სახოკია გამოაკლდებოდა?!

ალექსანდრე სიგუას, პოლიტკატორღელთა საზოგადოების წიგნის მაღაზიაში რომ მუშაობდა, „განათლების" მოპირდაპირე მხარეს, ხშირად უწევდა სტუმრობა თავართქილაძის მაღაზიაში, და იქ უნდა შეხვედროდა პირველად თედოს, ეს ნაუცბათევი გაცნობა კი საწინდარი გამხდარიყო მათი დამეგობრებისა, რასაც ხელს შეუწყობდა თედოს გაწევრიანება პოლიტკატორღელთა საზოგადოებაში და ხშირი ტრიალი მათი წიგნის მაღაზიაშიც.

იმხანად სწორედ ამ საზოგადოების ხელმძღვანელნი ჰპირდებოდნენ ციმბირული მოგონებების გამოქვეყნებას, მაგრამ რატომ არ მოხერხდა ამ გადაწყვეტილების შესრულება, ალექსანდრე დანამდვილებით ვერაფერს ამბობდა.

შემდგომ, როდესაც ალექსანდრე სიგუა სახელმწიფო გამომცემლობაში გადაინაცვლებდა და თედო იქ მიიტანდა გი დე მოპასანის „ფუნთუშას" თარგმანს, არა მარტო თვითონ თედო სტუმრობდა ხოლმე იქაურობას, არამედ ალექსანდრესაც არაერთხელ მიუტანია მისთვის ბინაზე წიგნის კორექტურა და... თავისდა მოულოდნელად იქ ნამდვილი მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი აღმოუჩენია, სავსე არქეოლოგიური ნივთებით, კაჟიანი დამბაჩებითა და უძველესი მონეტებით. ეს ძვირფასი ნიმუშები მაშინ მოეგროვებინა მასპინძელს, როდესაც საქართველოს კუთხეებში მოგზაურობდა.

თედოს ავადმყოფობა სულ უფრო რომ გაუხშირდებოდა?

სულ საწერი მაგიდისაკენ კი მიიწევდა და...

შესაძლოა, თუნდ ალექსანდრესათვის ეთქვა გაღიმებით:

— აი, იქ, მაგიდაზე დევს ჩემი მოგონება „ციმბირში" და მომაწოდე.

და რამდენიმე გვერდს რომ აფურცლავდა, უსათუოდ ცრემლი მოერეოდა:

— სოხუმი, ციმბირი, ბელგია, ბრიუსელი, ნეაპოლი, რომი, პარიზი, ლონდონი, სტამბოლი და ისევ ჩემი თბილისი, ვასო და შიო.

ამ ორ სახელს უნდა დაებოლოებინა ციმბირულ — და მასთან ერთად — ემიგრანტულ მოგონებათა უვრცესი გეოგრაფიული არეალის ტოპონიმიკური მწკრივი: ვასილ ბარნოვსა და შიო არაგვისპირელს.

1947 წელს თედო ალექსანდრეს სთხოვდა: ჩემი ავადმყოფობა აცნობე მწერალთა კავშირში სიმონ ჩიქოვანს, აგრეთვე ალექსანდრე აბაშელსა და აკაკი შანიძესო.

სიმონი სასწრაფოდ გამოაყოლებდა ექიმს, საღამოს კი ეს ოთხეული ერთად ეწვეოდა სნეულს და რარიგ გაახარებდა... სიმონს ამას მაინც განსაკუთრებულად სთხოვდა: ივან ვაზოვის რომანის („დამონებულნი“) გამოცემა დამიჩქარეო.

ერთხელ ბარათს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, კალისტრატე ცინცაძესთან, გაატანდა, თან დაარიგებდა:

— თუ ოთახის ფანჯრები დარაბებით იყოს დაკეტილი, უკან დაბრუნდი.

ოთახის ფანჯრები ღია დახვდებოდა და მის ფრთხილ კაკუნზე ჯერ მდივანი გამოხედავდა, მერე კათოლიკოსიც გამოჩნდებოდა და შინ შეიპატიჟებდა ალექსანდრე სიგუას.

რას არ გაიხსენებდა მასპინძელი, მაგრამ სტუმარს განსაკუთრებით ეს ნაამბობი უნდა ჩაბეჭდვოდა მეხსიერებაში:

— ორი თუ სამი დღით ადრე წიწამურის ტრაგედიამდე ილია შემხვდა პასკევიჩისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში, ყავარჯნით ხელში ნელი ნაბიჯით მიდიოდა ქვემოთ. როდესაც დავშორდი, თვალი მაინც გავაყოლე და შევნიშნე, რომ ფრეილინის ქუჩაზე შეუხვია. მგონი იმ ქუჩაზე მაშინ პეტრე უმიკაშვილი ცხოვრობდა. ილიას გადაშლილი შუბლი დღევანდელ დღესავით მახსოვს.

მერე კათოლიკოსი ალექსანდრესთან ერთად წამოვიდოდა თედოს მოსანახულებლად. თან წამოიღებდა მეგობრის მოგონებას ციმბირზე, თედოს წასაკითხად და აზრის გასაზიარებლად რომ ეთხოვებინა ხელნაწერი.

კალისტრატეს აზრი და შთაბეჭდილება კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ეს იქნებოდა:

— დიდებული მოგონებაა, ჩემო თედო, — ეს ცალკე წიგნად უნდა გამოსცე.

გადაიბადრებოდა ავადმყოფი:

— დიახ, უწმინდესო, ამის გამოცემას გიორგი ლეონიძე აპირებს და მთხოვა, ეს ციმბირული დღიური გავუგზავნო.

კალისტრატეს ესიამოვნებოდა ამის მოსმენა:

— გიორგი ლეონიძეს მეც დაველაპარაკები და ჩემს აზრს მოვახსენებ.

თედო სახოკიასთან შეხვედრა და საუბარი ალექსანდრესთვისაც ერთგვარი სკოლა რომ გახლდათ, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამასაც დასძენდა: მაგრამ არა ისეთი სკოლა, სადაც მასწავლებელი მოწაფეს მშრალად უამბობს ისტორიულ მოვლენებზე, არამედ თედო თვალწინ გიცოცხლებდა ამ მოვლენებსაც და ჩვენს მოღვაწეთა განუმეორებელ სახეებსაცო.

ერთი ხანობა ლამის ხელიც წასცდენოდა: ჩავინიშნავ და ეგ იქნებაო, — მაგრამ მერე ზედმეტად მიიჩნევდა: რა საჭიროა, წერა მაგას რომ ემარჯვება, იმისთანა უნდა, ჩემს მიერ ჩაწერილს მისივე ხელით შექმნილი მემუარები და ლიტერატურული პორტრეტები ბევრად ემჯობინებაო.

მაგრამ როდესაც გაეცნობოდა „ჩემი საუკუნის ადამიანებს", თედოს გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ დასტამბულს, იქ ვერ იპოვნიდა არაერთ დაწვრილებით ნაამბობს, ახლა უკვე რომ გაუძნელდებოდა აღდგენა და ფურცელზე გადატანა.

და საკუთარ თავს შეუწყრებოდა: რა იქნებოდა, ჩამენიშნა ყველაფერი და მაშინ ხომ აქ უნებურად გამოტოვებული ადგილებიც თავისთავად შეივსებოდა შესაფერისი კომენტარებისა თუ ექსკურსების დართვითო.

ან იმ დღეს რა დაავიწყებდა, თედო საგანგებოდ რომ წაიყვანდა ძველი თბილისის ისტორიული ადგილების მოსანახულებლად და არ გაუშვებდა, ვიდრე არ გააცნობდა მნიშვნელოვან ისტორიულ ადგილებს. მეფეთა სასახლეების, ზარაფხანისა და დაბახანის ისტორიას ისე დაწვრილებით მოუთხრობდა, ეს იფიქრებდა: ნეტა XX საუკუნის მწერალი და საზოგადო მოღვაწეა თუ XVII-XVIII საუკუნეების ისტორიულ ძეგლთა ხუროთმოძღვარიო.

და აღტაცებას რომ გაუზიარებდა მოსმენილით, ამასაც სთხოვდა:

— ბატონო თედო, რაც მიამბეთ, ეს ყველაფერი უნდა დაწეროთ და ჩვენი ახალგაზრდობა სიამოვნებით წაიკითხავს.

თავისებურად ჩაიცინებდა ულვაშებში თედო:

— კარგად ვყვებოდი, არა?

— დიახ, დიდებულად.

— აბა, მოგესმინა ივანე ჯავახიშვილისათვის და შემდეგ აღარ მეტყოდი ასეთ ქათინაურებს.

ამ თავისებურ ექსკურსიას რომ მოათავებდნენ, თედო უმცროს მეგობარს შინ წაიყოლებდა და „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორთან გიორგი ნატროშვილთან მოგონებას გაატანდა მოკლე ბარათთან ერთად, რომელშიც ასეთი ფრაზაც ჩაიწერებოდა:

— კარგად დააკვირდით, რამე საშარო არ გამოერიოს.

ამით აგრძნობინებს, რომ სულაც არ განაწყენდება, თუკი რედაქტორი რომელიმე პასაჟს შეარბილებს, ანდა ამოიღებს, რადგანაც თედოს არა სურს, იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს ცენზურასთან.

ნინო ნადირაძე ერთხელ უკვე რომ დაითანხმებდა კინოთეატრში წასვლაზე, 10 წლის თავზე კვლავ შეძლებდა მის დაყოლიებას და 1997 წლის ზაფხულში ძალისძალათი აჩვენებდა კინოფილმს „ბალერინას ბედი", და თედო ამ სურათსაც რომ მოიწონებდა, შეთანხმდებოდნენ, რომ ზუსტად ათი წლის შემდეგ, ანუ 1957 წელს, კვლავ ერთად სტუმრებოდნენ კინოთეატრს.

ეს წელი რომ მიიწურებოდა, 29 თუ 30 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე თედო სამსახურში მიადგებოდა აღელვებული.

— გამომცემლობიდან მოვდივარ, ეს წუთია, მივიღე ჰონორარი, გამოვიდა მოპასანის ნოველები. დღესვე უნდა ჩამოვუარო ყველა ახლობელს და, ვისაც სჭირდება, შევთავაზო საახალწლოდ ფული.

თედო სახოკიასაგან ამგვარი საქციელი გასაკვირი სულაც არ გახლდათ.

მართალია ნინოს ფული მაინცდამაინც არ ესაჭიროებოდა, მაგრამ იმდენს კი მოისაზრებდა და მოახერხებდა, რომ დიდი აღფრთო-

ვანებით მიიღებდა ამ წინადადებას, რათა არ გაენელებინა ის დიდი სიხარული, რასაც ეს დიდბუნებოვანი ადამიანი ამაში ხედავდა.

„რამხელა სიკეთე ამოქმედებს ამ 80 წელს მიტანებულ მოხუცს".

და საკუთარ თავზე გაეცინებოდა ნინოს, თედო სახოკიას თუნდ ფიქრში „მოხუცად" რომ მოიხსენიებდა: სულით ეს კაცი არც არასოდეს დაბერდება, ჩემთან აგერ მესამე სართულზე რომ ამოვიდა, ეს რა სათქმელია, როდესაც წინ კიდევ ნახევარი ქალაქის შემოვლა აქვს განზრახულიო.

თან ფულს უთვლიდა და თან იქვე მჯდომ ავადმყოფს თავისებური ღიმილით გადახედავდა:

— ქრთამს ვაძლევო.

გახუმრების საშუალებას ხელიდან როგორ გაუშვებდა!..

მეგობრის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს რომ სტუმრობდა ხოლმე და ამ წესს მტკიცედ იცავდა, ვიდრე ძველებური ჯან-ღონე მოსდევდა, ერთადერთი გამონაკლისი იქნებოდა სოლომონ ცაიშვილის ჩართვა ამ რიტუალურ ციკლში მას შემდეგ, ირაკლი გუნცაძე რომ გარდაიცვლებოდა. სიცოცხლის მიმწუხრზე სიარული რომ სულ უფრო გაუძნელდებოდა, შორს მცხოვრებ მეგობრებთან სტუმრობას მოუკლებდა და მხოლოდ ადვილად მისასვლელ ოჯახებს კმარობდა. ამის კვალობაზე ძველი განრიგიც შეიცვლებოდა და, სამშაბათობით უკვე თავისი ნათესავების — ხვედელიძეების — ოჯახში დაიარებოდა.

და ნინო ნადირაძე საგანგებოდ აღნიშნავდა სიახლეს თედო სახოკიას ცხოვრების უკანასკნელ წლებში, მომხიბლავ სურათად ჩარჩენილს მის ცნობიერებაშიც:

— ხშირად ნახავდით შვილიშვილთან შუქიასთან ერთად, რომელიც მისი ნაზი სიყვარული და მოხუცებულობის მშვენება იყო.

უზომოდ მოსიყვარულე პაპაო, — იპოლიტე ვართაგავა მხოლოდ ასე თუ დაახასიათებდა მის სიბერკაცეს, საკუთარი კერისადმი დიდი სიყვარული ახლა ასე რომ უნდა გამჟღავნებულიყო და თედო ერთიანად გადაგებულიყო შვილიშვილზე.

იპოლიტე შეანატრებს მკითხველს ასეთ თედო სახოკიას:

— უნდა გენახათ ამ პერიოდში!

ასეთს რას ზრუნავდა?

იპოლიტეს ეს არ შეეშლებოდა, რადგანაც უამისოდ სულაც არ უწოდებდა თედოს მზრუნველობას პირდაპირ განსაცვიფრებელსა და თან გულისამაჩუყებელსაც.

აგერ თედო უსწრაფესად გარბის.

— სად მიეჩქარები ასე?

— პატარა ბავშვს რძე უნდა ვუყიდო.

მისი სისწრაფე სპორტსმენისასაც კი მოგაგონებს, და მარათონში რომ მიიღოს მონაწილეობა, წინ არავის გაუშვებს, ჯანღონით სავსე ჭაბუკებსაც.

— რა ხდება, — მისძახი.

— პატარა ბავშვს მუცელი ასტკივდა, ექიმს უნდა ვკითხო რჩევა, — წამითაც არ ანელებს ნაბიჯს და სადღაც შორიდან თუ მოგესმის ეს ხმა.

დარბის, ფუსფუსებს და უკვე აღარც ეკითხებიან, რა მოხდაო, პასუხი ყველას წინასწარვე მოეხსენება.

დადგებოდა ის დროც, გარეთ რომ უნდა გამოეყვანა შვილიშვილი — აუცილებლად ხელიხელჩაკიდებული.

— ეს ბარტყიაო, — ხელზე უთითებდა შუქიას.

ნაცნობებისათვის ქუდის მოსახდელად ბავშვისათვის ხელის გაშვება დასჭირდებოდა ხოლმე?

ისევ ჩასჭიდებდა და:

— ბარტყი დავიჭირეო.

პაპასა და შვილიშვილს უამრავი რამ რომ აკავშირებდათ, მათ შორის... სამი თაგვის ზღაპარიც, ყოველღამე ერთად რომ თხზავდნენ და ახალ-ახალ გაგრძელებასაც უძებნიდნენ. მაინცდამაინც ამ ზღაპრის შეთხზვა იმას გამოეწვია, რომ შინ თაგვები ჰყავდათ და, თუმც უფროსები სულ ხაფანგის დაგებაში იყვნენ, თედო მუდამ ძლიერ თბილად მოიხსენიებდა ხოლმე მათ. საკუთარ სახელებსაც კი მოუგონებდნენ: რეზო, ჯენარო და ციალა. გოგონა მათ თავისი საბავშვო ბაღის ამხანაგებად მიიჩნევდა, ზოგს — უფროსი ჯგუფიდან, ზოგსაც — უმცროსიდან.

ერთი თუ ორი წლის განმავლობაში ამ ზღაპრითა და მისი უამრავი ვარიაციით იქცევდნენ თავს.

მოგვიანებით კი გოგონა აღმოაჩენდა, რომ თაგვებისადმი თედოს ასეთი იშვიათი და გულთბილი დამოკიდებულება უთუოდ ვაჟა-ფშაველას ნოველით — „სათაგური“ — უნდა ყოფილიყო შთაგონებული.

თედოს სულ რაღაც ცხოველები და ფრინველები რომ მოჰყავდა შინ შუქიასათვის, გალიაში ხან კურდღლები ესვათ და ხანაც — მწყრები, ერთხანს — აბრეშუმის ჭიასაც იყოლიებდნენ და პაპა და შვილიშვილი ახლომახლო თუთის ფოთლის საკრეფად დაიარებოდნენ. ისე მოხდებოდა, რომ აბრეშუმის ჭიას ერთიანად შეუჭამდათ ჭიანჭველა და ამას ორივე ძალიან განიცდიდა.

ზამთრობით ბეღურების გამოზამთრებით იქნებოდნენ დაკავებულნი, გაზაფხულზე აივნიდან საზეიმოდ რომ გაუშვებდნენ ხოლმე და... გული სწყდებოდათ, როდესაც „შვილობილები“ „უკან მოუხედავად“ გაფრინდებოდნენ — მადლობის უთქმელად. ერთიც რომ შემოებრუნებინათ მზერა, მადლობად ჩამოართმევდნენ, მაგრამ...

გოგონა უკვე მაშინვე ხვდებოდა რაღაცას, თუმც როდესაც წამოიზრდებოდა და გი დე მოპასანის რომანს „წუთისოფელი“ გაეცნობოდა რუსულად (იმჟამად ქართულად ჯერ არ თარგმნილიყო), იქ აღწერილი სიუჟეტი ძალდაუტანებლად გაახსენებდა, თუ როგორ ცდილობდა პაპა ფრინველთა და ცხოველთა მოვლის მაგალითის ჩვენებით ზრუნვის, მფარველობისა და გულმოწყალების გრძნობები გაეღვივებინა შვილიშვილის არსებაში.

ჯერ მარტო ამის გამო დარჩებოდა სამუდამოდ მისი მადლიერი.

უხაროდა სტუმართა გაოცებული სახეების ხილვა, თედოს კაბინეტში შესულები ერთბაშად მუზეუმში რომ გრძნობდნენ ხოლმე თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაგროვებ ნივთთა ისტორიულ-არქეოლოგიური კოლექციების შემყურენი, მასპინძელს კი როგორ არ მოჰბეზრდებოდა ექსკურსიამძღოლობა!.. სტუმარს რა დალევდა მათ ბინაში, სხვადასხვა ასაკისას, ყველა თავის წილ ცოდნა-განათლებას რომ მიეზიდებოდა აქედან და... შუქიას თვალსაწიერი ხომ მდიდრდებოდა და მდიდრდებოდა ახალ-ახალი დეტალებით, რადგანაც პაპას იმპროვიზაციის უნარი და დაუშრეტელი ცოდნა თავისთავად ამოატივტივებდა ხოლმე ახალ ნიუანსებს.

მერე და მერე ფსიქოლოგიური დაკვირვების უნარი რომ გაუღვივდებოდა და გაუძლიერდებოდა, მიხვდებოდა, რომ თედო სახოკიას პურიტანიზმი, მთლიანად თუ ნაწილობრივ, მისი სპარტანულობიდან გამომდინარეობდა. ყოველთვის გაჭირვება რომ ახლდა თანამგზავრად, ეს აიძულებდა, რომ მაქსიმალისტი არასოდეს ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში თედოს სიბერკაცე შუქიას ასე დაამახსოვრდებოდა, რომ ბევრს მხოლოდ საკუთარ თავს სთხოვდა, თორემ ყოფისაგან მცირესაც სავსებით კმარობდა.

სიცოცხლის ბოლომდე რკინის საწოლზე იძინებდა, ლეიბქვეშ ფიცრებდაგებულზე, და ოჯახის წევრთა ყოველი ცდა, ფიცრები ბადით შეეცვალათ, მარცხით მთავრდებოდა.

ბუნებრივ საშუალებებს არაფერი ერჩივნა.

ტექნიკას გაურბოდა — რადიოს, ტელეფონს.

დარწმუნებული გახლდათ: დროს დამაკარგვინებსო.

თავს მიწით იბანდა, თეთრი თიხის გუნდით, და შვილიშვილს მიიშველებდა ხოლმე.

პარიკმახერი შინ დაუდიოდა — ქუჩის გადაღმა მცხოვრები, მამაპაპური წესით რომ პარსავდა.

— კარის ექიმიც მყავს, — ხუმრობდა და გულისხმობდა შიო არაგვისპირელის ქალიშვილს — ნათელას. უფრო შინაურ ექიმს კი, ქვედა მეზობელს მარია ივანოვნა სტარცევას, ჯოხით დაუბრახუნებდა ხოლმე და ისიც, რა დროც უნდა ყოფილიყო, მაშინვე ამოიჭრებოდა შპრიცითა და საჭირო წამლებით ხელში.

შეშის ყიდვა-დახერხვაც რიტუალად ჰქონდა გადაქცეული — წელიწადში 10-12 კუბმეტრს რომ ყიდულობდა და მხერხავსაც მოიყვანდა, სადილსაც თვითონ დაუმზადებდა და ღვინითაც გაუმასპინძლდებოდა, მერე კი დიდხანს შეჰყვებოდა მასთან მუსაიფს, თითქოს დიდი ხნის მეგობარიაო.

საგულისხმოა, საჭმელ-სასმელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას რომ აქცევდა იმას, რაც სასარგებლო იყო, ეს კი ნიშნავდა, რომ როგორც უნდა გასჭირვებოდათ, შინ გამოულევლად უნდა ჰქონოდათ: თაფლი, ჩაი, ლიმონი, ასკილი, მაწონი და ნიორი.

ორ-ორი სადილი რომ მზადდებოდა, თინას ევალებოდა წვენი (სუპი), კატლეტი და ამგვარი რამეები, აი, ღომს, ზუთხს, ხაშსა და ლობიოს თედო ვის დაანებებდა, ძალიან გემრიელიც რომ გამოსდიოდა.

ამ სადილით უნდა გამასპინძლებოდა სამეგრელოდან ჩამოსულ ნათესავებსა თუ ძველ მეგობრებს.

სადილისათვის მუდამ სამი პატარა ჭიქა ღვინო უნდა დაეყოლებინა, ნასადილევს კი ღვთისათვის შეეწირა მადლობა:

— გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ განმაძღე მე.

საათ-საათნახევარს რომ წაუძინებდა და მერე ისევ საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, შუქია აფორიაქებული ელოდა იმ წუთს, პაპა სტუმრად წასასვლელად რომ დაიწყებდა მზადებას და ახლა უკვე მასაც თან იახლებდა. და ის კი ამ ვიზიტებს ასე გაიხსენებდა: ადამიანური ურთიერთობისა და კულტურის ყველაზე შთამბეჭდავი გაკვეთილები პაპას მეგობრებთან სტუმრობისას მივიღეო.

ერთი ეგაა, ძალიან განიცდიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან კალისტრატესთან სტუმრობას — ამ არაჩვეულებრივ, სპეტაკ და კრისტალურ ადამიანთან შეხვედრისას რაღაც უცნაურობა ემართებოდა.

როდესაც თედო მოიხრებოდა და ხელზე ემთხვეოდა კათოლიკოსს, შუქიასათვის ორივე ერთნაირი პაპა გახლდათ და ეს საქციელი რატომღაც საკუთარი პაპას დამცირებად ეჩვენებოდა. ამიტომაც სიონის ტაძრის ეზოში გაიჩენდა ამხანაგს და ცოტა ხანს იმას ეთამაშებოდა, რათა ამბორის სცენა აღარ ენახა. და მხოლოდ მერე შერბოდა სახლში სირბილისა და თამაშისაგან გახურებული. კათოლიკოსი შუბლზე აკოცებდა და საღამოც წესისა და რიგის კვალობაზე ჩაივლიდა ხოლმე.

ყოველ აღდგომას კი აუცილებლად უნდა გამოეგზავნა საეკლესიო წიგნი წარწერით: „ქრისტე აღსდგა!"

და თედო სახოკია — ან მარტო და ან შვილიშვილთან ერთად — უსათუოდ მიაშურებდა სიონს და მასაც ულოცავდა.

თვითონ არასოდეს შესწრებოდა, მაგრამ დედისაგან სმენოდა, რომ პაპა ეხმარებოდა კათოლიკოსს უცხოურ ენებზე ეპისტოლეებისა და მილოცვების ტექსტთა შედგენაში.

სტუმრობისას „მუკუზანთან" ერთად ერთი ან ნახევარი კილო შაქარი რატომ დაჰქონდა?

ჩაისაც ბევრს სვამდა და შაქარსაც ბლომად იყრიდა. და რადგანაც იმხანად შაქარი ჭირდა, თედო ცდილობდა მასპინძლებს ოდნავადაც არ ეზარალათ მისი სტუმრობით.

სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, უბრალოდ, ამაზე არც კი დაფიქრებულიყო, მაშინ თედო სახოკიაც ხომ აღარ იქნებოდა.

აკი წვრილმანებშიც ხელშესახებად აირეკლება ხოლმე პიროვნული ბუნება და დეტალი ეჭვშეუვალად განგაჭვრეტინებს გამორჩეულობასა თუ მონუმენტურობას ხასიათისა.

ძალიან აწვა გულზე ივან ვაზოვის რომანის „დამონებულნი"-ს გამოცემა ცალკე წიგნად, საუკუნის მიწურულის „მოამბის" ფურცლებში რომ ჩაკარგულიყო. ვინ იცის, მისი კიდევ რამდენი თარგმნილი თუ ორიგინალური თხზულება შერჩენოდა ძველი პერიოდიკის ფურცლებს, ყველა რომ ითხოვდა მისგან საბოლოო დაბინავებასა და ტომებად ჩამორიგებას — ჰოი, რაოდენ მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი სამყარო გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ, ერთიმეორეს რომ შეავსებდა სხვადასხვა უცხოური ნაკადი და ზედ გადაეჭდობოდა თედოს მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, ეთნოგრაფიულ ნარკვევად, მემუარებად თუ ლიტერატურულ პორტრეტებად დაცალკევებული.

დაბინავებას ყველა თხზულება ესწრაფოდა, და განა მარტო პრესის ფურცლებს შეხიზნულნი, არამედ ადრინდელი გამოცემებიც, მაგრამ თუ რაიმე აღელვებდა, უპირველესად ივან ვაზოვის რომანი, მკითხველს ისიც რომ შეიძლება ჰგონებოდა, რომ ეს იყო ქართველი მწერლის მიერ შექმნილი თხზულება სამშობლოს ტრაგიკულ ბედზე, ოღონდ მოქმედება — შოთა რუსთველის ეპოსისა არ იყოს —უცხოეთში გადაეტანა, ამჯერად — ბულგარეთში.

ძალიან დამგვანებოდა ბულგარეთისა და საქართველოს ბედი ერთიმეორეს.

და ამ მსგავსებას რომ იგრძნობდა ივან ვაზოვი, ამიტომაც გამოაქვეყნებდა მშობლიურ ენაზე სტატიას: „მოკლე მიმოხილვა ქართველთა ერის ისტორიული ცხოვრებისა", პუბლიცისტური გზნებითაც განმსჭვალულს, განსაკუთრებით ფინალში,

თედო სახოკია ქართულად რომ გადმოიღებდა ამ წერილს და ჩვენს მკითხველს შესთავაზებდა „ცნობის ფურცლის“ 1901 წლის 1428-ე ნომრიდან.

დაე, სცოდნოდათ ბულგარელებს და თვითონაც გამხნევებულიყვნენ, რომ საქართველოს ერთი მუჭა ერი ამდენი საუკუნეა, ეომებოდა ურიცხვ მტერს, და მათი ხმალი და ცეცხლი მუსრს რომ ავლებდა და ანაცარტუტებდა მთელს მხარეს, შესაძლოა, ვინმეს ეფიქრა, გრიგალმა ეს ერი, ჰა-და-ჰა, პოლიტიკური ცისკიდურიდან გადააგდოო; მაგრამ გაიხედავდი და... ქართველობა მუდამ მებრძოლი და ცოცხალი რჩებოდა. ამ ერს ამდენი უბედურება დასტეხოდა თავს და მაინც დაეცვა თავისი ენა და ეროვნული თვითცნობიერება იმ დროს, როდესაც ბევრი იმაზე უძლიერესი სახელმწიფო აზიისა თავიანთ ცივილიზაციასთან ერთად სამუდამოდ აღგვილიყო პირისაგან მიწისა.

თვითონ მწერალს რომ გაესიგრძეგანებინა ქართველთა ეს დაუღალაობა და გულგაუტეხელობა, მისი დაუსრულებელი ბრძოლა, სურდა თვისტომნიც მოზიარენი გაეხადა ამ შეცნობისა და განწყობილებისა და ერთობლივად დასწვოდათ გული და ერთობლივადვე განმსჭვალულიყვნენ პატივისცემით ამ ხალხისადმი, როგორც ღირსია პატივისცემისა ყოველი ერი, სიცოცხლითა და სულიერი სიძლიერით სავსე.

— გიკვირთ, ეს ერი, მდგნე, ვითარცა სალი კლდე კავკასიისა, სადაც ისტორიამ ის დაამკვიდრა, როგორ გადაურჩა აზიის უთვალავ ურდოთა სიმხეცეს და ულმობელობას, გიკვირთ, მას შემდეგ როგორ მოახერხა კიდევ ცოცხალი დარჩენილიყო!

აქ კი ქართველები გამხნევებულიყვნენ ივან ვაზოვის რომანის გაცნობით, ყოვლად უთანასწორო ბრძოლაში რომ არაფრისდიდებით არა თმობდნენ საკუთარ მეობასა და თვითმყოფობას და შეუდრეკელობით სხვათაც აღანთებდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამოსაგებად და დასამკვიდრებლად.

ემატებოდა თედო სახოკიას მთარგმნელობითს ნაღვაწს კიდევ ერთი წიგნი.

და ერთხელ კიდევ რწმუნდებოდი, რაოდენ აუცილებელი იყო ამ ნაღვაწის გაერთიანება ტომებად, რათა ადვილად ხელ-

მისაწვდომი გამხდარიყო მკითხველისთვისაც და მკვლევართათვისაც ჯერ მარტო მისი მთარგმნელობითი პრინციპების შესაცნობად და გასათვალსაჩინოებლად.

მონდომებული ადამიანები კი მისწვდებოდნენ ძველ პერიოდიკაში მიკარგულ ნიმუშებსაც და თავიანთთვის გაამთლიანებდნენ, მაგრამ ყველას სად ეძებნა, თუნდ ამ ასპარეზზე გამოსვლის მსურველთ, ძალიან რომ წაადგებოდათ თედო სახოკიას გაკვეთილები. ცალკეულ გამოცემებს კი დაუკვირდებოდნენ გულდასმით, მაგრამ, მოგეხსენებათ, სულ სხვაა ერთიანობაში განცდა, რათა შემოქმედებითი პრინციპებიც უფრო შეამჩნიო და შეითვისო და ლაბორატორიულ საიდუმლოებათა ზოგიერთ მხარესაც ჩასწვდე.

შეუსწავლელი ამიტომაც რჩებოდა ეს ძვირფასი მონაპოვარი.

რა თედო სახოკია და რა სხვანი — ჩვენი დიდებული მთარგმნელები ახალი დროისა, უკვე იოლადაც რომ შეეძლოთ წაეკრათ მათთვის ქიმუნჯი სულით ყოვლად არალიტერატორ ადამიანებს, ენის განცდა საერთოდ რომ არც გააჩნდათ არც უცხოურისა და არც მშობლიურის.

არადა, ორიენტირი აგერ ოთარ ჩხეიძესაც შეეძლო დაესახა მკვლევართა და მთარგმნელთათვის, ის უმთავრესი თავისებურება გამოერჩია, ყველასათვის რომ უნდა ყოფილიყო გასათვალისწინებელი.

— არიან მთარგმნელები და საუკეთესო მთარგმნელებიცა, საკუთარ სტილს რომ იცავენ ბეჯითადა, ისე შეარჩევენ თუ იმას შეარჩევენ, მათივე სტილს რომ მიესადაგოსო, — რომ განაცხადებდა, უფრო ბევრს იგულისხმებდა, მაგრამ სანიმუშოდ ორს გამოარჩევდა— თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძეს: ამ პრინციპს იცავდნენო.

და საყოველთაო განწყობილებას საკუთარ განცდასაც შეურევდა:

— კიდევაც მოსწონდათ მათი თარგმანები, კითხულობდნენ გატაცებითა, დიახაც რო გატაცებითა, ითარგმნებოდა მეტად შერჩევითა, ითარგმნებოდა მეტად მცირედა, გატაცებას ესეც იწვევდა...

თითო სიტყვას, თითო ფრაზას ზედ აკვდებოდა და დაჰფოფინებდა თედო სახოკიაც, რათა ყოველთვის მარჯვედ გამოეკ-

ვეთა საკუთარი ენობრივი სტილი, ბოლომდე გადაეხსნა ქართული ენის სტიქია და იდუმალი რიტმი თუ შინაგანი მუსიკაც არ მოეკლო თხრობისათვის.

მაგრამ ესმოდა კი ყველას ან ამ რიტმის იდუმალებისა და ან მუსიკის ფარული რხევისა?!

და ამიტომაც მოხდებოდა, რომ „სახელგამის" ახალგაზრდა რედაქტორები ვერ მოერეოდნენ ცთუნებას, საკუთარი წვლილიც არ შეეტანათ მათივე რედაქტორობით გამოცემულ და თედო სახოკიას მიერ თარგმნილ წიგნში და აქა-იქ ჩასწორება არ მოენდომებინათ.

ვახტანგ ჭელიძე შესწრებოდა ამ ამბავს და გვამცნობს, დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით ჩაერივნენ თედოს მიერ წარდგენილ ტექსტში და ეს გააბედვინათ თვით მთარგმნელის საოცარმა თავაზიანობამ და რბილმა, ალერსიანმა მოპყრობამ, იმ კეთილმა ღიმილმა, რასაც თედო სახოკია გამომცემლობის ახალგაცნობილ თანამშრომელთა მიმართ არ იშურებდაო.

ეს აფიქრებინებდათ: „ადვილი" ავტორიაო.

ვახტანგ ჭელიძეს არ უკვირს მათი ასეთი ფიქრი: „რთული" და გაუცინარი ავტორიც ბევრი ენახათო.

მაცთურიც ეს აღმოჩნდებოდა, ეს ჰაიჰარა ვარაუდი, რომ ჩასწორებით გული კი არ დასწყდებოდა, პირიქით, გაიხარებდა კიდეც ეს ბუნჩულა ბერიკაცი, ხოლო ამათ თავიანთი წვლილი ექნებოდათ შეტანილი დიდ საქმეში.

მოტყუვდებოდნენ.

ასეთი სასურველი თავაზიანობისა და ალერსიანი ღიმილის მიღმა შეუპოვარი ხასიათი აღმოჩნდებოდა და... უეცრად შეიცვლებოდა ალერსიანი ღიმილი პირქუშ მრისხანებად, გავარდებოდა მეხი და შემოდგომის მზით გამთბარი ჰაერი ერთბაშად გაიყინებოდა.

ჰოი, რა გასაცოდავდებოდნენ ის ახალგაზრდა მანდილოსნები, მთხრობელი სხვა ვერაფერს რომ შეადარებდა, თუ არა მოულოდნელი ყინვით დამზრალ ყვავილებს.

სიმკაცრე და ასეთი?!

რედაქტორებს კეთილი განზრახვა რომ ამოქმედებდათ და არა სხვა რამ?!

მაგრამ კეთილი განზრახვა ვერ გაამართლებდა ტექსტის შებღალვას, თედო სახოკიასათვის ასერიგად ძვირფასის.

ვახტანგ ჭელიძე მაშინაც აუხსნიდა ახალგაზრდა ლიტერატორებს მიზეზს ბუნჩულა ბერიკაცის ასეთი თითქოსდა მოულოდნელი გაფიცხებისა და მკითხველის შესაგონებლადაც დატოვებდა, რათა ყველასათვის თვალსაჩინო ყოფილიყო თედო სახოკიას მიერ შექმნილი ტექსტის — თარგმნილი იქნებოდა თუ ორიგინალური — საკრალურობაც და გამძლეობაც, ენობრივ სტიქიაში ისე ღრმად შეჭრა, შესასწავლი რომ იყო და შესათვისებელი და არა ჩასასწორებელი.

და დაე ყველამ გაითვალისწინოს, მითუფრო წინამორბედთა მიერ თარგმნილ ტექსტებში ჩარევის მოყვარულებმა, რედაქტორები იქნებიან თუ ახალი თაობის მთარგმნელები:

— ეს ისტორია იყო და ზედმეტი კირკიტი, იმის შემოწმება — ზედმიწევნით ადეკვატურია თუ არა ესა თუ ის სიტყვა ორიგინალთან, არ გამოდგებოდა, საერთო ქსოვილს დაარღვევდა.

ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ხომ იმ საერთო ქსოვილის განუყოფელი ნაწილია, მათი მეოხებით იქმნება ის საერთო ქსოვილი და უხეში შეხება ხელისა იმ პასაჟების იდუმალ რიტმსაც აზიანებს და შინაგან მუსიკასაც აყრუებს, და ამგვარი დისონანსი მთელს ტექსტს ერთბაშად მოურღვევს იმ ძაფს, საბოლოოდ რომ შესაძლოა პირვანდელის ნატისუსალიღა დაგრჩეს.

ისე მოხდებოდა, რომ ვახტანგ ჭელიძე თედო სახოკიას კიდევ ერთ განრისხებას შეესწრებოდა, ამჯერად — „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების" პირველი ტომის რედაქტორი გააგულისებდა და კიდეც აბორგდებოდა მის მიმართ მხცოვანი მოღვაწე... ოღონდ ამჯერად მარტო მრისხანე კი აღარ იქნებოდა, არამედ — საშინლად გულმოსულიც... და ეს გაბრაზება ძალიან დიდხანს გაჰყვებოდა...

* * *

სერგო გერსამიას — ოდესღაც თედო სახოკიას პუბლიცისტური სტატიის გამოქვეყნებისათვის ერთწლიან ციხეს რომ ახეხინებდნენ, ამჟამად კი თეატრმცოდნეობაში გადაენაცვლე-

ბინა, ქუთაისისა და ბათუმის თეატრალური ცხოვრების ისტორიასაც რომ იკვლევდა და აკაკი წერეთლის სიახლოვესაც სახიობასთან — სოხუმის თეატრის ისტორიის დაწერას მიანდობდნენ 1950 წელს და ისიც მასალების შეკრებას შეუდგებოდა და ძიება-ძიებისას თედოსაც სთხოვდა, სოხუმში ქართული წარმოდგენების თაობაზე მოგონებები დაეწერა. იცოდა, რომ წარმოდგენათა გამართვაში ისიც მხურვალედ მონაწილეობდა.

— სოხუმის თეატრის ისტორიის დაწერა კარგი საქმეა, — გაიხარებდა თედო სათეატრო მუზეუმში სერგო გერსამიასთან, ვინ იცის, მერამდენე სტუმრობისას ამ განზრახვას რომ მოისმენდა, — თეატრმა იქ დიდი როლი შეასრულა. ხალხის გამოფხიზლებას ხელს ძლიერ უწყობდა. მოგონებებს აუცილებლად დავწერ და მოგაწოდებთ, გზადაგზა შეიძლება სხვა ამბებსაც შევეხო.

იმ მემუარულ ჩანაწერებს, ასე რომ დასათაურდებოდა — „სოხუმის წარსულიდან“, სერგო რამდენჯერმე გადაათვალიერებდა ავტორის თანდასწრებით და რამდენიმე საგულისხმო ამბავსაც წააწყდებოდა. სოხუმის შესახებ მოგონებათა ფონზე შემოდიოდა თეატრისა და თეატრალურ მოღვაწეთა საქმიანობაც, მაგრამ მასპინძელი ყურადღებას მიაქცევდა, რომ ავტორი კრინტსაც არა ძრავდა თავის საქმიანობაზე სასცენო ხელოვნების დარგში, ყოველნაირად უწყობდა ხელს წარმოდგენების გამართვას და, თუ აუცილებელი შეიქნებოდა... როლების შესრულებასაც კი კისრულობდა, თუმც სამსახიობო უნარით დაჯილდოებული არა ყოფილა.

სერგო გერსამიას სათეატრო მუზეუმის არქივსა და პრესაში ოფიციალური ცნობა რომ ვერაფერი აღმოეჩინა თეატრში თედო სახოკიას მოღვაწეობის შესახებ, ყურმოკრულ, გაგონილ ამბებზე დაყრდნობით, შესაფერისი დოკუმენტაციის გარეშე კი, მოგეხსენებათ, ისტორიაში რაიმეს შეტანა მოსარიდებელია, ამიტომაც ჰკითხავდა: სათეატრო დარგში თქვენი მოღვაწეობის შესახებ ცნობებს რად არ იძლევითო?

— ეს ხომ ჩემი რეკლამა იქნება?! თუ ადამიანს პატიოსნებაზე პრეტენზიები აქვს, თავისი თავის რეკლამას უნდა გაურბოდეს, — მოკლედ მოუჭრიდა.

ეს არ მოეშვებოდა: რაკიღა წერილობით ცნობებს არ გვაწვდით, ზოგი რამ სიტყვიერად მაინც გადმომეცითო, — მაგრამ დაყოლიებით მაინც ვერ დაიყოლიებდა:

— სოხუმის თეატრს ჩემი მოქმედებით ბევრი არაფერი შემატებია და მისი ისტორიაც ჩემი ნამოქმედარის აღნიშვნის გარეშეც თავისუფლად დაიწერება.

და მკვლევარი იძულებული შეიქნებოდა, მისი თეატრალური მოღვაწეობისათვის გვერდი აექცია და დაკმაყოფილებულიყო მოგონებებიდან ცნობების დამოწმებითა და მისი ავტორის დასახელებით სქოლიოში.

როლების შესრულებასაც კი კისრულობდაო...

მაინც რა აუცილებლობა იყო ამისთანა, მისი გამსახიობება რომ გამოეწვია?!

თედო უამბობდა, რომ ძალზე დიდი გაჭირვებით იმართებოდა სახალხო თეატრში წარმოდგენები:

— პოლიციამ მოითხოვა, იგივე პიესა, რომელიც ქართულ ენაზე დაიდგმებოდა, იმავე სცენისმოყვარეებს რუსულადაც წარმოედგინათ, რუსულად როლების შესრულება კი მეც მიხდებოდა.

და ღიმილით დასძენდა:

— ჩემი სემინარიული აქცენტით როგორ შევასრულებდი როლებს, ადვილი მისახვედრია. ჩემი ლაპარაკი რუსულის მცოდნეთა სიცილს იწვევდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, ოღონდაც ადმინისტრაციას ქართული სახალხო წარმოდგენების გამართვა არ აეკრძალა.

ამ ამბავს გიორგი ლასხიშვილიც გაიხსენებდა თავის მემუარებში და ადმინისტრაციის ამ მკაცრ მოთხოვნას: წარმოდგენა აუცილებლად ორივე ენაზე უნდა იყოს, რუსულადაც და ქართულადაცო, — სხვაგვარად როგორ შეაფასებდა, თუ არა ასე:

— სისულელე ამაზე შორს ვეღარ წავა...

მაგრამ იძულებულნი რომ შეიქნებოდნენ დროებით მაინც აღესრულებინათ ეს ყოვლად უმსგავსი წესი?..

პირველად აირჩევდნენ ანტონ ჩეხოვის „დათვს“.

და... ღიმილი აეკვროდა სახეზე ამ სტრიქონების წერისას:

— უნდა გენახათ, რა სასაცილოები იყვნენ ჩვენი სცენის მოყვარულნი რუსულ პიესაში. ბევრს ეცადნენ თედო სახოკია, იოსებ ქუთათელაძე, განსვენებული ქალი ანიკო ჩაჩიბაია, მაგრამ თქვენ თითონ მიხვდებით, როგორი რუსი აქტიორი იქნებოდა, მაგალითად, თედო სახოკია...

მით უფრო დასაფასებელია მისი თავგამოდება — ოღონდაც ადმინისტრაციას შარის მოდების საშუალება მოუსპოს და... სცენაზეც კი შედგება.

ისე, ილია ჭავჭავაძესაც მოესინჯა თავი სცენაზე, აკაკი წერეთელსაც, ვაჟა-ფშაველასაც, ოღონდაც ქართული თეატრი როგორმე ესულდგმულებინათ, ამ მხრივაც კი შეშველებოდნენ, და მათ დასს ემატება თედო სახოკიაც, გიორგი ლასხიშვილი მეგობრულად რომ შესცინებდა ხოლმე: შენს ადგილას სცენიდან აღარც ჩამოვიდოდი, მსახიობად ხარ დაბადებული და ეგააო!..

ეს უმსგავსი წესი დიდხანს რომ ვერ იბოგინებდა, რა გასაკვირია, თუმც თავისთავად არ მოხდებოდა მისი უკუგდება და ქართველ მოღვაწეებს საკმაო ჭაპანწყვეტა დასჭირდებოდათ ადმინისტრაციასთან... მაგრამ მაგას დაგიდევდნენ? მთავარია, რომ 1894 წლიდან გამეფდებოდა ჩვეულებრივი ქართული რეპერტუარი ტფილისის ქართულ სახალხო სცენაზე.

მსახიობად ხარ დაბადებულიო, — შეხუმრებას წინ რა დაუდგებოდა!..

* * *

არიან მთარგმნელები და საუკეთესო მთარგმნელებიცა, საკუთარ სტილს რომ იცავენ ბეჯითადაო...

რაოდენ საგულისხმო იქნებოდა, თედო სახოკიას თეორიული ნაშრომი რომ მოგვეპოვებოდეს თარგმნის ხელოვნებაზე, ანდა საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარი გაელო და თუნდ ზოგადი მეთოდი ან ცალკეული პრინციპები გაემჟღავნებინა, რაც არსებითად თარგმნის ხელოვნებასა და საიდუმლოებებზე საუბარი იქნებოდა.

თვითონ იმას განიცდიდა ძალიან, რომ ივანე მაჩაბელს არ დარჩენოდა რაიმე ამგვარი თხზულება — ან თეორიული ნააზ-

რევი და ან საკუთარ მთარგმნელობით პრინციპთა ირგვლივ მსჯელობა. და გულდასმით რომ ჩაუკვირდებოდა მისეულ შექსპირსაც და გონებაში აღიდგენდა მაჩაბლის ზოგიერთ ბიოგრაფიულ დეტალსაც, ერთ სამშაბათობას მის მთარგმნელობით მეთოდზე საუბარს მიუძღვნიდა.

და ჩვეული ენაწყლიანობით ამცნობდა ამ თავყრილობის მონაწილეთ, რომ უშუალოდ ინგლისურიდან გადმოღებულ ტექსტს ივანე მაჩაბელი ძალიან ხშირად ადარებდა სხვა ევროპულ ენებზე არსებულ შექსპირის საუკეთესო თარგმანებს — და თუ ამ შედარების შედეგად მის წინაშე რაიმე ორაზროვნება წამოიჭრებოდა, მაშინ ერთდროულად უგზავნიდა შეკითხვებს ევროპის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ ავტორიტეტულ შექსპიროლოგებს. პასუხებს რომ არ დაეგვიანა, შეკითხვის მთელს ტექსტს, რომელსაც ხშირად საკმაოდ ვრცელი წერილის ფორმაც კი ჰქონდა, ტელეგრაფით აგზავნიდა — წინასწარ გადახდილი საზღაურით პასუხისათვის. და მხოლოდ ყველა პასუხის მიღებისა და მათი ურთიერთშეჯერების შემდეგ გამოჰქონდა საკუთარი საბოლოო მსჯავრი შექსპირის ტრაგედიათა ასეთი რთული ადგილების გაშიფვრისას, ყველაზე მართებულ შესატყვისთა დადგენისას.

და უეცრად აღელდებოდა და აფოფინდებოდა, რადგანაც ისეთი რამის თქმას აპირებდა, საზოგადოებრივ აზრს რომ უნდა დაჰპირისპირებოდა და ეგებ იქ მსხდომთაც არ გაეზიარებინათ მისი ეს მტკიცე რწმენა, ამოზრდილი ხანგრძლივ დაკვირვებასა და ღრმა განსჯაზე:

— რატომღაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად მარტო ილიას და აკაკის ასახელებენ და ივიწყებენ ამ საქმეში მათ გვერდით ივანე მაჩაბლის დაყენებას.

რასაკვირველია, იაკობ გოგებაშვილის განსაკუთრებული ღვაწლიც არ უნდა გამოგვრჩეს, მარტოდენ „დედა-ენითა“ და „ბუნების კარით“ კი არ მოახდენდა დიდ ზეგავლენას საზოგადოებრივ (და არა მხოლოდ ყმაწვილების) ცნობიერებაზე, არამედ თავისი სტატიების ენობრივი ძალმოსილებითა და სრულყოფილებითაც განსაზღვრავდა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და ივანე მაჩაბელთან ერთად.

— ეს რა წავიკითხეო, — ერთ სამშაბათობაზე გივი ხვედელიძეს უნდა შეეჩივლა თედო სახოკიასათვის, — „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ივანე მაჩაბლის შესახებ გატარებულია აზრი, თითქოს იგი უკმაყოფილო ყოფილიყოს თავისი ბედისა და ზოგიერთი მაშინდელი მოღვაწისა, რომელთაც იგი თითქოსდა გარიყეს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, და თითქოს ინკოგნიტოდ წავიდა რომელიღაც უცხო ქვეყანაში და იქ დარჩა სამუდამოდო.

თედოს იმიტომაც შესჩივლებდა, რომ წაკითხული ჰქონდა მისი მემუარული ყაიდის სტატია, რომელშიც ავტორს პირწმინდად გაებათილებინა ეს და ამგვარი ცრუვერსიები.

იმ მოგონებაში („ლიტერატურული საქართველო“, 1938, 12 ივლისი) თედო სახოკია, როგორც ივანე მაჩაბლის, ამ იშვიათი პიროვნების, უსაზღვრო პატივისმცემელი, მასთან და მის ოჯახთან დაახლოებული, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელ სამ წელიწადს, მისი შინაური მდგომარეობის მცოდნე და მისი ტრაგიკული გაუჩინარების უშუალო მოწმე, დაბეჯითებით აცხადებდა, რომ:

1. ივანე მაჩაბელს საკუთარი ხელით არ მოესპო თავისი სიცოცხლე;

2. თავი მტკვარში არ დაეხრჩო;

3. გაძარცვის მიზნით მასთან არავინ შესულიყო და მისთვის ხელი არ ეხლოთ;

4. მოწინააღმდეგე (ბანკის ნიადაგზე)ბევრი ჰყავდა, მაგრამ არცერთი ისეთი, რომ მის წინააღმდეგ ხელი აღემართა და სასიკვდილოდ გაემეტებინა.

ასე თეზისურად ჩამოეწერა მეტი სიმკვეთრისა და დამაჯერებლობისათვის, რათა ძირშივე აღეკვეთა ის ჩურჩულ-ტუტუნი, ენის ის ავი სარსარი, ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ აღიარებას რომ მოჰყოლოდა.

მოგონება კი იწყებოდა იმით, რომ ივანე მაჩაბელი სათავადაზნაურო ბანკს საბოლოოდ დაანებებდა თუ არა თავს, გორის მაზრის მეურნეთა სინდიკატს ჩაუდგებოდა სათავეში და თავისებური სისწრაფით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით წარმართავდა ნაკისრ მოვალეობას.

1897 წლის 15 ივნისს ცნობილი ქირურგი ვოინო ოპერაციას რომ გაუკეთებდა, სიკვდილისაგან გადაარჩენდა, მაგრამ საბოლოო გამოჯანსაღებას ჯერაც ბევრი უკლდა. ვალერიან გუნიას „ცნობის ფურცელში“ ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა ავადმყოფის მდგომარეობის ამბავი. ლოგინის ლესვა კარგა ხანს მოუწევდა და 1898 წელშიც გადაჰყვებოდა ჯანის სისუსტე, მერე კიდეც მოიკეთებდა და საბოლოო ღონის მოსაკრებად გადაწყვეტდა ოჯახობით აბასთუმანს სტუმრებოდა. ქალაქიდან გასვლა 1 ივლისისათვის დაინიშნებოდა.

იმხანად შექსპირის თარგმანს დასტრიალებდა თავს, ლოგინიდან ახალწამომდგარი 24 ივნისს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციას ესტუმრებოდა და დატოვებდა „კორიოლანოსის“ ქართული ვერსიის ხელნაწერს, რომელიც მე-8-10 ნომრებში გამოქვეყნდებოდა მთარგმნელის დაკარგვის შემდგომ.

ივანე მაჩაბელს გუნება გამოუკეთდებოდა, ავადმყოფობისაგან შენელებული ჩვეულებრივი სიმკვირცხლე დაუბრუნდებოდა და სიხარულით მოელოდა აბასთუმანში გამგზავრებას, რათა ძველებური ძალ-ღონეც აღედგინა და მუშაობასაც გაორკეცებული ენერგიით შესდგომოდა.

25 ივნისის საღამოს აკაკი წერეთელი ესტუმრებოდა, მისი ოხუნჯობა უფრო გაამხიარულებდა იქაურობას, ივახშმებდნენ, ნარდს ითამაშებდნენ და ორ საათზე მოსასვენებლად წავიდ-წამოვიდოდნენ.

— ფიქრად არავის მოსდის, თუ რა საშინელი ტრაგედია უნდა წარუძღვეს 26 ივნისის გათენებას.

გორის „სინდიკატის“ საქმეებისა და სამასი თუმნის გადასაბარებლად ივანე მაჩაბლის მიერ დაბარებული თავისი მოყვარე გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი, გორის თავადაზნაურობის მარშალი, 26 ივნისის დილით ჩამოდის, პირდაპირ სიძის ოთახში შედის და იქ რომ არ დაუხვდება, გაოცებული მიაშურებს სასადილოს, სადაც თავზე წაადგება ყავის მზადებაში გართულ თავის დას ტასოს და ჰკითხავს: სად შეიძლება შენი ქმარი იყოსო. რაკილა მაჩაბლის ოთახს ერთი კარი ბალისკენ ჰქონდა, იფიქრებდნენ, იქ თუ გავიდა გასასეირნებლადო, მაგრამ ვერც იქ იპოვიდნენ.

ოთახში მობრუნებულთ უნდა ენახათ მაჩაბლის ოქროს საათი, ოქროსავე ღილები პერანგისა და ტანისამოსი, ოღონდ თვით ნივთების პატრონის კვალიც გამქრალიყო.

და დაიწყებოდა წუხილი და განგაში, რათა ივანე მაჩაბლის დაკარგვის საიდუმლოებისათვის ხელჩასაკიდი ახსნა-განმარტება მოეძებნათ და ამ მართლაც მოულოდნელი და თან უცნაური უბედურებისათვის თუ სულ არა, ოდნავ მაინც აეხადათ ფარდა.

მოედებოდა ტფილისს ელვისსისწრაფით ამ გაუჩინარების ამბავი და ხელადვე შეითხზვებოდა ერთიმეორეზე საკვირველი ჭორი.

— და არც ერთ მოსაზრებას, ობიექტურად რომ აგეწონათ, გულდამშვიდებით რომ გაგესინჯათ, ნატამალი ლოგიკისა არ უდგებოდა. მაგალითად, იმ დილით 9-10 საათებში ივ. მაჩაბელი ერთსა და იმავე დროს უნახავთ სულ სხვადასხვა ადგილას...

სოსიკო მერკვილაძე ირწმუნებოდა: დილის 5 საათზე ვნახე სახლიდან ახლომდებარე სააგურესაკენ მიმავალი: თავშიშველი, აღშფოთებული, ნახევრად ჩაუცმელიო.

და მისი მტკიცება ძალაუნებურად გაფიქრებინებდა, რომ მიდიოდა სააგურეს ქურაში ჩასავარდნად და თავის მოსასპობად.

მესამე დღეს, კვირას, 28 ივნისს ვალერიან გუნიას გაზეთი „ცნობის ფურცელი" თედო სახოკიას მიერ მოწოდებულ ცნობას მოათავსებდა.

ცნობაში აღინიშნებოდა ყველა ის გარემოება, მოგვიანებით მოგონების შესავალ ნაწილს რომ დაუთმობდა, ყველა ის დეტალი, რასაც თვალი ჩაადევნეთ, და ამ სტრიქონებით ბოლოვდებოდა:

— ეძებენ ყოველგან და, როგორც კი რასმე შევიტყობთ, ჩვენც ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

და თავგადადებული (სწორედაც თავგადადებული) ძებნა რომ დაიწყებოდა დაკარგულისა, ძებნაში მონაწილეობას მიიღებდა როგორც ადმინისტრაცია, ისე მთელი ქართველი საზოგადოება. მენავეები და მეთევზეები ერთ მტკაველსაც არ დატოვებდნენ მტკვრის ფსკერისა, გულმოდგინედ რომ არ გაეჩხრიკათ ვერის ხიდიდან ყარაიამდე. თვრამეტი დამხრჩვალის გვამს აღმოაჩენდნენ, მაგრამ მათ შორის ერთიც არ იქნებოდა ივანე მაჩაბლის ნეშტი.

გავრცელდებოდა ხმა მისი წასვლისა ამერიკაში: საქართველოდან აყრილ და კანადაში დასახლებულ დუხობორებთან, რომელნიც თურმე დიდი ხანია ეპატიჟებოდნენ თავიანთ მეთაურად, როგორც მცოდნეს რუსული და ინგლისური ენებისა. სასამართლოს არხანგელსკისაკენ მდებარე რაღაც მამათა მონასტრიდან ვითომ წერილიც მიეღო და ვიღაც იტყობინებოდა ივანე მაჩაბლის ყოფნას მონასტრის თაბუნში...

— ყველა ამ ხმას საშინელი მისტიფიკაციის სუნი უდიოდა და თვით ძიება საქმისა უხამს ხასიათს ღებულობდა.

პოლიცია-სასამართლო ბევრს იძიებდა, ბევრს იკვლევდა, მაგრამ სწორედ საგულისხმო მომენტამდე რომ მივიდოდა და იფიქრებდი, ესაა გვეშველა და დახლართული კვალი უნდა გაიხსნასო, უეცრად საქმეში უნდა ჩარეულიყო ვიღაცის გავლენიანი ხელი, თითქოს ვიღაცის ინტერესი მოითხოვდა: დავადოთ საცო პირსა ჩვენსაო.

სოსიკო მერკვილაძე რომ ირწმუნებოდა, 26 ივნისის დილით ყველაზე ადრე მე ვნახე ვანოო, მისი ინფორმაცია ამას იქით აღარ მიდიოდა. ბევრს კი ეტყოდა და გაუზიარებდა თავის მოსაზრებას, და საზოგადოება იძულებული იყო, ამ მწირ ცნობას დასჯერებოდა.

გადაიკეცებოდა მას შემდეგ 37 წელი და სოსიკო მერკვილაძე, ცნობილი მწიგნობარი, რამდენიმე წლის განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილი მოელოდა სიკვდილს და, აჰა, ეს ჟამიც მოაწევდა. ერთი კვირაღა რჩებოდა თურმე მის აღსასრულამდე, როდესაც თავის მეუღლეს დაავალებდა, უსათუოდ მომიძებნე თედო სახოკია და ჩემს სანახავად მოვიდესო.

ამ ორს ძველი მეგობრობა აკავშირებდა.

სამ დღეს ეძებდა თურმე, ვიდრე იპოვიდა და გადასცემდა მომაკვდავის უკანასკნელ სურვილს. და თედოც რას დაახანებდა, მაშინვე მიაშურებდა წილკნის ქუჩას, თან წინდაწინვე აუფორიაქდებოდა გული სიამოვნებისაგან.

„ალბათ მძიმე რამ საიდუმლო უნდა მითხრას, ისეთი, რომელმაც შეიძლება ფარდა ახადოს ასე საცოდავად დაღუპვას იმისთანა დიდი ადამიანისას, როგორიც ივანე მაჩაბელი იყო“.

მაგრამ დახე ბედის მუხთლობას!..

თედო ვარაუდობს, პირველი სამი დღის განმავლობაში შესაძლოა რამე წამოსცდენოდა, გამნდობოდა, ერთგვარი აღსარება ეთქვა, გაემჟღავნებინა ჩემთვის, როგორც ივანე მაჩაბლის ახლობლისა და ერთგულისათვის, საიდუმლო, რომელიც მას მთელი სიცოცხლე, თითქმის ორმოცი წელი ჰქენჯნიდა, არ ასვენებდა, ჰგვემდაო...

მიესალმებოდა, მოიკითხავდა ლოგინად ჩავარდნილს.

— სამი დღეა მოუთმენლად გელი, შე კაი კაცო, შენი ნახვა მინდა, შენი პოვნა კი ისე გაჭირდა, შე დალოცვილო! — უსაყვედურებდა სნეული.

ამისი რა ბრალი იყო, მაგრამ მაინც მოიბოდიშებდა:

— აჰა, გავიგე თუ არა, მოვედი.

და... ეგ იქნებოდა და ეგ. პირს შეიკრავდა სოსიკო მერკვილაძე, თითქოს ტყვია ჩაედულებინოს. თვალებს ძირს დახრიდა. თედო მაინც მისჩერებოდა: აი, ახლა იტყვის რამეს და, აი, ახლაო, — მაგრამ... სრულ ერთ საათს გაატარებდნენ ამ გაჯიბრებულ დუმილში, ერთ საათს, რომელსაც თედო ერთ საუკუნეს დაადარებდა.

მეტს ვეღარ გაუძლებდა ამ მდგომარეობას, ვეღარ გაუძლებდა სოსიკოს სულიერ ბრძოლას და:

— მშვიდობით, — ფეხზე წამომდგარი ეტყოდა.

— მშვიდობით, — მიუგებდა ისიც და ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი სიტყვა.

ერთ კვირაში კიდეც მიიცვლებოდა და საიდუმლოსაც თან ჩაიტანდა საფლავში.

და ამ ეპიზოდის გახსენებას მოაბამდა იმ ფინალურ ნაწილს, თეზისურად რომ ჩამოწერდა ჭორების უარყოფას და რაღაც სხვას მიანიშნებდა, ამ ჭორების იქით არსებულს და სოსიკო მერკვილაძისთვის კი კარგად ცნობილს... თედო სახოკიასთვისაც, მაგრამ სურდა უშუალოდ მისგან მოესმინა ის ეჭვშეუვალი ვერსია.

ახლა კი ეს ვითომდა მკვლევარი რას აცუნცრუკებულიყო, რა ენება, რას ცდილობდა?!

მაშ ივანე მაჩაბელი ინკოგნიტოდ წავიდა უცხო ქვეყანაში და სამუდამოდაც იქ დარჩაო?!

ამ ვერსიის დასამტკიცებლად სტატიის ავტორი მიუთითებდა აკაკი წერეთლის ერთ ლექსს, რომელშიც სტატიაში მოყვანილი დებულების სასარგებლო მოტივები იყო წარმოდგენილი მაჩაბლის ტრაგიკული ბედის შესახებ.

მოგონებაში არ მოიხსენიება, მაგრამ ეს მკვლევარი გახლდათ ა. იობიძე, რომელიც სტატიას მალე წიგნაკადაც აქცევდა და საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს გრიფით გამოსცემდა 1956 წელს — „ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა"; ისე, აკაკის ლექსის — „პატარა ამბავი" — ფინალური მონაკვეთი რაღაც ამგვარს მინიშნებით კი მიანიშნებდა, მაგრამ სათავე ამ მინიშნებისა სულ სხვა იყო და არა ის, რაც მკვლევარს ეხება, ანუ — რადაც უნდა დასჯდომოდა, ივანე მაჩაბლის გაუჩინარება ილია ჭავჭავაძის სახელთან გადაეჭდო. ილიას რომ არსად მოიხსენიებს? განა რა მოხსენიება უნდოდა, რომ, თუკი გარიყვა იქნებოდა ივანე მაჩაბლის ამ უცნაური გაქრობის მიზეზი, მთავარი მონაწილე ამ გარიყვისა ვინ გამოდიოდა, თუ არა ილია — „ბანკობიადა" ამ ორ მოღვაწეს დააყენებდა ერთმანეთის პირისპირ და უღმერთოდაც შეატაკებდა თავ-თავიანთ მომხრეებიანად.

— გვითხარ, ძიავ: მამაჩვენი სად წავიდა და ან როდის, რომ არსად სჩანს ამოდენ ხანს დაგვივიწყა და არ მოდის, — შენუკვოდა ივანეს პატარა ქალ-ვაჟი პოეტს, ვინც უბეჯითებდათ, მამათქვენი უძლეველი მოღვაწე გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის წესი და კანონია ისეთი უსამართლო და უკუღმართი, რომ ან უნდა გასრისოს, ვინც ურჩობას გაუბედავს, და ან დაიმონოსო.

მამათქვენსაც ეს ხვდა წილად
იმ უსწორო ბრძოლა ომში,
და ნიშანში ამოიღეს
უსამართლოდ თვისვე ტომში.

„არ ყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას,
როცა მეფობს მრუდე ძალა"
ასე სთქვა და ცხოვრებას სულ
მოეშორა, მოეცალა.

ჰამლეტური ყოყმანი, ყოფნა თუ არყოფნა, ივანე მაჩაბელსაც დაუფლებოდა, და თუმც არყოფნა ემჯობინებინა, ეს სწრაფვა მაინცდამაინც თვითმკვლელობასთან არ გაეთანაბრებინა და თვისტომთაგან გაცლა გადაეწყვიტა.

აკაკის ამ საგულისხმო ლექსზე, რომელიც მაჩაბლის გადახვეწას ამჟღავნებს, სამწუხაროდ, დღემდე არავის შეუჩერებია ყურადღებაო, — თავი მოსწონდა ა. იობიძეს, კმაყოფილს, ამდენი ხნის საიდუმლოს ფარდა ავხადე და სააშკარაოზე გამოვიტანეო.

სტატიის შინაარსის ზოგადი გაცნობაც უკიდურესად აღაშფოთებდა თედო სახოკიას და, კიდევ კარგი, „საიდუმლოსათვის ფარდის ამხდელი" იქ არ იმყოფებოდა, თორემ დიდხანს არ დაავიწყდებოდა თედოს მრისხანება, აქედან ფაცხაფუცხითაც რომ მოუსვამდა შიშით აცახცახებული.

რაო, მაჩაბელი მალულად გაემგზავრა საქართველოდანო?

— ივანეს ძალიან ახლოს ვიცნობდი და, როგორც მის ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ მეგობარს, შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მაჩაბელი არსად წასულა ინკოგნიტოდ და არც შეეძლო ეფიქრა ამის შესახებ, რადგანაც იმდენად უყვარდა თავისი სამშობლო, უიმისოდ ცხოვრება ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა.

საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყესო?

— არც არავის გაურიყავს. მართალია „ბანკობიადის" შედეგად ილიასთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და ბანკიდანაც წავიდა, მაგრამ ამ მარცხს სავსებით შერიგებული იყო. ივანე მაჩაბელი არა ყოფილა იმ ტიპის მოღვაწე, რომ უსაქმოდ დარჩენილიყო. დაე ყველამ იცოდეს, რომ უკანასკნელ ხანს იგი სინანულითაც კი იგონებდა ბანკის საკითხებზე ილიასთან ბრძოლას, რომელმაც მასაც და ილიასაც ბევრი დრო დააკარგვინა უსარგებლოდ.

ნუთუ თავისი გარიყვის შემგრძნობსა და სასოწარკვეთილ კაცს განზრახული ექნებოდა მთელი შექსპირის თარგმნა და საბოლოოდ კი დიდი წიგნის დაწერაც ამ რჩეულ დრამატურგზე?

მაჩაბელს კი ეს განზრახვა ნამდვილად ჰქონდა და აგერ თედოსთვისაც გაემხილა. და ამას როგორ არ გაეცინა, როდესაც გარიყვას ახსენებდნენ მაჩაბელთან დაკავშირებით. ამასთან,

დაე ისიც მოეგონებინათ, რომ სწორედ თავისი ცხოვრების ამ ტრაგიკულ ფინალამდე რამდენიმე თვით ადრე ზედიზედ ეძღვნა საზოგადოებისათვის „ანტონიოსი და კლეოპატრასა“ და „კორიოლანოსის“ ქართული ორეულები. ეს მოწმობდა, რომ შექსპირის ტრაგედიებზე მუშაობაში კვლავ მთელი გატაცებით ჩაბმულიყო დიდი ხნის შეყოვნების შემდეგ, რაც ბანკობიადით იყო გამოწვეული.

თვალწინ ამოდიოდა ის წუთები, სუბტროპიკული ნერგების დარგვაში რომ ეშველებოდა ივანე მაჩაბელს, ამისთვის საგანგებოდ ჩამოსული სოხუმიდან — აბა, მარტოდენ გამოგზავნას ხომ არ იკმარებდა ნერგებისა?!

ეზოში ფუსფუსისას რამდენი განზრახვა გაეზიარებინა თედოსათვის, განსაკუთრებით კი ახარებდა და ბავშვივით ფოფინობდა, აბასთუმანში სამკურნალოდ რომ მოუწევდა წასვლა 1898 წლის ზაფხულში.

— ექიმები ვაწაძე, ვოინო და გედევანიშვილი მაიმედებენ, რომ იქიდან საღ-სალამათი დავბრუნდები, და მაშინ კი შევძლებ ჩემი შექსპირიც მალე მოვათავო.

ჰოი, რას აღტაცდებოდა ამის მოსმენისას თედო სახოკია — მთელი შექსპირი ქართულად, მაჩაბლური სწორუპოვარი ხელოვნებით!..

და ასე ჩამოყალიბდებოდა ეჭვშეუვალი დასკვნა, გივი ხვედელიძე სიტყვასიტყვით რომ დაიმახსოვრებდა და მოგონებაში მტკიცედ ჩაურთავდა: ზუსტად მომყავს ბატონი თედოს სიტყვებიო:

— ვინც კი ვანოს ახლოს იცნობდა, ყოვლად შეუძლებელია მასზე ოდნავადაც დაუშვას ის აზრი, რომ იგი ოდესმე ვინმეს ან რასმეს რისგანმე შეეძლო გაერიყა.

და კიდეც უნდა გაეხსნა თედოს ამგვარი „კვლევის“ მთავარი შთამაგონებელი მოტივი, კვალი ჩვენთვის ხატად ქცეულ სახელს რომ უნდა მისდგომოდა:

— მსჯელობა ივანე მაჩაბლის საზოგადოებიდან „გარიყვაზე“, თუნდაც იმ მოღვაწეთა დაუსახელებლად, რომლებიც თითქოსდა ამ „გარიყვის“ მიზეზნი იყვნენ, ნებით თუ უნებლიეთ წყალს ასხამს ილია ჭავჭავაძის ბევრი იმდროინდელი დაუ-

ძინებელი მტრის ინსინუაციებს, „ბანკობიადის“ შედეგად ილიას გამარჯვებას საზოგადოებრივ საქმეთაგან მაჩაბლის ვითომდა ჩამოშორების მიზეზად რომ მიიჩნევდნენ. ბანკის საქმეების გამო მაჩაბელს თავის დროზე ბევრ პიროვნებასთან მოუხდა შეხლა-შემოხლა და პირადი უსიამოვნება, მაგრამ იმ პირთა შორის ერთიც არ ერია ისეთი, რომ ვანო გაემეტებინა.

და მაშინ... მაშინ მოსალოდნელი ხომ არ არის, რომ მაჩაბელს საკუთარი ხელით მოესწრაფებინა სიცოცხლე?

თედოს ეს მოტივი სასაცილოდაც არ ეყოფოდა და მოკლედ მოჭრიდა:

— ყოვლად შეუძლებელია!..

ერთ სამშაბათს კი ისეთი გაბადრული შემოაბიჯებდა ოთახში, ყველა მიხვდებოდა, რაღაც ძლიერ სასიამოვნო და გასახარი მომხდარა მის ცხოვრებაშიო. და ცნობისმოყვარე მზერით რომ მიაჩერდებოდნენ, ისიც აღარ დაახანებდა:

— ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული რომანი წავიკითხე ივანე მაჩაბელზე.

— ვანო ამ წიგნში ისეთია, სინამდვილეში როგორიც იყო?!

— სწორედ ისეთი... და ცხოვრების ქრონიკა კი მხოლოდ ასე უნდა იწერებოდეს, ასე მართლად, ასე შთამბეჭდავად, ასე გულშიჩამწვდომად.

და თავის შთაბეჭდილებებს რომ გადმოალაგებდა, გივი ხვედელიძეს მიუბრუნდებოდა:

— ახლოს რომ იცნობ ვახტანგს, ბარემ ამ კვირას მესტუმრეთ, პირადად მინდა გავუზიარო ჩემი აღტაცება.

და კვირას თედო სახოკიას ბინის კარში გამოჩნდებოდა თუ არა ვახტანგ ჭელიძე, მასპინძელი შესვლასაც აღარ დააცლიდა, იქვე გადაეხვეოდა და დიდ მადლობასაც მოახსენებდა იმ სიამოვნებისათვის, „ივანე მაჩაბლის ცხოვრებას“ რომ გამოეწვია.

— თუ ჩემს აზრს თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს...

— თქვენს აზრს აქვს თუ აქვს...

რა უცნაური დარცხვენა სჩვეოდა ხოლმე ასეთ დროს თედოს, და კინაღამ ამჯერადაც სიტყვა დაეკარგებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც:

— შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ეს ბიოგრაფიული რომანი თანამედროვე ქართული პროზის შედევრად მიმაჩნია.

ჰოი, როგორ შეეუხერხულებოდა ეს ქება შექსპირის თარგმნაში ივანე მაჩაბლის ტრადიციის გამგრძელებელსა და იმ რანგის შემნარჩუნებელს, თან იმ კაცისაგან, ვის დახვეწილ გემოვნებასაც ასე ენდობოდა და ვინც მეტად ხელმომჭირნედ არიგებდა მოწონებისა თუ აღტაცების სიტყვებს.

რომანის ფინალს განსაკუთრებით მოეხიბლა, თხრობა ზმანებაში რომ შეცურდებოდა და ლეგენდაში გადაიზრდებოდა, ილიას ლანდსაც რომ უნდა გაეცისკროვნებინა და მოეშარავანდებინა ეს ლეგენდა.

ბურანშია ივანე მაჩაბელი და კარგად ვეღარც გაურკვევია, სიზმარშია თუ ცხადში, და ამასობაში ფიქრის ძაფიც უწყდება... კარში ვინ ასვეტილა, ვინ არის ეს წითური, წოწოლა კაცი, რაღაცას რომ ანიშნებს? რაღა რაღაცას — გამომყევიო... ნეტა მართლა ჩამდგარა იქ ვიღაც, თუ ეს მხოლოდ სხეულის მოჩვენებაა?..

შანდალს უნდა მოჰკიდოს ხელი და აივანზე გავიდეს, გადაიხედოს... იქ კი საშინელი შიში იგრძნოს, სიბნელისა და უსასრულობის შიში!.. და მთელს სხეულში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუაროს, სახე შეეშალოს და ხელი აუცახცახდეს...

ეს რა არღვევს ღამის მყუდროებას?!

ეს რა ყურისწამღები ხმაური ახშობს სმენას?!

სივრცეში მსრბოლი გოლიათი პლანეტები მოძრაობენ და ივანე მაჩაბელიც ამ სრბოლას უნდა შეერიოს.

სწრაფი ნაბიჯით უნდა შემობრუნდეს ოთახში, ისეთი ნაბიჯით, მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილების დროს რომ აქვს ხოლმე ადამიანს.

ოთახიდან გამოჭრილმა სინათლის მოფარფატე მკრთალმა შუქმა ერთხანს კიდევ უნდა ანათოს ფანჯარასთან მდგარი ხის ტოტები, მერე თანდათან ძალა წაერთვას ამ შუქს, საცოდავად აფარფატდეს და ჩაქრეს.

ეპილოგი კი ერთიანად უნდა გაიჟღინთოს ხალხის აფორიაქება-მღელვარებით, სხვა სალაპარაკო რომ აღარაა ტფილის-

შიც და საქართველოშიც, გარდა ივანე მაჩაბლის საიდუმლოებით მოცული გაქრობისა, მტკვარს მოუჩხრიკავს რომ არაფერს დაუტოვებდნენ.

და ერთბაშად ამოიზიდოს ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურა, ეს უმძიმესი დარდი რომ შემოსწოლია და ლამის ველარც გაუმკლავდეს — სად შეიძლება ასე უგზოუკვლოდ გაუჩინარებულიყო ის კაცი, ვისაც ოდესღაც თავის მემკვიდრედ ამზადებდა და... ვითომ მართლაც არ დაშვენდებოდა საქართველოს არაოფიციალური პრეზიდენტობა?!

ის ვიღაც წითური, წოწოლა ლანდი მკითხველმა, შესაძლოა, მაცილის ანარეკლადაც აღიქვას და ეს მიზანიც ექნებოდა ბიოგრაფოსს, რათა მისტიკური საბურველის მოსაქსოვად ყველაზე მარჯვე დეტალები მოეხმო, მაგრამ მოჩვენების გარეგნულ იერში სოსიკო მერკვილაძის სილუეტს გახვევდა — აკი წითურიც ის გახლდათ და წოწოლაც.

საიდუმლოს ამ სტრიქონებს მიანდობდა, ივანე მაჩაბლის ამ მოლანდებას.

თედო სახოკია მიუხვდებოდა, ცხადია.

მოუწონებდა:

— ეს რა კარგად მოგიფიქრებია... საერთოდ კი ასე სჯობდა, უეჭველად ასე სჯობდა, თორემ ისე... ოჯახური დრამის მსხვერპლია ვანო.

— ვიცი, დეტალურად ვიცი, რა და როგორ მოხდა.

— შალვა დადიანისაგან?

— დიახ, ბატონი შალვასაგან... და კიდევ ბატონი გერონტისაგან... თქვენს მოგონებაში ბოლომდე არ არის გახსნილი იმ ტრაგედიის საიდუმლო, თუმც გავრცელებული ვერსიები რომ უარყოფილია და დაბეჯითებითაც უარყოფილი, ესღა რჩება ვარაუდად — ოჯახური დრამის მსგავსი, უნებლიე მკვლელობა...

ჰოი, რას მოსევდიანდებოდა თედო, აფორიაქდებოდა, აქეთიქითაც მიაწყდებოდა, თითქოს ზედ წადგომია მისთვის ძვირფასი პიროვნების ნეშტსო, ასე ულმობლად გამეტებულისა ბედისწერისაგან.

ამის ღირსი უნდა ყოფილიყო ივანე მაჩაბელი?!

მაგრამ ან ბედისწერას რას გაუგებ და ან წუთისოფლის უცნაურობებს, ამჯერად უილიამ შექსპირის ქართველ მეგზურზე რომ გამოეცადა საკუთარი ძალა და... ისიც თითქოს შექსპირის პერსონაჟად ექცია, შექსპირული ტრაგედიის გმირად — რაც აღარ დაგცალდა მისი პიესების თარგმნა, დაე საკუთარი აღსასრულით შეავსეო.

ლეგენდად აკაკი წერეთელი აქცევდა ამ აღსასრულს, სოსიკო მერკვილაძე რომ მივარდებოდა მასთან სასტუმროში თავზარდაცემული, ტასო მაჩაბელი გიხმობს სასწრაფოდო... ის ოფიცერი გამქრალიყო, აორთქლებულიყო იქიდან, ვის თავზეც შეემართა ოთახიდან გამოლასლასებულ მაჩაბელს ის უთო, ტასო მუნდირს რომ უუთოებდა... და კიდეც ისევე უნდა გამსხლტარიყო 26 ივნისის განთიადზეც, როგორც არაერთხელ გამძვრალა უდავიდარაბოდ... მაშინ ფეხზეც ვერა დგებოდა მაჩაბელი, ახლა კი ნეტა რას წამოეგდო ზეზე, რას გამოეყვანა ოთახიდან და რას დაეყენებინა თავზე ამ ღირსების შემბღალავი სურათისათვის?! ბედისწერასა და წუთისოფლის ოინს, შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟად რომ ამზადებდნენ.

მაჩაბელს აღარაფერი ეშველებოდა და ახლა მისი ოჯახის ღირსება უნდა გადარჩენილიყო, ტასო მაჩაბელს ჩირქი არ უნდა მოსცხებოდა, ამისათვის კი ყველაფერი იდუმალებაში უნდა გახვეულიყო.

იდუმალებას ყოველგვარ საყრდენს გამოაცლიდა მოკლულის გვამი.

ამიტომაც ის უნდა გამქრალიყო.

სხვა გზა აღარ რჩებოდა და სოსიკო მერკვილაძეს უნდა ჩაეგდო საკირეში და... ყოველგვარი კვალიც პირწმინდად მოისპობოდა.

რაო, რა ეჩვენება ძილბურანში გახვეულ პერსონაჟ მაჩაბელს?

ვილაც წითური, წოწოლა კაცი, რომელიც ანიშნებს, გამომყევიო.

ადვილად განსჯიდა აკაკი წერეთელი — ლეგენდა ყველაფერს მოხდენილად შებურავს და დაე არც არასოდეს დასრულ-

დეს ლაპარაკი, ივანე მაჩაბელი მტკვრის ტალღებმა ჩაიხვია თუ მალულად გაემგზავრა საზღვარგარეთო.

მაგრამ ასე ადვილადაც რომ არა მთავრდებოდა ეს ყოველივე?!

ლეგენდა კი წარმტაცად შემორჩებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებას და თანადროულ გმირს უძველესი ჟამის ლეგენდებისა და მითების პერსონაჟებს დაუახლოებდა, მაგრამ ავად ასარსარებული ენები ხელიდან რომ არ გაუშვებდნენ ასეთ ხელსაყრელ, ასეთ „მადლიან" მასალას?! და კვალს პირდაპირ ილია ჭავჭავაძისაკენ წაიყვანდნენ.

სულაც არ იყო აუცილებელი, მაინცდამაინც მკვლელობის ორგანიზება დაეწამებინათ, თუმც ამასაც ხალისით მიაწერდნენ.

თუკი ფარულად გამგზავრებულიყო სადმე, ისე, რომ უკან მოხედვაც აღარ უნდოდა, და სამუდამოდაც მოსწყდებოდა საკუთარ მამულს, ეს იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ყოფიდან ამოეგდოთ, გაერიყათ და სულის მოსათქმელიც აღარაფერი დაეტოვებინათ, ერთი ბეწო ხელმოსაჭიდიც, მშობლიურ მიწა-წყალზე რომ დაემაგრებინა.

საიდუმლოს გახსნას თედო სახოკიაც რომ მოერიდებოდა და ვახტანგ ჭელიძეც და ივანე მაჩაბელს ლეგენდაში ჩატოვებდნენ, ამას მაინც მტკიცედ და გადაჭრით განაცხადებდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე სრულიად უცოდველი გახლდათ ამ ტრაგედიაში, და თუ ვინმე იყო ივანე მაჩაბლის უპირველესი ჭირისუფალი, სწორედ ილია — ალალი, მართალი, შეუბღალავი.

მოგვიანებით კი კიდევ ერთხელ რომ შეეცდებოდნენ ყალბი ვერსიების ამოზიდვას და ივანე მაჩაბლის გადაქცევას სათავგადასავლო-დეტექტიური თუ სანტიმენტალურ-მეშჩანური რომანების პერსონაჟად, ოთარ ჩხეიძე გაილაშქრებდა მკაცრად ამ უმართებულო მტკიცებათა წინააღმდეგ ესეით „ანაქრონიზმები", რადგანაც ამ „ვერსიებში" აშკარად გამოსჭვიოდა უდიერი დამოკიდებულება ილიასადმი, და კიდეც ამ აკორდზე უნდა მოთავებულიყო ესეი:

— და წარმოუდგენელია ინტელექტუალური ცხოვრება ჩვენში უილიაოდა, ილიას გარეშე, წარმოუდგენელია და შეუძლებელი. ეს ერთი ხატი მაინც შეგვარჩინეთ, თორემღა რაო, —

სადღა დავხაროთ თავი, სადღა მოვიოხოთ გული, ვიღას რა შევჩივლოთ, ვიღას ვეახლოთ სააღსარებოდა...

და ამ ესეის რომ ქმნიდა, მწვავე პოლემიკურ გამოხმაურებას, ოთარ ჩხეიძეს თედო სახოკიას აჩრდილიც აგულიანებდა, თორემ ვახტანგ ჭელიძე ხომ თავისთავად — სულაც მას დაეკვეთა ეს სტატია მეგობრისათვის „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად: ერთი შენებურადო!..

იქ კი, თედოს კაბინეტში დიდხანს შეჰყვებოდნენ საუბარს და გამომშვიდობებისას თავის ახალგამოსულ წიგნს უძღვნიდა ორივეს: „როგორ ვიზრდებოდით ძველად", ბავშვობისდროინდელ მოგონებებზე აკინძულს.

ის ხანა მაინც უფრო წამოტივტივებულიყო მეხსიერებაში. მანამდე თუ უფრო ციმბირული გადასახლება და ევროპული ემიგრაცია შეახსენებდა თავს, ანდა პარიზული თუ ბელგიური განსწავლის ხანა, ახლა სიყმაწვილის დრო დამდგარიყო და ისე მოიწევდა ის სურათები, თავის გარსში ხვევდა ბერიკაცს, ნეტარების წუთებს რომ განაცდევინებდა და იმ გრძნობასაც მოუვლენდა, თითქოს კვლავაც იქ გადატყორცნილიყოს, ბედნიერების იმ ნავსაყუდელში, თანდათან რომ უნდა გამორკვეულიყო ამ განცდებისაგან ცხოვრების პირველივე სუსხის შეხებისთანავე. მერე და, მერე ხომ... მაგრამ ეს „მერე და მერე" სადღაც იკარგებოდა და მთელი თავისი უსაზღვროებით გადაშლილიყო ბავშვობა, საიდან ამოკრებილი ცალკეული წუთები და სურათებიც ეგებ სხვათაც გამოსდგომოდათ — იმჟამინდელი რეალობის გასათვალისწინებლად და არაერთი გარემოების დასაზუსტებლად თუ შესავსებად.

ის, რაც უაღრესად დაინურებოდა მის „ავტობიოგრაფიაში", სიყმაწვილის მოგონებებში გაიშლებოდა დოკუმენტალისტისა და ბელეტრისტის ხელოვნებით. ამ უნარს ბოლომდე რომ ჩააქსოვდა, როგორც სჩვეოდა, და კიდეც შედგებოდა აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული რომანის — „ჩემი თავგადასავალი" — დასაწყისის კვალზე, ბავშვობის შთაბეჭდილებების.

დაბადებით სოფელ ხეთაში რომ დაბადებულიყო, ზუგდიდის მაზრაში, 1868 წლის 2 (ახალი სტილით: 14) მარტს,

მღვდლის ოჯახში, ბებიაქალი ჭიპის მოჭრასთან ერთად პირში ჩხიკვის ფრთას გამოავლებდა — ენას ადრე ამოიდგამსო...

ოჯახში შვილის, ისიც ვაჟის შეძენას დიდი ხარება მოჰყოლოდა — გაუთავებელი სროლა კაჟიანი თოფისა თუ დამბაჩისა, მახარობლისათვის მილოცვა, ქათინაურები დედას, მამას... მოსალოცად შორიდანაც მოვიდოდნენ ნათესავ-მოყვრები.

საგვარეულო გადმოცემით, სახოკიების შორეული წინაპარი რაჭველი გამყრელიძე ყოფილიყო და, თანასოფლელი რომ შემოჰკვდომოდა, სასჯელისა და მოკლულის ნათესავთაგან შურისძიებისათვის თავდასაღწევად გამოქცეულიყო გორდში (ლეჩხუმი). აქ დაცოლშვილებულიყო — მისცემოდა ოთხი ვაჟი და ერთიც ქალი. ეს მაინც რა იყო — კაცისკვლა მის შვილებსაც რომ არ ასცდენოდათ — მათ ლამაზ დას შემოეჩვეოდა დადიანის მოურავი ჩიქოვანი. ძმებს გარეთ სამუშაოდ გასულებს რომ გაიგულებდა, ჩიქოვანი თავისი ჯარით მოდიოდა მათ სახლში და დროს ატარებდა სატრფოსთან. მაგრამ ერთხელ ძმები ზედ წაასწრებდნენ თავიანთი ოჯახის შემარცხვენელს, მოკლავდნენ და ხრამში გადაისროდნენ. ამის შემდეგ ლეჩხუმში რაღას დაედგომებოდათ და გამოიქცეოდნენ სამეგრელოში. ჯერ მარტვილის ტაძართან მივიდოდნენ და ნიშნად ყმობისა და მონობისა კისრით გამოებმოდნენ ტაძრის კარის ბოქლომზე. ამის შემდეგ ისინი მიიჩნეოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად და არავის, თვით მთავარ დადიანსაც, აღარ შეეძლო მათთვის პასუხი მოეთხოვა და ხელი ეხლო დანაშაულისათვის. გვარებსაც გამოიცვლიდნენ — ორი ძმა სახოკიას დაირქმევდა და შხეფში დარჩებოდა, ორი ძმა — გახოკიძეს აირჩევდა. ერთი ამ გვარით სოფელ ბანძაში დარჩებოდა, ხოლო მეორე — მდინარე ტეხურაზე გადავიდოდა და დასახლდებოდა მარანში (აბაშის ახლოს), სადაც თაობა თაობას შეენაცვლებოდა ამ გვარისა, ეგაა, დაბოლოებას „ძე"-ს მიუმატებდნენ და გახდებოდნენ გახოკიძეები.

რაკილა ძიძობის ინსტიტუტი ძველთაგან მტკიცედ დაკანონებულიყო სამეგრელოშიც, თედოს სამ წლამდე ძიძას მიაბარებდნენ ჯარგვალში, ანუ მრგვალი ხეებისაგან შეკრულ სახლში, შუა ალაგას კერა რომ ჰქონდა — წითელი მიწით ამაღლებუ-

ლი, ზედ გათლილი ძელი რომ იდო წვრილი შეშის თავების ჩამოსადებად, რათა შეშას ცალი მხარე ამაღლებოდა, ჰაერს ქვეშიდან რომ ემუშავა და წვის პროცესიც რიგიანი ყოფილიყო. ეგაა, სახლს საგანგებო საკვამლე არ გააჩნდა და ყველაფერი გამჭვარტლულიყო. თუკი რაიმე საგანს თავდაპირველად თეთრი ფერი ჰქონდა, ეს ფერი ბოლომდე არ შერჩენოდა.

თედოს ტირილის პირველი მიზეზიც სწორედ ეს კვამლი აღმოჩნდებოდა — არ დაინდობდა ოჯახის ახალ წევრს, თვალებს ამოსწვავდა და ცრემლებით აუვსებდა. ჰოი, რას აკივლდებოდა და თავს აკვნის კედლებს ურახუნებდა პაწია.

ამას რა უშავდა. მეორე შემთხვევა კინაღამ საბედისწეროდ გაუხდებოდა: ერთხელ ცეცხლის პირად აკვანში ჩაკრულს მარტო რომ დატოვებდნენ, ჯარგვალის უკანა კარი კი მიუხურავი დარჩებოდათ. შემოვიდოდა ტრუხა-ღორი, აკვანს დინგს ამოჰკრავდა და წააქცევდა, არტახებსაც ამოჰკრავდა დინგს, მაგრამ, რაკიღა საკბილოს ვერა ჰპოვებდა, თავს დაანებებდა და უკმაყოფილო ღრუტუნით გაეცლებოდა. დალოცვილს ის კი დაავიწყდებოდა (თედოს იუმორი რომ არასდროს ტოვებს!), რომ კერაზე ცეცხლი იქავე იყო და მაჯას დასწვავდა შაურიანის სიფართეზე, და ეს ნამწვავი სამუდამოდ დააჩნდებოდა. ძალიან რომ ემწვავებოდა, მის გაბმულ კივილზე მოცვივდებოდნენ და ცეცხლში ამობუგვას გადაარჩენდნენ.

ერთხელაც ავად რომ შეიქნებოდა, არაფერი უშველიდა — არც ნათვალევის წამალი, არც სპილენძის ქვაბის თავზე შემოვლება, არც ხეთის წმინდა გიორგის კარზე სახარე ხბოს შეწირვა, სულ უარესად ხდებოდა და საქმე იქამდე მივიდოდა, რომ სააქაოს უნდა გამოსთხოვებოდა. რაკიღა სიკვდილის პირას მიდგებოდა და მოუნათლავი, ისიც მღვდლის შვილი, არ ეგებოდა ემბაზში ჩაუშვებლად საფლავში ჩასულიყო, მოცდა აღარ შეიძლებოდა და ეს საიდუმლო დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო. ნათლიად მამამძუძე დაუდგებოდა.

— სულერთია, სასიცოცხლო პირი არა აქვს, — იტყოდა მისი ნათესავი და მომნათვლელი მღვდელი, გადაავლებდა ნათლობის თბილ წყალს და... მოიხედავდა კიდეც თედო და თანდათან სულ

უკეთ შეიქნებოდა. სოფლის ჰაერიც თავის სასიკეთო ზეგავლენას მოახდენდა და გამოტირებული ბავშვი წუთისოფელს შერჩებოდა. თანაც, თურმე როდემდე უნდა ეცოცხლა, ცას გამოვეკერეო, ამ ხუმრობის გამეორებაც რომ არ მოსწყინდებოდა.

მისი აღზრდის პროგრამაში შედიოდა:

შეეძრება მისი თავისა როგორც ოჯახის სალოცავებისა, ისე ძლიერი ხატებისათვის; იმ ხატების დღეობებზე მათ კარწინ მიყვანა, შესაწირავების მიტანა, მისი თავის შეეძრება, მის მაგიერ მორჩილების გამოცხადება, აღთქმა შესაწირავთა კვლავ მიტანისა და, სამაგიეროდ, გამოთხოვა ცხოვრებაში ცვა-ფარვისა ყოველგვარი ხიფათისა და განსაცდელისაგან, წარმართვა ყოველი დაწყებული საქმისა, ხელის მომართვა ყველაფერში, ძლევა მტერთა და ავისმდომთა.

მაგრამ ხატებისა და წმინდანთა გვერდით სხვადასხვა ავი, ადამიანის სამტროდ და წასაწყმედად გაჩენილი სულებიც რომ არსებობდნენ, რომელნიც ავსებდნენ ტყეებს, ღადაღუდეებს, ღელეებსა და ხევებს?

ამ ავი სულებისა და ჭინკების ამბებს თედოც და მისი ძიძიშვილებიც ისმენდნენ მეზობლებისაგან, ზამთრის გრძელ ღამეებში რომ სტუმრობდნენ ცეცხლაპირას სალაპარაკოდ და დროის მოსაკლავად. ესენი ერთმანეთს ეკვროდნენ, ვინიცობაა გამოჩნდეს ერთ-ერთი მათგანი, ერთობლივი ძალით უფრო მოვიგერიებთო. ბნელ ღამეში განსაკუთრებით ეშინოდათ შინიდან გამოსვლა, რადგანაც ყოველ ნაბიჯზე ხან ოჩოკოჩი ელანდებოდათ, ხან ტყის დედოფალი და ხანაც — ჭინკა.

საგანგებოდ ასწავლიდნენ, თუ რისი გაკეთება არ შეიძლებოდა, ამგვარი „აკრძალვა", ანუ „ტაბუ" კი უამრავი გახლდათ, მაგრამ ყველა უნდა შეეთვისებინათ, როგორც სულიერი იარაღი. და სულ ყურში ედგათ ეს დარიგება:

— დაცვა აუცილებელია, რათა ცხოვრებაში სუფრის თავში თუ არა, მთლად ბოლოშიც არ მოექცეთ!..

მთვარიან ღამეში უნდა მორიდებოდი მოკაშკაშე ვარსკვლავთა დათვლას, თორემ რამდენსაც დათვლიდი, იმდენი მეჭეჭი გაგიჩნდებოდა ხელზე;

ბაყაყის მოკვლა გარდუვალ წვიმას მოასწავებდა;

უნდა მორიდებოდი ფულის გადაცემას ხელით, რადგან ფულთან ერთად წაჰყვებოდა შენი ოჯახის ბარაქაც;

მიცვალებულზე ლაპარაკისას ცხვირის დაცემინება ნიშნავდა, რომ ხსენებაზე სიკვდილი მოსულიყო და უპირებდა სხეულში შესძრომოდა იმას, ვისაც ცხვირი დაეცემინებინა. ამიტომ მაშინვე ზურგში უნდა ჩაეკრათ მუშტი და თან დაეტანებინათ: იმის (მიცვალებულის) მოსვლამდე თავი არ წამოგტკენოდესო;

უნდა მორიდებოდი ზოგიერთი ნადირის ნამდვილი სახელის ხსენებას. აუცილებლად მეტსახელით უნდა მოგეხსენიებინა. მგელს მგელს რომ დაუძახებდი, იტყოდა: მეძახიან, რაღაც საკბილო გამოჩენილაო, — და გამოიქცეოდა. ამიტომაც როდესაც მგლის ხსენება უნდოდათ, ამბობდნენ: უწმინდურიო...

რას ჩამოთვლიდი აკრძალვათა ამ უგრძეს რიგს, თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ ძიებებსა და მემუარულ ჩანაწერებში რომ მიმოიფანტებოდა და სიყმაწვილის მოგონებებშიც ასე ბუნებრივად ჩნდებოდა, როგორც თანამდევი ბავშვის ცნობიერების გამოღვიძებისა და თანდათანობითი დადგინებისა.

თითქოს ათვალწუნებით უყურებს ამ ყოველივეს სიჭარმაგისა თუ სიბერკაცის გადმოსახედიდან?

მოჩვენებითია ეს ათვალწუნება, არა გულწრფელი, არამედ იძულებითი გათვალისწინება მკაცრი პოლიტიკურ-იდეოლოგიური რეალობისა, ქრისტიანულ რჯულზე არანაკლებ რომ იდევნებოდა ხალხური რწმენა-წარმოდგენები, როგორც — გამოხატულება სულიერი სიბნელისა და ცრუმორწმუნეობისა.

თედოც თითქოს ემორჩილება ამ მკაცრ რეალობას, მაგრამ რისი თედო სახოკია იქნება, გარეგნული მორჩილების მიღმა თავისი საქმე არ აღასრულოს, ანუ ამჯერად: უხვად უნდა შემოზიდოს მკითხველის ცნობიერებაში ის ნაკადი ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა, მითოსის თავისებურ ანარეკლადაც რომ შემორჩენილა და ცხოვრების პოეზიასაც რომ წარმოადგენს, იოჰან ვოლფგანგ გოეთესი არ იყოს, „ცრურწმენაში", უფრო ზუსტად — წინასწარ რწმენაში, ყოფითი სინამდვილის პოეზიას რომ ჭვრეტდა და აუცილებლობად მიაჩნდა ამ პოეზიის გადარ-

ჩენა და შემონახვა, სწორედ ის, რაც ჩვენში თედო სახოკიასაც ედო თავს და რას დაგიდევდა საბჭოურ-იდეოლოგიურ საფრთხეს, როდესაც შეეძლო ეს ყოველივე ისეთ საბურველში გაეხვია, ადვილად ვერავინ წასდავებოდა და ცენზურასაც მარჯვედ დასხლტომოდა. თორემ მართლა სასაცილოდ რომ ეჩვენებოდეს მითოსის ნაშთები თუ ტაბუ-აკრძალვათა მთელი ეს წყება, მათ კოლექციას კი აღარ შეაგროვებდა, ერთ-ორ მაგალითს იკმარებდა სათვალსაჩინოდ: აი, როგორ სიბნელეში იმყოფებოდა ხალხი მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრებამდეო.

რას ირწმუნებდა გერონტი ქიქოძე?

თედო სახოკია ღარიბ ქოხში დაიბადა, მაგრამ ამ ქოხში ძლიერი იყო ქართული კულტურის ტრადიციებიო.

დავძინოთ: ღარიბ ქოხშიც აღიზარდა, მაგრამ არც იქ ყოფილა ქართული კულტურის ტრადიციათა ნაკლებობა.

ამ რწმენა-წარმოდგენებშიც მოჩანს ეროვნული ტრადიციები, ის თვითმყოფადი კულტურა, რომელიც ვაივაგლახით, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა თავს და დაუმცხრალი ბრძოლით იკვალავდა გზას თვით უმკაცრეს პოლიტიკურ რეალობაშიც.

არადა, ცალ-ცალკე თუნდ ტაბუ ისეთიც რა არის, და გარეშე კაცს შესაძლოა, კიდეც რომ გაელიმოს, როდესაც, ვთქვათ, მიწაზე დაცემული ან თავისით ჩამჯდარი ბავშვი წამოდგომისას უეჭველად სამჯერ რომ დააფურთხებს ნაჯდომ ადგილზე, და ეს — უფროსების დარიგების კვალობაზე: მიწა არ აგყვესო, — ანუ სინოტივე იქვე დარჩენილიყო და ბავშვს გაცივება აეცდინა თავიდან.

მაგრამ არ გაიღიმებს გოეთეს აზროვნებისა და მორალის პიროვნება, ის კი არა, აღტაცებასაც გამოთქვამს ცხოვრების პოეზიის გამოვლინებებთან შეხებით — მითუფრო, რაც თავისებური და ეგზოტიკური იქნება და რაც უფრო ხშირად შეგხვდება.

ცხოვრების ეს პოეზია აღიტაცებდა თედო სახოკიასაც.

ბავშვობაში — გაუცნობიერებლად;

შემდგომ — უკვე მაღლამხედი კაცის აზროვნებით.

ამასობაში თედოს ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო ერთგვარი გარდატეხა, მთელი ოჯახი — და მათთან ერთად თვითონაც — სამეგრელოს უნდა მოშორებოდა და ბინა დაედო სოხუმში,

სადაც იმხანად ქართულს ვერ გაიგონებდი. თუმც თედოს მამას ეს გარემოება უხაროდა კიდეც: რუსულს ისწავლისო.

რუსული ანბანის სასწავლად ერთ პოლონელ ქალს რომ მიაბარებდა, მერე კი რუსული პოლკის უფროსის და, თან რომ ატარებდა სამეცადინოდ, შემდეგ უკვე შეიყვანდა აფხაზთათვის დაარსებულ ერთადერთ რუსულ ორკლასიან სკოლაში, სადაც აფხაზებთან ერთად რუსი ბავშვებიც სწავლობდნენ.

მამას თავი ბედნიერად მიაჩნდა, შვილი რუსული ენის მცოდნე რომ იქნებოდა, მაგრამ... იმ საშიშროებას რა ეშველებოდა, რომ:

— თანდათან მეგრული მავიწყდებოდა, ტენდენცია მქონდა გარუსებისა, ამისთვის პირობებიც ხელს მიწყობდა.

კიდევ კარგი, მამა წინააღმდეგი არა ყოფილა, რომ თედოს ქართული წიგნიც სცოდნოდა, თუ ამით რუსულის სწავლა არ დაბრკოლდებოდა, იყიდდა ქართულ ანბანს, პეტრე უმიკაშვილის გამოცემას, და ერთ დიაკვანს ჩააბარებდა შვილს: იქნება ჩვენებური ასწავლოო.

დიაკვანი დასვამდა თედოს, აჩვენებდა პირველ სამ ასოს და ეტყოდა:

— იძახე: ან, ბან, გან!

ესეც იმის თანდასწრებით ორ-სამჯერ კი გაიმეორებდა: ანბან-განო, მაგრამ, მასწავლებელი მოშორდებოდა თუ არა, იმდენად მოსაწყენი მოეჩვენებოდა ეს გამეორება, ამჯობინებდა, თავიდან მოეცილებინა. და ერთ წამს ასეთი აზრიც რომ დაებადებოდა: მოდი, სულაც დავხევო, — ანბანს კიდეც აქცევდა ნაკუწ-ნაკუწად. ერთხანს გაერთობოდა, როგორ აიტაცებდა ნიავი ქაღალდის ნაფლეთებს და ჰაერში აათამაშებდა, ვიდრე მიწაზე მიმოფანტავდა. თედოს გულზე მოეფონებოდა: ესეც ასე, ხომ გადავრჩიო, — და სათამაშოდ გასწევდა. დიაკვანს რაღა პასუხს გასცემდა? არც კი გაწითლდებოდა, ისე დააბრალებდა ხატაურა კატას.

ერთი გარემოება რომ არა, შესაძლოა თედო სახოკია ისე დარჩენილიყო, რომ ქართულს საბოლოოდ გამოსთხოვებოდა — წერა-კითხვასაც და მეტყველებასაც.

ის გარემოება მაინც რა აღმოჩნდებოდა?

რა და... რუსეთ-ოსმალეთის ომი, 1876 წლის მაისში გამოცხადებული.

ეს გამოიწვევდა როგორც სოხუმის, ისე ოჩამჩირისა და გუდაუთის დაცლას მოსახლეობისაგან, რაკიღა მოსალოდნელი იყო ამ ადგილებში გადმოსხმა ოსმალეთის ჯარის დესანტისა და, რადგანაც სოხუმის მოსახლეობა იმჟამად მეგრელთაგან შედგებოდა, ისინიც მიაშურებდნენ თავიანთ პირვანდელ საცხოვრისს.

თედოს ოჯახიც დაუბრუნდებოდა საკუთარ კერას, მას კი სოხუმიდან თან მოჰყვებოდა ცოდნა რუსული წერა-კითხვისა, საუფლო ლოცვებისა და ზოგიერთი გალობისა.

სამეგრელოში არსებულ ერთადერთ ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელს — მოსამზადებელი სამი განყოფილებით — ევალებოდა ტრაპეზის მომავალ მსახურთა აღზრდა, ამ სწავლადამთავრებულთაგან კი თითო-ოროლა ბედნიერს თუ ეღირსებოდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელება.

სასულიერო სასწავლებელში შესვლის წინ მღვდლის შვილებს, სამეგრელოსი იქნებოდა თუ სამურზაყანო-აფხაზეთის ეპარქიებისა, უნდა გაევლოთ ერთგვარი ხანა განსაწმენდელში ყოფნისა.

ასეთი განსაწმენდელი თედოსათვის აღმოჩნდებოდა შიო მღვდლის ოჯახი, სადაც ოცდაათი წლის წინათ მამამისიც იზრდებოდა — იქ შეისწავლიდა ხარის ბეჭზე მხედრულ წერა-კითხვას, „დავითნს"... და ახლა შვილსაც იგივე გზა უნდა გამოევლო, სწავლასთან ერთად ტყიდან ზურგით შეშის მოზიდვაც რომ დაეევალებოდა, წყაროდან — კოკით წყლისაც, წისქვილში სიმინდის ზურგით წაღებაც დასაფქვავად და საქონლისათვის ყურისგდებაც..

მერე უკვე დგებოდა ხანა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში შესვლისა, სადაც პირველად შემოიღებდნენ მეგრელთათვის რუსულის სწავლებას, ცხადია, არა პედაგოგიური ხერხებით, არამედ ფიზიკური შთაგონებით: ცემა-ტყეპით.

— იმის შიში, რომ გაკვეთილების უცოდინარობისათვის გაწკეპვლა, სხვადასხვა სახის ფიზიკური სასჯელი მოელოდა, მოწაფეს ჭკუაზე შლიდა. თუთიყუშივით ზეპირობას გასავალი ჰქონდა.

მოწაფენი მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს, მათს საწამებლად მოვლენილთ, ხოლო სასწავლებელს — როგორც საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის დაწესებულებას.

მაგრამ ხომ არსებობდა ისეთი საგანი და ისეთი მასწავლებელიც, რომლის გაკვეთილზეც ყმაწვილები თავს თავისუფლად და მოსვენებით გრძნობდნენ?

დიახ, ქართული ენის გაკვეთილი.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა", რომელზედაც აღიზრდებოდნენ თედოს თანატოლნი და შემდეგი თაობები, პირველად 1876 წელს გამოიცემოდა და ბავშვებს სულზე მოუსწრებდათ — მათ შორის, მარტვილის მეორე მოსამზადებელშიც. ადვილად და ხალისით დაიწყებდნენ კითხვას შიგ მოთავსებული ლექსებისა და მოთხრობებისა, თუმც ბევრი სიტყვა არ ესმოდათ და ზოგჯერ თვით შინაარსიც გაუგებარი რჩებოდა, და ეს იმიტომ, რომ ქართლში გამოყენებული და ქართელი ბავშვისათვის საყველპურო სიტყვები, განსაკუთრებით საოჯახო და სამეურნეო იარაღთა სახელები, სახელდობრ, პურის დამუშავებისა, იმხანად სამეგრელოში არ იხმარებოდა, რადგანაც პურის მოყვანა აქ გადავარდნილიყო და სიმინდის თესვაზე იყვნენ გადასულნი.

და აბა, როგორ გაეგოთ თედოსა და მის თანაკლასელებს, რას ნიშნავდა: გუთანი, კევრი, კალო, ხვავი...

ხოლო ქართულის მასწავლებელი პოლიევქტოს კვიცარიძე ახალ შუქს შემოიტანდა მოწაფეთა ცხოვრებასა და სწავლის საქმეში — შუქს ნანატრსა და მხოლოდ სიზმრად ნანახს. იგი ხომ ისე ექცეოდა ყმაწვილებს, როგორც უფროსი ძმა, რომელსაც მარტოდენ მათი სიკეთე სწყუროდა, მათი გაადამიანება, და ეს —მისი კოლეგებისათვის სრულიად უჩვეულო, სრულიად უცნობი პედაგოგიური ხერხებით.

პირველად პოლიევქტოს კვიცარიძეს უნდა წაეკითხა მოწაფეებისათვის „დედა-ენის" გარეშე საკითხავი ქართული წიგნი და ეს აღმოჩნდებოდა „არსენას ლექსი", პეტრე უმიკაშვილის რედაქციით გამოცემული, ისე რომ, გაიტაცებდათ, სმენად გადაიქცეოდნენ და მერე ყველა მოინდომებდა, საკუთრად ჰქონოდა ეს წიგნი და სულ მას აბარებდნენ ქუთაისში საყიდლად.

ორ წელიწადს შერჩებოდა ეს პედაგოგი თედოს კლასს, შემდეგ კი პეტერბურგში მოუწევდა გამგზავრება აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შესასვლელად, ესენი კი ახლა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარზე“ რომ გადაინაცვლებდნენ, იქ შეხვედრილ გაუგებარ სიტყვათა ახსნა-განმარტებისათვის აღარავინ იცხელებდა თავს. შინ ერთხელაც არ მოუწევდათ ქართული თემის დაწერა და გრამატიკას ხომ არც არავინ უხსენებდათ!

— „ბუნების კარის“ გარდა თუ არსებობდა წიგნი ქართულად, არც ვიცოდით. ასე გვეგონა, მთელ ქართულ ლიტერატურას „ბუნების კარი“ შეიცავდა, მთელ ქართველობის ნააზრევს ეს წიგნი წარმოადგენდა, ეს იყო ალფა და ომეგა ქართული მეტყველებისა. ქართული წიგნის ერთადერთ ავტორად იაკობ გოგებაშვილი მიგვაჩნდა, დიდი ჭკუისა და უნარის კაცი, რომელმაც ამნაირი ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი შეადგინა.

ერთხელ ერთი მასწავლებლის ხელში გაზეთსაც დაინახავდნენ, თავში „დროება“ რომ ეწერა. კითხულობდა და სხვა მასწავლებლებიც გარს ეხვეოდნენ. მონაფეებს უკვირდათ იმსიფართე ქაღალდის ნახვა, იძახდნენ: ნეტა რა უნდა ეწეროს ისეთი, რომ ჩვენი მასწავლებლები, ეს ყველაფრის მცოდნენი, ასე ჩასცქერიან, ნუთუ ისეთი რამე წერია, რაც მათ არ იციანო?

ზოგი რას დაუძახებდა ამ გაზეთს და ზოგიც რას, ხოლო რაკილა მსხვილი ასოებით „დროება“ ეწერა, შეთანხმდებოდნენ, რომ ასეთ ფურცელს საერთოდ „დროება“ უნდა რქმეოდა.

მხოლოდ სამი წლის შემდეგ უნდა გაეგო თედოს, უკვე ტფილისის სემინარიაში ყოფნის დროს, „დროებას“ თვითონაც რომ დაიჭერდა ხელში, რომ ეს ყოველდღიური გაზეთი იყო მკითხველისათვის ცხოვრების ყოველდღიურ ამბავთა მიმწოდებელი.

ასეა თუ ისე, წაკითხული მოთხრობები „ბუნების კარისა“ საზოგადოდ ესმოდათ, ახალისებდათ, სხვა მოთხრობების წასაკითხადაც აგულიანებდათ, და ერთმანეთს შესჩიოდნენ: „დეტსკი მირიდან“ ამოკითხული მოთხრობების გაგებაშიც რომ გვეხმარებოდეს მასწავლებელი, ჩვენი საქმე ასე სატირალი აღარ იქნებოდაო.

მესამე კლასში საგრძნობი ცვლილება მოხდებოდა მათი სწავლების საქმეში. თითქოს ერთბაშად გამოიცვლებოდა ძვე-

ლებური მეთოდები და ურთიერთობაც მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის უფრო კაცთმოყვარული და ამხანაგური შეიქნებოდა.

ამხელა ფერისცვალებას გამოიწვევდა მასწავლებელთა კორპორაციისათვის ვასილ ბარნოვის შემომატება — ინსპექტორად და კატეხიზმოს პედაგოგად.

და მის გარდა, ღრმა პატივისცემით მოიგონებდა ამბროსი ხელაშვილსაც და ასე გამოიკვეთებოდა ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე ის სამეული, რომელიც მოწაფეებს ავიწყებდა მასწავლებლებისადმი სიძულვილს და უტკბობდა იმ ტანჯვას, რომელსაც იმჟამად „სწავლას“ ეძახდნენ და სინამდვილეში კი უხშობდათ ყოველგვარ ადამიანურ სახიერებასა და გონებას.

ოცდაათ მოწაფეში რვას რომ ცნობდა სასწავლებლის მმართველობა სემინარიაში უგამოცდოდ გაგზავნის ღირსად, მათ შორის — თედო სახოკიასაც, დანარჩენებს კი სწავლის გაგრძელების საშუალება რომ მოესპობოდათ, ზოგი რა საქმეს მოჰკიდებდა ხელს და ზოგიც — რას. მათგან მღვდლად მხოლოდ ორი კაცი წავიდოდა. სემინარიაში გამგზავრებული რვა კაციდან ბოლოს მღვდლობას აირჩევდა ოთხი კაცი, ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ სამღვდლოდ მომზადებულ მოწაფეთა ერთი გამოშვებიდან ტრაპეზის მსახური შეიქნებოდა ექვსად ექვსი კაცი ანუ მთელი კურსის მეხუთედი.

ერთმანეთთან გამოთხოვების წინ გადაწყვეტდნენ, ეს მომენტი საერთო სუფრით აღენიშნათ. ვახშმის მოწყობას ერთი უფროსი ამხანაგთაგანი ითავებდა. ყველა თითო მანეთს ჩამოვიდოდა და ერთ სასადილოს მიაკითხავდნენ.

დიდი ხანია, ასე მადიანად არ დანაყრებულიყვნენ.

ამასაც არ იკმარებდნენ და გადაწყვეტდნენ დაემტკიცებინათ, რომ უკვე დიდები იყვნენ და თავს ნებას მისცემდნენ მეტი ღვინის დალევისა.

ეს იქნებოდა თედოსა და მის თანაკლასელთა პირველი დათრობა.

ასე გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს შვიდი წლის ერთად ყოფნის, ერთად წვალების, საერთო მხიარულებაში მონაწილე-

ობის შემდეგ. სემინარიაში წამომსვლელ ბედნიერებს გულდაწყვეტილნი შეჰყურებდნენ სემინარიის გარეთ დარჩენილნი, მაგრამ გზას მაინც ულოცავდნენ და წარმატებასაც უსურვებდნენ. ესენიც დაულოცავდნენ გზას, მაგრამ:

„ — ვაი რომ ულმობელმა ცხოვრებამ ამ ცხოვრებასთან საბრძოლველად მოუმზადებელი ამხანაგები ყველა გაგვიქელა, სრულიად გაგვინადგურა..."

ღია ფინალი კრავდა ამ ავტობიოგრაფიულ რომანს, ეგებ ვრცელი მემუარების პირველ კარად ნავარაუდევსაც, ახალი კარი, შესაძლოა, სულაც იმ სურათით რომ დაწყებულიყო, სემინარიაში რექტორად რომ დაუხვდებოდათ დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, ვინც ყველას ალერსიანად ჩამოართმევდა ატესტატებს და მიულოცავდა სემინარიის მოწაფეობას.

ან თედო და ან სხვა მისი ტოლ-ამხანაგნი რას წარმოიდგენდნენ, ამ გარეგნული სათნოების მიღმა რაოდენ ქვა გული ჩაბუდებულიყო და კიდეც გამოიწვევდა იოსებ ლაღიაშვილს, რათა იმას სატევრით განეგმირა, რაკიღა ადამიანურ თხოვნა-ვედრებას არაფრისდიდებით არ შეისმენდა და ახალგაზრდა კაცს გასაწირავად გაიმეტებდა.

ემშვიდობებოდნენ ვახტანგ ჭელიძე და გივი ხვედელიძე გულზე ახუტებული ამ ავტობიოგრაფიული რომანით, წინდაწინვე რომ იცოდნენ, რარიგ ჩაეფლობოდნენ თხრობის მომხიბლავ მდინარებაში, და გაცილებისას თედო სახოკია კვლავ ამას დაადევნებდა ბიოგრაფოსს:

— შედევრია „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა" ქართული პროზის შედევრი!..

დაბადების დღეზე ნინო ნადირაძე ჰალსტუხს უძღვნიდა და თედო გაიცინებდა: შენი მოძღვნილი ერთი ჰალსტუხი აღარც მომიშორებია და ახლა ეს მეორე შეენაცვლება ხოლმეო. და ქალს გაახსენდებოდა, რომ ეს იყო მისი პირველი საჩუქარი თედოსადმი.

თურმე რა უცნაურად უნდა შეკრულიყო წრე, ბედისწერა თავის კომპოზიციას ასე რომ ამოახვევდა: ჰალსტუხიდან ჰალსტუხამდე. თურმე ესეც შეიძლება ჩარჩოდ იქცეს ბედისწერის ხელში.

— კინოში როდის წავიდეთ? — ეკითხებოდა ქალი.

— 1957 წელს გვიწევს, მანამდე ჯერ ადრეა.

— ათი წლით რომ განვსაზღვრეთ ვადა, ეს ხომ მაინც პირობითობაა და ახლაც შეიძლება, თანაც რამდენი კარგი ფილმია, რომ იცოდეთ, მათ შორის, ფრანგულიც — არ მოგენატრათ პარიზი?

მოენატრა, როგორ არ მოენატრა, და მერე რა — როდესაც მოინდომებს, კიდეც არ იხილავს? ბავშვობის მოგონებებს გამოეხსნება თუ არა, პარიზი შემოცურდება მის ცნობიერებაშიც და თვალთახედვაშიც, თითქოს იქ იდგეს, მის წიაღში მოქცეულიყოს, მისი სულის იდუმალ ხვეულებში ჩანთქმულ-ჩაყურყუმელავებული.

— არ მოგენატრათ პარიზი? — უმეორებს ქალი გარინდებაში ჩაფლულს...

სტუმრები მიდიან, მიეშურებიან, აქ კიდევ ერთხელ შეკრების მოლოდინით აღვსილნი, ყველაფერი რომ სხვაგვარად შთამბეჭდავია და გულშიჩამწვდომი, სხვაგვარად სახალისოც და სევდისმომგვრელიც.

თედო ახალ ჰალსტუხს ათვალიერებს, იზომავს, კმაყოფილია, ეჭვიც არ ეპარებოდა ნინოს გემოვნებაში.

ოთახს ილია ჭავჭავაძის უზარმაზარი პორტრეტი გადმოჰყურებს და თავის გარშემო იკრებს ყველაფერს, არქეოლოგიურ საგნებსა თუ ყოფით ნივთებს, ამას უკვე ძალზე მწირად მიმოლაგებულს ბინაში, სადაც შეგიძლია საქართველოს ისტორიაშიც იმოგზაურო და ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულიც მიმოიხილო, ისეთი მეგზური მოუვლენია შენთვის უფალს, ყოველწამს მზადმყოფი სულიერი სანახების შემოსავლელად, აღტაცებულმა რომ უნდა მოიფშვნიტოს ხელები სტუმართა ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალებით შეგულიანებულმა, და აჰა კიდეც:

— შევუდგეთ ქრისტეს!

და დარდი და წუხილი, სევდა და ტკივილი რომ გათანგავს დროდადრო, მაინც თამამადაა და გაუტეხლად, რადგანაც იცის, სად მოიოხოს გული, ვის შესჩივლოს, ვის ეახლოს საალსარებოდ...

ეპილოგი

რუსთაველის გამზირზე ბერიკაცი მოაბიჯებს, თანაც ისე ცოცხლად, ისე მკვირცხლად... ნაბიჯი ცოტა დამოკლებია, მაგრამ ეს განა რა ბედენაა: ზოგი ახალგაზრდობაშიც ასე დაიარება.

„ბიჭივითაა", — შორიდან მოჰკრავს თვალს გალაკტიონ ტაბიძე და უკვირს, — „ცხრა ათეული ამოათია და... ვერ უყურებ?!"

მაგრამ ეს რაღაა — რატომ აჰფარებია სახეზე სიკვდილის ნიღაბი?

უცნაურია, ძალზე უცნაური ერთდროულად — ეს ნიღაბი და ასეთი სიმკვირცხლე და სიცოცხლის წყურვილი.

გამვლელები, ეტყობა, ვერ ამჩნევენ ამ ნიღაბს, თორემ ასე მშვიდად არ აუვლიდნენ გვერდს, უეჭველად შეცბუნდებოდნენ, შეშფოთდებოდნენ გალაკტიონივით, ვისაც ერთბაშად უნდა წამოეშალოს თედო სახოკიასთან შეხვედრის წუთები — აბნეულად, მიმოფანტულად, მაგრამ გამთლიანდება ეს დაღავებული წუთები, შეიკვრის და შთამბეჭდავ ლიტერატურულ პორტრეტადაც გამოიკვეთება.

ეგაა, თუკი დასცალდა.

არადა, თედო სახოკია ღირსია ასეთი პორტრეტის, გალაკტიონური ხელის შეხების!..

მიდის, მიაბიჯებს, თვალთაგან იკარგება...

თავის ფიქრებში გახლართულა, თავის ასოციაციებში, იმდენი რომ დაეხვევა ხოლმე ერთბაშად, მისი გონების კაცი თუ გაუძლებს, მისი სულიერი სიმტკიცის, თორემ სხვანი მთლად აიბნეოდნენ და დაღავდებოდნენ.

მოიცა, აქ სასტუმრო „პეტერბურგი" არ იდგა?!.

ჰოი, რას ტორტმანებდნენ და წრიალებდნენ მის სიახლოვეს ახალგაზრდები, მათ შორის ეს სამნიც: თედო სახოკია, შიო დე-

დაბრიშვილი და იოსებ ლაღიაშვილი, — განუყრელნი, შეთვისებულნი, დიდთა და დრამატულ საქმეთათვის გამზადებულნი ბედისწერისაგან, მაგრამ ეს არ უწყიან და მხოლოდ მოუთმენლად მისჩერებიან სასტუმროს კარს, რომელიც ხშირად კი იღება და იხურება, მაგრამ ერთხელ ისე უნდა გაიხსნას, თითქოს იქიდან სინათლის ჩქერალი გამოიჭრაო, და ალექსანდრე ყაზბეგი უნდა გამოჰყვეს იმ ჩქერალს, და ყველაფერი რომ იფიქროს, ამას ვერაფრისდიდებით ვერ მიხვდება და ვერც დააჯერებ, რომ ეს ახალგაზრდობა მის დასანახად შეკრებილა და უკან გასაყოლად, რათა განიცადონ იმ მწერლის სიახლოვე, მათი ფიქრებისა და სიზმრების თანაზიარად რომ ქცეულა ერთიერთმანეთზე უკეთესი მოთხრობებითა და რომანებით, რაღაც დიდ ეპოსადაც რომ უნდა გამოიკვეთოს, ქართულ „ილიადად" ჩამოიქნას.

მხარზე მაიმუნი ჟაკო შემოსკუპებია, გალაღებული, აცეკვებული, ახალგაზრდებს ემანჭება, მაგრამ იმათ მისი მანჭვაც მოსწონთ, რაღაც სხვაგვარი ეჩვენებათ და შენატრიან მის მეგობრობას ამ კაცთან, ვინც სულაც არ არის უცნაური, როგორ ვიღაც-ვიღაცებისგან მოუსმენიათ და ძალიანაც გაბრაზებულან, რადგანაც ალექსანდრე ყაზბეგი სწორედ ისეთია, კავკასიური ილიადას შემოქმედს როგორც შეშვენის, ქართველ ჰომეროსს, და აბა, ჰომეროსი და... სხვათაგან განურჩეველი?! მკვეთრი პიროვნულობა, კოლორიტული ნიშან-თვისებანი კი სადაური უცნაურობაა?! ისე, იმ ადამიანთა თვალში ალბათ ამათი საქციელიც უცნაურობად გამოიყურება — რას ელოდებიან, რას ასდევნებიანო!.. ჰეეე, ბევრი გაეგებათ, როგორ უნდა იქცეოდეს კაცი.

ამ სამეულსაც ეღიმება გუნებაში — იმ ადამიანებზე, თორემ ჟაკოს მანჭვა-გრეხაზე არა, ჟაკო სხვაგვარად, აბა, როგორ უნდა იქცეოდეს?!

მიჰყვებიან — შიო მოქურუშებული, თედო შუბლგახსნილი, იოსები არც ძალიან მობურულა, მაგრამ მთლად ვერც შეუცინია გარემოსათვის.

მიჰყვებიან რუსთველური ძმობით შეკრულნი... თუმც რაღა რუსთველურით — ყაზბეგური ძმობით შეკავშირებულნი და

ნატრობენ, რომ დრო გაშეშდეს, გაიყინოს და თვითეული ასე შერჩეს ამ გამზირს, უკვე უსასრულობაში გადანაცვლებულს.

ამისთვის კი ღირს სიცოცხლე, — ფიქრობს თედო და არა სჯერა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის კვალში ჩამდგარა, მის ნაბიჯებს ასდევნებია, ის ხომ უსხეულოა, სხვა სამყაროს შვილი, სხვა დრო-სივრციდან გადმოტყორცნილი, ის სინამდვილე ასე ხელშესახებად რომ მოუტანია და ეს ჭაბუკებიც გაუბრუებია რაღაც დიდისა და უჩვეულოს მოლანდებითა და შეგრძნებით.

მიჰყვებიან და არა უწყიან, რა, ვინ სად ჩაიკარგება წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალში, ვინ კი ხანგრძლივადაც შერჩება ცხოვრების მდინარებას, გალაკტიონიც რომ შეიძლება გააოცოს: აი, სიცოცხლე და სიმკვირცხლეო!..

მაგრამ... ეს სიკვდილის ნიღაბი?!.

თუმც ჯერ რა დროს ეს ნიღაბია, თავ-თავისი გზაც არ აურჩევიათ ამ ჭაბუკებს, ერთიმეორეს მალიმალ რომ შეავლებენ მზერას და სუნთქვაშეკრულნი მისდევენ, მიჰყვებიან ძვირფას ნაფეხურებს...

ამისთვის კი ღირს სიცოცხლე, — ნეტარების ბურანს მისცემია თედო სახოკია.

2014

14 ივლისი-14 ოქტომბერი, სვეტიცხოველობა

შინაარსი

თავი პირველი
გალაკტიონის დაუნერელი ქრონიკა 3

თავი მეორე
სამი ძმობილი, ალექსანდრე ყაზბეგს ადევნებული 28

თავი მესამე
ამბავი აკაკის ოხუნჯობათა შეგროვებისა 98

თავი მეოთხე
სტენდალს რომ ხელთ ჩავარდნოდა 138

თავი მეხუთე
განუყრელი სახებანი 182

თავი მეექვსე
ცა ქუდად, დედამიწა ქალამნად 243

თავი მეშვიდე
გარჯისა და განსვენების ოდისეა 293

თავი მერვე
პარიზული „საქართველო“ და ზღვისპირული ფათერაკები 335

თავი მეცხრე
არისტოკრატული შურისგება 409

თავი მეათე
ციმბირული ეპოპეა ან „ბიჭობას ვინ დამიგდებსა!..“ 435

თავი მეთერთმეტე
ემიგრანტის დღე 502

თავი მეთორმეტე
ის საბედისწერო სტატია 532

თავი მეცამეტე
უორდროპები 544

თავი მეთოთხმეტე
რწმენა და განათლება 573

თავი მეთხუთმეტე
ლექსიკონი, როგორც რომანი 634

თავი მეთექვსმეტე
ვის ვეახლოთ საარსებოდ? 683

ეპილოგი 729